როლანდ თოფჩიშვილი

კავკასიის ეთნოლოგია

Topchishvili Roland

Etnology of Caucasian. Tbilisi. – 2012

Топчишвили Роланд

Этнология Кавказа. Тбилиси. –2012

ეძღვნება მეგობრის, გამორჩეული მეცნიერი ლინგვისტის, კავკასიათმცოდნის, გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრის მიხეილ ქურდიანის ნათელ ხსოვნას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

როლანდ თოფჩიშვილი

კავკასიის ეთნოლოგია

**გიორგი ავთანდილაშვილის,
გიორგი მეურმიშვილისა და გიორგი ჭეიშვილის მონაწილეობით**

სახელმძღვანელო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის
სტუდენტებისათვის

თბილისი
2012

საქართველოს მომავალი განვითარებისათვის კავკასიისა და კავკასიელების შესახებ ცოდნას განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს. საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს ამ უნიშვნელოვანეს მულტიეთნიკურ რეგიონში ადგილობრივი და შორეული გეოგრაფიული რეგიონებიდან მოსული ხალხები ეთნიკური ნიშის მოსაპოვებლად იბრძოდნენ. კავკასიაში ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არაერთი ხალხი ცხოვრობდა და ცხოვრობს, რომლებთანაც ქართველებს გარკვეული ურთიერთობა გააჩნდათ. წინამდებარე წიგნი კავკასიელი ხალხების ეთნოგენეზის, ეთნიკური ისტორიის და მრავალფეროვანი ეთნიკური კულტურების შესახებ მოგვითხრობს. სახელმძღვანელო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ კავკასიის ეთნოლოგიის შესწავლა ყველა ქართველს წაადგება, მით უმეტეს, დღეს, როდესაც კავკასიათმცოდნეობა – კავკასიელი ხალხების წარსულის, ყოფა-ცხოვრების/ტრადიციებისა და ენების შესწავლა – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

რედაქტორები

I. ზოგადი მონაცემები კავკასიის შესახებ

I. 1. შესავალი

ქართული ეთნოსის განსახლების არეალი კავკასიაა. ქართული სახელმწიფოებრიობაც, ქართული კულტურაც და ქართული ცივილიზაციაც დედამიწის ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეგიონში ჩამოყალიბდა და განვითარდა. ეს ტერიტორია სამი მდინარის – *მტკვრის, რიონის და ჭოროხის* – აუზებს მოიცავს. მართალია, მდ. *ჭოროხი* საქართველოს ტერიტორიაზე დღეს მხოლოდ 25 კილომეტრზე მოედინება და ის ბათუმის სამხრეთით ერთვის შავ ზღვას, მაგრამ ძველი აღმოსავლური, ბერძნული, რომაული წყაროებით, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს ხეობა, თავისი შენაკადი ხეობებით, ქართველთა განსახლების არეალი იყო და ქართული ეთნიკური კულტურა და ცივილიზაცია *რიონისა* და *მტკვრის* აუზებთან ერთად აქაც ჩაისახა. *ჭოროხის* აუზში მცხოვრებ მეურნეობრივად დაწინაურებულ ქართველ ხალხში მოხდა პირველი ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ჩამოყალიბება (*დიაოხი, კოლხა*). ასე რომ, ეპოქათა განმავლობაში ქართული მოდგმის ტერიტორიულ ერთეულებს ურთიერთობის ასპარეზი საკმაოდ ფართო და ვრცელი ჰქონდათ. ქართველთა მეზობლად სამხრეთით არაერთი ეთნოსი შეიცვალა, ერთ ხალხს მეორე ხალხი ცვლიდა. სამწუხაროდ, ქართული კულტურისა და ცივილიზაციის აკვანი – ჭოროხის აუზი და მტკვრის ხეობის ზემო წელი გვიან შუა საუკუნეებში საქართველომ დაკარგა. ის სხვა ხალხის საკუთრებად იქცა. ამ მიწა-წყლის დიდ მონაკვეთზე, აუტანელი პირობების გამო, ქართველთა დეეთნიზაცია გარდაუვალი გახდა, ქართველები სხვა ეთნოსის შემადგენლობაში შევიდნენ. აქ ქართველი მოსახლეობა მხოლოდ აქა-იქ შემორჩა და, დიდი ზეწოლის მიუხედავად, ქართული ენა და ეთნიკური თვითშეგნება (იდენტობა) შეინარჩუნა. თუმცა დაღი საკუთარი სახელმწიფოებრიობიდან მოწყვეტისა და სხვა სახელმწიფოში ცხოვრებისა დიდზე დიდია.

სამხრეთით ქართველთა მეზობლები სომხებიც არიან. ასევე იყო ისტორიულადაც. სომხები მსოფლიოს ერთ-ერთი კულტურული და ცივილიზებული ხალხია, რომლებიც, ქართველებთან ერთად, დეეთნიზაციას გადაურჩნენ. აღმოსავლეთით სამხრეთ კავკასიაში ქართველთა მეზობლები ჯერ ალბანელები იყვნენ, XI საუკუნიდან კი თურქულენოვანი მოსახლეობა, რომლებსაც XX საუკუნის 20-იანი წლებიდან აზერბაიჯანელებს უწოდებენ. ჩრდილოეთ კავკასიაში ქართველებს ათეულობით პატარ-პატარა ეთნოსი ემეზობლებოდა, რომლებსაც, ფაქტობრივად, საუკუნეთა განმავლობაში ცივილიზაცია არ შეუქმნიათ. ამავე დროს, აღმოსავლეთიდან ხალხთა ხშირი მიგრაციის გამო, აქაც ეთნოსთა ხშირი ცვლა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა ხდებოდა. თუმცა ჩრდილოეთ კავკასიის მთაში ძირითადი ეთნოსები მაინც სტაბილურად მკვიდრობდნენ და მათ ქართველ ხალხთან ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდათ. ხშირი იყო მიგრაციული პროცესები, მოსახლეობის გადასვლა-გადმოსვლა არა მხოლოდ კავკასიის იმ ნაწილში, რომელშიც ქართველი ხალხი მკვიდრობდა, არამედ მთელს კავკასიასა და წინა აზიაშიც, რადგან ეს რეგიონი ევროპისა და აზიის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის გზათა შესაყარზეა. საუკუნეთა განმავლობაში ქართული ეთნოსი ყველა იმ ხალხისაგან, ვისთანაც კი ურთიერთობა ჰქონია, შემოქმედებითად ითვისებდა არაერთ კულტურულ მიღწევას, როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის სფეროში. თავის მხრივ, ქართველი ხალხის მრავალი კულტურული მონაპოვარი ყველა მეზობელს, როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით და აღმოსავლეთით გადაეცემოდა.

ბუნებრივია, ქართველთა მთელი მეზობლური გარემოცვა – ყველა დიდი თუ პატარა ეთნოსი, დიდი ტრადიციების მქონე ქართული მწერლობის არეალში

მოქცეულა. ხშირად ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების ისტორიული წარსულის სურათის აღსადგენად ქართული საისტორიო მწერლობა ერთადერთი წყაროა.

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველომ სახელმწიფოებრიობა აღიდგინა. წინა ორი ასეული წლის განმავლობაში მეტროპოლია ცდილობდა ქართველ ხალხს მეზობლ ხალხებთან ნაკლები კონტაქტები და ურთიერთობა ჰქონოდა. ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის გარიჟრაჟზე ზოგიერთმა ჩრდილოეთ კავკასიელმა ხალხმა ქართველ ხალხთან ურთიერთობაში არასწორი, მტრული პოზიცია დაიკავა. ახლაც არის ტენდენცია, რომ გაუცხოება მოახდინონ ქართველებსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის, რომ ქართველებს აღარ ჰქონდეთ წამყვანი და ცენტრალური ადგილი კავკასიაში. ეს კი ქართველი ხალხის და საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებში არ შედის. არც ჩვენი კავკასიელი მეზობლების ინტერესებს წაადგება. კავკასიაში მცხოვრები ყველა ეთნოსის ნორმალური განვითარების პირობა კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობების განვითარებაა. ამისათვის კი საჭიროა მათ ერთმანეთის ისტორიის, ყოფისა და კულტურის შესახებ ბევრი რამ იცოდნენ. სამწუხაროდ, ყველაფერი პირიქითაა. ისინი, ერთმანეთის შესახებ მცირე ინფორმაციას ფლობენ. იშვიათი არაა ისტორიის ფაქტების დამახინჯება, მითოლოგემების შექმნა, რაც დაძაბულ ვითარებას კიდევ უფრო ართულებს. ქართველების მოვალეობაა რაც შეიძლება ბევრი ვიცოდეთ ჩვენი მეზობელი ხალხების – კავკასიელთა შესახებ. ეს განსაკუთრებით ითქმის მათი ეთნიკური ისტორიისა და ეთნიკური კულტურის შესახებ. ეს ცოდნა არა მარტო ყველა ჰუმანიტარს, არამედ საქართველოს ყველა რანგის რიგით მოქალაქესაც უნდა ჰქონდეს. აღარას ვამბობთ სახელმწიფო მოღვაწეებზე, პარლამენტარებზე, რომლებსაც ხშირი ურთიერთობა აქვთ, როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან. თუმცა ზოგიერთი ჩვენი განათლებული ადამიანი, მთავრობისა თუ პარლამენტის წევრი მარტივ ეთნიკურ და ეთნოგრაფიულ ტერმინებს ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებს. ელემენტარული ეთნოლოგიის უცოდინარობის შედეგია ის, რომ უბრალოდ არ იციან ისეთი ტერმინების შინაარსი როგორებიცაა: *ტომი, ერი, ნაცია, ხალხი, ეთნოსი, ეთნიკური ჯგუფი, ეთნოგრაფიული ჯგუფი...*

რუსულ მეცნიერებაში კავკასიას არა მხოლოდ გეოგრაფიული ოლქად, არამედ ისტორიულ-კულტურული რეგიონად, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ პროვინციადაც განიხილავენ. მაგრამ მთავარი კავკასიონის ქედის მძლავრი მთათა სისტემა კავკასიას ორ, არამსგავს, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონად ყოფს: ჩრდილოეთ კავკასიად და სამხრეთ კავკასიად. ჩრდილოეთ კავკასია და სამხრეთ კავკასია თავისი განსხვავებული ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული თავისებურებებით ხასიათდება. ხშირად ცალკე გამოყოფენ ხოლმე ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილსაც – დაღესტანს. მრავალეროვანია კავკასიის ლანდშაფტიც. კავკასიის ეკოლოგიური მრავალფეროვნებამ კი განაპირობა აქ სრულიად განსხვავებული სამეურნეო-კულტურული ტიპების წარმოქმნა: სამიწათმოქმედო-მესაქონლეობითი კომპლექსური მეურნეობა, საქონლის როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური გადარეკვით, სახვნელი და მთის მიწათმოქმედება. ჩრდილოეთ კავკასიისათვის ნიშანდობლივი იყო აგრეთვე მომთაბარე მესაქონლეობა. შესაბამისად, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებით ჩრდილოეთ კავკასიამ და სამხრეთ კავკასიამ განვითარების სხვადასხვა გზა განვლეს. სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის მხოლოდ მაღალმთიან ერთმანეთის მოსაზღვრე ტერიტორიებზე მკვიდრებს გააჩნდათ მსგავსი სამეურნეო და მატერიალური რეალიები. რთული ლანდშაფტით იყო განპირობებული კაკვკასიის ეთნოლინგვისტური სიჭრელეც.

ზოგიერთ მკვლევარს კავკასიისა და მისი მკვიდრი ეთნოსების ერთიან ისტორიულ-კულტურულ ოლქში მოქცევის მიზეზს ძირითადად საერთო ანთროპოლოგიური ტიპი, მატერიალური კულტურის, სამეურნეო ყოფის ზოგიერთი

ელემენტის მსგავსება აძლევს. იყო ერთობა მთიელთა სოციალური ურთიერთობებისა და სულიერი კულტურის სფეროში, ეტიკეტში, მენტალიტეტში. კულტურის ზოგიერთ საერთო ელემენტთან ერთად, კავკასიის თითოეულ ეთნოსს მხოლოდ მისთვის მახასიათებელი ყოფა-ცხოვრება, ტრადიციები, მენტალობა ჰქონდა. ბუნებრივია, ეს სხვაობა ქართველი ხალხისა, სომხებთან და ალბანელებთან ერთად, კავკასიის სხვა ხალხებთან შედარებით, უფრო დიდი და სიღრმისეული იყო, რადგან სამხრეთ კავკასიელებმა საკუთარი სახელმწიფოებრიობა, მაღალი კულტურა და ცივილიზაცია შექმნეს, რომლის ყველაზე დიდი გამოხატულებაც ეროვნული დამწერლობა და მრავალფეროვანი მწერლობაა. სამხრეთ კავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ პროვინციებად ჩამოყალიბებას ხელი არა მხოლოდ კავკასიონის მთავარი ქედით გამიჯვნამ შეუწყო, არამედ მეზობლურმა გარემოცვამაც – ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს საუკუნეების განმავლობაში ჩრდილოეთიდან თუ სხვადასხვა მომთაბარე ეთნოსები ესაზღვრებოდნენ, სამხრეთ კავკასიელებს დასავლეთ აზიის/მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა ცივილიზაციებთან ჰქონდათ ურთიერთობა. ძველი აღმოსავლური, ირანული, არაბული, ბიზანტიური ცივილიზაციები, ხელს უწყობდა სამხრეთ კავკასიელთა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას, რასაც ჩრდილოეთ კავკასიელები მოკლებულნი იყვნენ. კავკასიელთა კულტურულ არაერთგვაროვნებას რელიგიური ფაქტორიც განაპირობებდა.

ზოგადად კავკასიის შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ შედარებით ნაკლები იწერებოდა. მხოლოდ ერთადერთი შემთვევა გვქონდა 1924 წელს კავკასიის გეოგრაფიის სახელმძღვანელოს დაწერისა. ეთნოლოგიის დარგში კი ამ მხრივ, აღსანიშნავია «[illegible]»-ს ორტომეულის დასტამბვა საბჭოთა პერიოდში. ნახევარ საუკუნეზე წინ დაწერილი ეს ორტომეული დღესაც საუკეთესო გამოცემას წარმოადგენს, მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვათ, ის მარქსისტული პოზიციებითაა დაწერილი და ბევრი რამ გადასახედი და ახლიდან დასაწერია, რადგან კავკასიათმცოდნეობით ეთნოლოგიაში არაერთი სიახლე ვიხილეთ. კავკასიის ეთნოლოგიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის მხოლოდ ერთი მცდელობა შეიძლება გავიხსენოთ. ესაა პეტერბურგელი მეცნიერის *ა. გადლოს* წიგნი, რომლის პირველი ნაკლი ისაა, რომ კავკასიელი ხალხების ეთნიკური კულტურა შუა აზიის ხალხების ეთნიკურ კულტურასთან ერთადაა წარმოდგენილი და მეორე ის, რომ ფაქტობრივად წარმოადგენს ზემოხსენებული «[illegible]»-ს კონსპექტურ ვარიანტს.

წინამდებარე სახელმძღვანელო კავკასიის ეთნოლოგიის შექმნის პირველი ცდაა. ესაა 2007 წელს დასტამბული „კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის“ სალექციო კურსის შევსებული და გადამუშავებული ვარიანტი. ბუნებრივია, მას სრულყოფილების პრეტენზია არა აქვს. ავტორს მრავალრიცხოვანი ლიტერატურის გადამუშავება მოუხდა. კავკასიელი ხალხების ეთნოლოგიის შესახებ ხომ დროთა განმავლობაში უამრავი ნაშრომი დაიწერა. დღესაც უამრავი ნაშრომი და წიგნი იწერება კავკასიელთა შესახებ. ხელახლა გამოიცა XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში დაბეჭდილი ლიტერატურა, წყაროები. ბევრი რამ, რაც აქამდე ხელმიუწვდომელი იყო, დღეს ხელმისაწვდომია, თუნდაც ინტერნეტის საშუალებით. სიმართლე უნდა ითქვას, ღირებულ, მაღალი ხარისხის ლიტერატურასთან ერთად, გამოდის მდარე ხარისხის, არაფრისმთქმელი და მითოლოგემების შემცველი წიგნებიც. წინამდებარე სახელმძღვანელოს ავტორს არა აქვს პრეტენზია, რომ წიგნი სრულყოფილი და ყველაფრის მომცველია. მკითხველი შეამჩნევს, რომ სახელმძღვანელოს ყველა მონაკვეთი გმირი კავკასიელი ხალხებისადმი სიმპატიითაა დაწერილი. სხვანაირად არც შეიძლება. ქართველმა ხალხმა რაც შეიძლება მეტი უნდა იცოდეს თავისი მეზობლების შესახებ. კავკასიელთა ეთნიკური ისტორიისა და ეთნიკური კულტურის შესახებ ცოდნა თითოეულ

ქართველს და ქართულ სახელმწიფოს გაუადვილებს მეზობლებთან ურთიერთობას, წამოჭრილი პრობლემების მშვიდობიანად მოგვარებას. გარდა ჩვენს მიერ 2007 წელს დაბეჭდილი „კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის“ სალექციო კურსისა, 2006 წელს „კავკასიური სახლის“ მიერ დაისტამბა *ქეთევან ხუციშვილის „კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია“,* რომელშიც კავკასიის ყველა ხალხი არაა შეყვანილი, მაგრამ, ჩვენი სალექციო კურსისაგან განსხვავებით, მასში ქართველები სათანადოდ და პირველ ადგილზე იყვნენ წარმოდგენილნი. წინამდებარე სახელმძღვანელოში ეს ნაკლი გამოვასწორეთ და ქართველთა ეთნიკურ ისტორიასა და ეთნიკურ კულტურას დიდი ადგილი დაეთმო. რაც მეტი წიგნი დაიწერება უფრო წაადგება საერთო საქმეს, ისინი ერთმანეთს შეავსებენ. მთავარია, ქართველ მკითხველს, სტუდენტებს ჰქონდეთ საშუალება მეტ-ნაკლები სისრულით გაიცნონ კავკასიის ყველა ეთნოსი, რომელთაგანაც, ალბათ, ზოგიერთის არსებობას პირველად გაიგებენ.

როდესაც კავკასიის ეთნოლოგიის სახელმძღვანელოს შექმნა გადაწყდა, ავტორი ერთგვარი ალტერნატივის წინაშე იდგა. გზა ორი იყო: უნდა დაწერილიყო წიგნი ამა თუ იმ ეთნოგრაფიული პრობლემის მიხედვით (ზოგადად უნდა მომხდარიყო კავკასიური ეთნოსების კლასიფიკაცია, დახასიათებულიყო ჯერ მატერიალური კულტურა, სამეურნეო ყოფა, სოციალური ურთიერთობები, სულიერი კულტურა). ამ გზის არჩევის შემთხვევაში კავკასიის ბევრი ხალხი მითუმეტეს ძალიან მცირერიცხოვანი, მიიჩქმალებოდა. ამიტომ აირჩია მეორე, ავტორის აზრით, უფრო სწორი გზა, თითოეული ეთნოსის ცალ-ცალკე წარმოდგენა, მითუმეტეს, რომ ასეთი გზით ეთნოგრაფიული ნარკვევის დაწერის გამოცდილება უკვე არსებობდა.

თითოეული კავკასიელისათვის ალბათ შეურაცხმყოფელია, როდესაც რუსულ მედიაში ხშირად წერენ და გაისმის „კავკასიური ნაციონალობის პირების“ შესახებ. ამ სიტყვების მთქმელისათვის ყველა კავკასიელი ერთია, ეს იმ დროს, როდესაც კავკასიაში 50-მდე ხალხი მკვიდრობს, რომელთაგანაც ყველამ ორიგინალური კულტურა შექმნა და აქვს მისთვის დამახასიათებელი ენა. კავკასია ხომ ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში ბევრი სხვადასხვა ხალხით იყო დასახლებული. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაში არაერთი ენა და ეთნოსი გაქრა, დღესაც ის მრავალეთნიკური ოლქია. აქ ცხოვრობენ სხვადასხვა ენათა ოჯახის ენებზე მოლაპარაკე ხალხები. კავკასიური ენების ოჯახს (ადრე მას იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს უწოდებდნენ) მიეკუთვნებიან: ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, აბაზები, აფხაზები, ინგუშები, ჩაჩნები, დაღესტნის 30-მდე სხვადასხვა ხალხი, უდიები, აზერბაიჯანის შაჰდაღის მთებში მკვიდრი ჰინალუღები, კრიწები და ბუდუხები. თურქულ ენათა ჯგუფს მიეკუთვნებიან ბალყარები, ყარაჩაელები, ნოღაელები, ყუმუხები, აზერბაიჯნელები. თავიანთი წარმომავლობით ინდოევროპელები არიან სომხები. ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ჯგუფს მიეკუთვნება ოსების, თათების, თალიშების მეტყველება. ქართველებს კი, როგორც ირკვევა, ახლო მონათესავე ენობრივ-ეთნიკური ჯგუფი არ ჰყავს. თანამედროვე კავკასიაში არაავტოქტონი, ე. ი. სხვადასხვა დროს მოსული ეთნოსებიც მკვიდრობენ. ესენი არიან: რუსები, უკრაინელები, ქურთები, ასირიელები, ებრაელები, ბერძნები, თათრები... იმის გამო, რომ ყველა მათგანს თავისი სამშობლო აქვს და კავკასიაში დროის სხვადასხვა მონაკვეთში არიან მოსული და დამკვიდრებულნი, ისინი სახელმძღვანელოში ვერ მოხვდნენ.

ისტორიულად კავკასია სხვადასხვა იმპერიებს შორის ერთგვარი ბუფერული ზონა იყო. XIX საუკუნემდე ის მთლიანად რომელიმე ცალკე იმპერიის შემადგენელი ნაწილი არ ყოფილა. მის ცალკეულ ნაწილებს ეუფლებოდნენ სპარსელები და რომაელები, არაბები და ბიზანტიელები, ირანელები და თურქები. მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისიდან, თითქმის 200 წლის განმავლობაში, ის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. სამხრეთ კავკასია რუსეთის იმპერიამ 200 წლის შემდეგ, XX საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის დასაწყისში

დაკარგა. სამხრეთ კავკასიის ეთნოსებმა – ქართველებმა, სომხებმა და აზერბაიჯანელებმა დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა მოიპოვეს.

კავკასიის მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ფაქორია მისი რელიეფი. კავკასია უმეტესად მთიანი მხარეა. მთელ კავკასიაზე დაახლ. 1500 კმ-ზე გადაჭიმულია (შავი ზღვის დასახლებული პუნქტ *ანაპიდან* კასპიის ზღვის ნახევარკუნძულ *აფშერონამდე*) დიდ კავკასიონის მთათა სისტემა. დიდი კავკასიის წყალგამყოფი სისტემა, როგორც მას უწოდებენ, მთავარი ქედი, კავკასიას ორ ნაწილად ყოფს. ჩრდილოეთ კავკასიად და სამხრეთ კავკასიად. მთავარი კავკასიონის სამხრეთით – სამხრეთ კავკასიაში, შავ ზღვასა და მდ. არაქსის ქვემო დინებას შორის, განლაგებულია მეორე სისტემა დანაოჭებული (ნაოჭა) მთებისა ე. წ. მცირე კავკასია. ორივე სისტემას აქვს ბევრი განშტოება და ერთმანეთთან შეერთებული არიან საქართველოში სურამის ქედით. მცირე კავკასია ოროგრაფიული და გეოლოგიური თვალსაზრისით წარმოადგენს თითქოსდა ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიას სომხეთის მთიანეთისას. სომხეთის მთიანეთი (ჯავახეთ-სომხეთის მთიანეთი) და მცირე კავკასია ხშირად განიხილება როგორც ერთიანი მთათა ოლქი, რომელიც სამხრეთ კავკასიის მთიანეთად იწოდება. სამხრეთ კავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ განლაგებული თალშის მთებიც მიეკუთვნება სომხეთის მთიანეთს – ეს არის მისი ირანული ნაწილის უკიდურესი ჯაჭვი.

დიდი კავკასიონის ჩრდილოეთით კავკასიისწინა რეგიონია, რომელიც მაღალი მთებით არ ხასიათდება. სტავროპოლის მაღლობზე ყველაზე მაღალი წერტილი ზღვის დონიდან 832 მეტრზეა.

დიდი კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში მისი მთავარი მწვერვალები (*იალბუზი* – 5662 მ., *შხარა* – 5201 მ., *დიხ-თაუ* – 5198 მ., *ყოშთანთაუ* – 5144 მ., *ჯანღა* – 5059 მ., *მყინვარწვერი* – 5033 მ....) მუდმივი თოვლის საფარითაა დაფარული. მართალია, კავკასიის მთათა სისტემა მიუვალია, მაგრამ მასზე არაერთი გადასასვლელია. ისინი უძველესი დროიდან კავკასიაში განსახლებული ეთნოსებისათვის კომუნიკაციის საშუალებას წარმოადგენდნენ. ასე რომ, კავკასიის ქედი არასოდეს არ ყოფილა გადაულახავი ზღუდე. განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ორი მათგანი – **დარიალი** და **დერბენტი**. ზაფხულობით კი არაერთი სხვა გადასასვლელი, ბილიკი მოქმედებდა (მნიშვნელოვანი იყო დვალეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში შესასვლელი **კასრის კარი**), რითაც სამხრეთით და ჩრდილოეთით მცხოვრებ ხალხებს ცხოველი კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ. ამდენად, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ეთნოსებს შორის მთელი ისტორიის მანძილზე კულტურულ ურთიერთობასთან ერთად ეთნიკური და სამეურნეო ურთიერთობაც არსებობდა. მაგალითად, *მოსე კალანკატვაცის* ცნობაც შეიძლება დავასახელოთ ჩრდილოეთ კავკასიელების მიერ სამხრეთ კავკასიის, კერძოდ დღევანდელი ყარაბაღის ტერიტორიის საძოვრებად გამოყენების შესახებ.

კავკასია ბუნებრივ-გეოგრაფიული მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. აქ მაღალმთიანეთთან ერთად არის ვრცელი სტეპები და ნახევარუდაბნოებიც, ზომიერი და სუბტროპიკული ჰავაც. კავკასიაში ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული 21 ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონი და 11 კლიმატური ოლქი გამოიყოფა. შესაბამისად მრავალფეროვანია მისი ფლორა და ფაუნა.

კავკასიის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, ენათა მრავალრიცხოვნობა, მატერიალური კულტურის და სამეურნეო ყოფის ნაირგვარობა, სოციალური განვითარების სხვადასხვაობა, განსხვავება სულიერ კულტურებში, ბუნებრივია, საზოგადოებრივ-ისტორიულ ფაქტორებთან ერთად, ბევრად განაპირობა კავკასიის ბუნებრივ-გეოგრაფიულმა და კლიმატურმა პირობებმაც. ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოთი იყო გამოწვეული მეურნეობის ფორმების სხვადასხვაობა. ჯერ კიდევ სტრაბონი შენიშნავდა, რომ აქ ბარის მკვიდრნი მიწათმოქმედნი და მთიელები – მესაქონლეები იყვნენ. კავკასიის ხალხებმა, როგორც ბარში, ისე მთისწინეთსა და მთაში მიწათმოქმედების განვითარებული ფორმები შექმნეს, რაც, თავის მხრივ,

ხელოვნური მორწყვითა და ტერასების მოწყობის კულტურითაც იყო განპირობებული. სხვადასხვა ბუნებრივ-გეოგრაფიულ/ლანდშაფტურ და კლიმატურ პირობებში განსახლებული ეთნოსები ჩაკეტილი არ ყოფილან (თუმცა დაღესტანში სოციალური თვალსაზრისით იზოლანტი ეთნოსები ცხოვრობდნენ). გარემოება მათ აიძულებდა ერთმანეთთან მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ჰქონოდათ და აქედან გამომდინარე ერთმანეთის ბევრი კულტურული მიღწევაც გაეზიარებინათ. ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარეობის გამო, კავკასიის მოსახლეობას მშვიდობიანი განვითარების საშუალება იშვიათად ჰქონდა. იმპერიების გარდა, ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში, მისდამი ინტერესს მომთაბარე ტომებიც იჩენდნენ. განსაკუთრებით შეიცვალა კავკასიის ეთნიკური რუკა რუსეთის იმპერიის დამკვიდრების შემდეგ. რუსეთის იმპერიამ კავკასია ეთნიკურად უფრო ჭრელი გახადა და ზოგიერთ ეთნოსს თავისი ეთნიკური ნიშაც დააკარგვინა.

კავკასიის ეთნიკურ სახეზე არანაკლებ გავლენას ახდენდა ზოგიერთი ჩრდილოეთ კავკასიური ეთნოსის „თარეშების ინდუსტრია“. ისინი მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ჯგუფების სახით თავს ესხმოდნენ ერთმანეთს და საქართველოს. იტაცებდნენ ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებოდათ – უძრავ და მოძრავ ქონებას, ტყვედ მიყავდათ ადამიანები და თავდაპირველად ვენეციელებსა და გენუელებზე და შემდეგ ყირიმელ თათრებსა და თურქებზე ყიდდნენ.

ასეთია ერთი თვალის გადავლებით კავკასია გეოგრაფიულად, ისტორიულად, კულტურულად. სამხრეთ კავკასიის დასავლეთი და ცენტრალური მონაკვეთები ქართული ეთნოსის ჩამოყალიბების არეალი, ქართველთა საცხოვრისია. ქართველთა მეზობლად კავკასიაში ათეულობით ეთნოსი იყო და არის განსახლებული, რომელთა ეთნოგრაფია, უფრო სწორედ ეთნიკური ისტორია, მოკლე პოლიტიკური ისტორია, დემოგრაფიული მახასიათებლები, ენობრივი დახასიათება, ეთნიკური კულტურა (სამეურნეო ყოფა, მატერიალური კულტურა, სულიერი კულტურა, სოციალური ურთიერთობები) წინამდებარე წიგნშია მოცემული. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია თითოეულმა განათლებულმა ქართველმა უნდა იცოდეს. ამიტომაა, ეს სახელმძღვანელო უნივერსიტეტების ჰუმანიტარული ფაკულტეტისათვის განსაზღვრული.

მართალია კავკასიელთა შესახებ ქართველ ეთნოლოგებსა და ისტორიკოსებს ყოველთვის დიდი ინტერესი გააჩნდათ და ბევრი შესანიშნავი გამოკვლევაცაა დაწერილი, მაგრამ მათი ნაღვაწი ქართველ ენათმეცნიერთა ნაღვაწს მაინც ვერ შეედრება. *არნოლდ ჩიქობავასა* და მის მოწაფეებს განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი კავკასიური ენების შესწავლასა და კავკასიათმცოდნე ლინგვისტების აღზრდის საქმეში. შეიძლება დავასახელოთ: *ქ. ლომთათიძე, გ. როგავა, დ. იმნაიშვილი, გ. ახვლედიანი, ილ. ცერცვაძე, ე. ჯეირანაშვილი, ო. კახაძე, ვ. ფანჩვიძე, გ. ბურჭულაძე, ე. ლომთაძე, ტ. გუდავა, გ. თოფურია, რ. ჯანაშია, ვ. შენგელია* და ბევრი სხვ. ლინგვისტ კავკასიათმცოდნეებს, ფაქტობრივად, დღემდე ტრადიცია არ შეუწყვეტიათ, რასაც ვერ ვიტყვით ეთნოლოგებსა და ისტორიკოსებზე. ლინგვისტებს გვერდი იმიტომაც ვერ ავუარეთ, რომ ბოლო დროს მათ შექმნეს ფუნდამენტალური ნაშრომები კავკასიათმცოდნეობაში. მხედველობაში გვაქვს *მ. ქურდიანის, მ. ჩუხუას, თ. გვანცელაძის* გამოკვლევები. წინამდებარე სახელმძღვანელოს ავტორი დიდადაა დავალებული ფართო განათლებისა და დიაპაზონის მქონე მკვლევარისაგან – *მიხეილ ქურდიანისაგან*, რომლისაგანაც მან ბევრი რამ ისწავლა კავკასიელების შესახებ. *მ. ქურდიანს* ხომ ფეხით ჰქონდა შემოვლილი კავკასიის როგორც ჩრდილოეთი, ისე სამხრეთი და თითქმის „ხელი ჰქონდა შეხებული“ კავკასიელთა ტრადიციებისათვის. 2007 წელს დაბეჭდილი „კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის“ სალექციო კურსის ეგზემპლიარს სათუთად ვინახავ, რომელზედაც მიხეილის სათანადო შენიშვნები და სურვილებია მიწერილი.

წინამდებარე სახელმძღვანელოში მისი სურვილები და შენიშვნები სათანადოდ გავითვალისწინე. ამ წიგნს მის ნათელ ხსოვნას ვუძღვნი.

მკითხველს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა სახელმძღვანელოს სატიტულო გვერდი, სადაც მითითებულია, რომ ავტორთან ერთად, ის შეიქმნა *გიორგი ავთანდილაშვილის, გიორგი მეურმიშვილისა* და *გიორგი ჭეიშვილის* მონაწილეობით. ისინი ავტორის მოწაფეები არიან და თავის გამოჩენის საშუალება მიეცათ. მათ დაკისრებულ მოვალეობას თავი სათანადოდ გაართვეს. *გიორგი ავთანდილაშვილს* ეკუთვნის ნარკვევები *ლაიჯების, ჰემშილების, ჩერქეზოჰაიების, უბიხებისა* და *ქართველი ებრაელების* შესახებ, *გიორგი მეურმიშვილს* – საქართველოში მკვიდრი *ლეკების* შესახებ, *გიორგი ჭეიშვილს – პანკისელ ქისტებზე.* სახელმძღვანელოში ჩართული კავკასიის ეთნიკური რუკის ავტორია პროფესორი *გიორგი ჟუჟუნაშვილი.*

I. 2. კავკასის გეოგრაფიული რეგიონი

კავკასია ერთი მხრივ შავ, აზოვის და, მეორე მხრივ, კასპიის ზღვებს შორის არის მოქცეული. პირველი ორი დასავლეთით ესაზღვრება, მესამე – აღმოსავლეთით. კავკასიის ჩრდილოეთ საზღვრად ითვლება *კუმომანიჩის* ღრმული და მდინარე *დონის* ქვემო დინება. მის სამხრეთ საზღვრად კი მიიჩნევენ ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოს (ახლა კი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის) საზღვარს ირანთან და თურქეთთან. კავკასიის სამხრეთი და ჩრდილოეთი საზღვრები შედარებითაა განსაზღვრული. სამხრეთით კავკასიის განუყოფელი ნაწილია *მცირე კავკასიონი,* რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი დღევანდელი საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოს საზღვრებს გარეთაა. ამ სახელმწიფოების სამხრეთით მდებარე დიდი არეალი არა მხოლოდ გეოგრაფიულად, არამედ ისტორიულად, კულტურულად და ენობრივი თვალსაზრისით, კავკასიის რეგიონის განუყოფელი ნაწილია. მთლიანად *ჭოროხის* ხეობა/აუზი, *არაქსის* ხეობა/აუზი და *მტკვრის* სათავე და ზემო წელი კავკასიის ბუნებრივი შემადგენელი ნაწილებია. ასე რომ, დღევანდელი კავკასიის საზღვარი ჩრდილოეთით თუ ბუნებრივ-ლანდშაფტური ფაქტორებით არის განსზღვრული, სამხრეთით – პოლიტიკური ფაქტორებით.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ სამეცნიერო ლიტერატურაში, ცნობარებსა თუ ენციკლოპედიებში კავკასია მხოლოდ საბჭოთა კავშირში შემავალ გეოგრაფიულ რეგიონად იყო სახელდებული. დღევანდელი ვითარებით კი მდგომარეობა ასეთია: ჩრდილოეთ კავკასია რუსეთის ფედერაციის სახელმწიფოში შედის, სამხრეთ კავკასიაში კი სამი სახელმწიფო – საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი – მდებარებს. მაგრამ კავკასიის საზღვრების საკითხი ძველადაც და ახლაც სხვადასხვა კრიტერიუმებით განისაზღვრებოდა და განისაზღვრება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამა თუ იმ გეოგრაფიული რეგიონის საზღვრების დასადგენად ძირითადად ბუნებრივ-გეოგრაფიულ კრიტერიუმებს გამოიყენებენ. კავკასიის მიმართ ეს კრიტერიუმი დარღვეულია და ბუნებრივ-გეოგრაფიულ პარამეტრებთან ერთად პოლიტიკური მომენტიც იყო და არის ჩართული. კავკასიას კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს: ის ორ კონტინენტზე მდებარებს; მიიჩნევენ, რომ კავკასიონის მთავარი ქედი ევროპისა და აზიის გამმიჯვნელია, ე. ი. ჩრდილოეთ კავკასია ევროპაში შედის, სამხრეთ კავკასია – აზიაში.

ამრიგად, დიდი გეოგრაფიული ერთეულის – კავკასიის სამხრეთი საზღვრის შემოსასაზღვრავად პოლიტიკურ ფაქტორს იყენებდნენ და იყენებენ. 1924 დაბეჭდილ *ა. ლიაისტერისა* და *გ. ჩურსინის* „კავკასიის გეოგრაფიის“ ერთადერთი სახელმძღვანელოს თანახმად, კავკასიის სამხრეთი საზღვარი პირდაპირ თანხვდებოდა საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრებს: ის გასდევდა ქედებს, მდინარეს, სტეპებს, ხევებს, პატარა მდინარეებს. უფრო მეტი, უკიდურესი სამხრეთ-

დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებული დასახლებული პუნქტებიც კი ორად იყო გაყოფილი. შავ ზღვასთან სოფელ *სარფის* ერთი ნაწილი საბჭოთა კავშირს ეკუთვნოდა, მეორე ნაწილი – თურქეთს. კასპიის ზღვასთან ასევე ორად იყო გაყოფილი ქალაქი *ასტარა*. გამოდის, რომ სარფისა და ასტარის ერთი ნაწილი კავკასიაში შედიოდა და შედის, მერე ნაწილი – არა. პარადოქსია, რომ არაქსის მარცხენა მხარე კავკასიაში შედიოდა, მარჯვენა კი კავასიის გარეთ იყო, ზოგიერთ ადგილას კი *არაქსის* მარცხენა მხარეც კავკასიის მიღმა რჩებოდა..

საბჭოთა ხელისუფლებამდე, ცარიზმის დროს, კავკასიის სამხრეთი საზღვარი სხვაგვარად შემოიფარგლებოდა და იმ შემთხვევაშიც ის რუსეთის იმპერიის საზღვარს გაუყვებოდა. მაშინ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და კავკასიად აღიქმებოდა ისტორიული საქართველოს და დასავლეთ სომხეთის ტერიტორიები (მაშინდელი ადმინისტრაციული დაყოფით *ართვინის* ოკრუგი, *ყარსის* ოლქი). ისტორიული საქართველოს ტერიტორიებიდან ესენი იყო შავშეთისა და კლარჯეთის, კოლასი, არტნის და ერუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები და ტაოს ოლთისის მხარე. ესაა მცირე კავკასიონად ცნობილი გეოგრაფიული ერთეულის სამხრეთი ნაწილი. ქართველი გეოგრაფი *ლ. მარუაშვილი* სამართლიანად შენიშნავდა: „მცირე კავკასიონი (და მთლიანად ანტიკავკასიონი) გაგრძელებას პოვებს დასავლეთით – თურქეთში (*პონტოსისა* და ჩრდილო სომხეთის *ტავრუსის* ქედების სახით) და აღმოსავლეთით – ირანში (*ყარადაღის* სახით, რომელიც აკავშირებს მცირე კავკასიონს *თალიშ-ბოგროვდაღ-ელბურსის* მთიანეთთან)“. ასევე შემოსაზღვრავდნენ კავკასიის სამხრეთ საზღვრს XIX საუკუნის გეოგრაფები. ნათლად მიუთითებდნენ, რომ *მცირე კავკასიონი* ანუ *ანტი-კავკასიონი ტრაპიზონის* აღმოსავლეთით იწყება, სადაც ის მკვეთრად მაღლდება და აღმოსავლეთის მიმართულებით მთავრდება კასპიისპირეთის დაბლობში *ყარაბაღის* ჩრდილოეთი ფერდობით. ეს ტერიტორიები დღეს დამუკიდებელი სახელმწიფოების – საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის – საზღვრების გარეთაა. ასე რომ, კავკასიის სახელმწიფო საზღვარი ცარიზმის დროსაც და საბჭოთა პერიოდში პოლიტიკური ფაქტორით მონაცვლეობდა. ასეა ეს დღესაც. გეოგრაფიული ფაქტორი უგულვებელყოფილია. მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ *მცირე კავკასიონი*, გარდა სამხრეთ კავკასიის სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ტერიტორიისა, თურქეთისა და ირანის ტერიტირიების სიღრმეშიც ვრცელდება? რეალურად გეოგრაფიულ ფაქტორს თავი რომ დავანებოთ, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოების სამხრეთით მდებარე დიდი არეალი, როგორც ისტორიული, ისე კულტურული თვალსაზრისით, კავკასიის განუყოფელი ნაწილია. კავკასიის არეალში თავსდება მთლიანად *ჭოროხის* ხეობის აუზი, *მტკვრის* სათავე და ზემო წელი, *არაქსის* აუზი. ზემოხსენებული 1924 წელს დაბეჭდილი „კავკასიის გეოგრაფიის“ წიგნის ავტორებიც ამ თვალთახედვით ერთგვარ უხერხულობას გრძნობენ და აღნიშნავდნენ, რომ კავკასიის სამხრეთი საზღვარი უფრო უპრიანი იქნება გადიოდეს 1914 წლის რუსეთის იმპერიის ირანისა და თურქეთის საზღვართან. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კვლავ პოლიტიკური ფაქტორია წინ წამოწეული. ცარიზმის დროინდელი პოლიტიკური საზღვრის გარეთაც რჩებოდა გეოგრაფიული კავკასიის გარკვეული ნაწილი. ცარიზმის დროინდელი და საბჭოთა მეცნიერებისათვის არც გეოგრაფიული ფაქტორი არსებობდა, არც საისტორიო და ეთნოგრაფიული. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსთან მიმართებაში ეს დაყოფა ნამდვილად არასამართლიანია. რუსეთის იმპერიაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხარეების მნიშვნელოვანი ნაწილი შედიოდა. ოსმალეთის იმპერიაში რჩებოდა ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი – ტაოდან მხოლოდ *ოლთისი* შედიოდა რუსეთის იმპერიაში. გამოდის, რომ *ოლთისი* კავკასია იყო და *თორთუმი* და *პარხალი* – არა. ანალოგიური სიტუაციაა ლაზეთთან მიმართებაში. ცარიზმის დროს საზღვარი რიზესთან გადიოდა. რევოლუციამდე ლაზეთის სანაპირო ზოლი, *რიზეს* ჩათვლით,

კავკასია იყო და საბჭოთა იმპერიის შექმნის შემდეგ – აღარ? საერთოდ, ლაზეთი, თავისი *პონტოს* ქედით, ტრაპიზინიდან მოყოლებული ბუნებრივ-გეოგრაფიულად კავკასიის განუყოფელი ნაწილია.

ამრიგად, კავკასიის რეგიონი სინამდვილეში უფრო ვრცელი ფართობის მომცველია, ვიდრე მას განსაზღვრავენ. გეოგრაფიული თვალსაზრისით ის საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსაზღვრე თურქეთისა და ირანის რაიონებსაც მოიცავს. უფრო რომ დავაკონკრეტოთ, ესაა ლაზეთი, ჭოროხის აუზი, მტკვრის სათავე და ზემო წელი და არაქსის აუზი. არაქსისა და ჭოროხის აუზები გეოგრაფიულად იმიტომაც ეკუთვნიან კავკასიას, რომ პირველი მათგანი (არაქსი) კასპიის ზღვას დასავლეთიდან შეერთვის (კასპიის ზღვის დასავლეთი მხარე კავკასიის აღმოსავლეთი ბუნებრივი საზღვარია), ხოლო მეორე მათგანი (ჭოროხი) შავ ზღვაში აღმოსავლეთიდან ჩაედინება (შავი ზღვის აღმოსავლეთი კი კავკაასიის დასავლეთი საზღვარია).

კავკასია ბუნებრივ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ერთგვაროვანი არაა. მისი ერთი ბუნებრივ-გეოგრაფიული ზონა სხვა, ხშირად მომიჯნავე ზონებისაგან მკვეთრად განსხვავდება. კავკასია ასევე არაერთგაროვანია ენობრივ-ეთნიკური და კულტურული თვალსაზრისით. უფრო მეტიც: კავკასია არც ერთიანი ცივილიზაციის მიმცველი გეოგრაფიული ერთეულია. ბუნებრივ-გეოგრაფიული პარამეტრების მიხედვით კავკასიას ორ მთავარ ნაწილად ჰყოფდნენ: *ჩრდილოეთ კავკასიად* და *სამხრეთ კავკასიად*, რომელსაც საბჭოთა პერიოდში *ამიერკავკასიას* უწოდებდნენ. ზოგჯერ ცალკე მიჯნავდნენ კავკასიის მთავარ ქედსაც და მასთან მიმართებაში ჩრდილოეთ კავკასიას *კავკასიისწინეთადაც* მოიხსენიებდნენ. კავკასიის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთი ნაწილი, ბუნებრივია, ჩრდილოეთ კავკასიაში შედის, სამხრეთი ნაწილი – სამხრეთ კავკასიაში.

მიღებულია აგრეთვე კავკასიის აღმოსავლეთ და დასავლეთ მონაკვეთებად დაყოფა. ხოლო მონაკვეთი *იალბუზიდან მყინვარწვერამდე* ცენტრალურ კავკასიად არის მიჩნეული. ზოგიერთი მეცნიერი ცენტრალურ კავკასიას ოდნავ განსხვავებულ პარამეტრებში გულისხმობს. ესენია: *ჩრდილო-დასავლეთი კავკასია* (ყუბანის აუზი), *ჩრდილო-აღმოსავლეთი* კავკასია (თერგის აუზი) და, მათ შორის მოქცეული, *ცენტრალური კავკასია* (უპრიანი იქნებოდა მისთვისაც ჩრდილო-ცენტრალური კავკასია ეწოდებინათ). ცენტრალურ კავკასიად უფრო ფართო საზღვრებშიც წარმოიდგენენ. ესაა მონაკვეთი, რომლის დასავლეთი საზღვარია მდინარე დიდი ლაბა და აღმოსავლეთი საზღვარი – მდინარე არღუნი.

ამრიგად, კავკასიის აღნიშნული დაყოფა ძირითადად რუსულ მეცნიერებაში შემუშავდა და არსებითად პასუხობდა რუსული იმპერიულ ინტერესებს, განსაკუთრებით მის სამხრეთ საზღვართან მიმართებაში.

კავკასიის ასეთი რეგიონილაზაცია, ბუნებრივია, ახალ დროში გარკვეულ მეცნიერთა ყურადღების საგნად იქცა. გასაზიარებლად მიგვაჩნია მოსაზრება (ისმაილოვი, პაპავა), რომ კავკასიის დაყოფის „აღნიშნული მოდელი ემყარება კავკასიის ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიკური, სოციოკულტურული და ეთნიკური პარამეტრების არასწორ გაგებას“. სრულიად სამართლიანად გაჩნდა ახალი მიდგომა: კავკასიის რეგიონის ფარგლებში შეყავთ თურქეთის ჩრდილო-დასავლეთი ოლქები (ვილაეთები – *ყარსი, არდაგანი, ართვინი, იგდირი* და სხვ.) და ირანის ჩრდილო-დასავლეთი ოლქები (ოსთანები – აღმოსავლეთი აზერბაიჯანი და დასავლეთი აზერბაიჯანი). ჩვენი მხრივ დავსძენთ, რომ შემოთავაზებული სტრუქტურალიზაცია ერთგვარ დაზუსტებას მიოთხოვს. მთლიანად ირანის აზერბაიჯანის კავკასიის რეგიონში შემოყვანა გაუმართლებლად მიგვაჩნია. ირანის აზერბაიჯანი კავკასიის აზერბაიჯანზე ბევრად დიდ ტერიტორიას მოიცავს – ურმიის (რეზაიეს) ტბის გარშემო მდებარე ორი ოსთანის (ოლქის) ფართობი 108 507 კვადრატული კილომეტრია (აზერბაიჯანის სახელმწიფოსი კი – 86,6 კვადრატული კილომეტრი). დასავლეთ აზერბაიჯანის და

აღმოსავლეთ აზერბაიჯანის ოსთანების მხოლოდ პატარა ნაწილი (გოთურისა და ყარასუს ხეობები) შედის არაქსის აუზში. ორივე დასახელებული ოსტანის დიდი ნაწილი არაქსის აუზის მიღმაა. ამ შემთხვევაში ეთნიკური ფაქტორი ნამდვილად გამოსარიცხია (ეთნიკური აზერბაიჯანელები მხოლოდ კავკასიაში არ მკვიდრობენ, ანალოგიურად – ისტორიული სომხეთი მხოლოდ კავკასიას არ მოიცავდა. დასავლეთ სომხეთის ცენტრალური რაიონი, ვანის ტბის მიდამოები კავკასიის მიღმაა). გეოგრაფიული თვალსაზრისით, კავკასიაში ირანის (ირანის აზერბიჯანის) მხოლოდ ის ნაწილი შედის, რომელიც არაქსის აუზის მომცველია (მდინარე არაქსის მარჯვენა შენაკადი *გოთურისა* და *ყარასუს* (*აღჩაის*) ხეობები; ამ მდინარეებს შორის მოქცეული ყარადაღის ქედი; *თალიშის მთების* ირანული მხარე; *მულანის ვაკის* ირანული ნაწილი).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კავკასიის განუყოფელი ნაწილია შავი ზღვის მონაკვეთი სარფიდან ტრაპიზონამდე, ანუ ისტორიული ლაზეთი თავისი პონტოს ქედით.

გვთავაზობენ აგრეთვე კავკასიის სრულიად ახლებურ სტრუქტურალიზაციას. ნაცვლად ორი დიდი ერთეულის – ჩრდილოეთ კავკასიისა და სამხრეთ კავკასიისა – შემოთავაზებულია სამი ერთეული: 1. ჩრდილოეთი კავკასია; 2. ცენტრალური კავკასია და 3. სამხრეთი კავკასია. ამ ახალ სტრუქტურალიზაციაში უცვლელად ჩრდილოეთი კავკასია რჩება. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოების ტერიტორია, ანუ სამხრეთი კავკასია (ამიერკავკასია) იწოდება ცენტრალურ კავკასიად, ხოლო თურქეთისა და ირანის ტერიტორიების კავკასიის ნაწილი, ანუ გეოგრაფიული ანტი-კავკასია (მცირე კავკასიონი და თალიშის მთები) – სამხრეთ კავკასიად. ახალი მოსაზრების ავტორები ამ მესამე ერთეულში თავის მხრივ ორ ქვეერთეულს გამოყოფენ: საქართველოსი და სომხეთის მოსაზღვრე თურქულ ვილაიეთებს სამხრეთ-დასავლეთ კავკასიას უწოდებენ, ხოლო აზერბაიჯანის მოსაზღვრე ირანის ჩრდილო-დასავლეთ ოსთანებს – სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიას. ვიმეორებთ, ირანის ტერიტორიიდან კავკასიაში შედის მდინარე არაქსის მარჯვენა შენაკადი ხეობებით, ესენია: გოთურისა და ყარასუს ხეობები.

მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი დაყოფა იმ თვალსაზრისითაა მხოლოდ გამართლებული, რომ კავკასიაში აუცილებლად უნდა იგულისხმებოდეს თურქეთისა და ირანის შესაბამისი მხარეები. გეოგრაფიული რეგიონის პოლიტიკური თვალსაზრისით დაყოფაზე საბოლოოდ უარი უნდა ვთქვათ. დაყოფაში არც ეთნიკური ფაქტორი უნდა ფიგურირებდეს. პოლიტიკური ფაქტორი აქ ისევ წინაა წამოწეული, როდესაც „ცენტრალურ კავკასიისა“ და „სამხრეთ კავკასიის“ გამიჯვნელად ისევ სახელმწიფოთა შორის არსებული საზღვარი გვევლინება. სამხრეთი კავკასია ერთიანი გეოგრაფიული ერთეულია. ასეა მიღებული საერთაშორისო სამეცნიერო და პოლიტიკურ ნომენკლატურაში. დღეს „სამხრეთ კავკასიის“ უკიდურესი სამხრეთი რეგიონისათვის სხვა სახელის მინიჭება და „სამხრეთ კავკასიისათვის“ „ცენტრალური კავკასიის“ დარქმევა შეუძლებად მიგვაჩნია. კიდევ ერთ წინააღმდეგობას ქმნის ის გარემოება, რომ მტკიცედაა დამკვიდრებული ჩრდილოეთ კავკასიაში, დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით (იალბუზიდან მწინვარწვერამდე, ანდა მდ. დიდი ლაბიდან მდ. არღუნამდე) ცენტრალურ კავკასიად სახელდება. ახალი, ვიტყოდი რადიკალური სტრუქტურალიზაცია არ აღმოჩნდება მისაღები მეცნიერთა, პოლიტიკოსთა და პოლიტოლოგთა ფართო წრისათვის. საერთოდ, კავკასიის სტრუქტურალიზაცია რომ ყველასთვის მისაღები იყოს, საჭიროა გეოგრაფების, ისტორიკოსების, ეთნოლოგების და სხვათა ერთობლივი შეთანხმებული გადაწყვეტილება. გადამწყვეტი სიტყვა მაინც გეოგრაფებს ეკუთვნით. ერთი რამ ცხადია: ყოვლად გაუმართლებელია მცირე კავკასიის თურქული და ირანული მონაკვეთების კავკასიის რეგიონისაგან გამოყოფა და მოწყვეტა.

ჩრდილოეთ კავკასიას ბუნებრივ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ვერტიკალური სპეციფიკის მიხედვითაც ყოფენ: 1. მთიანი კავკასია, 2. მთისწინა დაბლობი და 3. სტეპური კავკასიისწინეთი. რა ვითარება გვაქვს ამ თვალსაზრისით სამხრეთ კავკასიაში? აქაც გამოიყოფა მთიანი, მთისწინა და ბარის ქვერეგიონები. ჩრდილოეთ კავკასიაში თუ მთათა სისტემა მხოლოდ ცენტრალურ წყალგამყოფ ქედზეა, სამხრეთ კავკასიაში, გარდა წყალგამყოფი ქედისა, მთათა სისტემა სხვაცაა – სამხრეთით, რომელიც ანტი-კავკასიონის (მცირე კავკასიონი და თალიშის მთიანეთი) სახელითაა ცნობილი და, რაც მთავარია, მცირე კავკასიონი წყალგამყოფი ქედის მთათა სისტემასთან უშუალოდაა დაკავშირებული დაბალი მთიანი ჯაჭვით, რომელიც სურამის (ლიხის) ქედის სახელითაა ცნობილი. დიდი კავკასიონისა და მცირე კავკასიონის შემაერთებელი ქედი მტკვრისა და რიონის აუზების ბუნებრივი წყალგამყოფია. ამ ქედით არა მარტო საქართველო იყოფა დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად, არამედ, საერთოდ, სამხრეთ კავკასია.

ერთი მნიშვნელოვანი გარემოების შესახებაც: როგორც აღინიშნა, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის წყალგამყოფია კავკასიონის მთავარი ქედი, რომელიც გადაჭიმულია ტამანის ნახევარკუნძულიდან (ანაპიდან ოდნავ სამხრეთით) აფშერონის ნახევარკუნძულამდე. გეოგრაფიული თვალსაზრისით სამხრეთ კავკასიაში შედის რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ზოლი ქალაქებით სოჭი, ტუაფსე, გელენჯიკი, ნოვოროსიისკი. არც საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიები მოიცავს მხოლოდ სამხრეთ კავკასიას. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები თუშეთი, ხევი, პირიქითი ხევსურეთი კავკასიის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთითაა. კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთითაა დვალეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეც, რომელიც მეფის რუსეთმა საქართველოს 1858 წელს ჩამოაჭრა. აზერბაიჯანის მნიშვნელოვანი ნაწილიც კავკასიონის მთავარი ქედის პირიქით მხარესაა. ასე რომ, ყველგან კავკასიონის მთავარ ქედს არ გასდევს რუსეთ-საქართველოსი და რუსეთ-აზერბაიჯანის პოლიტიკური საზღვარი. გეოგრაფიულად აზერბაიჯანი და საქართველო არა მხოლოდ აზიას, არამედ ევროპასაც ეკუთვნის.

ამრიგად, სამხრეთ კავკასიის რეგიონში გარდა სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოსი – საქართველოსი, სომხეთისა და აზერბაიჯანისა – თურქეთისა და ირანის მომიჯნავე ტერიტორიებიც შედის. თურქეთისა და ირანის ტერიტორიების მომცველი სამხრეთ კავკასიის მონაკვეთები, ფაქტობრივად, მისი სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ქვერეგიონებია და ასეც უნდა იწოდებოდეს – (სამხრეთ) კავკასიის სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი.

I. 3. ეთნიკური ვითარება ისტორიულ და თანამედროვე კავკასიაში

კავკასია მსოფლიოს ერთ-ერთი პოლიეთნიკური რეგიონია. აქ ტერიტორიის მცირე ეროეულებზე ერთმანეთს სხვადასხვა ეთნოსები ემეზობლებოდნენ და ემეზობლებიან. ეს ეთნოსები სხვადასხვა წარმოშობისანი არიან – უმეტესობა კავკასიის უძველესი მკვიდრია, ზოგიერთნი კი აქ ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთშია მოსული. კავკასიის მრავალეთნიკურობას მისი გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები და იმპერიების მიერ მისი ხელში ჩაგდების სურვილი განსაზღვრავდა და განსაზღვრავს. კავკასიის თანამედროვე ეთნიკურ რუკას თუ თვალს გადავავლებთ, კარგად დავინახავთ, რომ მსოფლიოს ამ უმნიშვნელოვანეს გზაჯვარედინზე ერთმანეთის გვერდით მკვიდრობენ კავკასიური წარმომავლობის, თურქული, ირანული, სლავური მოდგმის ეთნოსები. საბჭოთა იმპერიის დანგრევამ და მსოფლიოში მიმდინარე სხვა მოვლენებმა კავკასიაში კვლავ გამოიწვია სხადასხვა ეთნოსების ამოძრავება.

სხვათა შორის, კავკასიის ეთნიკური ისტორიის შესახებ ბოლო დროს ბევრი მითოლოგემა შეიქმნა. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობენ იმ ეთნოსთა წარმომადგენლები, რომლებიც კავკასიელებად შედარებით გვიან იქცნენ. ხდება კავკასიაში მცხოვრები გამქრალი ეთნოსების კულტურული მემკვიდრეობის, სხვათა ისტორიისა და მიღწევების მითვისება.

კავკასიაში დღეისათვის ორმოცდაათამდე ხალხი მკვიდრობს, რომელთაგანაც ყველამ ორიგინალური კულტურა შექმნა და აქვს მისთვის დამახასიათებელი ენა. ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი რეგიონი ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში ბევრი სხვადასხვა ხალხით იყო დასახლებული. მარტო ბერძენი გეოგრაფის *სტრაბონის* (ძვ. წ.-ის 64/63-ახ. წ.-ის 23/24) სიტყვები რად ღირს, რომ შავიზღვისპირეთში – *დიოსკურიაში* (თანამედროვე სოხუმში) სავაჭროდ თავს იყრიდა კავკასიის მთებიდან ჩამოსული სამოცდაათამდე ხალხის წარმომადგენელი. სტრაბონი იმასაც აღნიშნავდა, რომ შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ჯიქები აქ მოსვლამდე სარმატიის ველებზე იმყოფებოდნენ. სხვათა შორის, სტრაბონის ამ ცნობასთან სრულიად თანხვედრაშია ქართველი მემატიანის – *ჯუანშერის* ცნობა, რომ „... მაშინ მუნ იყო პაჭანიკეთი მოსაზღვრედ ოვსეთისა, მდინარესა მას ოვსეთისასა წიაღ, და ჯიქეთი მუნვე იყო. შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან; და წარვიდეს პაჭანიკნი დასავლით-კერძო, ხოლო ჯიქნი დაემკვიდრეს ბოლოსა აფხაზეთისასა“. ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ არაბი გეოგრაფის *იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანის* სიტყვები, რომელიც IX საუკუნის შუა ხანებში წერდა, რომ კავკასიის მთებში 72 ხალხი ცხოვრობს და ყოველ მათგანს ერთმანეთის ლაპარაკი არ ესმის. არაბი ავტორები კავკასიას „ენათა მთასაც“ უწოდებდნენ. ეს ეთნიკური სიჭრელე კავკასიას დღესაც ახასიათებს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის დროთა განმავლობაში გარკვეულ ცვლილებებს არ განიცდიდა. მსოფლიოში და განსაკუთრებით ევრაზიის სივრცესა და მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები, კატაკლიზმები, მიგრაციული პროცესები კავკასიაზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. ხალხთა შერევები ახალ ეთნოსებს წარმოშობდა, ბევრი ძველი ეთნოსი კი მხოლოდ ისტორიის კუთვნილება ხდებოდა.

მანამ, სანამ ზოგადად შევეხებით ისტორიულად მიმდინარე ეთნიკურ ცვლილებებს, უპრიანია თანამედროვე სამხრეთი და ჩრდილოეთი კავკასიის ეთნიკური სიტუაცია მიმოვიხილოთ. კავკასიურ ენათა ოჯახს, რომელსაც ადრე იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს უწოდებდნენ, მიეკუთვნებიან: ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, აბაზები და აფხაზები; ჩაჩნები და ინგუშები, დაღესტნური ეთნოსები: ხუნძები, ანდიელები, ახვახები, ბაგულალები, ბოთლიხელები, ღოდობერიელები, კარატაელები, ტინდიელები, ჭამალალები, დიდოელები, კაპუჭელები, ხვარშიელები, ჰინუხელები, ჰუნზიბელები, არჩიბელები, დარგუელები, ხაიდაყელები, ყუბაჩელები, ლაკები, ლეზგები, აღულები, რუთულები, თაბასარანელები, წახურები, აზერბაიჯანის შაჰდაღის მთებში მცხოვრები ჰინალუღები, კრიწები, ბუდუხები, აზერბაიჯანშივე და საქართველოში მცხოვრები უდიები და, რაც მთავარია, კავკასიური მოდგმის ერთადერთი ხალხი – ქართველები, რომლებსაც ორიგინალური დამწერლობა აქვთ შექმნილი. კავკასიის ირანულენოვანი ხალხებიდან კი უნდა დავასახელოთ ოსები, რომელთა წინაპარი ალანები ისტორიის ხელშესახებ პერიოდში არიან კავკასიაში დასახლებული; რაც შეეხება ირანულენოვან თათებსა და თალიშებს, ისინი სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთი ძველი მკვიდრნი არიან. კავკასიის ჩრდილოეთსა და სამხრეთში თურქულენოვანი ხალხები დროის სხვადასხვა მონაკვეთში არან დამკვიდრებულნი. აზერბაიჯანელები თუ სამხრეთ კავკასიის მკვიდრნი არიან, ყუმუხები, ნოღაელები, ბალყარელები და ყარაჩაელები ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობენ. თავიანთი წარმომავლობით ინდოევროპელები არიან სომხები. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ეთნოსის სამშობლო კავკასიაა. კავკასიაში სხვადასხვა ხალხებიც ცხოვრობენ, რომლებსაც სამშობლო სხვაგანა აქვთ. ესენი არიან: რუსები, უკრაინელები,

ქურთები, ასირიელები, ბერძნები, თათრები, ებრაელები და სხვები. რამდენად გასაოცარიც არ უნდა იყოს, თანამედროვე კავკასიის ყველაზე დიდ ეთნოსს რუსები წარმოადგენენ, რომელთა რაოდენობა 12 მილიონზე მეტია. ისინი აქ ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიაში მკვიდრობენ, სადაც 1989 წლისათვის მათი რაოდენობა 11 მილიონ 233 ათასს 700 კაცს შეადგენდა. ეს იყო ჩრდილოეთ კავკასიის მთელი მოსახლეობის 2/3-ზე მეტი. აღნიშნული ეთნოდემოგრაფიული სურათი კავკასიაში კი უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაშია შექმნილი.

დავიწყოთ თავიდან. ზემოთ ახალი და ძველი წელთაღრიცხვების მიჯნაზე კავკასიაში, უფრო სწორედ მის შავი ზღვის მონაკვეთში ადიღეური ეთნოსის – ჯიქების დასახლკარების შესახებ აღვნიშნეთ, რომლებიც აქ „სარმატიის ველებიდან“ მოსულან. ამ პერიოდში, როგორც ჩანს, ჩრდილოეთ კავკასიაში სხვა ენოსებიც ამოძრავებულან. მათი მოძრაობა კი მაშინაც და შემდეგაც ძირითადად ევრაზიის სივრცეში მომთაბარე ირანულენოვანი ტომების – სკვითების, სარმატების და ალანების სამომთაბარეო არეების შეცვლითა და თარეშებით იყო განპირობებული.

კავკასიის ეთნოდემოგრაფიულ სიტუაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია IV საუკუნის 70-იან წლებში თურქულენოვანი ჰუნების შემოსევებმა. თანამედროვე მონღოლეთის ტერიტორიიდან წამოსული ეს თურქულენოვანი და სხვა ეთნოსებან შეუღლებული კონგლომერატი ევრაზიის სივრცეში გადაადგილდებოდა და დასავლეთისაკენ მიისწრაფოდა. ვოლგასა და აზოვის ზღვის მონაკვათში ისინი ირანულენოვანი ალანების დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ. მიუხედავად ამისა, ალანებს მათ ევრაზიის სივრცეში სამომთაბარეო არეალი მოუსპეს. ალანთა გადარჩენილმა ჯგუფებმა კავკასიის ბარში ჩამოიწია და ბინადარ ცხოვრებას მიჰყო ხელი. ასე იქცნენ ოსთა წინაპარი ალანები პირველად კავკასიელებად. თავის მხრივ, ალანებმა კავკასიის ბარში მოსახლე ეთნოსები შეავიწროვეს: ნახურ-დაღესტნური ეთნიკური ჯგუფები მხოლოდ კავკასიის მთების მკვიდრებად იქცნენ. კავკასიელთა გარკვეული ნაწილი ამ დროს ალანური ეთნოსის შემადგენლობაშიც შევიდა. აღნიშნული დროიდან ალანებთან ერთად, კავკასიაში დამკვიდრებას იწყებენ თურქული მოდგმის ჰუნებიც – მაშინ შემოვიდნენ კავკასიის მთებში, თანამედროვე ბალყარეთის ტერიტორიაზე – სავირები. მაშინვე ჩაეყარა საფუძველი დაღესტნის ბარში ყუმუხების ეთნოსს. ხაზარებიც აღმოსავლეთ კავკასიის მთისწინეთში დასახლებული ჰუნების შთამომავლებად ითვლებიან. ხაზარების სახელმწიფო კი, როგორც ცნობილია, ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა და მისი ჩრდილოეთი საზღვარი კასპიის ზღვის ჩრდილოეთით იყო, ხოლო დასავლეთით ისინი ყირიმის ნახევარკუნძულის ნახევარს ფლობდნენ. მთელი ადრე შუა საუკუნეების განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიის ველებში სწორედ ზემოხსენებული ალანები და ხაზარები დომინირებდნენ. თურქულენოვანთა დარად, ირანულენოვანი ალანებიც აღმოსავლეთიდან – შუა აზიიდან და ყაზახეთის ტერიტორიიდან იყვნენ მოსული. ხაზარეთის სახელმწიფომ, რომელიც ალანებს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა, შედარებით მალე შეწყვიტა არსებობა; ის X საუკუნის სამოციან წლებში კიევის რუსეთმა გაანადგურა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ველებში თურქულმა ეთნოსმაც შეწყვიტა არსებობა. ერთი რამ კი ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კიევის რუსეთის მიერ ხაზართა სახელმწიფოს განადგურებას შედეგად მოყვა აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით სხვადასხვა ტომების, განსაკუთრებით თურქული მოდგმის ტომების, მოძრაობა, რადგან ხაზარებს, ფაქტობრივად, გარკვეული ხნით ჩაკეტილი ჰქონდათ აზიიდან ევროპაში შემოსასვლელი დერეფანი. ამრიგად, როგორც სამართლიანადაა შენიშნული, XI საუკუნის მწერლებისათვის ხაზარები, ისევე როგორც ჰუნები შორეული წარსულის ხალხები იყვნენ.

ჰუნებმა და შემდეგ ხაზარებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს სამხრეთ კავკასიაზეც. 392-396 წლებში მოხდა ჰუნების დიდი მასების შემოჭრა სამხრეთ

კავკასიასა და წინა აზიაში. ზოგიერთი მეცნიერი თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თურქულენოვანი მოსახლეობის დასახლებას იმდროინდელ მოვლენად მიიჩნევს, მაგრამ დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ალბანეთის ტერიტორიაზე დარჩენილი მცირერიცხოვანი როგორც ჰუნები, ისე შედარებით გვიან, VII საუკუნეში მოსული ხაზარები ეთნიკურ სიტუაციას ვერ ცვლიდნენ, მალევე ასიმილირდებოდნენ.

ალანები კვლავ აგრძელებდნენ ცხოვრებას ჩრდილოეთ კავკასიის ველებში თავიანთი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნით, რომელთანაც საქართველოს სახელმწიფოს XI-XII საუკუნეებში ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა. ჯუანშერის ისტორიიდან კარგად ჩანს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მთავარი პოლიტიკური ძალა *ვახტანგ გორგასლის* დროს ალან-ოსები იყვნენ, რომლებიც პრობლემებს არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში ქართველებს უქმნიდნენ, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის მთებში მოსახლე სხვადასხვა ეთნოსებსაც. ქართული წყარო ოსთა იმდროინდელ მოკავშირეებად ხაზარებსაც ასახელებს, რომლებშიც უდავოდ არა ხაზარები, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის ჰუნთა ერთ-ერთი სატომო გაერთიანება იგულისხმება. როგორც ალანები, ისე ჰუნები და ხაზარები ჩრდილოეთ კავკასიის ბარის მფლობელნი იყვნენ. ისინი არიან მოქცეული ადრე შუა საუკუნეების მწერალთა მხედველობის არეში. მთებში მკვიდრ ეთნოსებს კი იშვიათად ასახელებენ მაშინდელი წყაროები. ამავე დროს, ხშირად ალანების ეთნონიმის ქვეშ მთისწინეთსა და მთაში მცხოვრები ადგილობრივი ტომებიც იგულისხმებიან. ადრე შუა საუკუნეების ჩრდილოეთ კავკასიის მთაში მკვიდრი ეთნოსებიდან, რა თქმა უნდა, დღეს მოსახლე ნახურ-დაღესტნური და აფხაზურ-ადიღეური ხალხები იგულისხმებიან, რომელთა ერთმანეთში შერევა არცთუ იშვიათი მოვლენა იყო. აქ უდავოდ ჩვენთვის უცნობი სხვა ეთნოსებიც ცხოვრობდნენ, რომლებიც შედარებით გვიან შემოსახლებული ალან-ოსებისა და თურქულენოვანი ყივჩაყების მიერ ასიმილირებულნი იქნენ. VI საუკუნის ავტორის *პროკოფი კესარიელის* მოწმობით, სავირები კავკასიის მთების მახლობლად ცხოვრობდნენ. მაგრამ, როგორც ირკვევა, მათი სამკვიდრებელი მთებიც იყო, კერძოდ, თანამედროვე ბალყარეთისა და დასავლეთ ოსეთის (დიგორიის) ტერიტორია, რასაც ადასტურებს ეთნოგრაფიული მონაცემები: ა. დასავლეთ საქართველოს მთიელები – სვანები ბალყარელებს (და ზოგჯერ ოსებსაც) „სავიარებს“ უწოდებენ და ბ. სავირების ნაკვალევი დიგორიის ტოპონიმიაში აშკარაა. დიგორის ხეობას ოსები, უწინარეს ყოვლისა, საფარი-კომს უწოდებენ, რაც პირდაპირ სავირთა ხეობას აღნიშნავს. ზემოხსენებული პროკოფი VI საუკუნის მეორე ნახევარში აბასგებსა და ალანებს შორის „ბრუხებს“ ასახელებს. ვინ იყვნენ ბრუხები? ძნელია ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა, თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსი მეცნიერი ა. *გენკო* ბრუხებს უბიხებთან აიგივებდა, რადგან მისი მონაცემებით უბიხების ენდოეთნონიმი „პიოხ“ („ბიოხ“) იყოო. თუ ა. *გენკოს* მოსაზრება სიმართლეს შეესაბამება, მაშინ ერთმნიშვნელოვნად შეიძლება დავასკვნათ, რომ უბიხებს VI საუკუნის შემდეგ განსახლების არეალი შეუცვლიათ; მემატიანე ნამდვილად მათ მთაში ასახელებს – აბაზგებსა და ალანებს შორის. გვიანდელი უბიხები კი ზღვისპირეთის მცხოვრებნი იყვნენ. შუა საუკუნეების მანძილზე რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ხშირი იყო არა მხოლოდ ეთნოსთა ცვლა, არამედ ამ ეთნოსთა განსახლების არეალის შეცვლაც (როგორც გაფართოვება, ისე შემცირება), კარგად ჩანს, იმავე *პროკოფის* ნაშრომიდან. მისი მოწმობით დარიალის გასავლელი VI საუკუნეში არ შედიოდა ალანების პოლიტიკური (მითუმეტეს, ეთნიკური) ბატონობის არეალში. ასეთი ეთნიკური და პოლიტიკური სიტუაცია X საუკუნეშიც უცვლელად იყო შენარჩუნებული. ***X საუკუნის არაბი ავტორის იბნ-რუსტეს მიხედვით დარიალიდან ალანთა სამფლობელოს საზღვრამდე ათი დღის ფეხის სავალი იყო.*** X საუკუნისავე არაბი ავტორის *ალ-მასუდის* ცნობით დარიალის სიმაგრეს ფლობს არა ალანების, არამედ ქართველების მეფე. **VI საუკუნის მეორე ნახევრის სირიული ქრონიკის**

თანახმად, ჩრდილოეთ კავკასიის ბარში ცამეტი სხვადასვა ხალხი მკვიდრობდა, რომლებიც კარვებში ცხოვრობდნენ და საქონლის ხორცითა და თევზით და აგრეთვე გარეული მხეცებითა და იარაღით [გამოყენებით] იკვებებოდნენ. ამ ცამეტ ხალხს შორის აღნიშნული წყარო ალანებსაც ასახელებს. კავკასიაში, ალანების პერიოდში, დაღესტნის ტერიტორიაზე *სარირის/სერირის* სამეფოც არსებობდა, რომლის ძირითადი მკვიდრნი ხუნძები გახლდნენ, თუმცა, მის შემადგენლობაში დაღესტნის სხვა მთიელი ეთნოსებიც შედიოდნენ.

ახალი ეტაპი კავკასიის ხალხთა ეთნიკურ ისტორიაში მონღოლთა შემოსევების შემდეგ იწყება. მონღოლებმა ევრაზიის სივრცეში მცხოვრები სხვადასხვა თურქულენოვანი და ირანულენოვანი ეთნოსები აამოძრავეს. მოსპეს ალან-ოსებისა და ყივჩაყების პოლიტიკური გაერთიანებები. „სტეპნიაკი“ ალან-ოსები საბოლოოდ მთიელებად იქცნენ და ცენტრალური კავკასიის მთებში შევიდნენ საცხოვრებლად, ხოლო ყივჩაყების მცირე ნაწილმა თავი დასავლეთ კავკასიის მთებს შეაფარა. ყივჩაყების საფუძველზე, ადგილობრივ მოსახლეობასთან შერევის შედეგად, თანამედროვე ბალყარელები და ყარაჩაელები ჩამოყალიბდნენ. მონღოლთა ბატონობის დასრულების შემდეგ, ალანების საცხოვრებელის სამხრეთი ნაწილი ყაბარდოელებმა დაიკავეს და კავკასიაში რუსების შემოსვლამდე სიტუაციის ფაქტობრივი წარმმართველნი ისინი იყვნენ. ალანეთის პოლიტიკური გაერთიანების ტერიტორიის მფლობელნი ჩრდილოეთში კი თურქულენოვანი ნოღაელები გახდნენ, რომლებიც ანთროპოლოგიურად ევროპეიდთა და მონღოლოიდთა ნაჯვარნი არიან. ალან-ოსების მთიელებად გადაქცევამ სამხრეთ კავკასიაში, უფრო სწორედ საქართველოშიც შეცვალა ეთნიკური სურათი. გამრავლებულ ოსებს ჩრდილოეთ კავკასიის ველებში – წინაპართა საცხოვრისში დაბრუნების საშუალებას ყაბარდოელები არ აძლევდნენ. სამაგიეროდ, გამოსავალი მათ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში – დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში მონახეს. ყველანაირი საისტორიო წყაროთი დადგენილია, რომ ***ოსების დვალეთში მიგრაცია XVI საუკუნეში მოხდა, ხოლო შიდა ქართლის მთაში – XVII საუკუნის შუა ხანების შემდეგ.***

მონღოლთა შემოსევებმა ეთნიკური სურათი სამხრეთ კავკასიაშიც შეცვალა. თუმცა აქ ასეთი ცვლილებები უფრო ადრეც ხდებოდა. ასეთი ცვლილება განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში განხორციელდა: თანამედროვე აზერბაიჯანის, ანუ ისტორიული ალბანეთის ტერიტორიაზე. ადრე შუა საუკუნეების პერიოდის ქრისტიანი და დამწერლობის მქონე ალბანური ეთნოსი გაქრა. მათი ეთნიკური მემკვიდრეები მხოლოდ უდიები არიან. ალბანელები ფიზიკურად არ გადაშენებულან; დროთა განმავლობაში ეთნიკური ცნობიერება შეიცვალეს და ისინი თურქულენოვან ხალხად, თანამედროვე აზერბაიჯანელებად იქცნენ. თურქულენოვანი ეთნოსების, კერძოდ, ხაზარების შემოსვლა ალბანეთში VII-VIII საუკუნეებში მოხდა. შემოსულთა რაოდენობას 12 ათასს კაცს ანგარიშობენ. 1025 წელს ისტორიული ალბანეთის ტერიტორიაზე ოღუზთა 40 ათასი ოჯახი ჩამოსახლდა. თურქ-სელჯუკები აქ 1070 წელსაც, *ალფარსლანის* შემოსევის დროსაც დასახლებულან. საერთოდ, მეცნიერთა დასკვნით, დღევანდელ აზერბაიჯანელებში უფრო მეტნი არიან ძველ ალბანელთა ფიზიკური მემკვიდრეები, ვიდრე თურქული წარმოშობისანი. ალბანეთის ტერიტორიაზე ეთნოტრანსფორმაციული პროცესი უფრო ადრეც მოხდა. ადრე შუა საუკუნეებში სამხრეთ ალბანელები გასომხდნენ, თუმცა ის განპირობებული იყო არა სომეხთა მიგრაციით, არამედ იმით, რომ ალბანეთის ეკლესია სომხების იდეური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. VIII საუკუნის დასაწყისში ალბანეთის ეკლესიამ ავტოკეფალია დაკარგა და სომხური ეკლესიის შემადგენლობაში შევიდა (ფორმალუარად ალბანეთის კათალიკოსატმა, რომლის რეზიდენციაც მთიან ყარაბაღში – განძასარში იყო XIX საუკუნის შუა ხანებამდე იარსება). ალბანეთის ტერიტორიაზე

არა მარტო ალბანელები, არამედ სხვა დაღესტნურენოვანი და ირანულენოვანი ხალხებიც გათურქდნენ.

ეთნიკური თვალსაზრისით დიდი ცვლილებები მოხდა კავკასიაში რუსების შემოსვლის შემდეგ. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საბჭოთა პერიოდის ბოლო აღწერით რუსების რაოდენობა კავკასიაში 12 მილიონი იყო. არადა სულ ორი საუკუნის წინ ამ ეთნოსის წარმომადგენლები კავკასიაში თითქმის არ მკვიდრობდნენ. რუსეთის იმპერიის ხანგრძლივ ბრძოლას უკვალოდ არ ჩაუვლია. დამარცხებული კავკასიელი მთიელების მნიშვნელოვანმა ნაწილმა სამშობლო დატოვა და ოსმალეთის იმპერიაში გადასახლდა. ადიღეური მოდგმის ხალხები, რომლებიც რუსების მოსვლამდე კავკასიაში ყველაზე მეტნი იყვნენ (700-750 ათასი) უმცირესობაში აღმოჩნდნენ. განსახლების არეალი დატოვეს სხვა ჩრდილოეთკავკასიურმა ეთნოსებმაც. მუჰაჯირთა შორის აღმოჩნდნენ აფხაზები და ქართველი მუსლიმებიც. ეთნიკური განსახლების არეალი გაიფართოვეს ოსებმა და სომხებმა, რომლებიც რუსების მიმართ კეთილგანწყობილნი და ლოიალურნი იყვნენ. ოსებს მიეცათ საშუალება ჩრდილოეთ კავკასიის ბარში გადასახლებისა. XIX საუკუნეში შიდა ქართლის მთიანეთში მცხოვრები ოსები მთისწინეთსა და ბარშიც ჩასახლდნენ. სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ფართოდ განსახლდნენ სომხები. ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიიდან ანუ ისტორიული დასავლეთ სომხეთიდან ცარიზმმა ისინი არა მარტო აღმოსავლეთ სომხეთში, არამედ საქართველოსა და აზერბაიჯანის მიწებზეც დაასახლა. რუსეთის იმპერიამ საქართველოში სხვა ეთნოსებსაც მიუჩინა ბინა. ერთ-ერთ მაგალითად კი ოსმალეთიდან ბერძნების გადმოსახლება უნდა დავასახელოთ, რომლებიც ძირითადად საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში – თრიალეთში დასახლდნენ. რუსეთმა ეთნიკური სიტუაცია მიზანმიმართულად შეცვალა როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კავკასიაში. ჩრდილოეთ კავკასიის მთაში გადარჩენილი და ადგილზე დარჩენილი ადიღეური მოდგმის ხალხები ბარში გადაასახლა და მათი თითოეული სოფლის ირგვლივ მრავალრიცხოვანი რუსული დასახლებები შექმნა. რუსები იმპერიულ პოლიტიკას საბჭოთა წლებშიც აგრძელებდნენ. ამის მაგალითად გამოდგება ჩრდილოეთ კავკასიელების – ჩაჩნების, ინგუშების, ბალყარელების, ყარაჩაელების – სამშობლოდან აყრა და შუა აზიასა და ყაზახეთში გადასახლება. ასეთივე ბედი გაიზიარეს ქართველმა მაჰმადიანებმა, რომლებიც ახლა „თურქი-მესხების“ ეთნონიმით არიან მსოფლიოში ცნობილი, ბათუმის მიდამოებში მცხოვრებმა ჰემშილებმა და სხვებმა. სამაგიეროდ რუსეთის იმპერია ჩრდილოეთ კავკასიასა და სამხრეთ კავკასიაში ხელს უწყობდა და ახალისებდა სხვადასხვა არაკავკასიური ეთნოსების დასახლკარებას, პირველ რიგში კი – რუსებისას. საყურადღებოა, რომ საბჭოთა პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ წარმონაქმნებში მოსახლეობის აბსოლიტურ უმრავლესობას მოსული რუსები წარმოადგენდნენ. მოკლედ უნდა ითქვას, რომ რუსების კავკასიაში შემოსვლამ რადიკალურად შეცვალა ჩრდილოეთ კავკასიის (აგრეთვე სამხრეთ კავკასიის) ეთნიკური რუკა. აქ სლავებისა და რუსეთის სხვა ქვეშევრდომთა დასახლებას არავითარი წინაღმდეგობა არ ხვდებოდა, აგრეთვე ახალისებდნენ ემიგრანტ სომხებს, გერმანელებს, ბერძნებს და სხვებს. ჩრდილოეთ კავკასიის კოლონიზაციამ შეცვალა მომთაბარე ხალხების – ნოღაელების, თურქმენების და ყალმუხების განსახლების გეოგრაფიაც. რუსეთის იმპერია განსაკუთრებულ ყურადღებას შავიზღვისპირეთს აქცევდა. ამ თვალსაზრისით აფხაზეთის დასახელებაც საკმარისია, რომლის ეთნიკური აჭრელება, უფრო სწორედ რუსებით დასახლება, იმპერიის უპირველესი მიზანი იყო. თუმცა ამ მიზნის განხორციელებაში ცარიზმს ხელს კლიმატური ადაპტაციის ფაქტორი უშლიდა. გადმოსახლების მასობრიობის ფონზე დიდი იყი სიკვდილიანობაც. ასე, მაგალითად, 1809-1811 წლებში ჩრდილოეთ კავკასიის შავიზღვისპირეთში 7315 კაცი მომკვდარა, ხოლო 1818 წლის ეპიდემიის დროს მიგრირებული მოსახლეობა განახევრებულა.

ამის გამოც იყო, რომ შავი ზღვის სანაპირო ზოლში 1870-1890-იან წლებში ხელს უწყობდნენ სომხების მასობრივ გადმოსახლებას აფხაზეთის შავიზღვისპირეთში, ტუაფსეს, სოჭის, ადლერის, ანაპის, ნოვოროსიისკისა და მაიკოპის რაიონებში. დიდი რაოდენობით დასახლდნენ სომხები დასახელებულ ადგილებში 1915-1916 წლებშიც.

ჩვენ არაფერი ვთქვით ეთნიკური ვითარების დინამიკაზე კავკასიის სამხრეთით მდებარე დიდი სახელმწიფოების როლზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო არაბთა შემოსევები, რომლებმაც განსაკუთრებული გავლენა აღმოსავლეთ კავკასიაზე მოახდინეს (დაღესტანი, ალბანეთი). ისლამის გავრცელებამ აქ ეთნოტრანსფორმაციული პროცესები დააჩქარა. ოსმალეთის იმპერიამ შეცვალა ეთნიკური სიტუაცია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. 1595 წელს შედგენილი გურჯისტანის ვილაეიეთის დავთარში, რომელშიც აღწერილია სამცხე, ჯავახეთი, კოლა, არტაანი, ერუშეთი და ტაოს ოლთისის მხარე (მასში შავშეთი, კლარჯეთი და ტაოს დიდი ნაწილი არაა შეტანილი) რამდენიმე ასეული ნასოფლარია შეტანილი. მარტო ჯავახეთში 102 ნასოფლარი იყო. ოსმალებმა გააპარტახეს თორი (თანამედროვე ბორჯომის რაიონი). ისლამის მიღებამ ქართველთა დეეთნიზაცია, გათურქება გამოიწვია. ასევე შეიცვალა ეთნიკური სიტუაცია აღმოსავლეთ სომხეთში, რომელიც ერევნის სახანოს სახით, ირანის შემადგენლობაში შედიოდა. XIX საუკუნის 80-იან წლებში ერევნის გუბერნიაში სომხების რაოდენობა 56% იყო.

უარყოფითი იყო ირანის როლი მთელი გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში. ირანის ხელისუფლება მიზანმიმართულად ცდილობდა საქართველოში ეთნიკური სიტუაციის შეცვლას – ქართველების მამა-პაპათა საცხოვრისიდან აყრასა და თურქმანული ტომების ჩამოსახლებას. ამ თვალსაზრისით საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ მხარეებში; თითქმის მოსახლეობისაგან დაიცალა აღმოსავლეთი კახეთი (თანამედროვე საინგილო), კახეთის გაღმა მხარი და შიდა კახეთი, ერწო-თიანეთი, დემოგრაფიულად კატასტროფიული სიტუაცია შეიქმნა ქართლშიც, თრიალეთშიც. რაც შეეხება კახეთსა და ქვემო ქართლში მოსახლე თურქმანებს, ისინი ძირითადად შაჰ-აბასის დროსა და შემდეგ პერიოდში არიან მიგრირებულნი. საქართველოს ეთნიკურ სიტუაციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ჩრდილოეთ კავკასიელთა თარეშები, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში *ლეკიანობის* სახელითაა ცნობილი და ტყვის სყიდვა. ქართველთა აყრა-გადასახლება გამოიწვია ოსთა თარეშებმა ცენტრალურ საქართველოში და უბიხებისა და ადიღეური ტომების თავდასხმებმა აფხაზეთში.

კავკასიის ეთნიკურ და დემოგრაფიულ სიტუაციას საბჭოთა იმპერიის დაშლამაც მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია. რუსეთის მიერ გაჩაღებულმა ე. წ. ეთნიკურმა კონფლიტებმა დიდი მსხვერპლი და მოსახლეობის მნიშვნელოვანი გადაადგილება გამოიწვია. საკმარისია გავიხსენოთ რამდენი მსხვერპლი ახლდა ჩაჩნეთის, ყარაბაღის, აფხაზეთისა და შიდა ქართლის ომებს. დიდია გადასახლებული ჩაჩნების, სომხების (აზერბაიჯანიდან), აზერბაიჯანელების (სომხეთიდან) და ქართველების რაოდენობა. ქართველები საკუთარ სამშობლოში დევნილებად იქცნენ. რუსეთის პოლიტიკურ და სახელმწიფო წრეებში წუხილს გამოთქვამენ, რომ ეთნიკური რუსების რაოდენობა კავკასიაში მცირდება. ბევრმა რუსმა (და არა მხოლოდ რუსმა) დატოვა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები. საქართველოს წალკის რაიონიდან ფაქტობრივად წავიდნენ ეთნიკური ბერძნები. უფრო უარესი: საქართველოს ქართველი ერის მნიშვნელოვანი ნაწილიც, განსაკუთრებით ახალგაზრდები, სტოვებს. დასავლეთის ქვეყნებში ქართველთა მიგრაცია ქვეყნის ეკონომიკური სიდუხჭირით არის განპირობებული. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას, აქ 1917 წლიდან მოყოლებული 1959 წლამდე რუსული მოსახლეობის ხვედრითი წილი თუ განუსაზღვრელად მატულობდა (1917 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში რუსების რაოდენობა 44,3% იყო, 1926 წელს – 46,9%, 1939 წელს – 52,5%,

1959 წელს – 54,7%), შემდეგ ამ რაოდენობამ შემცირება დაიწყო და 1989 წლისათვის 50,8%-მდე დავიდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც რუსული ეთნოსის შემცირების დინამიკა ჩრდილოეთ კავკასიაში კვლავ შემცირებით ხასიათდება.

ამრიგად, ძველი დროიდან დღემდე კავკასია ეთნოდემოგრაფიული თვალსაზრისით მუდმივ ცვლილებას განიცდიდა. ევრაზიის სივრცეში მომხდარი ყველა მოვლენა მუდმივ გავლენას ახდენდა ამ რეგიონის ეთნიკურ დინამიკაზე. დროთა განმავლობაში კავკასიაში არაერთი ეთნოსი გაქრა, ბევრიც ახალი დასახლდა. ქართველთა ეთნიკურ განვითარებას შედარებითი სიმშვიდე XIX-XX საუკუნეებში დაუდგა, თუმცა ამ პერიოდში ქართული ეთნოსის განსახლების არეალი შემცირდა; მათი ისტორიული განსახლების არეალები სხვა ეთნოსებმა დაიკავეს.

II. აფხაზურ-ადიუღეური მოდგმის ხალხები

II. 1. აბაზები

აბაზების თვითსახელწოდებაა **აბაზა**. აფხაზები, რომელთა ენაც ახლოს დგას აბაზურ ენასთან, მათ ეთნონიმით *აშვი* იცნობენ. აბაზები ცხოვრობენ რუსეთის ფედერაციაში (1989 წლის მონაცემებით 33 ათასი კაცი). ძირითადად განსახლებული არიან ჩრდილოეთ კავკასიაში (ყარაჩაი-ჩერქეზეთში) – 27,5 ათასი კაცი. ამას გარდა, აბაზები მკვიდრობენ აგრეთვე ნოღაელთა და ჩერქეზთა ზოგიერთ სოფელში, ადიღეს აღმოსავლეთ ნაწილში. დაახლოებით 10 ათასი აბაზა მახლობელ აღმოსავლეთში – თურქეთში, სირიაში, იორდანიაში, ლიბანში – ცხოვრობს, სადაც ისინი მუჰაჯირობის დროს, 1858-1864 წლებში, გადასახლდნენ. მახლობელ აღმოსავლეთში გადასახლებული აბაზების მნიშვნელოვანი ნაწილი აფხაზეთიდან და ადიღედან გადასახლებულ მოსახლეობას შეერია. ჩრდილოეთ კავკასიაში აბაზთა განსახლების ტერიტორია მოიცავს *დიდი* და *პატარა იენჯუგის, ყუბანისა* და *გუმის სათავეებს.*

აბაზურ ენას აქვს ორი დიალექტი: *ტაპანთური* და *აშხარული*, შესაბამისად აბაზები იყოფიან ორ ეთნოგრაფიულ ჯგუფად – *ტაპანთელებად* და *აშხარელებად.* ლიტერატურულ ენას საფუძვლად უდევს ტაპანთური დიალექტი. ქართველი ენათმეცნიერი *ქ. ლომთათიძე* თავის ადრეულ ნაშრომებში აბაზურს ცალკე ენად არ მიიჩნევდა და *ტაპანთურ* და *აშხარულ* დილაექტებს აფხაზური ენის დიალექტებს უწოდებდა. სხვათა შორის, ზოგიერთი ავტორი აფხაზებსა და ზღვისპირა აბაზებს ერთმანეთთანაც აიგივებდა.

აბაზური დამწერლობა შეიქმნა 1932 წელს. მის საფუძვლად გამოყენებული იქნა ლათინური გრაფიკი. 1939 წელს ის რუსული გრაფემით შეიცვალა. 1938 წელს გამოვიდა აბაზური გაზეთის პირველი ნომერი. აბაზები ფლობენ აგრეთვე ყაბარდოულ-ჩერქეზულ ენას. **აფხაზურ ენასთან ახლოს დგას აბაზური ენის აშხარული დიალექტი.** ამ დიალექტზე ყარაჩაი-ჩერქეზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის სამ სოფელში მეტყველებენ. ეს სოფლებია: *ხუჟვდუ, ხუჯვჩკუნ* და *აფსუა* (ყოფილი *შაჰგირეი>ჩეგირეი*). XX საუკუნის 40-იან წლებში აშხარულ დიალექტზე კიდევ ერთ სოფელში – *აბაზაქთში* მეტყველებდნენ, რომლებიც ჩერქეზულ ენაზე გადავიდნენ. აბაზებს შორის ისტორიულად ცალკე გამოიყოფოდა *საძების* ტერიტორიული ჯგუფიც (ქართული წყაროების *ჯიქები*). საძების დიალექტი გავრცელებული ყოფილა მდ. *ბზიფიდან მდ. დაგომისამდე* და შავი ზღვიდან კავკასიონამდე. ისტორიული საძების დიალექტის ამჟამინდელ მემკვიდრედ ზემოხსენებულ აშხარულ დიალექტს მიიჩნევენ. სამეცნიერო ლიტერატურაში იმასაც აღნიშნავენ, რომ აშხარელები XX საუკუნის 50-იან წლებამდე თვითსახელწოდებას *აფსუა* ტერმინით აღნიშნავდნენ. აბაზური ენის *ტაპანთურ* დიალექტზე მეტყველ მოსახლეობას აფხაზური ენა არ ესმის. *ტაპანთური* დიალექტი ყარაჩაი-ჩერქეზეთის ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთის სოფლებშია გავრცელებული: *ტაპანთა, ფსეი, ყუბინა, ელბურგანი, კრასნოვოსტოჩნი, ფსაჭა-დახა, აბაზაჰაბლი, მალოაბაზინნსკი, ინჯიქჩკუნი, ყარაფაგვა, ყიზილ-ფაგუნი* და *ყვაიდანი.*

სხვათა შორის, დასავლეთ ადიღეელებისათვის ეთნონიმი *აბაზა* თითქმის უცნობი იყო. ისინი აბაზებს სხვადასხვა სახელწოდებით იცნობდნენ. შაფსუღების წარმოდგენით, აბაზები შავიზღვისპირეთში აფხაზებსა და უბიხებს შორის მკვიდრობდნენ და აფხაზებს არ მიეკუთვნებოდნენ, მაგრამ მათთან საკმაოდ ახლოს იდგნენ. შაფსუღები ამ ხალხს ეთნონიმით *აზუხ* მოიხსენიებდნენ. რა თქმა უნდა, ამ აზუხებში სამხრეთ აბაზელი საძები იგულისხმებიან. დასავლეთ ადიღეელი ბესლენელებისათვის სუფთა აბაზას აშხარელები (შკარაუა) წარმოადგენენ. ტაპანთელებთან საკმაო რაოდენობით არიან შერწყმული ადიღეელები. ეს შერწყმა ჯერ კიდევ XIX საუკუნემდე დაწყებულა და გვიანობამდე გრძელდებოდა.

ჩრდილოეთ კავკასიაში განსახლებული აბაზების ორი სოფელი საერთოდ ჩერქეზულ ენაზეა გადასული.

მთიან ხეობებში დასახლებამდე აბაზები შავიზღვისპირეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე – ტუაფსედან აფხაზეთამდე – ცხოვრობდნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ XIX საუკუნის 40-50-იან წლებშიც კი აბაზებს ეთნიკური ტერიტორია, განსახლების არეალი არ ჰქონდათ გამოკვეთილი. ჩრდილოეთ კავკასიაში რუსების შემოსვლის შემდეგ, როგორც ტაპანთელმა, ისე აშხარელმა (შკარაუა) აბაზებმა განსახლების არეალი შეიცვალეს. კავკასიის ომის (1817-1864 წწ.) შემდეგ აბაზების მნიშვნელოვანი რაოდენობა თურქეთში გადასახლდა. მუჰაჯირი აბაზების რაოდენობა სხვადასხვა წყაროებით სხვადასხვანაირად განისაზღვრება (დაახლ. 30 ათასი კაცი). 1883 წლის მონაცემებით ყუბანის ოლქის ფარგლებში ათი ათასზე ნაკლები აბაზელი იყო დარჩენილი. მუჰაჯირობას გადარჩენილი აბაზები 1860-იან წლებში მთიდან ბარში გადაასახლეს.

არა მარტო ჩრდილოეთ კავკასიაში, არამედ შავიზღვისპირეთში მცხოვრებ აბაზებს მიგრაციისადმი დიდი მიდრეკილება ახასიათებდათ. მოძრაობითობა განსაკუთრებით *საძებისათვის* ყოფილა დამახასიათებელი. ისინი არა მარტო სხვათა ტერიტორიაზე გადასახლდებოდნენ, არამედ აბაზური საზოგადოებებიც ხშირად ერთმანეთის მიწებზე გადადიოდნენ. განსაკუთრებით ერეოდნენ ერთმანეთს უბიხები და საძები. ბევრი საძი და უბიხი აფხაზებსაც შეერია.

დღევანდელ ტერიტორიაზე აბაზები XIII საუკუნიდან ცხოვრობენ. ტერიტორია, საიდანაც ყუბანის ზემო წელში აბაზები გადმოსახლდნენ აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთია. XV საუკუნის დასაწყისის სპარსელი ავტორი *ნიზამ ად-დინ შამის* ცნობით, XIV საუკუნის ბოლოს *თემურ-ლენგმა* მდინარე *ყუბანის* სათავეებში ილაშქრა „ადგილ აბასაში“. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ მათი წინაპრების შავიზღვისპირეთიდან გადასახლება სწორედ ამ დროს – XIV საუკუნეში მოხდა. ესენი ტაპანთელი აბაზები იყვნენ, თუმცა შავიზღვისპირეთში აბაზების ნაწილი, *საძების* სახით, კვლავ აგრძელებდა მკვიდრობას. აშხარელების აქედან კავკასიის ქედის ჩრდილოეთით გადასახლებას კი XVII საუკუნით ათარიღებენ. *კ. სტალს* ჩაწერილი აქვს გადმოცემები, რომ აბაზების გადასახლება ხდებოდა მთის მდინარეების *ბელისა* და *თებერდის* უღელტეხილებით. მაგრამ რა იყო აბაზების წინაპართა შავიზღვისპირეთიდან ჩრდილოეთ კავკასიის მთისა და მთისწინა ზოლში გადასახლების მიზეზი? რატომ იუარესებდნენ აბაზები საცხოვრებელ გარემოს? ერთადერთი ახსნა მეზობელი უბიხების მიერ მათი შევიწროვება შეიძლება იყოს. *ვ. გუდაკოვის* მიხედვით, ახალგაზრდა აბაზთა ეთნოსს (მას მიაჩნია, რომ XIII საუკუნისათვის აბაზები მკვეთრად გამოცალკევდნენ აფხაზებისა და უბიხებისაგან) ორი ვარიანტი ჰქონდა: ან უნდა ებრძოლათ მზის ქვეშ ადგილისათვის, ე. ი. უბიხებსა და აფხაზებთან, ან ახალი სამშობლო მოეპოვებინათ. აბაზებმა მეორე გზა აირჩიეს. ამას კი ხელი შეუწყო ალანიის ტერიტორიაზე მოსახლეობის მნიშვნელოვნად შემცირებამ და, საერთოდ, გაუკაცრიელებამ, რაც მონღოლთა გამანადგურებელმა შემოსევებმა განაპირობა. *ვ. გუდაკოვი* იმასაც აღნიშნავს, რომ ახალ ადგილზე აბაზებს არ სჭირდებოდათ ქცევის ეთნიკური სტერეოტიპისა და მეურნეობის ტიპის შეცვლა. *ზემო ყუბანისა* და *ლაბის* ლანდშაფტი ხომ, სადაც ისინი დასახლდნენ, ადრინდელი საცხოვისისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. თუმცა შავიზღვისპირეთიდან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში აბაზების გადასახლებას სხვა ახსნაც შეიძლება მოეძებნოს – აბაზებს, ისევე როგორც მათ მონათესავე ადიღეურ ტომებს, მუდმივი საცხოვრებელი არ ჰქონდათ, ისინი ხშირად იცვლიდნენ ბინადრობის ადგილს. აბაზების წინაპართა მიწა-წყლიდან აყრას წინ ეთნიკური დივერგენცია უსწრებდა, მაშინ გასაზიარებელი არაა *ვ. გუდაკოვის* მოსაზრება, რომ უბიხებისა და აფხაზებისაგან აბაზების გამოცალკევება მაინცდამაინც XIII საუკუნეში მოხდა. სამეცნიერო ლიტერატურაში

ხაზგასმულია, რომ ყუბანის სათავეების, გარდა აბაზები მკვიდრობდნენ აგრეთვე *ურუპის, ზელენჩუკისა* და *ლაბის* ხეობებშიც. იმასაც აღნიშნავენ, რომ მდ. *პატარა ლაბა* სათავეს იღებს მთიდან, რომელსაც „ლოუბა“ ჰქვია. *მ. მერეტუკოვის* შენიშვნით, ეს ტოპონიმი სვანური მეტყველებით იხსნება: *ლაბნა* „სათავეს“, „საწყისს“ ნიშნავს. ეს ფაქტი კი უდავოდ შორს მიმავალი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა.

აფხაზეთიდან ჩრდილო-დასავლეთით აბაზების განსახლების არეალი თანდათან მცირდებოდა. აბაზები შავიზღვისპირეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი მონაკვეთიდან მუჰაჯირობის დროს გაქრნენ.

გერმანელი *გიულდენშტედტი* აბაზას ხალხს აკუთვნებდა თვით აბაზებს, უბიხებს, საძებსა და მთიელ აფხაზებს (აფხაზეთის მთაში მცხოვრებთ). *ევლია ჩელების* მიხედვით, შავიზღვისპირეთში სამეგრელოდან ტუაფსემდე განსახლებული აბაზები 15 საზოგადოებისაგან შედგებოდნენ. *მ. მედიჩის* განსაზღვრით, აბაზების განსახლების არეალი იყო სოხუმიდან ანაპამდე. ზოგიერთ საისტორიო წყაროს, გარდა ზღვისპირეთში განსახლებული საძების, უბიხების, აგრეთვე მთიელი აფხაზებისა, აბაზებში დასავლეთ ადიღეელების სხვადასხვა ჯგუფებიც შეყავს.

XVII საუკუნეში ზოგიერთი აბაზური ტერიტორიული თემი ლოკალიზებული იყო როგორც შავიზღვისპირეთში, ისე ჩრდილოეთ კავკასიაში. მაგალითად შეიძლება *ლოოელები* მოვიყვანოთ. ტაპანთელი აბაზების ლოკალური ჯგუფებიდან, გარდა ლოოელებისა, შეიძლება დავასახელოთ: *დუდრუყოელები, ჟანტემიროელები, ბიბერდოელები, კლიჩეელები, ქიაჩები, ტრამოელები.* აშხარელების (შკარაუა) ტერიტორიული დანაყოფების რაოდენობა ექვსის ფარგლებში იყო: *მისელბელები, კიზილბეკელები, ჩაღრაელები, ბაგრაელები, ბარაკაელები* და *ტამელები.*

ზემოთაც აღვნიშნეთ და კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ აბაზების განსახლების არეალი მუდმივი არ იყო და ის ხშირად იცვლებოდა. ამავე დროს, ისინი ხან ყაბარდოელი და ხან ყირიმელი ფეოდალების ქვეშევრდომები იყვნენ. XVIII საუკუნეში აბაზელთა დასახლებები იმდენად მოძრავი იყო, რომ მათი ლოკალური ჯგუფების ტერიტორიების განსაზღვრა ძალიან ძნელია. 1786 წელს „ყაბარდოელებით უკმაყოფილო“ *კუმის* ხეობაში მცხოვრები აბაზები ჩრდილოეთ ყარაჩაიში გაქცეულან. ამავე დროს, ისინი ხშირად ერთმანეთისაგან ძალიან დაშორებულნიც იყვნენ. აბაზთა სხვადასხვა ჯგუფების მოძრაობა, ადგილგადანაცვლება XIX საუკუნის დასაწყისში შავი ჭირის ეპიდემიასაც გამოუწვევია. მაგალითად, XIX საუკუნის დასაწყისში *აშხარელი (შკარაუა)* აბაზების ტერიტორიული ერთეული – *ბარაკაელები* რამდენიმე, ერთმანეთისაგან დაშორებულ ადგილას იყვნენ დასახლებულნი (მდ. *ხოძის* გასწვრივ ბესლენელებიდან 30 ვერსში და მდ. *ხოძის* შენაკად მდ. *ხუტზე). კლაპროტის* ცნობით, *აბაზი ბარაკაელები* აფხაზეთშიც იყვნენ მიგრირებულნი და სოხუმის მახლობლადაც ცხოვრობდნენ. *ევლია ჩელები* მთიელ აბაზებს მიაკუთვნებს აფხაზეთში, მდ. *ბზიფისა* და მდ. *აფსტის* სათავეში (ქვაბულში), განსახლებულ *ფსხუელებსაც.* იგივე შეიძლება ითქვას *წებელდელებისა* და *დალის* ხეობაში მცხოვრებთა შესახებაც, *ფსოუსა* და *მზიმთას* სათავეში მცხოვრებ *მედოელებზე* და სხვ. XX საუკუნის ოცდაათიან წლებში *აშხარელები* გადმოსახლდნენ აფხაზეთში (სამოცამდე კომლი), სოფელ *ფსხუში* და მოგვიანებით უკან გაბრუნდნენ.

საძების მსგავსად აბაზებთან ახლოს იდგნენ უბიხებიც. XIX საუკუნის 30-იან წლებში უბიხებს მდ. *ფსახის* ველი ეჭირათ. *ი. ანჩაბაძეს* რუკაზე უბიხები მდინარეებს *მაცესტას, საშეს* და *შახეს* შორის აქვს დატანილი. მიაჩნდათ, რომ უბიხები ქართული წყაროების *ჯიქები* იყვნენ. *ი. ანჩაბაძე,* პირიქით, ჯიქებს საძებთან აიგივებს. ჩვენი აზრით, ქართული წყაროების ჯიქებში აფხაზების ჩრდილოეთით მცხოვრები ყველა აბაზური ტომი იგულისხმებოდა. ზოგიერთი მეცნიერი უბიხებს აფხაზების, აბაზების და ადიღეელი ნატუხაელებისა და

შაფსუღების ნარევადაც მიიჩნევს, რომლებშიც მთავარ კომპონენტს მაინც აბაზები შეადგენდნენ. ისიც შემჩნეულია, რომ უბიხების რაოდენობა სხვადასხვა ადიღეური საზოგადოებიდან გამოქცეულთა ხარჯზე ძალიან იზრდებოდა. XIX საუკუნის 30-იან წლების წყაროს ცნობით, უბიხები ძველი დროიდანვე აბაძეხებთან (დასავლეთელი ადიღეელები) დიდი მეგობრობით გამოირჩეოდნენ. როგორც უბიხები, ისე აფხაზები აბაძეხებს „მაძმე“-ს უწოდებდნენ. *მ. კუმახოვის* თანახმად, უბიხები არ იყვნენ „აბაზური ტომები“. ისინი ენობრივად ადიღეელებთან უფრო ახლოს იყვნენ, ვიდრე აბაზა-აფხაზებთან. *ევლია ჩელების* ცნობით, XVII საუკუნის შუა ხანებში უბიხების მნიშვნელოვანი ნაწილი ორენოვანი იყო, რომლებიც დედაენასთან ერთად, ჩერქეზულ ენასაც ფლობდნენ. *ნ. ვოლკოვას* დასკვნით, ეს იმაზე მიუთითებს, რომ მიმდინარეობდა უბიხების, აბაზების, ადიღეელების ინტეგრაცია, ასიმილაცია, და რომ, ამის გამო, XIX საუკუნეში უბიხების რაოდენობა მნიშვნელოვნად იყო შემცირებული.

სხვა კავკასიელ მთიელებთან ერთად, ოსმალეთის იმპერიაში მუჰაჯირად აბაზებიც წავიდნენ. აბაზთა პირველი გადასახლება 1858 წელს მოხდა. მომდევნო წლებში გადასახლებულთა რაოდენობა გაიზარდა. 1862 წელს მთავრობამ მთიელებს უბრძანა დაეტოვებინათ *ლაბასა* და *ბელის* შორის ტერიტორია და გადასახლებულიყვნენ *ყუბანში* ან თურქეთში მუჰაჯირად წასულიყვნენ. 1863 წელს უმეტესობამ არჩევანი ოსმალეთზე გააკეთა. **წასულთა შორის ტაპანთელებს აშხარელები ჭარბობდნენ.** ამიტომაც დღეს ჩრდილოეთ კავკასიაში პირველნი ბევრად მეტნი არიან მეორეებზე. 1858-1864 წლებში მუჰაჯირად ოსმალეთში 30 ათასი აბაზა წავიდა. ადგილზე დარჩენილთა რაოდენობა 1883 წლისათვის 9921 სული იყო. გვიან შუა საუკუნეებში აბაზების რაოდენობა მცირდებოდა, რის მიზეზიც ჩრდილოეთიდან ადიღეური ტომების ზეწოლა და ასიმილაცია იყო. შეერივნენ ყაბარდოელებსაც, რიც შედეგადაც ენა და ეთნიკური ცნობიერება დაკარგეს. მაგალითად, ასეთი ასიმილერებულნი ცხოვრობენ სოფელ *მალკაში.*

აბაზთა ეთნიკურ ისტორიაზე თვალყურის გადევნება იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა, რომ სხვადასხვა აბაზური ტომის ინტეგრაცია ფაქტობრივად არ ხდებოდა, პირიქით, აბაზური ეთნიკური ერთობის დიფერენციაცია თანდათან უფრო ძლიერდებოდა, რის ერთ-ერთ მიზეზს ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან ერთად, მათი მიგრაციულობისადმი, მოძრაობითობისადმი მიდრეკილებაც წარმოადგენდა, როგორც აბაზური ერთობის შიგნით, ისე კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთ კალთებზე.

დღეისათვის აბაზი *ტაპანთელების* ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები ყარაჩაი-ჩერქეზეთის 9 დასახლებულ პუნქტში არიან განსახლებულნი. ეს სოფლებია: *ფსიჟი, ყუბინა, ინჯიქჯკუნი, ელბურგანი, ტაფანთა, აბაზი-ხაბლი, კარაპაღო, კრასნი ვოსტოკ (გუმლოქთი), კოიდანი.* როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ *ტაპანთელ აბაზებს* მიეკუთვნებოდნენ აგრეთვე სოფლების *ფსაუჩედახეს* და *აბაზაქთის* მცხოვრებნი. *აშხარელი (შკარუა) აბაზები სულ სამ სოფელში (აულში) ცხოვრობენ. ეს სოფლებია: სტაროკუვინსკოე, ნოვოკუვინსკოე* და *აფსუა.* თავისი ახლანდელი სახელწოდებანი ზემოთ ჩამოთვლილმა დასახლებულმა პუნქტებმა საბჭოთა პერიოდში მიიღეს, რადგან ოიკონიმებს საფუძვლად პრივილეგირებულ წოდებათა გვარები ედოთ. მაგალითად, სოფელ *აფსუას* („აფხაზები“) ერქვა *შახგორეგსკოე, აბაზაქთს* („აბაზების სოფელი“) – *ეგიბოკოვსკოე, ფსაუჩადახეს* („ლამაზი ცხოვრება“) – *ყლიჩევსკოე, ელბურგანს* (ადგილის სახელია) – *ბიბერდოვსკოე, ინჯიქჯკუნს* („პატარა ზელენჩუკი“) – *ლოოვსკოე-ზელენჩუკსკოე...*

აბაზები სარწმუნოებით მუსლიმი სუნიტები არიან. აბაზებმა ისლამი შავიზღვისპირეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში დამკვიდრების შემდეგ მიიღეს. იქამდე ისინი წარმართები იყვნენ. აბაზებმა მაჰმადიანობა ნოღაელებისაგან მიიღეს, რომლებთანაც ურთიერთშეხება ჰქონდათ. თავდაპირველად ეს სარწმუნოება

ზედაფენამ, შემდეგ – დანარჩენმა მოსახლეობამ მიიღო. აბაზებში ისლამმა ფეხი ძირითადად XVII-XVIII საუკუნეებში შეაღწია. ამასთანავე, აბაზებში შემორჩენილია პირველყოფილი რწმენა-წარმოდგენებიც. XIX საუკუნის შუა ხანებში მთაში, განსაკუთრებით *აშხარელთა* ეთნოგრაფიულ ჯგუფში, წარმართულ რწმენა-წარმოდგენებთან ერთად, ქრისტიანული ელემენტებიც გვხვდებოდა.

აბაზები XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში კომპლექსური მეურნეობის მიმდევრები იყვნენ, რომელშიც შერწყმული იყო მეცხოველეობა და მიწათმოქმედება. ბარში გადასახლებამდე მეურნეობის მთავარი დარგი მომთაბარე მეცხოველეობა იყო (წვრილფეხა, აგრეთვე მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, მეცხენეობა). მეცხენეობა საპატიო საქმედ ითვლებოდა. ის ძირითადად ზედაფენის ინტერესების სფეროში შედიოდა. განვითარებული იყო მეფრინველეობაც. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მიწათმოქმედება მეურნეობის წამყვან დარგად იქცა. აბაზელთა გუთანი ადიღეელთა გუთნის მსგავსი იყო, რომელშიც ოთხ უღელ ხარს აბამდნენ. ხვნისა და თესვის დროს იცოდნენ ურთიერთდახმარება. ურთიერთდახმარება ძირითადად ერთი გვარის შიგნით ხდებოდა. ხვნის დაწყებასა და დამთავრებას მთელი მოსახლეობა დღესასწაულით აღნიშნავდა.

შავიზღვისპირეთში მცხოვრები აბაზებისათვის მეურნეობის წამყვანი დარგი მაინც მესაქონლეობა იყო, რადგან მათი განსახლების ტერიტორია, მცირემიწიანობის გამო, მიწათმოქმედების ფართოდ განვითარების საშუალებას არ იძლეოდა. მიწის არც ერთი გოჯი დასამუშავებელი არ რჩებოდათ. მიუხედავად ამისა, მიწათმოქმედების პროდუქტებით აბაზები არასდროს უზრუნველყოფილი არ იყვნენ. ზღვისპირეთი არც მესაქონლეობის ფართოდ განვითარების საშუალებას იძლეოდა. აბაზები აქ საძოვრების ნაკლებობას განიცდიდნენ. წვრილფეხა საქონლიდან ძირითადად თხებს აშენებდნენ, იშვიათად – ცხვარს.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე დანაკლისს ზღვისპირა აბაზები თარეშით, მეკობრეობით ივსებდნენ. ისინი ყველა მიმართულებით ლაშქრობდნენ. აბაზურ ტომებს არც მთიელი აფხაზები (*მედოელები, წებელდელები, დალელები*) ჩამორჩებოდნენ. ქართულ წყაროებში ჯიქებისა და მთაში მცხოვრები აფხაზების ქართულ სოფლებზე თარეშის არაერთი ფაქტია აღნიშნული. ბუნებრივია, აბაზთა თავდასხმებისა და ლაშქრობების შედეგად, მოსახლეობა არა მხოლოდ მატერიალურ ზარალს განიცდიდა, არამედ დიდი იყო სისხლისღვრის მასშტაბები და ადამიანთა მკვლელობა. შემორჩენილია გადმოცემები ჩრდილოეთკავკასიელი აბაზების თარეშების შესახებ შავიზღვისპირეთში მცხოვრებ თანამემამულეებზე და, პირიქით, ზღვისპირელი აბაზებისა ჩრდილოეთ კავკასიაში აბაზურ სოფელ *დახედუზე* თავდასხმის შესახებ. **ჩვეულებრივ აბაზები ტყვეებს მონებად ყიდდნენ. არცთუ იშვიათად ყიდნნენ საკუთარ შვილებსაც.** ძვირად ფასობდნენ 12-14 წლის გოგონები და ბიჭები. ასე რომ, თარეში, მსგავსად სხვა ადიღეური ტომებისა, აბაზთა მეურნეობის, ფაქტობრივად, ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა. აბაზთა ოჯახებს ჩვეულებრივ მონებიც ჰყავდათ. ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში მონობის ძირითად წყაროს ტყვეები წარმოადგენდნენ. მონათა ფენის ერთ-ერთ წყარო მონა ქალებისაგან დაბადებული ბავშვებიც იყვნენ. 1860 წლის მონაცემებით, აბაზთა სოფლებში მონა-ქალები მონა-მამაკაცებზე ორჯერ მეტი იყვნენ.

აბაზთა უძველესი საქმიანობა მეფუტკრეობაც იყო. საშინაო და საგარეო ბაზარზე თაფლი მათი ერთ-ერთი ძირითადი გასაყიდი პროდუქტი იყო. თაფლსა და ცვილს ძირითადად თურქები ყიდულობდნენ. ფუტკარი ტრადიციული ფორმის სკებში ჰყავდათ. კონუსისებური ფორმის თიხით შელესილი სკა კაკლის ხის მოქნილი ტოტებისაგან ჰქონდათ მოწნული.

მეურნეობაში დამხმარე დარგი იყო ნადირობა. მათთვის უცხო არ იყო მებაღეობა და მევენახეობაც. ვაზი, ჩვეულებრივ, მაღლა, ხეებზე ჰქონდათ გაშვებული. საოჯახო რეწვიდან და ხელოსნობიდან განვითარებული იყო მატყლის,

ტყავის, ხის დამუშავება, მჭედლობა. მატყლსა და ტყავს ქალები ამუშავებდნენ. ხის, მეტალისა და ქვის დამუშავება მამაკაცთა საქმიანობის სფეროში შედიოდა. XX საუკუნეში აბაზელთა ტრადიციულ საქმიანობაში ერთგვარი ცვლილება მოხდა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში აბაზელთა თითოეული ლოკალური ჯგუფი რიგი დამოუკიდებელი სასოფლო თემებისაგან შედგებოდა (*ქით* ან *ჯამაგლატ*). სასოფლო თემში გაერთიანებული იყვნენ როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ოჯახები. მის საფუძველს ტერიტორიულ-ეკონომიკური კავშირები წარმოადგენდა. ფუნქციონირებდა სათემო ყრილობა ან არჩევითი საბჭო, რომელშიც 10-დან 14-მდე ადამიანი შედიოდა. უხუცესთა საბჭო არჩევითი ორგანო იყო. შემორჩენილი იყო დიდი ოჯახები. XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო სასოფლო თემის ინტენსიური რღვევა, თუმცა აულის ყრილობა და უხუცესთა საბჭო კვლავაც არსებობას განაგრძობდა. არსებობას განაგრძობდა ზოგიერთი სამართლებრივი ინსტიტუტიც (მაგალითად, შუამავალთა და თანამსაჯულთა სასამართლო).

სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ ზღვისპირა აბაზებს თავადები არ ჰყავდათ. მათ ზედაფენას *უზდენი* ეწოდებოდა, რომელსაც ქართულ აზნაურს უთანაბრებენ. ერთ-ერთ გავლენიან გვარად *მარშანიას* გვარი ითვლებოდა. ცნობილია, რომ ამ გვარის წარმომადგენლები ქართველი (აფხაზი) თავადები იყვნენ და რომ ისინი საქართველოს ისტორიაში ცნობილი *მარუშიანების* შთამომავლები არიან. საძებს შორის XIX საუკუნის დასაწყისში ცნობილი გვარი ყოფილა *ცანუბაია (ცანი).*

XIX საუკუნეში აბაზებში ოჯახის ორი ფორმა არსებობდა: პატარა ანუ ინდივიდუალური ერთი, ორი, ზოგჯერ სამი თაობით და დიდი ანუ გაუყრელი ოჯახი ორი და მეტი საქორწინო წყვილით, რომელიც სამი და მეტი თაობისაგან შედგებოდა (XIX საუკუნის II ნახევარში 7-დან 20 სულამდე. 1850 წლის საარქივო მონაცემებით, ერთ-ერთი აულის დიდი ოჯახი შვიდი საქორწინო წყვილისაგან შედგებოდა – 52 სული). დიდ ოჯახში შემავალ ყოველ საქორწინო წყვილს საერთო კარ-მიდამოში ცალკე სახლი ჰქონდა დაკავებული. შედარებით პატარა ოჯახი საერთო სახლში ცხოვრობდა, რომელშიც ყოველ ცალკეულ საოჯახო წყვილს ცალკე ოთახი ეკავა. აბაზებში გაბატონებული იყო მონოგამია. XIX საუკუნის მეორე ნახევარში დიდი ოჯახის დაშლის პროცესი დაჩქარდა. დიდი ოჯახის უფროსი იყო ასაკით უფროსი მამაკაცი. მამის სიკვდილის შემდეგ, ოჯახის უფროსი მის შვილებს შორის უფროსი (*აშა*) ხდებოდა. აბაზებში არსებობდა მკაცრი სქესობრივ-ასაკობრივი იერარქია: ოჯახის ყველა წევრი მის უფროსს ექვემდებარებოდა, უმცროსი – უფროსს, ქალები – მამაკაცებს. უფროსების (უხუცესების) ტრადიციული პატივისცემა მამებსა და შვილებს შორის კონფლიქტს ფაქტობრივად გამორიცხავდა. ქალებს შორის უფროსი ოჯახის დედა იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ კი – უფროსი რძალი. შიდასაოჯახო ყოფა საუკუნეობრივი პატრიარქალური ტრადიციების საფუძველზე იყო ჩამოყალიბებული. აბაზებში საქორწინო ასაკი ქალებისათვის 16-17 წელი იყო, კაცებისათვის – 25, თუმცა 40 წლის დასაოჯახებელი მამაკაცები ცოტანი არ იყვნენ. მამაკაცების გვიანდელი ქორწინების მიზეზი *ყალიმი* იყო – მცირე შეძლების მქონე ოჯახები საპატარძლოს გამოსასყიდი თანხის შეგროვებას დიდხანს უნდებოდნენ. ყალიმში შედიოდა მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ცხენები, ცხენის აღკაზმულობა, იარაღი. საქმრო არათუ ქორწილის მომზადებაში, არამედ ქორწილშიც არ ღებულობდა მონაწილეობას. არსებობდა *ლევირატის* წეს-ჩვეულება.

ზღვისპირა აბაზებს საზოგადოებრივი ორგანიზაციის თავისებურება ახასიათებდათ – ე. წ. „ძმობა“. ყოველი *ძმობა* (*ტლეუხ*) რამდენიმე გვარისაგან (*აჩიხ*) შედგებოდა. *ტლეუხის* წევრ ქალებსა და კაცებს ერთმანეთთან დაძმური ურთიერთობა ჰქონდათ. ძმობის წევრებს მიაჩნდათ, რომ საერთო წინაპრისაგან მომდინარეობდნენ და რომ ისინი სისხლით ნათესავები იყვნენ. *ტლეუხის* შიგნით ერთმანეთზე დაქორწინება აკრძალული იყო. ასეთი ფაქტები არც ხდებოდა.

ჩვეულებითი სამართლით ტრადიციის დამრღვევთ ზღვაში გადაუძახებდნენ. სხვათა შორის, მონები არა რომელიმე ოჯახის ან გვარის საკუთრებას წარმოადგენდნენ, არამედ – *ტლეუხისა.* ქვრივიც *ძმობის* საკუთრებას შეადგენდა. მას სხვა *ძმობაში* გათხოვების უფლება არ ჰქონდა. ქმრის გარდაცვალებისთანავე ქალი, რომელიც ნაყიდი ჰყავდათ, საძმო გაერთიანების რომელიმე წევრის საკუთრება ხდებოდა.

როგორც ზღვისპირა, ისე ჩრდილოეთკავკასიელ აბაზებში სტუმართმასპინძლობის ტრადიცია საერთოკავკასიური იყო. ამ წეს-ჩვეულების უმთავრესი, ყველაზე არქაული ელემენტი იყო ნებისმიერი ადამიანის უფლება შესულიყო ნებისმიერ სახლში, ისეთშიც კი რომლის ოჯახის უფროსს საერთოდ არ იცნობდა და მიეღო ღამის გასათევი, საკვები და საჭიროების შემთხვევაში – მტრისაგან დაცვა. როგორც კავკასიის სხვა ხალხებში, აბაზებშიც სისხლის აღების ჩვეულებაზე მაღლა სტუმართმოყვარეობა იდგა. სტუმარმასპინძლობით შეეძლი ესარგებლა სრულიად უცნობ ადამიანს.

აბაზელთა ტრადიციული საჭმელები მცენარეული (ფეტვის ბურღული, სიმინდის ფქვილი, ლობიო), რძის და ხორცის იყო. ფეტვისაგან ამზადებდნენ სქელ ფაფას – *ბასტას*; ის პურის მაგივრობას სწევდა. XIX საუკუნის შუა ხანებში ერთ-ერთი ავტორი წერდა: აბაზები პურს იშვიათად აცხობენ; მას ფეტვის ან სიმინდის სქელი ფაფით ცვლიან. პასტას აციებენ და შემდეგ კვადრატულ ნაჭრებად ჭრიან და მაგიდაზე ცივი სახით მიაქვთ. აბაზთა სამზარეულოში თევზს მოკრძალებული ადგილი ეჭირა. ის არაპრესტიჟულ საკვებად ითვლებოდა. სვამდნენ სუსტ ალკოჰოლურ სასმელს, რომელსაც *ბუზას* უწოდებდნენ. *ევლია ჩელების*, რომელიც სოჭში ზღვისპირა აბაზების ქორწილში იმყოფებოდა, გაუმასპინძლდნენ წვნიანით, ცხვრის ხორცის კერძით, თაფლიანი წყლით, ბუზით და სხვადასხვა სანელებლით შეკმაზული ხორცით. თანამედროვე აბაზებში პოპულარულია *ყალმუხური ჩაი* (ჩაი შაქრით, მარილით, ერბოთი).

აბაზებს დასახლების სტაბილური ფორმა არ გააჩნდათ, რადგან, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ეკონომიკრი და პოლიტიკური მიზეზებით, აბაზთა აულების ადგილმდებარეობა ხშირად იცვლებოდა. მათი აულები თავისუფალი განაშენიანებით გამოირჩეოდა და განლაგებული იყო დიდი მდინარეებისა და ხევების გასწვრივ. ისინი უბნებად იყოფოდა და პატრონიმიული ხასიათის იყო. საცხოვრებელი სამხრეთისაკენ იყო ორიენტირებული. დაბლობში განლაგებული ტაპანთელთა სოფლები მჭიდრო და შეჯგუფული ტიპის იყო. მთაში განლაგებული აშხარელთა სოფლები ბუდისებური იყო; ის ნათესავებით იყო დასახლებული. აბაზთა ყოველი სოფელი მაგარი ღობით იყო შემოზღუდული, რომელსაც ერთი კარები ჰქონდა. ბარში გადასახლების შემდეგ, შექუჩებული, შემჭიდროებული ტიპის აულები გაქრა. აბაზების უძველესი სახლი მრგვალი და მოწნული იყო. XIX საუკუნეში ტრადიციული საცხოვრებელი ახალი ტიპის საცხოვრებელი სახლებით შეიცვალა. გაჩნდა აგურისა და ხის სახლები. კარ-მიდამოს ტერიტორიაზე ყოველ ოჯახს სტუმრებისათვის ცალკე სახლი ჰქონდა აშენებული.

ზღვისპირა აბაზებში სახვნელი და საბაღე ნაკვეთებით გარემოცული სახლები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად იყო დაშორებული. აქაც სახლები მოწნული და თიხით შელესილი იყო.

აბაზთა ფოლკლორში განსაკუთრებული ადგილი ნართების ეპოსს ეკავა. შემონახული იყო ჯადოსნური ზღაპრები, ისტორიული, შრომითი, გმირული, ლირიკული ხასიათის სიმღერები.

II. 2. აფხაზები

აფხაზები საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მცხოვრები მცირერიცხოვანი ხალხია. მათი თვითსახელწოდებაა **აფსუა**. 1990-იანი წლების მონაცემებით აფხაზების რაოდენობა 90 ათასი კაცის ფარგლებში იყო. თვით

აფხაზეთში კი 83 ათასი აფხაზი ცხოვრობდა. დღეისათვის დემოგრაფიული ვითარება აფხაზეთში კატასტროფიულად შეცვლილია. დაახლ. 300 ათასი ქართველი დევნილობაში იმყოფება. აფხაზების გარკვეულმა ნაწილმაც დატოვა აფხაზეთი. მათ რაოდენობას ახლა 70 ათასამდე კაცს ანგარიშობენ. აფხაზებისაგან, ფაქტობრივად, მთა და მთისწინეთი დაიცალა. ისინი ქალაქ სოხუმსა და ზღვისპირა რაიონებში ქართველთა კუთვნილ სახლებში ჩასახლდნენ. საბჭოთა ხელისუფლების დროს მოსახლეობის პირველი – 1926 წლის აღწერით საქართველოში 56.847 აფხაზი იყო აღრიცხული. 1939 წელს მათი რაოდენობა 57.226 კაცით განისაზღვრებოდა, 1959 წელს – 62.878, 1970 წელს – 79.449, 1979 წელს – 85.285, 1989 წელს – 95.853 კაცით. უნდა ითქვას, რომ ეს მონაცემები მთლად რეალური არაა, რადგან საბჭოთა პერიოდში ქართველთა მნიშვნელოვან ნაწილს აფხაზები აფხაზებად წერდნენ. რაც შეეხება აჭარაში მცხოვრებ აფხაზებს, მათ შესახებ 1926 წლის აღწერაში მონაცემები არაა დაფიქსირებული. 1939 წელს აქ 1.029 აფხაზი იყო აღრიცხული, 1959 წელს – 1.157, 1970 წელს – 1.361, 1979 წელს – 1.508, 1989 წელს – 1.636, 2002 წელს – 1.558. აჭარაში აფხაზების განსახლების არეალი ძირითადად ქალაქი ბათუმი და ხელვაჩაურის რაიონია. ცოტა იქით, XIX საუკუნეში თუ გადავიხედავთ, უტყუარი მონაცემები გაგვაჩნია აფხაზთა რაოდენობის შესახებ 1886 წლისათვის. ამ წლის საოჯახო სიების მიხედვით 60.432 აფხაზი იყო აღრიცხული. მაგრამ, როგორც ამავე აღწერით ირკვევა, სამურზაყანოელი ქართველები აფხაზებზე იყვნენ მიწერილი (თუმცა „ნაროდნოსტის“ გრაფაში მათ *სამურზაყანოელები* აქვთ მიწერილი). სამურზაყანოელების რაოდენობა კი ამ დროს 30.640 კაცი იყო. რეალურად XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში 29.792 აფხაზი ითვლებოდა. 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკით აფხაზეთში 38.121 აფხაზი მკვიდრობდა (ეს მთელი მოსახლეობის 21,4% იყო). რაც შეეხება აჭარას, 1886 წელს აქ, ბათუმის ოკრუგში სულ 915 აფხაზი იყო აღრიცხული. აფხაზთა რაოდენობის შესახებ უფრო ადრინდელი მონაცემები არ გაგვაჩნია. მეცნიერთა გამოანგარიშებით 1770-იან წლებში აფხაზეთში (დღევანდელ საზღვრებში) დაახლ. 64 ათასი კაცი ცხოვრობდა. რამდენი იყო ამ რაოდენობიდან ქართველი და რამდენი აფხაზი, ეს განსაზღვრული არ არის. 1800 წლისათვის აფხაზების რაოდენობას 30 ათასს ანგარიშობენ. 1832 წლისათვის კი – 34,8 ათასს. XIX საუკუნის პირველი მესამედის გერმანელი ავტორის *ედუარდ აიხვალდის* მონაცემებით, აფხაზეთში 8 720 კომლი და 52 320 მოსახლე ცხოვრობდა. ამ რაოდენობაში არ შედის სამურზაყანოს მოსახლეობა, რომელთა რიცხოვნობაც მაშინ 10 788 სული ყოფილა (1798 კომლი). აფხაზთა დემოგრაფიულ მონაცემებზე საუბარი იმით უნდა დავამთავროთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ამ ეთნოსის პროცენტული რაოდენობა 15-დან 18-მდე მერყეობდა, თუმცა მათი პროცენტი 1926 წელს 25,6 იყო. შემდგომ წლებში, მართალია, ისინი რაოდენობრივად იმატებდნენ, მაგრამ პროცენტულად დაიკლეს, რაც ძირითადად აქ სომხების, რუსების და ბერძნების მასობრივმა შემოსახლებამ განაპირობა. **1886 წლიდან 1989 წლამდე აფხაზეთში რუსული მოსახლეობის რაოდენობა თითქმის 70-ჯერ გაიზარდა (1216-დან 74.914-მდე), 73-ჯერ – სომხური მოსახლეობა (1.090-დან 76.541-მდე).**

აფხაზთა შთამომავლები ცხოვრობენ აგრეთვე თურქეთსა და რამდენიმე არაბულ ქვეყანაში, სადაც მათი წინაპრები მუჰაჯირობის დროს გადასახლდნენ. აფხაზთა მიგრაციის პირველი ტალღა 1867 წელს განხორციელდა, მეორე – 1877 წელს. პირველი მიგრაციული ტალღის დროს 19.342 კაცი გადასახლებულა, მეორე მიგრაციული ტალღის დროს – 31.964 კაცი. ამავე დროს, აფხაზთა მცირე ნაწილი აჭარაში დამკვიდრდა. ოსმალეთში გადასახლებულ აფხაზთა ნაწილი ცარიზმის ხელის შეშლის მიუხედავად, როგორც ცნობილია, უკან დაბრუნდა.

აფხაზურ ეთნოსში ორი ეთნოგრაფიული ჯგუფი გამოიყოფა: **აბჟუელები** და **ბზიფელები**, შესაბამისად, აფხაზური ენა, რომელიც კავკასიურ ენათა ოჯახის

ადიღეურ-აფხაზურ ჯგუფში შედის, ორი დიალექტის (*აბჟუურის* და *ბზიფურის*) ერთობლიობას წარმოადგენს. აფხაზური ენა უდამწერლობო ენა იყო. სალიტერატურო ენა მხოლოდ XX საუკუნეში ჩამოყალიბდა. მას საფუძვლად უდევს აბჟუური დიალექტი. აფხაზური ანბანი პირველად რუსული გრაფიკის საფუძველზე 1862 წელს შეიქმნა. ანბანი რამდენჯერმე შეიცვალა. 1892 წელს *დ. გულიამ* და *კ. მაჭავარიანმა* იმავე რუსული გრაფიკის საფუძველზე ახალი აფხაზური ანბანი შექმნეს (*დიმიტრი გულია* აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელიცაა). 1926-1928 წლებში მოქმედებდა *ნ. მარის* ანალიტიკური ანბანი, 1928-1938 წლებში – ლათინიზებული ანბანი, 1938-1954 წლებში – ქართული ანბანი, 1954 წლიდან – ძირითადად რუსული გრაფიკის საფუძველზე შემუშავებული ანბანი. თავდაპირველად იბეჭდებოდა საანბანო და სასულიერო ხასიათის წიგნები, პოპულარული ბროშურები. 1920-იანი წლებიდან ფართო გასაქანი მიეცა აფხაზურ მწერლობასა და მწიგნობრობას. აფხაზეთში აფხაზურ ენაზე მხოლოდ დაწყებით კლასებში სწავლობენ. მართალია, აფხაზები ენობრივად ჩრდილოეთკავკასიელი ადიღეელების მონათესავენი არიან, მაგრამ კულტურული და ანთროპოლოგიური თვალსაზრისით მათ უფრო მეტი საერთო აქვთ ქართველებთან, რადგან ეს ორი ხალხი, კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით, მჭიდროდაა დაკავშირებული და დღევანდელ აფხაზთა ეთნოგენეზში ქართველებს ლომის წილი უდევთ.

თანამედროვე აფხაზები ანთროპოლოგიურად ქართველებთან ერთად განეკუთვნებიან ინდოხმელთაშუაზღვის რასის წინააზიურ შტოს, მაშინ, როდესაც აფხაზთა ენობრივი ნათესავები – ადიღე-ჩერქეზები გაერთიანებული არიან ამავე რასის პონტოურ შტოში. ანთროპოლოგიურად აფხაზები უფრო ახლოს არიან დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ჯგუფებთან (მეგრელებთან, გურულებთან, აჭარლებთან), ვიდრე ადიღე-ჩერქეზ-ყაბარდოელებთან. აფხაზების ქართველებთან მსგავსებას *ვახუშტი ბაგრატიონიც* აღნიშნავდა: „კაცნი მგვანენი მეგრელთა და უმეტეს ცქუტნი და ტანოვანნი, წერწეტნი“. *აიხვალდის* სიტყვებით, „აფხაზთა სახის წყობა გამოირჩევა ჩერქეზებისაგან; მათი ნაკვთები ნაკლებ სწორია; სახის ფერი მოშაო-ყავისფერი, თმები შავი, ტანი ხმელი, საშუალო სიმაღლის, მაგრამ მოყვანილი. ისინი შეჩვეული არიან სიველურეს, არიან უხეშნი, უნდონი და შურისმაძიებლები. მოსისხლე მტრები არიან მეზობელი მთის ხალხების. არ აქვთ კანონები, არ ეშინიათ თავისი ბატონების და მხოლოდ თავის იარაღს ენდობიან, რომელსაც არასდროს არ იშორებენ“.

დღევანდელი აფხაზები სარწმუნოებით არიან როგორც მუსლიმი სუნიტები, ისე მართლმადიდებელი ქრისტიანები. ძველი აფხაზები კი, როგორც ყველა საისტორიო წყაროთი ირკვევა, ქრისტიანები იყვნენ. აფხაზეთის მოსახლეობის ქრისტიანობისაგან მიქცევა აშკარად გვიან შუა საუკუნეებში მოხდა. ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით, „აფხაზნი არღარა მონებენ რჯულსა და სარწმუნოებასა“. ისლამი აქ თურქთა ბატონობის ხანაში გავრცელდა (XVIII ს.). რუსების აფხაზეთში შესვლის მომენტისათვის, ეთნიკური აფხაზების დიდი ნაწილი ფორმალურად მაჰმადიანი, მაგრამ ფაქტობრივად წარმართული რწმენა-წარმოდგენების მიმდევარი იყო. რუსეთის იმპერიის მიერ თავის საზღვრებს გარეთ გასახლებული მუჰაჯირი აფხაზები მაჰმადიანები იყვნენ.

აფხაზთა ეთნიკური ისტორიის შესახებ განსხვავებული წარმოდგენა აქვთ ქართველ და აფხაზ მეცნიერებს. აფხაზი მკვლევარების მტკიცებით, მათი წინაპრები ოდითგანვე აქ ცხოვრობდნენ და აქ ჩამოყალიბდნენ ეთნოსად და რომ ისინი წყაროებში მოხსენიებული *აბაზგების* და *აფსილების* უშუალო მემკვიდრეები არიან. ქართულ ისტორიოგრაფიაში კი აფხაზების წარმომავლობის, ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის შესახებ რამდენიმე შეხედულებაა. ერთი მათგანი იზიარებს აფხაზ ისტორიკოსთა შეხედულებას, რომ აფხაზები კოლხეთის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრები *აბაზგების* და *აფსილების* შთამომავალნი არიან. მეცნიერთა სხვა ნაწილი ფიქრობს, რომ დღევანდელ აფხაზთა წინაპრები ნამდვილად აბაზგები

და აფშილები არიან, რომლებიც ბერძნული წყაროების მიხედვით დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის ჩრდილოეთ მონაკვეთში I-II საუკუნეებში იხსენიებიან. მაგრამ აფხაზური (აბაზური) მოდგმის აფსილებმა (აფშილებმა) და აბაზგებმა (აფხაზებმა) ქართულ სახელმწიფოში ხანგრძლივად ცხოვრების გამო, ქართული კულტურის დიდი გავლენა განიცადეს. ისინი კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ქართველები იყვნენ (თუმცა ჰქონდათ საკუთარი საოჯახო სამეტყველო ენა). აფხაზთა ზედაფენა კი, ფაქტობრივად, გაქართველებული იყო – ისინი ქართველი ფეოდალები იყვნენ. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ (XV საუკუნის II ნახევარი), აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩრდილოეთ კავკასიიდან აბაზური და ადიღეური ტომების მიგრაციის შედეგად, აფხაზთა კვლავ ადიღეური ეთნიკური ერთობისაკენ მიბრუნება მოხდა და არა მხოლოდ ეთნიკური თვალსაზრისით – სოციალურადაც და კულტურულადაც ისინი ძველ ვითარებას დაუბრუნდნენ. მეცნიერთა ერთი ჯგუფი კი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ აბაზგებიცა და აფშილებიც იმთავითვე ეთნიკურად ქართველი ტომები იყვნენ, რომლებმაც გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელების აფხაზეთის ტერიტორიაზე ინტენსიური მიგრაციის შედეგად ეთნიკური იერსახე იცვალეს, ე. ი. „გააფხაზდნენ“. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჩრდილოეთ კავკასიურმა ადიღეური და აბაზური მოდგმის ხალხებმა აფხაზეთში მიგრაციის შედეგად აფხაზეთის ძველი მკვიდრი ქართველების – აფხაზური ეთნონიმი მიიღეს. კიდევ უფრო რომ დავაკონკრეტოთ, ქართველებმა აქ მოსულ ახალ ეთნოსს მკვიდრი აფხაზების ეთნონიმი მიაკუთვნეს.

ეს უკანასკნელი შეხედულება ჩვენთვის არაარგუმენტირებულია. მიგვაჩნია, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში აფხაზური ეთნოსის წარმომადგენლები I-II საუკუნეებიდან მკვიდრობდნენ, რომლებიც ინტეგრირებულნი იყვნენ ქართულ სახელმწიფოებრივ, კულტურულ და სოციალურ სისტემაში, რომ მათ ჰქონდათ საკუთარი საოჯახო სამეტყველო ენა – აფხაზური (ანუ აბაზგური) ენა. სალიტერატურო, საღვთისმეტყველო, სახელმწიფო ენა აფხაზებისათვის და, მითუმეტეს, მათი ზედაფენისათვის მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენა იყო. ამიტომაა რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ძველი აფხაზები, სრულიად სამართლიანად, კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით, ქართველებად არიან მიჩნეული. ძველი აფხაზების კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ქართველობას გულისხმობს ეთნოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისი, რომ ისტორიულად აფხაზური ეთნოსი ქართველი ერის ასოცირებული წევრი იყო.

უფრო დაწვრილებით შევეხოთ აფხაზთა ისტორიისა და ქართულ-აფხაზური პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ეთნიკური ისტორიის საკითხებს. როდესაც აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ საუბრობენ, სამეცნიერო ლიტერატურასა და საენციკლოპედიო გამოცემებში ხშირად მცირე აზიაში განსახლებულ *აბეშლებსა* და *ქაშქებს* ახსენებენ, რომლებიც ძვ. წ.-ის XI საუკუნეში პირველად იხსენიებიან. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ აფხაზები თითქოსდა ამ აბეშლაელთა შთამომავალნი არიან, რადგან პარალელს ავლებენ დღევანდელ აფხაზეთის ტერიტორიაზე ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან მოსახლე აფსილებთან (აფშილებთან). ე. ი. აქედან უნდა მივიღოთ დასკვნა, რომ მათი წინაპრები მცირე აზიიდან ყოფილან მიგრირებული და ეთნონიმსაც ათეული საუკუნე გაუძლია და ჩვენამდე მოუღწევია. მხოლოდ ეთნონიმების მიმსგავსებით სერიოზულული ეთნოგენეტიკური საკითხები არ წყდება.

საისტორიო წყაროებით აშკარაა, რომ აფხაზთა წინაპარი ტომების მოსვლამდე დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის ყველა მონაკვეთში ქართველთა ტერიტორიული ერთეულები (სვანები და ზანები) ცხოვრობდნენ. აფხაზეთის მიწა-წყალი მთლიანად შედიოდა კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში (ძვ. წ.-ის VI-II სს.). ძვ. წ.-ის VI-IV საუკუნეებში დიოსკურიიდან (ცხუმი) ბიჭვინთის რაიონის

ჩათვლით ძველი ბერძნული წყაროების მიხედვით **კოლხები, კოლები** და **კორაქსები** მკვიდრობდნენ. მათგან ჩრდილო-დასავლეთით კი **ჰენიოხები** არიან მოხსენიებულნი. ახ წ.-ის I საუკუნეში ჩრდილოეთ კოლხეთის სანაპიროზე **სანიგები** არიან დასახელებულნი. ზოგიერთ ბერძნულ წყაროში I-II საუკუნეებში პონტოს ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში მხოლოდ ორი ტომობრივი ერთეული – **სანიგები** და **ლაზები** არიან მითითებული. ძალიან ბევრ მკვლევარს, სრულიად სამართლიანად, სანიგები ქართველური მოდგმის ტომად მიაჩნია, ოღონდ მათი ერთი ნაწილი სანიგებს სვანური მოდგმის ერთეულად თვლის, მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ ისინი ზანები (მეგრელ-ჭანები) იყვნენ, საპირისპიროდ აფხაზი მკვლევარებისაგან, რომლებიც დაბეჯითებით წერენ იმის შესახებ, რომ სანიგები მათი წინაპრები იყვნენ. გადაჭრით ძნელია თქმა სანიგები სვანები იყვნენ თუ ზანები. ფაქტია, რომ აფხაზეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი მონაკვეთი ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში სვანური მოდგმის ტომებს ეკავათ. აქ შეიძლება გავიხსენოთ სტრაბონის ცნობა, რომ დღევანდელი სოხუმის მახლობლად, **დიოსკურიის** თავზე სვანები ცხოვრობდნენ. სამართლიანადაა შენიშნული, რომ თანამედროვე აფხაზეთის აღმოსავლეთი მთიანი მხარე, კოდორის ხეობა თავის დროზე სვანებს ეკავათ და, როგორც აშკარად ჩანს, ამ ხეობით ისინი შავი ზღვის სანაპირო ზოლშიც გადიოდნენ. აღნიშნულის ყველაზე დიდი არგუმენტი კი ისაა, რომ სოხუმის ძველი სახელწოდება (აფხაზეთის სხვა ტოპონიმებთან ერთად) სვანურის საშუალებით იხსნება (**ცხუმი სვანურად რცხილაა**). ისიც გასათვალისწინებელია, რომ **დიოსკურია (ცხუმი) სანიგების სამთავროში შედიოდა**. სამართლიანადაა შენიშნული, რომ სანიგებს მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ეჭირათ, ლაზები კი უფრო სანაპირო და ბარის ტერიტორიაზე იყვნენ განსახლებული.

ახ. წ.-ის I საუკუნიდან შავიზღვისპირეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ეთნოპოლიტიკური სიტუაცია იცვლება. არენაზე ჩნდებიან ადიღეურ-აბაზური მოდგმის ტომები. სხვათა შორის, „ქართლის ცხოვრების“ ავტორს – *ჯუანშერს* საყურადღებო ცნობა აქვს დაცული. წყაროში მითითებულია, რომ დღევანდელი აფხაზეთის ჩრდილოეთით **ჯიქები** (ანუ იგივე **ზიხები**) ჩრდილოეთ კავკასიიდან მიგრირდნენ და მათი გადმოსახლების მიზეზი თურქული ტომების მოწოლა გამხდარა: **„...შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან, და წავიდნეს პაჭანიკნი დასავლით-კერძო, ხოლო ჯიქნი დამკჳდრნეს ბოლოს აფხაზეთისასა“. ჩრდილოეთ კავკასიის ადიღეელთა მთიელი ტომები შავიზღვისპირეთში იჭრებიან ახ. წ.-ის I საუკნეში. ეს კოლხეთის სამეფოს დაცემითაც იყო განპირობებული.** სხვათა შორის, გამოთქმულია სრულიად საყურადღებო მოსაზრება (*გ. კლიმოვი*), რომ აფხაზების განსაკუთრებული მდგომარება აფხაზურ-ადიღეურ ლინგვისტურ და ეთნიკურ გაერთიანებაში „აიხსნება მათი სიახლოვით დასავლურქართულ ტიპთან“. უფრო მეტი, აფხაზთა ეთნოგენეზი დაკავშირებულია „რომელიღაც დასავლურ ქართული ჯგუფის ადიღეურ მეტყველებაზე გადასვლასთან“. ეს კონტაქტები აფხაზურ-ადიღეურ და ქართველურ ენებს შორის კი იმავე გ. კლიმოვის ვარაუდით საკმაოდ ადრე მოხდა. ჩვენი ვარაუდით ეს შერევა-კონტაქტები აფხაზურ-ადიღეურ და ქართულ მოსახლეობას შორის თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში და უფრო ჩრდილოეთითაც უნდა მომხდარიყო. არც იმის დავიწყება არ შეიძლება, რომ აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობა საქართველოს შავიზღვისპირეთის აღნიშნულ მონაკვეთში სწორედ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში ჩნდება და, რომ ადიღეური ენობრივ-ეთნიკური ერთობის უშუალო წინაპრები მეოტები იყვნენ, რომლებიც აზოვისპირეთსა და უფრო ჩრდილოეთითაც მკვიდრობდნენ. ადიღეელთა წინაპარი მეოტების სამხრეთით წამოწევა კი რამდენიმე ეტაპად მოხდა: პირველი ეტაპი ირანულენოვან სარმატებთან შეხება იყო, ხოლო მეორე ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნში ევრაზიის სივრცეში მოსულ ჰუნებს უკავშირდება, რომელთა გამოჩენამაც საკმაოდ შეცვალა კავკასიაში არსებული ეთნიკური

ვითარება და ხელი შეუწყო არა მხოლოდ ეთნოსთა ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლებას, არამედ განსხვავებული ლანდშაფტების ზონებში ახალი ეთნოსების წარმოქმნას. რომელი ქართული ეთნიკური ერთობის ასიმილაცია უნდა მოეხდინათ მეოტ-ადიღეელებს? ესენი იყვნენ ანტიკურ წყაროებში მოხსენიებული კოლხები, კორაქსები, კოლები, ჰენიოხები და სანიგები.

ანტიკური წყაროების მიხედვით, ახ. წ.-ის I-II საუკუნეებიდან პირველად ჩნდებიან *აფსილები* და *აბაზგები* (შესაბამისად აფსილთა ქვეყანა და აბაზგთა „ქვეყანა“), რასაც ქართული წყაროების *აფშილეთი* და *აფხაზეთი* შეესატყვისება. მკვლევართა დიდი ნაწილი აფსილებსა და აბაზგებს (აბასკებს) თანამედროვე აფხაზების წინაპრებად თვლის. აფსილები მდ. კელასურის მარჯვენა მხარეს, ჩრდილო-დასავლეთით იყვნენ განსახლებულნი. შემდეგ მათ აბასკები (აბაზგები) ესაზღვრებოდნენ. ირკვევა, რომ ადგილობრივი ზანური მოდგმის ტომებთან აფსილები/აფშილები/ შერეული ცხოვრობდნენ. თავდაპირველად მათ დაუკავებიათ ტერიტორია კოდორიდან ღალიძგამდე. მაგრამ შემდეგ ისინი ლაზებს დაუძლევიათ და აფსილებს ჩრდილოეთისაკენ გადაუნაცვლიათ. ცხუმი IV საუკუნეში აფშილების მიწა-წყალზეა. აფშილებს არა მარტო სანაპირო ზოლი, არამედ მთიანი ხეობებიც ეკავათ, სადაც ისინი სვანებს ესაზღვრებოდნენ. ადრე კი (II ს.) ცხუმი (სებასტოპოლისი) სანიგების მიწაზე იყო. VI საუკუნეში პროკოფი კესარიელის მიხედვით, აფსილეთი/აფშილეთი შავი ზღვის სანაპიროზე მდინარეებს კოდორსა და მდ. გუმისთას (ცხუმის ჩრდილოეთით) ლოკალიზდება. ჩრდილოეთით კი აბაზგები მკვიდრობდნენ. IV-VI საუკუნეებში აფშილეთი ლაზიკის (ეგრისის) სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. VII საუკუნის პირველ ნახევარში აფშილეთის დასავლეთი ნაწილი აბაზგიასთან გაერთიანდა და აფშილეთმა დამოუკიდებლობის სტატუსი დაკარგა, ხოლო აფშილეთის აღმოსავლეთი ნაწილი (მდ. კოდორის სამხრეთით) ეგრისს შეერწყა. საისტორიო მეცნიერებაში აღიარებულია, რომ აფსილეთსა/აფშილეთს) და აბაზგიას/აფხაზეთს შორის საზღვარი ანაკოფიიდან აღმოსავლეთით, მდ. გუმისთაზე გადიოდა.

დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის გარკვეულ მონაკვეთში, **მდ. კოდორის ზემო წელში VI საუკუნეში *მისიმიანელები* მკვიდრობდნენ, რომლებიც ჩრდილოეთით კავკასიონის ქედამდე იყვნენ განსახლებულნი**. მისიმიანელებს ჩრდილო-დასავლეთით აბაზგები ესაზღვრებოდნენ. ისტორიოგრაფიაში დადგენილია, რომ ისინი ქართველი მთიელი – სვანები (სვანთა ერთ-ერთი ტერიტორიული თემი) იყვნენ. ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, სტრაბონის ცნობა უნდა გავიხსენოთ, რომლის მიხედვითაც დიოსკურიის თავზე, ე. ი. კოდორის ხეობის მთიან მონაკვეთში, სვანები ცხოვრობდნენ. ისევე როგორც აფშილები და აბაზგები, მისიმიანებიც ლაზების (ეგრისელების) ქვეშევრდომები იყვნენ. ეთნონიმი **მისიმიანი** სვანთა თვითსახელწოდების ***მუშვანის*** ბერძნული ვარიანტი იყო. აფშილთა და მისიმიანელთა ქვეყნებს შორის ბიზანტიელი ავტორები **ფუსტის** ციხე-სიმაგრეს ასახელებენ. *ფუსტიც* სვანური ტოპონიმია. ის „ბატონს“, ღვთაებას აღნიშნავს. აღარას ვამბობთ კოდორის ხეობის ზემო წელის სახელწოდებაზე – ***დალი***. „დალი“ სვანთა ერთ-ერთი უძველესი ღვთაება იყო.

ამრიგად, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფშილები ერთი მხრივ, სვანებს და მეორე მხრივ, ლაზებს ემეზობლებოდნენ. მურვან-ყრუს დასავლეთ საქართველოში ლაშქრობების დროს, VIII საუკუნის 80-იან წლებში მდ. *კელასური* საბერძნეთსა და საქართველოს შორის საზღვარს წარმოადგენდა. ე. ი. აღნიშნული დროისათვის აფშილეთის ტერიტორია საქართველოს მიწა-წყალია, ხოლო აბაზგია (აფხაზეთი) ბერძენთა ქვეშევრდომობაში შედიოდა. აფხაზ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ აფშილები, ისევე როგორც აბაზგები, აფხაზთა წინაპრები იყვნენ. აბაზგები და აფშილები თუ ერთი და იგივე მოდგმის ხალხები იყვნენ, მაშინ რატომღა მოიხსენიებოდნენ ისინი სხვადასხვა ხალხებად? რატომ აღინიშნებოდნენ სხვადასხვა ეთნონიმით? აფშილს ანალოგია აქვს დღევანდელ აფხაზთა

თვითსახელწოდებასთან *აფსუა* (ქართული წყაროების *აფსარი*). ერთიც და მეორეც აბაზების დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე განსახლების შედეგადაა წარმოქმნილი. აფსილში (აფშილში) მკვლევარები სამართლიანად გამოყოფენ *აფს* ფუძეს და *-ილ* სუფიქსს, რომელიც სადაურობის აღმნიშვნელი ქართული *-ულ* სუფიქსის ფარდია. აბაზი ტომების სამხრეთ-აღმოსავლეთით წამოწევის შემდეგ, სადაც ქართველური მოდგმის სვანები (სანიგები) და ლაზები (მეგრელები) მკვიდრობდნენ, ფაქტობრივად ახალი ეთნიკური ერთეული იქმნება, რომლის სახელწოდების ფუძესაც არაქართული *აფს* წარმოადგენს. ქართველურ გარემოში დასახლებული აბაზური მოდგმის ტომები ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ და კოლხური კულტურული ტრადიციები გაითავისეს. ლაზების პოლიტიკურ დაქვემდებარებაში ყოფნამ ეს პროცესი უფრო დააჩქარა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აფშილებმა ქრისტიანობა ლაზებთან ერთად მიიღეს. ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრილი აბაზები სვანებს, სანიგებს და ლაზებს (მეგრელებს) შორის აღმოჩნდნენ და დასავლეთ ქართული ენობრივი და კულტურული სამყაროს გავლენით არსებითი ცვლილება განიცადეს. **აფსილები (აფშილები) ზანურენოვანი მოსახლეობა იყო, რომლებიც ზანური, სვანური და მოსული აბაზური ელემენტების შერევის შედეგად ჩამოყალიბდნენ**. VIII საუკუნის შემდეგ აფსილები (აფშილები) წყაროებში აღარ იხსენიებიან. ქართული წყაროებით, ცხუმი აფშილეთის ქალაქი იყო. ეგრისის დასუსტების გამო, VIII საუკუნეში აფხაზთა საერისთავომ ჯერ აფშილეთი და შემდეგ მისიმანეთიც შეიერთა. თანდათან დაიწყო მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანების პროცესი. გაერთიანებული დასავლეთ საქართველო ლეონ ერისთავმა რვა საერისთავოდ დაყო, რომელთაგანაც ორს *აფხაზეთისა* და *ცხუმის საერისთავოები* ერქვათ. **აფხაზეთი ადრინდელ აბაზგიას მოიცავდა, ცხუმი კი – აფშილეთს.** ჩვენი აზრით, **აფშილეთის სახელწოდების გაქრობა და ცხუმის საერისთავოდ სახელდება იმით იყო გამოწვეული, რომ VIII საუკუნიდან ამ ტერიტორიის მოსახლეობას წარმოადგენდნენ არა აფშილები, არამედ ზანები (მეგრელები).**

აფსილებს (აფშილებს) ჩრდილოეთით აბაზგები ემეზობლებოდნენ. მათ ბერძნული წყაროები პირველად ახ. წ.-ის II საუკუნეში აფსილებსა და სანიგებს შორის მოიხსენიებენ. აბაზგია ამ დროს რომის ხელქვეითი „ქვეყანა“ (სამთავრო) იყო, რომლის მთავრებს რომის იმპერატორი ამტკიცებდა. აბაზგების დაწინაურებას რომაელი იმპერატორები უწყობდნენ ხელს, რომლებსაც ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსასვლელი გზები უნდა ჩაეკეტათ. ისინი თანდათან სანიგების მიწა-წყალზე გაბატონდნენ. თუ ახ. წ.-ის II საუკუნეში სანიგებს ეკავათ ტერიტორია – ზღვის ზოლი სებასტოპოლისიდან (ცხუმიდან) მდ. ახეუტამდე (შახემდე), შემდეგ დროში მათ ამ ტერიტორიის მხოლოდ ვიწრო ზოლი – სებასტოპოლისიდან მდ. ბზიფამდე აქვთ დარჩენილი. ჩრდილოეთით მდ. ბზიფიდან მდ. ახეუნტამდე (შახემდე) უკვე აბასკთა პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ასე რომ, სანიგების მიწა-წყლის ნაწილი აბაზგთა შემადგენლობაში შევიდა. მაგრამ ჩრდილოეთიდან ახალი მიგრაციული ნაკადის შემოსვლის შემდეგ, მალე სანიგთა დანარჩენი ტერიტორიაც აბაზგების კუთვნილება გახდა. IV საუკუნიდან აბაზგია უკვე ლაზიკის (ეგრისის) სამეფოში შედიოდა. იმდროინდელი აბაზგები (VI ს.) ორი ტომობრივი ერთეულისაგან შედგებოდნენ, რომლებსაც შესაბამისად ორი არქონტი (მთავარი) მართავდა. მათ ეგრისის მეფე ამტკიცებდა. დასავლეთ აბაზგია პიტიუნტის (ბიჭვინთის) დასავლეთით მდებარეობდა. მის აღმოსავლეთით კი აღმოსავლეთ აბაზგია იყო. ე. ი. აბაზგების ორ ტომობრივ გაერთიანებას შორის საზღვარი მდ. აბასკოეზე (ბზიფზე) გადიოდა. აფშილებისაგან განსხვავებით, აბაზგები, საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, დაბალ საფეხურზე იდგნენ. აბაზგები VI საუკუნეში იმპერატორმა იუსტინიანემ ძალით გააქრისტიანა. ეს განსაკუთრებით დასავლეთ აბაზგებზე ითქმის, რომლებიც ბიჭვინთის იქით ცხოვრობდნენ. აბაზგია, ლაზიკასთან ერთად, სასანურ ირანსა და ბიზანტიას

ებრძოდა. 550 წელს აბაზგები ბიზანტიას აუჯანყდნენ, მაგრამ დამარცხდნენ. VI-VII საუკუნეებში აბაზგიაში არსებითი ეთნოპოლიტიკური ცვლილებები მოხდა. ბიზანტია ცდილობს აბაზგები ლაზიკის წინააღმდეგ გამოიყენოს. მათი მხარდაჭერით აბაზგები მეზობელი ტომების (ლაზები, მისიმიანები, აფშილები) მიწა-წყლის ხარჯზე ტერიტორიებს იფართოვებენ. VII საუკუნის პირველ ნახევარში აბაზგია ბიზანტიამ ლაზიკის სამეფოსაგან გამოყო და თავის ადმინისტრაციას დაუქვემდებარა. VII-VIII საუკუნეებისათვის პოლიტიკურად გაძლიერებულმა აბაზგებმა თავისი აღმოსავლეთელი მეზობლების აფსილეთის (აფშილეთის) სანაპირო ტერიტორიაც შეიერთეს. ამიერიდან აფშილეთის ქალაქი ცხუმი (სებასტოპოლისი) აბაზგების (აფხაზების) ქალაქად იქცა. ამრიგად, მის შემადგენლობაში შევიდა დასავლეთ აფშილეთი, სანიგებისა და მისიმიანელების მიწა-წყალი. ტერმინმა აბაზგიამ პოლიტიკური შინაარსი მიიღო. ის მოიცავდა როგორც ამ მხარეში მოსახლე საკუთრივ აბაზგური, ისე აფშილური, ქართული (მეგრული და სვანური) ტომებით დასახლებულ ტერიტორიას, ე. ი. აღნიშნავდა იმას, რასაც ქართული სახელწოდება „აფხაზთა სამთავრო“. ეკლესიურად აბაზგია ერთ საარქიეპისკოპოსოს წარმოადგენდა, რომლის მღვდელმთავრის რეზიდენცია სებასტოპოლისში იყო. აბაზგიის (აფხაზეთის) საარქიეპისკოპოსო კონსტანტინეპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდა.

ამრიგად, აბაზგიის (აფხაზეთის) საერისთავოს გაძლიერება ბიზანტიის დახმარებით მოხდა, რაც პირველ ყოვლისა, მის ტერიტორიულ გაფართოებაში გამოიხატა. თავდაპირველად მას ეჭირა ტერიტორია მდ. *გუმისთიდან* მდ. *ფსოუმდე.* შემდეგ ის გაფართოვდა როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით. **VIII საუკუნის 30-იანი წლებიდან აფხაზეთის სამთავრო მოიცავდა შავიზღვისპირეთის მიწა-წყალს მდ. *კელასურიდან* მდ. *ნიკოფსიამდე.* მის შემადგენლობაში შედიოდა, როგორც ძველი აფშილეთის ტერიტორიის ნაწილი ქალაქ სებასტოპოლისის (*ცხუმის*) ჩათვლით, ისე ჯიქეთი (ზიხია), რომელიც აბაზური მოდგმის ხალხით იყო დასახლებული.**

აფხაზეთის სამთავროს ტერიტორიაზე VI-VIII საუკუნეებში აშკარად შეინიშნება ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართული კულტურის გავლენა. ამ პერიოდში აშენდა ქართული საეკლესიო არქიტეტურის ძეგლები. სრულიად სამართლიანადაა აღნიშნული (*დავით მუსხელიშვილი*), რომ იმ დროის აფხაზეთის ტერიტორიაზე, ბერძნულ-ბიზანტიურთან ერთად, ქართული ქრისტიანული თემებიც არსებობდა. თანდათან ქართულმა ფეოდალურმა კულტურამ ბერძნული კულტურა დაჯაბნა. აფხაზეთის აფხაზურენოვან და ქართველურენოვან მოსახლეობაში (არა მხოლოდ ზედაფენებში) ქართულმა ქრისტიანულმა კულტურამ და ქართულმა ენამ პრიორიტეტი მოიპოვა. **მდ. *კელასურიდან* მდ. *ნიკოფსიამდე* მდებარე აფხაზეთის სამთავროს მოსახლეობა, რომლებსაც აფხაზებს უწოდებდნენ ვიწრო ეთნიკურ საზღვრებს გასცდა და ის პოლიტიკურ ტერმინად იქცა**. ამ დროიდან ის აღნიშნავს არა მხოლოდ ერთი წარმომავლობის აბაზური (აბაზგური, აფხაზური) მოდგმის ტომს (ეთნოსს), არამედ ამ მხარის (სამთავროს) ქართულ მოსახლეობასაც. ასე რომ, **აბაზგები (აფხაზები) ეთნიკურად ნარევი იყვნენ**. ეს ნარევობა აფხაზურმა ეთნოსმა დღემდე შეინარჩუნა, რაც გვარსახელებზე დაკვირვებითაც ნათლად ჩანს. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში აბაზეთიდან მიგრირებული აფხაზური მოსახლეობა ერთი ეთნოსის განვითარების შედეგად არ ფორმირებულა. ისინი ქართულ მოსახლეობასთან (სვანები, მეგრელები) შერევის შედეგად ჩამოყალიბდნენ. ენა აბაზთა მსგავსი ჰქონდათ, მაგრამ ქართველურ ეთნოკულტურულ სამყაროსთან კონტაქტების შედეგად, კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით, ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც მეგრელები და სვანები. საუკუნეთა განმავლობაში აფხაზების (ყოფილი აბაზგების) მიერ საოჯახო სამეტყველო ენის შენარჩუნებას ჩრდილოეთ კავკასიიდან ადიღეური ტომების და ზღვისპირეთიდან აბაზებისა და უბიხების მუდმივი შემოდინება განაპირობებდა.

VIII საუკუნის 30-იანი წლებიდან აფხაზეთის მმართველმა *ლეონ პირველმა* ბიზანტიის იმპერიის ვასალობაზე უარი თქვა და ქართლის ერისმთავრის – ერთიანი საქართველოს მმართველის – *არჩილის* ქვეშევრდომი გახდა. ამ დროიდან აფხაზეთი საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და კულტურული სამყაროს ორგანულ ნაწილად იქცა. *ლეონ I* მთელ დასავლეთ საქართველოს აერთიანებს. *არჩილმა* მას ეგრისის მეფის გვირგვინი გადასცა, რადგან ცოლად შერთო თავისი გარდაცვლილი ძმის – *მირის* ასული *გურანდუხტი.* ფაქტობრივად, აფხაზეთი ძველი ეგრისის სამეფოს პოლიტიკურ მემკვიდრედ იქცა. მოგვიანებით, VIII საუკუნის 70-იან წლებში *ლეონ I-ის* ძმისწულმა *ლეონ II-ემ,* ქართული პოლიტიკური წრეების მონაწილეობით, მთელი დასავლეთ საქართველო გააერთიანა, საბოლოოდ განთავისუფლდა ბიზანტიელთა დამოკიდებულებისაგან და „აფხაზეთის მეფის“ ტიტული მიიღო, **დასავლეთ საქართველოს კი აფხაზეთის სამეფო ეწოდა. აფხაზთა საერისთავოსაგან აფხაზთა სამეფო ტერიტორიულად დიდად განსხვავდებოდა. ეს უკანასკნელი მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. მისი ჩრდილოეთი საზღვარი *ნიკოფსიამდე* აღწევდა, სამხრეთით – *ჭოროხის* ხეობამდე, აღმოსავლეთით – *ლიხის* ქედამდე.** ცნობილი არაა აფხაზთა ერისთავები (მთავრები), რომლებმაც დასავლურ ქართული სამეფო – აფხაზეთის სამეფო (სახელმწიფო) შექმნეს, ეთნიკურად ვინ იყვნენ. მეცნიერებაში არსებობს მოსაზრებები მათი ბიზანტიური, აბაზგური (აფხაზური) და ზანური წარმომავლობის შესახებ. ამას არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს, რადგან ძალიან ბევრი ქვეყნის სამეფო დინასტიები ადგილობრივი წარმოშობის არ ყოფილან. მთავარია, რომ მათ დასავლეთ საქართველოს ქართული სახელმწიფო, ე. წ. „აფხაზთა სამეფო“ შექმნეს. ამ სამეფოში ცხოვრობდნენ როგორც ქართველები (მეგრელ-ჭანებსა და სვანებთან ერთად), ისე აფშილები და აბაზგები (აფხაზები). ამ უკანასკნელთა ხვედრითი წილი კი შედარებით მცირე იყო. როგორც მოსახლეობის, ისე ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ქართული იყო. **„აფხაზთა სამეფოს“ ქართულობის დამადასტურებელი ფაქტი ისიც იყო, რომ „აფხაზთა მეფეებმა“ სამეფოს დედაქალაქი ანაკოფიიდან ქუთაისში გადმოიტანეს.**

„აფხაზთა სამეფოს“ – დასავლურქართული სახელმწიფოს ტერიტორიაზე რვა საერისთავო შეიქმნა, რომელთა შორის ორი უშუალოდ აფხაზეთის – ძველი ბიზანტიური საერისთავოს – ფარგლებში მდებარეობდა; საკუთრივ *აფხაზეთის საერისთავო* და *ცხუმის საერისთავო.* ეს უკანასკნელი მთელი ძველი აფშილეთის ტერიტორიას მოიცავდა მდ. ღალიძგამდე. **აფხაზეთის საერისთავოს ტერიტორია ეთნიკური აფხაზებით/აფსუებით იყო დასახლებული, რომელსაც უმნიშვნელო რაოდენობით არ ჰქონდა ქართული (ზანურ-სვანური) მინარევი, ხოლო ცხუმის საერისთავო ზანური იყო, რომელშიც ასევე სვანებიც ერივნენ და რომელშიც ინფილტრირებული იყო აფხაზური (აბაზგური) ეთნიკური ერთეული.**

სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ მთელი დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოს („აფხაზთა სამეფოს“) სულიერების ცენტრი, საეკლესიო ცენტრი აფხაზებით დასახლებულ ტერიტორიაზე – ბიჭვინთაში მდებარეობდა. ასე რომ, ე. წ. „აფხაზთა სამეფო“ აფხაზური ეთნიკური სახელმწიფო არ ყოფილა. თითქმის ორი ასეული წლის განმავლობაში აღნიშნული სამეფოს მმართველი ფენა საქართველოს დანარჩენი „ფეოდალური მიწების“ გაერთიანებისათვის იღვწოდა. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორიაზე (და დღევანდელი აფხაზეთის ფარგლებშიც) ქართული საეკლესიო არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლები შენდებოდა, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ქართული წარწერებითაა დამშვენებული. ხელოვნების ისტორიკოსთა მიერ დადგენილია, რომ **VIII-XI საუკუნეებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აგებულ ტაძრებს ყველაზე მეტი საერთო აქვთ აფხაზეთიდან ყველაზე უფრო მეტად დაშორებულ კახეთის ანალოგიური ტიპის ძეგლებთან.** მაგალითად, აღნიშნავენ, რომ ქიაჩის მთაზე აგებული ეკლესია (VIII-X საუკუნეების

დასაწყისი) თითქმის ანალოგიურია *ნეძვის* ეკლესიისა (*თორი*). **ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები ინტენსიურად ვრცელდება IX საუკუნიდან. ქართული ქრისტიანული არქიტექტურა ქართული ეპიგრაფიკით IX საუკუნიდან მოკიდებული XVI საუკუნის ჩათვლით თარიღდება და ის დღევანდელი აფხაზეთის ყველა რაიონს მოიცავს, მათ შორის, გუდაუთის რაიონში ქართულწარწერიანი *მსიხგუას, ხუაფის, ანუხვას* ეკლესიები.** არ შეიძლება არ აღინიშნოს X-XI საუკუნეების *ლიხნის* ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლის – ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის შესახებაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1066 წლის წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ. როდესაც ამას ვწერთ, სრულიადაც არ ვგულისხმობთ იმას, რომ აფხაზეთში (აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში) აფხაზური ეთნოსის წარმომადგენლებმა თავიანთი ენა დაკარგეს. გლეხობა ეთნიკურ თავისთავადობას და აფხაზურ ენას ინარჩუნებდა, თუმცა ამის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტები არა გვაქვს. ის ქართული კულტურა, რომელიც აქაა წარმოდგენილი არა მხოლოდ აფხაზური ფეოდალური საზოგადოების, არამედ მთელი მოსახლეობის საკუთრებაც იყო. აფხაზეთში მცხოვრებმა ფეოდალებმა არა მხოლოდ ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში მიიღეს მონაწილეობა, არამედ მათ გათავისებული ჰქონდათ ქართული ენა, ქართული მწიგნობრობა, ქართული ქრისტიანობა, იყვნენ ქართული ფეოდალური საზოგადოების ჩვეულებრივი ნაწილნი. სხვათა შორის, XIX საუკუნის ბოლომდე აფხაზები ქართულად წერდნენ. ქართულ ენაზე ქმნიდა თავის ლიტერატურულ ნაწარმოებებს აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი *გიორგი შარვაშიძე* (1846-1918 წწ.).

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ეთნიკური აფხაზები მხოლოდ აფხაზეთის საერისთავოში მკვიდრობდნენ. ცხუმის საერისთავო ქართულ-ქართველური იყო. ქართული იყო „აფხაზთა სამეფოს“ არსებობის დროს (VIII-X სს.) „ბედიის საერისთავოც“, რომლის ჩრდილოეთი საზღვარი *ეგრისწყალზე* (*ღალიძგაზე*) გადიოდა. „აფხაზთა სამეფომ“ (დასავლურქართულმა სახელმწიფომ) დიდი წვლილი შეიტანა ერთიანი ქართული სახელმწიფოს გაერთიანებაში. **საქართველოს ერთიანი სამეფოს არსებობის მთელ მანძილზე (XI-XV სს.) აფხაზეთი საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ისეთივე ორგანული ნაწილი იყო, როგორც ქართლი, კახეთი, გურია, ოდიში, სამცხე, აჭარა, სვანეთი...** თუმცა აღნიშნული დროის აფხაზეთი დღევანდელ აფხაზეთს არ გულისხმობს. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ვიდრე XIV საუკუნის 20-იან წლებამდე ცალ-ცალკე არსებობდნენ აფხაზეთისა და ცხუმის საერისთავოები.

ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგაც, კარგა ხნის განმავლობაში, აფხაზეთს დამოუკიდებელი პოლიტიკურ სტატუსი არ ჰქონია. ის ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, რომელიც, თავის მხრივ, იმერეთის სამეფოს ექვემდებარებოდა. ისტორიოგრაფიაში ამის დამადასტურებელი არაერთი საისტორიო წყაროა მოხმობილი. *ბერი ეგნატაშვილის* სიტყვით, *„აფხაზეთის ზემოთი“* დადიანის სამფლობელო იყო, ხოლო *აფხაზეთი ჯიქეთამდე – შარვაშიძისა.* უფრო სწორედ რომ ვთქვათ, **სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის საზღვარი *ანაკოფიასთან*, მდ. *ფსირცხაზე* გადიოდა**. *ლევან II დადიანის* (1611-1657 წწ.) დროს *შარვაშიძის* სამფლობელო მხოლოდ აღნიშნულ საზღვრებში იყო მოქცეული და მათი რეზიდენცია არა *სოხუმში,* არამედ *ზუფუში* (ლიხნში) იყო. ცხუმი შარვაშიძეების რეზიდენციად მხოლოდ XVIII საუკუნის მიწურულს იქცა. **იმდროინდელ მოგზაურთა ცნობებით აფხაზები მხოლოდ მთებში ცხოვრობდნენ (XV-XVI საუკუნეებში აფხაზეთი მხოლოდ მთიანი ქვეყანა იყო)**. *არქანჯელო ლამბერტის* მიხედვით, სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის საზღვარი მდ. *კოდორზე* გადიოდა. ის 1635-1653 წლებში ცხოვრობდა სამეგრელოში და აღნიშნავდა, რომ კოდორის ჩრდილო-დასავლეთით მთების ზურგია და ამ „მთების ზურგზე“ სახლობენ აფხაზები (და სხვა მთიელები). ოდიშ-აფხაზეთის საზღვარს

მდ. *კოდორზე* სდებდა *ჟან შარდენიც*, რომელიც 1672 წელს იმყოფებოდა სამეგრელოში. აფხაზეთ-სამეგრელოს საზღვრის დამადასტურებელია კელასურის კედელიც, რომელიც *ვახუშტი ბაგრატიონის* სიტყვით, „...**ანაკოფიის აღმოსავლეთით ზღუდან მთამდე შეავლო ზღუდე ლევან დადიანმან, აფხაზთა გამოუსვლელობისათჳს**“. ამ დროს ცხუმში მთიელთა თავდასხმების, თარეშების გამო მოსახლეობა ფაქტობრივად აღარ ცხოვრობდა. *ა. ლამბერტის* რუკაზე ზემოთ აღნიშნულ კედელს აწერია: **„კედელი აფხაზთა შემოსევების წინააღმდეგ“**. *კასტელს* კი ამ კედლის შესახებ თავის რუკაზე ასეთი მინაწერი აქვს: **„აფხაზთა შემოსევების წინააღმდეგ აგებული 60 მილი სიგრძის კედელი“**. *ჟ. შარდენს* კი აღნიშნული აქვს: **„ძველად იგი (სამეგრელო – რ.თ.) აფხაზებისაგან ჩრდილოეთის მხრიდან დაცული იყო სამოცი მილის სიგრძის კედლით“**. როგორც დადგენილია, **კედელი თავდაპირველად მიუყვებოდა *კელასურის* ხეობას, შემდეგ აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა, გადაკვეთდა *მაჭარასა* და *კოდორს*** (ამ ხეობის ზემო წელი აფხაზთა სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა). კედელი გადადიოდა ფარავანის ქედზე, გადაკვეთდა მდ. *მოქვს* და მდ. *ღალიძგის* სათავეებამდე აღწევდა.

ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ, აღნიშნული საზღვარი ირღვევა, რადგან დასავლეთ საქართველოში ფეოდალური შინააშლილობა დაიწყო. შესაბამისად, აფხაზური ეთნოსის წარმომადგენლები სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მოიწევენ. ეს აფხაზები XV საუკუნიდან მოკიდებული უკვე აშკარად განსხვავდებიან ძველი აფხაზებისაგან, რომლებიც კულტურულ-ისტორიულად ქართველები, ქრისტიანები იყვნენ. **საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ, ინტენსიური ხასიათი მიიღო აფხაზთა თარეშმა. მოთარეშე აფხაზებში ხშირად აბაზები და ადიღეური ტომების წარმომადგენლებიც შედიოდნენ**. თარეში ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ეთნოსებისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო; მათთვის ის რჩენის ერთგვარ საშუალებას წარმოადგენდა. აბაზურ-ადიღეურმა ტომებმა თარეშით ჯერ თვით აფხაზები შეაწუხეს. ამის გამო იყო, რომ აფხაზების მნიშვნელოვანი ნაწილი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიგრირდა. მათ ტერიტორიაზე კი ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელები ესახლებოდნენ. ადგილზე დარჩენილი მოსახლეობა მოსულ ენობრივად მონათესავე ტომებს ერეოდა. მათ ასიმილაციას, მოსულებში გათქვეფას სოციალური ფაქტორიც აჩქარებდა. აფხაზეთის ისტორიულ ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან მოსახლეობა ორი გზით შემოდიოდა: ზღვის მხრიდან (აბაზები და უბიხები) და მთიდან (ადიღეელები). აფხაზეთში კოდორის ჩრდილოეთით ეს შერევა ადგილობრივი აფხაზებისა მიგრირებულ აბაზებსა და ადიღეელებთან XIV საუკუნეში დაიწყო. ინტენსიური იყო ეს პროცესი XV საუკუნეში. XV საუკუნის მეორე ნახევრის დოკუმენტით აფხაზები უკვე ქრისტიანობისაგან განდგომილები არიან. ცხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით აფხაზებისა და ჩრდილოეთ კავკასიელთა თარეში XV-XVI საუკუნეებშიც ხდებოდა. სწორედ ამ მიზნით ააგო ოდიშის მთავარმა *ლევან II-ემ* ზემოაღნიშნული *კელასურის* კედელი. თუმცა ამ დროს მათ თარეშებს ადგილობრივი ქართული მოსახლეობის აყრა-გადასახლება არ გამოუწვევია. ეს პროცესი ოდნავ მოგვიანებით დაიწყო. *ლევან II დადიანის* გარდაცვალების შემდეგ, შინააშლილობამ და საშინელმა ფეოდალურმა ანარქიამ ახალ აფხაზებს ხელ-ფეხი გაუხსნა. მოთარეშეები არა მხოლოდ აფხაზეთის მომიჯნავე ჩრდილოეთ სამეგრელოს ტერიტორიას არბევდნენ, იტაცებდნენ ქონებასა და ადამიანებს, არამედ მის შიდა რაიონებსა და გურიაშიც კი აღწევდნენ. აფხაზთა თარეშების შესახებ არაერთი ფაქტია დაფიქსირებული არა მხოლოდ ქართულ, არამედ უცხოურ წყაროებშიც. მოსახლეობასთან ერთად ისინი ქრისტიანულ ტაძრებსაც არბევდნენ. იერუსალიმის პატრიარქს *დოსითეოზს* აღნიშნული აქვს, რომ **„აბაზგებმა გაანადგურეს მისი (დადიანის) სამფლობელო, აიკლეს ეკლესიები და მონასტრები: *მოქვი, ხოფი, ქიაჩი, ზუგდიდი* და მთელი ქვეყანა *დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე* და *ფაზისამდე*“** (სოხუმიდან ცხენისწყლამდე და რიონამდე). „დადიანი ისეთი უმწეო იყო, რომ ძალა

არ შესწევდა გაერეკა აფხაზები“. ქართველი მოსახლეობა იყრებოდა და ენგურს გამოღმა გადმოდიოდა. ხშირად მათ თან მოჰქონდათ ჯვარ-ხატებიც. მაგალითად, წალენჯიხის რაიონის სოფელ *ობუჯში* მაშინ გამოქცეულან *ჯგერდის* მახლობელ სოფელ *კვიტოულიდან* (დღევანდელი ოჩამჩირის რიაონი, გულრიფშის რაიონის საზღვართან) *კაკაჩიები,* რომლებსაც თან *ქიაჩის მთავარანგელოზის* ხატი წამოუღიათ და ის *ობუჯში* დაუსვენებიათ. სოფელ *ჯგერდიდან* არც თუ ისე შორს დღესაცაა ადგილის სახელი „ქიაჩი“, სადაც X საუკუნის ეკლესიის ნანგრევებია (ქიაჩის მთა და ნაეკლესიარი კელასურის კედლის იქითა მხარესაა). *ვახუშტი ბაგრატიონიც* წერდა: „...გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს, ვითარცა აღვსწერეთ, და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდნენ ნავებით და ჴმელითა და სტყუევნიდნენ, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე, და დაეშენებოდნენ. თვით აფხაზნი და არღარა იყო *დრანდას* და *მოქვს* ეპისკოპოსნი“. ისინი ძირითადად ქართველი მოსახლეობის ნასოფლარებში ეშენებოდნენ, რომლის მოსახლეობაც აფხაზებს ან ტყვედ ჰყავდათ წაყვანილი და თურქეთში გაყიდული, ანდა აფხაზების შიშით ენგურს გამოღმა იყვნენ გადმოსახლებულნი. XVII საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს აფხაზმა ფეოდალებმა (*შარვაშიძეებმა*) მიიტაცეს ოდიშის სამთავროს ტერიტორიის დიდი ნაწილი – ჩრდილო-დასავლეთი – მდ. *კელასურიდან* მდ. *ღალიძგამდე.*

ამრიგად, აფხაზების (ახალი აფხაზების) თარეშის მიზანი XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან არა მხოლოდ ძარცვა და მოსახლეობის ტყვედ წაყვანა იყო, არამედ ტერიტორიების მიტაცებაც. ამ დროს არიან აფხაზები დასახლებული დღევანდელი ოჩამჩირისა და გულრიფშის რიაონებში, რომლებსაც ისინი *აბჟუას* უწოდებენ. აქ ისინი უპირატესად აფხაზეთის მთებიდან, ბზიფისა და კოდორის ზემო წელიდან არიან მოსული. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნამდე აფხაზმა მთავრებმა – *შარვაშიძეებმა* ღალიძგადან ენგურამდე ტერიტორიაც ჩაიგდეს ხელში. ამიერიდან მთელ ტერიტორიას, რომელიც აფხაზეთის მთავრებმა (*შარვაშიძეებმა*) ჩაიგდეს ხელში აფხაზეთი ეწოდა.

მიუხედავად ამისა, აფხაზეთის სამთავრო ერთიანი მხოლოდ ფორმალურად იყო. ის სხვადასხვა სამფლობელოებად იყო დაქუცმაცებული. *მარშანიები,* რომლებსაც ძირითადად მთიანი მხარეები (*წებელი, დალი*) ეკუთვნოდათ, ფაქტობრივად, არ ემორჩილებოდნენ *შარვაშიძეებს. ზეგნა შარვაშიძის* გარდაცვალების შემდეგ, მთელი აფხაზეთის ტერიტორია მის სამ ვაჟს გადაუნაწილებია. **უფროს ვაჟს *როსტომს* ისტორიული აფხაზეთი – *ბზიფსა* და *კოდორს* შორის მდებარე მიწები მიუღია. მანვე შეინარჩუნა მთავრის ტიტული. მდ. *კოდორსა* და *ეგრისწყალს* (*ღალიძგას*) შორის მდებარე მიწა-წყალი შუათანა ძმას – *ჯიქეშიას* შეხვედრია. ესაა შემდეგდროინდელი აფხაზური *აბჟუას ქვეყანა* (შუა ნაწილი, შუა სოფელი). უმცროს ძმას – *ყვაპუს* ღალიძგიდან მდ. *ენგურამდე* მდებარე მიწები მიუღია, რომელსაც მოგვიანებით მისი ვაჟის – *მურზაყანის* სახელის მიხედვით *სამურზაყანო* ეწოდა.** მიწების ფეოდალურ ანექსიასთან ერთად დემოგრაფიული ანექსიაც ხდებოდა. *შარვაშიძეებმა* ახლად დაპყრობილ ტერიტორიებზე, როგორც აბჟუაში, ისე სამურზაყანოში აფხაზი თავადაზნაურობაც დაასახლეს (*ანჩაბაძეები, ემუხვარები, ინალიშვილები, მარღანიები, ზვანბაიები, ლაკირბაიები, აქირთავები*). აბჟუას მხარეში ძირითადად მოსახლეობის ეთნიკური ცვლა მოხდა. მიგრირებულ აფხაზებს აქ ქართული მოსახლეობის ნაწილი დახვდათ, მაგრამ ისინი დროთა განმავლობაში, როგორც ენობრივი, ისე ეთნიკური თვალსაზრისით გააფხაზდნენ, თუმცა ქართული გვარსახელები კი შეინარჩუნეს. რაც შეეხება *სამურზაყანოს,* მიუხედავად იმისა, რომ XVII-XVIII საუკუნეებში ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი *ენგურს* გამოღმა გადმოსახლდა, აქ მაინც მნიშვნელოვანი რაოდენობით იყვნენ დარჩენილნი. აქ მოსულმა აფხაზმა თავად-აზნაურობამ თან აფხაზური მოსახლეობაც მოიყოლა, თუმცა ამ მხარის მოსახლეობა ეთნიკურად არ შეცვლილა. პირიქით, ადგილობრივ გარემოში

დამკვიდრებული აფხაზური გვარები გაქართველდნენ. ამის დამადასტურებელია ქართული გვარსახელები: *ზუხბაია, ქეცბაია, კაკუბავა, დოლბაია, ქირობაია, როსტობაია, ყოლბაია, გვაზბაია, მიქელბაია, თარბაია, ცხუცხუბაია, აბუხბაია.* **ფრიად საგულისხმოა, რომ სამ ნაწილად წარმოდგენილ აფხაზეთის სამთავროში მხოლოდ პირვანდელს ერქვა სახელწოდება *აფხაზეთი,* მეორე და მესამე ახალ სახელებს *აბჟუას* (რაც შუა საუკუნეების ქართული „შუა სოფლის“ აფხაზურად ნათარგმნი სახელი იყო) და *სამურზაყანოს* ატარებდნენ. ბოლო დრომდე აბჟუას და სამურზაყანოს მოსახლეობა ისტორიულ აფხაზეთს „სააფხაზოს“ სახელით მოიხსენიებდა**. მაგალითად, *პ. ცხადაიას* სოფელ *ჩხორთოლში,* რომელიც სამურზაყანოს მთის ძირასაა, ასეთი გადმოცემა ჩაუწერია: „*სირგინავები* და *კიკორიები* **სააფხაზოდან** არიან, ოღონდ სირგინავების იქაური გვარი ყოფილა *ცეცბა,* ხოლო კიკორიების – *კაკალია* (ბზიფიდან); *თარბაიები* სხუდან გადმოსულან“.

აფხაზეთში მნიშვნელოვანი ეთნოდემოგრაფიული ცვლილებები ძირითადად XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელებისა და შავიზღვისპირელი აბაზებისა და უბიხების აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოჭრა-დასახლებაში თარეშებთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა XIV საუკუნის შუა ხანებში გავრცელებულ შავი ჭირის ეპიდემიას. ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის ამოძრავება, თავის მხრივ, ჯერ მონღოლთა ლაშქრობებმა და შემდეგ *თემურ-ლენგის* შემოჭრამაც განაპირობა. საისტორიო გადმოცემებით, რომელიც არაერთ ავტორს ჩაუწერია როგორც XIX, ისე XX საუკუნეებში, აფხაზეთში მცხოვრები აფხაზური გვარების დიდი ნაწილის თავდაპირველი საცხოვრებელი ჩრდილოეთ კავკასია და აბაზიის შავიზღვისპირეთია. ამ გადმოცემების გამო იყო XIX საუკუნის რუსი ავტორის *დიახკოვ-ტარასოვის* დასკვნა, რომ თანამედროვე აფხაზები არ არიან ამ ტერიტორიის აბორიგენები. ისტორიოგრაფიაში მითითებულია, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან დღევანდელ აფხაზთა წინაპრები ძირითადად ბზიფის ხეობის ქვაბულის – *ფსხუს* გზით გადმოდიოდნენ. აქ გარკვეული ხნით მკვიდრობის შემდეგ, მოსახლეობა მთისწინეთსა და ბარში გადადიოდა, გადასახლებულთა ადგილს კი ახალი მიგრანტები იკავებდნენ. სწორედ ამიტომაა, რომ **ბევრ აფხაზურ გვარს სალოცავი ფსხუს ქვაბულში აქვს.** ფსხუდან სხვადასხვა დროს გადმოსახლებულ გვარებს თან მისი ნიშებიც მოჰქონდათ. აფხაზთა ხალხური გადმოცემებითვე ძველთაძველ დროში აფხაზეთის მთებში ცხოვრობდა ხალხი, რომლებიც **წანები** იყვნენ. ეს წანები კი დასავლურქართული მოდგმის **სანებს (სვანებს)** ანდა **ჭანებს (ზანებს)** წარმოადგენდნენ. ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე ანუ მიწა-წყალზე კოდორიდან ბზიფამდე, რომ ჩრდილოეთ კავკასიური ტომების მიგრაცია მოხდა და რომ აქაც გზა მათ იარაღით გაიკაფეს, მოწმობს გადმოცემა, რომ ყაბარდოელი *ინალი,* რომელიც მთელი რიგი აფხაზური არისტოკრატიული გვარების საფუძველჩამყრელად ითვლება, წარმატებულ ომებს აფხაზებთანაც აწარმოებდა.

XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე დაწყებული აბაზური (ჯიქური), უბიხური და ადიღეური მოსახლეობის ჯგუფური და გაჟონვითი შემოსახლება თითქმის მთელი გვიან შუა საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა, რამაც საბოლოოდ საქართველოს ამ ძირძველ და ისტორიულ მხარეში მოსახლეობის ეთნიკური ცვლილება გამოიწვია. ფაქტობრივად, **მოხდა ძველი აფხაზების ახალი აფხაზებით ჩანაცვლება** და ეს პროცესი თავდაპირველად მხოლოდ ნამდვილი აფხაზეთის ტერიტორიაზე, ძველ აბაზგიაში განხორციელდა, რომელიც თანამედროვე აფხაზეთის მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს მოიცავდა. შემდეგ კი გვიან შუა საუკუნეებში, ძირითადად, XVII საუკუნის ბოლო მეოთხედში მათი უფრო სამხრეთით, აბჟუაში წინ წამოწევა მოხდა. ძველი აფხაზები (აბაზგები) ასევე ნარევი აბაზურ-ქართული მოსახლეობა იყო, რომელთა ენაც აბაზურის ერთ-ერთ დიალექტს წარმოადგენდა და რომელსაც გვიან შუა

საუკუნეების „ქართლის ცხოვრების“ მინაწერის ავტორი **აფსარულ ენას** უწოდებს. მაგრამ ეს ძველი აფხაზები IX საუკუნიდან ვიდრე XV საუკუნემდე კულტურულ-ისტორიულად ქართველები იყვნენ. ისინი ისეთივე შემქმნელები იყვნენ ფეოდალიზმის პერიოდის ქართული კულტურისა, როგორც საქართველოს სხვა მხარეების მკვიდრნი. **გვიანი შუა საუკუნეების აფხაზები კი, ფაქტობრივად, ახალი აფხაზები არიან, რომლებიც ძველი აფხაზების, აბაზების, უბიხების, ადიღეელებისა და ქართველური მოდგმის (ძირითადად მეგრელების) და სხვათა შერევის შედეგად ჩამოყალიბდნენ.** ამ ახალი აფხაზების ეთნიკურ საფუძველს კი ძველი აფხაზების (აბაზგების) ენა წარმოადგენდა. აფხაზეთის ძველ და ახალ მკვიდრებს შორის ზღვარი იმიტომ ევლება, რომ ძველი აფხაზები ქრისტიანები, მიწათმოქმედნი და ქართული ფეოდალური საზოგადოების, სოციალური სფეროს, კულტურის განუყოფელი ნაწილი იყვნენ. მაშინ როდესაც ახალი აფხაზები წარმართები (ქრისტიანობიდან მიქცეულები), მეჯოგეები და თემური ცხოვრების მომდევრები იყვნენ.

აბაზური, უბიხური და ადიღეური მოდგმის მოსახლეობის აფხაზეთის ტერიტორიაზე მიგრაცია გვიან შუა საუკუნეებში (XV-XVII სს.) მათი მიგრაციის პირველი შემთხვევა არ ყოფილა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჩრდილო-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მოსახლეობის მიგრაცია ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისშიც მოხდა. ეს იყო აბაზურ-ადიღეური ეთნოსის პირველი დასახლკარების შემთხვევა. შემდგომშიც არაერთხელ ხდებოდა მათი ინფილტრაცია-შემოჟონვა. თუმცა ერთიანი საქართველოს მონარქიის პირობებში კოდორის სამხრეთ-აღმოსავლეთით მიგრაცია ადგილობრივ მკვიდრ ქართულ ეთნოსს რაიმე პრობლემას ვერ უქმნიდა. აფხაზური ეთნოსის ქართველ ხალხში და ქართველების აფხაზებში ორმხრივი შეღწევა თითქმის მუდმივი პროცესი იყო. ამიტომაა, რომ თანამედროვე აფხაზებს ანთროპოლოგიურად უფრო მეტი საერთო აქვთ დასავლურ ქართულ მოსახლეობასთან, ვიდრე აბაზ-ადიღეელებთან. ამის დამამტკიცებელია ქართული წარმოშობის გვარების დიდი რაოდენობა, რომლებსაც ახალი აფხაზები ატარებენ. 1867 წელს აფხაზეთიდან თურქეთში წასულ მუჰაჯირთა სიაში გვარების დიდი ნაწილი დასავლურქართულია, რომლებიც *-ია* და -ა სუფიქსებით ბოლოვდება. ისიც ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ სიაში პირველ ნომრად *კიკნაძის* გვარია დასახელებული. ამავე დროს, XIX საუკუნის პირველი ნახევრის აფხაზეთის ზოგიერთი სოფლის მცხოვრებთა სიების მიხედვით ბევრ აფხაზურ გვარს ორმაგი აფხაზურ-ქართული სუფიქსი *(-ბა+-ია)* აქვს (*ეიბაია, ჭანუნბაია, გუნბაია, თორბაია, ღოლუშბაია, თარბაია, ავშიბაია, ცუიბაია, ამიბაია* და სხვ.) და არა მხოლოდ, მაგალითად „შვა სოფლის“ (აბჟუას) სოფელ *კვიტოულში,* არამედ „აფხაზეთის სამფლობელოსა შინა სოფლის *ლიხნსაც*“. აღნიშნული კი უდავოდ იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ აფხაზები ქართული სახელმწიფოებრივი, ფეოდალური და კულტურული ერთობის განუყოფელი წევრები იყვნენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება აქვს მიქცეული იმ გარემოებას, რომ XVI საუკუნიდან მოყოლებული თურქულ ენაში ეთნონიმი *აფხაზი* თითქმის ქრება და მის ადგილს იკავებს უფრო ფართე შინაარსის ტერმინი *აბაზა,* რომელიც თვით აბაზებთან ერთად აფხაზეთის მოსახლეობასაც აღნიშნავს. სრულიად სამართლიანად მეცნიერთა მიერ ეს მოვლენა აფხაზეთის ტერიტორიაზე აღნიშნული დროიდან აბაზთა მასობრივ შემოსახლებასთან არის დაკავშირებული.

ნიშანდობლივია ერთი ფაქტიც. ცნობილია, რომ აფხაზთა თვითსახელწოდებაა *აფსუა* (სხვათა შორის, *აფსუაც, აბაზგიც, აფსილიც, აფხაზიც აბაზადან* მომდინარე ეთნონიმებია). გვიან შუა საუკუნეებში „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი გადამწერი იქ, სადაც საუბარია მეფე *ლაშა გიორგიზე,* შემდეგ ჩანართს აკეთებს, რომ *ლაშა* „ითარგმნების აფსართა ენითა „ქვეყნის მანათობელად“. აფხაზის ნაცვლად ჩნდება ეთნონიმი *აფსარი* (აფხაზთა თვითსახელწოდება

აფსუადან). ჩანართის ავტორის მიერ „აფხაზის“ ნაცვლად „აფსარის“ ხმარება შემთხვევითი არ იყო, რადგან გვიანფეოდალურ პერიოდში, კერძოდ, XV-XVI საუკუნეებში აფხაზის შინაარსი შეიცვალა. ისინი კულტურულად უკვე შეცვლილნი იყვნენ. ადრეული აფხაზები, ქართული კულტურის ერთ-ერთი შემქმნელნი, კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ქართველები იყვნენ. გვიანდელი აფხაზები კი ადრინდელი აფხაზებისაგან განსხვავდებოდნენ, პირველ რიგში, მათი ქრისტიანობისაგან მიქცევის თვალსაზრისით. ჩანართის ავტორი კარგად გრძნობდა ქართული კულტურული სამყაროსაგან აფხაზების გაუცხოებას და სწორედ ამიტომ მათ აღსანიშნავად ხმარობს არა ქართულ ეთნონიმს აფხაზს, არამედ აფხაზთა თვითსახელწოდების *აფსუას* ვარიანტს – *აფსარს*. ჩანართის ავტორმა ისიც იცოდა, რომ შუა საუკუნეების აღმოსავლურ წყაროებში ხშირად ქართველების აღსანიშნავად ეთნონიმს – *აფხაზი* გამოიყენებდნენ.

მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში და XIX საუკუნეშიც აფხაზი ფეოდალები თავს ქართველ ფეოდალებად თვლიდნენ. მათ ინტენსიური საქორწინო ურთიერთობები ჰქონდათ ქართველ, ძირითადად, დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურებთან. XIX საუკუნეშიც აფხაზეთის მთავრის კანცელარია ქართულად მუშაობს. ქართული ენა რომ აფხაზებისათვის უცხო არ იყო, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 1714 წელს კუნძულ მალტაზე ქართველ მწერალსა და ლექსიკოგრაფს – *სულხან-საბა ორბელიანს* ხვდება აფხაზი ტყვე, რომელიც ქართულად ლაპარაკობდა. ასე რომ, მართალია, აფხაზებს საკუთარი საოჯახო სამეტყველო ენა ჰქონდათ, მაგრამ ქართული მათთვის არა მხოლოდ ადრე საუკუნეებში, არამედ XVIII საუკუნეშიც მეორე, კულტურის ენა იყო. ისევე თვლიდა ქართველებად აფხაზებს *სულხან-საბა ორბელიანი*, როგორც თამარ მეფის ისტორიკოსი. მიუხედავად ახალი აფხაზების შექმნისა, აფხაზი ფეოდალის სახლი „ქართულია“ და ეს ასეა არა მხოლოდ ქრისტიანობის თვალსაზრისით, არამედ საერთოდ კულტურის თვალსაზრისით. *ნ. ბერძენიშვილის* სიტყვით, საშუალსაუკუნეების აფხაზეთში არ არსებობდა ფეოდალური კულტურა, გარდა ქართულისა, გარდა ვეფხისტყაოსნის კულტურისა. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია *ალექსანდრე შარვაშიძის* სიტყვები: ***«Я не абхазский, а грузинский князь...»***

სამწუხაროდ, დღეს აფხაზური ეთნოსის წარმომადგენლები მთლად გაუცხოებული არიან ქართველთაგან. ამ გაუცხოებაში და, სამწუხაროდ, სიძულვილში გადამწყვეტი როლი რუსეთის იმპერიამ ითამაშა. ცნობილია, რომ ქართული სამეფო-სამთავროები რუსეთის იმპერიამ ცალ-ცალკე შეიერთა. 1805 წელს სამეგრელოს სამთავროს ხელისუფლების აქტიური ხელშეწყობით, *სამურზაყანო* რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა და ოდიშის სამთავროს დაუბრუნდა. 1810 წელს რუსეთმა თანამედროვე აფხაზეთის დანარჩენი ტერიტორიაც დაიპყრო, რომლეზედაც მისი ძალისხმევით შეიქმნა ერთიანი აფხაზეთის სამთავრო. ამ სამთავროს მთავრად სოხუმში რუსებმა *გიორგი (საფარბეი) შარვაშიძე* დასვეს. 1864 წელს ცარიზმმა ეს სამთავრო გააუქმა და ის ჯერ სოხუმის სამხედრო განყოფილებად, შემდეგ კი სოხუმის ოკრუგად აქცია. სოხუმის ოკრუგში სამურზაყანოც შეიყვანეს. სოხუმის ოკრუგი, თავის მხრივ, ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა.

აფხაზები რუსეთის კოლონიურ ხელისუფლებას არ ეგუებოდნენ და რამდენიმე აჯანყებაც მოაწყვეს (1821-1824 წწ., 1840-1842 წწ., 1866 წ.). მაგრამ ცარიზმმა ეს აჯანყებები სისხლში ჩაახშო. განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ ისინი 1840-1842 წლებში აჯანყებულ *დალელებსა* და *წებელელებს* (კოდორის ზემო და შუა წელი). რუსის ჯარმა აქ რამდენიმე სოფელიც კი გადაწვა. რუსებს, აფხაზთა დიდი წინააღმდეგობის გამო, გადაწყვეტილი ჰქონდათ *დალელებისა* და *წებელელების* გასახლება. მაგრამ ეს განზრახვა მაშინ მათ ვერ განახორციელეს. ეს ჩანაფიქრი მხოლოდ გვიან მოიყვანეს სისრულეში, როდესაც 1867 და 1877 წლებში, ცარიზმის წაქეზებით, აფხაზებმა მშობლიური

ადგილსაცხოვრისი მიატოვეს და უცხო ქვეყანაში, თურქეთში გადასახლდნენ. „მუჰაჯირობა“ დიდი ტრაგედია იყო აფხაზი ხალხისათვის. რუსეთის იმპერიას შავი ზღვის სანაპირო ზოლი სჭირდებოდა და აქ მცხოვრები აფხაზები სწორედ ამის მსხვერპლნი შეიქმნენ. ქართველები აფხაზთა მუჰაჯირობის შესახებ დიდ გულისტკივილს XIX საუკუნეში, ამ პროცესის მიმდინარეობის დროსვე, გამოხატავდნენ. ქართულ პრესაში არა ერთი და ორი სტატია დაიბეჭდა აფხაზთა მხარდასაჭერად. 1920 წელს აფხაზმა მუჰაჯირებმა საქართველოს ხელისუფლების თხოვნით მიმართეს, რათა დაბრუნებულიყვნენ აფხაზეთში. *გ. ძიძარიას* სიტყვით, მუჰაჯირების თხოვნა თბილისში „გაქრა“. სინამდვილეში საქართველოს ხელისუფლებამ მუჰაჯირი აფხაზების საკითხი, რაც ასე აღელვებდა აფხაზურ საზოგადოებას, ანტანტის უმაღლეს საბჭოში განხილვის საგნად აქცია.

აფხაზეთში საკოლონიზაციო მიწებზე მხოლოდ რუსებს ასახლებდნენ, შედარებით მცირე რაოდენობით სხვებსაც (ბერძნები, სომხები, ესტონელები, მოლდოველები, გერმანელები) აძლევდნენ ამის საშუალებას. მხოლოდ დასავლეთ საქართველოს უმიწაწყლო გლეხებს არ ჰქონდათ აქ დასახლების საშუალება. საყურადღებოა, რომ 1886 წლისათვის ქ. სოხუმში უკვე 120 რუსი ცხოვრობდა, რაც მთელი მოსახლეობის 30% იყო (ამ დროს სოხუმში არც ერთი აფხაზი არ მკვიდრობდა). აფხაზ ავტორებს ერთი ამბავი აქვთ ატეხილი საბჭოთა პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე დასავლეთ საქართველოს მჭიდროდ დასახლებული რეგიონებიდან მოსახლეობის გადასახლების შესახებ. თუმცა კრინტს არ ძრავენ იმის შესახებ, თუ რა ინტენსიური იყო აქ რუსებისა და სომხების მიგრაცია. მაგალითად, მექანიკური მატების ხარჯზე 1926 წლიდან 1959 წლამდე შესაბამისად რუსებისა და სომხების რაოდენობა 6 ათასიდან და 12,5 ათასიდან 87 ათასსა და 64 ათასამდე გაიზარდა.

ამრიგად, აფხაზეთის ტერიტორიაზე ყოველთვის ცხოვრობდნენ ქართველები (მეგრელები, სვანები) და ის ყოველთვის საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. აფხაზები, რომელთა ენდოეთნონიმია **აფსუა**, XVII საუკუნის 70-იან წლებამდე მხოლოდ დღევანდელი აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთში მკვიდრობდნენ. ამ ტერიტორიაზე მცხოვრები აბაზგები (აფხაზები) კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ქართველები იყვნენ. **XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან აფხაზები კოდორსა და ღალიძგას შორის მდებარე ტერიტორიაზე (აბჟუა) განსახლდნენ**. ისინი თავიანთი ტერიტორიის გაფართოებას სამეგრელოს ტერიტორიის დაპყრობის ხარჯზე, მიგრაციის გზით ახდენდნენ. თანამედროვე აფხაზური ეთნოსის ფორმირება ძირითადად გვიან შუა საუკუნეებში (XV-XVII სს.) მოხდა ძველი აფხაზების, ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის – მეგრელებისა და ჩრდილოეთიდან მიგრირებული აბაზებისა, უბიხებისა და ადიღეელების შერევის შედეგად. მათი ენდოეთნონიმი *აფსუა* აბაზიდან არის მიღებული, რადგან ძველად *აბაზგები* (ქართული წყაროების *აფხაზები*) და *აბაზები* ერთ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის სამთავრო XIX საუკუნის პირველი ათეული წლისათვის ერთ მთლიან პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ ერთეულს არ წარმოადგენდა. აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია შემდეგი ცალკეული სამფლობელოებისაგან შედგებოდა: მდ. მზიმთიდან (თანამედროვე რუსეთის საზღვრებშია, ფსოუს დასავლეთით) ბზიფამდე აბაზები (ქართული წყაროების ჯიქები) ცხოვრობდნენ. **ბზიფი** ანუ **ზუფუ** მდინარეებს ბზიფსა და გუმისთას შორის მდებარეობდა; **გუმა** მდ. გუმისთასა და მდ. კოდორს შორის იყო მოთავსებული, **აბჟუა** (შუასოფელი) – მდ. კოდორსა და მდ. ღალიძგას შორის (ეთნიკურად ეს მხარე XVII საუკუნის ბოლოს შეიცვალა). მდ. ღალიძგიდან მდ. ენგურამდე კი **სამურზაყანო** მდებარეობდა, რომელსაც ქართული ეთნიკური იერსახე და ეთნოგრაფიული თავისებურებანი არასდროს არ დაუკარგავს. მდ. კოდორის ზემო წელში **წებელ-დალელთა** ეთნოგრაფიული ჯგუფის აფხაზები ცხოვრობდნენ,

მდ. ბზიფის ზემო წელში კი – ფსხუელები. ამ უკანასკნელი სამი ერთეულის გამგებლები თავადი *მარშანიები* იყვნენ. საყურადღებოა ისიც, რომ ფსხუს, დალის და წებელის მოსახლეობა თავს ძირითადად მაინც აბაზებად გაიაზრებდა და ისინი უფრო თავისუფალი ტერიტორიული თემების სახით ცხოვრობდნენ. ფსხუელები, წებელელები და დალელები, ისევე როგორც შავიზღვისპირეთში მცხოვრები აბაზები თავიანთ თავს **აბსნეს** უწოდებდნენ.

სამწუხაროდ, თანამედროვე აფხაზურ გამოცემებსა და ინტერნეტსაიტებზე სამურზაყანოს შესახებ ფრიად ყალბი ინფორმაცია ვრცელდება. თითქოსდა ის აფხაზეთის ძირძველი, ისტორიული მიწაა, თითქოსდა *სამურზაყანოს* არა ქართული კუთვნილების აღმნიშვნელი სუფიქსი (*-ო*) და პრეფიქსიც (*-სა*) აწარმოებს, არამედ პირველი პირის მრავლობით რიცხვის აფხაზური ნაცვალსახელი („სარა“ – მე). აფხაზი ავტორების „მტკიცებით“ თურმე სამურზაყანოელები ეთნიკური აფხაზები იყვნენ, რომლებიც აქ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ზუგდიდის მაზრიდან მეგრელთა დიდი რაოდენობით გადმოსახლების შემდეგ, გაქართველდნენ. მათი აზრით, სამურზაყანოელი აფხაზების ეთნიკური ასიმილაცია დააჩქარა აფხაზი მამაკაცების მეგრელ ქალებზე დაქორწინებამ. თითქოსდა XIX საუკუნის ბოლოდან დაიკავა სამურზაყანოში მეგრულმა მეტყველებამ მნიშვნელოვანი პოზიციები, რომელმაც უფრო რთული აფხაზური ენა განდევნა. იმასაც აღნიშნავენ, რომ არა მხოლოდ წეს-ჩვეულებებით და ტრადიციებით, არამედ ენითა და რელიგიით სამურზაყანოელები აფხაზებისაგან ერთ განუყოფელ ტომს შეადგენდნენ. არის მოწოდებები, რომ ბოლოს და ბოლოს სამურზაყანოელმა ქართველებმა აფხაზებად გაიზრონ თავი. სამურზაყანოელი აფხაზების ძალადობრივი ასიმილაციის დამადასტურებელია თურმე ის, რომ ადგილობრივი აფხაზური გვარსახელები სასულიერო პირებმა ქართულ ყაიდაზე გადააკეთეს. მაგალითები: აჩბას გვარის წარმოამდგენლებმა დაიწყეს მეგრელიზებული ფორმის ანჩბაიას ტარება (ქართული ტრანსკრიფციით ანჩაბაძე), ჩაჩბა–შარაშია (შარვაშიძე), ამარშანი–მარშანია, აამხაა–ემუხვარი, ჩააბალირხუა–სოტისკუა (სოტიშვილი), ძიაფშიფა–ძეფშისკუა (ძეიშვილი), ინალიფა–ინალისკუა (ინალიშვილი), მაან–მარდანია, ლაკრბა–ლაკერბაია, ზვანბა–ზვანია, აკირთაა–აქირთავა, ეშბა–ეშბაია, მიკამბა–მიქამბაია, კილბა–კილბაია, უარდან–ვარდანია, შამბა–შამბაია, კაპბა–კაპბაია, კაკუბა–კაკუბავა, ზუხბა–ზუხბაია, შაყრილი–შაკირბაია და ა. შ. სამურზაყანოს გაქართველება, თურმე, 1930-იან წლებში დამთავრდა.

სამურზაყანო („სა-მურზაყან-ო“) აფხაზების თუ როგორი მიწა-წყალია ზემოთ ვნახეთ. ლაპარაკიც არ ღირს და სასაცილოა ის არგუმენტი, რომ „სამურზაყანოს“ პრეფიქსი სა- აფხაზური პირველი პირის ნაცვალსახელიდან „სარა“ –„მე“ არის მიღებული. რაც შეეხება სამურზაყანოში ზუგდიდის რაიონიდან ქართველთა მიგრაციას, XIX საუკუნეში ასეთი ფაქტები იყო. 1886 წლის საოჯახო სიებით, სამურზაყანოში ცალ-ცალკე იყვნენ აღრიცხული სამურზაყანოელები და მეგრელები. აქ არც ერთი აფხაზი არ იყო აღრიცხული. საოჯახო სიებში სამურზაყანოელების რაოდენობა 29.520-ითაა განსაზღვრული, მეგრელების – 6234-ით. სამურზაყანოელების მეგრელთაგან გამოყოფა ცარიზმის პოლიტიკის შედეგი იყო. მათი სამეტყველო ენა ხომ მეგრული იყო და გვარებსაც ხომ ქართულსუფიქსიანს ატარებდნენ. რაც შეეხება იმას, რომ ზოგიერთ სამურზაყანოელს ორმაგი *(-ბა+-ია)* სუფიქსიანი გვარები ჰქონდათ, ამის შესახებ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ეს XVII საუკუნიდან ისტორიული აფხაზეთის (აბაზგიის) ტერიტორიიდან დაწყებული ინფილტრაციის შედეგი იყო. ბუნებრივია, მეგრულ გარემოში აფხაზური გვარები ჩვეულებრივ *-ია* სუფიქსს ირთავდნენ (და არა სასულიერო პირები მიზანმიმართულად უკეთებდნენ მათ გვარებს). თანაც ასეთი გვარების მატარებელი მოსახლეობა სამურზაყანოში ბევრი არაა. რაც შეეხება 1886 წლის აღწერაში ცალკე აღწერილ მეგრელებს, რომელთა რაოდენობაც 6.231 იყო, ნამდვილად ენგურის მარცხენა სანაპირიდან იყვნენ გადასახლებულნი და

იმიტომაც წერდნენ ასე. ისინი უპირატესად XVI-XVII საუკუნეებში აფხაზთა თარეშის დროს გაქცეულთა შთამომავლები იყვნენ. ქართველები რომ აფხაზთა თარეშის გამო ინტენსიურად გამორბოდნენ სამურზაყანოს ტერიტორიიდან, ამის დამადასტურებელი არაერთი წყარო გაგვაჩნია. 1525-1550 წლებით დათარიღებულ „ბიჭვინთის იადგარში“ ენგურის იქითა მხარეს მოხსენიებულია სოფლები (ქართული ტოპონიმები) – *ნაჟანეო, ხოირი, წამხარი, მუხური, ტყაურუ, მარმარისკარი,* რომლებშიც ქართული გვარის მატარებელი მოსახლეობა მკვიდრობდა (*გამკერვალია, შამიგია, ჩხუნბურია...*). ასეთივე ვითარებაა ასახული ბედიის გულანში (XVI ს.) (*ბოკუჩავა, დადალია, შარია, ანტონია, ბაიდია..*). ბედიელის სასმწყსო კი მოიცავდა ტერიტორიას *დადისწყალსა* (მდ. *ოქუმი*) და *მოქვისწყალს* შორის. ნაჟანეულის საკათალიკოსო გლეხების ბეგარის ნუსხაში (XVI ს.-ის ბოლო) დასახელებული არიან: *შუშანიები, ჯგვიბურიები, სუბუქიები, ჯაკობიები, კოდიები, ქაჯაიები, ლოგუები, გაბელიები, ძაძუები, კონჯარიები, ფიოლიები...* 1621 წელს სამუზაყანოს სოფელ ნაჟანეულში თუ 58 კომლი ქართველი ცხოვრობდა, 1706 წელს, აფხაზთა თარეშის შედეგად, აქ მხოლოდ 6 კომლი იყო დარჩენილი. ვინც აფხაზთა აყრას გადაურჩა, *ყვაპუ შარვაშიძეს* გაუყიდია. დანარჩენები კი კათალიკოს *გრიგოლ ლორთქიფანიძეს* ენგურის მარცხენა ნაპირზე გადმოუსახლებია. 1712 წლის საბუთში ვკითხულობთ: *„...ნაჟანევს სოფელი აფხაზს აეყარა, სამოცი მოსახლე კაცი, ნეფსაძე კათალიკოზს ყვაპუ შარვაშიძისათვის მიებარებინა. უფროსი ერთი დაკარგულიყო. ის კათალიკოზი ეცადა და ჩვენც ვეცადეთ, მაგრამ ვერ ამოვიყვანეთ. მეტი აღარ იყო, შვიდი მოსახლე კაცი წამოვიყვანე მათის ყოვლისფერითა... ენგურიდაღმი ყველაი ფასით ამოვიყვანე. ზოგი ხიბულას დავასახლე, ზოგი ხობს“.* კათალიკოსს სამურზაყანოდან გლეხების გამოსყიდვა („ფასით ამოყვანა“) უხდება. მალაქია კათალიკოსის შეწირულობის წიგნში (1616-1639 წწ.) საუბარია იმაზე, რომ „ხაუჟელს სასახლე აოხრებული იყო“, „ღალიძგას სასახლე არ იყო და ბატონის დადიანის ძველი გაოხრებული სასახლე იყო.. და თუთან ხატსა შესწირა“. „...ილორს *ჩხოხოძისაგან* ერთი პარტახტი მიყიდია...“, „...ხოირს სასახლე ადგილი ვიყიდე მეგრელებისაგან“. 1628 წლის სიგელით, *დადიანი* ბიჭვინტის ტაძარს სწირავს ღალიძგაში სასახლეს და მოსახლე *ალექსანდრიას* გვარის კაცს, *თილითს – ჩანგელიას, კამულეთს – კუბეციას, ესებაიას, გაბრაას (გაბრავას), ზეგანს – ხუბელავას, გოგუას, ნადარაიას, ილორის მკვიდრ წაწულუას...* ყველა ესენი ხომ ეთნიკური ქართველები იყვნენ.

რაც შეეხება აფხაზური გვარსახელების ქართულ ყაიდაზე გადაკეთებას, უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთში მცხოვრები თავად-აზნაურები ყოველთვის ქართველ ფეოდალებად თვლიდნენ თავს და შესაბამისად მათი გვარებიც ქართული სუფიქსებით იწარმოებოდა. ასეა ყველა საისტორიო წყაროსა და საბუთში. *შარვაშიძის* (აფხაზური *ჩაჩბას*) მეგრული ფორმა – *შარაშია* კი XVII საუკუნის იტალიელ მისიონერს *კასტელს* აქვს დაფიქსირებული. მას ნახატზე მიუწერია „აფხაზეთის მთავარი *სეტემან შარაშია*“. აფხაზებს ჰგონიათ გვარსახელის *აქირთავას* აფხაზური ფორმაა *აქირთა*. პირიქით, *აქირთაა* სწორედ მეგრული ფორმა (რაც აფხაზურში პირდაპირ შევიდა), *აქირთავა* კი მისი ლიტერატურული ქართულის ვარიანტია.

ყველაზე დიდი წყარო იმის დამადასტურებლად, რომ სამურზაყანო და აბჟუაც ისტორიულად ქართველური მოდგმით იყო დასახლებული არის ტოპონიმები, როგორც ჰიდრონიმები, ისე ოიკონიმები. სამურზაყანოს ტოპონიმები კი ქართველ ენათმეცნიერებს (*პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა*) კარგად აქვთ შესწავლილი და მიღებულია ერთმნიშვნელოვანი დასკვნები. ოიკონიმები (სოფლის სახელები) მხოლოდ და მხოლოდ მეგრული მეტყველებით აიხსნება. არაერთია *ლე-* (და აგრეთვე *სა-*) პრეფიქსიანი სოფლის სახელები. მაგალითად, სოფელ *ლეჭარაიეში ჭარაიას* გვარის დღეს აღარავინ მკვიდრობს. როგორც ჩანს, სამურზაყანოდან ჭარაიები ზუგდიდისა და წალენჯიხის მხარეს აფხაზთა მოძალების ჟამს

გადასახლდნენ. აქვეა სოფლები *საბერიო, სახახუბიო,* რომლებშიც *ბერიები* და *ხახუბიები* აღარ ცხოვრობენ. *საბულისკირიოში, სამელაიოში, საჩაჩხალიაში* კი *ბულესკირიები, მელაიები* და *ჩაჩხალიები* დღესაც ცხოვრობენ. დიდი მდინარეების სახელები ხომ საუკუნეებს უძლებენ და მოსახლეობის ეთნიკურ ცვლასაც. ადგილობრივი დიდი მდინარეების (*ოქუმი, ღალიძგა, ერისწყალი, წარჩე, ოხურეი, ოხოჯა, ოჯოღორე, ხუმუშქური, ანარია, ნიშონი, ქვიშონა, ვატაფი, ოლიე...*) სახელები მხოლოდ და მხოლოდ ქართველურია. აბჟუაში, სადაც XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ნარევი ქართულ-აფხაზური მოსახლეობა შეიქმნა, გამარჯვებული აფხაზური ეთნოსი და აფხაზური ენა გამოვიდა, თუმცა მნიშვნელოვანი რაოდენობით დარჩა აქ ქართველური ლექსიკური და ტოპონიმიკური სუბსტრატი.

სამურზაყანოსა და *აბჟუაში* იყო და არის ქართული საეკლესიო არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშები (*მოქვი, ბედია, ილორი...*), რომლებიც ქართული ეპიგრაფიკითაა დამშვენებული. სხვათა შორის, *ილორის წმინდა გიორგის* ეკლესია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სალოცავია არა მარტო აფხაზეთ-სამეგრელოში, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოში. აქ არამარტო სამეგრელოს, არამედ სვანეთის მოსახლეობაც იყრიდა თავს. XI საუკუნეში აგებული ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე შემორჩენილია ამავე პერიოდის ძველი ქართული წარწერებიანი ხუთი ქვა (ნუსხური, ასომთავრული და მხედრული წარწერებით). ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებულია მღვდელი *გიორგი ქოჩოლავა.* ეს ადგილობრივი ქართული გვარის პირველი ეპიგრაფიკული დაფიქსირებაა. წებელის XIV საუკუნის ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილი წარწერის მიხედვით ირკვევა, რომ მისი მაშენებელი ყოფილა *ლუკა მარტინევა.*

XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში აფხაზთა მეურნეობის წამყვანი დარგი მესაქონლეობა, განსაკუთრებით წვრილფეხა მესაქონლეობა (თხა, ცხვარი) იყო. მსხვილფეხარქოსან მესაქონლეობას მხოლოდ ბარში მისდევდნენ. მოშენებული ჰყავდათ აგრეთვე ცხენი, ჯორი, სახედარი. ცხენს ძირითადად საჯდომად და ცხენოსნობაში იყენებდნენ, იშვიათად – საჭაპანედ. მესაქონლეობას ძირითადად ინტენსიურ-მომთაბარული ხასიათი ჰქონდა. მთელი წლის განმავლობაში საქონელი საძოვ საკვებზე (ნავროტი) ჰყავდათ – ჯოგი ზაფხულობით მაღალმთიან ალპურ საძოვრებზე ძოვდა, ზამთარში – მთისწინეთში, რაც მთის საძოვრების სიახლოვით და თბილი ზამთრით იყო განპირობებული. ბუნებრივი პირობების გამო, აფხაზებმა საზამთროდ თივის დამზადება არ იცოდნენ. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ აფხაზთა სამეურნეო ყოფაში მესაქონლეობის პრევალირება მათ ენასა და ფოლკლორშიც აისახა. ირკვევა, რომ აფხაზები ჩრდილოეთ კავკასიის სამთო საძოვრებს თავისუფლად, ადგილობრივი მოსახლეობისაგან ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გამოიყენებდნენ, საპირისპიროდ კოდორის ხეობისა, სადაც ჯოგისათვის საძოვრების გამოყენების გამო, აფხაზებს სვანებისათვის უნდა გადაეხადათ გადასახადი. სამეცნიერო ლიტერატურაში ისიცაა აღნიშნული, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ეს საძოვრები ან მათი წინაპრების სათემო საძოვრები იყო ანდა ცალკეული გვარების საკუთრება. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ათეული გვარის თავდაპირველი საცხოვრებელი, რომლებსაც საქონელი ჩრდილოეთ კავკასიაში გადაუდიოდათ სწორედ აქ იყო. ფრიად საყურადღებოა, რომ სოფელ *ჯგერდაში* მოსახლე *ჩეგემის* საგვარეულო სალოცავი ქედის მეორე მხარეს იყო. გვარსახელის ეტიმოლოგიაც ცხადია – ის ყაბარდოული ტოპონიმიდან მომდინარეობს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ აფხაზური და ჩერქეზულ-აბაზური გვარების სერები (ჭრილები) ერთმანეთის იდენტურია.

აფხაზთა ყოფაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ნადირობასა და მეფუტკრეობას. ნადირობდნენ როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად. მონადირეები მთებსა და თოვლში გადასაადგილებლად იყენებდნენ განსაკუთრებულ რკინის ნალს და თხილამურებს. ნადირობდნენ მწევარით და სანადირო

ფრინველებით. ყველა აფხაზური კარ-მიდამოს წინ გამართული ჰქონდათ საფუტკრეები (გამოფუღრული სკები). ეწეოდნენ ტყის მეფუტკრეობასაც – გარეული ფუტკრის თაფლის შეგროვებას.

აფხაზეთი ზღვისპირა მხარეა, მაგრამ აფხაზები თევზს არ ჭამდნენ. XVII საუკუნის შუა ხანებში ამის შესახებ *ლამბერტიც* აღნიშნავდა.

სამიწათმოქმედო კულტურებიდან მოჰყავდათ ფეტვი, ღომი, ქერი. მოგვიანებით ძირითადი კულტურა გახდა სიმინდი. ისევე როგორც ჩერქეზეთში, აფხაზეთშიც მიწათმოქმედებაში ძირითადად ქალები იყვნენ დასაქმებული. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მევენახეობას. ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში, აფხაზეთშიც მხოლოდ მაღლარი ვაზი გვხვდებოდა. ადგილობრივი ვაზის ჯიშების ადგილი XIX საუკუნის ბოლოს *იზაბელამ* დაიკავა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი დროისათვის აფხაზები ყურძენს არ სწურავდნენ და ღვინოს არ აყენებდნენ. მოჰყავდათ აგრეთვე ბოჭკოვანი კულტურები (სელი, კანაფი, ბამბა). სასაქონლო მნიშვნელობა მხოლოდ თამბაქოს მოყვანას ჰქონდა (XIX საუკუნის II ნახევრიდან).

აფხაზთა შორის ხელოსნობამ განვითარების ისეთ დონეს ვერ მიაღწია, როგორც კავკასიის სხვა ხალხებში. იცოდნენ მხოლოდ ხის საოჯახო ჭურჭლის დამზადება. ტანსაცმელს ყველა ოჯახი თავისთვის ამზადებდა. ამზადებდნენ თოფის წამალსაც (დენთს).

ეთნოგრაფიული მასალებით აფხაზებს საზღვაო ტრანსპორტი არ ჰქონიათ. მაგრამ, როგორც ვახუშტი ბაგრატიონი გვამცნობს, „გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს, ვითარცა აღვსწერეთ, და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდიდონ ნავებითა და ჴმელით და სტყუვნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე, და **დაეშენებოდნენ თჳთ აფხაზნი** და არღარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი“. ე. ი. აფხაზები ნავებს მხოლოდ სამეკობროდ, თარეშისათვის იყენებდნენ. თარეშების შეწყვეტის შემდეგ ამ სატრანსპორტო საშუალებამ მათთვის მნიშვნელობა დაკარგა. რამდენადაც ცნობილია, ისინი თევზს საერთოდ არ ჭამდნენ და თევზის რეწვისათვის ნავის გამოყენებაც წარმოუდგენელი იყო.

აფხაზთა საცხოვრებელი მრგვალი, მოწნული ერთკამერიანი სათავსი იყო, რასაც ჩალით ხურავდნენ და თიხით ლესავდნენ. იგი შეესაბამებოდა აფხაზთა ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას და ექსტენსიურ მეურნეობას. არსებობდა აგრეთვე ერთკამერიანი ოთხკუთხა ფიცრული სახლი, რომელსაც მრგვალი გადახურვა ჰქონდა. ასეთ სახლში სოციალურად მაღალი ფენა ცხოვრობდა. საცხოვრებელ ნაგებობას ერთმანეთის პირდაპირ ორი კარი ჰქონდა დატანებული. ერთ-ერთ კედელთან მიწის იატაკზე მოწყობილი იყო ღია კერა. კარმიდამოში ჩვეულებრივ სამი საცხოვრებელი ნაგებობა ედგათ: ოჯახისთვის, ახალდაქორწინებულებისათვის და სასტუმრო. ეს უკანსკნელი უკეთესად ჰქონდათ მორთული. XIX საუკუნის შუა ხანებიდან აფხაზებმა დაიწყეს დასავლურქართული „ოდის“ ტიპის სახლების მშენებლობა. ასეთი ტიპის სახლებს თავდაპირველად სტუმრების მისაღებად იყენებდნენ. აფხაზური სოფლები გაშიშვლებულ ადგილებზე არ იყო გაშენებული. ისინი ძირითადად არც კი ჩანდა, რადგან უპირატესობას სოფლების ტყის მასივებში გაშენებას ანიჭებდნენ. დასახლების ეს ტიპი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოთი და თავდაცვითი ფუნქციით იყო განპირობებული. აფხაზთა კარ-მიდამო შემოზღუდული იყო მოწნული ან ძელის (მორის) ღობეებით, ზოგჯერ არხითაც კი. „ხუტორული“ ტიპის დასახლებას ვრცელი ტერიტორია ეკავა. აქ ერთ კომპლექსში, გარდა საცხოვრებელი სახლისა და სამეურნეო ნაგებობებისა შედიოდა მთელი დასამუშავებელი მიწა, მცირე საძოვარი, ტყე და სასაფლაო. საერთოდ, აფხაზთა დასახლების ფორმას ბევრი რამ აქვს საერთო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მოსახლე ადიღეური ტომების დასახლების ფორმასთან. აფხაზებს ადიღეურ ტომებთან ერთი რამეც აახლოვებთ. ცნობილია, რომ მთელ კავკასიაში რაოდენ განვითარებული იყო ციხე-სიმაგრეების, კოშკების კულტურა. აფხაზებისათვის

კოშკები უცნობი იყო. მხოლოდ მდ. კოდორის სამხრეთით, იქ სადაც ოდითგანვე ზანთა განსახლების არეალი იყო, შემორჩენილია კოშკთა ნარჩენები, ნანგრევები. ამას ტოპონიმიკაც მიუთითებს. აფხაზებისათვის საერთოდ უცნობი იყო სამშენებლო მასალად ქვის გამოყენება. მოწნული სახლები მოხერხებული იყო ადგილსაცხოვრისის შესაცვლელად. ისინი განაპირობებდნენ სწრაფ და მსუბუქ გადაადგილებას. საერთოდ, მეცნიერები აფხაზთა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მოსახლეობის დასახლების ტიპებს შორის გენეტიკურ მსგავსებას ხედავენ. თუმცა აშკარაა, დასავლურქართული ყოფითი კულტურის გავლენა, რაც რამდენიმე საუკუნის კულტურულ-ისტორიულმა ურთიერთობებმა და ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების მსგავსებამაც განაპირობა. შეიმჩნევა მთელი რიგი ტერმინოლოგიური ნასესხობები ქართველური ენებიდან. მაგალითად, მეგრული მეტყველებიდან აქვთ შეთვისებული მოწნული სახლის, ქოხის სახელწოდება „აფაცხა“.

აფხაზებისათვის ტრადიციული საკვები იყო ღომის ფაფა, რომელსაც **აბასტას** უწოდებდნენ. ჩვეულებრივ მას ფეტვის ბურღულისაგან ხარშავდნენ; ის XIX საუკუნეში სიმინდის ფქვილმა შეცვალა. წარსულში ღომს ცივად მიირთმევდნენ – ის მაგიდაზე ნაჭრების სახით დაჭრილი მიჰქონდათ. *ჟ. შარდენიც* აღნიშნავდა, რომ აფხაზები (ჩერქეზები და შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები კავკასიელები) „მხოლოდ და მხოლოდ ფაფით იკვებებიან. ეს არის მათი პური, სხვა მათ არ გააჩნიათ“.

წარჩინებული აფხაზი მამაკაცის ტანსაცმელი იყო ჩოხა, რომელსაც შინნაქსოვი შალისაგან კერავდნენ. ქალებს ეცვათ გრძელი, წელში გამოჭრილი კაბა (ნაზა).

ფეოდალური ურთიერთობები თავისი კლასიკური ფორმით მხოლოდ აფხაზეთის იმ ნაწილში იყო წარმოდგენილი, რომელიც, თავის დროზე, ოდიშის სამთავროში შედიოდა (აბჟუა, სამურზაყანო). დასავლეთ აფხაზეთში ანუ ისტორიულ აფხაზეთში და აგრეთვე მთიანეთში შემორჩენილი იყო თემურ-გვაროვნული კავშირები. გლეხებთან ერთად აფხაზებისათვის მონების ყოლაც არ იყო გამონაკლისი. აფხაზებს აზნაურის აღმნიშვნელი საკუთარი ტერმინი (*აამსთა*) ჰქონდათ, თავადს კი ქართული ტერმინით აღნიშნავდნენ (*ათაუად*), რაც მნიშვნელოვანი დასკვნის საშუალებას იძლევა – აფხაზთა ფეოდალური სისტემა ქართული იყო. აფხაზეთის მთავრის ხელისუფლება მხოლოდ **ბზიფზე, გუმაზე**, მოგვიანებით **აბჟუასა** და **სამურზაყანოზეც** ვრცელდებოდა. რაც შეეხება მთის ე. წ. „თავისუფალ“ საზოგადოებებს (**წებელი, დალი, ფსხუ, ახჩიფსი, საძენი**), ისინი ფაქტობრივად დამოუკიდებელნი იყვნენ. XIX საუკუნის შუა ხანებამდე შემორჩენილი იყო მონობა. ანსხვავებდნენ მონების ორ კატეგორიას: დაბადებით მონებს და *აგრუას*. ამ კატეგორიის მონები თარეშების შემდეგ მოყვანილი ტყვე მეგრელები და მათი შთამომავალნი იყვნენ.

აფხაზეთის მთავრის (*აჭ*) ხელისუფლება სასოფლო თემებით და სახალხო კრებებით იყო შეზღუდული. აფხაზების საზოგადოებრივი წყობის საფუძველს სასოფლო თემი (*აქითა*) წარმოდგენდა. „აქითა“ ფაქტობრივად ადმინისტრაციული ერთეული იყო, რომლის სათავეში რომელიმე სათავადო სახლი იდგა. აფხაზებს შორის ურთიერთობები ძირითადად ჩვეულებითი სამართლით რეგულირდებოდა. იცოდნენ სისხლის აღება. გვიან შუა საუკუნეებში აფხაზეთში ფეოდალური ურთიერთობები პრიმიტიული ხასიათის იყო. გლეხს შეეძლო სადაც უნდა იქ დასახლებულიყო.

კავკასიის სხვა ხალხთა მსგავსად, აფხაზთა შორისაც სტუმართმოყვარეობა ტრადიციებს შორის უმაღლეს ადგილს იკავებდა. უცხო სტუმარს არასდროს არ ეკითხებოდნენ ვინ იყო, საიდან მოდიოდა. იცოდნენ ურთიერთდახმარება. გვიანდელ პერიოდამდე არსებობდა ძლიერი საგვარეულო კავშირებიც, რომელთაც საერთო წინაპარი ჰყავდათ. აფხაზური თემი გვიანდელ გვაროვნულ თემს წააგავდა. გვარი სერთო წინაპრისაგან მომდინარეობდა და მას საფუძვლად ძირითადად ეპონიმი

ედო. აფხაზებისათვის დამახასიათებელი იყო მკაცრი ეგზოგამია. ყველა მეტნაკლებად დიდი გვარი განშტოებებად იყოფოდა. გვარის დანაყოფებს *აბიფარას* უწოდებდნენ და ეს პატრონიმიული ერთეულები ახლომონათესავე ოჯახებისაგან შედგებოდა. აფხაზური გვარსახელები ჩვეულებრივ *-ფა (-ბა)* სუფიქსით იწარმოება, რაც „შვილს“ აღნიშნავს. რაც შეეხება *-ია* და -ა-ზე დაბოლოვებულ გვარების მატარებლებს, მათი უმეტესობა ქართული წარმოშობისაა, ანდა იშვიათად ასეთი გვარები ქართველებთან ეთნოკულტურული ურთიერთობის შედეგად, ქართველთა წაბაძვით აქვთ გაფორმებული. გვხვდება უსუფიქსო აფხაზური გვარსახელებიც (*ბარციცი, ამპარი, სმირი, კიუტი...*). არის რამდენიმე გვარსახელი, რომლებსაც საფუძვლად ეთნონიმი უდევთ (*აშაა* – ყაბარდოელი, *ზუხბა* – ზიხის შვილი, *ასვანუა, შანუა* (სვანები), *აგრბა* – მეგრელის შვილი, *ჭანბა* – ჭანის შვილი...). აფხაზთა შორის, საკუთრივ აფხაზურ სახელებს გარდა, გავრცელებული იყო ქართველური საკუთარი სახელებიც: *მაცი, მახარია, კვაჯი, ხუტა, ჯოღორია, ქვარა, ხუჭუ, ლომკაც, კოჩა, გუძა, გიორგობე, კაცი....*

XIX საუკუნეში აფხაზები ძირითადად პატარა ოჯახებად ცხოვრობდნენ. მაგრამ არც თუ ცოტა იყო დიდი ოჯახიც. საქორწინო აკრძალვა ძირითადად ორი მოტივით ხდებოდა. ეს იყო ნათესაობა და წოდებრივი მიკუთვნებულობა. ერთი წინაპრის შთამომავალნი, ანუ ერთი გვარის წევრები ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ. ამავე დროს, აკრძალული იყო ქორწინება ორ სხვადასხვა გვარს შორის, რომლებსაც ჰქონდათ გადმოცემა საერთო წარმომავლობის შესახებ. ეგზოგამიური აკრძალვა ვრცელდებოდა აგრეთვე დედის, ბებიის გვარზეც. სისხლის ამღვრევი მკაცრად ისჯებოდა (თემიდან განდევნა, გვარის ტარების უფლების ჩამორთმევა). საქმროს გვარს აუცილებლად გამოსასყიდი უნდა გადაეხადა საცოლის გვარისათვის. გამოსასყიდს ძირითადად საქონლით იხდიდნენ. ერთადერთი ქალიშვილის ყოლის შემთხვევაში იცოდნენ ზესიძეობაც, რაც ხალხში არაპოპულარული იყო. ასეთ შემთხვევაში ქონება ქალიშვილს და მის ოჯახს გადაეცემოდა. სხვა შემთხვევაში ქონების პატრონები სახლიკაცები, მოგვარეები ხდებოდნენ.

ძველაფხაზური საოჯახო ყოფისათვის დამახასიათებელი იყო *ათალიკობა ანუ გაძიძავება.* აფხაზ ფეოდალებს შორის თითქმის არავინ იყო ისეთი, რომლებსაც დედის ძუძუ ჰქონდათ ნაწოვი და რომლებიც საკუთარ სახლში ყოფილიყვნენ გაზრდილნი.

ისტორიული წყაროების თანახმად, ისევე როგორც აბაზებში, აფხაზებშიც გავრცელებული ყოფილა ხეზე დაკრძალვის წეს-ჩვეულება.

ცნობილია, რომ ძველი აფხაზები ქრისტიანები იყვნენ. მაგრამ XV საუკუნეში ჩრდილოეთიდან მოსახლეობის ახალი ტალღების შემოსვლის გამო, ქრისტიანობამ თავისი პოზიციები დათმო და მოხდა ძველი წარმართული სარწმუნოების გააქტიურება, რომელიც დღესაც ცოცხალი და მოქმედია მოსახლეობაში. *ჟ. შარდენი* აფხაზების შესახებ აღნიშნავდა, რომ მათ „წარმოდგენა არა აქვთ სარწმუნოების არსზე, მის წესებზე და არ ემორჩილებიან არავითარ კანონს“. თურქთა ბატონობის ხანაში (XVI საუკუნიდან) გავრცელდა სუნიტური ისლამი. აფხაზთა წინაქრისტიანული და წინაისლამური რწმენა-წარმოდგენები მნიშვნელოვან მსგავსებას ამჟღავნებენ, როგორც ქართველთა, ისე ჩრდილოეთ კავკასიელთა ანალოგიურ რწმენა-წარმოდგენებთან. ამასთანავე, თანამედროვე აფხაზთა რწმენა-წარმოდგენათა ამსახველ გადმოცემებში ასახულია მოსული ჩრდილოელების მიერ ადგილობრივი სალოცავების ყმადქცევის პროცესი, რითაც ხდებოდა მათი რელიგიური და სოციალური ადაპტაცია. არსებობს ისეთი გადმოცემებიც, რომლებიც მიუთითებენ სალოცავების დაარსებას ჩრდილოეთიდან მოსული წინაპრების სახელობაზე, რაც ასახავს უკანასკნელ საუკუნეებში ჩრდილოეთკავკასიელთა მასობრივად ჩამოსახლების პროცესს. მაგალითად შეიძლება *ინალკუბას* საფლავი (ინალის საფლავი ფსხუში) დავასახელოთ. ახლად

დაარსებული აფხაზური სალოცავები ხშირად ქრისტიანული ეკლესიების ადგილებში ან ნაეკლესიარებში იმართებოდა.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, აფხაზების მთავარი ღვთაებები არიან ტყის, ნადირისა და ნადირობის მფარველები – ***აიერგი*** და ***აჟვიფშა***. განსაკუთრებით ძლიერი და მკაცრია ელვისა და ჭექა-ქუხილის ღვთაება ***აფი.*** პოპულარულია მჭედლობის მფარველი და სამჭედლოს პატრონი ***შაშვი.*** ღვთაებათა სახელზე გამართულ სათემო და საგვარეულო დღესასწაულებზე სწირავდნენ მსხვერპლს, ძირითადად თხას. აფხაზურ ფოლკლორში განსაკუთრებული ადგილი უკავია ნართების ეპოსს. ეს ელემენტი შემოჭრილია მათ მატარებელ ეთნოსებთან ერთად შედარებით ახალ დროში. ფაქტია, რომ ნართული ეპოსი ჩრდილოეთკავკასიელი სხვადასხვა ენობრივ-ეთნიკური ჯგუფების მახასიათებელია. აფხაზურ ვერსიაში ნართები ცხოვრობენ ქვის საცხოვრებლებსა და ციხე-სახლებში, კოშკებში, რაც არც ადიღეველებისა და არც აფხაზების ტრადიციული ყოფისათვის დამახასიათებელი არ ყოფილა. აფხაზურ ეპოსში არც ქრისტიანული დანაშრევები ჩანს. აქედან ფაქტია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ძველ აფხაზებს ნართული ეპოსი საერთოდ არ ჰქონდათ და რომ ეს ეპოსი მათ ჩრდილოეთ კავკასიიდან მიგრაციის შედეგად მოიტანეს. აფხაზეთი შუა საუკუნეებში ხომ ქრისტიანული ქვეყანა იყო. გამორიცხულია ქრისტიანული რწმენის ხალხს ეპოსში ქრისტიანული ელემენტები არ შეეტანა. ნართები მეომრები და მესაქონლეები იყვნენ და არა მიწათმოქმედნი. ნართების ეპოსში აღწერილი გეოგრაფიული გარემო აფხაზეთის გეოგრაფიულ გარემოსა და ადგილმდებარეობას, მცენარეულ და ცხოველურ სამყაროს არ მიესადაგება, რაც იძლევა იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ დღევანდელი აფხაზების წინაპრების ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბების ტერიტორია აფხაზეთში არ იყო.

II. 3. ადიღეელები

ადიღეელების თვითსახელწოდებაა **ადიღე**. 1989 წლის მონაცემებით, რუსეთის ფედერაციაში 129,9 ათასი ადიღეელი ცხოვრობდა, აქედან ადიღეაში – 95,4 ათასი. კრასნოდარის მხარის ფარგლებში ადიღეელები მკვიდრობენ აგრეთვე ლაზარევსკაიასა და ტუაფსეს რაიონებში (20,8 ათასი). ადიღეელების დიდი ნაწილი თურქეთსა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში ცხოვრობს.

ადიღეა დაბლობისა და მთისწინა ნაწილებად იყოფა. უფრო დიდი ნაწილი – ბარი მდინარეების *კუბანისა* და *ლაბის* ველებშია. დღევანდელი ადიღეელები, ანუ ადიღეელთა ეთნონიმით სახელდებულნი ისტორიულად დასავლეთ ადიღეელებს მიეკუთვნებიან, საპირისპიროდ თანამედროვე ყაბარდოელებისა, რომლებიც აღმოსავლეთ ადიღეელებს წარმოადგენენ. ყაბარდოელების თვითსახელწოდებაც, ისევე როგორც დასავლეთ ადიღეელებისა და ჩერქეზებისა, არის **ადიღე**, ე. ი. ადიღეელები, ყაბარდოელები და ჩერქეზები ფაქტობრივად ერთი მოდგმის ხალხია, რომლებიც რუსეთის ხელისუფლებამ სხვადასხვა ხალხებად გამოაცხადა. მათ ენობრივი და კულტურული თვალსაზრისით ერთმანეთთან ბევრი რამ აქვთ საერთო, თუმცა ერთმანეთში ნაკლებად იყვნენ ინტეგრირებულნი.

ადიღეური ენა კავკასიურ ენათა ოჯახის ადიღეურ-აფხაზურ ჯგუფს ეკუთვნის. მასთან ყველაზე ახლოსაა ყაბარდოული ენა. ადიღეური ენა რამდენიმე დიალექტისაგან შედგება. ეს დიალექტებია: *თემირღოული* (საფუძვლად უდევს ლიტერატურულ ენას), *აბაძეხური, ბჟედუხური, შაფსუღური.* დიალექტების რაოდენობა ადრე უფრო მეტი იყო. ადიღეური ენის რიგი დიალექტების გაქრობა ამ ეთნოსის დიდი ნაწილის XIX საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთში გადასახლებამ გამოიწვია. შესაბამისად მეტი იყო ეთნოგრაფიული ჯგუფების რაოდენობაც. ესენი იყვნენ: **აბაძეხები (**იყოფოდნენ ქვემო და ზემო აბაძეხებად**), ბესლენელები, ბჟედუხები** (თავის მხრივ იყოფოდნენ **ხამიშეელებად** და

ჩერჩენეებად), ეგერუხელები, მამხეგელები, მახოშეველები, ნატუხაელები, თემირღოელები, ჭემგუელები, ხატუკაელები, შაფსუღები, ხაკუჩები, ჟანაელები, ხეგაკები... დასახელებული ტერიტორიული ერთეულებიდან ორი უკანასკნელი – *ჟანაელები* და *ხეგაკები* – XIX საუკუნეში გაქრნენ, რისი მიზეზიც ყუბანის ქვემო წელში, „ყირიმელ თათართა–ოსმალთა–ადიღეელთა“ ეთნოსთაშორის საკონტაქტო ზონაში ბინადრობა იყო; აქ სტეპი დასავლეთ კავკასიის მთისწინეთში გადასვლას იწყებს. როგორც ცნობილია, სტეპი ყირიმელ თათართა ეთნოსფერას წარმოადგენდა, *თემრიუკში, ტამანში, ანაპაში* კი ოსმალთა სამხედრო ბაზები იყო. სწორედ ამიტომ *ჟანაელები* ყირიმელთა, ხშირად კი ყირიმელ თათართა და ოსმალთა ერთობლივი ექსპანსიის მსხვერპლნი ხდებოდნენ. ადიღეელთა მოზაიკურ ეთნიკურ სისტემაში ოდესღაც *ჟანაელები* ყველაზე ბევრნი და გავლენიანი იყვნენ. ყირიმელ თათარებთან და ოსმალებთან სამასწლოვანი ეთნიკური კონტაქტის შედეგად, 1830 წლისათვის ყუბანში სულ 1200 *ჟანაელიღა* იყო შემორჩენილი. ხოლო 1883 წელს ადიღეაში მხოლოდ 21 კაცი მიეკუთვნებდა *ჟანაელთა* ლოკალურ ჯგუფს. იგივე ხვედრი ხვდათ *ხეგაკებს,* რომლებიც *ჟანაელების* სამხრეთით, შავიზღვისპირეთში *ანაპისა* და *ნოვოროსიისკის* ირგვლივ მოსახლეობდნენ. *ანაპა* და *სუჯუკ-ყალე* (*ნოვოროსიისკი*) ოსმალთა სამხედრო ფორფოსტები იყო. აქედან კი ერთი ხელის გაწვდენაზე იყვნენ *ხეგაკები.* ყირიმელთა და ოსმალთა განუწყვეტელი ექსპანსიის შედეგად *ხეგაკების* უმეტესობა გაწყდა, ხოლო 1812 წლის შავმა ჭირმა თითქმის მთლიანად გააქრო ადიღეელთა ეს ჯგუფი. 1883 წელს ყუბანში მხოლოდ 10 *ხეგაკი* იყო დარჩენილი. თითქმის ანალოგიური ბედი ხვდათ *ბესლენელებს,* რომლებიც დაბლობში თანამედროვე არმავირამდე აღწევდნენ.

ადიღეელები, გარდა ჩვეულებრივი სალაპარაკო ენისა, ძველად მეტყველებდნენ ჟარგონზეც. ასე, მაგალითად, თარეშების დროს ე. წ. ფეოდალურ-გვაროვნული დიდკაცობა ლაპარაკობდა განსაკუთრებულ, სხვისათვის გაუგებარ ენაზე. ადიღეელებს დამწერლობა აქვთ რუსულ გრაფიკულ საფუძველზე. საბჭოთა პერიოდში შეიქმნა ადიღეური ლიტერატურა. ადიღეური პროზის პირველი მოთხრობები (1928 წ.) მწერალ *ტ. კერაშევს* ეკუთვნის.

დასავლეთ ადიღეელების რაოდენობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მკითხველი სხვადასხვა მონაცემებს შეხვდება – 500 ათასიდან 1 მილიონამდე (XIX საუკუნის პირველ ნახევარში). დღეს უფრო მეტად გაზიარებულია *მ. პოკროვსკის* მიერ მოყვანილი ციფრები, რომლის მიხედვითაც XIX საუკუნის შუა ხანებში დასავლეთ ადიღეელების საერთო რაოდენობას დაახლ. 700-750 ათასი კაცი იყო.

ადიღეელები და სხვა ადიღები – ყაბარდოელები და ჩერქეზები – ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ავტოქტონური მოსახლეობის შთამომავალნი არიან. თანამედროვე ადიღეელების ფორმირება XII-XIV საუკუნეებში ეთნიკური პროცესებისა და ყაბარდოელთა ტერიტორიული განცალკევების შედეგად მოხდა.

საისტორიო წყაროებით, დასავლეთ ადიღეელები მოძრაობითობით, მიგრაციისადმი მიდრეკილებით გამოირჩეოდნენ; სხვადასხვა ტომები, ეთნოგრაფიული ჯგუფები ხშირად ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ. XVIII საუკუნესა და XIX საუკუნეში (30-იან წლებამე) ადიღეელებს ეკავათ ვრცელი ტერიტორია *ყუბანის* მარცხენა მხარეზე, *აზოვისა* და *შავიზღვისპირეთში.* აღმოსავლეთით დასავლეთ ადიღეელების საზღვარი მდ. *ლაბის* მარჯვენა ნაპირზე გადიოდა. XIX საუკუნის 30-იან წლებში კი *ბესლენელთა* გადასახლების შედეგად ამ საზღვარმა მდ. *ურუპამდე* გადაიწია. ხანდახან ადიღეურ მოსახლეობას მდ. *ყუბანის* მარჯვენა ნაპირის ტერიტორიაც ეკავა ხოლმე, როდესაც აქ *ჟანაელების, ბუჟედუხების* და *შაფსუღების* ცალკეული ჯგუფები სახლდებოდნენ. ადიღეური ტომების საზღვრები მუდმივი არ იყო; ისინი ხშირად იცვლებოდნენ. მიგრაციული პროცესების შედეგად ადიღეური ეთნოსის კონსოლიდაცია XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის დასაწყისში ინტენსიური იყო. კონსოლიდაციისა და ასიმილაციის შედეგი იყო ცალკეული ადიღეური ტომების ტერიტორიის, მოსახლეობის რაოდენობის

შემცირება, ხშირად კი ზოგიერთი ტომის ტერიტორიული დანაყოფის სრული გაქრობა. *ხატუკაელების* დიდი ნაწილიც *აბაძეთა* გარემოცვაში მოექცა და ბოლოს მათ შეერივნენ კიდეც. *თემირღოელებმა* კი ძალიან მოიმატეს, რაც მათ მიწა-წყალზე *ბუჟდუღების* დასახლებამ განაპირობა.

ადიღეელთა შემადგენლობაში უცხო ეთნიკური ჯგუფებიც გაითქვიფნენ. უპირველეს ყოვლისა, ეს *აბაძეხებს* ეხებათ, რომელთა ეთნიკური საფუძველი *ლ. ლავროვის* დასკვნით, არა ადიღეური, არამედ აბაზური იყო. გადმოცემით, *აბაძეხების* განსახლების თავდაპირველი არეალი შავიზღვისპირეთი – ტერიტორია ადლერიდან ტუაფსემდე – იყო, რომელიც მართლაც აბაზებით იყო დასახლებული. აბაძეხებისა და აბაზების კავშირს ეთნონიმებიც გვიდასტურებენ. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, *აბაძეხი* „ქვემო აბაზებს“ ნიშნავს (XIX საუკუნის პირველ ნახევარში აბაძეხებმა 25 ათას კაცს მიაღწიეს. სხვათა შორის, აბაძეხების ტომს მტრული დამოკიდებულება ჰქონდა თემირღოელებთან). XIX საუკუნის 30-იანი წლების მონაცემებით, აბაძეხები ორად იყოფოდნენ: მდინარეთა დაბლობებში მცხოვრებნი და მთიანი ზოლის მკვიდრნი. ამ უკანასკნელთ აბაზები ერქვათ. შაფსუღების შესახებ *კლაპროტი* აღნიშნავდა, რომ მათ ყაბარდოელებთან საერთო ძირი და წარმომავლობა აქვთ, „მაგრამ, ისევე როგორც აბაძეხები, იღებდნენ რა ლტოლვილებს, ისე შეერივნენ, რომ მათში ცოტაღა დარჩა ჩერქეზული სისხლის“. *შაფსუღების* რაოდენობამ XIX საუკუნის 40-იან წლებში 160 ათას კაცს მიაღწია. ამავე დროისათვის ერთ-ერთი დიდი ადიღეური ტომი *ბუჟდუხების* ტომი იყო. XVII საუკუნის შუა ხანებში, *ლ. ლავროვის* მითითებით, ბუჟდუხები იყოფოდნენ ჩერქეზებად და აბაზებად (ჩერქეზების და აბაზის ბუჟდუხებად). XIX საუკუნის დასაწყისში ბუჟდუხები ერთიანი ეთნიკური ერთეულის სახით არ იყვნენ განსახლებულნი. ისინი სხვადასხვა მდინარეთა ხეობებში (*ფში, ჰჩახომატი, შაკუპსუ, ჩებიუ, ლაბა*) ცხოვრობდნენ. XVII საუკუნის თურქი მოგზაურის *ევლია ჩელების* ცნობით, *ბუჟდუხები ორენოვანნი იყვნენ – ლაპარაკობდნენ აბაზურადაც და ადიღეურადაც.* 10 ათას კაცს ითვლიდნენ *თემირღოელები. თემირღოელებთან* მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი *ეგერუკაები, ადამიელები, მოხოშები, მამხეგები.* დასავლურ ადიღეური ტომებიდან ყველაზე აღმოსავლეთით (მდ. *ლაბის* გამოსასვლელში) *ბესლენელები* მკვიდრობდნენ.

ადიღეური ტომების საერთოქართული ეთნონიმი **ქაშაგი** იყო. ქაშაგები პირველად *ბასილ ეზოსმოძღვრის* „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“-ში არიან მოხსენიებულნი. დღესაც სვანები მათ „ქაშაგს“ (მრ. რ. „ქაშგარ“) უწოდებენ.

დღევანდელ ადიღეელთა წინაპარი – დასავლეთ ადიღეური ტომები შავიზღვისპირეთსა და ჩრდილოეთკავკასიაში დიდი სახელმწიფოების მეტოქეობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. XIV საუკუნეში ადიღეელებს გაცხოველებული ეკონომიკური კონტაქტები ჰქონდათ შავიზღვისპირეთის გენუის ფაქტორიებთან. გენუელების ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებაში ჩარევამ XV საუკუნეში რამდენიმე ანტიგენუური აჯანყება გამოიწვია. XVI საუკუნის დასაწყისში, რამდენჯერმე დალაშქვრის შემდეგ, ყირიმელმა ხანებმა ადიღეელები დაიმორჩილეს. ადიღეელებმა ხანების უზენაესობაზე არაერთხელ უარი თქვეს და მათ ხარკი შეუწყვიტეს. ამავე დროს, ადიღეელებს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული ყირიმთან. ხშირად ყირიმელი ბატონიშვილები ბესლენელი თავადების ოჯახებშიც იზრდებოდნენ. ყირიმელებმა დიდი როლი ითამაშეს ადიღეელთა შორის ისლამის გავრცელებაში (XVI საუკუნეში).

XV-XVIII საუკუნეებში ადიღელთა შიდა ურთიერთობები რთული და წინააღმდეგობრივი იყო. ხშირი შინაომები ადიღეს როგორც მეურნეობის, ისე სოციალურ-პოლიტიკური განვითარების წინსვლას აფერხებდა. სოციალური ურთიერთობები უთანაბროდ ვითარდებოდა. საზოგადოების ეკონომიკური წყობა პატრიარქალურობით ხასიათდებოდა. ცალკეული ადიღეური ტომების განვითარების დონე სხვადასხვაგვარი იყო. ტომების ერთ ნაწილში სოციალური დიფერენციაციის

პროცესი ღრმად იყო წასული, მეორე ნაწილში კი ეს პროცესი საკმაოდ შენელებული იყო. ბარისა და მთისწინეთის ზოგიერთ ტომში (მაგალითად, თემირგოელებში, ბუჟდუხებში) „თავადების“ ხელისუფლება და რთული წოდებრივი დაყოფა არსებობდა. იმავე დროს, მთისა და, ნაწილობრივ, მთისწინეთის მოსახლეობამ (*აბაძეხები, შაფსუღები* და სხვ.) თავადთა ხელისუფლება არ იცოდა და ერთ შემთხვევაში, იმართებოდნენ არჩევითი უხუცესების მიერ, მეორე შემთხვევაში – წვრილი დიდკაცობის (*ორკების, უორკების*) მიერ. წვრილი ზედაფენა – „უორკები“, რომელიც პირობითად შეიძლება ჩვენს აზნაურებს გავუთანაბროთ, „თავადებად“ გადაქცევას ცდილობდა. ადიღეური ტომები დამოუკიდებელი სასოფლო თემების ერთობლიობას წარმოადგენდნენ, რომლებიც ყრილობებზე თავიანთ წარმომადგენლებს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში წარგზავნიდნენ. მიწა მხოლოდ თემების (საზოგადოებათა) და გვარების განუყოფელ მფლობელობაში იყო. გადანაწილების შემდეგ მიწა ხშირად გვარიდან გვარში გადადიოდა. მიწის გაყიდვა და გაქირავება არ არსებობდა

ადიღეში პრივილეგირებული ფენის წარმომადგენლებს *ფში* („თავადი“), *ტლეფოტლეში* და *ორკი* („აზნაური“) ეწოდებოდათ. **მოსახლეობის ძირითადად მასას *ფტოკოტლები* (თავისუფალი ხალხი) შეადგენდა, რომლებიც დაქვემდებარებას ეწინააღმდგებოდნენ.** ყმა-გლეხებთან გათანაბრებული იყო *ფშიტლის* ფენა. ისინი წინაფეოდალურ-გვაროვნული ზედაფენისაგან პირად დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. ადიღეური მოსახლეობის ყველაზე დაჩაგრული და შევიწროებული ნაწილი მონები იყვნენ, რომლებსაც *უნაუტი* ეწოდებოდათ. მონებად ძირითადად ტყვეებს აქცევდნენ. უნაუტებს არავითარი პირადი და ქონებრივი უფლება არ გააჩნდათ. მფლობელს შეეძლო უნაუტის მოკვლა.

1867 წელს, ადიღეელთა დიდი ნაწილის თურქეთში გადასახლების შემდეგ, **აზნაურები მოსახლეობის 2,9%-ს შეადგენდნენ, სასულიერო წოდება – 1,7%-ს, თავისუფალი მეთემეები – 74%-ს, ყმა-გლეხები და მონები – 20,5%-ს.**

შაფსუღებმა, ნატუხაელებმა და აბაძეხებმა შეძლეს თავიანთი „აზნაურების“ პრივილეგიებისა და უფლებების შეზღუდვა. 1796 წელს დაპირისპირებამ აპოგეას მიაღწია: *ბზიუკის* ბრძოლაში ერთმანეთს ებრძოდნენ, ერთი მხრივ, შაფსუღი და ბუჟდუხი „აზნაურები“ და მეორე მხრივ – შაფსუღების, აბაძეხების და ნატუხაელების გაერთიანებული გლეხთა რაზმები. მართალია, რუსი კაზაკების დახმარებით „აზნაურებმა“ გაიმარჯვეს, მაგრამ მათ სოციალური პრივილეგიების მიღება ვერ შეძლეს.

XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ადიღეელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციის საფუძველს სასოფლო თემი/ტერიტორიული თემი წარმოადგენდა. სასოფლო/ტერიტორიულ თემებს *ყუაჯი, ფსუხვ* ეწოდებოდა. ადიღეურად *ყუაჯი* საერთოდ სოფელს აღნიშნავდა, *ფსუხვ* კი – მდინარეს ანდა ხეობას. თავის მხრივ რამდენიმე *ფსუხო* (*ფსუხვ*) უფრო დიდ საზოგაგადოებაში შედიოდა. ეს საზოგადოება კი ტერმინით *ხაბლ* აღინიშნებოდა (ცნობილია აბაძეხთა რამდენიმე *ხაბლის* სახელწოდება: *თუბა, თემ-დაში, ჯანგეთ-ხაბლ, დაურხაბლ, ნეჯუკო-ხაბლ, გატიუკო-ხაბლ, ტფიშებს*). ყოველი თემი ანუ *ფსუხო* ოთხიდან ათი სოფლის ერთობლიობას წარმოადგენდა. XIX საუკუნეში ადიღეურ *ფსუხვში* გვაროვნული ელემენტები სასოფლო თემის პრინციპებთან იყო შეთანწყობილი და ფაქტობრივად ის გარდამავალი ტიპის თემს წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში ერთი გვარით დასახლებულ ხეობაში მოსული ხალხი სახლდებოდა, რომლებიც, რა თქმა უნდა, ერთმანეთთან სისხლიერი კავშირებით არ იყვნენ დაკავშირებულნი. საზოგადოებრივი განვითარების კვალდაკვალ პატარა თემები ხშირად უფრო დიდ თემებად ერთიანდებოდნენ. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ერთი თემის წევრთა რიცხვი ზოგჯერ რამდენიმე ათასს კაცს აღწევდა. იქ, სადაც „თავადთა“ ხელისუფლება არსებობდა, თემები თითქმის მთლიანად პროტოფეოდალურ-გვაროვნულ ზედაფენაზე იყვნენ დამოკიდებული. ადიღეელის/ჩერქეზის

წარმოდგენით მიწა არა რომელიმე პიროვნებას, არამედ მთლიანად მთელ თემს ეკუთვნოდა. მიწის გაყიდვაზე, მემკვიდრეობით გადაცემაზე მათ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ. „თავადი“ ხელქვეითებისაგან არავითარ გამოსაღებს არ იღებდა. ამ უკანასკნელთა ზემდგომებისადმი მოვალეობა უმიშვნელო იყო.

ადიღეურ ტომებში სისხლით ნათესაურ ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მონათესავე ოჯახების ჯგუფები ერთმანეთთან საერთო წარმომავლობით იყვნენ დაკავშირებულნი და შეადგენდნენ გვარს (*აჩიხ*). ყველა გვარს თავისი საერთო წინაპარი მამაკაცი ჰყავდა. ადიღეურ სოფელში ერთი გვარის რამდენიმე დანაყოფი (პატრონიმია) მკვიდრობდა. ერთი გვარის ხალხს შორის ქორწინება აკრძალული იყო. გვარის წევრებს სისხლის აღებისა და ურთიერთდახმარების ტრადიციაც აერთიანებდა.

მანამ, სანამ ადიღეელების სოციალურ ურთიერთობათა საკითხებს კვლავ შევეხებით, რამდენიმე სიტყვით ისტორიის ზოგიერთი მომენტის შესახებ. 1791 წელს ცარიზმმა კავკასიის ხაზი მდ. *ყუბანზე* გადაიტანა, რის შემდეგაც დაიწყო რუსეთის არმიის სისტემატური შეჯახება ადიღეელებთან. 1820 წლიდან რუსეთის არმია წინ მიიწევდა და ადიღეს დაპყრობაც გეგმაზომიერად ხდებოდა. რუსების უპირველეს მიზანს ადიღეელების ყუბანისპირეთის რაიონებიდან გაძევება წარმოადგენდა. თავის მხრივ, ადიღეელები რუსეთის არმიასა და კაზაკების შენაერთებს საპასუხო დარტყმებს აყენებდნენ, ყუბანის მარჯვენა ნაპირზე სტანიცებს ანადგურებდნენ. ადიღეელების წინააღმდეგ 1839 წელს შავიზღვისპირეთის სანაპირო ხაზიც აშენდა. სამხედრო სიმაგრეთა ჯაჭვი აფხაზეთიდან ანაპამდე იყო გადაჭიმული. 1840-იან წლებში ადიღეელებმა მნიშვნელოვან სამხედრო წარმატებებს მიაღწიეს; მათ შავიზღვისპირეთის სანაპირო ხაზი აიღეს. ამას გარდა, ადიღეელებმა სხვა მნიშვნელოვანი გამარჯვებებიც მოიპოვეს. ადიღეელების განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა მათი შინაგანი თვითორგანიზაციით იყო განპირობებული; ყალიბდებოდა სამხედრო-სახელმწიფო კავშირის საფუძვლები, რაშიც დიდ როლს *შამილის* ნაიბებიც (მოადგილეები) ასრულებდნენ. ადიღეელთა ბრძოლას სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდნენ: *ხაჯი-მუჰამედი, სულეიმან-ეფენდი.* განსაკუთრებით გამოირჩეოდა *მუჰამედ-ემინი.* კავკასიის ომმა დააჩქარა ადიღეელთა ისლამიზაცია. ისლამური რელიგიური ცნობიერება რუსების დაპყრობების წინააღმდეგ იდეოლოგიურ საფუძვლად იქცა. შამილის დატყვევების (1859 წლის აგვისტო) და დაღესტან-ჩეჩნეთში ომის დამთავრების შემდეგ, 1859 წლის ნოემბერში *მუჰამედ-ემინი* ცარიზმის არმიას დანებდა. 1862 წელს ადიღეელებმა წინააღმდეგობა განაახლეს. ცარიზმის არმიამ სანაპიროს გასწვრივი ზოლიდან მთების სიღრმეში გადაადგილება დაიწყო. რუსები აულებს ანადგურებდნენ და მოსახლეობას ბარში ასახლებდნენ. წინააღმდეგობის უკანასკნელი კერა – შაფსუღეთი (უბიხებთან ერთად) ცარიზმის არმიამ 1864 წელს დაიმორჩილა. მოსახლეობა არჩევანის წინაშე დააყენეს – ან მთის აულებიდან უკლებლივ ყველას ბარში გადასახლება, ანდა თურქეთში გაძევება. რამდენიმე ათასი ადიღეელი 1860-იან წლებში დეპორტირებული იქნა; ისინი თურქეთსა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნებში განსახლდნენ. თვითმხილველები აღნიშნავდნენ, რომ უცხო ქვეყანაში გადასახლებული ადიღეელები ხმამაღლა მოთქვამდნენ, მიწაზე ემხობოდნენ და კოცნიდნენ; ყველა მათგანს თან მიჰქონდა ერთი მუჭა მიწა და ბუშტულა წყალი. თურქეთში ბევრი ადიღეელი სამშობლოზე სევდამ შეიწირა. უკან დაბრუნების მსურველებს ცარიზმი წინ გადაეღობა. ადიღეელების მცირე ნაწილი დაბლობში გადავიდა საცხოვრებლად. ასე ჩამოყალიბდა ადიღეელთა ეთნიკური ტერიტორიის თანამედროვე კონფიგურაცია. 1870-იან წლებში ყუბანის ოლქის ტერიტორიაზე დაახლ. 60 ათასი კაცი ცხოვრობდა, რომელთაგანაც საკუთრივ ადიღეელი 45 ათასი იყო. დაირღვა ეთნოგრაფიულ ჯგუფთა ტრადიციული დაყოფაც, თუმცა ადიღეელებს წინაპრების „ტომობრივი“ მიკუთვნებულობის შესახებ დღესაც ყველაფერი ახსოვთ.

1860-იანი წლების ადმინისტრაციულმა რეფორმამ ადიღეს მოსახლეობა ჯერ სამხედრო ოკრუგების, შემდეგ კი მაზრების მიხედვით დაყო. კვლავ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა აულის სასამართლო, რომელსაც გადაწყვეტილებები ადათებისა და შარიათის ნორმების საფუძველზე გამოჰქონდა. სამოქალაქო ომში ბევრი ადიღეელი, *სულთან გირეი ყლიჩის* ხელმძღვანელობით, თეორგვარდიელების შენაერთებში იბრძოდა. სამხედრო მოქმედებებს ორივე მხრიდან თან ახლდა ტყვეების აყვანა, მასობრივი დახვრეტები, წინააღმდეგობის გამწევი აულების განადგურება (წითელარმიელებმა 1918 წლის შემოდგომაზე განსაკუთრებული სისასტიკით გაანადგურეს აული *კოშეხაბლი*).

1922 წლის 27 ივლისს ჩამოყალიბდა ადიღეს ავტონომიური ოლქი, რომელიც მოგვიანებით კრასნოდარის მხარეს დაუქვემდებარეს.

ბარსა და მთაში მცხოვრები ადიღეელების სამეურნეო ყოფა ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. ბარში მცხოვრები ადიღეელები თუ მიწათმოქმედებას მისდევდნენ, მთაში მეურნეობის ეს დარგი საკმაოდ შეზღუდული იყო. ე. წ. „დემოკრატიულ ტომებს“ პური ძირითადად ბარიდან შეჰქონდათ. თესავდნენ ქერსა და ფეტვს, XIX საუკუნიდან კი ძირითადი კულტურები სიმინდი და ხორბალი იყო. მისდევდნენ მებაღეობასა და მევენახეობასაც. ჰყავდათ მსხვილფეხა რქოსანი საქონელიც. მესაქონლეობაში პრიმატი კი წვრილფეხა საქონლის (თხა, ცხვარი) მოშენებას ჰქონდა. განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო მეცხენეობა. მონადირეობა და მეფუტკრეობა დამხმარე ხასიათს ატარებდა. ისტორიკოსი *ფ. შჩერბინა* აღნიშნავდა, რომ **XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის „ჩერქეზებს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიწათმოქმედი ხალხი ვუწოდოთ“. „ისინი ხელებს ომისათვის უფრთხილდებიან“.** *ნ. დუბროვინის* აზრით, ადიღეელებთან მიწათმოქმედება საერთოდ პირველყოფილ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ის მათ მთავარ სიმდიდრედ „ცხენების ძალიან დიდ ჯოგებსა და ცხვრის ფარებს“ თვლიდა. საბჭოთა ისტორიკოსის *მ. პოკროვსკის* დაკვირვებითაც, მთიელი ადიღეელების მთავარი სიმდიდრე მესაქონლეობა იყო.

ადიღეელთა სამეურნეო ყოფის შესახებ XVIII საუკუნის მოგზაურებიც აღნიშნავდნენ, რომ მიწათმოქმედებასთან შედარებით უპირატესობა მესაქონლეობას ჰქონდა მინიჭებული. მაგალითად, XVIII საუკუნის დასაწყისის გერმანელი მოგზაური *კემპფერი* წერდა: **„ადიღეელები არ თესავენ ჭვავს, შვრიას. მოყავთ მხოლოდ წიწიბურა თავიანთი ცხენებისათვის. მათ მთავარ სიმდიდრეს შეადგენს საქონელი და განსაკუთრებით მშვენიერი ცხენები, შემდეგ თხა და ცხვარი“**. XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ავტორი *აბრი დე ლა მოტრე* იმასაც აღნიშნავდა, რომ ცხვრის, საქონლის ხორცის შეზღუდულობის გამო, მთიელი ადიღეელები უპირატესობას ცხენის ხორცს ანიჭებენო. იტალიელი *კ. გლავანი* კი ხაზს უსვამდა, რომ **დასავლეთ ადიღეელები „საჭმელად ბევრ ხორცს და ცოტა პურს გამოიყენებენ, რომელსაც ფეტვის ფქვილისაგან აცხობენ“.**

XVIII საუკუნის ბოლოს ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფი *პ. პალასი* შაფსუღების შესახებ წერდა, რომ მათ დასამუშავებელი მიწა ძალიან ცოტა აქვთ და ძირითადად დაკავებული არიან თარეშით. შეფსუღების შესახებ *ი. ბლამბერგიც* აღნიშნავდა, რომ „მათთვის არსებობის მთავარი საშუალებაა თარეში და ძარცვა-გლეჯა“. 1821 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფებოდა შოტლანდიელი მოგზაური *რობერტ ლაიელა,* რომელიც აღნიშნავდა, რომ **„კავკასიის მთიელ ტომებს ძალიან ბევრი საერთო აქვთ და ცდილობენ გააგრძელონ ცხოვრების ის გზა, რომელსაც მათი წინაპრები მისდევდნენ. მიწათმოქმედებას მისდევენ მცირედ. მათი ძირითადი საქმიანობაა ნადირობა, მესაქონლეობა და ძარცვა“.**

ამრიგად, XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მცხოვრებ სხვადასხვა ადიღეურ ტომთა ე. წ. დემოკრატიულ (თავისუფალ) საზოგადოებათა ეკონომიკაში ძირითადი როლი მესაქონლეობას ენიჭებოდა. მთის მიწათმოქმედებას მეორეხარისხოვანი ადგილი ეკავა. მთის

პირობებიდან გამომდინარე მეურნეობის არც ერთი დარგი ზედმეტი პროდუქტის წარმოების საშუალებას არ იძლეოდა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დასავლეთ ადიღეების დემოკრატიულ ტომებში გაჩენილი იყო სოციალური ფენა, რომელსაც *უორკი* ეწოდებოდა. მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზი აქვს გასმული იმას, რომ **თავისუფალი მეთემეების (*ფოტოკოტლი*) დიდი მასის ფონზე, *უორკის* გვართა რიცხვი დიდი არ იყო. პირველნი კი დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ უკანასკნელთა აღზევებას. აღსანიშნავია, რომ „დემოკრატიულ“ ტომებში *უორკების* ფენის ფორმირება მოხდა არა მიწის საკუთრების ბაზაზე, არამედ ძირითადად სამხედრო ექსპანსიის შედეგად მოპოვებული ნადავლის, ალაფის საფუძველზე, ე. ი. სამხედრო დემოკრატიის („ჩიფდომის“) პირობების გამო.**

ადიღეელებში თარეშის სისტემა რომ საუკუნეების წინ იყო ჩამოყალიბებული, ამას XV საუკუნის იტალიელი მოგზაური *ჯ. ინტერიანოც* ადასტურებს. ისინი თარეშობდნენ არა მარტო საკმაოდ დაშორებულ ქვეყნებში, არამედ ერთმანეთშიც. იგივეს წერს ადიღეელთა მეკობრეობის, თარეშის, ლაშქრობების შესახებ XVII საუკუნის დასასრულის გერმანელი მოგზაური *ე. კემპფერი.* მისი მონაცემებით, თარეშის ყველაზე გავრცელებული ფორმა მცირე ჯგუფებით თავდასხმები იყო. 30-40 კაციანი და უფრო დიდი ჯგუფები საშოვარზე არა მარტო მეზობელ ქვეყნებში მიემართებიან, არამედ თარეშობენ საკუთარ მიწაზეც. სხვადასხვა ტომები ძარცვავენ ყველას, იტაცებენ ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებათ, მათ შორის, ადამიანებსაც. ლაშქრობების, თარეშების შედეგად დატაცებულ ქონებასა და ადამიანებს ყიდდნენ თურქებზე, სპარსელებსა და სხვებზე. თარეშების სისტემის მასშტაბების შესახებ წარმოდგენას ყირიმელი ხანებისათვის ხარკის ტყვეებით გადახდის რაოდენობა იძლევა. ფრანგი მოგზაური *აბრი დე ლა მოტრე* მიუთითებდა, რომ „ჩერქეზები ყოველწლიურად ხარკს იხდიან 6.000 მონითა და ამავე რაოდენობის ცხენებით“. XVIII საუკუნეში თარეშის სისტემა ადიღეელთა მთელ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას განსაზღვრავდა. საზოგადოებრივი აზრი თარეშს ამართლებდა და მის აუცილებლობასაც ასაბუთებდა. ცნობილი მოგზაური *ი. გრებერი წერდა,* რომ ადიღეელებში მოზარდების აღზრდის ჩამოყალიბებული სისტემაა და რომ ბიჭებს ადრეული ასაკიდან ამზადებენ თარეშისათვის. XVIII საუკუნის დასაწყისის მოგზაურის *კსავერიო გლავანის* კითხვაზე: „რატომ აწყობთ თარეშებს“? ჩერქეზებს უპასუხიათ: „ჩვენს ქვეყანაში არც ფულია, არც ბაზრები; სად ვიშოვოთ ჩვენი ახალგაზრდებისათვის ტანსაცმლის შესაძენად ფული? ჩვენ არ ვამზადებთ არანაირ ქსოვილს, მაგრამ თარეშების შემდეგ აქ საქონლით დატვირთული ვაჭრები მოდიან. ისინი გვამარაგებენ ყველა აუცილებელი და საჭირო ნივთით. ვისაც ყოველწლიურად სამ ბავშვს ვტაცებთ, ამით ისინი სულაც არ ღარიბდებიან. ისინი ყოველწლიურად აჩენენ შვილებს და ამით დანაკარგს ინაზღაურებენ. თარეშით კი ჩვენს ახალგაზრდობას კარგად ჩაცმის საშუალება ეძლევა. თუ ჩვენიანებს მოვტაცებთ ბავშვებს, ისინი სხვა მხარეში მოიტაცებენ. ეს სხვადასხვა მხარეებს შორის უბრალო გაცვლაა. ამით ჩვენს ახალგაზრდობაში საბრძოლო სულს ვავითარებთ“. არა მხოლოდ XVIII საუკუნეში, არამეს რუსულ ოკუპაციამდეც ადიღეელებს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ მონეტაზე; ისინი მხოლოდ გაცვლა-გამოცვლას მისდევდნენ. ვაჭართა ფენას მხოლოდ სომხები (იხილე: სახელმძღვანელოს მონაკვეთი „ჩერქეზოჰაიები“) ქმნიდნენ, რომლებსაც ადიღეელები სტუმრებად მიიჩნევდნენ, მიუხედავათ იმისა, რომ მთაში მათი დასახლებიდან მრავალი თაობა იყო გასული და მნიშვნელოვნად იყვნენ ინტეგრირებულნი მათთან. ადიღეელთა წარმოდგენით, ვაჭრობა სამარცხვინო იყო.

XVIII საუკუნე – XIX საუკუნის პირველი ნახევარი ადიღეელებისათვის ინტენსიური თარეშის პერიოდი იყო; ის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. თარეშის მიმართულება ახლა იმდენად მოწინააღმდეგის „სისუსტესა“ და „ძალაზე“

კი არ იყო დამოკიდებული, რამდენადაც გასაძარცვი რეგიონის „ეკონომიკურ“ ეფექტიანობაზე. *პალასის* სიტყვით, შაფსუღებმა თავიანთი ექსპანსია იმ მასშტაბებამდე მიიყვანეს, რომ „თურქები მათი თარეშით სასოწარკვეთილნი იყვნენ, რადგან ისინი ანაპის შემოგარენს აღწევდნენ“. შაფსუღების თარეში ორიენტირებული იყო არა მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაზე, არამედ ჩრდილოეთზეც, სადაც შეიარაღებულნი თავს ესხმოდნენ ადგილობრივ კავკასიურ ტომებს, კაზაკებს, რუსეთის საზღვაო ხაზს და შავი ზღვის სანაპიროს. ადიღეური (და აბაზური) ტომები არც საქართველოს შავიზღვისპირეთს ერიდებოდნენ. XV საუკუნიდან ამ მიმართულებით მათი თარეში იმდენად ინტენსიური გახდა, რომ ამან აფხაზეთში მოსახლეობის ცვლა გამოიწვია. აფხაზეთის ძველი მკვიდრი, ქრისტიანი და მიწათმოქმედი მოსახლეობის ნაწილი, ადიღეურ-უბიხურ-აბაზური მოდგმის ტომებმა ან თურქეთის ბაზრებში გაყიდეს, ანდა მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა სამხრეთ-აღმოსავლეთით, ენგურს გამოღმა გადმოიწია. მოშიშვლებულ, გაპარტახებულ აფხაზეთის ტერიტორიას კი შემდეგ მიგრანტი ადიღეელები, უბიხები და აბაზები დაეუფლნენ, რომელთა მიგრაცია ორი მიმართულებით – ზღვის მხრიდან და მთიდან ხდებოდა.

შოტლანდიელი მოგზაური *რ. ლაიელი* აღნიშნავდა, რომ ადიღეური მოდგმის „დემოკრატი“ ტომები უმეტესად თავს ესხმოდნენ მცირე ძალებით და ფართოდ იყენებდნენ მოულოდნელობის ტაქტიკას. მოგზაურებმა ყურადღება მიაქციეს იმასაც, რომ მოთარეშე ადიღეელები ცდილობდნენ სოციალურად დაწინაურებული ფენის წარმომადგენელთა ხელში ჩაგდებას, რათა რაც შეიძლება დიდი გამოსასყიდი მიეღოთ. *რ. დიელი* წერდა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ადიღეელებმა ამ ქვეყნიდან ბევრი ტყვე გაიტაცეს და მათგან საკმაოდ დიდი გამოსასყიდიც მიიღეს.

ადიღეელთა თარეშს არა მხოლოდ სისტემატიური ხასიათი ჰქონდა, არამედ ორგანიზაციული თვალსაზრისითაც, ის სრულიად ჩამოყალიბებული იყო. XIX საუკუნის I ნახევრის აფხაზი ეთნოგრაფი *ს. ზვანბა* წერდა, რომ მოთარეშეებს ჰქონდათ სპეციფიური, „საიდუმლო“ ენა, რომელიც მხოლოდ თარეშის მონაწილეთათვის იყო გასაგები. ყოველ ასეთ ენას ჰქონდა თავისი სახელწოდება, მაგალითად – „შაკობშე“, „ფარშაბშე“. *ი. კლაპროტის* შეფასებით პირველი მათგანი „სრულიად განსაკუთრებულს“ წარმოადგენს, რადგანაც მას არაფერი ჰქონდა ადიღეურ (ჩერქეზულ) ენასთან. „თარეშების ენის“ მთავარი ამოცანა თარეშის საიდუმლოების დაცვა იყო, რათა ის გარეშე პირთათვის გაუგებარი ყოფილიყო.

მოთარეშე რაზმებს წინამძღოლები ჰყავდათ, რომლებიც პატივით სარგებლობდნენ. მათ ყველა უსიტყვოდ ემორჩილებოდა. ორგანიზაციული თვალსაზრისით თარეშის ყველა დეტალი ზედმიწევნით მოფიქრებული და გათვლილი იყო. ლაშქრობაში მონაწილეებს თან საკმარისი რაოდენობით საკვები მიჰქონდათ. 10-დან 100-კაცამდე სათარეშო რაზმს თავისი ავანგარდი და არიერგარდი ჰქონდა შექმნილი. რაზმი დასახლებულ პუნქტს თავს გათენებამდე ნახევარი საათით ადრე ესხმოდა. საცხოვრებელ სახლებში შეჭრილი მოთარეშეები იტაცებდნენ ყველაფერს, რასაც ხელთ მოიგდებდნენ. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, ადამიანებს კლავდნენ. ძარცვა ჩვეულებრივ 30-40 წუთს გრძელდებოდა. სოფელს წინამძღოლის ნიშანზე ტოვებდნენ. მოთარეშეთა უკან დაბრუნება მკაცრად რეგლამენტირებული იყო; გათვალისწინებული იყო უსაფრთხოების ინტერესები და ნადავლის შემცირებაც კი. დაბრუნებისთანავე საზეიმო რიტუალი სრულდებოდა, შემდეგ ნადავლს იყოფდნენ. ნადავლიდან ორი ნაწილი ლაშქრობიდან დაუბრუნებელი მოლაშქრის ოჯახის წევრებს ეძლეოდათ. ლაშქრობაში დაღუპულ მეომრებს ადიღეელები საბრძოლო დიდების შარავანდედით მოსავდნენ, მათზე სიმღერებს ქმნიდნენ, ლეგენდებს ყვებოდნენ.

ადიღეელთა ყველა ტომს სათარეშოდ თავისი ტრადიციული მიმართულება ჰქონდა არჩეული.

XIX საუკუნის შუა ხანების ავტორის *ნ. კარლგოფის ცნობით*, ადიღეელები არა მხოლოდ თარეშების შედეგად ტყვედ ჩავარდნილებით ვაჭრობდნენ, არამედ საკუთარი მცირეწლოვანი შვილებითაც. ამას იმით ამართლებდნენ, რომ თურქეთში ვაჟებს შეიძლება თავი გამოეჩინათ და სახელმწიფოებრივ სამსახურში დაწინაურებულიყვნენ, გოგონებს კი სულთანისა და ფაშების ჰარამხანები შეევსოთ.

ადიღეური სოფელი მონათესავე ადამიანებით იყო დასახლებული. თითოეული დასახლებული პუნქტი პატრონიმიულ ნაწილებად იყო დაყოფილი. სოციალურად დაწინაურებული ზედაფენა აულებში გლეხებსა და მონებთან ერთად ცხოვრობდა. ყოველი დასახლებული პუნქტის ცენტრში იყო მეჩეთი, თუმცა რელიგიური თაყვანისცემის ტრადიციულ ადგილს სასაფლაო წარმოადგენდა. ბარში გადასახლებულ ადიღეელთა დასახლებები უბნებისაგან შედგებოდა. ახალ დასახლებულ პუნქტებშიც ადიღეელები ნათესაური ჯგუფების (პატრონიმიების) სახით მკვიდრდებოდნენ.

XVII-XVIII საუკუნეების საისტორიო მონაცემებით, კომპაქტურად დასახლებული ადიღეელების სოფელს წრის ან კვადრატის ფორმა ჰქონდა. მის პერიმეტრზე საცხოვრებლები იყო განლაგებული, რომელთა ფასადი სოფლის შიდა მხარეს იყო მიმართული, შუაში კი მოთავსებული იყო დიდი ეზო საქონლისათვის, ჭები, მარცვლეულის შესანახი ხაროები, მოედანი და ა. შ. დაუცველი დასახლება გარშემორტყმული იყო საერთო ღობით, რომელიც აგებული იყო მაღალი და მტკიცე მოწნული კედლებისაგან. ხშირად ეს ღობე ერთმანეთისაგან მცირედ დაშორებული რამდენიმე რიგისაგან (შვიდამდეც კი) შედგებოდა. ხანდახან მოწნულ ღობეებს შორის მიწა ჰქონდათ ჩაყრილი. ასეთ დასახლება-სიმაგრეს თავსა და ბოლოში სათვალთვალო მოწნული კოშკი ჰქონდა.

ადიღეელები იკვებებოდნენ მარცვლეულით, ხორცით, რძის პროდუქტებით (მაწონი, ყველი). ფეტვის ბურღულისაგან, შემდეგ კი სიმინდის ფქვილისაგან სქელ ფაფას ხარშავდნენ. ისინი სხდებოდნენ დაბალ სკამებზე. სუფრას შლიდნენ პატარა მაგიდებზე. ოჯახის წევრები ცალ-ცალკე სადილობდნენ, მითუმეტეს, ქალები და კაცები. სტუმრებისათვის და სადღესასწაულო დღეებში სანუკვარ და რჩეულ საჭმელებს ამზადებდნენ. სუფრასთან მკაცრად იცავდნენ ეტიკეტს, რომლის მთავარი შინაარსი სტუმრისა და უფროსისადმი პატივისცემასა და მოწიწებაში გამოიხატებოდა. თუ ოჯახის უფროსი სტუმარზე ახალგაზრდა იყო, მაშინ ტაბლასთან მხოლოდ სტუმარი ჯდებოდა. სტუმარს არა მხოლოდ ოჯახის უფროსი, არამედ მასპინძლის ნათესავები და მეზობლებიც ემსახურებოდნენ.

ადიღეელების ტანსაცმელი საერთოკავკასიური ტიპის იყო. ჩოხა მოსახლეობის უმეტესობისათვის მხოლოდ სადღესასწაულო იყო და ის ყველას არ ჰქონდა. საყურადღებოა თმის ვარცხნილობა. XVII საუკუნის ავტორთა ცნობით, ადიღეელები შუბლიდან კეფამდე შუაში ერთ ზოლად თმას იპარსავდნენ, გვერდებზე კი გრძელი თმა ჰქონდათ მოშვებული, რაც ხშირად ერთ ნაწნავად ჰქონდათ დაწნული. 1634 წლის წყაროთი გოგონები და გათხოვილი ქალები ადიღეაში გაშლილი თმებით დადიოდნენ. XVIII საუკუნის დასაწყისში ადიღეელ ქალებს ორი ნაწნავი უტარებიათ. XVII საუკუნეში ადღეელი ქალები ხელებს ინით იღებავდნენ.

XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ძირითადი სოციალური და სამეურნეო ერთეული იყო პატარა (ინდივიდუალური) ოჯახი. გვხვდებოდა დიდი ოჯახებიც, რომლებშიც რამდენიმე ათეული ადამიანი იყო გაერთიანებული. XX საუკუნის 20-იან წლებში ზოგიერთ აულში 60 სულიანი ოჯახები გვხვდებოდა. საოჯახო ყოფა პატრიარქალური წეს-ჩვეულებებითა და ნორმებით განისაზღვრებოდა. ქალი მთლიანად დამოკიდებული იყო მამასა და ძმაზე, შემდეგ კი – ქმარზე. ქალს არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო სასოფლო კრებაში; მას ქმართან გარეშე პირთა თანდასწრებით საჭმელად დაჯდომის უფლება არ ჰქონდა. ქალები და კაცები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. მაგრამ საოჯახო მეურნეობაში ქალი

მთავარ როლს თამაშობდა. ქალები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მესისხლეთა შერიგებისას.

ადიღეელებში ქორწინების გაბატონებული ფორმა იყო მონოგამიური ქორწინება. მაჰმადიანობის მიღების შემდეგაც კი მრავალცოლიანობამ ფეხი ვერ მოიკიდა. ბოლო დრომდე შემორჩენილი იყო *უმძრახობის* ინსტიტუტი. ის უფროსებისადმი პატივისცემის ერთგვარ გამოხატულებას წარმოადგენდა. ქორწინების შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში კონტაქტები ქმრის მშობლებთან და უფროს მამაკაც ნათესავებთან ტაბუირებული იყო. ქალები დღესაც დიდი პატივისცემითა და მოწიწებით სარგებლობენ. ქორწინება მშობლების მოლაპარაკებით ხდებოდა, მაგრამ იშვიათი არ იყო ქალის მოტაცებაც. ქორწილი, ჩვეულებრივ, მრავალრიცხოვანი იცოდნენ. ამ დროს მექორწილეებს ნათესავები და მეზობლები ეხმარებოდნენ. საყოველთაოდ გავრცელებული იყო *ლევირატი.* ჯერ კიდევ XV საუკუნეში გენუელი *ინტერიანო* წერდა, რომ სირცხვილი არ იყო სრულიად ახლად გარდაცვლილი ძმის ქვრივთან ღამის გატარება. გავრცელებული იყო გაძიძავება. XVII-XIX საუკუნეების ავტორებს (*ტავერნიე, სტრუიუსი, ბელი*) თუ დავუჯერებთ, ადიღეელი ქალები თავისუფალი ყოფაქცევის იყვნენ. ადიღეელი ქალიშვილები ატარებდნენ საფიანის თხელ კორსეტს. ძირითადად თხის, აგრეთვე ცხვრისა და ხბოს ტყავის ფართო კორსეტს ადრეული, 8-10 წლის ასაკიდან სხეულზე შემოიჭდევდნენ და გათხოვებამდე ატარებდნენ. კორსეტს მხოლოდ გათხოვების შემდეგ, პირველი ღამის დროს, ქმარი ხანჯლის წვერით ფრთხილად ხსნიდა. სხეულზე მჭიდროდ შემოჭერილი კორსეტი, ბუნებრივია, ტანწვრილობის წინაპირობა იყო. გოგონებს კორსეტი მკერდსაც უფარავდა. გათხოვებისას ის, ფაქტობრივად, არც ეტყობოდათ. გათხოვების შემდეგ კი, სარძევე ჯირკვლები სწრაფად ეზრდებოდათ.

ადიღეელები ჭამდნენ ზომიერად, გმობდნენ სიმსუქნეს; ყველა მათგანს აუცილებლად მოხდენილი და ტანწერწეტი ტანი უნდა ჰქონოდა.

მართალია, დაკრძალვის ცერემონია ისლამიზებული იყო, მაგრამ შემორჩენილი იყო ბევრი ტრადიციული წეს-ჩვეულება, მაგალითად, გარდაცვლილის ხსოვნისადმი მიძღვნილი დოღი და ა. შ.

ადიღეელებში ტრადიციული იყო *ურთიერთდახმარება* და *სტუმართმოყვარეობა*, რომლებიც ერთგვარად სახეშეცვლილი ფორმით დღესაცაა შემონახული. ფართოდ იყო გავრცელებული *ძმადნაფიცობა, შვილად აყვანის* წესი, რაიმე დანაშაულის გამო, თემიდან გაქცეული ადამიანის სხვის თემში შესვლა, ხელოვნური დანათესავება. ედმუნდ სპენსერი მიუთითებდა ადიღეელების უხუცესების პატივისცემაზე; ის სტუმართმოყვარეობაზე არა ნაკლებ მომხიბლავი იყო. ადიღეელებს ახასიათებდათ აგრეთვე მამაცობა და მჭერმეტყველება.

ადიღეაში სამართლებრივ ურთიერთობებს ჩვეულებითი სამართალი (*ადათი*) აწესრიგებდა. ყველა ტომს თავისი საკუთარი ადათი ჰქონდა. 1822 წელს ადიღეელთა სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულთა თავყრილობაზე მიიღეს გადაწყვეტილება ისლამური სამართლის – *შარიათის* შემოღების შესახებ. მიუხედავად ამისა, ადიღეელები ისევ მიმართავდნენ ადათობრივ სამართალს, რომელსაც *ადიღე ხე(ა)ბზეს* („ადღეური კანონი“) უწოდებდნენ, რასაც ორი მიზეზი ჰქონდა: I. შარიათის სასამართლო ყოველთვის გასაგები არ იყო, რადგან ყურანი და სასამართლო წიგნები არაბულ ენაზე იყო დაწერილი; II. შარიათის მიხედვით ზოგიერთი სასჯელი უფრო მკაცრი იყო (ხელისა და ფეხის მოკვეთა და სხვ.), ვიდრე ადათი; ეს კი ხალხურ ტრადიციებთან ერთგვარ წინააღმდეგებაში მოდიოდა. მიუხედავად ამისა, ისლამის გავრცელებასთან ერთად, შარიათმა ფეხი თანდათან მაინც მოიკიდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ისლამმა თანდათან გამოდევნა ტრადიციული ქელეხი, აიკრძალა დოღი, გასართობი თამაშები და სპირტიანი სასმელები. ისევ უნდა *ადიღე ხე(ა)ბზეს* დავუბრუნდეთ. საერთოდ სიტყვის – „ხებზე“ ეტიმოლოგია გაურკვეველია. *ხებზე* ეს იყო საზოგადოებაში მოქცევის

წესები, დაუწერელი კანონები, ადამიანებს შორის, უფროსებსა და უმცროსებს, კაცებსა და ქალებს, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის რეგულირების ნორმა. *ხებზეს* მიხედვით, სოციალურად დაწინაურებულსაც კი არ შეეძლო ხელქვეითებისადმი გამოეჩინა უხეშობა, ან უპატივცემულობა. XIX საუკუნის ადიღეელი განმანათლებელის *ა. კერაშევის* სიტყვით, ადიღეელისათვის უცხო იყო ქედის მოხრა და მაამებლობა; ის თავის ბატონს თავისუფლად, რაიმე შეზღუდვის გარეშე, როგორც თანასწორს ისე ესაუბრებოდა. მისთვის აუტანელი იყო ყოველგვარი ნართაული სახელი... მხოლოდ სახელით მიმართვაზე რეაგირებდა.

ადრე შუა საუკუნეებში ადიღეაში ქრისტიანობა ბიზანტიიდან და საქართველოდან გავრცელდა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, მთავარი ქრისტიანული სიმბოლო და წარმართული კერპი ქართული სიტყვით „ჯვარი“ აღინიშნებოდა. ქრისტიანობის გავრცელებაზე მიუთითებენ ეკლესიების ნაშთები, ქვის ჯვრები და საფლავის ქვები ბერძნული ქრისტიანული წარწერებით. თურქულ-ყირიმული ექსპანსიის შედეგად ქრისტიანობამ პოზიციები დათმო. დღეს ადიღეელები მაჰმადიანი სუნიტები არიან. ისლამი მათ შორის XVI საუკუნეში გავრცელდა, მთის ცალკეულ ტომებში კი – XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის დასაწყისში. ჯერ ქრისტიანობის, შემდეგ ისლამის გავრცელებამ ადიღეელთა ძველი ადგილობრივი, ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები დავიწყებას ვერ მისცა. *არქანჯელო ლამბერტი* (XVII საუკუნის პირველი ნახევარი) აღნიშნავდა, რომ ადიღეელები მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანები, არც სარწმუნოებით და არც მოქმედებით ქრისტიანობა მათ სრულებით არ ეტყობათ. XIX საუკუნის 50-იან წლებში *ნ. კარლგოფი* წერდა: ადიღეაში „ნამდვილი მაჰმადიანი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია. აქაური რელიგია ქრისტიანობისა და წარმართობის შერწყმის შედეგად არის ჩამოყალიბებული, რომელსაც მაჰმადიანობა მცირედ ერთვის“. არ შეიძლება XIX საუკუნის მეორე ნახევრის ორ ავტორს – *ნ. ალბოვსა* და *ა. ლილოვს* – არ დავესესხოთ. ეს უკანასკნელი წერდა, რომ ადიღეელები არც ქრისტიანები იყვნენ, არც მაჰმადიანები. მინდვრად და სასაფლაოზე უამრავი ჯვარი ჰქონდათ აღმართული და იმავდროულად ასრულებდნენ როგორც მაჰმადიანურ, ისე წარმართულ ჩვეულებებსაც კი. *ნ. ალბოვი* კი აღნიშნავდა: „ჰაკუჩებში მაჰმადიანობა ძალიან სუსტია. მიუხედავად იმისა, რომ აქვთ მეჩეთები და ყავთ მოლა, მაჰმადიანურ წესებს არ ასრულებენ. მოლებს ჩუმად დასცინიან კიდეც. წარმართული ღვთაებების დასახელება ახალგაზრდებსაც კი შეეძლოთ. მაჰმადიანობა მხოლოდ ღვინის სმისა და ღორის ხორცის ჭამის აღკვეთაში ჩანს“.

დასავლეთ ადიღეელების წარმართული პანთეონის სათავეში იდგა დიდი შემოქმედი ღმერთი *თჰაშხუო.* დიდ პატივს მიაგებდნენ *შიბლეს,* რომელიც ერთდროულად ელვისა და ჭექა-ქუხილის ღვთაება, მეხისა და წვიმის მბრძანებელი, მიწათმოქმედების ერთ-ერთი მფარველი და ადამიანთა შემწე იყო. ადიღეელები განსაკუთრებულ თაყვანს სცემდნენ ლაშქრობის ღვთაებას და მეომართა მფარველს *ზეიკუთჰას* (ამ ღვთაებას განსაკუთრებით ვაჟის ცხენზე პირველად შესმის დროს – 3-7 წლის ასაკში – მიმართავდნენ). მიწათმოქმედებისა და უხვმოსავლიანობის ღვთაება იყო *სოზერიში,* მესაქონლეობისა – *ახინი,* ტყის ნადირთა და ნადირობისა – *მეზითჰა,* მჭედლებისა – *თლეფშე.* ბევრ წარმართულ დღესასწაულს ქრისტიანობის ნაკვალევიც ეტყობოდა. განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ ჯვარს, მაგრამ მას როგორც წარმართულ კერპს ისე ეთაყვანებოდნენ. ეთაყვანებოდნენ ტყეებს, ბუჩქებს, ხეებს, ქვებს. ხეებს შორის გამორჩეულად მუხას სცემდნენ თაყვანს, განსაკუთრებით თუ ის მეხნაკრავი იყო. მეხი ღვთაება *შიბლეს* ხილულ გამოხატულებად ითვლებოდა. მეხით დაღუპულს კი განსაკუთრებული პატივით კრძალავდნენ. მეხით მოკლულს ფიცარნაგზე ასვენებდნენ და მას მაღალ ხეზე ჰკიდებდნენ. მის გარშემო კი სამი დღის განმავლობაში ლხინი და ცეკვა-სიმღერა იმართებოდა, სწირავდნენ ხარს, ცხვარს, ხორცის დიდ ნაწილს კი ღარიბებს

ურიგებდნენ. ამ წესს ყოველ წელს იმეორებდნენ, სანამ გვამი მთლიანად არ გაიხრწნებოდა. მეხით მოკლული წმინდად მიაჩნდათ.

ადიღეური ფოლკლორიდან პირველყოვლისა შეიძლება ნართული ეპოსი დავასახელოთ. სიმღერებიდან გავრცელებულ იყო საგმირო, ლირიკული და ყოფითი სიმღერები. თითქმის ყველა სადღესასწაულო სანახაობას თან ახლდა ცეკვები.

ადიღეელებს/ჩერქეზებს გარკვეული სტერეოტი გააჩნდათ მეზობელი ეთნოსების მიმართ. მაგალითად, ამაყობდნენ რა ჩერქეზობით, ნოღაელებს არად მიიჩნევდნენ, და ზემოდან უყურებდნენ, მაგრამ როგორც მუსლიმებს მაინც პატივით ეპყრობოდნენ და მათ სომხებსა და ებრაელებზე მაღლა აყენებდნენ.

ადიღელთა სულიერ განვითარებაში განუსაზღვრელი როლი შეასრულა მწერალმა და ეთნოგრაფმა *ს. ხან-გირეიმ.*

II. 4. ყაბარდოელები

ყაბარდოელების თვითსახელწოდებაა **ადიღე**. ისინი თავიანთ თავს **ყებერდეისაც** უწოდებენ. XIV-XV საუკუნეების წყაროებში, ადიღეელებთან ერთად, ჩერქეზების საერთო სახელწიდებით მიხსენიებოდნენ. მკვიდრობენ ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მდინარეების *მალკის, ბაქსანისა* და *თერგის* ირგვლივ. აღმოსავლეთით ყაბარდოელების განსახლების არეალი მდინარეების *სუნჯისა* და *თერგის* შესართვამდე აღწევდა. განსახლების ეს არეალი ყაბარდოელებმა მონღოლ-თათართა უკუქცევის შემდეგ დაიკავეს. XV-XVIII საუკუნეების წყაროებში ყაბარდოელებს ხშირად *პიატიგორსკის* (*ბეშტაუს*) ჩერქეზებადაც მოიხსენიებენ. ამ პერიოდისათვის ყაბარდოს მოსახლეობას 300-400 ათასს ანგარიშობენ. 1989 წლის მონაცემებით, რუსეთის ფედერაციაში 386 ათასი ყაბარდოელი ცხოვრობდა. ძირითადად მკვიდრობენ ყაბარდო-ბალყარეთში (დაახლოებით 364 ათასი კაცი). ყაბარდოელთა სოფლები არის ადიღეაშიც. ცხოვრობენ აგრეთვე ქ. *მოზდოკსა* და მის მიდამოებში (უწინ მოზდოკელ ყაბარდოელებს „მართლმადიდებელ ჩერქეზებს“ უწოდებდნენ). ისინი იმ ყაბარდოელი ყმა-გლეხების შთამომავალნი არიან, რომლებიც XVIII საუკუნესა და XIX საუკუნეში თავიანთ მფლობელებს გაექცნენ და რუსებს შორის ჩასახლებულებმა ქრისტიანობა მიიღეს. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ყაბარდოელების ნაწილი ყაბარდოდან *ყუბანის* სათავეებში გადასახლდა და დღეს ისინი ჩერქეზებად იწოდებიან. ყაბარდოელები ცხოვრობენ აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ აზიის ბევრ ქვეყანაში. ყაბარდოელები ლაპარაკობენ ყაბარდოულ-ჩერქეზულ ენაზე, რომელიც კავკასიურ ენათა ოჯახის ადიღეურ-აფხაზურ ჯგუფში შედის. ყაბარდოულ ენას აქვს რამდენიმე დიალექტი: *ბაქსანური* (დიდი ყაბარდოს დიალექტი), *ბესლენური, ყუბანური* და მთელი რიგი თქმები – *მალკური, მცირე-ყაბარდოული, მოზდოკური.* თანამედროვე ლიტერატურულ ყაბარდოულ (და ჩერქეზულ) ენას საფუძველად უდევს *ბაქსანური* დიალექტი. სხვათა შორის, 1666 წელს, *ევლია ჩელების* სიტყვით, მცირე ყაბარდოში ყაბარდოულ ენასთან ერთად, ქართულ ენასაც გამოიყენებდნენ.

ყაბარდოელები აღმოსავლეთ ადიღეელებს მიეკუთვნებიან და ადიღეელებსა და ჩერქეზებთან ერთად ადიღეელთა ეთნიკურ ერთობას შეადგენენ. XIII-XIX საუკუნეებში ყაბარდოელები უცხოურ წყაროებში ჩერქეზების სახელით მოიხსენიებიან. ყაბარდოელთა წინაპრები თავდაპირველად (XIII-XIV სს.) ადიღეელთა საერთო მასას გამოეყვნენ და ყუბანისპირეთიდან თერგის მარცხენა მხარეს – დიდ ყაბარდოში დასახლდნენ. XV-XVI საუკუნეებში ყაბარდოლეთა ნაწილმა უფრო აღმოსავლეთით, თერგის მარჯვენა ნაპირზე გადაინაცვლა. ასე წარმოიქმნა *მცირე ყაბარდო.* XVI საუკუნეებიდან იწყება ყაბარდოს რუსეთთან დაახლოების პროცესი, რასაც ყაბარდოზე ოსმალეთის იმპერიისა და ყირიმელი ხანების ხშირი თავდასხმებიც ხელს უწყობდა. 1552 წელს მოსკოვს მათი პირველი

ელჩობაც ეწვია. რუსულ ისტორიოგრაფიაში მიღებული იყო, რომ ყაბარდო რუსეთმა 1557 წელს, მეფე ივანე IV-ის დროს შეიერთა. შემდეგ წერდნენ ყაბარდოელთა ხელქვეითობასა და ქვეშევრდომობაზე. სინამდვილეში, რუსეთმა ყაბარდო 1774 წელს ქუჩუკ-კაინარჯის ზავით შეიერთა. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში ყაბარდოელები დამოუკიდებლობის აღდგენას რელიგიის საშუალებით ცდილობდნენ.

1825 წელს ყაბარდო ჩართული იქნა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. ყაბარდოს უკანასკნელმა *ვალიმ* (უმაღლესმა თავადმა) *ქუჩუკ ჯანხოთოვმა* თავისი უფლებამოსილება მთლიანად და საბოლოოდ ცარიზმის ადმინისტრაციას გადასცა. ამ დროს ყაბარდოელების ნაწილი ყუბანის იქით გადასახლდა. დღესაც მათი შთამომავლები ცხოვრობენ ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე და მდ. *ლაბის* ნაპირებზე ადიღეაში. 1860-1866 წლებში ყაბარდოელების მნიშვნელოვანი ნაწილი საცხოვრებლად თურქეთში წავიდა. ათეულ ათასობით გადასახლებულმა ვერც კი მიაღწია თურქეთს – შიმშილისა და გაჭირვებისაგან ისინი გზაში დაიხოცნენ.

მეცნიერები ყაბარდოს სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს წინაფეოდალურ საზოგადოებად ახასიათებდნენ. ქვეყანას მართავდა არჩევითი ან ასაკით უფროსი „თავადი“. მისი ხელისუფლება საკმაოდ შეზღუდული იყო. XVI-XVIII საუკუნეებში ყაბარდოელი „თავადები“ ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელებისაგან (ოსები, ჩაჩნები, ინგუშები, ბალყარელები, ყარაჩაელები, აბაზები) ხარკს იღებდნენ. **ყაბარდოელი „თავადების“ საბჭო ირჩევდა ყაბარდოს უმაღლესი თანამდებობის პირს (*უალია*). ამავე დროს, შემორჩენილი იყო საჯარო ხელისუფლების არქაული ფორმები: სახალხო კრება, მამაკაცთა ფარული კავშირები.**

მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ყაბარდოელთა სხვადასხვა *კაბაკები* (დასახლებები) განსახლების არეალს, ტერიტორიას ხშირად იცვლიდნენ. XVI საუკუნის პირველ ნახევარში ყაბარდოელებს დასახლებები *პიატიგორსკის* რაიონსა და *თერგის* დასავლეთით ჰქონდათ. იმავე საუკუნის დასასრულს ყაბარდოელთა დასახლებები თერგის მარჯვენა ნაპირზეც გაჩნდა. ამავე დროს, მათ ოსეთისა და ინგუშეთის მთიანი ხეობებიდან გამოსასვლელები ეჭირათ და ინგუშებსა და ოსებს ბარში განსახლების საშუალებას არ აძლევდნენ. XVII საუკუნის შუა ხანებში ყაბარდოელთა კაბაკები მდ. *სუნჯაზეც* წარმოქმნილა.

XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის დასაწყისში ყაბარდოში (ჩერქეზეთის ოკრუგში) სამი ათასი სადგომი იყო. მცირე ყაბარდოში 800 საცხოვრებელ სადგომს ითვლიდნენ. ამას გარდა, კავკასიის მთების მახლობლად, სამხრეთში *ტაუზსულთანის* ოკრუგში 600 საცხოვრებელი სადგომი იყო აღრიცხული, *გილიაკსანში* – 400. საერთოდ, XIX საუკუნის პირველ მესამედში ყაბარდოელთა რაოდენობა ძალიან შემცირდა, რასაც ორი მიზეზი ჰქონდა: ა) სამხედრო მოქმედებები და დ) შავი ჭირის ეპიდემია. 1830-იანი წლებისათვის ყაბარდოელები 200 ათასი კაციდან 30-35 ათასამდე დავიდნენ.

იმის გამო, რომ ყაბარდოელთა დასახლებებს სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული მოძრაობითობა ახასიათებდათ და, ამავე დროს, იმის გამო, რომ *კაბაკები* ერთმანეთთან ძალიან დაშორებული იყო, ყაბარდოელთა ეთნიკური საზღვრების ზუსტი განსაზღვრა ერთობ ძნელია. სამეცნიერო ლიტერატურაში ყაბარდოული კაბაკების ხშირი გადაადგილების მიზეზად მრავალი ფაქტორია დასახელებული, რომელთაგან უპირველესად საგარეო პოლიტიკურ სიტუაციას ასახელებენ. ყაბარდო ყირიმელი ხანების ექსპანსიის ხშირი ობიექტი იყო. ყაბარდოს საშინაო ვითარებიდან კი მათ ტერიტორიაზე მრავალრიცხოვანი და ხანგრძლივი შინაომები სახელდება. აგრეთვე გასათვალისწინებელია ყაბარდოს ურთიერთობა მეზობელ ხალხებთან (ნოღაელებთან, ყალმუხებთან, ვაინახებთან). ისინიც ხშირად აიძულებდნენ ყაბარდოელებს ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლებულიყვნენ. ჩვენი აზრით, ყაბარდოელთა ხშირი გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეზე მათი მეურნეობის ფორმით (მეცხოველეობით) იყო განპირობებული – მოძრაობითობა

ხომ თითქმის ყველა ადიღეური მოდგმის ტომს ახასიათებდა. XIX საუკუნის ავტორებიც აღნიშნულის უმთავრეს მიზეზად სამეურნეო ყოფის თავისებურებას ასახელებდნენ. *კლაპროტი* წერდა: **„სოფლების ადგილმდებარეობა მუდმივი არაა, რადგან ხშირად, როდესაც სახნავი გამოიფიტება და ტყე განადგურდება, სოფელი სხვა ადგილზე გადაადგილდება“.** ყაბარდოელებს ჰქონდათ სახვნელი და საძოვარი ტერიტორიები. აღსანიშნავია თავშესაფარი ტერიტორიებიც, რომლებსაც მრავალრიცხოვანი ორთაბრძოლების, ყირიმელთა, ყალმუხელთა და ნოღაელთა თავდასხმებისას იყენებდნენ. XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში, 25 წლის განმავლობაში სამჯერ შეიცვალა ადგილმდებარეობა „ალკასოვი კაბაკმა“. ისინი ხან დარიალის „გასასვლელში“ ცხოვრობდნენ, ხან კი – თავდაპირველი ადგილსამყოფელიდან ორი დღის სავალზე.

ყაბარდოს ცხოვრებაზე ფრიად უარყოფითი გავლენა მოახდინა XVIII საუკუნეში ფეოდალური ზედაფენის ორ ჯგუფს შორის მიმდინარე ბრძოლამ. *ბაქსანისა* და *კაშტაკავის* პარტიებს შორის დაპირისპირება მთელი ერთი საუკუნის მანძილზე გაგრძელდა. ამ დროისათვის 17 წლის განმავლობაში (1729-1746 წწ.) *არსლანბეკ კაიტუკინის* მფლობელობაში მყოფმა მოსახლეობამ ოთხჯერ შეიცვალა ადგილსამყოფელი. ამის გამო, ხშირად ყაბარდოელები *ყოშებში* (კარვებში) ცხოვრობდნენ. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მუდმივი მოსახლეობა არც პიატიგორსკის რაიონში იყო. ეს ვითარება იმავე საუკუნის ბოლოს შეიცვალა. დასახელებულ რაიონში XVIII საუკუნის ბოლო პერიოდის წყაროებში უკვე მუდმივი დასახლებული პუნქტებია მითითებული.

შედარებით იშვიათად იცვლიდნენ ადგილმდებარეობას მცირე ყაბარდოს დასახლებები, თუმცა კაბაკების გადანაცვლება აქაც ხდებოდა. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მცირე ყაბარდოს ტერიტორიის გაფართოება სამხრეთით, ოსეთის ხეობების მიმართულებით ხდებოდა. XIX საუკუნის დასაწყისში კი მცირე ყაბარდოელთა კაბაკებმა დასავლეთითა და ჩრდილოეთით გადაინაცვლეს.

მართალია, ჩრდილოეთ კავკასიაში ძირითადად ერთი ეთნოსით დასახლებული სოფლები არსებობდა, მაგრამ, XVI-XVII საუკუნეების ყაბარდოში შენიშნულია ზოგიერთი პოლიეთნიკური დასახლებაც. ასე რომ, ყაბარდოელებთან ერთად არც თუ ისე მცირე რაოდენობით ოსები, ყუმუხები, ლაკები, დარგუელები, ჩაჩნები და ინგუშები ცხოვრობდნენ. ყაბარდოელები ყაბარდოს ფარგლებს გარეთაც გადასახლდებოდნენ. XVII-XVIII საუკუნეებში მათი მიგრაცია ყუმუხის დაბლობში მოხდა. ამავე დროს, ყუმუხების სოფლებში ცხოვრობდნენ გვარები, რომელთა წინაპრებიც ყაბარდოდან იყვნენ მოსული. ყუმუხებში ყაბარდოელთა პირველი დასახლებები 1711 წელს, ყირიმელთა ლაშქრობების შემდეგ გაჩნდა. 1804, 1813 და 1822 წლების აჯანყებებმა ყუბანის გადაღმა ყაბარდოელთა გადინება გამოიწვია. ყაბარდოს მოსახლეობას დიდი ზიანი მიაყენა შავი ჭირის ეპიდემიამ, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში 1804-1811 წლებში მძვინვარებდა. XIX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს მცირე ყაბარდოში 23 დასახლებული პუნქტი იყო 1130 კომლით, დიდ ყაბარდოში კი – შესაბამისად 92 დასახლებული პუნქტი და 2830 კომლი.

ყაბარდოელთა ტრადიციულ სამეურნეო საქმიანობას მეცხოველეობა წარმოადგენდა. ისინი აშენებდნენ ცხენებს, მსხვილფეხარქოსან საქონელს, ცხვარს, თხას. მისდევდნენ სამომთაბარო მეცხოველეობას, ზაფხულში მთის – საძოვრებზე, ზამთარში – სტეპებში. *ყაბარდოული ფოლკლორი გამსჭვალულია მესაქონლეობითი თემებით, განსაკუთრებით ხშირად უმღერიან ჯოგებსა და შესანიშნავ ცხენებს.* მეცხოველეობაში წამყვანი ადგილი სწორედ მეცხენეობას ეჭირა. საყოველთაო აღიარება ჰქონდა მოპოვებული ყაბარდოული ჯიშის ცხენებს. წარსულში ცხენის ხორცსა და რძეს მიირთმევდნენ, მაგრამ ცხენი ძირითადად ფასდებოდა როგორც საჯდომი (სატრანსპორტო) საშუალება. ყაბარდოული ცხენის ჯიში განსაკუთრებული ამტანობით, გამძლეობით გამოირჩეოდა; ცხენებს 3-4 წლიდან

ხედნიდნენ. ხშირად აწყობდნენ დოღს. ცხენებს ყაბარდოელები დამღებით გამოარჩევდნენ. ყველა გვარს მისთვის დამახასიათებელი დამღა ჰქონდა.

მიწათმოქმედება ყაბარდოელთა განსაკუთრებული საქმიანობა არასოდეს ყოფილა. XIX საუკუნემდე მარცვლეული კულტურებიდან პირველი ადგილი ფეტვს ეკავა. თესვისა და მოსავლის აღების დროს ზედაფენის წარმომადგენლები ხელქვეითებს მეზობელთა თარეშებისაგან რაზმებით იცავდნენ. ამასთანავე ის თვითონ აწყობდა მძარცველურ ლაშქრობებს მეზობელ ტომებზე. *ყაბარდოელებში მიწათსარგებლობა სათემო იყო.* მიწის გადანაწილება ერთი დასახლებული პუნქტის ფარგლებში ყოველწლიურად ხდებოდა. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ყაბარდოელებმა უფრო მეტი ყურადღება მიაქციეს მიწათმოქმედებას (სახვნელ-სათესი ფართობების ზრდა, ფეტვის ხვედრითი წილის შემცირება და ხორბლის, ქერისა და უფრო მეტად სიმინდის ნათესების ფართობების ზრდა).

საერთოდ, ყაბარდოელებს (და აგრეთვე ჩერქეზებს) „მთიელ ხალხად“ თვლიან. მაგრამ მათ შესახებ ეს ტერმინი პირობითია. ყაბარდოელთა და ჩერქეზთა სოფლები განლაგებულია სტეპებსა და მთისწინეთში. XIX საუკუნის შუა ხანებამდე დასახლება შეჯგუფული ტიპის ჰქონდათ. ყაბარდოელთა სოფლები ადრე შედარებით პატარა იყო, მაგრამ 1860-იან წლებში, მიწის რეფორმის შედეგად, ყაბარდოელთა სოფლები გაამსხვილეს. 116 პატარა სოფელი 39 დიდ აულში გაერთიანდა, რის შედეგადაც ადრინდელი პატარა სოფლის სახელწოდებანი უბნის სახელებად იქცა. საცხოვრებელი სახლის ჩონჩხს წარმოადგენდა ხის ბოძები, რომელიც თხილის ტოტებით იყო მოწნული და თიხით იყო გალესილი. ასეთი ტიპის სახლი – მსუბუქი მოწნული ნაგებობა – ადიღეელებისათვის ტრადიციული იყო, რაც არქეოლოგიური ძეგლებითა და მოგზაურთა ჩანაწერებით დასტურდება. ოთახების რაოდენობა განსაზღვრული იყო ოჯახში საქორწინო წყვილთა რაოდენობით. სამეურნეო ნაგებობებიც მოწნული ტოტებისაგან იყო აგებული, რომლებიც ჩალით და თივით იყო გადაფარებული და რომლებსაც ხშირად მრგვალი ანდა ოვალური ფორმა ჰქონდათ. დაწინაურებული და დაბალი ფენების საცხოვრებელი, ფაქტობრივად, არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. განსაკუთრებით თავისებური იყო ორიგინალურ სახურავიანი მრგვალი სამზარეულოები. მოწნული მრგვალი ნაგებობების ცენტრში მიწაში ბოძი იყო ჩასმული, რომლის თავზე ურმის თვალი იყო წამოცმული. თვლის ფერსოზე ამაგრებდნენ ხის ხარიხებს, რომლის მეორე ბოლოები ჩალაგებული იყო ნაგებობების კედლებში. ხარიხებს ზემოდან ჩალას ან თივას აწყობდნენ. ასე რომ, სამზარეულოს მრგვალი, სოკოსმსგავსი სახურავი ჰქონდა. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ასეთი ტიპის მრგვალი ნაგებობები პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ყაბარდოელთა წინაპრები ადრე მომთაბარეები იყვნენ და იურტებში ცხოვრობდნენ. ეს მოსაზრება გასაზიარებელია, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ყაბარდოული კაბაკები მოძრაობითობით ხასიათდებოდა, ხშირად იცვლიდნენ ადგილმდებარეობას და აგრეთვე იმასაც, რომ ყაბარდოელთა მეცხოველეობაში წამყვანი მეცხენეობა იყო. „თავადებს“, „აზნაურებს“ და დაწინაურებულ გლეხებს საცხოვრებელი სახლების გვერდით, აშენებული ჰქონდათ სასტუმრო სახლებიც. სოციალურად დაწინარებულთა სახლებს ყმა-გლეხები და მონები აგებდნენ, დანარჩენები კი თვითონ იშენებდნენ, თუმცა ამ დროს მეზობლებმა და ნათესავებმა ურთიერთდახმარებაც იცოდნენ. მამაკაცები სახლის მოწნულ კარკასს აშენებდნენ, ქალები კი მას თიხით ლესავდნენ.

ყაბარდოელთა ტანსაცმელი თითქმის ისეთივე იყო როგორც სხვა ჩრდილოეთკავკასიელებისა. ის მაქსიმალურად სამხედრო ყოფის პირობებთან იყო შეწყობილი. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ცნობილი „ჩერქესკა“ XVIII საუკუნეში წარმოიქმნა და სხვადასხვა სახით გავრცელდა ყველა კავკასიის ხალხში. გარეგნულად ყაბარდოელები მაინც გამოირჩეოდნენ დასავლეთ ადიღეელებისაგან და აბაზებისაგან. მაგალითად, ზღვისპირა აბაზები თუ გრძელ

თმებს ატარებდნენ, ყაბარდოელები, როგორც თავს, ისე წვერს იპარსავდნენ. ყაბარდოელებმა პურის კულტურა არ იცოდნენ. ის რუსებისაგან შეითვისეს. მათი ძირითადი საჭმელი იყო *პასთა* – ფეტვის ბურღულის უმარილო სქელი ფაფა. სქელ გაციებულ ფაფას ნაჭრებად ჭრიდნენ და ისე შეექცეოდნენ. *პასთა* ყველა ადიღეური ტომისათვის, მათ შორის, აფხაზებისთვის ტიპური იყო. *პასთა* ღომისნაირი საჭმელია. *პასთა* ერქვა ღომს პონტოელ ბეძნებშიც, რომლებიც ღომს ყველით ჭამდნენ, ოღონდ ღომს ელარჯივით ყველით შეექცეოდნენ და აკეთებდნენ არა ფეტვისაგან, არამედ ქერისაგან. ყაბარდოელები არ მიირთმევდნენ სოკოს, თევზს, მწვანილს, სანელებლებს. სასმელებიდან პოპულარული იყო ე. წ. *ყალმუხური ჩაი.* ყველაზე საპატიო სტუმარი ჩვეულებრივ მარტო მიირთმევდა საჭმელს. მხოლოდ სტუმრის დაუინებული თხოვნის შემდეგ დაჯდებოდა მასთან ოჯახის უფროსი, თანაც იმ შემთხვევაში, თუ კი იგი სტუმარზე უფრო ახალგაზრდა არ იყო. XVI-XVIII საუკუნეებში ყაბარდოელები უპირატესობას ანიჭებდნენ კერასთან გამომშრალ მაგარ ყველს.

ყაბარდოში პროტოფეოდალური წეს-წყობილება იყო გაბატონებული. მასში შეთანწყობილი იყო პატრიარქალური მონობა და გვაროვნული წყობილების ძლიერი გადმონაშთები. წინაფეოდალური იერარქიული კიბის უმაღლეს საფეხურზე იდგნენ „თავადები“ (*ფში*). თავადების ვასალები იყვნენ *ტლეკოტლეშები* და *დიუინუგები. ტლეკოტლეშებს* უფლება ჰქონდათ თავიანთი ყმა-გლეხებით „თავადისაგან“ წასულიყვნენ. წვრილ „ფეოდალებს“ *უორკი* ეწოდებოდა, რომლებიც ასევე ფლობდნენ ყმა-გლეხებსა და მონებს. *უორკების* ნაწილი *ფშისა* და *ტლეკოტლეშების* სამხედრო რაზმებს შეადგენდა. მთელი ზედაფენა *ფშიუორკების* საერთო სახელწოდებას ატარებდა. გლეხობაც რამდენიმე კატეგორიად იყოფოდა. გლეხი მეთეემები (*ტლხუკოტლი*) პირადად თავისუფალნი, მაგრამ დამოკიდებულნი იყვნენ *ფშიუორკებზე.* განსაკუთრებულ კატეგორიას შეადგენდნენ ყოფილი ყმა გლეხები – *ანატები,* რომლებმაც თავი გამოისყიდეს. ყმა-გლეხები მიმაგრებულნი იყვნენ თავიანთ მფლობელებთან. საზოგადოების ყველაზე უუფლებო ნაწილი *უნაუტები* (მონები) იყვნენ. მონები თარეშების დროს ტყვედ ჩავარდნილთა შთამომავლებს წარმოადგენდნენ. უნაუტების შრომას ძირითადად საოჯახო მეურნეობაში იყენებდნენ. საერთოდ, *XV-XVIII საუკუნეების ყაბარდოს საზოგადოებრივი წყობა პროტოფეოდალური იყო. ამ თვალსაზრისით ჩრდილოეთ კავკასიის საზოგადოებებს შორის ის ყველაზე უფრო დაწინაურებული გახლდათ. ქვეყანას მართავდა არჩევითი ან ასაკით უფროსი „თავადი“,* რომლის ხელისუფლებაც სხვადასხვა „თავადებისა“ და გავლენიანი „აზნაურების“ თვითნებობით იყო შეზღუდული. ყაბარდოში „სოფლის მფლობელნი“ მონაწილეობდნენ სახნავი მიწის ყოველწლიურ გადანაწილებაში და თავისათვის ერთ-ერთ ნაკვეთს ირჩევდნენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს „მფლობელები“ ეკონომიკურად ჯერ კიდევ თემისაგან გამოცალკევებულნი არ იყვნენ. თითქმის XIX საუკუნის 50-იან წლებამდე ყოველ 20-30 წელიწადში სათიბების გადანაწილებაც კი ხდებოდა. ყაბარდოელი „ფეოდალების“ ფაქტობრივ განკარგულებაში არცთუ ისე დიდი მიწის ნაკვეთი იყო.

ყაბარდოელთა ხალხურ ზეპირ შემოქმედებაში XVI-XVIII საუკუნეები იწოდება ყაბარდოელი ხალხის ბედნიერ, ოქროს, გმირულ პერიოდად. XVI საუკუნეში მყარდება პირველი გაცხოველებული კონტაქტები რუსეთის სახელმწიფოსთან. ამ საუკუნის მესამე მეოთხედში „თავადმა“ *თემრიუკმა* გააერთიანა წვრილ-წვრილი ყაბარდოული „სათავადოები“ და ქვეყნის დამოუკიდებლობა ყირიმელ თათრებთან, ნოღაელებთან, ყუმუხებთან ბრძოლაში შეინარჩუნა, რომელთა უკანაც იდგნენ თურქეთისა და ირანის ძლიერი სახელმწიფოები. *თემრიუკმა* დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა რუსეთთან, ასტრახანისა და ყირიმის სახანოებთან. 1561 წელს მისი ქალიშვილი *გუაშენი* ცოლად შეირთო *ივანე მრისხანემ.* თუმცა წინაფეოდალურ ყაბარდოში არც ქალაქები არსებობდა (დაბა ნალჩიკი ქალაქად

მხოლოდ საბჭოთა პერიოდში იქცა), არც დამწერლობითი კულტურა ჰქონდათ. ხელოსნობაცა და ხელოვნებაც სუსტად იყო განვითარებული და მონათმფლობელური ელემენტებიც არსებობდა.

ყაბარდო მეზობელთაგანაც ხშირ თავდასხმებს განიცდიდა. მაგრამ, თავის მხრივ, ყაბარდოელები ძარცვით ლაშქრობებს მეზობელ ტომებზე თვითონაც აწყობდნენ. თარეშის მონაწილენი ლაპარაკობდნენ განსაკუთრებულ პირობით ენაზე, რითაც თავიანთ გეგმებს ასაიდუმლოებდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, ყაბარდოში პროტოფეოდალური ურთიერთობები არსებობდა. ბუნებრივია, ასეთ საზოგადოებაში შემორჩენილი იყო გვაროვნული წყობილებისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ინსტიტუტები, რომლებიც შეთანწყობილი იყო წინაფეოდალურ ურთიერთობებთან. ყაბარდოელები გვარებად (*ლეკ*) ცხოვრობდნენ. XIX საუკუნეში ერთი გვარის წარმომადგენლები ერთ გვაროვნულ დასახლებაში (სოფელში, უნაბში) უკვე აღარ ცხოვრობდნენ. ერთ სოფელში რამდენიმე გვარი შერეულად მკვიდრობდა. გვარის ცალკეული ოჯახები შეიძლება რამდენიმე სოფელში ყოფილიყვნენ გაფანტულნი. საერთო გვაროვნული მეურნეობა აღარანაირი ფორმით არ არსებობდა. ერთი გვარის წევრებს ჰქონდათ შეგნება, რომ საერთო წინაპარი მამაკაცის შთამომავალნი იყვნენ. შემორჩენილი იყო გვაროვნული ნიშნები – დამღები. გვარის წევრები მკაცრად იცავდნენ ეგზოგამიას, ისე რომ გვარის შიგნით ქორწინება მკაცრად იყო აკრძალული; გვარის ღირსების შეურაცხყოფისათვის, ნათესავის დაჭრისა და მკვლელობისათვის ერთობლივად იძიებდნენ შურს. XVIII-XIX საუკუნეებში სისხლის აღების ჩვეულებამ გარკვეული ცვლილებები განიცადა და სისხლს აღება მხოლოდ ახლო ნათესავების პრეროგატივა გახდა. უმეტეს შემთხვევაში ის ჩვეულებრივი სამართლით (ადათით) განსაზღვრული საურავის გამოსასყიდით შეიცვალა. მესისხლის შერიგების ერთ-ერთი საშუალება იყო მოკლულის გვარის მიერ მკვლელის შვილად აყვანა და მკვლელის შვილის აღზრდა მოკლულის გვარის მიერ. ყმა-გლეხის მკვლელობისათვის გადასახადს მოკლულის გვარს კი არ უხდიდნენ, არამედ – მის მფლობელს. მონათესავე ჯგუფებს დღემდე შემორჩათ ურთირთდახმარების წეს-ჩვეულება, ჯგუფური სოლიდარობა.

ყაბარდოელებმა იცოდნენ ბავშვის გაძიძავება, რაც მათთან *ათალიკობის* სახელითაა ცნობილი. „თავადები“ თავიანთ შვილებს გასაზრდელად უპირველეს ყოვლისა *უორკების* („აზნაურების“) ოჯახებში აგზავნიდნენ, *უორკები* კი – უფრო დაბალი კატეგორიის უორკებთან და გლეხ-მეთემეებთან. ბიჭი ხშირად თარეშებში ათალიკთან (ძიძასთან) ერთად მონაწილეობდა. აღზრდის მთელ პერიოდში ნამდვილი მამა შვილს საერთოდ ვერ ხედავდა. წინა საუკუნეებში გამზრდელი ვალდებული იყო აღსაზრდელისათვის მოეძებნა საპატარძლო, აუცილებლობის შემთხვევაში კი – დახმარებოდა მის მოტაცებაში. სახლში დაბრუნებისას აღსაზრდელს ათალიკი ცხენით, იარაღით, ძვირფასი ტანსაცმლით უზრუნველყოფდა. მშობლებისათვის გაძიძავებული შვილის დაბრუნება საზეიმოდ ხდებოდა. აღსაზრდელად გოგონებსაც აბარებდნენ.

ყაბარდოელებში სტუმართმოყვარეობის ტრადიცია ყველაზე მაღლა იდგა. ყველა შეძლებული კომლს ეზოში აშენებული ჰქონდა სპეციალური სასტუმრო სახლი, სადაც მგზავრს უნებართვოდაც შეეძლო მოწყობილიყო. ამასთანავე, სტუმარი დარწმუნებული იყო, რომ აქ ნახავდა ღამის გასათევს, ყუათიან საჭმელს, რაც მთავარია, დაცული იქნებოდა მტრისა და მდევარისაგან. „სტუმრული“ (სახლი) ღია იყო ყველასათვის. სასტუმრო სახლებში განიხილავდნენ ქვეყნის ამბებს, პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების პრობლემებს, ასრულებდნენ საგმირო სიმღერებს, ცეკვავდნენ, თაობიდან თაობას გადასცემდნენ ძველ გადმოცემებს დევგმირ-ნართებზე. საერთოდ, სასტუმრო სახლი („სტუმრული“) ძირითადად, საზოგადოებრივი დაწესებულება იყო. ოჯახის უფროსი ვალდებული იყო სტუმარი იარაღით დაეცვა, თუ მას რაიმე საფრთხე ემუქრებოდა. სტუმართმოყვარეობის

ტრადიციით ფართოდ სარგებლობდნენ ვაჭრები. ყაბარდოელებში მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ძმადგაფიცვა. ძმად გაფიცვა გვარში შესვლის უფლებას არ იძლეოდა. ამისათვის შვილად აყვანა იყო აუცილებელი. შვილად აყვანა საჯარო იყო და დედობილის ძუძუზე სამჯერ კბილების შეხებას ითვალისწინებდა. ამ წესს ხშირად იყენებდნენ მესისხლეები. თუ მკვლელი ნებისმიერი ფორმით (ძალით ან ეშმაკობით) მოახერხებდა შეხებოდა მოკლულის დედის მკერდს, ის მისი შვილი, მოკლულის გვარის წევრი ხდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ისლამი მრავალცოლიანობის ნებას რთავდა, ყაბარდოში მაინც გაბატონებული ფორმა იყო მონოგამიური ოჯახი. XIX საუკუნის ბოლომდე შემორჩენილი იყო დიდი ოჯახი, რომლის შემადგენლობაშიც რამდენიმე ათეული ადამიანი შედიოდა. ისინი საერთო მეურნეობას აწარმოებდნენ. ოჯახს მართავდა **თჰამადა** (უფროსი). ის იყო სასოფლო თემში ოჯახის წარმომადგენელიც. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ XVI-XVIII საუკუნეებშიც ყაბარდოელები დიდ ოჯახებად ცხოვრობდნენ. *პ. პოტიომკინის* მოწმობით, ყაბარდოელებში „ყოველი ოჯახი დიდი პაპიდან დაწყებული პატარა ბავშვის ჩათვლით გაუყრელად ცხოვრობს და საჭმელს ყველა ერთი დიდი ქვაბიდან ჭამს და აქედან გამომდინარე არავინ ამბობს რამდენი ოჯახია ან კომლია სოფელში, არამედ რამდენი ქვაბია“.

წოდებრივი წარმომავლობა განისაზღვრებოდა არა მამით, არამედ დედით. „არათავადი“ ქალისა და „თავადის“ შვილი *ფშ*-დ არ იწოდებოდა. ის შედიოდა *თუმეს* განსაკუთრებულ ფენაში. დაქორწინება ხშირად ხდებოდა ახალგაზრდების წინასწარი გაცნობის შემდეგ. გოგონები სარგებლობდნენ გარკვეული თავისუფლებით, დადიოდნენ ხალხურ დღესასწაულებზე, ცეკვებზე და სხვ., სადაც შეიძლებოდა შეხვდროდნენ ვაჟებს. საქმროს აუცილებლად უნდა გადაეხადა ურვადი საქონლის, ნივთების სახით. არსებობდა მოტაცების წეს-ჩვეულებაც. ახალდაქორწინებულები თავდაპირველად ცხოვრობდნენ არა თავისთან სახლში, არამედ – რომელიმე მეგობართან და მეუღლეები ერთმანეთს მხოლოდ ღამით, ფარულად ხვდებოდნენ. დაქორწინებული მამაკაცის ურთიერთობა ასეთი სახლის უფროსთან ნათესაური ხდებოდა და ეს ნათესაობა თითქმის სისხლიერ ნათესაობას უთანაბრდებოდა.

XVI საუკუნემდე ყაბარდოელების რელიგია ძველი წარმართული რწმენა-წარმოდგენებისა და ქრისტიანობის ნარევს წარმოადგენდა. წარმართული ღვთაებების პანთეონში დიდი ღმერთის – **ტხეშხუეს** გარდა, შედიოდნენ ნაყოფიერების, ტყეების, მხედრების, მსხვილფეხა საქონლის მფარველი ღვთაებები. ამათთან ერთად, ყაბარდოელები ეთაყვანებოდნენ *მარიამ ღვთისმშობელს, ილიას, წმინდა გიორგის.* XIX საუკუნემდე განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა ჯვარი. XVII საუკუნის დასაწყისიდან წარმართობამ და ქრისტიანობამ თავისი პოზიციები სუნიტური მიმართულების ისლამს დაუთმო. 1666 წელს თურქ მოგზაურს *ევლია ჩელების* ყაბარდოს მცხოვრებნი მთლიანად გამუსლიმებულნი დახვდნენ. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ მრავალფეროვან წარმართულ და ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს ყაბარდოელები დიდი ხნის განმავლობაში – გვიანობამდე ასრულებდნენ. ამით ხსნიან XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე რუსებთან გაქცეული ყაბარდოელების მიერ ქრისტიანობის ადვილად მიღებას (*მოზდოკელი ყაბარდოელები*).

პროტოფეოდალური ყაბარდოს სულიერი ატმოსფეროს განსაკუთრებული მახასიათებელი იყო ბევრი ფასეულობისა და იდეალის ომთან დაკავშირება. ღირსება, კეთილშობილება, ვაჟკაცობა, მოვალეობა, ქალის პატივისცემა და სხვა მრავალი ცნება ასე თუ ისე სამხედრო ეტიკეტს უკავშირდებოდა. ბევრი ავტორის აზრით, **XVI-XVII საუკუნეებში ყაბარდოული ცხენოსანი ჯარი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მსოფლიოში.** რაინდული მორალის ევოლუციის პროცესში ყაბარდოელებს ჩამოუყალიბდათ *ეორკების* ფენისათვის დამახასიათებელი ეთიკური

ვალდებულება. ეს სისტემა, რომელიც ცნობილია, *უერკ ხაბზეს* სახელწოდებით (უორკების, ე. ი. რაინდული ეტიკეტი), საერთოადიღეური ფასეულობებისა და იდეალების საფუძველზე ჩამოყალიბდა. ***უერკ ხაბზე* ითვალისწინებდა ვაჟკაცობას, სიმამაცეს, გულადობას, მჭერმეტყველება-ენამზეობას, სიუხვეს, სტუმართმოყვარეობას, უფროსებისადმი პატივისცემასა და მორიდებულობას, ტანჯვა-წამების სიმტკიცით გადატანას, ქალისადმი გალანტურ, თავაზიან დამოკიდებულებას, ყველანაირი სახის იარაღის შესანიშნავ ფლობას და რაინდული პაექრობისას (ორთაბრძოლისას) პირობების დაცვას**. თანამედროვე ყაბარდოელებში ამ ეტიკეტიდან კიდევ ბევრი რამაა შემორჩენილი.

დღეს ყაბარდოელებს აქვთ დამწერლობა, რომელიც 1924 წელს შეიქმნა ლათინური ანბანის, 1936 წლიდან კი – რუსული ანბანის საფუძველზე. გამორჩეულია ყაბარდოული ხალხური სიმღერები და ცეკვები. განსაკუთრებით გავრცელებული იყო საგმირო, შრომითი, ისტორიული სიმღერები. ყაბარდოული სიმღერები ერთხმიანია. ყაბარდოული ფოლკლორის ყველაზე ძველ ფენას ნართების ეპოსი მიეკუთვნება. ჩაწერილი და გამოცემულია, აგრეთვე, ბევრი ზღაპარი და ლეგენდა. გამოკვეთილი ხატოვნობით გამოირჩეოდა ყაბარდოელთა სიმღერა-ტირილები (ჩვენი მთიელების *ხმით ნატირალების* მსგავსი).

II. 5. ჩერქეზები

ჩერქეზების თვითსახელწოდებაა **ადიღე**. რუსეთის ფედერაციაში 50,8 ათასი ჩერქეზი ცხოვრობს. ძირითადად ცხოვრობენ ყარაჩაი-ჩერქეზეთში (40,2 ათასი). უძველესი დროიდან ჩერქეზთა წინაპრები თავიანთ თავს ადიღეს უწოდებდნენ. დღესაც ასე იწოდებიან ყაბარდოელები, ადიღეელები და ჩერქეზები. ისინი ყარაჩაი-ჩერქეზეთის 17 აულში მკვიდრობენ. ცხოვრობენ აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში, სადაც მუჰაჯირობის დროს, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, გადასახლდნენ. ამ მაჰმადიანურ ქვეყნებში განსახლებული სხვა ეთნოსებიც (ადიღეები, აბაზები...) „ჩერქეზების“ სახელწოდებით არიან ცნობილნი.

ტერმინ *ჩერქეზს* საფუძვლად უდევს ეთნონიმი „კერკეტი“, რომლითაც ძველი ბერძენი ავტორები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს ადიღეური მოდგმის მოსახლეობის აღსანიშნავად იყენებდნენ.

ჩერქეზებსა და ყაბარდოელებს საერთო ლიტერატურული ენა აქვთ, რომელსაც ყაბარდოულ-ჩერქეზულს უწოდებენ. ყაბარდოულ-ჩერქეზულის მონათესავეა ადიღეური. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ ენებზე მოლაპარაკეთ ერთმანეთის ესმით.

სარწმუნოებით ჩერქეზები მუსლიმი სუნიტები არიან.

XVIII საუკუნეში ადიღეელთა შემადგენლობაში 18 ეთნოგრაფიული ჯგუფი ითვლეობდა, რომლებსაც თავიანთი ლოკალური სახელწოდებანი ჰქონდათ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მათ ჰქონდათ საერთო კულტურა, საერთო ენა, საერთო ტრადიციები და წეს-ჩვეულებები. მიუხედავად ამისა, ისინი ინტეგრირებულნი არ იყვნენ.

ტერიტორია, რომელიც დღეს ჩერქეზეთის სახელწოდებითაა ცნობილი, ადიღელთა წინაპრების მიერ ჯერ კიდევ V-VII საუკუნეებში იყო დასახლებული. დღევანდელ ჩერქეზეთში, მდ. *ყუბანის* დაბლობში, ადიღელთა და ბესლენელთა მიგრაცია XII-XIII საუკუნეებში მოხდა. XIX საუკუნეში, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გამო, ყაბარდოელები ჩერქეზეთში მასობრივად გადასახლდნენ. მათი ეს მიგრაცია 1825 წელს შეწყდა. ამ დროისათვის ჩერქეზეთის ტერიტორიაზე ყაბარდოელებს უკვე 62 აული ჰქონდათ დაფუძნებული.

თანამედროვე ჩერქეზების ფორმირებაში, ყაბარდოელებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ბესლენელებმაც ითამაშეს. XVI საუკუნის წყაროების მონაცემებით, ბესლენელები *ლაბისა* და *ყუბანის* აუზებში ცხოვრობდნენ. ამ ტერიტორიას სამხრეთ-აღმოსავლეთით აბაზებით დასახლებული რაიონები ესაზღვრებოდა.

ჩერქეზების ძირითადი საქმიანობაა მესაქონლეობა. მათ ჰყავდათ როგორც ცხვარი, თხა, ცხენი, ისე მსხვილფესარქოსანი საქონელი. მაჰმადიანობის მიღებამდე მისდევდნენ მეღორეობასაც. მესაქონლეობა მომთაბარე ხასიათს ატარებდა. გაზაფხულის დადგომისთანავე, საქონელს საზაფხულო საძოვრებზე მიერეკებოდნენ. **განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ *ყაბარდოული ჯიშის* ცხენების მოშენებას**. მისდევდნენ აგრეთვე მეფუტკრეობას.

საკმაოდ ფართოდ იყო განვითარებული ხელოსნობა. შინამრეწველობის ყველა სახე მეცხოველეობის პროდუქტებთან იყო დაკავშირეული. ჩერქეზეთის აღმოსავლეთ ნაწილში, მოსახლეობა ხის დამუშავებას მისდევდა. ფართოდ იყო განვითარებული მჭედლობა, იარაღის კეთება.

ჩერქეზები გაერთიანებული იყვნენ დამოუკიდებელ და სამეზობლო-სასოფლო თემებში. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ჩერქეზებში პატარა ოჯახების გვერდით ჯერ კიდევ არსებობდა დიდი ოჯახები, უფრო ადრე, XVIII საუკუნეში კი აქ დიდი ოჯახი გაბატონებული იყო.

ჩერქეზებში ქორწინება მკვაცრად ეგზოგამიური იყო. ეგზოგამიის წესის დამრღვევთ სამშობლოს ფარგლებს გარეთ აძევებდნენ. აკრძალული იყო ქორწინება თანამოგვარეებს შორის, ასევე – ხელოვნურად დანათესავებულებთანაც. ჩერქეზებისათვის უცხო არ იყო *სოროორატი* და *ლევირატი.*

თანამედროვე ჩერქეზების აულები XIX საუკუნის მეორე ნახევარში, კავკასიური ომების დამთავრების შემდეგ გაშენდა. მათი ადრინდელი აულები (დასახლებული პუნქტები) გადამწვარი და განადგურებული იქნა. გადარჩენილი მცხოვრებნი, ცარიზმის განკარგულებით, *ყუბანისა* და *დიდი* და *პატარა ზელენჩუკის* გაყოლებით დაასახლეს. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში 17 დასახლებული პუნქტი დააარსეს. წარსულში ჩერქეზებს ყველა საცხოვრებელი და სამეურნეო ნეგებობა ხის ჰქონდათ.

ჩერქეზები ჭამაში ყოველთვის დიდი ზომიერებით გამოირჩეოდნენ.

ჩერქეზების ზეპირ ხალხურ შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა თქმულებებს, სიუჟეტებსა და მოტივებს, რომლებიც ყველა ადიღეელი სალხისათვის საერთო იყო. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ნართული ეპოსი მრავალი საუკუნის წინ შექმნილია ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის მცხოვრებლების მიერ.

XIV-XV საუკუნეებში ჩერქეზები ქრისტიანებად ითვლებოდნენ. ქრისტიანობა აქ X-XII საუკუნეებში ბიზანტიიდან და საქართველოდან გავრცელდა, მაგრამ ის გაბატონებულ რელიგიად ვერ იქცა. ქრისტიანობის განმტკიცებას ხელი შეუშალა ისლამმა, რომელმაც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში შემოღწევა XIV საუკუნეში დაიწყო. ისლამის ძლიერი გავლენის მიუხედავად, ჩერქეზებში ძველი წარმართული რწმენა-წარმოდგენებისა და ქრისტიანობის ნაკვალევი XX საუკუნემდე შემორჩა. XVIII საუკუნესა და XIX საუკუნეშიც კი ზოგიერთი ჩერქეზული ტომი ჯვარს ეთაყვანებოდა. ჩერქეზები ნაყოფიერების, ტყის, ნადირობის, მეფუტკრეობის, ცხვრის, თხის, მსხვილფესარქოსანი საქონლის სხვადასხვა ღვთაებას ეთაყვანებოდნენ. ჩერქეზულ პანთეონში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ჭექა-ქუხილისა და ელვის ღვთაებას *შიბლე.* საერთო-სახალხო ღვთაებებთან ერთად, ჩერქეზებს საგვარეულო სალოცავებიც ჰქონდათ.

II. 6. უბიხები©

© გიორგი ავთანდილაშვილი

კავკასიის ყველაზე გვიან გამქრალ ხალხებს შორის უბიხები შეიძლება დავასახელოთ. ჯერ კიდევ სულ რაღაც საუკუნე-ნახევრის წინ ისინი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე, აფხაზეთის ჩრდილოეთით, შავი ზღვის სანაპირო ზოლსა და მის მიმდებარე მთიან მონაკვეთში იყვნენ განსახლებულნი. ზღვისპირეთში მათი ეთნიკური ტერიტორია მდინარეებს *შახესა* და *ხოსტას* შორის მდებარეობდა. უბიხების თვითსახელწოდება იყო **თვახი,** თავიაანთ სალაპარაკო ენას კი **თვახიბზას** უწოდებდნენ. უბიხური ენა კავკასიური ენათა ოჯახის აფხაზურ-ადიღეურ ჯგუფს განეკუთვნებოდა და დამწერლობის არმქონე ენაა გახლდათ. უბიხები XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ დასავლეთ კავკასიაში, როგორც ზღვისპირა ვაკეებზე, ასევე – მთებში. 1830 წლიდან რუსეთის იმპერიამ დაიწყო აქტიური საომარი ქმედებები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მოსახლეობის დასამორჩილებლად. ცარიზმმა კავკასიის ხალხებს შორის სულ ბოლოს უბიხები დაიმორჩილა, რომლებიც როგორც XIX საუკუნის ლიტერატურაშია შენიშნული, ყველაზე მეომარი და ფხიანი ხალხი იყო. ომის მიმდინარეობის პერიოდში ბევრი უბიხი დაიღუპა, გადარჩენილები კი 1864 წელს მთლიანად გადაასახლდნენ ოსმალეთის იმპერიაში. ოფიციალური მონაცემებით 74 567 ადამიანი იქნა გასახლებული, თუმცა იმავე პერიოდის ისტორიკოსი ა. *ბერჟე* აღნიშნავდა, რომ მუჰაჯირთა რაოდენობა გარკვეულწილად შემცირებული იყო, რათა ტრაგედიის მაშტაბები სრულად არ ყოფილიყო მიჩქმალულიყო. მისი ვარაუდით ოსმალეთის იმპერიაში 100 ათასამდე უბიხი გადასახლდა.

XIX საუკუნის დასაწყისამდე უბიხების შესახებ წყაროები თითქმის არ გაგვაჩნია, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთი მოგზაურის დღიურს, სადაც უბიხები გაკვრით არიან ნახსენები. ამის მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ დიდი ხნის განმავლობაში უბიხებს ადიღეური მოდგმის ტომებად მიიჩნევდნენ და მათი ისტორიის ნაწილად განიხილავდნენ. 1830-იანი წლებისათვის მეფის ხელისუფლებამ დაიწყო აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ხალხების კომპლექსური შესწავლა. ამ მიზნით ინფორმაციის შესაგროვებლად სხვადასხვა დროს აგზავნიდნენ დაქირავებულ მკვლევარებს (*ნოვიცკი, ტორნაუ, შახოვსკი* და სხვა), რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ აღნიშნულ ხალხებთან და აგროვებდნენ სხვადასხვა სახის ინფორმაციას: ტოპოგრაფიულს, კლიმატურს, ენობრივს, მოსახლეობის რაოდენობისა და სამხედრო პოტენციალისა შესახებ.

უბიხების ტერიტორიას დასავლეთიდან ზღვა ესაზღვრებოდა, ჩრდილოეთით – ჩერქეზული/ადიღეური ტომები: *შაფსუღები* და *ნათხვაჯები*, ჩრდილო-აღმოსავლეთით – მთებში მცხოვრები *აბაძეხები*, ხოლო სამხრეთით – *საძები* და *აფხაზები.* მიუხედავად ამისა, უბიხების განსახლების არეალის ზედმიწევნით განსაზღვრა რთულია. ზოგიერთი ავტორი უბიხებს ასახელებს მდინარეებს *შახესა* და *საშეს (სოჭს)* შორის, სხვები კი *შახესა* და *ხამიშის* (*ხოსტა*) მიმდებარე აუზებში. გაურკვევლობა ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ ადიღეური მოდგმის ხალხები ხშირად იცვლიდნენ საცხოვებელ არეალს და ერთმანეთის ტერიტორიაზე სახლდებოდნენ. ამის გამო ზოგიერთ მკვლევარს სხვადასხვა მონათესავე ტომები ერთმანეთში ერეოდა. მაგალითად, *დიუბუა დე მონპერეს* მიხედვით, „უბიხები იგივე შაფსუღებია“. უბიხები ეთნო-კულტურული და ენობრივი თვალსაზრისით ახლოს იდგნენ მათ მეზობლად მცხოვრებ აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ხალხებთან. მიუხედავად ამისა, უბიხებს განსაკუთრებული სიახლოვე მაინც ადიღეელებთან – *შაფსუღებსა* და *აბაძეხებთან* – ჰქონდათ. აფხაზურ-ადიღეურ ტომებს შორის არსებული ასეთი მჭიდრო ურთიერთობის გამო, უბიხების წარმომავლობაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: ერთნი მათ ადიღეური მოდგმის ტომებად მიიჩნევენ, მეორენი – აფხაზებთან ახლოს მდგომად, მესამენი კი ამტკიცებენ, რომ ძველად უბიხები მრავალრიცხოვანი და ძლიერი ცალკე მდგომი

ხალხი იყო, რომელთა დიდი ნაწილის ასიმილაციაც მოგვიანებით აფხაზებმა და ადიღეელებმა მოახდინეს. ძირითადი თეორიების გვერდით არსებობს კიდევ რამდენიმე ნაკლებად არგუმენტირებული და დაუსაბუთებელი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, უბიხები ელინური სამყაროს წარმომადგენლები არიან, სხვა თვალსაზრისით კი ალანების შთამომავლებად არიან მიიჩნეული. ზოგიერთი მეცნიერი შეეცადა უბიხური ენა ხეთურთან დაეკავშირებინა, თუმცა ეს მტკიცებაც ყოვლად დაუსაბუთებელი აღმოჩნდა. *ფსევდოარიანესთან* (V ს.) მოხსენიებული მდინარე *ბრუხონტა* (*შ. ინალ-იფას* მიხედვით *ბრუხონტა* იგივე *მზიმთაა*) უბიხებით დასახლებულ ტერიტორიაზე მიედინებოდა. VI საუკუნეში მოღვაწე ბიზანტიელი ისტორიკოსი *პროკოფი კესარიელი,* თავის ნაშრომში ასახელებს *ბრუხებს,* რომლებიც *აბაზგებსა* და *ალანებს* შორის ცხოვრობდნენ. ბრუხებს უბიხების წინაპრებად განიხილავდნენ. დღეისათვის ეს მოსაზრება მეცნიერებს შორის გაზიარებული არ არის.

უბიხებით დასახლებული ტერიტორია იყოფოდა მთიან და სანაპირო ზოლად. მთიან ზოლში მცხოვრები უბიხური ტომების სახელწოდება შემორჩენილი არ არის, თუმცა მოგზაურთა დღიურებში ისინი „მთის შვილებად“ არიან მოხსენიებული (ზღის სანაპიროდან მოშორებით მცხოვრებ უბიხებს *ა. ბერჟე* „საკუთრივ უბიხებს“ უწოდებდა). ამ ტერმინით მთაში მცხოვრები ყველა უბიხური ტომი მოიაზრებოდა, ხოლო სანაპიროსთან ახლოს მცხოვრები უბიხები კი **საშესა** და **ვარდანეს** ტომებად იყოფოდნენ. ვარდანეს ტომს ძირითადად მთისწინეთი და ბარი ეკავა, ხოლო საშეს ტომი (სოჭის) უშუალოდ ზღვის ნაპირზე, დაახლოებით 30-35 კილომეტრის გაყოლებაზე ცხოვრობდა. *კ. სტალი* უბიხთა ხუთ საზოგადოებას ასახელებს: 1. *უბიხები,* 2. *ვარდანე,* 3. *სოჩი,* 4. *აძახი* და 5. *ახუჩიპსი.* უბიხების ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ტყით იყო დაფარული, სადაც უიშვიათესი ენდემური ჯიშის ხეები ხარობდა, აქ ასევე მოედინებოდა მთის მდინარეები: *ბუ, შახე, ვარდანე, საშე (სოჭი), ხამიში* (*ხოსტა*) და სხვა.

უბიხები მიწათმოქმედებასა და გადარეკვით მესაქონლეობას მისდევდნენ. მიწათმოქმედებისათვის ვარგისი მინდორ-ველებით განსაკუთრებით ვარდანეს მხარე გამოირჩეოდა, იგი განთქმული იყო ხეხილის ბაღებით. დღევანდელი სოჭის მიმდებარე ტერიტორია მიწათმოქმედებისათვის გამოუსადეგარი იყო, თუმცა კარგი კლიმატური პირობების გამო, მოსახლეობა მას ზამთრობით საქონლის საძოვრებად იყენებდა. მიწათმოქმედებაზე საუბრის დროს ყველა მოგზაური ერთხმად აღნიშნავს, რომ უბიხები უპირატესობას ანიჭებდნენ მემინდვრეობას, აქური ხორბალი განთქმული იყო ხარისხით. ვო(ა)რდანეს ტომი მებაღეობასთან ერთად აქტიურად მისდევდა მეღვინეობასაც, მათი ღვინო გამოირჩეოდა განსაკუთრებული არომატით და გემოვნებით. ვინაიდან უბიხები მებრძოლი ხალხი იყო, ისინი დიდი რაოდენობით ამზადებდნენ საბრძოლო იარაღებს: ხმლებს, ხანჯლებს, დანებს, თოფებს და სხვ. მეზობელი ჩერქეზების მსგავსად, უბიხებიც კარგი დურგლები იყვნენ. როგორც ირკვევა უბიხების სამეურნეო ყოფაში საკმაოდ დიდი ადგილი ეკავა ვაჭრობას. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მათ საკმაოდ კარგი სტრატეგიული მდებარეობა ეკავათ მეზობლებს შორის. ისინი მთიდან ჩამოტანილ პროდუქტებით თურქებთან საკმაოდ სარფიანად ვაჭრობდნენ და ამით საკმაოდ დიდ სარგებელსაც ნახულობდნენ.

უბიხებს სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი არასდროს შეუქმნიათ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, კავკასიური ომების პერიოდში ისინი ცდილობდნენ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ კავკასიის სხვა ხალხების გაერთიანებას და ერთიანი, ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევას, თუმცა ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. მკვლევარები და მოგზაურები ერთხმად აღნიშნავენ, რომ უბიხებს საზოგადოება ცენტრალური და დასავლეთ კავკასიის ზოგიერთი ხალხის (*ოსები, დაღესტნელები, ყაბარდოელები*) საზოგადოებაზე დაბლა იდგა, რადგან მათ საზოგადოებაში ჯერ კიდევ პატრიარქალური, გვაროვნული თემის ნიშნები შეიმჩნეოდა. **უბიხებს**

თავადები არ ჰყავდათ, თუმცა საზოგადოებაში წარმმართველ ძალას მაინც „აზნაურული“ ფენა წარმოადგენდა, ისინი არავისზე არ ბატონობდნენ, მაგრამ მოსახლეობაში მაინც დიდი გავლენა ჰქონდათ. უბიხური აზნაურული გვარები იყო *ბერზეკი* და *დეშენი.* აზნაურები ლაპარაკობდნენ ადიღეურ ენაზეც (მიიჩნევენ, რომ ორივე ამ გვარისანი წარმოშობით ადიღეელები იყვნენ); იცოდნენ აფხაზურიც. აფხაზურს ფლობდა აფხაზეთის მოსაზღვრედ მცხოვრები უბიხების დიდი ნაწილიც. სხვათა შორის, XIX საუკუნის შუა ხანებში *კ. სტალი* აღნიშნავდა, რომ უბიხური ენა დღიდან დღემდე ქრება. ის ფაქტი, რომ უბიხებს ერთიანი ცენტრალიზებული მმართველობის სისტემა არ ჰქონდათ მათივე ხასიათის თავისებურებებიდან გამომდინარეობდა. *ვრესკი* აღნიშნავდა, რომ **„უბიხებისათვის უცხოა მმართველობის ფორმები, წესრიგი, კანონის მიმართ მორჩილება, ისინი უპირატესობას ანიჭებენ უსაზღვრო თავდაჯერებულობას და ველურ თავისუფლებას“**. უბიხები გადამეტებულ პატივისცემას ამჟღავნებდნენ ტრადიციების მიმართ. ინგლისელი რეზიდენტი *ჯონ ბელი,* რომელიც სამი წელი ცხოვრობდა ჩერქეზებსა და უბიხებს შორის, წერდა: „საზოგადოებრივი აზრი ყალიბდება ტრადიციებიდან გამომდინარე – აი, რა წარმოადგენს უზენაეს კანონს ამ ქვეყანაში“.

უბიხთა საზოგადოებაში მნიშვნელოვანი მმართველობითი ფუნქცია გააჩნდა *საერთო კრებას,* რომელსაც *ჰასა* ეწოდებოდა. *ჰასა* მნიშვნელოვან საჭირბოროტო საკითხებს წყვეტდა. XIX საუკუნის შუა ხანებისთვის მისი მთავარი დანიშნულება იყო ერთიანი, ორგანიზებული შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა დამპყრობელი რუსეთის იმპერიისათვის. საერთო კრებაში მამრობითი სქესის ყველა წევრი მონაწილეობდა; ასაკის და გამოცდილების მიუხედავად, ყველას შეეძლო აზრი გამხატვა. XIX საუკუნის დასაწყისისათვის უბიხების, ჩერქეზების და ადიღეელების პოლიტიკური წყობის მთავარი პრობლემა აღმასრულებელი ხელისუფლების უქონლობა გახლდათ; ეს კი მონათესავე ხალხებს შორის კონსოლიდაციას ართულებდა და ერთიანი წინააღმდეგობის გასაწევას ხელი ეშლებოდა. 1830 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ რაც მეფის რუსეთმა აქტიურად დაიწყო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის დაპყრობა, ადგილობრივმა ხალხებმა გააცნობიერეს გაერთიანების აუცილებლობა და შესაბამისი ნაბიჯებიც გადადგეს. 1835 წელს მიღებული იქნა დეკლარაცია ჩერქეზეთის თავისუფლების შესახებ, მასში დასტურდებოდა ფაქტი, რომ ჩერქეზები და უბიხები არ იყვნენ რუსების ქვეშევრდომები და არც არასდროს გახდებოდნენ.

მართალია **უბიხები მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდნენ, მაგრამ *მათ მთავარ საქმიანობას მაინც თარეშები წარმოადგენდა.*** უბიხებს თარეშები ფრიად დახვეწილი ჰქონდათ, კავკასიელებს შორის ყველაზე მამაცი მეომრები იყვნენ და ისინი განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ლაშქრობისადმი სიყვარულით. აფხაზ ეთნოგრაფ, *სოლომონ ზვანბას* აღნიშნული აქვს, რომ „უბიხები თარეშობენ არა იმიტომ, რომ მათ აკლიათ არსებობისათვის აუცილებელი საშუალებები, არამედ იმიტომ, რომ მათ უყვართ თავგადასავლები და ძარცვა“. უბიხთა მთავარი სამიზნე ძირითადად აფხაზეთის ტერიტორია იყო. ისინი მარბიელ თარეშებს ზედმიწევნით ორგანიზებულად გეგმავდნენ და ასრულებდნენ. ყოველი ლაშქრობის წინ წინასწარ გადიოდნენ წვრთნას, მეთაურს ირჩევდნენ არა წარმომავლობის, არამედ სიმამაცისა და დამსახურების ნიშნით. მეთაური წინდაწინ ნიშნავდა საბოლოო შეკრების ადგილსა და დროს, ასევე მკაცრად იყო განსაზღვრული ლაშქრობის დროს მებრძოლს რა ტანისამოსი უნდა ჩაეცვა და რა სახისა და რაოდენობის საგზალი უნდა წაეღო. ყველა მებრძოლისათვის სავალდებულო იყო ერთი წყვილი თხილამურის ქონა, რადგან ძალიან ხშირად თოვლიან მთებზე უხდებოდათ გადავლა. საბოლოო შეკრების შემდეგ, მეთაური პირადად ამოწმებდა ყველა მოლაშქრის აღჭურვილობას და საკვებს; თუ აღმოჩნდებოდა, რომ რომელიმე მებრძოლი სათანადოდ არ იყო აღჭურვილი, მეთაური მას სამარცხვინოდ აგდებდა ჯგუფიდან. მოლაშქრეები, აფხაზეთში გადასვლის შემდეგ, ვიწრო ბილიკებით

სარგებლობდნენ და სოფლებს უჩუმრად ესხმოდნენ თავს. ისინი თავდაპირველად მთელ სოფელს აქცევდნენ ალყაში და შემდეგ იწყებდნენ ძარცვას, როგორც წესი სახლებში 4 კაციანი ჯგუფებით შედიოდნენ და ყველაფერი მიჰქონდათ, რაც ხელში მოხვდებოდათ, წინააღმდეგობის გამწევთ ადგილზე კლავდნენ. მოთარეშეებს ნივთებთან ერთად ხშირად ტყვეებიც მიჰყავდათ თან. ძარცვა დაახლოებით ერთ საათს გრძელდებოდა, შემდეგ კი, მეთაურის ნიშანზე, ისევე ორგანიზებულად იხევდნენ უკან. ძარცვა იმდენად სწრაფად მთავრდებოდა, რომ აფხაზები სათანადოდ მომზადებას და ჩაცმას ვერ ახერხებდნენ, ამიტომ შორ მანძილზე მთებში ვეღარ დევნიდნენ და უბიხებისათვის თარეში წარმატებით სრულდებოდა. მოლაშქრეები ზოგჯერ წარუმატებლობასაც განიცდიდნენ. ხშირად როდესაც უბიხები მთებზე ბილიკებით გადმოდიოდნენ, აფხაზი მწყემსები ამჩნევდნენ მომავალ მოთარეშეებს და წინასწარ აფრთხილებდნენ სოფლებს, ასეთ შემთხვევაში აფხაზები ასწრებდნენ მეზობელი სოფლებიდან დამხმარე ძალების მოხმობას და უსაფრდებოდნენ უბიხებს. სოფლის დამცველები ორ ნაწილად იყოფოდნენ, ერთნი უკან მომავალ გზაზე იკავებდნენ პოზიციებს, მეორენი კი წინასწარ უსაფრდებოდნენ სოფელში, მას შემდეგ რაც მოლაშქრეები აღმოაჩენდენენ, რომ სოფელი გაფრთხილებული იყო უკან იხევდნენ. აქ კი ჩასაფრებული მებრძოლების ალყაში ექცეოდნენ. *ს. ზვანბას მიხედვით*, 1824 წლამდე უბიხები წელიწადის ყველა დროს აწყობდნენ მარბიელ ლაშქრობებს, თუმცა მას შემდეგ, რაც **1825 წელს აფხაზებმა ერთ-ერთი ასეთი ჩასაფრების დროს უბიხების მთელი ლაშქარი, 1000 კაცი მთლიანად გაანადგურეს,** ამ დროიდან მოყოლებული უბიხები მხოლოდ ზამთრობითღა ბედავდნენ თარეშების მოწყობას. წარმატებული ლაშქრობიდან დაბრუნებული უბიხები ნადავლს ერთად, თანაბრად ინაწილებდნენ, დაღუპული მეომრის ოჯახს კი ორმაგს აძლევდნენ. აფხაზეთს გარდა უბიხები თარეშობდნენ მთავარი კავკასიონის ქედის ჩრდილოეთითაც; ისინი აქ ძირითადად მახოშეველებსა და ზემო აბაძეხებს ძარცვავდნენ. უბიხთა შორის მძარცველების განსაკუთრებული ჯგუფები არსებობდა, რომლებსაც *უნარუ*ს („სახლების დამაქცევარნი“) უწოდებდნენ. ღამით აულში შეჭრილი *უნარუს* 5-6 კაციანი პარტია მორით სახლს კარებს ჩამოგლიჯავდა, მძინარეთა ნაწილს ყელს ჭრიდა, ნაწილი ტყვედ მიჰყავდა, მიჰქონდათ რისი წაღებაც შეიძლებოდა. მანამ, სანამ დანარჩენი მეზობლები გაიღვიძებდნენ, *უნარუ* უკვე სამშვიდობოს იყო გასული.

უბიხები 1830 წლიდან მოყოლებული გამუდმებით იგერიებდნენ რუსეთის იმპერიის შეტევებს, მაგრამ, მიუხედავად ასეთი სიმამაცისა და გამძლეობისა, საბოლოოდ ცარიზმმა მაინც მოახერხა მათი დაპყრობა. თავად რუსი გენერლები ამბობდნენ, რომ უბიხები საუკეთესოები იყვნენ ბრძოლის ველზე, ისინი პირველები ერთვებოდნენ ბრძოლაში და უკანასკნელები ტოვებდნენ ბრძოლის ველს. 1864 წელს, სოჭის აღების შემდეგ, დამთავრდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის დაპყრობა. მეფის მთავრობამ უბიხებს ულტიმატუმი წაუყენა, ან ისინი უნდა დათანხმებულიყვნენ ოსმალეთის სულთნის წინადადებას და გადასახლებულიყვნენ ოსმალეთში, ან რუსეთის ხელისუფლება თავად გადაასახლებდა *ყუბანის* მიმდებარე ტერიტორიაზე. რუსეთის იმპერიაში დარჩენაზე მხოლოდ სამოციოდე ოჯახი დათანხმდა, დანარჩენები კი ოსმალეთში გაასახლეს. გადასახლება ძალიან არაორგანიზებულად და სწრაფად მიმდინარეობდა, რასაც თან დიდი მსხვერპლი ახლდა.

თურქეთში გადასახლებული უბიხები ჩერქეზებთან და ადიღეელებთან ერთად დასახლებას ცდილობდნენ. მათი ძირითადი ნაწილი საბოლოოდ ანატოლიაში, მანისას რაიონში, იზმითისა და ბალიქესირის ვილაიეთებში დასახლდა. ახალ ადგილზე დამკვიდრებულმა უბიხებმა, თავიანთ სოფლებს სახელები მათი დამაარსებლების მიხედვით დაარქვეს.

უბიხებმა ისლამი გვიან მიიღეს. ისევე როგორც სხვა აფხაზურ-ადიღეური ტომები, **უბიხებიც ბოლო დრომდე *წმინდა ხეებსა* და *კორომებს* ეთაყვანებოდნენ.**

ყველაზე გააფთრებით რუსეთის ჯარს ასეთი წმინდა ადგილების ახლოს ებრძოდნენ. სალოცავ ხეებთან უბიხები არა მხოლოდ ლოცულობდნენ და წარმართულ წეს-ჩვეულებებს ასრულებდნენ, არამედ სახალხო ყრილობებსაც აწყობდნენ.

უბიხების მწარე ბედით მოგვიანებით ძალიან ბევრი მკვლევარი და მეცნიერი დაინტერესდა. მათი ენისა და კულტურის მიმართ ინტერესი განსაკუთრებით XX საუკუნეში გაძლიერდა. ამ საქმეში არაერთი მეცნიერი მონაწილეობდა, თუმცა განსაკუთრებული წვლილი მაინც ფრანგ მეცნიერს *ჟორჟ დიუმეზილს* მიუძღვის. დროთა განმავლობაში უბიხებმა ასიმილირდნენ და გაქრნენ. უკანასკნელი ადამიანი, რომელიც უბიხურ ენაზე ლაპარაკობდა, იყო *ტევფიკ ესენჩი* – ის 1992 წელ გარდაიცვალა.

III. ნახური მოდგმის ხალხები

III. 1. ინგუშები

ინგუშების თვითსახელწოდებაა **ღალღაი**. ცხოვრობენ რუსეთის ფედერაციაში. ინგუშეთი რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთი სუბიექტია. 1989 წლის მონაცემებით, ინგუშების რაოდენობა 215 ათასი იყო, მათ შორის, ინგუშეთში – 163, 8 ათასი კაცი, ჩრდილოეთ ოსეთში – 32,8 ათასი კაცი. მეტ-ნაკლებად მცირე ჯგუფებად მკვიდრობენ ყაზახეთში (20 ათასი კაცი), შუა აზიასა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში. 1989 წლისათვის ინგუშების საერთო რაოდენობას 237 ათას კაცს ანგარიშობდნენ. უკანასკნელი აღწერით (2002 წელს) რუსეთში მცხოვრები ინგუშების რაოდენობა 412 ათას კაცს შეადგენს.

ინგუშები ჩაჩნების მონათესავენი არიან. ინგუშური და ჩაჩნური ენები კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ ჯგუფში შედის. ინგუშების თვითსახელწოდება მათი ერთ-ერთი ლოკალური ტერიტორიული ჯგუფის სახელიდან – *ღალღებიდან* მომდინარეობს, რომლებსაც სხვანაირად *ხამხელებსაც* უწოდებდნენ. ლეგენდის თანახმად, ინგუშების (ღალღაელების) წინაპარს ერქვა *ღა,* რომელსაც ორი შვილი – *ღალღაი* და *ღაბერტე* ჰყავდა. გარდა *ღალღებისა* (*ხამხელებისა*) ინგუშების ლოკალური (ტერიტორიული) ჯგუფები იყო აგრეთვე: *ჯერახელები (ჯარიახელები), მეცხალელები* (იწოდებოდნენ *ქისტებადაც), ცორიელები, გალაშელები, ნაზრანელები.* ქართული საისტორიო წყაროებით, ინგუშები *ღლიღვებად* იწოდებოდნენ. მათ მეზობელი ქართველი მთიელები *ქისტებადაც* მოიხსენიებდნენ, თუმცა ეს ეთნონიმი ჩაჩნებსაც აღნიშნავდა. რუსულ წყაროებში XVI საუკუნეში ლარსის მიდამოებში მოხსენიებულნი არიან *კალკანელები,* რომლებიც, როგორც სამართლიანად ფიქრობენ მეცნიერები, ღალღების რუსული ვარიანტია. რაც შეეხება ეთნონიმს *ინგუში,* ის წყაროებში XVIII საუკუნის დასაწყისში გაჩნდა და მომდინარეობს სოფელ *ონგუშტის (ანგუშტის)* სახელწოდებიდან, რომელიც XVII საუკუნის ბოლოსათვის იხსენიება, როგორც დიდი დასახლება. ეს სოფელი *ტარსკის* ველზე ჩრდილოეთ ოსეთის პრიგოროდნის რაიონში მდებარეობდა. რუსებმა ინგუშები სწორედ ამ სოფლის – *ონგუშტის* საშუალებით გაიცნეს და ხალხსაც მთლიანად სოფლის სახელიდან გამომდინარე *ინგუშები* დაარქვეს, რაც შემდეგ საყოველთაოდ გავრცელდა.

ინგუშები მონათესავე *ჩაჩნებთან* ერთად ცენტრალური კავკასიის ოდინდელი მკვიდრნი არიან. *სტრაბონის* „გეოგრაფიაში“ მოხსენებულია ეთნონიმი *გარგარეი.* მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ის მომდინარეობს ნახური სიტყვისაგან „გარგარა“ (*ერგა*), რაც ახლობელს, ნათესავს ნიშნავს. სტრაბონთან *გარგარები* ლოკალიზებულნი არიან ცენტრალური კავკასიის მცირე მთსწინეთსა და ბარში. ჭეშმარიტებასთან ახლოს უნდა იყო მოსაზრება, რომ სტრაბონისეული *გარგარები* დღევანდელი ინგუშების წინაპრები არიან. არც მათი კავკასიის მთისწინეთსა და ბარში მკვიდრობაა გასაკვირი, რადგან ჩრდილოეთ კავკასიაში სხვადასხვა ირანული, თურქული და მონღოლური მომთაბარე ტომების თარეში ადგილობრივი კავკასიელი ეთნოსების მთებში შესახლებას იწვევდა. **ინგუშური (და ჩაჩნური) გადმოცემებით, მათი წინაპრები ებრძოდნენ იურტებში მცხოვრებ მოსულთა დიდ ურდოებს.** საისტორიო წყაროებით გარგარები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ისტორიულ ალბანეთში (დღევანდელი აზერბაიჯანი) მკვიდრი ერთ-ერთი ტომი იყო. ჩვენ არა გვაქვს არავითარი საბუთი სამხრეთკავკასიელი და ჩრდილოეთკავკასიელი გარგარების ერთი ეთნოსისადმი კუთვნილების შესახებ ვისაუბროთ. საერთოდ, ისტორიაში არაერთი ფაქტია დადასტურებული ერთი ეთნონიმით სხვადასხვა ხალხების სახელდებისა.

ინგუშების მთიდან ბარში მიგრაცია XVI-XVII საუკუნეებში დაიწყო. მათი მიგრაციის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება *ტარსკის ველი* და სხვა მიწები იყო

მდ. *კამბელევკის* ხეობაში. როგორც ჩანს, ინგუშების განსახლების არეალი, ეთნიკური ტერიტორია მუდმივი არ იყო და ხშირად იცვლებოდა. დღევანდელი განსახლების არეალი კი XVII საუკუნიდან ჩამოყალიბდა. XIX საუკუნის 20-იანი წლებისათვის ინგუშები ცხოვრობდნენ მდ. *არმხის, კამბელევკის, სუნჯის* (შენაკადებით: *გერგი, ნაზრანი, ენდერიპსი*) მთიან, მთისწინა და ბარის რაიონებში. მკვიდრობდნენ *ასის* ხეობაშიც. ინგუშებს XVI-XVIII საუკუნეებში უცხოვრიათ *ლარსის* მიდამოებში. XVIII საუკუნის 20-იან წლებამდე ვაინახური მოსახლეობა აქ ოსურმა მოსახლეობამ შეცვალა. კლაპროტის ცნობით, XVIII საუკუნეში ოსები, რომლებსაც ეჭირათ *ლარსი* და მის მახლობლად მდებარე *ჩმი* და *ბალთა*, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მეზობელ ინგუშებს მიწის სარგებლობისათვის გადასახადს უხდიდნენ. 1927 წელს *ლ. პ. სემიონოვის* მიერ ჩაწერილი გადმოცემების მიხედვით, წარსულში ინგუშებს უცხოვრიათ *ქურთათისა* და *დარგვის* ხეობებშიც, საიდანაც ყაბარდოელთა და ოსთა ზეწოლის გამო, აყრილან და *სანიბის* ხეობაში დასახლებულან, შემდეგ კი – *ჩმის* გავლით, თერგის მარჯვენა ნაპირზე. იგივე შეიძლება ითქვას მდ. *არმხის* ხეობაზე, სადაც XVIII საუკუნეში ოსები დასახლდნენ.

ინგუში ხალხის ყველაზე აღმოსავლეთი ეთნიკური ტერიტორია – *ღალღაი* ასის ხეობაში იყო. XIX საუკუნის 20-30-იან წლების მონაცემებით ღალღელებს ეჭირათ მდ. *ასის* ორივე მხარე და მისი შენაკადის მდ. *ტობაჩოჩის* ხეობა. იმავე წყაროს ცნობით ღალღაიში 55 სოფელი ყოფილა (213 კომლი და 1065 მცხოვრები). ყველზე დიდ ღალღურ სოფელ *ხამხაში* სულ 10 კომლი მკვიდრობდა. ზემოთ მოხსენიებული სოფლის *ინგუშტის (ანგუშტის)* ფუძემდებელი, ა. *გენკოს* მიერ ჩაწერილი გადმოცემებით, *ზაუროვების* გვარი იყო. ზაუროვების წინაპარს თანამედროვე ქალაქ *ვლადიკავკაზის* ადგილას დაუარსებია აგრეთვე სოფ. *ზაური (ზაუროვო, ზაურეგი). ზაურეგიც* და *ინგუშტიც* თავდაპირველად *ჯარიახის* ხეობიდან გადმოსახლებულ ინგუშებს დაუფუძნებიათ, რომლებსაც შემდეგ ღალღელთა გვარებიც შეერთებიათ. ამავე დროს, ინგუშტში (დღევანდელი კაზაკთა სტანიცა *ტარსკოე*) სოფელ *მეშხიდან* მიგრირებული *ზურაბოვებიც* ცხოვრობდნენ, აგრეთვე – სოფელ *მახალიდან* მოსულები (მდებარეობდა ჯარიახის ხეობის სოფ. *ლეჟგის* მახლობლად). *ღალღაელთა* და *ვაპიელთა (პაფიელთა)* ტარსკის დაბლობში მიგრაციის ფაქტები დადასტურებული აქვს აგრეთვე გერმანელ *გიულდენშტედტს. შტედერის* მონაცემებით ტარსკის ველზე 300-მდე ინგუშური გვარი იყო განსახლებული. ინგუშების ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლების მიზეზი ზოგჯერ ყაბარდოელთა თავდასხმები იყო. ამ შევიწროვების შესახებ 1773 წელს წერდა ა. *ლებედევი.* ყაბარდოელები ამტკიცებდნენ, რომ ძველთაგანვე ინგუშები მათი ქვეშევრდომები იყვნენ და მათ გამოსაღებს უხდიდნენ. ინგუში უხუცესები, თავის მხრივ, აღნიშნავდნენ, რომ მართალია, დროებით უხდიდნენ ყაბარდოელებს გამოსაღებს ერთ კომლზე ერთ ცხვარს, ვისაც ცხვარი არ ჰყავდა – ერთ რკინის ცელს, მაგრამ ისინი მათ ქვეშევრდომებად თავს არასოდეს არ ცნობდნენ. ამ შევიწროვების შედეგად მოხდა მცირე ინგუშეთიდან დიდ ინგუშეთში მოსახლეობის გადასახლება. კლაპროტის სიტყვით, მცირე ინგუშეთის მოსახლეობას მუდმივი კავშირი ჰქონია მთასთან, საიდანაც მათი წინაპრები დაახლ. 40 წლის წინ გადმოსახლებულან. XIX საუკუნის დასაწყისში მცირე ინგუშეთში 35 სოფელი ყოფილა და ამ სოფელთა სახელწოდებანი მათ ძირითადად მთიდან ჰქონიათ გადმოტანილი.

ტარსკის ველზე ინგუშების დასახლებამ XIX საუკუნის 50-იან წლების ბოლომდე იარსება, როდესაც მისი მცხოვრებნი კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ სხვა მხარეს გადაასახლეს, ამ ადგილებში კი კაზაკთა სტანიცა *ტარსკაია* გაჩნდა.

ინგუშების მიგრაცია არა მარტო ტარსკის ველზე, არამედ მდ. *სუნჯის* რაიონშიც მიმდინარეობდა. აქ იყო რამდენიმე ინგუშურ-ყარაბულახური სოფელი.

დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილში თუ შერეული ინგუშურ-ყარაბულახური სოფლები იყო, დასავლეთ ნაწილში – ინგუშურ-ოსური. ამ უკანასკნელ სოფელთა რიცხვს *ზაუროვოც* მიეკუთვნებოდა, რომელიც კარტოგრაფიული მასალებით უკვე XVIII საუკუნის 60-იან წლებში არსებობდა, რომელზედაც *კლაპროტი* როგორც ინგუშურ სოფელზე წერდა და რომელშიც გამოქცეული ოსური გვარებიც იყვნენ შერეული. XVIII საუკუნის 80-იან წლებში სოფ. *ზაუროვოში* 30 კომლი ბინადრობდა. ამ ადგილზე შემდეგ რუსული ციხე-სიმაგრე *ვლადიკავკაზი* გაჩნდა, რომელიც დღეს ოსეთის დედაქალაქია. ინგუშური იყო ვლადიკავკაზის პრიგოროდნის რაიონიც.

ინგუშეთი რუსეთის შემადგენლობაში 1810 წელს შევიდა. ხელშეკრულება, რომელსაც ინგუშების მხრიდან ხელს შვიდი გავლენიანი გვარის წარმომადგენელი აწერდა, საშუალებას აძლევდა მათ გადასახლებულიყვნენ ბარში, რუსეთის ქვეშევრდომობაში გადასვლის პირობით. 1810 წლის შემდეგ ნაზრანის რაიონში და უფრო ჩრდილოეთითაც წარმოიქმნა მრავალრიცხოვანი ინგუშური დასახლებები. მიგრანტები თავდაპირველად მიწურებში ცხოვრობდნენ. ინგუშების მნიშვნელოვანი რაოდენობა მკვიდრობდა სოფელ *ტიმურსკოეში*, რომელიც ვლადიკავკაზიდან ორ ვერსში, თერგის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. 1816 წლისათვის ნაზრანსა და ნაზრანის ირგვლივ 93 პატარა ინგუშური სოფელი იყო, რომლებშიც 2.410 კომლი და 12.950 სული ცხოვრობდა. შემდგომში ნაზრანი ინგუშეთის ერთ-ერთ დიდ ცენტრად იქცა. XIX საუკუნის II ნახევარში ინგუშური მოსახლეობის უმეტესობა უკვე დაბლობში მკვიდრობდა.

1924 წელს შეიქმნა ინგუშეთის ავტონომიური ოლქი, რომლის ადმინისტრაციული ცენტრიც ქალაქი ვლადიკავკაზი იყო. 1934 წელს ინგუშეთი ჩაჩნეთის ავტონომიურ ოლქს შეურთეს. 1936 წელს ავტონომიური ოლქი გარდაიქმნა ავტონომიურ რესპუბლიკად. 1944 წელს ინგუშები, ჩაჩნებთან ერთად, დეპორტირებული იქნენ შუა აზიასა და ყაზახეთში; რესპუბლიკა გაუქმდა. ტოტალური რეჟიმის პირობებში ინგუშთა ეთნოსი გაქრობის წინაშე იდგა. 1957 წელს ჩაჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკა აღადგინეს, ხალხი დაბრუნდა თავის მიწა-წყალზე. მიუხედავად ამისა, **პროგოროდნის რაიონი, რომელიც დაბლობის ინგუშეთის ნახევარს შეადგენდა, საბჭოთა იმპერიამ ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკას დაუტოვა, რაც ინგუშებსა და ოსებს შორის კონფლიქტის მიზეზად იქცა.** ოსებმა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ინგუშთა მიწები და სახლები მიითვისეს. 1992 წელს, რუსეთის შემადგენლობაში, დამოუკიდებელი ინგუშეთის რესპუბლიკა ჩამოყალიბდა. ჩრდილოეთ ოსეთთან შეიარაღებული კონფლიქტისა და ჩაჩნეთში ომის გამო დაახლოებით 60 ათასი ინგუში ჩრდილოეთ ოსეთიდან შესახლდა ინგუშეთში.

XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ინგუშების ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მესაქონლეობა და მიწათმოქმედება იყო. მთაში წამყვანი მესაქონლეობა იყო, დაბლობში – მიწათმოქმედება. მოშენებული ჰყავდათ მთის პირობებთან შეგუებული ადგილობრივი ჯიშის საქონელი. ინგუშებში საქონელი ფულის ექვივალენტი იყო. უფრო მეტად ორიენტირებულნი იყვნენ მეცხვარეობაზე. მოშენებული ჰყავდათ როგორც თუშური, ისე ყარაჩაული ჯიშის ცხვარი. ალპური საძოვრები ცხვრის დიდი ფარების შენახვის საშუალებას იძლეოდა.

ალპური მეურნეობის აუცილებელი კომპონენტი იყო მიწათმოქმედება, რომელიც თავისი ხვედრითი წილით უმნიშვნელო იყო, მაგრამ მთის პირობებში – უაღრესად შრომატევადი. მთის მიწათმოქმედების განვითარებულობაზე თითქმის ყველგან შემორჩენილი ხელოვნური ტერასებიც მიუთითებენ. ტერასული მიწათმოქმედება განსაკუთრებით XIII-XIV საუკუნეებში განვითარდა, როდესაც ბარის მიწები არ მუშავდებოდა, იმის გამო, რომ ის მომთაბარეებს ჰქონდათ დაკავებული. XVIII-XIX საუკუნეებში მთიელთა ინტენსიური მიგრაციისა და ბარიდან იაფი პურის შემოტანის გამო, მთის მიწათმოქმედებამ ფაქტობრივად არსებობა შეწყვიტა. მთისგან განსხვავებით, სადაც საძოვრებისა და ტყეების გამოკლებით, მიწა კერძო საკუთრებას წარმოადგენდა, ბარში მიწის სათემო საკუთრება არსებობდა. აქ

სახნავი მიწის გადანაწილება 3-6 წელიწადში ერთხელ ხდებოდა. მთაში მიწას ძირითადად ნაცვალგარდად ამუშავებდნენ. მთაში წამყვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურა ქერი და ხორბალი იყო, ბარში – სიმინდი.

ძველი ინგუშური სოფლები მთის ციცაბო ფერდობებზე და ჩაკეტილ ხეობებში იყო განლაგებული. ისინი ერთმანეთთან და გარე სამყაროსთან ვიწრო ბილიკებით იყვნენ დაკავშირებულნი. სოფელი ჩვეულებრივ 6-10 კომლისაგან შედგებოდა და ის ძირითადად ერთი პატრონიმიით იყო დასახლებული. ზოგიერთი გვარი ერთმანეთისაგან ახლოს მდებარე რამდენიმე სოფელში მკვიდრობდა. თითქმის ყველა სოფელში იყო თავდასაცავი, საცხოვრებელი და სათვალთვალო კოშკები. საცხოვრებლის გავრცელებული ტიპი ქვის ორსართულიანი სახლი იყო. ქვედა სართული, ჩვეულებრივ, საქონლის სადგომს წარმოადგენდა, ზედა კი – საცხოვრებელს. სასტუმრო სახლი საცხოვრებელი სახლისაგან მოშორებით იდგა. დიდი რაოდენობით გვხვდებოდა სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკებიც, რომლებშიც გაუყოფელი დიდი ოჯახები ცხოვრობდნენ. ძალიან ხშირად საცხოვრებელი და საბრძოლო კოშკები ერთმანეთის სიახლოვეს იყო. მათ მაღალი ქვის ღობე ჰქონდათ შემოვლებული. ყველა ინგუშური საბრძოლო კოშკი არქიტექტურის ღირშესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს. თუ საცხოვრებელი კოშკების სიმაღლე 10 მეტრს აღწევდა, ნახევრადსაბრძოლო კოშკების სიმაღლე 12-დან 16 მეტრამდე მერყეობდა. კლასიკური საბრძოლო კოშკები, რომლებსაც პირამიდული გადახურვა ჰქონდათ, 5-6 სართულიანი იყო და მათი სიმაღლე 25-27 მეტრს აჭარბებდა. არა მარტო ინგუშური, არამედ ჩრდილოეთკავკასიელი სხვა ხალხების გადმოცემებში გვხვდება სახელგანთქმული ინგუში ხელოსნების, ოსტატების სახელები. ასე რომ, ინგუშები კოშკებსა და სხვა ნაგებობებს არა მხოლოდ ინგუშეთში აშენებდნენ, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. გადმოცემით ინგუშებს ბევრი კოშკი აქვთ აშენებული ოსეთში. კოშკების მშენებლობას ხშირად მთელი გვარები მისდევდნენ (მაგალითად, მთიანი ინგუშეთის სოფელ *ბერხენის* მკვიდრი *ბერხენოვების გვარი,* ჯარიეხელი *ცუროვების* გვარი და სხვ.), რომლებიც ქვითხუროს ხელოვნებას თაობიდან თაობას გადასცემდნენ.

დაბლობში გადასახლებამდე ინგუშების საკვებში რძისა და ხორცის კერძები ჭარბობდა. წარსულში მთებში პურს ძირითადად ქერის ფქვილისაგან აცხობდნენ, ბარში კი – სიმინდის ფქვილისაგან. ისლამის მიღებამდე გავრცელებული სასმელი იყო ლუდი, რომელსაც ინგუშები სპილენძის დიდ ქვაბებში ხარშავდნენ.

XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ინგუშების ტანსაცმელი თითქმის ისეთივე იყო, როგორც ჩრდილოეთკავკასიელი მეზობელი ხალხებისა. მამაკაცის კოსტიუმის სპეციფიური ელემენტი იყო თავსაბურავი – მაღალი ზედა ნაწილისაკენ გაფართოებული ფაფახი. ფაფახის ამ ტიპით ინგუშები კავკასიის სხვა მთიელებისაგან გამოირჩეოდნენ.

XVII საუკუნის რუსული საისტორიო დოკუმენტებითა და ინგუშთა გადმოცემებით, ინგუში ქალების თავსაბურავი რქის მოყვანილობის იყო. ასეთი სახის თავსაბურავი სოფლების *ერზის, ეგიკალის, გორაკის, ფალხანის* XV-XVII საუკუნეების აკლდამებში (მიწისზედა დასაკრძალავ ნაგებობებშიცაა) დაფიქსირებული. ასეთი ქალის ქუდი XVIII საუკუნის 70-იან წლებში გერმანელ მოგზაურსა და მეცნიერს *გიულდენშტედტსაც* უნახავს.

შუა საუკუნეების ინგუშეთში განვითარებული იყო საიუველირო საქმიანობა. საიუველირო ცენტრები იყო *ეგიკალი, ცორი, ერზი, ევლოი* და სხვ. ინგუშები იარაღის შესანიშნავი მკეთებლებიც იყვნენ (ფარი და მახვილი, საბრძოლო დანა, ხანჯალი, ხის მშვილდ-ისარი). მჭედლები ამზადებდნენ ცხვრის საპარს მაკრატლებს, დანებს, ქვაბებს, ნამგლებს და სხვ. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა აგრეთვე ხის, ქვის, ტყავის დამუშავებას. XVIII საუკუნეში ინგუშები ტყავგადაკრულ ხის მრგვალ ფარებს ატარებდნენ. XVII საუკუნე მშვილდ-ისრის ცეცხლსასროლი იარაღით გამოდევნის პერიოდი იყო. ერთ-ერთი ჩვენამდე შემონახული

იმდროინდელი ისრის სიგრძე 1,3 მ-ია. მართალია, XVIII საუკუნეში ინგუშეთში (და, საერთოდ, ჩრდილოეთ კავკასიაში) მამაკაცების უმეტესობას უკვე თოფი ჰქონდა, მაგრამ ისრები ისევ ინტენსიურად მოიხმარებოდა. XVIII საუკუნეში ატარებდნენ პირდაპირ და მოღუნულტარიან ხანჯლებს. XVII საუკუნეში კარგად ცნობილი შუბი და ლახვარი თანდათან ხმარებიდან გამოდიოდა. ინგუშურ სამარეში აღმოჩენილი იქნა ხის შალითაში მოთავსებული საბრძოლო ცული. ინგუშები შურდულის მსგავს ქვებსაც იყენებდნენ, რომელთა დიამეტრი 4 სმ. იყო.

ინგუშეთის მოსახლეობა სოციალურად დიფერენცირებული არ ყოფილა. მათ არც ხანები, ბეგები და არც თავადები არ ჰყოლიათ. თუმცა სოციალური დიფერენციაციის ერთგვარი ტენდენციები კი იყო, მაგრამ ასეთ ტენდენციებს თემი ძირშივე სპობდა. ინგუშეთში ქონებრივი დიფერენციაცია და პატრიარქალური მონობა არსებობდა. პატრიარქალურმა მონობამ XIX საუკუნემდე მოაღწია. ხშირად ძლიერი გვარები (თაიფები. ტერმინი „თაიფი“ ინგუშურ და ჩაჩნურ ენებში ყუმუხური ენიდანაა შესული) შედარებით სუსტ გვარებს იქვემდებარებდნენ, ზოგჯერ ითვისებდნენ მათ საქონელს, მიწის ნაკვეთს და სხვ. **ინგუშეთის მთის საზოგადოების მთავარ ფიგურას თავისუფალი მეთემე წარმოადგენდა.** ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი ორგანო **სასოფლო თემი** იყო.

XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის საოჯახო ურთიერთობებში შემორჩენილი იყო დიდი ოჯახი, პატრონიმია, ლევირატი, მრავალცოლიანობა. დიდი ოჯახები უფრო მეტი რაოდენობით მთაში არსებობდა. XIX საუკუნის 80-იანი წლების ერთ-ერთი მოგზაურის ჩანაწერებში აღნიშნულია, რომ ინგუშეთში იშვიათი არაა დიდი ოჯახი, რომელშიც ათამდე მამაკაცია. საერთოდ, ინგუშური დიდი ოჯახი 20-40 სულისგან შედგებოდა. ჩვეულებრივ, როგორც კავკასიის სხვა ხალხებში, ინგუშებშიც ოჯახის მეთაურს ასაკით უფროსი მამაკაცი წარმოადგენდა. პატრონიმიის წევრები ერთმანეთს ეხმარებოდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს, ქორწილისა და დაკრძალვისას. ნათესავებს შორის დიდი პატივისცემით სარგებლობდა ასაკით უფროსი (უხუცესი), რომლის მონაწილეობის გარეშე არც ერთი მნიშვნელოვანი საქმე არ წყდებოდა (მაგალითად, ქორწინების, მესისხლეთა შერიგების საქმეები). მოგვიანებით ოჯახების რაოდენობის ზრდამ პატრონიმიების რღვევა და ახალი პატრონიმიების წარმოქმნა გამოიწვია. ასე დამთავრდა ინგუშური გვარსახელების ფორმირების პროცესი, რომელიც რამდენიმე მონათესავე პატრონიმიას აერთიანებს.

ინგუშებში ქორწინება ეგზოგამიური იყო, რაც მათი ყოფისათვის დღესაც დამახასიათებელია. სისხლიერ და არასისხლიერ ნათესავებს შორის საქორწინო კავშირები მერვე და მეთორმეტე თაობამდეც იკრძალებოდა. გარდა იმისა, რომ მოგვარეზე ქორწინება აკრძალული იყო, იკრძალებოდა ის დედისა და ბებიის გვარის გოგონაზეც. დასაქორწინებლად საჭირო იყო არა მხოლოდ მამის, არამედ პატრონიმიის უხუცესის თანხმობაც. ხშირი იყო მცირეწლოვანთა დანიშვნის შემთხვევებიც. ქორწინებისას ერთგვარ დაბრკოლებას ურვადი წარმოადგენდა. XIX საუკუნეში ინგუშთა ყოფაში საინტერესო წეს-ჩვეულება დაუფიქსირებიათ. ინგუშს თუ ვაჟი გარდაეცვლებოდა, მასთან მივიდოდა იმავე წელს გარდაცვლილი ქალიშვილის მამა. ეს უკანასკნელი ვაჟის მამას ეუბნებოდა, რომ შენ შვილს იმ ქვეყანაში ცოლი სჭირდება. მე მას ჩემი ქალიშვილის ხელს ვაძლევ. ტრადიციით არ შეიძლებოდა გარდაცვლილი ქალიშვილის მამისათვის უარი ეთქვათ. ამ შემთხვევაშიც გარდაცვლილი ვაჟის მამა, ჩვეულებრივ, ურვადს იხდიდა. ინგუშთა ძველი ადათით, მოღალატე ცოლს ქმარი ცხვირს მოაჭრიდა ან მოაკბეჩდა, შემდეგ კი საჯაროდ გააგდებდა და მისი მშობლებისაგან ყალიმის დაბრუნებას მოითხოვდა; ამასთანავე ჯარიმის სახით მშობლებს 48 ძროხაც უნდა გადაეხადათ (ანალოგიური წეს-ჩვეულება ოსებსა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებშიც არსებობდა). ამ ადათის მნიშვნელობა ზუსტად რომ გავიგოთ, ზედმეტი არ იქნება

აღვნიშნოთ, რომ **კავკასიაში (და მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც) ცხვირი გვარის პატივის სიმბოლოდ მიიჩნეოდა.**

საინტერესოა პირმშოსათვის სახელის დარქმევის წეს-ჩვეულება. პირველი ვაჟისადმი მიძღვნილ ლხინზე სახელს ნათესავი მამაკაცები არქმევდნენ. ისინი კოჭს აგდებდნენ. ვისაც კოჭი ალჩუზე დაუჯდებოდა, სახელსაც ის დაარქმევდა. მუსლიმურ სახელებთან ერთად გავრცელებული იყო ძველი ინგუშური სახელები, რომლებიც ძირითადად ცხოველთა და მცენარეთა სახელწოდებებიდან მომდინარეობდა: *ბორცი* (მგელი), *გამიში* (კამეჩი), *ცოგოლი* (მელა), *ნოჩი* (მუხა) და ა. შ. ხშირად სახელებს რომელიმე გამორჩეული ადამიანის საპატივცემულოდაც არქმევდნენ.

სისხლის აღება მთელი გვარის ვალდებულებას წარმოადგენდა, მაგრამ პირველ რიგში, ის ახლო ნათესავების – პატრონიმიის წევრების საქმე იყო. ხშირად შურისძიება წლობით გრძელდებოდა და ის თაობიდან თაობაზე გადადიოდა. ინგუშეთში სრული სისხლის გადასახადი დაახლოებით 130 ძროხა იყო. ასეთ შემთხვევაში ახლო ნათესავები რვა-რვა ძროხას იხდიდნენ, ყველაზე დაშორებული ნათესავები კი – თითო თხას.

გარდაცვლილის დაკრძალვაში მთელი გვარი მონაწილეობდა. დიდ გვარებს პატრონიმიულ ნაწილებად დაყოფილი ცალკე სასაფლაო ჰქონდათ. წარსულში როდესაც ინგუშები სინკრეტული – ნახევრად წარმართული და ნახევრად ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები იყვნენ, დაკრძალვის ცერემონია თითქმის ისეთივე ჰქონდათ, როგორც, მაგალითად, ქართველ მთიელებს (აწყობდნენ დოღს, ისროდნენ მიზანში, იცოდნენ ქელეხი).

ინგუშური ტრადიციით მოცვალებული მიწისზედა ნაგებობაში ანუ აკლდამაში უნდა დაკრძალულიყო. გადმოცემებით, ინგუშები მიწისზედა აკლდამებს არამარტო ინგუშეთში, არამედ მეზობელ ოსეთშიც აგებდნენ. აქ ასეთი თქმაც ყოფილა: „ადამიანს სიცოცხლეში სჭირდება კოშკი, სიკვდილის შემდეგ კი აკლდამა“. ინგუშები მიწისზედა დასაკრძალავ ნაგებობას *მალხ-კატ*-ს („მზის სამარეს“) უწოდებდნენ. მთის ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში აკლდამაში შეტანილი მიცვალებული მუმიფიცირდებოდა. ინგუშეთში აკლდამები ოთხფერდა სახურავიანი და ფიქალით გადახურული იყო. ერთი შეხედვით, ისინი საბრძოლო გადაკვეთილ კოშკებს წააგავდნენ. ყველა ასეთ აკლდამას ორი ან სამი საძრომი ჰქონდა, რომლიდანაც მიცვალებული შეჰქონდათ. თითოეული აკლდამის შიგნით მოწყობილი იყო ხის ან ქვის ტახტები, რომლებზედაც მიცვალებულს ასვენებდნენ. ინგუშეთში მიწისზედა აკლდამები, ძირითადად, საგვარეულო იყო. ასეთ დასაკრძალავ სახლებში გვამებს, ჩვეულებრივ, ტანსაცმლით და სხვადასხვა საგნებით ათავსებდნენ.

ინგუშთა საზოგადოებრივ ყოფაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სტუმართმოყვარეობა. სტუმრის ეთნიკურობასა და სარწმუნოებას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ოჯახის უფროსი პასუხისმგებელი იყო სტუმრის სიცოცხლეზე. სტუმართმოყვარეობის დამრღვევი მკაცრად გაიკიცხებოდა და თემის მიერ როგორც დანაშაულებრივი აქტი ისე ფასდებოდა. სტუმართმოყვარეობის ტრადიციის დარღვევა ინგუშეთში ფაქტობრივად არ ხდებოდა. სტუმართმოყვარეობის კანონი სისხლის აღების კანონზე მაღლა იდგა. გავრცელებული იყო ძმადგაფიცვა.

ინგუშები სუნიტი მაჰმადიანები არიან. მაგრამ ეს სარწმუნოება მათ ქვეყანაში საკმაოდ გვიან შეიჭრა და საბოლოოდ XIX საუკუნის პირველ ნახევარში განმტკიცდა. ინგუშეთში შემორჩენილია ქრისიტანობის მრავალრიცხოვანი ძეგლები. ინგუშეთის მთებში ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეებში მოსახლეობა ქრისტიანულ რელიგიას აღიარებდა. ის აქ საქართველოდან XII საუკუნში გავრცელდა. შემორჩენილია ტაძრები: *თხაბა-ერდი, ალი-ერდი, თარგიმი* და სხვ. ისლამი ჯერ ბარში და შემდეგ მთაში ჩაჩნეთიდან შევიდა. მისი გავრცელება XVI საუკუნიდან დაიწყო, თუმცა, ის ძალიან ნელა იკიდებდა ფეხს. ისლამი სულ ბოლოს

საქართველოში, ხევის ტერიტორიაზე სოფელ *გველეთში* მცხოვრებმა ინგუშებმა 1861 წელს მიიღეს. შუა საუკუნეებში რწმენა-წარმოდგენები ტოტემიზმის, ანიმიზმის, მაგიის ფორმის იყო. გვხვდებოდა საოჯახო, გვაროვნული და აგრარული კულტები. მთაში სოფლების მახლობლად და ძნელად მისადგომ ადგილებზე მფარველი ღვთაების საპატივცემულოდ ქვის სალოცავები იყო მოწყობილი. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული იყო მოსავლის მფარველის *მიაცელას* კულტი. ინგუშებს სწამდათ, რომ *მიაცელაზე* იყო დამოკიდებული ბავშვების დაბადება, საქონლის გამრავლება. ყოველწლიურად ივნისის ბოლოს *მიაცელას* მსხვერპლს სწირავდნენ (ძირითადად *ჯეირახისა* და *მეცხალის* საზოგადოებები).

ძველი დროიდანვე ინგუშეთი სახელგანთქმული იყო არა მხოლოდ ქვის ნაგებობათა მშენებლობით, არამედ ქვაზე ჩუქურთმის კვეთით. კოშკების კედლებსა და საფლავის ქვებზე ინგუში მეჩუქურთმეები რთულ ცხოველურ და მცენარეულ ორნამენტებს კვეთავდნენ. უძველესი ტრადიციები აქვს ინგუშურ მეხალიჩეობას. ბარში გადასახლების შემდეგ მეხალიჩეობა თანდათან ჩაკვდა.

ინგუშთა მუსიკალურ შემოქმედებას ბევრი რამ საერთო აქვს მეზობელი ხალხების მუსიკალურ შემოქმედებასთან. ყველაზე გავრცელებული მუსიკალური ინსტრუმენტი იყო სამსიმიანი ფანდური (*პანდირ*). ინგუშებში ძალიან პოპულარული იყო ოსური ცეკვის მსგავსი მასობრივი ცეკვები (*სიმდი*). ცეკვები სიმღერების თანხლებით სრულდებოდა. სიმღერებთან ერთად ინგუშურ ფოლკლორში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ნართულ ეპოსს, სხვადასხვა ლეგენდებს, გადმოცემებს, ზღაპრებს და ა. შ.

ინგუშებს საუკუნეების განმავლობაში მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ უშუალო მეზობლებთან: ოსებსა და ქართველ მთიელებთან. ზემოთ ოსების მიერ ინგუშების შევიწროვებასა და ტერიტორიების მითვისებაზეც ვისაუბრეთ. არა ერთი და ორი გვარია ინგუშეთსა და ოსეთში, რომლებსაც საერთო წარმომავლობა აქვთ. ქართულ-ინგუშური გაცხოველებული ურთიერთობის დამადასტურებელია ინგუშეთში ქართული ქრისტიანული ძეგლების არსებობა. საუკუნეების განმავლობაში ინტენსიური მიგრაციული პროცესები მიმდინარეობდა ინგუშეთიდან საქართველოში და პირიქით. ინგუშური წარმომავლობის გვარებიდან *ხამხაძისა* და *ღლიღვაშვილის* დასახელებაც საკმარისია.

III. 2. ჩაჩნები

ჩაჩნების თვითსახელწოდებაა **ნოხჩო, ნოხჩი.** რუსები და სხვა ხალხები მათ *ჩეჩნების* სახელწოდებით იცნობენ. ნოღაელები *შეშენ*-ს უწოდებენ, ოსები – *ცაცაინაგ*-ს, ხუნძები – *ბუტურალ*-ს, დარგუელები – *მიჩიხიჩლანს.* ქართველებისათვის *ჩაჩნები* (ინგუშებთან ერთაად) *ქისტები* იყვნენ. თუმცა ქართული წყაროები მათ სხვა ეთნონიმითაც იცნობენ. XIV საუკუნის ბიბლიის მინაწერზე ქართველ მწერალს ისინი ენდოეთნონიმით – *ნოხჩო* ჰყავს მოხსენიებული. საერთოდ, ესაა საერთოჩაჩნური ეთნონიმის წყაროებში პირველად მოხსენიების შემთხვევა. ეთნონიმის *ნოხჩო* ყველაზე ადრინდელ მოხსენიებად კი მაინც VII საუკუნის ანონიმურ „სომხურ გეოგრაფიაში“ *ნახჩამატიან*-ის ფიქსაციაა მიჩნეული. მკვლევართა აზრით, ეს ტერმინი ორი სიტყვისაგან (*ნახჩო+მატ//მოტენ*) შედგება, რაც ჩაჩნურ ენას ნიშნავს. ქართულ წყაროებში ეთნონიმ *ქისტს დურძუკი* (*დურძუკნი*) უსწრებს, ხოლო დურძუკებით დასახლებულ ქვეყანას *დურძუკეთს* უწოდებდნენ. მაგალითად, *ლეონტი მროველი* (XI ს.-ის ავტორი) მოგვითხრობს, რომ ქართლის მეფე *საურმაგს* ერისთავები აუჯანყდნენ. მან კი მათი შფოთის ჩასახშობად დედის ძმის ქვეყნას – დურძუკეთს მიმართა და დურძუკების საშუალებით ერისთავები დაამარცხა. ამავე დროს, **საურმაგს, იმის გამო, რომ დურძუკეთი გადამეტსახლებული იყო, დურძუკების მნიშვნელოვანი რაოდენობა საქართველოს მთიანეთში – დიდოეთიდან სვანეთამდე – დაუსახლებია**. ზოგიერთი

მათგანი კი სოციალურად დაუწინაურებია, როგორც ლეონტი მროველი გვაუწყებს, „დურძუკნი“ „ნათესავნი კავკასისნი“ „წარჩინებულ ყვნა“. დურძუკეთსა და დურძუკებს „ქართლის ცხოვრების“ სხვა ავტორებიც მოიხსენიებენ. მონღოლ-თათრებთან ბრძოლაში მეფე რუსუდანს სხვა კავკასიელ მთიელებთან ერთად დურძუკნიც გამოუყენებია. „ძურძუკეთსა“ და „ძურძუკებს“ ვახუშტი ბაგრატიონიც არაერთხელ იხსენიებს. ასე რომ, XVIII საუკუნის დასაწყისში ქართველთათვის ის კვლავ ცოცხალი და ცნობილი ეთნონიმი იყო. ვახუშტისათვის ჩაჩნები და მათი მონათესავენი სამი ეთნიკური ერთობის ერთობლიობას წარმოადგენდნენ; ის ძურძუკებთან ერთად *ქისტებსა* და *ღლიღვებსაც* (ინგუშებს) ასახელებს. ამას გარდა, ვახუშტი *ქისტ-ძურძუკებსა* და *ქისტ-ღლიღვებზედაც* საუბრობს. იმავე პერიოდში (XVIII საუკუნის დასაწყისში) ქართველებისათვის ეთნონიმი **ჩაჩანიც** უკვე ცნობილი იყო. *ვახუშტი ბაგრატიონი* თავის ნაშრომში **ჩაჩანს** ორჯერ იხსენიებს. დურძუკები მოხსენიებულნი არიან არაბულ წყაროებშიც (IX საუკუნე, XV საუკუნე). რაც შეეხება ეგზოეთნონიმს – **ჩაჩანი**, წყაროებში ის XVIII საუკუნის დასაწყისიდან ერთდროულად ჩნდება როგორც რუსულ, ისე ქართულ წყაროებსა და დოკუმენტებში. ყველაზე ადრინდელი მოხსენიება აღნიშნული ეთნონიმისა 1719 წელს ეკუთვნის. ესაა ამ წელს შედგენილი ჩრდილოეთ კავკასიის რუკა. ქართული ოფიციალური დოკუმენტები კი, რომლებშიც პირველად ეთნონიმი *ჩაჩანია* მოხსენიებული, *ვახტანგ VI-ეს* ეკუთვნის და ისინი 1720 და 1730 წლებით თარიღდება. გვხვდება ეს ეთნონიმი *ერეკლე მეორის* 1791 წლის საბუთშიც. ეთნონიმს *ჩაჩანი* კი თითქმის ისეთივე ისტორია აქვს, როგორც *ინგუშს.* ის მომდინარეობს ბარის ჩაჩნეთში, მდ. *არღუნის* ნაპირას მდებარე სოფლის *ჩაჩან-აულის* სახელწოდებიდან. რადგანაც რუსები ჩვენთვის საინტერესო ეთნოსს პირველად აღნიშნული სოფლის საშუალებით გაეცნენ, სოფლის სახელწოდება მთელ ხალხზე გადაიტანეს. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში იმის შესახებაც არის მითითება, რომ სპარსულ წყაროებში (XIII საუკუნე), კერძოდ, *რაშიდ-ად-დინის* ნაშრომში, ის ირანული ტრანსკრიფციით (*სასანი*) არის მოცემული, რომელიც მოგვიანებით რუსულ დოკუმენტებში შევიდა.

1989 წლის მონაცემებით რუსეთის ფედერაციაში 899 ათასი ჩაჩანი იყო აღრიცხული. საერთო რაოდენობას კი 957 ათასს აღნიშნავდნენ. რუსეთში გარდა ჩაჩნეთისა, ისინი მკვიდრობდნენ აგრეთვე დაღესტანში (58 ათასი), სტავროპოლის მხარეში (15 ათასი), ვოლგოგრადის ოლქში (11,1 ათასი), ყალმუხეთში (8,3 ათასი), ასტრახანისა და ტიუმენის ოლქებში (შესაბამისად 6 ათასი და 4,6 ათასი), ჩრდილოეთ ოსეთში (2,6 ათასი). დიდი რაოდენობით არიან ყაზახეთში (49,5 ათასი).

ჩაჩნეთში ორი დიდი მდინარე მოედინება: *თერგი* და *სუნჯა.* მთაში ჩაჩნეთს ორი მძლავრი ნაკადი – *ჩანტი-არღუნი* და *შარო-არღუნი* კვეთს, რომლებიც ერთმანეთს ბარში უერთდებიან. მთაში ინგუშეთისაგან ჩაჩნეთს მდ. *ფარტანგი* გამოყოფდა, დაბლობში კი სუნჯის კაზაკთა რაიონი. XX საუკუნის 20-იან წლებამდე სამეცნიერო ლიტერატურაში ჩაჩნეთს ორ ნაწილად ყოფდნენ: *დიდი ჩაჩნეთი* და *მცირე ჩაჩნეთი,* რომელთა შორისაც საზღვარს მდ. *არღუნი* წარმოადგენდა. დიდი ჩაჩნეთი მდ. *არღუნის* დასავლეთით მდ. *აქსაიმდე* მდებარეობდა, მცირე ჩაჩნეთს კი – იმავე მდინარის მარცხენა ნაპირი და *ნადტერეჩიე* ეკავა.

ჩაჩნეთის ეთნიკური ტერიტორია დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდიდა, განსაკუთრებით ეს მის ჩრდილოეთ ნაწილს ეხება. საერთოდ, ჩაჩნები მთიელებად მიაჩნიათ, მაგრამ, როგორც ირკვევა, ისინი გარდა მთისა, ბარშიც ოდითგანვე მკვიდრობდნენ. ამრიგად, ძველ ჩაჩნებს ათვისებული ჰქონდათ არა მხოლოდ კავკასიონის ქედის ჩრდილოეთი კალთები, არამედ კავკასიისწინეთის სტეპებიც. მათ ადრიდანვე ჰქონდათ კონტაქტი სკვითების, სარმატების და ალანების მომთაბარე ტომებთან. ალანიის პოლიეთნიკური ადრეკლასობრივი სახელმწიფო (VIII-XII საუკუნეები) ჩაჩნეთის ბარის რაიონებსაც მოიცავდა. იმავე პერიოდში, როგორც ჩანს, ჩაჩნეთის მთიანი ზოლი, განსაკუთრებით ტერიტორია მდ. არღუნის

მარცხენა მხარეს, ადრეული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ე. წ. *სერირის სამეფოში* შედიოდა. ჩაჩნებს X-XII საუკუნეებში ურთიერთკავშირი საკმაოდ დაშორებულ ქვეყნებთანაც ჰქონდათ. ნუმიზმატიკური მასალა ბიზანტიასა და მახლობელ აღმოსავლეთთან სატრანზიტო ვაჭრობას ადასტურებს. ასეთი ურთიერთობა ჩაჩნების წინაპრებს შავიზღვისპირეთთანაც ჰქონიათ.

გარკვეული ხნის განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებიდან გამომდინარე, ჩაჩნები ჩრდილოეთ კავკასიის ბარში მკვიდრობას წყვეტენ. ჩაჩნების მიერ ბარის მიტოვებას და ჩრდილოეთ კავკასიის მთებში საბოლოო შესახლებას, მონღოლთა შემოსევებს უკავშირებენ, თუმცა იმასაც ფიქრობენ, რომ ეს პროცესი უფრო ადრე ხაზართა სახელმწიფოს დაცემის შემდეგ (X ს.) უნდა დაწყებულიყო. XV-XVI საუკუნეებამდე ჩაჩნები ძირითადად მთებში ცხოვრობდნენ. გადმოცემებით, დაბლობში პირველი ჩაჩნური დასახლებები ხელახლა XIV საუკუნის ბოლოს გაჩნდა. პირველი მიგრანტები *აკიის* მთებიდან (ადგილ *ნაშხადან*) მოსულები იყვნენ. *ფარჩოს* თაიფს (გვარს) ორი სოფელი, *ფარჩხო* და *იურტ-აული* დაუფუძნებია, *ცეჩოს (ცეცოს)* თაიფს კი – სოფელი *ცეჩი (კეშან-აული)* მდ. *იარიკსუზე*. მათ მალე სხვა გვარის (*ბენო, ცონტარო, კურჩალო...*) ხალხიც მიყოლიათ. თავდაპირველად ჩაჩნები *სუნჯის, არღუნის* და მათი შენაკადი ხეობების დაბლობში ეფუძნებოდნენ. შემდეგ კი თანდათან მთელი დიდი ჩაჩნეთის დაბლობი დაიკავეს. 1587 წელს პირველ რუსულ ელჩობას მდ. *სუნჯისა* და მდ. *თერგის* ირგვლივ აღნიშნული აქვთ მნიშვნელოვანი რაოდენობის ჩაჩნური დასახლებები (*ოკოკი, შიბუთი, მიჩკიზი...*). დროთა განმავლობაში ჩაჩნური სოფლები *გრებენელი კაზაკების* ტერიტორიების მეზობლად წარმოიქმნა. მათი დასახლებები მდ. *სუნჯის* შესართავთან ჩაჩნების დასახლებასთან ერთდროულად XVI საუკუნეში გაჩნდა. ამ ადგილებში 1760 წელს დაარსდა დიდი ჩაჩნური სოფელი *სტარო-იურტი,* რომელსაც შემდეგ რიგი ჩაჩნური დასახლებების წარმოქმნაც მოჰყვა. საერთოდ XVIII საუკუნის შუა ხანებში ჩაჩნების დაბლობში მიგრაციამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. *უ. ლუადევის* ცნობით, შამილის დროს, იშვიათი არ იყო შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე ოჯახი ზედიზედ ოცჯერ მაინც იცვლიდა ადგილსაცხოვრისს. მათ ნაკვალევს კი მსუბუქი და არა მყარი საცხოვრებლები მიუთითებდა.

ყველა სამეცნიერო ნაშრომში, რომელიც ჩაჩნეთსა და ჩაჩნებს ეძღვნება, ხაზი ესმის იმ გარემოებას, რომ ჩაჩნები, ინგუშებთან ერთად, კავკასიის ძველი ადგილობრივი მკვიდრი ხალხია. თუმცა 2004 წელს მოსკოვში დაბეჭდილ ერთ-ერთ მონოგრაფიაში (ავტორი *მ. ბლიევი*), ჩაჩნები კავკასიის არამკვიდრ, მოსულ მოსახლეობადაა მიჩნეული. ჩაჩნები კავკასიის ჩრდილოეთ კალთებზე თურმე VI-VII საუკუნეებში დასახლდნენ. ოს ავტორს მოჰყავს გადმოცემები იმის შესახებ, რომ ჩაჩნური ეთნოსის ბირთვი *არღუნის* ხეობის სათავეში ჩამოყალიბდა, საიდანაც ისინი აქედან განსახლდნენ როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მიმართულებით. გადმოცემით, *შამის (სირიის)* მთავარი, სირიიდან გამოიქცა და კავკასიაში დასახლდა. მას ჰყავდა რამდენიმე შვილი, რომელთაგანაც უმცროსს *ნახჩოი* ერქვა, რომელიც ჩაჩნების საფუძველჩამყრელად, ფუძემდებლად მოგვევლინა. *მ. ბლიევი* აღნიშნავს, რომ პირველ ჩაჩან ისტორიკოს *უ. ლაუდაევს* ამ ლეგენდის ჭეშმარიტებაში ეჭვი შეჰქონდა, მაგრამ არ უარყოფდა რომ მისი ხალხი კავკასიაში მოსული იყო. დასახელებული ავტორის „მტკიცებით“, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მატერიალური კულტურის ძეგლების ჩაჩნურ ეთნოსთან დაკავშირება ვერ ხერხდება. ჩაჩნების კავკასიაში გვიან გამოჩენა, თურმე, ირიბად რუსული წყაროებითაც მტკიცდება და ეს ირიბი რუსული წყარო კი ისაა, რომ პირველად ჩაჩნები რუსულ წყაროებში XVI საუკუნის მეორე ნახევარში არიან მოხსენიებულნი. აშკარაა ისტორიის გაყალბების მცდელობა. აქედან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნული კომენტარის ღირსიც არაა. საერთოდ, ჩაჩნები თავიანთ წარმომავლობას გოლიათ *ნოხჩეს (ნახჩის)* უკავშირებენ. ერთ-ერთი ვერსიის

მიხედვით, მას შვიდი ვაჟი ჰყავდა, რომელთაგანაც მთელი ჩაჩანი ხალხი წარმოიშვა. სხვა ვერსიით მისი შვილები 12 ცალკეულ ოჯახად დაიყვნენ. სხვა ლეგენდა ჩაჩნების წარმომავლობას ორ ძმას: *ჩარმოს* და *შოთოს* უკავშირებს. ჩაჩნებს სხვა გენეალოგიური ლეგენდებიც აქვთ. ჩაჩნების ერთი შტოს *ჩანთელთა* (ანუ *ითუმელთა*) საფუძვლის ჩამყრელი იყო საქართველოდან გადმოსახლებული *ითუმ ლიუნგიევი.* მისი ერთ-ერთი შთამომავალი ყოფილა *ჯალი. ჯალის* ჰყოლია შვილები: *ბარზ-გარი, ბაგომატი-გარი, ეჟი-გარი, ხამატი-გარი* და *მურთაზ-გარი* (გადმოცემის ჩამწერის განმარტებით, *გარი* გვარის დანაყოფს აღნიშნავდა. შესაძლებელია ჩაჩნური *გარი* სწორედ ქართული „გვარისაგან“ მომდინარეობდეს). რაც შეეხება სირიულ წარმომავლობას, ასეთი ლეგენდა მხოლოდ შაროელ ჩაჩნებს ჰქონდათ. მ. ბლიევმა კი ის მთელ ჩაჩან ხალხზე გაავრცელა.

დავუბრუნდეთ ჩაჩანთა მიგრაციას. სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზი ესმის მათ ინტენსიურ მიგრაციულ პროცესებს XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ამ პერიოდში გადაინაცვლეს თერგის მარჯვენა სანაპიროდან აღმოსავლეთის მიმართულებით *სუნჯისა* და *თერგის* მონაკვეთზე მდ. *გუდერმესსა* და მდ. *ფორთანგოს* შორის. ასე რომ, მთისწინეთსა და ბარში მთელი ასწლეულის განმავლობაში ჩაჩნური მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა. არაუგვიანეს XVIII საუკუნისა, ჩაჩნები (*იჩქერიელების, ყარაბულახების* და *აჭიელების* ნაწილი) გამოჩნდნენ *კაჩკალიკის* ქედის ბარის რაიონებში და აგრძელებდნენ მდინარეების *აქსაის, იამანსუს, იარიკ-სუს, აქტაშის* შუა დინებაზე დასახლებას. ზოგიერთი ავტორი მათ აქ მიგრაციას XVI-XVIII საუკუნეებით ათარიღებს. ასეთი მიგრანტების ნაწილი *აუხოელთა* სახელითაა ცნობილი, რომელთა საზოგადოება XVII-XIX საუკუნეებში ცხრა აულს მოითვლიდა. ყველა ესენი დღეს ძირითადად დაღესტნის ტერიტორიის მკვიდრნი არიან და *აჭიელების (აჭიელი ჩაჩნების)* სახელით არიან ცნობილი და ლაპარაკობენ ჩაჩნური ენის *აჭიურ დიალექტზე.* აჭიელი ჩაჩნები *ლამაჭიიდან (მდ. გეხის* სათავე) გადმოსახლებულთა შთამომავლები არიან. მათ სხვანაირად *აუხოელებსაც* უწოდებდნენ. ეს სახელწოდება კი ყუმუხებმა შეარქვეს, რადგან *აჭიის* გვარის (თაიფის) წარმოამდგენლების ნახევარი, სოფელ *აუხში* დასახლდა. ყუმუხების მეზობლად დაახლ. XVI-XVIII საუკუნეებში მდ. *იამანსუსა* და *იარიკუს* დაბლობთა გასწვრივ კაჩკალთა საზოგადოების ჩაჩნები დასახლებულან. დაღესტნელი ჩაჩნების ეს ჯგუფიც ექვს აულში იყო განსახლებული. დაღესტნელ ფეოდალთა მიწებზე დასახლებული აკიელი ჩაჩნები იძულებულნი იყვნენ ხარკი ეხადათ ხუნძი და ყუმუხი ფეოდალებისათვის. აუხოელთა აულების ჩაჩნებით დასახლება XIX საუკუნესა და უფრო გვიანაც, თითქმის 1940-იან წლების დასაწყისამდეც გრძელდებოდა. დაღესტანში გადასახლების შემდეგ აკიელმა ჩაჩნებმა მეზობელი დაღესტნელი ხალხების გარკვეული კულტურული გავლენა განიცადეს, რომლის ერთ-ერთი შედეგი აუხოელთა ისლამიზაცია იყო. ეთნოპოლიტიკური ისტორიის თავისებურებამ და მათმა შედარებითმა იზოლირებულობამ აჭიელთა ენაზეც მოახდინა გავლენა, რომელსაც ვაინახური ენების ძველი ფორმები აქვს შემონახული. 1841 წელს აჭიელების თითქმის ნახევარი დაბლობში, ყუმუხების აულებში გადაასახლეს. 1877 წელს მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების დამარცხების შემდეგ, აჭიელები ძალდატანებით ხელახლა გადაასახლეს ყუმუხეთის ოკრუგის აულებში.

ზემოხსენებული *აჭიელების (აუხოელების), კაჩკალიკიელების, ყარაბულახების* გარდა, ჩაჩნეთში სხვა საზოგადოებებიც არსებობდა. ჩაჩნეთის აღმოსავლეთში მდინარეების *ხუხლულაუს* და *აკსაის* სათავეებში მდებარეობდა მხარე, რომელსაც ჩაჩნები *ნოხჩი-მოხკს* („ნოხჩელთა მიწას“) უწოდებდნენ; ის *იჩქერიის* სახელწოდებით იყო ფართოდ ცნობილი. იჩქერიის სამხრეთით *კაზენო-ამის* ტბის ირგვლივ მდებარეობდა *ჩებერლის* საზოგადოება. არღუნის აუზის მთიან ზონაში განლაგებული იყო *შატოს, მაისტის, შაროს, მალხისტის, ტერლოს, ნაშხოს* საზოგადოებები (ტერიტორიული თემები). *გალანჩოჟის* ტბასთან და მდ. *გეხის* ზემო

წელში ცხოვრობდნენ *გალაშელები* და *მთიელი აკჰიელები. ყარაბულახები (ორსტხოელები)* მდ. *ფორტანგის* ხეობაში ინგუშეთისა და ჩეჩნეთის საზღვარზე ცხოვრობდნენ.

საუკუნეების განავლობაში მთის ჩაჩნურ საზოგადოებებს ქართველ მთიელებთან (ხევსურებთან, ფშაველებთან, თუშებთან) ჰქონდათ ურთიერთობა. *მალხისტის (მითხოსა)* და *მაისტის* საზოგადოებებთან მიგრაცია ორმხრივი იყო. როგორც ჩაჩანი მოსახლეობა გადმოსახლდებოდა საქართველოს მთიანეთში, ისე ქართველი მთიელებიც მიგრირდებოდნენ. თუშეთში, ფშავსა და ხევსურეთში არაერთ გვარს შევხვდებით, რომლებსაც ჩაჩნური წარმომავლობა აქვთ. მეფე *საურმაგის* დროს დურძუკების საქართველოს მთიანეთში თუ ერთდროული ჯგუფური გადმოსახლება მოხდა, შემდეგ ეს მიგრაციები ძირითადად გაჟონვითი, ინდივიდუალური იყო. თუმცა XIX საუკუნის შუა ხანებში ჩაჩნები (და ინგუშები) საქართველოში, პანკისის ხეობაში კომპაქტურად ჩამოსახლდნენ (იხ.: მონაკვეთი „პანკისელი ქისტები“). გერმანელი *ა. ზისერმანის* მოწმობით, მითხოს საზოგადოება ხევსურეთის სოფელ შატილიდან 10 ვერსზე მდებარეობდა და მასში ექვსი პატარა სოფელი შედიოდა. ამ საზოგადოების მოსახლეობის შესახებ ის აღნიშნავდა: „ისინი ქრისტიანებს ურჯულოებს უწოდებენ, მაგრამ თაყვანს სცემენ წმინდა გიორგის, არ იციან მუსლიმთა ლოცვა – ნამაზი, არ ჭამენ ღორს, არ ჰყავთ მოლები და არა აქვთ მეჩეთები“. მეორე გერმანელი *გუსტავ რადე* კი მითხოელთა 10 სოფელს ასახელებს, რომლებიც მდ. *არღუნის* მარცხენა შენაკად *მითხოსწყალზე* მდებარეობდნენ. მის დროს აქ სულ 174 კომლი ყოფილა. ყველაზე დიდ სოფელ *ბონისტში* კი 22 ოჯახი ცხოვრობდა. *გ. რადე* 1839 და 1876 წლების მონაცემებს ადარებდა და აღნიშნავდა, რომ საზოგადოებაში გასული 37 წლის განმავლობაში მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ის ამას *მალხისტელების (მითხოელების)* უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობით ხსნის, რაც მიწის სიმცირითა და სიმწირით იყო გამოწვეული და რაც ადგილობრივი მოსახლეობის მუდმივ გადასვლას იწვევდა ჩაჩნეთის სხვა რაიონებსა და საქართველოს მთიანეთში. 1886 წლის საოჯახო სიებით *მალხისტის (მითხოს)* 11 სოფელი თიანეთის მაზრაში შედიოდა. საყურადღებოა, რომ აღწერის დავთარში ამ საზოგადოების მკვიდრნი შემდეგი გვარებით არიან ჩაწერილი: **ალბაკაური, აშიგაური, ბარჩაული, გადურგაული, ბაკაშაური, გადუმაური, დადიკური, ზანტაური, კარსამაული, მუხაური, ხაიაური...** გვარსახელები წარმოდგენილია საქართველოს მთის გვარსახელებისათვის დამახასიათებელი *-ურ* (*-ულ*) სუფიქსით, რაც ჩაჩნებსა და ქართველ მთიელთა ისტორიულად არსებული ეთნოკულტურული ურთიერთობების მიმანიშნებელი უნდა იყოს. *ა. ზისერმანისა* და *გ. რადეს* მონაცემებით, *მაისტის* საზოგადოება ძალიან პატარა იყო. ის სამი სოფლის (*ცახელგოი* ანუ *ჯვარი-სოფელი, ტუგო, პოგო*) ერთობლიობისაგან შედგებოდა. ეს საზოგადოება მდ. *არღუნის* მარჯვენა შენაკად *მაისტზე* მდებარეობდა და მცხოვრებთა რაოდენობა 200 კაცის ფარგლებში იყო.

პეტრე პირველიდან დაწყებული, რუსეთის პოლიტიკა ჩაჩნეთის მიმართ კოლონიური ხასიათის იყო. *ეკატერინე II-ის* მმართველობის ბოლო წლებში რუსეთის არმიამ თერგის მარცხენა მხარე დაიკავა და ყაბარდო-ჩაჩნეთის საზღვრის მიმართულებით, მოზდოკიდან ვლადიკავკაზამდე სამხედრო სიმაგრეები ააგო. ყოველივე ამან XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩაჩანთა განმათავისუფლებელი მოძრაობა გამოიწვია. 1819 წელს რუსეთის არმიამ მიწასთან გაასწორა თერგის მარჯვენა ნაპირას მდებარე აული *დადი-იურტი.* მისი მაცხოვრებლების უმეტესი ნაწილი (400 კაცი) მოკლული იქნა. არც რუსებს დასდგომიათ კარგი დღე – გენერალ *ერმოლოვის* მიერ გამოგზავნილი დამსჯელი რაზმის 230 ჯარისკაცი და ოფიცერი შეეწირა ამ ბრძოლას. რუსების ამ მოქმედებამ ჩაჩანთა თარეშები გაახშირა. 1825 წელს თერგზე მდებარე ერთ-ერთი სიმაგრე ჩაჩნებმა მიწასთან გაასწორეს – 181 კაციდან 98 მოკლეს და 13 ტყვედ აიყვანეს. 1832 წელს გენერალმა *როზენმა* ჩაჩნეთსა და ინგუშეთში 60 აული გაანადგურა. **1834**

წელს ჩაჩნეთისა და დაღესტნის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა თეოკრატიული ხელისუფლება – შამილის იმამატი. რუსეთის არმიის სისტემატიური თავდასხმების შედეგად 1841 წლისათვის ჩაჩნეთის დაბლობის აულების უმეტესობა გადამწვარი იყო. რუსებმა მთიელი ჩაჩნებისა და ხუნძების წინააღმდეგ დიდი ძალები გადაისროლეს. მარტო 1845 წელს ერთი ლაშქრობის დროს 3900-მდე ჯარისკაცი დაკარგეს, რომელთა შორის 3 გენერალი იყო. ხანგრძლივი და მომქანცველი ბრძოლის შემდეგ, 1859 წელს ჩაჩნები და დაღესტნელები დამარცხდნენ. მას შემდეგ, ოსმალეთის იმპერიაში, ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებთან ერთა ჩაჩნები და ინგუშებიც გადასახლდნენ (დაახლ. 20 ათასი კაცი). მიუხედავად ამისა, ჩაჩნები კოლონიურ მდგომარეობაში ყოფნას მაინც არ ურიგდებოდნენ, აგრძელებდნენ პარტიზანულ ბრძოლას, დროდადრო ჯანყდებოდნენ. ერთ-ერთი მასობრივი აჯანყება 1877 წელს მოხდა. აჯანყების ჩაქრობას აულების გადაწვა, განადგურება, 11 ადამიანის გროზნოში ჩამოხრჩობა და 500-ზე მეტი კაცის ციმბირში გადასახლება მოჰყვა. ამის შემდეგ ჩაჩნები აბრაგობის გზით აგრძელებდნენ რუსების წინააღმდეგ ბრძოლას.

1921 წლის იანვარში გაერთიანებული ჩაჩნეთ-ინგუშეთი მთიანეთის ავტონომიურ ოლქში შეიყვანეს, 1922 წელს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ჩამოყალიბდა ჩაჩნეთის ავტონომიური ოლქი. 1934 წელს შექმნილი ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური ოლქი 1936 წელს გარდაიქმნა ავტონომიურ რესპუბლიკად. 1922 წლისათვის ჩაჩნეთს იმ მიწების ნაწილი დაუბრუნეს, რომლებიც კავკასიური ომების მსვლელობის დროს წაართვეს. 1942-1943 წლებში გერმანელმა ფაშისტებმა ჩაჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია მოახდინეს. 1944 წელს ჩაჩნეთ-ინგუშეთი ლიკვიდირებული იქნა და მისი მოსახლეობა შუა აზიასა და ყაზახეთში იძულებით გადაასახლეს. მათ გასახლებაში წითელი არმიის ნაწილები მონაწილეობდნენ. რამდენიმე დღის განმავლობაში გასახლებულთა შორის, დაახლ. 500 ათასი კაცი იყო. მათგან მნიშვნელოვანი ნაწილი გადასახლების პირველ წელს, შიმშილის, სიცივისა და ავადმყოფობისაგან დაიღუპა. 1944 წელს გაუქმებული ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომია 1957 წელს კვლავ აღადგინეს. მოსახლეობა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს დაუბრუნეს. მაგრამ ჩაჩნეთის რამდენიმე მთიან რაიონში მათ ცხოვრება აეკრძალათ; ისინი დაბლობის აულებისა და კაზაკთა სტანიცებში დაასახლეს. 1990 წლის ნოემბერში ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ დეკლარაცია მიიღო. 1991 წლის სექტემბერში ჩაჩანი ხალხის საერთო-ნაციონალურმა კონგრესმა ჩაჩნეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტის შესახებ გამოაცხადა. 1992 წელს შემოღებულ იქნა პრეზიდენტის პოსტი. ეს აქტები რუსეთის ფედერაციამ არ ცნო. 1994 წლის დეკემბერში რუსეთის ფედერაციამ ჩაჩნეთში შეიარაღებული ძალები შეიყვანა, რამაც სისხლისმღვრელი ბრძოლები გამოიწვია. 1996 წელს პრეზიდენტმა ბ. *ელცინმა* ომი შეწყვიტა და ჩაჩნეთის ტერიტორიიდან ჯარი გამოიყვანა. ზოგიერთი მონაცემით, ომის დროს დაღუპულთა რაოდენობა დაახლ. 80 ათასი იყო, დაჭრილებისა – 240 ათასი. 1999 წელს იმის გამი, რომ შეიარაღებულ ჩაჩანთა რაზმი დაღესტანში შეიჭრა, რუსეთის ხელისუფლებამ დაღესტანსა და ჩაჩნეთში არმიის ძლიერი ნაწილები გადაისროლა. რუსების მიერ ჩაჩნეთში ჯარის შეყვანას კვლავ ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. პრეზიდენტმა *მასხადოვმაც* დუდაევის ბედი გაიზიარა, ხანგრძლივი დევნის შემდეგ ის მოკლეს. რუსულ-ჩაჩნური ურთიერთობები დღესაც არაა მოწესრიგებული. ამის შედეგია მრავალი ტერაქტი, რომელსაც ჩაჩანი მებრძოლები რუსეთის ქალაქებში აწყობენ.

მანამ, სანამ ჩაჩანთა მეურნეობის, მატერიალური კულტურისა და სოციალური ურთიერთობების საკითხებს შევეხებით, ოდნავ ვრცლად თარეშებზე უნდა შევჩერდეთ, რაც კავკასიის სხვა ხალხებისათვისაც იყო დამახასიათებელი. საერთოდ, ***ჩაჩნებს სახელმწიფოებრიობა არასდროს არ ჰქონიათ.*** **„ქართლის**

ცხოვრებაში“ მოხსენიებული „დურძუკთა მეფენი“ კი ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ბარში მცხოვრებ დურძუკთა ტომთა ბელადები იყვნენ.

ბარში ჩასახლებული ჩაჩნები, რომლებიც ნაწილობრივ ხუნძი ხანების დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ, თავისუფლებისათვის იბრძოდნენ: იტაცებდნენ მიწებს, შეუწყვიტეს გამოსაღების გადახდა. იგივე ქმედებას ჩადიოდნენ *მცირე ჩაჩნეთში* მცხოვრებნი ყაბარდოელი თავადების წინააღმდეგ. ჩაჩნეთის თაღფებს შორის თითქმის მუდმივი დაძაბულობა და დაპირისპირება იყო. დროდადრო არაკეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ მთიელებთან (ხევსურებთან, თუშებთან). ისტორიკოსთა მითითებით, ცალკეულ გვართა გამდიდრების ერთ-ერთი გზა თარეშები იყო. ჩაჩნეთში თარეშების განვითარებული სისტემა არსებობდა. XVIII საუკუნეში არაერთი დოკუმენტი არსებობს თარეშების, მეკობრეობის, თავდასხმების შესახებ. ბარში გადასახლების შემდეგ, ამ მოვლენამ უფრო სისტემატური ხასიათი მიიღო. თარეშის ობიექტი ჩაჩნეთის ყველა მოსაზღვრე ტერიტორია იყო: დაღესტანი, ყაბარდო, ინგუშეთის და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რეგიონები. ჩაჩანთა თარეშების შესახებ არაერთი გადმოცემაა ჩაწერილი როგორც თვით ჩაჩნეთში, ისე მათ მეზობელ ხალხებში. არაერთი გადმოცემა გვაქვს დადასტურებული ჩაჩანთა ლაშქრობების შესახებ თუშეთსა და ხევსურეთში (თავის მხრივ, არც ქართველი მთიელები რჩებოდნენ ვალში). თარეშის მონაწილენი თარეშის მიმართულებას წინასწარ ირჩევდნენ. მეკობრეობის ინტენსიურობა ეკონომიკურ სარგებლიანობაზე იყო დამოკიდებული. უფრო ხშირად უპირატესობას იმ რაიონებს ანიჭებდნენ, სადაც მესაქონლეობა იყო განვითარებული. XVIII საუკუნის II ნახევრიდან დაწყებული XIX საუკუნის პირველი ნახევრის ბოლომდე ჩაჩანთა თარეშის ინტენსიურ ობიექტად რუსეთის სასაზღვრო ხაზი იქცა. მეკობრეობის სამხრეთიდან ჩრდილოეთით პერეორიენტაცია კი კავკასიისწინეთისა და რუსეთის საზღვარზე ეკონომიკური ცხოვრების აღმავლობით იყო გამოწვეული. ჩაჩანთა რაზმები თავს ესხმოდნენ რუსულ ქალაქებს, კაზაკთა სტანიცებს, ბაზრებს, სამხედრო გარნიზონებს. თითოეული რაზმი ხუთიდან ოც კაცამდე მოთარეშეს ითვლიდა. XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩაჩანთა საზოგადოებრივი აზრი თარეშებს არ განსჯიდა.

ჩაჩნების სამეურნეო საქმიანობა მთასა და ბარში სხვადასხვა ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გამო, ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. ჩაჩნების ძირითადი საქმიანობა ძველთაგანვე მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო. მთის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე ჩაჩნეთის მთაში მიწათმოქმედებას შეზღუდული ხასიათი ჰქონდა. ფაქტობრივად აქ მეურნეობის ეს დარგი მეორეხარისხოვანი იყო. მიუხედავად ამისა, მთიან ჩაჩნეთში მიწის ყველა გოჯი მაქსიმალურად მუშავდებოდა. მთიან ჩაჩნეთში მოსახლეობის ბარში მიგრაციის მიუხედავად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ერთ სულზე საშუალოდ 0,01-დან 0,04-მდე დესეტინა მოდიოდა. ისევე როგორც კავკასიის სხვა მხარეებში, აქაც მიწის ნაკვეთები ტერასებზე იყო განთავსებული. ტერასები ყველაზე დიდი რაოდენობით მთაში და მაღალმთაში იყო. ისინი სამიწათმოქმედო შრომის მაღალ ინტენსივობაზე მიანიშნებს. მიწათმოქმედებისაგან განსხვავებით, მთიან ჩაჩნეთში მესაქონლეობა თავისი ბარაქიანი ალპური საძოვრებითა და აგრეთვე შესანიშნავი სათიბებით ფართოდ იყო განვითარებული. მთისწინეთსა და მთაში ხალხი ძირითადად მესაქონლეობით იყო დასაქმებული.

ბარის ჩაჩნეთი მარცვლეული კულტურების მოყვანით ჩრდილოეთ კავკასიაში ერთ-ერთი წამყვანი რაიონი იყო. კავკასიური ომების პერიოდში მას შამილის ბეღელს უწოდებდნენ. მაღალმთიანი რაიონების მცხოვრებნი, რომლებიც უპირატესად მესაქონლეობას მისდევდნენ, პურს დაბლობის სოფლებში იძენდნენ, სადაც სპეციალური პურის ბაზრები არსებობდა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაბლობის ჩაჩნეთში სასოფლო თემის ფარგლებში, რომელიც მიწის მესაკუთრედ ითვლებოდა, მიწათსარგებლობის თავისუფლება არსებობდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეს წესი შეიცვალა. სასოფლო თემის მცხოვრებლებს შორის სახვნელი და სათიბი მიწების პერიოდული გადანაწილება ოჯახებზე შემოიღეს. საძოვარი და ტყე კი საერთო გაუყოფელ სარგებლობაში იყო. სახვნელი მიწების გადანაწილება, ჩვეულებრივ, ხუთ წელიწადში ერთხელ ხდებოდა, სათიბებს ყოველწლიურად ყოფდნენ. მთებში მიწათსარგებლობის სისტემა ბევრად განსხვავდებოდა ბარის ჩაჩნეთის მიწათსარგებლობის სისტემისაგან. სახვნელი და სათიბი მიწები აქ კერძო საკუთრებაში იყო, სათემო მფლობელობა მხოლოდ სათიბებსა და ტყეებზე ვრცელდებოდა.

დაბლობში უპირატესად სიმინდი, საშემოდგომო ხორბალი, ქერი და ფეტვი მოჰყავდათ, მთაში კი ძირითად პურეულ კულტურას ქერი წარმოადგენდა, იშვიათად თესავდნენ ხორბალს. მთაში, სადაც მესაქონლეობა იყო განვითარებული, მიწას აპატივებდნენ. მინდვრის სამუშაოების დროს ნათესავებმა და თანასოფლელებმა ურთიერთდახმარება იცოდნენ.

დაბლობში ძირითადად ჰყავდათ მსხვილფეხარქოსანი საქონელი, როგორც სარძევე, ისე გამწევი: ძროხები, ხარები, კამეჩები; მთებში კი უპირატესად მეცხვარეობა იყო განვითარებული. კავკასიური ომების დროს შამილის არმიის საჭიროებისათვის დიდი რაოდენობით აშენებდნენ ცხენებს. ტყიანი მთის რაიონებში წვრილფეხარქოსანი საქონელი (ცხვარი) მთელი წლის განმავლობაში საძოვარზე ჰყავდათ. წყაროებში აღნიშნულია, რომ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ჩაჩნები საკვებად პურზე მეტად ყველს გამოიყენებდნენ. სხვათა შორის, თერგისპირეთში დასახლებულ ჩაჩნებს *კალდაჟ იუც ნახ*-ს, ე. ი. „ხაჭოს მჭამელ ხალხს“ უწოდებდნენ. XIX საუკუნის 40-იან წლებში ყოველ ჩაჩნურ ოჯახს საშუალოდ 200 სული ცხვარი ჰყავდა.

შინამრეწველობიდან ჩაჩნებში განსაკუთრებით ნაბდისა და ქეჩის სხვა ნაწარმთა დამზადება იყო განვითარებული. 1893 წლის მონაცემებით ჩაჩნეთში ნაბდების დამზადებას 500 ოჯახი მისდევდა. ეს 500 კომლი წელიწადში 73.300 რუბლის ღირებულების 7400 ნაბადს ამზადებდა. ჩაჩნურ ნაბდებზე დიდი მოთხოვნილება იყო მეზობელ კაზაკურ სტანიცებში. ნაბდების წარმოება ძირითადად დაბლობის ჩაჩნეთისათვის იყო დამახასიათებელი; მთის რაიონები კი მას ნედლეულს აწვდიდნენ. მცენარეული და ცხოველური ორნამენტით მორთული ხალიჩები კი ყველა მხარეში მზადდებოდა. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საოჯახო მაუდის ქსოვას. ჩაჩნეთის ბევრ სოფელში მისდევდნენ ტყავის დამუშავებას. მნიშვნელოვნად იყო განვითარებული იარაღისა და სპილენძის ჭურჭლის წარმოება.

ძველთაგანვე ჩაჩნეთში დასახლების რამდენიმე ტიპი იყო ჩამოყალიბებული. დაბლობის სოფლების დაგეგმარება ხასიათდებოდა მდინარეებისა და გზების გასწვრივი განლაგებით. მთის ტყიან რაიონებში მოსახლეობა თაღფური უბნების სახით ცხოვრობდა. ხშირად ერთ *თაღფს* (გვარს) რამდენიმე დასახლებული პუნქტი ეკავა. მთიან რაიონებში დასახლება დიდი შეჯგუფულობით გამოირჩეოდა. მათი სახლები მჭიდროდ იყო ერთმანეთთან მიდგმული. ერთი სახლის სახურავი მეორისათვის ეზო იყო. ასეთი სოფელი ხშირად ერთი *თაღფის* (გვარის) ხალხით იყო დასახლებული. უფრო პატარა დასახლებები არსებობდა მაღალმთაში. არც თუ იშვიათად, აქ თითოეულ სოფელში სამიდან ხუთ კომლამდე ცხოვრობდა. მაღალმთიან რაიონებში საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთი ძირითადი ტიპი იყო ორსართულიანი ქვის სახლი, რომლის ქვედა სართულს საქონლის სადგომად გამოიყენებდნენ. ზედა სართული, ჩვეულებრივ, ორი ოთახისაგან შედგებოდა. ჩაჩნები აგრეთვე აშენებდნენ საცხოვრებელ და თავდასაცავ კოშკებს, რომლებიც განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მთიანი ჩაჩნეთის დასავლეთ რაიონებში იყო. სამი იარუსისაგან შემდგარ კოშკში დიდი ოჯახი ან პატრონიმიული ერთეული

ცხოვრობდა. საცხოვრებელი კოშკები, ჩვეულებრივ, საბრძოლო კოშკების გვერდით იყო აგებული. ამ კოშკებს პირამიდული ფორმა ჰქონდა, რომლის ზედა სართულებში სათოფურები იყო დატანებული. შემორჩენილია აგრეთვე სადარაჯო კოშკები. კოშკების ეს ტიპი ძირითადად სტრატეგიულ პუნქტებში იდგა. აქედან უთვალთვალებდნენ მტერს; თუკი შეამჩნევდნენ, ცეცხლს ანთებდნენ.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩაჩნები ნაციონალურ ტანსაცმელს ატარებდნენ. მამაკაცის ზედა სამოსი კავკასიური ჩოხა იყო, რომელსაც სახლში მოქსოვილი მუქი ფერის მაუდისაგან კერავდნენ. თავსაბურავს კი ცხვრის ტყავისაგან შეკერილი კონუსისებური ფაფახი წარმოადგენდა.

ფეოდალური ურთიერთობები ჩაჩნეთში არ განვითარებულა. მისი ჩანასახები ჯერ კიდევ XVI საუკუნემდე არსებობდა, მაგრამ ისინი ჩაჩანთა ტერიტორიული (სასოფლო) თემის მიერ ძირშივე აღიკვეთებოდნენ. მეზობელი ყაბარდოელების, ყუმუხების, ხუნძებისაგან განსხვავებით, ისევე როგორც ინგუშებს, ჩაჩნებსაც ბეგები, ხანები და თავადები არ ჰყოლიათ. მაგრამ, მაინც ჩაჩნების სოფელი ერთგვაროვანი არ იყო. გლეხებს შორის მიმდინარეობდა მდიდრებად და ღარიბებად განშრევების პროცესი. პატრიარქალური მონობა ჩაჩნეთში XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე შემორჩა.

ჩაჩნეთის საზოგადოებრივ ურთიერთობებში დიდ როლს თამაშობდა *თაღფი* (გვარი). *თაღფის* წევრებს მიაჩნდათ, რომ ისინი საერთო წინაპრისაგან მომდინარეობდნენ. საინტერესოა, რომ *თაღფების* უმრავლესობის ფორმირების კერა მდ. *არღუნის* სათავე, ადგილი *ნაშხა* იყო. ზოგიერთი ჩაჩნური *თაღფის* სახელწოდება პირდაპირ მიუთითებს მათი წინაპრის, *თაღფის* საფუძველჩამყრელის დაღესტნურ, ჩერქეზულ, ქართულ, ლაკურ, ხუნძურ წარმომავლობაზე. ჩაჩანთა ყველაზე ცნობილი თაღფები იყო: *დიშნე, ცონტარი, კურჩალო, ალერო, ბელგიტო, არსენი, შატო, ბენო* და სხვ. ამ უკანასკნელ გვარს ქართული წარმომავლობა უნდა ჰქონდეს, რადგან ჩაჩნები *ბეინოს* ქართველ მთიელებს – მოხევეებს უწოდებდნენ. სეგმენტაციის შედეგად *თაღფები* (გვარები) ცალკეულ ახლომონათესავე წვრილ ჯგუფებად იყოფოდნენ. თითოეული *თაღპის* შტოს ანუ პატრონომიული ერთეულის აღმნიშვნელი ჩაჩნური სახელწოდებანი იყო *გარ*-ი და *ნეყე*. თითოეული *გარი* და *ნეყე* დაახლოებით 10-დან 50-მდე მონათესავე კომლს აერთიანებდა. დიდი *თაღპები,* ჩვეულებრივ, მრავალი *ნეყესაგან* შედგებოდა. *ნეყეს/გარის* წევრები კომპაქტურად ცხოვრობდნენ და საერთო საძოვრებითა და ტყეებით სარგებლობდნენ.

თაღპი (გვარი) ჩაჩანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთადერთ ფორმას არ წარმოადგენდა. აქ ცალკეულ *თაღფთა* კავშირებიც არსებობდა, რომლებსაც *თუხუმი* ეწოდებოდა. *თუხუმები* სამხედრო-ეკონომიკურ გაერთიანებებს წარმოადგენდნენ. *თუხუმის* ფუნქცია ძირითადად მაინც თავდაცვის საკითხების ერთობლივი გადაწყვეტა იყო. XVI-XVIII საუკუნეებში ჩაჩნეთში სულ ცხრა *თუხუმი* იყო. შემდეგ მათი რიცხვი ფაქტობრივად არ შეცვლილა. XVIII საუკუნესა და XIX საუკუნეში ჩაჩანთა საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელი მაინც არა *თუხუმი,* არამედ *თაღფი* იყო. XIX საუკუნის შუა ხანებში ჩაჩნეთში 135 *თაღფი* ითვლებოდა. *თაიფი* საკმაოდ მყარი ნათესაური ერთობა იყო. *თაღფის* წევრი ყველა მამაკაცი ერთმანეთის ძმებად იწოდებოდა, მთელი *თაღფი* კი – *ძმობად* („ვაშალლა“). ყველაფერია ნათქვამი ჩაჩნურ ანდაზაში: *„თაღფი – ადათის ციხე-სიმაგრეა“. თაღფი* მიწის უზენაეს მესაკუთრედ ითვლებოდა, ინდივიდუალური ოჯახი კი – მის მოსარგებლედ. ბარში გადასახლებული ჩაჩნებისათვისაც *თაღფი* მთავარი სოციალური ერთეული იყო; გადასახლებამ მას ოდნავადაც კი ვერ შეუყენა წყალი. მიუხედავად იმისა, რომ ბარში გადასახლებულები ახალ მიწებზე სახლდებოდნენ, მიწის დატაცების უფლებით, ანდა ყაბარდოელი და ყუმუხი ფეოდალების მიწებზე, ამ შემთხვევაშიც დასახლების ფორმა *თაღფური* იყო. დაბლობში მთელი *თაღფები* უბნების მიხედვით სახლდებოდნენ. *თაღფური* განსახლების გამო იყო, რომ ბარში გადასახლებულმა ჩაჩნებმა, ძალის მოკრების შემდეგ, უარი უთხრეს მიწის

მესაკუთრეებს გამოსაღების გადახდაზე. *უ. ლაუდაევი* წერდა, რომ **ჩაჩნებისათვის სირცხვილი იყო მიწის გადასახადი გადაეხადათ, რადგან ღმერთმა მიწა ყველასათვის თანაბრად შექმნა.** ამ მიზნით, ბარში მიგრირებული *თაიფები თოხუმებადაც* კი ერთიანდებოდნენ.

XX საუკუნემდე ჩაჩნური საზოგადოებისათვის ტრადიციული იყო სისხლის აღება, რაც ხშირად ძალიან დიდხანს გრძელდებოდა. ჩაჩნური კანონების მიხედვით, ყველა პირადი წყენა და მნიშვნელოვანი დანაშაული სასამართლო გარჩევას არ ექვემდებარებოდა. ადათობრივი სამართლით, მოკლულის ნათესავი ვალდებული იყო მოეკლა მკვლელი და მისი გვარის რომელიმე წარმომადგენელი. სისხლის აღება გვარის ყველა წევრის მოვალეობას შეადგენდა.

ყველა *თაიფს* თავისი წინამძღოლი – **თჰამადა** ჰყავდა. XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე გვარის წინამძღოლის სტატუსი ძალიან მაღალი იყო. *თაიფის* ცხოვრებაში მნიშვნელოვანი აქტი იყო სამხედრო წინამძღოლის (*ზაიაჩა*) არჩევა. *ზაიაჩას* დიდი საზოგადოებრივი გავლენა ჰქონდა, რადგან ისევე როგორც კავკასიის მთელ რიგ სხვა რეგიონებში, ჩაჩნეთშიც ინტენსიურად იყო განვითარებული თარეშების სისტემა.

ჩაჩნებს საერთო მმართველობა არ ჰქონიათ. ყოველი ცალკეული საზოგადოება ერთი სოფლის ანდა ზოგჯერ რამდენიმე პატარა სოფლის ერთობლიობას წარმოადგენდა. სოფლებში, სადაც რამდენიმე *თაიფი* მკვიდრობდა, ყოველ მათგანს თავისი უხუცესთა საბჭო ჰყავდა, რომელთა გარეშეც არც ერთი მნიშვნელოვანი საქმის გადაწყვეტა არ ხდებოდა (არჩევდნენ სხვადასხვა *თაიფებს* შორის წარმოქმნილ ჩხუბს, სათემო საქმეებს, აგვარებდნენ საკამათო საკითხებს). უხუცესთა საბჭოს ყველა წევრს თანაბარი უფლება ჰქონდა. უხუცესთა საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მიღებასა და აზრის გამოთქმის უფლება მხოლოდ მამაკაცებს ჰქონდათ. ამ თვალსაზრისით, უხუცესთა საბჭო დემოკრატიულ კრებებს მოგვაგონებდა. მაგრამ ჩაჩნურ *თუხუმში* მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში გადამწყვეტი სიტყვა მხოლოდ საბჭოს არჩევით წევრებს ჰქონდათ, რის შემდეგაც გადაწყვეტილება გვარებს ეცნობებოდათ. *თაიფის* წევრებისათვის ეს გადაწყვეტილება საბოლოო იყო და ისინი მას ფიცით ადასტურებდნენ.

თაიფები თავის შემადგენლობაში ხშირად უცხო პირებსაც იღებდნენ. ახალი წევრის მიღება ანუ ხელოვნური დანათესავება საზეიმოდ ხდებოდა. რიტუალის აუცილებელი ელემენტი ხარის დაკვლა იყო. აუცილებელი არ იყო ხელოვნურად დანათესავებულს მიმღები *თაიფის* სახელი მიეღო. ხშირად ახალმოსულს გვარს უფორმებდნენ იმის მიხედვით, საიდანაც ის იყო მოსული. ახალი გვარი ზოგჯერ უახლოესი წინაპრის სახელიდან იწარმოებოდა.

ჩაჩანთა ტრადიციულ ყოფაში უმნიშვნელოვანესი როლი სტუმართმოყვარეობას ეკუთვნოდა. სტუმარი ნებისმიერი ეთნოსისა და სარწმუნოების ადამიანი შეიძლებოდა ყოფილიყო. სტუმართმოყვარეობის წეს-ჩვეულების დარღვევისათვის ოჯახის უფროსი ავტორიტეტსა და პატივისცემას დაკარგავდა, ის თავის თავს ჩაჩნური საზოგადოების გარეთ დაიყენებდა. სტუმართმოყვარეობა სისხლმესისხლეობაზე მაღლა იდგა – სტუმართმოყვარეობის წეს-ჩვეულება მკვლელსაც კი იცავდა. სახლის ზღურბლის გადამლახავ მტერს თავშესაფარი, პური და დაცვა გარანტირებული ჰქონდა. ჩაჩნებმა განსაკუთრებული მასპინძლობა იცოდნენ. განვითარებული იყო შეძმავება. საინტერესო მასალა აქვს ჩაწერილი ეთნოლოგ *ლეილა მარგოშვილის* მამას *უსუფ მარგოშვილს*: „1916 წელს მე, ჩემი ძმა *კოსტა* და ბიძა *ბიბოლათა* გავემგზავრეთ (მთის ბილიკით) საქმეზე ჩაჩნეთში. მეხუთე დღეს საღამოს მივედით *ითუმხალეში* ნაცნობის ოჯახში. მათ ძალიან გაუხარდათ ჩვენი მისვლა და მიგვიპატიჟა სახლში. მაშინვე დაკლეს ცხვარი, გავიშალეს სუფრა და გვიან ღამემდე ცეკვა-სიმღერით გაგვართეს და შემდეგ დაგვაძინეს. დილას გამოვედით გარეთ და ეზო სავსეა ხალხით. ჩვენ ვიფიქრეთ, ალბათ, გაიგეს მეზობლებმა ჩვენი ჩამოსვლის ამბავი და სანახავად არიან

მოსულები. ცოტა ხანი დავიცადე, მივედი ერთ მოხუცთან და შევეკითხე: „ახალი ხომ არაფერია“? მან მიპასუხა: „ამ ოჯახში მიცვალებულიაო“. შევწუხდით ძალიან და მასპინძელს ვუსაყვედურეთ, რატომ დაგვიმალა ეს მწუხარება! მან გვიპასუხა: „მთაში სტუმრის მიღება და მისი დახვედრა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანის სიკვდილი, რომლის წინაშეც ჩვენ უძლურები ვართ“.

ჩაჩნებისათვის დამახასიათებელი იყო უფროსების, მშობლების პატივისცემა. ამ თვალსაზრისით ეტიკეტის გარკვეული წესი ჰქონდათ შემუშავებული (უფროსებს უთმობდნენ ადგილს, გზას, სიტყვას). თუ ცხენოსანი ქვეითს შეხვდებოდა – ის აუცილებლად პირველი უნდა მისალმებოდა მას. შემხვედრი თუ მოხუცი იყო, მხედარი აუცილებლად უნდა ჩამოქვეითებულიყო და მხოლოდ ამის შემდეგ მიესალმებოდა. მამაკაცს ეკრძალებოდა „გაეთამაშებინა“ ნებისმიერი ცხოვრებისეული სიტუაცია, აღმოჩენილიყო არასაკადრის და სასაცილო მდგომარეობაში. სერიოზული შერცხვენის, სახელის გატეხვის შემთხვევაში, *თაღფის* წევრის ცხოვრება, ფაქტობრივად, დამთავრებული იყო – თემი მას ზურგს აქცევდა. დღესაც კი, ქცევის შინაგანი და გარეგანი „გუშაგები“ ჩაჩანს აიძულებენ საზოგადოებაში იყოს უკიდურესად მომართული, თავდაჭერილი, სიტყვაძვირი, თავაზიანი. ჩაჩანი არასდროს ქალს თავისზე წინ არ გაუშვებდა, მთის გზაზე ხომ ბევრი საშიშროება იყო, ის ჩამონაქცევის ან გარეული მხეცისაგან მამაკაცს უნდა დაეცვა. ამასთანავე, ზურგში აქ არ ისროდნენ. ქალები ჩაჩანთა მთურ ეტიკეტში განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ. ისინი კერის დამცველები იყვნენ. ძველ დროს, ამ მეტაფორას პირდაპირი მნიშვნელობა ჰქონდა: ქალები კერაში ცეცხლის ჩაქრობისათვის პასუხს აგებდნენ.

XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ოჯახის ძირითადი ფორმა პატარა ოჯახი იყო, რომელიც მეუღლეებისა, ბავშვებისა და ზოგჯერ ქმრის მშობლებისაგან შედგებოდა. ოჯახს პატრიარქალური ყოფის არაერთი ნიშანი ჰქონდა შემორჩენილი. ოჯახის სრულუფლებიანი უფროსი, მამაკაცი იყო. ამასთანავე, ის ხშირად თავისი შეხედულებისამებრ აქორწინებდა შვილს, განაგებდა ქონებას და ა. შ. მაგრამ, ქალიშვილის გათხოვებისას გადამწყვეტი სიტყვა დედას ეკუთვნოდა.

ლევირატი იშვიათი მოვლენა იყო. მას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავდნენ თუ ქვრივს ბევრი შვილი ჰყავდა. საერთოდ ჩაჩნები სხვა *თაღფში* ნაყიდ ქალს იმ ოჯახის საკუთრებად თვლიდნენ, რომელსაც ქმარი ეკუთვნოდა. ცოლ-ქმრის გაყრის შემთხვევაში, ბავშვები, ჩვეულებრივ, მამასთან რჩებოდნენ.

ჩაჩანი ქალი არასდროს არ ჭამდა ქმართან ერთად. სხვათა თანდასწრებით ისინი ერთმანეთს სახელებით არ მიმართავდნენ. ასევე, უფროსი ნათესავებისა და გარეშე პირების თანდასწრებით მამა თავის შვილებს სახელებით არ მიმართავდა.

ქორწინება ნათესავებს შორის მხოლოდ სამი თაობის ფარგლებში იკრძალებოდა. ჩაჩანი შეიძლებოდა თავისი *თაღფისა* და *ნეკეს* წევრზეც კი დაქორწინებულიყო (ეს მათ ინგუშებისაგან გამოარჩევდა, რომლებთანაც ქორწინება მკაცრად ეგზოგამიური იყო), მაგრამ ქალებს მაინც უპირატესად სხვა *თაღფებიდან* თხოულობდნენ. ხშირად მცირეწლოვან ბევშვებსაც ნიშნავდნენ. საერთოდ, ჩაჩნეთში საქორწინო აკასი ვაჟებისათვის 18-20 წელი იყო, ქალიშვილებისათვის 17-18 წელი. თუ ქალი თავის ცუდ ხასიათს, ქცევას გამომაჟღავნებდა და მისი ქცევა ქმრისათვის მიუღებელი იქნებოდა, ამ უკანასკნელს შეეძლო თავის რჩეულს ძალიან უბრალოდ გაყროდა, მხოლოდ სამჯერ უნდა გაემეორებინა: *„შენ უკვე ჩემი ცოლი არა ხარ“* (გაყრის ეს წესი ისლამური შარიათიდან მოდის). ამ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია: „ჩაჩანი ხანდაზმული მთხრობელი მამაკაცი ცოლ-ქმრის ხშირად გაყრას და ახალი ოჯახის შექმნას ხსნის იმით, რომ „უწინ მთაში და ბარშიც დიდი სიღარიბე იყო. შეძლებულ ოჯახში ქალის მითხოვებაზე (მესამე, მეოთხე ცოლადაც კი) მშობლები უარზე არ იყვნენ. ქმრის მიზეზით ქალის მშობლების ოჯახში დაბრუნება შეურაცხყოფად არ ითვლებოდა. პირიქით,

რამდენჯერმე გათხოვილი ქალი მეტი ავტორიტეტით სარგებლობდა, ვიდრე ერთხელ გათხოვილი“ (ლ. მარგოშვილი). განქორწინება გარდაუვალი იყო იმ შემთხვევაშიც, თუ ცოლი ქმრის ნათესავებს უპატივიცემულოდ ექცეოდა. ჩაჩანი ქალი დაქვრივების შემდეგ იშვიათად ინარჩუნებდა ქმრის გვარს. შვილებს ბებია-პაპას უტოვებდა და მშობლიურ ოჯახში ბრუნდებოდა; ერთ-ორ წელიწადში კი აუცილებლად ახალ ოჯახს ქმნიდა.

ფართოდ იყო გავრცელებული პატარძლის უმძრახობა.

ქორწილი ნეფის სახლში რამდენიმე დღე გრძელდებოდა. პატარძლის მოსაყვანად მაყრების დიდი რაოდენობა მიემგზავრებოდა. საყურადღებოა, რომ როგორც ნეფე, ისე პატარძალი ქორწილს არ ესწრებოდა. ნეფე მეგობრის ან ნათესავის სახლში იმალებოდა, ანდა ზოგჯერ ტყეში მიდიოდა. ქორწილის შემდეგ, პირველ ხანებში, ქმარი გარეშეთ, თავის მშობლებსაც კი თავს არიდებდა, ცოლს კი საიდუმლოდ – მხოლოდ ღამით ხვდებოდა.

ვაჟის დაბადებისას ნადიმს აწყობდნენ. ამ დროს მამის ერთ-ერთი ნათესავი ახალდაბადებულს სახელს არქმევდა. ფართოდ გავრცელებულ მუსლიმურ სახელებთან ერთად, შემორჩენილი იყო ძველი ჩაჩნური სახელებიც. ისტორიულად, ჩაჩნეთში დაკრძალვის თავისებური წესი არსებობდა. ტრადიციულად ისინი მიცვალებულებს მიწისზედა დასაკრძალავ ნაგებობებში ანუ აკლდამებში კრძალავდნენ. ჩაჩნეთში (ისევე როგორც ინგუშეთში) აკლდამების უქონლობა უთვისტომობის (უგვარობის) ნიშანი იყო. როდესაც ქალიშვილს ათხოვებდნენ, ანდა ვაჟს აქორწინებდნენ, მშობლები პირველ რიგში არკვევდნენ ჰქონდა თუ არა საპატარძლოს ან სასიძოს საგვარეულო აკლდამა. თუ ასეთი არ აღმოაჩნდებოდათ, ქორწინებაც არ შედგებოდა. ჩაჩნეთში მიწისზედა აკლდამას *ქაშს* უწოდებდნენ, რაც „მზის სამარედ“ ითარგმნება.

დღეს ჩაჩნები მაჰმადიანი სუნიტები არიან. ბოლო წლებში ჩაჩნეთში ვაჰაბიზმიც გავრცელდა. მაგრამ, აქ თავდაპირველად ქრისტიანობა იყო გავრცელებული. ამ რელიგიამ ჩაჩნეთში VIII და განსაკუთრებით XI საუკუნეებიდან საქართველოდან მოიკიდა ფეხი. მაგრამ, მთის სოციალური და ეკონომიკური პირობები აქ ქრისტიანობის ფართოდ და ღრმად გავრცელების საშუალებას არ იძლეოდა. ჩაჩნეთში ქრისტიანობა მხოლოდ ზედაპირულად შევიდა. **მთიან ჩაჩნეთში, განსაკუთრებით, *არღუნის* ხეობაში, ბოლო დრომდე ეკლესიათა ნანგრევები და ქვის ჯვრები იყო შემორჩენილი.** საქართველოდან ქრისტიანობის შეღწევის დამადასტურებელია ზოგიერთი ჩაჩნური ლინგვისტური ერთეული. მაგალითად: ჩაჩნურად კვირას ეწოდება *კვირა,* პარასკევს – *პერისკა*, შაბათს – *შუოთდე,* მარხვა – *მარხ* და ა. შ.

XVI საუკუნეში ჩაჩნეთში დაღესტნიდან შეღწევას იწყებს ისლამი, მაგრამ XVIII საუკუნემდე მან აქ ფეხი ფართოდ ვერ მოიკიდა. გადმოცემების თანახმად, ხუნძების გარდა ჩაჩნეთში მაჰმადიანობას ყუმუხებიც ავრცელებდნენ. კერძოდ, ჩაჩნურ სოფლებში მწყემსებად ხუნძი და ყუმუხი მოლები მოდიოდნენ, რომელთა ძირითად მიზანს სწორედ ახალი სარწმუნოების გავრცელება წარმოადგენდა. ჩაჩნეთში ისლამი საბოლოოდ XIX საუკუნის შუა ხანებში დაღესტანელთა და ჩაჩანთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში გავრცელდა. ჩაჩნეთში ისლამის გავრცელებამ ზოგიერთ *თაიფს* შორის დაპირისპირებაც კი გამოიწვია. ამის გამო, რამდენიმე გვარმა თავისი საცხოვრებელი ადგილი დატოვა და ისინი რუსებისაკენ გადავიდნენ, რადგან მათ რელიგიურ ძმებად თვლიდნენ: *ბილეტოევები, ვარანდოევები, ახშატოევები, გუნოევები* და სხვა კაზაკთა სტანიცებსა და რუსულ სოფლებში დასახლდნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში იმასაც მიუთითებენ, რომ აღნიშნული გვარების რუსეთის მხარეზე გადასახლების ძირითადი მიზეზი მათი ეკონომიკური მდგომარეობა, ძლიერი *თაიფების* მიერ შევიწროვების შედეგი იყო. ჩაჩნებში შემორჩენილია ძველი ჩაჩნური რწმენა-წარმოდგენებიც: ტოტემიზმი, ანიმიზმი, მაგია, საოჯახო-გვაროვნული კულტები, აგრარული და მიცვალებულის

კულტები და ა. შ. ჰქონდათ ღვთაებათა პანთეონი, რომლის სათავეშიც უზენაესი ღვთაება – *დიელა* იდგა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხურ მედიცინას. აღსანიშნავია კალენდარული წეს-ჩვეულებებიც. ჩაჩნებს ქართველ მთიელებთან მრავალმხრივი ურთიერთობა ჰქონდათ, რომელთაგან რელიგიური ასპექტია აღსანიშნავი. დადასტურებულია საერთო სალოცავების არსებობა, ერთობლივი კულტმსახურება და სხვ. მართალია, *ანატორის ჯვარი* შატილელთა სალოცავი იყო, მაგრამ მას, როგორც „წმინდა“ ნადირის მფარველ ღვთაებას, ქართველ მთიელებთან (ხევსურებთან) ერთად ქისტებიც ლოცულობდნენ. ქისტეთის სოფელ *ჯვარეგოში ანატორის* ნიშიც მდგარა.

ჩაჩნებს ადრე დამწერლობა არ ჰქონიათ. ის საბჭოთა პერიოდში შეიქმნა. მას შემდეგ შეიქმნა ჩაჩნური მხატვრული ლიტერატურა, რომელიც ხალხურ ზეპირსიტყვიერებას ეფუძნება. ჩაჩნურ თქმულებებში, ისევე როგორც ინგუშურში, ასახულია ჩრდილოეთ კავკასიაში XIV საუკუნეში *თემურ-ლენგის* ლაშქრობებისა და ოქროს ურდოს ერთ-ერთ ხანთან – *თოხთამიშთან* ბრძოლის ამბები. შემორჩენილია სიმღერები, რომლებიც ასახავენ ყაბარდოელი, ხუნძი და ყუმუხელი ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლას.

დღეს ჩაჩნეთი მოსახლეობის დიდი ნაწილისაგან დაცლილია. ბევრი ჩაჩანი ლტოლვილობაშია. დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ისინი თვით რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ოლქებში. არაერთი ჩაჩანი რუსეთში მსხვილი ბიზნესმენია. რუსეთში მცხოვრები ჩაჩნები ინარჩუნებენ ტრადიციებს, მენტალიტეტს. დღესაც ეთნოსთაშორის ქორწინება ჩაჩანი ქალიშვილისათვის წარმოუდგენელია. ასეთი ქორწინება მთელი გვარისათვის სირცხვილად ითვლება. რუსეთში მცხოვრებ ჩაჩანთა ინდივიდუალურ ოჯახებს კვლავ ბევრი ვალდებულება აქვთ გვარის წინაშე; რამდენიმე ოჯახი თავის საქმეს ერთად აწარმოებს. მოსკოვში მცხოვრები ჩაჩნები აკონტროლებენ სასტუმროებს, საოფისე ცენტრებს, სავაჭრო კომპლექსებს, და აგრეთვე სათამაშო ბიზნესის მნიშვნელოვან წილს. რუსეთის ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ჩაჩნები გარდაცვლილ თანამემამულეს ადგილზე არ კრძალავენ და მას აუცილებლად ჩაჩნეთში საგვარეულო სასაფლაოზე მარხავენ.

III. 3. პანკისელი ქისტები©

ქისტების/პანკისელი ქისტების ეთნიკური ჯგუფი საქართველოში – პანკისის ხეობაში ცხოვრობს. 2002 წლის მოსახლეობის აღწერით ქისტების რაოდენობა 7110 კაცს შეადგედა. სახელწოდება *ქისტი* პირველად VII საუკუნის „სომხურ გეოგრაფიაშია“ მოხსენიებული, იგივე ტერმინი მოხსენიებულია XIII საუკუნის ქართულ წყაროშიც. ცნობილია, რომ ქართველი მთიელები (თუშები, ხევსურები, ფშაველები...) ჩაჩნებსაც და ინგუშებსაც *ქისტებს* უწოდებდნენ. ამასთანავე, ძველ ქართულ წყაროებში ჩაჩნები *ძურძუკებად//დურძუკებად* არიან სახელდებულნი, ინგუშები – *ღლიღვებად*. ორივე ეთნონიმი მოგვიანებით ტერმინებით *ჩაჩანითა* და *ინგუშით* შეიცვალა. ხოლო ეთნონიმი *ქისტი* დღემდე უცვლელი დარჩა. ქართულ ენაში ეთნონიმი *ქისტი* ინგუშური ენიდანაა შემოსული. ცნობილია, რომ ინგუშები რამდენიმე ეთნოგრაფიულ ჯგუფად/ტერიტორიულ ერთეულად იყოფოდნენ. ერთ-ერთი ასეთი ეთნოგრაფიული ერთეული *ქისტების ეთნოგრაფიული ჯგუფი* იყო. სხვანაირად ინგუში *ქისტები მეცხალელებადაც* იწოდებოდნენ. პანკისელი ქისტების აღსანიშნავად ჩაჩნები და ინგუშები იყენებენ ტერმინებს – *გურჯიეხარ ნოხჩი* („ჩაჩანი საქართველოდან“) და *გურჯიეხარ ვაინახ* („ქართველი ვაინახი“). აღსანიშნავია, რომ ჩაჩნებსაც, ინგუშებსაც და ქისტებსაც გააჩნიათ საკუთარი ენდოეთნონიმები, თუმცა დანარჩენი კავკასიელებისაგან განცალკევებით, თავს

© გიორგი ჭეიშვილი

გაიაზრებენ ერთ დიდ ერთობად ეთნონიმით „ვაინახ“, რაც ნახურ ენებზე ნიშნავს *ჩვენ ხალხს* („ვეი“ – ჩვენი, „ნახ“ – ხალხი).

ქისტები ჩაჩნურ-ინგუშური ენების ქისტურ დიალექტზე მეტყველებენ. ყველა ქისტი ქართულადაც მეტყველებს. ქისტების საქართველოში (კახეთის პანკისის ხეობაში) მიგრაცია და კომპაქტური დასახლება XIX საუკუნის 50-60-იან წლებში მოხდა. მიგრაცია მიმდინარეობდა როგორც ჩაჩნეთიდან, ისე ინგუშეთიდან. გადასახლებას ცარიზმი ხელს უწყობდა. მიგრაციიდან ცოტა ხანში ქისტების ნაწილი აყრილა; ისინი სამშობლოში უკან დაბრუნებას აპირებდნენ. მაგრამ ხელისუფლებას ვაინახები უკან დაუბრუნებია. პანკისში ქისტები მკვიდრობენ *დუისში, ჯოყოლოში, ბირკიანში, ომალოში, დუმასტურში.* 1886 წლის საოჯახო სიებში კიდევ ერთი სოფელი – *ხორეჯაა* დასახელებული (7 კომლი, 50 სული). *დუისში* შესაბამისად ქისტების რაოდენობა იყო 85 კომლი, 546 სული, *ომალოში* – 40 კომლი, 219 სული, *ჯოყოლოში* – 32 კომლი, 205 სული. 1901 წლის მონაცემებით, პანკისში ქისტები ცხოვრობდნენ აგრეთვე *ჩხათანასა* (48 სული), და *ძიბახევში* (40 სული). საქართველოს პანკისის ხეობაში ქისტების დასახლება 1840-1858 წლებში მოხდა. პირველი მიგრანტები იყვნენ თიანეთის მაზრაში შემავალი ჩაჩნური სოფლის *სახანოს* მკვიდრნი. გადმოსახლების ინიციატორები იყვნენ *დუი* და *ჯოყოლა.* შესაბამისად მათ დააფუძნეს სოფლები *დუისი* და *ჯოყოლო.* ჯოყოლოელები უშუალოდ ინგუშეთის *ქისტეთის* (*მეცხალის*) ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან არიან მოსული 1845-1859 წლებში. ქისტები მოსული არიან აგრეთვე *ხილდიხაროდან, მაისტიდან, ჭინახიდან, გეზახიდან, ჰაჩაროდან, ჯაირახიდან, ერშტხოიდან...* ეს სოფლები ყველაზე ძნელად მისადგომი და მიწის სიმცირით გამოირჩეოდნენ.

პანკისტელ ქისტებს ქართული გვარსახელები აქვთ, რომელთა გვარები ძირითადად -შვილი სუფიქსით ბოლოვდება (*ალბუთაშვილი, ბორჩაშვილი, გაურგაშვილი, გუმაშვილი, ცათიაშვილი, დუიშვილი, თურქოშვილი, მარგოშვილი, მაჩალიკაშვილი, ფარეულიძე, ქავთარაშვილი, ციხესაშვილი, ხანგოშვილი, ბაღაკაშვილი...*). ქართულფორმატიანი გვარსახელები ქისტებს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მიანიჭა; ჩამოსახლების შემდეგ 1866 წელს ქისტებმა ქრისტიანობა მიიღეს.

დღეისათვის პანკისელი ქისტების 99% სუნიტი მუსლიმია, თუმცა თავდაპირველად პანკისის ხეობის ქისტურ მოსახლეობაში მართლმადიდებელი ქრისტიანების რაოდენობა აჭარბებდა მუსულმანთა რიცხვს. პანკისელი ქისტები როდესაც საქართველოში XIX საუკუნეში გადმოსახლდნენ, ამ დროს ვაინახებში რელიგიური მდგომარეობა საკმაოდ ჭრელი იყო. ნაწილს ისლამი უკვე მიღებული ჰქონდა, ნაწილი ქრისტიანი გახლდათ, ხოლო ნაწილი ძველი, წარმართული რწმენა–წარმოდგენების მიმდევარი იყო. რელიგიური აღმსარებლობის მხრივ განსხვავება იყო პანკისის ხეობის ქისტურ სოფლებს შორისაც. XIX საუკუნის 80–იან წლების რელიგიური აღმსარებლობის აღრიცხვის შედეგების მიხედვით სოფელ დუისში 546 მოსახლიდან 47 მართლმადიდებელი ქრისტიანია, ხოლო 499 – მუსულმანი. განსხვავებული ვითარებაა სოფელ ჯოყოლოსა და ომალოში. ჯოყოლოში 205 მოსახლიდან 187 მართლმადიდებელი ქრისტიანია, 18 – მუსულმანი; ომალოში 456 სულიდან მართლმადიდებელი ქრისტიანია 262 მოსახლე, მაჰმადიანი კი – 194. საინტერესოა, რომ XX საუკუნის დასაწყისში დუისელი მუსლიმი ქისტები ჯერ კიდევ ასრულებდნენ რიგ ქრისტიანულ წესებს. დიასახლისი სადღესასწაულო სუფრას უსათუოდ გადასახავდა ჯვარს, კერას – ასტამით, ქადას – დანით, სხვა საჭმელს – მარილით და მოიხსენიებდა მიცვალებულთა სახელებს. ასევე, ინახავდნენ მარხვას. XIX საუკუნის ბოლოს დუისელებმა მეჩეთის აშენების უფლება მიიღეს, მალე რუსეთის მეფემ სარწმუნოების თავისუფლებაც გამოცხადა, ამას მოჰყვა ჭარ-ბელაქნიდან ისლამური სექტის – „მიურიდიზმის“ გავრცელება. სექტის პრიორიტეტს ისლამის გავრცელება და მისიონერული საქმიანობა წარმოადგენდა. 1905 წელს პანკისში გროზნოდან მრავალი მოლა მოვიდა ისლამის

განსამტკიცებლად. ამ მოვლენებმა ხელი შეუწყო მთელი ხეობის ისლამიზებას. ქისტებიდან ისლამის მქადაგებლები ყოფილან დუისელი ხანგოშვილები. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იწყება ჯოყოლოს მოსახლეობის სწრაფი გამაჰმადიანება. მანამდე სოფელში მეღორეობის ფერმაც კი ჰქონდათ. პანკისელ ქისტებს შორის ისლამის განმტკიცებაში დიდი როლი ითამაშა 1990–იან წლებში რუსულ–ჩეჩნური ომების შედეგად ლტოლვილი ჩაჩნების ხეობაში შემოსვლამ. ამ ფაქტმა საფრთხის წინაშე დააყენა ტრადიციული ისლამიც, რადგან იყო მცდელობები რადიკალური ისლამური სექტების გავრცელებისა. ჯოყოლოელთა გადასვლა მაჰმადიანურ რჯულზე დასრულდა XX ს-ის 90-იანი წლების დამდეგს.

ვაინახები, როგორც ცნობილია, *თაღფებად* იყოფოდნენ; ის მყარი სოციალურ ორგანიზმი იყო და მის წევრებს გარკვეულ მოვალეობას ანიჭებდა. პანკისში დამკვიდრებული ქისტები, ძირითადად, შემდეგი *თაღფების* (საგვარეულოთა კავშირების) წარმომადგენლები არიან: *მაისტი, ხილდეჰარო, დიშნიე, მელხი, ლამ-ახხა, ჰაჩარო, ჭანთი* და ა. შ. ამ *თაღფებიდან* მაისტის, მელხის, ჭანთის და ხილდეჰაროს ტერიტორიები XX ს. 20-იან წლებამდე საქართველოს შემადგენლობაში შემოდიოდა. ამდენად, იქ მცხოვრები ქისტები საქართველოსთან იყვნენ დაკავშირებულნი და ბევრი მათგანი ქრისტიანობას ნომინალურად მაინც აღიარებდა – განსაკუთრებით მელხის და ხილდეჰაროს თეიფის წარმომადგენლები.

პანკისში ჩამოსახლებული ქისტები, პირველ ხანებში, განაგრძობდნენ მეკობრეობას, რაც კავკასიელ მთიელთათვის სარჩო-საბადებლისა და ლუკმა პურის მოპოვების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას წარმოადგენდა, თუმცა, თანდათან, ადგილობრივი, ბარის მოსახლეობიდან შეითვისეს მეურნეობის სხვადასხვა დარგების გაძღოლა და მეკობრეობას თავი დაანებეს. მეურნეობის ძირითად დარგს ქისტებში ოდითგანვე მესაქონლეობა წარმოადგენდა. პანკისელი ქისტები გადარეკვით მესაქონლეობას ეწეოდნენ და ცხვარ-ძროხა ზაფხულობით ალპურ საძოვრებზე მიჰყავდათ. ასევე ჰყავდათ კამეჩი. ძველად ქისტები მეფრინველეობას ნაკლებად მისდევდნენ, მხოლოდ რამდენიმე ფრთა ქათამი ჰყავდათ სტუმრისათვის და იშვიათად ოჯახისათვის, რადგან ვაჭრობა მათთვის უცხო დარგი იყო, თუმცა, კახელებთან ურთიერთობის შედეგად, თანდათან მეფრინველეობაც განვითარდა.

პანკისში დასახლების შემდეგ მიწათმოქმედება თანდათან ქისტთა მეურნეობის ერთ-ერთი ძირითად დარგად იქცა. ხეობა მართალია მთა-გორიანია, მაგრამ ელემენტარული საჭიროებისათვის სამყოფი მოსავლის მოწევის საშუალებას იძლევა. მოჰყავთ სიმინდი, კარტოფილი, ლობიო და სხვა ბოსტნეული, თუმცა მცირე რაოდენობით, რადგან მიწათმოქმედება ქისტებისათვის ისტორიულადაც ნაკლებად იყო დამახასიათებელი, რაც, ბუნებრივია, მათი თავდაპირველი განსახლების არეალის ბუნებრივ–გეოგრაფიული პირობებით იყო გაპირობებული.

ქისტების ყოფაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა მონადირეობას; ის არა მხოლოდ საკვების მოპოვებასა და მატერიალური სარგებელის წყაროს წარმოადგენდა, არამედ იყო სახელის მოხვეჭისა და თავის გამოჩენის, ვაჟკაცობის დამცკიცების საშუალებაც.

ქისტი ქალები მისდევდნენ მატყლის დამუშავებას, ამზადებდნენ საჩოხე შალებს, ფარდაგებს, წინდებს, ნაბდებს, ქეჩებსა და ე. წ. თუშური (კახური) ქუდის დასამზადებლად საჭირო ქსოვილს.

ქალის ტრადიციულ სამოსს ჩითის კაბა, თავზე უბრალო თავსაფარი, ფეხზე კი, ქალამანი წარმოადგენდა. ზამთარში ბატკნის „ტყავ–ქათიბით“ იმოსებოდნენ. ისლამის აღმსარებლობის მიუხედავად, ისინი არ იყვნენ შეზღუდული ჩადრის ტარების ვალდებულებით.

მამაკაცების ტანისამოსს წარმოადგენდა შინმოქსოვილი პერანგი, შავი შალის შარვალი, *დუშლუყი* (ჟილეტის მაგვარი სამოსი), მოგრძო შავი ახალუხი და შალის ნაოჭიანი ჩოხა. თავზე იხურავდნენ ნაბდის ქუდს, ან გრძელბეწვიან ფაფახს. ფეხზე იცვამდნენ ქალამანსა და შალის განიერი პაჭიჭებს. კახეთსა და ქართლში

გავრცელებული მამაკაცის ქუდი, რომელიც კახეთში *თუშური ქუდის* სახელითაა ცნობილი, ხოლო ქართლში – *კახური ქუდისა*, XX საუკუნეში ძირითადად ქისტი ქალების მიერ კეთდებოდა. ცხვრის ტყავისაგან ამზადებდნენ ქურქებს, ფეხსაცმელს...

ქისტთა საცხოვრებლები ძალზედ უბრალო იყო. XIX საუკუნის მიწურულს ამ მხრივ არსებულ მდგომარეობას ასე აღწერს ქისტი მღვდელი *მათე ალბუთაშვილი*: „პანკისში პირველად დასახლებული ქისტების სახლს მეც მოვესწარი, ის იყო ოთხ ბოძზე, კაცის სიმაღლედ ამოწნული სასუქ-ტალახით გალესილი, ზევიდან ნაფოტ-ბენჩო დაყრილი, მიწით დატკეპნილი 6–7 მეტრის სიგრძის, შესაფერისი სიგანით...“. მოგვიანებით დაიწყეს მიწიდან გარკვეულ სიმაღლეზე, მუხის ფეხებზე შემდგარი წიფლის სახლების შენება, მიწური იატაკით, ბუხრითა და მცირე აივნით. როგორც ჩანს, თავდაპირველად, ქისტები მსგავს მარტივსა და ღარიბულ სახლებში ცხოვრობდნენ, თუმცა როგორც მრავალჯერ აღინიშნა, ბარის ქართული მოსახლეობიდან მათ ბევრი სიახლე გადმოჰქონდათ საკუთარ ყოფაში.

ქისტური სოფლებისათვის დამახასიათებელი იყო მცირე კარ-მიდამო, შემოზღუდული წნელის ღობით, ან ყორით საცხოვრებელი და მრავალგვარი დამხმარე ნაგებობით. დასახლების ტიპი ძალზედ მჭიდრო იყო, რაც მთიელთათვის დამახასიათებელი მოვლენაა.

ქისტებისათვის დამახასიათებელია მკაცრი ეგზოგამია. იმის მიუხედავად, რომ ისლამი ნათესავთა ქორწინებას არ კრძალავს, ქისტებში საკუთარ გვარს შიგნით ან ნათესავთან დაქორწინება ჩაქოლვის ან სოფლიდან მოკვეთის მიზეზი ხდებოდა. იმ ადგილას, სადაც დამნაშავეები იქნენ დასჯილნი, ყველა ამვლელ-ჩამვლელი ვალდებული იყო ქვა ესროლა და დაეწყევლა ცოდვის ჩამდენნი. ამ ჩვეულების გამო, ტრადიციის დამრღვევთა სახელები ათწლეულების განმავლობაში რჩებოდა ხალხის მეხსიერებაშიმ და ცოდვისა და უზნეობის მაგალითს წარმოადგენდა, რაც ფაქტობრივად, გამორიცხავდა რეციდივებს.

ქისტების ოჯახში მთავარ საქმეს ქალი აკეთებდა. ის ვალდებული იყო მიეხედა არა მარტო შინასაოჯახო საქმეებისათვის, არამედ მუშაობდა ფიზიკურადაც, მიწის დამუშავება იქნებოდა ეს თუ სხვა. ქისტის ქალი 3–4 წლის ასაკიდან იწყებდა დედისათვის საოჯახო საქმეებში დახმარებას, ასაკის მატებასთან ერთად კი საქმეც ემატებოდა. დიასახლისის ავადმყოფობის შემთხვევაში მისი საქმეები მეზობლის ქალს, ან ნათესავს უნდა შეესრულებინა. მუშაობა კაცისათვის სირცხვილად ითვლებოდა. პანკისელმა ქისტმა მამაკაცებმა, დროთა განმავლობაში, დაივიწყეს მთის ეს ტრადიცია და აქტიურ სამეურნეო საქმიანობას მიჰყვეს ხელი, რის გამოც ხშირად დაცინვის ობიექტები ხდებოდნენ ჩრდილოკავკასიელი თანამოძმეების მხრიდან.

დასაქორწინებელი ქისტი ვაჟი მუშაობას ერიდებოდა, რადგან იცის, რომ მოუვლელსა და ნაჯაფარს ქალს არავინ გაატანდა, ამიტომ მთელ დღეს ჯირითში ატარებდნენ მორთულ-მოკაზმულნი.

პანკისელმა ქისტებმა საქართველოში ჩამოსახლების დღიდანვე გაიაზრეს საკუთარი მოვალეობები ახალი სამშობლოს წინაშე. პანკისში მცხოვრები ოსებისაგან განსვავებით, ისინი გვერდში დაუდგნენ საქართველოს დამოუკიდებელ მთავრობას და ჯარიც კი შეკრიბეს მის დასახმარებლად, მაგრამ 1921 წლის თებერვალში საბჭოთა მე–11 არმიამ მოახერხა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამარცხება, რასაც საქართველოს გასაბჭოება მოჰყვა. ეს თანადგომა ძვირად დაუჯდათ ქისტებს, ისინი ჯერ მე–11 არმიის ჯარისკაცებმა პირწმინდად გაძარცვეს, შემდეგ კი მაღალ თანამდებობებზე ოსები დაუნიშნეს, რომლებიც ავიწროვებდნენ ქისტებს. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ქისტების ბრძოლა ამითი არ დასრულებულა, ისინი მხარში ამოუდგნენ *ქაქუცა ჩოლოყაშვილს* (*დათიკო ფარეულიძე, ჰასეი აჭიშვილი* და სხვა). სწორედ პანკისელი ქისტები დაეხმარნენ შეფიცულებს ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ვაინახებთან

მოლაპარაკებებში, რათა მათაც მიეღოთ ხევსურთა აჯანყებაში მონაწილეობა. რამდენიმე ეროგული ქისტი ემიგრაციაშიც კი გაჰყვა ქაქუცას.

ქისტების ტრადიციულ ყოფას ბევრი მსგავსება აქვს ქართულ, განსაკუთრებით, მთის მოსახლეობის ყოფასთან. იმის გამო, რომ არ არსებობდა ძირეული კულტურული შეუსაბამობები, პანკისის ქისტური მოსახლეობა ადვილად შეეგუა გარემოს და წარმატებულად მოახდინა ადაპტაცია ქართულ ეთნიკურ და სახელმწიფო სივრცეში. სულ რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში ქისტები ჩამოყალიბდნენ საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად, ამასთან ერთად კი შეინარჩუნეს საკუთარი იდენტობა, ენა და ტრადიციები.

IV. დაღესტნური მოდგმის ხალხები

IV. 1. ხუნძები (ავარიელები)

დაღესტნის ხალხთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანნი ხუნძები არიან. 2002 წლის მონაცემებით, რუსეთის ფედერაციაში 757 ათასი ხუნძი ცხოვრობდა. დაღესტანში 612,6 ათასი ხუნძი იყო აღრიცხული, თუმცა ამ რაოდენობაში მათი მონათესავე რამდენიმე პატარა ხალხიცაა შეყვანილი. 1926 წლის აღწერით, 177,2 ათასი ხუნძი მკვიდრობდა, 1989 წელს მათმა რაოდენობამ 491 ათასს გადააჭარბა. ასე რომ, 80 წლის განმავლობაში ხუნძთა დემოგრაფიული ვითარება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ხუნძები, გარდა დაღესტნისა, ცხოვრობენ აგრეთვე: ჩაჩნეთში, ყალმუხეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთში. ხუნძების განსახლების ძირითადი არეალია დასავლეთ დაღესტნის მთიანი რაიონები. მათი 68% დაღესტნის 22 რაიონის სოფლებში მკვიდრობს. ქალაქ *მაჰაჩყალაში* მოსახლეობის 21% ხუნძია, *ყიზილიურტში, იუჟნო-სუხოკუმსკსა* და *ბუინაკსკში* ისინი 43-52% არიან, *ხასავიურტში, ყიზლარში* და *კასპიისკში* – 12-22%. აზერბაიჯანში ხუნძები საქართველოს ისტორიულ პროვინციაში – აღმოსავლეთ კახეთში (დღევანდელ საინგილოში) ცხოვრობენ. *ზაქათალისა* და *ბელაქანის* რაიონებში მათი რაოდენობა 45 ათასი კაცის ფარგლებშია. არიან საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზეც (ყვარლის რაიონში დაახლ. 4,2 ათასი). ხუნძები არა მხოლოდ რაოდენობით არიან მეტნი დაღესტნის სხვადასხვა ხალხებს შორის, არამედ მათ ამ მხარის ყველაზე დიდი ტერიტორიაც უკავიათ. ხუნძური ენის გავრცელების არეალი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ 170 კმ-ზეა განფენილი, ხოლო სიგანიერე დასავლეთიდან აღმოსავლეთით – დაახლ. 70 კმ-ია. ისტორიულად ხუნძებს დაღესტნის სამი მდინარის აუზი უკავიათ. ესენია: *ავარიის ყოისუ, ანდის ყოისუ* და *ყარა-ყოისუ.* 1940-1960 წლებში მაღალმთიანი რაიონებიდან ბარის რაიონებში (*ყიზილიურტის, ხასავიურტის* და *ყიზლარის* რაიონებში) 120 ათასი ხუნძი გადაასახლეს.

ხუნძების თვითსახელწოდებაა **მაარულალ**, რაც „მთიელს“ ნიშნავს. რუსები ხუნძებს **ავარიელებს** უწოდებენ. ეს ეთნონიმი რუსებისაგან სხვა ხალხებშიც გავრცელდა. არც თუ ისე დიდი ხნის წინ ხუნძებით დასახლებულ ტერიტორიას ავარიას და ამ ტერიტორიაზე მოსახლეთ ავარიელებს არავინ არ უწოდებდა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ სიტყვა *ავარია* დაკავშირებულია *სერირის* მეფე *ავართან,* რომელიც V საუკუნეში მეფობდა (ამის შესახებ ცნობა მოეპოვება X საუკუნის არაბ ისტორიკოსს *იბნ-რუსტას*). დადგენილია, რომ ტერმინი *ავარი* არაა დაკავშირებული VI-IX საუკუნეების მომთაბარე თურქულენოვან ხალხთან *ავარებთან.* ხუნძახის სახანოს და მისი მოსახლეობის მიმართ *ავარიისა* და *ავარების* გამოყენება ძალიან გვიან დაიწყეს. ხუნძახის (ავარიის) ყოველ საზოგადოებას საკუთარი სახელწოდება ჰქონდა. როგორც აღვნიშნეთ, მთელი ხალხის აღმნიშვნელი ენდოეთნონიმი *მაარულალი* იყო. *XX საუკუნის დასაწყისამდე ამ ხალხის არც ერთი ადამიანი არ იტყოდა, რომ ის ავარიელია.* 1950-იან წლებში ბევრმა მოხუცმა არც კი იცოდა რა არის *ავარიელი. ხუნძთა* აღმნიშვნელი ქართული ეთნონიმი ***ხუნძები* ერთ-ერთი დიდი სოფლისა და საზოგადოების სახელწოდებიდან – *ხუნძახიდან* მომდინარეობს**. მეზობელი ხალხები დაღესტნელ ხუნძებს სხვადასხვა სახელებით მოიხსენიებდნენ. დარგუელებისათვის ისინი *ყარახან*-ები იყვნენ, ლაკებისათვის – *იარუსა,* ყუმუხებისათვის – *თავლულარ,* აზერბაიჯანელებისათვის – *ლეზგილერ,* ჩაჩნებისათვის – *ჯაი.* რაც შეეხება ქართველებს, ისინი ხუნძებთან ერთად ეთნონიმ *ლეკსაც* იყენებდნენ, თუმცა ის ქართულ ენაში არა მხოლოდ ხუნძებს, არამედ დაღესტნის ყველა ხალხს აღნიშნავდა.

ხუნძები, ისევე როგორც დაღესტნელების უმეტესობა, ანთროპოლოგიურად დიდი ევროპეიდული რასის წინააზიური (ანუ ბალკანურ-კავკასიური) რასის კავკასიონურ

ვარიანტს მიეკუთვნებიან. ისინი საშუალო სიმაღლისანი არიან, აქვთ ქერა ან შავგვრემანი თმა, მაღალი და განიერი სახე.

ხუნძური ენა ჩრდილოეთკავკასიურ ენათა იჯახის ნახურ-დაღესტნური ჯგუფის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ანუ ხუნძურ-ანდიურ-ცეზურ ქვეჯგუფში შედის. მას ბევრი დიალექტი აქვს და ბევრი საზოგადოება და სოფელი თავის დიალექტზე ლაპარაკობს. მეზობელი სოფლების კილო-თქმებიც კი ხშირად ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. ბევრი დაღესტნელისათვის ხუნძური ურთიერთობის საშუალებაა. ხუნძურ სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს ერთგვარი კოინე – „სტუმრის ენა“, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული იყო ბაზრებში, სტუმრად ურთიერთობის დროს. სპეციალურ ფილოლოგიურ ლიტერატურაში საერთო ენას *ბოლმაწს* – „ლაშქრობის ენას“, „მოლაშქრის ენას“ უწოდებენ. *ბოლმაწის* შემუშავება ერთიანმა სამართლებრივმა სისტემამ და პოლიტიკურმა კონსოლიდაციამაც განაპირობა. ხუნძური დამწერლობა არაბული გრაფიკის საფუძველზე (*აჯამი*) XV-XVI საუკუნეებში შეიქმნა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ არაბთა დაღესტანში გამოჩენამდე ხუნძები ალბანური და ქართული დამწერლობით სარგებლობდნენ. 1928 წელს ხუნძური დამწერლობა ლათინურ გრაფიკზე გადავიდა, 1938 წლიდან – რუსულ ანბანზე. დღეისათვის ხუნძურ ენაზე იბეჭდება წიგნები, ჟურნალები და გაზეთები. სკოლებში მეოთხე კლასამდე ხუნძები მშობლიურ ენაზე სწავლობენ, ხოლო მეოთხე კლასის ზემოთ ისინი მას როგორც ერთ-ერთ საგანს ისე გადიან.

ხუნძეთის ტერიტორიაზე განსახლებული სხვადასხვა ტომი ძვ. წ.-ის პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ კავკასიაში წარმოქმნილი ალბანეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. დაღესტნის ტერიტორიაზე V-VI საუკუნეების ადრესახელმწიფოებრივი წარმონაქმნი – *სარირის/სერირის* სამეფო ძირითადად ხუნძებით განსახლებულ ტერიტორიას მოიცავდა. სარირის მეფეები ქართველი სასანიდები იყვნენ წარმოშობით და ისინი იქ „წუქეთში“ მეფე *ვახტანგ გორგასალმა* დასვა. IX-X საუკუნეების წყაროების ცნობით, სარირის/სერირის სამეფოს საზღვრები გაფართოებულა და ის მთიან ხეობებთან ერთად სტეპებსაც მოიცავდა. სარირის/სერირის სახელით ის სპარსულსა და არაბულ წყაროებში მოიხსენიება. XIV საუკუნიდან სარირის/სერირის სამეფოს პოლიტიკური გაერთიანება დაღესტნურ ქრონიკებში ავარიად იწოდებოდა. ამ ქვეყნის მცხოვრებთ განვითარებული ჰქონდათ მეურნეობის სხვადასხვა დარგი: მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა. სარირის სამეფოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა არა მარტო კავკასიის მეზობელ სახელმწიფოებთან, არამედ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასთან. VII საუკუნიდან აქ თავიანთ რელიგიებს ავრცელებდნენ არაბები, სომხები და ქართველები. ქართველთა სამისიონერო მოღვაწეობა სწორედ ხუნძებით დასახლებული ტერიტორიით შემოისაზღვრებოდა. არაბთა ბატონობამ თავისი გაიტანა და თითქმის მთელი მოსახლეობა ისლამის მიმდევარი გახდა. მას შემდეგ არა მარტო ხუნძეთის, არამედ დაღესტნის მთელ ტერიტორიაზე ფართო გასაქანი მიეცა არაბული კულტურის გავრცელებას.

შუა საუკუნეების ხუნძეთში შემორჩენილი იყო წარმართობის გადმონაშთები. არაერთი აულის მოსახლეობას ქრისტიანობა ჰქონდა მიღებული. მეცნიერთა ვარაუდით, ამას ბევრი ტოპონიმიც ადასტურებს და აგრეთვე ზოგიერთი სოფლის, თუხუმისა თუ სახელის შესახებ გადმოცემა ქართული და სომხური წარმომავლობის შესახებ. ხუნძახში, *ზემო ჩირიურტში, ანწუხში* ეკლესიების ნანგრევები, ჯვრები და მათი ქვაზე გამოსახულებანია შემორჩენილი. დღემდე მდ. *ავარიის ყოისუს* ხეობაში კარგადაა შემონახული X-XI საუკუნეების ქრისტიანული *დათუნას* სახელით ცნობილი ეკლესია. დღეს ხუნძები სუნიტი-მუსლიმები არიან. დაახლოებით XII საუკუნის მეორე ნახევრიდან და XIII საუკუნის პირველი ნახევრიდან სარირის სამეფო რიგ მცირე სამფლობელოებად დაიშალა. ამ დროიდან

მოყოლებული აღმოსავლურ წყაროებში სარირის სამეფოს მოხსენიება საერთოდ ქრება. XIV საუკუნის ისტორიულ თხზულებაში, რომელშიც X-XIV საუკუნეების დაღესტნის ისტორიაა გაშუქებული, საუბარია ავართა მიწასა და ავართა მმართველებზე. ამავე წყაროში ჩამოთვლილია ზოგიერთი დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ერთეული, რომელთა სახელწოდებანი შემდეგდროინდელ „თავისუფალ“ საზოგადოებთა სახელებს ემთხვევა. მეცნიერთა ვარაუდით, სწორედ ამ დროიდან (XII-XIII საუკუნეებიდან) პროტოფეოდალურ სახელმწიფო ხუნძეთთან (ავარიასთან) ერთად ჩამოყალიბდა საზოგადოებები (სასოფლო თემთა კავშირები), რომლებიც დამოუკიდებელნი იყვნენ სხვა „ფეოდალებისაგან“ და რომელთათვის დამახასიათებელი იყო დემოკრატიული მმართველობა. XII-XIV საუკუნეებში ხუნძეთში ზოგიერთი საზოგადოების დეფეოდალიზაცია მოხდა. XVI-XVII საუკუნეებში *ანდალალის, გიდატლის, კარახის* საზოგადოებები წარმატებით უწევდნენ წინააღმდეგობას ისეთ ძლიერ „ფეოდალებს“, როგორებიც იყვნენ *ხუნძეთის (ავარიის)* და *ყაზიყუმუხის* ხანები. შუა საუკუნეების დაღესტანში ხუნძეთის (ავარიის) სახანო ერთ-ერთ ძლიერ სამფლობელოდ ითვლებოდა, ისტორიაში მის ყველაზე ცნობილ მმართველად *უმა-ხანი* (გარდაიცვალა 1634 წ.) ითვლება, რომელმაც თავისი ხელისუფლება აღმოსავლეთ კახეთზე (*ჭარ-ბელაქანზეც*) გაავრცელა. მის დროს თავი მოუყარეს ძველ ხუნძურ ადათ-წესებს და სახანოს მცხოვრებთათვის სამართლებრივი კოდექსი შეადგინეს. XVII-XVIII საუკუნეებში ხუნძეთში და საერთოდ დაღესტანში გაბატონებისათვის ერთმანეთს თურქეთი და ირანი ეპაექრებოდა. 1741 წელს დაღესტანში 100-ათასიანი არმიით *ნადირ-შაჰი* შეიჭრა. მან დაიმორჩილა *ხაიტაყის უწმია, ტარკის შამხალი,* დაატყვევა *ყაზიყუმიხის ხანი. ნადირ-შაჰთან* გადამწყვეტი ბრძოლა *ანდალელთა* ტერიტორიაზე გაიმართა. ამ ბრძოლაში *ანდალელებთან* ერთად იბრძოდნენ *დარგუელები, ლაკები, ლეზგები, თაბასარანელები, ხუნძები.* საისტორიო ქრონიკების მიხედვით, ანდალალიდან *ნადირ-შაჰმა* უკან დაიხია. ხუნძეთის მიწა-წყალზე დაახლ. 25 ათასი ირანელი დაიღუპა.

XVIII საუკუნეში ხუნძები *ხუნძეთისა* და *მეხთულინის* სახანოებისა და *სასოფლო თემთა კავშირების* თუ *თავისუფალ საზოგადოებათა* შემადგენლობაში შედიოდნენ. ხუნძეთის წინაფეოდალური სამფლობელო *ავარიის ყოისუს* და *ანდიის ყოისუს* შორის ტერიტორიაზე მდებარეობდა. სხვადასხვა დროს მეზობელ საზოგადოებებზე ხანთა გავლენა სხვადასხვაგვარი იყო. სახანოებს არ ჰქონდათ ერთიანი ადმინისტრაციული დაყოფისა და მმართველობის სისტემები. ოფიციალურად შიდა და გარე მმართველობის ყველა საკითხს ხანი ერთპიროვნულად წყვეტდა. ის განაგებდა ადათის მიხედვით, ასამართლებდა და სჯიდა საკუთარი შეხედულებისამებრ. სასულიერო, მემკვიდრეობით და საოჯახო საქმეებს *ქადიები* წყვეტდნენ. მეხთულინის პატარა სახანოში ხუნძებთან ერთად *ყუმუხებიც* შედიოდნენ. *მეხთულინის სახანო,* რომელიც XVII საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა, შინაგანი ორგანიზაციით და მმართველობით არაფრით განსხვავდებოდა ხუნძეთის სახანოსაგან. ხუნძეთში დაახლოებით ორმოცი **„თავისუფალი“ საზოგადოება** ანუ **სასოფლო თემთა კავშირიც** არსებობდა (*ანდალალი, ანწუხი, გიდატლი, გუმბეტი, კარახი, ტელეტლი, ტაში, ტომურალი, მუკრატალი...*). „თავისუფალი თემები“ ჰქონდათ აგრეთვე აღმოსავლეთ კახეთში (საინგილოში) დასახლებულ ხუნძებს (ჭარ-ბელაქანის). **აღმოსავლეთ კახეთში ხუნძების დასახლებანი 1617 წლის შემდეგ წარმოიქმნა.** შაჰ-აბასის მიერ მიწასთან გასწორებულ ქართველთა განსახლების არეალში ხუნძებმა დაიწყეს ჩამოსახლება. მათ წინ გამოუძღვა *ჩაფარ-ალი.* იმ დღიდან ამ მხარემ *ჭარ-ბელაქანის* სახელწოდება მიიღო. ჩამოსახლებულებმა აღმოსავლეთ კახეთის მიწები საკუთრებაში თანაბრად გადაინაწილეს. „თავისუფალი“ საზოგადოებები ძირითადად თვითმმართველობითი საზოგადოებრივ – პოლიტიკური წარმონაქმნები იყვნენ, რომლებიც ეფუძნებოდნენ შეთანხმებასა და ურთიერთქმედებას,

ურთიერთდახმარებას, ბრძოლაში ერთობლივ მოქმედებას, სადავო საკითხების მშვიდობიან დარეგულირებას და კოდიფიცირებული ადათობრივი სამართლის დაცვას. ბევრი „თავისუფალი“ საზოგადოება, ფაქტობრივად, პოლიტიკურ და ეთნოგრაფიულ ერთეულს წარმოადგენდა. მათ ახასიათებდათ კულტურულ-ყოფითი და ენობრივი თავისებურებანი. თავისუფალი საზოგადოებები ერთმანეთს თავს საერთოდ არ ესხმოდნენ. ამავე დროს, თავისუფალ საზოგადოებაში შემავალი სოფელი (სასოფლო თემი) სისხლნათესაურ და მეზობლურ ურთიერთობებზე დაფუძნებული თვითმმართველობის სამეურნეო-პოლიტიკური ერთეული იყო.

შემორჩენილი იყო სათემო მმართველობა: ყრილობა (მამაკაცთა კრება), მოსამართლეთა ფუნქციით არჩეული უხუცესები, აღმსრულებლები, არჩევითი *ქადიები.*

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ხუნძეთის სახანოსა და სხვადასხვა საზოგადოებების რუსეთთან კავშირი ჯერ კიდევ XVII საუკუნეში დაიწყო. 1813 წლის რუსეთსა და ირანს შორის დადებული *გულისტანის* ზავით, დაღესტნის ტერიტორია რუსეთს გადაეცა. მაგრამ, დაღესტნის ხალხები, მათ შორის ხუნძები, რუსეთის ქვეშევრდომობას არ ცნობდნენ. დაიწყო დამაუძლურებელი, ხანგრძლივი, დამანგრეველი ომი. მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ხანგრძლივი დროის განმავლობაში *შამილი* ხელმძღვანელობდა. ომმა მოშალა მეურნეობა, გამოიწვია ადამიანთა და მატერიალური დანაკარგი, ბევრი სოფელი განადგურდა. კავკასიური ომების დროს თითქმის ორი თაობა ჩვეულებრივ შეიარაღებული ძალადობის პირობებში გაიზარდა. 1859 წელს შამილი სოფელ *ღუნიბში* დაატყვევეს.

სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის დამთავრების შემდეგ, დაღესტანში გატარდა ადმინისტრაციულ-სასამართლო რეფორმა, გაუქმდა სახანოები, დამყარდა ერთიანი ადმინისტრაციული მმართველობა. 1860-იანი წლების ადმინისტრაციული რეფორმით, ხუნძებით დასახლებულ ტერიტორიაზე *ავარიის, ანდიისა და ღუნიბის ოკრუგები* ჩამოყალიბდა. ხუნძებში შეიჭრა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები, გაფართოვდა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები. ხუნძებს შორის წარმოიქმნა ვაჭართა ფენა, ინტელიგენცია. 1921 წელს ხუნძები დაღესტნის ასსრ-ს შემადგენლობაში შევიდნენ (1991 წლიდან – დაღესტნის რესპუბლიკა).

როდესაც ხუნძებზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია იმ მოვლენის შესახებ არ აღვნიშნოთ, რომელმაც საქათველოს დიდი უბედურება მოუტანა და რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში *ლეკიანობის* სახელითაა ცნობილი. დაღესტნელი მთიელების ეს თავდასხმები მხოლოდ საქართველოზე თავდასხმებით არ შემოიფარგლებოდა და იგი იმ მოვლენის ჩარჩოებში თავსდება, რომელიც თარეშების „ინდუსტრიის“ სახელითაა ცნობილი და რასაც მათთვის დიდი შემოსავალი მოჰქონდა. ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში თითქმის ყველა ხალხი თარეშობდა, მეკობრეობდა და მათ შორის ხუნძებს გამორჩეული ადგილი ეკავათ. საბჭოთა მეცნიერება ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ლაშქრობებს, სხვა ხალხების ძარცვა-გლეჯას თითქმის გვერდს უვლიდა. ხუნძთა ეკონომიკასა და სოციალურ პროგრესში სამხედრო თარეშს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. სამხედრო საქმე და ომი მათთვის თავისებურ ხელობას წარმოადგენდა. ხუნძები ადამიანების, საქონლის, ქონების და ფასეულობების დატაცების მიზნით თარეშობდნენ. ის მათი ეკონომიკის ერთ-ერთი სფერო იყო. ამ საქმით ყველა საზოგადოება იყო დაკავებული. ხუნძებში თარეშების დაწყების თარიღი მეცნიერებს დადგენილი არა აქვთ. ფიქრობენ, რომ XVII საუკუნემდე სალაშქროდ და სამეკობრეოდ საქონლის ჯოგის, ფარის დაკარგვის, ანდა მოუსავლიანობის შემთხვევაში მიდიოდნენ.

კავკასიური ომების დროს რუსების მხარეზე გადასული *ხაჯი-ალი ჭ(ჩ)ოხსკი* თავისი თანამემამულეების შესახებ სიმწრით წერდა: **„მთიელები ისეთივე ველურები არიან, როგორც გარემომცველი ბუნება და მტაცებლები, როგორც მხეცები“.** თარეშებთან იყო დაკავშირებული მეომარი მამაკაცის აღზრდის მთელი სისტემა.

ვაჟიშვილის მთავარი აღმზრდელი მამა იყო. ის თავის შვილს უყურებდა როგორც მომავალ მეომარს, რაც უპირველეს ყოვლისა, ქცევის მკაცრ წესებში გამოიხატებოდა. არ მიმართავდა სახელით, არ მოეფერებოდა და არასდროს შეაქებდა. შვილი უსიტყვოდ ემორჩილებოდა მამას. დედას ვაჟის აღზრდაში მონაწილეობის მიღების უფლება არ ჰქონდა. მკაცრი მეომრული რეგლამენტაციის პირობებში აღზრდილი ახალგაზრდა მძიმე და საშიშ ცხოვრებას ადვილად ეგუებოდა.

ხუნძეთში ჭაბუკები ზამთარსა და ადრე გაზაფხულს დიდ „საერთო სახლ-სიმაგრეში“ ატარებდნენ. ისინი ძირითადად სამხედრო ხელოვნებას ეუფლებოდნენ, ხანდახან კი ილხენდნენ ხოლმე. ასეთი სახლ-სიმაგრეები, ჩვეულებრივ, ცალკეულ *თუხუმებს* ეკუთვნოდათ და ზოგიერთ ადგილას ისინი შემორჩენილიცაა. ახალგაზრდების აღსაზრდელი ნაგებობანი ხშირად ერთი დარბაზისაგან შედგებოდა. ისინი მნახველს ანცვიფრებენ სიდიდით (100 კვ. მ.-ზე მეტი, სიმაღლე 4-4,5 მ.). წარსულში ხუნძები ასეთ სახლებს არა მხოლოდ ახალგაზრდების შესაკრებად, არამედ საქორწილო დარბაზად და საზოგადოებრივი და სათემო დღესასწაულების მოსაწყობადაც იყენებდნენ.

მოთარეშე რაზმებს სათავეში არჩევითი წინამძღოლები ედგნენ. ხშირად ლაშქრობის ხელმძღვანელები დიდი პატივით სარგებლობდნენ. ისეთი შემთხვევებიცაა დადასტურებული, როდესაც **მოთარეშე რაზმების ხელმძღვანელები მთელ სასოფლო თემს იქვემდებარებდნენ და მემკვიდრეობით მმართველებადაც იქცეოდნენ.** თარეშებს განსაკუთრებული ადგილი აქვთ დათმობილი ხუნძთა ფოლკლორში. სიმღერებში დაწვრილებითაა გადმოცეული თარეშისათვის მზადება, აღწერენ იმ იარაღს, რომელიც ლაშქრობისას თან მიჰქონდათ. ერთ-ერთი სიმღერის ტექსტი კი ასე ჟღერს: **„სადაც ჩვენი ხელი შეეხო, იქ ტირილი გაისმა, სადაც მივიდა ფეხი ჩვენი, იქ ალი აგიზგიზდა. ტყვედ ჩაგდებულ იქნენ ლამაზხელებიანი და ლამაზთვალებიანი ქალიშვილები; შევიპყარით ჯანმრთელობით აღსავსე ბიჭები...“** როგორც წესი, XVIII-XIX საუკუნეებში თარეშების შესახებ შექმნილი სიმღერები მთავრდებოდა სურვილით: „დაე, დაებადოს ყველა დედას მსგავსი შვილები“.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში თარეშები შეწყდა, მაგრამ მამაკაცთა კავშირებმა არსებობა არ შეწყვიტეს. ისინი მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ფუნქციისაგან განთავისუფლდნენ. კავშირებში აღარც ყველა ახალგაზრდა მამაკაცი მონაწილეობდა. მასში ახლა უფრო დიდი რაოდენობით 40-50 წლის ცოლიანი მამაკაცები შედიოდნენ. XX საუკუნის პირველი ათწლეულისათვის სამხედრო რაზმები უკვე აღარ არსებობდა; ისინი მხოლოდ მამაკაცთა თავისებურ კლუბებად იქცნენ. აქ ხუნძები ზამთარს ატარებდნენ, სპორტულ შეჯიბრებებს აწყობდნენ.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ხუნძთა თარეშებს აღმოსავლეთ საქართველოში **ლეკიანობას** უწოდებდნენ. ლეკიანობა დაღესტნელ ფეოდალთა და „თავისუფალ“ საზოგადოებათა წვრილ-წვრილი ლაშქრობები იყო ქართლისა და კახეთის მოსახლეობაზე. ქართველებს სტაცებდნენ ქონებას, საქონელს, ჭირნახულს, იტაცებდნენ ადამიანებს. მოგვიანებით მოთარეშეებმა დაიწყეს დასახლებული ტერიტორიების დაპყრობა და დამორჩილებული მოსახლეობის დახარკვა. კახეთში ხუნძთა (და სხვა დაღესტნელთა) შემოსევები XVI საუკუნიდან დაიწყო. შაჰ-აბას I-ის ლაშქრობათა შემდეგ, მათ აღმოსავლეთ კახეთის დაცარიელებულ მიწებზე იწყეს ჩასახლება. ჭარის, ბელაქანისა და თალის რაიონებში ხუნძებმა და წახურებმა შექნეს ე. წ. „უბატონო თემები“, რომლებიც თავისებურ პლაცდარმად იქცნენ შემდგომი თავდასხმებისათვის. ლეკიანობა განსაკუთრებით XVIII საუკუნეში გაძლიერდა. ოსმალეთი თავის ტერიტორიაზე ხშირად აძლევდა ლეკებს თავშესაფარს. ამიტომ ისინი საქართველოს ახალციხის მხრიდანაც ესხმოდნენ თავს. ოსმალეთის ტყვეთა ბაზარი გზას უხსნიდა ტყვეებით ვაჭრობას. ფეოდალური ექსპლუატაციით შევიწროებული გლეხი გაურბოდა მებატონეს და თავს აფარებდა

„უბატონო“ ლეკებს. ქართველი გლეხი ლეკდებოდა, რადგან „გალეკება“ მისთვის უბატონობას ნიშნავდა. ხუნძთა და წახურთა თარეშების ასალაგმავად შეიქმნა *მორიგე ჯარი* (რეგულარული ლაშქარი). ლეკიანობამ აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა საქართველოს: მოსახლეობა კატასტროფულად შემცირდა, ზოგიერთი მხარე მოსახლეობისაგან სრულიად დაიცალა, კულტურული მეურნეობა დაეცა. რაც ყველაზე მთავარია, საქართველომ დაკარგა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი – აღმოსავლეთ კახეთი, რომელსაც ახლა საინგილოს ვუწოდებთ. თარეშების შედეგად საქართველოს მიწა-წყალზე არა მხოლოდ ხუნძები და წახურები, არამედ სხვა ჩრდილოეთკავკასიელი მთიელებიც დასახლდნენ. დღევანდელ აფხაზთა და ოსთა მიგრაციას საქართველოს ტერიტორიაზე სწორედ ჩრდილოეთკავკასიელი აბაზების, უბიხების, ადიღეელების და ოსების ლაშქრობები უძღოდა წინ. ასე რომ, ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელები და მათ შორის, ხუნძები, თარეშებით მიწაზე საკუთრების საკითხსაც წყვეტდნენ, რათა ერთხელ და სამუდამოდ უზრუნველეყოთ მომავალი. XVII საუკუნის პირველი ნახევრიდან აღმოსავლეთ კახეთში დასახლებული წახურული და ხუნძური მოსახლეობა, როგორც *მ. კოვალევსკი* აღნიშნავდა, ერთმანეთში მიწას იყოფდა და სხვის მიწას საკუთრად ითვისებდა. თავდაპირველად, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ადგილზე დარჩენილი ქართველი მოსახლეობა მთიელთა მიერ მოტანილი საზოგადოებრივი ცხოვრებით, თემობრივი ორგანიზაციით რაიმე დისკომფორტს არ განიცდიდა. ახალმოსულს ადგილობრივი მკვიდრებისათვის სოციალური „ტვირთი“ არ მოჰქონდა, პირიქით, მოსულნი ქართველ გლეხებს ფეოდალთა შევიწროვებისაგან იცავდნენ. სურათი XVIII საუკუნეში შეიცვალა, როდესაც ე. წ. „თავისუფალმა“ საზოგადოებებმა ადგილობრივ მოსახლეობაზე ბატონობა დაიწყეს. 1706-1709 წლებში ჭარელმა მთიელებმა *ელისენის* უკანასკნელი ნაწილი დაიპყრეს.

თარეშების „ინდუსტრია“ არა მხოლოდ ხუნძთა მთიდან გასვლისა და სხვათა ტერიტორიაზე დასახლების პრობლემას წყვეტდა, არამედ მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანი სამხედრო ნადავლის მოპოვება (საქონლის მოტაცება, ადამიანების დატყვევება...) იყო. საისტორიო დოკუმენტებით ხუნძებმა (წახურელებთან ერთად) კახეთსა და ქართლში 1754 წლის ივლისიდან ნოემბრამდე ორმოცდასამ თარეშზე მეტი მოაწყვეს. დროის ამ მონაკვეთში დიდი რაოდენობით საქონელთან და ქონებასთან ერთად, მათ 350 ადამიანი გაიტაცეს. ლაშქრობების შედეგად ყოველწლიურად ასობით სახლი ნადგურდებოდა.

ამრიგად, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ხუნძებისა და სხვა დაღესტნელთა ტრადიციულ საქმიანობას მესაქონლეობასა, მიწათმოქმედებასთან და ხელოსნობასთან ერთად, თარეშების „ინდუსტრია“ წარმოადგენდა, რომელიც შემოსავლით სხვა სამეურნეო ფორმებს აჭარბებდა. მოლაშქრეობა ფაქტობრივად პროფესია იყო. ახალგაზრდებს ლაშქრობისათვის დიდი ხნით ამზადებდნენ, რომელთა პროფესიული დახვეწა თარეშის დროს ხდებოდა.

ხუნძების ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა იყო როგორც მესაქონლეობა, ისე სახვნელი მიწათმოქმედება. არქეოლოგიური მასალები და წერილობითი წყაროები ხუნძებში მიწათმოქმედების ფორმების სიძველესა და განვითარებულ ფორმებზე მიუთითებენ. მთისა და მთისწინა რაიონებში მიწათმოქმედება მესაქონლეობასთან იყო შეთანწყობილი. მესაქონლეობას წამყვანი ადგილი მხოლოდ მაღალმთაში ეკავა. ხუნძეთში განვითარებული იყო ტერასული მიწათმოქმედება. ტერასებს ქვის კედლებით აშენებდნენ. ტერასების საშუალებით მიწის ყოველი გოჯი მიწათმოქმედებისათვის იყო გამოყენებული. ცნობილი მეცნიერი *ნ. ვავილოვი* აღნიშნავდა, რომ აქ შეიძლება ნახოთ განსაცვიფრებელი, ტერასული მიწათმოქმედება, რომელიც რამდენიმე ათეული სართულისაგან შედგება. ბევრი კი ხშირად დიდ ამფითეატრს მოგვაგონებს. მაღალი ტერასული კულტურა ხუნძეთში XV-XVI საუკუნეებამდე არსებობდა. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს შრომის

გეოგრაფიული განაწილებითაა ახსნილი. ამ პერიოდიდან მოყოლებული მთიელები უპირატესობას მარცვლეულის ბარსა და მთისწინეთში შეძენას ანიჭებდნენ. თუმცა იმავე სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ხუნძების მიერ მიწათმოქმედებაზე ნაწილობრივ უარის თქმა და მარცვლეულის ბარში შეძენა მათმა თარეშების „ინდუსტრიამ“ განაპირობა. ხუნძები თესავდნენ ხორბალს, ქერს, შვრიას, პარკოსნებს, ოსპს, ლობიოს, სელს, კანაფს. მინდვრებს ანოყიერებდნენ ნაკელით, ნაცრით. განვითარებული იყო მორწყვის სისტემა. შრომის იარაღებიდან შეიძლება დავასახელოთ რკინის სახნისიანი ხის გუთანი, თოხი, ცელი, ნამგალი, სალეწი. ხუნძებში მიწის ნაკვეთის გამოყენების სამიარუსიანი პრაქტიკა არსებობდა: ხეხილის ქვეშ თესავდნენ სიმინდს, სიმინდის რიგებს შორის კი – პარკოსნებს, გოგრას, ბოსტნეულს. მარცვლეულს ფქვავდნენ წყლის წისქვილში. მთისწინეთსა და ბარში ხუნძები მეხილეობასა და მევენახეობასაც მისდევდნენ. XIX საუკუნის ბოლოდან ხილს ყიდდნენ ან ცვლიდნენ მარცვლეულზე. ყურძნის საუკეთესო ჯიშებიდან გასაყიდად ამზადებდნენ ღვინოს. XIX საუკუნის ბოლოდან დაიწყეს ხახვის, ნივრის, საბჭოთა პერიოდში კი კომბოსტოს, კიტრის, პომიდვრის მოყვანა. ხუნძებმა იცოდნენ ჩირის დამზადებაც. მთაში ხუნძეთის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგი იყო მესაქონლეობა. არქეოლოგების აზრით, უკვე ბრინჯაოს პერიოდში ხუნძეთის ტერიტორიაზე მესაქონლეობას ბინადარი ხასიათი ჰქონდა. მისდევდნენ როგორც წვრილფეხა (ცხვარი, თხა), ისე მსხვილფეხარქოსან მესაქონლეობას, მეცხენეობას, ჰყავდათ სახედრები და ჯორები. XVI საუკუნიდან მაღალმთიან რაიონებში მეცხვარეობა იყო დაწინაურებული. მაღალმთაში უპირატესობა გადარეკვით (მომთაბარულ) მეცხოველეობას ეკუთვნოდა, მთიანეთში – მომთაბარული (გადარეკვითი) მეცხოველეობა შეთანწყობილი იყო ბაგურ მეცხოველეობასთან. დამხმარე ხასიათი ჰქონდა ნადირობასა და მეფუტკრეობას.

ეკონომიკის განვითარებაში მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის შეზღუდულობა ხუნძებს აიძულებდა შემოსავლის სხვა წყარო ეძებნათ. ამით იყო განპირობებული თარეშების ინდუსტრია. მაგრამ ხუნძებს დიდ დამატებით შემოსავალს აძლევდა აგრეთვე გარე სამუშაოზე სიარული, შინამრეწველობა და ხელოსნობა. XIX საუკუნის ბოლოს ხუნძეთის ოკრუგში ათას მცხოვრებზე 87 გარე სამუშაოზე გამსვლელი მოდიოდა, ღუნიბის ოკრუგში – 228. შინამრეწველობიდან შეიძლება დავასახელოთ მატყლის, მეტალის, ხის, ქვის ტყავის დამუშავება, მჭედლობა, ჭედურობა, იარაღის კეთება, საიუველირო საქმიანობა. უძველესი დროიდან ხის იარაღ-ჭურჭელსა და მაუდს ამზადებდნენ. ხუნძური მაუდი დაღესტანში საუკეთესოდ ითვლებოდა. ის გაჰქონდათ დაღესტნის ფარგლებს გარეთ, მათ შორის, თბილისშიც. მაუდი ფაბრიკული ქსოვილით მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში იქნა გამოდევნილი. არსებობს არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი VIII-X საუკუნეების ნივთები, განსაკუთრებით, ბრინჯაოს აჟურული სარტყლები. ხუნძეთი გამორჩეული იყო ვერცხლის დამუშავებით. ვერცხლის ნაწარმს ხელოსნები ქმნიდნენ გასაყიდად და შეკვეთით. ხელოსნობის დიდი ცენტრები იყო: *გოცატლი, ჭოხი, გამსუტლი, კელები, სალტა, უნცუკული, რუგუჯა.* აკეთებდნენ ხანჯლებს, ცხენის აღკაზმულობას, ქალისა და მამაკაცის სარტყლებს, ქალის სამკაულებს. XIX საუკუნის ნაკეთობანი ხშირად ძველ ნიმუშებს იმეორებდა. ესა თუ ის სოფელი ცნობილი იყო რომელიმე ნაკეთობის დამუშავებით. საბჭოთა პერიოდში შეიქმნა სამხატვრო კომბინატები. ამზადებდნენ ხალიჩებს, ფარდაგებს; ხის კვეთაზე თითქმის ყველა სოფელში მუშაობდნენ; საცხოვრებელი სახლები, მეჩეთები, საფლავის ქვები ქვაზე კვეთილი ფასადებით იყო მორთული. ხუნძური ორნამენტის ტრადიციული მოტივებია ცხოველთა სტილიზებული გამოსახულებანი, ასტრალური სიმბოლოები, გეომეტრიული და მცენარეული სახეები.

მაღალმთიანეთში დასახლებები პატარა (30-50 კომლიანი) იყო. ისინი განლაგებული იყო მდინარეთა ნაპირებზე. მთებში დიდი სოფლები (300-500 კომლი)

მთის ფერდობებზე იყო შეფენილი. ყველა ისინი ორიენტირებული არიან სამხრეთისაკენ. დასახლებები შეჯგუფულია და სახლები ერთმანეთთან მჭიდროდაა მიდგმული; ისინი იარუსისებურად არიან განლაგებული; ქვედა საცხოვრებელი სახლის სახურავი მის ზემოთ აშენებული სახლისათვის ეზოდ გამოიყენებოდა. ფერდობზე შეფენილი ასეთი სოფლები 10-15-20 იარუსიანი (საფეხურიანი) იყო. ბევრი სოფელი გარშემორტყული იყო კოშკებით. გზაჯვარედინებზე კი იდგა სასიგნალო და სათვალთვალო (სადარაჯო) კოშკები. ხუნძეთის და, საერთოდ, დაღესტნის სოფლები, ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ქვეყნების სოფლებთან შედარებით საკმაოდ დიდი იყო. მაგალითად, 1886 წელს სოფელ *ხუნძახში* 2576 მცხოვრები იყო, *უნცუკულში* – 2228, *ირიბეში* – 562, *რუგუჯაში* – 2005. არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალებით, დიდი სოფლების წარმოქმნა ხუნძეთში X-XII საუკუნეებში მოხდა. ხუნძეთის სოფლებში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები მეჩეთები და მოედნები იყო. დიდი სოფლები თავდაპირველად უბნებად იყოფოდა, რომლებშიც სხვადასხვა *თოხუმები* ცხოვრობდნენ.

ტრადიციული საცხოვრებელი სახლები ქვისაგან შენდებოდა. აშენებდნენ ბრტყელსახურავიან, ერთსართულიან, ორსართულიან, სამსართულიან სახლებს. სამეურნეო სათავსები ქვედა, პირველ სართულზე ჰქონდათ მოთავსებული. მთისწინა ზოლში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები პატარა კარ-მიდამოს შიგნით იყო განლაგებული. ოჯახი ერთ დიდ ოთახში ცხოვრობდა, რომლის ფართობი ცენტრალურ ხუნძეთში 80-100 კვ. მ.-ს შეადგენდა. საცხოვრებელი ოთახის ყველა კედელზე ხის სათავსები იყო მოწყობილი. სახლის ცენტრში კერა ჰქონდათ. სათავსის კონსტრუქციაში შედიოდა ორნამენტირებული დედაბოძი. კერა და დედაბოძი ოჯახის, მისი ნათესაური ჯგუფების იდეოლოგიურ ერთობას ანსახიერებდა. კოლექტიურ საკუთრებაში მყოფი პურის საცხობი სპეციალურ ნაგებობაში იყო მოთავსებული. XIX საუკუნის ბოლოს ტრადიციული საცხოვრებელი ნაგებობანი ნელ-ნელა ახლით შეიცვალა.

მამაკაცის ტრადიციული ტანსაცმელი იყო: ტუნიკას მსგავსი პერანგი, ვიწროტოტიანი შარვალი, ბეშმეტი, ცხვრის ტყავის ფაფახი, მოქნილი ტყავისაგან შეკერილი წუღები. *ტლიარატის* და *წუმადის* რაიონებში გავრცელებული იყო ნაქსოვი ფეხსაცმელი. ზამთარში ცხვრის ტყავის ქურქებს (საზოგადოებების მიხედვით სხვადასხვა ფორმის), ქეჩის ჩექმებს ქეჩისავე სქელი ლანჩით, მატყლის წინდებს იცვამდნენ. ქალის ტანსაცმელი დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა და ამ თვალსაზრისით ყველა საზოგადოება სპეციფიურობით ხასიათდებოდა. **ჩაცმულობის მიხედვით არკვევდნენ ხუნძეთის რომელ საზოგადოებიდან იყო ესა თუ ის ქალი. ქალის ტანსაცმელი იცვლებოდა ერთი ასაკობრივი ჯგუფიდან მეორეში გადასვლის დროს.** თავსაბურავსაც მრავალი ვარიანტი ჰქონდა. ნაქსოვ და თექის ჩექმებს ქალებიც იცმევდნენ. ნაქსოვი ფეხსაცმელი მაღალი მხატვრული ღირებულებით გამოირჩეოდა (ფერთა გამა, ორნამენტი, ვერცხლის აპლიკაციები, ფორმა).

ხუნძების ტრადიციული საკვები ფქვილეულისა და ხორცეულისაგან კეთდებოდა. ძალიან გავრცელებული იყო *ხინკალი* (*ხინკალი* ხუნძური სიტყვაა. *ხინკ* – ხორცი, -*ალ* მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსია, ე. ი. „ხორცები“. ხუნძური სიტყვით *ხინკალი* აღინიშნება შემდეგი საჭმელი: ხაშლამა+მოხარშული ცომის რულეტი. ნამდვილ ხინკალს ხუნძეთში ჰქვია *წურე ხინკალ*. ის ფორმით ჩვენებურ ხაჭოსა და ყველის ხინკალს ე. წ. „მთიულურს“ წააგავს). ხორცს ხმარობდნენ როგორც ახალს, ისე გამომშრალს. კვების რაციონში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რძეს, კარაქს, ხაჭოს. მცირეალკოჰოლურ სასმელს ქერის ალაოსაგან და შვრიის ღერღილისაგან ამზადებდნენ.

ხუნძთა ტრადიციულ სოციალურ ორგანიზაციას სოფელი (სასოფლო თემი) წარმოადგენდა, რომელშიც შედიოდა პატრიარქალური სისხლით ნათესაური გაერთიანებები – *თუხუმები* (*თუხუმ<თოხუმ<*სპარს. „ოჯახი“. პარალელურად

გამოიყენებდნენ აგრეთვე სიტყვას *ნასლო*<არაბ. „შთამომავლობა“). სასოფლო თემები და თუხუმები სხვადასხვა სიდიდის იყო. ზოგიერთ თუხუმში თუ 5-6 კომლი შედიოდა, ზოგიერთში კი მათი რაოდენობა 70-80-ს აღწევდა. XIX საუკუნის შუა ხანებამდე თუხუმის წევრები ერთ უბანში კომპაქტურად ცხოვრობდნენ. თუხუმს თავისი სახელწოდებაც ჰქონდა. თუხუმის სათავეში უხუცესი იდგა, ის შიდა ურთიერთობებს აწესრიგებდა, თვალყურს ადევნებდა ტრადიციების, წეს-ჩვეულებების და ქცევის ნორმების დაცვას. თუხუმი, როგორც ერთიანი საზოგადოებრივი კოლექტივი, თავისი წევრების ინტერესებს იცავდა, მხარს უჭერდა მათ მორალურად და მატერიალურად და საჭიროების შემთხვევაში, იარაღითაც კი იცავდა. **თუხუმური სოლიდარობა ყველაფერში ვლინდებოდა: ურთიერთდახმარების წეს-ჩვეულებაში, სისხლის აღებასა და შურისძიებაში და რაც მთავრია, მის შიგნით ქორწინებისათვის უპირატესობის მიცემაში**. XIX საუკუნეში თუხუმის სამეურნეო ერთიანობა მოიშალა.

სასოფლო თემის საზოგადოებრივი ცხოვრება *ადათებითა* და *შარიათით* რეგულირდებოდა. მართვა არჩევითი პირებისა და სასოფლო კრების, ყრილობის (ჯამაათი) საშუალებით ხორციელდებოდა, რომელშიც ყველა სრულწლოვანი მამაკაცი მონაწილეობდა. არჩევნებისას თუხუმთა წარმომადგენლობით პრინციპს იცავდნენ. სამართავი ორგანოს შემადგენლობაში შედიოდნენ: მამასახლისი, სოფლის მოსამართლე (*ჩუხბი*), *ადილბაზი* (ერთიდან ხუთ კაცამდე. ჩვეულებრივ, ირჩევდნენ ერთი წლით). მამასახლისებს ეხმარებოდნენ არჩევითი მქადაგებლები (*ელი*) და აღმასრულებლები (*ტულგაკი*). *ჯამაათი* წყვეტდა გზების მშენებლობისა და რემონტის, წყლითსარგებლობის საკითხებს, მოლების და საზოგადოებრივი მწყემსის არჩევას, საზოგადოებრივი მიწის ნაკვეთებზე იცავდნენ თიბვის ვადებს, მოსავლის აღებას.

ხუნძებში ძველი დროიდანვე გაბატონებული იყო პატარა (ნუკლეარული) ოჯახი. XIX საუკუნის შუა ხანებში ერთ კომლში საშუალოდ 4,2 ადამიანი ცხოვრობდა.

ხუნძებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული იყო ურთიერთდახმარების წეს-ჩვეულება: მინდვრებში ნაკელის შეტანისას, მარცვლეულის დათესვისას, მოსავლის აღებისას და გადატანისას, გალეწვისას, თიბვისას, ცხვრის გაპარსვისას, მატყლის გადამუშავებისას, სამშენებლო მასალების დამუშავებისას, სახლის აშენებისას; იცოდნენ მატერიალური დახმარებაც. ურთიერთეხმარებოდნენ არა მხოლოდ თუხუმის წევრები, არამედ მთელი სასოფლო თემის წარმომადგენლებიც. ურთიერთდახმარება, ჩვეულებრივ, დღესასწაულით მიმდინარეობდა. მუშაობის შემდეგ კი ყველას უმასპინძლდებოდნენ. ურთიერთდახმარება ხუნძთა სულიერი მოთხოვნილება იყო.

ხუნძების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სტუმართმოყვარეობას. სტუმრის მიღებაზე უარის თქმის უფლება არავის არ ჰქონდა. შემთხვევით სტუმარს სოფლის მცხოვრებნი მორიგეობით იღებდნენ. **საქორწინო ნორმებში უპირატესობა ენდოგამიურ ქორწინებას ენიჭებოდა.** ქორწინდებოდნენ ნათესავებზე, მათ შორის, ალალ ბიძაშვილებზე, მამიდაშვილებზე, დეიდაშვილებზე, თუხუმის შიგნით. საქორწინო პარტნიორის მოსაძებნად სოფლის გარეთ, ფაქტობრივად, არასდროს არ გადიოდნენ; ასეთ შემთხვევას გმობდნენ. ხოლო **იმ შემთხვევაში, თუ საქმრო საპატარძლოს სანათესაო წრის შიგნით ვერ მოძებნიდა და ასეთს სხვა თუხუმში შეარჩევდნენ, მაშინ ვაჟის გვარს გოგონას შვილად აყვანის რიტუალი უნდა შეესრულებინა და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო საქმროს საპატარძლოს შერთვა.** მამაკაცებისათვის საქორწინო აკასი 18-20 წელი იყო, ქალებისათვის – 16-18 წელი. ურვადი არ იცოდნენ. ნათესაობის ათვლა პატრილინეური იყო. იცოდნენ მცირეწლოვანების გათხოვებაც, აკვანში დანიშვნაც. ქორწილი რამდენიმე დღეს გრძელდებოდა და მასში მთელი სოფელი მონაწილეობდა. პატარძლისა და ნეფის მხარე ქორწილში ცალ-ცალკე სხდებოდა; მათთვის სუფრებს სხვადასხვა ადგილას შლიდნენ. პატარძალი საქმროს სახლში სახედაბურული გადაჰყავდათ. სოფლის

ახალგაზრდობა მას გზას უღობავდა. ისინი გამოსასყიდს თხოულობდნენ. ამ დროს ახალგაზრდებმა იცოდნენ წყაროზე გასვლა, რის შემდეგაც პატარძალს შეეძლო ოჯახში სამეურნეო საქმიანობას შედგომოდა. განსაკუთრებული დღესასწაულით აღნიშნავდნენ პირველი ვაჟის დაბადებას, იშლებოდა სადღესასწაულო სუფრა, აუცილებლად კლავდნენ ცხვარს.

ხუნძებმა იცოდნენ სისხლის აღება. იყო შემთხვევები სისხლის აღების დროს მთელი ოჯახების, თუხუმების და სოფლების გაწყვეტისა. არსებული მონაცემებით მარტო 1861 წლიდან 1866 წლამდე ხუნძეთისა და ღუნიბის ოკრუგებში მოკლეს 69 და დაჭრეს 222 ადამიანი, რომელთაგანაც სისხლის აღების ნიადაგზე, შესაბამისად – შვიდი და ერთი. 1865 წელს ხუნძეთის ოკრუგში სისხლიერი მტრობა ჰქონდა 8 ოჯახს, ღუნიბასაში – 23-ს. შურს იძიებდნენ მამა, ძმა, შვილი, ალალი ბიძაშვილი, ბიძა, ზოგჯერ – დედა და დაც კი. მკვლელი შეიძლება დიდი ხნის შემდეგაც მოეკლათ, მეორე თაობის წარმოამდგენელსაც კი. მაგრამ იცავდნენ გარკვეულ წესებს. სირცხვილად ითვლებოდა თავდასხმა (მოკვლა) ლოცვის დროს, მეჩეთში, ზურგიდან, ავადმყოფობის ან ძილის დროს. დაღესტნის ბევრ სოფელში არსებობენ *თუხუმები*, რომლებსაც საფუძველი მკვლელებმა ჩაუყარეს. მათი წინაპარი თავისი სოფლიდან გაქცეული და სხვაგან თავშეფარებული ადამიანი იყო. **სამოქალაქო სამართლის თითქმის ყველა საკითხი *შარიათის* საფუძველზე განიხილებოდა, სისხლის სამართლის მხოლოდ საკამათო საკითხები წყდებოდა *ადათობრივი* სამართლით.**

თავისუფალ დროს ხუნძები ერთმანეთთან ურთიერთობისათვის, ფიზიკური და სულიერი განვითარებისათვის იყენებდნენ: თამაშობდნენ შაშს, ჭადრაკს, ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ჭიდაობაში, სირბილში, ქვის სროლაში, აწყობდნენ დოღს. არსებობდა მამაკაცთა კავშირები (სახლები), სადაც ახალგაზრდა მამაკაცები, ჭაბუკები თავისუფალ დროს ატარებდნენ. „სახლები“ რამდენიმე საზოგადოებრივ ფუნქციას ასრულებდნენ: სოციალურს, სამხედრო-პატრიოტულს, გამაჯანსაღებელს, შრომითს, გასართობს, ესთეტიკურს, ინტელექტუალურს. ბავშვთა ფიზიკური განვითარებისათვის ბევრი მოძრავი თამაშები ჰქონდათ. ქალები საღამოობით სხვადასხვა სახლებში იყრიდნენ თავს, სადაც აწყობდნენ სხვადასხვა თამაშობებს, ცეკვებს, ყვებოდნენ ზღაპრებს, მღეროდნენ.

ხუნძეთში ერთ-ერთი მთავარი დღესასწაული იყო პირველი ხნულის გავლება, რის შემდეგაც საგაზაფხულო-სამინდვრო სამუშაოებს იწყებდნენ. მას თან ახლდა რიტუალური ხვნა, მაგიური ქმედებები. ამ დროს აწყობდნენ დიდ ნადიმს, დოღს, სხვადასხვა თამაშობებს.

ქცევის ნორმებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მოხუცებულთა პატივისცემა, ადათების მკაცრად დაცვა, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეტიკეტი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საზოგადოებრივ აზრს.

ხუნძებმა XI-XII საუკუნეებში მიიღეს არაბულ-მუსლიმური კულტურა, თუმცა ის აქ ადგილობრივს დაეყრდნო. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **ხუნძეთში XI-XII საუკუნეებში უნივერსიტეტის ტიპის მედრესე არსებობდა**. XIII-XIV საუკუნეებში გავრცელებული იყო სამეცნიერო, საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური შინაარსის წიგნები. შემორჩენილია XI-XIII საუკუნეების ეპიგრაფიკული დამწერლობის ძეგლები. ფოლკლორიდან განვითარებული იყო ისტორიული გადმოცემები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები, აკვნის, ლირიული, საგმირო სიმღერები. XVII საუკუნეში ფოლკორული კულტურის ბაზაზე ჩაისახა ეროვნული ლიტერატურა, რომლის საფუძველჩამყრელნი იყვნენ *შაბანყად ობოდაელი* და *მუსალავ კუდუტლი.* XVIII საუკუნესა და XIX საუკუნეში არაერთი პოეტი მოღვაწეობდა. ნაციონალური კულტურის ტრადიციების ჭეშმარიტ გამგრძელებლად ითვლება *ჰამზათ ცადასა.* განსაკუთრებით ცნობილია მწერალი *რასულ ჰამზათოვი.*

ხუნძებში სხვადასხვაგვარი ცეკვები იყო გავრცელებული: სწრაფი (*გლოდოშ*), ნელი (*ხლერენ*), მამაკაცთა, ქალთა, კოლექტიური. განვითარებული იყო ხალხური მედიცინა. შემორჩენილი იყო მუსლიმამდელი რწმენა-წარმოდგენები: ბუნებრივი მოვლენების, ციური მნათობების, წმინდა ადგილების თაყვანისცემა: იცოდნენ წვიმის გამოწვევის რიტუალის შესრულება.

დღეს ხუნძთა 43% ქალაქებში ცხოვრობს, ხუნძურ ენაზე მიმდინარეობს რადიო- და ტელეგადაცემები, აქვთ ხუნძთა მუსიკალურ-დრამატული თეატრი, მეცნიერების სხვადასხვა დარგში ჰყავთ არაერთი მეცნიერებათა დოქტორი, სსრკ-ის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები, მხატვრები. ხუნძია თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი *ალი ალიევი,* ოლიმპიური ჩემპიონი *ზაგალავ აბდულბეკოვი,* თურქეთის მარშალი *ფაზილი* (სოფ. *ჭოხიდან*).

IV. 2. ანდიელები

ანდიელები დაღესტნის ერთ-ერთი ძირძველი ხალხია. ანდიელების თვითსახელწოდებაა **გვანალ**. მკვიდრობენ დაღესტნის ჩრდილო-დასავლეთში. ანდიელებს სამხრეთ-დასავლეთიდან ესაზღვრებიან ანდიურ ენათა ქვეჯგუფის ენებზე მოლაპარაკე ხალხები და ხუნძები, ჩრდილო-დასავლეთით – ხუნძები და ჩაჩნები. ანდიის ტერიტორიაზე მიედინება მდ. *უნსალენი* სამი შენაკადით, რომელთა გასწვრივაც განლაგებულია ანდიელთა სოფლები. XIX საუკუნის 70-იან წლებში ანდიელები შვიდ სოფელსა და ერთ დაბაში ცხოვრობდნენ და ითვლიდნენ 1499 კომლსა და 5693 სულს, თუმცა ამ რაოდენობაში გათვალისწინებული არაა ორი დიდი პუნქტის – *მუნისა* და *კვანხიდატლის* მოსახლეობა, რომლებიც მეზობელ სანაიბოში შედიოდნენ. 1926 წლის აღწერით დაღესტანში 7595 ანდიელი აღირიცხებოდა, 1938 წელს – 9750. შემდეგ აღწერებში ანდიელებს აღარ აღრიცხავდნენ და მათ ხუნძებს მიათვლიდნენ. ბოლო წლების მონაცემები ანდიელთა რაოდენობის შესახებ განსხვავებულია. მაგალითად, რუსეთის ხალხებისადმი მიძღვნილ ენციკლოპედიაში (1994 წ.) რუსეთის ფედერაციაში მცხოვრებ ანდიელთა რაოდენობა 1992 წლის მონაცემებით 30 ათასი კაცია აღნიშნული. 2002 წელს მოსკოვში გამოცემულ დაღესტნის ხალხებისადმი მიძღვნილ წიგნში ხაზი აქვს გასმული იმას, რომ 2001 წლის შეფასებითი მონაცემებით დაღესტანში ცხოვრობდა დაახლ. 40 ათასი ანდიელი, რომელთაგანც 17 ათასი *ბოთლიხის* რაიონის *ანდიის უჩასტკაში* ყოფილა; მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, დაახლ. 20 ათასი კი ბარში – *ხასავიურტის, ბაბაიურტის, ყიზილიურტის* რაიონებსა და ქალაქებში მკვიდრობდა. ინტერნეტის მონაცემებითაც, ანდიელთა მნიშვნელოვნად განსხვავებული რაოდენობაა მოცემული. 2002 წლისათვის ერთ საიტზე 25 ათასია მითითებული, მეორეზე – 22 ათასი.

ანდიური ენა კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ-დაღესტნურ ენათა ჯგუფის დაღესტნურ ქვეჯგუფის ანდიურ შტოს ეკუთვნის. ანდიურ ენაში შვიდ კილო-თქმას გამოყოფენ, რომლებიც გაერთიანებული არიან ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ *ზემოანდიურ* და *ქვემოანდიურ* დიალექტებში. ანდიელებს დამწერლობა აქვთ რუსული გრაფიკის საფუძველზე. რევოლუციამდელ პერიოდში საქმისწარმოებასა და ღვთისმსახურებაში ანდიელები არაბულ დამწერლობას იყენებდნენ, ლიტერატურასა და ღვთისმსახურებაში კი – ხუნძურს. 1928 წლამდე დამწერლობა არაბულ გრაფიკს (*აჯამი*) ეფუძნებოდა. 1992 წლიდან ანდიურ ენაზე გამოდის გაზეთი „აზალი“ ანდიელებს შორის გავრცელებულია აგრეთვე ხუნძური, ჩაჩნური და რუსული ენები.

XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს საბჭოთა ხელისუფლებამ დაღესტნის მცირერიცხოვანი ხალხები ხელოვნურად უფრო მრავალრიცხოვან ხალხებთან გააერთიანა, რაც შეეხება ანდიელებს ისინი 1940-იანი წლების ბოლოს ხუნძებად

ჩაწერეს. სინამდვილეში, მიუხედავად იმისა, რომ ყოფით ანდიელები ძალიან ჰგვანან ხუნძებს, ანდიური ენა მნიშვნელოვნად განსხვავდება ხუნძურისაგან და მათ არც არასოდეს არ ჰქონიათ ხუნძური თვითშეგნება და ისინი ყოველთვის თავს თვითმყოფად და დამოუკიდებელ ეთნოსად გაიცნობიერებდნენ. პირიქით, თავისი მენტალიტეტით, კულტურით, წეს-ჩვეულებებით ანდიელები უფრო ახლოს არიან ჩაჩნებთან. ეკონომიკურადაც ანდიელთა სოფლები უფრო მეტად დაკავშირებულნი არიან ჩაჩნეთის ვედენოს რაიონთან, ვიდრე ბოთლიხთან. ოდიდან **ჩაჩნური ენის ცოდნა ანდიელებისათვის პრესტიჟის საქმე იყო. ბევრ ანდიელ ახალგაზრდას ვედენოში სპეციალურად აგზავნიდნენ ჩაჩნური ენის შესასწავლად.** არც ქორწინება იყო იშვიათი ანდიელებსა და ჩაჩნებს შორის.

ანდიელები მუსლიმი-სუნიტები არიან.

არქეოლოგიური მონაცემებით, ძვ. წ.-ის III-II ათასწლეულში ანდიელთა პატარა „ქვეყანა“ მჭიდროდ იყო დასახლებული მიწათმომქმედი და მესაქონლე ტომებით.

ანდიელები თავიანთ მითიურ წინაპრად მიიჩნევენ *ანუშას,* რომელმაც დაარსა სოფელი *ანდი,* რომელიც ანდიელთა საზოგადოებების პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ცენტრად იქცა. ანდია დღეს ერთგვარ ქვაბულს წარმოადგენს. ანდიელებს კი ახ. წ.-ის I საუკუნეში იხსენიებს *პლინიუს უფროსი.* ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ კავკასიაში მათ *სტრაბონიც* მოიხსენიებს. ტოპონიმიკური მონაცემებით, ძველად ანდიელებს უფრო ვრცელი ტერიტორია ეკავათ. მდ. *ანდის ყოისუს* ქვემო წელსა და *გუმბეთში.* ხუნძთა სოფლების *მეხელთის, არგვანის, შაბადუხის, იჩიჩალის, ინხოს, იგალის, ტლიანტლარის, ჩირკატას, ბეტლის, უნცუკულის* და სხვათა სახელწოდებანი და აგრეთვე სხვა ტოპონიმთა მნიშვნელოვანი ნაწილი ანდიური წარმოშობისაა. როგორც ჩანს, გვიან, ისინი ასიმილირებული იქნენ ხუნძურენოვანი მოსახლეობის მიერ. მდ. *ანდის ყოისუს* შუა წელსა და ზემო წელში მცხოვრები ანდიელთა სხვა ნაწილი ასევე გამოეყო ანდიელ ხალხს, რომლებიც შვიდ სხვადასხვა დამოუკიდებელ ეთნიკურ ერთეულად – *ბოთლიხელებად, ღოდობერიელებად, ახვახელებად, კარატიელებად, ჭამალალებად, ბაგვალალებად* და *ტინდიელებად* ჩამოყალიბდნენ. ანდიელთა ტომობრივი დანაყოფები ცალ-ცალკე ეთნოსებად იქცნენ. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ანდიური ეთნიკური მასივის ეთნიკური დივერგენცია ჩვენი ერის დასაწყისში მოხდა. საისტორიო გადმოცემებითა და თანამედროვე გამოკვლევებით, ადრე შუა საუკუნეებში ანდიელებს შორის განხორციელდა ალანების, ჩაჩნების და ყუმუხების შერევა.

საისტორიო გადმოცემებით და ქრონიკებით XIV საუკუნეში ანდიაში *თემურ-ლენგი* შეჭრილა, რომელსაც *გაგატლში ხან ოილუკის* სამფლობელო გაუნადგურებია და მას აქ ისლამის რელიგია განუმტკიცებია. უფრო ადრე ანდიელებში ქრისტიანობა ყოფილა გავრცელებული, რომელიც სინკრეტიზირებული იყო ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენებთან. *ყაზიყუმუხის საშამხლოს* განადგურების შემდეგ, XIV-XV საუკუნეებში, ანდიელებმა თავისი საშამხლო ჩამოაყალიბეს, მაგრამ მალევე აქ ე. წ. „თავისუფალმა საზოგადოებებმა“ უპირატესობა მოიპოვეს. მიუხედავად ამისა, შამხალთა გვარი ერთ-ერთ კეთილშობილ გვარად დარჩა. ანდია (ე. წ. ანდიის რესპუბლიკა) შვიდ თვითმმართველობით სასოფლო საზოგადოების ფედერაციას წარმოადგენდა. ესენი იყო: *ანდია, გუნხი, გაგატლი, რიკვანი, აშალი, ზილო* და *ჩანყო.* ანდიელთა სოფლები *მუნი* და *კვანხიდატლი* „ტეხნუცალის“ მეზობელი სასოფლო საზოგადოების კავშირში შედიოდნენ, რომელიც ხუნძახის ხანის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა და რომელსაც ხარკს ხილით და მარილით უხდიდნენ. XIV-XV საუკუნეებში ანდიის საშამხლო ხელისუფლებას მეზობელ ჩაჩნებსა და ხუნძებზეც ავრცელებდა. წყაროები და დოკუმენტები მაშინდელ ანდიას წარმოგვიდგენენ, როგორც ძლიერ პოლიტიკურ წარმონაქმნს. XVII საუკუნეში ანდიელებმა გამარჯვება მოიპოვეს ხუნძი *ნუცალის* (ხუნძ.

ნუცალი<ქართ. *ნაცვალი*) *ტურულვას* ლაშქარზე. ამით შეინარჩუნეს თავიანთი სუვერენიტეტი და სამართალი.

ყიზლარსა და სხვა ქალაქებში თავისუფალი და უბაჟოდ ვაჭრობის გამო 1731 წელს ანდიელებმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს, მაგრამ მალე ქვეშევრდომობა უარყვეს და 1758 წელს გენერალ *ფონ ფრაუენდორფის* წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაჩნებს დაეხმარნენ. 1741 წელს ანდიელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს დაღესტანში შემოჭრილი ირანის მმართველის *ნადირ-შაჰის* განადგურებაში. 1813 წელს გულისტანის ზავით ირანმა დაღესტნის ტერიტორია რუსეთს გადასცა. 1817-1864 წლებში ანდიელები კავკასიური ომების აქტიური მონაწილენი იყვნენ. ანდიის ნაიბმა *ლაბაზანმა* ღუნიბის ციხე-სიმაგრეში შამილის ბედი გაიზიარა. 1860-იან წლებში ადმინისტრაციული რეფორმით ანდიის ოკრუგის შემადგენლობაში ანდიის სანაიბო ჩამოყალიბდა. 1921 წელს ანდიელები დაღესტნის ასსრ-ს შემადგენლობაში შევიდნენ.

ჯამაათებში ადმინისტრაციულ და სასამართლო ხელისუფლებას არჩევითი მმართველები და უხუცესთა საბჭოები ანხორციელებდნენ. შარიათის მიხედვით სასამართლო საქმეს და სასულიერო ხელისუფლებას *ქადიები* განაგებდნენ. მნიშვნელოვან სარეგულაციო ფუნქციებს ასრულებდა საზოგადოებრივი აზრი, აგრეთვე – სამასლაათო (სამედიატორო) სასამართლოები. ხშირ შემთხვევაში მხარეები სასამართლოს გვერდს უვლიდნენ და თავიანთ საქმეს ტრადიციითა და ურთიერთმოლაპარაკებით წყვეტდნენ.

ზემო ანდიელების ტრადიციული ეკონომიკის საფუძველი სახვნელი ტერასული მიწათმოქმედება და მომთაბარული მესაქონლეობა იყო. *ქვემო ანდიელები* მისდევდნენ მებაღეობას. ხილს ისინი მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების პროდუქტებზე ცვლიდნენ. სახვნელი მიწა, სათიბების ნაწილი და ცალკეული საძოვრები მეთემეთა კერძო საკუთრებაში იყო. მიწის ნაკვეთების ნაწილი სავაკუფო საკუთრებას წარმოადგენდა. ანდიელები სახელგანთქმულნი იყვნენ ნაბდების დამზადებით. ნაბდებს უპირატესად ქალები ამზადებდნენ, მამაკაცები კი მას ღებავდნენ და ყიდდნენ. ანდიელებს ბაზარზე წელიწადში დაახლ. 80 ათასამდე ნაბადი გაჰქონდათ. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ანდიაში ნაბდების წარმოება შემცირდა. ადგილობრივ მოთხოვნილებას მხოლოდ სოფელ *რახტას* ნაბდების არტელი აკმაყოფილებს. როგორც შინამრეწველობის დარგი ნაბდების წარმოება მხოლოდ ერთადერთ სოფელში *გაგატლში* შემორჩა. სოფელ *კვანხიდატლში* სოფლის მახლობლად არსებული მარილის საბადოდან საკვები მარილის მოპოვებას მისდევენ.

თემი (*ჯამაათი*) იყოფოდა რამდენიმე (სამიდან შვიდამდე) *თოხუმად*. თოხუმები მონათესავე მონოგამიური ოჯახების ერთობლიობას წარმოადგენდნენ. ანდიელთა ტრადიციული ოჯახები ნუკლიარული (პატარა) იყო. უმცროსი შვილი მშობლებისაგან მემკვიდრეობით სახლს იღებდა, უფროსი შვილები კი მშობლების ქონებიდან მხოლოდ წილის მიღებით კმაყოფილდებოდნენ. 15 წლის ასაკს ზემოთ თოხუმის შიგნით ქორწინდებოდნენ. საქორწინო წყვილის მოსაძებნად სოფლის გარეთ საერთოდ არ გადიოდნენ. სოფელ *ანდიში* ცაკლეულ თოხუმებს მუდმივი საქორწინო ურთიერთობები ჰქონდათ დამყარებული. ასეთ წყვილ საქორწინო თოხუმებს ანდიელები სპეციალური ტერმინით – *ბადიხოლ* (სიტყვასიტყვით: „ერთმანეთის პირისპირ მდგომნი“) აღნიშნავდნენ.

ანდიის ქვაბულის დასავლეთ და ჩრდილოეთ ქედებზე და მდ. ანდიის ყოისუს ხეობაში (სოფ. *მუნი* და სოფ. *კვანხიდატლი*) დასახლებები ამფითეატრისებურად იყო განლაგებული. შეჯგუფული ანდიური დასახლებები უბნებისაგან შედგებოდა. სოფელსა და უბნებს ჰქონდათ მოედნები, მეჩეთები. მოედანზე სახალხო კრების წარმომადგენლები და უხუცესები იკრიბებოდნენ. სოფელ *მუნის* სახლებს შორის ქუჩები ისე გადიოდა, რომ ისინი გვირაბების შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. სახლების სწორი სახურავები ზედა რიგის სახლებისათვის ეზო-ტერასებს

წარმოადგენდნენ. ზემოანდიური სოფლები მტერს ორჯერ დაუნგრევია და გადაუწვავს: *თემურ-ლენგის* ლაშქრობის და 1845 წელს *მ. ვორონცოვის* ექსპედიციის დროს.

ანდიელთა ტრადიციული ტანსაცმელი თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ხუნძთა ტანსაცმლისაგან. მხოლოდ ქალის კოსტიუმი იყო თავისებური.

ანდიაში შემორჩენილია ისტორიისა და კულტურის ძეგლები. მუნის კოშკები ანდიის ქვაბულში შესასვლელს სამხრეთიდან იცავდა. შემორჩენილია 200 მეტრიანი კედლის ნანგრევები ოთხი კოშკით.

ანდიელები მუსლიმი სუნიტები არიან. ისლამი აქ საბოლოოდ XIV საუკუნეში განმტკიცდა. ისლამამდელი პერიოდის ანდიელებს გამაერთიანებელი საკულტო ცენტრი ჰქონდათ *ბახარგანის* მთაზე. აქ ეთაყვანებოდნენ უმაღლეს ღვთაებას – *ციობი.* გვალვის დროს დღესაც ამ ღვთაებას წვიმას შესთხოვენ. ლოცვასთან ერთად აქ ანდიელები რიტუალურ ცეკვასაც ასრულებდნენ. შემორჩენილია მაგიური რწმენა-წარმოდგენები. მათ სწამთ, რომ ზოგიერთი ადამიანი სულთა სამყაროსთან კონტაქტში შედის. მიაჩნიათ, რომ ყოველ ადამიანს ჰყავს უხილავი ორეული, რომელიც მას ეხმარება. ანდიელებს ფოლკლორი ორენოვანი აქვთ: ანდიურ და ხუნძურ ენებზე. მეცნიერები თვლიან, რომ ანდიურ ფოლკლორს ბევრი რამ აქვს საერთო ხუნძურ ფოლკლორთან, ცეკვებს კი – ჩაჩნურ ცეკვებთან. ანდიელები ცნობილი არიან როგორც სხარტი სიტყვისა და იუმორის მგრძნობიარე ოსტატები. მიაჩნიათ, რომ **ანდიელთა ეროვნული ხასიათი ჩაჩნურის მსგავსია. იცოდნენ რა ანდიელთა დამოუკიდებელი და ამაყი ხასიათის შესახებ, ჩაჩნები მათთან კონფლიქტს ერიდებოდნენ.** ჩაჩანთა მხრივ საქონლის მოტაცების შემთხვევაში, ანდიელები კონკრეტულ დამნაშავეს პოულობდნენ და მას ბევრად მეტ საქონელს ართმევდნენ. საერთოდ, მრავალი საუკუნის განმავლობაში ანდიელები და ჩაჩნები მეგობრულად ცხოვრობდნენ. პირველი ჩაჩნური კამპანიის დროს, 1994-1999 წლებში ყველა ანდიელის სახლში 10-დან 30-მდე დევნილი ჩაჩანი ცხოვრობდა, რომლებსაც ანდიელები უზრუნველყოფდნენ არა მხოლოდ საცხოვრებლით, არამედ საკვებითაც.

ანდიელთა უმაღლეს ფასეულობებად ითვლება: ერთგულება, ალალმართლობა, ვაჟკაცობა, თავაზიანობა, ზრდილობიანობა და სხვ. მიაჩნიათ, რომ ანდიელები ხასიათით გულახდილები, თავისუფლები არიან. მეტყველებენ ხმამაღლა, ტრადიციულად ისინი აფასებენ ზომიერებას, ენამზეობას.

IV. 3. ახვახელები

ახვახელები დაღესტნის ძირძველი მკვიდრები არიან. ისინი მცირერიცხოვნებით გამოირჩევიან. ახვახელების საერთო რაოდენობა დაახლ. 6,5 ათასი კაცია. აქედან ოთხი ათასი დაღესტნის დასავლეთში ცხოვრობს, ორი ათასი – აზერბაიჯანში.

ახვახელების ენდოეთნონიმია **აშვადო**. მეზობელი ხუნძების ერთი ნაწილი, *კარატაელები* და *ბაგულალები* მათ **სადაკლიტუს** უწოდებენ, ხუნძების მეორე ნაწილისათვის ისინი **გახვალალები** არიან. დაღესტნის სხვა ხალხები ახვახელებს ხუნძებისაგან არ ანსხვავებენ, რაც უპირველეს ყოვლისა იმან განაპირობა, რომ საბჭოთა პერიოდში 1930-იანი წლების ბოლოდან მათ ცალკე ეთნოსად არ თვლიდნენ და როგორც ხუნძები ისე აღირიცხებოდნენ.

ახვახელები დიდი ევროპეიდული რასის ბალკანურ-კავკასიურ ტიპს მიეკუთვნებიან. ლაპარაკობენ ახვახურ ენაზე, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ-დაღესტნური ჯგუფის ანდიურ-ცეზურ ქვეჯგუფს მიეკუთვნება. ახვახური ენა ორ დიალექტად იყოფა: *ჩრდილოური* და *სამხრეთული.* ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ორ კილო-თქმას შეიცავს (*ცეკობურს* და *ტლიანუბურს*). ახვახელები სამენოვან ეთნოსს მიეკუთვნებიან. მოსახლეობის დიდი უმეტესობა, დედაენასთან ერთად, ლაპარაკობს აგრეთვე ხუნძურ და რუსულ ენებზე. ხუნძური

არა მხოლოდ ეთნოსის შიგნით საურთიერთობო ენაა (სხვადასხვა დიალექტზე მოსაუბრეთათვის), არამედ სხვა ანდურ-ცეზურ ხალხთან კონტაქტისაც. ახვახელებს დამწერლობა აქვთ ხუნძურ ენაზე, რომელიც რუსულ გრაფიკს ეყრდნობა. უფრო ადრე, XIX საუკუნის დასაწყისიდან კი ხუნძურ და ახვახურ ენებზე არსებობდა დამწერლობა არაბული გრაფიკის საფუძველზე. ახვახელთა ნაწილი ყუმუხურ და აზერბაიჯანულ ენებსაც ფლობს.

ტერიტორიულად ახვახელები ორ ნაწილად, ჩრდილოეთ და სამხრეთ ახვახელებად იყოფიან. ჩრდილოეთ ახვახელები (*ცუნტა-ახვახ*) ჩრდილო-დასავლეთ დაღესტანში ბოგოსის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე არიან განსახლებული. აქ მათი სოფლები მდ. *ანდის ყოისუს* მარჯვენა შენაკადებზეა შეფენილი. ეს სოფლებია: *კვანკერი, ცვაკილკოლო, ტად-მაგიტლი, ლოლო-გონიტლი, კუდიაბროსო, იზანი* (დაქვემდებარებული არიან დღევანდელი დაღესტნის ახვახის რაიონისადმი). მათგან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ბოგოსის ქედის აღმოსავლეთ ქედზე, *ავარიის ყოისუს* მარცხენა შენაკადებზე განლაგებულია სამხრეთ ახვახელების (*რატლუ-ახვახ*) სოფლები: *ცეკობი, ტლიანუბი,* და *რატლუბი* (ახლანდელი შამილევსკის რაიონი). ახვახელთა დასახლებები თუხუმური მოსახლეობის დასახლებების შედეგად წარმოიქმნა, რომელთა რაოდენობა ასეულ ერთეულს აჭარბებს. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი აქ მონღოლებამდელ პერიოდში დაიწყო და ის დაახლოებით ექვს-შვიდ საუკუნეს გაგრძელდა და დამთავრდა მხოლოდ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. ახვახის მოსახლეობა ადრე შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა, მაგრამ გვიან (XVI-XVII სს.) ხუნძეთის სხვადასხვა მხრიდან გადმოსახლებულთა ხარჯზე ივსებოდა. ახვახელთა მეზობლები ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით არიან *ხუნძები,* დასავლეთით – *ბაგულალები,* სამხრეთ-დასავლეთით – *თინდალები,* ჩრდილოეთით – *კარატაელები.* XVII-XVIII საუკუნეებში ახვახელთა ნაწილი აღმოსავლეთ კახეთში (დღევანდელ საინგილოში), ზაქათალას რაიონში გადასახლდა და ასე იქცნენ ისინი საბჭოთა პერიოდში შექმნილი აზერბაიჯანის მოქალაქეებად. საინგილოში ახვახელები ცხოვრობენ როგორც შერეულად (ზაქათალა, ჭარი და სხვ.), ისე განცალკევებულად (სოფ. *ახვახდერე*). საბჭოთა პერიოდში ახვახელთა ნაწილი დაღესტანშივე, ყუმუხეთის ბარში, – თერგსა და სულაკს შორის – ჩასახლდა.

ახვახელებით განსახლებული მხარე მთიანი ადგილ-მდებარეობისაა. ახვახის მთათა ფერდობებზე შესანიშნავი საძოვრები მდებარეობს.

ახვახელები ადრე შუა საუკუნეების საისტორიო წყაროებში არ მოიხსენიებიან. მაგრამ მკვლევარები ფიქრობენ, რომ ისინი ანტიკური წყაროებისათვის ცნობილ ანდიურ-ცეზურ ხალხთა ერთობლივი სახელით ცნობილ *დიდურებში* (ქართული წყაროებით *დიდოები*) შედიოდნენ. ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებული აქეოლოგიური მასალებით, აშკარაა, რომ ანდიის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა მიწათმოქმედი, ბინადარი მესაქონლე და ლითონის დამუშავების მაღალი კულტურით გამოირჩეოდა.

XV-XVI საუკუნეებისათვის რიგი შიდა და გარე მიზეზებით, დიდოთა ეთნოპოლიტიკური გაერთიანება დაიშალა, რის შედეგადაც ნაწილობრივ ჩამოყალიბდა სასოფლო თემთა დამოუკიდებელი კავშირები, მათ შორის, ახვახის „თავისუფალი საზოგადოება“. ახვახელთა მთელი შემდგომდროინდელი ისტორია ხუნძთა ხანებისა და გიდატლის იდეოლოგიური და პოლიტიკური შეტევის წინააღმდეგ ბრძოლაა. XVI-XVII საუკუნეებში ახვახის ტერიტორიის ნაწილი კავშირს მოწყვიტეს, რომელიც შემდეგ გიდატლის საზოგადოების შემადგენლობაში შევიდა (*რატლუ-ახვახ*, სოფლები: *რატლუბი, ცეკობი* და *ტლიანუბი*). ცარიზმის წინააღმდეგ დაღესტნისა და ჩაჩნეთის ერთობლივ ბრძოლაში ახვახელებმა ყველაზე აქტიური მონაწილეობა მიიღეს, რომლებიც შამილს 1840-იანი წლების დასაწყისში შეუერთდნენ. 1860-იან წლებში ახვახში, ისევე როგორც მთელ დაღესტანში, სამხედრო-სახალხო მმართველობა შემოიღეს. დღეისათვის კარატაელებთან,

ხუნძებთან და ბაგულალების მცირე ნაწილთან ერთად (სოფლები *ტდიბიშო* და *თლისი*) ისინი დაღესტნის ახვახის რაიონში ცხოვრობენ, ნაწილი კი – შამილის რაიონში.

ახვახელთა რაოდენობა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის პირველ ათწლეულამდე ასეთი იყო: 1866 წ. – 2464 კაცი, 1886 წ. – 3585, 1894 წ. – 3725 და 1916 წელს – 2901 კაცი. მოსახლეობის რაოდენობის ასეთი კლების მიზეზი გაურკვეველია. საბჭოთა პერიოდში ახვახელთა რაოდენობამ იმატა. 1926 წლის მონაცემებით ისინი უკვე 3700 იყვნენ, 1938 წელს – 4700. შემდეგი პერიოდის აღწერებში ახვახელებს ხუნძებად წერდნენ. 1959 წ. ახვახის ექვსი სოფლისა და შამილის რაიონის სამი სოფლის ახვახური მოსახლეობა 2324 სული იყო, 1970 წელს – 4300 კაცი და 1979 წელს – 5045 კაცი.

როგორც სხვა დაღესტნელები, ახვახელებიც შედიან დაღესტნის ისტორიულ-კულტურულ ოლქში, რომელიც თავის მხრივ, ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიულ-კულტურული პროვინციის ნაწილს წარმოადგენს. ახვახელები მასში როგორც ეთნოკულტურული, ისე სამეურნეო-კულტურული თვალსაზრისით შედიან. ახვახელთა ტრადიციული საქმიანობა მომთაბარე (გადარეკვითი) მეცხოველეობა და სახვნელი მიწათმოქმედება იყო. მოშენებული ჰყავდათ (ძირითადად) ხუნძური და ანდიური ჯიშის ცხვარი, თხა, მსხვილფეხარქოსანი საქონელი, დაღესტნური ჯიშის ცხენი. ტერასებზე, რომლებიც ნაწილობრივ ირწყვებოდა, მოჰყავდათ ქერი, შვრია, სვია... XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან – სიმინდი და კარტოფილი. მისდევდნენ მეფუტკრეობას. ხელოსნობის დარგებიდან ახვახელებმა იცოდნენ ცხვრის ტყავის დამუშავება, ხითხუროობა, ქვითხუროობა, მჭედლობა. მამაკაცებს შორის გავრცელებული იყო და დღესაც გავრცელებულია გარე სამუშაოზე სიარული: აზერბაიჯანში, შუა აზიაში, რუსეთის სხვადასხვა რაიონებში, სადაც ისინი ქვის მთლელებად, დურგლებად და მწყემსებად მუშაობდნენ.

ახვახის თემთა კავშირი ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ კავშირსაც წარმოადგენდა. საერთო საკითხების გადასაწყვეტად თემთა კავშირის წევრები სოფელ *ტად-მაგიტლის* მახლობლად იკრიბებოდნენ. ყოველი სასოფლო საზოგადოება (თემი) წარმოადგენდა თვითმმართველობით, თვიმარეგულირებელ და თვითმაკონტროლებელ ერთეულს. უმაღლესი ორგანო სრულწლოვან მამაკაცთა ყრილობა იყო. საზოგადოებრივი, თუხუმებშორისი, ოჯახებსშორისი, შიდასაოჯახო ურთიერთობები ჩვეულებითი სამართლის ნორმებით (*ადათით*) და *შარიათით* რეგულირდებოდა. ახვახელთა ერთგვაროვან სოციალურ ორგანიზაციაში დიდხანს, XIX საუკუნემდე, გამოიყოფოდა ადგილობრივი მმართველობითი ზედაფენა, შეძლებული მესაქონლეები და მიწათმოქმედნი, რომლებიც საზოგადოების ერთგვარად ფეოდალიზირებულ ფენას წარმოადგენდნენ. საზოგადოების არასრულფასოვანი წევრები, რომლებიც ყოფილ მონათა შთამომავლები იყვნენ, უმნიშვნელო რაოდენობით იყვნენ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში რამდენადმე მნიშვნელოვან როლს ვერ თამაშობდნენ.

ზამთარში ცხვრის მნიშვნელოვან რაოდენობას ახვახელები წლების განმავლობაში აზერბაიჯანის, საქართველოს, ყუმუხეთის დაბლობებში აძოვებდნენ. იქვე გასაყიდად მიჰქონდათ მაუდი, მატყლი, გამომშრალი ხორცი, ყველი, ერბო...

ახვახელთა ოჯახის გაბატონებული ფორმა იყო პატარა ოჯახი. დაქორწინებისთანავე ცდილობდნენ ახალგაზრდები ცალკე დაესახლებინათ. თუმცა XX საუკუნის დასაწყისამდე გვხვდებოდა დიდი, გაუყოფელი ოჯახებიც. შიდასაოჯაო ურთიერთობები პატრიარქალურ საწყისებს ეფუძნებოდა: უმცროსები ემორჩილებოდნენ უფროსებს, ქალები – კაცებს, ოჯახის ყველა წევრი – ოჯახის უფროსს.

ნაწილობრივ დღესაცაა შემორჩენილი პატრიარქალური სისხლნათესაობითი გაერთიანებები – თუხუმები. ნათესაობას უპირატესად მამის ხაზით ითვლიდნენ, დედის ხაზით კი – მეოთხე მუხლამდე. საოჯახო ცხოვრებაში მისდევდნენ

აკრძალვებისა და უმძრახობის წეს-ჩვეულებებს, პატივს მიაგებდნენ უფროსებს; იცოდნენ ნათესაური და მეზობლური ურთიერთდახმარება, თუხუმური სოლიდარობა; უმაღლეს დონეზე იყო აყვანილი სტუმართმოყვარეობა.

ახვახელთა ტრადიციული დასახლება საფეხურებრივ-შეჯგუფული დაგეგმარებისა იყო. ისინი ხეობათა ქედებზე იყო განლაგებული. მრავალსართულიანი სათვალთვალო (სადარაჯო) კოშკები სოფლების მისასვლელებში იყო აგებული.

ტვირთების ახლო და შორეულ მანძილზე ტრანსპორტირებისათვის ძირითადად სახედარსა და ცხენს იყენებდნენ. ახვახში ბორბლიანი ტრანსპორტი არ იცოდნენ. სოფელსა და მის ახლომახლო ტვირთი ძირითადად სათრეველა ტრანსპორტით გადაჰქონდათ, რომელშიც ხარებს აბამდნენ. ტანსაცმელი საერთოდაღესტნური ტიპის ჰქონდათ. ახვახელი მამაკაცები თავს იპარსავდნენ, წვერ-ულვაშს – არა.

ზამთრობით მამაკაცები მრავალდღიან გასართობ შეკრებებს აწყობდნენ. შემუშავებული ჰქონდათ ხალხური სასოფლო-სამეურნეო კალენდარი. ძალიან ორიგინალური იყო მთელი დაღესტნისათვის პირუტყვის გაწყვეტის წინააღმდეგ ბრძოლის ახვახური წეს-ჩვეულება, ე. წ. მოხვნის წესი, რომლის დროსაც ღამით 12 ქალი გუთანში შეებმებოდა და მას სოფლის გარშემო ათრევდნენ. ისინი მუქარას უთვლიდნენ და წყევლიდნენ **ზულულას**. ეს წესი შავი კატის მოკვდინებითა და დასაფლავებით მთავრდებოდა. წვიმის შესაწყვეტად იცოდნენ ახალგაზრდების სოფლის გარშემო რიტუალური სირბილი. ახვახელებში განვითარებული იყო ხალხური მედიცინა.

XV საუკუნიდან ხუნძახის სახანო და გიდატლის კავშირი ისლამის გავრცელების დროშით აქტიურ ბრძოლას ეწეოდა ახვახელების წინააღმდეგ. ისლამიზაციის პროცესი საუკუნეების განმავლობაში გაიწელა და მხოლოდ XVIII საუკუნის II ნახევარში დასრულდა. მაჰმადიანობამ ფესვები მყარად გაიდგა, მაგრამ მაინც შემორჩენილია ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც ანიმისტურ წარმოდგენებთან, აგრეთვე მიწის, ცის, მზის, ცეცხლის, ვარსკვლავების, მთვარის, ჭექა-ქუხილის, მეხის, მთის მწვერვალების, ტყეების, მდინარეების და სხვათა კულტთანაა დაკავშირებული. დღეს ახვახელები მუსლიმი სუნიტები არიან. სამლოცველო სახლები ახვახის ყველა სოფელშია, უმეტეს მათგანში ფუნქციონირებენ მეჩეთები.

IV. 4. ბაგულალები

დაღესტნის ერთ-ერთი მცირერიცხოვანი ანდური მოდგმის ხალხი ბაგულალები არიან. მკვიდრობენ დასავლეთ დაღესტანში. თვითსახელწოდებაა **ბაგულალ**. ბაგულალები განსახლებულნი არიან *ბოგოსის* ქედის ჩრდილოეთ კალთებზე, მდ. *ანდის ყოისუს* მარჯვენა მხარეს. ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ ერთმანეთის მეზობლად მდებარე სოფლებში: *ხუშტადა, ტალონდოდა, კვანადა, გიმარსო* (ცუმადინსკის რ-ნი), *თლიბიშო, თლისი* (ახვახის რაიონი). დღეისათვის მიგრირებული ბაგულალები კომპაქტურად ცხოვრობენ ბარის სოფ. *ჩალოში* (*ყიზილიურტის* რაიონში). ბაგულალები გაბნეულად ცხოვრობენ აგრეთვე *ყიზლარის, ხასავიურტის, ყიზილიურტის* რაიონებში. ოქტომბრის გადატრიალებამდე ბაგულალები ადმინისტრაციულად შედიოდნენ ანდიის ოკრუგის *კარატის სანაიბოში.*

XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ბაგულალების საერთო რაოდენობა 1989 კაცს შეადგენდა (577 კომლი), XX საუკუნის 20-იან წლებში – 3054 კაცს (დაღესტნის მთელი მოსახლეობის 0,39%). დღეისათვის სასოფლო ადმინსტრაციის დავთრებით ბაგულალების რაოდენობა ხუთი ათას კაცს აჭარბებს.

ბაგულალებს ჩრდილოეთიდან ემეზობლებიან კარატაელები, ახვახელები, სამხრეთ-აღმოსავლეთით – თინდალები, დასავლეთით – ჭამალალები, ღოდობერიელები. ბაგულალები სამ ჯგუფად იყოფიან, რომლებსაც ენის, კულტურის და ყოფის სპეციფიური თავისებურებები გააჩნიათ. ბაგულალურის თქმებია: *ხუშტადიური, ტლონდოდიური, ტლიბიშიური.* ლაპარაკობენ ხუნძურ ენაზეც. დამწერლობაც ხუნძურ ენაზე აქვთ. ბაგულალები კავკასიონურ ანთოპოლიგიურ ტიპს მიეკუთვნებიან.

ახალ წელთაღრიცხვამდე ბაგულალების სატომო გაერთიანება „ფედერაციაში“ შედიოდა, შემდეგ – დიდოს პოლიტიკურ კავშირში. მისი დაშლის შემდეგ XV საუკუნეში ბაგულალის სასოფლო თემთა კავშირში გაერთიანდნენ, რომლის ცენტრი იყო სოფელი *ხუშტადა.* XIV საუკუნეში მიიღეს მაჰმადიანობა. 1813 წლის გულისტანის ზავით დაღესტანი რუსეთის ქვეშევრდომობაში გადავიდა. 1860-იანი წლების ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად ბაგულალები შევიდნენ ანდიის ოკრუგის *ჭამალალ-უნკრატალის სანაიბოში.* წყაროებში სახელწოდება „ბაგულალი“ მხოლოდ XVIII საუკუნიდან ჩნდება. ბაგულალები, ისევე როგორც ანდიის ენობრივი ქვეჯგუფის სხვა ხალხები, რუსეთის შემადგენლობაში XIX საუკუნეში შევიდნენ. მაგრამ მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც *შამილი* ხელმძღვანელობდა. *შამილის* პირველივე დაძახებაზე ბაგულალებს 300 მებრძოლი გამოუყვანიათ (150 ცხენოსანი და 150 ქვეითი).

ბაგულალების მეურნეობისა და კულტურის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაზე გავლენა მოახდინა ეკოლოგიურმა გარემომ, სამეურნეო და კულტურულმა ლანდშაფტმა, სოციალ-ეკონომიკურმა პირობებმა. ისინი თანაბრად მისდევდნენ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. მიწათმოქმედება მათი უძველესი სამეურნეო საქმიანობაა. მისდევდნენ აგრეთვე მებაღეობას, მევენახეობას, მეფუტკრეობას. სახვნელი მიწები და სათიბები კერძო საკუთრებაში იყო. ცალკეულ სახვნელ, სათიბ ნაკვეთებზე, ტყის ნაწილზე თუხუმური საკუთრება არსებობდა. სათემო საკუთრებად ითვლებოდა საძოვრები. მესაქონლეობაც ბაგულალების უძველესი საქმიანობა იყო. ჰყავდათ როგორც მსხვილფეხარქოსანი, ისე წვრილფეხარქოსანი საქონელი. XIX საუკუნის 80-იან წლებში ექვსი ბაგულალური სოფლის მოსახლეობას კერძო საკუთრებაში 21. 000 ცხვარი ჰყავდა, 2200 – მსხილფეხარქოსანი საქონელი, 1100 – ცხენი, სახედარი, ჯორი. მეცხვარეობა ძირითადად მომთაბარული იყო. ზამთარში ცხვარი *თერგ-სულაკის* დაბლობში ჰყვადათ, ზაფხულში – მთებში. მეცხოველეობის პროდუქტები ბაგულალების ძირითადი საკვები იყო. მას პურსა და სხვა პროდუქტებზე ცვლიდნენ, აგრეთვე იმ ნაწარმზე, რომლებსაც არ აწარმოებდნენ.

განვითარებული იყო შინამრეწველობისა და ხელოსნობის ზოგიერთი დარგი. რეწვის ნედლეული იყო მეცხოველეობის პროდუქცია (მატყლი, ტყავი, რქა, ძვალი), ხე, ქვა. განსაკუთრებით დაწინაურებული იყო საფეიქრო საქმე, ქეჩის წარმოება, მაუდის ქსოვა, მატყლის წინდებისა და ჩექმების ქსოვა, ვერცხლის ნაკეთობების დამზადება, ხანჯლის ქარქაშების კეთება. ოჯახისათვის ქალები ამზადებდნენ შუამოსართავებს, ხურჯინებს, ტომრებს. მამაკაცები სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს აკეთებდნენ.

ბაგულალელთა თითქმის ყველა სოფელი დაქანებულ ფერდობებზე იყო შეფენილი. სოფლის ირგვლივ არსებული მწირი ადგილები მოსახნავად გამოიყენებოდა. სოფლებს შორის არსებობდა ვიზუალური კავშირი. ამ მიზნით, სოფლების განაპირა ადგილებში აგებული იყო სასიგნალო კოშკები, სადაც დღე-ღამის განმავლობაში სხვადასხვა თუხუმის ახალგაზრდები მორიგეობდნენ. ყველა თუხუმურ უბანში ჰქონდათ საყარაულო კოშკი, რომელიც პირველად თუხუმის თავშესაფარს წარმოადგენდა. ყველა კოშკი ერთმანეთთან მიწისქვეშა გასასვლელებით იყო დაკავშირებული. ბაგულალთა ყველა სოფელს საერთო შესასვლელი კარები ჰქონდა, რომელიც ღამღამობით იკეტებოდა. სოფლები მზის

მხარეზე იყო ორიენტირებული. დასახლება იყო შეჯგუფული და ტერასისებური, რომელიც ერთმანეთთან მჭიდროდ მიდგმული სახლებისაგან შედგებოდა. ბაგულალთა ტანსაცმელი თითქმის ისეთივე იყო, როგორც დაღესტანში მცხოვრები სხვა ხალხებისა. ორმოც წლამდე მამაკაცები თავს იპარსავდნენ, წვერ-ულვაშს კი უშვებდნენ. ქალები ატარებდნენ გრძელ ნაწნავებს. თავს იბანდნენ თბილი წყლით, რომელსაც ჭერმის ჩირსა და ნაცარს ამატებდნენ.

ბაგულალთა სოციალური ურთიერთობა პატრიარქალური ხასიათის იყო. ისინი გაერთიანებულნი იყვნენ თემებში (*ჯამაათებში*). თემის უმაღლესი ორგანო იყო სოფლის კრება; მმართველობის ფუნქციები უხუცესების ხელში იყო თავმოყრილი. ოჯახის ძირითადი ფორმა ორთაობიანი (პატარა) ოჯახი იყო. XX საუკუნის დასაწყისში იშვიათად გვხვდებოდა გაუყოფელი ოჯახებიც. უპირატესობა ენიჭებოდა ნათესავებს შორის (ბიძაშვილების, დეიდაშვილების) დაქორწინებას.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში გადმონაშთის სახით შემორჩენილი იყო პატრიარქალური მონობა. მონები ომებისა და თარეშის დროს ტყვედ ჩავარდნილი ადამიანები იყვნენ.

სპეციფიკურ მოვლენას წარმოადგენდა „მამაკაცთა სახლების“ ძველი ინსტიტუტი. ზამთრში, ორი-სამი თვის განმავლობაში, მამაკაცთა ჯგუფები (15-20 კაცი) იკრიბებოდნენ სახლებში, სადაც ქალების შესვლა აკრძალული იყო. დრო გაჰყავდათ საუბარში, თამაშობებში. ირჩევდნენ *შაჰს,* რომლის სიტყვაც ყველასათვის კანონი იყო, იკაუებდნენ ორგანიზმს. ცოლიან მამაკაცებს უფლება ჰქონდათ თავის სახლს ფარულად სწვეოდნენ მხოლოდ ხუთშაბათსა და პარასკევ ღამეს.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს, სახლის აშენებისას, ქორწილსა და დაკრძალვისას იცოდნენ ურთიერთდახმარება, ერთმანეთის გვერდში დადგომა.

„სამხედრო-სახალხო მმართველობის“ შემოღებამდე დიდი სასოფლო თემების სათავეში **ბეგაულები (ხალიდები)** იდგნენ. მათ სოფლის ყრილობაზე ირჩევდნენ. საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი სისხლის აღებას ეკავა, რომელიც XX საუკუნის 30-იან წლებამდე იყო შემორჩენილი. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სტუმართმოყვარეობის ყველა წესის დაცვას. ის ხალხებსა და საზოგადოებებს შორის ეკონომიკური და კულტურული კავშირების დამყარების მნიშვნელოვან საშუალებად ითვლებოდა.

განვითარებული იყო ხალხური ზეპირი პოეტური შემოქმედება. ზღაპრების ყველაზე გავრცელებული მოტივი იყო ლირიკული, რომლის მთავარი სიუჟეტი მდიდარი და ღარიბი ახალგაზრდების სიყვარული იყო. საყვარელი მოტივი იყო აგრეთვე ცხოველისა და ადამიანის ნათესაობა. მდიდარი იყო ბაგულალების სასიმღერო ფოლკლორი. მღეროდნენ ძირითადად ხუნძურ ენაზე. ყველაზე გავრცელებული იყო ცეკვები მამაკაცთა და ქალთა შესრულებით.

ხალხური სპორტის სახეობებიდან პოპულარობით სარგებლობდა მშვილდის სროლა, ცურვა, ხალხური შაში და ა. შ.

კონფესიური თვალსაზრისით ბაგულალები მუსლიმი სუნიტები იყვნენ. ისლამი საბოლოოდ XIX საუკუნეში განმტკიცდა. ხალხში შემორჩენილი იყო ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები (რწმენა სულების არსებობის შესახებ, მაგია, ჯადოქრობა). პატივს მიაგებდნენ წინაპრებს, მზეს, მთვარეს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დღეს ბაგულალური ენის გამოყენების არე შეზღუდულია, რადგან ის უდამწერლობო და ოჯახში სალაპარაკო ენაა. ამიტომ მისი გაქრობის საშიშროება არსებობს.

IV. 5. ბოთლიხელები

ბოთლიხელები დაღესტნის ერთ-ერთი მცირერიცხოვანი ხალხია. მათი თვითსახელწოდებაა **ბუახადი** (მრ. რ.), **ბუიხალი** (მხ. რ.). ცხოვრობენ დასავლეთ დაღესტანში, ბოთლიხის რაიონის სამხრეთ ნაწილში. ძირითადად მკვიდრობენ *ანდის ყოისუს* ხეობის ორ სოფელში: *ბოთლიხსა* და *მიარსოში*. მათვე ეკუთვნით ორი ხუტორი – *აშინო* და *ანხო*. ბოთლიხელებს ემეზობლებიან: ხუნძები, ღოდობერიელები, კარატაელები, ანდიელები. ბოთლიხელების რაოდენობა 6 ათასი კაცის ფარგლებშია. 1886 წლის მონაცემებით, ბოთლიხელები 1394 კაცი (345 კომლი) იყო. 1897 წლისა და 1926 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებით მათი რაოდენობა შესაბამისად 1125 კაცი და 328 კომლი და 3370 კაცი და 436 კომლი იყო. 1939 წლისა და ყველა მომდევნო აღწერაში ბოთლიხელები ხუნძებად ჩაწერეს.

ბოთლიხელები ანდიელ ხალხთა ჯგუფის წარმოამდგენლები არიან. ლაპარაკობენ ბოთლიხურ ენაზე. გავრცელებულია აგრეთვე ხუნძური, ჩაჩნური, რუსული ენები. წარსულში სარგებლობდნენ ხუნძური ენის აჯამური დამწერლობით.

ანთროპოლოგიურად ბოთლიხელები დიდი ევროპეიდული რასის კავკასიონურ ტიპს მიეკუთვნებიან. ბოთლიხელთა ეთნოგენეზის საკითხი გაურკვეველია. ისტორიის სხვადასხვა პერიოდში დასავლეთ დაღესტნის ანდურ-ცეზური ჯგუფის ხალხები და მათ შორის, ბოთლიხელები სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებში იყვნენ გაერთიანებულნი. აღნიშნული რეგიონის ყველაზე ცნობილი კავშირი ადრე შუა საუკუნეებში *დიდო* იყო. ფიქრობენ, რომ ახ. წ.-ის I ათასწლეულიდან ბოთლიხელები უკვე შედიოდნენ *დიდოს* შემადგენლობაში, რომელიც XIV-XV საუკუნეებში დაიშალა. საისტორიო მეცნიერებაში არსებობს მოსაზრება ბოთლიხელების სამხრეთული წარმომავლობის შესახებ. ამ მოსაზრებით, საერთოდ ანდიურ-დიდოური ხალხთა ჯგუფი წინა აზიიდანაა მოსული.

VII-VIII საუკუნეებში დასავლეთ დაღესტნის მცხოვრებნი და, მათ შორის, ბოთლიხელები არაბებმა ვერ დაიპყრეს. წყაროების თანახმად, ამ რეგიონის მცხოვრებნი XIV საუკუნეში ქრისტიანობის მიმდევრები იყვნენ. შემორჩენილი ჰქონდათ ტრადიციული რწმენა-წარმოდგენებიც. აქ ისლამი საბოლოოდ XVI საუკუნის მეორე ნახევარში დამკვიდრდა. XIV-XV საუკუნეებში ბოთლიხელები იმ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობდნენ, რომელიც დაღესტანში მიმდინარეობდა. ამ დროს ადგილობრივ „ფეოდალებსა“ და უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლაში ცალკეული სასოფლო თემები სასოფლო თემთა კავშირებში გაერთიანდნენ. ასეთი კავშირი დღევანდელი ბოთლიხის რაიონის ტერიტორიაზე **ტეხნუცალის** სახელწოდებით ჩამოყალიბდა. დასავლეთ დაღესტნის სხვა კავშირებისაგან განსხვავებით, *ტეხნუცალი* ეთნიკურად ნაირგაროვანი სოციალ-პოლიტიკური გაერთიანება იყო. მის შემადგენლობაში შედიოდა აქ მცხოვრები ეთნოსების (ბოთლიხელების, ღოდობერიელების, ანდიელების, ხუნძებისა და ჩაჩნების) ცხრა სასოფლო თემი. 1886 წლის მონაცემებით ამ საზოგადოების კომლთა რაოდენობა 1839 იყო (7715 კაცი). ტეხნუცალის სასოფლო თემთა კავშირის ცენტრი იყო *ბოთლიხი*.

მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ბოთლიხელებს დასავლეთ დაღესტნის სხვა ხალხებთან ერთად, სამხრეთ კავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიასთან გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდათ. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ (1801 წლიდან) მათ ეს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები მოეშალათ. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა ბოთლიხელებმა, რომლებსაც ოფიციალური გზების ავლით უმძიმეს პირობებში გადაჰქონდათ საქონელი საქართველოში, არაერთხელ მიმართეს ცარიზმის ხელისუფლებას, რომ შეასრულებდნენ ყველა პირობას და მიიღებდნენ რუსეთის ქვეშევრდომობას. 1809 წელს ბოთლიხელებმა რუსეთის ერთგულების ფიცი მიიღეს, რამაც მათ სასურველი შედეგი ვერ მოუტანა – რუსებმა არ მოხსნეს სავაჭრო ბარიერები; ბოთლიხელებსა და ტეხნუცალის საზოგადოების სხვა მცხოვრებთ სავაჭრო საქმეზე გადასვლის უფლება არ მისცეს. რუსეთის ამ პოლიტიკამ დასავლეთ დაღესტნის მოსახლეობის რუსეთისაგან

დაშორებას შეუწყო ხელი. XIX საუკუნის 40-იან წლებში ცარიზმის სარდლობამ ამ მხარის მკვიდრთ საბოლოოდ აუკრძალა საქართველოსთან და დაღესტნის ბართან კავშირი. ასეთ ვითარებაში ბოთლიხელები ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აქტიური მონაწილეები გახდნენ, რომლესაც შამილი მეთაურობდა.

კავკასიური ომების დამთავრების შემდეგ, ბოთლიხი დასავლეთ დაღესტნის ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად იქცა.

ბოთლიხში შემონახულია ტერასები, რაც მიწათმოქმედების მაღალ კულტურასა და ინტენსიურობაზე მიუთითებს. *ვ. ვავილოვიც* აღნიშნავდა ბოთლიხის გასაოცარი მრავალიარუსიანი ტერასების შესახებ. ისინი დიდი ამფითეატრების შთაბეჭდილებას სტოვებდნენ. აქ ბაღი, ბოსტანი და სახვნელი ერთ მთლიანობას წარმოადგენდა. მეურნეობაში წამყვანი მებაღეობა იყო. ბოთლიხში ვაზის ცხრა ჯიში ჰქონდათ გამოყვანილი. მეურნეობის ტრადიციული დარგი იყო მეცხოველეობაც, რომელსაც ძირითადად დამხმარე როლი ჰქონდა. ამის მთავარი მიზეზი საძოვრების არარსებობა და მცირემიწიანობა იყო. ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა მეფუტკრეობის განვითარების შესაძლებლობა შექმნა.

ბოთლიხელები, ისევე როგორც მთაში მცხოვრები ყველა ეთნოსი, კუსტარულ რეწვას მისდევდნენ. გავრცელებული იყო ქსოვა, საფეიქრო საქმე, ნაბდების დამზადება, ტყავის დამუშავება, ფაფახებისა და ფეხსაცმლის კერვა.

ბოთლიხელთა ეკონომიკურ ცხოვრებაში ვაჭრობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. მებაღეობის პროდუქტებით და ხელოსნობის ნაწარმით ბოთლიხის ბაზარში ვაჭრობდნენ, რომელიც დასავლეთ დაღესტანის მსხვილი სავაჭრო ცენტრი იყო, სადაც სავაჭროდ არა მარტო დაღესტნის, არამედ ჩაჩნეთის მცხოვრებნიც იყრიდნენ თავს.

ბოთლიხელთა ორივე სოფლის (*ბოთლიხი, მიარსო*) დასახლება მთის დასახლების ტიპს მიეკუთვნება, თუმცა ადგილ-მდებარეობიდან გამომდინარე ისინი ძლიერ შეჯგუფული არ იყო. სოფლები უბნებად იყოფოდა. ხშირად სოფელში ქუჩები სახლების ქვეშ გადის. სოფლის ცენტრი მეჩეთთან არსებული პატარა მოედანი იყო, სადაც სოფლის ყრილობა იმართებოდა. ბოთლიხი თავიდანვე ჩამოყალიბდა როგორც ტერიტორიულ-თუხუმური დასახლება. მისი მცხოვრებნი შვიდ-რვა თუხუმად იყოფოდნენ. ყველა თუხუმს ანუ სანათესაო ჯგუფს თავისი სახელწოდება ჰქონდა. შემორჩენილია გადმოცემა, რომ ძველად ყოველი თუხუმი თავის უბანში ცხოვრობდა. თუხუმებს ჰქონდათ საკუთარი კოშკი, სასაფლაო და იმართებოდნენ უხუცესების მიერ. XIX საუკუნეში თუხუმური უბნები უკვე აღარ არსებობდა, სოფელი უბნებად ტერიტორიული პრინციპით იყოფოდა. სოფლის განაპირას და აულის შიგნით ყველაზე მაღალ ადგილებში დაახლ. 6-7 სადარაჯო კოშკი იდგა. ისინი თავდაპირველად ცალკეულ თუხუმებს ეკუთვნოდა. მტრის თავდასხმის დროს, მთელი მოსახლეობა თავს ამ კოშკებს აფარებდა. ამავე დროს, სოფელში გადიოდა მიწისქვეშა გასასვლელები, რითაც ზემო უბანი ქვემო უბანს უკავშირდებოდა. ბოთლიხის თავდასაცავ ნაგებობებს შორის შეიძლება დავასახელოთ სამი კარი, რომლებიც სოფელში შესასვლელებს კეტავდა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ბოთლიხი დასავლეთ დაღესტანში ყველაზე გამაგრებული სოფელი იყო. ასეთი სახით (შენობები, თავდასაცავი ნაგებობანი, შიდა კომუნიკაციები, სამიწათმოქმედო და მებაღეობის მეურნეობა, სავაჭრო და სამხედრო ორგანიზაცია) ის უკვე ადრეულ შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებული იყო როგორც ქალაქის ტიპის დასახლება.

ბოთლიხის საზოგადოება დამოუკიდებელი იყო. ხუნძეთის ხანისადმი დამოკიდებულება იმაში გამოიხატებოდა, რომ მას ექვს თხას გადასცემდნენ, როდესაც ის ბოთლიხის გზით სოფელ *ბუტში* გაივლიდა (*ტეხნუცალის* ხუნძური სოფელი). რაც შეეხება *მიარსინელებს*, ისინი ხუნძების ხანს წელიწადში 20 მეროკ ფეტვს და 30 მეროკ ყურძნის წვენს უხდიდნენ.

ბოთლიხელთა თემის ძირითადი სოციალური და სამეურნეო უჯრედი პატარა ოჯახი იყო. უპირატესობას ანიჭებდნენ შიდათოხუმურ და შიდაულურ ქორიწნებებს.

ბოთლიხელთა ფოლკლორი XIX საუკუნესა და XX საუკუნეში ორენოვანი იყო.

სოფელი ბოთლიხი დასავლეთ დაღესტნის ერთ-ერთი კულტურული ცენტრი იყო. თანამედროვე ბოთლიხში მოსახლეობა შერეულია. აქ ბოთლიხელებს გარდა ცხოვრობენ: ხუნძები, კარატაელები, ანდიელები, რუსები, თათრები, ყუმუხები და სხვ.

IV. 6. ღოდობერიელები

ღოდობერიელები დაღესტნის ერთ-ერთი ყველაზე მცირერიცხოვანი ხალხია. შეფასებითი მონაცემებით, ღოდობერიელების რაოდენობა 3,5 ათასიდან 4 ათასამდე მერყეობს. 1886 წლის მონაცემებით, დაღესტანში 1.172 ღოდობერიელი ცხოვრობდა. 1926 წელს 1425 კაცს შეადგენდნენ, 1938 წელს – 1,9 ათასს. მომდევნო აღწერებში ისინი ხუნძებს მიაკუთვნეს. 1950-იანი წლების დასაწყისიდან ღოდობერიელების რაოდენობა მთაში შემცირდა, რადგან ისინი ბარში გადაასახლეს. დღეს დაღესტნის დაბლობში 378 ღოდობერიელთა ოჯახი ცხოვრობს, მთაში (სოფლებში *ზემო ღოდობერსა, ქვემო ღოდობერსა* და *ზიბრიხალში*) – 562 კომლი. ღოდობერიელების განსახლების არეალი დასავლეთ დაღესტანში *მდ. ანდიის ყოისუს* შუა წელის მარცხენა სანაპიროა (დღევანდელი ბოთლიხის რაიონის სამხრეთ-დასავლეთი). განსახლებული არიან ძირითადად სამ დასახლებულ პუნქტში. მათი მეზობლები არიან ხუნძები, ბოთლიხელები, ჭამალალები.

ღოდობერიელების თვითსახელწოდებაა **ღიბდიდი** (მრ. რ.), **ღიბდილი** (მხ. რ.). ხუნძები მათ *ღოდობერისელის* სახელით მოიხსენიებენ, ანდიელები – *ღოდობერდიალ.*

ღოდობერიელები ანთროპოლოგიურად დიდი ევროპეიდული რასის წინააზიური რასის კავკასიონურ ტიპს მიეკუთვნებიან. ღოდებერიული ენა ჩრდილოეთ კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ-დაღესტნური ჯგუფის ანდიურ-ცეზურ ქვეჯგუფში შედის. ამ ენას ორი დიალექტი აქვს: საკუთრივ *ღოდობერიული* და *ზიბირხალური.* გავრცელებულია ხუნძური ენაც, რადგან სკოლებში ხუნძურ (აგრეთვე რუსულ) ენაზე სწავლობენ. წარსულში ისინი ხუნძური ენის აჯამური დამწერლობით სარგებლობდნენ. შედარებითი ენათმეცნიერების მონაცემებით, მატერიალური და სულიერი კულტურით ღოდობერიელები დასავლეთ კავკასიის სხვა ხალხებს ენათესავებიან.

გადმოცემით, ღოდობერიელები აქ დასახლებული მონადირე ძმების შთამომავალნი არიან. ისინი მარჯვე მსროლელები იყვნენ და შეეძლოთ მფრინავი ყვავისათვის ისარი პირდაპირ თვალში მოერტყათ. აქედან წარმოიქმნა ეთნონიმი *ღოდობერი,* რაც ხუნძურად „ყვავის თვალს“ ნიშნავს (*ღედო* – ყვავი, *ბერ* – თვალი). გამრავლების შემდეგ კოშკი აუშენებიათ, რომელიც თავდაცვის მიზნით ხელოვნურ ტბაში მოუთავსებიათ. ამ კოშკში ადამიანები გადასაკიდი ხიდით შედიოდნენ. მეცნიერებს ეთნონიმ *ღოდობერიელების* წარმოქმნის ეს ლეგენდა არარეალურად მიაჩნიათ. სხვა ვერსიით ღოდობერიელების აქ დასახლებული წინაპრის ადგილს ერქვა *ღედუ* (*ღიდუ*), საიდანაც შემდეგ წარმოიქმნა სოფლის და შესაბამისად ხალხის სახელიც.

როგორც ეთნოსს ღოდობერიელებს პირველად იხსენებს XVIII საუკუნის 70-იან წლებში გერმანელი მოგზაური *გიულდენშტედტი.*

ღოდობერიელების ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული დასავლეთ დაღესტნის სხვა ხალხების ისტორიასთან. ქართველი ისტორიკოსების, არქეოლოგების და ანთროპოლოგების მოსაზრებით, ძვ. წ.-ის III-II ათასწლეულში დაღესტნური ტომები სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, რომლებმაც გარკვეული პოლიტიკური პროცესების შედეგად ჩრდილოეთით გადაინაცვლეს. *მ.*

აბდუშელიშვილის დასკვნით, კავკასიონური ანთროპოლოგიური ტიპის ფორმირების ადგილი სამხრეთ კავკასიაა. არქეოლოგთა დასკვნით სამხრეთ კავკასიიდან დასავლეთ დაღესტნელი ხალხების ჩრდილოეთ კავკასიის ქედებზე გადასახლება ძვ. წ.-ის I ათასწლეულის პირველ ნახევარში უნდა მომხდარიყო. კომპაქტურად განსახლებულმა *ანდოცეზებმა* დიდოს (დიდის) ეთნოპოლიტიკური გაერთიანება ჩამოაყალიბეს. ვარაუდობენ, რომ ძვ. წ.-ის I ათასწლეულიდან დასავლეთ დაღესტნის ამ ეთნოპოლიტიკური გაერთიანების შემადგენლობაში ღოდობერიელებიც შედიოდნენ. XIV-XV საუკუნეებში მთებში თითქმის ყველგან სოციალურად დაწინაურებულთა ლიკვიდაცია მოახდინეს. ამის შემდე ღოდობერიელებმა შექმნეს სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც სტრუქტურულად დემოკრატიულ პრინციპებს ეფუძნებოდა. ჩამოყალიბდა სასოფლო საზოგადოება სახალხო მმართველობის სტატუსით, რომელმაც დაღესტნის ცარიზმის მიერ დაპყრობამდე იარსება. **ღოდობერიელები ტეხნუცალის სასოფლო საზოგადოების კავშირში შედიოდნენ.** მიწის საკუთრების გაბატონებული ფორმა იყო კერძო საკუთრება. მთავარ სოციალ-სამეურნეო უჯრედს კი მცირე ოჯახი წარმოადგენდა.

არაბთა დაპყრობების პერიოდში (VII-VIII სს.) დასავლეთ დაღესტნის მცხოვრებნი და, მათ შორის, ღადობერიელები, არაბთა გავლენას არ დამორჩილებიან. XIV საუკუნეში ღოდობერიელების ერთი ნაწილი ქრისტიანი იყო, მეორე ნაწილი კი კვლავ წარმართობას მისდევდა. XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე ღოდობერიელთა სოციალურ და სულიერ ცხოვრებაში დიდი გარდატეხა მოხდა – მათ ისლამი მიიღეს. ისლამის გავრცელებას თან არაბული დამწერლობის (*აჯამის*) დანერგვაც მოჰყვა. სოფელ *ღოდობერში* გახსნილ მედრესში სასწავლებლად სხვა ადგილებიდანაც მოდიოდნენ. 1809 წელს ღოდობერიელებმა მიიღეს ფიცი რუსეთის ტახტის ერთგულებაზე. თუმცა ამ ნაბიჯმა მათ სასურველი შედეგი ვერ მოუტანა. სამხრეთ კავკასიასა და დაღესტნის ბართან ურთიერთობა კვლავ ეკრძალებოდათ. ამის გამოც იყო, რომ ღოდობერიელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რომელსაც *შამილი* ხელმძღვანელობდა. *შამილის* დატყვევების შემდეგაც (1859 წელი) დასავლეთ დაღესტანში, სადაც ანდიური და ცეზური მოდგმის ხალხი მკვიდრობდა, რამდენიმე აჯანყებამ იფეთქა (1861, 1862, 1877 წლები), რომლებშიც ღოდობერიელები აქტიურად მონაწილეობდნენ, რისთვისაც ბევრი მათგანი კიდევაც გააციმბირეს.

ღოდობერიელთა ტრადიციული საქმიანობა სახვნელი მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო. განვითარებული იყო მომთაბარე მეცხოველეობაც – მათ ბევრი საზაფხულო საძოვარი ჰქონდათ. ზამთარში კი ცხვრის ფარებს დაბლობში მიერეკებოდნენ. თუმცა საქონლის მნიშვნელოვან რაოდენობას ზამთარში მთაში ტოვებდნენ. მიწათმოქმედებიდან ფრიად დაწინაურებული იყო მებაღეობა და მევენახეობა. დამხმარე დარგებიდან განვითარებული იყო მონადირეობა და მეფუტკრეობა. მნიშვნელოვნად იყო განვითარებული შინამრეწველობა და ხელოსნობაც: ქსოვა, ტყავის, მატყლის, ხის, ქვის დამუშავება. ამზადებდნენ ნაბდებსაც. ტრადიციული იყო ვაჭრობაც. ხილსა და შინარეწვის პროდუქტებს ბოთლიხის ბაზარში, ჩაჩნეთსა და საქართველოში ყიდდნენ. მიდიოდნენ გარესამუშაოზე.

ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს რეგლამენტაციაში დიდ როლს თამაშობდა თემი (*ჯამაათი*). ღოდობერიელთა ტრადიციული დასახლება ტერიტორიულ-თუხუმური იყო. XVI-XVII საუკუნებში ისინი უკვე მთლიანად ტერიტორიულ ერთეულად იყვნენ ჩამოყალიბებულნი, რომლებიც უცხო ეთნიკურ ელემენტებსაც შეიცავდნენ და რომლებიც შემდგომში ღოდობერიელების მიერ ასიმილირებულ იქნენ. ყველა სოფელი იყოფოდა უბნებად და თუხუმებად. გადმოცემით, ოდესღაც უბანი დასახლებული იყო სანათესაო ჯგუფით. დღეისათვის ღოდობერიელთა თუხუმები შერეულად ცხოვრობენ. ღოდობერიელთა დასახლებებს, რომლებიც გორაკებზე იყო განლაგებული, შედარებით ფართო ქუჩები ჰქონდათ.

სოფლის ცენტრში, მეჩეთთან იყო შენობა, სადაც მამაკაცები თავისუფალ დროს ატარებდნენ. სოფლის მისასვლელებს საბრძოლო კოშკები იცავდა.

ტრადიციულ საკვებში რძის პროდუქტები (ყველი, ხაჭო, მაწონი, შრატი) ჭარბობდა. გავრცელებული იყო ხორცის საჭმელებიც. ღოდობერიელებში, ისევე როგორც დაღესტნის სხვა ხალხებში, ყველაზე საყვარელი საჭმელი (დაღესტნური) ხინკალი იყო.

ღოდობერიელები დაღესტნელი ხალხებისაგან საქორწინო ურთიერთობითაც განსხვადებოდნენ, რადგან აქ აუცილებელი არ იყო თუხუმის შიგნით დაქორწინება. ისინი საქორწინო პარტნიორს ეძებდნენ როგორც თუხუმს გარეთ, ისე სოფლის გარეთაც. მეზობელი ხალხებიდან, ძირითადად, ბოთლიხელებსა და ანდიელებზე ქორწინდებოდნენ. როდის დაირღვა ღოდობერიელებში ენდოგამიური ქორწინება, გაურკვეველია. დაქორწინებისთანავე ვაჟიშვილები მამის სახლიდან გადიოდნენ და ცალკე ცხოვრებას იწყებდნენ. საქორწინო რიტუალები ნაყოფიერების სიმბოლოებით იყო დატვირთული.

მასობრივ დღესასწაულებს შორის ყველაზე აღსანიშნავი პირველი ხნულის გავლება იყო. შემოდგომაზე (სექტემბერში) საქონლის დაბრუნების დღესასწაულს აწყობდნენ. მნიშვნელოვანი იყო წვიმის გამოწვევის წეს-ჩვეულება.

ღოდობერიელთა ფოლკლორი ორენოვანი იყო. განვითარებული იყო საზღაპრო ჟანრი; ბევრი გადმოცემა ჰქონდათ ღოდობერის პირველმოსახლეებზე, ამა თუ იმ სანათესაო წრის წარმოშობაზე. შემორჩენილი იყო მუსლიმამდელი ანიმისტური რწმენა-წარმოდგენები, წინაპრების, ხეების კულტი.

IV. 7. კარატაელები

კარატაელები დასავლეთ დაღესტნის ცენტრალურ ნაწილში, მდინარე *ანდიის ყოისუს* მარჯვენა შენაკადებზე ზღვის დონიდან 1800 მეტრზე ცხოვრობენ. კომპაქტურად განსახლებულნი არიან დღევანდელი *ახვახის რაიონში* (სოფლები: *კარატა, ანჩიხი, არჩო, ცუმალი, რაჩაბულდა, მაშტადა, ზემო ინხელო, რაციტლი*) და *ბოთლიხის* რაიონში (*ქვემო ინხელო*). საბჭოთა პერიოდში ყუმუხის ბარის სოფლებში – *ხასავიურტისა* და *ბაბაიურტის* რაიონებში გადასახლდნენ. კარატაელებს ემეზობლებიან ხუნძები, ბოთლიხელები, ხვარშიელები, ახვახელები. სხვადასხვა მონაცემებით კარატაელების რაოდენობა 6,5-დან 7,5 ათასამდე კაცია. იოანე ბაგრატიონის მიხედვით, *„კალალელნი ანუ კარატელნი ერთი ხეობა თავისის სოფლებით არის მცხოვრებნი კომლი 1265“.* XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ათწლეულში კარატაელთა რაოდენობა შემდეგნაირად იცვლებოდა: 1886 წელს – 4180 კაცი, 1886 წელს – 5782, 1894 წელს – 5723, 1916 წელს – 6531. 1938 წელს კარატაელების რაოდენობა 6700 კაცი იყო. შემდეგ აღწერებში მათ ხუნძებად წერდნენ.

ანთროპოლოგიურად კარატაელები კავკასიური რასის ტიპური წარმომადგენლები არიან. კარატაული ენა ჩრდილოეთ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ-დაღესტნურ ენათა შტოს ანდურ-ცეზური ჯგუფის ანდიურ ქვეჯგუფს მიეკუთვნება. კარატაული ენა ორი დიალექტის (*კარატაულის* და *ტუკიტიურის*) შემცველია. გამოიყოფა აგრეთვე რამდენიმე კილო-თქმა. კარატაელების დიდმა ნაწილმა იცის რუსული და ხუნძური ენები, ბარში გადასახლებულებმა – ყუმუხური.

არქეოლოგთა მტკიცებით, კარატაელთა წინაპრები სხვებთან ერთად ძვ. წ.-ის I ათასწლეულის მეორე ნახევარში სამხრეთ კავკასიიდან გადმოსახლებულან. კარატაელთა ეთნოსოციალური ტერიტორიული საზოგადოება ახ. წ.-ის პირველი საუკუნეებიდან დასავლეთ დაღესტნის დიდოელთა გაერთიანებაში შედიოდა. XIV-XV საუკუნეებიდან კარატაელთა სასოფლო თემების კავშირი დამოუკიდებელი ეთნოსოციალური, პოლიტიკური და ტერიტორიული წარმონაქმნია.

ისლამიზაციის პროცესს კარატაელები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ. XVIII საუკუნეში, ტინდელებთან ერთად, მათ ადგილ *ზანში* ისლამის გამავრცელებლებს, *ყაზიყუმუხთა* ხანისა და *გიდატლიელთა* გაერთიანებულ ძალებს საკადრისი პასუხი გასცეს. კარატაელებმა ისლამი მხოლოდ XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში მიიღეს. XIX საუკუნის შუა ხანებამდე ისინი ხუნძეთის ხანების მხრიდან მუდმივი ექსპანსიის საშიშროების წინაშე იმყოფებოდნენ. თავისუფლებისათვის ბრძოლაში კარატაელები ხშირად ტინდიელებთან ერთად გამოდიოდნენ. კარატაელები აქტიურად მონაწილეობდნენ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლის სათავეშიც *შამილი* იდგა. კარატაელი იყო *შამილის* არმიის არაერთი სამხედრო მეთაური, ნაიბი, თანამდებობის პირი. კარატის ტერიტორიაზე დაკრძალეს *შამილის* ერთ-ერთი შვილი. *შამილის* სამხედრო-თეოკრატიულ სახელმწიფოში კარატაელები *კარატის სანაიბოს* სტატუსით შედიოდნენ. ომის შემდგომ, კარატის სანაიბო დაღესტნის ოლქის ანდიის ოკრუგში შედიოდა.

კარატაელთა ჯამაათები თავისუფალ საზოგადოებაში, ე. ი. სასოფლო საზოგადოებათა კავშირში შედიოდნენ. კავშირში შემავალ თითოეულ სოფელს (*ჯამაათს*) ჰქონდა თავისი ტერიტორია, არჩევითი სოფლის მმართველობა, სასამართლო, რომელიც ჩვეულებითი სამართლის (*ადათის*) ნორმებით ხელმძღვანელობდა. ჯამაათში უმაღლესი ხელისუფლება სასოფლო ყრილობას ეკუთვნოდა. ყოველდღიური აღმასრულებელი ხელისუფლება კი *თუხუმთა* მეთაურებს ანუ უხუცესთა საბჭოს ეკუთვნოდა. ისინიც ადათისა და მუსლიმური სამართლის – *შარიათის* ნორმებით ხელმძღვანელობდნენ. ჯამაათები თავისუფალი მეთემეებისა და მათი ოჯახებისაგან შედგებოდა. ოჯახებს კერძო საკუთრებაში ჰქონდათ სახვნელი მიწა, სათიბი. სათიბების ნაწილი, საძოვრები, ტყე სათემო საკუთრებაში იყო.

კარატაელთა ძირითადი ტრადიციული საქმიანობა იყო მომთაბარე მესაქონლეობა, ძირითადად მეცხვარეობა, ურწყული მიწათმოქმედება, შინამრეწველობა და ხელოსნობა. განვითარებული იყო მებაღეობაც. საქონლის დიდ ნაწილს აზერბაიჯანისა და კასპიისპირეთის საზამთრო საძოვრებზე მიერეკებოდნენ. ტერასულ და მთის ქედების პატარა ნაკვეთებზე ქერი, ჭვავი, შვრია, ხორბალი, ასლი, პარკოსნები მოჰყავდათ.

განვითარებული იყო მატყლის, ხის, ლითონის, ქვის და სხვ. დამუშავება. რეწვას ძირითადად საოჯახო ხასიათი ჰქონდა, თუმცა კარატაულ მაუდს კავკასიის ფარგლებს გარეთაც ჰქონდა გასავალი. ხალხის სამეურნეო ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავა ბოთლიხის ბაზარს. კარატაელები ყიდდნენ (ცვლიდნენ) მაუდს, ფარდაგებს, ხურჯინებს, ნაქსოვ წინდებს, საუნაგირე ხალიჩებს, აგრეთვე ქურქებს, ტყავებს, ყველს, ერბოს. ყიდულობდნენ მარცვალს, სამჭედლო და სპილენძისაგან გამოჭედილ საგნებს, კერამიკულ ნაწარმს.

კარატაელთა სატრანსპორტო საშუალებები იყო სახედრები, ცხენები და ჯორები. ცხენები და ჯორები საჯდომი და სასაპალნე ცხოველები იყვნენ, სახედრები მხოლოდ – სასაპალნე.

შემოდგომიდან გაზაფხულის დადგომამდე კარატაელთა დიდი ნაწილი გარე სამუშაოზე გადიოდა ზღვისპირეთის დაღესტანში, აზერბაიჯანში, საქართველოში, რუსეთის გუბერნიებსა და ჩრდილოეთ კავკასიაში.

ადრე შუა საუკუნეებიდან დაწყებული კარატაელები ძირითადად პატარა ოჯახებად ცხოვრობდნენ. თუმცა XX საუკუნის დასაწყისამდე შემორჩენილი იყო დიდი, გაუყოფელი ოჯახებიც. ოჯახები თუხუმებში იყვნენ გაერთიანებულნი. თუხუმები სანათესაო გაერთიანებები იყვნენ, რომლებსაც ერთი წინაპარი ჰყავდათ და წარმოადგენდნენ გარკვეულ საზოგადოებრივ და სამეურნეო ერთეულებს. აუცილებლობის შემთხვევაში თუხუმი თავის წევრებს მატერიალურად, სულიერად და ფიზიკურად ეხმარებოდა. კარატაელთა თუხუმების დიდი უმრავლესობა

ადგილობრივი წარმოშობისა იყო. სოფლებში *კარატსა* და *ანჩიხში* ზოგიერთი თუხუმის საფუძველჩამყრელი ტყვე ქართველი ყოფილა.

კარატაელები ძირითადად გარიგებითი ქორწინებოდნენ. ქორწინების სხვა ფორმები, ისეთები როგორებიცაა ქალის მოტაცება, გაცვლითი ქორწინება, ლევირატი და სოროორატი იშვიათად ხდებოდა.

კარატაელთა ძირითადი დასახლების ტიპი ტერიტორიული ტიპის სოფელი იყო, რომელიც რამდენიმე თუხუმური ან ტერიტორიულ-ნათესაური დასახლების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა. სოფლები ისე იყო განლაგებული, რომ მისასვლელი მხოლოდ ერთი მხრიდან ჰქონდათ. სოფლის შესასვლელებს საბრძოლო კოშკები იცავდა. ამას გარდა, სოფლის განაპირა სახლებს, რომლებიც ერთმანეთზე მჭიდროდ იყო მიდგმული, სათოფურები ჰქონდათ დატანებული და ისინი შესანიშნავ თავდასაცავ სიმაგრეებს წარმოადგენდნენ.

კარატაელთა ტანსაცმელი დაღესტნის სხვა ხალხების ტანსაცმელთა ანალოგიური იყო. მამაკაცთა ტანსაცმლის აუცილებელი ატრიბუტი იყო ხანჯალი. მამაკაცები თავს იპარსავდნენ, წვერ-ულვაშს კი – არა. ქალები სამკერდე მოკაზმულობას ატარებდნენ, რომლებსაც ყუბაჩელი და ყაზიყუმუხელი (ლაკი) ოსტატებისაგან იძენდნენ.

ტრადიციულ საჭმელს კარატაელები ძირითადად ფქვილის, ხორცისა და რძისაგან აკეთებდნენ.

კარატაელები სარწმუნოებით მუსლიმი-სუნიტები არიან. შემორჩენილი იყო წვიმის და სეტყვის გამოწვევის, საქონლის ჭირის შეწყვეტის რიტუალები. ფართოდ იყო გავრცელებული საღამოს გასართობი თავყრილობები, მამაკაცთა მრავალდღიანი და მკაცრად რეგლამენტირებული კრებები. ხალხური პოეტური შემოქმედება ორენოვანი (კარატაული და ხუნძური) იყო. სახალხო მკურნალებს შეეძლოთ ავადმყოფობების დიაგნოსტირება და მკურნალობა, რთული ქირურგიული ოპერაციების გაკეთება. კარატაელ მკურნალებს დაღესტნის სხვა ხალხებიც იწვევდნენ. შემორჩენილი იყო წარმართული რწმენა-წარმოდგენების გადმონაშთები, ბუნების, წინაპრების, ცხოველების კულტი.

IV. 9. ტინდიელები

ტინდიელები (ტინდალები, ბოგოსელები) ცენტრალური დაღესტნის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მკვიდრი მოსახლეობაა. მათი თვითსახელწოდებაა **იდერი.** ისინი მიეუკთვნებიან დაღესტნის ხალხთა ხუნძურ-ანდიურ-ცეზური ჯგუფის ანდიურ ქვეჯგუფს. ტინდიელთა მეზობლები არიან ბაგულალები, ჭამალალები, ხვარშიელები, ხუნძები.

ტინდიელები თავიანთ ეთნიკურ ტერიტორიაზე კომპაქტურად არიან განსახლებულნი (სოფლები: *ტინდი, აკნადა, ანგიდა, ტისი, ტისი-ახიტლი, ეჩედა*). ამას გარდა, ტინდიელთა ნაწილი საინგილოში, ძირითადად, ზაქათალაში გადასახლდა. იძულებითი და, ნაწილობრივ, სტიქიური გადასახლების შედეგად ისინი განსახლებულნი არიან აგრეთვე *ყიზილიურტისა* და *ხასავიურტის* რაიონებში. დღეს ადმინისტრაციულად ტინდიელები *წუმადის* რაიონში შედიან. ტინდიელთა სოფლები ძირითადად *ანდიის ყოისუს* მარჯვენა შენაკადებზე მდებარეობს, ნაწილობრივ – მარცხენა სანაპიროს ტერიტორიაზეც.

ანთროპოლოგიურად ტინდიელები კავკასიონურ ტიპს მიეკუთვნებიან. დაღესტნელთა ანთროპოლოგიური ტიპის ამ ვარიანტს ახასიათებს ტანის სიმაღლე, ღია ფერის პიგმენტაცია, ვიწრო სახე. როგორც სხვა ანდიელ-ცეზები, ტინდიელებიც იზოლიატები არიან: ამ პოპულაციურ ჯგუფში გენეტიკური შერევები თითქმის არ ხდებოდა.

ტინდიელები ლაპარაკობენ ტინდიურ ენაზე, რომელიც ჩრდილოეთკავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ-დაღესტნური შტოს ხუნძურ-ანდიურ-ცეზური ჯგუფის ანდიურ ქვეჯგუფში შედის. ენას განსაკუთრებული დიალექტური დიფერენციაცია არ ახასიათებს. მხოლოდ ტინდიელთა კილო-თქმებზე შეიძლება ვილაპარაკოთ. მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა იცის ხუნძური და რუსული ენები.

1995 წლის მონაცემებით, ტინდიელთა რაოდენობამ 10 ათასს მიაღწია. 1866 წელს 2515 ტინდიელი იყო აღრიცხული, 1886 წელს – 3262, 1916 წელს – 3864, 1926 წელს – 3812, 1939 წელს – 5800. ტინდიელთა რაოდენობასა და მათ კეთილდღეობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა 1944 წელს იძულებითმა გადასახლებამ ჩაჩნეთში და 1957 წელს ბარის დაღესტანში უკან გადმოსახლებამ. ტინდიელებს თავის აღწერაში *იოანე ბაგრატიონი* ასახელებს. მისი სიტყვით, *„ტინდი ერთი თემია. მასში კომლი არის 806“.*

არქეოლოგიური მასალებით ძვ. წ.-ის ბოლო საუკუნეებსა და ადრე შუა საუკუნეებში ტინდიელთა წინაპრები ბინადარი მიწათმოქმედები და მესაქონლეები იყვნენ და სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ წინა აზიასა და სამხრეთ კავკასიასთან. როგორც სხვა ანდიელი ხალხები, **ტინდიელებიც *დიდოს* ეთნოპოლიტიკურ გაერთიანებაში შედიოდნენ.** XV საუკუნეში *დიდო* დაიშალა და მასში შემავალმა ტომებმა მთელი რიგი სასოფლო საზოგადოებები ჩამოაყალიბეს, რომელთაგანაც ერთ-ერთი ტინდიელებისა იყო.

აღნიშნული პერიოდიდან დაიწყო ტინდიელთა ისლამიზაციის პროცესი, თუმცა ეს პროცესი აქ XVIII საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა. XIV საუკუნის *მუჰამედ რაფის* თხზულებაში ტინდიელები მოხსენიებული არიან როგორც დამოუკიდებელი ეთნიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ერთეული. რუსეთის შემადგენლობაში ტინდიელები 1813 წლიდან არიან (*გულისტანის* სამშვიდობო ზავი ირანთან). კავკასიის ომების დროს ტინდიელები აქტიურად მონაწილეობდნენ იმამ *შამილის* მხარეზე; მონაწილეობდნენ მთიელ დაღესტნელთა 1877 წლის ანტიკოლონიურ აჯანყებაში.

რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ტინდიელები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ხუნძი ხანების დამპყრობლურ მისწრაფებებს. ამ მიზნით, ტინდის სასოფლო თემთა კავშირს ხანგრძლივი და მოკლე შეთანხმებები ჰქონდა დადებული დაღესტნის სხვა თავისუფალ საზოგადოებებთან: გიდატლიელებთან, კარატაელებთან, ხვარშიელებთან, ჭამალალებთან, ბაგულალებთან და სხვ.

ტინდიელთა მთავარი ტრადიციული საქმიანობა ტერასული ურწყავი მიწათმოქმედება (ქერი, ხორბალი, ფეტვი) და მესაქონლეობა იყო. მისდევდნენ აგრეთვე მონადირეობასა და მეფუტკრეობას. შინამრეწველობიდან იცოდნენ მაუდის წარმოება, ქსოვა, მჭედლობა, ტყავისა და ხის დამუშავება. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მამაკაცების დიდი ნაწილი გარესამუშაოზე საქართველოში მიდიოდა (ძირითადად ზაქათალაში), დაღესტნის ზღვისპირეთში. მათ აქ ქირაობდნენ მეცხვარეებად, მწყემსებად, ქვის მთლელებად.

ტინდიელთა დასახლება შუა საუკუნეების დაღესტნის სხვა მხარეების ანალოგიური და რელიეფთან მაქსიმალურად შეთანწყობილი იყო. დასახლება სამოქალაქო და თავდასაცავი ნაგებობების ერთობლიობას წარმოადგენდა. ის ტერასული ტიპის იყო. თითოეული სოფელი რამდენიმე უბნად იყოფოდა, რომლის ცენტრში მეჩეთი იდგა; იქვე იყო სასაფლაო.

სოფელ ტინდში იყო დასავლეთ დაღესტანში ცნობილი სავაჭრო ცენტრი.

ტინდიელთა თავისუფალი საზოგადოება სასოფლო საზოგადოებების – თემების, ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალურ-პოლიტიკური, ტერიტორიული კავშირი იყო. ყველა თემი (*ჯამაათი*) ამ კავშირის თავისუფალი და თანაბარუფლებიანი წევრი იყო. ჯამაათი *თუხუმების* ერთობლიობას წარმოადგენდა, თუხუმი კი – მონათესავე ოჯახების კავშირს. გადმოცემით, თუხუმს საერთო წინაპარი ჰყავდა. თუხუმი მის წევრებს მხარს უჭერდა როგორც მორალურად და ფიზიკურად, ისე

მატერიალურად. თუხუმის მეთაური, ჩვეულებრივ, კავშირში შემავალი ოჯახების ცხოვრებაში ერეოდა. ნებისმიერი დანაშაულის, შეცოდებისა და კანონდარღვევისათვის ადათის მიხედვით ტინდიელები საზოგადოების სასარგებლოდ ჯარიმას იხდიდნენ.

ოჯახის საყოველთაოდ გავრცელებული ფორმა პატარა ოჯახი იყო. თუმცა აქა-იქ XX საუკუნის 20-იან წლებამდე დიდი გაუყრელი ოჯახებიც არსებობდა. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ტინდიელებმა თვითმყოფადი სულიერი კულტურა და მდიდარი ხალხური შემოქმედება შექმნეს. ფოლკლორი ორენოვანი აქვთ – ხუნძურ და მშობლიურ ენებზე. ტინდიელები მუსლიმი-სუნიტები არიან. შემორჩენილი აქვთ წარმართობის გადმონაშთებიც (წვიმისა და მზის გამოწვევის რიტუალები). დღემდე აღნიშნავენ პირველი ხნულის გავლებას. დიდად პოპულარულია ხალხური დღესასწაული *ქედობა/ქიდობა*. ესაა იმპროვიზირებული სახუმარო ქორწილი, სადაც „ნეფის“ როლში თოჯინური პერსონაჟი გამოჰყავთ.

IV. 10 ჭამალალები

ჭამალალების თვითსახელწოდებაა **ჭამაიგა**. ჭამალალები დაღესტნის ანდიური ჯგუფის ხალხთა ჯგუფში შედიან. *იოანე ბაგრატიონის* მონაცემებით, XVIII საუკუნის ბოლოს ჭამალალების რაოდენობა 1207 კომლი ყოფილა. XIX საუკუნის 60-იან წლებში ჭამალალები რვა სოფელში ცხოვრობდნენ (715 კომლი, 2658 კაცი). XX საუკუნის 20-იან წლებში ჭამალალების რაოდენობა 4028 კაცი იყო. დღეისათვის ჭამალალები კომპაქტურად დაღესტნის 29 დასახლებულ პუნქტში ცხოვრობენ (*წუმადის* რაიონში) და შეადგენენ 1851 ოჯახსა და 7207 კაცს, რაც რაიონის მოსახლეობის 45% და დაღესტნის მოსახლეობის 0,44%-ია. ჭამალალების ნაწილი მკვიდრობს ჩაჩნეთის *შატოის* რაიონის რვა სოფელში (343 კომლი, 2075 კაცი). გადასახლებული არიან დაღესტნის ბარში – *ბაბაიურტის* რიაონში. გაფანტულად მკვიდრობენ *ყიზლარის, ყიზილიურტის, ხასავიურტის* რაიონებში, ქალაქებში *მაჰაჩყალაში, ხასავიურტში, ბუინაკსკში, ყიზილიურტში*. მათი საერთო რაოდენობა 9,5 ათასი კაცია.

1939 წლიდან საბჭოთა ხელისუფლება ჭამალალებს, როგორც ცალკე ხალხს აღარ აღრიცხავდა. მათ ხუნძებს აკუთვნებდნენ. იყოფიან ორ ეთნოგრაფიულ ჯგუფად: *გიგატლიელებად* და *გაკვარიელებად*. ჭამალალების მეზობლები არიან: ჩაჩნები, ქართველები, ხუნძები, ხვარშიელები, ტინდიელები, ბაგულალებიები. ჭამალალების განსახლების ტერიტორია 12 კილომეტრზეა გადაჭიმული ანდიის ქედის სამხრეთ კალთებზე, მდ. *ანდიის ყოისუს* მარცხენა მხარეს.

ჭამალალები ევროპეიდული რასის კავკასიონურ ტიპს მიეკუთვნებიან. ისინი მაღლები და გრძელსახიანები არიან. თმები, კანი და თვალები ღია ფერის აქვთ. ჭამალალური ენა ჩრდილოეთდაღესტნურ ენათა ოჯახის ნახურ-დაღესტნური ჯგუფის ანდიურ ქვეჯგუფში შედის. აქვს ორი დიალექტი. საზოგადოება „ჭამალალი“ წყაროებში მხოლოდ XVIII საუკუნში იხსენიება. ჭამალალის სასოფლო საზოგადოების კავშირში შედიოდა *გადირის, გაკვარის, წუმადის, გიგატლის, კენხის* სასოფლო თემები. ამ კავშირმა ჭამალალთა რუსეთის დაპყრობამდე იარსება.

ჭამალალებისათვის მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების სიმბიოზური მეურნეობა იყო დამახასიათებელი, რომელშიც წამყვანი მომთაბარე მეცხვარეობა იყო, მიწათმოქმედებას კი მეორეხარისხოვანი ადგილი ეკავა. მოწეული მარცვლეული მთელი წლის განმავლობაში არ ჰყოფნიდათ, ამიტომ მას ბარში ყიდულობდნენ, ან მეცხოველეობის პროდუქტებზე ცვლიდნენ. ნაწილობრივ განვითარებული იყო მებაღეობა და მევენახეობაც, ხელოსნობის დარგებიდან – მაუდის, ნაბდების, ფარდაგების, სპილენძის ჭურჭლის წარმოება, ხის ჭურჭლის

დამზადება, ვერცხლის დამუშავება, მჭედლობა, ტყავის დამუშავება. გარე სამუშაოზე გასვლა იცოდნენ ჩაჩნეთსა და დაღესტნის ქალაქებსა და ბარში. ტანსაცმლის ძირითადი მასალა მეცხოველეობის პროდუქტები იყო. ტანსაცმელზე ატარებდნენ სხვადასხვაგვარ სამკაულებს – ვერცხლის მონეტები, საყურეები, ვერცხლისა და სპილენძის ძეწკვები. მამაკაცების აუცილებელი ატრიბუტი იყო ხანჯალი, ვერცხლის, ან წვრილი სპილენძის სარტყელი. დაღესტნური ხინკალი ჭამალალების ყოველდღიური საჭმელი იყო. აკეთებდნენ სხვადასხვაგვარ ფაფებს.

ოჯახის ფორმებიდან გაბატონებული იყო პატარა ნუკლეარული ოჯახი. უპირატესობას ანიჭებდნენ ნათესავებზე დაქორწინებას (ენდოგამია). საოჯახო ურთიერთობებში ეტიკეტის მკაცრი ნორმები არსებობდა – უმცროსის უფროსისადმი, ქალის – კაცისადმი დაქვემდებარება. დაღესტნის სხვა ხელხებისაგან განსხვავებით, ნეფე-პატარძალი ქორწილში მონაწილეობდა.

ჭამალალების საზოგადოებრივი წყობა გვაროვნული წყობისა და წინაფეოდალიზმის სიმბიოზს წარმოადგენდა. XVIII საუკუნეში ჭამალალები გამოსაღებს არავის არ უხდიდნენ და არჩევითი უხუცესების მიერ იმართებოდნენ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო სოფლის ყრილობა, რომელზედაც ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი წყდებოდა. სოფლის ყრილობაზე ხმის უფლება 16 წელზე უფროს ყველა მამაკაცს ჰქონდა. ჭამალალებმა იცოდნენ სისხლის აღება. ის 16 წლიდან 60 წლამდე ასაკის მამაკაცებზე ვრცელდებოდა. ურთიერთდახმარება ხდებოდა სახლის მშენებლობისას, მოსავლის აღებისას, ხვნისას, ქორწილში. როგორც მთის ყველა ხალხისათვის, ჭამალალებისთვისაც მნიშვნელოვანი იყო სტუმართმოყვარეობის ტრადიცია. განვითარებული იყო ძმადგაფიცვა. ძმადგაფიცული ნათესავთან იყო გათანაბრებული. ჭამალალების კულტურის არსებითი ელემენტი იყო ხალხური მედიცინა. ამ თვალსაზრისით ფართოდ იყენებდნენ ბალახებს.

ჭამალალები მუსლიმი-სუნიტები არიან. შემორჩენილი იყო ზოგიერთი წარმართობისდროინდელი რწმენა-წარმოდგენა. წვიმის „გამოწვევის“ მიზნით, გვალვის დროს სოფლის ყველა მცხოვრები მიდიოდა მთაში, კლავდნენ სამსხვერპლო კვიცს და მის სისხლს ტბაში ასხამდნენ, ცხოველის ტყავსაც ტბაში აგდებდნენ, კითხულობდნენ ლოცვას და მიმართავდნენ ღვთაებას, რომ მას წვიმა მიეცა.

ჭამალალებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ხუნძებთან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით *უნკრატლის* თემი გამოირჩეოდა. ასეთივე კავშირები ჰქონდათ ჩაჩნებთან. დღევანდელ ჩაჩნურ სოფელ *ჩადირს* ჭამალალური წარმოშობისად მიიჩნევენ. ინტენსიური კავშირი ჰქონდათ ჭამალალებს ღოდობერიელებთანაც, რისი დამადასტურებელიცაა საერთო სალოცავი *ანჭუკა*, რომელიც სოფელ *ღოდობერში* მდებარეობდა. ჭამალალებს ხშირი ურთიერთობა ჰქონდათ ლაკებთანაც, რომელთა კერამიკაც მათში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ოდინდელი კავშირურთიერთობა ჰქონდათ ქართველებთანაც. **ჭამალალელთა ბევრ თუხუმს თავი ქართული წარმოშობისად მიაჩნდა. ისინი ძირითადად ლეკიანობის დროს ტყვედ მოყვანილი ქართველების შთამომავლები იყვნენ.**

ჭამალალებს აქვთ მდიდარი სასიმღერო და საცეკვაო ფოლკლორი. სიმღერებს ძირითადად ხუნძურ ენაზე ასრულებენ. მათი ძირითადი მუსიკალური ინსტრუმენტია ფანდური, ზურნა და დაირა. კალენდარული დღესასწაულებიდან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პირველი ხნულის გავლებას. შემორჩენილია წინაპრების კულტი, მაგიის სხვადასხვა ფორმა.

დღეისათვის ჭამალალებს არაერთი პრობლემა აქვთ, მათ შორის უმთავრესი, ეთნოსის გათიშვაა, რადგან ჩაჩნეთის *შატოის* რაიონში მცხოვრებ ჭამალალებს წინაპრების თავდაპირველი განსახლების არეალთან ინტენსიური კავშირი თითქმის აღარა აქვთ. მნიშვნელოვანი სიძნელეები აქვთ ენობრივი საკითხების გადაწყვეტისას. ჭამალალური ენა უდამწერლობო ენაა, მათთვის დამახასიათებელია

სამენოვნება. ჭამალალური ენა მხოლოდ ოჯახში სალაპარაკო ენაა, მისი ლექსიკური ფონდი ღარიბდება.

IV. 11. დიდოელები (ცეზები)

დიდოელები დასავლეთ დაღესტანში მცხოვრები ერთ-ერთი მცირერიცხოვანი ხალხია. დაღესტნის ხალხებიდან ქართველ ხალხს უშუალო კონტაქტი და ურთიერთობა დედოელებთან ჰქონდა. დიდო საქართველოს ემეზობლებოდა. ქართულ წყაროებში დიდო და დიდოელები არაერთხელ არიან მოხსენიებულნი. დიდო საქართველოს გავლენის ქვეშ მყოფი დაღესტნის მხარე იყო. დიდოში კახეთიდან (შტორის ხევიდან) და თუშეთიდანაა შესასვლელი. ლეონტი მროველი დიდოეთს ძვ. წ.-ის II საუკუნის მოვლენებთან დაკავშირებით იხსენიებს. დიდოელებს იხსენიებს *პლინიუსიც* (I საუკუნე), როგორც კავკასიის ერთ-ერთ ტომს. ქართლის სამეფოსთან დიდოეთის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა რეალურად ჩანს V საუკუნიდან. იგი გაღმა მხრითურთ ნეკრესის საეპისკოპოსოში შედიოდა. *კვირიკე დიდი ქორეპისკოპოსი* (1010-1037 წწ.) დიდოეთს შტორის საერისთავოში იხსენიებდა. XII-XIII საუკუნეებში საქართველოს ყმადნაფიცი გახდა. თამარის დროს ფხოვთან ერთად აუჯანყდა ცენტრალურ ხელისუფლებას. ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის (XV საუკუნის II ნახევარი) შემდეგ, დიდოეთი კახეთის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა. მეფე გიორგი VIII-ემ დიდოეთში სამოურავო დააწესა. XVII საუკუნეში დიდოეთი განუდგა კახეთის სამეფოს. XVIII საუკუნის I მეოთხედში ეკონომიკური დაინტერესების გამო პოლიტიკურად კვლავ კახეთის სამეფოს ემორჩილებოდა. XVIII საუკუნის II ნახევრიდან დიდოეთი საქარველოს გამოეყო.

დიდოელების თვისახელწოდებაა **ცეზი**, რაც „არწივებს“ ნიშნავს. დიდოელები დაღესტნის ცეზი ხალხის შემადგენლობაში შედიან.

დასავლეთ დაღესტნის მაღალმთიანეთში დიდოელები კომპაქტურად *წუნდის* რაიონში ცხოვრობენ. მკვიდრობენ საქართველოშიც. საბჭოთა პერიოდში დიდოელების მნიშვნელოვანი ნაწილი კასპიისპირეთის დაბლობში გადასახლდა. გარდა ქართველებისა (კახეთი, თუშეთი), დიდოები ხუნძებს, კაპუჭელებს (ბეჟტიელებს) ემეზობლებიან.

დიდოელები ანთროპოლოგიურად დაღესტნელთა დასავლურ ვარიანტს მიეკუთვნებიან. ისინი კავკასიელთა კლასიკური წარმომადგენლები არიან. *მაქსიმ კოვალევსკი* აღნიშნავდა, რომ დიდოელებში ხშირად გვხვდებიან ქართული ტიპისანი. ის ამ ფაქტს იმით ხსნიდა, რომ საქართველოს მოსაზღვრედ მცხოვრები დიდოელები ბევრ ტყვეს იტაცებდნენ. ტყვეებს, რომელთა გაყიდვასაც ვერ ახერხებდნენ, თავიანთ შორის ასახლებდნენ. დიდოელები ლაპარაკობენ დიდოურ (ცეზურ) ენაზე, რომელიც კავკასიური ენათა ოჯახის ნახურ-დაღესტნური შტოს ხუნძურ-ანდიურ-ცეზური ჯგუფის დოდოურ ქვეჯგუფში შედის. დიდოური უდამწერლობო ენაა. სალიტერატურო ენად იყენებენ ხუნძურს. საბჭოთა ხელისუფლების დროს დიდოელებს ხუნძებად აღრიცხავდნენ. დიდოურ ენაში გამოიყოფა ორი დიალექტი: *საკუთრივ დიდოური* და *საჰადური.* საჰადურ დიალექტზე ლაპარაკობენ აულების *საჰადის, მითლუდის* და *თლაცუდის* მცხოვრებნი. სხვა დიდოური აულების მცხოვრებნი საკუთრივ დიდოურ დიალექტზე მეტყველებენ, რომელიც თავის მხრივ, კილოკავებად იყოფა: *ქედიროული, შაიტლური, ასახური, შაფიხური, ელბოყური.* ენათმეცნიერთა დასკვნით, დიდოური ენის ლექსიკაში ბევრია ხუნძურიდან შეთვისებული სიტყვები. შეიმჩნევა ქართული ენის გავლენაც. **XIX საუკუნეში ბევრი დიდოელი ქართულადაც მეტყველებდა, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ საუკუნეების განმავლობაში მათ მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ჰქონდათ კახეთის მოსახლეობასთან.** კასპიისპირეთში

ჩასახლებული დიდოელები ყუმუხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც ლაპარაკობენ. *იოანე ბაგრატიონი* დიდოს ხეობის კომლთა რიცხვს 1671-ით განსაზღვრავს. ვფიქრობთ, ეს ციფრი გადამეტებულია, რადგან როგორც ჩანს, მასში სხვა ეთნოსთა წარმომადგენლებიც (მაგალითად, ბეჟტიელები) ჰყავს შეყვანილი. 1989 წლის მონაცემებით დიდოელების საერთო რაოდენობა 9 ათასი კაცია (სხვა მონაცემებით 7500-8000 კაცი). 1886 წელს დიდოელების (ცეზების) რაოდენობა 3255 კაცი იყო, 1886 წელს – 4286, 1894 წელს – 4762, 1916 წელს – 4440. 1926 წლის აღწერით, მათი რაოდენობა 3,3 ათასი კაცი იყო, 1938 წლის – 5,8 ათასი კაცი.

ანტიკური ავტორების *პლინიუს უფროსის* (I საუკუნე), *კლავდიო პტოლემაიოსის* (II საუკუნე) მონაცემებით, დიდოები და მონათესავე ტომები დიდოს (დიდურების) ტომთა კავშირში შედიოდნენ. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დიდოელებს ამ დროიდან უმჭიდროესი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოსთან. **ახ. წ.-ის IV-X საუკუნეებში დიდოში საქართველოდან ქრისტიანობა ვრცელდებოდა. მაგრამ ახალმა რელიგიამ აქ ფეხი მყარად ვერ მოიკიდა.** დიდოელთა ისლამიზაციის პროცესი XV საუკუნიდან დაიწყო. ისლამმა დიდოელებში ფეხი საბოლოოდ XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში მოიკიდა. ხუნძახელი ხანების გაძლიერებული ექსპანსიის შედეგად დიდოს ბევრი სასოფლო საზოგადოება ჩამოშორდა. XV საუკუნიდან დიდო უკვე სუფთად ეთნიკური ცნებაა და მასში მხოლოდ თანამედროვე დიდოელები (ცეზები) იგულისხმებიან.

დიდოელები აქტიურად მონაწილეობდნენ განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რომელსაც *შამილი* ედგა სათავეში. ამ ბრძოლაში ისინი 1840-იანი წლების დასაწყისში ჩაებნენ. რუსეთის მიერ დაღესტნის დაპყრობის შემდეგ, დიდოელები (ცეზები) დაღესტნის ოლქის დიდოს სანაიბოში შედიოდნენ. ისინი 1877 წლის ანტიკოლონიური აჯანყების მონაწილეებიც იყვნენ.

დიდოელები სასოფლო საზოგადოებათა სამხედრო-პოლიტიკურ და ტერიტორიულ-ეთნიკურ კავშირებში („თავისუფალ საზოგადოებებში“) იყვნენ გაერთიანებულნი. ის სამი ნაწილისაგან შედგებოდა: *დიდო-შურატლი* (13 სოფელი), *დიდო-ასახი* (9 სოფელი) და *დიდო-შაიტლი* ანუ *ილანხევი* (12 სოფელი).

სოციალური თვალსაზრისით, დიდოელთა *ჯამაათები* (თემები) თითქმის ერთგვაროვანი იყო. მათ შორის უმნიშვნელო რაოდენობით იყვნენ მონები, სამხედრო ტყვეები და მათი შთამომავლები. მოსახლეობა შედგებოდა პირადად თავისუფალი, დამოუკიდებელი ოჯახებისაგან, რომლებსაც საკუთრებაში სახვნელი და სათიბი მიწები ჰქონდათ. სათიბების ნაწილი, საძოვრები, ტყეები და სხვ. მთელი თემის საერთო საკუთრებაში შედიოდა.

სასოფლო მმართველობა სასოფლო ყრილობისა და უხუცესებისაგან შედგებოდა. სასოფლო ყრილობა *ჯამაათის* უმაღლესი ორგანო იყო. *ადათსა* და *შარიათზე* დაფუძნებულ სამართალწარმოებასაც უხუცესები ახორციელებდნენ. ყრილობაში ყველა სრულწლოვანი მამაკაცი მონაწილეობდა. ჯამაათები მონათესავე ოჯახთა ჯგუფებისაგან – თუხუმებისაგან შედგებოდა. გადმოცემით ზოგიერთი თუხუმი უცხოეთნიკური წარმოშობისაა.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ურთიერთდახმარების წეს-ჩვეულებას. ურთიერთდახმარება იცოდნენ, როგორც თუხუმის, ისე თემის შიგნით.

დიდოელებში (ცეზებში) ადრე შუა საუკუნეებიდან ოჯახის გაბატონებული ფორმა იყო პატარა ოჯახი. XX საუკუნის პირველ ათწლეულებამდე შემორჩენილი იყო დიდი, გაუყოფელი ოჯახებიც. ქორწინება ძირითადად შუამავლების საშუალებით ხდებოდა. XX საუკუნის დასაწყისამდე დაქორწინების სხვა ფორმებიც არსებობდა: მოტაცება, გაპარვა, გაცვლითი ქორწინება, ლევირატისა და სოროორატის ფორმები. *ვახუშტი ბაგრატიონი* დიდოელების შესახებ წერს: „მოგურის მამა თუსა მცირესა ძესა თუსსა ცოლსა და, ვიდრე აღიზრდების ძე მისი იგი მცირე

თუთ მამა თანაეყოფის აღრევითა დედაკაცსა მას; ხოლო ოდეს აღიზრდების ძე მისი, მაშინ მისცემს მას ძესა დედაკაცს მას ცოლად და განუყოფს შვილთაცა, რომელნი უგის მის დედაკაცსა თანა შობილი მამასა, ნახევარს მისცემს ძესა, და არს ძე ძისა მისისა და ნახევარსა დაიპყრობს თუთ, და ძმა არს ძისა მისისა, მის ქალის ქრმისა“. *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* ავტორი წერდა, რომ დიდოელთა რამდენიმე ძმა „ერთსა დედაკაცსა მოიყვანებენ ცოლად“. დიდოელებმა იცოდნენ უმძრახობა. გაბატონებული იყო უფროსების პატივისცემა, თოხუმური სოლიდარობა; ტრადიციული იყო სტუმართმოყვარეობა, ძმადგაფიცვა.

დიდოელთა ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მომთაბარე მეცხვარეობა იყო. ჰყავდათ დუმიანი დიდოური, თუშური და ანდიური ჯიშის ცხვარი. **საქონლის დიდი ნაწილი ზამთარში კახეთისა და საინგილოს საძოვრებზე ჰყავდათ.** ადგილზე მხოლოდ საქონლის მცირე რაოდენობას ტოვებდნენ. სახვნელი ფართობები ძირითადად მთის ფერდობებზე ჰქონდათ მოწყობილი (დიდოელებს ტერასები არ ჰქონდათ). განვითარებული იყო გარე სამუშაოზე სიარული. ძველთაგანვე მისდევდნენ ლითონების დამუშავებას. ხელოსნობის დარგებიდან შეიძლება დავასახელოთ მჭედლობა, წინდებისა და ჩექმების ქსოვა, ხურჯინების კეთება, ხისა და ქვის დამუშავება. **გაცვლითი ვაჭრობა ჰქონდათ მხოლოდ საქართველოსთან.**

დიდოელთა დასახლება ისტორიულად ჩამოყალიბდა. ადრე შუა საუკუნეებში, დიდოელებში, ისევე როგორც დაღესტნის სხვა ხალხებში გავრცელებული იყო ნათესაური კოლექტივების პატარა დასახლებები, რომელიც, როგორც ფიქრობენ, თუხუმური იყო. XII-XIV საუკუნეებში მოხდა ასეთი მცირე დასახლებების გამსხვილება. ხეობებში განთავსებულ დიდოელთა საფეხურებრივ-შეჯგუფული დასახლება მთის ფერდობებზე იყო შეფენილი. დასახლებას შემოვლებული ჰქონდა თავდასაცავი კედლები, ხშირად კი – თავდასაცავი კოშკები. თავდასაცავი კოშკების დიდი რაოდენობა, აგრეთვე „ციხე-სახლები“ XIX საუკუნის 40-50-იან წლებში კავკასიური ომების დროს დაანგრიეს.

დიდოელებს თითქმის ისეთივე ტიპის ტანსაცმელი ჰქონდათ, როგორც დაღესტნის სხვა ხალხებს: მამაკაცთა ქამარი ვერცხლით იყო მორთული. იცვამდნენ შალისაგან მოქსოვილ ჩექმებს.

დიდოელებს საუკუნეების განმავლობაში გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდათ საქართველოსთან. საქართველოში გასაყიდად ჩამოჰქონდათ მატყლი, მაუდი, ტყავი, გამომშრალი ხორცი, ცხიმი, ერბო, ყველი. აქ კი იძენდნენ პურს, ქსოვილს, ტანსაცმელს, ხილს, ხელოსნობის ნაწარმს და ა. შ. **„და კახეთის მჴრისანი ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა და აძლევენ ხარკთა და არა ლაშკართა, რათა ვიდოდნენ სავაჭროდ კახეთს, ვინაჲთგან ზიდვენ კახეთიდამ საზრდელსა, საშიშლოსა და საჴმარსა თჳსსა“.**

დიდოელები სუნიტი მუსლიმები არიან. დიდოეთში თავის დროზე საქართველოდან ქრისტიანობაც ვრცელდებოდა და ბევრი პატარა ქრისტიანული ეკლესიაც აუგიათ. მიუხედავად ამისა, ქრისტიანობა დიდოელთა ცხოვრებაში ღრმად ვერ შეიჭრა. მუსლიმობაც დიდოებში გვიან გავრცელდა, ვიდრე დაღესტნის სხვა ხალხებში. შემორჩენილია წარმართული რელიგიური რწმენა-წარმოდგენები: მიწის, მთვარის, მზის, ცის, ცეცხლის, მთის, მდინარის კულტი, ანიმისტური, ტოტემისტური და მაგიური ელემენტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდოელთა რწმენა *თეთრი ქვის* კულტის შესახებ, კალენდარული დღესასწაულებიდან – პირველი ხნულის გავლება. დიდოელთა ფოლკლორი ორენოვანია (ცეზურ და ხუნძურ ენებზე). დიდოელი მკურნალები ცნობილნი იყვნენ დაღესტნის სხვა სოფლებშიც. ვახუშტი ბაგრატიონი დიდოელთა სარწმუნოების შესახებ შემდეგს წერდა: „ენა აქუსთ თჳსი საკუთარი, სარწმუნოებით არიან კერპნი და უმეტეს ეშმაკის მორჩილნი... არა უწყიან სრულიად ღმერთი, არცა ნათესავი და ნათესაობა“.

IV. 12. კაპუჭელები (ბეჟტიელები)

კაპუჭელები დასავლეთ დაღესტანში მცხოვრები ცეზური მოდგმის ერთ-ერთი მცირერიცხოვანი ხალხია. რუსები კაპუჭელებს **ბეჟტიელებს** უწოდებენ, ხუნძები – **ხვანცალ** („მეცხენეები“). კაპუჭელების თვითსახელწოდებად ზოგიერთ სამეცნიერო ლიტერატურაში *ბეჟტიელებია* დასახელებული, ხოლო 2002 წელს დასტამბულ სქელტანიან წიგნში, „დაღესტნის ხალხები“ აღნიშნულია, რომ კაპუჭელებს (ბეჟტიელებს) თვითსახელწოდება არა აქვთ, ისინი ძირითადად სოფლის სახელების მიხედვით მოიხსენიებიან. ეთნონიმი **ბეჟტიელი** მათი მთავარი სოფლის – *ბეჟტას* სახელწოდებიდან მომდინარეობს. წერილობით წყაროებსა და ისტორიულ-ეთნოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილი არიან კაპუჭელების სახელწოდებით (ეთნონიმი **კაპუჭელიც** ტოპონიმიდან უნდა მომდინარეობდეს. ასეთ სოფელს *„კაპუჭი ანუ ანტარა“ იოანე ბაგრატიონი* ასახელებს).

კაპუჭელების ეთნიკური ტერიტორია დასავლეთ დაღესტნის მთიანეთში მდ. *ავარიის ყოისუს* მარცხენა შენაკადებზეა. კაპუჭელების მეზობლები არიან დიდოელები, ჰუნზიბელები, ჰუნიხელები, ხუნძები. გარდა სოფელ *ბეჟტასი,* კაპუჭელები მკვიდრობენ, აგრეთვე, *ხაშარხოტაში, ტლიადადში...* კაპუჭელების ერთი ნაწილი საბჭოთა პერიოდში ყუმუხეთის ბარში გადასახლდა. უმნიშვნელო რაოდენობით განსახლებულნი არიან დასავლეთ დაღესტნის სხვა ხალხებს შორის და დაღესტნისავე რამდენიმე ქალაქში.

ანთროპოლოგიური თვალსაზრისით კაპუჭელები დიდი ევროპეიდული რასის კავკასიონური ტიპის წარმომადგენლები არიან. კაპუჭიელებისათვის დამახასიათებელი ნიშნებია: მაღალი ტანი, ღია ფერი, ვიწრო სახე.

კაპუჭიური ენა კავკასიური ენათა ოჯახის ნახურ-დაღესტნური შტოს ხუნძურ-ანდიურ-ცეზური ჯგუფის ცეზურ ქვეჯგუფში შედის. კაპუჭიურ (ბეჟტიურ) ენაში სამ დიალექტს გამოყოფენ: *ბეჟტიური, ხაშარხოტური* და *ტლიადალური.* პირველ და მესამე დიალექტს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. *ხაშარხოტიულს* მათ შორის შუალედური ადგილი უკავია. კაპუჭელების უმეტესობა ფლობს რუსულ და ხუნძურ ენებს. **საშუალო და უფროსი თაობის კაპუჭელების უმეტესობა თავისუფლად ლაპარაკობდა ქართულადაც, რაც განპირობებული იყო საქართველოსთან ისტორიულად ჩამოყალიბებული სავაჭრო-ეკონომიკუირ და პოლიტიკური ურთიერთობებით.** კაპუჭელების ნაწილმა იცის ჰინუხური და ჰუნზიბური ენებიც.

კაპუჭელების საერთო რაოდენობა დღეისათვის 9 ათასი კაცია, მათ შორის, დაღესტანში – 8 ათასი, საქართველოში – 1 ათასი. იოანე ბაგრატიონს XVIII საუკუნის ბოლოს ქართლ-კახეთის აღწერასთან ერთად დაღესტნის მომიჯნავე ხეობების, ხალხების აღწერაც აქვს მოცემული, მაგრამ ზოგჯერ მისი ისტორიულ-გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემების თანამედროვე მონაცემებთან შეჯერება ჭირს. მაგალითად, სოფელი *ბეჟიტა* მას დიდოს ხეობის სოფელთა შორის აქვს დასახელებული. აქვე მას *ქალაქაც* აქვს მოხსენიებული, რომელიც ასევე კაპუჭელთა სოფელი უნდა ყოფილიყო. ცალკე აქვს დასახელებული „კაპუჭი ანუ ანტარა“. XVII საუკუნეში კაპუჭელების რაოდენობა 5 ათასი კაცის ფარგლებში იყო. 1868 წლიდან 1916 წლამდე კაპუჭელების/ბეჟტიელების რაოდენობა 1700 კაციდან 4050-მდე, ე. ი. 2,5-ჯერ გაიზარდა. ასეთი ზრდა საომარი მოქმედებების, თარეშების შეწყვეტით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. გარესამუშაოზე სიარული და მიგრაცია ამ მცირერიცხოვანი ხალხის მუდმივი თანამგზავრი იყო. XX საუკუნის მეორე ნახევარში კაპუჭელების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა ერთობ ძნელია, რადგან აღწერებში, ისევე როგორც დასავლეთ დაღესტნის სხვა მცირერიცხოვანი ეთნოსები, ხუნძებად აღირიცხებოდნენ. მიუხედავად ამისა, სოციოლოგთა და ეთნოგრაფთა მონაცემებით, დაღესტანსა და სამხრეთ კავკასიაში კაპუჭელების რაოდენობა შემდეგი იყო: 1940 წელს – 4,5 ათასი, 1945 წელს – 4 ათასი, 1958 წელს – 3,5 ათასი, 1965 წელს – 4,5 ათასი, 1975 წელს – 6,5 ათასი.

კაპუჭელები (ბეუტიელები) დაღესტნის უძველესი მკვიდრები არიან. მათი წარმომავლობის დადგენა წყაროთა მონაცემების სიმწირის გამო ერთობ ძნელია. ძვ. წ.-ის I ათასწლეულში *დიდოს ტომთა პოლიტიკურ კონფედერაციაში* შედიოდნენ. X საუკუნის არაბ გეოგრაფთა თხზულებებში „კაპუჭელთა მიწაა“ მოხსენიებული. XV საუკუნის შუა ხანებში დიდოელთა კონფედერაციას კაპუჭელები ცალკე გამოეყვნენ. ძველი და შუა საუკუნეების ავტორთა მონაცემებით, კაპუჭელები, როგორც ალბანელთა მოკავშირეები, ირანელთა ექსპანსიის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

კაპუჭელები (ბეუტილები), კავკასიის სხვა მთიელებთან ერთად, საქართველოს შემადგენლობაში შედიოდნენ, ანდა მისი გავლენის სფეროში იყვნენ. მაგალითად, საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში იყვნენ ისინი *დავით აღმაშენებლისა* და *თამარ მეფის* დროს და საქართველოს მეფეებს მნიშვნელოვანი რაოდენობის გამოსაღებს უხდიდნენ. საქართველოსაგან კაპუჭელების თანდათანობითი ჩამოშორება მონღოლთა შემოსევების შემდეგ დაიწყო. XV საუკუნეში დიდოს ეთნოპოლიტიკური გაერთიანების დაშლის შემდეგ, დასავლეთ დაღესტნის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი *სასოფლო თემები* და მათი *„ფედერაციები“* ჩამოყალიბდა. სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კავშირი XVI საუკუნესა და XVII საუკუნეში *ანწუხ-კაპუჭი* იყო, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: *ანწუხელები, ჰუნზიბელები და კაპუჭელები.* XVIII საუკუნის შუა ხანებში ის ანწუხისა და კაპუჭის ცალკეულ სამხედრო-პოლიტიკურ ერთეულებად დაიშალა. კაპუჭის კავშირში გარდა კაპუჭელებისა (ბეუტიელებისა), ჰუნზიბელებიც შედიოდნენ. მთელი გვიან შუა საუკუნეების განმავლობაში კაპუჭელებს საქართველოსთან მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, XVII-XVIII საუკუნეების *ლეკიანობას,* როდესაც ხუნძებთან და დაღესტნის სხვა ხალხებთან ერთად, საქართველოს არც კაპუჭელთა ავი ხელი აკლდა. **კაპუჭელები თავისუფლად მიმოდიოდნენ კახეთში სავაჭროდ, კახეთი მათთვის გარესამუშაოზე გასასვლელი ერთ-ერთი რეგიონიც იყო. კაპუჭელები ალაზნის მინდორზე ხშირად საზამთრო საძოვრებსაც ქირაობდნენ**. XIX საუკუნის 40-იან წლებიდან კაპუჭელები აქტიურად იბრძოდნენ რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ. ომის დამთავრების შემდეგ კაპუჭელები დაღესტნის ოლქის *ბეუტიის ოკრუგში* შედიოდნენ, 1861 წლიდან კი – *ღუნიბის ოკრუგის* ბეუტიის სანაიბოში.

კაპუჭელების სამეურნეო საქმიანობა მომთაბარე მესაქონლეობა და სახვნელი მიწათმოქმედება იყო. ადგილობრივი ჯიშის ცხვართან ერთად (დიდოური, ხუნძური, ანდიური ჯიშები) კაპუჭელებს მოშენებული ჰყავდათ თუშური ჯიშის ცხვარიც. ჰყავდათ აგრეთვე თხა, მსხვილფეხარქოსანი საქონელი. კაპუჭელთა მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას შორის ურთერთკავშირი ფაქტობრივად ძალიან სუსტი იყო. სახვნელი მიწები მთის ფერდობებსა და ხეობათა გასწვრივ ჰქონდათ. ყველაზე გავრცელებული მარცვლეული კულტურა იყო ქერი. ამას გარდა, თესავდნენ აგრეთვე ჭვავს და პარკოსნებს. მისდევდნენ შინამრეწველობასა და ხელოსნობას. **მამაკაცების უმეტესობა გარესამუშაოზე საქართველოში, აზერბაიჯანსა და დაღესტნის ბარში გადიოდა.**

კაპუჭელების კავშირში თანაბარუფლებიანი საზოგადოებები შედიოდნენ. *ჯამაათები* (თემები) სოციალურად ერთგვაროვანი იყო. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კაპუჭელები, დაღესტნის სხვა მთიელთა მსგავსად, იყვნენ მამაცნი, გამბედავნი, შემმართებელნი, თავმოყვარენი, საკმაოდ ფიცხნი, სულგრძელნი, გულუხვნი, რამდენადმე თავდაჯერებულნი და ქედმაღალნი. ძველთაძველი ზნე-ჩვეულებებიდან კვლავ დიდი მოწიწება აქვთ უხუცესების, სტუმრების მიმართ. ახასიათებთ ნათესავთა და თანასოფლელთა მიმართ პასუხისმგებლობა და სოლიდარობის გრძნობა.

კაპუჭელებისათვის ტრადიციული იყო პატარა უბრალო ოჯახი. XX საუკუნის 30-40-იან წლებამდე გვხვდებოდა დიდი, გაუყოფელი ოჯახებიც. ქორწინდებოდნენ

შუამავლების საშუალებით. იშვიათად იცოდნენ მოტაცება, გაპარვა, გაცვლითი ქორწინება, ლევირატი და სოროორატი. იშვიათად გვხვდებოდა მრავალცოლიანობაც. XIX საუკუნეში დადასტურებულია აკვანსა და მუცელში დანიშვნა. ოჯახში გაბატონებული იყო პატრიარქალური ურთიერთობები. აღსანიშნავია *უმძრახობის* ინსტიტუტიც.

კაპუჭელთა სოფელი შეჯგუფული ტიპისა იყო, რომელიც უბნებად იყოფოდა. დასახლებების აუცილებელი ატრიბუტები იყო ყრილობის ადგილი, მეჩეთი და სასაფლაო. კაპუჭელების სოფლის მისადგომებში არაერთი მრავალსართულიანი კოშკი იყო აღმართული.

კაპუჭელების ტანსაცმელი დაღესტნის სხვა ხალხების ტანსაცმლის ანალოგიური იყო. თუმცა მას ზოგიერთი ორიგინალობაც ახასიათებდა. ყველაზე *გავრცელებული ფეხსაცმელი იყო მატყლის ძაფისაგან მოქსოვილი ჩექმა.* გარდა ამისა, მამაკაცები ქეჩისა და ხის ფეხსაცმელსაც ხმარობდნენ. XX საუკუნემდე ყველა კაპუჭელი მამაკაცი ხანჯალს ატარებდა. ჩვეულებრივ, მამაკაცები თავს იპარსავდნენ, წვერ-ულვაშს კი უშვებდნენ. კაპუჭელი ქალები ატარებდნენ სამკაულებს: საყურეებს, ბეჭდებს, სამაჯურებს, კულონებს.

კაპუჭელების ფოლკლორი ორენოვანია – კაპუჭური და ხუნძური.

კაპუჭელები სარწმუნოებით მუსლიმი-სუნიტები არიან. ისლამი მათ გვიან, XVII საუკუნიდან მიიღეს. საბოლოოდ კი მაჰმადიანობა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში განმტკიცდა. შემორჩენილი იყო წარმართული რწმენა-წარმოდგენები: ცის, მზის, მთვარის, ვარსკვლავების, მწვერვალების თაყვანისცემა. მიუხედავად იმისა, რომ კაპუჭელთა ეთნიკური ტერიტორია საქართველოსთან ახლოს იყო და აქ ქართველები თავის დროზე ქრისტიანობას ავრცელებდნენ, ამ სარწმუნოების რაიმე ნაკვალევი დღევანდელ კაპუჭში თითქმის არ ჩანს, მაშინ, როდესაც ხუნძეთის ცენტრალური ნაწილში ეს ნაკვალევი აშკარა და ხელშესახებია.

კაპუჭელები დღეს განათლებული ხალხია. 1988 წლის მონაცემებით, თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ლაპარაკობდა და წერდა ხუნძურ და რუსულ ენებზე. ამავე დროს, დიდ ნაწილს შეუძლია აჯამზე წერა-კითხვა. კაპუჭელია მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში *ჰუსეინ ჰაიბულაევი* და სხვ.

IV. 13. ხვარშიელები

ხვარშიელების ეთნიკური ტერიტორია დასავლეთ დაღესტნის მაღალმთიანეთში, დღევანდელი *წუმადის* რაიონში მდებარეობს. განსახლებულნი არიან სოფლებში: *ხვარში, ზემო იხნოყვარი, ქვემო იხნოყვარი, კვანტლადა, სანტლადა, ხვაინი.* ხვარშიელების უმეტესობა (დაახლოებით ორი მესამედი) დაღესტნის ბარში, *ხასავიურტის* და *ყიზილიურტის* რაიონებში და აგრეთვე ქ. *ყიზლარში* ცხოვრობს. აქ ისინი 1957 წელს დასახლდნენ, როდესაც ჩაჩნეთიდან დაბრუნდნენ, სადაც იძულებით 1944 წელს გადაასახლეს. ხვარშიელების რაოდენობაა 2,5 ათასი კაცი. სამწუხაროდ, საბჭოთა პერიოდში ხვარშიელები ხუნძებად აღირიცხებოდნენ. გამონაკლისი იყო 1926 წელი, როდესაც ხვარშიელები დამოუკიდებელ ეთნოსად დააფიქსირეს. ხვარშიელების მეზობლები არიან დიდოელები, ტინდიელები. ეთნონიმი **ხვარშიელი** მომდინარეობს ამ ეთნოსის ყველაზე დიდი დასახლებული პუნქტის – სოფ. *ხვარშის* სახელწოდებიდან. ხვარშიელების თვითსახელწოდებაა **აკილკო, ატლილკო**. წარსულში ხვარშიელთა კავშირის ყველა სოფლის მცხოვრებთ თავისი სახელწოდება ჰქონდა. მაგალითად, ხვარშიელები იწოდებოდნენ *აკიზოდ,* ინხოყვარელები – *იხისესდ* (*იხე, იხზინ*), კვანტლადელები – *კალოზოდ,* სანტლადელები – *ზოლუზად,* ხვაინელები – *იჩიზოდ.*

ანთროპოლოგიურად ხვარშიელები კავკასიონური ტიპის კლასიკური წარმომადგენლები არიან. მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ბალკანურ-

კავკასიურ რასას. ხვარშიული ენა კავკასიურ ენათა ოჯახის ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ჯგუფის ენაა. ხვარშიული ენა დიდოურ (ცეზურ) ენათა შტოს მიეკუთვნება. მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ანდიურ და დიდოურ ენებს შორის ხვარშიულს შუალედური ადგილი უკავია. ხვარშიულ ენას ორი დიალექტი აქვს: საკუთრივ *ხვარშიული* და *ინხოყვარული*. ამავე დროს, ყველა სოფელში მათთვის დამახასიათებელ კილოზე მეტყველებენ. ხვარშიული უდამწერლობო ენაა. ხვარშიელები მშობლიური ენის გარდა, აგრეთვე, ხუნძურ, ტინდიურ და რუსულ ენებს ფლობენ.

XV-XVI საუკუნეებამდე ხვარშიელები, ისევე როგორც ანდიურ-ცეზური მოდგმის სხვა ხალხები, *დიდოს სამხედრო-პოლიტიკურ კავშირში* შედიოდნენ. შემდგომში ხუნძი ხანების დაპყრობითი პოლიტიკისა და ისლამის გავრცელების შედეგად, დიდოს კავშირი რიგ გაერთიანებებად დაიშალა. ხვარშიელები *ბოგოზის* (*ტინდის*) საზოგადოების შემადგენლობაში შევიდნენ. XIX საუკუნის დასაწყისში ხვარშიელები გამოცალკევდნენ და ხვარშის სასოფლო საზოგადოების კავშირი შექმნეს. 1860-იანი წლების ადმინისტრაციული რეფორმის შემდეგ, *ანდიის* ოკრუგის *ტინდალის* სანაიბოში შევიდნენ. ხვარშიელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს კავკასიის ომებში.

ხვარშიელების მთავარი სამეურნეო საქმიანობა საიალადო მესაქონლეობა, ძირითადად, მეცხვარეობა იყო. მოშენებული ჰყავდათ თუშური ჯიშის ცხვარი, დაბალტანიანი მთური ჯიშის ძროხა. მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა ურწყავ მიწათმოქმედებას.

ხვარშიელებში დიდად იყო განვითარებული შინამრეწველობა და ხელოსნობა: მაუდისა და განსაკუთრებული ხაოიანი საბნების წარმოება, მატყლის წინდებისა და ჩექმების ქსოვა, ხის საყოფაცხოვრებო საგნების (მაგიდების, სკამების და სხვ.) დამზადება. მეურნეობის დამხმარე დარგებს წარმოადგენდა მეფუტკრეობა, ტყის მეფუტკრეობა და მონადირეობა. ხვარშიელები აქტიურად მისდევდნენ ვაჭრობას. **სავაჭროდ მიემგზავრებოდნენ არა მხოლოდ შიდა ბაზრებზე, არამედ საქართველოში, აზერბაიჯანსა და ჩაჩნეთში**. მამაკაცთა დასაქმების პრობლემის გამო, ხვარშიელები დღესაც დაღესტნის სხვა რაიონებში, ძირითადად, ნოღაის სტეპებში გარესამუშაოზე სეზონურად მიემგზავრებიან.

ხვარშიელთა სოფლები ბუნებრივად გამაგრებულ ადგილებში მდებარეობდა. სადაც კი აუცილებელი იყო, აშენებული ჰქონდათ სათვალთვალო კოშკები (სოფელ ხვარშიში შემორჩენილია ოთხი ნახევრადდანგრეული კოშკი). ხვარშიელთა სოფლები, დაღესტნის სხვა მთიანი მხარეებისგან განსხვავებით, შედარებით პატარა იყო. სახლის ეზოს ქვემოთ განთავსებული სახლის სახურავი წარმოდგენდა. ორიგინალური იყო ხვარშიელთა ტანსაცმელი. ზამთარში სხვადასხვა სახის ცხვრის ტყავის ქურქს ატარებდნენ. პოპულარული იყო ანდიური ნაბადი. თავსაბურავი რამდენიმე ფასონის – კონუსისებრი, ცილინდრული, XX საუკუნის დასაწყისში კი გადმობრუნებული ტრაპეციის სახის ჰქონდათ. გავრცელებული იყო ნაქსოვი და თექის ჩექმები. კოსტიუმის აღკაზმულობაში სპილენძისა და ვერცხლის ფიგურები შედიოდა, რომელზედაც მარჯვენა მხარეზე, პისტოლეტი ეკიდათ, მარცხენა მხარეზე – ხანჯალი. მარჯვენა ხელზე მამაკაცები ვერცხლის ბეჭედს ატარებდნენ. ქალებსა და მამაკაცებს მაჯაზე შავი ქედის სამაჯური ეკეთათ. მამაკაცები თავს მთლიანად იპარსავდნენ, წვერ-ულვაშს კი უშვებდნენ. ცოლიანი მამაკაცები პატარა წვერს ატარებდნენ. ქალებს შორის ვერცხლის მონეტებით თავის მორთვა იყო პოპულარული. საჭმელებიდან ყველაზე მეტად გავრცელებული იყო დაღესტნური ხინკალი და ფაფები.

ხვარშიელები გაერთიანებულნი იყვნენ თემებში (*ჯამაათებში*). სათემო საკუთრებაში შედიოდა საძოვრები, ვერანი (ცარიელი) ადგილები, ტყის დიდი ნაწილი და სათიბების ზოგიერთი ნაწილი. სახნავის და სათიბების დიდი ნაწილი კერძო საკუთრებაში იყო. თავდაპირველად თემს სრულწლოვანი მამაკაცებისაგან

შემდგარი სასოფლო ყრილობა მართავდა. თემის ძირითადი სამეურნეო და სოციალური უჯრედი პატარა ოჯახი იყო. ოჯახები *თუხუმებში* იყვნენ გაერთიანებულნი, რომლებსაც საერთო წინაპრები ჰყავდათ. თუხუმის წევრები ერთმანეთს მხარს უჭერდნენ როგორც მატერიალურად, ისე მორალურად. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ნათესაურ ურთიერთობებს. მამაკაცთა გარესამუშაოზე მასობრივი გასვლის გამო, მნიშვნელოვან საკითხებს ხშირად ქალებიც წყვეტდნენ. ხვარშიელებმა იცოდნენ ლევირატი, სოროორატი, ქალის მოტაცება. უპირატესად კი გარიგებით ქორწინდებოდნენ. ხვარშიელები მკაცრად იცავდნენ და ახლაც იცავენ ენდოგამიას. მათ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა სტუმართმოყვარეობა, ყონადობა, ურთიერთდახმარების წეს-ჩვეულება და სისხლის აღება.

ხვარშიელები სუნიტი მუსლიმები არიან. გარდა მუსლიმური დღესასწაულებისა, დღესასწაულობდნენ წლის ყველაზე მოკლე დღეს (*უქმობის დღე*), შუა ზამთარს (თებერვლის დასაწყისში), ხნულის გავლებას, მოსავლის აღების დამთავრებას და სხვ. იცოდნენ წვიმისა და მზის გამოწვევის წეს-ჩვეულება. ხალხური ზეპირი შემოქმედება ორენოვანი იყო: ხვარშიული და ხუნძური. თითქმის ყველა სოფელში იყვნენ განათლებული ადამიანები, რომლებიც თავისუფლად ფლობდნენ არაბულ ენას. მუსლიმამდელი რწმენა-წარმოდგენებიდან შემორჩენილი იყო ტოტემიზმი, წინაპართა კულტი, ბუნებისა და მისი ძალების გაღმერთება. ხვარშიელებში განვითარებული იყო მედიცინა. ხალხურ მკურნალებს შეეძლოთ სწორი დიაგნოზის დასმა. მკურნალობის ხელოვნება თაობიდან თაობაზე გადადიოდა. მკურნალები რთულ ქირურგიულ ოპერაციებსაც აკეთებდნენ.

IV. 14. ჰინუხელები

ჰინუხელების თვითსახელწოდებაა **ჰინოზი, ჰენოზე**. ხუნძები მათ **ჰენუკალს** უწოდებენ. ჰინუხელები უნდა იყვნენ *იოანე ბაგრატიონის* მიერ მოხსენიებული *ინხოელები*. ჰინუხელები სამხრეთ-დასავლეთ დაღესტანში, საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრიდან (კახეთი, თუშეთი) რამდენიმე კილომეტრში ცხოვრობენ. ისინი ერთი სოფლის – *ჰინუხის* (*ჰინოს*) მკვიდრები არიან, რომელიც თანამედროვე *წუნდის* რაიონში შედის. ჰინუხელების ტერიტორია მდ. *ანდიის ყოისუს* სამ პატარა მარჯვენა შენაკადზე მდებარეობს. ჰინუხელები, შეფასებითი მონაცემებით, 600 კაცის რაოდენობით არიან. დაახლოებით 25-30 ოჯახი საქართველოში ცხოვრობს. ჰინუხელების დემოგრაფიულ მდგომარეობაზე მძიმე გავლენა მოახდინა კავკასიის ომმა. ამ დროს სოფელი *ჰინუხი* საფუძვლიანად დაინგრა. XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჰინუხელების კომლთა რაოდენობა 26-მდე შემცირდა. მათ 1877 წლის ანტიკოლონიურ აჯანყებაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს. მისი ჩახშობის შემდეგ, ბევრი მათგანი თურქეთსა და ირანში გადასახლდა, სხვა ნაწილი კი რეპრესირებული და გაძევებული იქნა. 1886 წელს სოფელ ჰინუხში სულ 28 კომლი და 157 მცხოვრები იყო. *ე. შელინგის* მონაცემებით, 1947 წელს ჰინუხელები 244 კაცს ითვლიდნენ. თუმცა ამ დროს მათი დიდი ნაწილი ეთნიკური ტერიტორიის გარეთ მკვიდრობდა. საერთოდ, ჰინუხელების რაოდენობა შემდეგნაირად იცვლებოდა: 1866 წ. – 755 კაცი, 1886 წ. – 548, 1894 წ. – 778, 1916 წ. – 863. 1926 და 1939 წლების აღწერებში ჰინუხელები დიდოელებს (ცეზებს) მიაკუთვნეს, შემდეგდროინდელ აღწერებში კი – ხუნძებს. საკომლო დავთრების მიხედვით, 1950 წელს სოფელ ჰინუხში 238 კაცი ცხოვრობდა, 1970 წელს – 315, 1979 წ. – 368.

ჰინუხური ენა კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ-დაღესტნური ჯგუფის ხუნძურ-ანდიურ-დიდოური შტოს დიდოურ (ცეზურ) ქვეჯგუფში შედის. ასე რომ, ჰინუხელები დიდოური (ცეზური) მოდგმის ხალხია. ჰინუხელები მრავალენოვან ეთნოსთა რიცხვს მიეკუთვნებიან. ჰინუხელებმა იციან აგრეთვე ხუნძური, დიდოური,

რუსული, ქართული ენები. ჰინუხური ენა უდამწერლობო ენაა. ანტროპოლოგიურად ჰინუხელები კავკასიური ტიპის წარმოამდგენლები არიან.

ჰინუხელებს საუკუნის განმავლობაში საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები ჰქონდათ. სამხრეთით მათ ქართველები ესაზღვრებიან. დაღესტნელთაგან ჰინუხელების მეზობლები არიან კაპუჭელები (ბეჟტიელები), დიდოელები (ცეზები), ჰუნზიბელები.

ჰინუხელები უძველესი დროიდან გვიან შუა საუკუნეებამდე დიდოს სამხედრო-პოლიტიკურ კავშირში შედიოდნენ. XV საუკუნიდან *ანტლრატლის* კონფედერაციის *ანწუხკაპუჭის* კავშირში შევიდნენ. უფრო მოგვიანებით, სოფელი *ჰინუხი* დიდოელთა სასოფლო თემთა კავშირის ნაწილი გახდა.

ჰინუხელთა ძირითადი საქმიანობა მომთაბარე მეცხვარეობა იყო. ჰყავდათ თუშური ჯიშის ცხვარი. მოშენებული ჰყავდათ აგრეთვე მსხვილფეხარქოსანი საქონელი, თხა; მისდევდნენ მეცხენეობას. ტერასული ტიპის პატარა ნაკვეთებზე ქერი, შვრია, ფეტვი მოჰყავდათ. მისდევდნენ მონადირეობას, მეფუტკრეობას. შინამრეწველობისა და ხელოსნობის დარგებიდან აღსანიშნავია მაუდის, ფარდაგების, ტომრების, ხურჯინების, მოქსოვილი ჩექმების, წინდების, თექის დამზადება; მჭედლობა, შრომის იარაღებისა და ჭურჭლის დამზადება. შრომის სქესობრივ-ასაკობრივი დანაწილება მკაცრად იყო რეგლამენტირებული. განვითარებული იყო გაცვლითი ვაჭრობა. მამაკაცები გარესამუშაოზე დადიოდნენ. ბარში გადასახლებულები მემინდვრეობას, მებოსტნეობას და მებაღეობას მისდევენ.

ტრადიციული სოციალური ორგანიზაციის საფუძველი იყო მესაქონლე-მეომართა თემი (*ჯამაათი*). შემორჩენილია სისხლ-ნათესაობითი გაერთიანება – *თუხუმი*. ისტორიულად ჰინუხელების საზოგადოება სოციალურად ერთგვაროვანი იყო. სოციალურ ცხოვრებასა და ყოფაში მნიშვნელოვანი იყო პატრიარქალური გადმონაშთების როლი. ჰინუხელთა ოჯახის გაბატონებული ფორმა იყო პატარა, უბრალო ოჯახი. ქორწინება ძირითადად გარიგებით ხდებოდა. იშვიათად გვხვდებოდა მოტაცება, გაპარვა, გაცვლითი ქორწინება, ლევირატი, სოროორატი. XX საუკუნემდე დიდი, გაუყოფელი ოჯახებიც არსებობდა. საქორწილო და დასაკრძალავი წეს-ჩვეულებები თითქმის ისეთივე ჰქონდათ, როგორც დაღესტნის სხვა ხალხებს. თუმცა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია ხაზგასმული, გადმოცემით, ჰინუხელებს მამაკაცის დაკრძალვის ერთობ ორიგინალური წესი ჰქონდათ: **მიცვალებული მამაკაცი ცხენზე დამჯდარი მიჰყავდათ, რომელსაც, ჩვეულებრივ, ნაბადი, ჩექმები ეცვა, ფაფახი ეხურა და იარაღით იყო აღჭურვილი. მიცვალებული ცხენზე ტყავის თასმებით და რამდენიმე ჭოკით ჰყავდათ მიმაგრებული.**

შემორჩენილია ტრადიციული საოჯახო ურთიერთობები, უხუცესების პატივისცემა, ნათესაური და მეზობლური ურთიერთობები (ურთიერთდახმარება), თოხუმური სოლიდარობა, სტუმართმოყვარეობა.

სოფელი ჰინუხი შეჯგუფული ტიპის მრავალკომლიანი დასახლება იყო. სოფელი უბნებად იყოფოდა; ჰქონდათ ყრილობის ჩასატარებელი ადგილი და ადგილი, სადაც თავისუფალ დროს ატარებდნენ. მთის ფერდობზე გაშენებულ სოფელს საბრძოლო კოშკების საშუალებით იცავდნენ, რომლებიც კავკასიის ომისა და მის შემდგომ პერიოდში დაინგრა. განაპირა სახლებს სათოფურები ჰქონდა. ისინი მჭიდრო თავდასაცავ ნაგებობათა ერთობლიობას წარმოადგენდნენ.

ტანსაცმლის მასალას სოფელშივე ამზადებდნენ. თავსაბურავად ნახევრადსფეროსებრი და წაკვეთილი კონუსის ფორმის ფაფახი ჰქონდათ. ფეხსაცმლის ძირითად სახეს ფერადოვანი და ორნამენტირებული მოქსოვილი შალის ჩექმა წარმოადგენდა. მამაკაცების აუცილებელი ატრიბუტი ხანჯალი იყო, რომელიც ძვლის ან ვერცხლის ქარქაშში ჰქონდათ მოთავსებული. თავს იპარსავდნენ, წვერ-ულვაშს კი – არა.

ჰინუხელები ვაჭრობასა და გაცვლა-გამოცვლას ძირითადად საქართველოსთან აწარმოებდნენ, იშვიათად – დაღესტნის შიდა რაიონებთან, ჩრდილოეთ კავკასიასა და აზერბაიჯანთან. გაჰქონდათ მატყლი, ნაქსოვი ნაწარმი, თექა, ტყავი, ქურქები, ყველი, ერბო, ხის ჭურჭელი და სხვა. ძირითადი საჭაპანო და სამგზავრო ტრანსპორტი იყო ცხენი, იშვიათად – ჯორი.

ჰინუხელები მუსლიმი სუნიტები არიან. მაჰმადიანობა მათ გვიან – XVIII საუკუნის ბოლოს მიიღეს. ისლამს ჰინუხელთა შორის ხუნძები და კაპუჭელები ქადაგებდნენ. შემორჩენილია წარმართობის დროინდელი რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც მაგიის, წინაპართა კულტის, ანიმიზმის, ტოტემიზმის ამსახველნი არიან. ფართოდ აღნიშნავდნენ კალენდარულ დღესასწაულებსაც (პირველი ხნულის გავლება, ზამთრის დადგომა). ჰინუხელებისათვის სპეციფიური იყო წეს-ჩვეულება, როდესაც ახალდაქორწინებულთა ინტიმური შეხვედრის წინ ნეფეს სახეს უჭვარტლავდნენ (უმურავდნენ). მხოლოდ ჰინუხელებმა იცოდნენ ახლადაბადებული ბიჭისათვის თავზე მჭიდრო შემოსაკრავის გამოყენება. ეს წესი XIX საუკუნის შუა ხანებამდე იყო შემორჩენილი.

IV. 14. ჰუნზიბელები

დასავლეთ დაღესტნის მთებში ცხოვრობენ ცეზური მოდგმის მცირერიცხოვანი ჰუნზიბელები. ჰუნზიბელების თვითსახელწოდებაა **ჰუნზალ**. ჰუნზიბელების ეთნიკური ტერიტორია *წუნტის* რაიონშია. მკვიდრობენ სოფლებში: *ნახადა, გარბუტლი, ღელო, როდორი* და *ტოდორი.* ჰუნზიბელების მეზობლები არიან კაპუჭელები, დიდოელები, ანწუხელები და ხვარშიელები.

ჰუნზიბელები ანთროპოლოგიურად დიდი ევროპეიდული რასის წინააზიური რასის კავკასიონური ვარიანტის წარმომადგენლები არიან. ჰუნზიბური ენა კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ-დაღესტნური ჯგუფის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ქვეჯგუფში შედის. ჰუნზიბელებში გავრცელებულია აგრეთვე, ხუნძური, რუსული, ქართული ენები. ბევრმა მეზობელი ხალხების: დიდოელების, კაპუჭელების და ჰინუხელების ენებიც იცის. ჰუნზიბური ენა უდამწერლობო ენაა. სადამწერლობო ენა მათთვის ხუნძურია.

ჰუნბიზელების რაოდენობის განსაზღვრა XX საუკუნეში ერთობ ძნელია, რადგან მათ ხან ხუნძებს და ხანაც კაპუჭელებს მიაკუთვნებდნენ. უკანასკნელი პერიოდის საენციკლოპედიო და ინტერნეტის მონაცემებით, ჰუნზიბელების რაოდენობა რუსეთის ფედერაციაში 1,35 ათას კაცს უთანაბრდება, საერთო რაოდენობას კი 1,7 ათას კაცს ანგარიშობენ. ამჟამად დასავლეთ დაღესტნის მთიანეთში – მათი ეთნიკური განსახლების არეალში – სულ 600 ჰუნზიბელი ცხოვრობს. 1866 წელს ჰუნზიბელების რაოდენობა 568 კაცი იყო, 1886 წელს – 426, 1894 წელს – 450, 1916 წელს – 479. წინააღმდეგობრივია საბჭოთა პერიოდის პირველი ორი აღწერის მონაცემებიც: 1926 წლის აღწერით 1100 ჰუნზიბელი იყო აღრიცხული, 1938 წელს კი სულ 400. ისტორიული ეთნიკური ტერიტორიის გარდა, ჰუნზიბელები დღეს დაღესტნის ბარშიც – *ყიზილიურტის* რაიონშიც ცხოვრობენ (დაახლ. 750 კაცი). აქ ისინი საბჭოთა პერიოდში გადასახლდნენ. საისტორიო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ჰუნზიბელებს დასავლეთ დაღესტნის მთიანეთის ტერიტორია *ბოგოსის* ქედის რაიონში და მდ. *ავარიის ყოისუს* შენაკად მდ. *ტლოგლის ეხუს* (ქართული *ხვანორი*) აუზში უკვე ძვ. წ.-ის I ათასწლეულის II ნახევარში ჰქონდათ დაკავებული. ისევე როგორც ცეზური მოდგმის სხვა ხალხები, ჰუნზიბელებიც დიდოს სამხედრო-პოლიტიკურ გაერთიანებაში შედიოდნენ. ეს გაერთიანება XV საუკუნეში დაიშალა. IV-V საუკუნეებიდან ჰუნზიბელთა შორის ქრისტიანობას ქართველები ავრცელებდნენ. მათი განსახლებისა და მომიჯნავე ტერიტორიებიც მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში საქართველოს პოლიტიკური და

ეკონომიკური გავლენის სფეროში იმყოფებოდა. XV საუკუნიდან ისლამმა დაიწყო გავრცელება. ამ დროიდან ისინი *ანტლრატლის* სასოფლო თემთა კავშირში შედიოდნენ. *ანტლრატლის* შემადგენლობაში კაპუჭელებსა და ანწუხელებთან ერთად მათ *ანწუხ-კაპუჭელთა* კავშირი შექმნეს. ეს უკანასკნელიც XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ცალკეულ თემთა კავშირებად დაიშალა: *უნზო* (*ჰუნზიბი*), *კაპუჭა* და *ანწუხი.* ჰუნზიბელები ცარიზმის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ბრძოლის აქტიური მონაწილენი იყვნენ. ამ ბრძოლაში ისინი მეორე ეტაპიდან, 1840-იანი წლებიდან, ჩაებნენ. 1944 წელს ჰუნზიბელები იძულებით ჩაჩნეთში გადაასახლეს. უცხო მხარეში მათ 13 წელი გაატარეს და სამშობლოში დაბრუნების ნებართვა მხოლოდ 1957 წელს დართეს.

ჰუნზიბელები *ჯამაათებად* (თემებად) ცხოვრობდნენ. თითოეული *ჯამაათი* (თემი) სოციალ-პოლიტიკურ დამოუკიდებელ ტერიტორიულ-ნათესაურ წარმონაქმნს წარმოადგენდა. ის მესაქონლე და მიწათმოქმედი თავისუფალი მეთემეებისაგან შედგებოდა. უმაღლესი ორგანო იყო ჯამაათის სრულწლოვანი მამაკაცების კრება ანუ სოფლის ყრილობა. ყოველდღიური მმართველობის ფუნქციას უხუცესები ასრულებდნენ, რომლებიც იმავე დროს სანათესაო გაერთიანების – *თუხუმების* მეთაურებიც იყვნენ. სოციალური თვალსაზრისით, ჯამაათის წევრები თანასწორნი იყვნენ, თუმცა სოციალური დიფერენციაცია ადრე შუა საუკუნეებიდანვე შეინიშნებოდა. ჰუნზიბელთა ოჯახების პირად საკუთრებაში მხოლოდ სახვნელი ნაკვეთები და ნაწილობრივ სათიბებიც იყო.

ჰუნზიბელების ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მესაქონლეობა (უმთავრესად მომთაბარე მეცხვარეობა), მიწათმოქმედება და ხელოსნობა იყო. მისდევდნენ მონადირეობასაც. სახვნელი ნაკვეთები ძირითადად ფერდობებზე ჰქონდათ შეფენილი, იშვიათად ტერასებიც ჰქონდათ. მოჰყავდათ ქერი, ჭვავი, შვრია, ფეტვი. განვითარებული იყო მატყლის დამუშავება (მაუდი, ქეჩა, ფეხსაცმლის ქსოვა, ფარდაგები, ხურჯინები), მჭედლობა, ხისა და ქვის დამუშავება. საჯდომ და საჭაპანო ტრანსპორტად ძირითადად ცხენს, იშვიათად, სახედარს იყენებდნენ.

ჰუნზიბელთა საზოგადოებრივ, საოჯახო და პირად ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავა საოჯახო-ნათესაურ გაერთიანებას – *თუხუმს.* მასში რამდენიმე სანათესაო ოჯახი შედიოდა, რომლებსაც საერთო წარმოშობა, ერთი წინაპარი აკავშირებდათ. თემში (ჯამაათში) ორიდან რვამდე თუხუმი იყო გაერთიანებული. ოჯახის საყოველთაოდ გავრცელებულ ფორმას პატარა ოჯახი წარმოადგენდა. გაბატონებული იყო პატრიარქალური ურთიერთობები. აქ ასაკით უფროსის ერთგვარი კულტი არსებობდა. ორიგინალური იყო ჰუნზიბელთა ზოგიერთი ტრადიციული საქორწილო რიტუალი. აუცილებელი იყო ნეფე შიშველი ფეხებით ხანჯალზე, დანაზე დამდგარიყო, რათა თავი დაეცვა არაკეთილმოსურნეთა შელოცვისაგან. ზოგიერთ სოფელში ნეფის ნათესავებს პატარძალი გადაჯაჭვული ხელებით გადაჰყავდათ, რომელსაც ცხვრის ქურქები, ნაბდები, ხალიჩები ჰქონდა დაფარებული. ნეფის სახლთან პატარძალს ნეფის ნათესავი ქალი წყალს გადაასხამდა. ნეფის ეზოში ჯგუფური ცეკვა იმართებოდა, რომელთა შორის ორი-სამი ადამიანი გადაცმული იყო. მოცეკვავეებს სამხიარულოდ ხშირად პატარძლის მზითევით აკიდებული სახედარი შემოჰყავდათ. ხშირად ნეფეს საწოლში ადამიანის სიმაღლის ჩვრების თოჯინას ახვედრებდნენ. ნეფე კი ეძებდა თავის პატარძალს და ეს ძებნა გრძელდებოდა იქამდე, სანამ ის მას ტკბილეულითა და ხილით არ „გამოისყიდიდა“. ლიტერატურაში აღწერილია შემდეგი საინტერესო წეს-ჩვეულებაც: პირველ საქორწინო ღამეს პატარძალი საქმროს (ქმარს) აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა. საქმროს აუცილებლად 7-15 შაროვარის დაბრკოლება უნდა გადაელახა და ისინი ხელით გაეხსნა.

ჰუნზიბში ძირითადად პატარა ოჯახები იყო გავრცელებული. ჰუნზიბელთა სოფელი საფეხურებრივ-შეჯგუფული იყო. ისინი მთის ფერდობებზე იყო შეფენილი, ისე რომ, მათში შესვლა მხოლოდ ერთი მხრიდან შეიძლებოდა. აშენებული

ჰქონდათ ბევრი საბრძოლო კოშკი. ნაგებობათა გარეთა კედლები ყრუ იყო. ისინი ერთმანეთზე იყო მიდგმული. მათ მხოლოდ სათოფურები ჰქონდათ. ჩვეულებრივ, სოფლის ცენტრში მეჩეთი იდგა. მამაკაცთა თავშესაყრელი ადგილიც აქვე იყო.

ჰუნზიბელები ტანსაცმლის ყველა მასალას სოფელში ამზადებდნენ. მათი საკვები ძირითადად ფქვილის, ხორცისა და რძისაგან მზადდებოდა.

ჰუნზიბელები მუსლიმი-სუნიტები არიან. აღნიშნავდნენ რელიგიურ და კალენდარულ დღესასწაულებს. შემოდგომასა და ზამთარში სქესობრივი და ასაკობრივი ნიშნით მამაკაცებსა და ქალებში გავრცელებული იყო გასართობი და სამხიარულო შეკრებები – ე. წ. საქმის საღამოები. ზეპირი ხალხური შემოქმედება მშობლიურ და ხუნძურ ენებზე ჰქონდათ. ჰუნზიბელ მკურნალებს მრავალი ავადმყოფობის დიაგნოსტირება და მკურნალობა შეეძლოთ. შემორჩენილია ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები. იცოდნენ ხარების გამოყვანის ანუ პირველი ხნულის გავლების დღესასწაული, რაც კოლექტიური ტრაპეზით, დოღით, სირბილში შეჯიბრით და ჭიდაობით მთავრდებოდა. ზამთრის დადგომასაც 20-21 დეკემბერს სადღესასწაულო ვახშმით, მილოცვით, ხუმრობით, კოცონის ანთებით და მასზე გადახტომით, გადაცმული ახალგაზრდების მსვლელობით აღნიშნავდნენ. ასევე დღესასწაული იყო ნაკელის მინდორში გატანა და სხვ.

IV. 15. არჩიბელები

არჩიბელები მთიან დაღესტანში, მდ. *ყარა-ყოისუს* შენაკადის მდ. *ხატარის* სათავეში (დღევანდელი *ჭარადის* რაიონში) მკვიდრობენ. არჩიბელთა თვითსახელწოდებაა **არშაშდიბ (არშიშტობ).** ლაკები მათ **არჩის** უწოდებენ, ხუნძები – **როჩისელს**. 1866 წლის მონაცემებით, არჩიბელების რაოდენობა 592 კაცი იყო, 1886 წელს – 804, 1926 წელს – 900. შეფასებითი მონაცემებით, დღეისათვის არჩიბელების რაოდენობა დაახლოებით 1.200 კაცია. 1939 წლიდან არჩიბელებს, როგორც ეთნოსს აღარ აღრიცხავდნენ; ისინი ხუნძებად იყვნენ ჩაწერილი. XX საუკუნის 30-იან წლებამდე არჩიბელები ერთ სოფელში – *ხერეში* (ხუნძური *როჩიბ*, რუსული *არჩიბ*) ცხოვრობდნენ, რომელშიც ძველი ადათების მიხედვით ზაფხულის სამი თვის განმავლობაში ჰქონდათ ცხოვრების უფლება. წლის დანარჩენ დროს ისინი ხუტორებში ატარებდნენ, რომელთა ირგვლივაც ცხვრის გამოსაზამთრებლებიც არსებობდა. არჩიბელთა ძირითადი სოფელი – არჩიბი 1944 წელს მოსახლეობისაგან თითქმის დაიცალა, 258 კომლიდან სულ 45 დარჩა. მისი ბინადარნი მუდმივ საცხოვრებლად ხუტორებში გადავიდნენ, რომლებიც თანდათანობით გაიზარდნენ და სოფლებად გარდაიქმნენ.

არჩიბული (არჩიული, არჭიული) კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნის ჯგუფის *ლეზგიური ქვეჯგუფის ენაა*; მოქცეულია ხუნძური და ლაკური ენების გავრცელების არეალში. საუკუნეთა მანძილზე მონათესავე ენების გავლენით დიდი ცვლილება განიცადა; თანამედროვე არჩიბულ ენას ლეზგიური და ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფის ენებს შორის გარდამავალი ადგილი უჭირავს. იგი ხუნძური და ლაკური ენების ინტენსიურ ზემოქმედებას დღესაც განიცდის. მეცნიერთა მტკიცებით, შეინიშნება აგრეთვე დარგუულ ენასთან მისი ურთიერთობის კვალი. იმასაც აღნიშნავენ, რომ ენობრივად, მართალია, ისინი ლეზგიებს ენათესავებიან, ეთნიკური თვითშეგნებით კი – ხუნძებს, კულტურით, როგორც ხუნძებს, ისე ლაკებს.

არჩიბელები დაღესტნის ისეთივე ძველი ავტოქტონური ხალხია, როგორც სხვები. არჩიბელების რომელიმე კონკრეტული დაღესტნური ხალხისაგან წარმომავლობის დადასტურება გაძნელებულია. არჩიბელები პირველად იხსენიებიან *მუჰამედ რაფის* ისტორიულ ქრონიკაში (XIV-XV საუკუნეების მიჯნა). XVII-XVIII საუკუნეებში არჩიბელები ეკონომიკურად *ყაზიყუმუხელ* ხანებს ემორჩილებოდნენ და ხარკს

საქონლითა და მარცვლეულით უხდიდნენ. ირანსა და რუსეთს შორის დადებული *გულისტანის* ზავით, დაღესტნის ტერიტორია რუსეთს გადაეცა. XIX საუკუნის დასაწყისში არჩიბის სასოფლო საზოგადოება ყაზიყუმუხის სახანოს შემადგენლობაში შევიდა, რომელიც ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად ოკრუგად გარდაიქმნა. XIX საუკუნის ბოლოს არჩიბი ხუნძებით დასახლებულ ღუნიბის ოკრუგს შეუერთდა. მთელი XIX საუკუნის მანძილზე არჩიბელებს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ მეზობელ ხუნძებთან. არჩიბელები ხუნძებთან ერთად ერთ სასოფლო სათემო საზოგადოებაში იყვნენ გაერთიანებულნი.

არჩიბელები მუსლიმი-სუნიტები არიან. მაჰმადიანობა მათ X საუკუნეში მიიღეს.

არჩიბელების ტრადიციული საქმიანობაა მეცხვარეობა და ურწყავი მიწათმოქმედება. მათი მეურნეობა კარჩაკეტილი ხასიათის იყო. ზამთარში ცხვარი სოფლებსა და მათ შემოგარენში ჰყავდათ, ზაფხულში – ალპურ საძოვრებზე. სახვნელი მიწის ნაკვეთები მთის ქედებს და დამრეც ადგილებში ჰქონდათ. სასოფლო-სამეურნეო იარაღიდან აღსანიშნავია საერთოდაღესტნური რკინის სახნისიანი ხის კავი. ძირითადად თესავდნენ ქერს, ასლს, ხორბალს. მათთვის უცნობი იყო საბოსტნე და ბაღჩეული კულტურები. ნიორსა და ხახვს ყუმუხში, ან ხუნძთა და ლაკთა სოფლებიდან მოსული წვრილი მოვაჭრეებისაგან ყიდულობდნენ. მისდევდნენ ნადირობასა (ძირითადად ჯიხვზე) და მეფუტკრეობას. შინამრეწველობიდან და ხელოსნობიდან აღსანიშნავია შალის ქსოვა, ორნამენტიანი ფარდაგების დამზადება და ხეზე კვეთა.

სოფელი *არჩი* (*არჩიბი*) უბნებად იყოფოდა, რომლებშიც სხვადასხვა *თოხუმის* წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრები მეჩეთები იყო. მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს სასოფლო თემი თამაშობდა. სასოფლო მმართველობას მამასახლისი (*ბეგაული*) მეთაურობდა, რომელსაც სასოფლო თემი (*ჯამაათი*) კრებაზე ირჩევდა. ჯამაათი უხუცესთა რიგებიდან ირჩევდა აგრეთვე სოფლის მოსამართლეს, მამასახლისის დამხმარეებს (*ჩაუშებს*), განიხილავდა სოფლის *ქადიის* (მოსამართლის) კანდიდატურას. ჯამაათის ფუნქციაში შედიოდა აგრეთვე ოჯახებს შორის საძოვრების გადანაწილება, გზების, ხიდების, სასაფლაოს კეთილმოწყობა, მეზობლებს შორის ურთიერთობის საკითხები და სხვ.

ტრადიციული საოჯახო ყოფისათვის დამახასიათებელი იყო აგრეთვე უმცროსების უფროსებისადმი მორჩილება. არჩიბელებში დღესაც ტრადიციულია ურთიერთდახმარება, ნათესაური სოლიდარობა. წარსულში უპირატესობა ენიჭებოდა ნათესავებს შორის ქორწინებას.

არჩიბელთა წეს-ჩვეულებები ძირითადად სამეურნეო ციკლთან იყო დაკავშირშებული. ზაფხულის მე-15 დღეს იცოდნენ ცხვრის საზაფხულო საძოვარზე გადარეკვის დღესასწაული, რასაც თან ახლდა სპორტული შეჯიბრებები (*დოღი, ჭიდაობა, სიმძიმეების აწევა*), ერთობლივი ტრაპეზი (მთავარი საჭმელი იყო ახლადამოყვანილი ცხვრის ყველი). შემოდგომაზე, ოქტომბრის ბოლოს *გლეგი ბუმულის* დღესასწაულს აწყობდნენ. ამ დღესასწაულის მთავარი მიზანი საქონლის ჯიშის გაუმჯობესება იყო. ბავშვები სახლიდან სახლში სიმღერით გადადიოდნენ და ოჯახებს ცხვრის გამრავლებას უსურვებდნენ. გაზაფხულზე იცოდნენ პირველი ხნულის გავლების დღესასწაული. სპორტული შეჯიბრებები ამ დროსაც იმართებოდა. იცოდნენ წვიმის გამოწვევის რიტუალიც.

არსებობს არჩიბულ ენაზე XIX საუკუნის დამწერლობის ძეგლები (რელიგიური ტრაქტატი, ლექსები), აგრეთვე მხატვრული და თეოლოგიური ნაწარმოებები, რომლებიც არჩიბელთა მიერ ხუნძურ, ლაკურ და არაბულ ენებზეა დაწერილი.

IV. 16. დარგუელები

დარგუელები შუა დაღესტნის მთისა და მთისწინა რეგიონების მკვიდრნი არიან. მათი თვითსახელწოდებაა **დარგან, დარგანტი**. მეზობელი ხალხებიც ამ ეთნონიმით მოიხსენიებენ, მაგრამ XIX საუკუნეში ეთნონიმებად დარგუელთა საზოგადოებათა კავშირების სახელწოდებებს იყენებდნენ. XVIII-XIX საუკუნეების ზოგიერთ რუსულ წყაროში დარგუელების ნაწილი (მთიელები) ყუმუხური ტერმინით **თავლინი** (მთიელი) მოიხსენიებოდნენ. ეთნონიმი *დარგუელები* პირველად XIV საუკუნეში მოიხსენიება. არაბული ხელნაწერის აშიაზე საუბარია *თემურ-ლენგის* სოფელ *დარგაში* ლაშქრობაზე. 1404 წელს დარგუელებს *ტურიგების* სახელწოდებით ერთ-ერთი ფრანგი არქიეპისკოპოსი მოიხსენიებს.

დარგუელები დაღესტნის შუა ნაწილის გარდა, ბარშიც ცხოვრობენ. საბჭოთა პერიოდში დარგუელები *კაიაკენტის, ხასავიურტის, ყიზლარის, ნოდაის, ბაბაიურტის, დერბენტის* და სხვა რაიონებში გადაასახლეს. დარგუელებს ემეზობლებიან: ხუნძები, ლაკები, ყუმუხები, თაბასარანელები, აღულები. საბჭოთა პერიოდში, დარგუელებთან კონსოლიდაციის მიზნით, დარგულებად წერდნენ ყუბაჩელებსა და ხაიდაყელებს, მაგრამ ამ ეთნოსებმა ეთნიკური და ენობრივი თავისთავადობა შეინარჩუნეს.

2001 წლის მონაცემებით დაღესტანში 356 300 დარგუელი იყო აღრიცხული, რომელთაგანაც 107 470 ქალაქების მკვიდრი იყო. დარგუელების 68% 16 სასოფლო რაიონში მკვიდრობს. ქალაქ *იზბერბაშში* დარგუელი მოსახლეობის 57%-ია აღრიცხული, *მაჰაჩყალაში* – 12,4%, *ყიზლარში* – 7,3%, *ბუინაკსკში* – 6,6%. დარგუელები დაღესტნის ფარგლებს გარეთაც არიან განსახლებულნი: სტავროპოლის მხარეში (32,7 ათასი კაცი), ყალმუხეთში (12,9 ათასი კაცი). სამეცნიერო ლიტერატურასა და წყაროებში დარგუელთა შემდეგი რაოდენობაა მითითებული: *ს. ბელოკუროვის* მონაცემებით, 1598 წელს დაახლ. 50-60 ათასი დარგუელი იყო. *რეინეგსი* 1796 წლისათვის ამ რიცხვს 116 ათასით განსაზღვრავს, 1840 წელს 90 ათას დარგუელს ანგარიშობენ, 1862 წელს – 85 ათასს, 1873 წელს – 89 159. 1886 წლისა და 1897 წლების ზუსტი მონაცემები კი ასეთია: 123 ათასი და 121 ათასი, 1926 წ. – 125,7 ათასი, 1959 წ. – 158 ათასი, 1970 წ. – 230,9 ათასი, 1979 წ. – 287 ათასი, 1989 წ. – 365 ათასი, 1995 წ. – 332 ათასი. დარგუელები დაღესტნის მოსახლეობის 15,6% შეადგენენ.

დარგუული ენა, რომელიც დაღესტნის ერთ-ერთი სამწერლობო ენაა, კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ-დაღესტნურ ენათა ჯგუფის დაღესტნურ ქვეჯგუფში შედის. დარგუული ენა რამდენიმე დიალექტითაა წარმოდგენილი. ეს დიალექტებია: *ჰურახული, მეჰებური, მუირული, წუდახარული, ახუშური* (*აკუშური*), *სირხიული, მეკეგინური, გუბდენური, ჩირაგული.* დამწერლობა რუსული ანბანის საფუძველზე საბჭოთა პერიოდში შეიქმნა. მას საფუძვლად უდევს *ახუშური* (*აკუშური*) დიალექტი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ზემოთ ჩამოთვლილი დარგუული ენის დიალექტები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. დარგუელებს ხუნძების ანალოგიური საერთო საურთიერთო ენა (ბოლმაწი) არ შეუქმნიათ. **სხვადასხვა დარგუულ დიალექტზე მოსაუბრენი ხშირად ერთმანეთთან რუსულ ენაზე საუბრობენ.** ანთროპოლოგიურად, დარგუელები დაღესტნელთა დასავლურ ტიპს მიეკუთვნებიან, რომელიც კავკასიონური ტიპის სახელითაც არის ცნობილი. ამ ტიპის დამახასიათებელი ნიშნებია: ღია ფერი, სიმაღლე, თავის მრგვალი ფორმა, ფართო სახე.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ დარგუელების ეთნოგენეზი ძვ. წ.-ის I ათასწლეულში არა მარტო მათ მიერ დაკავებულ მთიანეთის ეთნიკურ ტერიტორიაზე, არამედ დაღესტნის ზღვისპირეთშიც მოხდა. დარგუელები თავდაპირველად კავკასიის ალბანეთის შემადგენლობაში შედიოდნენ, შემდეგ ჰუნთა სახელმწიფოსა და ხაზართა ყაღანატის გავლენის სფეროში იმყოფებოდნენ. VII საუკუნეში მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს არაბებს. ისტორიკოსები დარგუელებში ადრეფეოდალური ურთიერთობის წარმოქმნას XI-XII საუკუნეებით ათარიღებენ. XII-XIII საუკუნეებში

ჩამოყალიბდა დიდი ადრეფეოდალური სამფლობელო – *ხაიდაყის უწმია*. მაგრამ დარგუელთა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას, განსაკუთრებით ბარისა და მთისწინეთისას, გახშირებულმა თავდასხმებმა შეუშალა ხელი, რომელთაგანაც ყველაზე საშინელი მონღოლთა შემოსევა იყო. დარგუელებისათვის გამანადგურებელი აღმოჩნდა *თემურ-ლენგის* ლაშქრობები. 1741 წელს, სხვა დაღესტნელებთან ერთად, დარგუელებმა *ნადირ-შაჰის* არმიის განადგურებაში მიიღეს მონაწილეობა.

რუსეთის შემოსვლამდე დარგუელებს სასოფლო თემთა რამდენიმე კავშირი ჰქონდათ ჩამოყალიბებული, რომელთაგანაც ყველაზე დიდი *აკუშა-დარგოს* გაერთიანება იყო. მნიშვნელოვანი კავშირებიდან შეიძლება დავასახელოთ კიდევ: *უწუმი-დარგო, კაბა-დარგო, სირგხა*. სასოფლო თემთა კავშირების უმეტესობა *საშამხლოში, ხაიტაყის საუწმიოში* და *ყაზიყუმუხის სახანოში* შედიოდა. „თავისუფალი საზოგადოებები“ უწმიას მხოლოდ ომის შემთხვევაში თვლიდნენ თავიანთ წინამძღოლებად და მეთაურებად. დარგუელებით განსახლებული ტერიტორია *შამილის* იმამატში არ შედიოდა, ამიტომ ანტირუსულ ომში ისინი მხოლოდ ეპიზოდურად მონაწილეობდნენ. დარგუელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1877 წლის დაღესტნის მოსახლეობის ანტიკოლონიურ აჯანყებაში. ამ დროს დარგუელთა სოფელი *წუდახარი* რუსეთის არტილერიამ მიწასთან გაასწორა, გადარჩენილი მოსახლეობა კი სხვა ადგილას გადასახლდა. 1860 წელს ცარიზმმა დარგუელებით დასახლებულ ტერიტორიაზე შექმნა დარგოს და ხაიტაყ-თაბასარანის ოკრუგები. რუსეთის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში დარგუელებს შორის ეროვნული მოძრაობა გაძლიერდა.

მთისწინეთსა და ბარში განვითარებული იყო სახვნელი მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. შუამთაში ტერასული მიწათმოქმედება იყო გაბატონებული. მაღალმთაში მისდევდნენ მომთაბარე მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას. შინამრეწველობასთან შედარებით დიდი ხვედრითი წილი ჰქონდა გარესამუშაობზე სიარულს. მხოლოდ ერთი დარგოს ოკრუგიდან XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გარესამუშაოზე ყოველწლიურად 12 ათასი მამაკაცი გადიოდა. ზოგიერთი სოფლიდან კი ამ მიზნით, 20-30% გადიოდა. დარგუელებს თავიანთი მოყვანილი მარცვალი დიდხანს არ ჰყოფნიდათ. ხორბალს ისინი ძირითადად ყუმუხებისაგან ყიდულობდნენ.

შინამრეწველობიდან განსაკუთრებით განვითარებული იყო მატყლის დამუშავება (მაუდი, ხალიჩები, ფარდაგები, ნაქსოვი ტანსაცმელი), აგრეთვე: ლითონის, ხის, ქვის, ტყავის დამუშავება. ზოგიერთი სოფელი ამა თუ იმ ნაწარმის დამზადებით იყო სახელგანთქმული.

დარგუელებისათვის მთაში ძირითადი სატრანსპორტო საშუალება ცხენი იყო, ბარში – ორბორბლიანი ურემი.

დარგუელთა მატერიალური კულტურა საერთოდაღესტნური ნიშნების მატარებელი იყო. დასახლება შეჯგუფული ტიპისა იყო. დარგუელთა სოფლები სიდიდით გამოირჩეოდა. ზოგიერთ მათგანში 700 კომლზე მეტი მკვიდრობდა, ბევრი იყო 100-დან 350-მდე კომლიანი სოფელიც. სოფლები მდინარეთა ნაპირებზე ტერასებზე, მთის ფერდობებზე იყო შეფენილი. აული რაც უფრო მაღლა მთაში მდებარეობდა, მით უფრო ნათლად იყო გამოკვეთილი მისი შეჯგუფული, საფეხურებრივი და ამფითეატრისებური ტიპი. ასეთ სოფლებში სახლები ერთმანეთზე იყო მიკრული. ქვედა სახლის სახურავი ზედა სახლის ეზოს წარმოადგენდა.

დარგუელთა სოციალური ორგანიზაციის საფუძველს სასოფლო თემი – *ჯამაათი* წარმოადგენდა. სათემო საკუთრებაში იყო დაუმუშავებელი მიწის ნაკვეთები, სახვნელი მიწები კი კერძო საკუთრებაში ჰქონდათ. არსებობდა აგრეთვე მეჩეთების (ვაკუფური) კუთვნილი მიწის ნაკვეთები და ფეოდალთა საკუთრებაში არსებული მიწები. თემებს ჩამოყალიბებული ჰქონდათ თემთა კავშირები (სასოფლო

საზოგადოებები), რომელთაგანაც ზოგიერთი დამოუკიდებელი (თავისუფალი) იყო, ზოგიერთი კი ფეოდალთა დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. კავშირები ხშირად უფრო დიდ კავშირებში იყვნენ გაერთიანებულნი. დარგუელების უმეტესობა *ახუშის* (*აკუშის*) სუპერკავშირში შედიოდა, რომელიც აერთიანებდა *ახუშას* (*აკუშას*), *წუდახარის, მეკელის, უსიშას, მუღის* და დროდადრო *სირხის* თემთა კავშირებს. დარგუელთა მნიშვნელოვანი ნაწილი *ხაიტაყის საუწმიოსთან* თავისებურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა და ის *უწუმი-დარგოს* სახელს ატარებდა. *ტარკის საშამხლოში* შედიოდა *გუბდენი* და *კადარი, ყაზიყუმუხის* სახანოში – *ბერყუნ-დარგვა,* სოფელი *მემუღი* კი – *ანდალალის* ხუნძთა კავშირში.

თემების საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება ჩვეულებითი სამართლით (*ადათით*) და *შარიათის* ნორმებით რეგულირდებოდა. თემს უხუცესები მართავდნენ. ყველაზე უმნიშვნელოვანესი საკითხები კი სასოფლო ყრილობაზე წყდებოდა, რომელშიც ყველა სრულწლოვანი მამაკაცი მონაწილეობდა. **დარგოში ყველაზე გავრცელებულ ფენა თავისუფალი გლეხობა (*უზდენები*) იყო. უმნიშვნელო რაოდენობით იყვნენ მონები, რომლებსაც უპირატესად საოჯახო სამუშაოებში გამოიყენებდნენ. კლასებისა და წოდებათა არსებობის მიუხედავად, დარგუელთა საზოგადოების სოციალური განშრევება და უთანაბრობა, მეცნიერთა მტკიცებით, XVIII-XIX საუკუნეებში კლასობრივი თვალსაზრისით განვითარებულად არ შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტით სოციალური განვითარება ნაციონალური და კულტურული კონსოლიდაციის დაუსრულებლობით ხასიათდებოდა.**

დარგუელთა ოჯახის გაბატონებული ფორმა XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში პატარა ოჯახი იყო, რასაც 1886 წლის საოჯახო სიებიც ადასტურებს. ამ დროს ოჯახის საშუალო სიდიდე დარგოს ოკრუგში 4,2 კაცი იყო, ხაიტაყ-თაბასარანში კი – 4,9. თუმცა ამ პერიოდში დიდი ოჯახებიც გვხვდებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მთელ დაღესტანში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დიდი ოჯახების რაოდენობა 13,4%-ს შეადგენდა. დარგუელებში ასეთი ოჯახების პროცენტული რაოდენობა გაცილებით ნაკლები იყო. ოჯახები პატრილინეურ მონათესავე ოჯახთა ჯგუფთა გაერთიანებაში – *თუხუმში* შედიოდნენ, რომლებიც ერთი წინაპრისაგან მომდინარეობდნენ და რომლებსაც მკვეთრად გამოხატული ნათესაური, იდეოლოგიური, საზოგადოებრივ-ყოფითი და ეკონომიკური ერთობა ჰქონდათ. *თუხუმი* უფრო პატარა ერთეულებად – პატრონიმიებად იყოფოდა, რომლებსაც აქ ორი ტერმინით (*ჟინსი, აღლუ*) აღნიშნავდნენ. თუხუმი ეგზოგამიური არ იყო, მაგრამ არც მისი ენდოგამიურობა იყო აუცილებელი, რადგან ზოგჯერ დარგუელები საქორწინო პარტნიორის მოსაძებნად თუხუმის გარეთ, თემში (ჯამაათშიც) გადიოდნენ. სოფელი (თემი) კი მკაცრად ენდოგამიური იყო. თითქმის არ დასტურდება შემთხვევები სოფლის გარეთ დაქორწინებისა. დარგუელთა ნათესაობის სისტემა არაბული ტიპის იყო. თუხუმში ნათესაობა მამის ხაზით მე-12 მუხლამდე აღინიშნებოდა. დარგუელთა ერთ-ერთი სოფლის მკვიდრთ ორიგინალური საქორწილო ჯგუფური ცეკვა ჰქონდათ. ცეკვის დროს მამაკაცები სახლის ფარგლებს ცდებოდნენ და ცეკვას სხვა სახლების სახურავებზე აგრძელებდნენ. წუდახარელები კი ჯგუფურ, წრიულ ცეკვას კოცონის ირგვლივ ასრულებდნენ.

დარგუელების ტრადიციული ყოფა, ჩვეულებრივ, პროტოფეოდალურ-პატრიარქალური და პროტოფეოდალურ-გვაროვნული იყო. საოჯახო ყოფაში ეს უპირველეს ყოვლისა ოჯახურ ურთიერთობებში, მამაკაცის ბატონობაში, ქალის მამაკაცისადმი დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა.

დარგუელების ბევრი ზნეობრივ-ეთიკური ნორმა სტუმართმოყვარეობის წეს-ჩვეულებაში იყო კონცენტრირებული. სტუმრის მიღებისას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა მის ეთნიკურობას, კონფესიურობას, არც იმას, ის მეგობრული თუ მტრული ქვეყნის წარმომადგენელი იყო. სტუმართმოყვარეობის დერივატი იყო

ყონაღობა. ყონაღი არა მხოლოდ უბრალოდ სტუმარი, არამედ პირადი მეგობარიც იყო. ყონაღობა მემკვიდრეობითი იყო.

ღირსების ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტთაგანი სისხლის აღების ტრადიცია იყო. თუხუმებსა და ჯამაათებს შორის შეჯახება ხან რამდენიმე თაობის განმავლობაში გრძელდებოდა. მაგალითად, სოფელ *კადარში* ორ თუხუმს შორის მტრობა დაახლოებით 200 წელი გრძელდებოდა: XVII საუკუნიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე. თუმცა დარგუელთა თემმა დროთა განმავლობაში სისხლის აღების მსხვერპლთა რიცხვის შემცირება მოახერხა. ცეცხლის ჩაქრობის მიზნით იცოდნენ მკვლელის გაძევება. მორალისა და ეთიკის ტრადიციული ნორმები დარგუელების კვების კულტურაშიც აისახა. ჭამაში თავშეკავება მამაკაცის ერთ-ერთ ღირსებად ითვლებოდა, ღორმუცელობა კი – სირცხვილად.

დარგუელთა ყველაზე პრესტიჟული დღესასწაული პირველი ხნულის გავლება იყო. მასთან დაკავშირებული რიტუალებით დარგუელები თავს კარგი მოსავლით უზრუნველყოფდნენ. ეს დღესასწაული იყო ყველაზე მასობრივი, თამაშებით მდიდარი, სანახაობრივი, თავშესაქცევი, აწყობდნენ შეჯიბრებებს, იცოდნენ გამასპინძლება. მკვლევართა ვარაუდით, ეს დღესასწაული ადრესამიწათმოქმედო კულტურაში იღებს სათავეს. იცოდნენ წვიმის და მზის გამოწვევის რიტუალები.

დარგუელებში ხალხურმა კულტურამ და ხელოვნებამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია: დეკორატიულ-გამოყენებითმა ხელოვნებამ, სასიმღერო-მუსიკალურმა შესრულებამ, პოეზიამ, მუსიკამ, ცეკვებმა და ა. შ. მნიშვნელოვნად იყო განვითარებული ხალხური ხუროთმოძღვრება (კოშკები, სახლები, ციხე-სიმაგრეები, მეჩეთები, ხიდები, ქვაზე და ხეზე კვეთა). ქვისმჭრელთა ხელოვნებიდან აღსანიშნავია საფლავთა სტელების კეთება. ამზადებდნენ საიუველირო ნაწარმს, იარაღს, კერამიკას. შინამრეწველობიდან აღსანიშნავია ტყვავის დამუშავება, ხალიჩების, ფარდაგების წარმოება.

დარგუელთა ეროვნული სპორტის სახეობებიდან ეთნოლოგიურ ლიტერატურაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა: მძიმე ქვების სროლაში შეჯიბრს, ქვის მიწიდან აწევას, სირბილს, ხტომას, მარულას, კრივს, ჭიდაობას...

დარგუელები მუსლიმი-სუნიტები არიან. აქ ეს სარწმუნოება XIV საუკუნის შემდეგ გავრცელდა და აღმავლობას XVIII-XIX საუკუნეებში მიაღწია. თუმცა ისლამი დარგუელებში სინკრეტული ხასიათის იყო, რადგან შემორჩენილი იყო წარმართული რწმენა-წარმოდგენებიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია მაგიური ქმედებები. დიდ განვითარებას მიაღწია ხალხურმა მედიცინამ. გარდა ხალხური ტრადიციებისა, ის აღმოსავლურ მედიცინასაც ეფუძნებოდა. სახალხო მკურნალებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ჭრილობების, დაუჟეჟილობის, მოტეხილობის, ნაღრძობების მკურნალობაში; აკეთებდნენ თავის ქალის ტრეპანაციას. ფიტოთერაპიული საშუალებებით კურნავდნენ ზოგიერთ შინაგან დაავადებას.

IV. 17. ხაიდაყელები

ხაიდაყელები დაღესტნის იმ ეთნოსთა შორის არიან, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ სხვა ეთნოსებს მიაკუთვნა. ხაიდაყელებს დარგუელებად წერდნენ. ხაიდაყელების თვითსახელწოდებაა **ხაიდაყანტი, ხაიდაყან** (მრ. რ.). რუსები მათ **კაიტაგებს** უწოდებენ. ისინი დაღესტნის *ხაიდაყის* რაიონის ძირძველი მკვიდრნი არიან. ხაიდაყელების ძირითადი ნაწილი დღეისათვის დაღესტნის 37 სოფელშია განსახლებული. ხაიდაყის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია ხაიდაყელების ერთ-ერთი დიდი სოფელი *მაჯალისი*. ისინი *დახადაევის* რაიონის ორ სოფელშიც (*იცარი* და *შარი*) მკვიდრობდნენ. ხაიდაყელების ნაწილი 1944 წელს ჩაჩნეთში გადაასახლეს. იმავე დროს ხაიდაყელების ერთი სოფელი ბარში, *დერბენტის* რაიონში გადაიყვანეს საცხოვრებლად. ხაიდაყის რაიონში, ხაიდაყელთა გარდა,

ცხოვრობენ აგრეთვე დარგუელები, ყუმუხები, მთის ებრაელები. ხაიდაყელები გეოგრაფიულად შუა დაღესტნის მთისწინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობენ. ხაიდაყელების მეზობლები არიან ყუმუხები (ჩრდილოეთით), დარგუელები (დასავლეთით), თაბასარანელები (სამხრეთ-დასავლეთით).

1926 წელს 14,4 ათასი ხაიდაყელი იყო აღრიცხული, 1938 წელს – 17,2 ათასი. შემდეგდროინდელ აღწერებში ხაიდაყელებს დარგუელებად წერდნენ. ხაიდაყელები დიდი ევროპეიდული რასის წინააზიური რასის კავკასიონურ ტიპს მიეკუთვნებიან. ხაიდაყური მეტყველება ხუთი თქმის ერთობლიობას წარმოადგენს. ხაიდაყელები ლაპარაკობენ აგრეთვე დარგუულ და ყუმუხურ ენებზეც. სკოლებში სწავლება რუსულ და დარგუულ ენებზე მიმდინარეობს.

ხაიდაყი პირველად IX საუკუნის არაბულ წყაროშია მოხსენიებული. არაბთა ლაშქრობებამდე ხაიდაყელებს საკუთარი მმართველები ჰყვადათ. ხაიდაყის უკანასკნელი მმართველი, რომელიც სარწმუნოებით ქრისტიანი იყო, არაბებთან ბრძოლაში დაიღუპა. მაჰმადიანობა ხაიდაყელებმა XIV საუკუნეში მიიღეს. XIV საუკუნიდან XIX საუკუნემდე ისინი დიდ წინაფეოდალურ წარმონაქმნში – *ხაიდაყის საუწმიოში* და „თავისუფალ საზოგადოებათა“ კავშირში შედიოდნენ. ხაიდაყი მთიან და დაბლობის ნაწილებად იყოფოდა, რომელსაც *უწმია* მართავდა. თავისუფალი საზოგადოება სხვადასხვა დროს მეტ-ნაკლებად *უწმიას* დაქვემდებარებაში იყო, რაც ომის დროს ამ უკანასკნელის სამხედრო წინამძღოლობაში გამოიხატებოდა. XVIII საუკუნის მონაცემებით, „თავისუფალ საზოგადოებაში“ თავისი მდგომარეობის განმტკიცების მიზნით, უწმია თავის შვილებს მათ გასაზრდელად უგზავნიდა. ამასთანავე, ყველა ქალს ბავშვი მორიგეობით მკერდზე უნდა მიედო. ამის შემდეგ უწმია „თავისუფალ საზოგადოებასთან“ დანათესავებულად ითვლებოდა. **უწმიას ხელისუფლება მემკვიდრეობითი იყო და ის გვარის უხუცესზე გადადიოდა, მაგრამ ამასთან ერთად, მას საერთო ყრილობაზე ამტკიცებდნენ.** თავდაპირველად უწმიას რეზიდენცია სიმაგრე *ყალაყო-რეიში* იყო. შემდეგ ცენტრმა *ურკარახში* გადაინაცვლა, XVII საუკუნის დასაწყისიდან სოფელ *მაჟალისში,* XVII-XVIII საუკუნეებში კი – სოფელ *ბაშლიში.* XVI საუკუნის მეორე ნახევარსა და XVII საუკუნის პირველ ნახევარში უწმია *რუსტემ-ხანმა* სამართლის წიგნის კოდიფიცირება მოახდინა. ის ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ჩვეულებითი სამართლის ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ძველი კრებულია. XVIII საუკუნეში ხაიდაყის საუწმიო ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერი ერთეული იყო. 1813 წელს, გულისტანის სამშვიდობო ზავით, ხაიდაყი რუსეთის შემადგენლობაში შევიდა. XIX საუკუნის 60-იან წლებში ხაიდაყში უწმიასა და ბეგების მმართველობა ლიკვიდირებული იქნა და ჩამოყალიბდა დაღესტნის ოლქის ხაიდაყ-თაბასარანის ოკრუგი.

ძველი დროიდან ხაიდაყელთა ტრადიციული საქმიანობა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო, მთისწინეთსა და ბარში კი – მებაღეობა და მევენახეობაც. მთაში მეცხოველეობიდან უპირატესობა მეცხვარეობას ჰქონდა მოპოვებული. დამხმარე დარგებიდან განვითარებული იყო ნადირობა. დეკემბრიდან მაისამდე მამაკაცების უმეტესობა დერბენტის რაიონში სარეწებზე გარესამუშაოზე მიდიოდა. **XIX საუკუნის დასაწყისში ყუბაჩელ ოსტატებს საზღვარგარეთ გასაყიდად გაჰქონდათ ხაიდაყური ნაქარგი ბალიშები**. ინგლისელი მკვლევარის *რ. ჩენსინერის* მტკიცებით, **ხაიდაყურ ნაქარგთა ორნამენტში ასახულია ზოროასტრიზმის, მუსლიმობის, ქრისტიანობის, იუდაიზმის და წარმართობის სიმბოლოები. ხაიდაყური ორნამენტის ბევრ ელემენტს ანალოგია აქვს ბიზანტიის, მონღოლების, ჩინელების, თურქების, კელტების ორნამენტულ ხელოვნებასთან.**

ზემო ხაიდაყის ნაგებობებიდან საბრძოლო და სათვალთვალო კოშკები და სოფლის ირგვლივ შემოვლებული კედლები შეიძლება დავასახელოთ.

XIX საუკუნეში დასახლება ტერიტორიულ-გვაროვნული ხასიათის იყო. ყოველი აული სასოფლო თემს წარმოადგენდა, რომელშიც დიდი და პატარა ნათესაური

ჯგუფები – *თუხუმები* (*ჟინსები*) შედიოდა. საძოვარი, ტყე და წყალი საერთო სათემო საკუთრებაში იყო. ხაიდაყელებს სპეციალური საქორწილო და სამგლოვიარო ტანსაცმელი არ ჰქონდათ. გლოვის დროს ქალები სამკაულს იხსნიდნენ.

XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ოჯახის ძირითადი ფორმა პატარა ოჯახი იყო. ხაიდაყელები ერთმანეთს ეხმარებოდნენ სახლის მშენებლობისას, მინდვრის დამუშავების დროს, ქორწილში და სხვ. ქორწინება ენდოგამიური იყო – ის თუხუმისა და სოფლის შიგნით ხდებოდა.

IV. 18. ყუბაჩელები

დაღესტნის მთაში მცხოვრებ მცირერიცხოვან ეთნოსებს შორის ყუბაჩელებს გამორჩეული ადგილი უკავიათ. ისინი ერთ სოფელში – *ყუბაჩში* მკვიდრობენ, რომელიც ზღვის დონიდან 1500-1750 მ-ის სიმაღლეზეა. დასახლება მთის ციცაბო ფერდობზეა შეფენილი. საბჭოთა ხელისუფლების დროს ყუბაჩელებს დარგუელებად წერდნენ. გამონაკლისი მხოლოდ 1926 წლის აღწერა იყო, როდესაც მათ ეთნიკური თავისთავადობა არ დაუკარგეს. ამ აღწერით, ყუბაჩელების რაოდენობა 2357 კაცი იყო. 1995 წელს სოფელში 2230 ყუბაჩელი ცხოვრობდა. შეფასებითი მონაცემებით, ყუბაჩს გარეთ, ისინი კავკასიისა და შუა აზიის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებშიც ცხოვრობენ, სადაც მათი რაოდენობა 3 ათას კაცს აჭარბებს (მთელი ყუბაჩელების 61,2%).

ყუბაჩელების თვითსახელწოდებაა **უგბაუგ, გუგბუგ, უგბუგან, გუგბუგან**. დარგუელებისათვის ისინი არიან *გურბუგ*, ხუნძებისათვის – *ყუბაჩიალ*, ლეზგიებისათვის – *ყუბეჩიარ*, თაბასარანელებისათვის – *კიუგიარ*, ლაკებისათვის – *გურგ*. სახელწოდება **ყუბაჩი** პირველად XV საუკუნის წერილობით ძეგლებშია დასახელებული. ის მომდინარეობს თურქული სიტვისაგან – *გიუბე* (ჯავშანი, ჯაჭვის პერანგი); *ყუბეჩი* კი მეჯავშნეებს აღნიშნავს. თუმცა, უფრო ადრე, საისტორიო წყაროებში VI საუკუნდან იხსნიებიან *ზირიხგერანთა* სახელწოდებით. ეს ტერმინიც სპარსულ ენაზე მეჯავშნეებს აღნიშნავს.

V-X საუკუნეებში *ყუბაჩი* დაღესტნის ერთ-ერთი პოლიტიკური წარმონაქმნის – *ზირიხგერანის* ცენტრი იყო, რომელიც აქტიურ როლს თამაშობდა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. VI საუკუნეში ზირიხგერანელები ირანის მოხარკეებად იქცნენ, 738-739 წლებში კი არაბებმა დაიპყრეს და გამოსაღებით დაბეგრეს. XIII საუკუნეში ყუბაჩელები მონღოლებმა დალაშქრეს. 1396 წელს ყუბაჩში *თემურ-ლენგის* ჯარი შეიჭრა. ყუბაჩის მცხოვრებლებმა ბრძოლას დამორჩილება არჩიეს, დამპყრობლებს კი იარაღი და ჯავშანი მიაწოდეს. XVI-XVII საუკუნეებში ყუბაჩელებმა *ხაიტაყის* და *ყაზიყუმუხის* ხანთან ბრძოლაში დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს. XVIII საუკუნეში, დაღესტნის სხვა ხალხებთან ერთად, ყუბაჩელებმა *ნადირ-შაჰის* თავდასხმაც ვერ აიცდინეს. რუსეთთან შეერთებისა (1813 წელი) და კავკასიის ომის შემდეგ სოფელი ყუბაჩი *ხაიტაყ-თაბასარანის ოკრუგში* შევიდა. დღეს ყუბაჩი დაღესტნის *დახადაევსკის* რაიონში შედის. **1965 წლიდან *ყუბაჩი* მუშათა დასახლებაა და არ მხოლოდ დაღესტნის, არამედ რუსეთის დიდი სამხატვრო რეწვის ცენტრია.**

ანთროპოლოგიურად ყუბაჩელები ევროპეიდული რასის ბალკანურ-კავკასიური რასის კავკასიონური ტიპის წარმომადგენლები არიან. ყუბაჩელთა მეტყველება ჩრდილოეთ კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ-დაღესტნურ ჯგუფში შედის. ის ახლოს დგას დარგუულ ენასთან. ყუბაჩური უდამწერლობო ენაა. საქმისწარმოება და სკოლაში სწავლება რუსულ ენაზეა. სხვათა შორის, XVIII-XIX საუკუნეების მეცნიერები და მოგზაურები თვლიდნენ, რომ ყუბაჩელები დასავლეთ ევროპული წარმომავლობისა იყვნენ. მაგრამ შემდეგი დროის არქეოლოგიური,

ანთროპოლოგიური, ლინგვისტური, საისტორიო და ეთნოგრაფიული გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ყუბაჩელები ავტოქტონები არიან და მათი ეთნოგენეზიც კავკასიაში მოხდა და რომ ისინი დარგუელების მონათესავენი არიან. ყუბაჩელების ეთნოგენეზი რთული ეთნიკური, ეკონომიკური და მიგრაციული პროცესების ფონზე მიმდინარეობდა.

ყუბაჩელების ძირითადი საქმიანობა შინამრეწველობა და ხელოსნობა იყო. მთელი ისტორიის მანძილზე ყუბაჩი ხალხური მხატვული რეწვის დიდი და ფართოდ ცნობილი ცენტრი იყო. განვითარებულ იყო ლითონის დამუშავება, ქვაზე და ხეზე კვეთა, სამშენებლო საქმე, ძვლის დამუშავება, საიუველირო საქმე, ბრინჯაოს მხატვრული ჩამოსხმა, იარაღის წარმოება. ქალები მისდევდნენ ქსოვას, ფეიქრობას, ქეჩის დამზადებას. ქეჩისაგანვე კერავდნენ ფეხსაცმელს. უკვე VI საუკუნეში ყუბაჩელთა ლითონდამუშავების ხელოვნება დაღესტნის ფარგლებს გარეთ იყო ცნობილი, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში, რაც მათ ეთნონიმშიც (*ზირიხგერან*) აისახა. XIII-XIV საუკუნეებში მაღალ დონეს მიაღწია ბრინჯაოს ქვაბების ჩამოსხმამ, სხვადასხვაგვარი სპილენძისა და ბრინჯაოს ჭურჭლის, ვერცხლის აღკაზმულობის გაკეთებამ, ჯავშნების, ჩაფხუტების, მუზარადების, ხანჯლების და ფარების დამზადებამ. XIV-XV საუკუნეებში არაჩვეულებრივად აყვავდა ქვასა და ხეზე მხატვრული კვეთის ხელოვნება. გვიან შუა საუკუნეებში ყუბაჩელები ცივ იარაღთან ერთად ცეცხლსასროლი იარაღის კეთების აღიარებული სპეციალისტებიც გახდნენ. ყუბაჩური ხელოვნების ნიმუშები არაერთხელ იყო ექსპონირებული მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქების (მათ შორის თბილისის) გამოფენებზე, სადაც მათ ოქროსა და ვერცხლის მედლების მნიშვნელოვანი რაოდენობა მოიპოვეს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ინტენსიური გახდა კავკასიის ქალაქებში ყუბაჩელი ხელოსნების საშოვარზე გასვლა, სადაც საიუველირო ფარდულები და საოქრომჭედლო სახელოსნოები გახსნეს. 1924 წელს ყუბაჩში გაიხსნა საიუველირო არტელი, რომელიც 1960 სამხატვრო კომბინატად გადაკეთდა. საბჭოთა პერიოდშიც ყუბაჩელმა ოქრომჭედლებმა, რომლებმაც ამ დროისათვის არაერთი ახალი უნიკალური ნაწარმი შექმნეს, საერთაშორისო გამოფენებზე მრავალი ჯილდო დაიმსახურეს.

ყუბაჩში მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მხოლოდ დამხმარე ხასიათი ჰქონდა.

დასახლების ტიპი, საცხოვრებელი სახლები, კვების პროდუქტები ყუბაჩელებს თითქმის ისეთივე ჰქონდათ, როგორც დაღესტნის სხვა ხალხებს. XX საუკუნის შუა ხანებამდე ძირითადი სატრანსპორტო საშუალება იყო ცხენი.

XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ყუბაჩელთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა სასოფლო თემი (*ჯამაათი*). სასოფლო თემი (ჯამაათი) რამდენიმე *თუხუმისაგან* შედგებოდა. თავის მხრივ, თითოეული თუხუმი (*ყინსი, ტეკა*) სისხლით ნათესავი ოჯახების ერთობლიობას მოიცავდა. საზოგადოებრივი და იდეოლოგიური თვალსაზრისით თუხუმი ერთ ერთობას წარმოადგენდა, სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით კი ყოველი ოჯახი დამოუკიდებელი ერთეული იყო. თუხუმი ენდოგამიურობით ხასიათდებოდა. სოფლის გარეთ დასაქორწინებლად კი არასდროს არ გადიოდნენ. ისევე როგორც დაღესტნის სხვა ეთნოსებში, ყუბაჩელებშიც ქორწინება მხოლოდ ღვიძლ და-ძმას შორის იკრძალებოდა. ლინგვისტმა *ალექსანდრე მაჰომეტოვმა*, რომელიც ყუბაჩელი გახლდათ, შემდეგი ეთნოგრაფიული მასალა ჩაგვაწერინა: მისი ბავშვობის დროს, XX საუკუნის 20-იან წლებში, ყუბაჩში ერთი ასეთი შემთხვევა მომხდარა. ახალგაზრდა ყუბაჩელი ქალი, რომელიც თავის თანასოფლელსა და ნათესავზე იყო გათხოვილი, დაქვრივებულა. ქვრივს რომანი გაუბამს მეზობელი სოფლის – *ამუზგის* (დარგუელების სოფელი) მკვიდრ ახალგაზრდა კაცთან, რომელმაც მალე იგი ცოლად შეირთო, რამაც ყუბაჩში დიდი მღელვარება გამოიწვია. ფეხზე დადგა

ყველა ყუბაჩელი მამაკაცი, რომლებიც შეიარაღებულნი და ცხენებზე ამხედრებულნი მეზობელი სოფლისაკენ საბრძოლველად გაემართნენ, რადგან არ ყოფილა ყუბაჩში და მეზობელ სოფელშიც ოდესმე შემთხვევა ერთმანეთზე დაქორწინებისა; არასოდეს ყუბაჩიდან ქალი სხვაგან არსად არ გათხოვილა. ტრადიციის დამრღვევნი მკაცრად უნდა დაესაჯათ. შეჯახებისაგან ეს ორი სოფელი უხუცესებმა იხსნეს, რომლებმაც ქალი ქმარს წაგვარეს და თავის სოფელს დაუბრუნეს. ქორწინება, გაყრა, ქონების მემკვიდრეობით გაყოფის წესი *შარიათის* ნორმებით განისაზღვრებოდა. ყუბაჩელებმა მრავალცოლიანობა არ იცოდნენ. სისხლის აღების ჩვეულება თითქმის დავიწყებული იყო. მკვლელს რომელიმე მეზობელ სოფელში ასახლებდნენ. ყუბაჩელთა სტუმართმოყვარეობისა და ყონაღობის შესახებ ბევრი მეცნიერი და მოგზაური წერდა.

ყუბაჩელთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავა მამაკაცთა კავშირებს – *გულალა აკ ბუკენ* („უცოლოთა კავშირი“). ამ კავშირებს რთული და მრავალგვაროვანი მკაცრად დაცული ცერემონია და წეს-ჩვეულებები ახასიათებდა. ოჯახის გაბატონებული ფორმა პატარა ოჯახი იყო.

ყუბაჩელები მუსლიმი სუნიტები არიან. მაჰმადიანობა მათ XIII საუკუნის ბოლოს მიიღეს. სამეცნიერო გამოკვლევებით დადგენილია, რომ უფრო ადრე სოფელ ყუბაჩში ქრისტიანობა და ზოროასტრიზმიც იყო გავრცელებული. მიუხედავად ამისა, თითქმის XX საუკუნის შუა ხანებამდე, ყუბაჩელებს შორის შემორჩენილი იყო ძველი წარმართობის დროინდელი რწმენაწარმოდგენები (წვიმისა და მზის გამოწვევის წეს-ჩვეულება, წმინდა ხეების თაყვანისცემა, არწივის კულტი).

ყუბაჩში სპორტის ტრადიციული სახეობები იყო სირბილი, ჭიდაობა, ხტომა, ქვის სროლა, მიზანში სროლა, მარულა, რომლებსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ და „უცოლოთა კავშირის“ ყველა წევრს მოეთხოვებოდა.

მოგზაურები და მეცნიერები ყუბაჩელებს ახასიათებენ, როგორც შრომისმოყვარე, გულღია ხალხს, რომლებიც პატივს სცემენ უხუცესებსა და ქალებს; აღნიშნავენ მათ კეთილმოსურნეობას.

IV. 19. ლაკები

ლაკები დაღესტნის ერთ-ერთი მკვიდრი ხალხია. ადრე ისინი ძირითადად **ყაზიყუმუხების** სახელით იყვნენ ცნობილი. ძირითადად ცხოვრობენ დაღესტნის მთაში, უმთავრესად *ლაკისა* და *ყულიყულის* რაიონებში. ლაკების ნაწილი დაღესტნის დაბლობზე, *ნოვოლაქსკის* რაიონში მკვიდრობს. ლაკების ტერიტორიაზე მიედინება მდ. *ყაზიყუმუხის ყოისუ*. მათი სოფლები არა მარტო ამ მდინარის ირგვლივ, არამედ მის შენაკად ხეობებშიცაა განფენილი.

ლაკების (ყაზიყუმუხების) თვითსახელწოდებაა **ლაკ**. მეზობელი ხუნძები ლაკებს *დუმალის* სახელით მოიხსენიებენ, დარგუელები მათ *ვულუგანს* უწოდებენ, ლეზგიები – *იახულვის*. 1989 წელს 118 ათასი ლაკი იყო აღრიცხული. დაღესტანში კი მათი რაოდენობა 91 ათასით განისაზღვრებოდა. დაღესტნის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრები ლაკების განსახლების არეალს სამკუთხედის ფორმა აქვს. ხუნძებისა და დარგუელებისაგან ლაკებს მთის ქედები ჰყოფს. *იოანე ბაგრატიონი* ლაკების ქვეყანას „შამხლის ადგილის“ სახელით მოიხსენიებს.

ლაკური ენა კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ჯგუფის ერთ-ერთი სამწერლობო ენაა. მკვლევართა ნაწილი ლაკურ ენას ხუნძურ-ანდიურ-ცეზურ ენათა შტოსთანაც აკავშირებს. ლაკურ ენაში რამდენიმე დიალექტს გამოყოფენ. ეს დიალექტები ძალიან არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამიტომაცაა, რომ მეცნიერთა ნაწილი მათ კილოკავებად მიიჩნევს. ლიტერატურულ ენას საფუძვლად უდევს *ღუმუქური* (*ყუმუხური*) დიალექტი. დანარჩენი დიალექტებიდან კი შეიძლება

დავასახელოთ: *ვიცხიური, ვიხლიური, ამტიკულური, ბალხარული.* დამწერლობა აქვთ რუსული გრაფიკის საფუძველზე.

ლაკების ეთნიკური ისტორიის ბევრი საკითხი გაურკვეველია. საისტორიო ლიტერატურაში არაერთხელ გამოითქვა მოსაზრება ლაკების არადაღესტნური წარმომავლობის შესახებ. მაგრამ ეს შეხედულება წარსულს ჩაბარდა, რადგან არქეოლოგიური, ლინგვისტური, ანთროპოლოგიური, ეთნოლოგიური მონაცემების ურთიერთშედარებამ მეცნიერები ღრმად დაარწმუნა იმაში, რომ **ლაკები იმ ტერიტორიის უძველესი მკვიდრნი არიან, სადაც დღეს ცხოვრობენ. თუმცა, არც იმას გამორიცხავენ, რომ ლაკების ეთნოგენეზში ინდოევროპულმა მოსახლეობამაც მიიღო მონაწილეობა. ეს ინდოევროპული მოდგმის ხალხი კი ირანელები უნდა ყოფილიყვნენ.** ლაკების ძველი ისტორიიდან თითქმის არაფერია ცნობილი. ზოგიერთი ავტორი მათ ანტიკურ წყაროებში მოხსენებულ *ლეგებსა* და *გელებს* უკავშირებს, თუმცა ისინი დაღესტნელ *ლეზგიებსაც* შეიძლება დავუკავშიროთ. მეცნიერთა ერთი ნაწილი ლაკებს ქართული და სომხური წყაროების *ლეკებთანაც* აკავშირებს. თუმცა, *ქართველთათვის ლეკები დაღესტნის თითქმის ყველა ხალხი იყო.* ლაკებს ურთიერთობა და კონტაქტი IV საუკუნეში დაღესტანში შემოჭრილ მომთაბარე *ჰუნებთან* უნდა ჰქონოდათ, შემდეგ კი – თურქულენოვან *ხაზარებთან.* VII საუკუნის შუახანებიდან დაღესტანში არაბები შემოიჭრნენ. არაბი ისტორიკოსები დაღესტნის ტერიტორიაზე არაერთ პოლიტიკურ წარმონაქმნს, რომლებსაც „სამეფოებს“ უწოდებენ, ასახელებენ, მათ შორის, *ღუმიკსა* და *ტუმანს.* ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ ლაკები სწორედ ამ „სამეფოებში“ ცხოვრობდნენ. ადრე შუა საუკუნეებში ლაკებით დასახლებულ ტერიტორიაზე *ყაზიყუმუხის საშამხლო* წარმოიქმნა, რომელიც XV-XVII საუკუნეებში დაღესტნის ერთ-ერთი პოლიტიკური გაერთიანება იყო. ყაზიყუმუხის საშამხლოში ნაწილობრივ ხუნძებით და დარგუელებით დასახლებული ტერიტორიებიც შედიოდა. საშამხლო ზღვისპირეთშიც გადიოდა. 1240 წელს სამხრეთ დაღესტნის მხრიდან ლაკეთში მონღოლები შემოიჭრნენ. მათ ყუმუხეთი მიწასთან გაასწორეს. XIV საუკუნის ბოლოს აქ *თემურ-ლენგი* შეჭრილა. 1640 წელს ლაკებს ყუმუხის შამხალი გაუძევებიათ. ამის შემდეგ შამხლებად ლაკებს ყოფილი შამხლების გვერდითი შტო აურჩევიათ. 1741 წელს ლაკებმა, სხვა ხალხებთან ერთად, დაღესტანში შემოჭრილი *ნადირ-შაჰის* განადგურებაში მიიღეს მონაწილეობა. 1820 წელს ყაზიყუმუხის სახანო რუსეთმა შეიერთა. მიუხედავად ამისა, ლაკებით დასახლებულ ტერიტორიას კვლავ ხანები მართავდნენ. 1859 წელს თავისი სიმკაცრით და უხეშობით ცნობილი *აღლარ-ხანის* გარდაცვალების შემდეგ ყაზიყუმუხის სახანო ყაზიყუმუხის ოკრუგად გარდაიქმნა (1860 წელი), რომელიც ოთხ სანაიბოდ იყოფოდა. 1877 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დროს, დაღესტანში ანტირუსულმა აჯანყებამ იფეთქა, რომელმაც ძირითადად ლაკეთის ტერიტორია მოიცვა. ის მალე ჩაახშეს. 1944 წელს ლაკების ნაწილი ჩაჩნეთის ტერიტორიაზე იძულებით გადაასახლეს.

ლაკების ტრადიციული საქმიანობა იყო მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, ხელოსნობისა და შინამრეწველობის სხვადასხვა დარგი. მეცხოველეობას მომთაბარული ხასიათი ჰქონდა. სახვნელი ნაკვეთები ჰქონდათ როგორც ფერდობებზე, ისე ტერასებზე. იცოდნენ მიწის ნაკვეთების ნაკელითა და ნაცრით განოყიერება. XIX საუკუნის ბოლოს ლაკებში მეცხვარეობამ დიდი მასშტაბები მიიღო. ცალკეულ მეცხვარეებს ათასობით სული ცხვარი ჰყავდათ. XIX საუკუნის ბოლოს *კ. ფ. განის* სიტყვებით, ყაზიყუმუხელთა ზოგიერთი ოჯახი 3 ათასიდან 4 ათასამდე ცხვრისა და ასზე მეტი ცხენის პატრონი ყოფილა. 1886 წლის მონაცემებით, ყაზიყუმუხის ოკრუგში 182 ათას სულზე მეტი ცხვარი იყო აღრიცხული.

შინამრეწველობიდან და ხელოსნობიდან ყველაზე მეტად დაწინაურებული იყო ლითონის დამუშავება. ლაკი იუველირების, სპილენძის ჭურჭლის მკეთებლების, იარაღთა დამამზადელების ნახელავი მთელ დაღესტანში იყო ცნობილი. დიდად

იყვნენ დახელოვნებულნი ძვირფასი მეტალების დამუშავებაში. ხელოსნობისა და შინამრეწველობის ამა თუ იმ დარგის განვითარებაში ცალკეული სოფლები იყვნენ დაწინაურებულნი. მაუდის, ფარდაგების, ნაბდების (თექის) დამზადებით სახელგანთქმული იყვნენ სოფელ *ყუმუხისა* და *უბრას* მცხოვრებნი, საიუველირო საქმის წარმოებით – *ყუმუხელები*, მეთუნეობით – *ბალხარელები*, ოქრომკედის ნაქარგობით და ცხენის აღკაზმულობის დამზადებით – სოფ. *უნჩუკატლი*, ფეხსაცმლის კერვით – სოფ. *შოვკრა*, ქვის დამუშავებით – სოფ. *უბრა*. სოფელ *კაიას* ვაჭრებით იცნობდნენ, სოფ. *ცივკარას* – აკრობატებით და ა. შ. თავისი მოხატულობით საყოველთაოდ იყო ცნობილი ბალხარული კერამიკა (წყლის დოქები, ერბოს შესანახი ჭურჭელი, ფინჯნები, ტოლჩები...), რომელსაც ქალები აკეთებდნენ.

ლაკების სოფლები და სახლებიც სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ იყო ორიენტირებული. გადმოცემით, მრავალი აული პატარა თუხუმური დასახლებების გაერთიანებების შედეგად ჩამოყალიბდა. IX-X საუკუნეებში ყუმუხი უკვე დიდი დასახლებული პუნქტი იყო. გადმოცემით, ზოგიერთი აული კი მესისხლოების ნიადაგზე გაძევებულ ხალხს ჩამოუყალიბებია. ლაკებს თითქმის ისეთივე საცხოვრებელი სახლები ჰქონდათ, როგორც დაღესტნის სხვა ხალხებს. მაგრამ ლაკურ სახლებს ერთგვარი თავისებურებაც ჰქონდა, რაც მათ სხვათა საცხოვრებლებისაგან განასხვავებდა. ეს იყო ე. წ. **თიხისაგან გაკეთებული საწოლი, რომელიც თბებოდა. ამ საწოლში ბოლის გამტარი არხი იყო მოწყობილი, რაც მას ათბობდა.** ლაკურ სახლში ავეჯი საერთოდ არ ჰქონდათ. ტანსაცმელს, აღკაზმულობას და სხვა ნივთებს სკივრებში ინახავდნენ. საკვებად ძირითადად ხორცს, რძის პროდუქტებს და ფქვილის ნაწარმს იყენებდნენ. ყველაზე პოპულარული იყო ფაფები, ხინკალი (ლაკური ხინკალი ესაა ხაშლამა+რომბის ან კვადრატის ფორმით დაჭრილი მოხარშული ცომი), ხალვა. გაზაფხულის დღესასწაულებზე ერბოზელილი ცომისაგან ადამიანის, ცხოველების, ფრინველების ფორმის განსაკუთრებულ პატარა პურებს აცხობდნენ, რომლებსაც სხვა დროს არ ამზადებდნენ. ასეთ ნამცხვრებს ისინი *ბარტას* (*აბარტს*) უწოდებდნენ. გაზაფხულის ბუნიაობას, რომლის დროსაც ნამცხვარ ბარტას აცხობდნენ „ბარტას ღამეს“ უწოდებდნენ.

ლაკური სოფელი თუხუმური უბნებისაგან შედგებოდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, თითოეული უბნის ცენტრში მეჩეთი მდგარა. იქვე მამაკაცების თავშესაყრელი მოედანი ჰქონიათ. *თუხუმები* სასოფლო თემში (*ჯამაათში*) იყვნენ გაერთიანებულნი. სასოფლო თემი (*ჯამაათი*) ძირითადი სოციალური ერთეული იყო. ოჯახის ძირითადი და გაბატონებული ფორმა პატარა ოჯახი იყო. ჯამაათის უხუცესთა საბჭო განიხილავდა საჩივრებს, ჩხუბის შემთხვევებს, განსაზღვრავდა მკისა და თიბვის დაწყების დროს. აღმასრულებელ ხელისუფლებას მამასახლისთა მოადგილეები – *იალურზუსები* ანხორციელებდნენ. თუხუმები მონათესავე ოჯახთა ჯგუფებად ანუ პატრონიმიულ ერთეულებად იყოფოდა. შემორჩენილი იყო მესისხლეობა და მკვლელობისათვის გარკვეული გადასახადის გადახდა. XIX საუკუნეში იცოდნენ მკვლელის სოფლიდან ექვსი-შვიდი წლით გასახლება; ამ დროის განმავლობაში მოკლულის ნათესავებს სისხლის აღება შეეძლოთ. ამ დროის გასვლის შემდეგ მკვლელი ხელშეუხებლად ცხადდებოდა. სისხლის აღების ობიექტი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ სრულწლოვანი მამაკაცი. მოხუცზე, ქალზე და ბავშვზე შურისძიება დაუშვებელი იყო. როგორც ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის სხვა ხალხები, ლაკებიც სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდნენ, ახასიათებდათ უფროსებისადმი მოწიწება და პატივისცემა, ნათესაური ურთიერთდახმარება, ბავშვების ადრეული ასაკიდან შრომაში ჩაბმა.

ლაკები გაზაფხულის დადგომას პირველი ხნულის გავლების დღესასწაულით აღნიშნავდნენ. პირველი ხნულის გავლებამდე არავის არ შეეძლო ხვნის დაწყება. დღესასწაულებს თან ახლდა მარულა, ახალგაზრდებისა და ბავშვების სირბილში

შეჯიბრი. ზაფხულის პირველი დღის ალიონზე მწვერვალებზე ადიოდნენ, სადაც მსხვერპლს სწირავდნენ და ლოცულობდნენ. ამ დროს ლაკებს აუცილებლად ქვის ვიწრო კორიდორი უნდა გაევლოთ და სპეციალური ცეკვაც (*საპა*) უნდა შეესრულებინათ.

ლაკები მუსლიმი სუნიტები არიან. მათ შორის მაჰმადიანობა არაბთა ბატონობის დროს გავრცელდა. მიუხედავად ამისა, შემორჩენილი იყო სხვადასხვა წარმართული რწმენა-წარმოდგენები: ბუნების ძალთა კულტი (უმაღლესი ღვთაება *ზალ*, ჭექა-ქუხილისა და მეხის ღვთაება – *ასს*, წვიმისა – *ზუვილ*), კერის კულტი, შამანიზმის ელემენტები. ხალხური ზეპირი შემოქმედებიდან აღსანიშნავია საგმირო და საისტორიო ეპოსი, ლირიკული, საწესჩვეულებო და ყოფითი სიმღერები, ზღაპრები, ნართების ეპოსი, გამოცანები, ანდაზები, თქმები.

ლაკებში მნიშვნელოვნად იყო განვითარებული ხალხური მედიცინა. მკურნალობისას იცოდნენ სხვადასხვა ბალახეულის, თაფლის გამოყენება. მკვლევარებს დადგენილი აქვთ, რომ ლაკების ხალხურ მედიცინაზე გარკვეული გავლენა აღმოსავლეთის ქვეყნების მედიცინამაც მოახდინა.

ლაკებს დამწერლობა თავდაპირველად არაბული ანბანის საფუძველზე ჰქონდათ. 1860 წელს რუსმა ლინგვისტმა *პ. უსლარმა* ლაკურ ენაზე წიგნები რუსული გრაფიკის საფუძველზე გამოსცა (ლაკურ-რუსული ლექსიკონი, გრამატიკა). ლაკურ ენაზე პირველი გაზეთი 1912-1914 წლებში პეტერბურგში გამოდიოდა. XX საუკუნეში დაღესტანში არაერთი ლაკი მწერალი მოღვაწეობდა. ლაკები ამაყობენ აგრეთვე კოსმონავტ *მუსა მანაროვით*, რომელიც ეთნიკური ლაკია.

IV. 20. ლეზგები

ლეზგები დაღესტნის ერთ-ერთი ძირძველი მოსახლეობაა. გარდა დაღესტნისა ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ აგრეთვე მეზობელ აზერბაიჯანში. უკანასკნელი წლების მონაცემებით, დაღესტანში 204,4 ათასი ლეზგი მკვიდრობს (რუსეთის ფედერაციაში – 257,3 ათასი). აზერბაიჯანში ლეზგების რაიოდენობა 171,4 ათასი კაცია. ცხოვრობენ აგრეთვე ყაზახეთში (14 ათასი კაცი), თურქმენეთში (10 ათასი კაცი). ლეზგების საერთო რაოდენობა 466 ათასი კაცია. დაღესტანსა და აზერბაიჯანში მცხოვრები ლეზგები ფაქტობრივად, ერთმანეთის მეზობლები არიან, მათ ერთიანი ეთნიკური სივრცე უჭირავთ, თუმცა დღეს ორი სახელმწიფოს მიერ ერთმანეთისაგან გათიშული არიან. დაღესტანში ლეზგები სამხრეთ-აღმოსავლეთის *ქურახის, მაჰარამქენთის, კასუმქენთის* და ნაწილობრივ *ხივისა* და *რუთულის* რაიონებში მკვიდრობენ. აზერბაიჯანში განსახლებულნი არიან *გუსაპრის, ყუბისა* და ნაწილობრივ *ხუდათის* რაიონებში. 1873-1874 წლებში ლეზგების რაოდენობა 120 301 კაცი იყო, 1883-1884 წლებში – 123 994, 1926 წლის სრულიად საკავშირო აღწერით ლეზგების რაოდენობა 134 536 კაცი იყო, რომელთაგანაც 40 709 აზერბაიჯანში ცხოვრობდა და 90 509 – დაღესტანში. როგორც აღვნიშნეთ, 1989 წლის აღწერით, ლეზგების რაოდენობა 466 ათასზე მეტი იყო. ამ აღწერით, აზერბაიჯანში ლეზგების რაოდენობა 171,4 ათასი კაცია მითითებული, თუმცა ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ ქვეყანაში ლეზგების რაოდენობა გაცილებით მეტია და ის დაახლოებით 350 ათას კაცს უტოლდება. ამ სხვადასხვაობის მიზეზად კი იმას ასახელებენ, რომ აზერბაიჯანში მცხოვრებ ლეზგებს აზერბაიჯანელებად წერენ.

ინტერნეტის მონაცემებით, ლეზგები მთელი აზერბაიჯანის მოსახლეობის 12,2%-ს შეადგენენ. ლეზგების 64% სოფლად ცხოვრობს. ქალაქებიდან განსახლებულნი არიან *მაჰაჩყალაში* (9,5%), *დერბენტში* (26%), *კასპიისკში* (16%), *იზბერბაზში* (8%).

ლეზგების თვითსახელწოდებაა **ლეზგი (ლეზგიარ** – მრ. რ.). ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ ანტიკურ წყაროებში მოხსენიებული *ლეგები* ლეზგები არიან. თუმცა

ზოგიერთი მათგანი თვლის, რომ ლეგებში არა მარტო ლეზგები, არამედ ლეზგური ჯგუფის სხვა ხალხებიც იგულისხმებიან. დაღესტნის ცალკეული ხალხები ლეზგების აღსანიშნავად ეგზოეთნონიმ **ახტა-კურალალს** გამოიყენებდნენ, რასაც ისტორიულად ორი ყველაზე ცნობილი საზოგადოების (*ახტი, კურახი*) სახელი ედო საფუძვლად. XIX საუკუნის რუსულ ლიტერატურაში ლეზგებს **კიურინელთა** სახელით მოიხსენიებდნენ.

ლეზგებს ემეზობლებიან აღულები, რუთულები, წახურები, აზერბაიჯანელები. აღმოსავლეთით ლეზგები კასპიის ზღვის სანაპიროზე ცხოვრობენ. ბუნებრივ-კლიმატური თვალსაზრისით, ლეზგები სამ ზოლში – მთა, მთისწინეთი, ბარი – მოსახლეობენ. ლეზგელთა ეთნიკურ ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები: *სამური, გიულგერიჩაი, კურახ-ჩაი.*

ლეზგები დიდი ევროპეიდული რასის წაინააზიურ ლოკალურ რასას განეკუთვნებიან. ლეზგიური ენა ჩრდილოკავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ-დაღესტნური ჯგუფის ლეზგიურ ქვეჯგუფს განეკუთვნება. ლეზგიური ენა ახალდამწერლობიანი ენაა. ლეზგიურ ენას აქვს დიალექტები, რომლებიც სამ დიალექტურ ჯგუფში არიან გაერთიანებულნი: *კიურიული, სამურაული,* და *ყუბიური. კიურიულ* დიალექტთა ჯგუფში სამი დიალექტი და ორი თქმაა გაერთიანებული, *სამურაულ* დიალექტთა ჯგუფში – ორი დიალექტი და ორი თქმა. ლიტერატურულ ენას საფუძვლად უდევს *კიურიული* დიალექტის *გიუნიური* თქმა. XX საუკუნის 20-იან წლებამდე ლეზგებს დამწერლობა არაბული გრაფიკის საფუძველზე ჰქონდათ, რომელმაც 1930-იანი წლების შუა ხანებამდე იარსება. ის ჯერ ლათინურმა, შემდეგ კი რუსულმა ანბანმა შეცვალა.

ლეზგების (და საერთოდ, დაღესტნის სხვა ხალხების) ეთნოგენეზის შესახებ თავის დროზე არაერთი სხვადასხვა და განსხვავებული მოსაზრება გამოითქვა. მაგალითად, ერთი შეხედულებით, ისინი აზიიდან ევროპისაკენ გადასახლებულთა შთამომავალნი არიან. *აბას ყული ბაქიხანოვი* თვლიდა, რომ სოფელ *მიკრახის* მცხოვრებნი აქ ხაზარების დროს გადმოსახლებული რუსების შთამომავლები არიან. იმავე მკვლევარს *კიურისა* და *სამურაის* მკვიდრი ლეზგები ძველი, ადგილობრივი მკვიდრი და მოსული მოსახლეობის ნარევად მიაჩნდა. სხვადასხვა ვერსიით ასეთ მოსულ მოსახლეობას შორის სემიტები და ინდოელები იყვნენ. არც ერთი ეს ვერსია მეცნიერულად არ დადასტურდა. მეცნიერი ისტორიკოსები ერთ რამეში კი შეთანხმებული არიან – ლეზგების ისტორია დაკავშირებულია კავკასიის ალბანეთთან, რომელიც ძვ. წ.-ის III საუკუნიდან არაბთა შემოსევებამდე არსებობდა. მეცნიერებს ამის დამადასტურებლად ისიც მიაჩნიათ, რომ ლეზგების ძველი წარმართული ღვთაება *ალპან*-ის სახელს ატარებდა. კავკასიის ალბანეთის დაშლის შემდეგ, ლეზგების ნაწილი *ჩორას* (*დერბენტის*) სამფლობელოს შემადგენლობაში შევიდა, რომელიც, ფაქტობრივად, ირანის ერთ-ერთი პროვინცია იყო, დანარჩენი, უფრო დიდი ნაწილი, კი *ლაკზის* (*ლეკზის*) სახელმწიფოში ბინადრობდა (XIII საუკუნემდე). XIII საუკუნეში ლეზგებმა მონღოლთა შემოსევები განიცადეს. სხვა დაღესტნელ ხალხებთან ერთად დიდი წვლილი შეიტანეს *ნადირ-შაჰის* არმიის განადგურებაში (1741 წელი). XIII-XIV საუკუნეში ერთიანი ლაკზის სახელმწიფოებრივი გაერთიანების დაშლის შემდეგ ლეზგებმა ავტონომიური პოლიტიკური გაერთიანებები – სასოფლო თემთა კავშირები („თავისუფალი საზოგადოებები“) შექმნეს. ეს სასოფლო თემთა კავშირები დიდი სოფლების ირგვლივ იყვნენ გაერთიანებულნი. ეს სოფლები იყო *კურახი, კუსარი, ახტი, გელხენი* და სხვ. XVIII საუკუნეში ლეზგები *ყუბელი* და *დერბენტელი* ხანების დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ. XVIII საუკუნის ბოლოს სოფელი კურახი ყაზიყუმუხელი მმართველების რეზიდენციად გადაიქცა. XIX საუკუნის დასაწყისში *კიურინის სახანო* წარმოიქმნა. ყუბელი ლეზგები კი კვლავ ყუბელი ხანების დაქვემდებარებაში რჩებოდნენ. სამურელი ლეზგები *ახტიპარის, ალტიპარის, დოკუზპარის* „თავისუფალ საზოგადოებებში“ რჩებოდნენ. აღნიშნული პოლიტიკური

წარმონაქმნების არსებობით იყო განპირობებული ლეზგთა სამ ეთნოგრაფიულ ჯგუფად (*კიურიელი, ყუბელი, სამურაელი*) ჩამოყალიბებაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რუსეთის იმპერიამ ლეზგებით დასახლებული ტერიტორია 1813 წელს დაიქვემდებარა. თუმცა, როგორც ირკვევა, ეს დაქვემდებარება ეტაპობრივი იყო. ეს იმითაც დასტურდება, რომ ცარიზმმა 1839 წელს შექმნა სამურის ოკრუგი და მხოლოდ 1862 წელს – კიურინის ოკრუგი. ყუბელი ლეზგიებით დასახლებული ტერიტორია ყუბის მაზრის სახელწოდებით ბაქოს გუბერნიაში 1866 წელს შევიდა. ეს უკანასკნელნი 1920 წლიდან აზერბაიჯანის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ, კიურელი და სამურელი ლეზგები კი – რუსეთის ფედერაციის დაღესტნის ავტონომიის შემადგენლობაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თითქმის ყველა სახის ნაშრომში, რომლებიც ლეზგებს ეძღვნება, აღნიშნულია, რომ ისინი, როგორც ერთიანი ხალხი ხელოვნურად არიან გაყოფილი ორი სახელმწიფოს მიერ, რომელთა განვითარებაც ამის გამო ხელოვნურად ბრკოლდება. ინტერნეტის მასალებში აღნიშნულია, რომ საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთის გვერდით მცხოვრებ ლეზგებს კავშირ-ურთიერთობის საშუალება მოესპოთ, საბაჟო ბარიერებმა კი მათი ეკონომიკური და კულტურული კავშირები შეაფერხა. ლეზგები შეწუხებულნი არიან აზერბაიჯანის კონსტიტუციის იმ მუხლითაც, რომელშიც აღნიშნულია, რომ აზერბაიჯანის მიწა, წიაღისეული, წყლები და სხვ. აზერბაიჯანელი ხალხის საკუთრებას წარმოადგენს.

როგორც ითქვა, ლეზგები ბინადრობენ ბარში, მთისწინეთსა და მთაში. აქედან გამომდინარე, ლეზგების სამეურნეო ყოფაც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ბარსა და მთისწინეთში მეურნეობის წამყვანი დარგები მიწათმოქმედება და მებაღეობა იყო, მთაში – მესაქონლეობა და მიწათმოქმედება. ლეზგების სხვადასხვა ეთნოგრაფიული ჯგუფები ერთმანეთთან მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირებით იყვნენ დაკავშირებულნი. ყუბისა და სამურის პროვინციები პურის ბედლებად ითვლებოდა. ყუბელები სამურელ ლეზგებს პურს მეცხოველეობის პროდუქტებში უცვლიდნენ. კიურელი ლეზგები თავიანთ მარცვლეულს მეცხოველეობის პროდუქტებზე დაღესტნის სხვა ხალხებს უცვლიდნენ. ლეზგი მეცხვარეები საზამთრო საძოვრებზე ცხვარს აზერბაიჯანში მიერეკებოდნენ. აზერბაიჯანშივე დადიოდნენ გარესამუშაოზე, განსაკუთრებით, ბაქოს ნავთობის სარეწებზე, სადაც ბევრი მათგანი სამუდამო საცხოვრებლადაც დარჩა.

ლეზგებში ძველთაგანვე განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ხელოსნობამ. მთისწინა ტყიან ზონაში აღსანიშნავია ხის ნაწარმის წარმოება. საყოველთაოდ განვითარებული იყო ტყავის დამუშავება, ქეჩის დამზადება, მეხალიჩეობა, მაუდის წარმოება. განვითარებული იყო კერამიკული წარმოებაც, ლითონის დამუშავებაც, ქვაზე კვეთის ხელოვნებაც და ა. შ. XX საუკუნეში ხელოსნობისა და შინამრეწველობის დარგები არათუ გაქრა, არამედ, პირიქით, განვითარდა. ასეთი დარგებიდან, პირველ რიგში, მეხალიჩეობა შეიძლება დავასახელოთ. ლეზგთა ტრადიციული მატერიალური კულტურა საერთოდაღესტნური ტიპის იყო. ლეზგთა დასახლებებში სათვალთვალო და თავდასაცავი კოშკები ბევრი ჰქონდათ.

ლეზგები სასოფლო თემებად (*ჯამაათებად*) ცხოვრობდნენ. ჯამაათები „თავისუფალ საზოგადოებებში“ იყვნენ გაერთიანებულნი. სოფელი უბნებად იყო დაყოფილი, რომლებშიც ნათესაური ჯგუფები (*თოხუმები*) მკვიდრობდნენ. ოჯახის ძირითადი ფორმა პატარა ოჯახი იყო, მაგრამ დაღესტნის სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, ლეზგებში დიდი გაუყოფელი ოჯახიც ბევრი იყო შემორჩენილი. ეთნოგრაფიული მონაცემებით ასეთ ოჯახებში ხშირად 50-დან 100 სულამდე ადამიანი იყო გაერთიანებული. ქორწინება ენდოგამიური იყო. მაგრამ აუცილებელი არ იყო მხოლოდ თუხუმის შიგნით დაქორწინება. სხვადასხვა თუხუმების წარმომადგენლებიც ერთმანეთთან ხშირად ქორწინდებოდნენ, მაგრამ ამ მიზნით, სასოფლო თემის გარეთ იშვიათად გადიოდნენ. საკმაოდ გავრცელებული იყო ქორწინების ისეთი ფორმები, როგორიც იყო **გაცვლითი ქორწინება, რომლის**

დროსაც მხარეები ერთმანეთში გოგონებს (ქალიშვილებს, დებს) ცვლიდნენ, *ლევირატი* და *სოროორატი*, იცოდნენ აკვანში დანიშვნაც. მკაცრად იკრძალებოდა ქორწინება სხვა ეთნოსისა და სხვა კონფესიის წარმომადგენლებთან. მართალია, თეორიულად პოლიგამია დაშვებული იყო, მაგრამ პრაქტიკულად ის არ არსებობდა. დაღესტნის სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, ლეზგებში კლასიკური ფორმის ურვადი (სყიდვითი ქორწინება) არ არსებობდა.

ლეზგების სამეურნეო საქმიანობასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული კალენდარული დღესასწაულები და წეს-ჩვეულებები („ყვავილების დღესასწაული", „ბლის დღესასწაული" და ა. შ.). ზამთრის თვეებში ქალები მართავდნენ ე. წ. საქმის საღამოებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, ცეკვებით მთავრდებოდა. იცოდნენ ე. წ. „წვიმის გამოწვევა", „მზის გამოწვევა".

ისლამი ლეზგებს შორის საბოლოოდ XVIII საუკუნეში განმტკიცდა. როგორც ცნობილია ჩრდილოეთ კავკასიის ყველა ეთნოსი სუნიზმის მიმდევარია. ლეზგებიც მაჰმადიანი სუნიტები არიან. მხოლოდ ლეზგების ერთი სოფლის – *მესკინჯის* მკვიდრები იყვნენ შიიტები. მიუხედავად ამისა, შემორჩენილი იყო ისლამამდელი რწმენა-წარმოდგენები (ანიმიზმი, ფეტიშიზმი, წინაპრების კულტი, ტოტემიზმი – ცხოველებისადმი თაყვანისცემა, მაგალითად, განსაკუთრებული ჯიშის გველის კულტი).

საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია ხალხურმა მედიცინამ (ქირურგია, თერაპია, ფსიქოთერაპია). ამ თვალსაზრისით, ფართოდ იყენებდნენ მცენარეებს.

საისტორიო მეცნიერებაში აღნიშნულია, რომ ლეზგთა წინაპრები თავდაპირველად ალბანურ დამწერლობას იყენებდნენ. დაღესტანში არაბთა შემოჭრის შემდეგ არაბული დამწერლობა გავრცელდა. XV საუკუნიდან გავრცელდა არაბული ანბანის ვარიანტი, რომელიც დაღესტნური ენების თავისებურებებთან იყო მისადაგებული და რომელიც *აჯამეს* სახელს ატარებდა. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ლეზგთა დამწერლობა რუსულ გრაფიკას ეყრდნობა.

ლეზგებმა შექმნეს მდიდარი ფოლკლორი (ეპოსი „შარვიელი", თქმულებები, ლეგენდები). მდიდარია მათ მიერ შექმნილი მუსიკალური და საცეკვაო ფოლკლორიც. ლეზგებს არაერთი გამორჩეული პოეტი ჰყავთ (*ე. ემინი, ს. სტალსკი, ტ. ხრიუკსკი*). 1906 წელს შექმნეს ეროვნული თეატრი. დაღესტანში დაბეჭდილ სამეცნიერო ნაშრომებში აღნიშნავენ, რომ აზერბაიჯანში მცხოვრებ ლეზგებს არა აქვთ კულტურის განვითარების საშუალება, რომ აქ ლეზგურ ენაზე არ გამოდის არც ერთი ბეჭდვითი ორგანო. ლეზგთა შორის დღეისათვის საკმაოდ პოპულარულია ლეზგთა გაერთიანების იდეა.

IV. 21. აღულები

აღულები სამხრეთ დაღესტნის ძნელად მისადგომ მდ. *გიულგერიჩაის* შენაკად ხეობებში (*აღულდერე, ქურახდერე, ყოშანდერე, ხპიუყდერე*) მკვიდრობენ. აღულელთა მცირერიცხოვანი ეთნოსი დაღესტნის *აღულისა* (21 სოფელი) და *ქურახის* (5 სოფელი) რაიონებში ცხოვრობს. აღულელთა ნაწილი 1960-იან წლებში ბარში – *დერბენტისა* და *ყაიყენტის* რაიონებში გადასახლდა. აღულების მცირე ნაწილი ქალაქებშიც (*მაჰაჩყალა, კასპიისკი, დერბენტი*) არის განსახლებული. აღულელთა დემოგრაფიული ვითარების შესახებ სხვადასხვა გამოცემაში სხვადასხვა ციფრებია დასახელებული. მაგალითად, 1989 წლის აღწერის მონაცემებით, ერთი წყაროს მიხედვით აღულელთა საერთო რაოდენობა 17,7 ათასია; მეორე წყაროში 20 ათასია აღნიშნული. ამავე წელს დაღესტანში აღულელთა რაოდენობა 13,8 ათასი კაცი იყო, რომელიც 2001 წელს 16,5 ათასამდე გაიზარდა.

აღულელთა თვითსახელწოდებაა **აღულ, აღულარ** („აღულის მცხოვრებნი"). თაბასარანელები აღულებს *რუკუშანართა* სახელით მოიხსენიებენ, რასაც

მკვლევარები ერთ-ერთ ძირითად ხეობას – *ყოშანდერეს* უკავშირებენ. აღულების აღმნიშვნელი წახურული ეთნონიმია *ხივინბი,* ლაკები მათ *აღალ-ყუშაიმებს* უწოდებენ.

აღულები ანთროპოლიგიურად დიდი ევროპეიდული რასის წინააზიური რასის კასპიურ და კავკასიონურ ტიპებს მიეკუთვნებიან. აღულური ენა კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ-დაღესტნური ჯგუფის ლეზგიურ ქვეჯგუფში შედის. აღულურ ენას ხუთი დიალექტი აქვს: *საკუთრივ აღულური (ტპიგური), ქერენული (რიჩიული), ბურკიხანული (გეხიური), ყოშანური* და *ფიტიური.* ამასთანავე, ყოველ თემს აქვს თავისი თქმა. ახლომონათესავე ენათაგან აღულური ენა ყველაზე მეტ სიახლოვეს თაბასარანულთან ავლენს. აღულურ ენაში მრავლადაა ნასესხები სიტყვები არაბული, სპარსული, თურქული ენებიდან. თანამედროვე აღულურ ენაში ინტენსიურად მკვიდრდება რუსული ენიდან შეთვისებული სიტყვები. სატომთაშორისო ენად აღულები ლეზგიურს იყენებენ. აღულური ენა უმწერლობო ენა იყო. აღულურ ენაზე დამწერლობა რუსული გრაფიკის საფუძველზე 1991-1992 წლებში შეიქმნა. აღულების მეზობლები არიან: დარგუელები, ლაკები, ლეზგები, რუთულები, თაბასარანელები.

ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ ძვ. წ.-ის IV საუკუნიდან აღულები კავკასიის ალბანეთის შემადგენლობაში შედიოდნენ. ამის დამადასტურებლად სოფელ *ბურკიხენის* მახლობლად არსებულ ნასოფლარის სახელს – *ალპან* ასახელებენ. VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში დასახელებულ *აგუტაკანი*-ს აღულებთან აიგივებენ. ზოგიერთი სოფლის სახელწოდება (*რიჩა, ტპიგი*) XI-XII საუკუნეების ეპიგრაფიკული მასალებით დასტურდება. *ყოშანდერეს* ხეობის მოსახლეობა VIII-IX საუკუნეების არაბულ წყაროებშია მოხსენიებული. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ახალი ერის დასაწყისში აღულები უკვე დამოუკიდებელ, თვითმყოფად ეთნოკულტურულ ერთობას წარმოადგენდნენ. პატრიარქალურ-გვაროვნული ურთიერთობის დაშლას არაბთა (VII საუკუნე) და მონღოლთა შემოსევებს (XIII საუკუნე) უკავშირებენ. X-XII საუკუნეებში მიმდინარეობდა ძველი ტერიტორიულ-თოხუმური დასახლებების გამსხვილება. აღულებში ისლამი არაბებმა გაავრცელეს. ეს სარწმუნოება საბოლოოდ XI-XII საუკუნეებში განმტკიცდა. აღულელთა სოფელი *რიჩა* მთიან დაღესტანში მაჰმადიანობის გავრცელების ერთ-ერთი საყრდენი პუნქტი იყო. აღულებს გმირული წინააღმდეგობა გაუწევიათ თათარ-მონღოლებისათვის. ბევრი აღულური სოფელი (*რიჩა, ტბიგი, ხუტხული* და სხვ.) *თემურ-ლენგს* მიწასთან გაუსწორებია. თემურ-ლენგის აღულთა ქვეყანაში ლაშქრობის შესახებ არაერთი გადმოცემაცაა ჩაწერილი. XIII საუკუნიდან აღულელთა ცალკეული სოფლები *ყაზიყუმუხმა* დაიქვემდებარა. *ყაზიყუმუხის საშამხლოში* აღულელთა ცალკეული ხეობების გაერთიანება ეტაპობრივად მოხდა. ყაზიყუმუხის შამხალი მხოლოდ საგარეო პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობდა. საშინაო საკითხებს სოფლების წარმომადგენლები წყვეტდნენ. XVIII საუკუნეში აღულებმა *ნადირ-შაჰის* შემოსევის სიმძიმეც გამოცადეს. 1812 წელს *კიურა* რუსეთის ქვეშევრდომ მხარედ იქცა. წარმოიქმნა *კიურის სახანო,* რომელშიც *ჯურახის, კუშანის, აღულის* სასოფლო თემთა კავშირების ტერიტორიები შევიდა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან აღულები ცარიზმის წინააღმდეგ ანტიკოლონიურ ბრძოლებში მონაწილეობდნენ. 1859 წლის აგვისტოში საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, აღულები *კიურის სახანოს* შემადგენლობაში შევიდნენ და ქურახელი ნაიბების მიერ იმართებოდნენ, ხოლო სოფლები *ბურკიხანი* და *ცირხე* ყაზიყუმუხის სახანოს შემადგენლობაში შევიდნენ.

XVIII-XIX საუკუნეებში აღულთა შორის მიწის საკუთრების შემდეგი ფორმები არსებობდა: ხანის საკუთრებაში არსებული მიწის ფონდი (სახვნელი, სათიბი, საძოვარი). ხანს შეეძლო თავისი საკუთარი მიწები გაეყიდა, გაეჩუქებინა, არენდით გაეცა; *მიულკი* (ყველა სახის სავარგული) – თემის (ოჯახის) წევრთა საკუთრება; *ვაკუფი* – მეჩეთების საკუთრება, რომელიც შეწირულობებისაგან იყო შემდგარი.

ვაკუფის არც გაყოფა, არც გაყიდვა არ შეიძლებოდა; სათემო მიწების (საძოვარი, სათიბი) გასხვისება აკრძალული იყო. ამ მიწების სარგებლობა მკაცრად რეგლამენტირებული იყო.

აღულების სოციალური სტრუქტურა ერთგვაროვანი არ იყო. თემთა (*ჯამაათთა*) უმეტესობა სუსტად იყო დიფერენცირებული და მის მოსახლეობას თავისუფალი მეთემეები წარმოადგენდნენ.

აღულების ტრადიციული საქმიანობა იყო სახვნელი მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. ფერდობები ძირითადად ტერასირებული იყო. მოჰყავდათ: ქერი, ჭვავი, ხორბალი, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან – კარტოფილი. ჰყავდათ როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონელი, ცხენი, სახედარი, ჯორი. XVIII-XIX საუკუნეებში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების შედეგად აღულებმა ცხვარი მოამრავლეს. ზაფხულში თუ ცხვარი ალპურ საძოვრებზე ჰყავდათ, ზამთარში ცხვრის ფარებს სოფლისპირად აყენებდნენ, სადაც 250-300 სულზე გათვალისწინებული ცხვრის სადგომები ჰქონდათ მოწყობილი. ზაფხულში მეწველ საქონელს ძირითადად აულში ტოვებდნენ. ამზადებდნენ როგორც ყველს, ისე კარაქს.

განვითარებული იყო შინამრეწველობა, ხელოსნობა (მჭედლობა, ტყავის, მატყლის დამუშავება, ხეზე და ქვაზე კვეთა). ქალების საქმიანობის სფეროში შედიოდა სახლისა და ბავშვების მოვლა, საწვავის (*კიზიაკი*) დამზადება, ძროხების მოვლა და რძის პროდუქტების დამუშავება, მინდვრის სამუშაოები, მატყლის ნაწარმის დამზადება. მამაკაცების საქმიანობიდან აღსანიშნავია: მიწის დამუშავება, წვრილფეხა საქონელთან დაკავშირებული ყველა სამუშაო, ცხენისა და მისი ინვენტარის მოვლა. მამაკაცები კოლექტიურად თიბავდნენ. ვაჭრობასაც მხოლოდ მამაკაცები მისდევდნენ (ხორცის, კარაქის, მატყლის, ყველის გაყიდვა). დღეისათვის ბარში გადასახლებულები მევენახეობას, მებაღეობას მისდევენ. მთებში კვლავ მეურნეობის ტრადიციული დარგების ერთგულნი არიან, შინამრეწველობიდან – მეხალიჩეობის. აღულები როგორც ადრე, ისე ახლაც კვლავ მისდევენ ლითონების დამუშავებას. აკეთებდნენ და აკეთებენ ნამგლებს, ცელებს, ცულებს, თოხებს, დანებს. მიუხედავად იმისა, რომ აღულებით დასახლებული ტერიტორია ტყით ღარიბი იყო, ხის დამუშავების ოსტატები ადრე შუა საუკუნეებიდან იყვნენ. **აღულებს შორის ქვითხუროობის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია ისიც, რომ აქაურ ოსტატებს მეზობელი ხალხები სხვადასხვა ობიექტების, განსაკუთრებით მეჩეთების მშენებლებად იწვევდნენ**. აღულები, ისევე როგორც სხვა დაღესტნელი ხალხები, გარესამუშაოზეც გადიოდნენ (ბარის სხვადასხვა სოფელში, თაბასარანელ ბეგებთან, ბაქოს ნავთობის სარეწებზე).

აღულების სოციალური ურთიერთობები წინაფეოდალურ-პატრიარქალურ ხასიათის იყო. სასოფლო თემი დამოუკიდებელი ტერიტორიული სამეურნეო ერთეული იყო. სამართალწარმოება ჩვეულებითი სამართლით (*ადათით*), მუსლიმური სამართლის ნორმებით (*შარიათით*) ხდებოდა. თემის უმაღლესი ორგანო იყო სასოფლო ყრილობა. XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე ირჩევდნენ მამასახლისს. სასამართლოს სათავეში *ქადია* ედგა. შემორჩენილი იყო პატრიარქალური სისხლნათესაური, ენდოგამიური გაერთიანებები – *თოხუმები.* ოჯახის გავრცელებული ფორმა იყო პატარა ოჯახი. XX საუკუნის დასაწყისამდე აქა-იქ გაუყოფელი, 15-20 სულიანი ოჯახებიც იყო შემორჩენილი. ოჯახის ერთიანობა კოლექტიურ საკუთრებასა და მისი ყველა წევრის შრომას ეყრდნობოდა. იცოდნენ ურთიერთდახმარება. გათხოვილი ქალიშვილები მზითვად მიწისა და ქონების ნაწილს იღებდნენ. დაღესტნის სხვა ხალხებისაგან განხვავებით, საოჯახო საქმეებში ქალები შედარებით თავისუფალნი იყვნენ. აღულთა შორის უმძრახობის წეს-ჩვეულება არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, სხვების თანდასწრებით მეუღლეთა ურთიერთობა მაინც თავშეკავებული იყო.

აღულელთა ტრადიციული დასახლება (*აული*) დაახლოებით 60 კომლისაგან შედგებოდა. აშენებული ჰქონდათ თავდასაცავი, საბრძოლო და სადარაჯო კოშკები. სოფლის შიგნით კოშკები ერთმანეთთან მიწისქვეშა გადასასვლელებითი იყო დაკავშირებული. სოფლები (სასოფლო თემები) თოხუმური უბნებისაგან (*მირა*) შედგებოდა. მთის ქედებზე აშენებული სოფლები საფეხურებრივ-ტერასული იყო, სწორ ადგილზე კი – შეჯგუფული. სახლები ისე იყო მჭიდროდ ერთმანეთზე მიდგმული, რომ მნახველს ერთიანი და უწყვეტი ნაგებობის შთაბეჭდილებას უქმნიდა. სოფელს ძალიან ვიწრო, დაკლაკნილი და ხშირად კიბისებური ქუჩები ჰქონდა. სოფლის საზოგადოებრივი თევშეყრის ადგილი მეჩეთი და მისი წინა მოედანი იყო.

აღულელთა საცხოვრებელი ფაქტობრივად კარ-მიდამოს გარეშე იყო. ორ-სამსართულიან სახლებს შიგნიდან ქვის კიბეები ჰქონდა. ოჯახი ძირითადად ერთ ოთახში ცხოვრობდა. ავეჯიდან მხოლოდ დაბალი მაგიდა (ტაბლა) და ხის გრძელი დივან-სავარძელი იცოდნენ. იატაკი ხალიჩებით ჰქონდათ დაფარული. სხდებოდნენ სპეციალურ მრგვალ ბალიშებზე. სხვადასხვა ზომის ნიშებს და განჯინებს ლოგინისა და ჭურჭლის შესანახად იყენებდნენ. ოთახის ცენტრში მოწყობილ კერას ერთიანობისა და კეთილდღეობის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ. ცალკე ჰქონდათ მოწყობილი სასტუმრო ოთახი, რომელიც შედარებით უკეთესად და მდიდრულად იყო მორთული.

ტრადიციულ ტანსაცმელს ძირითადად ადგილობრივი მასალისაგან (მატყლი, ტყავი) კერავდნენ. იცოდნენ ძალიან ჭრელი წინდების ქსოვა. ტრადიციული საკვები ხორცეულის, მცენარეულის და რძისა ჰქონდათ. ყოველდღიურ საკვებად ფაფეულობა ითვლებოდა. აცხობდნენ სპეციალურ აღულურ აჟურულ პურს. დღესასწაულებზე ფქვილში რძის, კვერცხის, კარაქის შერევით ფენოვან პურს აცხობდნენ. ზამთარში იცოდნენ ხორბლის, ლობიოსა და გამომშრალი ხორცის ერთად მოხარშვა. ახალ ხორცს ძირითადად შემოდგომაზე ჭამდნენ. წელიწადის დანარჩენ დროს მზეზე გამოყვანილ, გამომშრალ ხორცს ხმარობდნენ. ცხვრის რძისაგან ორგვარ ყველს ამზადებდნენ. ძროხის რძეს ძირითადად კარაქისა და ხაჭოს დასამზადებლად იყენებდნენ.

აღულები სუნიტი მუსლიმები არიან. მიუხედავად ამისა, შემორჩენილი ჰქონდათ მაჰმადიანობამდელი რწმენა-წარმოდგენები, წეს-ჩვეულებები. ხალხურ სასოფლო-სამეურნეო კალენდართან დაკავშირებული იყო მრავალი დღესასწაული, თქმულება, კოსმოგონიური წარმოდგენა. გაზაფხულის ბუნიაობის დღეს ახალ წელს აღნიშნავდნენ. ამ დროს კოცონზე ცხვრის დუმის ნაჭრებს სწვავდნენ. ამზადებდნენ საწესჩვეულებო კერძებს, ერთმანეთთან (ნათესავები და მეზობლები) საჩუქრებით მიდიოდნენ. სამიწათმოქმედო სამუშაობების დაწყების წინ იცოდნენ პირველი ხნულის გავლების დღესასწაული. გუთნის მინდორში გამოტანას ზოომორფული ნიღბებით მაგიური წეს-ჩვეულებების შესრულება ახლდა თან. ამ დროს ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებაში, განსაკუთრებით – დოღში. ქორწინება აღულებს შორის ენდოგამიური იყო. უპირატესობას ანიჭებდნენ თოხუმებს შიგნით დაქორწინებას. ქორწილში სოფლის მთელი მოსახლეობა მონაწილეობდა. ქორწილი ახალდაქორწინებულთა წყალზე, წყაროზე გაყვანით მთავრდებოდა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემორჩენილია ურთიერთდახმარების ფორმები, უხუცესების პატივისცემა, სტუმართმოყვარეობა (ეტიკეტის სპეციალურ ფორმად ითვლებოდა სტუმრისადმი მისალმება არა ზღურბლზე, არამედ სახლის შიგნით). აღულებმა იცოდნენ ლირიკული პოეზია, ლირიკული სიმღერები, რომლებსაც მამაკაცები მუსიკის თანხლებით, ქალები კი – მუსიკის გარეშე ასრულებდნენ. აღულებს შორის პოპულარულია აგრეთვე ლეზგური და აზერბაიჯანული სიმღერები. იცოდნენ საყოფაცხოვრებო სიმღერებიც, მოთქმითი ტირილი. კოლექტიურ ცეკვებს სწრაფად ცეკვავდნენ. აღულებს შორის

განვითარებული იყო დეკორატიული ხელოვნება. ორნამენტირებული იყო ფარდაგები, სახლის ბოძები, მეჩეთები, თაღები, საფლავის ძეგლები.

ბოლო წლების ბეჭდვით გამოცემებში ხაზგასმულია, რომ აღულებს დღეისათვის უაღრესად შეჭირვებული მატერიალური მდგომარეობა აქვთ. უმუშევრობის გამო ბევრი აღულელი ტოვებს წინაპართა საცხოვრებელს, რაც მათი ასიმილაციის საშიშროებას ქმნის.

IV. 22. რუთულები

რუთულები სამხრეთ დაღესტანში მდ. *სამურის* ზემო წელში ცხოვრობენ. ეთნონიმი **რუთული**, მათი ყველაზე დიდი და მთავარი სოფლის, *რუთულის* სახელწოდებიდან მომდინარეობს. რუთულები თავიანთ ამ მთავარ სოფელს *მიხადს* (*მუხადს*) უწოდებენ, თავიანთ თავს კი – **მიხაბირებს (მუხაბირებს)**. რუთულებს ერთიანი, საერთო ენდოეთნონიმი (თვითსახელწოდება) არ ჰქონდათ. ყველა სოფლის მცხოვრები სოფლის სახელით იწოდებოდა. ლეზგები რუთულებს (მუხადებს) *ვანა-ვაწარს* უწოდებდნენ, რაც მდინარის სათავეში მცხოვრებს ნიშნავს. რუთულების ძირითადი ნაწილი კომპაქტურად მკვიდრობს დაღესტნის რუთულის რაიონში. მათი ორი სოფელი (*ხნოვი* და *ბორჩი*) *ახჩი-ჩაის* ხეობაში მდებარეობს (დღევანდელი *ახტის* რაიონი). რუთულების ოთხი სოფელი აზერბაიჯანშია (ნუხის რაიონში). რუსეთის ფედერაციაში რუთულების რაოდენობა 19,5 ათასია, დაღესტანში – 15 ათასი. აზერბაიჯანში დაახლოებით 900 რუთული მკვიდრობს. რუთულების მეზობლები არიან ლეზგები, წახურები, ლაკები, აღულები.

რუთულური (მუხიდური) ენა დაღესტნური ჯგუფის ლეზგიურ ქვეჯგუფში შედის. რუთულური ენა უმწერლობო ენა იყო. რუთულური ანბანი მხოლოდ 1993 წელს შეიქმნა რუსული გრაფიკის საფუძველზე. ამავე წლიდან რუთულის რაიონში მცხოვრებ რუთულელ ბავშვებს სკოლებში მშობლიურ ენასაც ასწავლიან. რუთულები ორენოვანი არიან. ზოგიერთი მათგანი ორ ენაზე მეტს ფლობს. რუთულურ ენას აქვს შემდეგი დიალექტები: საკუთრივ *რუთულური* (*მუხადური*), *შინაზური, მუხრეკული, იხრეკული, ბორჩულ-ხინავური.* რუთულური ენისათვის დამახასიათებელია ხმოვანთა (14) და თანხმოვანთა (38) რთული სისტემა.

ისტორიკოსთა ვარაუდით, რუთულების ადრინდელი ისტორია კავკასიის ალბანეთთანაა დაკავშირებული. ზოგიერთი მეცნიერი „სომხურ გეოგრაფიაში“ მოხსენიებულ **ხენოკებს** რუთულის სოფელ *ხნოსთან* აკავშირებს. დაღესტნურ საისტორიო ქრონიკაში „ახტი-ნამე“ სხვადასხვა ლეზგიური მოდგმის ხალხებს შორის, რომლებიც ხაზარებს წინააღმდეგობას უწევდნენ, რუთულებიც მოიხსენიებიან. რუთულის ტერიტორიაზე აღმოჩენილია არაბული წარწერები. ერთ-ერთი ასეთი წარწერის მიხედვით, რუთულებს შორის ისლამი VIII საუკუნეში გავრცელდა. სხვა წარწერაში საუბარია XV საუკუნეში მეჩეთის რესტავრაციის შესახებ. რუთულელთა „თავისუფალი საზოგადოებები“, ანუ თემთა კავშირები **რუთულის მაგალის** სახელით მოიხსენიებოდნენ. აქ ასეთი მხოლოდ ორი *მაგალი* იყო: *რუთულის* (რუთულებთან ერთად აქ რამდენიმე ლეზგიური სოფელიც შედიოდა) და *ახტიპარის* (სოფლები *ხნოვი* და *ბორჩი*). დოკუმენტური მასალებით ირკვევა, რომ უფრო ადრეულ პერიოდში რუთულს ფეოდალები მართავდნენ. რუთულის მაგალის შიგნით, სოფლებს შორის ბეგარის გადახდის გამო, დაძაბული ურთიერთობები არსებობდა, რაც *პახტის* სახელს ატარებდა. თავისუფალ საზოგადოებაში შემავალი რუთულელთა და ლეზგთა სოფლები *მაგალის* მთავარი სოფლის – რუთულის სასარგებლოდ პახტისათვის თავის არიდებას ცდილობდნენ. ბეგარის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ სოფელ რუთულის მცხოვრებნი 100-დან 300 კაცამდე პარტიებით, სტუმრად თავიანთი მაგალის სოფლებში მიემგზავრებოდნენ. მასპინძლები ვალდებულნი იყვნენ სამი დღის განმავლობაში

საუკეთესო საჭმლით ეკვებათ. XVIII საუკუნეში რამდენიმე სოფლის (*შინაზი, ყალი, ამსარი, ხრიუგა*) მცხოვრებლებმა უარი თქვეს პახტის გადახდაზე. ამ ნიადაგზე *რუთულსა* და *ხრიუგს* შორის ხანგრძლივი და სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა.

რუთულელებს ყავდათ *ბეკები,* რომლებიც ეთნოლოგ *ლ. პანეშის* მასალებით, „თარეშების ყოფილი წინამძოლის“ შთამომავალნი არიან. საერთოდ, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებში თარეშების ხელმძღვანელობა პიროვნებას პატივისა და ძალაუფლების მიღების საშუალებას აძლევდა. აღწერილია არაერთი შემთხვევა, როდესაც თარეშების წინამძღოლები თავის სასოფლო თემს იქვემდებარებდნენ და იქცეოდნენ მათ მემკვიდრეობით მმართველებად (*ბეკი, ხანი*).

1820 წელს რუთულელები რუსებმა დაიქვემდებარეს. 1839 წელს *რუთულის მაგალი ელისუს სასულთნოს* შეუერთდა. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან რუთულს მართავდა ნაიბი, რომელიც სამურის ოკრუგის უფროსს ემორჩილებოდა.

რუთულების ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მეცხოველეობა იყო (მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, მეცხვარეობა). ცხვარს ამთაბარებდნენ. საზამთრო საძოვრებს ისინი ლეზგებისაგან, ხუნძებისა და აზერბაიჯანელებისაგან ქირაობდნენ. შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო მიწათმოქმედება. სახვნელი მიწები, სათიბებისა და საძოვრებისაგან განსხვავებით, რუთულელებს პირად საკუთრებაში ჰქონდათ.

შინამრეწველობიდან და ხელოსნობიდან კერამიკული ჭურჭლის დამზადება, ტყავის ფეხსაცმლის კერვა, მატყლის ნაწარმის წარმოება (მაუდი, თექა, ნაბადი, ხალიჩა, წინდები, ნაქსოვი ფეხსაცმელი) იყო განვითარებული. კერამიკულ ნივთებს სამეთუნეო ჩარხის გარეშე აკეთებდნენ. იცოდნენ ქვის, სპილენძის, ვერცხლის დამუშავება. რუთულები *ნუხის, ახტახის, ყაზიყუმუხის* ბაზრებში მეცხოველეობის პროდუქტების ნამეტს ყიდდნენ. სამაგიეროდ აქვე იძენდნენ პურს და ფაბრიკულ ნაწარმს.

რუთულელთა სოფლები ძნელად მისადგომ ადგილებში იყო აშენებული; ისინი შემოზღუდული იყო თავდაცვითი კედლებით, სასიგნალო და თავდასაცავი კოშკებით. ყოველი სოფელი უბნებად იყოფოდა, რომლებშიც თოხუმები იყვნენ განსახლებულნი. მეჩეთი ყველა უბანში ჰქონდათ.

მამის ხაზით ფართო სანათესაო წრის აღსანიშნავად რუთულებში გავრცელებული იყო საერთოდაღესტნური ტერმინი – *თუხუმი.* თუხუმის მეთაური იყო თუხუმის ყველაზე უხუცესი მამაკაცი. თუხუმები იყოფოდა უფრო პატარა სანათესაო გაერთიანებებად – პატრონიმიებად, რაც ასევე განსაკუთრებული ტერმინით (*კაბილა*) აღინიშნებოდა. რუთულელთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა სასოფლო თემი – *ჯამაათი.* ჯამაათში ყველა საკითხი მამაკაცთა კრებაზე წყდებოდა. რუსეთთან შეერთებამდე ჯამაათების გამგებლობაში პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაც შედიოდა. ხშირად ჯამაათი სასამართლოს ფუნქციებსაც ასრულებდა. რუთულებში ოჯახის გავრცელებული ფორმა იყო პატარა ოჯახი. მაგრამ XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში შემორჩენილი იყო დიდი გაუყრელი ოჯახებიც, რომლებიც რამდენიმე საქორწინო წყვილისაგან შედგებოდნენ. ასეთ ოჯახებს საერთო მეურნეობა ჰქონდათ. საქორწინო ასაკი გოგონებისათვის 15-16, ვაჟებისათვის – 18-20 წლით განისაზღვრებოდა. ქორწინდებოდნენ თანასოფლელზე. ძირითადად გარიგებითი ქორწინება იცოდნენ. თუმცა იშვიათი არ იყო აკვანში დანიშვნა, მოტაცება, ლევირატი და სოროორატი. შემორჩენილი იყო პატრიარქალური ურთიერთობები: ქალები ემორჩილებოდნენ მამაკაცებს, უმცროსები – უფროსებს.

რუთულები სუნიტი მუსლიმები არიან. ეს რელიგია მათ შორის X-XI საუკუნეებში გავრცელდა. შემორჩენილი იყო წარმართული რწმენა-წარმოდგენებიც (წინაპართა თაყვანისცემა, მაგიური ქმედებები). როდესაც რუთულელს კრძალავდნენ, მას საფლავში წმინდანთა საფლავების თავზე აღმართული ნეგებობებიდან მოტანილ ქვას ატანდნენ. დღესასწაულებს შორის ყველაზე

აღსანიშნავია კალენდარული წლისა და გაზაფხულის აღმნიშვნელი დღესასწაული *ერ*-ი. ეს იყო საერთო-სასოფლო დღესასწაული, რომელიც თეატრალიზებული ნიღბიანი წარმოდგენით მთავრდებოდა. აღნიშნავდნენ მამაკაცთა გაერთიანებების სეზონის დამთავრებას.

IV. 23. თაბასარანელები

თაბასარანელები დაღესტნის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ხალხია. 1989 წლის აღწერით, თაბასარანელების საერთო რაოდენობა 98,5 ათასი კაცი იყო. აქედან დაღესტანში 78,2 ათასი კაცი ცხოვრობდა. დღეისათვის თაბასარანელების 80% დაღესტანში ცხოვრობს. აღულები თაბასარანელებს *უხანარს* უწოდებენ („ტყის ადამიანები“), ლეზგები – *კაბგანარს*, ხაიდაყები – *შილანს. იოანე ბაგრატიონი* მათ ქვეყანას *თაბასარანის* სახელით მოიხსენიებს.

თაბასარანელები კომპაქტურად დაღესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ორ – *თაბასარანის* და *ხივის* – ადმინისტრაციულ რაიონში ცხოვრობენ. საბჭოთა პერიოდში თაბასარანელები თაბასარანის რაიონის ბარის მხარეში და დერბენტის რაიონში, აგრეთვე ქალაქებში (*დერბენტი, კასპიისკი, მაჰაჩყალა*) გადასახლდნენ. თაბასარანელების მეზობლები არიან აღულები, ლეზგები, ხაიდაყელები, აზერბაიჯანელები. ბუნებრივ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, თაბასარანის ტერიტორია ორ ნაწილად იყოფა: ჩრდილოეთის (მდ. *რუბასის* ზემო წელი) და სამხრეთის (მდ. *ჩირაგჩაის* შუა დინების მარცხენა მხარე და მდ. *ყარჩაგსუს* ზემო წელი). ძირითადად ეს მთისწინეთია, რომელიც ნაწილობრივ მთასაც მოიცავს და ბარსაც.

ანთროპოლოგიური თვალსაზრისით თაბასარანელები დიდი ევროპეიდული რასის კასპიური და კავკასიონური ტიპების ნარევს წარმოადგენენ. თაბასარანული ენა კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ-დაღესტნურ ჯგუფში შედის. თაბასარანული ლეზგიური ჯგუფის ენაა. თაბასარანულ ენაში ორი დიალექტი გამოიყოფა – *სამხრეთისა* და *ჩრდილოეთის*, რომლებსაც, თავის მხრივ, რამდენიმე თქმა გააჩნიათ. თაბასარანული ენა სამწერლობო ენაა. სალიტერატურო ენა სამხრეთის დიალექტს ეფუძნება. დამწერლობა 1932 წელს ლათინური გრაფიკის საფუძველზე შემოიღეს; 1938 წელს ის რუსული ანბანით შეცვალეს.

ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ თაბასარანი კავკასიის ალბანეთის შემადგენლობაში შედიოდა. კავკასიის ალბანეთის დაშლის შემდეგ, საისტორიო წყაროებში თაბასარანი ფიგურირებს როგორც დამოუკიდებელი მხარე, თაბასარანელები კი როგორც დაღესტნის ერთ-ერთი დიდი ხალხი. IV-V საუკუნეების სომეხი ავტორი *ფავსტოს ბუზანდი თავასპართა* სამხრეთ კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში ლაშქრობის შესახებ საუბრობს. მათ იხსენიებს სომეხი ისტორიკოსი *ეღიშეც* (V საუკუნე). *თავასპართა* სახელით გვხვდებიან VII საუკუნის „სომხურ გეოგრაფიაშიც“. თაბასარანელებს იხსენიებენ ადრე შუა საუკუნეების არაბი ისტორიკოსები და გეოგრაფები. ლაკების მეზობლად თაბასარანელებს *იაკუტი* (XIII საუკუნე) იხსენიებს. IV საუკუნეში თაბასარანს ჰუნები შემოესივნენ. V-VI საუკუნეებში ჰუნები აქ სასანიდებმა შეცვალეს. ამ პერიოდში დერბენტსა და თაბასარანში სპარსეთიდან ათასობით ოჯახი გადმოასახლეს. საისტორიო წყაროების მიხედვით, თაბასარანელები ხაზარი და არაბი დამპყრობლების წინააღმდეგაც იბრძოდნენ.

XI-XII საუკუნეებში ერთიანი თაბასარანის პოლიტიკური წარმონაქმნი წვრილ-წვრილ დამოუკიდებელ ერთეულებად დაიშალა. წარმოიქმნა სასოფლო საზოგადოებათა კავშირები. XII საუკუნის არაბული წყაროს თანახმად, თაბასარანი 24 *რუსტაკად* (სასოფლო თემთა კავშირებად) იყოფოდა. XIII-XIV საუკუნეებში თაბასარანელებს მონღოლები ლაშქრავდნენ, შემდეგ – *თემურ-ლენგი.* ამ პერიოდში

კვლავ მოხდა თაბასარანის ერთიან პოლიტიკურ წარმონაქმნად ჩამოყალიბება. XV საუკუნის შუა ხანებში *თაბასარანის სამაისუმო* თაბასარანელებით დასახლებულ მთელ ტერიტორიას და ლეზგების ტერიტორიის ნაწილს აერთიანებდა. XVI საუკუნის მეორე ნახევარში მის ტერიტორიაზე ორი ადრეფეოდალური სამფლობელო ჩამოყალიბდა, რაც ახალ სასოფლო საზოგადოებათა ჩამოყალიბებითაც იყო განპირობებული. XVIII საუკუნის 40-იან წლებში თაბასარანელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს *ნადირ-შაჰის* არმიის განადგურებაში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში თაბასარანი ცარიზმმა შეიერთა.

თაბასარანელების ძირითადი სამეურნეო საქმიანობაა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. მარცვლეული კულტურების წამყვანი რაიონებია ბარი და მთისწინეთი. თაბასარანში ხელოვნური მორწყვის სისტემაც არსებობდა. მთაში სახვნელად მსუბუქ გუთანს იყენებდნენ, ბარში კი – შედარებით მძიმეს. ხელოსნობის ტრადიციული დარგებია მეხალიჩეობა, ხის დამუშავება, მეთუნეობა, ხეზე და ქვაზე კვეთა, მჭედლობა, მქსოველობა, ჭრელი წინდების ქსოვა, ტყავის დამუშავება. თაბასარანის რამდენიმე სოფელში გვარჯილასა და გოგირდსაც მოიპოვებდნენ. თაბასარანელები ადრეული პერიოდიდან გარესამუშაოზე დადიოდნენ.

დერბენტთან, დაღესტნის სხვა ხალხებთან, სამხრეთ კავკასიასთან სიახლოვის გამო, თაბასარანელებში ჩამოყალიბებული იყო სავაჭრო კავშირები. ვაჭრობდნენ მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების პროდუქტებით, სამეთუნეო და ხის ნაკეთობებით, ხალიჩებით, მატყლით, ხილით, ენდროთი.

თაბასარანელთა სოფლების უმეტესობა საკმაოდ დიდი ხნის წინაა წარმოქმნილი. რელიეფიდან გამომდინარე, სოფლებს საფეხურებრივი, შეჯგუფული და შედარებით თავისუფალი დაგეგმარება ჰქონდათ. ყველზე ძველი ის დასახლება იყო, რომელშიც ერთი *თოხუმი* ცხოვრობდა. XIX საუკუნეში ტერიტორიულ-ნათესაური დასახლებები გაბატონებული აღარ იყო. ბევრი სოფლის უბნის სახელწოდება ნათესაური ჯგუფის სახელწოდებებს შეესატყვისებოდა. სოფლის ცენტრში, მეჩეთთან ხდებოდა სასოფლო ყრილობების ჩატარება. ყრილობაზე წყდებოდა უმნიშვნელოვანესი სამეურნეო და საზოგადოებრივი საქმეები, რომლებიც მთელ სოფელს ეხებოდა. წარსულში ყველა სოფლის სასაფლაოზე ცალკე იყო გამოყოფილი თოხუმური უბნები. ეს ტრადიცია დღესაც შემორჩენილია. ზოგიერთ სოფელს ცალკე თოხუმური სასაფლაო ჰქონდა. თაბასარანელთა ძირითადი საზოგადოებრივი ნაგებობები იყო საბრძოლო და სათვალთვალო კოშკები, მეჩეთები. თაბასარანელთა ტრადიციული საცხოვრებელი ქვისაგან იყო აშენებული. ორსართულიან სახლში საცხოვრებლად მეორე სართულს გამოიყენებდნენ. მთაში სამ და ოთხსართულიანი სახლებიც ჰქონდათ აშენებული.

თაბასარანელთა სოციალური ორგანიზაციის საფუძველს სასოფლო-ტერიტორიული თემი – *ჯამაათი* შეადგენდა. თემის საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრება *ადათითა* და *შარიათით* რეგულირდებოდა. თაბასარანელებს ნათესაური ჯგუფების აღსანიშნავად რამდენიმე ტერმინი ჰქონდათ: *თოხუმი, ნასილი, ჯინსი, კამი.* ყველაზე მიღებული ტერმინია *თოხუმი.* ნათესაობა მამის ხაზით შვიდი თაობით (მუხლით) განისაზღვრებოდა. ყველა სასოფლო-ტერიტორიული თემი (*ჯამაათი*) რამდენიმე თოხუმისაგან შედგებოდა. თითოეული თოხუმი თავის სახელს ამა თუ იმ წინაპარს უკავშირებდა. თოხუმში უცხო ადამიანის მიღებაზე უარს არ ამბობდნენ. უღირს ადამიანებს თოხუმის რიგებიდან აძევებდნენ.

XIX საუკუნეში ჭარბობდა პატარა ოჯახი, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში გავრცელებული იყო სამი და მეტი თაობისაგან შემდგარი დიდი გაუყოფელი ოჯახებიც. როგორც გოგონებისათვის, ისე ვაჟებისათვის, ქორწინების ასაკი 15-16 წლით განისაზღვრებოდა. ქორწინება სოფლის შიგნით ხდებოდა. საქორწინო პარტნიორის მოსაძებნად იშვიათად გადიოდნენ სოფლის გარეთ. იცოდნენ აკვანში

დანიშვნა, *ლევირატი, სოროორატი, გაცვლითი ქორწინება, მოტაცება.* ქორწილი სამი-ოთხი დღე გრძელდებოდა. ქორწილს თან ახლდა ცეკვები, სიმღერები, ნიღბოსანთა წარმოდგენები, დოღი. თაბასარანელთა ყოფაში მტკიცედ იყო შემორჩენილი ურთიერთდახმარება, სტუმართმოყვარეობა, სისხლ-მესისხლეობის წეს-ჩვეულება. არსებობდა ხელოვნური დანათესავების სხვადასხვა ფორმა. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ შრომით და ზნეობრივ აღზრდას. თამაშები და გართობა იმისკენ იყო მიმართული, რომ ბიჭებისაგან მომავალი მეომარი, მშრომელი გლეხი, ჯამაათის ღირსეული წევრი გაზრდილიყო.

თაბასარანელებში ისლამის გავრცელება VII-VIII საუკუნეებში დაიწყო, მაგრამ ის საბოლოოდ მხოლოდ XI-XII საუკუნეებში დამკვიდრდა. მიუხედავად ამისა, შემორჩენილი იყო მუსლიმამდელი რწმენა-წარმოდგენები (ცეცხლის, ქვის, ხის, გამოქვაბულის, წყაროს კულტი). ირკვევა, რომ თაბასარანელთა პანთეონის უმაღლესი ღვთაების სახელი იყო *უმჩარა.* მყარად იყო შემორჩენილი გაზაფხულის ძველი დღესასწაული – *ებელცანი. ებელცანი* აგრარული ღვთაება იყო. გამოვლინდა ჯვრის ფორმის მუსლიმური საფლავის ქვები. ჰქონდათ მდიდარი მუსიკალური და საცეკვაო ფოლკლორი.

თაბასარანელთა თითქმის ყველა სოფელში სახალხო მკურნალები ცხოვრობდნენ. ისინი არა მხოლოდ სოფელში, არამედ სოფლის გარეთაც იყვნენ ცნობილნი.

IV. 24. წახურები

წახურები დაღესტნის მაღალმთიანეთის (მდ. *სამურის* ზემო წელის) მკვიდრი მოსახლეობაა. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით, ისინი რუთულის რაიონის მკვიდრნი არიან. ამ ტერიტორიას წარსულში *რუთულის მაგალი* ეწოდებოდა. დაღესტანში წახურების რაოდენობა 5,2 ათასი კაცია (რუსეთის ფედერაციაში – 6,5 ათასი კაცი). მაგრამ წახურების უმეტესობა თავისი ისტორიული სამშობლოს გარეთ არის განსახლებული – დღევანდელი აზერბაიჯანის სახელმწიფოს ტერიტორიაზე (13,6 ათასი კაცი). აზერბაიჯანში კი ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, აღმოსავლეთ კახეთში ანუ დღევანდელ საინგილოში ბინადრობენ, რომელიც ადმინისტრაციული დაყოფით *ზაქათალას, კახისა* და *ბელაქნის* რაიონებს მოიცავს. წახურების საერთო რაოდენობა 20,1 ათასი კაცია.

წახურები ანთროპოლოგიურად დიდი ევროპეიდული რასის კასპიურ ტიპს მიეკუთვნებიან. წახურული ენა ნახურ-დაღესტნურ ენათა ჯგუფის ლეზგიურ ქვეჯგუფში შედის. წახურული ენა ოთხ დიალექტად იყოფა: *საკუთრივ წახურული, მიშლეშური, მიქიქური, გილმიწურ-ყურდულური.* წახურულ ენას 15 ხმოვანი და 40 თანხმოვანი აქვს. წახურული უდამწერლობო ენა იყო, მაგრამ 1990-იან წლებში მათ დამწერლობაც შექმნეს. როგორც ყველა სხვა პატარა ხალხი, წახურებიც ბილინგვები არიან.

ეთნონიმი **წახი** (თვითსახელწოდებაა – **ییხბი**) წახურელთა მთავარი სოფლის სახელიდან **წახური** მომდინარეობს. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ VII საუკუნის „სომხურ გეოგრაფიაში“ მოხსენიებული *ცახაიკამები* დღევანდელი წახურების წინაპრები არიან. საისტორიო ლიტერატურაში ისიც აღნიშნულია, რომ წახურები კავკასიის ალბანეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდნენ. ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით, მათ ისლამი X-XI საუკუნეში მიიღეს. XI-XIII საუკუნეებში წახურში არსებობდა მედრესი, სადაც სწავლა არაბულ ენაზე მიმდინარეობდა. XV საუკუნეში წახურული საზოგადოებების გაერთიანებას სათავეში ედგა წახურის სულთანი. წახურელების აღმოსავლეთ კახეთში ჯგუფური გადასახლების გამო, XVIII საუკუნეში წახურის სულთანმა რეზიდენცია სოფელ *ელისუში* გადაიტანა,

რასაც ხშირად *ელისუს სასულთნოსაც* უწოდებდნენ. გადმოცემით, XVII საუკუნის დასაწყისში ბეგების მმართველობით უკმაყოფილო წახურელებმა გადაწყვიტეს მათი ამოწყვეტა. ბეგები ცოლ-შვილთან ერთად გაწყვიტეს. გადარჩენილა მხოლოდ ერთი ბეგის ფეხმძიმე ქალი. ის გაქცეულა სოფელ *ელისუში* (საინგილოში), სადაც მას ვაჟი შეეძინა, რომელიც შემდეგ აღმოსავლეთ კახეთის ისტორიულ ტერიტორიაზე დასახლებულ წახურებს თავიაანთ მმართველად აურჩევიათ. მას *ალი-ბეკი* ერქვა. ხელისუფლება და სულთნის ტიტული კი სპარსეთის შაჰისაგან მიუღია. ისევე როგორც დაღესტანში, საინგილოში გადმოსახლებულ წახურებს თავისუფალი სასოფლო საზოგადოებებიც ჰქონდათ შექმნილი, რომელთა ნაწილმაც აქვე ჩამოსახლებულ ხუნძებთან ერთად *ჭარ-ბელაქანის* თავისუფალ საზოგადოებათა კავშირიც შექმნა. 1803 წელს წახურებმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს. 1844 წელს ელისუს სულთანი *დანიელ-ბეკი შამილს* მიემხრო. ამით ისარგებლა რუსეთმა, სასულთნო გააუქმა და ის რუსულ ადმინისტრაციას დაუქვემდებარა (სამურის ოკრუგის შემადგენლობაში). **1852 წელს სამურის ზემო წელში მდებარე წახურელთა 15 სოფელი ცარიზმის არმიამ მიწასთან გაასწორა, მისი მცხოვრებნი კი ალაზნისპირა ველებში იძულებით გადაასახლა.** ომის დამთავრების შემდეგ, 1861 წელს მათ უკან დაბრუნების ნება დართეს, *მთიანი მაგალი* კი ჭარ-ბელაქანის სამხედრო ოკრუგში შეიყვანეს.

XIX საუკუნის შუა ხანებიდან წახურელთა საგარეო საქმეებს ცარიზმის ადმინისტრაცია აწესრიგებდა. სასოფლო თემის შიდა საქმეებს კი ისინი ადათების საფუძველზე თავად წყვეტდნენ. მართვის უმაღლესი ორგანო მამაკაცთა კრება (*ჯამაათი*) იყო, რომელიც ირჩევდა უხუცეს მმართველს, მოსამართლეებს, ქადიებს, აღმასრულებლებს, ხოლო უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად, რომელიც ყველა წახურს ეხებოდა (მათ შორის, საინგილოში მცხოვრებთ), საერთო ყრილობას (*იულას*) იწვევდნენ.

წახურების ტრადიციული საქმიანობა იყო სახვნელი მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. XVI-XVII საუკუნეებში აღმოსავლეთ კახეთში გადმოსახლების შემდეგ, წახურელებმა სამეურნეო-კულტურული წყობა (ზონალური სპეციალიზაციით) შექმნეს. ერთი თემი ერთი დასახელებით წახურშიც ცხოვრობდა და საინგილოშიც. საინგილოში დასახლებულ ნათესავთა ერთი ნაწილი ზამთრისათვის საქონლის საკვებს ამზადებდა, მიწათმოქმედებას მისდევდა, მეორე, მთაში დარჩენილ ნაწილს, საქონელი საზაფხულო საძოვრებზე ჰყავდა და მეცხოველეობის პროდუქტებს ამზადებდა. მთაში სახვნელი მიწის სიმცირისა და სათიბების ნაკლებობის გამო, მრავალი ოჯახი ზამთარში მომთაბარეობდა ისტორიულ აღმოსავლეთ *კახეთში*, ზაფხულში კი *მთიან მაგალში* ბრუნდებოდნენ. შეიქმნა გარესამუშაობზე გასვლის თავისებური ფორმა. როგორც წახურში, ისე საინგილოში სახვნელი მიწები კერძო საკუთრებაში იყო, სათიბი, საძოვარი და ტყე კი სათემო საკუთრებას წარმოადგენდა. არსებობდა საკუთრების მესამე ფორმაც – *სავაკუფო.* **ეს იყო მეჩეთებისათვის მორწმუნეთა მიერ შეწირული მიწები**. არ შეიძლებოდა ვაკუფის გაყოფა და გასხვისება. წახურში მთის მიწათმოქმედება ურწყველი იყო. საინგილოში განვითარებული იყო სარწყავი მიწათმოქმედება. მესაქონლეობაში უპირატესობას მეცხვარეობას ანიჭებდნენ. ჰყავდათ ბევრი ცხენი. მთაში ერთადერთი საჭაპანო და საჯდომი ტრანსპორტი ცხენი იყო.

დაღესტნელი წახურების სოფელი შეჯგუფული ტიპის იყო. საფუხურებრივ-ტერასისებურ სოფლებში ვიწრო ქუჩები სახლების სახურავებსა და სახლების ქვეშ გადიოდა. ყოველ წახურულ სოფელში იდგა მეჩეთი და მეჩეთთან ახლოს იყო მოედანი, სადაც კრებები იმართებოდა. წახურელთა ტრადიციული ტანსაცმელი საერთოდაღესტნურის მსგავსი იყო, მაგრამ ერთგვარი თავისებურებაც ახასიათებდა, რადგან აზერბაიჯანული კულტურის გავლენას განიცდიდა. ტანსაცმლის ძირითადი მასალა მესაქონლეობის პროდუქტები იყო: მატყლი, ცხვრის ტყავი, მსხვილფეხარქოსანი საქონლის ტყავი. კვების რაციონში დიდი ადგილი ეკავა

ფაფებს. რძეს, ჩვეულებრივ, ცოტას მიირთმევდნენ. მისგან აკეთებდნენ არაჟანს, კარაქს, ხაჭოს, აირანს, რძემრჟალს. ყველს ცხვრის რძისაგან ამზადებდნენ. სამზარეულო ჭურჭელი სპილენძის, ხისა და კერამიკის ჰქონდათ.

წახურელთა ოჯახის ძირითადი ფორმა იყო პატარა ოჯახი, მაგრამ XX საუკუნის 30-50-იან წლებამდე შემორჩენილი იყო სამი-ხუთი საქორწინო წყვილისაგან შემდგარი დიდი გაუყოფელი ოჯახებიც. სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ოჯახების არსებობა ახსნილია როგორც ტრადიციით, ისე სამეურნეო მიზანშეწონილობით. დაფიქსირებულია შემთხვევა, როდესაც გაუყოფელი ოჯახის ერთი ნაწილი *მთიან მაგალში*, მეორე კი *საინგილოში* ცხოვრობდა. XIX საუკუნეში გაუყოფელ ოჯახებს ჰყავდათ 3000 სულ ცხვარზე მეტი, 60 მსხვილფეხარქოსანი საქონელი, 20-ზე მეტი ცხენი.

წახურელთა უმძრახობის ჩვეულება ერთგვარად თავისებური ფორმით არსებობდა. ახალგაზრდა ქალების უფროს მამაკაცებთან ურთიერთობა თავშეკავებული იყო და სხვათა თანდასწრებით ისინი ბავშვების საშუალებით საუბრობდნენ. წახურებში ქორწინება ენდოგამიური იყო. იცოდნენ აკვანში დანიშვნა, ლევირატი, სორორატი. სხვა დაღესტნელთაგან განსხვავებით, მათთვის ურვადი უცნობი იყო.

დღესასწაულობდნენ საზამთრო საძოვრებიდან საქონლის დაბრუნებას. ამ დროს ერთმანეთს უმასპინძლდებოდნენ, აწყობდნენ მარულას, ძაღლების ბრძოლას, ჭიდაობას, ცეკვავდნენ, საქონელს წირავდნენ და ხორცს არიგებდნენ. ძალიან პოპულარული იყო ძველი წარმართული დღესასწაული *სეირანი,* რომელსაც თან ახლდა მდიდარი რელიგიურ-მაგიური ქმედებები და სპორტულ-გასართობი თამაშობები. ეს დღესასწაული ზაფხულში თიბვის და პურეულის მოსავლის აღების წინ წმინდა მთის ველობში იმართებოდა; გრძელდებოდა სამი დღე. წარსულში, *შარიათის* დანერგვამდე, ამ დღესასწაულში ქალებიც ღებულობდნენ მონაწილეობას, რომლებიც აქ ცხენოსნობის მაღალ ხელოვნებას აჩვენებდნენ. ზაფხულში იცოდნენ მზისა და წვიმის გამოწვევის რიტუალების შესრულება. მკაცრად იცავდნენ ურთიერთდახმარების, სტუმართმოყვარეობის წეს-ჩვეულებებს. წახურებს შორის ძლიერი იყო შიდათუხუმური სოლიდარობა. თუხუმები უფრო პატარა სანათესაო ჯგუფებადაც (*ნასილი*) იყოფოდნენ.

წახურები სიმღერებს, წახურულ ენასთან ერთად აზერბაიჯანულ ენაზეც ასრულებდნენ; ფოლკლორი კი მხოლოდ მშობლიურ ენაზე ჰქონდათ.

IV. 25. ხინალუღები

აზერბაიჯანში, შაჰდაღის მთებში დაღესტნური მოდგმის სამი მცირერიცხოვანი ხალხი ცხოვრობს. ესენი არიან *ხინალუღები, კრიწები* და *ბუდუხები.* ამ ხალხების, ანუ როგორც მათ უწოდებენ *შაჰდაღური ჯგუფის* ხალხების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა ერთობ მცირეა. ხინალუღები, კრიწები და ბუდუხები აზერბაიჯანის მთიანეთის ძირძველი მოსახლეობაა. ისინი კავკასიის ალბანეთის მოსახლეობის ერთ-ერთი მემკვიდრეები არიან.

ხინალუღები *შაჰდაღის* მთიანეთის მხოლოდ ერთ სოფელში – *ხინალიღში* მკვიდრობენ. აქედან მომდინარეობს მათი სახელწოდებაც, თუმცა ხინალუღების ენდოეთნონიმი არის **კატიდდური**, რაც მათსავე ენაზე „თანასოფლელებს“ ნიშნავს. ადმინისტრაციულად სოფელი ხინალიღი *ყუბის* რაიონში შედის. საკუთარ სოფელს ისინი ამ ტოპონიმით არ მოიხსენიებენ, მას *კეტშ*ს უწოდებენ. ყველა წყარო ხინალუღების სხვადასხვა რაოდენობას უთითებს. ინტერნეტის ერთი საიტის მონაცემი ხინალუღების რაოდენობას 2 ათასს უჩვენებს, მეორე – დაახლ. 6 ათასს. როგორც ჩანს, ამ რაოდენობაში აზერბაიჯანის ბარში განსახლებული ხინალუღები იგულისხმებიან, რომლებიც თავიანთი ეთნონიმით არასდროს არ აღურიცხავთ.

აზერბაიჯანელებად აღრიცხავდნენ თვით სოფ. ხინალიღში მცხოვრებთაც. *ნ. ვოლკოვას* მონაცემებით, 1976 წელს სასოფლო საბჭოს დავთრებით ხინალიღში 2,5 ათასი კაცი ცხოვრობდა. 1886 წლის საოჯახო სიების მონაცემებით, ხინალიღში 2177 სული (359 კომლი) მკვიდრობდა. 1910 წლის „კავკაზსკი კალენდრის“ მიხედვით, 1907 წელს სოფელ ხინალიღში 1917 ხინალუღელი იყო აღრიცხული. 1926 წლის აღწერაში მხოლოდ 100 ხინალუღელია დაფიქსირებული.

ხინალუღურ ენას მეცნიერთა ნაწილი ნახურ-დაღესტნური ენების ცალკე შტოდ მიიჩნევს. ყველა ხინალუღელი თავისუფლად ლაპარაკობს აზერბაიჯანულ ენაზე. იციან რუსული ენაც. ხინალუღურ ენას დიალექტები არა აქვს, **მისი ანბანი 77 ბგერას შეიცავს (59 თანხმოვანი და 18 ხმოვანი).** უკანასკნელ წლებში ხინალუღურ ენას სკოლაშიც ასწავლიან. დღეს ხინალუღური ენა თურქიზმებითაა გაჯერებული.

მართალია, ხინალუღები ალბანეთის ძველი მოსახლეობის შთამომავლები არიან, მაგრამ წერილობით წყაროებში ისინი ფაქტობრივად არ იხსენიებიან. მხოლოდ XVIII საუკუნის დასაწყისში იხსენიებს მათ *ი. გ. გრებერი.* შაჰდაღის მთებში მცხოვრები ხინალუღების (კრიწების და ბუდუხებისაც) გადარჩენის და ჩვენამდე მოღწევის ძირითადი მიზეზი გეოგრაფიული ფაქტორი და ქორწინების ენდოგამიური ფორმაა. მეზობელი კრიწების, ბუდუხებისა და ლეზგებისაგან ხინალუღები მაღალი მთების ჯაჭვით გამოიყოფიან.

ხინალუღების სასოფლო თემი XIX საუკუნემდე *შემახიის სახანოს* შემადგენლობაში შედიოდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის მანძილზე ხინალუღიდან მუდმივად მიმდინარეობდა მოსახლეობის მიგრაცია. ხინალუღელები დაბლობში გადასახლდებოდნენ. ინტენსიური იყო მათი მიგრაცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 1960-იან წლებში ხინალუღელებს შესთავაზეს ყუბის რაიონის ბარში გადასახლება. მაგრამ მათ ამ შეთავაზებაზე უარი თქვეს.

ხინალუღელები *შემახიის სახანოში* შედიოდნენ, მაგრამ ხანს ისინი გადასახადს არ უხდიდნენ. *ი. გ. გერბერის* აღნიშვნით, ხინალუღებს და შაჰდაღის სხვა ხალხებს აზერბაიჯანის დაბლობში, თათების სოფელ *რუსტოვის* მახლობლად მიწები ჰქონდათ, სადაც „ზამთარში თავის საქონელს მიერეკებიან“. ასე რომ, შაჰდაღის მთებში მცხოვრები ხალხების აზერბაიჯანის ბართან სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ტრადიციული იყო. ეს სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები მხოლოდ ცხვრის საზამთრო საძოვრებზე ძოვებით არ შემოიფარგლებოდა. ინტენსიური იყო სავაჭრო ურთიერთობებიც. ხინალუღები პურს ძირითადად ბარში ყიდულობდნენ, მეცხოველეობის პროდუქტებს კი აქვე ყიდდნენ. *მიუშკიურის* დაბლობში ხინალუღებს ყიშლაღები ჰქონდათ. ცხვრის ფარებს, მეცხვარეებთან ერთად, ხინალუღთა ნაწილიც თან მისდევდა. აქ ისინი შემოდგომიდან ივნისის დასაწყისამდე რჩებოდნენ. 1921 წლის მონაცემებით, ხინალუღელთა 367 ოჯახს 11 778 ცხვარი და 13 ათასი მსხვილფეხარქოსანი საქონელი ჰყავდა. ჰყავდათ აგრეთვე თხები, ცხენები, სახედრები. მეფუტკრეობა არ იყო განვითარებული.

ხინალუღში მიწათმოქმედებას დამხმარე ხასიათი ჰქონდა. თესავდნენ ქერს, სვილს. მთის კალთებზე ტერასები ჰქონდათ მოწყობილი. 1930-იანი წლებიდან ხინალუღებმა კარტოფილისა და კომბოსტოს მოყვანა დაიწყეს; განვითარებული ჰქონდათ შინამრეწველობა; ამზადებდნენ მატყლის ქსოვილებს, მაღალყელიან წინდებს, თექას; თხის ბეწვისაგან თოკებს გრეხდნენ. ჰორიზონტალურ საქსოვ დაზგაზე ჰინალუღები მატყლის ქსოვილს (შალს) ქსოვდნენ, რისგანაც სახვევებს (*ტოლაღებს*) ამზადებდნენ. ასეთ დაზგაზე მხოლოდ მამაკაცები მუშაობდნენ. ვერტიკალურ საქსოვ დაზგაზე ქალები ფარდაგებსა და ხალიჩებს ქსოვდნენ. ქალები ფერად-ფერად წინდებსაც ქსოვდნენ. გარესამუშაოზე ხინალუღები იშვიათად დადიოდნენ. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გახშირდა ამ სოფლიდან ბაქოს ნავთობის სარეწებზე გასვლა, რათა ურვადისათვის ფული შეეგროვებინათ. ამ მიზნით, მათ აქ მუშაობა 5-6 წელი უხდებოდათ.

ხინალუღი ტიპიური მთის სოფელია. სოფელი მთის ფერდობზე საფეხურებრივად იყო შეფენილი. საცხოვრებელი სახლები ორსართულიანი ჰქონდათ. სწორ სახურავს მიწის სქელი ფენილი ჰქონდა. პირველ სართულს საქონლის სადგომად იყენებდნენ. მეორე სართული საცხოვრებელი იყო. იატაკი თიხით ჰქონდათ მოგლესილი. მეორე სართულს რამდენიმე ოთახი ჰქონდა.

ხინალუღელთა ტრადიციული კოსტიუმი აზერბაიჯანულის მსგავსი იყო. მხოლოდ ქალების თავსაბურავი ჰქონდათ ორიგინალური. ის სხვადსხვა ზომისა და ფერის ხუთი თავშლისაგან შედგებოდა, რომელთა შორის აუცილებლად თეთრი და წითელი ფერის მოსახვევიც უნდა ყოფილიყო.

ხინალუღელების საკვები ძირითადად რძის პროდუქტებისაგან შედგებოდა: ძროხისა და ცხვრის ყველი, რძე, მაწონი. პურს ხორბლისა და ქერის ფქვილის ნარევისაგან აცხობდნენ. საკვებად გამოიყენებდნენ ველურ მცენარეებს. მათი ტრადიციული საკვები იყო *შერბეთი* (წყალში გახსნილი თაფლი). სადღესასწაულო კერძი იყო მოხარშული ხორცი და ბრინჯისა და ლობიოს ფლავი.

XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის დასაწყისში ხინალუღი დამოუკიდებელ სასოფლო თემს (*ჯამაათს*) წარმოადგენდა, რომელიც კრიწელთა სოფლებთან და ერთ აზერბაიჯანულ სოფელთან ერთად ერთ *მაგალს* შეადგენდა. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში თემის მმართველი ძირითადი ორგანო იყო ყრილობა, რომელშიც ყველა ოჯახის უფროსი მამაკაცი შედიოდა. ყრილობაზე ირჩევდნენ მამასახლისს (*ქეთხუდი, იუზბაში*) და მის ორ მოადგილეს (*ვექილი*), აგრეთვე მოსამართლეს. ხინალუღელები თავისუფალი მეთემები იყვნენ, რომლებიც XIX საუკუნეში სახაზინო გლეხებს მიაკუთვნეს. ხინალუღელთა ხანებისადმი დამოკიდებულება მხოლოდ დროდადრო მოლაშქრე მეომართა გაგზავნით შემოიფარგლებოდა. **მიწაზე არავითარი ფეოდალური საკუთრება არ ყოფილა. საძოვრები თუ სათემო საკუთრებაში იყო, სახვნელი და სათიბი მიწები ცალკეულ კომლთა საკუთრებას წარმოადგენდა.** ჯამაათის მიერ საზაფხულო საძოვრები სოფელში არსებული უბნების მიხედვით იყო დაყოფილი. ბარში საზამთრო საძოვრების არენდირებას კი რამდენიმე კომლი ერთად ახდენდა.

ხინალუღებში ერთმანეთთან იყო შეთანწყობილი სისხლნათესაური, თემურ-გვაროვნული და ტერიტორიულ-სათემო ნიშნები. ხინალუღი ხუთ უბნად იყოფოდა. ყოველ უბანს თავისი სალოცავი და სასაფლაო ჰქონდა. უბანს *მეხელე* ეწოდებოდა. მეხელეს წევრს მხოლოდ საუბნო სასაფლაოზე კრძალავდნენ.

ხინალუღებს შორის ბევრი დიდი ოჯახი არსებობდა. ხშირად ერთ ოჯახში ოთხი-ხუთი ცოლ-შვილიანი ძმა ცხოვრობდა. დიდი ოჯახის ერთი წევრი თუ საზამთრო საძოვრებზე იმყოფებოდა, საზაფხულო საძოვარზე უკვე მას სხვა ცვლიდა. მომდევნო წელს ისინი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ.

ხინალუღელთა სისხლნათესაურ გაერთიანებებს **მეხელე** და **კებელე** ეწოდებოდათ. ისინი დაღესტნურ თუხუმებს მოგვაგონებდნენ. მკაცრად იცავდნენ ენდოგამიას. უპირატესობას ანიჭებდნენ ბიძაშვილების, ბიძაშვილ-მამიდაშვილების და დეიდაშვილების ერთმანეთზე დაქორწინებას. ხინალუღში არ იყო არც ერთი შემთხვევა სხვა მხრიდან ცოლის შერთვისა. საქორწინო ასაკი ქალებისათვის 14-15 წელი იყო, კაცებისათვის – 20-21 წელი. იშვიათად აკვანში დანიშვნაც იცოდნენ. ახალგაზრდების ბედს მათი მშობლები წყვეტდნენ. გამოსასყიდის გადახდა იცოდნენ ძირითადად საქონლით, ცხვრით, ბრინჯით, ზოგჯერ – ფულით. 1912 წლისათვის მაშინდელი ფულით გამოსასყიდი 200 რუბლს შეადგენდა. სამზითვოდ ხინალუღელ გოგონას თავისი ხელით აუცილებლად ხუთი-ექვსი ფარდაგი უნდა დაემზადებინა და 50-60 წყვილი წინდა მოექსოვა. იცოდნენ უმძრახობა. ორი-სამი წელი რძალი მამამთილს არ ელაპარაკებოდა. უმძრახობის ერთ-ერთ ფორმად ქალის მიერ სახის დაფარვაცაა მიჩნეული. ჩადრი არ იცოდნენ. ქალები ატარებდნენ *იაშმაგს* (ნაჭერს), რომლითაც მხოლოდ სახის ქვედა ნაწილს იფარავდნენ. წარსულში ხინალუღელებმა სისხლის აღება იცოდნენ. იცოდნენ

ურთიერთდახმარება (მაგალითად, სახლის აშენების დროს), ძმად გაფიცვა; სტუმართმოყვარეობა ისევე მაღალ დონეზე იყო განვითარებული, როგორც კავკასიის სხვა ხალხებში.

ხინალუღები სუნიტი მუსლიმები არიან. მიუხედავად ამისა, შემორჩენილი ჰქონდათ მუსლიმამდელი რწმენა-წარმოდგენები. იცოდნენ წვიმის, მზის გამოწვევის რიტუალები. არსებობდა ცეცხლის კულტი. გადაუღებელი წვიმების დროს შემდეგ რიტუალს ასრულებდნენ: ხისაგან აკეთებდნენ თოჯინას, რომელსაც ქალის ფერად ტანსაცმელს აცმევდნენ. ამ თოჯინას ჭაბუკები მთელ სოფელს შემოატარებდნენ და თან აზერბაიჯანულ ენაზე მღეროდნენ. სიმღერის შინაარსი ასეთი იყო: „ხვალ თქვენ მზე გექნებათ“. ჭაბუკებს კვერცხებითა და ტკბილეულით ასაჩუქრებდნენ.

ხინალუღებს აზერბაიჯანულენოვანი ფოლკლორი ჰქონდათ.

IV. 26. კრიწები

კრიწების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა ფაქტობრივად არ არსებობს. ისინი აზერბაიჯანის *შაჰ-დაღის* მთებში მცხოვრები ერთ-ერთი მცირერიცხოვანი ხალხია. ადრე მათ **ჯეკებსაც** უწოდებდნენ. კრიწების ნაწილს საერთო ეთნიკური თვითშეგნება არც აქვთ. ამიტომ ხშირად უცხო პირებს თავიანთი სოფლების სახელწოდების მიხედვით წარმოუდგებიან ხოლმე. კრიწებით დასახლებული სოფლებია: *კრიწი, ჯეკი, ხაფთული, ერგიუჯი* და *ალიკი.* კრიწთა ეს სოფლები ადმინისტრაციულად აზერბაიჯანის *ყუბის* რაიონში შედის. კრიწულ ენაზე ლაპარაკობენ აგრეთვე *ხაჩმაზის რაიონში,* სადაც კრიწები შაჰ-დაღის მთებიდან არიან გადმოსახლებული.

კრიწული ენა კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნის ჯგუფის ერთ-ერთი უმწერლობო ენაა. შედის ლეზგიურ ენათა ე. წ. შაჰ-დაღის ქვეჯგუფში. დღევანდელი მონაცემებით, კრიწულ ენაზე დაახლ. 9000 კაცზე მეტი ლაპარაკობს. სოფელ კრიწში 1800 კაცი ცხოვრობს, ხაფთულში – 1500, ჯეკში – 1300, ალიკში – 1500.

XIX საუკუნეში კრიწებისაგან ჯეკებს ცალკე ეთნოსად გამოყოფდნენ. 1886 წელს ჯეკების 1041 კომლი და 8 103 სული იყო აღრიცხული, კრიწების 307 კომლი და 2027 სული. ასე რომ, კრიწების საერთო რაოდენობა სინამდვილეში 1886 წლის საოჯახო სიებით 10 130 კაცი იყო. სხვათა შორის, სოფელ *ერგიუჩში* მცხოვრები კრიწებიც ჯეკებისადმი იყვნენ მიკუთვნებულნი. აღნიშნულ დროს ერგიუჯში 94 ოჯახი (946 სული) კრიწი მკვიდრობდა. იგივე შეიძლება ითქვას *ზემო ალიკში* მცხოვრებ 304 კაცზე (49 კომლი). 1910 წლის „კავკაზსკი კალენდრის“ მიხედვით, სოფელ *ჯეკსა, ალიკში* და *ერგიუჯში* მცხოვრები კრიწები ლეზგიებზე იყვნენ მითვლილი.

კრიწული ენა დიალექტურად სუსტადაა დიფერენცირებული. გამოიყოფა *კრიწის, ჯეკის, ხაფთულის* და *ალიკის* მეტყველება (თქმები). ყუბის რაიონის სოფელ *ერგიუჯში* დღეისათვის ფაქტობრივად აღარავინ არ ცხოვრობს – მისი უკანასკნელი მცხოვრები აქედან XX საუკუნის 90-იან წლებში აიყარა. ამიტომ ერგიუჯული თქმა დღეს უკვე აღარ არსებობს. სხვადასხვა სოფლებში განსახლებულ ერგიუჯელებს თუმცა კი ახსოვთ თავიანთი ენა, მაგრამ მას აღარ იყენებენ, რადგან აზერბაიჯანულ ენას ანიჭებენ უპირატესობას. როგორც ლინგვისტურ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, კრიწული ენის ხმოვანთა სისტემა რთულია, დასტურდება ცხრა ხმოვანი. ლეზგიურ ენათაგან კრიწული ენა ყველაზე ახლოს დგას ბუდუხურ ენასთან. კრიწულ ენაში შეიმჩნევა აზერბაიჯანულ ენის ლექსიკური ერთეულების, სიტყვათწარმოებითი საშუალებების და ზოგიერთი გრამატიკული ფორმის გამოყენება.

კრიწთა მთავარი სიმდიდრე მთის საძოვრები და სათიბებია, რაც მეცხოველეობის განვითარების საშულებას იძლეოდა. მეცხოველეობა კი ოდითგანვე კრიწების ძირითადი საქმიანობა იყო (ლეზგიური ჯიშის ცხვარი, მსხვილფეხარქოსანი საქონელი, ცხენები). მეცხოველეობას ნახევრადმომთაბარე ხასიათი ჰქონდა. ზაფხულში ცხვარი და საქონელი სოფლის მახლობლად საძოვრებზე ჰყავდათ, შემოდგომაზე კი აზერბაიჯანის დაბლობში მიერეკებოდნენ. ფარებსა და ნახირთან ერთად მთას კრიწთა დიდი ნაწილიც ტოვებდა. მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობის ბარში გადასვლა არა მხოლოდ საქონლის მოვლით იყო განპირობებული, არამედ მთაში პურისა და საწვავის შეტანის სიძნელეებით.

კრიწებში მიწათმოქმედებას მეორეხარისხოვანი ადგილი ეკავა. მთის ფერდობებზე ტერასები ჰქონდათ მოწყობილი. პურის დიდ ნაწილს ბარში ყიდულობდნენ, რადგან მთაში მოწეული პურეული (ძირითადად ქერი) მხოლოდ რამდენიმე თვეს ჰყოფნიდათ. მებაღეობა და მებოსტნეობა მაღალმთიანეთის ბუნებრივი გარემოს გამო, ფაქტობრივად, განუვითარებელი იყო. არ იყო განვითარებული შინამრეწველობაც. მხოლოდ ფარდაგებს, ხალიჩებს და წინდებს ქსოვდნენ.

კრიწთა დასახლება შეჯგუფული და ტერასისებური იყო. სოფელში ერთი მთავარი ქუჩის გარდა, ქუჩები არ არსებობდა. სახლები ერთმანეთზე მიკრული იყო და, მათ შორის, მხოლოდ ვიწრო გასასვლელები იყო დატოვებული. სოფლები უბნებად იყოფოდა. სახლები ორსართულიანი ჰქონდათ, რომელთა პირველ სართულებს სამეურნეო მიზნით გამოიყენებდნენ. მეორე სართული საცხოვრებელი იყო. მდიდარ მეცხვარეთა სახლებს რამდენიმე ოთახი ჰქონდა, რომელთაგან ერთი სტუმრებისათვის იყო განკუთვნილი. საცხოვრებლებს კერის საშუალებით ათბობდნენ. საწვავად *წივას* იყენებდნენ. ავეჯი არ ჰქონდათ. საოჯახო საგნებს, ლოგინს და ჭურჭელს კედლებში მოწყობილ სხვადასხვა ზომის ნიშებში ინახავდნენ. ჭურჭელი ძირითადად სპილენძისა ჰქონდათ.

კრიწების ტანსაცმელი, ფაქტობრივად, არ განსხვავდება აზერბაიჯანელთა ტანსაცმლისაგან. XIX საუკუნემდე კრიწებში დიდი ოჯახები იშვიათი არ იყო. ქორწინება ენდოგამიური იყო. ქალიშვილებს სოფლის გარეთ არასდროს ათხოვებდნენ, უპირატესობა კი გვარის შიგნით დაქორწინებას ენიჭებოდა. ქორწილი ექვს-შვიდ დღეს გრძელდებოდა. კრიწებმა იცოდნენ უმძრახობა. პატარძალი ერთ წელი დედამთილ-მამათლის არ ელაპარაკებოდა. კრიწები სარწმუნოებით მუსლიმი სუნიტები არიან. შემორჩენილი იყო მუსლიმამდელი რწმენა-წარმოდგენებიც.

IV. 27. ბუდუხები

ბუდუხები აზერბაიჯანის *შაჰდაღის მთებში* მცხოვრები მცირერიცხოვანი ხალხია. ადმინისტრაციულად ბუდუხების სოფელი *ბუდუხი* ყუბის რაიონს ეკუთვნის. ბუდუხები აზერბაიჯანის ბარის რამდენიმე სოფელშიც ცხოვრობენ, სადაც მთიდან გვიან არიან გადასახლებული. ბუდუხები საბჭოთა პერიოდში ცალკე ეთნოსად არ აღირიცხებოდნენ; მათ აზერბაიჯანელებად წერდნენ. დღეს ბუდუხების რაოდენობა დაახლოებით 3 ათასი კაცია. 1886 წლის საოჯახო სიების თანახმად, სოფელ ბუდუხში 369 კომლი იყო აღრიცხული. მათი რაოდენობა კი 2625 კაცს შეადგენდა. 1910 წლის „კავკაზსკი კალენდრის“ მიხედვით, სოფ. ბუდუხში 2165 კაცი მკვიდრობდა, თუმცა ისინი ლეზგიებისადმი იყვნენ მიკუთვნებულნი. ბუდუხური ენა კავკასიურ ენათა ლეზგიურ ჯგუფს მიეკუთვნება. ის უმწერლობო ენაა. ბუდუხურ ენას დიალექტები არა აქვს, გენეტიკურად ახლოსაა კრიწულ ენასთან. 1950-იან წლებში ბუდუხში თუ 500 კომლი იყო, დღეს მათი რაოდენობა მხოლოდ 50-ის ფარგლებშია. ამას გზების ცუდი მდგომარეობით ხსნიან. სოფელში აღარც ერთი მაღაზია აღარაა. პროდუქტების საყიდლად 50-კილომეტრიან უგზოობის გადალახვა

უხდებათ. ინტერნეტ-საიტებზე არსებულ წერილებში სინანულია გამოთქმული იმის შესახებ, რომ ბუდუხების ძველი ტრადიციები და ენა არავის აინტერესებს.

ბუდუხების ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მეცხოველეობა იყო. სოფელ ბუდუხის ირგვლივ მდიდარი საძოვრები და სათიბები არსებობდა. უპირატესობას მეცხვარეობას ანიჭებდნენ. 1929 წელს სოფელ ბუდუხში 11 220 სული ცხვარი ჰყავდათ. ისინი ცხვარს ამთაბარებდნენ. მიწათმოქმედებას დამხმარე ხასიათი ჰქონდა. ქსოვდნენ ფარდაგებს, ხალიჩებს, წინდებს, გრძელყელიან წინდებს. ბუდუხი ექვსი უბნისაგან შედგებოდა.

ბუდუხი ერთ სასოფლო თემს წარმოადგენდა. ქორწინება მშობლების ნება-სურვილის თანახმად ხდებოდა. იცოდნენ გამოსასყიდის გადახდა. ქორწინება ენდოგამიური იყო. უპირატესობას ანიჭებდნენ კუზენურ ქორწინებებს. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ქალებისათვის საქორწინო ასაკი 14-15 წლით იყო განსაზღვრული, კაცებისათვის – 18-20 წელი. დანიშნული ახალგაზრდები ხშირად 3-5 წლის შემდეგ ქორწინდებოდნენ. ამ ხნის განმავლობაში კაცის მხარე ყველა დღესასწაულზე ქალის ოჯახს საჩუქრებს უგზავნიდა. დანიშნული გოგონა საქმროს ნათესავებისაგან თავს საგულდაგულოდ მალავდა. უფროსი ძმის გარდაცვალების შემთხვევაში, უცოლო უმცროსი ძმა ვალდებული იყო ქვრივზე დაქორწინებულიყო. იგივე წესი ვრცელდებოდა დაქვრივებულ მამაკაცზე – ის ცოლის გაუთხოვარ უმცროს დაზე ქორწინდებოდა.

ბუდუხები მუსლიმი სუნიტები არიან. შემორჩენილი იყო წარმართული რწმენა-წარმოდგენებიც.

IV. 28. ლეკები საქართველოში©

საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრებ დაღესტნელებთან ქართველებს მუდმივად ქონდათ ურთიერთობა (ეკონომიკური, მეგობრული, მტრული და ა. შ.). დაღესტანსა და საქართველოს შორის მოსახლეობის ორმხრივი მიგრაციაც ყოველთვის არსებობდა. ქართველებისათვის დაღესტნის თითქმის ყველა ხალხი *ლეკებს* წარმოადგენდნენ. მიგრირებული ლეკები საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში – კახეთში ინდივიდუალურად სახლდებოდნენ. ლეკების ინდივიდუალური მიგრაციის დამადასტურებელია ზოგიერთი გვარის დაღესტნური წარმომავლობაც. თავდაპირველად ხუნძების ჩამოსახლება ყვარლის რაიონში ჯგუფური სახის არ იყო – ორი-სამი ოჯახი ქართველების მეზობლად სახლდებოდა. ჩამოსახლებულთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა, რაც ძირითადად ლანშაფტური ფაქტორით იყო განპირობებული.

XIX საუკუნის 30-40-იან წლებში ყვარლის სიახლოვეს დაღესტნელებით (*ხუნძებით* და *კაპუჭელებით*) დასახლებული სამი სოფელი გაჩნდა: *თივი, თებელჯოხი* და *ხაშალხუტი*. თუმცა ხუნძები 1944 წლამდე ყვარლის რაიონის სხვა სოფლებშიც (ახალსოფელში 5 ოჯახი, 16 სული; ყვარელში 19 ოჯახი, ჭიკაანში 1 ოჯახი, ყორიანში 4 ოჯახი) ცხოვრობდნენ.

კახეთში მცხოვრები დაღესტნელები არიან *ანწუხისა* და *კაპუჭის* თავისუფალ მეთემეთა შთამომავალნი. სოფ. *თივსა* და *თებელჯოხში* მხოლოდ ხუნძები (ანწუხელები) ცხოვრობდნენ, *ხაშალხუტში* – ეთნიკური კაპუჭელები (ტლიადალის, ბეჟიტის, ღარბუთის, ნახადის, ენძების, ხაშალხუტის ლეკები). სოფლის ცენტრში ხაშალხუტელები მოხვედრილან და ამიტომ მთლიანად სოფელსაც ხაშალხუტი უწოდეს.

ცნობილია, რომ 1944 წელს საბჭოთა მთავრობამ ჩაჩნები საკუთარი მიწა-წყლიდან აყარა და შუა აზიაში გადაასახლა. სამაგიეროდ ჩაჩნების

© გიორგი მეურმიშვილი

ტერიტორიაზე სხვა ეთნოსებს ასახლებდა. ქ. გროზნოს მახლობლად გადასახლების ხვედრი ხვდათ საქართველოში მცხოვრებ ლეკებსაც. კახეთის სამ სოფელში (*თივი, თებელჯოხი, ხაშალხუტი*) მცხოვრები ლეკები ჩაჩნეთში – *შურაგაცში, რითლაბში, ვედენოში, ანდალალში, ნოვოლაკის რაიონში* ჩაასახლეს. „მთავრობის გადაწყვეტილებით 1944 წლის 7 აგვისტომდე კახეთი უნდა დაეტოვებინათ ლეკებს. მათ ნება ეძლეოდათ თან წაეღოთ პირადი ქონება, საკუთარი პირუტყვი, ასევე სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულების შედეგად დარჩენილ კოლმეურნეობებში გაერთიანებული პირადი სახსრები და საქონელი. გადასახლების გაადვილების მიზნით მარცვლეული უნდა ჩაებარებინათ დამზადებისათვის, ხოლო სამაგიეროს მიიღებდნენ ახალი დამზადების ადგილას. რადგან იმ ხანად მოსავალი ჯერ არ იყო აღებული“ (ნ. ომარაშვილი).

ხუნძების კახეთიდან გასახლება ერთ დღეს – 4 აგვისტოს დაიწყო და მეორე დრეს – 5 აგვისტოს დამთავრდა. გადასახლეს 633 ოჯახი, სულ 2035 სული. 1955 წელს საქართველოდან ჩაჩნეთში მიგრირებული ლეკები კი ისევ უკან, საქართველოში გადმოასახლეს. სოფელ თივში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალა: „1955 წელს ჩაჩნები მოვიდნენ უკან თავიანთ სოფლებში, ჩვენ მათთან დაპირისპირებაც მოგვივიდა. შემდეგ ჩვენი სოფელი მოვითხოვეთ. აქ (*თივი, თებელჯოხი, ხაშალხუტი*) ქვა-ქვაზე არ იყო დარჩენილი. ჩვენი უფროსი ხალხი (3-4 კაცი იქნებოდა) *მჟავანაძესთან* მივიდნენ. კითხეს: თუ შეიძლებოდა ჩამოსახლება. *მჟავანაძემ* უარი უთხრა, მაგრამ ჩვენ მაინც ჩამოვედით. აბა, სად წავსულიყავით. მერე სამხედრო დააყენეს, მაგრამ ჩვენ მაინც ავაშენეთ სოფელი“. ლეკებთან დაწყებულა მოლაპარაკებები, მაგრამ გროზნოდან წამოსულ დაღესტნელთა რიცხვი დღითიდღე მატულობდა. ლეკებს შესთავაზეს გარდაბნისა და წითელწყაროს რაიონებში დასახლება, შემდეგ – ყვარლისა და ლაგოდეხის მიწებზე, მაგრამ მათ აქ დასახლებაზე უარი თქვეს. ლეკებს სოფელ *მთისძირის* (1944 წლამდე ხუნძური სოფლის – *ხაშალხუტი*) გვერდით დასახლება შესთავაზეს. ამ მოლაპარაკებების პერიოდში ლეკებს ღია ცის ქვეშ უხდებოდათ ცხოვრება, გაჩნდა ეპიდემია, გაჭირვებაში ჩავარდნილნთაგან ბევრი გარდაიცვალა. ყველაფრის მიუხედავად ლეკები მოითხოვდნენ სოფელ *მთისძირის* ქართველებისგან დაცლას. იმ პერიოდში ყვარლის რაიონში დაახლოებით 240 კომლი ჩამოსული ხუნძი ერთად, კომპაქტურად დასახლებას ითხოვდა, რასაც რელიგიური თავისებურებებით ასაბუთებდნენ. ქართული მხარე ლეკებს სხვადასხვა ქართულ სოფლებში გაფანტულად დასახლებას სთავაზობდა.

ყვარლის რაიონში 1955 წელს უკან 612 ოჯახი დაბრუნდა. 1957 წელს ლეკთა ახალი ტალღა შემოვიდა ყვარელში, დაახლოებით 575 სული, რომლებიც სხვადასხვა სოფლებში: *ახალსოფელში, ბალღოჯიანში, ჭიკაანში* დაასახლეს. 1957-1958 წლებში, მთავრობის გადაწყვეტილებით, ყვარლის რაიონში ჩამოსახლებულ ხუნძებს გამოეყოთ სახვნელ-საძოვარი მიწები.

1958-1959 წლებში ლეკები კვლავ ერთად დასახლება მოითხოვეს. მათი ეს სურვილი დააკმაყოფილეს და შეიქმნა ოთხი ლეკური სოფელი: *თივი, თხილისწყარო, სარუსო, ჩანტლისყურე* (1944 წლამდე აქ არსებული სოფელი *თებელჯოხი,* ლეკთა გადასახლების შემდეგ გაუქმდა; სოფლის მიწები სოფ. *ჭიკაანს* გადასცეს). *ჩანტლისყურეში ტლიადალის* და *ბეჟიტის* ლეკობაა დასახლებული; ისინი ეთნიკური *კაპუჭელები* არიან. სოფელ სარუსოში *ხაშალხუტები, ნახადელები, ღარბუთლელები* ცხოვრობენ, სოფელ *თხილისწყაროში – ენძებელები.*

როგორც ზემოთ აღინიშა, დაღესტნელების დასახლებები საქართველოში – ყვარლის რაიონში XIX საუკუნის 30-40 წლებიდან იწყება, თუმცა თივის ხუნძური დასახლება უფრო გვიანდელია. თივში *ანწუხელები* ცხოვრობდნენ,

რომლებსაც 1852 წლამდე *ბეჟანიანის მინდორზე* ჩაასახლეს, ხოლო 1852 წელს, როცა *ძველი გავაზი* აღადგინეს, ანწუხელებისთვის სამოსახლოდ მიწები მდ. *ავანისხევის* მარჯვენა სანაპიროზე მიუცია.

საქართველოში მცხოვრები დაღესტნელები, ისევე როგორც დაღესტანში მცხოვრებნი გადარეკვით მესაქონლეობას მისდევდნენ. ზამთარში საქონელი დაღესტნიდან ყვარლის რაიონში ჩამოყავდათ, გამოზამთრებიდან, გაზაფხულის დადგომისთანავე „ადალაი გორებზე“ დაღესტანში მიყავდათ. ასეთი სეზონური მიგრაცია კახეთიდან – დაღესტანში და, პირიქით, საქართველოში დასახლებულ დაღესტნელებს (ხუნძებს და კაპუჭელებს) მაშინდელ ხელისუფალთან დიდ პრობლემებს უქმნიდა.

ყვარლის რაიონში დაღესტნელების ინტენსიური ჩამოსახლება 1941 წელს მოხდა. ხაშალხუტისა და თივის სასოფლო საბჭოებში დაღესტნის *თლიარატის* რაიონიდან გადმოსახლებული 215 კომლი დაფიქსირდა. 1941-1942 წლებიდან კახეთში მცხოვრები ლეკები ოფიციალურად საქართველოში და არა დაღესტანში მცხოვრებ ხალხად მიიჩნევა. ამ პერიოდიდან საქართველოში მიგრირებულ ხუნძებს დაღესტანთან სამეურნეო კავშირი მოეშალათ (ვგულისხმობთ გადარეკვით მესაქონლეობას).

საქართველოში, – ყვარლის რაიონში კომპაქტური ხუნძური სოფლები (*თივი, თებელჯოხი, ხაშალხუტი*) ოფიციალურად XX საუკუნის 30-40-იანი წლებიდან ფიქსირდება, რომლებიც 1944 წლამდე, ჩაჩნეთში გადასახლებამდე არსებობდა. დაღესტნელები საქართველოში კვლავ 1955 წელს სახლდებიან, რომლებსაც 1959 წლამდე არ გააჩნდათ კომპაქტურად დასახლებული სოფლები. 1959 წლიდან ყვარლის რაიონში ჩნდება სამი ხუნძური სოფელი: აღადგინეს სოფელი *თივი*, დაარსდა სოფელი *ჩანტლისყურე* და სოფელი *სარუსო;* 1970 წელს დაარსდა კიდევ ერთი ლეკური სოფელი – *თხილისწყარო.* ამრიგად, 1990 წლამდე საქართველოს ყვარლის რაიონში დაღესტნიდან ჩამოსახლებული ხუნძების ოთხი სოფელი არსებობდა. 1990 წლის მოვლენების შედეგად, მთლიანად მოხდა ერთი სოფლის – *თხილისწყაროს* მოსახლეობისგან დაცლა და იქ ქართველები ჩასახლდნენ (დღევანდელი სოფელი *საცხენისი;* ცხოვრობენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან გადმოსახლებული ქართველები და უმნიშვნელო რაოდენობით რუსებიც).

დღეს საქართველოში დაღესტნიდან ჩამოსახლებული ხუნძების მხოლოდ სამი სოფელია: *თივი, სარუსო, ჩანტლისყურე* და ერთი ქუჩა – ქალაქ *ლაგოდეხში* (აქ ისინი XIX საუკუნის მოერე ნახევარში დასახლებულან). სოფელ *თივში* 400 კომლიდან დღეს 100 კომლია დარჩენილი, უმეტესად – მოხუცები; სოფელ *სარუსოდან* 100 კომლია მიგრირებული, დარჩენილია 70 კომლი; *ჩანტლისყურედან* 250 კომლიდან 150 ოჯახია წასული.

სოფელ *თივს* ხუნძები *გურგინთლ ბაკ*-ს („მრგვალი ადგილი“) უწოდებდნენ, ხოლო დღევანდელ ტოპონიმს (*თივი*) თივის ზვინებს უკავშირებენ. *ჩანტლის ყურე*“-ს კი ხუნძები „ღორების ტბას“ ეძახიან.

სამივე სოფელი (*ჩანტლისყურე, თივი, სარუსო*) მთისწინეთს წარმოადგენს. აქ განვითარებულია როგორც მიწათმოქმედება, ასევე მესაქონლეობა. მიწათმოქმედებას უფრო *ჩანტლისყურეში* და *სარუსოში* მისდევენ. არაერთი შემთხვევაა დაფიქსირებული დღეს ხუნძებისა და ქართველების მიერ მიწის ზიარად დამუშავებისა. მოწეულ მოსავალს ყვარელის ან ახალსოფლის ბაზარზე ყიდიან.

სხვადასხვა აღმსარებლობის მიუხედავად, დღეს ქართველები, ლეკები და აგრეთვე უდიები მეგობრულად და შეხმატკბილებულად ცხოვრობენ. სოფელ თივის გვერდით *მთისუბანში* აჭარიდან მიგრირებული მუსლიმი ქართველები მკვიდრობენ, რომლებიც აქ 1990-იანი წლებიდან ცხოვრობენ. მაჰმადიან

ქართველები და სოფელ *თივის* ლეკური მოსახლეობა ერთმანეთში ეკონომიკური და სამეურნეო საქმიანობთაა დაკავშირებული.

დღეს, პოლიტიკური ვითარების გამო, საქართველო-დაღესტნის საზღვარი ჩაკეტილია. და ლეკებს გაძნელებული აქვთ ისტორიულ სამშობლოსთან ურთიერთობა, მისვლა-მოსვლა. საქართველოდან დაღესტანში მოსახვედრა მხოლოდ აზერბაიჯანის გავლითაა შესაძლებელი.

ისევე როგორც ყველა დაღესტნელი, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში – კახეთში მცხოვრები ხუნძებიც სუნიტი მუსლიმები არიან. დღეს სამივე სოფელში – *თივი, ჩანტლისყურე, სარუსო* – აქვთ მეჩეთი. თივში მოღვაწე ახალგაზრდა მოლას განათლება მაჰაჩყალაში აქვს მიღებული. საქართველოში მცხოვრები ხუნძები მორგებული არიან ქართული ცხოვრების წესს და რიტმს. იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ხუნძები კომპაქტურად ცხოვრობენ, გამართულად მეტყველებენ ქართულ ენაზე, რაც ძირითადად მეზობელ ქართველებთან ეკონომიური ურთიერთობებითაა განპირობებული. საგულისყუროა ის ფაქტიც, რომ სოფელ *თივის* გვერდით მცხოვრები მაჰმადიანი ქართველები ხუნძურ ენასაც ფლობენ.

V. ირანულენოვანი ხალხები

V. 1. ოსები

ოსები ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში ცხოვრობენ. მათი თვითსახელწოდებაა **ირონ, დიგორონ**. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ოსებს XX საუკუნემდე ერთიანი ენდოეთნონიმი არც ჰქონიათ. აღმოსავლეთ ოსეთის სამ ხეობაში მცხოვრები ოსები თავიანთ თავს **ირონს** უწოდებდნენ, ხოლო დასავლეთით, დიგორის ხეობაში მცხოვრებნი – *დიგორონ*-ს. მიუხედავად ამისა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეზობელი ხალხები ოსური ეთნოსის ამ ორ ნაწილს სხვადასხვა ხალხებად აღიქვამდნენ. ამავე დროს, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ერთიანი თვითსახელწოდების არარსებობის მიუხედავად, ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრებ ამ ირანულენოვან ხალხს ერთიანი თვითშეგნება მაინც ჰქონდა. რაც შეეხება ეთნონიმს **ოსი** და დღევანდელი რუსეთის ფედერაციაში შემავალი ტერიტორიული ერთეულის სახელწოდებას – **ოსეთი,** ოსები არასდროს არ იცნობდნენ. ჯერ რუსულ ენაში და შემდეგ სხვა ხალხებში ეთნონიმი (ეგზოეთნონიმი) *ოსი* ქართველთაგან გავრცელდა. ამ ეგზოეთნონიმით ოსებს ქართველთა გარდა, ფაქტობრივად, არავინ არ იცნობდა. ოსები ანტიკური პერიოდის საისტორიო წყაროებში ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში და უფრო ჩრდილოეთით მოსახლე ალანების ნარჩენ ხალხად მიიჩნევა, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ისიც ხაზგასმულია, რომ ოსები ალანების პირდაპირი და უშუალო შთამომავლები არ არიან. ოსური ეთნოსი ჩრდილოეთ კავკასიის მთებში, XIII საუკუნის შემდეგ, ადგილობრივ კავკასიელებთან შერევის შედეგად ჩამოყალიბებულად მიაჩნიათ. ჩვენი აზრით, ოსების ეთნოგენეზი არა კავკასიაში, არამედ შუა აზიაში – არალისპირეთში მოხდა. მართალია, ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე არალისპირეთიდან აყრილი ოსთა წინაპარ ალანებს სხვადასხვა ხალხები ერეოდნენ, მათ შორის, კავკასიელებიც, მაგრამ ამ შერევებს ახალი ეთნოსის წარმოქმნა არ გამოუწვევია. ეთნოსის ძირითადი ნიშანი – ენა ალან-ოსებს არ შეუცვლიათ და, ამდენად, ეთნოგენეზზე საუბარიც არ შეიძლება. სხადასხვა ეთნოსების წარმომადგენელთა ალან-ოსებში შერევა მხოლოდ ჩვეულებრივი ეთნიკური პროცესი იყო, – ეთნოსის (ალან-ოსების) ევოლუციისა და ეთნიკური ისტორიის ფაქტი.

ალანები პირველად ახ. წ.-ის I საუკუნეში არიან ნახსენები. *იოსებ ფლავიუსი* ამ ეთნოსის მატარებელ ხალხს *მეოტიდის ზღვას* და *ტანაიდის* ირგვლივ ათავსებს. ეთნონიმის *ოსის* მსგავსი ეთნონიმიც ადრინდელ წყაროებშია მოხსენიებული. II საუკუნის ავტორი *პტოლემეოსი* ალანებთან ერთად *იაზიგებსაც* ასახელებს. კავკასიის ხალხებში გავრცელებული ოსების აღმნიშვნელ ეგზოეთნონიმებია/ალოეთნონიმებია: ყაბარდოელები მათ უწოდებენ – *ქუეშხე*-ს, აბაზები – *ასატინ*, აფხაზები – *აუაპს*, ყარაჩაელები – *ტეგეილი* ან *დიუგერლი*, ბალყარელები – *დიუგერლი*, ინგუშები და ჩაჩნები – *ხირი*, ხუნძები – *ხირიოლ*. საყურადღებოა, რომ ეთნონიმები *ალანი* და *ასი* სხვა ხალხთა ეთნონიმებში აისახა. ალანებს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა დღევანდელ ყარაჩაელებს უწოდებს, თვით ოსები კი *ასიაგ*-ს (*ასინს*) ბალყარელებს უწოდებენ, რაც შორსმიმავალი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ოსები *თუალთა*-ს სახელით იყვნენ ცნობილნი. სხვათა შორის, ეთნონიმების *დიგორის, თუალის, ირონის* შესახებ ცნობილი ოსი მეცნიერი *ვ. აბაევი* აღნიშნავდა, რომ ისინი ირანულ ეთნოლინგვისტურ გარემოს კი არ უკავშირდებიან, არამედ კავკასიურ ენათა სუბსტრატს, რომელთა მატარებელნიც ჩრდილოეთ კავკასიის მთებსა და მთისწინეთში მოსულ ალანებთან შევიდნენ კონტაქტში. სატომო სახელწოდებანი – *დიგორი, ირონი, თუალი* – წერდა *ვ. აბაევი*

– არ „აიხსნებიან ირანულით და წარმომავლობენ ოსებამდელი მოსახლეობის თვითსახელწოდებებიდან, რომლებიც ირანიზაციის შემდეგ შენარჩუნდნენ“.

ოსური ენა აღმოსავლურ ირანული ენების ჩრდილო-აღმოსავლურ ჯგუფს ეკუთვნის. ოსური ენას ორ დიალექტი – *ალაგირული/ირონული* და *დიგორული* – გააჩნია. სხვათა შორის, ბევრი სპეციალისტის აზრით, დიგორული და ირონული ორი ენაა და არა ერთი ენის ორი დიალექტი.

რუსეთის ფედერაციაში ოსების რაოდენობა 402 ათასი კაცია, მათ შორის, ჩრდილოეთ ოსეთში – 335 ათასი კაცი. ცხოვრობენ აგრეთვე ყაბარდო-ბალყარეთში (10 ათასი კაცი), სტავროპოლის მხარეში, ყარაჩაი-ჩერქეზეთში (დაახლ. 4 ათასი კაცი). ოსები ცხოვრობენ საქართველოშიც (1989 წლის მონაცემებით – 164 ათასი კაცი. აქედან ე. წ. სამხრეთ ოსეთში – 65 ათასი კაცი).

ოსების სამშობლოა ჩრდილოეთ კავკასია. დღეს რუსეთის ფედერაციაში შემავალ ე. წ. „ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიას“ შედარებით დიდი ტერიტორია უკავია, ვიდრე XVIII საუკუნეში. XVIII საუკუნის ბოლომდე ოსები მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის ოთხ ხეობაში იყვნენ განსახლებულნი. ესენი იყო *ალაგირის, ქურთულის, თაგაურის* და *დიგორის ხეობები* (საზოგადოებები). პირველი სამი ხეობა *ალაგირელებით* იყო დასახლებული, მეოთხეში კი *დიგორელები* მკვიდრობდნენ. ყველაზე დასავლეთით *დიგორის ხეობა* მდებარეობს, რომელიც დღევანდელი მდ. *ურუხის* ხეობის ზემო წელს მოიცავდა. დიგორელები განსახლებულნი იყვნენ მდინარეების *სარდი-დონისა* და *სინგუტი-დონის* გასწვრივ. დიგორელების წარმოდგენით, დიგორი *მაცუტიდან* იწყება და მოიცავს *სტურ-დიგორის, მახჩეს, გულარის, დონიფარის, ზადალეს ხეობებს* და იყოფა *მთიან დიგორად* და *ტაპან-დიგორად (ქვემო დიგორიად). ალაგირელები დიგორელებს* აღმოსავლეთით ესაზღვრებოდნენ. ეს ხეობა მდ. *არდონზე* მდებარეობდა. შემდეგ მდ. *ფიაგდონის* აუზში *ქურთითის ხეობის/საზოგადოების* ოსებს ჰქონდათ დაკავებული; უკიდურეს აღმოსავლეთით კი *თაგაურის ხეობის* ანუ *დარგავის* საზოგადოების ოსები ცხოვრობდნენ თერგის შენაკად მდ. *გიზელდონის* აუზში. არდონის ხეობის ზემო წელში *თუალთა* მდებარეობდა, რომლის მოსახლეობა ალაგირელთა მიგრაციის შედეგად იყო ჩამოყალიბებული. *თუალთა* კი სხვა არაფერია, თუ არა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხე *დვალეთი,* სადაც ისტორიულად ექვსი თემის ქართველი მთიელები (*დვალები*) ცხოვრობდნენ. ისინი განსახლებულნი იყვნენ *ჟღელის, ზრამაგის, ნარას, ზროგოს, ზახას, კასრის ხეობებში.*

ოსებს შორის ფართოდაა გავრცელებული ლეგენდა მათი *ოს-ბაყათარიდან* წარმომავლობის შესახებ. ერთ-ერთი გადმოცემით, მას შვიდი შვილი ჰქავდა: *სიდამონი, ცარაზონი, კუსაგონი, ძახილი, ტეტლო, აგუზი* და მეშვიდე – ხარჭასაგან გაჩენილი. სხვადასხვა ოსური გვარები თავიანთ წარმომავლობას სწორედ ჩამოთვლილ პიროვნებებს უკავშირებენ. სხვა ოსური გადმოცემებით, რომელიღაც მათ წინაპარს ორი შვილი – *თაგა* და *ქურთა* – ჰყავდა, რომლებისგანაც *თაგაურები* და *ქურთაულები* მომდინარეობენ. იგივე გადმოცემით, *თაგა* და *ქურთა* სომხეთიდან იყვნენ მიგრირებულნი.

საისტორიო წყაროებში *ირონელები* XVII საუკუნემდე, ფაქტობრივად, არ იხსენიებიან. რაც შეეხება *დიგორელებს,* ისინი ადრე შუა საუკუნეების მხოლოდ ერთადერთ წყაროში – VII საუკუნის „სომხურ გეოგრაფიაში“ არიან დასახელებული. შემდეგ ეს ტერმინი ქართულ, რუსულ და დასავლეთევროპულ საისტორიო წყაროებში XVII-XVIII საუკუნეებში ჩნდება. ქართული დოკუმენტი, რომელშიც პირველად *დიგორია* მოხსენიებული (ბასიანის ანუ ბალყარეთის ხეობის გვერდით), 1691 წლით თარიღდება. XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ავტორის *გლავანის* ცნობით, „დიუგერის“ მხარეში 500 ოჯახი ცხოვრობდა და ისინი ყაბარდოელებს ემორჩილებოდნენ. იმავე საუკუნის 40-იანი წლების რუსულ დოკუმენტებში დიგორელები უკვე რამდენჯერმე არიან მოხსენიებულნი. 1743 წლის რუსულ საბუთში დიგორელებთან ერთად *სტურდიგორელებიც* არიან

დასახელებულნი. XVIII საუკუნის 20-30-იან წლებში დიგორელებს ვხვდებით *ვახტანგ VI-ის* მიერ გაცემულ დოკუმენტებში. *ვახუშტი ბაგრატიონის* სიტყვებით: *„ხოლო კასრის ჭევის დასავლით არს დიგორი, რომელი განიყოფის ორად – ჩერქეზიძედ და ბადელიძედ. და არს სიგრძე ამისი რაჭის კავკასიდამ ჩერქესამდე“.* დიგორელებსა და დიგორიის მხარეს, ოსეთთან ერთად *გიულდენშტედტი, შტედერი* და *პალასი* ასახელებენ. *ვახუშტი* დაწვრილებით აღწერს ოსთა სხვა ხეობებსაც: *თაგაურს, ქურთაულს, ვალაგირ-ფაიქომს.*

ეთნოლოგი *ნ. ვოლკოვა* წერს, რომ ოსთა აღმოსავლეთ ჯგუფების თვითსახელწოდება/ავტოეთნონიმი – *ირონი,* საისტორიო წყაროებში იშვიათად მოიხსენიება. ის იქვე დასძენს, რომ ეს გარემოება გაუგებარია რით უნდა აიხსნასო. ჩვენი აზრით, ეს გარემოება სრულიად ახსნადია, თუ ალანურ-ოსური ტომების განსახლების არეალებსა და მიგრაციის მიმართულებას ადრე შუა საუკუნეებიდან გვიან შუა საუკუნეებამდე დაწვრილებით დავაკვირდებით. *XIII-XIV საუკუნეებამდე ანუ მონღოლთა შემოსევებამდე, ოსები (ანუ მათი წინაპარი ალანები) აღმოსავლეთ ოსეთის ზემოთ დასახელებულ სამ ხეობაში (ალაგირი, ქურთაული, თაგაური) არ ცხოვრობდნენ. მათ ადრეკლასობრივი სახელმწიფო ჩრდილოეთ კავკასიის ბარში ჰქონდათ შექმნილი.* რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიის მთას, ისინი აქ დიგორიაში და მის დასავლეთით დღევანდელი ბალყარეთისა და ყარაჩაის ტერიტორიაზე ადრე შუა საუკუნეებიდან, VI-VII საუკუნეებიდან ცხოვრობდნენ. აი, ეს არის ძირითადი მიზეზი, თუ რატომ იხსენიებიან ადრეულ წყაროებში დიგორელები და რატომ არ იხსენიებიან ირონელები. სხვათა შორის, ბალყარელებში შემორჩენილია გადმოცემა, რომ დიგორელი და ბალყარელი ფეოდალების *ბადელიატების* და *ბასიატების* წინაპრები ჩრდილოეთიდან, მდ. *ყუმის* შუაწელზე მდებარე ადგილ *მაჯარიდან* გადმოსახლდნენ.

ჩრდილოეთ კავკასიის მთებში დასახლების შემდეგ (XIII-XIV საუკუნეებიდან) ოსებს რაიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი აღარ ჰქონიათ. ალანთა (ოსთა) ადრეკლასობრივ სახელმწიფოს საფუძველი V-VI საუკუნეების შემდეგ ჩაეყარა და მონღოლთა შემოსევებამდე იარსება. მონღოლებმა არა მარტო ალანთა (ოსთა) სახელმწიფო მოსპეს, არამედ ალანებს განსახლების არეალი, ეთნიკური ტერიტორიაც დააკარგვინეს. მას შემდეგ „სტეპნიაკი“ ალანები მთიელებად (ოსებად) იქცნენ. ასე რომ, ოსებს და მათ წინაპარ ალანებს ისტორიის ვრცელ მანძილზე მუდმივი ბინადრობის ერთი ადგილი არ ჰქონიათ. ჩრდილოეთ კავკასიის მთებში დასახლებამდე, ოსებმა რამდენიმე საცხოვრისი გამოიცვალეს. **ოსების წინაპარი ირანულენოვანი ტომები თავდაპირველად შუა აზიის სტეპებში ცხოვრობდნენ. ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ალან-ოსები აზოვისა და დონისპირა ველებზე დამკვიდრდნენ. აქ ახ. წ.-ის IV საუკუნის 70-იან წლებში ალანებმა ჰუნების გამანადგურებელი თავდასხმა განიცადეს. გადარჩენილი ალანების მცირე ნაწილმა სამხრეთისაკენ ჩამოიწია და ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ველები დაიკავა.** როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ველებში ალან-ოსებმა შექმნეს ადრეკლასობრივი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელიც მონღოლების მსხვერპლი შეიქმნა. **ოსების საბოლოო და უკანასკნელი შერეკვა ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში XV საუკუნის დასაწყისში, *თემურ-ლენგის* ორგზის გამანადგურებელი შემოსევის შედეგად მოხდა.** რუსი ეთნოლოგი *ნ. ვოლკოვა* წერდა, რომ ჰუნთა თარეშების შემდეგ, ალანები, ანტიკური დროის ალანებთან შედარებით, სრულიად განსხვავებულ ისტორიულ-გეოგრაფიულ და კულტრულ-სამეურნეო პირობებში აღმოჩნდნენ. კავკასიურ ნიადაგზე ალანი ხალხის ჩამოყალიბების პროცესი IV-VI საუკუნეებს უნდა მივაკუთვნოთ. სწორედ ამ დროიდან ჩრდილოეთკავკასიელი ალანები თანამედროვე ოსების პირდაპირ წინაპრებად უნდა ჩავთვალოთ. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ V საუკუნემდე ალანებზე წერდნენ, როგორც მომთაბარე ხალხზე, VII საუკუნიდან არქეოლოგიური მასალებით, ისინი უკვე ბინადარ ცხოვრებას მისდევენ და ჩრდილოეთ კავკასიის

ეთნოკულტურული სამყაროს წარმომადგენლები არიან. ხაზი უნდა გავუსვათ, რომ **IV საუკუნის რომაელი ავტორი *ამიანე მარცელინი* ალანებს სკვითთა სტეპების ბინადრებად თვლიდა, რომლებიც ჰუნების მსგავსად კიბიტკებში ცხოვრობდნენ და საერთოდ არ იცოდნენ მიწათმოქმედება.** რაც შეეხება მათ მთაში ცხოვრებას, VI საუკუნიდან ისინი აქაც ჩანან, ოღონდ არა ალაგირის, ქურთათის და თაგაურის ხეობებში, არამედ, დასავლეთით, მდ. *ყუბანის* მთიან ზოლში. აქ ისინი აფხაზეთს ემეზობლებოდნენ და მთაში მათი განსახლების არეალი მოიცავდა დღევანდელ ყარაჩაის, ბალყარეთის და დიგორის ტერიტორიებს. ყარაჩაისა და ბალყარეთის ტერიტორიაზე ალანურ-ოსური ტომების ასიმილაცია გვიან, მონღოლთა შემოსევების დროს მიგრირებულმა თურქულენოვანმა ხალხმა მოახდინა. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ დღევანდელ ყარაჩაელებს დასავლეთ საქართველოს და განსაკუთრებით სამეგრელოს მოსახლეობა *ალანებს* უწოდებდა. ბალყარელებს დასავლეთ საქართველოს მთიელები – სვანები *სავიარს* უწოდებენ, რაც ასევე იმას მოწმობს, რომ ამ ტერიტორიაზე ალანთა მოსვლამდე ცოტა ხნით ადრე *სავირები* ცხოვრობდნენ.

დავუბრუნდეთ ისევ XIII-XIV საუკუნეებს. როგორც აღვნიშნეთ, ამ დროს ხდება ალან-ოსების ბინადრობის ადგილის კიდევ ერთხელ შეცვლა. ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შესული ალან-ოსები ადგილობრივ კავკასიურ ტომებს შეერივნენ. ესენი იყვნენ ქართული წყაროების *კავკასიანნი* და ინგუშთა წინაპარი ტომები. ოსების ადრინდელი საცხოვრისი ჩრდილოეთ კავკასიის ბარში ყაბარდოელებმა დაიკავეს და მთიდან ბარში გამოსასვლელ ადგილებში შექმნეს მტკიცე სიმაგრეები, რათა მთებში შერეკილი ოსები ჩრდილოეთ კავკასიის ბარში საცხოვრებლად აღარ გასულიყვნენ.

XIII-XIV საუკუნეებამდე ოსები ჩრდილოეთ კავკასიის მთებში საერთოდ არ ცხოვრობდნენ (მხედველობაში არა გვაქვს მდ. *ყუბანის* სათავე). მხოლოდ ამ პერიოდიდან გვევლინებიან ისინი ქართველთა უშუალო მეზობლებად. ველის მომთაბარე ოსები მთიელებად იქცნენ. იმდენად მასობრივი იყო ოსების ბარიდან მთებში შესვლა, რომ მათ მიგრაციას ბარიდან მთაში ტოპონიმების გადატანაც კი მოჰყვა. XIII-XIV საუკუნეებიდან მოყოლებული, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ოსებს რაიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი არ ჰქონიათ. მათ არ ჰყოლიათ საერთო მმართველი. ისინი აქ ხეობებში ერთმანეთისაგან განცალკევებით ტერიტორიული თემების სახით ცხოვრობდნენ.

XIII-XIV საუკუნეებიდან XVI საუკუნემდე ოსები ზემოთ აღნიშნულ ჩრდილოეთ კავკასიის ოთხ ხეობაში ჩაკეტილნი ცხოვრობდნენ. XVI საუკუნეში ოსები სახლდებიან საქართველოს განუყოფელ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში *დვალეთში.* სამხრეთისაკენ ოსთა მიგრაციას ქვემოთ დავუბრუნდებით. ამჯერად კი მათ რუსეთთან ურთიერთობას და ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთსა და ბარში მიგრაციის საკითხს უნდა შევეხოთ. რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რუსულ-ოსური ურთიერთობები XVIII საუკუნის შუა ხანებიდან განმტკიცდა. ოსების დიდი ნაწილი რუსეთზე იყო ორიენტირებული და არაერთხელ მიმართავდნენ რუსეთის ხელისუფლებას მიეღოთ ისინი ქვეშევრდომებად. პირველად აღმოსავლეთ ოსეთის უხუცესებს ასეთი თხოვნით 1770 წლის დასაწყისში *ყიზლარის* კომენდანტისათვის მიუმართავთ. თავის მხრივ, რუსეთი ოსეთის შეერთებით დაინტერესებული იყო, რადგან ოსურ ხეობებს სამხრეთ კავკასიასთან დასაკავშირებელი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდგომარეობა ეკავათ. ოსეთის რუსეთთან შეერთების პროცესი *ქუჩუკ-კაინარჯის* ზავის დადების შემდეგ დაიწყო. ცნობილია, რომ აღნიშნული ზავით რუსეთმა ყაბარდო შეიერთა. სამშვიდობო ხელშეკრულებაში ოსეთი საერთოდ ნახსენები არ იყო. ეს ბუნებრივიცაა, ასეთი ქვეყანა, სახელმწიფოებრივი ერთეული იმ დროს არ არსებობდა. რუსულ ისტორიოგრაფიაში 1774 წელი მაინც ოსთა რუსებთან შეერთების წლადაა მიჩნეული. 1774 წლის ოქტომბერში ოსი ხალხის სურვილით ციხე-სიმაგრე

მოზდოკში დაიწყო მოლაპარაკებები *ასტრახანის* გუბერნატორსა და ოცკაციან ოსურ დელეგაციას შორის. მოლაპარაკებების პროცესში შემდეგი საკითხები განიხილეს: ოსების ცენტრალური კავკასიის მთისწინა ველებში ჩასახლება; ოსებით დასახლებული ტერიტორიების რუსეთის იმპერიასთან შეერთება; მეზობელი ფეოდალების თავდასხმებისაგან დასაცავად სამხედრო სიმაგრეებისა და ფორფოსტების შექმნა. ყველა ამ საკითხზე ორივე მხარემ შეთანხმებას მიაღწია. ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ამ მოლაპარაკებებში დასავლეთ ოსეთს (*დიგორელ ოსებს*) მონაწილეობა არ მიუღიათ და 1774 წელს შესაბამისად ისინი არც რუსეთის ქვეშევრდომები გამხდარან. ოსების ძირითადი მიზანი ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ველებში სამოსახლო ადგილების მოპოვება იყო. ამის შემდეგ კი იწყება ოსთა ინტენსიური მიგრაციული პროცესი ჩრდილოეთისაკენ. მიგრაციის ამ მიმართულებამ ოსების სამხრეთისაკენ ანუ საქართველოს ტერიტორიაზე მიგრაცია ფაქტობრივად შეაჩერა, თუ არ ჩავთვლით დვალეთში მცხოვრებ ოსებს, რადგან მათი განსახლების არეალი გეოგრაფიულად უფრო საქართველოსთან იყო დაკავშირებული, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიასთან.

ჩრდილოეთით გადასახლების დაწყებამდე XVIII საუკუნის ბოლოს ოსთა ჩრდილოეთით განსახლების მიჯნები იყო *დიგორის, ალაგირის, ქურთათის* და *თაგაურის* ხეობის გასასვლელები, რითაც ისინი ყაბარდოელებს ესაზღვრებოდნენ. XVIII საუკუნის 70-80-იან წლებში დიგორელთა რამდენიმე დასახლება მთისწინეთში გაჩნდა. მათ შორის, *კარაჯაევო, ყობანი, ვაშტილი, ვასელიგო* და *ტუმა* მდ. *ურუხზე, კუბათი* – მდ. *დურ-დურის* ხეობაში. ახალი დასახლებები *ბადელიატთა* ფეოდალურმა გვარებმა – *კარაჯაევებმა, კუბატაევებმა* და *ტუგანოვებმა* – შექმნეს, რომლებიც ამ მიწებზე თავის ქვეშევრდომებთან ერთად დასახლდნენ. უფრო ადრე, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ოსებმა ეთნიკური საზღვარი აღმოსავლეთითაც გაიფართოვეს. აქ, მდ. *თერგის* მარცხენა ნაპირზე XVIII საუკუნის 20-იან წლებში დასახლდნენ *ლარსში, ჩმიში, ბალთაში* (სამივე ეს სოფელი დარიალის ხეობაში მდებარეობს. რუსული წყაროების ცნობებით, XVI-XVII საუკუნეებში ლარსის მიდამოებში, მდ. *თერგის* მარცხენა მხარეზე ინგუშური მოსახლეობა მკვიდრობდა. აღნიშნულ სოფლებში დასახლებული ოსები ალაგირის ხეობიდან იყვნენ მიგრირებულნი. *კლაპროტის* მონაცემებით, *ლარსში, ჩმიში* და *ბალთაში* მოსახლე ოსები ინგუშებს მიწის სარგებლობისათვის გამოსაღებს უხდიდნენ. იმავე ავტორის ცნობით, *სლონატეს* გვარის ოსებს აქ შემდეგში *თაგაურის ხეობიდან* სხვადასხვა გვარები დამატებიათ. გაძლიერებულ ოსებს ინგუშებისათვის ხარკის გადახდა შეუწყვეტიათ, თუმცა 30 წლის განმავლობაში მცირეყაბარდოელ თავადებს – *მუდაროვებს* კვლავ უხდიდნენ გადასახადს. XIX საუკუნე ოსთა მთიანი ხეობებიდან ბარში ინტენსიური და ჯგუფური გადასახლების პერიოდია. XIX საუკუნის 20-იან წლებში ოსური დასახლებები *ვლადიკავკაზის* დაბლობზე შეიქმნა. აქ ახლადწარმოქმნილ ოსურ სოფლებში ძირითადად ირონელი ოსები ეფუძნებოდნენ.

ახლა ოსების საქართველოში მიგრაციის შესახებ. ყოველგვარ არგუმენტებსა და ფაქტებსაა მოკლებული და მხოლოდ ზოგიერთი ავტორის ახირებას ემყარება თეზისები ოსების საქართველოში ძველი დროიდანვე მკვიდრობის შესახებ. არც ერთი საისტორიო წყაროთი, საბუთით, არქეოლოგიური მასალით არ დასტურდება ოსების საქართველოში მიგრაცია და აქ საბინადროდ გადმოსვლა არც ძვ. წ.-ის სხვადასხვა მონაკვეთში და არც ახ. წ.-ის IV საუკუნეში ჰუნების შემოსევას ალან-ოსების საქართველოში დასახლკარება არ მოჰყოლია. ამ დროს ოსებმა დონისპირა და აზოვისპირა ველებიდან შედარებით სამხრეთით, ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ველებში წამოიწიეს.

არ დასახლკარებულან ოსები საქართველოში არც VII და არც XIII საუკუნეებში, როგორც ეს ზოგიერთ ავტორს წარმოუდგენია. XIII საუკუნეში ოსებმა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში დაიწყეს შესვლა, რაც კარგა ხანს გაგრძელდა და დასრულდა ეს მიგრაციული პროცესი XV საუკუნის დასაწყისში.

ამ პერიოდში მხოლოდ ოსების ერთმა ჯგუფმა სცადა შიდა ქართლში დასახლება. ოსებმა ისარგებლეს საქართველოს დასუსტებით და მონღოლთა მხარდაჭერით ცდილობდნენ შიდა ქართლში სამოსახლო ადგილების მოპოვებას. ოსების მონღოლთა ეს ფაქტობრივად „საპოლიციო რაზმები“, გარკვეული ხნის შემდეგ, მეფე *გიორგი ბრწყინვალეს* მიერ განადგურებული და გაძევებული იქნენ საქართველოდან. ოსთა ამ რაზმების განადგურებისა და გაძევების შემდეგ, საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებმა კარგა ხნით მტკიცედ ჩაკეტეს ოსეთის ხეობებიდან საქართველოში შემოსასვლელი ორივე კარი (*დარიალი, კასრის-კარი*) და კარგა ხნით შეაჩერეს ოსთა საქართველოში მიგრაცია.

კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე ისტორიული საქართველოს პროვინციაში – *დვალეთში* ოსების შემოსახლება XV საუკუნის ბოლოდან იწყება. ეს პროცესი აქ ძირითადად განხორციელდა XVI საუკუნეში, XVII საუკუნეში კი დვალეთში დასრულდა ადგილობრივი ქართველი მთიელების – *დვალების* ასიმილაცია ოსების მიერ. მაგრამ, როგორც *ბ. კალოევის* მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, დვალეთის ზოგიერთ ხეობაში, მაგალითად, *ზახაში* ორენოვნება დიდხანს იყო შემორჩენილი. *ზახელების* უმეტესობამ ქართული ენა კარგად იცოდა. დასახელებული ავტორი ამას საქართველოსთან ხანგრძლივი ეთნოკულტურული კავშირებით ხსნის, აგრეთვე, *ზახის* ეკლესიებში ქართული სასულიერო პირების მოღვაწეობითა და მათ მიერ ქართულ ენაზე ქადაგებით. ეს მასალა პირდაპირ მიუთითებს არა ორ სხვადასხვა ეთნოსს შორის არსებულ ეთნოკულტურულ კონტაქტებზე, არამედ იმაზე, რომ *დვალები* ქართველი მთიელები იყვნენ და მოსულმა ირანულენოვანმა ერთობამ მათი ასიმილაცია მოახდინა. *ზახაში* ქართული ეკლესიების არსებობა, ქართველი მღვდლების მოღვაწეობა და ქართულ ენაზე ქადაგებაც იმის დამადასტურებელია, რომ *დვალეთი* ქართული მხარე იყო თავისი ქრისტიანული რელიგიით. ამავე *ბ. კალოევს* თავის ნაშრომებში იმის დამადასტურებელი მასალაც მოაქვს, რომ XVIII საუკუნის ბოლოსაც *დვალეთის* მკვიდრნი საჭიროების შემთხვევაში საქართველოს ჯარში ისევე იბრძოდნენ, როგორც სხვა მხარეების წარმომადგენლები. ოსების დვალეთში დასახლებამდე, ოსების მოწოლის, თარეშის, ლაშქრობების გამო, დვალების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (*შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, იმერეთი, რაჭა*) განსახლდა. ადგილზე დარჩენილი დვალები, ოსთა ეთნიკურ-ენობრივ გარემოში ამ უკანასკნელთა აქ ჯგუფური შემოსახლებისა და სწრაფი გამრავლების შედეგად ასიმილირებულ იქნენ. წარმოშობით ქართველი მთიელი დვალები იყვნენ: *ხადურები, ჩიფჩიურები, ბიგულები, თვაურები, ჩოჩოურები (იგივე ჩოჩიშვილები), ბელელურები, გუდიაურები, ბაგაურები, გერგაულები, თაბაურები, ხერხეულიძეები, ქესაურები, ფარუხაულები;* აგრეთვე: *ბიგანები (ბიგანიშვილები), ხაბარელები, ხეთერელები, ხაჩიძეები (ადრინდელი ხაჩიურები).* რაც შეეხება ნარ-მამისონის ქვაბულში (ანუ დვალეთში) მოსახლე ყველაზე დიდ ოსურ გვარს *ხეთაგურს (ხეთაგურებს),* მათი წინაპარი აქ ყაბარდოდან იყო მოსული და, ბუნებრივია, ქართულ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში გვარსახელიც *-ურ* სუფიქსით გაიფორმეს. შემდეგ ოსურ ეთნიკურ გარემოში ეს გვარიც გაოსდა.

ნარ-მამისონის ქვაბულში (ანუ ისტორიულ დვალეთში) XVIII საუკუნისათვის განსახლებული ოსური გვარები ძირითადად ალაგირის ხეობიდან იყვნენ გადმოსახლებულნი. საერთოდ, ოსების შიდა ქართლში მიგრაცია ძირითადად დვალეთის გზით ხორციელდებოდა. დვალეთში მოსახლეობის ეთნიკურ ცვლილებას, ამ პროვინციის საქართველოდან ჩამოცილება არ მოჰყოლია. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მთელ მანძილზე და რუსეთის კოლონიად გადაქცევის შემდეგაც (1858 წლამდე), დვალეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. 1858 წლით დათარიღებულ ერთ დოკუმენტში დვალეთის ზახას ხეობაში მცხოვრები *აბაევები* აღნიშნავენ, რომ მათი წინაპრები ერთგულად

ემსახურებოდნენ ქართველ მეფეებს, იცავდნენ მათ ურჯულო ლეკებისა და სპარსელებისაგან. *ბ. კალოევის (ქალოევის)* მიერ მოხმობილი ეს საბუთი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ დვალეთი, მიუხედავად აქ მოსახლეობის ეთნიკური ცვლისა, მუდმივად საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო.

დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა პირველი დასახლებები ჩნდება *თრუსოსა* (მდ. *თერგის* სათავე) და *მაღრან-დვალეთში* (მდ. *დიდი ლიახვის* ხეობის სათავე). ოსების აქ დასახლება ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან XVII საუკუნის შუა ხანებში მოხდა. XVII საუკუნის პირველ ნახევარში ოსებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაკავებული შიდა ქართლის მთიანეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. ისინი აქ მხოლოდ *დიდი ლიახვის* ხეობის სათავეში (*მაღრან-დვალეთში*) იყვნენ მიგრირებული. მთელი რიგი საისტორიო მონაცემებით, XVII საუკუნის პირველ ნახევარში შიდა ქართლის მთიანეთი (დიდი და პატარა ლიახვების ხეობები) ნასოფლარებით იყო მოფენილი. ადგილობრივი ქართული მოსახლეობა აქედან აყრილი და ბარში იყო საცხოვრებლად წასული.

შიდა ქართლის მთიანეთში, კერძოდ, მდინარეების *დიდი ლიახვისა* და *პატარა ლიახვის* ზემო წელში, ოსთა მიგრაცია ხდება XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ისინი თანდათან მოიწევენ სამხრეთისაკენ და XVIII საუკუნის 30-იანი წლებისათვის ითვისებენ დასახელებული ორი ხეობის მთიან ზოლს მთლიანად. აქ, აღნიშნულ პერიოდში, ზოგიერთ მთიან სოფელში ოსები თანაცხოვრობდნენ ადგილზე დარჩენილ მცირერიცხოვან ქართულ მოსახლეობასთან ერთად.

XVIII საუკუნის მთელ მანძილზე ოსები შიდა ქართლის მთისწინეთში, ფაქტობრივად, არსად არ იყვნენ განსახლებული. ოსთა მიერ შიდა ქართლის მთისწინეთის სოფლებში (უფრო ხშირად, ნასოფლარებში) ჩასახლება იწყება XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში.

XVIII საუკუნის დასაწყისში ოსები სახლდებიან *ჯეჯორის* ხეობის სათავეში (*კუდარო*) და *ქსნის* ხეობის სათავეში (*ჟამური*). *ჟამურში* ოსთა მიგრაცია ხდება, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის ალაგირის ხეობებიდან, ისე *დიდი ლიახვის* ხეობის მთიანი ზოლიდან. *კუდაროში* ისინი ძირითადად მიგრირებულნი არიან დვალეთიდან. შიდა ქართლის მთიანეთში ოსები ჯერ ესახლებიან *დიდი ლიახვის* ხეობაში, შემდეგ – პატარა ლიახვის ხეობაში და ქსნის სათავეში (*ჟამურში*). XVIII საუკუნის დასაწყისში მცირე რაოდენობით ოსური მოსახლეობა ჩნდება *მეჯუდას* ხეობის სათავესა და *ისროლისხევში. მეჯუდას* ხეობის სათავეში ისინი *პატარა ლიახვის* ხეობის სათავიდან გადმოდიან.

XVIII საუკუნის ბოლოსათვის სამხრეთით ოსთა განსახლების უკიდურესი პუნქტები იყო (დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით): ***კუდარო* (მდინარე ჯეჯორის სათავე რაჭაში) – *გუფთა* (მდ. დიდი ლიახვის ხეობა) – *აწერისხევის* ხეობის ზემოთ (პატარა ლიახვის ხეობაში) – *მეჯუდის* ხეობის სათავეში ორი სოფელი – *ჟამური* (ქსნის ხეობის სათავე) – *ღუდა* (მდ. თეთრი არაგვის ხეობის სათავე მთიულეთში) – *თრუსო* (მდ. თერგის სათავე).** XVIII საუკუნის ბოლოსათვის ოსები საერთოდ არ იყვნენ *ლეხურას* ხეობაში, *მეჯუდას* ხეობაში (მისი სათავის გამოკლებით), *ქსნის* ხეობის მთიანეთის დიდ ნაწილში, *ფრონეების* ხეობაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორც *ვახუშტი ბაგრატიონის* დროს, ისე XVIII საუკუნის დასასრულს, ოსები საქართველოს ცალკეული ხეობების მხოლოდ „უვენახო-უხილო“ ზონაში ანუ „მთის ადგილებში“ ცხოვრობდნენ.

XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში ოსები იკავებენ *პატარა ლიახვის* ხეობის მთისწინეთის მნიშვნელოვან მონაკვეთს. ამ პერიოდიდან და განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველ ათეულ წელს ხდება ოსთა გაჟონვითი ანუ ინდივიდუალური განთესვა შიდა ქართლის მთიანეთიდან შიდა ქართლის მთისწინეთისა და ბარის სოფლებში. ამ დროისათვის ოსთა ასეთი განსახლება განსაკუთრებით განხორციელდა *პატარა ლიახვის* ხეობის მთიანი მონაკვეთიდან.

XVIII საუკუნის დასასრულიდან ფაქტობრივად შეწყდა ოსთა მიგრაცია ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან საქართველოს მიმართულებით, რადგან რუსეთის ოფიციალურმა ხელისუფლებამ მათ დასახლების საშუალება მისცა ჩრდილოეთ კავკასიის ბარის რაიონებში. განსაკუთრებულ გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ დვალეთის ოსური მოსახლეობა, რომლებსაც დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მიგრაცია არ შეუწყვეტიათ თითქმის მთელი XIX საუკუნის მანძილზე. საერთოდ, ოსების საქართველოს ტერიტორიაზე განსახლება უმეტესად დვალეთის გზით ხორციელდებოდა. ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან დვალეთში შემოსახლებულები გარკვეული ხნით აქ დამკვიდრების შემდეგ შიდა ქართლის მთიანეთში გადმოდიოდნენ საცხოვრებლად. თუმცა არაერთი ფაქტია დადასტურებული ოსთა გადმოსახლებისა უშუალოდ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთიდან, განსაკუთრებით მიგრაციის ადრეულ, საწყის ეტაპზე.

სინამდვილეს არ შეესაბამება ზოგიერთი ავტორის მტკიცება XVII-XVIII საუკუნეებში შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში ოსთა განსახლების შესახებ. XIX საუკუნის დასაწყისიდან იწყება ოსთა მიგრაცია *ფრონეების* ხეობაში, *მეჯუდას* ხეობაში, *ლეხურას* ხეობაში და *ქსნის* ხეობის მთიანეთის სხვა დასახლებულ პუნქტებში. *ფრონეების* ხეობაში ოსების მიერ ქართველთა ნასოფლარებში დაფუძნება ხდება ძირითადად *დიდი ლიახვის* ხეობიდან, თუმცა, თვალშისაცემია, რომ პირველი ოსი მიგრანტები *ფრონეების* ხეობის ქართველთა ნასოფლარებში დვალეთიდან წამოსული ოსები იყვნენ. *პატარა* და *დიდი* ლიახვის ხეობებიდან გადმოდის მოსახლეობა *მეჯუდას* ხეობაში. *ლეხურას* ხეობაში ოსების მიგრაცია ძირითადად *ქსნის* ხეობიდან (*ჟამური, ჭურთა*) ხდებოდა. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის პირველ სამ ათეულ წელს, *ლეხურას, მეჯუდასა* და *ფრონეების* ხეობებში ოსთა დასახლკარებას ინტენსიური ხასიათი არ ჰქონია. ინტენსიურად ამ ხეობების მოშენება ძირითადად მოხდა XIX საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული, ვიდრე 1880-იან წლებამდე.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ჩნდება თითო-ოროლა ოსური ოჯახი შიდა ქართლის გაღმამხარში, სადაც მათი მიგრაცია ძირითადად XIX საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასახლდნენ ოსები დღევანდელი ბორჯომის რაიონში (*გუჯარეთის* ხეობა).

კახეთსა და ქვემო ქართლში ოსები შიდა ქართლის მთიანეთიდან XX საუკუნის დასაწყისში გადასახლდნენ.

ოსების საქართველოში შემოსვლა და დასახლება მთლად მშვიდობიანი არ იყო. ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში მომწყვდეულმა ოსებმა ძალით გაიკაფეს გზა, როგორც დვალეთში, ისე შიდა ქართლის მთიანეთში. საისტორიო საბუთებით აშკარაა, რომ ადგილობრივი მთიელი ქართველი გლეხები ოსთა თავდასხმებით შეწუხებულნი, სტოვებდნენ მამა-პაპათა საცხოვრებელ ადგილებს და ბარში სახლდებოდნენ. ბარში კი მათთვის ამ თვალსაზრისით, ხელსაყრელი მდგომარეობა იყო. მტერთა ხშირი თავდასხმებისაგან, შიდა ქართლის მთისწინა და ბარის რეგიონები დემოგრაფიულად კატასტროფამდე იყო მისული.

დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში ოსთა მიგრაციას ერთგვარად ხელი შეუწყო აგრეთვე იმდროინდელი საქართველოს სოციალ-პოლიტიკურმა ვითარებამ. მტერთა ხშირი თავდასხმებისაგან დაშლილი და დაქუცმაცებული საქართველო ვეღარ ახორციელებდა კონტროლს ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსასვლელ ჩამკეტ კარებებზე – *კასრის კარზე* და *დარიალზე*.

მომდევნო პერიოდისათვის (XVIII საუკუნე) იმდენად დაეცა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და იმდენად კატასტროფული შეიქმნა დემოგრაფიული სიტუაცია შიდა ქართლში, რომ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურები (მეფე, თავადები) თავად უწყობდნენ ხელს და ხშირად იწვევდნენ ოსებს საქართველოში დასასახლებლად.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შიდა ქართლის მთიანეთისა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში მთისწინეთის არაერთ სოფელში ოსთა ერთ თაობაზე მეტს არ

მოუწია ცხოვრება. მთისა და მთისწინეთის ამა თუ იმ სოფელში მცირე ხნით მკვიდრობის შემდეგ, ოსები უფრო სამხრეთით ეშვებოდნენ. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის მასალებზე თვალის გადევნებით. XIX საუკუნის დასაწყისში მთისწინეთის სოფლებში დასახლებულნი, ამავე საუკუნის შუა ხანებიდან ინტენსიურად გადადიან საცხოვრებლად ბარის სოფლებში. ასე რომ, XVIII საუკუნის ბოლოდან და XIX საუკუნის მთელ მანძილზე საქართველოს მაღალმთიანეთის სოფლებიდან დაბლობის მიმართულებით, ოსთა თანდათანობითი, ინტენსიური წინ წამოწევა აშკარაა, რასაც უდავოდ მიესადაგება ქართულ ისტორიოგრაფიაში ხმარებული ტერმინი ***ჩამოწოლა.*** იმდენად დიდი მოძრაობა ახასიათებდათ ოსებს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბარის სოფლებში დასახლებულნი, ბარისავე სხვა სოფლებში გადადიოდნენ საცხოვრებლად.

ოსები რომ დიდი ხნის ჩამოსახლებულნი არ იყვნენ შიდა ქართლის მთიანეთში, ამის დამადასტურებელია მათი სოციალური მდგომარეობაც. XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრებში *დიდი ლიახვის* ხეობაში მოსახლე ოსების საკმაოდ დიდი ნაწილი ***ხიზნებადაა*** ჩაწერილი. *ხიზანი* კი, როგორც ქართული საისტორიო წყაროებითა და სათანადო გამოკვლევებით ცნობილია, საკუთარი სამკვიდრებლიდან აყრილი და სხვაგან თავშეფარებული გლეხია.

ზოგიერთი ოსი ავტორი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ოსთა რაოდენობას ხან 6000 და ხან 7000 კომლით განსაზღვრავს. რეალურად კი XVIII საუკუნის დასასრულს დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე 2.130 კომლი (15.000-მდე სული) ოსი მკვიდრობდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსები ორი ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფისაგან შედგებოდნენ, *დიგორელებისა* და *ირონელებისაგან.* შესაბამისად, ოსურ ენას ორი დიალექტი აქვს: *დიგორული* და *ირონული.* ოსები უდამწერლობო ხალხი იყო. დღეს მათი დამწერლობა შექმნილია რუსული გრაფიკის საფუძველზე. თუმცა პირველი ოსური ანბანი ქართული გრაფიკის საფუძველზე იყო შექმნილი. მისი ავტორი ქართული კულტურის საფუძველზე აღზრდილი *იოანე იაღლუზიძე (გაბარათი)* (1775-1830 წწ.) იყო. 1820 წლიდან ის თბილისის სასულიერო სემინარიაში მოსწავლე ოს ბავშვებს ქართულ და ოსურ ენებს ასწავლიდა. სწორედ ამ პერიოდში შექმნა მან ოსური ანბანი. რუსულ ასოებზე დაფუძნებული ოსური ანბანი პირველად ოსური ენის მცოდნე რუსმა მეცნიერმა *ანდრია შეგრენმა* შეადგინა.

1922 წელს საქართველოში ბოლშევიკმა ხელისუფლებმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ჩამოაყალიბეს და პირველად საქართველოში ოსებს ადმინისტრაციული ერთეული შეუქმნეს. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ყოფილი შიდა ქართლის ფეოდალური ერთეულების ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა, ისე, რომ ქართველი ხალხისაგან ამის ნება არ მიუღიათ. ავტონომიური ოლქის ცენტრად კი შიდა ქართლის მთისწინეთის ზოლში მდებარე პატარა ქალაქი *ცხინვალი* გამოაცხადეს. 1886 წლის საოჯახო სიებით, ქ. *ცხინვალში* არც ერთი ოსური ოჯახი არ ცხოვრობდა. ის დასახლებული იყო ქართველებით და ქართულენოვანი სომხებითა და ქართველი ებრაელებით (*აიხვალდის* – XIX საუკუნის I მესამედი – მიხედვით, **„ოსები ცხინვალის იქითა მხარეს, მთებში ცხოვრობდნენ. ადრე ისინი ცხინვალს გაუთავებლად ძარცვავდნენ და ხოცავდნენ. ახლა კი ქართველებს, ცხინვალის მოსახლეობას თავს ანათვლინებენ“**). საერთოდ, მთელი XIX-XX საუკუნების მანძილზე საქართველოში ოსთა პროცენტული რაოდენობა 3-დან 4-მდე მერყეობდა.

ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ოსებს კი რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ავტონომიური ოლქი 1924 წელს შეუქმნა, რომელიც 1936 წლის 5 დეკემბერს ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაიქმნა.

ოსების ბარში ტრადიციული საქმიანობაა მიწათმოქმედება (ხორბალი, სიმინდი, ქერი, ფეტვი...). მთებში მიწათმოქმედებასთან ერთად განვითარებული იყო მესაქონლეობა (ცხვარი, თხა, მსხვილფეხარქოსანი საქონელი). ცხვრის რძისაგან აკეთებდნენ ყველს. ძლიერ დაწინაურებული იყო მეთხეობა. მთებში სახვნელი მიწები და სათიბები ცაკლეული კომლების საკუთრებას წარმოადგენდა, რომელსაც მემკვიდრეობით გადასცემდნენ. მხოლოდ საძოვრები და ტყე იყო სოფლის საერთო სარგებლობაში. ოსების ბარული და მთური სახვნელი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. დაბლობში ხის სახვნელს *გუთონ*ს უწოდებდნენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათ ეს სახვნელი ქართველებისაგან ჰქონდათ შეთვისებული. ასევე ქართველთაგან უნდა ყოფილიყო შესული სამკალი იარაღი *ლამგამ* (ნამგალი), რომელსაც დიდი რადიუსი და მჭრელი დაკბილული პირი ჰქონდა. ქართული ნამგალი, გარდა ჩრდილოეთ ოსეთისა, ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებშიც იყო გავრცელებული.

ბარში გადასახლებამდე ოსეთში მეცხვარეობას დიდი მასშტაბები არ ჰქონდა, რადგან საზამთრო საძოვრების არარსებობა ამის საშულებას არ იძლეოდა. *ვახუშტი ბაგრატიონის* სიტყვებით: „ცხოვარი უდუმო-კუდიანი და მომცრო, ძროხა, ცხენი, თხა, არამედ არა მრავლად, გარნა ფრიად გემოიანნი სხუათა ადგილებთაგან უმეტეს და ვინაჲთგან აქუთ საძოვარნი და სათიბნი მცირედ, ამისათვის ვერ ინახავენ ცხოვართა, თუნიერ კ (20), მ (40) და რ (100) კიდე, ეგრეთვე ცხენთა და ძროხათა ი (10), კ (20) და მ (40) და უფროსი არღარა“. მთიდან ბარში გადასახლებული ოსები მეცხვარეობას ვერ ივიწყებდნენ, პირიქით, აქ მათ მისი განვითარების საშუალება მიეცათ. თხები, ჩვეულებრივ, ცხვრის ფარაში ჰყავდათ შერეული. მხოლოდ ალაგირისა და დიგორის რამდენიმე სოფელში მეთხეობა მეცხვარეობაზე დაწინაურებული იყო. ოსთა სამეურნეო საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. საქონელი იძლეოდა რძეს, ხორცს, იყო გამწევი ძალა, ჰქონდა სასაქონლო მნიშვნელობა. ოსი ხალხის სამეურნეო საქმიანობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეცხენეობას, რაც მათთვის ტრადიციულიც იყო, რადგან ოსთა წინაპრები, როგორც ცნობილია, მომთაბარეები იყვნენ. ოსური ფოლკლორული მონაცემებით აშკარაა, რომ ალანები შესანიშნავი მხედრები იყვნენ, რომლებსაც ცხენთა დიდი რემები ჰყავდათ. XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე მთებში ცხენი ერთადერთი სატრანსპორტო საშუალებაც იყო.

როგორც ჩრდილოეთ კავკასიის ყველა ხალხში, ოსებშიც იარაღის არაერთი სახეობა იყო გავრცელებული: მახვილი, მშვილდი, ისარი, ფარი, ჯაჭვის პერანგი, ჩაფხუტი. *კლაპროტის* ცნობით, *თრუსოელი ოსები* კვლავ მაგარი ტყავისა და ხისაგან გაკეთებულ ოვალური ფორმის ფარებს იყენებდნენ, რომლებსაც ზედ რკინის გვერგვები ჰქონდა მიმაგრებული.

საქონლისა და ცხვრის რძისაგან ყველის დამზადება ოსების ძველთაძველი საქმიანობაა. მაგრამ ფანტაზიის ნაყოფია ზოგიერთი ოსი მეცნიერის აკვიატებული აზრი, თითქოს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ *სულუგუნის* დამზადების კულტურა ოსებისაგან შეითვისა, ეს მაშინ, როდესაც ოსებმა საერთოდ არ იცოდნენ მისი დამზადება.

მთაში ოსები ძირითადად გვარების მიხედვით იყვნენ დასახლებულნი. ერთ სოფელში ერთი გვარი მკვიდრობდა, ანდა ერთი გვარი რამდენიმე სოფელში იყო განსახლებული. მთის სოფლებს ქუჩები არ ჰქონდა. მის ვიწრო შესახვევებში მხოლოდ ფეხით მოსიარულეს ანდა მხედარს თუ შეეძლო გავლა. ოსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრს, ჩვეულებრივ, სოფლის მოედანი წარმოადგენდა, რომელსაც ოსები *ნიხასს* უწოდებდნენ. აქ წყდებოდა ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. ე. წ. სამხრეთ ოსეთში ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ძირითადად ერთი გვარით დასახლებული სოფლები არსებობდა. ხშირად მეზობლად მდებარე რამდენიმე სოფელშიც ერთი გვარისანი მკვიდრობდნენ. მთიდან

დაბლობში ჩამოსახლებული ოსები ვეღარ ახერხებდნენ ნათესაური პრინციპით დასახლებას. გადმოცემით, შიდა ქართლის მთიანეთში დასახლებული ოსები ხშირად ებრძოდნენ ერთმანეთს და ეს ბრძოლა ძირითადად ცალკეულ სოფლებს შორის მიმდინარეობდა. ეს დაპირისპირება არც თუ იშვიათად, ერთ-ერთი გვარის გაწყვეტით, ან სხვაგან გაქცევით მთავრდებოდა. ამ ბრძოლის შედეგად მიაჩნია *მ. კოსვენს* მრავალი ნასოფლარის არსებობა. სინამდვილეში ეს ნასოფლარები, ნანგრევები ადრინდელი ქართველი მოსახლეობის საკუთრება იყო.

მთიან ოსეთში ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისამდე მიცვალებულებს აკლდამებში, ხშირად მიწისზედა აკლდამებში კრძალავდნენ. დაკრძალვის ეს ფორმა გავრცელებული იყო აგრეთვე ინგუშეთში, ჩაჩნეთში, ყარაჩაისა და ბალყარეთში. მიწისზედა აკლდამები მხოლოდ მთისათვის იყო დამახასიათებელი. ბარსა და მთისწინეთში ასეთი აკლდამები დადასტურებული არაა. მთის ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში აკლდამაში შეტანილი მიცვალებული მუმიფიცირებას განიცდიდა. ყველა ასეთ აკლდამას აქვს ორი ან სამი საძრომი, რომლის საშუალებითაც შიგ მიცვალებული შეჰქონდათ. თითოეულ აკლდამაში მოწყობილი იყო ხის ან ქვის ტახტები, რომლებზედაც მიცვალებულებს ასვენებდნენ. აკლდამები ოსებში ძირითადად საგვარეულო იყო. აკლდამებში დაკრძალვის წესი ეწინააღმდეგება ქრისტიანულ ნორმებს და, თავისთავად ცხადია, ქრისტიანული ეკლესია მას ებრძოდა კიდეც. აკლდამები კავკასიური წარმოშობისაა. სხვათა შორის, ოსური გადმოცემები მიწისზედა აკლდამების მშენებლობას მიაწერს სხვა ხალხს, რომელიც მათ მოსვლამდე აქ ცხოვრობდა. ოსური გადმოცემებით, ბევრი მიწისზედა აკლდამის მშენებლები ინგუშები იყვნენ. ინგუშებს აშენებინებდნენ არა მხოლოდ აკლდამებს, არამედ საბრძოლო კოშკებსაც. საგულისხმოა, რომ მთიან ოსეთში, ოსური გადმოცემებით, ზოგიერთი მიწისზედა აკლდამა ეკუთვნოდათ ნოღაელებს, რომლებსაც ოდესღაც ოსებთან ერთად აქ უცხოვრიათ. არაერთი მიცვალებულის ნოღაელობა მათი ანთროპოლოგიური ტიპით, ჩაცმულობით და აკლდამაში არსებული ჭურჭლითაც დასტურდება. *ქურთათის, თაგურის,* და *დიგორის* ხეობებში ოსებთან ერთად ნოღაელების მკვიდრობის შესახებ გადმოცემები XX საუკუნის 20-იან წლებში დაუფიქსირებიათ. ბარიდან ნოღაელები ოსებთან ერთად მიგრირებულან XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე. მთაში შემოსახლებულმა ოსებმა (ნოღაელებთან ერთად) ადგილობრივი აკლდამური კულტურა შეითვისეს. ოსური მიწისზედა დასაკრძალავი ნაგენობები – აკლდამები ტიპურ ინგუშურ კოშკებს მოგვაგონებს თავისი პირამიდულ-საფეხურებრივი გადახურვით.

მთიან ოსეთში კოშკური არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშები იყო. ოსებს ჰქონდათ როგორც სადარაჯო, ისე საბრძოლო და საცხოვრებელი კოშკები. საბრძოლო კოშკები ოსეთში ძალიან მაღალი არ იყო და მათი ოთხკუთხოვანი კედლები, ჩვეულებრივ, სწორი გადახურვისა იყო. ოსები არც ერთ კოშკს ოსების აშენებულად არ მიიჩნევდნენ. გადმოცემით, მთიან ოსეთში კოშკები ადრინდელი მოსახლეობის აგებული იყო. *ბ. ქალოევს* ასეთ ადრინდელ მოსახლეობად ალანები მიაჩნია, რაც, რა თქმა უნდა, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. კოშკების ამშენებელნი ადგილობრივი კავკასიელები იყვნენ, რომელთა ნასახლარებზეც ალან-ოსები დაფუძნდნენ. ოსების ძირითადი ნაწილი ქვის სახლებში ცხოვრობდა. თითქმის ყველა ოსურ სოფელში წარმართული სალოცავი არსებობდა, რომელსაც ისინი *ძუარს* უწოდებდნენ. ბუნებრივია, სალოცავის აღმნიშვნელი ეს ოსური სიტყვა ქართულიდან იყო შესული, როდესაც აქ ქართველები ქრისტიანობას ავრცელებდნენ.

არა მხოლოდ ერთი სასოფლო თემის, არამედ მთელი ხეობის მოსახლეობამ იცოდა დახმარება როგორც ქორწილის, ისე დაკრძალვის დროს. ოსთა რამდენიმე ახლოდმდებარე სოფელი ტერიტორიულ-სამეზობლო გაერთიანებებს წარმოადგენდა. ისინი ერთმანეთთან ფიცით იყვნენ დაკავშირებულნი. ფიცს სალოცავთან გვარის

უხუცესები სდებდნენ. ფიცის განსამტკიცებლად ხის ჯოხზე ამონაჭდევებს აკეთებდნენ, რასაც საერთო სალოცავში ინახავდნენ. სასოფლო თემის წევრებს მიწაზე ჰქონდათ როგორც კერძო, ისე კოლექტიური საკუთრება: სახვნელი და სათიბი კერძო იყო, საძოვარი და ტყე კი – საერთო.

ოსთა საკვები თითქმის ისეთივეა როგორც სხვა ჩრდილოკავკასიელი მთიელებისა. იცოდნენ ღვეზელის გამოცხობა ხორცის შიგთავსით, ღვეზელი ყველის შიგთავსით (*ხაბიზჯინი*). ოსებში ფართოდ იყო გავრცელებული ლუდი (*ბაგანი*), რომელსაც მთაში ქერისაგან ამზადებდნენ, ბარში კი – ხორბლისა და სიმინდისაგან. ნართების ეპოსის მიხედვით, ლუდი გამოიგონა ამ ეპოსის ერთ-ერთმა გმირმა, *სატანამ.* მას, ჩვეულებრივ, დიდი საოჯახო და საზოგადოებრივი დღესასწაულების დროს უზარმაზარი სპილენძის ლუდის სახარშ ქვაბში ამზადებდნენ. ადრე ოსებს უმზადებიათ მათრობელა სასმელიც *რონგი.* რონგს თაფლისაგან ამზადებდნენ.

ოსური საზოგადოება რამდენიმე სოციალურ ჯგუფად იყოფოდა და თითოეული ხეობა ამ თვალსაზრისით ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. ეს სხვაობა ჯერ კიდევ XIX საუკუნის ავტორებს აქვთ შენიშნული. მაგალითად. *მ. კოვლევსკი* აღნიშნავდა *ქურთათისა* და *თაგაურის* საზოგადოების არათანაბარ განვითარებას: ქურთაულში *შანაევის* გვარის ამოუწყვეტიათ; მხოლოდ ერთი ახალგაზრდა გადარჩენილა, რომელსაც თავშესაფარი ყაბარდოში თავად *ყაიტუკინთან* მოუნახავს. თავადს სიკვდილს გადარჩენილი ვაჟი გაუზრდია და *თაგაურის* ხეობაში დაუსახლებია. ასე რომ, თაგაურის საზოგადიებაში ყაბარდოელთა გავლენით ადრეფეოდალური სისტემა ჩამოყალიბებულა, ხოლო ქურთათის საზოგადოება ცხოვრებას ზედაფენის, სოციალურად დაწინაურებული ფენის გარეშე აგრძელებდა. გადმოცემის მიხედვით აშკარაა, რომ *შანაევები* ქურთათის ხეობაში აღზევებას, სოციალურად დაწინაურებას ცდილობდნენ, რისი საშუალებაც მათ თემმა არ მისცა და ისინი ამოწყვიტეს (ასეთი შემთხვევები არაერთია დაფიქსირებული ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებში). ყაბარდოელთა ხელშეწყობით აღზევებულან დიგორიაში *ბადელიატებიც.*

ოსები გვარებად ცხოვრობდნენ. ოსური გვარების უმეტესობას საფუძვლად მამაკაცის სახელი უდევს. თითოეული გვარი (*მიგგაგ*) რამდენიმე პატრონიმიის (*ფიდი-ფირტ*=„მამა-ძეობა“) ერთობლიობას წარმოადგენდა. ოს მეცნიერთა ვარაუდით, ოსური გვარების წარმოქმნის დრო XVI საუკუნეა. საქართველოში მცხოვრებ ოსურ გვარებს საფუძვლად პირველი მიგრანტების სახელები უდევს. არაერთი ოსური გვარის ძირი მომდინარეობს მეზობელი ხალხებიდან (ინგუშები, ბალყარელები, ქართველები). ოსებში მეორე რიგის გვარებიცაა დადასტურებული, რომლებშიც ოთხი-ხუთი და მეტი გვარია გაერთიანებული. ეს გვარები საერთო შორეული წინაპრებისაგან მომდინარეობენ. დღემდე ამ სანათესაო ჯგუფების შიგნით მკაცრად იცავენ ეგზოგამიას. ეგზოგამიის დამრღვევი მკაცრად ისჯებოდა, მისი ადგილი საზოგადოებაში, ფაქტობრივად, აღარ იყო. ეგზოგამია იმდენად მკაცრი იყო, რომ სხვადასხვა გვარის მატარებელნიც, რომელთაც ჰქონდათ გადმოცემა საერთო წარმომავლობის, ერთი წინაპრიდან მომდინარეობის შესახებ, ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ. მაგალითად, არ ქორწინდებოდნენ ერთმანეთზე საქართველოში მცხოვრები შემდეგი გვარების – *კოკოევების* და *გასიევების, სანაკოევებისა* და *გაგლოევების* წარმომადგენლები. ქორწინება იკრძალებოდა ხელოვნურად დანათესავებულებს შორისაც (მაგალითად, შეძმავებულ გვარებს შორის). ქორწინება იკრძალებოდა არა მხლოდ ერთი უბნის, არამედ ერთი სოფლის ფარგლებშიც, რაც თავდაპირველად იმით იყო განპირობებული, რომ დასახლებული პუნქტები დიდი ხნის განმავლობაში ერთი გვარის ხალხით იყო დასახლებული. შემდეგ ეს ტრადიციად იქცა. ოსურ გადმოცემებში გვაქვს მაგალითები სისხლის ამღვრევთა მკაცრად დასჯისა. ყოველი ოსურ გვარს თავისი სასაფლაო და სალოცავი (*ძუარ*) ჰქონდა. ოსთა შორის გაბატონებული იყო მონოგამია.

ორცოლიანობა ძალიან იშვიათობას წარმოადგენდა და ის მხოლოდ პირველი ცოლის უშვილობის შემთხვევაში იყო დაშვებული. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, თანხმობა არა მარტო პირველ ცოლს, არამედ მის ნათესაობასაც უნდა მიეცათ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქორწინების დროს აუცილებელი იყო საპატარძლოს თანხმობა. ამავე დროს, თანხმობა უნდა მიეცათ დედას, ძმებს და ბოლოს, დედის ძმას.

ოსებში შემორჩენილი იყო ბევრი ძველი ინსტიტუტი, რომელთა შორის მესისხლეობა შეიძლება დავასახელოთ, რომელშიც არა მხოლოდ ახლო, არამედ, შორეული ნათესავებიც იყვნენ ჩართული. მესისხლეობას წარმოშობდა ღირსების შელახვა, ქალის მოტაცება, დავა მიწის ირგვლივ და ა. შ. შერიგება მთავრდებოდა დამნაშავე მხარის მიერ დიდი რაოდენობით საქონლისა და ძვირფასეულობის (იარაღი, ლუდის სახარში ქვაბი) გადახდით და ტრაპეზის მოწყობით. *მ. კოსვენის* აღნიშვნით, ძველ დროს მეუღლეებს დაუფარავად საერთო სარეცელი მხოლოდ წელიწადის ორ თვეს: ნოემბერსა და დეკემბერში ჰქონდათ. დანარჩენ დროს მეუღლეები ფარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს. გაბატონებული იყო უმძრახობა. მამას არასდროს არ აჰყავდა შვილი ხელში. მამა შვილს სახელით არ მიმართავდა.

ოსებს სტუმართმოყვარეობის, ყონაღობის (ძმობილობის), დაძმობილების, ურთიერთდახმარების ისეთივე წეს-ჩვეულებები ჰქონდათ, როგორც კავკასიის სხვა ხალხებს. დიდი ოჯახები საბჭოთა წყობილების პირველ წლებშიც კი იყო შემორჩენილი. საქორწინო ასაკი კაცებისათვის 17-18 წლიდან იწყებოდა, ქალებისათვის – 14-16 წლიდან. დაქორწინების აუცილებელი პირობა იყო *ყალიმის* (*ურვადის*) გადახდა, რაც ხშირად ქალის მოტაცებასაც იწვევდა. ქორწილი ჩვეულებრივ, შემოდგომაზე, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დამთავრების შემდეგ იმართებოდა. საქართველოში მცხოვრები ოსები ხშირად ქორწინდებოდნენ ქართველებზე, ოღონდ მიგრირებული ოსისათვის მთავარი პირობა ქრისტიანობის მიღება იყო. სოფლის მართვა ყრილობის – *ნიხასის* ხელში იყო. *ნიხასი* იმ ადგილის სახელიც იყო, სადაც ეს ყრილობები იმართებოდა. *ნიხასი* თემის ყველა სრულწლოვანი მამაკაცისაგან შედგებოდა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან როლს უხუცესები თამაშობდნენ.

სიკვდილის შესახებ ყველა ნათესავს ატყობინებდნენ. დაკრძალვა მეორე დღეს ხდებოდა. იცოდნენ ქელეხი. მიცვალებულებს სწირავდნენ ცხენს, მის სახელზე აწყობდნენ დოღს, ისროდნენ მიზანში. იცოდნენ ქვრივისათვის ნაწნავის მოჭრა და საფლავზე დაკიდება.

დღეს ოსები ძირითადად ქრისტიანები არიან; გვხვდებიან მაჰმადიანებიც. *მაჰამდიანობა განსაკუთრებით დიგორელ ოსებში* იყო *გავრცელებული.* ოს ხალხში ქრისტიანობა VI-VII საუკუნეებში ჯერ ბიზანტიიდან, შემდე კი საქართველოდან შევიდა, თუმცა ამ სარწმუნოებამ აქ ფეხი მყარად ვერ მოიკიდა და გვიან შუა საუკუნეებში მთის ხეობებში მცხოვრებნი წარმართები იყვნენ. საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა მიგრირებული ოსებისათვის ქრისტიანობა მიეღებინებინა. ისლამი დასავლეთ ოსეთში ყაბარდოდან XVII-XVIII საუკუნეებში გავრცელდა. ოსებს ჰყავდათ ქრისტიანიზირებული ღვთაებები: *უაც-გიორგი, უასტირჯი* (წმინდა გიორგი); *უაცილა* – წმინდა ილია; *უაც-ნიკოლა* – წმინდა ნიკოლოზი; *უაც-ტოტურ* – წმინდა თევდორე და სხვ. ოსეთში იყო საერთოოსური სალოცავებიც (*ძუარები*), სახეობო, სასოფლო და საგვარო კულტები. მაგალითად, ალაგირელთა სალოცავი იყო *რეკომი.* ამ სალოცავში არსებულ ზარზე ქართული ნუსხურით შესრულებული წარწერაა. ლოცვებში ხშირად ახსენებენ *მიქალგაბრიტას* და *თარანჯელოზს,* რაც სხვა არაფერია თუ არა მიქელგაბრიელი და მთავარანგელოზი. რაც შეეხება ქურთათისა და თაგაურის ხეობებს, აქ საერთო სახევო კულტები არ ყოფილა, მხოლოდ სასოფლო სალოცავები იყო. მაგალითად, ასეთი იყო *ძიგვისი ძუარ* წმ. გიორგის სახელზე. ოსებმა, ისევე როგორც ქართველმა მთიელებმა, იცოდნენ სალოცავისადმი მიწის შეწირვა (უშვილო

მშობლებს შვილი თუ შეეძინებოდათ, მემკვიდრის არ ყოლის შემთხვევაში, სოფლიდან გადასახლებისას).

მდიდარია ოსური ფოლკლორი. ნართულ ეპოსზე მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ *ვ. მილერი* მას სტეპებში წარმოქმნილად მიიჩნევდა, რაც მისი აზრით, იმით მტკიცდებოდა, რომ ეპოსში მრავალჯერ მოიხსენიება დიდი მდინარეები, ზღვები, სტეპები და ა. შ. ნართები თევზს დიდ მდინარეებსა და ზღვაში იჭერდნენ. ეს მასალა პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ თავდაპირველად ოსები მთიელები კი არა, სტეპების მკვიდრები იყვნენ. ნართულ ეპოსში ალანების მთებში მოსახლეობის შესახებ არავითარი მონაცემი არაა. ნართები ძირითადად ირემზე ნადირობდნენ. ოსეთში გავრცელებული გარეული ცხოველები კი ეპოსში საერთოდ არ არიან ნახსენები. შინაური ცხოველიდან კი ნართებს ძალიან უყვარდათ და აფასებდნენ ყველა მომთაბარისათვის განუყოფელ ცხენს. ოსთა წინაპრები რომ სტეპების მკვიდრნი იყვნენ, ამას მათი სამიწათმოქმედო კალენდარიც მოწმობს, რადგან მეცნიერთა დასკვნით, ის ბარშია ფორმირებული და არა მთაში. საკმარისია აგრეთვე ისტორიული სიმღერების დასახელებაც. ერთ-ერთი ასეთი სიმღერა *თემურ-ლენგის* დიგორის ხეობაში ლაშქრობას ასახავს. ოსთა კულტურულ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ნაციონალური ლიტერატურის ჩასახვას, რომლის ფუძემდებელია *კოსტა ხეთაგუროვი* (1859-1906 წწ.).

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ ოსეთის ისტორიისა და მთელი რიგი სხვა საკითხების შესწავლა ძირითადად ქართული წყაროებით ხდება. ოსებს არაერთი სტრიქონი აქვს დათმობილი *ვახუშტი ბაგრატიონის* ნაშრომშიც. ის მათ შესახებ წერს: „ხოლო კაცნი და ქალნი არიან შუენიერნი, ჰაეროვანნი, შავ-თუალ-წარბანი, შავ-თმოსანი, თეთრ-ყირმიზნი, ტანოვანნი, წერწეტნი, გარნა უმეტეს ქალნი წერწეტნი, მკჳრცხლად ფიც-ხელნი, თჳსთა ქუეყანათა შინა მცირედ მჭამელნი, რამეთუ კმა იყოფენ თჳნიერ წყალსა და პურსა და შრატსა, სხუათა ადგილთა და სტუმრობათა შინა გაუძღომელნი, ვერ შემმართებელნი ბრძოლასა შინა, რამეთუ ეშინისთ ლაშკართაგან ფრიად. არამედ ღამით შემმართებელნი და შემპარავნი ლაშკართა შინა და გამომსვლელნი... ქუეყანათა თჳსთა ლაღნი და ამაყნი, სხუათა ქუეყანათა შინა მდაბალნი, გონიერად მოუბარნი... მესისხლენი... ტყჳს მყიდველნი, გარნა არა თჳსთა ჰყიდიან“.

V. 2. თათები

თათები ჩრდილოეთ კავკასიასა (დაღესტანი) და აზერბაიჯანში მცხოვრები პატარა ხალხია. ისინი მკვიდრობენ აგრეთვე ირანში. ირანი თათების თავდაპირველი განსახლების არეალია. აქ თათები ირანის მთიანეთის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, თეირანსა და ყაზვინს შორის გაბნეულად არიან განსახლებულნი. ირანში თათების რაოდენობა 300 ათასი კაცია. ირანში მკვიდრობენ როგორც მთაში (*ტალიკანის* რაიონში), ისე ბარში (*ზოხრას* რაიონში). ტალიკანი *ყაზვინიდან* 36 კილომეტრში მდებარეობს. აქ თათების სოფლები *შახრუდის* ხეობაშია გაფანტული. იყოფა ზედა, შუა და ქვემო ტალიკანად. ტალიკანში 78 თათურ სოფელს ითვლიან, ზოხრაში – 28 სოფელს. სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ ზოხრელი თათების კულტურაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოუხდენია საერთოევროპულ და აზერბაიჯანულ კულტურას. გეოგრაფიული იზოლირებულობის მიუხედავად, ტალიკანელ და ზოხრელ თათებს შორის მჭიდრო კავშირი არსებულა. ისინი ხშირად ერთმანეთზე ქორწინდებოდნენ. 1999 წლის მონაცემებით, აზერბაიჯანში თათების რაოდენობა 10,9 ათასი კაცია, დაღესტანში – 12,9 ათასი. მცირე ჯგუფებად ცხოვრობენ აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რეგიონებში (რუსეთის ფედერაციაში მათი საერთო

რაოდენობა 19,4 ათასის ფარგლებშია). თათების თვითსახელწოდებაა **თაგ.** თათები ლაპარაკობენ თათურ ენაზე, რომელიც ინდოევროპულ ენათა ოჯახის დასავლურ ირანულ ენათა სამხრეთ-დასავლურ ქვეჯგუფში შედის *ფარსისთან* და *დარისთან* ერთად. სამეცნიერო ლიტერატურაში იმასაც აღნიშნავენ, რომ თათური ენა ფარსის დიალექტია, რომელზედაც თავდაპირველად ლაპარაკობდნენ აღმოსავლეთ მიდიაში და ის ახლოს იყო *მაზანდარანულთან, თალიშურთან, გილანურთან, დარიულთან.* დღევანდელ თათურს ორი დიალექტი აქვს: *სამხრეთული* (აზერბაიჯანის ყველა თქმა, ქალაქ *ყუბისა* და სოფლების *კილვარისა* და *მატრასის* თქმის გარდა) და *ჩრდილოური.* ჩრდილოური დიალექტი დაღესტნის ერთ-ერთი ლიტერატურული ენაა. დამწერლობა ეფუძნება რუსულ ანბანს. ოქტომბრის გადატრიალებამდე თათები სამწერლობო ენად სპარსულს იყენებდნენ, უმნიშვნელო რაოდენობა კი არაბულ ენას ფლობდა. **თათები ძირითადად მუსლიმი-შიიტები არიან. აზერბაიჯანში გვხვდებიან მონოფიზიტი (გრიგორიანი) ქრისტიანებიც.** სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ისიცაა აღნიშნული, რომ თათებს შორის არიან იუდეველებიც, რაც ერთგვარი არევ-დარევის შედეგია. იმის გამო, რომ ჩრდილოეთ კავკასიელი *მთის ებრაელების* დედა ენა თათური ენა იყო, საბჭოთა ხელისუფლებამ XX საუკუნის 30-იან წლებიდან მთის ებრაელები პიროვნების დამადასტურებელ ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტებში თათებად ჩაწერა. 1970-1980-იან წლებში დიდი ძალა დაიხარჯა იმ თეზისის დასამტკიცებლად, რომ „თათები და მთიელი ებრაელები ესაა ეთნოგენეტიკური ერთობა, რომლებიც რელიგიური ნიშნით ხელოვნურად არიან გათიშულნი“. აზერბაიჯანში მუსლიმი თათები ცხოვრობენ ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ აზერბაიჯანში (ძირითადად *აფშერონის* ნახევარკუნძულზე). აზერბაიჯანში თათების განსახლების ძირითადი არეალი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთია. ცხოვრობენ ბაქოს გარშემო აფშერონის ნახევარკუნძულზე. ნახევარკუნძულის 40 დასახლებული პუნქტიდან 33 თათურია. რუსების მიერ აზერბაიჯანის დაპყრობის დროს, XIX საუკუნის დასაწყისში, ქალაქ ბაქოში 8 ათასი თათი ცხოვრობდა და მათ გარდა აქ სხვა ეთნოსის წარმომადგენლები არ ბინადრობდნენ. **XIX-XX საუკუნეებში აზერბაიჯანელებმა თათების დიდი ნაწილის ასიმილაცია მოახდინეს,** მათ თათური ენა დაკარგეს და ენასთან ერთად – თვითშეგნებაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აზერბაიჯანში 1999 წელს 10,9 თათი მკვიდრობდა. 1931 წელს კი ამ ქვეყანაში 60,5 ათასი თათი იყო აღრიცხული. 1886 წელს დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე 121 ათასზე მეტი თათი მკვიდრობდა. **ბაქოს მაზრაში თათები მთელი მოსახლეობის 82%-ზე მეტნი იყვნენ, ყუბის მაზრაში ეს მაჩვენებელი 36,6%-ს უდრიდა.** მთლიანად ბაქოს გუბერნიაში თათების პროცენტული რაოდენობა 16,6 იყო. აზერბაიჯანში თათების ორ სოფელში ქრისტიანობის სომხური მიმართულება – გრიგორიანობა მიიღეს. საბჭოთა პერიოდში ისინი პრაქტიკულად გასომხდნენ (1939 წლის შემდეგ ისინი სომხებად ჩაწერეს) და ყარაბახის კონფლიქტის შემდეგ სომხეთსა და რუსეთში მიგრირდნენ. დაღესტანში თათები განსახლებულნი იყვნენ ქ. *დერბენტის* დასავლეთით, მთისწინა ზოლში. ცხოვრობდნენ სოფლებში: *ჯალგანში, მიტაგში, კამახში, რუკელში, ზიდონში, ბილგადში, მუგარეთში, გიმეელში,* აგრეთვე ახალ დასახლებულ პუნქტებში – *ხაზირსა* და *ქვემო ჯალგანში.* აქ ისინი შერეულად ცხოვრობენ აზერბაიჯანელებთან და ბევრი თავს აზერბაიჯანელადაც თვლის, როგორც ყოფით, ისე ოფიციალურად. ბევრი თათი აზერბაიჯანულად ლაპარაკობს, რადგან ადგილობრივ სკოლებში მშობლიურ ენად აზერბაიჯანულს ასწავლიან.

ეთნონიმი **თათი** თურქული წარმოშობისაა. თურქი მომთაბარეები ასეთი სახელწოდებით მოიხსენიებდნენ ყველა დამორჩილებულ ბინადარ ხალხს.

ანთროპოლოგიურად თათები დიდი ევროპეიდული რასის წინააზიურ რასას მიეკუთვნებიან.

თათების კავკასიაში მოსვლის შესახებ ორი სხვადასხვა შეხედულებაა. ერთი შეხედულებით, თათების კავკასიაში მიგრაცია აქ სასანიდების ექსპანსიასთანაა

დაკავშირებული. ირანულმა ხელისუფლებამ ჩრდილოეთი საზღვრების დაცვის მიზნით, დერბენტის რაიონში მეომარი კოლონისტები დაასახლა. თათები სწორედ ამ კოლონისტების შთამომავალნი არიან. ისტორიული წყაროებით, თათები კავკასიაში პირველად VII-X საუკუნეებში იხსენიებიან. სხვა შეხედულებით, ხაზარეთის სამეფოს განადგურების შემდეგ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ისლამის გავრცელების გამო, ებრაელთა ცხოვრება უაღრესად მძიმე გახდა. ამის გამო, ბევრი ებრაული სოფლის მოსახლეობა ისლამზე გადავიდა. ამათგან მომდინარეობენ დღევანდელი თათი-მუსლიმები. ეს მეორე შეხედულება გასაზიარებელი არაა. ცნობილია, რომ მსოფლიოში განსახლებულმა ებრაელებმა თავიანთი ენა დაკარგეს, მათ შორის, ირანში მცხოვრებმა ებრაელებმაც, რომლებიც შემდეგ ხაზართა სამეფოში გადასახლდნენ და როგორც ირანიდან გადასახლებულები ისინი თათურ ენაზე ლაპარაკობდნენ. მათ შეიტანეს ხაზარეთში იუდაიზმი, რომელიც ამ სამეფოს სახელმწიფო რელიგიადაც იქცა. ასე რომ, **მთიელი ებრაელები და თათები სრულიად სხვადასხვა წარმოშობის ხალხია,** რომლებიც უბრალოდ ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ. მათი მიგრაციაც კავკასიაში სხვადასხვა დროს განხორციელდა. ცნობილი მეცნიერი *ვს. მილერიც* წერდა, რომ თათები, რომლებიც იუდაიზმს აღიარებენ სრულებითაც, საერთოდ არ არიან თათები, არამედ ისინი არიან თათურად მოლაპარაკე ებრაელები. სამართლიანად ვარაუდობენ, რომ ირანის ტერიტორიაზე მისული ებრაელები, შემდეგ *ატროპატენაში* გადავიდნენ, აქ სპარსელებს შორის განსახლებულებმა, აითვისეს მათი ენა, ბოლოს კი ჩრდილოეთში გადასახლდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე დაღესტანში მცხოვრები თათები *ხაიდაყის*ა და *თაბასარანის* საფეოდალოებში შედიოდნენ.

თათები მიწათმოქმედები იყვნენ. მარცვლეული კულტურებიდან მოყავდათ ხორბალი, XIX საუკუნიდან – სიმინდი. განვითარებული იყო მებაღეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა, მებაღჩეობა. XIX საუკუნის 40-70-იან წლებში დაკავებულნი იყვნენ ენდროს მოყვანით. თათებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მნიშვნელოვანი ნაწილი ბაზარზე გაჰქონდათ. გარდა ამისა, თათები მისდევდნენ მესაქონლეობასაც (მსხვილფეხარქოსანი საქონელი, ცხვარი), ჰყავდათ ბევრი ფრინველი. თათი მამაკაცების დიდი ნაწილი შემოდგომა-ზამთრის სეზონში ნავთისა და მარილის სარეწებზე მუშაობდა. განვითარებული იყო შინამრეწველობა და ხელოსნობა (მეხალიჩეობა, მეაბრეშუმეობა, მაუდის ქსოვა, ტყავის დამუშავება, ხის ნახშირის წარმოება). თათები დაღესტნის სხვა ხალხებთან ერთად, დაღესტნის ისტორიულ-კულტურულ ოლქში შედიოდნენ. ქალაქელი თათები (*დერბენტი, მაჰაჩყალა, ხასავიურტი, იზბერბაშლი*) ქალაქის მოსახლეობის საერთო მასისაგან არაფრით განსხვავდებოდნენ.

ირანის სოფლებში თათები საოჯახო-ნათესაური ჯგუფების პრინციპით იყვნენ განსახლებულნი. ასეთი ჯგუფები აქ ტერმინით *ბონა* აღინიშნებოდნენ. თითოეული *ბონა* ერთი წინაპარი მამაკაცისაგან მომდინარეობდა. ყველა *ბონას* თავისი სახელწოდება ჰქონდა. სოფელში *ბონები* უბნების მიხედვით იყვნენ განსახლებულნი. ირანელ თათებში უაღრესად განვითარებული იყო მიწათმოქმედება. ჰქონდათ შესანიშნავად მოვლილი ვენახები. ყურძენს მთელი წლის განმავლობაში ჭამდნენ, იცოდნენ ქიშმიშის ორი წესით (მზესა და შენობაში) დამზადება.

თათელთა ოჯახები გაერთიანებულნი იყვნენ სანათესაო კოლექტივში (*ჯამაათში*). სამართალწარმოება ჩვეულებითი სამართლის (*ადათის*) ნორმებს ემყარებოდა. გავრცელებული იყო მუსლიმური სამართლის (*შარიათის*) ნორმებიც. სოციალური თვალსაზრისით თათები თანასწორნი იყვნენ, თუმცა, მათ შორის, ქონებრივი დიფერენციაცია საკმაოდ შორს იყო წასული. თათები ძალიან შრომისმოყვარენი და ამავე დროს, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ეთნიკურად შეკრულნი, აუჩქარებელნი და დინჯნი იყვნენ.

თათებში ოჯახის ძირითადი ფორმა პატარა ოჯახი იყო. გაუყოფელი, დიდი ოჯახი თათებს შორის იშვიათობას წარმოადგენდა. ძალიან დიდი იყო ოჯახის უფროსის ავტორიტეტი. გარიგებითი ქორწინების გარდა, იცოდნენ ქალის მოტაცება, გაცვლა-გამოცვლითი ქორწინება, აკვანში დანიშვნა, მცირეწლოვნების დანიშვნა, ლევირატი და სოროორატი. საქმრო პატარძლის მშობლებს *ყალიმს* (*ურვადს*) ნივთებითა და ფულით უხდიდა. ამას გარდა, საქმრო პატარძლის დედას „რძის ფულსაც“ აძლევდა. თათები ქორწინდებოდნენ ახლო ნათესავებზე (ბიძაშვილზე, დეიდაშვილზე, მამიდაშვილზე). როგორც პატარძალი, ისე ნეფე უმძრახობის წესს იცავდა. ნათესავებს შორის ქორწინება დღეს შედარებით იშვიათია. იცოდნენ სისხლის აღება.

როგორც დაღესტნის მოსახლეობის სხვა ჯგუფები (მთის ებრაელები, ყუბაჩელები და სხვ.), თათებიც ჩაკეტილ ეთნიკურ ერთობებს წარმოადგენდნენ. ეთნოსის გარეთ ქორწინებები მათთან ძალიან იშვიათი იყო. XIX საუკუნის ბოლოდან და XX საუკუნის დასაწყისში თათების მნიშვნელოვანი ნაწილი აზერბაიჯანელების მიერ უკვე ასიმილირებული იყო. თათებში ვაჟის დაბადებას დიდი ზეიმით ხვდებოდნენ. ბიჭის წინდაცვეთა დაბადებიდან მე-3 დღეს იცოდნენ. თათები იკრძალებოდნენ დაბალ (35-40 სანტიმეტრის სიმაღლის) ქვის ყუთებში. სამარეში მოთავსებულ ქვის ყუთებს ზემოდან ქვისავე თავსახურები ედო. თათები უაღრესად დიდ პატივს სცემდნენ ასაკით უფროსებს. გამოირჩეოდნენ თავშეკავებით, მოკრძალებულობით, კეთილგანწყობილებით, როგორც ნათესავებთან და თანასოფლელებთან, ისე სხვებთან ურთიერთობაში. თათებში მთელი რიგი ისლამამდელი რწმენა-წარმოდგენები იყო შემორჩენილი. მაგალითად, საახალწლო კოცონზე ჩალისაგან (ნამჯისაგან) გაკეთებულ პატარა ანთროპომორფულ ფიტულებს სწვავდნენ.

მკვლევარები აღნიშნავენ თათური ფოლკლორის მშვენიერებას, რომელშიც ასახულია მისი ირანული წარმომავლობა. მასში აშკარად ორი ფენა გამოიყოფა: უფრო ძველი, რომლისთვისაც დამახასიათებელია საერთოირანული პერსონაჟები (*შაჰები, ვეზირები, ვექილები, ფერი-ხანუმი, რუსტამ-ზოლი* და *დევები*) და გვიანდელი, დაღესტანური.

V. 3. მთის ებრაელები

მთის ებრაელების ენდოეთნონიმია **ჯუგურ, ჯურგო** (ივრითიდან: **იეჰუდიმ** – „იუდეველი“). მთის ებრაელთა ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს დაღესტანსა და აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის სხვა დასახლებულ პუნქტებში. განსახლებულნი არიან ჩრდილოეთ აზერბაიჯანშიც. თავდაპირველად ისინი ბინადრობდნენ მთებში, საიდანაც მომდინარეობს მათი სახელწოდება, მაგრამ XVIII-XIX საუკუნეებში დაბლობში ჩამოსახლდნენ. პოლიტიკურ-იდეოლოგიური მიზეზებიდან გამომდინარე, მათ შორის, ანტისემიტიზმის გამო, 1930-იანი წლებიდან და, განსაკუთრებით, აქტიურად 1960-იანი წლების ბოლოსა და 1970-იანი წლების დასაწყისში, მთის ებრაელების მნიშვნელოვანი ნაწილი, იმის გამო, რომ ისინი თათურენოვანნი იყვნენ, თათებად ჩაწერეს.

მეცნიერთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ მთის ებრაელები ძველი ებრაელების შთამომავალნი არიან, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთ ირანში დასახლდნენ, სადაც შეითვისეს გარშემომყოფი მოსახლეობის ენა (თათური ენა). შემდგომში კი, სხვადასხვა მიზეზების გამო, მთის ებრაელთა წინაპრები ჩრდილოეთ აზერბაიჯანსა და დაღესტანში განსახლდნენ და დამოუკიდებელ ეთნოსად ჩამოყალიბდნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში მთის ებრაელთა მიდია-ატროპატენადან კასპიისპირეთში მიგრაცია ახ. წ.-ის V-VI საუკუნითაა დათარიღებული. ზოგიერთი მეცნიერი კი ამტკიცებდა, რომ მთის ებრაელები წარმოშობით ირანელები, თათები

არიან, რომლებმაც იუდაიზმი მიიღეს ხაზართა კაღანატის (VIII-X სს.) მმართველთა მიერ ამ რელიგიის მიღების პერიოდში.

მეზობელი აზერბაიჯანელები, ყუმუხები, დარგუელები, ხუნძები, ლაკები მთის ებრაელებს შემდეგი ალოეთნონიმებით მოიხსენიებენ: *ჯუვუთი, ჯუფუთი, ჯუჰუთ,* თაბასარანელები – *ჯუჰუდ,* ლეზგები – *ჩუვუდ* და ა. შ. 2000 წლის მონაცემებით მთის ებრაელების რაოდენობა დაღესტანში, სხვა ებრაელებთან ერთად, 14,7 ათასი კაცი იყო (1989 წელს კი მხოლოდ 3,6 ათასი მთის ებრაელი აღირიცხა). მთის ებრაელები კასპიისპირეთში გაბნეულად ცხოვრობენ. მათი უმეტესობა (98%) ცხოვრობს *დერბენტში, მაჰაჩყალაში, ბუინაკსკში, ხასავიურტში, კასპიისკში, იზლარში.* დაღესტნის საზღვრებს გარეთ მთიელი ებრაელები ცხოვრობენ აზერბაიჯანში (*ყუბაში, ბაქოში, შემახიაში, ვართაშენში, მიუჯში*), ყაბარდო-ბალყარეთსა (*ნალჩიკში*) და ჩრდილოეთ ოსეთში (*ვლადიკავკაზში, მოზდოკში*).

XX საუკუნის დასაწყისამდე მთის ებრაელები უპირატესად ბარისა და მთის შესაყარში – მთისწინეთში მკვიდრობდნენ.

ანთროპოლოგიურად მთის ებრაელები დიდი ევროპეიდული რასის წინააზიურ ტიპს მიეკუთვნებიან (კავკასიონური ტიპის მინარევებით). *ვ. ბუნაკის* დასკვნით, მთის ებრაელები ქართველ, შუა აზიისა და წინა აზის ებრაელებთან ერთად, ებრაელთა კავკასიურ ტიპს ჰქმნიან.

მთის ებრაელები თათური, უფრო სწორად, საშუალო-სპარსულის ერთ-ერთი დიალექტიდან მომდინარე ენის ჩრდილოეთკავკასიურ დიალექტზე ლაპარაკობენ. XIX საუკუნის ბოლოს *ვ. მილერმა* ერთ დიალექტს *მუსლიმურ-თათური მეტყველება* უწოდა, რომელზედაც საკუთრივ თათები ლაპარაკობენ, მეორეს – *ებრაულ-თათური მეტყველება,* რომელზედაც მთის ებრაელები მეტყველებენ. მთიელ ებრაელთა თათური ენა თვითმყოფად ლიტერატურულ ენად ჩამოყალიბდა. ამიტომ, როდესაც ამბობენ „თათური ანბანი“, „თათური გაზეთი“, „თათური ლიტერატურა“, „თათური თეატრი“, „თათური რადიო“ და ა. შ. ლაპარაკია სწორედ მთის ებრაელების დამწერლობაზე, ლიტერატურაზე და კულტურაზე, და არა თათების, რადგან თვით თათების უმეტესი ნაწილი XX საუკუნის დასაწყიში აზერბაიჯანულ ენაზე გადავიდა. სოფლებში მცხოვრები თათები კი კვლავ საშუალოსპარსულ ენაზე ლაპარაკობენ.

მთიელი ებრაელების თათურ ენას შემდეგი თქმები აქვს: *ყუბური, დერბენტული და ჩრდილოეთკავკასიური (მაჰაჩყალურ-ნალჩიკური).* მთიელი ებრაელების ლიტერატურული ენა დერბენტული თქმის საფუძველზეა შექმნილი. ზოგიერთი მეცნიერის დაკვირვებით, მთის ებრაელთა დიალექტებისათვის დამახასიათებელია ძველებრაული ენიდან მნიშვნელოვანი ნასესხობები. მთის ებრაელების ენაზე ძლიერი გავლენა მოუხდენია თურქულ ენებს: აზერბაიჯანულსა და ყუმუხურს. დღეს მთის ებრაელების აბსოლუტური უმრავლესობა ფლობს ორ, სამ და მეტ ენას.

ვ. მილერის მასალებით, მთის ებრაელთა წინაპრები ებრაული კურსივის თავისებური ნაირსახეობით სარგებლობდნენ, რომელსაც „ბაღდადის დამწერლობას“ უწოდებდნენ. თუმცა ამ დამწერლობის რაიმე ტექსტი შემორჩენილი არაა. ძველებრაული ენის დაღესტანში გამოყენების ერთგვარი დამადასტურებელია ხაზარეთის მმართველის *იოსიფის* წერილი ესპანეთის წარჩინებულ ებრაელ *ხასად იბნ შაფრუტისადმი.* ცნობილია, რომ ხაზარეთის სახელმწიფო რელიგია იყო იუდაიზმი და მკვლევარები ხაზარეთის იუდაიზაციას თანამედროვე მთის ებრაელთა წინაპრების ხაზარებზე კულტურულ-ეკონომიკურ გავლენას უკავშირებენ. XX საუკუნის დასაწყისში *რაბინ ესეფ იუტი პინხასოვს* ძველებრაული გრაფიკის საფუძველზე თათური ანბანი შეუქმნია. *ე. პინხასოვი* და *იშაი რაბინოვიჩი* 1904 წელს დერბენტში შექმნილი პირველი რუსულ-ებრაული დაწყებითი სასწავლებლის ხელმძღვანელები იყვნენ. XX საუკუნის დასაწყისში ებრაული დამწერლობით შესრულებული რამდენიმე წიგნი გამოვიდა თათურ ენაზე. ამავე დროს, ლათინური გრაფიკის საფუძველზე ახალი ანბანი შეიქმნა. მაგრამ პირველი გაზეთი თათურ

ენაზე მაინც ივრითული გრაფიკით გამოვიდა 1928 წელს. ის 1932 წელს კვლავ ლათინურ ანბანზე გარდაქმნეს. 1938 წელს მთის ებრაელთა დამწერლობა საბოლოოდ რუსულ გრაფიკზე გადავიდა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მთის ებრაელები პირველად X საუკუნეში მოიხსენიებიან. XIII საუკუნეში მათ მოიხსენიებს ფლამანდიელი მოგზაური *ვ. რუბრუკიც,* რომელიც დერბენტიდან ორი დღის სავალზე „ბევრ იუდეველს“ აფიქსირებს. XVII საუკუნის პირველი მესამედის ავტორი *ა. ოლეარი* ჩრდილოეთ კავკასიაში მთის ებრაელების არა მხოლოდ მკვიდრობის შესახებ საუბრობს, არამედ მათი „ბენიამინის ტომიდან“ წარმომავლობის შესახებ გადმოცემაც ჩაუწერია. მთის ებრაელების წარმომავლობის ეს ვერსია დააფიქსირა XVIII საუკუნის დასაწყისში *ი. გერბერმა.* მთის ებრაელების წარმომავლობის შესახებ ანალოგიური ლეგენდები XIX საუკუნის შუა ხანებში ჩაიწერეს აგრეთვე *ი. ჩერნიმ* და *ა. კომაროვმა.* მაგალითად, *კომაროვი* აღნიშნავს, რომ მთის ებრაელებმა დაღესტანში დასახლება VIII საუკუნის ბოლოსა და IX საუკუნის დასაწყისში დაიწყეს და მათი განსახლების არეალები იყო: თაბასარანში – *სალახი,* ხაიდაყში კი – *ყარა-კორეიშის* ხეობის ახლოს, რომელიც დღესაც ცნობილია *ჟიუტ-კატას* („ებრაელთა ხეობა“) სახელით. გადმოცემით, დაახლოებით 300 წლის წინ მთის ებრაელები აქედან *მაჯალისში* გადავიდნენ, შემდეგ კი – *იანგიკენტში.* იგივე ავტორი აზუსტებს, რომ *თემირ-ხან-შურის* ოკრუგში მცხოვრებ ებრაელებს აქვთ გადმოცემა, რომ მათი წინაპრები იერუსალიმის პირველი განადგურებისა და აოხრების დროს ბაღდადში გადავიდნენ, სადაც საკმაოდ დიდ ხანს ცხოვრობდნენ. მუსლიმთაგან შევიწროების შემდეგ, ისინი თანდათან გადასახლდნენ *თეირანში, ჰამადანში, რეშტში, დერბენტში, მაჯალისში, ყარაბულახკენტში* და *თარგუში.* ამ გზაზე ბევრ პუნქტში მათი ნაწილი მუდმივად საცხოვრებლად დარჩა. ლეგენდების ანალიზის შემდეგ ცხადია, რომ მთის ებრაელთა წინაპრები დიდი ხნის განმავლობაში, ალბათ რამდენიმე საუკუნე, სპარსელებსა და თათებს შორის ცხოვრობდნენ. სპარსულ ეთნიკურ გარემოში მათ დედაენად სპარსული ენის თათური დიალექტი იქცა. თუმცა ისიც შენიშნულია, რომ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მთის ებრაელთა წინაპრები ორენოვანნი იყვნენ. დაახლოებით V-VI საუკუნეებში სასანიდი მმართველის *კავად I-ის* (488-531 წწ.) დროს და განსაკუთრებით *ხოსროვ I ანუშირვანის* (531-579 წწ.) მეფობისას, მთის ებრაელთა წინაპრები, თათებთან ერთად, როგორც სპარსელი კოლონისტები, აღმოსავლეთ კავკასიაში, ჩრდილოეთ აზერბაიჯანსა და სამხრეთ დაღესტანში ირანელთა სამფლობელოების მომთაბარე ტომების თარეშთაგან თავდასაცავად (აღსაკვეთად) გადმოასახლეს.

მეცნიერთა სხვა ჯგუფის აზრით, მთის ებრაელების კასპიისპირეთში მიგრაცია დაკავშირებულია ირანში მაზდაკიდების მოძრაობაში ებრაელთა მონაწილეობასთან, როდესაც *ეგზილარხმა მარზუთრა II-ემ* ირანში შექმნა დამოუკიდებელი ებრაული სახელმწიფო, რამაც 531 წელს ებრაელ სეპარატისტთა დარბევა გამოიწვია. VII საუკუნის დასაწყისში, შემდეგ კი VIII საუკუნის დასაწყისში ბიზანტიაში ებრაელთა დევნამ დაღესტანში მათი ნაკადის მოზღვავება გააძლიერა; ისინი რელიგიური შემწყნარებლობით ცნობილ ხაზარეთში გარბოდნენ. VIII საუკუნეში ხაზარეთის კაღანატში იუდაიზმის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით მთის ებრაელთა ცხოვრებაში სტაბილური განვითარების ხანმოკლე ეპოქა დადგა. მთის ებრაელთა მიგრაციული პროცესები ხანგრძლივი დროის განმავლობაში გრძელდებოდა: XIV საუკუნის ბოლოს ისინი *თემურ-ლენგის* არმიის მსხვერპლნი შეიქმნენ. 1742 წელს მთის ებრაელთა დასახლებები *ნადირ-შაჰის* ლაშქარმა გაანადგურა, XVIII საუკუნის დასასრულს კი მათ თავს *ყაზიყუმუხის ხანი* დაესხა. *შამილის* დროს მუსლიმი ფუნდამენტალისტები ებრაელთა სოფლებსა და უბნებს ძარცვავდნენ. მისი მცხოვრებნი თავს აფარებდნენ რუსულ სიმაგრეებს. ზოგიერთმა კი ისლამი იძულებით მიიღო, რის შემდეგაც ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ.

ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მთის ებრაელების ასიმილაციის ეს ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა, რისი დამადასტურებელიცაა დაღესტანის ბარის, მთისწინეთისა და მთის რაიონებში არსებული ებრაული ტოპონიმია. ამ პროცესების უფრო მეტად დამამტკიცებელია ზოგიერთ დაღესტნურ სოფელში თუხუმები, რომლებიც თავიანთ წარმომავლობას მთის ებრაელებს უკავშირებენ. ასეთი ასიმილაციური პროცესების მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო დაღესტნის ხალხებისა და მთის ებრაელებს შორის ტრადიციულად არსებული მეგობრობა და ყონაღობა. მთის ებრაელთა ეთნოსის ფორმირება ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაღესტნის ხალხებთან სამეურნეო-კულტურული ურთიერთობის ფონზე მიმდინარეობდა.

XX საუკუნის დასაწყისიდან არაერთი ებრაელი *პალესტინაში* გადასახლდა. 1920-იან წლებში რეპატრიაცია შეწყდა და 1974 წლიდან განახლდა. უკანასკნელ ხანს ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენების გამო, მთის ებრაელთა განსახლება კვლავ გაგრძელდა. ამიტომ ყოველწლიურად ისრაელში დაახლ. 1,3-1,5 ათასი მთის ებრაელი მიდიოდა. მარტო 1992-1995 წლებში დაღესტნიდან 5080 მთის ებრაელი წავიდა. საერთოდ, მთელი 10 წლის განმავლობაში 1990 წლიდან 1999 წლამდე საზღვარგარეთ 12 ათასი მთის ებრაელი მიგრირდა. რუსეთის ფედერაციაში დღეისათვის სულ 3 ათასი ებრაელი ცხოვრობს.

მთის ებრაელთა მთავარი სამეურნეო საქმიანობა მიწათმოქმედება იყო. მისდევდნენ ხელოსნობასა და ვაჭრობას, მებაღეობას, მევენახეობას, მეღვინეობას, მეთამბაქოეობას. მეცხოველეობა შედარებით სუსტად იყო განვითარებული. ძირითადად წვრილფეხა საქონლის მოშენებას მისდევდნენ. მთის ებრაელები დაღესტნის მთისა და ბარის მოსახლეობას შორის სავაჭრო საქმეში ერთგვარი შუამავლის როლს ასრულებდნენ. ამიტომ იყო, რომ ისინი ძირითადად მთიდან ბარში გარდამავალ ადგილებში მოსახლეობდნენ. მთის ებრაული სოფლები ბევრი არ იყო. მათი ძირითადი ნაწილი ცალკეული უბნების სახით დაღესტნის სოფლებსა და ქალაქებში ცხოვრობდა. ქალაქებში კომპაქტურად მხოლოდ დერბენტში მკვიდრობდნენ. XIX საუკუნის შუა ხანებში მთის ებრაელები დაღესტნის 29 დასახლებულ პუნქტში ცხოვრობდნენ და 1222 კომლს ითვლიდნენ.

მთის ებრაელთა ოჯახის ძირითადი ტიპი XX საუკუნის პირველ მესამედამდე გაუყრელი, დიდი ოჯახი იყო. ასეთ ოჯახებში სულთა რაოდენობა 10-დან 40 კაცამდე მერყეობდა. ერთი წინაპრიდან მომდინარე რამდენიმე ოჯახი თუხუმს შეადგენდა. მთის ებრაელებში განვითარებული იყო სტუმართმოყვარეობის, ურთიერთდახმარების წეს-ჩვეულებები, იცოდნენ სისხლის აღება. ქორწინდებოდნენ ბიძაშვილებზე, მამიდაშვილებზე, დეიდაშვილებზე, სხვა ახლო ნათესავებზე. გავრცელებული იყო ლევირატი და სოროორატი. პატარძალში იხდიდნენ *ყალიმს* (*ურვადს*). ვაჟიშვილის დაბადება დიდი დღესასწაული იყო. მერვე დღეს ასრულებდნენ წინდაცვეთის წესს.

მთის ებრაელები სარწმუნოებით იუდეველები იყვნენ. მათში ეთნიკური და რელიგიური თვითშეგნება ერთმანეთს ერწყმოდა. ამიტომაც იყო, რომ სხვა რელიგიის მიღება სხვა ხალხში გადასვლად, ეთნიკურობის შეცვლად განიხილებოდა. XIX საუკუნის შუა ხანებში დაღესტანში 27 სინაგოგა იყო. მთის ებრაელთა რელიგია მჭიდროდ იყო გადახლართული მეზობელი ხალხების წარმართულ რწმენა-წარმოდგენებთან.

მთის ებრაელებს მათთვის დამახასიათებელი ფოლკლორი ჰქონდათ, რომელიც ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. მათში მნიშვნელოვნად იყო განვითარებული სასიმღერო ლირიკა, განსაკუთრებით ხატოვანი იყო საქორწილო, საწესჩვეულებო პოეზია, ხმით ტირილი. ფოლკლორის, განსაკუთრებით აშუღთა წიაღიდან ამოიზარდა მთის ებრაელთა ლიტერატურა. მთის ებრაელებს მეცნიერებისა და კულტურის არაერთი მოღვაწე ჰყავდათ. მთის ებრაელი იყო არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოში სახელგანთქმული ქირურგი

გაბრიელ ილიზაროვი, რომელიც კურგანის ექსპერიმენტული ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა.

V. 4. თალიშები

თალიშები სამხრეთ კავკასიის და აზერბაიჯანის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთში მცხოვრები ძირძველი ეთნოსია. თალიშები აზერბაიჯანის მოსაზღვრე ირანშიც ცხოვრობენ. ბოლო შეფასებითი მონაცემებით, ირანში თალიშების რაოდენობას 100 ათას კაცს ანგარიშობენ. რაც შეეხება აზერბაიჯანში თალიშების ეთნოდემოგრაფიულ მონაცემებს, აქ დიდი გაურკვევლობაა. საბჭოთა პერიოდში, 1959, 1970, 1979 წლების მოსახლეობის აღწერებში თალიშები, როგორც დამოუკიდებელი ეთნიკური ერთეული, საერთოდ არ აღრიცხეს. ისინი აზერბაიჯანელებს მიაკუთვნეს. 1989 წელს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, თალიშების რაოდენობა 21,2 ათასი იყო, 1999 წელს კი 67,8 ათასი. 10 წელიწადში ასეთი მატება წარმოუდგენელია. აქედან გამომდინარე, ფაქტია, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ 1989 წელსაც მათი დიდი რაოდენობა აზერბაიჯანელებად ჩაწერა. სხვადასხვა ინტერნეტ-საიტების მიხედვით, დღეს აზერბაიჯანში თალიშების რეალური რაოდენობა 200 ათასი კაციდან 250 ათას კაცამდე მერყეობს. ინტერნეტ-საიტებზე ისიც არის აღნიშნული, რომ XIX საუკუნესა და განსაკუთრებით XX საუკუნეში მოხდა ეთნიკური თალიშების მნიშვნელოვანი ნაწილის იდენტობის შეცვლა. ისინი რეალურად როგორც ენით, ისე კულტურით აზერბაიჯანელებად იქცნენ. 1886 წლის საოჯახო სიებით, *ბაქოს* გუბერნიის *ლენქორანის* მაზრაში თალიშების რაოდენობა 40.510 კაცი (6.612 ოჯახი) იყო, რაც აღნიშნულ მაზრაში მთელი მოსახლეობის 46,2%-ს შეადგენდა. მთლიანად ბაქოს გუბერნიაში აღნიშნულ დროს თალიშების პროცენტული რაოდენობა 7-ზე მეტი იყო. 1859-1864 წლების მონაცემებით, ლენქორანის მაზრაში 34.444 თალიში იყო აღრიცხული, 1880 წელს – 39.186. 1897 წლის პირველმა საყოველთაო საიმპერიო აღწერამ მხოლოდ 34.991 თალიში დააფიქსირა. 1921 წელს მათი რაოდენობა 66.206 იყო, 1926 წელს – 77,3 ათასი, 1939 წელს – 97,5 ათასი.

თალიშების თვითსახელწოდებაა **თოლიშ**. თალიშები ინდოევროპულ ენათა ოჯახის დასავლურ-ირანული ჯგუფის ჩრდილო-დასავლური ქვეჯგუფის თალიშურ ენაზე ლაპარაკობენ. დამწერლობა ლათინური გრაფიკით 1928 წელს შეიქმნა. რამდენიმე წლის განმავლობაში თალიშურ ენაზე გამოიცემოდა 19 ბეჭდვითი გამოცემა. 1930-იანი წლების ბოლოს თალიშურ ენაზე ყველა გამოცემა შეწყდა. უკანასკნელი წლების განმავლობაში თალიშურ ენაზე წიგნებისა და გაზეთების გამოცემა განახლდა. სოფლებში, სადაც ეთნიკური თალიშები ცხოვრობენ, შემოიღეს თალიშური ენის სწავლება. ყველა თალიში ორენოვანია. ისინი თალიშურ ენასთან ერთად აზერბაიჯანულ ენასაც თანაბრად ფლობენ.

თურქული ტომების შემოჭრამდე (XI-XII სს.) თალიშები თავიანთი ეთნიკური ტერიტორიის სრული ბატონ-პატრონები იყვნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თალიშების განსახლების არეალი ჯერ ძველი სახელმწიფოს – მიდიის შემადგენლობაში, შემდეგ კი სპარსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. XVI საუკუნის დასაწყისიდან თალიშების მხარე სეფევიდების სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი იყო. თალიში ფეოდალები ყოველთვის შაჰების აქტიური მხარდამჭერები იყვნენ. თალიშის პროვინციას შაჰის მიერ დანიშნული ადგილობრივი მმართველები ხელმძღვანელობდნენ. მაგრამ იმის გამო, რომ ლენქორანი ცენტრისაგან საკმაოდ დაშორებული იყო, შემდგომში შაჰის ხელისუფლებამ ლენქორანი გილიანის ოლქს შეუერთა (გილიანელები ეთნიკურად და ენობრივად თალიშებთან ძალიან ახლოს არიან). სამეცნიერო ლიტერატურაში ისიც არის აღნიშნული, რომ XVII საუკუნის ბოლოდან ჩამოყალიბდა თალიშის

სახანო. 1747 წელს *ნადირ-შაჰის* მკვლელობის შემდეგ, თალიშის სახანომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. სახანოს ტერიტორია დღევანდელი აზერბაიჯანის მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს მოიცავდა. სახანოს დედაქალაქი იყო *ლენქორანი.* იმდროინდელი ლენქორანი კულტურულ და სავაჭრო ცენტრად იქცა. ამ დროისათვის *თალიშის სახანოში* ექვსი რაიონი შედიოდა: *ლენქორანის, ასტარის, ზუვანდის* (ახლანდელი *ლერიკი*), *სებიჩანის* (ახლანდელი *პრიშიბი*), *ვერკადუზის* (ახლანდელი *იარდიმლის* რაიონი) *და ბილასუვარის.* XVIII საუკუნის შუა ხანებში ლენქორანში *გარა ხანმა* ხანის სასახლე, მეჩეთი, საქალაქო აბანო, ბაზრობა, ქარვასლა ააშენა. 1795 წელს ლენქორანში *აღა-მახმად ხანი* შემოიჭრა. ამავე დროიდან დაიწყო თალიშის სახანოს დაახლოება რუსეთთან. 1802 წლის დეკემბერში თალიშის სახანო რუსეთის უმაღლესი მფარველობის ქვეშ გადავიდა. 1809 წელს ლენქორანში ირანის შაჰის არმია შეიჭრა. მოსახლეობამ ქალაქი დატოვა და კუნძულ *სარის* შეაფარა თავი. 1814 წელს ქალაქში რუსეთის არმია შეიჭრა. 1813 წლის 12 სექტემბერს რუსეთსა და ირანს შორის დაიდო გულისტანის საზავო შეთანხმება. ამ ხელშეკრულებით საფუძველი ჩაეყარა სპარსეთის აზერბაიჯანის პროვინციის ორ ნაწილად გაყოფას და თალიშის მიწა ორ დამპყრობელს შორის იქნა განაწილებული. თალიშის სახანო სხვა სახანოებთან ერთად რუსეთმა შეიერთა. ჰასან ხანის გარდაცვალების შემდეგ, 1826 წელს თალიშის სახანო ლიკვიდირებულ იქნა.

მეცნიერებაში არის მოსაზრება, რომ თალიშები *ირანულენოვანი კადუსების* შთამომავალნი არიან. ამავე დროს, იმასაც აღნიშნავენ, რომ თალიშების ეთნოგენეზში მონაწილეობდნენ კავკასიურენოვანი ტომებიც. თალიშების გეოგრაფიული მდგომარეობა კი ყველა მეცნიერს აფიქრებინებს, რომ ისინი ძველი მიდიელებიდან წარმომავლობენ. პირველად ამის შესახებ მოსაზრება *ვ. ლეგკობიტოვმა* (1836 წ.) გამოთქვა. მანვე აღწერა თალიშების მატერიალური კულტურა (განსაკუთრებით, საცხოვრებელი სახლები). აღნიშნა, რომ თალიშების საჭმელი მრავალი კერძისაგან შედგება, რომელთა შორის საყვარელ საჭმელად ფლავი ითვლება, რომ მათ ძალიან უყვართ ტკბილეულობა. თალიშების ეთნოგრაფიულ ყოფას შემდეგ *პ. რისი* შეეხო. ის აღნიშნავდა, რომ მოხუცთა გადმოცემით, **ძველად თალიშურ ენაზე ლენქორანის ჩრდილოეთითაც ლაპარაკობდნენ. მის დროს კი თალიშური ენა 142 სოფელში იყო გაბატონებული**. თალიშების ტანსაცმელი *პ. რისის* განსაზღვრით, თითქმის არაფრით განსხვავდებოდა მეზობელ აზერბაიჯანელთა ტანსაცმლისაგან. ეს ავტორი იმასაც წერს, რომ თალიშები პურს არ აცხობენ (?). როგორც კეთილსინდისიერი მუსლიმები, სასმელებიდან ისინი მხოლოდ წყალს სვამენ. ჭამენ დღეში სამჯერ იატაკზე. თითოეული მათგანი იატაკზე დადებული სინიდან ხელით იღებდა საჭმელს. *პ. რისი* თალიშებს ახასიათებდა როგორც სტუმართმოყვარე, უანგარო, არამეომარ ხალხს. XIX საუკუნის მეორე ნახევარში თალიშების შესახებ გამოკვლევის ავტორი *დ. კისტენოვი* წერდა, რომ თალიშები ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ერთგვაროვანი ხალხი არ არის. საკუთრივ თალიშებს გარდა, ის მათ რამდენიმე ეთნოგრაფიულ ჯგუფს ასახელებდა (*პორნაიმები, ალარები, ორატლინები, ზუვანდები*). მისი დაკვირვებით, თალიშების ოჯახი პატრიარქალური ტიპის იყო.

თალიშების მეურნეობის ძირითადი დარგი მიწათმოქმედება იყო. მისდევდნენ მესაქონლეობას, მეფუტკრეობას და მეთევზეობას. **გამოყვანილი ჰქონდათ ბრინჯის ორმოცდაათადე სახეობა. აქედან გამომდინარე, საკვებში პირველი ადგილი ბრინჯის კერძებს ეკავა.** სახვნელ მიწათმოქმედებას (პურეული კულტურების მოყვანას) წამყვანი ადგილი მხოლოდ მთასა და მთისწინეთში ეკავა. ბახჩეული და ბოსტნეული კულტურები დაბლობში მოყავდათ. **თალიშთა ქვეყანაში 26 ჯიშის ნესვი და ათი ჯიშის საზამთრო იყო გავრცელებული. ბრინჯის მაღალი მოსავლის მისაღებად, თალიშები მიწას ექვსჯერ ამუშავებდნენ, თანაც ექვსივე შემთხვევაში**

სხვადასხვა, შესაბამისი იარაღით. მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მეაბრეშუმეობას, მევენახეობას. მეცნიერებს თალიშების სამეურნეო ყოფის შესწავლამ შემდეგი დასკვნის გამოტანის საშუალება მისცა – XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში თალიშები მაღალი სამიწათმოქმედო კულტურის მატარებელნი იყვნენ არა მხოლოდ თავიანთი განსახლების არეალში, არამედ მთელ აზერბაიჯანში. სამიწათმოქმედო მეურნეობაში თალიშები გამოიყენებდნენ თვითმყოფად და ტრადიციულ ხელის იარაღსა და სახვნელებს.

თალიშებს დაბლობში საცხოვრებელ სახლებს გარდა აშენებული ჰქონდათ დროებითი საზაფხულო საცხოვრებლები – *ლემ.* ლემებს ეზოებში აგებდნენ და გათვალისწინებული იყო სინესტისა და კოღოებისაგან თავდასაცავად. ზაფხულის სიცხეების დროს, ოჯახის ყველა წევრი სახლს ტოვებდა და ლემში სახლდებოდა, რადგან ის უფრო ზევით იდგა, ვიდრე სახლი. ლემებს, ჩვეულებრივ, ორსართულიანებს აშენებდნენ კედლების გარეშე. ცხოვრობდნენ მხოლოდ მეორე სართულზე. თალიშებს ავეჯი არ ჰქონდათ.

თალიშებს ჰქონდათ მდიდარი და თავისებური კვების კულტურა. თალიშების ძირითადი საჭმელი იყო მოხარშული ბრინჯი, რომელსაც *ფლოს* უწოდებდნენ. **თალიშებს ფლავის 20-მდე სახეობა ჰქონდათ, რომლებიც შესაკაზმავი საშუალებებით განსხვავდებოდნენ.** იცოდნენ ფლავი მოხარშული ხორცით, ქათმით, იხვით, ქიშმიშით, გოგრით, ოსპით, რძით და ა. შ. ძალიან უყვარდათ ფქვილისაგან გამომცხვარი ტკბილეულობა. ყოველდღე მიირთმევდნენ რძის პროდუქტებს, სხვადასხვაგვარ მწვანილეულს. არ სვამდნენ სპირტიან სასმელებს. რადგანაც თალიშებში ძალიან განვითარებული იყო მეფუტკრეობა, მათი კვების რაციონში დიდი ადგილი თაფლს ეკავა.

თალიშებს შექმნილი ჰქონდათ მრავალფეროვანი შინამრეწველობა. შეიძლება დავასახელოთ: ხის დამუშავება, ქარგვა, ქსოვა, ლითონის დამუშავება, მეთუნეობა, ჭილოფების დამზადება. ჭილოფებს ძირითადად ქალები ამზადებდნენ. კალათებს და გოდრებს კი კაცები წნავდნენ.

თალიშთა ოჯახი მონოგამიური იყო. ქორწინება ძირითადად ენდოგამიური იყო, თუმცა მას ხშირად არღვევდნენ. ხშირი იყო კუზენური ქორწინებები. ცხოვრობდნენ როგორც დიდ, ისე პატარა ოჯახებად. ოჯახის უფროსი მამაკაცი იყო, მისი სიტყვა კანონი იყო ოჯახის ყველა წევრისათვის. აჩენდნენ ბევრ ბავშვს. მეორე ცოლს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეირთავდნენ, თუ პირველი ცოლისაგან ვაჟები არ უჩნდებოდათ. ამ შემთხვევაში პირველი ცოლი ქმარს არა მხოლოდ მეორე ცოლის შერთვის ნებას აძლევდა, არამედ მეორე ცოლის მოყვანით პირველი ცოლიც იყო დაინტერესებული და ხშირად თავად იჩენდა ასეთ ინიციატივას. ქორწილი რამდენიმე დღე გრძელდებოდა და მასში არა მხოლოდ ნათესავები, არამედ ყველა თანასოფლელი ღებულობდა მონაწილეობას. ქორწილში ტრადიციულ სიმღერებს ქალები ასრულებდნენ. მართალია, თალიშებში ფეოდალური ურთიერთობა მრავალი საუკუნის მანძილზე არსებობდა, მაგრამ, მათ შორის, ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისამდე შემორჩენილი იყო სისხლის აღების წეს-ჩვეულება. შემორჩენილი იყო მუსლიმამდელი რწმენა-წარმოდგენებიც: მაგიური ქმედებები, „წმინდა ადგილების“ – ქვების, ხეების, საფლავების თაყვანისცემა.

V. 5. ლაიჯები©

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდის საქართველოში სკრუპულოზურად ხდებოდა ეთნიკური სიტუაციის აღნუსხვა, როგორს მეცნიერებს, ისე სახელმწიფო

© გიორგი ავთანდილაშვილი

სტრუქტურებს გამორჩათ ერთი ეთნიკური ჯგუფი. ესენი არიან **ლაიჯები,** რომლებიც როგორც აღწერებში, ისე პირადობის დამადასტურებელ ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტებში აზერბაიჯანელებად აღირიცხებოდნენ. ისიც ხაზგასამელია, რომ ასეთი ეთნონიმით ხალხი არსად დადასტურებული არაა.

ლაიჯები მკვიდრობენ აღმოსავლეთ საქართველოში, გარე კახეთის სოფელ *გომბორში.* მართალია ლაიჯები აზერბაიჯანელებად იყვნენ ჩაწერილი, მაგრამ ისინი თავს აზერბაიჯანელებად არ გაიცნობიერებდნენ; ლაიჯურ ეთნიკური ცნობიერებასთან ერთად მათ აქვთ ეთნიკური ცნობიერების ისეთი ძირითადი ნიშანი როგორიცაა ენა. ლაიჯთა აღმოჩენის პრიორიტეტი ქართველ მეცნიერს *მანანა კვაჭაძეს* ეკუთვნის, რომელმაც ლაიჯთა ენა მეცნიერულად შეისწავლა.

ლაიჯები თათურზე ენაზე საურობენ. მაგრამ ლაიჯები თათებად არ გაიცნობიერებენ თავს. სოფელ გომბორში ცხოვრობს მაჰმადიანთა სხვა ჯგუფიც, რომლებიც თავს თათებს უწოდებს, მაგრამ საუბრობენ არა თათურ ენაზე, არამედ აზერბაიჯანულზე. ისინიც ყველა სახის დოკუმენტში – საბჭოთა პერიოდშიც და დღესაც – აზერბაიჯანელებად იყვნენ და არიან ჩაწერილნი. ისლამის მიმდევარი ეს ორი ეთნიკური ჯგუფი ერთმანეთს აზერბაიჯანულ ენაზე ეკონტაქტება.

2010 წელს საქარველოში 300-დან 400-მდე ლაიჯი ცხოვრობდა. სხვადასხვა მიზეზების გამო, მათი რიცხვის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ლაიჯები ირანულენოვანი/თათურენოვანი მოდგმის ხალხია. თათები კი დღესაც ცხოვრობენ აზერბაიჯნსა და ირანში (ზოხრას და ტალიკანის რაიონებში), აგრეთვე დაღესტანში. ლაიჯური მეტყველება შედის ირანულ ენათა ოჯახის სამხრეთ-დასავლურ ჯგუფში; ის თათური ენის ერთ-ერთ დიალექტს წარმოადგენს. ლაიჯთა მეტყველება ახლო გენეტიკურ კავშირს ამჟღავნებს სპარსულ და ტაჯიკურ ენებთან.

ლაიჯები საქართველოში აზერბაიჯანიდან მიგრირდნენ XX საუკუნის დასაწყისში, დღევანდელი *ისმაილის რაიონის სოფელი ლაჰიჯიდან.* ისინი თავდაპირველად კახეთის სხვადასხვა სოფელში გაიფანტნენ; საბოლოოდ კი საგარეჯოს რაიონის სოფელ *გომბორში* დასახლდნენ. ლაიჯების მიგრაციის ძირითადაი მიზეზი აზერბაიჯანში შექმნილი მძიმე სოციალური ვითარება, უმუშევრობა და ხშირი არეულობა იყო, რაც მოსახლეობის მშვიდობიანი ცხოვრების ხელსშემშლელი გახლდათ. თავდაპირველად საშუალო ასაკის მამაკაცები მხოლოდ სამუშაოდ მოვიდნენ, მოგვიანებით კი მათ ოჯახის წევრებიც მოუყვანიათ. ასე მოხდა საქართველოში ლაიჯების დასახლება.

სამეცნიერო ლიტერატურა ლაიჯების შესახებ თითქმის არ არსებობს, მხედველობაში თუ არ მივიღებთ ლინგვისტთა გამოკვლევებს. ამიტომ წინამდებარე ნარკვევი სოფელ გომბორში მოვეპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალას ეყრდნობა. ლაიჯების დიდი ნაწილი დღესაც დასახელებულ სოფელში მკვიდრობს, ოღონდ ცალკე უბნად. სოფელში მკვიდრობენ აგრეთვე ასევე აზერბაიჯანელებად ჩაწერილი აზერბაიჯანულენოვანი თათები, ქართველები (მთიდან – ფშავიდან გადმოსახლებულნი) და რუსები. ამ უკანასკნელთა დიდი ნაწილი საქართველოდან რუსეთში პოსტსაბჭოთა პერიოდში გადასახლდა, რადგან ისინი ძირითადად საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები იყვნენ.

ლიჯების ეთნიკური ჯგუფი უკვე ასი წელია, რაც საქართველოში მკვიდრობს. ლაიჯების შესახებ ზუსტი დემოგრაფიული მონაცემების დადგენას ხელს ის უშლის, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფელში ცხოვრობს აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობა, რომლებიც თავს თათებად გაიცნობიერებს და რომლებიც ასევე აზერბაიჯანელებად აღირიცხებოდნენ. ერთგვარად ხელის შემშლელია ის გარემოებაც, რომ სოფელში ცოტა არაა ამ ორ ეთნიკურ ერთეულს შორის შერეული ოჯახები. რეალურ ვითარებაში გასარკვევად საჭირო გახდა საბჭოთა პერიოდის საარქივო მონაცემების უშუალოდ ველზე დაზუსტება. დამუშავდა გომბორის სასოფლო საბჭოს რამდენიმე წლის საკომლო დავთრები,

რომელაგან ყველაზე ადრინდელი 1938-1939 წლებისა. სრულყოფილია 1964-1966 წლებისა და 1986-1990 წლების მონაცემები, რადგან 1989 წელს დაფიქსირდა საქართველოში მოსახლეობის ყველაზე დიდი რაოდენობა, შესაბამისად სხვა ეთნიკური ჯგუფებისაც.

სოფელ გომბორის მუსლიმური/„თათრული“ მოსახლეობის შესახებ პირველი საარქივო დოკუმენტი 1924 წლით თარიღდება; ესაა გომბორის თემსაბჭოს ოქმი №10: „1924 წლისა კათათვის 11 დღესა სოფელ გომბორში შესდგა მენახშირეთა თათრების კრება, რომელზედაც დაესწრო ქალი და კაცი 200 სულამდინ“. ასე რომ, 1924 წლისთვის გობმორში „თათრების“ რაოდენობა 200 კაცამდე ყოფილა, მაგრამ, ბუნებრივია, კრებას არასრულწლოვანი „თათრები“ ვერ დაესწრებოდნენ და მათი რაოდენობა მეტი – მინიმუმ 200 მაინც – იქნებოდა. ამასთანავე, აღნიშნულ რაოდენობაში მხოლოდ ლაიჯები არ იგულისხმებიან. ლაიჯებთან ერთად სოფელში დასახლებული იყვნენ აზერბაიჯანულენოვანი თათებიც. ტრადიციით XX საუკუნის დასაწყისშიც ეთნონიმს *თათარი* ქართველი მოსახლეობა გამოიყენებდა საქართველოში მცხოვრები მუსულიმი მოსახლეუბის აღსანიშნავად – მასში იგულისხმებოდნენ როგორც თურქულენოვანი აზერბაიჯანელები, ასევე ირანულენოვანი ხალხები. იმის გამო, რომ ამ პერიოდის ყველა საბუთში და მოგვიანებით – 1938 წლის საკომლო დავთრებში შეყვანილი მუსულიმი მოსახლეობა ოფიციალურადა მოხსენიებოდა ჯერ *თათარად* და შემდეგ – *აზერბაიჯანელად*, საჭირო გახდა ყველა მუსულმური ოჯახის უშუალოდ ველზე წარმომავლობის გარკვევა – რომელი მათგანი იყო ირანულენოვანი/თათურენოვანი ლაიჯი და რომელი – არა.

სოფელ გომბორში *აზერბაიჯანულენოვანი თათები* იმავე პერიოდში გადმოსახლდნენ, როდესაც ლაიჯები. ოღონდ პირველთა წინაპრები ირანის აზერაიჯანიდან მოსულან, რომელთა წინაპრებიც საქართველოში სამუშაოს ეძებდნენ. ირანის აზერბაიჯანიდან მიგრირებულთა დიდი ნაწილი ქვემო ქართლის და კახეთის სხვადასხვა სოფლში დასახლებულა, გარკვეული ჯგუფი კი გომბორში დარჩენილა. *აზერბაიჯანულენოვანი თათების* გარკვეულმა ნაწილმა საქართველოში მოსვლის დროს მეორე ენა, როგორც თავად ამბობენ, ფარსიც იცოდა.

დღეს გომბორში ლაიჯებისა და აზერბაიჯანულენოვანი თათების რაოდენობა დაახლოებით თანაბარია, თუმცა 1924 წელს *ლაიჯები აზერბაიჯანულენოვან თათებს* მცირედ სჭარბობდნენ. ეთნიკური წარმომავლობით ერთი მოდგმის ზემოთ აღნიშნულ ორ ერთნიკურ ერთობას დღეს საერთო ფაქტობრივად აღარაფერი აქვთ. საბჭოთა პერიოდში საერთო ის ჰქონდათ, რომ ორივე ჯგუფი აზერბაიჯანელად იყო აღრიცხული და ისინი ერთმანეთს აზერბაიჯანულ ენაზე ეკონტაქტებოდნენ. როგორც ცნობილია, თათური ენა ირანულ ენათა სამხრეთ-დასავლურ ჯგუფს მიეკუთვნება. აზერბაიჯანში მცხოვრები მუსლიმი თათების ენა უმწერლობოა. ამის გამო, მათი განათლების და კულტურის ენა აზერბაიჯანულია. აზერბაიჯანული ენა ღრმად არის შეჭრილი თათების საოჯახო და საყოფაცხორებო ურთიერთობებში. დღეს თათებში ორენოვნება საყოველთაო ხასიათს ატარებს. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, თათები წარმოშობით სპარსელები არიან, რომლებიც სავარაუდოდ უკანასკნელი სასანიანების დროს გადასახლდნენ აზერბაიჯანში. სწორედ ამ თათების რეალური შთამომავლები არიან გომბორში მცხოვრები ლაიჯები, რაზედაც მათი ენობრივი მონათესაობა მეტყველებს.

ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ *გომბორელი თათების* მეორე ენა იყო *ფარსი.* ამ ენით ისინი ლაიჯებს ვერ ეკონტაქტებოდნენ. აზერბაიჯანულენოვანი თათების ეს მეორე ენა, მართლაც ფარსი უნდა ყოფილიყო. ირანის აზერბაიჯანიდან მოსულები, ბუნებრივია, ირანის სახელმწიფო ენაზედაც ლაპარაკობდნენ. ზემოაღნიშნული არ გამორიცხავს იმას, რომ გომბორის „თათური“ მოსახლეობა რეალურად და წარმომავლობით ნამდვილად თათების შთამომავალნი

იყვნენ, რომლებიც აზერბაიჯანულენოვან გარემოში ასიმილირდნენ. ერთადერთი რაც შემორჩათ ესაა მათი ეთნონიმი.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გომბორში მცხოვრები ლაიჯებიც და აზერბაიჯანულენოვანი თათებიც რეალურად თათები არიან, ოღონდ უკანასკნელნი, კულტურული თვალსაზრისით უკვე აზერბაიჯანელები არიან. მათი ეთნიკური ტრანსფორმაცია საქართველოში მიგრაციის შემდეგ არ მომხდარა; ის ირანის აზერბაიჯანში განხორციელდა. როგორც ეთნოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, ირანში თათების თათური ენიდან თურქულ ენაზე გადასვლა ჩვეულებრივი ამბავია. ეთნოლოგი *ლიუშკევიჩი* აღნიშნავდა, რომ ზოხრას ბარის რაიონის თათურ სოფლებში ძლიერი იყო საერთოევროპული და მეზობელი აზერბაიჯანული მოსახლეობის გავლენა. „აზერბაიჯანული ენა ურაგანსავით აღგვის ყველა ირანულ თქმასა და დიალექტს“. ავტორი ზოხრას 28 სოფლიდან მხოლოდ 8 სოფელს მიუთითებს, სადაც თათური ენა შენარჩუნებული იყო. ირანში აზერბაიჯანული ენის მიერ თათური ენის წარხოცვა XX საუკუნის შუა ხანების სამეცნიერო ლიტერატურაშიცაა დაფიქსირებული. როგორც ჩანს, თათურ სოფლებში ირანული მეტყველების დაკარგვა და თურქულზე გადასვლა არც XX საუკუნის დასაწყისისათვის იყო უცხო. ასე რომ, სოფელ გომბორში მცხოვრები აზერბაიჯანელად ჩაწერილი და აზერბაიჯანულენოვანი მოსაახლეობა წარმომავლობით ნამდვილად თათები არიან, რომელთა ზოგიერთმა წარმომადგენელმა საქართველოში მიგრაციის მომენტისათვის აზერბაიჯანულ ენასთან ერთად წინაპართა „ფარსის“ ენაც იცოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნა, ლაიჯები საქართველოს სოფელ გომბორში აზერბაიჯანის სოფელ ლაჰიჯიდან გადმოსახლდნენ, სადაც მათი განაყოფები თათებად იწოდებიან. სოფელი ლაჰიჯი მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ განშტოებაზე, მდინარე *გირმანჩაის* ხეობაში. XIX საუკუნის ბოლოსათვის, კერძოდ, 1886 წლის საოჯახო სიებით, *ლაჰიჯში* 6914 სული (686 კომლი) ცხოვრობდა, ხოლო 1908 წელს 6515 სული იყო დაფიქსირებული. 1980-იან წლებში მათი რაოდენობა 2000 სულამდე (350 კომლი) იყო შემცირებული. „ადგილობრივი ლეგენდა ლაჰიჯის დაარსებას უხსოვარ დროს მიაკუთვნებს, კერძოდ, ლეგენდარული *ქეიქაუსის* შვილიშვილის, *ქაიხოსრო პირველის* მეფობის ხანას. ლაიჯთა გადმოცემით, ისინი სპარსეთიდან, *მაჰალ ლაჰიჯანიდან* გადმოსახლებულთა შთამომავლები არიან. თქმულების თანახმად გაუთავებელი ომებისაგან გაბეზრებულმა ირანის შაჰმა – *ქაიხოსრომ,* თურანის მეფე – *აფრასიობის* მოკვლის შემდეგ სამუდამოდ მიატოვა ირანი, კავკასიაში გადმოვიდა და აქ დასახლდა. ამ ადგილს კი, *მაჰალ ლაჰიჯანის* მიხედვით, *ლაჰიჯი* ეწოდა. ხოსრო, როგორც ლეგენდა გადმოგვცემს, ლაჰიჯში გარდაიცვალა და აქვეა დაკრძალული, ზავარას სასაფლაოზე.

„საუკუნის დამდეგს ლაიჯთა საშინაო ენად თათური გამოიყენებოდა, სხვა ეთნოსების წარმომადგენლებთან საურთიერთობოდ კი – „თათრული“ („თათრებს“ უწოდებდნენ რევოლუციამდელ აზერბაიჯანის თურქებს). წერილობითი ურთიერთობა სპარსულ ენაზე მყარდებოდა, სწავლება მექთებში სპარსულ ენაზე მიმდინარეობდა. დღეისათვის ლაჰიჯის მოსახლეობა ორენოვანია, განათლების და კულტურის ენა აზერბაიჯანულია, ლაჰიჯში არის ერთი აზერბაიჯანული სკოლა. თათობასთან დაკავშირებით აქ აზრთა სხვადასხვაობაა: ერთნი აიგივებენ ლაიჯსა და თათს, შესაბამისად ლაიჯურ და თათურ ენას, სხვები კატეგორიულად ილაშქრებენ ამ გაიგივების წინააღმდეგ, ზოგი თავს ირანელად თვლის, ზოგი – იემენელად, ნაწილი არჩევს თავი აზერბაიჯანის მკვიდრად ჩათვალოს, ზოგს კი ლაიჯთა წინარე სამშობლოდ ირანის ქალაქი ლაჰიჯანი მიაჩნია, რომელიც გილანის პროვინციის მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს“ (*მ. კვაჭაძე.* ლინგვისტურ სამეცნიერო ლიტერატურაში მოყვანილი ეს მონაცემები აზერბაიჯანის სოფელ ლაჰიჯში მცხოვრებთ ეხებათ.

საქართველოს სოფელ გომბირში მკვიდრ ლაიჯებს თავიანთ თავზე ანალოგიური წარმოდგენა არა აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ ლაიჯური მეტყველება თათური ენის დიალექტს წარმოადგენს და, ბუნებრივია, ისინი წარმომავლობით ეთნიკური თათები არიან, ლაიჯები ყოველგვარ კავშირს უარყოფენ თათებთან. აღსანიშნავია ერთი ფაქტი – 1886 წლის საოჯახო სიებში აზერბაიჯანის სოფელ ლაჰიჯის მოსახლეობა მთლიანად თათებად არის ჩაწერილი. სავარაუდოა, რომ თათებად თავად მოსახლეობამ ჩააწერინა თავი, მითუმეტეს, რომ ისინი თათურ ენაზედაც საუბრობდნენ. ასეთ ვითარებაში გასაკვირია ეთნონიმისა და საკუთარი წარმომავლობის დავიწყების ფაქტი. მაინც მიგვაჩნია, რომ აზერბაიჯანის მთელ თათურენოვან მოსახლეობას არ ჰქონდა გამაერთიანებელი საერთო ავტოეთნონიმი – *თათი* და ხელისუფლებამ ჩაწერა ისინი თათებად, რადგან თათურ ენაზე ლაპარაკობდნენ. ცნობილი ფაქტია, რომ ერთ ენობრივ-ეთნიკურ ერთობას კავკასიაში ხშირად არ ჰქონდა საერთო გამაერთიანებელი ეთნონიმი. საამისოდ დაღისტნური მასალების მოხმობაც საკმარისია. ასე რომ, ტოპონიმი და ეთნონიმი ერთი და იმავე სიტყვით გამოიხატებოდა. საგულვებელია, რომ ანალოგიური სიტუაცია გვქონდა აზერბაიჯანში მცხოვრებ თათურენოვან მოსახლეობაშიც და აზერბაიჯანის სოფელ ლაჰიჯიდან საქართველოში გადმოსახლებულნი თავს უწოდებდნენ არა თათებს, არამედ ლაიჯებს. ეს ვითარება კი დღემდე შემოგვრჩა და რეალურად საქმე გვაქვს ლაიჯთა ეთნიკურ ჯგუფთან.

ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას ის ფაქტიც გვიმტკიცებს, რომ 1908 წლისათვის მდგომარეობა იცვლება და იგივე მოსახლეობა, რომელიც 1886 წელს სოფელ ლაჰიჯში თათებად იყო ჩაწერილი, სულ რაღაც ოციოდე წლის შემდეგ უკვე თათრებად არის დაფიქსირებული. ისინი ჩაწერეს ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნოსის ეთნონიმით – *თათრები,* რადგან იმ პერიოდისათვის ეთნონიმი *აზერბაიჯანელი* ჯერ კიდევ არ გამოიყენებოდა. უეჭველია ეთნონიმი *ლაიჯი* (იგივე სოფლის სახელი) ლაიჯებმა გადმოსახლებისას თან მოიყოლეს.

თათურ ეთნიკურ-ენობრივ გარემოდან მიგრირებულმა ჯგუფმა საბოლოოდ გაწყვიტა რა კავშირი თანამემამულეებთან, თავი გაიაზრა ლაიჯად, რომელიც თავდაპირველად მაინც სადაურობის აღმნიშვნელი ტერმინი იყო და სალაპარაკო ენას უწოდა ლაიჯური. ლაიჯთა წინაპრები ამ სახელწოდებას რომ დიდი ხნის წინ – საქართველოში მოსვლამდე – იყენებდნენ, ამის დამადასტურებელი უნდა იყოს ის, რომ ქართული ენის ქიზიყურ კილოკავზე „ლაიჯი“ ნიშნავს ცივად გამოკვერილ სპილენძის რაიმე ნაჭერს, ხოლო „მელაიჯე“ – ნიშნავს მესპილენძეს, რაც უბრალო დამთხვევა არ უნდა იყოს, რადგან აზერბაიჯანში ლაიჯები სწორედ რომ განთქმული სპილენძის ხელოსნები იყვნენ. ასევე საინტერესოა ეთნონიმის – *თათი* წარმომავლობა. როგორც ცნობილია იგი გავრცელებულია არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ მთელს შუა აზიასა და წინა აზიაში. ის ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან ჩნდება. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ტერმინი უნდა აღნიშნავდეს საერთოდ ირანულენოვან მოსახლეობას. დღეს მკვლევარები მიიჩნევენ, რომ თათები ძველი ირანელი ხალხის შთამომავლები არიან და მათ ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვთ არქაული ელემენტები ენასა და კულტურაში (მ. კვაჭაძე). **ტერმინი *თათი* კი თურქულენოვან სამყაროში დღეს უარყოფითი შინაარსის შემცველია და მათხოვარის, მაწანწალას, მსახურის, ხელქვეითის სინონიმია,** თუმცა ყოველთვის ასე როდი იყო. იგი თავდაპირველად ადგილობრივ, მკვიდრ მოსახლეობას აღნიშნავდა. ირანულ ენაში იგი დღესაც ამ მნიშვნელობით იხმარება. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, თურქულ ანდაზებს დამცინავი მიმართება აქვთ თათების მიმართ, საერთოდაც დამპყრობ თურქულენოვან მოსახლეობას ქედმაღლური დამოკიდებულება ჰქონდა ბინადარი მოსახლეობის მიმართ. ბუნებრივია, თათებისადმი ასეთ აგდებული დამოკიდებულება დამატებითი ფაქტორი უნდა ყოფილიყო იმისა, რომ ლაჰიჯში მცხოვრებმა თათებმა ეთნონიმი შეიცვალეს და საკუთარ თავს უწოდეს ლაიჯი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ლაიჯების საქართველოში მიგრაციის მიზეზი მძიმე სოციალური ყოფა და შიმშილობა იყო. ისინი თავდაპირველად აღმოსავლეთ საქართველოში – კახეთის ტერიტორიაზე – მოვიდნენ, მათი ნაწილი სოფელ *გომბორში,* ნაწილი სოფელ *პალდოში,* ნაწილი კი დღევანდელი თელავის რაიონის სხვადასხვა სოფლებში, ნაწილი კი ე. წ. „ბარონის ტყეში“ დასახლებულა. სახლდებოდნენ იქ, სადაც სამუშაოს მონახავდნენ. ლაიჯების პროფესიას იმ დროისათვის ნახშირის გამოწვა წარმოადგენდა. ამიტომ ძირითადად ტყეებში თითქმის გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდნენ. გარკვეული ხნის შემდეგ, როდესაც შედარებით უკეთესი პირობები შეექმნათ, ლაიჯებმა ლაჰიჯიდან ოჯახებიც ჩამოიყვანეს და საცხოვრებლად საქართველოში დარჩნენ. მთხრობელთა ინფორმაციით **ისინი პირველად XX საუკუნის დასაწყისში, 10-20-იან წლებში ჩამოვიდნენ** საქართველოს გარე კახეთის მხარეში, თბილისთან ახლოს. კანტიკუნტად ლაიჯების გომბორში მიგრაცია მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ხდებოდა. გომბორში მცხოვრებ ლაიჯებს დღესაც ახსოვთ მიგრანტთა სახელები.

საგარეჯოსა და თელავის რაიონის ტყეებში გაფანტული ლაიჯები და „თათები“ (აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობა) 1940-იანი წლებისთვის საბოლოოდ სოფელ გომბორში დამკვიდრდა. გომბორში კი აღნიშნული დროისათვის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას რუსები წარმოადგენდნენ, რადგან აქ მდებარეობდა სამხედრო ბაზა. ამიტომაც ლაიჯებისათვის კულტურული და ურთიერთობის ენას ძირითადად რუსული წარმოადგენდა. ერთი თაობის შემდეგ – 1964 წლისათვის გომბორში მოსახლეობის უმრავლესობას უკვე ქართველები შეადგენდნენ. ქართველებს ქართულად ეურთიერთებოდნენ. გარდა ამისა, საქართველოში ცხოვრობდნენ და, ბუნებრივია, მათთვის აუცილებელი აღმოჩნდა ქართული ენის ცოდნა. ამავდროულად ყველა ლაიჯმა იცოდა აზერბაიჯანული ენა, რომელიც აზერბაიჯანიდან მოიყოლეს, როგორც მეორე ენა და რომლითაც ასევე აზერბაიჯანიდან მიგრირებულ „თათებს“ ეკონტაქტებოდნენ. საბოლო ჯამში ლაიჯები ოთხ ენას ფლობდნენ: ლაიჯურს (ფაქტობრივად – თათურს), აზერბაიჯანულს, რუსულს და ქართულს. მართალია, საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ რუსულმა პოზიციები საგრძნობლად დათმო, მაგრამ საშუალო და უფროსი ასაკის ლაიჯებისათვის ის მაინც ერთ-ერთ სალაპარაკო ენაა, რადგან ბევრს განათლება რუსულ ენაზე აქვს მიღებული. დღეისათვის ლაიჯები ერთგვარ უნივერსალურ მდგომარეობაში იმყოფებიან: მათთვის სოფლის ფარგლებში ძირითადი სალაპარაკო ენა არის ქართული; მათ გვერდით თუ ქართველები არ არიან და „თათებს“ ეურთიერთებიან – აზერბაიჯანული, ხოლო ოჯახში ძირითადად საუბრობენ ლაიჯურ ენაზე. შეინიშნება ერთი ტენდენციაც: ლაიჯთა შორის იშვიათი არაა შერეული ოჯახები. ამიტომ ზოგჯერ ლაიჯურად აღარც საუბრობენ და ახალი თაობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა აღარც იცის მშობლიური ენა.

საქართველოში მოსვლის დროს ლაიჯების და „თათების“ განათლების დონე ძალიან დაბალი იყო, წერა-კითხვა თითქმის არავინ არ იცოდა; ძალიან ბუნდოვანი და ხშირად არაზუსტი წარმოდგენა ჰქონდათ საკუთარ წარსულსა და ისტორიაზე. გომბორში ორი სკოლა ფუნქციონირებდა: ქართული და რუსული. ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ წყვეტდნენ, სად ესწავლათ თავიანთ ბავშვებს. ლაიჯებმა ბევრი კულტურული და ყოფითი ელემენტი შეითვისეს ქართველებისა და რუსებისგან. თუკი აზერბაიჯანში ცხოვრების დროს, რელიგიური მოსაზრებების გამო, ალკოჰლსა და გარკვეული სახის საკვების მიღებას ერიდებოდნენ, დღეს აკრძალვა აღარ არსებობს. სოფლის შიგნით ხშირია ხელოვნური დანათესავების ფაქტები ქართველ მოსახლეობასთან, ბევრი „აზერბაიჯანელი“ ბავშვის ნათლია ქართველია. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ლაიჯები ქართველების სალოცალებში დადიან და მათთან ერთად ზეიმობენ დღესასწაულებს.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ლაიჯების რაოდენობა წლების მიხედვით ნელ-ნელა იმატებდა. 1938-1939 წლების გომბორის თემსაბჭოს კომლობრივი აღწერის მონაცემების მიხედვით სოფელში მოსახლეობის საერთო რაოდენობა 197 კომლი (861 სული) იყო. აქედან მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ რუსები – 146 კომლი (629 სული). გარდა ამისა, გომბორში ცხოვრობდა ქართველების 13 ოჯახი (54 სული), თურქების – 25 ოჯახი (125 სული) და „თათრების“ – 13 ოჯახი (53 სული). გომბორის თემსაბჭოში ამ პერიოდში შედიოდა სოფელი პალდოც, სადაც „თათრების“ 7 ოჯახი (38 სული) ცხოვრობდა. საერთო ჯამში გომბორში და მის შემოგარენში ამ პერიოდისათვის 45 ოჯახი (216 სული) „აზერბაიჯანელი“ ცხოვრობდა, საიდანაც 28 ოჯახი (132 სული) ლაიჯი იყო, ხოლო 16 ოჯახი (81 სული) „თათი“. 1938-1939 წლების მონაცემები ერთგვარად გაურკვეველია, რადგან აღწერაში *თათრები* ცალკე არიან მოხსენიებული და *თურქები* – ცალკე. ასეთი დაფიქსირებით, როგორც ჩანს, სურდათ ერთმანეთისგან განესხვავებინათ *აზერბაიჯანულენოვანი „თათები“* და *თათურენოვანი/ირანულენოვანი ლაიჯები.* თუმცა ეთნოგრაფიული მონაცემებით, ეს ვარაუდი არ გამართლდა, რადგან თურქებად ჩაწერილ მოსახლეობაში ლაიჯებიც იყვნენ შეყვანილი და „თათებიც“. აღნიშნული საკომლო დავთრებით შერეული ოჯახებიც დადასტურდა. ლაიჯებსა და თათებს შორის ერთმანეთზე დაქორწინების 10 ფაქტი დაფიქსირდა. ხოლო ქართველებზე ან რუსებზე ამ დროს არ ქორწინდებოდნენ.

1964-1966 წლების მონაცემებით, სოფელ გომბორის მთლიანი მოსახლეობა შეადგენდა 327 ოჯახს (1220 სულს). აქედან მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ „აზერბაიჯანელები“ – 115 ოჯახი (571 სული), ქართველები – 111 კომლი (402 სული), რუსები – 98 კომლი (236 სული). მკვიდრობდა სომხების 3 ოჯახიც (11 სული). როგორც ვხედავთ, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა 25 წლის განმავლობაში. დაახლოებთ 30%-ით გაიზარდა სოფლის მთელი მოსახლეობა, რაც ძირითადად ქართველების და აზერბაიჯანელების მატების ხარჯზე მოხდა. თუმცა ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ ქართველების მატება განპირობებულია მოსახლეობის სხვა სოფლებიდან გომბორში გადმოსახლებით, ხოლო „აზერბაიჯანელებმა“ ორნახევარჯერ მოიმატეს ბუნებრივი მატების ხარჯზე. აღნიშნულ პერიოდში აზერბაიჯანიდან მიგრაციის არც ერთი ფაქტი არაა დადასტურებული. თვალშისაცემია რუსების კლება დაახლოებით 65%-ით, რაც ძირითადად ქართველთა მექანიკური და „აზერბაიჯანელთა“ ბუნებრივი მატებით იყო განპირობებული. აზერბაიჯანელად ჩაწერილ მოსახლეობაში გამოიყოფოდა 306 ლაიჯი და 265 „თათი“.

1986-1990 წლებში მოსახლეობამ შედარებით იკლო და შეადგინა 1075 სული (363 ოჯახი). აქედან მოსახლეობის ძირითად ნაწილს კვლავ „აზერბაიჯანელები“ (რეალურად თათურენოვანი ლაიჯები და აზერბაიჯანულენოვანი თათები) 521 სულს (142 კომლს) შეადგენდნენ, ქართველი 446 სული (166 კომლი) იყო, ხოლო რუსი – 96 სული (50 კომლი). აღნიშნულ წლებში გომბორში 521 სული „აზერბაიჯანელიდან“ 289 ლაიჯი იყო, ხოლო 236 „თათი“. ამ პერიოდში მკვეთრად იმატა შერეულმა ოჯახებმა. ასეთი 46 ოჯახი აღმოჩნდა. უნდა აღინიშნოს, რომ აქედან 29 შემთხვევაში, დაახლოებით 70%-ში „აზერბაიჯანელები“ მონაწილეობენ შერეულ ქორწინებაში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ დროისთვის უკვე მჭიდროდ იყვნენ ინტეგრირებულნი თანასოფლელებთან.

2008-2010 წლების მონაცემებით გომბორში ცხოვრობდა 280 კომლი (850 სული), აქედან ქართველების რაოდენობაა 147 კომლი (361 სული) იყო, ხოლო „აზერბაიჯანელებისა“ – 113 კომლი (450 სული), რომელთაგან დაახლოებით 300 კაცია ლაიჯი. გომბორის „აზერბაიჯანული“ მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში არის წასული, ამიტომაც ვერ ხერხდება მათი ზუსტი რაოდენობის დადგენა. სოფლიდან წასულთა რაოდენობა დაახლოებით 300-400 კაცია.

სოფელ გომბორში რამდენიმე ეთნოსის ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობებამ განაპირობა განსაკუთრებული კულტურული ურთიერთობის ჩამოყალიბება. ლაიჯებში საქორწილო ურთიერთობა დღეს უკვე მთლიანად ქართულ წესზეა გადასული. მშობლებს სარძლოს ან სასიძოს არჩევაში ისეთი დიდი გავლენა აღარა აქვთ, როგორც ეს წინა თაობებში იყო. დაქორწინება ძირითადად ურთიერთსიმპატიით ხდება, მაჭანკლობის ტრადიცია მისუსტდა, თუმცა გარიგებითი ქორწინებები კვლავ გვხვდება. საქორწილო სუფრა ძირითადად ქართულის მსგავსია, უცვლელად არის შესული თამადობის წესი, სადაც სადღეგრძელოების რიგითობაც კი დაცულია. ქორწილს მთელი სოფელი ერთად აღნიშნავს. კერძები ძირითადად ქართულია, თუმცა სუფრაზე აუცილებლად შეხვდებით ფლავს და უამრავი სახის ტკბილეულს. ალკოჰოლის დალევას არავინ ერიდება, ძირითადად სვამენ ღვინოს ან არაყს. მართალია დღეს ქორწილს ქართველების მსგავსად აღნიშნავენ, მაგრამ XX საუკუნის პირველ ნახევარში ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებების ერთგულნი იყვნენ, უკიდურესი სიღარიბის მიუხედავად შეძლებისდაგვარად იცავდნენ მას.

ლაიჯებში საქორწინო ასაკი მკაცრად დადგენილი არ იყო, თუმცა ძირითადად მაინც 13-14 წლის ასაკში ქორწინდებოდნენ. თავდაპირველად სასიძოს მამა რამდენიმე თანმხლებთან ერთად, საჩუქრების გარეშე, მიდიოდა საპატარძლოს ოჯახში მოსალაპარაკებლად. საპატარძლოს ოჯახში იმართებოდა წინასწარი მოლაპარაკება, ერთ მხარეს სხდებოდნენ სიძის მიმყოლები, მეორე მხარეს – საპატარძლოს ახლობლები. ამის შემდეგ იმართებოდა სჯა-ბაასი; მხოლოდ საპატარძლოს მამის თანხმობის შემთხვევაში, იშლებოდა სუფრა. სუფრაზე პირველ რიგში მიჰქონდათ ტკბილეული, შემდეგ – ფლავი, ბოლოს კი – ჩაი. თანხმობის მიცემის შემთხვევაში, ნიშნობის დღეს შედარებით გვიან ნიშნავდნენ, იმის მიხედვით, თუ რამდენი ხანი დასჭირდებოდა ორივე მხარეს მოსამზადებლად. ნიშნობის დღეს სასიძოს ოჯახს ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გამზადებული, ერთ ლამაზად გაფორმებულ სინზე დალაგებული იყო სხვადასხვა სახის ტკბილეული, ნამცხვრები, ხილი, შაქარლამა და ა. შ. ამ ყველაფერს გაახვევდნენ ხონჩაში და ისე მიდიოდნენ საპატარძლოსთან. საპატარძლოს ოჯახი, რა თქმა უნდა, წინასწარ უკვე მზად იყო დასახვედრად. ნიშნობის დროს ძირითადად განიხილავდნენ საპატარძლოს მხრიდან მზითევის რაოდენობას. ამავდროულად სიძე ვალდებული იყო, თავის მხრივ, მოსაკითხი მიეტანა პატარძლის ოჯახში (მსგავსი ტრადიცია საქართველოშიც იყო გავრცელებული, თუმცა აქ მას „რძის საფასური“ ერქვა), სიძეს შეიძლება მიეტანა ნებისმიერი რამ, დაწყებული საოჯახო პროდუქტებიდან (შაქარი, ჩაი, ფქვილი, ბრინჯი) დამთავრებული მსხვილფეხა რქოსანი საქონლით. როდესაც ოჯახები ასაღებ-მისაცემზე შეთანხმდებოდნენ, სასიძო პატარძალს ბეჭედს გაუკეთებდა ხელზე და ნაყიდ საჩუქრებს დაურიგებდნენ ერთმანეთს. ნიშნობა ამით მთავრდებოდა და ემზადებოდნენ მომავალი ქორწილისთვის.

დათქმულ დღეს ქორწილი პატარძლის ოჯახიდან იწყებოდა. აქ პატარძლის მამას დილიდანვე პატარა საქორწილო სუფრა ჰქონდა გაშლილი, სადაც უახლოესი ნათესავები და რამდენიმე ახლო მეზობელი იყო დაპატიჟებული. სუფრაზე აუცილებლად იყვნენ მიწვეული მომღერლები და დოლ-გარმონზე დამკვრელები. სუფრა კვლავ ტკბილეულით და სხვადასხვა კერძებით იყო გაწყობილი, სანამ სტუმრები ქეიფობდნენ და მხიარულობდნენ, პატარძალი მზითევს ამზადებდა და სიძის დასახვედრად ემზადებოდა. ნაშუადღევს ან საღამოს ხანს ნეფე საკუთარ მაყრებთან ერთად მიდიოდა პატარძლის სახლში, აქ მას ცეკვითა და სიმღერით ხვდებოდნენ პატარძლის სტუმრები და გარკვეული ხნის განმავლობაში ერთად მხიარულობდნენ. წასვლის დრო რომ მოვიდოდა, პატარძლის მამა სიძისაგან გამოსასყიდს მოითხოვდა, პატარძლის სანაცვლოდ, ნეფე გამოსასყიდზე უარს ამბობდა და ამის შემდეგ იმართებოდა ორთაბრძოლა; ნეფისა და პატარძლის მხარეებიდან გამოდიოდა თითო მებრძოლი, რომლებიც ერთმანეთს დაეჭიდებოდნენ,

თუ ნეფის მხარე გაიმარჯვებდა პატარძალი უსასყიდლოდ მიჰყავდათ, ხოლო თუ პატარძლის მებრძოლი გაიმარჯვებდა ნეფე იძულებული იყო გამოსასყიდი გადაეხადა და ისე წაეყვანა პატარძალი. საქორწინო პროცესიას ნეფის სახლისაკენ წინ მიუძღვებოდა გოგონა ჩირაღდნით ხელში, მას უკან მიჰყვებოდნენ დანარჩენი მექორწინეები სიმღერით და მხიარულებით. როდესაც ნეფის სახლს მიაღწევდნენ, აქ უკვე ქორწილი იყო გაჩაღებული და მაყრებიც უერთდებოდნენ მხიარულებას. ქორწილის სუფრაზე ყველანაირი კერძი იყო, რისი საშუალებაც ჰქონდათ. აუცილებლი იყო ფლავი, ცხვრის ხორცი, ნამცხვრები, სხვადასხვა სახის ხილი და ასე შემდეგ. სუფრაზე არ მიჰქონდათ ალკოჰოლური სასმელი; ის მხოლოდ მოგვიანებით გაჩნდა. ქეიფი დიდ ხანს გრძელდებოდა და მხოლოდ შუა ღამით მთავრდებოდა.

XX საუკუნის 80-იან წლებში ლაიჯთა მეტყველების შესწავლისას ასეთი წესი დაუდასტურებიათ: „ღამით, ხალხის წასვლის შემდეგ, (იგულისხმება ნეფის ოჯახში ქორწილის დამთავრების შემდეგი პერიოდი) პატარძალი და ნეფე გადიოდნენ ოთახში. იმათ ორი მოწმე მიჰყებოდა ფარდის უკან. მოწმეს, უმეტესად იყვანდნენ (ნიშნავდნენ) გარეშე ხალხისაგან, რათა ნამდვილი პასუხის მიმცემი ყოფილიყო ნეფის პატრონისათვის. თუ ყველაფერი წესიერად დამთავრდებოდა, მაშინ მეორე დღეს პატარძლის პატრონს სიხარულით მიულოცავდნენ. ეს წესი ძველ დროს იყო. ეს წესი ჩვენმა მამა-პაპამ დიდი ხნის წინათ ლაიჯიდან მოიტანეს. მაგალითად, ჩემი დედ-მამა ასე დაქორწინდნენ“ (მ. კვაჭაძე). დღეს ამ წესის დადასტურება აღარ ხერხდება; ის უკვე დავიწყებული აქვთ.

ლაიჯებში დაკრძალვის ტრადიცია დღეს თითქმის მთლიანადაა შეცვლილი და იგი ძალიან ჰგავს ქართულ და რუსულ წესს. ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ ერთი თაობის წინ, კარგად ახსოვდათ თავიანთი წესები და გულმოდგინედ იცავდნენ მას. ძველი წესის მიხედვით, გარდაცვლილ ადამიანს პირველ რიგში განბანენ, შემდეგ კი ლოცვას წაუკითხავდნენ. ლოცვას თავდაპირველად მოლები კითხულობდნენ, თუმცა, მას შემდეგ, რაც გომბორში მოლა აღარ იყო, ამ ფუნქციას რომელიმე თანასოფლელი ასრულედა, მათ მოლებისგან ჩაიწერეს ლოცვები და დღეს თავად კითხულობენ. გომბორში ყველანაირი ლოცვა აზერბაიჯანულ ენაზე მიმდინარეობს. ლოცვის შემდეგ მიცვალებულს თეთრ სუდარაში ახვევდნენ და, თუ მიცვალებული ახალგაზრდა იყო, მას ტანისამოსს ჩააცმევდნენ, ხოლო თუ მოხუცებული – არა. მიცვალებულის დაკრძალვის დროს ყველა ერთმანეთს ეხმარებოდა. საინტერესო სანახავია გომბორში ლაიჯების სასაფლაო. აქ, ერთი შეხედვითაც ჩანს, დროთა განმავლობაში როგორ იცვლებოდა დაკრძალვის წესი. ყველაზე ძველი საფლავები აღმოსავლური წესით არის გაკეთებული: საფლავზე მხოლოდ ერთ მაღალი ფორმის ქვა დევს წარწერის და სურათის გარეშე (მუსლიმური ტრადიდიით მიცვალებულის საფლავი მალევე უნდა წაიშალოს. ამიტომაც ძვირფასად არ რთავენ და არც წარწერებს აკეთებდნენ). უფრო მოგვიანო ხანის საფლავებზე ჯერ წარწერები ჩნდება, შემდეგ კი სურათი და ღობე საფლავის გარშემო. ერთმანეთის გვერდიგვერდ დასაფლავებული პაპის და შვილიშვილის საფლავებზე დაკვირვება ცხდადყოფს ორი თაობის განმავლობაში დაკრძალვისა და მიცვალებულის წესის რადიკალურ შეცვლას.

დღეს ლაიჯები მჭიდროდ არიან ინტეგრირებულნი ქართველებთან, მაგრამ მათ, რასაკვირველია, აქვთ განმასხვავებელი, მათთვის დამახასიათებელი ნიშნები, რომლებითაც გამოირჩევიან ადგილობრივი მოსახლეობისგან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლაიჯების სამზარეულო, რომელიც საკმაოდ განსხვავდება ქართული კერძებისგან, იგი უფრო მეტად აღმოსავლური ტრადიციებით არის გაჯერებული, რაც სრულიად ბუნებრივია. მათი მთავარი კერძია სხვადასხვანაირად მომზადებული ბრინჯი, ასევე მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ხორცი. რელიგიურობის გამო, ერიდებოდნენ ღორის ხორცს, თუმცა უნდა ითქვას, რომ დღეს უკვე თითქმის ყველა ჭამს მას და ღორებსაც ამრავლებენ. განსაკუთრებით პოპულარულია

სხვადასხვა სახის ტკბილეული და ნამცხვრები, ასევე ბრინჯისგან დამზადებული ფლავი *ოში*, მცენარეულობისაგან დამზადებული კერძი *დღაო*, „მაწვნის ხინკალი“, „შაქრის კვერი“ და სხვ.

ლაიჯებს ქართველებთან კარგი და სამაგალითო ურთიერთობა გააჩნიათ და სათანადოდ არიან ინტეგრირებულნი. დღეს ყველა ლაიჯმა იცის ქართული ენა (საერთოდ ოთხენოვანნი არიან), ქართული სახელმწიფოს კანონები და თავს საქართველოს ღირსეულ მოქალაქედ თვლიან. მათ ამავდროულად არ დაკარგეს თავიანთი ენა და ცდილობენ გაერკვნენ საკუთარი ეთნოსის ისტორიაში. ქართველებთან უფრო მეტად დასაახლოვებლად იყენებენ ხელოვნური დანათესავების ფორმას. რელიგიური ფაქტორი ამ მხრივ ხელისშემშლელი არაა. იშვიათი არაა შერეული ქორწინებები ქართველებს, რუსებსა და „აზერბაიჯანელებს“ (თათურენოვანი ლაიჯები, აზერბაიჯანულენოვანი თათები) შორის. აღნიშვნის ღირსია, ის რომ მუსლიმი (შიიტი) ლაიჯები დადიან ქართულ სალოცავებში და ესწრებიან ქართულ დღესასწაულებს, ისევე როგორც ქართველები ესწრებიან მათ მთავარ დღესასწაულს *ყურბან-ბაირამს*. ლაიჯებმა და „თათებმა“ უარი თქვეს ისლამური სარწმუნოებით დაშვებულ ნათესავთა შორის ენდოგამიურ ქორწინებაზე. გარდა ამისა, ბევრი ყოფითი ელემენტი შეითვისეს მეზობლებისგან, მათ შორის, თამადობის ინსტიტუტიც. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და რელიგიური თავისუფლების დამყარების შემდეგ, გომბორში მოსახლეობის (მათ შორის ქართველების) საერთო ძალით აშენდა სპეციალური სარიტუალო სახლი, სადაც მუსლიმურ რელიგიურ დღესასწაულებს ზეიმობს სოფლის მოსახლეობა.

გომბორის ოთხენოვან გარემოში ცხოვრებამ *თათურენოვან ლაიჯებსა* და *აზერბაიჯანულენოვან თათებს* შორის სხვადასხვა კულტურული მახასიათებლების გავრცელებას შეუწყო ხელი. აქ იშვიათი ენობრივი სიტუაციაა. ლაიჯები ოთხენოვანნი არიან, „თათები“ – სამენოვანნი. ლაიჯებისა და „თათების“ ერთ ნაწილს ერთგვარად გაორებული ცნობიერება გააჩნიათ: ლაიჯობასა და თათობასთან ერთად თავს ნაწილობრივ აზერბაიჯანელებადაც მიიჩნევენ, თუმცა მაინც ხაზს უსვამენ, რომ ლაიჯები და თათები არიან. ასეთი ცნობიერება, როგორც ჩანს, განპირობებულია იმ ფაქტით, რომ არაერთი კულტურული მახასიათებელი აზერბაიჯანელთაგან ჰქონდათ შეთვისებული და საბჭოთა პერიოდში და დღესაც ოფიციალურად აღირიცხებიან როგორც აზერბაიჯანელები.

VI. კავკასიის ალბანელთა მემკვიდენი

VI. 1. უდიები

უდიები კავკასიის ერთ-ერთი ძველი მკვიდრი ეთნოსია. ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ორ სახელმწიფოში – აზერბაიჯანსა და საქართველოში. აზერბაიჯანში მკვიდრობენ სოფელ *ნიჯსა* და რაიონულ ცენტრ *ვართაშენში* (ახლა *ოღუზი*), საქართველოში – *ზინობიანში* (საბჭოთა ხელისუფლების დროს ერქვა *ოქტომბერი*). საქართველოს *ყვარლის* რაიონის სოფელ *ზინობიანში* უდიები 1920-1922 წლებში ვართაშენიდან გადმოსახლდნენ. მათი აქ გადმოსახლების მიზეზი აზერბაიჯანელებისა და სომხების ურთიერთდაპირისპირება ყოფილა. უდანაშაულო უდიები ხშირად სისხლიანი დაპირისპირების მსხვერპლნი ყოფილან. ამის გამო, სოფლის თავკაცმა *ზინობი სილიკაშვილმა* მშვიდობიანი თავშესაფარი საქართველოში იპოვა და თავისი თანასოფლელები აზერბაიჯანის მოსაზღვრე საქართველოს ყვარლის რაიონში დაასახლა. ბუნებრივი თვალსაზრისით, უდიების ახალი საცხოვრისი ადრინდელი საცხოვრისისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. უდიებს აქ მუხნარი ტყე გაუკაფავთ და ახალი სოფელი დაუარსებიათ. *ზინობიანი* კი გადმოსახლების ინიციატორის *ზინობის* პატივსაცემად უწოდებიათ. ამას გარდა, უდიები დღეს ცხოვრობენ აგრეთვე რუსეთის ფედერაციის *როსტოვის* ოლქსა და *კრასნოდარის* მხარეში (ჩრდილო-დასავლეთი კავკასია). აქ უდიელთა მიგრაცია ძირითადად 1980-იან წლებში მოხდა და როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ეს მიგრაცია დღესაც გრძელდება. რუსეთის ფედერაციაში საქართველოდან მიგრირებული უდიებიც ცხოვრობენ.

სხვადასხვა მონაცემებით, დღეს უდიების რაოდენობა 7 ათასიდან 8 ათასამდეა. უდიების დაახლოებით 80% სოფელ *ნიჯში* ცხოვრობს (5.400 კაცი *ნიჯში* და 700 – *ვართაშენში.* უკანასკნელი მონაცემებით *ვართაშენში* ანუ დღევანდელ *ოღუზში* მხოლოდ 100-მდე უდიელი დარჩა). სოფელ *ზინობიანში* უდიების რაოდენობა დაახლოებით 300 კაცია. 1989 წელს რუსეთის ფედერაციაში 1,1 ათასი უდიელი იყო აღრიცხული. დღევანდელი მონაცემებით ამ ქვეყანაში უდიები უკვე 4 ათასის რაოდენობით არიან.

1886 წლის საოჯახო სიებით აზერბაიჯანში (*ელისავეტპოლის* გუბერნიის *ნუხის* მაზრაში) უდიები 7.201 სულს შეადგენდნენ. სოფელ *ნიჯში* მათი რაოდენობა 4.553 სული იყო. ნიჯის სასოფლო საზოგადოების სოფელ *მელიკში* 198 სული უდიელი ცხოვრობდა. *ვართაშენში* 2.362 უდიელი იყო აღრიცხული. ამას გარდა, როგორც ზემოთ დასახელებული აღწერით ირკვევა, უდიები მკვიდრობდნენ აგრეთვე *ელისავეტპოლის* გუბერნიის *ყაზახის* მაზრის სოფელ *ყირზენეში* (160 სული). ყირზენის მკვიდრი უდიები გვიან გასომხებულან. ყირზენელი სომხების უდიური წარმოამვლობის შესახებ *ზ. იამპოლსკიც* მიუთითებდა. როგორც ირკვევა, ყირზენელებს დღესაც ახსოვთ, რომ მათი წინაპრები უდიები იყვნენ და უდიურ ენაზე ლაპარაკობდნენ. სხვა მონაცემებით, ყირზენის მოსახლეობა, სანამ სომხურენოვანი გახდებოდა, დიდი ხნის განმავლობაში ორენოვანი (უდიურ-სომხური) იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყირზენის მოსახლეობა 1886 წელს უდიებად იყო ჩაწერილი. 1910 წლის „კავკაზსკი კალენდარი“ კი მათ სომხებად მოიხსენიებს. როგორც *თ. შარაბიძემ (მისკალიშვილმა)* გაარკვია, უდიების 45 კომლი სოფელ *მირზაბულეშიც* (*ნუხის* მაზრა, ახლანდელი *შექის* რაიონი) მკვიდრობს. 1886 წელს მირზაბულელი უდიები სომხებად იყვნენ აღრიცხული. კავკასიაში რუსეთის შემოსვლის დროს, უდიებს უცხოვრიათ აგრეთვე *შექის* რაიონის სოფელ *ბუმსა* და სოფელ *სულთნუხაში.* 1886 წლის აღწერით, ამ ორი სოფლის მოსახლეობა გათურქებული იყო. XIX საუკუნის 90-იან წლებში დაწერილი *მ. ბეყანოვას* სტატიის მიხედვით, დასავლეთ აზერბაიჯანში არცთუ ისე დიდი ხნის წინ სხვადასხვა სოფელში იყვნენ მოხუცები, რომლებმაც უდიური იცოდნენ.

საერთოდ, აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთის სამი რაიონის (*შექის, ოღუზის, ყაბალის*) აზერბაიჯანულ მოსახლეობაში მეცნიერები ძველ ალაბანელთა (უდიელთა) სუბსტრატულ ფენას ხედავენ. სხვადასხვა წყაროებით, XIX საუკუნის დასაწყისში უდიები ცხოვრობდნენ აგრეთვე სოფლებში: *ვარდანლიში, ბაიანში, ქიშში.* თანამედროვე *ყაბალის* რაიონის რიგ სოფლებში ცხოვრობდნენ მუსლიმები, რომლებიც თავს აზერბაიჯანის თათრებად გაიაზრებდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ იცოდნენ უდიური ენა.

1988 წლის შემდეგ რუსეთში მიგრირებული უდიების უმრავლესობას აზერბაიჯანში (განსაკუთრებით სოფ. *ნიჯში*) შენარჩუნებული აქვთ საცხოვრებელი სახლები.

უდიური ენა კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ-დაღესტნური ჯგუფის ერთ-ერთი ენაა. აზერბაიჯანში მცხოვრები უდიები ფლობდნენ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ დღეს უდიებმა ახალგაზრდებმა სომხური ენა უკვე აღარ იციან. საქართველოს სოფელ ზინობიანში მცხოვრებმა უდიებმა კარგად იციან ქართული ენა.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს დემოგრაფიული სიტუაცია უდიელთა ძველ სახელმწიფოში – ალბანეთში. მართალია, არაპირდაპირი მაგრამ, ალბათ, მიახლოებითი მონაცემები აქვს მოცემული *ზ. იამპოლსკის.* მისი გამოანგარიშებით, ძვ. წ.-ის I საუკუნეში ალბანეთის ტერიტორიაზე მოსახლეობის რიცხვი 800 ათასს კაცს აღწევდა. IX საუკუნეში ის ერთ მილიონს შეადგენდა. მასვე აქვს დაანგარიშებული ალბანეთში ინფილტრირებულ უცხო ეთნოსთა (ხაზარების, არაბების, თურქი-ოღუზების, მონგოლების) რაოდენობა. VII-VIII საუკუნეებში აქ შემოსული ხაზარების რაოდენობა 12 ათას კაცს მოიცავდა. 1025 წელს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჩამოსახლებულა ოღუზთა 40 ათასი ოჯახი. 1070 წელს თურქ-სელჯუკთა სულთნის – *ალფარსლანის* შემოსევისას, მისი ლაშქარი 15 ათასი კაცისაგან შედგებოდა. აქედან გამომდინარე, მეცნიერთა დასკვნით, დღევანდელ აზერბაიჯანელებში უფრო მეტნი არიან ძველ ალბანელთა ფიზიკური მემკვიდრეები, ვიდრე თურქული წარმოშობისანი.

უდიები ქრისტიანები არიან. სოფელ *ვართაშენისა* (დღევანდელი *ოღუზი*) და საქართველოს სოფელ *ზინობიანის* მკვიდრი უდიები მართლმადიდებლობას მისდევენ, *ნიჯელები* – მონოფიზიტობას. ნიჯელი უდიების სარწმუნოებაც თავის დროზე მართლმადიდებლობა იყო და მათ სომხურ-გრიგორიანული აღმსარებლობა გვიან მიიღეს, რამაც მათი იდენტურობის შენარჩუნება განაპირობა. საყურადღებოა, რომ ნიჯელების წარმოდგენითაც, მათი წინაპრები აღმსარებლობით მართლმადიდებლები იყვნენ. *შიფნერის* ცნობით, XIX საუკუნეში უდიებში შემონახული იყო გადმოცემა XV საუკუნის ქართველი მქადაგებლის – *იოანეს* მოღვაწეობის შესახებ. ნიჯელ უდიებს მონოფიზიტობა XVI საუკუნის შემდეგ უნდა მიეღოთ, მას შემდეგ, რაც *აღმოსავლეთ კახეთში* (დღევანდელი აზერბაიჯანის პროვინცია – *საინგილო* ანუ *ზაქათალას, ბელაქნის* და *კახის* რაიონები), ქართველი მართლმადიდებელი მოსახლეობა უკიდურესად შემცირდა და მართლმადიდებლების ადგილი აქ მუსლიმებმა დაიკავეს. სამეცნიერო ლიტერატურაში ისიცაა აღნიშნული, რომ რუსეთის სამხრეთ კავკასიაში შესვლის პერიოდისათვის, უდიები მხოლოდ ნომინალური ქრისტიანები იყვნენ და ქრისტიანობაზე მათ ერთგვარი ბუნდოვანი წარმოდგენაც ჰქონდათ. მღვდელმსახურების გარეშე დარჩენილი მრევლისათვის ეს ბუნებრივი მოვლენა იყო. ქრისტიანული სარწმუნოების კრიზისი ალბანეთში VIII საუკუნის შემდეგ დაიწყო. აქ ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა მაჰმადიანობა. არაბული წყაროები X და XI საუკუნეებში *პარტავსა* და *ყაბალაში* მეჩეთების არსებობაზე მიუთითებენ. ისლამიზაცია *შექის* (*შაკის*) სამთავროს მოსახლეობასაც შეეხო (რომლის ტერიტორიაზეცაა *ნიჯი* და *ვართაშენი*). თუმცა, X-XI საუკუნეებში ამ პროვნიციის მოსახლეობის უმეტესობა კვლავ ქრისტიანი იყო. სოფლ ვართაშენში ერთ-ერთი მართლმადიდებლური ეკლესია 1822 წელს აუგიათ, რომელიც *წმინდა*

ელისეს სახელობისაა (*წმინდა ელისე II საუკუნეში ალბანეთში, უტიკის ტერიტორიაზე ქრისტიანობას ქადაგებდა*). ის მართლმადიდებელ უდიელს, *პეტრე სილიკოვს* აუშენებია, რომლის შთამომავლობასაც სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება (მონოფიზიტობა) მიუღია. ამას კი მუდმივი და დაუსრულებელი კამათი გამოუწვევია მართლმადიდებელ ქრისტიანებსა და მონოფიზიტებს შორის. XX საუკუნის 30-იან წლებში უდიებით განსახლებულ ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლებამ ქრისტიანული ეკლესიები დახურა. ამ ფაქტს უარყოფით მომენტთან ერთად დადებითი მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან ნიჯელ და ვართაშნელ უდიებს შორის რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება მოისპო და მათ შორის შეწყვეტილი საქორწინო ურთიერთობაც აღდგა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ *უტიკის* ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელება II საუკუნეში დაიწყო. მისი ქადაგება ამ დროს მოციქულ *ელისეს* (*ელიშეს*) მიეწერება, რომელსაც ეკლესია *გიშში* (*გისში*) აუშენებია. ორი მომდევნო ეკლესიისათვის *ამარასის გავარსა* და ქ. *ცრიში* (უტიკი) – საფუძველი შესაბამისად *წმინდა გრიგოლ პართელსა* (განმანათლებელს) და მის შვილიშვილს *გრიგორისს* ჩაუყრიათ. V საუკუნის ბოლოს ალბანეთის ეკლესიას უკვე თავისი არქიეპისკოპოსი ჰყავდა (რეზიდენცია ქალაქ *პარტავ-ბარდავში*) და რვა ეპარქია (*პარტავის, ყაბალის, გარდმანის, შექის, ფაიტაკარანის, ამარასის* და სხვ.).

ალბანეთის ეკლესია მეზობელი სომხების იდეური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამიტომ ისიც *ქალკედონის* კრების წინააღმდეგ გამოდიოდა. *ვაღარაშაპტის* (491 წ.) და *დვინის* (527 წ.) კრებებზე, რომელზედაც გაკიცხეს ქალკედონის კრება, და დაამტკიცეს სომხური სარწმუნოება, აღვანებიც (ალბანებიც) ესწრებოდნენ.

VIII საუკუნის დასაწყისში ალბანეთის ეკლესიამ ავტოკეფალია (დამოუკიდებლობა) დაკარგა და სომხური ეკლესიის შემადგენლობაში შევიდა. ფორმალურად, აღვანეთის კათოლიკოსატმა (რეზიდენცია *განძასარში,* მთიან ყარაბაღში) XIX საუკუნის შუა ხანებამდე იარსება, შემდეგ გააუქმეს და შესაბამისად სომხური ეკლესიის მრევლი უშუალოდ ეჩმიაძინის კათოლიკოსატს დაუქვემდებარეს (*ადერბეჯანისა* და *არცახის* ეპარქიები). უდიელთა ზოგიერთი ჯგუფი მართლმადიდებლობის მიმდევარი იყო, რამაც მათ გასომხებისაგან თავის დაღწევის საშუალება მისცა.

ალბანეთის (არანის, რანის) ქრისტიანული სამწყსო VIII საუკუნის შემდეგ ღრმა კრიზისს განიცდიდა, რაც ძირითადად რეგიონის ისლამიზაციასთან იყო დაკავშირებული. ქრისტიანი მოსახლეობის ხვედრითი წილი თანდათან მცირდებოდა. შექის სახანო, რუსეთის შემადგენლობაში შესვლის მომენტისათვის, ძირითადად უკვე მუსლიმური იყო. უდიელთა განსახლების ტერიტორიაზე 1930-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა ეკლესია დახურა. ვართაშენის მართლმადიდებელი ეკლესია მუზეუმად გადააკეთეს. აქაური სომხური ეკლესია ჯერ კიდევ შემორჩენილია, მაგრამ სომხური სასაფლაო იავარქმნილია. ნიჯში შემორჩენილია სამი უმოქმედო ეკლესია. რუსეთში გადასახლებული უდიები თავს რუსეთის მსართლმადიდებელი ეკლესიის მრევლად მიიჩნევენ.

მართალია, უდიები ქრისტიანები არიან, მაგრამ მათ შორის ბოლო დრომდე შემორჩენილი იყო ტრადიციული რწმენა-წარმოდგენებიც. აღდგომის მეორე დღეს უდიებს წესად აქვთ სასაფლაოზე გასვლა. თან კი ფლავი, ტკბილეულობა და ხილი მიაქვთ. ამ დღეს როგორც მართლმადიდებელი, ისე მონოფიზიტი მღვდლები ყველა საფლავს აკურთხებდნენ. აღდგომის მესამე დღეს კი *წმინდა ელისეს* ხსენების საეკლესიო დღესასწაული მოდიოდა. წმინდა ელისეს მონასტერი, რომელიც მაღლობზეა გაშენებული, დაფარულია დიდი ხეებით. ეს ხეები მიჩნეულია წმინდა ხეებად. აქ არა მხოლოდ ვართაშენის, არამედ ახლო-მახლო მცხოვრები სომხური მოსახლეობაც მოდიოდა. მლოცველები არა მარტო ხატებს ეთაყვანებოდნენ და სანთლებს ანთებდნენ, არამედ შესაწირად ცხვარიც მიჰყავდათ. ვართაშენის ახლოს ყოფილა წმინდა ადგილი, რომელსაც უდიები *წმინდა გიორგის* სახელს

უკავშირებენ. აქ ლოცულობდნენ როგორც მართლმადიდებლები, ისე გრიგორიანელები (მონოფიზიტები). *წმინდა გიორგის* სალოცავში ყოველ კვირას ლოცულობდნენ. განსაკუთრებული ხალხმრავლობით ის ფერიცვალების დღესასწაულზე გამოირჩეოდა. დღესასწაულის დღეს ვართაშნელი გოგონები ხელებს ინით იღებავდნენ, კრეფდნენ ხილს და მინდვრის ბალახებისაგან ჯვრებს წნავდნენ (აკეთებდნენ). განთიადისას ხილი, რომელზედაც ყვავილების ჯვარი იდო, ნაცნობებსა და ნათესავებთან მიჰქონდათ.

ვართაშენში ყოფილა ნახევრად დანგრეული მართლმადიდებლური ეკლესია *კიცკე გერეც* („პატარა ეკლესია“) და *კალა ტიტიკ* („ყვავილების ტაძარი“). უდიებში შემორჩენილი იყო წინაპრის კულტი, კერის კულტი. *მ. ბეჟანოვის* მიხედვით, სოფელ ვართაშენის ზემო ნაწილში (უბანში) დიდი ჭადრის ხე იდგა, რომელიც წმინდა ხედ ითვლება; მის ქვეშ სანთლებს ანთებდნენ და შესაწირს სწირავდნენ. წმინდა ხის გარშემოწერილობა 32 არშინი (=23 მეტრი) ყოფილა. წმინდა ჭადრის ხის შესახებ უდიებში შემდეგი გადმოცემა ყოფილა დაცული. მაჰმადიანებისაგან (თათრებისაგან) შევიწროებული უდიები ქრისტიანულ რიტუალებს ფარულად ასრულებდნენ. მაჰმადიანების თავდასხმის მოლოდინში ქრისტიანმა უდიებმა სახარება მიწაში ჩაფლეს. უდიებს ეს ადგილი რომ არ დაეკარგათ (სადაც წმინდა წიგნი მიწაში ჩაფლეს), იმ ადგილას ჭადრის ხე დარგეს, რომელიც შემდეგ სალოცავ ხედ იქცა. ჭადარს უდიები არა მარტო მწვანე ტოტებს, არამედ გამხმარსაც არ მოატეხდნენ. ხმელ ტოტებს კი აგროვებდნენ და მსხვერპლშეწირვის დროს იყენებდნენ.

მ. ბეჟანოვისა და სხვა მეცნიერთა მოწმობით, უდიებით განსახლებულ ნუხის (შექის) მხარეში ქრისტიანობის ოდესღაც ფართოდ გავრცელების დამადასტურებელია დღეს აზერბაიჯანულ სოფლებში მრავლად არსებული ნაეკლესიარები.

მანამ, სანამ უდიელთა ეთნოგრაფიულ ყოფას შევეხებით, მათი ისტორიის ძირითადი მომენტები უნდა აღვნიშნოთ. კარგა ხანია მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ უდიები ძველი ალბანელების შთამოამვლები არიან. *ზ. ალექსიძის* აღმოჩენებმა ეს ვარაუდი დაადასტურა. ალბანეთის სახელმწიფო ძირითადად დღევანდელი აზერბაიჯანის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარეობდა. ის სამხრეთ კავკასიაში ეგრის-ქართლისა (ლაზიკა-იბერიის) და სომხეთის გვერდით მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული იყო.

ძველი ისტორიიდან ცნობილ სხვა სახელმწიფოთა მსგავსად, ალბანეთიც ეთნიკურად ერთგვაროვანი არ ყოფილა. აქ, ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ორ ათეულზე მეტი მონათესავე და არამონათესავე ეთნიკური ერთობა მკვიდრობდა, რომელთაგანაც წამყვანი იყო ოთხი ტომობრივი ერთეული (*უტიები, გარდმანელები, გარგარელები* და *წავდეელები*). XIX-XX საუკუნეებში გამოითქვა მასაზრებები, რომ ძველი ალბანელებისაგან დარჩენილი ერთადერთი მემკვიდრეები უდიები (უტიები) არიან. უკანასკნელ წლებში, როგორც აღვნიშნეთ, *ზაზა ალექსიძის* მიერ სინას მთაზე აღმოჩენილმა ძველი ალბანური დამწერლობის ძეგლებმა და მათი უდიური ენის საშუალებით გაშიფვრამ, ეს ვარაუდი საბოლოოდ გაამართლა და ამ თავალსაზრისით სკეპტიკურად განწყობილ არცთუ მცირერიცხოვან მეცნიერთა მიერ გამოთქმულ საწინააღმდეგო შეხედულებებს არსებობის ყოველგვარი საშუალება მოუსპო. ამდენად, ალბანეთის ისტორია უდიების (უტიების) მცირერიცხოვანი ეთნოსის კუთვნილებაა და როდესაც მათ შესახებ ვსაუბრობთ ამ ხალხის წინაპართა მიერ შექმნილ ისტორიაზეც აუცილებლად უნდა ვისაუბროთ.

სად წავიდნენ დანარჩენი ალბანელები (მონათესავე თუ არამონათესავე ხალხები), რომლებმაც ალბანური (ალვანური) სახელმწიფო, კულტურა შექმნეს? მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, მტერთა ხშირი თავდასხმების შედეგად, გაქრა. საკმაოდ დიდმა ნაწილმა კი სხვა ხალხებში (ეთნოსებში) გააგრძელა სიცოცხლე (სომხებში, აზერბაიჯანელებსა და ნაწილობრივ ქართველებში). ასეთია ეთნიკური ისტორიის დაუნდობელი კანონები. საბედნიეროდ, მაღალი კულტურის შემქმნელი

ალბანელების მცირერიცხოვანი ნაწილი ეთნიკური ისტორიის თანმხლებ ამ პროცესებს გადაურჩა და დღეს სოცოცხლეს მცირერიცხოვან უდიებში აგრძელებს, რაც თანამედროვეთ, განსაკუთრებით კი მეცნიერებს, გვაძლევს საშუალებას ნათელი წარმოდგენა ვიქონით კავკასიის ალბანელების ძველი სახელმწიფოს ეთნიკური რაობის, კულტურის, ენისა და დამწერლობის შესახებ.

წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ უდიები (უტიები) ალბანური სახელმწიფოსა და კულტურის ერთ-ერთი შემქმნელნი იყვნენ და არა ერთადერთნი. ამ პრობლემით ათეულობით მეცნიერი იყო და არის დაინტერესებული. სანამ უდიელთა ეთნოსზე ვისაუბრებთ, მოკლედ შევეხოთ ალბანეთის სახელმწიფოს ისტორიას. ალბანეთის (*ალვანეთის, აღუანქის, არრანის*) სახელმწიფო ძირითადად მტკვრისა და არაქსის ხეობებში (ამ მდინარეთა ქვემო დინებაში) მდებარეობდა. მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ალბანეთის სახელმწიფო დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიის გარდა (სომხეთის მიერ ოკუპირებული ყარაბახის ჩათვლით), მოიცავდა მოსაზღვრე დაღესტნის სამხრეთ ნაწილსაც. მისი სამხრეთი საზღვარი მდინარე არაქსზე გადიოდა (არაქსის სამხრეთით ირანული პროვინცია *ატროპატენა* მდებარეობდა). აღმოსავლეთით ალბანეთს კასპიის ზღვა ესაზღვრებოდა, დასავლეთით კი მისი მოსაზღვრე ქართლის (იბერიის) სამეფო იყო. ისევე როგორც სხვა ქვეყნები, კავკასიის ალბანეთის სახელმწიფოც მუდმივად დადგენილ საზღვრებში არასოდეს ყოფილა მოქცეული. მისი ტერიტორია ხან მცირდებოდა და ხანაც ფართოვდებოდა, რასაც უპირატესად საგარეო ფაქტორი და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობა განაპირობებდა. მაგალითად, მკვლევართა ერთი ნაწილი (*ა. ბაკიხანოვი, ა. იანოვსკი, ა. კრიმსკი* და სხვ.) ალბანეთის შემადგენელ ნაწილად არ მიიჩნევდა მტკვრის სამხრეთით მდებარე ძირძველ ალბანურ მიწა-წყალს, რომელიც *არცახის, ფაიტაკარანის* და *უტის* პროვინციებს მოიცავდა. თუმცა ფაქტია, რომ ალბანური ტომებით, ძირითადად, უტიებით დასახლებული სამხრეთი ნაწილი ხშირად სომხეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ ქართული საისტორიო წყაროებში მოხსენიებული რეგიონი *ჰერეთი* ალბანური იყო. მაგრამ ჰერეთი IV-V საუკუნეებიდან ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა და ის ეთნიკურად ქართული იყო (V საუკუნეში, მეფე *ვახტანგ გორგასლის* დროს, ჰერეთი სამეფოს ერთ-ერთი საერისთავო იყო; VIII საუკუნეში ქართველთა მეფე *არჩილი* შაქში აშენებს ციხე-ქალაქებს). ამრიგად, ქართულ წყაროებში მოხსენიებული ჰერები ქართველები არიან და ქართული კულტურისა და სახელმწიფოს შექმნაში მეზობელ ქართულ ეთნოგრაფიულ ჯგუფთან – კახელებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებენ. ამიტომაცაა, რომ XV საუკუნემდე ქართულ წყაროებში ჰერეთი და კახეთი და ჰერები და კახები (კახელები) განუყოფელი ცნებებია: *ჰერეთ-კახეთი, ჰერ-კახნი.* მეცნიერნი IV-V-VI საუკუნეებით ათარიღებენ *არცახის* (მთიანი ყარაბაღის) და *უტიქის* სამხრეთ ნაწილის (ველის ყარაბაღის) გასომხებას.

ქართულ წყაროებში მთელი ადრე შუა საუკუნეების განმავლობაში ხშირად ახსენებენ ალბანეთის ტერიტორიაზე მდებარე ქვეყნებს: *რანსა* (ი. ე. არრანსა) და *მოვაკანს,* რომლებიც ასევე ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს შემადგენლობაში შემოდიოდნენ, ან კიდევ ხშირად იყვნენ მისი გავლენის ქვეშ. ცნობილია, რომ ალბანეთის არაბული სახელწოდება არის *არრანი.* გვინდელი, XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი (*ბერი ეგნატაშვილი*) ხაზს უსვამს, რომ მისი თანადროული მაჰმადიანური სახანოების – *ყაზახისა* და *შამშადელუს* ადრინდელი სახელწოდება რანიაო. IX-X საუკუნეებისა და მომდევნო საუკუნეთა წყაროების მიხედვით რანი (არრანი) მდინარე მტკვრისა და მდინარე არაქსის შუამდინარეთის ველის რაიონს (ახლანდელი *მილის* ველი) მოიცავდა, სადაც სამი ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქი მდებარეობდა, როგორებიცაა *პარტავი (ბარდავი), განჯა* და *ბელაქანი (პაიტაკარანი).* ქართული წყაროების *მოვაკანი* მტკვრის ჩრდილოეთით, ჰერეთის აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე მდებარეობდა (*თ. პაპუაშვილი*).

გასომხებული ალბანელი (უტიელი) ისტორიკოსი – *მოვსეს კალანკატუაცი* თავის „ალვანთა ქვეყნის ისტორიაში“ ალბანეთის ოთხ ძირითად პროვინციას ასახელებს, რომლებშიც შესაბამისად ოთხი ალბანური მონათესავე ხალხი – *უტიელები (უდიელები), გარდმანელები, გარგარელები* და *წავდიელები* მკვიდრობდნენ. მკვლევარებს უჭირთ წავდელთა განსახლების არეალის ზუსტად მითითება. უტიების (უდიების) განსახლების არეალი მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს მოიცავდა მდ. ალაზნისა და მდ. მტკვრის შესართავის ქვემოთ. თავის მხრივ, უტი (შემდეგდროინდელი ბარის ყარაბაღი) შვიდ ოლქს შეიცავდა, ხოლო არცახი (შემდეგდროინდელი მთიანი ყარაბაღი) – თორმეტ ოლქს. უტის ტერიტორიაზე მდებარეობდა ქალაქები: *გიში (გისი), ხალხალი.* გარდმანელთა (ქართული წყაროების „გარდაბნელთა“) საცხოვრისად თანამედროვე აზერბაიჯანის ყაზახის რაიონია მიჩნეული. გარგარელები თანამედროვე ბარის ყარაბახის ერთ მონაკვეთში მკვიდრობდნენ, სადაც სომხური წყაროებით გარგარის (გარგარაცის) ველია. საისტორიო წყაროებში მოხსენიებული არიან აგრეთვე ალბანეთის სახელმწიფოში შემავალი *ლბინები* (ლბინთა ქვეყანა).

ალბანეთი პირველად ძვ. წ.-ის IV საუკუნეში ბერძნულ წყაროებშია მოხსენიებული. ალბანეთის ტერიტორიაზე საქალაქო ცენტრები, მეცნიერთა ვარაუდით, ძვ. წ.-ის I ათასწლეულის შუა ხანებში წარმოიქმნა. ეს საქალაქო ცენტრები, ანუ სხვადასხვა ალბანური პროვინციები ერთ სახელმწიფოდ, ერთი მეფის ხელისუფლების ქვეშ ძვ. წ.-ის II საუკუნეში ერთიანდება. ამ პერიოდის წინა მონაკვეთს, უფრო ზუსტად, ძვ. წ.-ის IV-II საუკენეებს *ტრეკერი* ალბანეთის კულტურის განვითარების პირველ ეტაპს მიაკუთვნებს (ამ კულტურის განვითარების მეორე ეტაპს ის ძვ. წ.-ის I საუკუნიდან ახ. წ.-ის III საუკუნის ჩათვლით ათარიღებს. მესამე ეტაპს კი ახ. წ. IV-VII საუკუნეებით განსაზღვრავს). ალბანელები პირველად ძვ. წ.-ის 331 წელს არიან მოხსენიებულნი *გავგამელასთან* ბრძოლაში, სადაც ერთმანეთს *ალექსანდრე მაკედონელისა* და აქამენიდური ირანის არმიები უპირისპირდებოდნენ. ალბანელები აქამენიდური არმიის რიგებში იბრძოდნენ. ისტორიკოსთა სამართლიანი ვარაუდით, აღნიშნული პერიოდისათვის დამთავრდა ალბანეთის ტერიტორიაზე მკვიდრი ალბანური და არაალბანური მოდგმის ხალხების სატომო დიფერენციაცია, რომლებიც ადრე საერთო სახელწოდებით – *კასპიანა* იყვნენ ცნობილები. ამავე პიერიოდიდან იწყება ალბანური და არაალბანური ტომების გაერთიანება საერთო სახელწოდებით – *ალბანელები.*

ახ. წ.-ის IV საუკუნისათვის, როდესაც ალბანეთში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, მკვლევარები უკვე ფეოდალურ ურთიერთობებს ხედავენ – თითქმის ისეთსავე სოციალურ ურთიერთობებს, როგორიც მეზობელ სომხეთსა და ქართლში იყო. I-IV საუკუნეებში ალბანეთის დედაქალაქი იყო *ყაბალა (კაბალა, კაბალაკი).* აქ იყო ალბანეთის არშაკიდი მეფეების რეზიდენცია. ხაზართა შემოსევების დროს, VI საუკუნეში, დედაქალაქი *ყაბალადან* მტკვრის მარჯვენა მხარეს, ქალაქ *პარტავში (ბარდავში)* გადაიტანეს.

ძვ. წ.-ის 69-67 და 66-65 წლებში ალბანეთის მეფე *ორისი* იბერიის მეფე *არტავაგსა* და სომხეთის მეფე *ტიგრან მეორესთან* ერთად რომაელთა *ლუკულისა* და *პომპეუსის* შემოტევებს იგერიებდა. ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ალბანეთის სახელმწიფოს დასავლეთი ნაწილი ქართლის პოლიტიკური და კულტურული გავლენის სფეროში მოექცა, ხოლო მტკვრის მარჯვენა ნაპირის ოლქები და მათ შორის, უტიკის (უდიების) პროვინცია სომხეთის სახელმწიფომ დაიპყრო. უფრო ადრეც უტიკის ოლქი სომეხთა მეფე *არტაშეს I-საც* (189-160 წწ.) ჰქონდა დაპყრობილი. მიუხედავად ამისა, ალბანეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არსებობას განაგრძობდა. ახ. წ. 387 წელს, რომისა და ირანის მიერ სომხეთის განაწილების შემდეგ, ალბანეთის პროვინციები უტიკი, არცახი (მ. კალანკატუაცი ალვანეთს არცახელების მშობლიურ, თავდაპირველ სამეფოს

უწოდებს) და პაიტაკარანის ნაწილი კვლავ ალბანეთის შემადგენლობაში შევიდა, რომელთაგანაც ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სპარსული სამარზაპანო (სამეფისნაცვლო). ამ დროს ალბანეთში *ვაჩაგანი* მეფობდა, რომელმაც გაერთიანების შემდეგ მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა. რაც მთავარია, არცახელებს კერპთაყვანისმცემლობაზე ხელი ააღებინა.

ახ. წ.-ის 510 წლის შემდეგ ალბანეთის სამეფო ხელისუფლება, რომელსაც პართიული არშაკიდების დინასტიის ადგილობრივი შტო მართავდა, გაუქმდა. ალბანეთი სასანიანებმა ირანის ერთ-ერთ პროვინციად აქციეს. ალბანეთს სპარსელი მარზპანები (მეფისნაცვლები), შემდეგ კი – ალბანეთის გარდმანის პროვინციის მფლობელთა – *მიჰრანიდების* ფეოდალური გვარი მართავდა. ეს უკანასკნელნი ირანის უზენაესობას აღიარებდნენ. **VI-VII საუკუნეების მიჯნაზე *მიჰრანიდებმა* ალბანეთის დამოუკიდებლობა აღადგინეს.** ხელახლა აღდგენილი ალბანეთის სახელმწიფოს ისტორიაში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია *ჯუანშირის* მმართველობის პერიოდი (636-671 წწ.). ჯუანშირს ალბანეთის ქვეყნის ხელახლა გაერთიანებაში და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მხარში ქართველებიც ედგნენ. ამ თვალსაზრისით, მემატიანეები განსაკუთრებით გამოყოფენ ქართლის ერისმთავრის, *ადარნარსეს* მოღვაწეობას. ჯუანშირის დროს ალბანეთს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის ხანა ჰქონდა. ჯუანშირი აგებდა ციხეებსა და ეკლესიებს. მშობლიურ გარდმანში ჯუანშირს დიდებული გუმბათიანი ტაძარი აუგია, რომელიც შესანიშნავი ფრესკებით ყოფილა დამშვენებული.

VII საუკუნის მეორე ნახევარში, ჯუანშირის მემკვიდრეების დროს, ალბანეთში არაბები შეიჭრნენ და ქვეყანა დაიპყრეს. VIII საუკუნის 30-იან წლებში არაბების მიერ ალბანეთი საბოლოოდ და მთლიანად იქნა დაპყრობილი. 866 წელს ალბანელმა მთავარმა *ჰამამმა* ცოტა ხნით აღადგინა ალბანეთის სამეფო. ამ დროიდან იწყება ალბანური ეთნოსის დეეთნიზაციის პროცესი, რომელიც XI საუკუნეში თითქმის მთლიანად დამთავრდა. ალბანეთის სამეფოს მოსახლეობის ნაწილის დეეთნიზაციის პროცესი უფრო ადრეც მიმდინარეობდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, IV-V საუკუნეებში არმენიზებულ იქნა არცახი (ყარაბაღი). VI-VII საუკუნეებში ასევე მნიშვნელოვნად იყო არმენიზებული უტიკიც. რაც შეეხება თურქიზაციას, მას ინტენსიური ხასიათი XI საუკუნიდან ჰქონდა და ძირითადად გამოწვეული იყო ალბანეთის ტერიტორიაზე თურქ-ოღუზების მასობრივი გადმოსახლებით.

სტრაბონის ცნობით, ალბანეთში 26 ენაზე მოლაპარაკე ტომი მკვიდრობდა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სავარაუდოა, რომ ამ ტომთა ძირითადი ნაწილი ერთმანეთს თანდათან შეერწყა. ალბანეთის სამეფოს წარმოქმნას, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ალბანური ტომების ინტეგრაცია ახლდა თან. თუმცა ამის პარალელურად მის განაპირა მხარეებში დეზინტეგრაციის პროცესებიც მიმდინარეობდა. V საუკუნისათვის, როდესაც ალბანური ანბანი შეიქმნა, ერთიან სალიტერატურო ენად გარგარული მეტყველება იქნა მიჩნეული, რომელზედაც სამეფო რეზიდენციის ტერიტორიაზე (*ფაიტაკარან-ბაილაკანში*) მცხოვრები მოსახლეობა ლაპარაკობდა. მაგრამ V საუკუნის მეორე ნახევრიდან სამეფოს ცენტრი *უტიქში, ქ. პარტავში* გადაიტანეს. ამ პროვინციის სალაპარაკო ენა კი უტიური (თანამედროვე უდიური) იყო. „არაბი ისტორიკოსები ამ ენას უწოდებდნენ არრანულს, ანუ ალბანურს. ასე წინააღმდეგობაში აღმოჩნდა სალიტერატურო ენა და ქვეყნის ცენტრალური რეგიონის სამეტყველო ენა, რის გამოც იგი მალე გამოვიდა ხმარებიდან და სულ მცირე ხნით დარჩა საეკლესიო ენად“ (*ზ. ალექსიძე*). ჩვენ ვვარაუდობთ, რომ გარგარულ და უდიურ ენებს (მეტყველებას) შორის დიდი სხვაობა არ უნდა ყოფილიყო. ისინი ერთი ენის ორ დიალექტად შეიძლება მივიჩნიოთ. იგივე შეიძლება ითქვას გარდმანელთა და წავდელთა მეტყველების შესახებაც. ფაქტია, რომ ალბანეთის ოთხივე დასახელებული ოლქის მოსახლეობა

უცხოელი ავტორების მიერ არამარტო ერთ ქვეყნად, არამედ ერთ ხალხადაც აღიქმებოდა, რაც უდავოდ რეალურ სინამდვილეს უნდა ასახავდეს. ალბანეთის სხვადასხვა პროვინციის მოსახლეობის ინტეგრაციაში მნიშვნელოვანი როლი ქრისტიანულ რელიგიას ჰქონდა მინიჭებული. ისიც ფაქტია, რომ ალბანეთის სახელმწიფოს მცხოვრებნი ერთი ეთნონიმით – „ალბანელებით“ მოიხსენიებოდნენ. ამ ხალხს ერთიანობის შეგნება და ერთიანი ალბანური იდენტობა ჰქონდა. ამიტომ არაა გაზიარებული და სავსებით სამართლიანადაც სომეხ მეცნიერთა შორის გაჩენილი „ახალი თვალსაზრისი“, რომ ქვეყნის სახელს „ალბანეთს“ ეთნონიმის მნიშვნელობა არასოდეს არ მიუღია და რომ ის მხოლოდ პოლიტიკურ დატვირთვას ატარებდა (*ზ. ალექსიძე*).

ალბანეთის სხვადასხვა მხარეებს (ოლქებს) შორის ინტეგრაციის პროცესი აშკარად დიდი ხნის დაწყებული რომ იყო, ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ ქრისტიანობის მიღების შემდეგ ისინი მალევე ქმნიან ალბანურ ანბანს, დამწერლობას, თარგმნიან სასულიერო ხასიათის ლიტერატურას, რომელიც ერთ-ერთ დიალექტზე იყო შექმნილი და ალბანელთა უმრავლესობისათვის იყო გასაგები. ცხადია, რომ ალბანეთის სახელმწიფოს მკვიდრნი უცხოელ ავტორთა მიერ ერთ ხალხად (ეთნოსად) აღიქმებოდნენ და მათ საერთო ეთნონიმი – *ალბანელი* ჰქონდათ. მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეთნონიმი *ალბანელი* მათთვის გარეეთნონიმი (ეგზოეთნონიმი) იყო (ისევე როგორც ქართველთათვის, *იბერიელი*). თუ რას უწოდებდნენ ალბანელები თავიანთ თავს, ეს მომავალი კვლევა-ძიების საქმეა. შესაძლოა, ისინი ამისათვის რომელიმე ოლქის მცხოვრებთა სახელწოდებას (გარგარელები ან უტიელები) იყენებდნენ.

სტრაბონის თხზულებიდან ირკვევა, რომ ქრისტიანობის მიღებამდე ალბანელები მნათობებს – მთვარეს და მზეს – ეთაყვანებოდნენ. მათ შორის ცეცხლთაყვანისმცემლობაც ყოფილა გავრცელებული. წყაროები ალბანელთა სამ მთავარ ღვთაებას *არამზადას, მიხრასა* და *ანახიტის* ასახელებენ. ალბანეთში არსებობდა სატაძრო მიწებიც. **VII საუკუნიდან ალბანეთში ნელ-ნელა გავრცელებას იწყებს ისლამიც, რომელმაც სრულ და საყოველთაო გამარჯვებას XI საუკუნეში მიაღწია.** მაგრამ ხალხში კვლავ იყო შემორჩენილი ადგილობრივი ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც ბუნების ძალთა აღორძინებასთან იყო დაკავშირებული და რომლის წინააღმდეგაც ქრისტიანული ეკლესია, ბუნებრივია, როგორც სხვა ქვეყნებში, აქაც სათანადოდ იბრძოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალბანელებმა ქრისტიანული რელიგია ძალიან ადრე მიიღეს. V საუკუნის ჩათვლით სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (იბერია, ალბანეთი, სომხეთი) სარწმუნოებრივ-დოგმატური ერთობა არსებობდა. „ქართული და ალბანური ეკლესიები VI საუკუნის დასაწყისიდან ჯერ იდგნენ ე. წ. ზენონის (ბიზანტიის კეისარი 474-475 წწ., 476-491 წწ.) „ჰენოტიკონის“ (482 წ.) პოზიციაზე, რომლის მიზანიც იყო მონოფიზიტობისა და დიოფიზიტობის შერიგება, ხოლო VI საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გაემიჯნენ სპარსეთის იმპერიის ცდას, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შეეკრა ერთიანი მონოფიზიტური ბანაკი მართლმადიდებლური ბიზანტიის წინააღმდეგ. მაგრამ ეს წინააღმდეგობა ჯერ კიდევ ფხიზელი და ზომიერი იყო.

რამდენადაც ალბანეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი (*არცახი, უტიკი*) ხშირად სომხეთის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყო, ეს უკანასკნელი ცდილობდა ალბანური ეკლესია მისი გავლენის ქვეშ ყოფილიყო. ისინი ამ მიზანს ხშირად აღწევდნენ. საისტორიო წყაროებით აშკარაა, რომ **ალბანეთში ქრისტიანობის ორ მიმდინარეობას – მონოფიზიტობასა და დიოფიზიტობას შორის ბრძოლა იშვიათი არ იყო. სომხურმა მონოფიზიტურმა ეკლესიამ ალბანეთის დიდ ნაწილში ქალკედონისტობასთან ბრძოლაში საბოლოოდ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. თუმცა იბერიის (ქართლის) მოსაზღვრე დასავლეთ ალბანეთის ტერიტორიაზე**

დიოფიზიტობამ გაიმარჯვა, განსაკუთრებით შექის სამთავროში, იქ, სადაც დღეს ძველი ალბანელების (უდიელების) ორი სოფელია შემორჩენილი.

ალბანეთში, მის სხვადასხვა ოლქში მონოფიზიტობისა და დიოფიზიტობის აღიარებამ ბევრად განსაზღვრა ამ ქვეყნის ეთნიკური განვითარების შემდგომი ბედი. ალბანეთის ქვეყნის დიდი ნაწილის (არცახის, შემდგომი ყარაბაღის) გასომხება აქ სწორედ სომხური ეკლესიის დიდი გავლენის შედეგი იყო. ასევე გასომხდა ალბანეთის უტიკის მხარის მოსახლეობაც.

ალბანელთა კულტურის მაღალი დონის მაჩვენებელია ისიც, რომ V საუკუნიდან მათ ჰქონდათ საკუთარი ანბანი, დამწერლობა. ქრისტიანობის მიღება ალბანელებში არამარტო ხალხის სოციალურ, არამედ კულტურულ დაწინაურებაზეც მიუთითებს. V-VIII საუკუნეებში არსებობდა ორიგინალური სასულიერო ლიტერატურა და ადგილობრივ ენაზე სწავლების ტრადიცია. ალბანურმა დამწერლობამ დაახლოებით ოთხი საუკუნე იარსება და ეთნიკური პროცესების შედეგად VIII საუკუნეში არსებობა შეწყვიტა. ალბანელებს ქრისტიანობის მიღებისთანავე ჰქონდათ ბიბლიის სრული თარგმანი, რადგან როგორც *ზ. ალექსიძე* აღნიშნავს, „ლექციონარი“ (რომელიც მან სინას მთაზე აღმოაჩინა) შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმ ხალხს, რომელსაც თავის ენაზე აქვს ბიბლიის სრული ტექსტი“. *ზ. ალექსიძის* ერთ-მნიშვნელოვანი დასკვნა ასეთია: *„ალბანური ენა მართლაც არის ძველი უდიური ენა ან პირიქით – უდიური ენა არის ახალი ალბანური“. „ალბანური ენა, როგორც ლექსიკის, ისე მორფოლოგიის თვალსაზრისით ძლიერ ახლოს არის უდიურთან“.*

ამდენად, ძველი ალბანელების ერთადერთი უშუალო მემკვიდრეები უდიები არიან, რომლებმაც დღემდე შემოინახეს ალბანური (უდიური) ენა. ალბანელთა სხვადასხვა ტომებმა: *გარგარელებმა, გარდმანელებმა, წავდეელებმა, არცახელებმა,* აგრეთვე ქართული წყაროებით სახელდებულმა *მოვაკანელებმა, რანებმა*... ჩვენამდე ვეღარ მოაღწიეს. მართლია, მათი დიდი ნაწილი ფიზიკურად არ გადაშენებულა, მაგრამ, დროთა განმავლობაში, სხვა ეთნოსთა (სომხების, აზერბაიჯანელი თურქების, აგრეთვე ქართველების) ნაწილი გახდა. ალბანელთა შთამომავლები უდიები რომ არიან, ეს XVII საუკუნის სომხურ წყაროებშიცაა მითითებული. უტიელები (უდიელები) ალბანელთა უშუალო მემკვიდრეები რომ იყვნენ, ამის შესახებ მათ გადმოცემა ანუ ისტორიული მეხსიერება XVIII საუკუნეშიც ჰქონდათ.

საისტორიო წყაროებით ირკვევა, რომ ალბანეთი განვითარებული მეურნეობის ქვეყანა იყო. ალბანელები მისდევდნენ მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას. ალბანეთის საზამთრო საძოვრებზე ცხვარს ჩრდილოეთკავკასიელი მთიელებიც კი აბალახებდნენ. ალბანელთა შთამომავლების, უდიების ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა სარწყავი მიწათმოქმედებაა. თესდნენ ხორბალს, ქერს, ფეტვს, განვითარებული იყო მევენახეობა (უდიები აყენებდნენ მაღალი ხარისხის ღვინოს). ფრიად განვითარებული იყო მეაბრეშუმეობაც. უდიებში მესაქონლეობას დიდი მასშტაბები არ ჰქონია, თუმცა ყველა ოჯახს ჰყავდა ძროხები, ღორები, ქათმები და ინდაურები. საქართველოში გადმოსახლებულმა უდიელებმა მეურნეობის ტრადიციული დარგები განავითარეს, განსაკუთრებით კი მეაბრეშუმეობა და მევენახეობა. საქართველოში გადმოსახლების პირველ ხანებში უდიები ტრადიციულ ბრინჯის მოყვანასაც მისდევდნენ, მაგრამ თანდათან, ახალ პირობებში მან სამეურნეო საქმიანობაში თავისი მნიშვნელობა დაკარგა.

აზერბაიჯანში მცხოვრები უდიები კრამიტის დამზადების შესანიშნავი ხელოსნები იყვნენ. საქართველოს სოფელ *ზინობიანში* დროთა განმავლობაში უდიების საქმიანობის ეს ტრადიციული დარგი გაქრა. ხელოსნობის დარგებიდან ძველ ალბანელთა შთამომავლებში გავრცელებული იყო აგრეთვე მეთუნეობა (ჭურჭლის დამზადება).

აზერბაიჯანში უდიელთა სოფლები მთისწინა ზოლშია განლაგებული. დასახლება დაგეგმარების გარეშეა წარმოქმნილი. უდიელის კარმიდამო მოიცავს არამარტო საცხოვრებელ კომპლექსს, არამედ სამეურნეო ნაგებობებს, ხილის ბაღს.

კარმიდამო, ჩვეულებრივ, შემოღობილი ჰქონდათ წნული ღობით ან ქვის გალავნით. ბაღებში ბევრი აქვთ მოშენებული კაკალი, თხილი, წაბლი. უდიები ნაწილობრივ ვაჭრობასაც მისდევდნენ. გასაყიდად გაჰქონდათ აბრეშუმი, აბრეშუმის პარკი, წეკო, კაკალი, თხილი, ბრინჯი, წაბლი, ბლის კერკი და ა.შ.

უდიებს ქვის ან აგურის ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლები ჰქონდათ. ქვის მაღალ ფუნდამენტზე აშენებული სახლები ორფერდა ან ოთხფერდა გადახურვისა იყო. სახლები, ჩვეულებრივ, კრამიტით ჰქონდათ გადახურული. უფრო ადრე იშვიათი არ ყოფილა ჩალით გადახურული სახლები. XIX საუკუნეში უდიელთა სახლები უფანჯრო იყო. სინათლე, ჩვეულებრივ, მხოლოდ ერდოდან (სახურავზე მოწყობილი პატარა ღიობი, ნახვრეტი) შედიოდა. საცხოვრებელი სახლის შუაში მოწყობილი იყო კერა, სადაც ცეცხლს ანთებდნენ. კერა არასოდეს არ ქრებოდა. აქ ამზადებდნენ საჭმელს. სახლის კედლებში გამოყვანილი იყო თახჩები (კედლის კარადები), სადაც ლოგინს, ჭურჭელს, მწნილიან ქოთნებს ინახავდნენ. ფქვილის შესანახად იყენებდნენ თიხისაგან გაკეთებულ ყუთებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, ოთახის კუთხეში ედგათ. საქართველოში გადმოსახლებული უდიები თავდაპირველად ხის სახლებს აგებდნენ, რასაც ხელს უწყობდა ის ფაქტორი, რომ ადგილი, სადაც ისინი დასახლდნენ (სოფელი *ზინობიანი*), ტყიანი იყო. საერთოდ, უდიები ხის დამუშავების კარგი ოსტატები იყვნენ.

XIX საუკუნის ბოლოს ყოფიდან გაქრა უდიელთა ტრადიციული ტანსაცმელი. 1800-იანი წლების ფოტოსურათებით ირკვევა, რომ უდიელთა ტანსაცმელი ყარაბაღელი სომხების ტანსაცმლის იდენტური იყო. ორ ხალხს შორის კულტურის ამ ელემენტის მსგავსება არა მხოლოდ მეზობლად ცხოვრებით, არამედ საერთო წარმოამვლობითაც უნდა აიხსნას.

უდიების ტრადიციული საკვები მცენარეული პროდუქტები იყო: ლობიო, ბრინჯი, კაკალი, ბოსტნეული, ხილი, კენკრა. პურს, ჩვეულებრივ, ხორბლის ფქვილისაგან თორნეში (ვერტიკალური საცხობი) აცხობდნენ. განსაკუთრებით პოპულარული იყო ფლავის სხვადასხვა სახეობა, რომელსაც ბრინჯისაგან, ლობიოსაგან, ჩამიჩისაგან, ხურმისაგან, წაბლისაგან, ნიგვზისაგან ამზადებდნენ. ტრადიციული იყო ბრინჯის მაწონთან ერთად ჭამა. პოპულარული იყო მოხალული და მოხარშული წაბლი, რომელსაც უდიები თბილისელ და ბაქოელ შემსყიდველებზე ყიდდნენ. ნიგვზისაგან ხდიდნენ ზეთს.

XIX საუკუნეში თითქმის ყველა უდიურ ოჯახს ასამდე ქათამი მაინც ჰყავდა. მოხარშული ფეტვით გასუქებულ ქათამს ბრინჯით ტენიდნენ და ბუხარში წვავდნენ. გავრცელებული იყო და არის ჩიხირთმა. უდიების საკვების მნიშვნელოვან ნაწილს რძის პროდუქტები (მაწონი, არაჟანი, კარაქი, ერბო) შეადგენდა. დღესასწაულზე და სტუმრიანობისას აუცილებელი იყო ხორციანი კერძები (ქათმის ჩიხირთმა, ტოლმა). ძალიან გავრცელებული იყო თევზის კერძები. ტკბილეულიდან უდიების კვების რაციონში აუცილებლად იყო თაფლი და ჰალვა. სხვადასხვა ხილისაგან (ყურძენი, მსხალი, ვაშლი, თუთა, შინდი) იცოდნენ არყის გამოხდა. დახელოვნებული იყვნენ მწნილების დამზადებაში.

ისევე როგორც კავკასიის სხვა ხალხებში, უდიებში სათანადო დონეზე იდგა სტუმრის პატივისცემა. დღესაც ისინი უაღრესად სტუმართმოყვარენი არიან. ტრაცდიციულია ასაკით უფროსისადმი, მოხუცისადმი პატივისცემა და მოწიწება. ქუჩებში, მოედნებზე ახალგაზრდები მოხუცებს პატივისცემის ნიშნად ფეხზე წამოუდგებიან. უდიელთა წინაპარ ალბანელებში ამ წეს-ჩვეულების შესახებ ბერძენი გეოგრაფი *სტრაბონიც* საუბრობდა: „ალბანელები მოხუცებულობას მეტისმეტად სცემენ პატივს, არა მარტო თავისი მშობლებისას, არამედ სხვებისასაც“. უდიებში სახლის უფროსი და მბრძანებელი უფროსი მამაკაცი იყო. მას სახლში შესვლისას ოჯახის ყველა წევრი ფეხზე წამოუდგებოდა. სტუმართან სუფრაზე ვაჟი არ ჯდებოდა. ის სუფრის სიახლოვეს ტრიალებდა და

ემსახურებოდა. ქალები კაცებთან ერთად არ სადილობდნენ. სხვაგან წასვლისას ქალს ქმრისაგან აუცილებლად ნებართვა უნდა მიეღო.

XIX საუკუნეში უდიები ძირითადად პატარა (ინდივიდუალურ) ოჯახებად ცხოვრობდნენ. დიდი (გაუყრელი) ოჯახები მხოლოდ სოფელ *ნიჟში* იყო შენარჩუნებული. *ვართაშენში* არც ერთი დიდი ოჯახი არ იყო დადასტურებული.

უდიელთა ურთიერთობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნათესაობას. აქ, სისხლით ნათესაობის გარდა, მოყვრობითი და ხელოვნური ნათესაობაც დასტურდება. გვარი ერთ სანათესაო წრეს წარმოადგენდა. ის ეგზოგამიური იყო. ქორწინება მკაცრად იყო აკრძალული შვიდი თაობის განმავლობაში. *შვიდ თაობამდე ქორწინების აკრძალვა იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ უდიებს შორის სოციალური ურთიერთობების ეს სფერო განპირობებული იყო მართლმადიდებლური საეკლესიო კანონმდებლობით.* სომხურ-გრიგორიანული (მონოფიზიტური) ეკლესია, როგორც ცნობილია, საქორწინო აკრძალვას მხოლოდ ოთხ თაობამდე მოითხოვდა. შვიდ თაობამდე საქორწინო ურთიერთობის აკრძალვა ასევე მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ **ნიჯელი უდიები თავდაპირველად მართლმადიდებლები იყვნენ და გვიან გახდნენ მონოფიზიტები.** უდიები მაჰმადიანებზე არ ქორწინდებოდნენ. სხვა რელიგიებისა და კონფესიების წარმომადგენლებთან საქორწინო ურთიერთობაში არშესვლა თავისთავად აპირობებდა უდიური ეთნიკური თავისთავადობის შენარჩუნებას. უდიებში მკაცრად იყო აკრძალული ქორწინება დედის მხრიდან ნათესავებზე.

აზერბაიჯანში მცხოვრებ უდიელთა გვარსახელები ორი სუფიქსითაა წარმოდგენილი. ნიჯელთა გვარები სომხური სუფიქსით *(-იან)* არის ნაწარმოები, ხოლო ვართაშნელებისა რუსული (*-ოვ*) სუფიქსით (სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის შემდეგ, ბევრმა უდიელმა გვარსახელის მაწარმოებელი სომხური სუფიქსი *-იან* ტრადიციული უდიური ან აზერბაიჯანული ფორმანტით შეცვალა, მაგალითად, კოჩარიანი – კოჩარლი და ა. შ.). რაც შეეხება საქართველოს ყვარლის რაიონის სოფელ *ზინობიანში* მცხოვრებ უდიებს, მათი გვარები ძირითადად ქართული *-შვილი* სუფიქსს ირთავენ. აღნიშნული სუფიქსებით ნაწარმოები უდიელთა გვარსახელები ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტებშია შეტანილი. უდიები როდესაც დედაენაზე მეტყველებენ და ამა თუ იმ გვარს ახსენებენ, უდიურ გვარებს სომხურ, ქართულ და რუსულ სუფიქსებს არ ურთავენ. ჩვეულებრივ, თითოეულ უდიურ გვარსახელს უდიური ფორმა აქვს. ნიჯელი დალაქიანების გვარის უდიური ფორმაა დალახო, ქოჩარიანებისა – ქოჩარხო, ხამიანებისა – ხამარხო, ვაზირიანისა – ვაზირხო, მურადიანისა – მურადარხო. ვართაშნელი კანანჩოვის გვარს გამოთქვამდნენ როგორც კანარჩი, ყაზაროვს – ყაზარი, პაჯიკოვი – პაჯიკი და ა. შ. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ნიჟსა და ვართაშენში უდიები გვარების მიხედვით არიან განსახლებული, ე. ი. ერთი გვარი (სანათესაო წრე) ერთ პატარა უბანს ქმნის. ზინობიანში მცხოვრები უდიები გვარების მიხედვით არ არიან დასახლებული. 1920-1922 წლებში გადმოსახლებისას ესა თუ ის გვარი იქ დასახლდა, სადაც ადგილი მისცეს. ვართაშენიდან გადმოსახლებულებს გვარებიც აქედან გადმოჰყვათ, ოღონდ მათი გვარსახელები ოფიციალურად *-შვილი* სუფიქსით არის გაფორმებული: პაჭიკი – პაჭიკიშვილი, ნემუში – ნემუშაშვილი და ა. შ.

სოფელ *ნიჯში* რამდენიმე გვარი ერთ უბანს ქმნიდა. ყველა გვარს თავისი სალოცავი (*ჯილისა*) ჰქონია. ნიჯელებს საერთო ნიჯური სალოცავი არ ჰქონიათ. მათთვის ასეთი სალოცავი იყო ვართაშენის *იეღიშ არაქელა*, აგრეთვე სალოცავი სოფელ *ჯილტში,* სადაც სომხები ცხოვრობდნენ. ვართაშნელი უდიების თითოეულ გვარსაც თავისი სალოცავი ჰქონია. ვართაშნიდან საქართველოში (სოფელ ზინობიანში) გადმოსახლებულ უდიებს თან სალოცავის ნიში (*ეველ*) გადმოუტანიათ, რომელიც ვართაშნის სალოცავ *წიმერიდან* წამოღებული ქვის, მიწისა და ჯვრისაგან შედგება. მიგრანტების მიერ სალოცავის ნიშის

თავდაპირველი საცხოვრისიდან ახალ საცხოვრისში გადატანა საერთოკავკასიური წესი იყო და ის ქართველთათვისაც იყო დამახასიათებელი.

კავკასიის სხვა ხალხების მსგავსად, უდიებმაც იცოდნენ ხელოვნური დანათესავება. შვილის შერჩენის მიზნით, სცოდნიათ ბავშვის „ყიდვა-გაყიდვა“. ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ნათლიას (*ხაშბაბა*). უდიებში ნათლიაობა მემკვიდრეობითი ყოფილა, ამიტომ ქორწინება იკრძალებოდა არა მარტო ნათლიისა და ნათლულის ოჯახის წევრებს, არამედ მის შთამომავლებს შორისაც. ნათლია ყველაზე პატივსაცემ სტუმრად ითვლებოდა. ის საქორწილო რიტუალშიც დიდ როლს თამაშობდა. *ხაშ* უდიურად მთვარეს, ნათელს ნიშნავს, შესაბამისად, *ხაშბაბა* – ნათლიას, ნათლიმამას, მთვარე მამას, *ხაშნანა* – ნათლია ქალს. ნათლობის აღმნიშვნელი სიტყვაა *ხაშ-ტესუნ,* რაც სიტყვა-სიტყვით მთვარის (ნათლის) კეთებად ითარგმნება. *თ. შარაბიძის* სამართლიანი მოსაზრებით, *ხაშბაბა* თავისი შინაარსით თავდაპირველად მთვარის კულტს უკავშირდება. ძველი ალბანელებისათვის კი მთვარე ერთ-ერთი მთავარი ღვთაება იყო.

პატარძალი აუცილებლად ქალიშვილი უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში უდიებს ჰქონდათ ტრადიცია არაქალიშვილი პატარძლისათვის ქურქის უკუღმა ჩაცმისა და მამის სახლში დაბრუნებისა. ისევე როგორც კავკასიის სხვა ხალხებისათვის, უდიებისათვისაც დამახასიათებელი იყო უმძრახობის წეს-ჩვეულება. დღეისათვის ეს ტრადიცია დავიწყებს მიეცა.

გარდაცვალებისთანავე მიცვალებულს განბანდნენ, სუდარაში ახვევდნენ. შემდეგ მღვდელს იწვევდნენ წესის ასაგებად. წესის აგების შემდეგ, მიცვალებული ლეიბით ეზოში გამოჰქონდათ და საგანგებოდ გაკეთებულ კიბეზე აწვენდნენ. აქედან ცხედარი ეკლესიაში მიჰქონდათ. ღამე იქ ტოვებდნენ. მეორე დღეს ლიტურგიისა და გლოვის შემდეგ მიცვალებულს კრძალავდნენ. ქელეხს მხოლოდ მამაკაცები ესწრებოდნენ. ტრაპეზი ყველის, პურის, მოხარშული ხორცის, ყაურმის, შილაფლავისაგან (*შილახუა*) შედგებოდა.

VII. კავკასიის თურქულენოვანი ხალხები

VII. 1. აზერბაიჯანელები

აზერბაიჯანელი ხალხი კავკასიის ხალხებს შორის შედარებით ახალგაზრდაა. აზერბაიჯანელები კავკასიის გარდა ირანშიც მკვიდრობენ. ამდენად, მიღებულია აზერბაიჯანელების ორ ნაწილად დაყოფა – *სამხრეთ აზერბაიჯანელები,* რომლებიც ირანის ჩრდილო-დასავლეთში ცხოვრობენ და *ჩრდილო აზერბაიჯანელები,* რომელთა განსახლების არეალი სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილია. კავკასიაში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა სახელმწიფოებრიობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოიპოვეს. თუ არ ჩავთვლით 1918-1920 წლების პერიოდს, იქამდე აზერბაიჯანს სახელმწიფოებრიობა არასოდეს არ ჰქონია, მით უმეტეს, სამხრეთ და ჩრდილოეთ აზერბაიჯანელებს ერთად. XIX საუკუნის დასაწყისში, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიის რუსეთის მიერ დაპყრობის პერიოდში, აზერბაიჯანის თურქულენოვანი მოსახლეობა სხვადასხვა პატარ-პატარა ფეოდალურ ერთეულებში (*სახანოებში*) იყო გაერთიანებული. ეს სახანოები იყო: *შექის, ყარაბაღის, ყუბის, შირვანის, ბაქოს, ნახიჭევანის, განჯის, თალიშის.* რამდენიმე სახანო არსებობდა ირანის (სამხრეთ) აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც – *თავრიზის, არდებილის...* არსებობდა უფრო პატარა ფეოდალური ერთეულებიც: *ყაზახის, შამშადილის, ელისუს სასულთანოები.* ეს უკანასკნელი დაღესტნელთა აღმოსავლეთ კახეთის ტერიტორიაზე მიგრაციის შედეგად ჩამოყალიბდა. იგივე შეიძლება ითქვას ელისუს სასულთნოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარე *ჭარ-ბელაქნის* საზოგადოებაზეც.

დღევანდელი აზერბაიჯანის სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული ფეოდალური ერთეულები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში რუსეთ-ირანის 1828 წლის *თურქმენჩაის* საზავო მოლაპარაკების შემდეგ შევიდა. ამ დროისათვის თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე *აზერბაიჯანელი თათრების* (როგორც მათ მაშინ უწოდებდნენ) რაოდენობა დაახლოებით 600 ათასი კაცი იყო.

ეთნონიმი **აზერბაიჯანელი** საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საერთოდ არ არსებობდა. სხვადასხვა თურქულენოვან ტომებს საერთო ეთნიკური თვითშეგნება არ ჰქონიათ, რადგან ამ ტერიტორიაზე თურქულენოვანი ხალხების განსახლების შემდეგ მათ საერთო სახელმწიფო არასდროს შეუქმნიათ. **საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აზერბაიჯანად მხოლოდ დღევანდელი სამხრეთ აზერბაიჯანი ანუ ირანის აზერბაიჯანი იწოდებოდა.** რუსეთის ცარიზმის ყოფილი ბაქოსა და ელიზავეტიპოლის გუბერნიებს (რომლებიც ძირითადად თურქულენოვანი ხალხით იყო დასახლებული) და ზაქათალას ოკრუგს, აზერბაიჯანი უწოდეს. მიზანი მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური იყო – მომავალში ირანის აზერბაიჯანის გაწითლება და მისი საბჭოთა აზერბაიჯანთან შეერთება. ხალხს, რომელსაც აზერბაიჯანელი უწოდეს, ის როგორც ენდოეთნონიმის/ავტოეთნონიმის, ისე ეგზოეთნონიმის/ალოეთნონიმის სახით უცნობი იყო. სხვადასხვა თურქულენოვანი ხალხები თავიანთი ტომობრივი სახელწოდებებით იწოდებოდნენ. თურქულენოვანი პოეტები და მწერლები ცდილობდნენ კრებითი თვითსახელწოდების შექმნას. ყარაბახის ხანის კარის პოეტი *ვაგიფი* მათ მომთაბარე ტომთა *ელის* სახელით მოიხსენიებდა. *მირზა ფათალი ახუნდოვი* დღევანდელ აზერბაიჯანელებს *კავკასიელებს, მუსლიმებს, თათრებს* უწოდებდა. არამუსლიმი ავტორები XIX საუკუნეში ხშირად სარგებლობდნენ ტერმინებით: *ყარაფაფხები, ყიზილბაშები, ყაჯარები, თარაქამები, თურქები, თათრები* და სხვ., რომელთაგანაც თითოეულს განსაკუთრებული ისტორიული დატვირთვა ჰქონდა. თანამედროვე აზერბაიჯანელებს დაღესტნის ხალხები *ყიზილბაშებს* უწოდებდნენ, ე. ი. სეფევიდთა არმიის მეომართა სახელს, ანდა უწოდებდნენ *ყაჯარებს,* ე. ი. ირანის უკანასკნელის წინა მმართველის სახელს, რომელსაც ჰქონდა მცდელობა სამხრეთ

კავკასიის დამორჩილებისა. იგივე დაღესტნელები ფართოდ იყენებდნენ სატომო სახელწოდებებს, ისეთებს, როგორებიცაა, *მუღალოელები* და *ფადარები.* XX საუკუნის 20-იან წლებში აზერბაიჯანელებში თვითსახელწოდების არარსებობა განპირობებული იყო საზოგადოებრივი განვითარების დონით. ასე, მაგალითად, ნახევრადმომთაბარეებს, რომლებშიც შემორჩენილი იყო პატრიარქალური ურთიერთობის გადმონაშთები, იმ გვარისა და ტომის სახელით მოიხსენიებდნენ, რომელსაც ისინი მიეკუთვნებოდნენ. აქედან მომდინარეობს ისეთი სახელწოდებანი, როგორებიცაა *ავშარები, თეკელები, ყენღერლები, აირუმები* და ა. შ. მობინადრე სოფლისა და ქალაქის მოსახლეობა კი ტერიტორიული პრინციპით იხსენიებოდა (მაგალითად, *შირვანელები, ყარაბაღელები, შექელები, ყუბელები, ბაქოელები...*). სწორედ ამის გამო მოხდა, რომ ძალიან სწრაფად გავრცელდა ტერმინი *აზერბაიჯანელები,* რომელიც ნაწარმოებია ახლად შექმნილი პოლიტონიმიდან *აზერბაიჯანი.*

აზერბაიჯანელთა ანუ აზერბაიჯანის თათრების (თურქების) ეთნიკური ჩამოყალიბება მდ. მტკვრისა და მდ. არაქსის ქვემო დინებებსა და მათ შენაკად ხეობებში მოხდა. დღეს აზერბაიჯანელთა ენდოეთნონიმი (თვითსახელწოდება) არის **აზერბაიჯანლილარ** (მრ. რ.). ტერმინი *აზერბაიჯანი* მომდინარეობს *ადარბადაგანიდან,* ადარბადაგანი კი *ატროპატენადანაა* მიღებული (ეს პროვინციაა თანამედროვე ირანის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იყო). თანამედროვე აზერბაიჯანელები ახლა თვითსახელწოდებად უფრო და უფრო ხშირად გამოიყენებენ ტერმინს *აზერი.* ახლა ამ ტერმინს უცხოელებიც იყენებენ. ამ ეთნონიმის გამოყენება არა მხოლოდ უაზრობა, არამედ უსაფუძვლოცაა. 1988 წელს დასტამბულ მსოფლიო ხალხების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ცნობარში (მოსკოვი) აზერბაიჯანელების საერთო რაოდენობა 13,77 მილიონია აღნიშნული. ამ დროს საბჭოთა კავშირში აზერბაიჯანელების რაოდენობას 6,8 მილიონს ანგარიშობდნენ. თვით აზერბაიჯანის რესპუბლიკაში 1989 წლის აღწერით 5,8 მილიონი აზერბაიჯანელი მკვიდრობდა, რაც აზერბაიჯანის სსრ-ის მთელი მოსახლეობის 82,6%-ს შეადგენდა. 2008 წელს აზერბაიჯანის მოსახლეობამ 8 მილიონ 730 ათასს გადააჭარბა. ამავე დროს აზერბაიჯანელები მიგრაციისადმი დიდი მიდრეკილებით გამოირჩევიან: რუსეთის ფედერაციაში დღეისათვის ოფიციალურად 1 მილიონზე მეტი აზერბაიჯანელი მიგრანტია დაფიქსირებული; აქედან ნახევარი მილიონი მოსკოვში ცხოვრობს. ამ ეთნოსის წარმომადგენლები რუსეთში ძირითადად ბაზრებს აკონტროლებენ. რუსეთში აზერბაიჯანული დიასპორა გულმოდგინებით იცავს კულტურულ ტრადიციებს და ინარჩუნებენ მჭიდრო კავშირს აზერბაიჯანთან. დიასპორის წევრთა უმეტესობა ინარჩუნებს აზერბაიჯანის მოქალაქეობას. აზერბაიჯანელთა მხოლოდ მესამედია ორიენტირებული მუდმივად იცხოვროს რუსეთის დედაქალაქში.

საბჭოთა კავშირის პირველი აღწერით (1926 წ.) აზერბაიჯანში ტიტულოვანი ეთნოსის პროცენტული რაოდენობა 62,1% იყო (ერთი მილიონ 438 ათასი). მართალია, 1939 წლისათვის აზერბაიჯანელებმა მოიმატეს, ისინი 1 მილ. 900 ათასს მიუახლოვდნენ (სხვათა შორის, ზოგიერთი პატარა ეთნოსის ასიმილიაციისა და ხელოვნურად აზერბაიჯანელებად ჩაწერის ხარჯზე), მაგრამ მათმა პროცენტულმა რაოდენობამ იკლო და 58,4%-მდე დავიდა, რაც რუსეთიდან მოსახლეობის მიგრაციის ხარჯზე მოხდა. რუსების რაოდენობამ 2,4-ჯერ მოიმატა (1926 წ. – 220,6 ათასი, 1939 წ. – 528,3 ათასი). შედარებისათვის, 1886 წლის საოჯახო სიებით დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ელისავეტიპოლის გუბერნიაში სულ 407 949 *თათარი* მკვიდრობდა, რაც გუბერნიის მთელი მოსახლეობის 55,96%-ს შეადგენდა. ბაქოს გუბერნიაში თათრების რაოდენობა 377.521 კაცი იყო. ეს კი გუბერნიის მოსახლეობის 52,97% იყო. ამრიგად, **1886 წელს დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე 785 470 თათარი ცხოვრობდა, რაც მთელი მოსახლეობის 54,5% იყო.** ერთი საუკუნის მანძილზე აზერბაიჯანელმა თათრებმა

(თურქებმა) ქვეყნის ტერიტორიაზე 28,1%-ით მოიმატეს, რაც იყო შედეგი საბჭოთა პერიოდში სხვადასხვა ეთნოსების (თათების, თალიშების, ქართველების, შაჰდაღის ლეზგიური მოდგმის ხალხების, ლეზგების და სხვ.) ასიმილაციისა და ხელოვნურად აზერბაიჯანული ეთნოსისადმი მიწერისა.

სხვათა შორის, აზერბაიჯანულ სამეცნიერო ლიტერატურაში 1873 წლისათვის აზერბაიჯანელების რაოდენობა თბილისის გუბერნიაში 64 ათასი აქვთ ნაჩვენები. ეს რაოდენობა, რა თქმა უნდა, ხელოვნურადაა გაზრდილი, რადგან მათი წარმოდგენით, თურმე თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის მოსახლეობის 51% აზერბაიჯანელი იყო (იხ. [illegible], [illegible], 1988, [illegible] 47). აზერბაიჯანელ მეცნიერთა თავხედობას საზღვარი არა აქვს. მათ მაჰმადიანი ქართველები, რომელთაგანაც ბევრს ქართული გვარები კარგად ახსოვდა და რომლის გარკვეულმა ნაწილმა ქართულიც იცოდა, აზერბაიჯანელებად გამოაცხადეს. სინამდვილეში, 1886 წელს ახალციხის მაზრაში თათრებად ჩაწერილი ქართველი მაჰმადიანების პროცენტული რაოდენობა 27,4% იყო (16.114 სული). აი, **ერევნის მაზრაში 1886 წელს თათრების რაოდენობა კი მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტი იყო და ის თითქმის 53%-ს შეადგენდა.** თურმე რუსეთის მიერ ახალციხის მხარის დაპყრობას აქედან და ლორედან ათასობით აზერბაიჯანელის გასახლება მოჰყოლია. აზერბაიჯანელი მეცნიერების „მტკიცებით“, თურმე, საბჭოთა ხელისუფლებამ მათ დააკარგვინა „აზერბაიჯანის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქი ბორჩალო“. უფრო მეტიც, აზერბაიჯანელი ისტორიკოსის *ა. ალეკპეროვის* მიხედვით, თურმე, აზერბაიჯანის ტერიტორიის დასახლება ყივჩაღებით ბორჩალო-ყაზახის რაიონში XII საუკუნეში მოხდა. სინამდვილეში ბორჩალო ქვემო ქართლის ერთ-ერთი ისტორიული მხარე იყო, რომელმაც ეს სახელწოდება მიიღო XVII საუკუნის დასაწყისში *დებედას* ხეობაში თურქმანული ტომის **ბორჩალუს** ჩამოსახლების შემდეგ. სხვათა შორის, ბორჩალოელი თურქულენოვანი მოსახლეობა ყოველთვის საქართველოს მოქალაქეებად გაიაზრებდა თავს და აქტიურ მონაწილეობასაც იღებდა საქართველოში შემოჭრილი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. საილუსტრაციოდ, *აღა-მაჰმად ხანთან* გამართული 1795 წლის *კრწანისის* ბრძოლაც შეიძლება დავასახელოთ. აზერბაიჯანელ მეცნიერებს ასევე აზერბაიჯანის ისტორიულ-გეოგრაფიული ოლქი ჰგონიათ დღევანდელი *საინგილო* ანუ აღმოსავლეთ კახეთი, რომელიც ქართველებმა *შაჰ-აბას I-ის* შემოჭრის შემდეგ დაკარგეს და რის შედეგადაც აქ დაღესტნური ტომების (ხუნძების, წახურების) მიგრაცია და დასახლკარება მოხდა. ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფს ინგილოებს კი (როგორც მაჰმადიანებს, ასევე ქრისტიანებს) არაქართველებად აცხადებენ. მხოლოდ ქრისტიანებს წერენ აღწერების დროს ქართველებად, მაჰმადიანი ინგილოების კი ძალად ასიმილაციას ახდენენ და მათი ნების მიუხედავად, ყველა აღწერაში აზერბაიჯანელებად წერენ. ამ თვალსაზრისით, უფრო ჰუმანური პოზიცია რუსეთის იმპერიას ჰქონდა, როდესაც ქართველ მაჰმადიანებს, – ინგილოებს აღწერებში „ნაროდნოსტის“ გრაფაში – ინგილოებს უწერდა. 1886 წელს ზაქათალას ოკრუგში (საინგილოში) სულ 3 703 ქართველი (ე. ი. ქრისტიანი ინგილო) იყო აღრიცხული, ხოლო იგივე საოჯახო სიები მაჰმადიანი ქართველების, ანუ ინგილოების რაოდენობას 8 737 კაცს აჩვენებს, რაც საერთო ჯამში მთელი ზაქათალას მოსახლეობის 16,7%-ს შეადგენდა. მხარის ძირითადი მოსახლეობა კი ხუნძები იყვნენ (54%). რაც შეეხება თათრების რაოდენობას ისინი 1886 წლისათვის ზაქათალას ოკრუგში 28,3% იყვნენ.

წიგნის – «[illegible]» (1998) ავტორები ძალიან შორს მიდიან და აცხადებენ, რომ თურმე საქართველოში აზერბაიჯანელები მთელი 70 წლის მანძილზე, საბჭოთა პერიოდში, მეორეხარისხოვანი მოქალაქეები იყვნენ, თურმე ქართველები მათ თავიანთი ისტორიული ტერიტორიიდან ერეკებოდნენ, თურმე საქართველოს უმაღლეს და საშუალო განათლების სისტემაში აზერბაიჯანული ენა არ ფუნქციონირებდა. ტყუილს საზღვარი არა აქვს. ეს არის მხოლოდ მცდელობა

ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის დაპირისპირებისა. აზერბაიჯანელებით განსახლებულ ტერიტორიებზე საქართველოში მხოლოდ აზერბაიჯანულ ენაზე იყო სწავლა და თბილისის *სულ-ხანსაბა ორბელიანის* პედაგოგიურ ინსტიტუტში აზერბაიჯანული განყოფილება არსებობდა. პირიქით კი იყო და არის: საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელები არ სწავლობდნენ საქართველოს სახელმწიფო ენას – ქართულ ენას.

დღეისათვის აზერბაიჯანელი მეცნიერები აზერბაიჯანში პირობითად ათ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ზონას გამოყოფენ: **შირვანის, ანუ ცენტრალური; ყუბა-ხაჩმაზის; აფშერონის; ჩრდილო-დასავლეთის; ლენქორან-ასტარის; მტკვარ-არაქსის დაბლობის; ყარაბაღის; დასავლეთის; განჯა-დაშკესანის; ნახიჭევანის.** ცენტრალური ანუ შირვანის ზონა დიდი კავკასიონის ქედის სამხრეთ-დასავლეთ განტოტებებსა და შირვანის ველს მოიცავს. აქ ფართოდ იყო განვითარებული მიწათმოქმედება, მებაღეობა, განსაკუთრებით მევენახეობა და მეაბრეშუმეობა, აგრეთვე მესაქონლეობა. ცენტრალურ (შირვანის) ზონაში იყო ქალაქი შემახა. ამ ზონაში მდებარეობდა ხელოსნობით და განსაკუთრებით სპილენძის ჭურჭლის დამზადებით ცნობილი თათების სოფელი *ლაჰიჩი.* ყუბა-ხაჩმაზის ზონა ცნობილი იყო ეთნიკური სიჭრელით. აქ გარდა აზერბაიჯანელებისა მკვიდრობენ ლეზგები, თათები, მთიელი ებრაელები, შაჰდაღის ჯგუფის ხალხები (კრიწები, ბუდუხები, ხინალუღები). ამ მხარეში განვითარებული იყო მესაქონლეობა (არსებობდა როგორც საზამთრო, ისე საზაფხულო საძოვრები), მებაღეობა. მოყავდათ ისეთი ტექნიკური კულტურა, როგორიცაა ენდრო. აფშერონის ზონა აფშერონის ნახევარკუნძულს მოიცავს. აქ სარწყავი მიწათმოქმედება, მებაღეობა იყო დაწინაურებული. **ჩრდილო-დასავლეთ ზონაში აზერბაიჯანის ექვსი ადმინისტრაციული რაიონი შეჰყავთ, რომელთაგანაც სამი (ზაქათალა, კახი, ბელაქანი) ისტორიულ აღმოსავლეთ კახეთს ანუ საინგილოს მიეკუთვნება**. ამ ზონაში დღეს უკვე მოსახლეობის უმეტესობას აზერბაიჯანელები წარმოადგენენ, თუმცა აქ ხუნძები, წახურები, ქართველები (ინგილოები) და უდიებიც ცხოვრობენ. **ლენქორან-ასტარის ზონა თალიშებით იყო დასახლებული. აქ თალიშის სახანოც არსებობდა.** მისდევდნენ ბრინჯის მოყვანას, მეთევზეობას. საბჭოთა პერიოდში ამ ზონაში დაიწყეს სუბტროპიკული კულტურების მოყვანა. მტკვარ-არაქსის დაბლობის ზონა ყველაზე დიდია და 19 რაიონს მოიცავს. ეს ზონა აზერბაიჯანის მებამბეობის ცენტრია. XIX საუკუნეში აქ ფართოდ იყო განვითარებული მესაქონლეობა. ყარაბაღის ზონას ორ ნაწილად – მთიან და დაბლობის ყარაბაღად ყოფენ. ყარაბაღი განთქმული იყო მეხალიჩეობით. ყარაბაღი დღეს სომხეთსა და აზერბაიჯანელებს შორის სადავო ტერიტორიაა და ის სომხებს აქვთ ოკუპირებული. დასავლეთის ზონაში ოთხ რაიონს (ყაზახის, აღსტაფის, ტოვუზის, შამქორის) აერთიანებენ. ამ ზონაში ქართული დარბაზული ტიპის, საფეხურებრივ-პირამიდული გადახურვის საცხოვრებელი ნაგებობები იყო გავრცელებული. განჯა-დაშკესანის ზონაში შვიდი რაიონი შეყავთ. აქ განვითარებულია მარცვლეულის, ბამბის, ყურძნის, ხილის მოყვანა. მისდევენ მეაბრუშუმეობას. მეცხოველეობიდან უპირატესობა აქვს მოპოვებული მეცხვარეობას. ნახჭევანის ზონა აზერბაიჯანიდან ტერიტორიულად სომხეთის სახელმწიფოს მიწა-წყლითაა გამოყოფილი. ნახჭევანს სომხები სომხეთის ისტორიულ ტერიტორიად მიიჩნევენ. დღეს ნახჭევანში ძირითადად აზერბაიჯანელები ცხოვრობენ. ისტორიულად აქ სომხებიც მკვიდრობდნენ. 1886 წელს ნახჭევანის მაზრაში 33018 სომეხი მკვიდრობდა. აზერბაიჯანელების რაოდენობა კი ამ დროს 47 ათას 845 კაცი იყო. შესაბამისად, პროცენტული რაოდენობით სომხები 42,2 იყვნენ, აზერბაიჯანელები – 57%. ნახჭევანში განვითარებულია მებაღეობა, მებამბეობა და მევენახეობა; მისდევენ მეცხოველეობასაც. სამეცნიერო ლიტერატურაში აზერბაიჯანელთა ეთნოგრაფიულ ჯგუფებსაც ასახელებენ: **აირუმები, აფშარები, ბაიათები, ყარადაღელები, ყარაფაფახები, ფადარები, შახსევანები** და სხვ.

აზერბაიჯანელები ანთროპოლოგიურად დიდი ევროპეიდული რასის სამხრეთულ რასას მიეკუთვნებიან. აზერბაიჯანული ენა ალთაურ ენათა ოჯახის თურქული ჯგუფის სამხრეთ-დასავლურ (ოღუზურ) ქვეჯგუფში შედის. ის დიდად არ განსხვავდება თურქული ენისაგან. გამოყოფენ ოთხ დიალექტს – აღმოსავლურს, დასავლურს, ჩრდილოურს და სამხრეთულს. დამწერლობა საბჭოთა პერიოდში რუსული გრაფიკის საფუძველზე ჰქონდათ შექმნილი, სახელმწიფოებრიობის გამოცხადების შემდეგ ის ლათინური ანბანით შეცვალეს. უფრო ადრე არაბულ გრაფიკს იყენებდნენ. აზერბაიჯანელები ძირითადად მუსლიმი შიიტები არიან, თუმცა სუნიტებიც ბევრი გვხვდებიან.

აზერბაიჯანელთა ეთნიკური კუტლურის დახასიათებამდე მოკლედ მათ ისტორიასა და ეთნიკურ ისტორიასაც უნდა შევეხოთ.

აზერბაიჯანელი ისტორიკოსები ირანის (სამხრეთ) აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ისტორიას ერთიან კონტექსტში განიხილავენ. ასეთი ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ისტორია ამ ერთი ენთოსის წარმოამდგენლებს ფაქტობრივად არ ჰქონიათ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ირანის (სამხრეთ) აზერბაიჯანის და ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა ფეოდალური ერთეულები (სახანოები) სპარსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდნენ. ტერმინი *აზერბაიჯანი* ისტორიულად მხოლოდ სამხრეთ აზერბაიჯანის კუთვნილება იყო. ის მდ. *არაქსის* სამხრეთით მდებარე ტერიტორიას მოიცავდა და მომდინარეობს ირანის პროვინციის სახელიდან **ატროპატენა**. ამ ტერიტორიაზე ძვ. წ.-ის I ათასწლეულის პირველ ნახევარში *მანის სამეფო* არსებობდა. ძვ. წ.-ის VII-VI საუკუნეების მიჯნაზე მანის სამეფო *მიდიამ* შეიერთა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მიდიელთა მიერ მანის სამეფოს შეერთებამ მხარის ეთნოენობრივი იერი შეცვალა, ის მიდიზირებული იქნა. მიდიელთა ენა კი ირანულ ენათა ჯგუფს მიეკუთვნებოდა. **შემდეგ ეს ტერიტორია ატროპატენად იწოდა, რადგან მისი პირველი მმართველის სახელი ატროპატა იყო**. სამხრეთ აზერბაიჯანის დღევანდელი ტერიტორია ძვ. წ.-ის 550 წლამდე მიდიის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, გვიან კი, ძვ.წ.-ის IV საუკუნის 30-იან წლებამდე – აქემენიდთა სპარსულ სახელმწიფოში. ახ. წ.-ის III საუკუნის დასაწყისამდე ატროპატენა პართიის სახელმწიფოს შემადგენლობაში იყო.

თანამედროვე აზერბაიჯანის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ძვ. წ.-ის III საუკუნეში ალბანეთის სახელმწიფო ჩამოყალიბდა. ალბანეთში მცხოვრები ხალხები ადგილობრივი კავკასიური მოდგმისანი იყვნენ და მათი უშუალო შთამომავლები მხოლოდ უდიები არიან. უდიელებს ამის შესახებ ისტორიული მახსოვრობა XVIII საუკუნეში ჰქონდათ შემორჩენილი. ისინი *პეტრე I-ს* წერდნენ: „ჩვენ ალბანელები ვართ, ეროვნებით უტიელები“. უტიელებს (უდიელებს) გარდა, ალბანეთში კიდევ სამი ძირითადი მათი მონათესავე ტომი მკვიდრობდა: გარდმანელები, წავდეელები და გარგარელები. 226 წელს ირანის ხელისუფლებაში სასანიდები მივიდნენ და მალე მათ ატროპატენა თავიანთი სახელმწიფოს ნაწილად აქციეს. ალბანეთმა კი გარკვეული დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. **VII საუკუნის პირველ ნახევარში როგორც ირანის პროვინცია – ატროპატენა, ისე ალბანეთი არბებმა დაიპყრეს. ამ ტერიტორიაზე არაბებმა ისლამის გავრცელება დაიწყეს.** IX საუკუნის შუა ხანების შემდეგ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სხვადასხვა ფეოდალური ერთეულები ჩამოყალიბდა, რაც არაბთა სახალიფოს დაცემამ განაპირობა. XI საუკუნის შუა ხანებში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თურქულენოვანი ოღუზების ერთი შტო – სელჩუკები შემოიჭრნენ. მათ დაიმორჩილეს აქ არსებული ფეოდალური ერთეულები, რომელთა შორისაც გამორჩეული ადგილი შირვანშაჰების სამფლობელოს ეჭირა. ამ დროიდან იწყება აზერბაიჯანული ეთნოსის ჩამოყალიბება, რომელმაც საბოლოო სახე მხოლოდ XIX საუკნეში მიიღო. XIV საუკუნის ბოლოს აზერბაიჯანის ტერიტორიამ *თოხთამიშისა* და *თემურ-ლენგის* შემოსევები განიცადა. XVI საუკუნის დასაწყისიდან მთელი აზერბაიჯანი სეფევიდების სახელმწიფოს შემადგენლობაში

შედიოდა. 1722 წელს რუსეთის კასპიის ზღვის ფლოტმა *დერბენტი* აიღო, მაგრამ *ბაქოს* ადვილად აღება ვერ შეძლო. 1723 წელს რუსებმა *ბაქო* დაიპყრეს. *სტამბოლის* 1724 წლის საზავო მოლაპარაკებით, კასპიის დასავლეთი სანაპირო რუსეთის იმპერიის ხელში გადავიდა. მაგრამ რუსებს ამ ტერიტორიის დატოვება მალე მოუხდათ. ირანის *ნადირ-შაჰის* გარდაცვალების შემდეგ, *აზერბაიჯანის ტერიტორიაზე 14 სახანო, 5 სასულთნო და 5 სამელიქო ჩამოყალიბდა.* სასულთნოები და სამელიქოები ამა თუ იმ სახანოს დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ. 1828 წლის *თურქმენჩაის* საზავო მოლაპარაკებით, აზერბაიჯანის დღევანდელი ტერიტორია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გადავიდა. აზერბაიჯანელი ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ამით აზერბაიჯანმა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგა (თუმცა ერთიანი აზერბაიჯანის სახელმწიფო არასდროს არსებობდა) და რომ რუსეთის მიერ აზერბაიჯანის დაპყრობის ერთ-ერთი უარყოფითი შედეგი სომეხთა ემიგრაცია იყო. ხაზს უსვამენ, რომ XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ბოლოს *ყარაბახში* აზერბაიჯანელები აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ. 1918-1920 წლებში აზერბაიჯანი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, მაგრამ მალე მისი ანექსია რუსეთის წითელმა არმიამ ხელახლა მოახდინა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წლიდან აზერბაიჯანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

ამრიგად, აზერბაიჯანული ეთნოსის ჩამოყალიბება, ყოფილი ალბანეთის ტერიტორიაზე, XI-XIII საუკნეებში ოღუზური ტომების შემოჭრისა და მიგრაციის შემდეგ დაიწყო, რომლის ფორმირება რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა და ის XIX საუკუნეში დასრულდა. დღევანდელი აზერბაიჯანელები თურქულენოვანი ხალხია, მაგრამ მის შემადგენლობაში დიდი რაოდენობით ასიმილირებული ირანულენოვანი და კავკასიური მოდგმის ხალხები შედიან. სამხრეთ აზერბაიჯანულ ეთნოსში ძირითადად ირანული წარმომავლობის ხალხი შევიდა, ჩრდილოეთ აზერბაიჯანელებში კი როგორც ირანული, ისე კავკასიელი ალბანელები. ამიტომაა, რომ დღეს აზერბაიჯანელები კავკასიის ალბანელთა უშუალო მემკვიდრეებად აცხადებენ თავს. თუმცა აზერბაიჯანელი ისტორიკოსები აძველებენ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თურქულენოვანი ხალხების მიგრაციასა და დასახლებას. III-VII საუკუნეებში ცალკეული თურქულენოვანი ტომების შემოჭრას (*ჰუნები, სავირები* და სხვ.) და, თუნდაც, მათი მცირე რაოდენობით დასახლებას, რომლებიც სინამდვილეში მალევე ასიმილირდებოდნენ, თურქული აზერბაიჯანელი ხალხის ეთნოგენეზის დასაწყისს უკავშირებენ. ეს პროცესი მათ ჰუნების დაწყებულ საქმედ მიაჩნიათ. აღნიშნავენ იმას, რომ VI საუკუნის შუა ხანებში მდ. *იტილიდან* (*ვოლგა*) მოსული თურქულენოვანი *სავირები* მდ. *მტკვრის* აუზში დღევანდელ *აღსტაფასა* და *შამქორს* შორის ტერიტორიაზე დასახლდნენ, და რომ ირანის შაჰმა *ხოსროვ I-მა* 553 წელს ტყვედ ჩავარდნილი ხაზარების ნაწილს ალბანეთში მიუჩინა ადგილი. სიმართლე რომ ითქვას, ეს მხოლოდ ზღვაში წვეთი იყო და იმდროინდელ ალბანურ ეთნოსს ისინი რაიმე საფრთხეს ვერ უქმნიდნენ. პირიქით, მათ ასიმილაციას ალბანელები ახდენდნენ. ამრიგად, აზერბაიჯანელი მეცნიერების მტკიცებით VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე (უფრო სწორი იქნებოდა ეთქვათ – ალბანეთის ტერიტორიაზე) სამი ეთნოსი მკვიდრობდა: ალბანურ-კავკასიური, თურქული და ირანული, რომლებიც თანდათან ერთ აზერბაიჯანულ ეთნოსად ჩამოყალიბდნენ. კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ თურქმენული ენა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გამარჯვებული მხოლოდ XI-XIII საუკუნეებში გამოვიდა, რომელიც აქ მიგრირებულმა თურქ-სელჯუკებმა მოიტანეს. აზერბაიჯანული ფეოდალური ერთეულების ჩამოყალიბება კი XII-XIV საუკუნეებში მოხდა.

აზერბაიჯანი სარწყავი მიწათმოქმედების ქვეყანა იყო. აქ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურები იყო ხორბალი, ქერი, ბრინჯი, ტექნიკური კულტურებიდან – ბამბა. XX საუკუნის დასაწყისში ბამბის ნათესები, ისევე როგორც შუა აზიაში,

ძალიან გაიზარდა. ბამბის კულტურამ ნაწილობრივ გამოდევნა მარცვლეული კულტურები. ეკონომიკის აღმავლობის გამო XIX საუკუნეში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ძალიან მოამრავლეს თუთის ხეები, რომლის ფოთოლსაც აბრეშუმის ჭიის საკვებად იყენებდნენ, აგრეთვე თამბაქო და საღვინე ჯიშის ვაზი. აზერბაიჯანის მიწათმოქმედების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა აგრეთვე მებაღეობა, მებოსტნეობა და ბაღჩეული კულტურების მოყვანა.

აზერბაიჯანის ტერიტორიის მოსახლეობას უძველესი დროიდან მორწყვის სხვადასხვა სისტემა ჰქონდა. იცოდნენ მდინარეებისა და ხევების დაგუბება, გაყვანილი ჰქონდათ არხები, გაკეთებული ჰქონდათ ჭები. რელიეფის, ნიადაგის ტენიანობიდან გამომდინარე მიწას ძირითადად ორი ტიპის სახვნელით ამუშავებდნენ: მსუბუქი სახვნელით (*ხიმ*) და ხის მძიმე გუთნით (*კარა კოტან*). ხნავდნენ ხარებით. მინდვრის სამუშაოებს კაცები ასრულებდნენ. ქალები მხოლოდ ლეწვაში ღებულობდნენ მონაწილეობას. ლეწავდნენ ქართულის მსგავსი კევრით.

XIX საუკუნის შუა ხანებამდე აზერბაიჯანის დაბლობის სტეპების და ნახევრადსტეპების რაიონები ძირითადად მომათაბარე მესაქონლეობის ზონებს წარმოადგენდა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სამომთაბარეო ზონა შემცირდა, რადგან დაიწყო მომთაბარეთა მიწაზე დამკვიდრების პროცესი. თუმცა საქონელი მთელი წლის განმავლობაში საძოვ საკვებზე ჰყავდათ: ზამთარში – დაბლობში, ზაფხულში კი – მაღალმთიან ალპიურ საძოვრებზე. აზერბაიჯანის საზამთრო საძოვრებს ძველი დროიდან მეზობელი მთის ხალხებიც იყენებდნენ. ასეთი ცნობა აქვს დაცული ალბანელ ისტორიკოსს *მოვსეს კალნკატუაცს*. აზერბაიჯანელებიც ძველთაგანვე იყენებდნენ მეზობელ კავკასიელ მთიელთა საზაფხულო საძოვრებს. მესაქონლეობიდან უპირატესად მეცხვარეობა იყო განვითარებული, თუმცა სამხრეთ-აღმოსავლეთის ზოგიერთ რაიონში თხის მოშენებას ანიჭებდნენ უპირატესობას, ხოლო ბინადარი მიწათმოქმედების რაიონებში – მსხვილფეხარქოსან საქონელს. ძროხებთან ერთად მათ დიდი რაოდენობით ყავდათ კამეჩები, აგრეთვე ზებუ. სტეპებში მომთაბარეებს მოშენებული ჰყავდათ აქლემები, რომლებითაც რკინიგზის გაყვანამდე ყველანაირი შორს გადასატანი ტვირთი გადაჰქონდათ. ადგილებზე ტვირთის გადასატანად სახედარს გამოიყენებდნენ. როგორც სტეპებში, ისე მთებში ყველგან დაწინაურებული იყო მეცხენეობა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აზერბაიჯანული, განსაკუთრებით ყარაბაღული, სადოღე ცხენები მთელ კავკასიაში იყო სახელგანთქმული.

აზერბაიჯანში განვითარებული ფეოდალური ურთიერთობები არსებობდა. გლეხები (*რაიათები*) ხანებისა და ბეგების დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში აზერბაიჯანულ სოფელში კლასობრივი, გლეხების ფენებად დაშლის პროცესი დაიწყო. ამ დროიდან მოყოლებული გაღატაკებული გლეხობა ბაქოს ნავთობის სარეწებს მიაწყდა.

იაფასიანი რუსული ქსოვილისა, საგნებისა და ჭურჭლის შემოსვლამ XIX საუკუნის რეფორმის შემდგომ პერიოდში ტრადიციული შინამრეწველობისა და ხელოსნობის შეკვეცა გამოიწვია. მიუხედავად ამისა, შინამრეწველობის ზოგიერთმა დარგმა, რომლებიც მაღალი მხატვრული ღირებულებით და ეთნიკური სპეციფიკით გამოირჩეოდა, წარმატებით გაუძლო კონკურენციას და არსებობა განაგრძო. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ აბრეშუმისა და მაუდის ქსოვილები, თექა და ხალიჩები, ეროვნული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, მოჭიქული კერამიკა, სპილენძის ჭურჭელი, საიუველირო საქმე, ხეზე და ქვაზე კვეთა და სხვ. ქალაქებსა და დიდ სოფლებში ხელოსანთა საამქრო გაერთიანებები არსებობდა. შინამრეწველობის ჩამოთვლილი დარგებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მეხალიჩეობა. აზერბაიჯანელთა ყოფაში ხალიჩებს ძველთაგანვე განსაკუთრებული ადგილი ეკავა. სახლში ხალიჩებზე ისხდნენ და ეძინათ. ხალიჩისაგან გაკეთებულ სკივრებში ტანსაცმელს ინახავდნენ, ხალიჩისაგან შეკერილ ტომრებში – მარცვლეულს; ხალიჩის ჩულებს აფარებდნენ აქლემებსა და ცხენებს, ხალიჩებს

აკრავდნენ უნაგირებს და ა. შ. აზერბაიჯანელებში სხვადასხვა სახის ხალიჩები იყო გავრცელებული: ხაოიანი და უხაო, ცალმხრივი და ორმხრივი... ხალიჩებს ვერტიკალურ დაზგებზე ქსოვდნენ. ხალიჩები ფერთა ნათელი გამით და სპეციფიკური ორნამენტული მოტივების შეხამებით გამოირჩეოდნენ. ორნამენტში ხშირად იყენებდნენ სტილიზებული ნუშის ნაყოფს და მცენარეთა გეომეტრიზირებულ გამოსახულებებს, იშვიათად – ცხოველებსა და ფრინველებს. მეხალიჩეობა მთელს აზერბაიჯანში იყო გავრცელებული და, ჩვეულებრივ, ამ საქმიანობით თითქმის ყველა ოჯახის ქალი იყო დაკავებული.

აზერბაიჯანელთა მატერიალური კულტურა, განსაკუთრებით ხალხური საცხოვრებელი ნაგებობანი და ტანსაცმელი, მრავალი ლოკალური ვარიანტით გამოირჩეოდა, რაც აზერბაიჯანის ცალკეული ეთნოგრაფიული მხარეების ბუნებრივ-კლიმატური პირობებითა და მოსახლეობის ხანგრძლივი პოლიტიკური გათიშულობით იყო გამოწვეული. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში აზერბაიჯანში ინტენსიურად დაიწყო არქიტექტურის ევროპული ფორმებისა და ტანსაცმლის შედწევა. სოფლებისა და ძველი ქალაქური დასახლებების იერში ბევრი იყო შუა აზიის ყიშლაღებისათვის დამახასიათებელი ნიშანი. სოფლები ვიწრო ქუჩებით გამოყოფილი უბნებისაგან შედგებოდა, რომლებიც, თავის მხრივ, კარ-მიდამოთა ერთობლიობას წარმოადგენდნენ. კარმიდამო კი გარე სამყაროსაგან სახლების ყრუ კედლებისა და ქვის გალავნებით იყო მოწყვეტილი. სოფლების ერთსახოვნებას მხოლოდ არც თუ ისე დიდი უბნების მეჩეთთა მინარეთები არღვევდა. სამშენებლო მასალად იყენებდნენ თიხასა და ძირითადად რიყის ქვას. ცდილობდნენ სახლის კარმიდამოს სიღრმეში აშენებას. კარ-მიდამოს ცოცხალ ღობედ თუთის ხეები აკრავდა. ასეთი დასახლების ტიპი ძირითადად ცენტრალური და აღმოსავლეთ აზერბაიჯანის მიწათმოქმედებისათვის იყო დამახასიათებელი. სტეპების გვალვიან რაიონებში სახლები ძირითადად ერთსართულიანი და ბანური გადახურვის ჰქონდათ. ისინი, ჩვეულებრივ, ერთი ან ორი საცხოვრებელი ოთახისაგან შედგებოდა და სახლს მიშენებული ჰქონდა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები. მთიან რაიონებში უფრო ორსართულიანი სახლები იყო გავრცელებული, რომელთა ქვედა სართულში სამეურნეო სათავსოები იყო, ზედა კი საცხოვრებელს წარმოადგენდა. აქვე კარ-მიდამოში, სახლის წინა მხარეს აგებდნენ ხის ერთსართულიან ან ორსართულიან გალერეებს. საჭმელს ჩვეულებრივ, გალერეის პირველ სართულზე აკეთებდნენ. აქვე აცხობდნენ პურს. დასავლეთის ზოგიერთ რაიონში ბანური სახურავის ნაცვლად, ორფერდიან ან ოთხფერდიან სახურავიან სახლებს აგებდნენ. ასეთი სახლები გადახურული ჰქონდათ ყავრით ან კრამიტით. სახურავებს ხშირად აბრეშუმის ჭიის გამოსაყვანად, ჩირის გასაკეთებლად და შესანახად იყენებდნენ. დგამ-ჭურჭელს, ტანსაცმელს, ლოგინს თახჩებში ინახავდნენ. საცხოვრებელ სახლებში ხშირად იცოდნენ ცალკე სასტუმრო ოთახის გამოყოფა. აზერბაიჯანის დასავლეთ რაიონებში გავრცელებული იყო ქართული დარბაზული ერდოიან-გვირგვინიანი ტიპის საცხოვრებელი სახლი. მომთაბარეებში შემორჩენილი იყო გადასატანი საცხოვრებელი – *ალაჩიყი.* მის საფუძველს წარმოადგენდა გრეხილი ხარიხები, რომლებსაც აყუდებდნენ ცენტრალურ ბოძს. მას გარედან თექას ახურებდნენ, ძირზე კი გადაჭიმული ჰქონდათ ლელქაშის ჭილოფი.

აზერბაიჯანელთა საკვებში ერთმანეთთან შეხამებული იყო მცენარეული და ცხოველური, ადგილობრივი და საერთო კავკასიური და შუაზიური ტრადიციები. აზერბაიჯანელთა შორის პურის რამდენიმე სახეობა იყო გავრცელებული. პურს ცეცხლზე შემომდგარ რკინის ტაფებზე, ან ქართული თორნის მსგავს *თენდირებში* აცხობდნენ. ხორცეული კერძებიდან ყველაზე უფრო ცხვრის ხორცისაგან გაკეთებულ კერძებს აფასებდნენ. დაღესტნელთაგან შეითვისეს *ხინგალი,* რაც, ფაქტობრივად, არის დაღესტნური ტიპის ხაშლამა, დაკეპილი ხორცით.

გავრცელებული იყო ფაფები. საკვებ რაციონში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რძის პროდუქტებს. საკვებად გამოიყენებდნენ ცხვრის, თხის, ძროხის, კამეჩის რძეს.

აზერბაიჯანელთა საზოგადოებრივ და საოჯახო ყოფას ახასიათებდა ძლიერი პატრიარქალური ტრადიციები, რომლებიც ჩვეულებრივი სამართლისა და მუსლიმური სამართლის ნორმების ერთობლიობას ეფუძნებოდა. ოჯახის ცხოვრება მთლიანად დამოკიდებული იყო ოჯახის უფროსი მამაკაცის ნება-სურვილზე. სოფლის ცხოვრებას კი უხუცესების – *აღსაყალების* უბრალო ნება, ან გადაწყვეტილება განსაზღვრავდა. ქალი საოჯახო და სათემო საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობას საერთოდ არ იღებდა. სახლშიც კი მამაკაცებთან და უფროს ქალებთან ურთიერთობის დროს, ქალს სახე აუცილებლად მოსახვევით (*იაშმაგი*) უნდა დაეფარა.

ურვადის მაღალი გადასახადის გამო, მრავალცოლიანობა ფართოდ გავრცელებული არ იყო. ქორწინების გაბატონებული ფორმა იყო მონოგამია. ქორწინებისას ცდილობდნენ ნათესაური ანდა ტერიტორიული (საუბნო) ენდოგამიის დაცვას. უპირატესობას ანიჭებდნენ ბიძაშვილებსა და დეიდაშვილებს შორის ქორწინებას. ქორწინების მატერიალური ინტერესებიდან გამომდინარეობდა ისეთი არქაული ფორმის არსებობა, როგორებიცაა ლევირატი და სოროორატი. ახალგაზრდების ბედს მხოლოდ უფროსები წყვეტდნენ. მომავალი მეუღლეები მხოლოდ მორჩილი სტატისტების როლში გამოდიოდნენ.

დანიშვნის შემდეგ საქმროს და მის ნათესავებს (მამაკაცებს) კატეგორიულად ეკრძალებოდათ საპატარძლოს ნახვა. ქორწილის ორი დღის განმავლობაში ნეფე-პატარძალი ცერემონიალში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა. ამ დროის განმავლობაში ისინი რომელიმე ნათესავის სახლში იმყოფებოდნენ. პატარძლის საქმროს სახლში გადაყვანა რიტუალური ხასიათის იყო და მას თან ახლდა მაგიური ქმედებები. პატარძალს მიაცილებდნენ მისი ნათესავების ცხენოსანი რაზმი, მუსიკოსები. გზაში მრავალ წინაღობას უწყობდნენ და ამ ბარიერს მხოლოდ სახუმარო ჭიდილისა და გამოსყიდვის შემდეგ აღწევდნენ თავს. სადედამთილო მას აყრიდა მარცვლეულს, მონეტებს, ტკბილეულს. ახალ სახლში შესვლისთანავე, პატარძალი აუცილებლად რკინის საგანზე უნდა დამდგარიყო, რადგან მათი წარმოდგენით, რკინა ყოველგვარი სიავისაგან იფარავდა. ნეფის სახლში გადმოყვანის შემდეგ, პატარძალს ყოველი მხრიდან ფარდებით დაფარულ ოთახში მალავდნენ. ნეფე მასთან ფარულად შედიოდა და ასევე დილაუთენია ფარულად ტოვებდა. მხოლოდ რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ, შეეძლოთ ახალგაზრდებს სოფლის უხუცესებსა და ნათესავებს ჩვენებოდნენ. მაგრამ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში, პირველი შვილის დაბადებამდე, საბურველი უნდა ეტარებინა და ქმრის მამაკაც ნათესავებს მორიდებოდა.

ისლამი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე VIII საუკუნიდან გავრცელდა, რომელმაც ალბანელთა სახელმწიფო რელიგია ქრისტიანობა განდევნა. აზერბაიჯანელები ისლამის ორი განშტოების – სუნიზმისა და შიიზმის მიმდევრები არიან (**1886 წელს ელისავეტპოლის გუბერნიაში მთელი მოსახლეობის 61,5 პროცენტი მუსლიმი იყო, რომელთაგანაც სუნიტი 25,2% გახლდათ, შიიტი – 36,3%. ბაქოს გუბერნიის მთელი მოსახლეობის 84,6% მაჰმადიანი იყო. მოსახლეობის 39,5% სუნიზმს აღიარებდა, 45,1% – შიიზმს. ასე რომ, აზერბაიჯანში XIX საუკუნის ბოლო პერიოდის მონაცემებით, შიიტები ბევრად ჭარბობდნენ სუნიტებს**). საუკუნეთა განმავლობაში ისლამის ამა თუ იმ შტოს მიმდევრებს ერთმანეთს შორის ხშირი და გააფთრებული ბრძოლები ჰქონდათ, რომელთა უკანაც წინა აზიის ორი დიდი სახელმწიფოს – შიიტური ირანისა და სუნიტური თურქეთის ინტერესები იდგა. შიიტური ისლამის ყველაზე დიდ დღესასწაულად *შახსეი-ვახსეი* ითვლება. ამასთანავე, შემორჩენილი იყო ბევრი ძველი წარმართული რწმენა-წარმოდგენაც. განსაკუთრებული ადგილი ეკავა ცეცხლის კულტს, რაც ზოროასტრიზმის გადმონაშთადაა მიჩნეული. ცნობილია, რომ დღევანდელი აზერბაიჯანის ძველ მოსახლეობაში – ალბანელებში

ცეცხლთაყვანისმცემლობა ფართოდ იყო გავრცელებული. შემონახული იყო მზისა და მთვარის კულტთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, საფლავების, ქვების, ხეების, წყაროების თაყვანისცემა.

ბიჭების წინდაცვეთა 4-5 წლის ასაკში იცოდნენ. ბავშვს წინდაცვეთის წინ ხელისა და ფეხის ფრჩხილებს ინით უღებავდნენ; უმზადებდნენ სპეციალურ ტახტ-საწოლს და წითელ გადასახვევს. ამ საქმით მგზავრი დალაქი ლეზგები იყვნენ დაკავებულნი. აზერბაიჯანული ოჯახებისათვის მრავალშვილიანობა იყო და არის დამახასიათებელი. ისევე როგორც კავკასიის სხვა ხალხებისათვის, აზერბაიჯანელებისათვისაც სტუმარი საპატივცემულო ადამიანი იყო. მათ სტუმრისადმი მიმართვის მკაცრად დადგენილი ეტიკეტი ჰქონდათ შემუშავებული. ტრადიციული იყო მოხუცების (*აღსაყალების*) პატივისცემა.

VII. 2. ყარაჩაელები

ჩრდილოეთ კავკასიაში თურქულენოვანი ეთნოსებიც მკვიდრობენ, რომელთაგანაც განსაკუთრებული ადგილი ყარაჩაელებსა და მათ უახლოეს მონათესავე ბალყარელებს უკავიათ. ისინი მთიანი ქედის ცენტრალურ ნაწილში ცხოვრობენ. ყარაჩაული ენა ალთაურ ენათა ოჯახის თურქული ჯგუფის ყივჩაღურ ქვეჯგუფს მიეკუთვნება. ყარაჩაელები და ბალყარელები იალბუზის მთების ირგვლივ მკვიდრობენ. ეს მთა თითქმის ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხს ორ ნაწილად ყოფს. დასავლეთი ნაწილი ყარაჩაელებს უკავიათ, აღმოსავლეთი – ბალყარელებს. *ვ. გუდაკოვის* დასკვნით, XVIII საუკუნემდე ყარაჩაელები და ბალყარელები თანამედროვე ბალყარეთის ტერიტორიაზე – ბაქსანის ხეობაში ერთმანეთის გვარდიგვერდ ცხოვრობდნენ. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ყარაჩაელებმა ცენტრალური კავკასია მიატოვეს და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში *ყუბანის* სათავესა და *თებერდის* აუზში დასახლდნენ.

სტატისტიკური მონაცემებით, 1980-იანი წლების ბოლოს ყარაჩაი-ჩერქეზეთში 109,2 ათასი ყარაჩაელი ცხოვრობდა (სსრკ-ში 131, 1 ათასი). დღეისათვის რუსეთის ფედერაციაში ყარაჩაელების რაოდენობამ 150 ათას კაცს გადააჭარბა (ყარაჩაი-ჩერქეზეთში – 129,4 ათასი). მათი ცალკეული ჯგუფები ცხოვრობენ აგრეთვე: შუა აზიაში, ყაზახეთში, თურქეთში, აშშ-ში (20 ათასი კაცი).

ყარაჩაელებს დამწერლობა რუსული გრაფიკის საფუძველზე 1937 წლიდან აქვთ.

ანთროპოლოგიური მონაცემებით, ყარაჩაელების ფიზიკური ტიპი ევროპეიდული რასის მაღალმთიან კავკასიონურ ტიპს მიეკუთვნება.

ყარაჩაელების თვითსახელწოდებაა **ყარაჩაილილა.** ამას გარდა, ისინი ისევე როგორც ბალყარელები, თავიანთ თავს **თაულ-ს (თულუ-ს, თაულულ-ას)** სახელითაც მოიხსენიებენ, რაც მათ ენაზე მთიელს აღნიშნავს. ყარაჩაელები რამდენიმე ტერიტორიულ (ლოკალურ) ჯგუფად იყოფოდნენ და ყველა მათგანს თავისი სახელი ჰქონდა. ყარაჩაელთა ტერიტორიულ ერთეულებში მცხოვრებთა სახელწოდებებს ტოპონიმების, ძირითადად ჰიდრონიმების სახელწოდებები უდევს საფუძვლად. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ყარაჩაელთა ქვეყნის სახელწოდება გამჭვირვალე თურქული სახელია და ის შავ მდინარეს (*ყარა* – შავი, *ჩაი* – მდინარე) აღნიშნავს. თუმცა ყარაჩაელთა გადმოცემით, ისინი თავიანთ აღმნიშვნელ ეთნონიმს უკავშირებენ წინაპარს, წინამძღოლ – *ყარჩას,* რომელმაც თავისი ხალხი ყირიმიდან, თუ ოქროს ურდოდან გამოიყვანა და ჯერ *ბაქსანში,* შემდეგ კი – *ზემო ყუბანში* დაასახლა. *ყარჩას* სამი მეგობარი თუ ძმა ყოლია: *აბდურაჰაი, ბუდიანი* და *ნაურუზი.* შემდგომში მათ ორი ძმა: *ხუბი* და *ხუბდი* შეერთებიან. თუმცა ეს უკანასკნელი მალე აფხაზეთში გადასახლებულა. რუსულ წყაროებში ყარაჩაელები, პირველად 1639-1640 წლებში არიან მოხსენიებულნი. ამავე პერიოდში მათ იტალიელი *არქანჯელო ლამბერტიც* იხსენიებს. ლამბერტი მათი ეთნიკური

წარმომავლობის შესახებ აღნიშნავს: „ლაპარაკობენ თურქულად, ოღონდ ძალიან სწრაფად“. კავკასიის ამ თურქულენოვან ხალხს თვითსახელწოდებით (ყარჩაელი) ფრანგი *ჟან შარდენი* მოიხსენიებს. 1743 წლის რუსულ დოკუმენტში კი ყუბანის სათავეში განსახლებულ „თათრულ ენაზე“ მოლაპარაკე ხალხი მოხსენიებულია ეთნონიმით **ხარაჩაი.** ყარაჩაელებს იცნობენ აგრეთვე XVIII საუკუნის დასავლეთ ევროპელი ავტორები (*გალვანი, გიულდენშტედტი, პალასი*). ფრიად საყურადღებოა ყარაჩაელთა სხვა გარე ეთნონიმებიც. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის – სამეგრელოს მკვიდრნი მათ **ალანებს** უწოდებდნენ. ამ ანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ეთნონიმის თურქულენოვანი ხალხისადმი მიმართება შორს მიმავალი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. მეცნიერები სამართლიანად ვარაუდობენ, რომ ყარაჩაელთა განსახლების ადგილზე თავდაპირველად ირანული მოდგმის ალანებს უნდა ეცხოვრათ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ ძველი ხალხის ეთნონიმი სხვა, მოსული ხალხის სახელწოდებად გამოიყენა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აგრეთვე არაბი გეოგრაფის *აბულფედის* (1273-1331) ცნობა. ის საუბრობს აფხაზეთის მეზობლად, აღმოსავლეთით მცხოვრებ თურქულ ენაზე მოლაპარაკე ქრისტიან ალანებსა და ასებზე, თურქულ რასაზე. სრულიად აშკარაა, რომ ლაპარაკია არა ირანულენოვან ალანებზე (ასებზე), არამედ მათ მემკვიდრეებზე, გარკვეულწილად შთამომავლებზე – ყარაჩაელებსა და ბალყარელებზე, რომლებიც *ალანებად* და *ასებად* საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იწოდებოდნენ. XIII საუკუნის ავტორი *იბნ ალ ასირი* საუბრობს მონღოლთა შემოსევების შემდეგ ყივჩაღთა ნაწილის მთებში გაქცევაზე. სწორედ ამ დროს ხდება თურქულენოვანი მოსახლეობის ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შესვლა, ბარში მცხოვრები თურქების მთიელებად ქცევა, მათი შერევა ადგილობრივ ირანულენოვან მოსახლეობასთან და მოსულთა მიერ დამხვდურთა ენობრივი ასიმილაცია. ამიტომ არაა სწორი ზოგიერთი ავტორის მტკიცება, რომ თურქულენოვანი მიგრანტების მიერ ირანულენოვანი მოსახლეობის ასიმილაცია საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და ის XVII-XVIII საუკუნეებშიც კი ზოგან დამთავრებული არ იყო. ორენოვნება დიდხანს მხოლოდ ბალყარეთისა და დიგორიის მოსაზღვრე ტერიტორიაზე შეიძლება შემორჩენილიყო. აქ შეიძლება *ბ. ქალოევის* მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალაც მოვიხმოთ. დიგორელი მოხუცების თქმით, ვისაც არ სურდა მოსულ ყივჩაღებს შორის დარჩენილიყო, საცხოვრებლად დიგორში გადადიოდა. ადგილზე დარჩენილები გათურქებულან.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ყარაჩაელები კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ცხოვრობენ. მათ სამხრეთით ეთნიკური საზღვარი აქვთ აფხაზებსა და ქართველებთან (სვანებთან), აღმოსავლეთით, იალბუზის მთა ყარაჩაელებს ბალყარალებისა და ყაბარდოელებისაგან გამოყოფს, ჩრდილოეთითა და დასავლეთით ესაზღვრებიან ჩერქეზები, აბაზები და ნოღაელები. ყარაჩაელთა და ბალყარელთა დასახლებული პუნქტები ზღვის დონიდან 1500 მეტრზე და უფრო მაღლა მდებარეობს. რთული იყო ყარაჩაელთა ეთნოგენეზი, უფრო სწორედ, რთული ის მეცნიერებისათვის აღმოჩნდა, რის დამადასტურებელი ისიცაა, რომ მათი ეთნოგენეზის შესახებ თერთმეტი ჰიპოთეზა არსებობს. ყველაზე უფრო გავრცელებულია ორი შეხედულება: 1) **ყივჩაღურ-ალანური** (*ლ. ლავროვი*) და 2) **ბულგარულ-ყივჩაღურ-ალანურ-კავკასიური**. ყარაჩაულ-ბალყარული ენის ყივჩაღურთან მსგავსებას კუმანიკუსის კოდექსითა და სხვა წყაროებით ადასტურებენ. ყივჩაღური ელემენტის პრიმატობის დამადასტურებელია სხვა არაერთი მონაცემიც, მაგალითად, ყარაჩაულ-ბალყარულ მითოლოგიაში საერთოთურქული (და, მათ შორის, ყივჩაღური) ღვთაებები – *ტეირი* და სხვ. ალანებთან, ბულგარელებსა და ყივჩაღებთან ერთად ცენტრალური კავკასიის თურქულენოვანი მოსახლეობის ეთნოგენეზში ყობანელთა მონაწილეობასაც აღნიშნავენ, თუმცა მიგვაჩნია, რომ ასე შორს წასვლა მითოლოგემასთან

გვაახლოვებს, რადგან ყობანური კულტურის მქონე მოსახლეობა ალანებისა და თურქების აქ მოსვლამდე დიდი ხნით ადრე გაქრა, სხვას შეენივთა და ამ ტერიტორიაზე სხვა ეთნოსებსაც მოუწიათ ცხოვრება (მაგალითად, სავირებს). ყარაჩაელთა და ბალყარელთა ეთნოგენეზში სხვა ეთნიკური წარმონაქმნის, მაგალითად, პაჭანიგების მონაწილეობასაც მიუთითებენ. ყარაჩაელთა და ბალყარელთა ეთნოგენეზში თუ არა, ეთნიკურ ისტორიაში მონაწილეობა აქვთ მიღებული სხვა ეთნოსებსაც: დაღესტნელებს, რუსებს და ქართველებს (სვანებს). ცნობილია, რომ **მათი განსახლების არეალის სამხრეთ მონაკვეთში სვანთა დასახლებები იყო. ყარაჩაელთა კავკასიონური ანთროპოლოგიური ტიპი მეცნიერებს აფიქრებინებს, რომ კავკასიაში შემოსულმა თურქულენოვანმა მოსახლეობამ მოახდინა აქ მცხოვრები სვანების ასიმილაცია. აღნიშნულის დამადასტურებლად მიიჩნევენ აგრეთვე ლექსიკურ მონაცემებს, „ტოპონიმიურ პარალელებს“, ფოლკლორს, გვარების მონათესაობას, ბალყარეთის ტერიტორიაზე სვანური კოშკების არსებობას. იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს სუბსტრატი, ალანურზე ბევრად ძველი იყო. სვანური გვარის მატარებელი მოსახლეობის ნაწილიც თურქულენოვანი მოსახლეობის მიერ ასიმილირებულ იქნა.** ყარაჩაიში არის გვარი **ებზელერ**. *ებზე* კი ქართველების (სვანების) აღმნიშვნელი ყარაჩაული სახელწოდებაა. აქვე მკვიდრობს **ოთარლარის** გვარი, რომლებიც ბალყარეთში *დადეშქელიანების* ერთ-ერთი განშტოების შთამომავალნი არიან. საისტორიო დოკუმენტებში ყარაჩაელთა და ქართველ მთიელთა – სვანთა ქორწინების ფაქტებიცაა დადასტურებული. *ლ. ლავროვის* მოწმობით, **ჩრდილოეთ კავკასიის თურქულენოვან მოსახლეობას შორის XVIII საუკუნის 40-იან წლებში კვლავ ისმოდა სვანური მეტყველება. დამკვირვებელთა ცნობით, XVIII საუკუნეში აქ მცხოვრებ სვანებს კვლავ იმერულად ეცვათ და, სხვათა შორის, ყარაჩაელებსა და ბალყარელებს თითქმის ისეთივე ქუდები ეხურათ, როგორსაც ძველად სვანეთში ატარებდნენ.** ამრიგად, ყარაჩაელთა (და ბალყარელთა) ეთნოგენეზში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა კავკასიურმა ეთნოსებმა და მოსულმა ირანულენოვანმა და თურქულენოვანმა ტომებმა. ამათგან ირანულენოვანი ალანების მოსვლა ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა თურქულენოვანი ტომების მიგრაციას.

ფაქტობრივად ყარაჩაელები და ბალყარელები ერთი ხალხია, ერთი ეთნოსია. რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ ორ ხალხს აქვთ საერთო წარმომავლობა, ერთი ენა, საერთო ისტორიული ბედი, კულტურის ერთობა, რაც იმის საფუძველს გვაძველს, რომ ისინი ერთ ხალხად მივიჩნიოთ. მაგრამ, მიუხადავად ამისა, მათ არა აქვთ საერთო თვითშეგნება. იმასაც აღნიშნავენ, რომ XIX საუკუნეშიც კი ყარაჩაისა და ბალყარეთის სხვადასხვა საზოგადოებებში მცხოვრებთაც კი არ ჰქონდათ საერთო ეთნონიმი და ერთიანი თვითშეგნება. ისინი ძირითადად იწოდებოდნენ იმ ხეობათა სახელების მიხედვით, რომელ ხეობებშიც ცხოვრობდნენ. *ნ. ვოლკოვას* აზრით, ერთიანი თვითშეგნების არარსებობა განპირობებულია იმით, რომ ყარაჩაელთა და ბალყარელთა ეთნოგენეზში სვადასხვა თურქულენოვანი გვაროვნულ-ტომობრივი ჯგუფები მონაწილეობდნენ, რომლებსაც საერთო თვითშეგნება არ ჰქონდათ და გეოგრაფიულმა იზოლაციამ და ტერიტორიულმა გათიშულობამ ბალყარელთა და ყარაჩაელთა ერთიანი თვითშეგნების ჩამოყალიბება არ განაპირობაო. სხვათა შორის, თუ იმ პრინციპს გავყვებით, რომ ამ ხალხებს საერთო ეთნონიმი და ერთიანი თვითშეგნება არ ჰქონდათ და რომ ისინი ხშირად იწოდებოდნენ ლოკალურ ჯგუფთა სახელებით, ასეთი სიტუაცია კავკასიის სხვა ხალხებშიც გვქონდა, მათ შორის, ოსებში. ეს უკანასკნელნი არა მხოლოდ დიგორელებად და ალაგირელებად, არამედ ხეობათა სახელებითაც აღინიშნებოდნენ. მიუხედავად ამისა, დიგორელები და ალაგირელები ერთ, ოსურ ეთნოსად გამოცხადდნენ. ყარაჩაელებსა და ბალყარელებს კი ეს პატივი არ ერგოთ. პირიქით, საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებამ ისინი სხვადასხვა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებში გააერთიანა.

ყარაჩაელთა განსახლების ეთნიკური ტერიტორია, როგორც ირკვევა, რამდენჯერმე შეცვლილა. მათ ხან *ყუბანის* ხეობის სათავე ეკავათ, ხან *ბაქსანის* ხეობა. წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ *ბაქსანის* ხეობაში ყარაჩაელები ხელმეორედ დასახლებულან. დადასტურებულია, რომ XIX საუკუნის შუა ხანებში ბაქსანში გადმოსახლებულთა 23%-ს *ბიზინგელები* შეადგენდნენ, *ყარაჩაიდან* – 21,1%-ს, *ჩეგემიდან* – 11,5%, *ბალყარეთიდან* – 9,2%, *ხოლამიდან* – 3,3%-ს. დანარჩენები იყვნენ ძირად ჩერქეზები, წებელდელები, ნოღაელები, ჩაჩნები, დაღესტნელები. ყარაჩაის 13 თავადურ გვარს შორის ყურადღებას იქცევს ორი გვარი: **კრიმშოხალი** და **ყუმუხი**. პირველ მათგანს *ლ. ლავროვი* ყირიმელ შამხალებს უკავშირებდა, მეორე გვარი კი პირდაპირ მიუთითებს მათ ყუმუხურ წარმომავლობაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მონღოლებამდელ პერიოდში ყარაჩაელები შედიოდნენ ალანების ტომთა კავშირში. მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს შეხედულება გასაზიარებელი არაა, რადგან მონღოლებამდე ყარაჩაელთა (და ბალყარელთა) ეთნიკური ერთობა არ იყო ჩამოყალიბებული და რომ ყარაჩაული ეთნოსის ჩამოყალიბება და წარმოქმნა სწორედ მონღოლთა გამოჩენასა და ლაშქრობებს უკავშირდება, რომელთა ლაშქრობებმაც თურქულენოვანი ტომების ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში დამკვიდრება და ადგილობრივ ხალხთან შერევის შედეგად ახალი – ყარაჩაული ეთნოსის წარმოქმნა გამოიწვია. არქეოლოგებს შესწავლილი აქვთ XIII-XIV საუკუნეების სამაროვნები ყარაჩაისა და ბალყარეთის ტერიტორიაზე. მეცნიერები იმასაც აღნიშნავენ, რომ ამ დროს ისინი ბინადრობდნენ არა მხოლოდ მაღალმთიანეთში, არამედ მთისწინა ზოლშიც. ბალყარულ-ყარაჩაული ტოპონიმიკური სახელწოდებები გვხვდება ყაბარდოს მთისწინეთსა და ნაწილობრივ, ოსეთშიც.

ყარაჩაელები სარწმუნოებით მუსლიმი სუნიტები არიან. მათ საკმაოდ გვიან მიიღეს მაჰმადიანობა. ისინი დიდი ხნის განმავლობაში წარმართები იყვნენ. დროდადრო ყარაჩაელების რაღაც ნაწილი ქრისტიანობას იღებდა. ამის შესახებ წერდნენ *აბულფედი* (XIV ს.) და *ლამბერტი* (XVII ს.), ამაზე მიუთითებენ არქეოლოგიური მონაცემებიც. მაგრამ ქრისტიანობა ფართოდ არ ინერგებოდა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან კავკასიის მთიანეთის სხვა რეგიონებში ის მხოლოდ ზედაპირულად შედიოდა. **მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გახდნენ ყარაჩაელები მუსლიმები,** რის შესახებაც აღნიშნავენ *გიულდენშტედტი* და სხვა ავტორები. ამ დროისათვის თურქულენოვან მთიელებში ქრისტიანული სარწმუნოების ზოგიერთი ელემენტი იყო შემორჩენილი.

XVI-XVIII საუკუნეებში ყარაჩაელები წინააღმდეგობას უწევდნენ ყირიმის ხანებს, ჰქონდათ ურთიერთობა დასავლეთ საქართველოს ფეოდალურ ერთეულებთან, დიდ ყაბარდოსთან, დაღესტანთან, რუსეთთან. ყარაჩაელები დამოკიდებულნი იყვნენ დიდ ყაბარდოზე, ჰქონდათ მათი ანალოგიური სოციალური სტრუქტურა და მსგავსი კულტურულ-ყოფითი წეს-ჩვეულებები. 1828 წელს ყარაჩაელები საბოლოოდ შევიდნენ რუსეთის შემადგენლობაში. 1870-იან წლებში მთიელი ყარაჩაელები თურქეთში გადასახლდნენ. 1920 წელს შეიქმნა ყარაჩაის ოკრუგი, 1922 წელს – ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი, 1926 წელს – ყარაჩაის ავტონომიური ოლქი, რომელიც ლიკვიდირებული იქნა 1943 წელს ყარაჩაელთა შუა აზიასა და ყაზახეთში დეპორტაციის გამო. გადასახლებაში ყარაჩაელთა დაახლოებით მესამედი დაიღუპა. 1957 წელს ისინი თავიანთ სამშობლოში უკან დააბრუნეს და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი აღდგა.

ყარაჩაელების მთავარი სამეურნეო საქმიანობა იყო მომთაბარე მეცხოველეობა (ცხვარი, თხა, ცხენი, მსხვილფეხარქოსანი საქონელი). საქონელს ზაფხულში ყარაჩაელები მთის საძოვრებზე მიერეკებოდნენ, ზამთარში კი ტყის ნაპირებზე, მთების სამხრეთ ფერდობებზე და დაბლობში არენდირებულ მიწებზე აბალახებდნენ. უხეშმატყლიანთა შორის ყარაჩაული ჯიშის ცხვარი ერთ-ერთი

საუკეთესო იყო. ის მაღალხარისხიანი ხორცითა და რძით გამოირჩეოდა. ადგილობრივი ჯიშის ცხენი არა მხოლოდ საჯდომად, არამედ კავალერიაშიც გამოიყენებოდა. სრული უგზოობის პირობებში მძიმე საპალნის გადასატანად, სახედარი თითქმის შეუცვლელი იყო. 1906 წლის რუსეთის სახელმწიფო კომისიის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მშვიდობისმოყვარე ყარაჩაელი ხალხი ძირითადად მისდევს მესაქონლეობას, რომლებსაც ჰყავთ 33.756 ცხენი, 175.027 – მსხვილფეხარქოსანი საქონელი და 487.471 – წვრილფეხარქოსანი საქონელი.

ყარაჩაის მთის საძოვრები ფორმალურად საერთო-სახალხო საკუთრებად ითვლებოდა, მაგრამ მისი ძირითადი ნაწილი ფეოდალების ხელში იყო თავმოყრილი. საზამთრო საძოვრები მთელ გვარს ეკუთვნოდა, კომლების მფლობელობაში იყო სარწყავი სათიბები. საქონელი ნახევარი წლის განმავლობაში საძოვარზე ჰყავდათ. ზაფხულში მწყემსები ღამეს კოცონთან ათევდნენ. მდიდარი მესაქონლეები მთიბავებად გარესამუშაოზე წასულ ქართველთა (სვანების, რაჭველების) შრომას იყენებდნენ. გარე სამუშაოზე ყარაჩაიში წასული ქართველები საფასურს საქონლის სახით იღებდნენ, რასაც შემდეგ საქართველოში ყიდდნენ. თავის მხრივ, ყარაჩაელები სამუშაოდ მიდიოდნენ კაზაკთა სტანიცებსა და მეზობელ აულებში, სადაც ცხენის მეჯოგეებად (მერემეებად), მესაქონლეებად მუშაობდნენ.

მსხვილი მესაქონლეები საქონელს სამხრეთ კავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობში ყიდდნენ. მატყლისაგან ნაბადს, ქუდებს აკეთებდნენ. ცხვრის ტყავისაგან ფაფახებს, ქურქებსა და ფეხსაცმელს ამზადებდნენ.

ყარაჩაიში მიწათმოქმედების განვითარებისათვის სათანადო პირობები არ იყო. 1908 წელს აქ მთლიანად 4.257 ჰა სახვნელი მიწა იყო, რაც მოსახლეობის პურზე მოთხოვნილებას მხოლოდ 2%-ით აკმაყოფილებდა. დანარჩენ პურს ყიდულობდნენ, ან მეცხოველეობის პროდუქტებზე ცვლიდნენ. ბარში ყარაჩაელთა ძირითადი კულტურა ქერი და სიმინდი იყო.

ყარაჩაელთა მატერიალურ კულტურას ბევრი რამ აქვს საერთო კავკასიის სხვა ხალხების მატერიალურ კულტურასთან. მაგრამ ეს მსგავსება საცხოვრებელ ნეგებობებს არ ეხება, ის მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდებოდა. ტრადიციული საცხოვრებელი ნაგებობა ორფერდიანი მიწიანი სახურავით, სწორკუთხა სქელი მორებისაგან ჰქონდათ აგებული, რომელზედაც ბალახი იყო ამოსული. სახლის კედლები ზოგჯერ გარედან თიხით იყო შელესილი. მიწის სახურავის სიმაღლე 70-დან 90 სმ-მდე მერყეობდა. საერთოდ, ყარაჩაელთა საცხოვრებელი მასიური კონსტრუქციისა იყო. *არქანჯელო ლამბერტის* სიტყვით, ყარაჩაელებს, ისევე როგორც სვანებს, განსაკუთრებული წესით შეეძლოთ გოგირდის მოპოვება და თოფის წამლის დამზადება.

ყარაჩაელთა ტრადიციული სოფელი შეჯგუფული და დიდი იყო. სოფელი გვაროვნული უბნებისაგან შედგებოდა. სოფლებს გარს სახვნელი მიწები და სარწყავი სათიბები ეკრა. XIX საუკუნის ბოლოს გვარების მიხედვით განსახლება შედარებით დაირღვა, მიუხედავად ამისა, უბნებმა გვაროვნული სახელწოდებანი შეინარჩუნეს. XIX საუკუნის 70-იან წლებში მდ. *თებერდაზე* ჩამოყალიბებული სოფლები საგვარო უბნებისაგან არ შედგებოდა. ყარაჩაელებს სამეურნეო ნაგებობები არ ჰქონდათ, რადგან საქონელი კარვებში ყავდათ.

მრავალი საუკუნის მანძილზე ყარაჩაელთა ძირითადი საკვები მეცხოველეობის პროდუქტები იყო. შედედებული რძე (*აირან*) ცვლიდა წყალსაც, ჩაისაც და სუპსაც. მის გარეშე ყარაჩაელთა ყოფა წარმოუდგენელი იყო. ყველაზე მნიშვნელოვან და ძირითად პროდუქტად ყველი ითვლებოდა. რძისაგან ისინი ამზადებდნენ აგრეთვე არაჟანს, კარაქს, კაიმაკს. მიირთმევდნენ ხორციან, ყველიან, კარტოფილიან ღვეზელს. სიმინდის ფქვილისაგან ფაფას ხარშავდნენ. იცოდნენ ე. წ. *ყალმუხური ჩაი* რძით, კარაქით და მარილით.

მამაკაცთა თავსაბურავი ორგვარი ჰქონდათ: ფაფახი და თექისაგან დამზადებული ფარფლიანი ქუდი, რომელიც ძალიან წააგავდა XIX საუკუნის სვანურ ქუდს.

რუსეთთან შეერთებამდე ყარაჩაიში „ადრეფეოდალურ“-პატრიარქალური ურთიერთობები იყო გაბატონეული. აქ ის ნაკლებად განვითარებული იყო, ვიდრე ყაბარდოში. უმაღლესი ფენა (*ტაუბიები*) მოსახლეობის 1%-ს შეადგენდა, რომლებიც მიწის დიდ რაოდენობას, ყმა-გლეხებსა და მონებს ფლობდნენ. **მოსახლეობის ძირითად ნაწილს პირადად თავისუფალი გლეხები (მეთემეები) წარმოადგენდნენ.** როგორც ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხში, აქაც მონობა პატრიარქალური ხასიათის იყო. ყარაჩაელები მონებად, ჩვეულებრივ, ტყვეებს აქცევდნენ. სოციალურ და ქონებრივ დანაწევრებასთან ერთად, ყარაჩაიში შემორჩენილი იყო გვაროვნული ურთიერთობის გადმონაშთები. მაგალითად ისიც გამოდგება, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზეც საზამთრო საძოვრები მთელი გვარის საერთო საკუთრება იყო. ყოველი ყარაჩაელი ამა თუ იმ გარკვეული გვარის (*თუკუმი*) წევრი იყო. გვარები უბნების მიხედვით იყვნენ განსახლებულნი. გვარებს საგვარო სასაფლაოები და ხშირად საგვარო მეჩეთებიც ჰქონდათ, რომლებიც, როგორც ჩანს, მთისათვის დამახასიათებელ საგვარო სალოცავებს ჩაენაცვლნენ. ყველამ იცოდა გვარის საფუძველჩამყრელის სახელი. *თუკუმის* (გვარის) შიგნით ქორწინება აკრძალული იყო, ე. ი. ყარაჩაული გვარი ეგზოგამიური იყო და ეს ეგზოგამიურობა აქ ისლამის გავრცელებამაც ვერ მოსპო. საქორწინო კავშირები მონოგამიური იყო. ერთი გვარის წევრობა თითოეულს გარკვეულ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას ავალდებულებდა (მაგალითად, ურთიერთდახმარების სხვადასხვა ფორმები შეიძლება დავასახელოთ).

საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრს სასოფლო თემი წარმოადგენდა. ყარაჩაელებს შორის შემორჩენილი იყო საოჯახო თემიც. გაუყოფელი (დიდი) ოჯახები საერთო მეურნეობას აწარმოებდნენ და ხშირად ოჯახის 60-მდე წევრს ითვლიდნენ. XIX საუკუნიდან დიდმა ოჯახმა პოზიციები დათმო და წამყვანი პოზიციები ინდივიდუალურმა ოჯახმა მოიპოვა.

სისხლის აღება შედარებით ნაკლებად იყო გავრცელებული. ის XIX საუკუნეში, ფაქტობრივად, გამოიდევნა და შეიცვალა სისხლის სხვადასხვა ფორმის გადასახადით. შემორჩენილი იყო გვარში უცხოს მიღების ტრადიცია. **გვარში ხელოვნურად დანათესავებულს აუცილებლად ჯოხის ქვეშ უნდა გაევლო და ეს ჯოხი როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან გვარის უხუცესებს უნდა სჭეროდათ. ასეთი ნათესავები „ჯოხის ნათესავებად“ იწოდებოდნენ, სისხლის ნათესავისაგან განსასხვავებლად, რომელსაც ყარაჩაულად „მუგუზლის“ ნათესავი ეწოდებოდა.** ოჯახის გაყრის შემთხვევაში, ახალ სახლში გადასულ ძმებს კერიდან მუგუზალი მიჰქონდათ.

XX საუკუნის დასაწყისში შემორჩენილი იყო გვაროვნული დამღები. დამღებს ცხენებსა და მსხვილფეხა საქონელს ასვამდნენ. მას საფლავის ძეგლებსა და საყოფაცხოვრებო საგნებზეც გამოსახავდნენ.

ყარაჩაელებმა იცოდნენ ურვადი, ხშირად – ქალის მოტაცებაც. ქორწილში, ისევე როგორც ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებში, ნაფე-პატარძალი მონაწილეობას არ ღებულობდა. პატარძალი სახლის კუთხეში თავის მეგობრებთან ერთად ფეხზე იდგა. ქალი, გარეშეთა თანდასწრებით, ქმართან არ დაჯდებოდა, მასთან ერთად არ ჭამდა და ქმარს სახელით არ მიმართავდა. მაგრამ ყარაჩაიში ქალი შედარებით თავისუფალი იყო, ვიდრე კავკასიის სხვა ხალხებში, რასაც აქ ისლამის გვიან გავრცელებით ხსნიან.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ყარაჩაიში XVIII საუკუნიდან გაბატონებული რელიგია იყო ისლამი. გადმოცემით, აქ მაჰმადიანობის გამავრცელებელი გახლდათ ყაბარდოელი მოლა *ისხაკ-ეფენდი*. ყველა სოფელში იდგა მეჩეთი. მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმთა სასულიერო წოდება აქტიურად იბრძოდა წარმართობის

წინააღმდეგ, არაერთი მუსლიმამდელი რწმენა-წარმოდგენა მაინც შემორჩენილი იყო. ყარაჩაელებმა იცოდნენ ხეების, ქვის ლოდების თაყვანისცემა. ყველა გვარს თავისი სალოცავი ქვა ჰქონდა. გარდა უმაღლესი ღვთაებისა (*ტეირი*), ყარაჩაელებს მფარველი სულებისაც სწამდათ. ნადირობის ღვთაება იყო *ფსატი*, ცხვრების მფარველი – *ათმუში*, მდინარეში ცხოვრობდა *წყლის დედა*.

ხალხური ხელოვნება უტილიტარული ხასიათის იყო. სახვით ხელოვნებაში უფრო მომთაბარეთა ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნები გამოსჭვიოდა, ვიდრე ბინადარი ხალხისა.

ყარაჩაელებს ჰქონდათ ნართული გადმოცემები და ისტორიული ხასიათის სიმღერები, რომლებშიც გადმოცემულია ხალხის ისტორიული ბედი, დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა. ყარაჩაელთა გამოყენებითი ხელოვნების ორნამენტიკაში ხეზე, ქვაზე, ძვალზე, მეტალზე მცენარეული და ზოომორფული მოტივები ჭარბობდა, რომელშიც თვალყური გაედევნება კავკასიურ-თურქულ გენეტიკურ ურთიერთობებს. ყარაჩაელი ხალხის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეტიკეტს. მრავალრიცხოვან ხალხურ დღესასწაულებს თან ახლდა დოღი, ძალოსანთა შერკინება, ქვის სროლა, სამასკარადო თამაშობანი, სიმძიმეების აწევა და სხვ.

VII. 3. ბალყარელები

ბალყარელები ყარაჩაელების მონათესავე თურქულენოვანი ხალხია, რომლებიც კავკასიის ჩრდილოეთის ქედის ცენტრალური ნაწილის მთიან მონაკვეთში მკვიდრობენ. მკვლევარები თვლიან, რომ ბალყარელები და ყარაჩაელები ერთ ენაზე ლაპარაკობენ, რომელიც ალთაურ ენათა ოჯახის თურქული ჯგუფის ყივჩაღურ ჯგუფში შედის. ყარაჩაელებს ბალყარელებისაგან იალბუზის მთა ყოფს. დასავლეთი ნაწილი ყარაჩაელებს უკავიათ, აღმოსავლეთ მხარეს კი ბალყარელები ცხოვრობენ. 1980-იან წლებში ყაბარდო-ბალყარეთში 59,7 ათასი ბალყარელი მკვიდრობდა, მთელ საბჭოთა კავშირში კი – 66 ათასი. XX საუკუნის 90-იან წლებში ყაბარდო-ბალყარეთში 70,8 ათასი ბალყარელი იყო, რუსეთში – 78,3 ათასი. ყაზახეთში ცხოვრობდა 3 ათასი ბალყარელი, ყირგიზეთში – 2,1 ათასი. ამრიგად, მათი საერთო რაოდენობა 80 ათას კაცს აჭარბებს.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ ბალყარელები თავიანთ თავს ბალყარელებს არ უწოდებდნენ. მათი თვითსახელწოდებაა **თაულუა,** რაც მთიელს ნიშნავს. ბალყარელთა ლოკალური ჯგუფებია: **ბალყარელები (მალყარელები)** (ბალყარულად – მალყარლილა); ეს ჯგუფი მკვიდრობს ბალყარეთის ხეობაში მდ. *აღმოსავლეთ ჩერეკის* ხეობაში; **ბიზინგიელები** (ბიზინგიჩილა, ცხოვრობენ მდ. *დასავლეთ ჩერეკის* ზემო წელში); **ხოლამელები** (ხოლამილა, ცხოვრობენ მდ. *დასავლეთ ჩერეკის* შუა წელზე); **ჩეგემელები** (ჩეგემლილე, ცხოვრობენ *ჩეგემის* ხეობაში); **ურუსბიელები** ანუ **ბაქსანელები** (ბაქსანაჩილა, ცხოვრობენ ბაქსანის ხეობაში).

ბალყარელების აღმნიშვნელი ეთნონიმები, **თაულუსთან** ერთად, აღნიშნული ხუთი ხეობის სახელწოდებებიც იყო. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მალყარელები (ბალყარელები) მხოლოდ *ჩერეკის* ხეობაში მოსახლეებს ეწოდებოდათ. ეს სახელწოდება ამ დროიდან მთელ ხალხზე გავრცელდა. ყაბარდოელები ბალყარელებს **ქუშხე**-ს სახელით მოიხსენიებენ. ეს სიტყვა მთიელს ნიშნავს. ოსები მათ **ასიაგს, ასონს** უწოდებდნენ. რაც შეეხება ქართველ მთიელებს – სვანებს, ისინი ამ თურქულენოვან მეზობელ ხალხს **მუსავ**-ს (მხ. რ.), **სავიარ** (მრ. რ.) უწოდებდნენ, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ბალყარელებით განსახლებულ ტერიტორიაზე ოდესღაც სავირებს უცხოვრიათ, რომლებსაც შემდეგ ირანულენოვანი ალანები ჩაენაცვლნენ. ქართულ წყაროებში ბალყარელები **ბასიანის** სახელით იყვნენ მოხსენიებულნი. XIX საუკუნის ოფიციალურ რუსულ

წყაროებსა და ლიტერატურაში ბალყარეთი ცნობილია *„ყაბარდოს მთის ხუთი საზოგადოების“* სახელით, ბალყარელები კი **მთის თათრებად** იწოდებოდნენ.

ბალყარულ ენაზე დამწერლობა 1924 წელს შეიქმნა (თავდაპირველად ლათინურ, შემდეგ – რუსულ გრაფიკზე დაყრდნობით). ბალყარული ლიტერატურული ენის საფუძველს ბაქსანურ-ჩეგემური დიალექტი წარმოადგენს.

ბალყარელების (და ყარაჩაელების) ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის ცენტრალურ ნაწილში დასახლება მონღოლთა შემოსევების შემდეგ, XIII-XIV საუკუნეებში მოხდა. *ბალყარების ფორმირების პროცესში მინიმუმ სამი ეთნიკური კომპონენტი მაინც მონაწილეობდა: უძველესი – კავკასიურენოვანი მოსახლეობა, ირანულენოვანი ალანები, რომლებიც ცენტრალური კავკასიის მთიან ზოლში VI-VII საუკუნეებში შემოვიდნენ (ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, ალანები აქ ჰუნების შემოსევების შემდეგ, IV-V საუკუნეებში დასახლდნენ) და თურქულენოვანი ტომები, რომელთა შორისაც ყივჩაღების მიგრაცია უეჭველად დადასტურებულია.* ფიქრობენ, რომ თურქულენოვან მიგრანტებს შორის ყუბანელი ბულგარელებიც იყვნენ. XIII საუკუნეში, მონღოლებთან დამარცხების შემდეგ, ყივჩაღთა ნაწილმა თავი კავკასიის მთებს შეაფარა, სადაც ირანულენოვანი ალანები ცხოვრობდნენ. იმ დროს კავკასიის მთიანეთში ირანულენოვანი ალანების განსახლების არეალი სწორედ დღევანდელი ყარაჩაისა და ბალყარეთის ტერიტორია იყო, დიგორის ხეობასთან ერთად (რაც შეეხება ოსეთის სამ ხეობას – *თაგაურს, ქურთაულს და ალაგირს,* აქ ალანები მაშინ არ ცხოვრობდნენ. ისინი ამ ხეობებში დასახლებას მხოლოდ XIII-XIV საუკუნეებში იწყებენ). საყურადღებოა ზოგიერთი გადმოცემა, რომელიც ბალყარელთა წარმომავლობას ეხება. *ჰფაფის* მიერ ჩაწერილი გადმოცემით, არაბების მიერ დაღესტანში განადგურებულ ხაზართა (737 წ.) სამმა ტომმა თავი დააღწია მტერს და ყაბარდოში გაიქცა და მდ. *ჩეგემის* ხეობაში დასახლდა. *კაზარის* ხეობის სახელი სწორედ ამის დამამტკიცებელია. ჩეგემელი *ბალკარუკოვების* საგვარეულო გადმოცემით, *ჩეგემის* ხეობის მოსახლეობას ძველი დროიდან მართავდა ხაზარული წარმოშობის თავადი *ბერდიბეი.* აგრეთვე, ითვლება, რომ ბალყარელების ფუძემდებელი *მისაკი* გადმოსახლებამდე ცხოვრობდა სადღაც ყუმუხეთის ველებში. სხვა გადმოცემით კი ბალყარელების წინაპრები *მალყარი* და *მისაკი* ბალყარეთში მოვიდნენ რომელიღაც ადგილიდან, რომელსაც *ბორაგანი* ერქვა. აღსანიშნავია, რომ *ბორაგანი* ყუმუხურ-ხაზარული ტომების სახელწოდება იყო, რომლებსაც VII საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიის სტეპები და მთისწინეთი ეკავათ კისლოვოდსკიდან დერბენტამდე. ოქროს ურდოს პერიოდში არსებობდა *ბორაგან-მაჯარის* ადმინისტრაციული ოლქი. ყარაჩაულ-ბალყარულ ფოლკლორში ნართაულად ნათქვამია, რომ ოდესღაც ქალაქი *ბორაგანი,* რომელიც თითქოს სახანოს დედაქალაქი იყო და ის ჩრდილოეთ კავკასიის და შავიზღვისპირეთის არეალში თავის შემადგენლობაში ყუმუხებს, ყარაჩაელებს, ბალყარელებს და სხვა თურქულ ტომებს აერთიანებდა.

რუსულ წყაროებში *ბალყარელები (ბოლხარები)* პირველად XVII საუკუნეში არიან მოხსენიებულნი. თუმცა სახელწოდება *ბალყარელები* მხოლოდ მდ. *ჩერეკზე* მცხოვრებ მოსახლეობას აღნიშნავდა. ბალყარელები დასახელებული არიან 1768 წლის დოკუმენტშიც. ბალყარელები პირველად დასავლეთევროპულ წყაროებში XVIII საუკუნის დასაწყისში არიან დაფიქსირებულნი. 1718 წელს *გოტლიბ შობერი ბალყარელ თათრებს* მოიხსენიებს. *გიულდენშტედტი* და *პალასი* ბალყარის და ყარაჩაის ოკრუგებს ახსენებენ.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: როდის მოახდინეს ირანულენოვანი ტომების ასიმილირება თურქულენოვანმა ტომებმა? ეს პროცესი ძირითადად XIII-XIV საუკუნეებშივე მოხდა. ამის დამადასტურებელია XIV საუკუნის არაბი გეოგრაფის *აბულფედის* ცნობა, რომელიც აღნიშნავდა, რომ აფხაზეთის აღმოსავლეთით, კავკასიის ჩრდილოეთ კალთებზე ცხოვრობენ ალანთა თურქულენოვანი ტომები და მათ გვერდით აგრეთვე თურქული რასისანი, რომლებიც ასებად იწოდებიან.

მიუხედავად ამისა, რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ XVIII საუკუნის 40-იან წლებში ეს პროცესი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო (განსაკუთრებით აღნიშნავენ დიგორთან მოსაზღვრე რაიონების ორენოვნების შესახებ). წყაროებში აღნიშნულია, რომ ბალყარეთის ზოგიერთ მხარეში ორ ენაზე თურქულ და სონურ ენებზე ლაპარაკობდნენ. ბალყარელთა და ოსთა ისტორიული ეთნოგენეტიკური კავშირები და ბალყარეთ-დიგორის საზღვარზე ორენოვნება საისტორიო წყაროებითა და გადმოცემებით დადასტურებულია, მაგრამ გასაოცარია, როდესაც *სონურ ენაში* რუსი ავტორები ოსურ ენას გულისხმობენ. *სონური ენა* რა თქმა უნდა, სვანური მეტყველებაა. ისტორიულად დადასტურებულია, რომ დღევანდელი ბალყარეთის ტერიტორიის გარკვეულ მონაკვეთში, ხანრძლივი პერიოდის მანძილზე, სვანები ცხოვრობდნენ. მაგალითად, *კლაპროტი* აღწერდა რა ბალყარეთის საზოგადოებებს, აღნიშნავდა, რომ **სოფელი *ხულამი* დასახლებულია სვანური გვარებით, რომლებიც ჯერ კიდევ იმერულად იმოსებიან და თავის თავს სვანებს უწოდებენ.** სვანური გვარების მატარებელნი მკვიდრობენ არა მარტო აქ (ე. ი. *ხულამში*), არამედ გაფანტული არიან მეზობელ *კაშკატაუში* და ექვემდებარებიან ყაბარდოელებს. ე. ი. ბალყარეთში, *კაშკა-ტოის* მწვერვალებთანაც სვანები ცხოვრობდნენ. ისინი დროთა განმავლობაში ასიმილირებული იქნენ ბალყარელების მიერ. ბალყარეთში არის გვარი **შვანლარი** (ყარაჩაიში – **ებზელერ**), რაც პირდაპირ მათ სვანურ წარმომავლობაზე მიუთითებს. არაერთ სხვა ბალყარულ გვარსაც აქვს გადმოცემა სვანური წარმომავლობის შესახებ (მაგალითად, **აბეევები** და **ედებოლოვები**). ცნობილია, რომ **ბალყარელი შახმურზაევების გვარი გუჯეჯიანების გვარიდან მომდინარეობს.** დადასტურებულია აგრეთვე რაჭველთა მიგრაციის ფაქტები. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი ურთიერთობანი ცალმხრივი არ იყო. გვაქვს შემთხვევები სავიართა (ბალყარელთა) სვანეთში მიგრაციისა.

ისევე როგორც ყარაჩაის ტერიტორიაზე, ბალყარეთშიც ჩანს მოსახლეობისა და ეთნიკური ტერიტორიის ცვლა. *ბაქსანის* ხეობა XVII საუკუნეში, დროის რაღაც მონაკვეთში, ყარაჩაელებით ყოფილა დასახლებული, რომლებიც XVIII საუკუნის შუა ხანებში უკან, *ყუბანის* სათავეში გადასახლებულან. XVIII საუკუნის 80-იან წლებში *ბაქსანის* ხეობაში *ურუსბაევების* გვარის სამფლობელოში, უკვე ცხოვრობდნენ *ურუსბიელები.* XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის I ნახევარში ეს ხეობა დასახლებული იყო ბალყარეთის სხვადასხვა რაიონებიდან და კავკასიის სხვა მხარეებიდან მოსული მოსახლეობით.

ბალყარეთის ყველა სოფლის მცხოვრებს მჭიდრო კავშირი ჰქონდა მეზობელ ხალხებთან: ყაბარდოელებთან, ყარაჩაელებთან, ქართველ მთიელებთან (სვანებთან, რაჭველებთან).

XIX საუკუნის პირველ მესამედში ბალყარული საზოგადოებები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ. რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ 1827 წელს *ურუსბაევის, ჩეგემის, ხოლამის* და საკუთრივ *ბალყარეთის* მმართველებმა მიმართეს იმპერიის ხელისუფლებას, რათა ისინი მიეღოთ რუსეთის ქვეშევრდომობაში, იმ პირობით, რომ შეინარჩუნებდნენ შარიათული სამართლის ძველ წესებს, ისლამის თავისუფლად აღმსარებლობას. 1866 წელს ბალყარელები 10 ათასზე მეტნი იყვნენ, 1887 წელს – 23, 1 ათასი.

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში საგლეხო რეფორმის გატარების პერიოდში უმიწო ბალყარელების ნაწილი (ყარაჩაელებთან ერთად) ბარში დაასახლეს. ბარში გადასახლების მიუხედავად, XIX საუკუნის ბოლოს ბალყარელები მიწის სიმცირეს მაინც განიცდიდნენ. XX საუკუნის დასაწყისში ჭარბი მოსახლეობა 67%-ს შეადგენდა. მთიელები მარცვლეულს ბარის მცხოვრებლებისაგან ყიდულობდნენ, მიდიოდნენ სეზონურ გარე სამუშაოზე, იჯარით იღებდნენ მიწას ან გადასახლდებოდნენ ბარში. მთიელი ბალყარელები ბარის სოფლებში დროებით მაცხოვრებლის სტატუსით ემკვიდრებოდნენ. 1882 წელს

ყველა ბალყარულ ხეობაში დაახლ. 13 ათასი კაცი მკვიდრობდა (41 სოფელში). ყველაზე დასახლებული იყო ბალყარეთის ხეობა (5 ათასი კაცი, 18 სოფელში).

1867 წელს მთებში გზების მშენებლობა დაიწყო, დაინერგა ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, გაიხსნა დაწყებითი სკოლები და ა. შ. 1921 წელს ბალყარელთა ოკრუგი მთიელთა ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შეიყვანეს; 1922 წელს ჩამოყალიბდა ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც 1936 წელს გადაკეთდა ავტონომიურ რესპუბლიკად. 1926 წელს ბალყარელების რაოდენობა 33,3 ათასი კაცი იყო, 1939 წელს – 42,6 ათასი, 1959 წელს – 42,4 ათასი. 1944 წელს ბალყარელები (ყარაჩაელებთან ერთად) შუა აზიასა და ყაზახეთში იქნენ დეპორტირებული. 1957 წელს ბალყარელებს სამშობლოში დაბრუნების ნება დართეს და ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ აღადგინეს. 1991 წელს ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა გამოცხადდა.

ბალყარელები ძველისძველი მეცხოველეები არიან. მესაქონლეობა ბალყარელების მეურნეობის წამყვანი ტრადიციული დარგი იყო. მისდევდნენ მეცხვარეობას, მსხვილფეხარქოსანი საქონლის მოშენებას, მეცხენეობას; ჰყავდათ თხები. XVIII საუკუნის ბოლომდე მისდევდნენ მეღორეობასაც. მეღორეობა ისლამის გავრცელებასთან ერთად გაქრა. მაისიდან ოქტომბრამდე საქონელს მთის საზაფხულო საძოვრებზე აბალახებდნენ. გვიან შემოდგომაზე კი ყაბარდოს ველის საზამთრო საძოვრებზე მიერეკებოდნენ. ბალყარელებს მსხვილფეხარქოსანი საქონლის ნაწილი ბაგურ კვებაზე ჰყავდათ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ბალყარული ცხენების ამტანობის, გამძლეობის შესახებ. პატარა ბალყარული ცხენები მთის პირობებში შეუცვლელი იყვნენ.

მესაქონლეობასთან ერთად ბალყარელები მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ, რომელსაც აქ დამხმარე ხასიათი ჰქონდა. სახვნელი ნაკვეთები ტერასებზე ჰქონდათ მოწყობილი. თესავდნენ ქერს, ხორბალს, შვრიას. ხნავდნენ ხის სახვნელით, რომელსაც რკინის სახნისი ჰქონდა. მკიდნენ ნამგლით. მარცვლის გალეწვას საქონლის ფეხით ახდენდნენ. ბალყარელები არა მხოლოდ სახვნელ მინდვრებს, არამედ სათიბებსაც რწყავდნენ. სახვნელ ნაკვეთებს 2-3 წელიწადში ერთხელ ნაკელით ანოყიერებდნენ.

ბალყარელთა შინამრეწველობიდან და ხელოსნობიდან აღსანიშნავია ქეჩების, ნაბდების წარმოება, ტყავისა და ხის დამუშავება (ამზადებდნენ ავეჯსა და ჭურჭელს). დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მონადირეობასა და მეფუტკრეობას. მოპოვებულ მელიის, მგლის, კვერნის ბეწვს ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებსა და დასავლეთ საქართველოში ჰყიდნენ. ვაჭრობდნენ თაფლითა და ცვილით. ფუტკარი მსუბუქ დაწნულ სკებში ჰყავდათ. ბალყარელები ძირითადად ვაჭრობდნენ ყაბარდოელებთან და დასავლეთ საქართველოს მთიანეთის – სვანეთის და რაჭის მოსახლეობასთან. ონში გასაყიდად ნაბდები, თექა, ყაბალახები გადმოჰქონდათ, რასაც თამბაქოზე, სპილენძის ქვაბებზე, ჭურჭელზე და სხვა საგნებზე ცვლიდნენ. ბალყარელებმა XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ვაჭრობა რუსეთთან გააცხოველეს. კავკასიის ხაზზე და შავიზღვისპირეთში ბალყარელები ძირითადად მარილს იძენდნენ. რეფორმის პერიოდში განავითარეს სარძევე მრეწველობა. თავადმა *ურუსბაევებმა* ბაქსანის მარცხენა ნაპირზე ააშენეს ყველის ქარხანა, სადაც შვეიცარულ ყველს ამზადებდნენ.

ბალყარეთში დიდი სოფლები რამდენიმე გვარით იყო დასახლებული. XIX საუკუნის 30-იან წლებში ბალყარულ სოფელში საშუალოდ 130-140 კომლი ითვლებოდა. გვიან მათი რაოდენობა, მცხოვრებთა ბარში გადასახლების გამო, შემცირდა. სოფლების დამფუძნებლებად, ჩვეულებრივ, რამდენიმე გვარს თვლიდნენ, თანაც არა მხოლოდ ბალყარელებს. მთის კალთებზე საფეხურებად შეფენილი სოფლების უმეტესობა შეჯგუფული ტიპის იყო. მხოლოდ ბაქსანის ხეობის სოფლები გამოირჩეოდნენ თავისუფალი დაგეგმარებით. გვხვდებოდა ციხეთა ტიპის სოფლები, რომლებსაც ადგილობრივი ზედაფენა ფლობდა. თავდაცვის მიზნით

სოფლებში აგებული ჰქონდათ კოშკები. ისინი ძირითადად საბრძოლო კოშკები იყო. საცხოვრებლისაგან განსხვავებით, კოშკებს გათლილი ქვებისაგან აშენებდნენ. კოშკები ძირითადად ორი ფორმის ჰქონდათ – სწორკუთხოვანი (*ზედა ჩეგემი*) და ზედა ნაწილისაკენ დავიწროვებული. ასეთი ტიპის კოშკი ცნობილია, მაგალითად, სოფელ *კიუნიუში.* ამ კოშკის ზედა ნაწილში, სხვათა შორის, ქრისტიანობის სიმბოლო – ჯვარია – გამოსახული. ზოგიერთ სოფელში დღემდე შემორჩენილია საგვარეულო საძვალეები – აკლდამები. ასეთი სამაროვნები უმეტესად სოფელ *ჩეგემის* ირგვლივ გვხვდება. ბალყარელთა საცხოვრებლის ტიპები სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში იცვლებოდა. ყველაზე ძველ ტიპს წარმოადგენდა ნახევრადმიწისზედა და მიწისზედა ქვის სახლები, ტყით მდიდარ ადგილებში კი – ძელური სახლები. ქვის საცხოვრებლები უპირატესად გავრცელებული იყო ბალყარეთის მთიანეთში – *ჩერეკის, ჩეგემის, ხულამ-ბეზინგის* ხეობებში და *ბაქსანის* ხეობის დაბლობში. ძველი ძელური სახლები დამახასიათებელი იყო *ბაქსანის* ხეობის ზემო წელისა და აგრეთვე ნაწილობრივ *ჩეგემის* ხეობებისათვის.

ბალყარულ სახლში კერას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ის წმინდა ადგილად ითვლებოდა. ამავე დროს, ის ოჯახის ერთობის სიმბოლო იყო. კერასთან ბალყარელები სხვადასხვა რიტუალს ასრულებდნენ. ოჯახის უფროსის გარდაცვალებისას, კერაში ცეცხლს აქრობდნენ. მშობლების სახლიდან გასვლამდე პატარძალს აუცილებლად კერისათვის სამჯერ უნდა შემოევლო. კერის შეურაცხმყოფელ პირს ოჯახის მესისხლედ მიიჩნევდნენ. თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე საცხოვრებელი ერთკამერიანი იყო; ძველად მისი ზომები 50-100 კვადრატულ მეტრამდე მერყეობდა. საცხოვრებელთანვე ჰქონდათ სამეურნეო ნაგებობები. ორ-სამ ოთახიან სახლში ერთი ოთახი აუცილებლად სასტუმროდ იყო გათვალისწინებული.

ბალყარელების ტანსაცმელი სხვა ჩრდილოეთკავკასიელი ხალხების ტანსაცმლისაგან თითქმის არ განსხვავდებოდა. ზედაფენების წარმომადგენლების გამოსასვლელი ტანსაცმელი თეთრი ჩოხა იყო. ბალყარელები ატარებდნენ იარაღს, განსაკუთრებით კი – ხანჯალს.

ბალყარელები XX საუკუნემდე ერთმანეთს და სხვა მეზობელ ხალხებს ვიწრო და ციცაბო ბილიკებით უკავშირდებოდნენ. მათზე მხოლოდ ფეხით ან ცხენით თუ გადაადგილდებოდნენ. ბორბლიან ტრანსპორტს ბალყარელები არ იცნობდნენ.

ბალყარელთა ძირითადი საკვები რძის საჭმელები იყო: მაწონი, ყველი, არაჟანი. ყველს ძროხის, ცხვრისა და თხის რძისაგან აკეთებდნენ. მარცვლეული კულტურებიდან წამყვანი იყო ქერი. ქერისაგან ამზადებდნენ ლუდსაც. ბევრი ჰქონდათ თაფლი. თაფლის, მოშუშული ფქვილისა და კაკლის ნაზავისაგან ჰალვას ამზადებდნენ. ბალყარელები საკვების არაზომიერად, გადაჭარბებულად მიღებას დიდ ნაკლად თვლიდნენ. მაგიდასთან განსაკუთრებულ ეტიკეტს იცავდნენ; პირველყოვლისა დიდ პატივისცემას გამოხატავდნენ ოჯახის უფროსის მიმართ, რომელსაც ახალგაზრდა მამაკაცები ემსახურებოდნენ. ახალგაზრდა მამაკაცთა არყოფნის შემთხვევაში, ოჯახის უფროსს შეიძლება გოგონებიც მომსახურებოდნენ. უფროსი მამაკაცის შემდეგ ჯერ დანარჩენი მამაკაცები შეექცეოდნენ, შემდეგ – ქალები ასაკისა და ოჯახში მდგომარეობის მიხედვით. ბავშვებს ცალკე აჭმევდნენ.

1827 წლისათვის, როდესაც ბალყარეთი რუსეთს შეუერთდა, აქ პატრიარქალური ურთიერთობები არსებობდა. ბალყარეთი ერთ მთლიან ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულს არ წარმოადგენდა. ის ცალკეული საზოგადოებებისაგან შედგებოდა. ყოველ საზოგადოებას ერთი ან რამდენიმე დიდგვაროვანი (მიწისა და საქონლის მესაკუთრე) მართავდა. ბალყარეთის მმართველები – *ტაუბიები* XVII საუკუნის რუსულ წყაროებში მოხსენიებულნი არიან როგორც *მურზები, მმართველები, მამასახლისები. ჩერეკის საზოგადოებაში* (ხეობაში) ესენი იყვნენ: *აბაევები, აიდუბულოვები, ჯანხოტოვები* (შდრ. ქართული გვარი სვანეთში – ჯანხოთელი), *მისაკოვები; ჩეგემის ხეობაში – ბალკარუკოვები, კელემენტოვები;*

ხოლამის ხეობაში – შაკმანოვები; ბიზინგის ხეობაში – სუნშევები; ბაქსანში – ურუსბიევები. **ბალყარელების ძირითად ნაწილს თავისუფალი მეთემეები (*ყარაკიშები, „შავი ადამიანები“*), შეადგენდნენ, დამოკიდებულ გლეხებს კი ეწოდებოდათ „ჩეგარი“.** ლაშქრობის შემდეგ ტყვედჩავარდნილებს მონები (*კულ*) ეწოდებოდათ, რომელთა შრომასაც ძირითადად საოჯახო მეურნეობაში გამოიყენებდნენ.

XIX საუკნეში ბალყარული საზოგადოების ძირითად უჯრედს პატარა ოჯახი შეადგენდა. დიდი ოჯახები იშვიათად იყო. ქალები ემორჩილებოდნენ მამაკაცებს, უმცროსები – უფროსებს. არსებობდა აკრძალვა-უმძრახობის სხვადასხვა სისტემა. ცოლისა – ქმართან, მშობლებისა – ბავშვებთან, პატარძლისა – ქმრის მშობლებთან, სიძისა – სიდედრ-სიმამრთან. რძალს არ შეეძლო სხვათა თანდასწრებით დალაპარაკებოდა დედამთილსა და მამამთილს. მშობლებს არ შეეძლოთ შვილების მიმართ თავიანთი გრძნობა აშკარად გამოეხატათ. წარსულში არსებობდა სოროორატი, ქალის მოტაცების ჩვეულება. მყარად იყო შემორჩენილი ლევირატი. **ისევე როგორც ოსებში, ბალყარელებშიც ქვრივები, ჩვეულებრივ, მიცვალებულის გვარის რომელიმე წარმომადგენელზე ქორწინდებოდნენ, უპირველეს ყოვლისა კი მის დაუქორწინებელ მაზლზე.** ეს ტრადიცია ბალყარელთა შორის *ტულ*-ის სახელს ატარებდა; მიცვალებულის ქვრივზე ამბობდნენ, რომ ის *ტულია,* ე. ი. მიცვალებულის ოჯახის საკუთრებაა, რომელიც, სხვა მემკვიდრეობასთან ერთად, კომლის საკუთრებაში უნდა დარჩენილიყო. გავრცელებული იყო სისხლის აღება, ძმად შეფიცვა, სტუმართმოყვარეობა, გაძიძავება. ფეოდალები აღსაზრდელად თავიანთ შვილებს ვასალებსა და გლეხებს აძლევდნენ. თავის მხრივ, ბალყარელი ფეოდალები აღსაზრდელად იყვანდნენ ყაბარდოელი და ქართველი (სვანი) თავადების შვილებს. გაძიძავება ძირითადად ნათესაური კავშირების დამყარების, აგრეთვე მფარველობის მიზნით ხდებოდა.

ბალყარეთში ქორწინება ეგზოგამიური იყო; ერთი გვარის შიგნით ქორწინება შვიდი თაობის ფარგლებში იკრძალებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბალყარელები XVIII საუკუნიდან ისლამის მიმდევრები იყვნენ, მათში მრავალცოლიანობამ გასაქანი ვერ ჰპოვა. მონოგამიურობა ისლამამდელი ტრადიცია იყო. ეს ტრადიცია გვიან მხოლოდ ზედაფენაში დაირღვა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში *ტაუბიები* პირველი ღამის უფლებით სარგებლობდნენ. ქორწინების საკითხს ოჯახის უფროსი წყვეტდა. ბალყარელებმა იცოდნენ ურვადი. შეთანხმების შემდეგ საქმრო საცოლის მშობლებს *ურვადს* (საქონელს, ფულს, სხვადასხვა საგნებს) უგზავნიდა. იცოდნენ ქალის მოტაცებაც. ადათით მემკვიდრეობა მხოლოდ ვაჟიშვილებზე გადადიოდა, ვაჟიშვილების არყოლის შემთხვევაში – უახლოეს ნათესავ მამაკაცებზე. ასე რომ, ქალიშვილს მამის მემკვიდრეობიდან არაფერი არ ეკუთვნოდა. ქორწილის დროს მღეროდნენ საქორწილო სიმღერებს, განსაკუთრებით *უა რაიდა*-ს.

ზედაფენის ისლამიზაცია ბალყარეთში ჯერ კიდევ XVII საუკუნის II ნახევარში დაიწყო. XVIII საუკუნეში აქ ისლამს ძირითადად დაღესტნელები ქადაგებდნენ. თუმცა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ბალყარელების რწმენა-წარმოდგენები ქრისტიანობის, ისლამის და წარმართობის სინთეზს წარმოადგენდა. ისლამის გავრცელებას თან ახლდა წარმართული და ქრისტიანული ძეგლების განადგურება. XIX საუკუნის I ნახევარში წმ. გიორგის გამოსახულება შემორჩენილი იყო სოფელ *ბიზინგის* მახლობლად მდებარე ეკლესიაში. არაერთი პატარა ეკლესია იყო შემორჩენილი *ბალყარის*ა და *ხოლამო-ბიზინგის* ხეობებში. ეთაყვანებოდნენ წმინდა ქვებსაც. წმინდა ქვებთან შესაწირი მიჰქონდათ. აქვე ვაჟების სრულწლოვანებასაც აღნიშნავდნენ. ერთ-ერთ სოფელში თაყვანს სცემდნენ წმინდა ხესაც, რომელსაც სპეციალურად ტრადიციულ ღვეზელს უცხობდნენ.

VII. 4. ყუმუხები

ყუმუხები ჩრდილოეთ კავკასიის ყველაზე დიდი თურქულენოვანი ეთნოსია. ცხოვრობენ დაღესტნის მთისწინეთსა და ყუმუხეთის დაბლობში. ისინი ამ მიწა-წყლის მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენენ. ბინადრობენ დაღესტნის *ხასავიურტის, ბაბაიურტის, ყიზილიურტის, ბუინაკსკის, ყარაბუდახკენტის, კაიაკენტის* და *ხაიტაყის* რაიონებში, მაჰაჩყალის ირგვლივ ექვს სოფელში, ქალაქებში: *მაჰაჩყალა, ხასავიურტი, ბუინაკსკი, იზბერბაში, დერბენტი.* ყუმუხები დაღესტნის მოსახლეობის 13%-ს შეადგენენ. 1989 წლის აღწერით ყუმუხების საერთო რაოდენობა 281,9 ათასი კაცი იყო, დღეისათვის – დაახლოებით 350 ათასი, მათ შორის დაღესტანში – დაახლ. 280 ათასი (2000 წლის მონაცემებით). ყუმუხების თითქმის ნახევარი ქალაქებშია კონცენტრირებული. დაღესტნის ფარგლებს გარეთ რუსეთის ფედერაციაში ყუმუხების 20%-ზე მეტი ცხოვრობს. შედარებით დიდი რაოდენობით ყუმუხები მკვიდრობენ ჩაჩნეთის *გუდერმესისა* და *გროზნოს* რაიონებში (10 ათასი კაცი), ჩრდილოეთ ოსეთის *მოზდოკის* რაიონში (9,5 ათასი). განსახლებული არიან აგრეთვე რუსეთის *სტავროპოლისა* და *ტიუმენის* ოლქებში, რუსეთის საზღვრებს გარეთ – ყაზახეთში, უკრაინაში, უზბეკეთში, თურქმენეთში, აზერბაიჯანში. ყუმუხთა დიასპორა გვხვდება თურქეთში, იორდანიაში და მსოფლიოს კიდევ რამდენიმე ქვეყანაში.

ყუმუხების თვითსახელწოდებაა **ყუმუკ**. ამ ეთნონიმიდან მომდინარეობს რუსული და ნოღაური *კუმიკი*, ჩაჩნური – *გუმკი.* დაღესტნის მეზობელ ხალხებში ყუმუხთა ეგზოეთნონიმი გადმოიცემა სიტყვებით: „ბარის მცხოვრებნი“: ხუნძურად – *ლარაგალ,* დარგუულად – *დირკალანტი,* ლაკურად – *არნისა.*

ყუმუხები ანთროპოლოგიურად დიდი ევროპეიდული რასის კასპიურ ტიპს მიეკუთვნებიან. ყუმუხთა ზოგიერთ ჯგუფში კავკასიური ტიპის მინარევიც შეინიშნება. **ყუმუხური ენა დაღესტნის ერთ-ერთი ძველი დამწერლობითი (ლიტერატურული) ენაა.** ის შედის თურქულ ენათა ყივჩაღურ ქვეჯგუფში. მეცნიერებმა ყუმუხურ ენაში აღმოაჩინეს აგრეთვე სკვითური (VIII-III სს. ძვ. წ.), კიმირიული (ძვ. წ. VIII ს.), ჰუნთა (IV ს.), ბულგართა, ხაზართა (V-X სს.) და ოღუზთა (XI-XII სს.) ენების უფრო ძველი ელემენტები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ყუმუხების ეთნოსი სხვადასხვა ეთნოსთა შეერთების შედეგადაა ჩამოყალიბებული. ყუმუხურ ენას რამდენიმე დიალექტი აქვს. ლიტერატურელი ენა კი ჩამოყალიბებულია *ხასავიურტული* და *ბუინაკსკური* დიალექტების საფუძველზე. მას საკმაოდ დიდი ხნის დამწერლობითი ტრადიცია აქვს. დადგენილია, რომ ის ტომები, რომლებიც ასე თუ ისე მონაწილეობდნენ ყუმუხთა ეთნოგენეზში, სარგებლობდნენ ალბანური და რუნული (ძველთურქული) გრაფიკებით. მეცნიერებს აქვთ მონაცემები იმის შესახებ, რომ დაღესტნელი ჰუნებისათვის (სავირებისათვის) დამწერლობა შექმნეს ბიზანტიელმა და სომეხმა მისიონერებმა, ხაზარების პერიოდში კი – ახალი დამწერლობა ბერძნული ანბანის საფუძველზე. ამას გარდა, ხაზარი ყაღანები მიმოწერაში იყენებდნენ ძველებრაულ ანბანს. არაბთა დაპყრობების შემდეგ, VIII-X საუკუნეებიდან ისლამის და ისლამური კულტურის შემოჭრისას თანდათან არაბული გრაფიკა გავრცელდა, რომელიც რეფორმის შემდეგ ადგილობრივი ენების ბგერით სისტემებს შეეწყო, მათ შორის, ყუმუხურ ენას (*აჯამი*). 1929 წელს ყუმუხური გადაიყვანეს ლათინურ გრაფიკაზე, 1938 წლიდან კი – რუსულზე. XIX საუკუნის ბოლოს ყუმუხურ ენაზე გამოვიდა პირველი ნაბეჭდი წიგნები. ამასთან ერთად ხელნაწერ არაბოგრაფიულ ტრადიციას ბევრად ადრეული ფესვები აქვს. ყველაზე ადრინდელი ასეთი ძეგლია *„დერბენდ-ნამე“* (XIV ს.) – დაღესტნის ხალხთა ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე პირველი ორიგინალური წყარო.

ხაზართა დროიდან დაწყებული XX საუკუნის პირველ მეოთხედამდე ყუმუხთა წინაპარი თურქული ენა, შემდეგ კი თვით **ყუმუხური ენა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ეროვნებათშორის ურთიერთობის ენა იყო.** ყუმუხური ენა საბოლოოდ

მონღოლთა პერიოდამდე ჩამოყალიბდა. ის კავკასიის ხალხების რუსეთის მეფეებთან მიმოწერის ოფიციალური ენაც იყო. ყუმუხური ენა *ვლადიკავკაზის, სტავროპოლის, მოზდოკის, ყიზლარის, თემირხან-შურის* და სხვ. გიმნაზიებსა და სასწავლებლებში ისწავლებოდა.

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ყუმუხთა ეთნოგენეზში დაღესტნის მთისწინეთსა და ბარში მცხოვრებმა ადგილობრივმა დაღესტნური მოდგმის მოსახლეობამ მიიღო მონაწილეობა, რომელსაც მოსული თურქულენოვანი მოსახლეობა შეერია და ენობრივი თვალსაზრისით გამარჯვებული ეს უკანასკნელი გამოვიდა. ამ პროცესის დაწყებას აქ ახ. წ.-ის პირველ საუკუნეებს უკავშირებენ. სხვა ავტორთა თვალსაზრისით, ყუმუხთა წინაპრების ფორმირებაში გარკვეული როლი ითამაშეს განზოგადოებული სახელწოდებით ცნობილმა ტომებმა, სახელდობრ: კიმირიელებმა (ძვ. წ.-ის VIII საუკუნის დასაწყისამდე), სკვითებმა (ძვ. წ.-ის VIII-III სს.). ეთნონიმ *ყუმუხის* მსგავსი ეთნონიმები (*კამაკი, გემიკინები, კიმიკები* და ა. შ.) გვხვდება *პლინიუს სეკუნდას, კლავდიოს პტოლემეოსის* (ახ. წ.-ის II ს.), ადრე შუა საუკუნეების არაბთა, *მაჰმუდ ქაშგარელის* (XI ს.), *პლანო კარპინის* (XIII ს.) და სხვ. ავტორთა ნაშრომებში. მეცნიერები იმასაც აღნიშნავენ, რომ ყუმუხთა წინაპრები უდავოდ შედიოდნენ ჰუნების, სავირების, ბარსელების, ბულგარების სახელმწიფოებრივ გაერთიანებებში. განსაკუთრებით დიდი როლი ყუმუხების ისტორიაში ხაზარებმა და ყივჩაღებმა შეასრულეს.

ყუმუხი ხალხის ჩამოყალიბება მისი ამჟამინდელი ყივჩაღური ენით XII-XIII საუკუნეებში მოხდა. განვითარებული ეთნიკური ნიშნებით ყუმუხები XIX საუკუნეში მაღალკონსოლიდირებულ ხალხს წარმოადგენდნენ: მაღალი ეთნიკური თვითშეგნებისათვის დამახასიათებელი და შიდაეთნიკურობის შემაკავშირებელი ერთიანი ენდოეთნონიმით და ენით, ერთიანი კულტურული ბირთვის არსებობით, რეგულარული სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებით და ა. შ. თუმცა ეთნოკულტურული კონსოლიდაციის მიუხედავად, ყუმუხებში გამოიყოფოდა ეთნოგრაფიული ჯგუფები, რომლებსაც კულტურაში, ყოფაში, ენაში, ფოლკლორში შემორჩენილი ჰქონდათ ზოგიერთი სპეციფიური ნიშანი. შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრიობის ტრადიციები მომდევნო პერიოდებშიც გრძელდებოდა, როდესაც ისინი სხვადასხვა საშამხლოებსა, სახანოებსა და სხვ. პოლიტიკურ სამფლობელოებში შედიოდნენ. სოციალური თვალსაზრისით ყუმუხთა საზოგადოება შედგებოდა აზნაურებისაგან, სხვადასხვა კატოგორიის უზდენთაგან, გლეხთაგან და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ XVI საუკუნიდან ყუმუხებს მჭიდრო სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდათ რუსეთთან. XIX საუკუნის დასაწყისში ყუმუხეთი რუსეთს შეუერთდა და დაღესტნის ოლქის ჩამოყალიბების შემდეგ (1860 წ. ცენტრი ქ. *თემირ-ხან-შურა*) ფაქტობრივად ლიკვიდირებულ იქნა შამხალის, ხანების ხელისუფლება; ადრინდელი სამფლობელოების ნაცვლად ხაიდაყ-თაბასარანის, თემირ-ხან-შურის, ყუმუხეთის (გვიან ხასავიურტის) ოკრუგები ჩამოყალიბდა. ყუმუხები თემირ-ხან-შურის და ხასავიურტის ოკრუგებში მთელი მოსახლეობის 60%-ს შეადგენდნენ, ხაიტაყ-თაბასარანის ოკრუგში კი – დაახლ. 15%-ს. 1920 წელს დაღესტნის ასსრ-ს შექმნის შემდეგ ყუმუხების უმეტესობა ხასავიურტის ოკრუგის შემადგენლობაში აღმოჩნდა, რითაც, ფაქტობრივად, ყუმუხების ბინადრობის ტერიტორიის დიდი ნაწილის ადმინისტრაციული ერთობა აღდგა (ბრაგუნელი და მოზდოკელი ყუმუხების გამოკლებით).

ძველთაგანვე ყუმუხების სამეურნეო საქმიანობის ძირითად დარგს მიწათმოქმედება წარმოადგენდა. მარცვლეულიდან მოყავდათ: ხორბალი, ქერი, ფეტვი, სიმინდი. მიწათმოქმედება სარწყავი იყო. ყუმუხებმა განავითარეს აგრეთვე მებაღეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა, ბაღჩეული კულტურების მოყვანა. ყუმუხების მეურნეობის მეორე მნიშვნელოვანი დარგი იყო მეცხოველეობა, რასაც ყუმუხეთის

ლადშაფტი, კარგი სათიბები და საძოვრები განაპირობებდა. მეცხოველეობა სტაციონარული იყო. მთიანი დაღესტნის მცხოვრებნი ყუმუხებისაგან საზამთრო საძოვრებს ქირაობდნენ. იმავე პირობით ყუმუხები მთიელთა საზაფხულო საძოვრებით სარგებლობდნენ. სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების ეს მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია არა მხოლოდ დაღესტნის მოსახლეობის ეკონომიკურ ინტერესებს აკმაყოფილებდა, არამედ ხდებოდა შრომის რაციონალური გადანაწილება და, რაც მთავარია, მიწის გამო ეთნოსთა შორის კონფლიქტებსაც გამორიცხავდა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში ყუმუხეთში მიწაზე საზოგადოებრივი საკუთრება ფაქტობრივად არ არსებობდა. აქ გაბატონებული იყო ფეოდალური მიწათსარგებლობა. აღნიშნულ პერიოდში **მიწათმოქმედების სამი ძირითადი სახე არსებობდა: კერძო, სახელმწიფო და ვაკუფური (მეჩეთების მიწები).** ზღვის სიახლოვემ ყუმუხებში მეთევზეობის განვითარებაც განაპირობა, რასაც დამხმარე ხასიათი ჰქონდა. ეკონომიკაში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მარილისა და ნავთობის მოპოვებას, რითაც მთიანი დაღესტნის მოსახლეობას ამარაგებდნენ.

ყუმუხეთზე გადიოდა უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზა, კერძოდ, დიდი აბრეშუმის გზა. ყუმუხეთის ბარი დაღესტნის ბევრი რაიონისათვის ძირითად ბეღელად ითვლებოდა, რაც მის სავაჭრო და ეკონომიკურ აღმავლობას განაპირობებდა.

ყუმუხთა დასახლების ძირითად ტიპს სოფელი (*იურტი, გენტი, ავული*) წარმოადგენდა. ყუმუხეთის ტერიტორიაზე ძველი და შუა საუკუნეების ბევრი ქალაქი (*სემენდერი, ბელენჯერი, თარგუ, ენდერი* და სხვ.) მდებარეობდა; აქვეა თანამედროვე დაღესტნის ქალაქები (*მაჰაჩყალა, ბუინაკსკი, ხასავიურტი* და სხვ.). არაბ-ხაზართა ომის პერიოდში, მონღოლთა ლაშქრობებისას, კავკასიური ომების მიმდინარეობის დროს, ბევრი ყუმუხური სოფელი მიწის პირისაგან აღიგავა, მაგრამ მშვიდობიან დროს ბევრი მათგანი კვლავ აღორძინდებოდა ხოლმე. მეფის რუსეთის დაპყრობების დროს და შემდეგაც, ყუმუხეთის ბარში ბევრი რუსული სიმაგრე და სოფელი აშენდა. აქ ნოდაელთა ნაწილიც ბინადრობს, რომლებსაც შექმნილი აქვთ როგორც ცალკეული დასახლებები, ისე ყუმუხთა სოფლებში არიან განსახლებული. საბჭოთა ხელისუფლების დროს ყუმუხეთში ეთნიკური სიტუაცია ძალიან შეიცვალა. 1950-1970-იან წლებში მთიდან ბარში ორგანიზებულად 350 ათასზე მეტი მთიელი გადაასახლეს. ამას გარდა, 100 ათასზე მეტი ადამიანი დამოუკიდებლად მიგრირდა. ყოველივე ამან ყუმუხებს თავის ძირძველ ტერიტორიაზე მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი დააკარგვინა, მოესპოთ ბინადრობის კომპაქტურობის საშუალება; იქცნენ ეთნიკურ უმცირესობად, რითაც ეთნოსის თვითგადარჩენის პრობლემის წინაშე დადგნენ.

XIX საუკუნემდე ყუმუხელთა *თუხუმმა* (*თაიფა, ყავუმი, ჯინსი*) ცვლილებები განიცადა. მიუხედავად ამისა თუხუმში მხოლოდ მამის ხაზით ნათესავები (ჩვეულებრივ 100-150 კაცი) შედიოდნენ. დიდ როლს აკუთვნებდნენ ნათესაობას. მნიშვნელოვან როლს თამაშობდა არასისხლიერი კავშირებიც: ათალიკობა (ბავშვის სხვის გვარში გაზრდა), ყონაღობა-ძმობილობა.

XIX საუკუნეში ყუმუხების ოჯახის ძირითადი ტიპი პატარა ოჯახი იყო, თუმცა აქა-იქ 25-30 კაციანი გაუყოფელი ოჯახებიც იყო შემორჩენილი. ოჯახის ყველა წევრი ოჯახის უფროსს უსიტყვოდ ემორჩილებოდა, რომელიც, ჩვეულებრივ, ასაკით უფროსი მამაკაცი იყო და რომელიც განუსაზღვრელი ავტორიტეტით სარგებლობდა. მაგრამ უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტა ზოგჯერ საოჯახო საბჭოზე ხდებოდა, რომელშიც ყველა ასაკით უფროსი და ზოგიერთი ქალიც მონაწილეობდა.

ქორწინება და განქორწინება *შარიათით* რეგულირდებოდა. ქორწინდებოდნენ 15-16 წლის ასაკიდან. იცოდნენ *ურვადი.* **ქორწილის დროს ნეფე ახლო მეგობრის სახლში იმყოფებოდა.** ყუმუხების საოჯახო-ნათესაურ ურთიერთობებში ტრადიციული იყო უმძრახობის წეს-ჩვეულება.

ყუმუხეთში სუნიტური მიმართულების ისლამი VIII-XII საუკუნეებში გავრცელდა. ყუმუხები ყოველთვის ამაყობდნენ იმით, რომ ისლამი დაღესტნელთა შორის ყველაზე ადრე მიიღეს. სხვადასხვა მონაცემებით, ამ პერიოდამდე ყუმუხებში ქრისტიანობაც იყო გავრცელებული, ხაზარეთის ზედა ფენებში კი – იუდაიზმიც. ისლამის ადრე გავრცელებამ წარმართობის დროინდელი რწმენა-წარმოდგენები ფაქტობრივად გააქრო. ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ყუმუხები ეთაყვანებოდნენ უმაღლეს ღვთაებას – *თენგირის, მზის, მთვარის, დედამიწის და წყლის ღვთაებებსა და სულებს.* შემორჩენილია თქმულება-გადმოცემები, საწესჩვეულებო სიმღერები და სხვ. ყუმუხებს შორის ფართოდაა გავრცელებული მუსლიმური მითოლოგია.

ყუმუხებში მნიშვნელოვან დონეს მიაღწია ორნამენტულმა ხელოვნებამ. მაგალითად, ძველი ტიპის სახლებში დიდი მნიშვნელობას ანიჭებდნენ მოჩუქურთმებულ ორნამენტს, რომლებითაც სახლის ხის ნაწილებსა და კარებებს რთავდნენ.

ორიგინალური და მაღალი მხატვრული ხარისხით გამოირჩეოდა ყუმუხური ხაოიანი ხალიჩები, ქეჩის ფარდაგები, ჭილოფები, ხურჯინები. ყუმუხმა ხალხმა შექმნა ფოლკლორის მაღალმხატვრული ნიმუშები. გავრცელებული იყო ნართული ეპოსიც. „ანჟის ბრძოლის თქმულებაში“ არაბ-ხაზართა ომის პერიოდია ასახული. კალენდარულ-საწესჩვეულებო პოეზია წარმოდგენილია წვიმის გამოწვევის, საშემოდგომო და საგაზაფხულო სიმღერებით.

ყუმუხური ლიტერატურის ფორმირება XIV-XV საუკუნეებში დაიწყო (*უმუ ქამალი, ბაღდად ალი, მუჰამედ ავაბი...),* თუმცა მნიშვნელოვან დონეს მხოლოდ XVIII-XIX საუკუნეებში მიაღწია, როდესაც მოღვაწეობდნენ ისეთი პოეტები, როგორებიც იყვნენ *ა. კაკაშურინსკი, ირცი ყაზახი, მ.-ე. ოსმანოვი* და სხვ. ყუმუხები იყვნენ წარმოშობით რუსი პოეტი *არსენი ტარკოვსკი* და მისი შვილი, მსოფლიოში ცნობილი კინორეჟისორი *ანდრეი ტარკოვსკი.* ყუმუხებში საკმაოდ კარგად იყო განვითარებული ასტრონომიული ცოდნა, რასაც მრავალი პლანეტისა და თანავარსკვლავედთა სახელწოდებებიც ადასტურებს.

ყუმუხთა ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა სპორტის ეროვნული სახეობები. მათ ჰქონდათ *ბალახის ჰოკეის* თავისებური სახეობა: საღამოთი *აბედს* (ნაცარტუტში გამოხარშული ხის ერთგვარი სოკო) მოუკიდებდნენ ცეცხლს და მის წართმევაში ერთმანეთს *ჰოკიჯოხით (ყვანჯით)* ეპაექრებოდნენ, დღესასწაულებზე იმართებოდა დოღი.

VII. 5. ნოღაელები

ნოღაელები ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთი თურქულენოვანი ხალხია. მათი თვითსახელწოდებაა **ნოღაი, ნოღაილარ**. 2002 წლის მონაცემებით რუსეთში 91 ათასი ნოღაელი მკვიდრობდა, მათ შორის, დაღესტანში (34 ათასი), ჩეჩნეთში (7 ათასი), სტავროპოლის მხარეში. ნოღაელთა განსახლების ძირითადი არეალია ნოღაის სტეპი. დღეს ის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულად გაყოფილია დაღესტანს, ჩაჩნეთსა და სტავროპოლის მხარეებს შორის. ნოღაელები შემდეგ ეთნოგრაფიულ ჯგუფებად არიან დაყოფილი: *ყარანოღაელები* (დაღესტანი), *აჩიკულაელი* და *ყუმელი ნოღაელები* (სტავროპოლი), *ყუბანელი ნოღაელები* (ყარაჩაი-ჩერქეზეთი) და *ასტრახანელი ნოღაელები* (ასტრახანის ოლქი). ნოღაელები ცხოვრობენ აგრეთვე თურქეთში, რუმინეთში და სხვა ქვეყნებში.

ნოღაელები სამხრეთციმბირულ (თურანულ) გარდამავალ რასას მიეკუთვნებიან. ნოღაელთა ანთროპოლოგიური ტიპისათვის დამახასიათებელია როგორც მონგოლოიდური, ისე ევროპეიდული ელემენტები.

ნოღაელები ლაპარაკობენ ალთაურ ენათა ოჯახის თურქული ჯგუფის ყივჩაღური ქვეჯგუფის ნოღაურ ენაზე, რომელსაც ორი დიალექტი აქვს: *ყარანოღაული და ყუბანური.* ლიტერატურულ ენას საფუძვლად უდევს ყარანოღაური დიალექტი. დამწერლობა XVIII საუკუნიდან 1928 წლამდე ჰქონდათ არაბული გრაფიკის საფუძველზე. 1928 წლიდან – ლათინურზე, 1938 წლიდან – რუსულ გრაფიკზე.

ნოღაელთა ეთნოსი ნოღაელების ჩრდილოეთ კავკასიაში მოსვლამდე ჩამოყალიბდა. ნოღაელთა ეთნიკურ საფუძველს ირტიშისპირეთში, ჩრდილო-დასავლეთ მონღოლეთში, დეშტი-ყივჩაღში, შუა აზიაში, ჩრდილოეთ კავკასიაში ძველი თურქულენოვანი და მონღოლურენოვანი ტომები წარმოადგენენ. მათ ფორმირებაში მონაწილეობა მიიღეს *ყისუნებმა, უიგურებმა, ნაიმანებმა, კერეიტებმა, ყივჩაღებმა, დურმენებმა, ყატაგანებმა, ყუნგრატებმა, მანგიტებმა, კენეგესებმა, კანგლებმა, ასებმა, ბულგარებმა* და სხვებმა. დომინირებული როლი კი ყივჩაღებმა შეასრულეს. სხვადასხვა ეპოქაში ისინი შედიოდნენ ჰუნების კავშირში, თურქულ ყაღანატებში, ბულგარულ-ხაზარულ გაერთიანებებში. **ნოღაელთა სახელწოდება მომდინარეობს ოქროს ურდოს მმართველ *ნოღაის* სახელიდან** (*ჩინგის ხანის* შვილი), რომელიც არაერთხელ მოიხსენიება (XIII ს.). წერილობით წყაროებში ცნობილია, რომ ოქროს ურდო ეთნიკურად ერთგვაროვანი არ იყო. XIV საუკუნეში ოქროს ურდოს დაცემის შემდეგ, ჩამოყალიბდა *ნოღაის ურდო.* ეთნონიმი *ნოღაელი* ძირითადად გავრცელდა *ხან ედიღეს* დროს (XIV-XV საუკუნეების მიჯნა). პირველი ცნობები ნოღაელების ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში გამოჩენის შესახებ, მათ შორის თერგსა და სულაკის დაბლობებში, XV საუკუნის ბოლოს მიეკუთვნება. XVI საუკუნის მეორე ნახევარში ძმათამკვლელი ომის შემდეგ *ნოღაის ურდო* ორ ულუსად გაიყო: *დიდი ნოღაი და პატარა ნოღაი.* აქედან მოყოლებული ჩრდილოეთ კავკასიის სტეპები ნოღაელთა ბინადრობის ძირითად რაიონებად იქცა. პატარა ურდო შავიზღვისპირეთის ჩრდილო-აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში ბინადრობდა. ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთი რაიონებიც პატარა ნოღაელთა ურდოდან გამოსულებს ჰქონდათ დაკავებული. თერგისა და სულაკის დაბლობში ნოღაელთა დიდი ურდო მომთაბარეობდა. XVII საუკუნის ბოლოს ნოღაელთა მნიშვნელოვანი ნაწილი თერგისა და სულაკის დაბლობებიდან მოზდოკის სტეპში გადასახლდა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ნოღაელთა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჯგუფს და რომლებიც ყარანოღაელების სახელით არიან ცნობილი. XVII საუკუნის შუა ხანებში ნოღაელთა ნაწილი დღევანდელი ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე მდინარეებს ინჯიკსა და ზელენჩუკს შორის მომთაბარეობდა.

ნოღაელთა ბინადრობის ტერიტორია დიდ სივრცეს მოიცავდა; ეს ბუნებრივიცაა, რადგან ამას მათი მომთაბარული ცხოვრება განაპირობებდა. XVIII საუკუნის დასაწყისში მათი სამომთაბარო ადგილები მდ. *იაიდან* მდ. *დნესტრამდე* იყო გადაჭიმული. ნოღაელთა ბინადრობის ტერიტორიაში შედიოდა აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის და კავკასიისწინეთის რაიონები, სადაც ისინი არა მხოლოდ მომთაბარეობდნენ, არამედ თანდათან გადადიოდნენ ბინადარ ცხოვრებაზე. ნოღაელთა ტერიოტრიულ განსახლებაზე საგარეოპოლიტიკური ფაქტორებიც ახდენდა გავლენას. ყირიმელი ხანებისა და ყალმუხების ლაშქრობებმა ნოღაელთა ვოლგიდან ყუბანისაკენ მრავალრიცხოვანი გადაადგილებანი გამოიწვია (1715-1723 წწ.) და პირიქით, ყუბანელი ნოღაელებისა – ყირიმსა და დიდ ყაბარდოში. 1785 წელს ყუბანისიქითა ნოღაელების ნაწილი ყიზლარის სტეპებში ყარანოღაელებს შორის გადასახლდა, მაგრამ 1799 წელს, ყარანოღაელებთან გართულებული მდგომარეობის გამო, დაახ. 400 კიბიტკით სხვაგან მიგრირდნენ. *ურუპსა* და *ლაბას* შორის მომთაბარე ორი ათასი კიბიტკა 1787 წ. ყუბანის მარჯვენა მხარეს გადავიდა და აქ მომთაბარე ნოღაელთა 1500 კიბიტკას შეუერთდა. XVIII საუკუნის 80-იან წლებში ახლად შექმნილი კავკასიის გუბერნიის ფარგლებში ნოღაელთა სამი

ჯგუფი იყო ცნობილი: *ყიზლარის* (ძირითადად ყარანოღაელები), *მოზდოკის* (მდ. ყუბანიდან გამოსახლებულნი) და *ბემბოველები*, რომლებიც პიატიგორსკეს რაიონში ცხოვრობდნენ. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა ნოღაელების ურალის იქით გადასახლებას. ამის გამო, 1783 წელს მათ წინააღმდეგ *ა. სუვოროვის* მეთაურობით, რეგულარული ჯარის ნაწილები გააგზავნეს. ლაშქრობის შედეგად ათეული ათასი ნოღაელი გაანადგურეს. **XVIII საუკუნის ბოლოს შექმნილი მდგომარეობისა და აგიტაციის შედეგად, 700 ათასზე მეტი ნოღაელი ოსმალეთის იმპერიაში გადასახლდა. დარჩენილი ნოღაელების ნაწილი, *პოტიომკინის* ბრძანებით, ყირიმსა და შემდეგდროინდელ სტავროპოლის გუბერნიაში გადაასახლეს. 1850 წელს ნოღაელთა ახალი ტალღა მიგრირდა თურქეთში.** 1860-იანი წლების დასაწყისში კავკასიის ომის დამთავრებისთანავე, ნოღაელებმა იძულებით დატოვეს *ყუბანის* ზემო წელი, *მალკისა* და *დიდი ზელენჩუკის* ხეობები, *ლაბა. ბროკჰაუზ-ეფრონის* ენციკლოპედიის მონაცემებით, ამ დროს **თურქეთში დაახლ. 180 ათასი ნოღაელი გადასახლდა. *ლ. გუმილიოვის* სიტყვებით, ნოღაელებმა დაკარგეს არა მხოლოდ ეთნოსფერა, არამედ მათ მოეშალათ ეთნიკური ტრადიციები და ქცევის ორიგინალური სტერეოტიპი. ეთნოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში ისიც შენიშნულია, რომ მათ ქცევის ზოგიერთი ეთნიკური ნიშანი ადიღეურით შეეცვალათ, რადგანაც 1783 წლიდან სწორედ ადიღეელებთან იმყოფებოდნენ მჭიდრო კონტაქტში.** საბჭოთა პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში მოსახლე ნოღაელები სამ სხვადასხვა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულში აღმოჩნდნენ. მათი ერთი ნაწილი დაღესტანში ცხოვრობს, მეორე ნაწილი – ჩაჩნეთში და მესამე ნაწილი – სტავროპოლის მხარეში.

ნოღაელთა ურდოსათვის დამახასიათებელი იყო პატრიარქალური ურთიერთობები. შემორჩენილი იყო გვარტომობრივი დაყოფის გადმონაშთები, გვაროვნული და სამეზობლო დახმარება, სისხლის აღება, სტუმართმოყვარეობა, ათალიკობა. XIX საუკუნეში ოჯახის ორი ფორმა არსებობდა: დიდი (პატრიარქალური) და პატარა.

XIX საუკუნეში ნოღაელთა მთავარი სამეურნეო საქმიანობა მომთაბარე მესაქონლეობა იყო (ცხვარი, თხა, მსხვილფეხარქოსანი საქონელი), მეცხენეობა, მეაქლემეობა. ნოღაელი მომთაბარის ძირითად სიმდიდრეს ცხენი, აქლემი და ცხვარი წარმოადგენდა. მესაქონლეობასთან ერთად, ბინადარი ნოღაელები მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ. ნოღაელთა ძველ სამეურნეო საქმიანობად მონადირეობა და მეთევზეობაც ითვლებოდა.

ნოღაელთა დასახლების დამახასიათებელი ტიპი XIX საუკუნის ბოლოს „მომთაბარე“ აულები იყო, რომლებიც იყოფოდნენ გაზაფხულ-ზაფხულის, ზაფხულ-შემოდგომისა და ზამთრის აულებად. ნოღაელთა ტრადიციული საცხოვრებელი კიბიტკა (იურტა) იყო. **XVII საუკუნის ავტორთა მონაცემებით, ნოღაელები მთელ თავიაანთ ცხოვრებას ოთხთვალებზე ატარებდნენ, რომლებიც ქეჩით ჰქონდათ გადახურული.**

ნოღაელთა ტრადიციული საჭმელი ხორცი და რძის პროდუქტები იყო.

საქორწინო ასაკი გოგონებისათვის 13-15 წელი იყო, ვაჟებისათვის – 15-20 წელი. ქორწინება მკაცრად ეგზოგამიური იყო. თერგ-სულაკის დაბლობის ნოღაელებში ეგზოგამიას მამის ხაზით შვიდი თაობის განმავლობაში იცავდნენ. დედის ხაზით ნათესავებზე დაქორწინება დაშვებული და სასურველიც იყო, რადგან დედის გვარს სხვა დამღა ჰქონდა. ქორწინების აუცილებელი პირობა ურვადის გადახდა იყო, რომლის რაოდენობა 15-დან 40 მსხვილფეხარქოსან საქონლამდე მერყეობდა.

ნოღაელები სუნიტი-მუსლიმები არიან, რომელიც მათ შორის XIII საუკუნის მეორე ნახევარში გავრცელდა.

ნოღაელებს მდიდარი ფოლკორი აქვთ. საგმირო პოემები, საწესჩვეულებო პოეზია, ზღაპრები, ლეგენდები, თქმულებები, ანდაზები, გამოცანები. განვითარებული იყო მუსიკალური ფოლკლორი, ქორეოგრაფია, აგრეთვე ხალხური

თამაშობები და სპორტული ასპარეზობები (ჭიდაობა, დოღი და სხვ.). ნოღაელებს დამუშავებული ჰქონდათ ხალხური კალენდარი, რომელთა შორის ყველაზე ძველი იყო 12-წლიანი ცხოველთა ციკლი. ისინი ამ კალენდრით XIX-XX საუკუნეების მიჯნამდე სარგებლობდნენ. ამ ციკლის მიხედვით წელთაღრიცხვა შემდეგი სახით წარმოგვიდგება: პირველი წელი – *თაგვის*, მე-2 წელი – *ძროხის,* მე-3 წელი – *ჯიქის,* მე-4 წელი – *კურდღლის,* მე-5 წელი – *თევზის,* მე-6 წელი – *გველის*, მე-7 წელი – *ცხენის,* მე-8 წელი – *ცხვრის*, მე-9 წელი – *მაიმუნის*, მე-10 წელი – *ქათმის*, მე-11 წელი – *ძაღლის*, მე-12 წელი – *ღორის.* ნოღაელებში ყველაზე გავრცელებული კალენდარი სამეურნეო კალენდარი იყო, რომლის თანახმად, წელიწადი მარტში იწყებოდა. შემორჩენილი იყო ძველი თურქული ღვთაების – *თენგრის* რწმენა-წარმოდგენების გადმონაშთები.

90-იანი წლების დასაწყისი ნოღაელებში ნაციონალური თვითშეგნების აღმავლობის პერიოდი იყო. ისინი რუსეთის ფედერაციაში ნოღაელთა ავტონომიის შექმნას ითხოვენ.

VIII. ინდოევროპული მოდგმის კავკასიელები

VIII. 1. სომხები

სომხები, არა მარტო კავკასიის, არამედ, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ხალხია. ამ ეთნოსის ისტორია არანაკლებ 2500 წელს მოიცავს. სომეხი ხალხი კავკასიისა და წინა აზიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა. მათი განსახლების არეალი სომხეთის მთიანეთის სახელითაა ცნობილი. სომხეთის მთიანეთი წინა აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს და ის ზღვის დონიდან 1500-1800 მეტრზეა. სომხეთის მეზობლები საუკუნეთა განმავლობაში ისეთი ძლიერი სახელმწიფოები იყვნენ, როგორებიცაა რომის, შემდეგ კი ბიზანტიის იმპერია, ბოლოს კი ბიზანტიის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული ოსმალეთის იმპერია. აღმოსავლეთით სომეხთა მეზობლები ირანელები იყვნენ. სომხებისაგან შორს არც არაბები ბინადრობდნენ. სომხეთის გეოგრაფიული მდებარეობა ზემოთ დასახელებული ქვეყნების დიდ ინტერესს იწვევდა. ამიტომაც მთელი თავისი ისტორიის მანძილზე სომხეთი ძირითადად სხვა სახელმწიფოების მიერ იყო დაპყრობილი. კავკასიაში სომეხთა მეზობლები ქართველები იყვნენ და არიან. საუკუნეების განმავლობაში ქართულ-სომხური ურთიერთობები მშვიდობიანი იყო. ეს ხალხები ერთმანეთზე კულტურულ ზეგავლენასაც ახდენდნენ. სომხებს აზერბაიჯანელებიც ესაზღვრებიან. უფრო ადრე კი მათ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეთნოსთან – ალბანელებთან ჰქონდათ ურთიერთობა.

დღეს სომხებს სახელმწიფოებრიობა აქვთ. მათი ისტორიული ტერიტორიების დიდი ნაწილი თურქეთის სახელმწიფოშია. სომხეთის მთიანეთში მაღალ მთებს შორის დაბლობებიცაა, რომელთაგანაც აღსანიშნავია *არარატის ველი*, რომელიც არაქსის შუა დინებაზე მდებარეობს. არარატის ველის დიდი ნაწილი დღევანდელი სომხეთის სახელმწიფოს შემადგენლობაშია. არარატის ველი სხვადასხვა სომხური მიწების ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცენტრი იყო. აქ მდებარეობდა ძველი და შუა საუკუნეების სომხეთის ცენტრები: *არმავირი, არტაშატი, ვაღარაშაპტი, დვინი.* აქვეა დღევანდელი სომხეთის დედაქალაქი *ერევანიც.*

დიდ სახელმწიფოთა აგრესიის შედეგად ხშირი იყო სომეხთა მიგრაცია სხვადასხვა მიმართულებით. ქვეყანა არაერთგზის აოხრებულა და გაუკაცრიელებულა. სომეხთა დიდი მასების საკუთარი ეთნიკური ტერიტორიიდან განსახლება ჯერ კიდევ დაახლოებით ათასი წლის წინ დაიწყო, რაც ყველაზე დიდი მასშტაბით პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წლის გაზაფხულზე მოხდა. ამ დროს სომხურ-თურქულ კონფლიქტს დაახლ. ორი მილიონი სომეხი შეეწირა, დაახლოებით ერთ მილიონი კი სხვადასხვა მიმართულებით განსახლდა. აქედან დაახლ. 600 ათასი სომეხი მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში მიგრირდა. 300 ათასმა სომეხმა რუსეთის იმპერიას მიაშურა. აქ ისინი ძირითადად კავკასიაში განსახლდნენ. სომეხთა მასობრივი გაწყვეტა და დეპორტაცია მნიშვნელოვანწილად სომხური უკიდურესად ექსტრემისტული პარტიის *დაშნაკცუტუნის* ქმედებებმა განაპირობა. მათი მიზანი იყო დიდი სომხეთის სახელმწიფოს აღდგენა. ამ მიზნის მიღწევის საშუალებად პარტიის პროგრამაში ეწერა თურქეთში სომეხთა შეიარაღებული აჯანყების მოწყობა. *დაშნაკცუტუნის* პარტიის პროგრამაში ხაზი ესმოდა რევოლუციური პროპაგანდის გაწევას არა მხოლოდ სომხებს შორის, არამედ თურქეთში მცხოვრებ სხვა ხალხებს შორისაც. ამ პარტიის პროგრამაში დიდი ადგილი ეკავა აგრეთვე ტერორს და სახელმწიფო დაწესებულებების აოხრებასა და ძარცვას (ეს დაიწყო პარტია *განჩაკიან*-მა 1895 წელს სულთან *აბდულ-ჰამიდის* დროს). დიდი სომხეთის სახელმწიფო მათ უნდა შეექმნათ არა მხოლოდ თურქეთის სომხეთისა და რუსეთის სომხეთის შეერთებით, არამედ მეზობელი ხალხების (ქართველების, აზერბაიჯანელების) მიწების მიტაცებითაც.

1915 წელს, რუსეთის არმიის კონტრშეტევისთანავე, *დაშნაკცუტუნის* მოწოდებით, სომხებმა საერთო სომხური აჯანყება დაიწყეს, რომლის ეპიცენტრსაც *ვანის ვილაიეთი* წარმოადგენდა. რუსების შეტევის დროს სომეხმა მოხალისეებმა მშვიდობიანი თურქი მოსახლეობის ულმობელი ხოცვა-ჟლეტა მოახდინეს. დაშნაკების ეს ქმედება განპირობებული იყო აგრეთვე სომხური საკითხის ცარისტული გეგმის „გადაწყვეტითაც“. თურქეთის ხელისუფლებამ საპასუხოდ სომხების ხოცვა-ჟლეტა მოაწყო. უფრო ნაკლებმა თავს გაქცევით უშველა. დაშნაკების ავანტურისტულმა ქმედებამ, რომლებიც ***დიდი სომხეთის*** შექმნაზე ოცნებობდნენ, სომეხი ხალხი დიდ ტრაგედიამდე მიიყვანა. 1917 წლის რევოლუციის გამო, რუსეთი პირველ მსოფლიო ომს გამოეთიშა და რუსეთის არმიამ დაპყრობილი ტეირტორიებიც მიატოვა. ამას კი ასეულ ათასობით სომხის სამხრეთ კავკასიაში – ქართულ და აზერბაიჯანულ მიწებზე დასახლება მოჰყვა. ასე დაკარგეს მათ სომხეთის ისტორიული მიწა-წყალი – სომეხთა განსახლების ერთ-ერთი ძირითადი არეალი.

სომეხთა რაოდენობის ზუსტად გასაზღვრა ძალიან ძნელია; სხვადასხვა მონაცემებით ეს რიცხი 7-დან 10 მილიონამდე მერყეობს. XX საუკუნის 80-იან წლებში სომხები კომპაქტურად თვით სომხეთში ცხოვრობდნენ (სამ მილიონზე მეტი). ამ დროს საქართველოში 400 ათასზე მეტი სომეხი იყო აღრიცხული. არანაკლები რაოდენობით იყვნენ ისინი აზერბაიჯანში (მარტო მთიან ყარაბაღში 145 ათასი სომეხი მკვიდრობდა). კომპაქტურად მკვიდრობენ ჩრდილო კავკასიაშიც. საერთოდ, რუსეთში 532 ათასი სომეხი იყო აღრიცხული. სომხები დისპერსიულად არიან განსახლებული ბალტიის ქვეყნებში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ყაზახეთში, შუა აზიაში (დაახ. 179 ათასი კაცი). ორ მილიონზე მეტი სომეხი ცხოვრობს მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში (ძირითადად ქალაქებში): აშშ-ში (650 ათასი კაცი), საფრანგეთში (250 ათასი კაცი), ირანში (200 ათასი), ლიბანში (150 ათასი), თურქეთში (150 ათასი), სირიაში (120 ათასი), ერაყში (20 ათასი), ეგვიპტეში (12 ათასი), არგენტინაში (85 ათასი), ბრაზილიაში (20 ათასი), კანადაში (70 ათასი), საბერძნეთში (15 ათასი), ურუგვაიში (14 ათასი), ავსტრალიაში (30 ათასი), ბულგარეთში (25 ათასი), დიდ ბრიტანეთში (17 ათასი), ქუვეითში (10 ათასი), რუმინეთში (6 ათასი), ინდოეთში და სხვ. 1994 წელს სომხეთში აზერბაიჯანიდან ლტოლვილი 304 ათასი სომეხი დარეგისტრირდა (შესაბამისად, სომხეთიდან 200 ათასი აზერბაიჯანელი გაიქცა). მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები სომხების უმეტესობა ეთნიკურობას ინარჩუნებს, რის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზიც მათი რელიგიაა (ქრისტიანობის ერთ-ერთი მიმართულება – მონოფიზიტობა, რომელიც სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის სახელითაა ცნობილი).

სომხეთი თითქმის მონოეთნიკური ქვეყანაა. სულ რაღაც 10-12 წლის წინ სომხეთში დიდი აზერბაიჯანული დიასპორა არსებობდა. დღეს სომხეთში აღარცერთი აზერბაიჯანელი აღარ მკვიდრობს. 1886 წლისათვის ერევნის გუბერნიაში თათრების პროცენტული რაოდენობა 37,44 იყო, თვით სომხებისა კი – 56%. აქ კომპაქტურად ცხოვრობდნენ აგრეთვე ქურთები (1886 წ. – 5,5%. დღეს მათი რაოდენობა 56 ათასის ფარგლებშია), ასირიელები (0,25%. დღეს 6 ათასი კაცი). დღევანდელი მონაცემებით, სომხეთში რუსების რაოდენობა 15 ათას კაცს არ აჭარბებს. ერევნის მაზრასა და ქალაქ ერევანში თათრების რაოდენობა ბევრად აღემატებოდა სომხების რაოდენობას (შესაბამისად 1886 წელს სომხები 36 426 იყვნენ, თათრები – 52 800).

სომეხთა თვითსახელწოდებაა **ჰაი.** მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებისათვის ისინი **არმენები** არიან. ანთროპოლოგიურად სომხები ევროპეიდული რასის სამხრეთულ შტოს (წინააზიურ, ანუ არმენოიდულ ტიპს) მიეკუთვნებიან. ეს ტიპი, ჩვეულებრივ, საშუალო სიმაღლით, განვითარებული მესამეული თმის საფარით, მაღალი და ძლიერ გამოწეული ცხვირით ხასიათდება; თვალები და თმის ფერი მუქი აქვთ. ამასთანავე, თანამედროვე სომხები ანთროპოლოგიურად ერთგვაროვანნი არ არიან,

რასაც მეცნიერები სხვადასხვა ცივილიზაციათა შესაყარზე მდებარე სომხეთის ქვეყანაში ხალხთა ხშირი მიგრაციით ხსნიან. სომეხთა ნაციონალურ ხასიათზე როდესაც საუბრობენ, ხაზგასმით აღნიშნავენ მათ შრომისმოყვარეობას, მიზანდასახულობას, ენერგიულობას, ფხიანობას. სომხებს განსაკუთრებული მიდრეკილება ჰქონდათ ხელოსნობისადმი. გამოირჩევიან ეთნიკური შეკავშირებულობით, ენისა და ერისადმი ერთგულებით. როგორც კავკასიის სხვა ხალხები, ისინიც სტუმართმოყვარენი არიან.

სომხური ენა (hayeren) ინდოევროპულ ენათა ოჯახში დამოუკიდებელ შტოს ქმნის. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ის ახლოსაა ინდოირანულსა და ძველ ბერძნულთან. სომხურ ენას ლექსიკური, ფონეტიკური და გრამატიკული თვალსაზრისით ბევრი მსგავსება აქვს კავკასიურ ენებთანაც, რაც უშუალოდ მიუთითებს იმაზე, რომ ინდოევროპული მოდგმის ტომებთან ერთად სომეხთა ეთნოგენეზში კავკასიურენოვანმა ტომებმაც მიიღეს მონაწილეობა. ძველი სომხური სალიტერატურო ენა ცენტრალური სომხეთის რამდენიმე დიალექტის საფუძველზე ჩამოყალიბდა. სომხური ანბანი ერთ-ერთი ძველი და ორიგინალური ანბანია. სომხური საისტორიო ტრადიციით მისი შემქმნელია **მესროფ მაშტოცი**. შექმნის თარიღად კი V საუკუნის დასაწყისს ასახელებენ. ანბანი 36 ასოსაგან შედგება. ძველი სომხური დამწერლობის ძეგლები V საუკუნით თარიღდება. ძველი სომხური სალიტერატურო ენა XIX საუკნემდე ფუნქციონირებდა. მაგრამ ცოცხალი სალაპარაკო ენა მეტყველების ევოლუციისა და სხვა ენებთან (სპარსული, ბერძნული, არაბული, ქართული, თურქული) ურთიერთობის შედეგად, თანდათან დაშორდა სალიტერატურო ენას და ეს უკანასკნელი მოსახლეობისათვის გაუგებარი შეიქმნა. მან **გრაბარის („დამწერლობის ენის“)** სახელწოდება მიიღო. *გრაბარი* ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ განათლებულ ადამიანთა და სასულიერო მოღვაწეთა ვიწრო წრისათვის. გვიან შუა საუკუნეებში დაიწყო ახალი სალიტერატურო ენის შექმნა. ეს ახალი ენა **აშხარაბარის („საერო“)** სახელითაა ცნობილი, რომელიც საბოლოოდ XIX საუკუნის შუა ხანებიდან დამკვიდრდა. *აშხარაბარი* (სალიტერატურო ნაციონალური ენა) ორ – დასავლურ და აღმოსავლურ ვარიანტად ჩამოყალიბდა, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში სომხური ნაციონალური ბურჟუაზიის ფორმირების თავისებურებებითაა ახსნილი. აღმოსავლური სალიტერატურო ენის გავრცელების არეალია სომხეთის სახელმწიფო, აგრეთვე ირანი და ინდოეთი. დასავლურ სალიტერატურო ენაზე ლაპარაკობენ თურქეთში, ლიბანში, სირიაში, ევროპის ქვეყნებში, ამერიკაში მცხოვრები სომხები. როგორც აღნიშნავენ, სალიტერატურო ენის ორ ვარიანტს შორის განსხვავება უმნიშვნელოა. ახალი სალიტერატურო ენის ორ ვარიანტს შორის განსხვავება ძირითადად ფონეტიკურია. ამ თვალსაზრისით ლიტერატურული ენის აღმოსავლური ვარიანტი გრაბართან უფრო ახლოსაა, ვიდრე დასავლური. მაგრამ ერთიანი გრაფიკა და ორთოგრაფია ორივე ვარიანტის მატარებლებს ერთმანეთის ტექსტების გაგების საშუალებას აძლევს. XX საუკუნის დასაწყისში სომხურ ენას მრავალი დიალექტი ჰქონდა. ადრე თუ მის 31 დიალექტს აღნიშნავდნენ, ბოლო დროის სამეცნიერო ნაშრომებში 44 და 51 დიალექტს მიუთითებენ. დიალექტები ერთმანეთისაგან ფონეტიკური, მორფოლოგიური და ლექსიკური თვალსაზრისით განსხვავდებიან. დღეისათვის დიალექტების ინტენსიურად გაქრობა მიმდინარეობს. ზოგიერთი დიალექტის წარმომადგენლებს ერთმანეთის მეტყველება არ ესმოდათ. სალიტერატურო ენისაგან ძალიან დაშორებული იყო *მედრიული, ყარადაღული, ყარაჩევანული, აღულური, ზეითუნური, მალათიური, სასუნური* და ბევრი სხვა დიალექტი. სომხური ენის ლექსიკაში ლინგვისტები რამდენიმე ფენას გამოყოფენ. უძველესი ფენა (დაახლ. 1000 სიტყვა) უშუალოდ ინდოევროპული პრაენიდან მომდინარეობს. სომხურ ენაში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა ნასესხები სიტყვები იმ ენებიდან, რომელთა მატარებლებსაც სომხებთან ურთიერთობა ჰქონდათ. ესენია ხეთური, ხურიტული, ურარტული, სირიული ენები, განსაკუთრებით კი –

სხვადასხვა ეპოქის სპარსული ენა. მაგრამ ყველაზე მეტად სომხურ ენაში პართიული სიტყვებია შესული. ბოლო პერიოდში ბევრი სიტყვა შესულა არაბული და თურქული ენებიდან.

სომხები ქრისტიანები არიან. სომხური სამოციქულო ეკლესია ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ეკლესიაა. სომხეთში ქრისტიანობამ ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში სირიიდან შეაღწია. მაგრამ სახელმწიფო რელიგიად ის IV საუკუნის დასაწყისში გამოცხადდა (სხვადასხვა მონაცემებით – 301 წელს და 314 წელს. *მიხეილ ქურდიანის* გამოკვლევით, სომხებმა ქრისტიანობა 325 წელს მიიღეს). სომეხთა განმანათლებელი იყო *გრიგორი.* ამის გამოა, რომ სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას სხვანაირად სომხურ-გრიგორიანულსაც უწოდებენ. თავდაპირველად სომხური სამოციქულო ეკლესია აღმოსავლურ მართლმადიდებლურ ანუ ბიზანტიურ ეკლესიასთან ერთიანობაში იმყოფებოდა, მაგრამ შემდეგ ბიზანტიის ტერიტორიული პრეტენზიების გამოისობით, ის მისგან გამოცალკევდა და მონოფიზიტური მიმართულების გახდა. მონოფიზიტური ეკლესია მართლმადიდებელი ეკლესიისაგან მთელი რიგი საღვთისმეტყველო დოგმებით განსხვავდება. მსოფლიო IV საეკლესიო კრებაზე ეს მიმდინარეობა დაგმეს და განკიცხეს. სომხები ამ კრების მონაწილეთა შორის არ ყოფილან. მიზეზად სპარსეთთან გადამწყვეტ ბრძოლას ასახელებენ. მაგრამ 55 წლის შემდეგ – 506 წელს, სომხური ეკლესიის დვინის პირველ კრებაზე, მათ უარჰყვეს მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილება. მონოფიზიტობისადმი ერთგულება სომხებმა 554 წელს დვინის მეორე საეკლესიო კრებაზეც დაადასტურეს.

შუა საუკუნეებში, ჯვაროსნული ლაშქრობების დროს, სომხური სამოციქულო ეკლესიის კათოლიკურ ეკლესიასთან დაახლოების ტენდენცია გაჩნდა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ უნიატობამ მოსახლეობის ფართო მასებში მხარდაჭერა ვერ ჰპოვა, რაც არაა გასაზიარებელი. დოგმატურ და სხვა ეკლესიებთან ურთიერთობის საკითხებს, მოსახლეობის ფართო მასები კი არა, ეკლესიის მამები წყვეტდნენ. სომხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში XV საუკუნის მეორე ნახევრიდან ცალკეული კათოლიკური თემები გაჩნდა. ასეთი კათოლიკური თემების გაჩენას საქართველოში მცხოვრებ სომხებსაც მიაწერენ, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში კათოლიკობა სომხებს შორის კი არა, არამედ ქართულ მოსახლეობაში გავრცელდა. ქართველი კათოლიკეები შემდგომ რომის პაპმა სომხურ-კათოლიკურ ეკლესიას დაუქვემდებარა. სომეხი ავტორები კი ქართველ კათოლიკეებს, რომლებსაც სომხური ტიპიკონი ჰქონდათ, დაუინებით გაქართველებულ სომხებად აცხადებენ. სომხების კათოლიკურ სარწმუნოებაზე მასობრივი გადასვლა XVII საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა. კათოლიკობა ძირითადად ამ დროს პოლონეთში მცხოვრებმა სომხებმა მიიღეს, როდესაც სომეხმა არქიეპისკოპოსმა პაპის მეთაურობა აღიარა. **სომეხმა კათოლიკეებმა ღვთისმსახურებაში სომხური ენა და ძველი რიტუალი შეინარჩუნეს.** სომხებს შორის უნიშვნელო რაოდენობით გვხვდებიან აგრეთვე ჰროტესტანტები (XIX საუკუნის დასაწყისიდან) და მუსლიმები (ე. წ. ხემშილები). ხემშილებს სომხური ეთნიკური ცნობიერება აღარ გააჩნიათ. სომეხთა სამოციქულო ეკლესიის ცენტრი *ეჩმიაძინში* მდებარეობს. სომხებმა საუკუნეთა განმავლობაში საკუთარი ორიგინალური საეკლესიო არქიტექტურა შექმნეს. ასეთ ძეგლებს შორის, უპირველეს ყოვლისა, ასახელებენ **აპარანის ბაზილიკურ ეკლესიას (IV ს.), კარმრავორის ჯვარ-გუმბათოვან მინიტურულ ტაძარს აშტარაკში (VII ს.), სევანის სამონასტრო ანსამბლებს (IX ს.), სანაიანს, მდ. გარნის ხეობაში გეღარდის კლდეში გამოკვეთილ მონასტერს.** გორისას მახლობლად *ტატევში* დგას IX საუკუნის შესანიშნავი მონასტერი. VII საუკუნეს მიეკუთვნებოდა **ზვართნოცის** ცნობილი ტაძარი, რომელიც მიწისძვრამ დაანგრია. სომხური საეკლესიო არქიტექტურისათვის ნიშანდობლივია, ქართულთან შედარებით, დაბალი გუმბათი. მონოფიზიტურ ეკლესიებში არაა ფრესკებიც.

ისტორიული და თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე არსებობდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო – **ურარტუ, რომელიც ეთნიკურად სომხური არ ყოფილა**. ურარტუ პოლიეთნიკური ქვეყანა იყო და მის სხვადასხვა ეთნოსებს შორის ერთ-ერთ კომპონენტს პროტოსომხური მოსახლეობაც შეადგენდა. ურარტუს სამეფომ განსაკუთრებულ აღმავლობას ძვ. წ.-ის VIII საუკუნში მიაღწია. ურარტუს მეფეები, როდესაც ახალ ქვეყნებს იპყრობდნენ და დამორჩილებულ ტომთა აჯანყებებს ახშობდნენ, ბევრ დაქვემდებარებულ ეთნოსს ქვეყნის ცენტრალურ ოლქებში ასახლებდნენ, მათ შორის, არარატის ველზეც. ხოლო ცენტრალური ოლქების მოსახლეობა პერიფერიებში გადაჰყავდათ საცხოვრებლად. ამ დროს მოხდა სომხური ტომების არარატის ველზე დასახლება. აქედან ჩაეყარა საფუძველი აღნიშნულ ტერიტორიაზე სომხურ ეთნოსს. VIII-VII საუკუნეებში „სომხეთის მთიანეთში“ ინტენსიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა ტომების შერევისა თუ განცალკევების პროცესი. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ძველსომხურ სამეფოში ასახლებდნენ სომხეთის მეფეთა მიერ ხელთგდებული ტყვეების ან უცხო, დაპყრობილი ქვეყნებიდან აყრილ-გადმოსახლებული მოსახლეობის დიდ რიცხვს. ეს იყო დაპყრობილი ელინისტური ქალაქების უცხო ტომის სავაჭრო-სახელოსნო მოსახლეობის ფენა. ეს უცხო ეთნიკური მასა, ფაქტობრივად, სომხეთის მეფეების მიერ ახლადდაარსებული ქალაქების მოსახლეობის ძირითად ბირთვს შეადგენდა.

სომხური ენა და სომხური ეთნოსი საბოლოოდ სომხეთის მთიანეთში ჩამოყალიბდა. მცირე აზიიდან სომხეთის მთიანეთში გადაადგილების დროს, სომეხთა წინაპრების ინდოევროპული ტომების ენაში ცვლილებები მოხდა. ამ დროს სომეხთა შორის არაერთი ადგილობრივი ხალხი გაითქვიფა. მათი ენები ქრებოდა, სომხური ენა კი ახალ ელემენტებს იერთებდა, ვითარდებოდა და მკვიდრდებოდა. მეცნიერები თვლიან, რომ სომეხი ხალხის ფორმირების პროცესი ძვ. წ.-ის VI საუკუნისათვის დასრულდა. ამ დროს ემთხვევა სირიისა და ურარტუს სამეფოების დაცემა და მიდიის სახელმწიფოს აღმავლობა. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა სომხური სამეფოც, რომელიც მალევე შეყვანილ იქნა აქემენიდური სახელმწიფოს შემადგენლობაში. აქემენიდურ წარწერებსა და ძველ ბერძენ ავტორებთან ძვ. წ.-ის VI-V საუკუნეებში ხშირად მოხსენიებულია არმენთა ქვეყანა. 521-517 წლებით დათარიღებულ *ბეჰისტუნის* წარწერაში არა მხოლოდ მოხსენიებულია არმენთა ქვეყანა, არამედ მასზე გამოსახული არიან სომხებიც, რომლებსაც აქემენიდ მეფეებთან მიაქვთ ხარკი. აქემენიდთა სახელმწიფოს შემადგენლობაში სომხურმა სამეფომ ძვ. წ. IV საუკუნის ბოლომდე, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებამდე იარსება.

ძველი სპარსული აქემენიდური სახელმწიფოს დაშლის შემდეგ (ძვ. წ.-ის 331 წ.) სომხური სახელმწიფოებრიობა აღსდგა. ელინისტური ეპოქის დასაწყისში (ძვ. წ.-ის IV ს.) სომხეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი არარატის ველი იყო. აქ იყო ამ სახელმწიფოს დედაქალაქი *არმავირი*. ძვ. წ.-ის II-I საუკუნეთა მიჯნაზე სოხეთის მთიანეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე სხვა სომხური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნებიც არსებობდა (**აირარატი, სოფენა-კომაგენა**, საკუთრივ **დიდი სომხეთი** და **მცირე სომხეთის** მნიშვნელოვანი ნაწილი), რომელთა შეერთებისა და შერწყმის შედეგად ძვ. წ. 189 წელს ჩამოყალიბდა დიდი სომხეთის სახელმწიფო, რომლის სათავეშიც **არტაშიდების სამეფო დინასტია** იდგა. *არტაშეს I-მა* მონათმფლობელური სომხეთის სამეფოს დედაქალაქად *არტაშატი* გამოაცხადა. დიდმა სამეფომ განსაკუთრებულ ძლიერებას *ტიგრან II-ის* დროს (ძვ. წ. 95-55 წლები) მიაღწია. *ტიგრან II-ემ* დედაქალაქი არტაშატიდან მესოპოტამიის ჩრდილოეთ ნაწილში – *ტიგრანაკერტში* გადაიტანა. *ტიგრან II-ემ* ახალი დედაქალაქის ასაშენებლად კილიკიიდან, კაპადოკიიდან, მესოპოტამიიდან და სომხეთის სხვადასხვა ქალაქებიდან იძულებით 300 ათასამდე ადამიანი გადაასახლა, რომლებიც, დროთა განმავლობაში, სომხების მიერ იქნენ ასიმილირებულნი.

შემდგომ, რომთან ბრძოლაში, *ტიგრან II-ემ* დაპყრობილი ტერიტორიები თითქმის მთლიანად დაკარგა. სომხეთი ძვ. წ. 69 და 66 წლებში რომაელთა შემოჭრის შემდეგ, რომის ვასალურ სამეფოდ იქცა.

ქვეყანამ დიდი ხნის განმავლობაში დამოუკიდებლობა დაკარგა. ახ. წ.-ის 387 წელს სასანიდურმა ირანმა და ბიზანტიის იმპერიამ ერთმანეთს შორის დიდი სომხეთი შუაზე გაიყვეს. ერთხანს სომხები ავტონომიას ინარჩუნებდნენ, მაგრამ თანდათან სამეფო ხელისუფლება ისე დასუსტდა, რომ 428 წელს *არტაშიდების* დინასტია დაეცა და ქვეყანამაც დამოუკიდებლობა მთლიანად დაკარგა. დაახლ. 200 წლის განმავლობაში სომხეთს სპარსეთის შაჰის ნაცვლები – *მარზპანები* მართავდნენ, რომელთა რეზიდენციაც *დვინში* იყო. მიჩნეულია, რომ სომხეთში მონათმფლობელურ ურთიერთობათა დაშლა და ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვა ახალი წალთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში დაიწყო. ქრისტიანობის მიღების დროისათვის, IV საუკუნის დასაწყისში სომხეთი უკვე ფეოდალური ქვეყანა იყო.

გარდა დიდი სომხეთის სამეფოსი, სომხებს სხვა სახელმწიფოც, ე. წ. მცირე სომხეთიც ჰქონდათ შექმნილი, რომელიც მდ. *ევფრატის* ხეობის მთიან მხარეში, ტყეებითა და საძოვრებით მდიდარ ტერიტორიებზე მდებარეობდა. მცირე სომხეთში ფრიად დაწინაურებული იყო მეცხენეობა, მეტალურგია. ისტორიოგრაფიაში სწორედ *მცირე სომხეთი* მიიჩნევა *ჰაიების* ქვეყანად. მცირე სომხეთი *აქემენიდების* სახელმწიფოში მეცამეტე სატრაპიის სახით შედიოდა. *ალექსანდრე მაკედონელმა* მცირე სომხეთიც დაიმორჩილა. ძვ. წ.-ის 322 წლიდან ის დამოუკიდებელი სამეფო იყო. ძვ. წ.-ის II საუკუნის შემდეგ მცირე სომხეთი ხელიდან ხელში გადადიოდა. იცვლებოდა მისი ადმინისტრაციული საზღვრებიც. იმპერატორ *ვესპასიანეს* დროს (ახ. წ.-ის 69-70 წწ.) მცირე სომხეთი რომის პროვინცია *კაპადოკიაში* შედიოდა.

სომხეთს განსაკუთრებული ზიანი მიაყენეს არაბთა და თურქ-სელჯუკთა შემოსევებმა. არაბები აქ VII საუკუნში გაბატონდნენ. მხოლოდ არაბთა სახალიფოს დასუსტების დროს – IX საუკუნის ბოლოს მცირე ხნით დაიბრუნეს დამოუკიდებლობა. ეს იყო ანისის ფეოდალური სამეფო, რომელსაც *ბაგრატიდების* სამეფო დინასტია მართავდა. 885 წელს სომხეთის მეფედ *აშოტ I* გამოცხადდა, რომელიც სახალიფომაც ცნო და ბიზანტიამაც. **XI საუკუნის ბოლოს სომხეთი სელჯუკებმა დაიპყრეს. ამ დროიდან დაიწყო სომეხთა სხვა ქვეყნებში გადასახლება. ბიზანტიის იმპერია ადრეც მიზანმიმართულად ასახლებდა მათ ქვეყნის მიყრუებულ რაიონებში. ასეთი გადასახლებულებისაგან შექმნეს სომხებმა *კილიკიის სამეფო.*** ის ხმელთაშუა ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა. ამ სახელმწიფომ დაახლოებით 300 წელი იარსება (1080-1375 წწ.). კილიკიის დამოუკიდებელი სამეფო ეგვიპტის მამლუქებთან თითქმის ასწლიან უთანასწორო ბრძოლაში დაიშალა. თუ არ ჩავთვლით კილიკიის სამეფოს, **XI საუკუნიდან სომხებს, მათი განსახლების ისტორიულ ტერიტორიაზე, სახელმწიფოებრიობა აღარ ჰქონიათ. XVI საუკუნიდან დასავლეთ სომხეთი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა, აღმოსავლეთი კი სეფევიდური ირანის პროვინცია იყო.** სომხეთის ტერიტორიის აღნიშნული ორი სახელმწიფოს შემადგენლობაში გადასვლა საბოლოოდ 1555 წელს გაფორმდა. იქამდე, XII-XIII საუკუნეებში **ჩრდილოეთ სომხეთი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა.** რამდენიმე სომხური სამთავრო უშუალოდ შედიოდა საქართველოს სამეფოში. 1827 წელს ირანის დაქვემდებარებაში მყოფი სომხური მიწები რუსეთმა შეიერთა. რუსეთის ხელისუფლებამ 1829-1830 წლებში როგორც ირანის, ისე თურქეთის სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მცხოვრები სომხები დღევანდელ სომხეთსა და საქართველოში (ჯავახეთი, სამცხე, თრიალეთი) დაასახლა. ამ დროს მოხდა საქართველოში სომეხთა კომპაქტური განსახლება და საქართველოს აღნიშნული მხარეები, რომლებიც ყოველთვის ეთნიკური ქართველებით იყო დასახლებული, ამიერიდან ეთნიკური სომხებით განსახლებულ არეალებად იქცა. ამ დროს რუსეთის

იმპერიაში (კავკასიაში) გადმოსახლებულ სომეხთა საერთო რაოდენობა 140 ათასი კაცი იყო. ამის შემდეგ აღმოსავლეთ სომხეთში (დღევანდელი სომხეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე) სომეხთა რაოდენობამ 56%-ს გადააჭარბა. სომხეთმა სახელმწიფოებრიობა მცირე ხნით მხოლოდ რუსეთის 1917 წლის რევოლუციის შემდეგ აღიდგინა (1918-1820 წლები). საბოლოოდ კი დამოუკიდებლობა საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ მიიღეს.

ზემოთ აღინიშნა, რომ სომხები მსგავსად ებრაელებისა, მსოფლიოს რამდენიმე ათეულ ქვეყანაში არიან განსახლებული. თავდაპირველად მიგრანტები, ქალაქის მოსახლეობა – ვაჭრები და ხელოსნები იყვნენ. შემდეგ კი თანდათან დიდი რაოდენობით მიწათმოქმედ სომეხთა თემებიც გაჩნდა. უცხოეთის ქვეყნებში სომეხთა მასობრივი და უწყვეტი გადასახლებების მიზეზად მუდმივ ომებს, მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას და სხვათა ნაციონალურ და რელიგიურ ბატონობას ასახელებენ. ჯერ კიდევ V საუკუნემდე სომხებს კოლონიები ჰქონდათ მახლობელ აღმოსავლეთში. სომეხთა ემიგრაცია V-VII საუკუნეებშიც გრძელდებოდა. ზემოთაც აღვნიშნეთ და აქაც გვინდა გავიმეოროთ, რომ ქვეყნიდან განსახლებამ მასობრივი ხასიათი მიიღო არაბთა და სელჯუკთა დაპყრობების დროს. სომეხთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მცირე აზიისა და ბალკანეთის გავლით ევროპაში, ყირიმში, პოლონეთში, უკრაინაში სახლდებოდა. უკვე XI საუკუნეში კიევში სომხური ეკლესია არსებობდა. XI-XIII საუკუნეებში ძალიან მოიმატა სომხების რაოდენობამ ბიზანტიაში, ეგვიპტეში, სირიაში, ლიბანში; დიდი სომხური კოლონიები წარმოიქმნა გალიციაში, ბუკოვინაში, მოლდოვაში, უნგრეთში, ვალახეთში, ტრანსილვანიაში. ევროპაში სომეხთა კულტურული ცენტრი ლვოვი იყო. სომეხთა ემიგრაცია ძალიან გაძლიერდა მონღოლ-თათართა პერიოდში. XIV საუკუნეში სომეხი მიგრანტების რაოდენობა გაიზარდა საქართველოში, მცირე აზიაში, რუსეთში, ყირიმში. ყირიმში პირველი სომხური დასახლებები 1061 წელს გაჩენილა, ერთ-ერთი არაბი მწერლის აღნიშვნით ყირიმის დედაქალაქ *სოლხათში* 1263 წელს მოსახლეობის დიდი ნაწილი სომხები იყვნენ. სოლხათის მახლობლად *სუგდეაში* სომხები იმდენად ბევრნი ყოფილან, რომ მათ რელიგიური კამათი გაუმართავთ ძველ მაცხოვრებელ ბერძნებთან. სოლხათის მახლობლად სომხებს მონასტერი XIV საუკუნეში აუგიათ, რომელსაც **სურფ-ხაჩს** უწოდებდნენ. XVII საუკუნეში სომხებს *ფეოდოსიაში* რამდენიმე ეკლესია ჰქონიათ. 1735 წელს რუსეთის *ყარასუბაზარში* შეჭრის მომენტისათვის, აქ 300 სომხური ოჯახი ყოფლა. ჩრდილოეთ ყირიმში ახლაც დიდი რაოდენობითაა სომხური მოსახლეობა. როგორც ყველგან, ისინი აქაც ძირითადად ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევენ. 1512 წელს *ვენეციაში* სომეხმა კოლონისტებმა პირველი სომხური წიგნი დაბეჭდეს. XVII საუკუნის დასაწყისში ირანში *შაჰ-აბას I-ის* მიერ გადასახლებულმა სომხებმა ქალაქი *ახალი ჯულფა* დაარსეს. აქ მათ 1639 წელს აღმოსავლეთში პირველი სომხური ტიპოგრაფია შექმნეს. რუსეთში სომხური კოლონიები არსებობდა *ასტრახანში, მოსკოვში, პეტერბურგში.* ჩრდილოეთ კავკასიაში კი მათ ბევრი პატარ-პატარა კოლონია ჰქონდათ. 1778-1779 წლებში ყირიმელი სომხების დიდი ნაწილი დონის შესართავთან დასახლდა, სადაც მათ რამდენიმე სოფელი და ქალაქი *ახალი ნახიჭევანი* დაუფუძნებიათ. ზემოთაც აღვნიშნეთ და კვლავ გვინდა გავიმეოროთ, რომ სომეხთა დიდი მიგრაცია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში თურქეთიდან პირველი მსოფლიო ომის დროს მოხდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1946-1948 წლებში სომხეთში უცხოეთში მცხოვრები სომხების რეპატრიაცია დაიწყო. სომხეთში ამ დროს ასი ათასი ეთნიკური სომეხი დასახლდა. 1962-1973 წლებში ამ რიცხვს 26 ათასი დაემატა. თუმცა შემდეგ ბევრი სომეხი უკან დაბრუნდა, რადგან მათ საბჭოთა წყობილებასთან ადაპტაცია გაუჭირდათ. ბუნებრივია, სხვადასხვა ქვეყნებში განსახლებულმა სომეხთა მრავალრიცხოვანმა ჯგუფებმა გარშემომყოფი მოსახლეობის ყოფისა და კულტურის გარკვეული გავლენა განიცადეს. მაგრამ მათ

მაინც თითქმის ყველგან შეინარჩუნეს ეთნიკურობა, ენა. ამასთანავე, სომხური კულტურის ცენტრები სწორედ აქ იყო და არა სომხეთში. გამოსცემდნენ ლიტერატურას, ასწავლიდნენ მშობლიურ ენას, მკაცრად იცავდნენ სამშობლოდან მოტანილ ეთნიკურ კულტურას, ტრადიციებს, საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმებს. ამას ვერ ვიტყვით XIX საუკუნემდე საქათველოში გადმოსახლებულ სომხებზე. ამ პერიოდისათვის თბილისში მცხოვრებმა სომხებმა, ფაქტობრივად, არ იცოდნენ სომხური ენა; მათთვის დედაენა ქართული იყო და სომხობა მხოლოდ რელიგიით იყო განპირობებული.

საქართველოში სომხური მოსახლეობა ჯერ კიდევ V საუკუნეში ქვემო ქართლში – საქართველო-სომხეთის საზღვრისპირა ზოლში შეინიშნებოდა. VII საუკუნის დამდეგისათვის ნარევი სომხურ-ქართული მოსახლეობა იყო *ტაშირში.* საისტორიო წყაროებით ჩანს 726 წელს ქალკედონისტი სომხების *ტაოში* მიგრაცია. სომეხთა მიგრაცია საქართველოსკენ VII საუკუნეში არაბთა შემოსევების დროს გაძლიერდა. ერთ-ერთი ასეთი მიგრაციული ტალღა დასავლეთ საქართველოში – სამეგრელოშიც კი გადასულა. თუმცა აქ ისინი დიდხანს არ გაჩერებულან, *ფოთში* სულ ექვსი წელი დაუყვიათ. X საუკუნეში ქართლის ცენტრალურ რაიონებში სომეხთა კვალი ჩანს. მეცნიერები იმასაც აღნიშნავენ, რომ ამ დროისათვის ქართული ქრისტიანული საკულტო ცენტრები კვლავ იზიდავდნენ გარედან მოსულ სომხურ მოსახლეობას. X საუკუნის ბოლოს ქვემო ქართლის ტერიტორიაზე *თბილისის საამიროსთან* ბრძოლაში *ტაშირ-ძორაგეტის* ანუ *ლორე-ტაშირის* მცირე სომხური სამეფო ჩამოყალიბდა, რომელსაც სათავეში *კვირიკიან ბაგრატუნები* ედგნენ. ამ გარემოებამ *დმანისში, სამშვილდეში, ლორესა* და ქვემო ქართლის სხვა ქალაქებში სომხური ეთნიკური ელემენტის მომრავლება გამოიწვია. მაგრამ მაინც ამ დროს ქვემო ქართლში მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. პირველი რეალური ცნობა სომეხ მიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილის საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლების შესახებ *დავით აღმაშენებლის* ღონისძიებებთანაა დაკავშირებული. *მათე ურაჰაეცის* ცნობით, *დავით აღმაშენებელი* სომეხთა ტომის მოყვარული იყო. მან სომეხთა გადარჩენილი ლაშქარი გარშემო შემოიკრიბა და ისინი ქალაქ *გორში* დაასახლა. მონღოლთაგან დარბეული *ყარსის* სომხური მოსახლეობის ნაწილს თავშესაფარი *თბილისში* მოუნახავს. სომხური ეკლესიის აშენების შესახებაა საუბარი თბილისში XIII საუკუნის 50-იან წლებში. ბუნებრივია, თბილისში დიდვაჭარ *უმეკის* მიერ სომხური ეკლესიის აშენება საქართველოს დედაქალაქში სომეხთა რაოდენობის ზრდით იყო განპირობებული. საისტორიო წყაროებში აღნიშნულია, რომ საქართველოს ტერიტორიიდან მონოფიზიტი სომხები რწმენის გამო არასოდეს არ იდევნებოდნენ. XII-XIII საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე სომხური ეკლესიების აშენების სანაცვლოდ, საქართველოს მესვეურნი ჩრდილოეთ სომხეთის ტერიტორიაზე ქართულ ეკლესიებს აშენებდნენ, რაც სომხეთში ქართული კულტურისა და ენის სფეროს გაფართოებას იწვევდა. სომეხთა მიგრაციები განსაკუთრებით ინტენსიური გახდა XV საუკუნეში. ერთი საუკუნის განმავლობაში თითქმის მთელი იმდროინდელი მსოფლიო სომხური კოლონიებით დაიფარა. *არარატის ველი* და *არაქსის* მიდამოები ადგილობრივი სომხური მოსახლეობისაგან დაიცალა. ამ დროს სომხები საქართველოშიც მოვიდნენ. წყაროები *სივნიეთიდან* საქართველოში 1435-1438 წლებში 6000 კომლ მიგრანტ სომეხს მიუთითებენ. დიდი რაოდენობით ესახლებოდნენ ამ დროს სომხები *ლორეს მხარეშიც.* არაერთი სომხური სოფელი გაჩნდა XVII-XVIII საუკუნეებში ქვემო ქართლსა და შიდა ქართლშიც. შიდა ქართლში მათი კომპაქტური განსახლების არეალი სოფელი *ახალქალაქი* იყო. XVIII საუკუნეში საქართველოში სომეხთა რაოდენობის განსაზღვრა ერთობ ჭირს, რადგან მოსახლეობის ფენების აღსანიშნავად ქართული წყაროების მიერ გამოყენებული ტერმინები (*თათარი, სომეხი, ფრანგი*) უფრო კონფესიური შინაარსისაა, ვიდრე ეთნიკური. ე. წ. სომხებად მოხსენიებულ მოსახლეობაში მნიშვნელოვანი რაოდენობით იყვნენ **მონოფიზიტი**

ქართველებიც. ქართველ მეცნიერთა (*გ. მაისურაძე*) გამოანგარიშებით XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში თბილისის სომხური მოსახლეობა მთელი მოსახლეობის მხოლოდ ერთ მესამედს შეადგენდა. *ვახუშტი ბაგრატიონი* ქვემო ქართლის მოსახლეობის უმეტესობის მხოლოდ მათ სარწმუნოებით სომხობაზე და ეთნიკურობით (ენით, ზნე-ჩვეულებით) ქართველობაზე საუბრობს. 1721 წლის აღწერით სრულიად შესაძლებელია *ქვემო ქართლში* მოსახლე მონოფიზიტი ქართველებისა და სომხების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ცნობილია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე სომხებს გვარები არ ჰქონდათ. ამ აღწერაში ქართველი გრიგორიანელები გვარებით არიან ჩაწერილნი, ხოლო ეთნიკური სომხები – მხოლოდ საკუთარი სახელებით. 1721 წლის აღწერით ქვემო ქართლში ეთნიკური სომხები უმნიშვნელო რაოდენობით იყვნენ. შიდა ქართლში სომხები ქართველებსა და ებრაელებთან ერთად, *ვახუშტის* მონაცემებით, შემდეგ ქალაქებში ცხოვრობდნენ: *ატენი, მძორეთი, ახალგორი, გორი, ცხინვალი, თამარაშენი, ალი, სურამი;* სამცხის ასეთ ორ ქალაქს (*აწყურსა და ახალციხეს*) ასახელებს. ჯავახეთში ქართველებსა და ებრაელებთან ერთად, სომხები გოკიასა *და* ბარალეთში მკვიდრობდნენ. იმერეთში ასეთ დასახლებულ პუნქტებს შორის ის *ჭალა-ტყეს, ჩიხორს, საჩხერეს* და *ქუთაისს* მიუთითებს. ასე რომ, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში მთელ საქართველოში სომხები (*ტაშირის* გამოკლებით) ქართველთა გვერდით და ძირითადად მათ შორის გაფანტულად მოსახლეობდნენ. XVIII საუკუნესა და XIX საუკუნეშიც საქართველოში (და, მათ შორის, თბილისშიც) მცხოვრები სომხების ენა ძირითადად ქართული იყო. მათმა უმეტესობამ სომხური საერთოდ არ იცოდა. *თბილისელმა სომხებმა სომხურად ლაპარაკი მხოლოდ XIX საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ დაიწყეს.* რაც შეეხება *ჯავახეთსა* და *თრიალეთის* ნაწილს, აქ დასავლეთ (ანუ თურქეთის) სომხეთიდან სომეხთა დიდი ნაკადი ცარიზმმა 1828-1830 წლებში შემოასახლა.

ჩრდილოეთ კავკასიაში სომხური მოსახლეობის ფორმირება XVIII საუკუნიდან XX საუკინის დასაწყისამდე მოხდა. აქ სომხები ძირითადად ირანიდან და თურქეთიდან გადმოსახლდნენ. სომეხთა ყველაზე ადრინდელი მიგრაცია, რაც დოკუმენტურად ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებშია დაფიქსირებული, ძირითადად სამხრეთ დაღესტანსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში განხორციელდა. 1869 წელს სტანიცებს *ხანსკაიასა* და *ბელორეჩინსკაიას* შორის აღმოაჩინეს სომხური ეკლესიის ნანგრევები, რომელიც 1171 წელს ყოფილა აგებული. XIV-XVII საუკუნეეში *დერბენტელი* და *შემახიელი* სომხები *ასტრახანის* საშუალებით რუსეთის სახელმწიფოსთან ვაჭრობდნენ. 1728 წელს *დერბენტში* რუსეთში გადმოსახლებული პოლონელი სომხები დაფუძნდნენ. XVIII საუკუნის ბოლოს დერბენტში დაახლ. ასამდე სომხური ოჯახი მკვიდრობდა. XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში სომხები მდ. *თერგის* ხეობის აუზში ირანიდან მიგრირდნენ. ჯერ კიდევ სპარსეთში ლაშქრობამდე *პეტრე I* ირანელ სომხებს რუსეთში გადმოსახლებისაკენ მოუწოდებდა, რომლებსაც გარკვეულ შეღავათებსაც ჰპირდებოდა. სომხებს ნება დართეს იმ ადგილას დასახლებულიყვნენ, სადაც შემდეგ ქალაქი *ყიზლარი* დაარსდა. 1710 წელს ერთ-ერთმა სომეხმა ვაჭარმა და მრეწველმა თერგის მარცხენა ნაპირზე აბრეშუმის გადამამუშავებელი ქარხანა ააგო. ქარხნის ირგვლივ დასახლებაც გაჩნდა. იგი მოგვიანებით *შელკოზავოდსკოეს* სახელწოდებას ატარებდა. XVIII საუკუნის ბოლოს ამ დასახლებაში 227 მამაკაც სომეხთან ერთად 153 ქართველი მამაკაციც მკვიდრობდა. *ყიზლარის* ციხესიმაგრის დაარსების შემდეგ (1736 წ.), *დერბენტიდან* 450 სომეხი დასახლებულა. სომხები აქ *ყარაბაღიდან* და *სპარსეთიდანაც* მოსულან. ისინი ძირითადად *პეტრე I-ის* სპარსეთში ლაშქრობის მონაწილენი იყვნენ. XVIII საუკუნის 60-იან წლებში *მოზდოკში* სხვა ხალხებთან ერთად სომხებიც დასახლდნენ. 1795 წელს კავკასიის ხაზზე *ბაქოს, დერბენტისა* და *ყუბის* სახანოებიდან 5000-ზე მეტი სომეხი გადმოსახლდა. *ყიზლარის* მაზრაში ამ დროს კიდევ რამდენიმე სომხური დასახლება წარმოიქმნა, სადაც 1800-1811 წლებში

დერბენტელი სომხების კიდევ ერთი ჯგუფი მოვიდა. 1799 წელს სომეხ მრეწველებსა და ვაჭრებს ნება დართეს ძველი *მაჯარის* ადგილზე ახალი ქალაქის აშენებისა, რომელსაც *სვიატოი კრესტ* (თანამედროვე *ბუდიონოვსკი*) უწოდეს. თანდათან იზრდებოდა ყიზლარის სომხური მოსახლეობა. ასე, მაგალითად, 1785 წელს აქ 2,2 ათასი სომეხი ცხოვრობდა, 1806 წლისათვის მათმა რაოდენობამ 5,4 ათასს გადააჭარბა. მოზდოკში 1781 წელს 700 სომეხი იყო აღრიცხული, XVIII საუკუნის ბოლოს – 2300. მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობდნენ სომხები მოზდოკიდან 35 კილომეტრით დაშორებულ სოფელ *ედისში*, სადაც სომხები ყუბის სახანოდან იყვნენ გადმოსახლებული. თერგის გაყოლებით მცხოვრები სომხები თავისუფლად ლაპარაკობდნენ ახლო-მახლო მცხოვრები ხალხების ენებზე (ნოღაურ ენაზე, მთიელთა ენებზე). კავკასიაში მცხოვრებ სომხებს შენარჩუნებული ჰქონდათ თავიანთი რწმენა, ეთნოკულტურული ტრადიციები.

ჩრდილოეთ კავკასიაში ყველაზე დიდი ხნის მოსული **ჩერქეზეთის ანუ მთის სომხები** (იხ.: „ჩერქეზოჰაიები“) არიან, რომლებიც დასავლეთ ადიღეელთა შორის ბინადრობდნენ. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ეს სომხები XIV საუკუნეში *კილიკიის* სომხური სახელმწიფოს განადგურების შემდეგ არიან მოსული. სხვათა აზრით, მათი მიგრაცია XV საუკუნეში ყირიმიდან მოხდა. ჩერქეზებს შორის დისპერსიულად განსახლებულმა სომხებმა ინტენსიური ეკონომიკური, საოჯახო, კულტურულ-ყოფითი კონტაქტი დაამყარეს მათთან. ჩერქეზული კულტურა არა მარტო შეიჭრა სომეხთა ცხოვრებაში, არამედ გაბატონებულიც კი გახდა. მაგრამ ჩერქეზებს შორის განსახლებულმა სომხებმა ეთნიკური თვითშეგნება არ დაკარგეს, რაც ქრისიტანული რელიგიისა და მაღალი სოციალურ სტატუსის შენარჩუნებამ განაპირობა. დანარჩენი სომხებისაგან ისინი თავიანთ თავს ანსხვავებდნენ. მათი როგორც ენდოეთნონიმი, ისე ეგზოეთნონიმი იყო *ერმელი* (სომხების აღმნიშვნელი ყირიმელი თათრების ტერმინი). XVIII საუკუნის ბოლო ათწლეულსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩერქეზეთის სომხები მთიდან ბარში გადასახლდნენ და *არმავირი* დააარსეს (1841 წ.). XIX საუკუნის 40-იან წლებში არმავირში ნამყოფი ერთ-ერთი სასულიერო პირი აღნიშნავდა, რომ ჩერქეზეთის სომხები თითქმის არაფრით განსხვავდებიან ჩერქეზებისაგანო – იგივე ენა, წეს-ჩვეულებები, საჭმელები, საოჯახო ჭურჭელი და ტანსაცმელი. არ იცოდნენ სომხური ენაც. იგივეს აღნიშნავდა 1859 წელს რუსეთის სამეფოს ადმინისტრაციის ერთ-ერთი წარმომადგენელიც. ის ხაზს უსვამდა, რომ ჩერქეზეთის სომხებმა სომხური ენა არ იციან და ადიღეური ენის აზაძეხურ დიალექტზე მეტყველებენო. მიუხედავად იმისა, რომ სომხები ჩერქეზებად იყვნენ გარდაქმნილნი, მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ისინი სომხები არიან.

XIX საუკუნეში სომხური მოსახლეობის რაოდენობა იზრდებოდა *ეკატერინოდარშიც (კრასნოდარი).* სტავროპოლში კი პირველი სომხური დასახლებები XVIII საუკუნის ბოლოს წარმოიქმნა. აქ ისინი ცალკე ერთ ქუჩაზე იყვნენ დასახლებულნი. მთელი XIX საუკუნის განმავლობაში იმატებდა *ვლადიკავკაზის* სომხური მოსახლეობაც. სამხრეთ რუსეთში დასავლეთ სომეხთა მასობრივი მიგრაცია XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა. XIX საუკუნის ბოლოს ლტოლვილი სომხების დიდი რაოდენობა კავკასიის შავიზღვისპირეთსა და ყირიმს მიაწყდა (*ანაპის, ნოვოროსიისკის, ტუაფსეს, სოჭის, იალტის, ქერჩის, სიმფეროპოლის* რაიონები). ჩრდილოეთ კავკასიაში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოვიდნენ 1915-1916 წლებში. 1926 წელს *მაიკოპის* ოკრუგში ნაციონალური სომხური რაიონიც კი ჩამოაყალიბეს, რომლის ცენტრიც სოფელი *შაუმიანი* იყო. 1979 წელს კრასნოდარის მხარეში 120,8 ათასი სომეხი ცხოვრობდა. 1989 წელს კი მათმა რაოდენობამ 182 ათასს გადააჭარბა. 1996 წლის მონაცემებით კრასნოდარის მხარეში სომეხთა რაოდენობა 223,8 ათასი კაცი იყო.

დღევანდელ სომხეთში (ანუ როგორც უწოდებენ აღმოსავლეთ სომხეთში) მოსახლეობის ორი ფენა გამოიყოფა: ერთი – ადგილობრივი და მეორე დასავლეთ

სომხეთიდან (ანუ თურქეთიდან) მიგრირებულნი. ასე რომ, სომხეთის რესპუბლიკა ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ორ ძირითად ოლქად იყოფა – დასავლეთ სომხების განსახლების არეალი და აღმოსავლეთ სომხების განსახლების ოლქი. სომხეთში ეს ორი ეთნოგრაფიული არეალი 1830-იანი წლების შემდეგ ჩამოყალიბდა, როდესაც თურქეთიდან დასავლეთ სომხების დიდი მასა რუსეთის შემადგენლობაში მყოფ სომხეთის ტერიტორიაზე განსახლდა. ისინი დღევანდელი სომხეთის აღმოსავლეთ და ცენტრალურ რაიონებში (*არაგაწი, არარატის ველი, გეხარკუნი, ვაიოც-ძორი*) დასახლდნენ. აღმოსავლეთ სომხეთის დანარჩენ ნაწილს ძირითადად შენარჩუნებული ჰქონდა ძირძველი მოსახლეობა და მასთან ერთად, კულტურისა და ყოფისათვის დამახასიათებელი გარკვეული სპეციფიკაც. ასეთ ძირძველ სომხურ მოსახლეობად სომეხი მეცნიერები *ყარაბაღის* სომხებსაც მიიჩნევენ. თუმცა, აზერბაიჯანულ საისტორიო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ XIX საუკუნემდე მთიან ყარაბაღში სომხები მცირე ჯგუფების სახით იყვნენ განსახლებული და რომ ისინი აქ, ისევე როგორც აზერბაიჯანის სხვა რაიონებში, ძირითადად 1828 წლის შემდეგ, ცარიზმმა დაასახლა.

სომხეთში ორი მთავარი ეთნოგრაფიული ჯგუფის შიგნით რვა ეთნოგრაფიულ რაიონს გამოყოფენ, რომელთაგანაც ხუთი დასავლეთ სომხებით განსახლებულ ოლქებში შედის (*შირაქი, არაგაწოტნი, არარატის ველი, გეხარკუნიკი, ვაიოც-ძორი*) და სამი – აღმოსავლეთ სომხების განსახლების არეალში (*ლორე, იჯევან-თავუში, ზანგეზური*). სხვათა შორის, ზანგეზურს აზერბაიჯანელი ისტორიკოსები, გეიჩასთან ერთად, ძველთაძველ აზერბაიჯანულ მიწად მიიჩნევენ. იმასაც აღნიშნავენ, რომ ზანგეზურში კომპაქტურად აზერბაიჯანელების მნიშვნელოვანი რაოდენობა ცხოვრობდა და ეს მიწა აზერბაიჯანის ბოლშევიკმა ხელისუფლებამ სომხებს აჩუქაო. რაც შეეხება *ლორე-ტაშირს* და *ყაიყულს*, ის *შერაგელთან* ერთად, XI საუკუნიდან საქართველოს სამეფოს, შემდეგ კი – ქართლ-კახეთის შემადგენლობაში შედიოდა. რუსეთმა ეს მხარე ქართლ-კახეთის სამეფოსთან ერთად შეიერთა, რადგან ის მისი განუყოფელი ნაწილი იყო. *რუსეთის დროს ლორე ჯერ თბილისის გუბერნიის თბილისის მაზრაში, შემდეგ კი – ბორჩალოს მაზრაში შედიოდა. საბჭოთა რუსეთმა ლორე სომხეთის რესპუბლიკას გადასცა.* სხვათა შორის, ლორე იმდენად ინტეგრირებული იყო ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან, რომ XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრებში, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება ატარებდა, აქ მცხოვრები სომხების გვარები ქართული სუფიქსით (-*შვილი*) იყო გაფორმებული. ლორელთა ეთნოგრაფიული ყოფა მნიშვნელოვნად შეიცვალა *ალაშკერტიდან* გადმოსახლებული სომხების შემდეგ. ალაშკერტელმა სომხებმა არა მხოლოდ ლორელების ყოფა-ცხოვრებაზე მოახდინეს გავლენა, არამედ შირაქელი სომხების (ღუკასიანის რაიონი) ყოფასა და კულტურაზეც.

საერთოდ, წარსულში ვიდრე XX საუკუნის დასაწყისამდე, სომხეთის მთიანეთის ტერიტორია ოთხ ძირითად ეთნოგრაფიულ მხარედ იყოფოდა, რომლებისთვისაც განსაკუთრებული აგრიკულტურული სპეციფიკა იყო დამახასიათებელი. ესენია: **მაღალი სომხეთი** (*ერზანჯან-ერზინკა, კარინ-ერზერუმი, ყარსი*); **სოფენა-ალძინკი** (*ხარბერდი და დიარბექირი*); **ვასპურაკან-ტურუბერანი** (*ვანის ტბის აუზი და მუში*); **არარატ-სიუნიკი** (*არარატის ველი და მისი მიმდებარე მცირე კავკასიის მთიანი მასივი*). სომხეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მოსახლეობა სხვადასხვა ისტორიული ვითარებისა და არაერთგვაროვანი ბუნებრივ-კლიმატური და გეოგრაფიული პირობების გამო, ყოფითი კულტურით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა.

სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებმა სომხებმა, ბუნებრივია, ყოფასა და კულტურაში ადგილობრივი მოსახლეობის გავლენა განიცადეს. სომხეთში მცხოვრები სომხებისათვის კი ყოფასა და კულტურაში დამახასიათებელი იყო ცხოვრების ტრადიციული წესის შენარჩუნება. ცხოვრების წესი კი მათ სამიწათმოქმედო-სამესაქონლეო კომპლექსის საფუძველზე ჩამოუყალიბდათ.

სომხეთის მთიანეთის ბუნებრივი პირობების ვერტიკალური ზონალობა განაპირობებდა დაბლობში მიწათმოქმედების დომინირებულ როლს, მთაში კი – მესაქონლეობისას, სომხები ერთ-ერთ უძველეს მიწათმოქმედ ხალხად ითვლებიან. სახნავ-სათესი ფართობები ალპიურ საძოვრებამდე აღწევდა. სიმაღლის მატებასთან ერთად მიწათმოქმედების მნიშვნელობა ეცემოდა. მაღალმთიანეთში მიწათმოქმედებას მესაქონლეობა (ძირითადად მეცხვარეობა) ენაცვლებოდა. დაბლობში მესაქონლეობას (მეცხვარეობა, მსხვილფეხარქოსანი საქონელი) ყველგან დამხმარე როლი ჰქონდა დაკისრებული. მეცნიერებს შენიშნული აქვთ, რომ სომხეთში ტერასული მიწათმოქმედება თავის საწყისებს ჯერ კიდევ ურარტულ ეპოქაში იღებს. იგივეს აღნიშნავენ საირიგაციო არხების შესახებ. ასე რომ, სომხეთში განვითარებული იყო სარწყავი მიწათმოქმედება. ბარის რაიონებში თესავდნენ ხორბალს, ასლს, ქერს, ფეტვს, ჭვავს, სელს, კანაფს. ბრინჯს, სიმინდს (XVIII საუკუნიდან), ბოჭკოვან-ზეთოვან კულტურებიდან – ბამბას, ქუნჯუტს; გაშენებული ჰქონდათ ბაღები და ვენახები. ზამთარში იცოდნენ ვაზის მიწაში ჩაფლვა, რათა ის ყინვისაგან დაეცვათ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სომხები უძველესი მევენახე-მეღვინე ერია, რომ ეს საქმიანობა მათი წინაპრებისათვის ჯერ კიდევ ურარტუს ეპოქაში იყო დამახასიათებელი. თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, არც ძველად და არც ახლა, სომხეთში ღვინო ტრადიციული სასმელი არ ყოფილა. სომხურ სუფრაზე უფრო არაყს და მისი ტიპის სასმელებს სცემდნენ პატივს. საყურადღებოა, რომ სომხური სიტყვა *გინი* ქართული „ღვინისაგან“ მომდინარეობს. იგივე შეიძლება ითქვას სახვნელის სახელწოდების შესახებ (*გუთან*), რომელშიც ექვსიდან რვა უღელ ხარს აბამდნენ, სამკალი იარაღის შესახებ (*მანგალ*. შდრ. ქართული „ნამგალი“). ძველად სომხეთში მემინდვრეობა და მევენახეობა მებაღეობასა და გვიან მებოსტნეობასთან იყო შეხამებული. მდინარეთა გასწვრივ გაშენებულ ბაღებში გარგრის, ატმის, კომშის, მსხლის, ქლიავის, ალუბლის დიდ მოსავალს იღებდნენ.

სომხები მარცვლეულს მიწაში ამოთხრილ დიდ ხაროებში ინახავდნენ, რომლის კედლებიც კირხსნარით ჰქონდათ შელესილი. სახარჯავ მარცვალს კი საცხოვრებელ ნაგებობასა ანდა საკუჭნაოში (*მარან*) მატყლის ძაფისაგან მოქსოვილ დიდ ტომრებში ინახავდნენ. მარცვალსა და ფქვილს აგრეთვე ხის დიდ ყუთებში (*ამბარი*) ათავსებდნენ. ისევე როგორც საქართველოში, სომხეთშიც ხვნის დროს იცოდნენ შეამხანაგება, რადგან სამიწათმოქმედო რაიონებში ექვსიდან რვა უღელ ხარამდე ფაქტობრივად არავის არ ჰყავდა. დროებით განზოგადოება იცოდნენ არა მხოლოდ საქონლის, არამედ ადამიანთა შრომის, სახვნელი იარაღებისა და მისი ცალკეული ნაწილებისაც კი. მთის ქვიან ფერდობებზე არქაული სახვნელით (*ოროო*) ხნავდნენ, რომელშიც, ჩვეულებრივ, ორ ან სამ უღელ ხარს აბამდნენ. მარცვალს ქართულის მსგავსი კევრით ლეწავდნენ. წისქვილიც ქართულის მსგავსი ჰქონდათ. ისევე როგორც საქართველოში, თითქმის ყველა ოჯახში ჰქონდათ ხელსაფქვავები. მისგან ბურღულს იღებდნენ. სომხეთში პოპულარული იყო მცენარეული ზეთები. ზეთს სელისაგან, ბამბისაგან, ქუნჯუთისაგან, ნიგვზისა და ნუშისაგან ხდიდნენ. პრიმიტიული ზეთსახდელები ყველა ოჯახში ჰქონდათ, მაგრამ ჰქონდათ დიდი ზეთსახდელებიც, რომლებიც ცალკეულ მდიდარ გლეხებსა და მონასტრებს ეკუთვნოდა.

სომხები მესაქონლეობას ყველა ეთნოგრაფიულ მხარეში მისდევდნენ. დაბლობში თუ საოჯახო მეურნეობისათვის აუცილებელი საქონლის რაოდენობას ინახავდნენ, მთაში მას ხშირად სასაქონლო მნიშვნელობაც ჰქონდა. მესაქონლეობას ოდითგანვე სამომთაბარეო ხასიათი ჰქონდა. მთაში ყველა ოჯახს თავისი საძოვარი ჰქონდა, სადაც საქონელს ადრე გაზაფხულიდან აძოვებდნენ. მწყემსებთან ერთად მთაში ქალები და ბავშვებიც მიდიოდნენ. მთელი წლის განმავლობაში, რთვილის გაგდებამდე ისინი საძოვრებზე კარვებსა და მიწურებში ცხოვრობდნენ. აქვე ამზადებდნენ რძის პროდუქტებს. სოფელში დარჩენილი მამაკაცები სამიწათმოქმედო

სამუშაოებს ასრულებდნენ. მამაკაცები იშვიათად ადიოდნენ მთებში, რათა ოჯახები მოენახულებინათ და დამზადებული რძის პროდუქტები ჩამოეტანათ. რძის პროდექტებს ძირითადად ქალები ამზადებდნენ. საზაფხულო საძოვრებზე ქალები მატყლს ამუშავებდნენ, ხალიჩებს ქსოვდნენ.

სომეხთა ტრადიციული საქმიანობა იყო აგრეთვე მეფუტკრეობა, მონადირეობა, მეთევზეობა, შინამრეწველობა და ხელოსნობა. ძველად ფუტკარი ტირიფის ტოტებისაგან მოწნულ სკებში ჰყავდათ. მას ოვალური გოდრის მოყვანილობა ჰქონდა და გარედან ნაკელით, შიგნიდან კი თიხით იყო შელესილი.

სომეხთა მეურნეობაში მიწათმოქმედების დომინირებული როლი მათ ტრადიციულ საკვებშიც აისახა. მის საფუძველს პური წარმოადგენდა, რომელსაც ძირითადად ლავაშის ფორმა ჰქონდა. პურს ქართული თონის მსგავს ვერტიკალურ საცხობში – *თონირში* აცხობდნენ. პურის გამოცხობასთან დაკავშირებული იყო რამდენიმე მაგიურ-რიტუალური ქმედება. მაგალითად, ისევე როგორც საქართველოში, სომხეთშიც არ შეიძლებოდა პურის ცხობას მამაკაცი დასწრებოდა. სომეხთა რწმენით, მამაკაცის თონესთან ყოფნას შეიძლება პურის საცხობის კედლებიდან ჩაცვენა გამოეწვია. პური არ უნდა გაეჭრათ, ის მხოლოდ ხელით უნდა გადაეტეხათ. ისევე როგორც ქართულში, სომხურ ენაში, *პურის ჭამა* („ჰაც უტელ“) საერთოდ ჭამას, სადილობას ნიშნავს. ყოველდღიურად პურთან ერთად მაწონსა და ცხვრის რძისაგან დამზადებულ ყველს მიირთმევდნენ. ფართოდ იყო გავრცელებული ბრინჯისა და ხორბლის ფაფები, რომლებსაც როგორც მცენარეულ ზეთს, ისე ერბოს, ქიშმიშს და ხილს უმატებდნენ. ხორცი უპირატესად სადღესასწაულო და საწესჩვეულებო საკვები იყო. ქრისტიანული რელიგიის ძალიან დიდი ხნის წინ გავრცელების მიუხედავად (IV ს.-ის დასაწყისი), სომხეთში წარმართული მსხვერპლთშეწირვის ტრადიცია კვლავ არსებობდა. მსხვერპლად შეწირვა ყველა საოჯახო, საზოგადოებრივ და საეკლესიო დღესასწაულს ახლდა თან. ცდილობდნენ მსხვერპლად შეწირული ცხოველი (ბატკანი, ცხვარი, ხარი, ხბო) მთლიანად შეეწვათ და შემდეგ ხორცი ყველა დამსწრისათვის შეეხვედრებინათ (შდრ.: საქართველოში მსხვერპლთშეწირული ცხოველის შეწვა არ შეიძლებოდა; მას მხოლოდ ხარშავდნენ). სომხები რამდენიმე ხარისხის ყველს ამზადებდნენ (გაბრტყელებული, ფხვნადი, წვრილი ძაფების სახით). გაბრტყელებულ ყველს ამზადებდნენ როგორც ცხვრის, აგრეთვე ძროხის და თხის რძისაგან ანდა მათი ნარევისაგან. ჩეჩილ ანუ ძაფისებურ ყველს ძირითადად შირაქში აკეთებდნენ. ტრადიციულად ყველს თიხის ჭურჭელში ინახავდნენ და ზედ წათხს (მარილწყალს) ასხამდნენ. ფხვნად ყველს გუდებში ინახავდნენ. იცოდნენ ტოლმა (ვაზის ფოთოლში ან კომბოსტოს ფურცელში გახვეული), ჰარისი (ხორბალში ჩახარშული ხორცი, ერთგვარი ფაფა), ხაში, ბოზბაში, ჩანახი, ჩიხირთმა. ბასტურმა და სუჯუხი (გამომშრალი ცხვრის ან საქონლის ხორცი წიწაკით და ქლიავით) აღმოსავლეთ სომხეთში დასავლეთ სომხეთიდან გადმოსახლებულებმა მოიტანეს. სომხეთის ზოგიერთ რაიონში შემორჩენილი იყო ამიჩი – ერთგვარი დელიკატესი. ეს იყო ბრინჯით, ქიშმიშით, ნუშით, შინდით ან ფინიკით, გარგრის ჩირით და გარგრის კურკის გულით ფარშირებული და თორნეში შემწვარი ქათამი, ბატკანი ანდა გარეული ფრინველი.

სომხეთი ძველი ხელოსნური ტრადიციების ქვეყანაა. XX საუკუნის დასაწყისამდე სომხურ ოჯახში მათი არსებობისათვის აუცილებელ თითქმის ყველა საგანს ამზადებდნენ. შინამრეწველობა არა მხოლოდ ოჯახის შიდა მოთხოვნილებებს, არამედ ბაზრის მოთხოვნილებებსაც აკმაყოფილებდა. განსაკუთრებით განვითარებული იყო რკინის, სპილენძის, ძვირფასი ლითონების დამუშავება, სამშენებლო საქმე, ქვაზე კვეთა, მეთუნეობა, ტყავის დამუშავება, ფეიქრობა (მეხალიჩეობა). საქალაქო ხელოსნობისათვის დამახასიათებელი იყო ვიწრო სპეციალიზაცია. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ერთობ დამახასიათებელი მოვლენა იყო სომხეთიდან ხელოსნების საქართველოში, აგრეთვე

ყირიმსა და სამხრეთ რუსეთში მიგრაცია. ისინი წინა საუკუნეებში წარმოქმნილი სომეხი ვაჭრებისა და ხელოსანთა კოლონიების რიგებს ავსებდნენ.

XIX საუკუნეში დასავლეთ სომხეთიდან სომეხთა ინტენსიური გადმოსახლების გამო, აღმოსავლეთ სომხეთის ტერიტორიაზე თავი მოიყარა სომეხი ხალხის ყველა ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენელმა. ამიტომაც იყო, რომ XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ სომხეთში ეცვათ როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამახასიათებელი, ისე თურქეთის სომეხთათვის დამახასიათებელი ტანსაცმელი. აღმოსავლეთ სომეხთა კოსტიუმისათვის დამახასიათებელი იყო სამხრეთ კავკასიის სხვა ხალხებისათვის დამახასიათებელი ბევრი ნიშანი. მამაკაცთა თავსაბურავი ცხვრის ტყავისაგან შეკერილი მაღალი და კონუსისებური ქუდი იყო. ფეხსაცმელს კი მოქნილი ტყავისაგან კერავდნენ, რომელიც ჩვენს ქალამანს წააგავდა. ქალები უპირატესად წითელი ფერის გრძელ კაბებს ატარებდნენ. ჩვეულებრივ დიდი მოსახვევებით ისინი ცხვირსა და სახის ქვედა ნაწილს იფარავდნენ. დასავლეთ სომეხთა ქალების ტანსაცმელი თუ თითქმის არ განსხვავდებოდა აღმოსავლეთ სომეხთა ქალების ტანსაცმლისაგან, მამაკაცების ტანსაცმელი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. დღეისათვის ტრადიციულ სომხურ ტანსაცმელს მიყრუებულ სოფლებში იშვიათად მხოლოდ მოხუცებიღა ატარებენ.

სომეხთა სოფლები უმთავრესად მთათა ფერდობებზე იყო შეფენილი. ის ერთმანეთთან მჭიდროდ მიკრული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების გროვას წარმოადგენდა. ისინი ხშირად იარუსებად იყო განლაგებული და ერთი სახლის ბრტყელი სახურავი მეორისათვის ეზოს წარმოადგენდა. სახლები და სამეურნეო ნაგებობები ისე იყო ერთმანეთთან მჭიდროდ მიდგმული, რომ სოფელში არც ხეებისათვის და არც ბოსტნისათვის ადგილი აღარ რჩებოდა. ნაგებობათა განაშენიანების შექუჩებული ფორმა დაბლობშიც შეინიშნებოდა, მაგრამ აქ ცალკეული კარ-მიდამო და უბანი მკვეთრად გამოიყოფოდა და, რაც მთავარია, ისინი ბაღებსა და ვენახებში იყო ჩაფლული. ყველა სოფელში ანდა მისგან ახლოს, აგებული იყო ეკლესია, რომლის გალავანშიც ხშირად სოფლის ყრილობას მართავდნენ. სომხეთის ბევრი სოფლის ეკლესია შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლია. სოფლის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს წყარო წარმოადგენდა. წყაროების თაყვანისცემა და მისი სისუფთავისათვის ზრუნვა სომეხთა ძველი ტრადიცია იყო. ზოგიერთ სომხურ სოფელში, თავდაცვის მიზნით გაკეთებული, ერთი სახლიდან მეორე სახლში საიდუმლო გასასვლელები არსებობდა. მომთაბარე მესაქონლეობის რაიონებში სეზონური საზაფხულო და საზამთრო დასახლებები ჰქონდათ. უტყეო მაღალმთიან სოფლებში არც ერთი ხე არ ჩანდა. აქ სოფლებსა და მათ მახლობლად წივის კოშკები იყო აღმართული.

XX საუკუნის დასაწყისამდე სომხეთში შემორჩენილი იყო საცხოვრებელი ნაგებობების არქაული ტიპი, რომლის მსგავსი ნაგებობები ძველად დამახასიათებელი იყო აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ აზერბაიჯანისათვის, აგრეთვე წინა აზიის ზოგიერთი ოლქისათვის. სომხები დარბაზული ტიპის ერდოიან-გვირგვინიან სახლს **გლახატუნს** უწოდებდნენ. ის ძირითადად ცენტრალურ და დასავლეთ მთაგორიან სომხეთში იყო გავრცელებული (*სევანის ტბის აუზი, ლორე-ბამბაკი, ზანგეზური, შირაქი, ერზერუმ-ყარსი* (*მაღალი სომხეთი*), *აგრის* (ძველი *ბაიზეთი*) და *ვანის* ვილაიეთები). *ყარაბაღელ* სომეხთა ერდოიან-გვირგვინიანი სახლები **ყარდამის** სახელით არის ცნობილი. აქ ის ცალკე მდგარ საცხოვრებელ ნაგებობას წარმოადგენდა. საერთო ქართულისაგან განსხვავებით, სომხური (მაღალსომხური) კომპლექსი უფრო დახშულ ნაგებობას წარმოადგენდა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ერდოიან-გვირგვინიანი სახლი სომხეთში დიდი ოჯახის საცხოვრებელს წარმოადგენდა. ბევრი იყო მიწურბანიანი საცხოვრებელი სახლიც. ზოგიერთ ეთნოგრაფიულ რაიონში ძველი სომხური საცხოვრებლების ერთი სახურავის ქვეშ მოქცეული იყო სამეურნეო ნაგებობებიც, ზოგიერთში კი – შედარებით თბილ მხარეებში

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ერთმანეთისაგან დაცალკავებული იყო. გლახატუნს, ჩვეულებრივ, ფანჯრები არ ჰქონდა. მასში შუქი ერდოდან შედიოდა, რომელიც ამავე დროს, კვამლის გასასვლელიც იყო. გასათბობად, საჭმლის დასამზადებლად და ზოგჯერ პურის გამოსაცხობადაც კერას იყენებდნენ. გლახატუნის შიგნით, ანდა მიშენებულ პატარა ნაგებობაში მოწყობილი ჰქონდათ ვერტიკალური საცხობი – *თონირი.* ამის გამო, სახლს ხშირად *თორნა-ტუნს,* ე. ი. *სახლი თონირით* უწოდებდნენ. მთელი საოჯახო ჭურჭელი, ჩვეულებრივ, კედლის გასწვრივ ჰქონდათ ჩამწკრივებული, ანდა ნიშებსა და თახჩებში ეწყოთ. სახლში სომხებს დაბალი ტახტები ედგათ, რომლებზედაც ისხდნენ, ღამით კი წვებოდნენ. ტახტებსა და იატაკზე ხალიჩები და ქეჩები ჰქონდათ დაფენილი. სომხეთის დაბლობ რაიონებში სხვა ტიპის საცხოვრებელი სახლები იყო გავრცელებული. აქ უპირატესობას ბრტყელი (ბანიანი) გადახურვის თიხატკეპნილ ნაგებობებს ანიჭებდნენ. გარდა ერთსართულიანი ნაგებობებისა, რომელიც ერთი საცხოვრებელი და რამდენიმე სამეურნეო სათავსისაგან შედგებოდა, სომხეთში გავრცელებული იყო ნახევრად მიწაში ჩადგმული სართულნახევრიანი ნაგებობები, რომლის მიწისზედა ნაწილს საცხოვრებლად იყენებდნენ, ნახევრადსარდაფი კი სამეურნეო დანიშნულებისა იყო. ხშირად ასეთი სახლების ფასადის გასწვრივ ფარდულებს მართავდნენ. სხვადასხვა ტიპის ტრადიციული საცხოვრებელი თანდათან სახეს იცვლიდა; აქა-იქ XX საუკუნის შუა ხანებამდე შემორჩა.

საქონელი მოთავსებული ჰყავდათ განსაკუთრებულ ნაგებობაში – *გომე,* რომელიც აღმოსავლეთ სომხეთში ჩვეულებრივ საცხოვრებლისაგან დაშორებით ჰქონდათ აგებული, დასავლეთში კი საცხოვრებლებზე იყო მიშენებული. *გომეს* სახურავზე ზამთარში საკვებს ინახავდნენ. *გომეს* ნაწილი ტიხარით ჰქონდათ გამოყოფილი და მასში სასტუმრო ოთახი – *გომი ოდა* ჰქონდათ მოწყობილი, სადაც მამაკაცები იკრიბებოდნენ და უცოლო კაცები ღამეს ათევდნენ.

ძველ სომხეთში უაღრესად განვითარებული იყო საქალაქო ცხოვრება. ელინისტურ ხანაში ქალაქმშენებლობამ ინტენსიური ხასიათი მიიღო, რაც ვაჭრობისა და ხელოსნობის აღმავლობასთან იყო დაკავშირებული. ამ დროს წარმოიქმნა ისეთი ქალაქები, როგორებიც იყო *არშამაშატი* და *არტაკიოკერტი* **სოფენაში,** *არტაშატი, არმავირი, ერვანდაშტი, ტიგრანაკერტი, ვაღარშაპატი* და სხვა ქალაქები დიდ სომხეთში. სომხური ქალაქების კულტურაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა მახლობელი აღმოსავლეთის ელინისტური ქალაქების კულტურამ. ძვ. წ.-ის II საუკუნეში აშენებული *არტაშატი* ძველ სამყაროში ფართოდ ცნობილი ქალაქი იყო. *პლუტარქე* მას „სომხეთის კართაგენს“ უწოდებდა. თავისი დროის ერთ-ერთი დიდი ქალაქი იყო *ტიგრანაკერტი.* მის მცხოვრებთა რაოდენობა ასი ათასს აჭარბებდა. სომხეთში დიდი ქალაქები შუა საუკუნეებშიც არსებობდა – *დვინი, ანისი, ერზინკი, კარინი, ყარსი, ვანი, არწნი, ხლათი, მანაზკერტი,* კილიკიის სამეფოში – *აიასი, სისი, ტარსი, ადანი* და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ძველი სომხეთის ქალაქები სავაჭრო-სამრეწველო ცენტრები იყო, მათ მაინც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ სოფლის მეურნეობასთან. ქალაქების მოსახლეობა სოფლის მეურნეობითაც იყო დაკავებული. სელჯუკი, მონღოლი, სპარსელი და თურქი დამპყრობლების შემოსევების შედეგად სომხეთის ბევრი ქალაქი საფუძვლიანად დაიქცა. ჩაკვდა საქალაქო ცხოვრებაც. რუსეთთან შეერთების დროს აღმოსავლეთ სომხეთში ყველაზე დიდი ქალაქები იყო: *ერევანი* და *ალექსანდრეპოლი (გიუმრი),* დასავლეთ სომხეთში – *ყარსი, კარინი (ერზერუმი), ერზინკა, ვანი, მუში, ბითლისი* და სხვ. თითქმის ყველა მათგანი პატარა იყო და გარეგნულად დიდი სოფლებისაგან არც კი გამოირჩეოდა. მაგალითად, 1827 წელს *ერევანში* დაახლ. 10 ათასი მცხოვრები იყო. 1886 წელს ერევნის მოსახლეობა 14 738-ს ითვლიდა. ამავე პერიოდში თითქმის ერთიორად დიდი იყო *ალექსანდრეპოლი* (*გიუმრი*). 1886 წლის საოჯახო სიებით აქ 24.230 კაცი ცხოვრობდა. ერევანსა და ვანში თითქმის ისეთივე

ტიპის საცხოვრებელი სახლები ჰქონდათ, როგორც მევენახეობა-მებაღეობის ზონის სოფლებში – ერთსართულიანი თიხატკეპნილი მიწურბანიანი ნაგებობები.

XIX საუკუნის მთელ მანძილზე სომხეთში შემორჩენილი იყო დიდი ოჯახი (*გერდასტან*). დიდი ოჯახის წევრები ერთ საცხოვრებელ სახლში ცხოვრობდნენ და მათ საერთო მეურნეობა ჰქონდათ. ასეთ *გერდასტანებში* ზოგიერთ მიყრუებულ ადგილას XIX საუკუნის ბოლოს 50 და მეტი ადამიანი იყო გაერთიანებული. აღმოსავლეთ სომხეთში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების გამო დიდმა საოჯახო გაერთიანებებმა დაშლა დაიწყო. ამ დროიდან მოკიდებული, ოჯახის ტიპიურ ფორმად პატარა ოჯახი იქცა. თურქეთის სომხეთში კი დიდი ოჯახი ბოლო დრომდე, მათ ფიზიკურ განადგურებამდე და დეპორტაციამდე შემორჩა. იგივე შეიძლება ითქვას თემის შესახებაც. გაბატონებული იყო პატრიარქალური ურთიერთობები, რაც ასაკით უფროსის უცილობელ ხელისუფლებაში გამოიხატებოდა. ოჯახის უფროსი მამაკაცი (*ტანტერი*) ერთპიროვნულად განაგებდა გერდასტანის როგორც მოძრავ, ისე უძრავ ქონებას, ასევე მისი წევრების პირად ბედს. *ტანტერის* ფუნქციაში შედიოდა საერთო-საოჯახო მეურნეობის ორგანიზაცია, სამამაკაცო სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობა, ოჯახის მთელი შემოსავლების კონტროლი. ოჯახის უფროსის მიმართ ეტიკეტის გარკვეული ნორმები არსებობდა: მისი გამოჩენისთანავე ყველა ფეხზე დგებოდა, მის მითითებებს ფეხზე მდგომნი ისმენდნენ, მისი თანდასწრებით ხმამაღალი ლაპარაკი წარმოუდგენელი იყო. ოჯახის უფროსი მაგიდასთან პირველი ჯდებოდა, კერასთან ცენტრალური ადგილი ეჭირა. ძილის წინ უმცროს რძალს ოჯახის უფროსისათვის ფეხთ უნდა გაეხადა და ფეხები დაებანა. პატრიარქალურ სომხურ ოჯახში განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა ოჯახის უფროსი ქალი. ის შიდასაოჯახო ყოფის ერთპიროვნული მმართველი და სრულუფლებიანი დიასახლისი იყო. ოჯახის უფროსი ქალი საზაფხულო საძოვრებზე გასულ ოჯახის ნაწილსაც მეთაურობდა. ქორწინებისას მასვე ეკუთვნოდა გადამწყვეტი სიტყვა, თვალყურს ადევნებდა რძლების საქმიანობას. მას ერთადერთს შეეძლო ქმართან ერთად სუფრასთან დაჯდომა.

სომეხთა ჩვეულებითი სამართლით პირდაპირ მემკვიდრეებად მხოლოდ მამაკაცები ითვლებოდნენ. უმემკვიდრეოდ დარჩენილი ოჯახის სახვნელი მიწა და სათიბი თემის საკუთრებაში გადადიოდა. დანარჩენ უძრავ (ბაღი, წისქვილი, სამეურნეო ნაგებობები) და მოძრავ ქონებას უახლოესი ნათესავები ეუფლებოდნენ.

სომხებმა იცოდნენ ძმად გაფიცვა. გოგონას და ვაჟის დაძმობილების შემთხვევაში, მათ დაქორწინება აღარ შეეძლოთ. ფართოდ იყო გავრცელებული ურთიერთდახმარება, უმძრახობის წეს-ჩვეულება.

სანათესაო პატრონიმიულ ჯგუფს სომხები **აზგს** უწოდებდნენ (ეს ტერმინი სომხური ენაში არა მხოლოდ „ნათესავების ჯგუფს“, არამედ „ხალხს“, „ნაციასაც“ გამოხატავს). *აზგი* დიდი ოჯახის გაყოფის შემდეგ ყალიბდებოდა. მისი წევრები ერთმანეთთან გარკვეული სამეურნეო, ტერიტორიული და სულიერი კავშირებით იყვნენ დაკავშირებულნი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული **სომხებში გვარი არ არსებობდა. მან ჩამოყალიბება მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. XX საუკუნის დასაწყისშიც ბევრ სომეხს გვარი არ ჰქონდა.** გვარსახელების ფუძედ ძირითადად მამის სახელი იქნა გამოყენებული. აღნიშნული დროისათვის ყველაზე ფართოდ გავრცელებული მამაკაცის საკუთარი სახელი იყო **ჰარუთინ**. ამიტომაცაა, რომ სომეხთა შორის ძალიან ხშირია ჰარუთინიანის გვარი. ამ გვარსახელის წარმომადგენლები (მატარებლები) ერთმანეთთან არც რაიმე ნათესაური კავშირით და, მით უმეტეს, არც საერთო წარმომავლობით არიან დაკავშირებული. სომხებში ეგზოგამიას მხოლოდ ოთხი თაობის განმავლობაში იცავდნენ. მეხუთე თაობიდან ნათესავები ერთმანეთზე ქორწინდებოდნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზი აქვს გასმული იმ გარემოებას, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე აზგის შიგნით ქორწინება აკრძალული იყო.

აკრძალული იყო ქორწინება მოყვრებს შორისაც. არ შეიძლებოდა ორი დის ორ ძმაზე დაქორწინება. ქორწინების შემზღუდველი ფაქტორი იყო რელიგიურ-კონფესიური ფაქტორიც. მონოფიზიტი (გრიგორიანელი) სომხები კათოლიკე სომხებზე არ ქორწინდებოდნენ. ამის ნებას მათ სომხურ-გრიგორიანული ეკლესია არ აძლევდა. მითუმეტეს არ ქორწინდებოდნენ სომხები მაჰმადიანებზე, რომლებიც მათ შორის მრავლად ცხოვრობდნენ, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ სომხეთში. არც ქართული მართლმადიდებელი ეკლესია მიესალმებოდა სომხურ-ქართულ ქორწინებებს. მიუხედავდ ამისა, XIX საუკუნის ავტორი *ს. მაჩაბელი* წერდა, რომ თბილისელი სომხები ხალისით ათხოვებენ თავიანთ ქალიშვილებს ქართველ მამაკაცებზეო. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, ან ერთს, ან მეორეს კონფესია უნდა შეეცვალა. იგივე ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ თვითონ სომხები ქართველ ქალებზე იშვიათად ქორწინდებიანო (უფრო სწორი იქნებოდა რომ დაეწერა, ქართველები თავიანთ ქალიშვილებს სომხებზე არ ათხოვებენო). XX საუკუნეში საქართველოში საეკლესიო შეზღუდვის მოხსნის შემდეგ, სომხურ-ქართული ქორწინებები უფრო გახშირდა. საქორწინო წრე ტერიტორიულადაც შეზღუდული იყო – ცდილობდნენ პატარძალი სოფელში, ანდა მეზობელ სოფელში შეერჩიათ. ასეთი ლოკალური ენდოგამია სომეხთა სხვადასხვა ჯგუფებისთვისაც იყო დამახასიათებელი. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინ *ვაიოც-ძორში* იყო სოფლები, რომლის მაცხოვრებლებიც თავიანთ თავს *ძველ სომხებს* უწოდებდნენ, ხოლო 1828 წელს აქ ირანიდან მიგრირებულ სომხებს *ახალი სომხების* სახელით მოიხსენიებდნენ. ხანგრძლივი დროის განმავლობაში სომხების ეს ორი ჯგუფი, ერთმანეთის მეზობლად ცხოვრების მიუხედავად, ერთმანეთზე არ ქორწინდებოდა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ძველი თბილისელი სომხების (რომელთა უმეტესობის დედაენაც ქართული იყო) პირველი მსოფლიო ომის დროს მოსული სომხებისადმი დამოკიდებულების შესახებაც. ძველი თბილისელი სომხები მათ *ღრმა სომხებს* უწოდებდნენ და, ჩვეულებრივ, მათთან საქორწინო ურთიერთობასაც ერიდებოდნენ.

სომხებმა ურვადი არ იცოდნენ, მაგრამ პატარძლის დედისათვის მიჰქონდათ საჩუქარი, რომელსაც *რძის ფასი* („ციცი-გინი“) ეწოდებოდა. იცოდნენ მზითვის გატანება. ქორწინება მონოგამიური და დაურღვეველი იყო. ღალატი დანაშაულად ითვლებოდა. ქორწილი მთელი თემის საქმედ ითვლებოდა. ნათესავებს გარდა, საქორწილო რიტუალში აქტიურ როლს თამაშობდნენ ჯვარისწერის *მამობილი* („ქავორ“) და ჯვარისწერის *დედობილი* („ქავორკინ“), ნეფის ამალა („მაყარი“) და საქორწილო მაგიდის ხელმძღვანელი („თამადა“). საქორწილო დღესასწაული სამი დღე გრძელდებოდა. ის გაჯერებული იყო საზოგადოებრივი ვედრებისა და მაგიური ქმედებების არქაული ციკლით, რათა უზრუნველეყოთ ახალი ოჯახის ნაყოფიერება და კეთილდღეობა. ამ ციკლში შედიოდა საფლავზე ლოცვაც, რაც წინაპართა კულტის გადმონაშთად მიაჩნიათ, ხარის მსხვერპლთშეწირვაც და ახალგაზრდებისათვის ტკბილეულის, მარცვლეულის და მონეტების მიყრა. საეკლესიო ჯვარისწერა და ქორწილში მღვდლის მონაწილეობა მათ საერთო წარმართულ განწყობას არ არღვევდა.

თავისებური იყო სომეხთა მიცვალებულის დაკრძალვის წესები. ზოგიერთი მონაცემით, XIX საუკუნის ბოლოს სომხეთში სცოდნიათ გარდაცვლილი მამაკაცის კევრზე განბანა. **გარდაცვალებისთანავე მიცვალებული ეკლესიაში გადაჰქონდათ და მეორე დღეს მას კრძალავდნენ.** სომხებმა კუბო არ იცოდნენ. სუდარაში გახვეულ მიცვალებულს დასაკრძალავ საკაცეზე აწვენდნენ და ისე გამოჰქონდათ ეკლესიიდან. XIX საუკუნის 40-იან წლებამდე ქალები დაკრძალვას არ ესწრებოდნენ. **მათ არც სამგლოვიარო ტანსაცმლის ჩაცმა იცოდნენ.** სამგლოვიარო ტრაპეზს ზოგიერთ ეთნოგრაფიულ რეგიონში მხოლოდ მამაკაცები ესწრებოდნენ, ზოგიერთგან კი ქალები და მამაკაცები ცალ-ცალკე სხდებოდნენ. ქელეხში მიჰქონდათ ხაშლამა, ლობიო, ჰარისი და სახლში გამოხდილი არაყი, იშვიათად –

თეთრი ღვინო. სომხური საფლავის ქვებზე გამოსახულია ის ინსტრუმენტები და იარაღი, რომელსაც მიცვალებული სიცოცხლეში ხმარობდა. სომხური საფლავის ძეგლები მაღალი სარკოფაგის ფორმისაა და უფრო ძველია *ხაჩქარები* (ქვის ჯვრები). *ხაჩქარები* ორნამენტებითაა დამშვენებული. გარდა *ხაჩქარის* ფორმის საფლავის ქვებისა, გვხვდებოდა ცხვრის, ცხენის გამოსახულებიანი საფლავის ქვებიც. საერთოდ, სომხეთი ქვის დამუშავების ხელოვნებით გამორჩეული იყო. გადმოცემებსა და ლეგენდებში არც თუ იშვიათად სომხეთი **ქარასტანად, ე. ი. ქვის ქვეყნადაა** სახელდებული, რითაც ქვეყნის რელიეფის თავისებურება ხატოვნადაა გადმოცემული. ამ გარემოებამ სომხების ერთ-ერთ ძირითად პროფესიად ქვის დამუშავება (თლა, ჭრა, კვეთა) აქცია. შუა საუკუკნეების სომხური ეკლესიები მდიდრადაა მოჩუქურთმებული. მაგრამ სომხური ეკლესიები ფრესკული ფერწერით არ იყო დამშვენებული, რაც ასე დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეების საქართველოსა და ევროპისათვის. ზოგიერთი მეცნიერი ამ გარემოებას ისლამის გარემოცვით ხსნის, რადგან მათ სამყაროში როგორც უბრალო ადამიანები, ისე ზედაფენის წარმომადგენლები ადამიანის გამოსახულებებს ცუდი თვალით უყურებდნენ. მხოლოდ საქართველოს შემადგენლობაში შემავალი ჩრდილოეთ სომხეთის ტერიტორიაზე აგებულ ტაძრებშია ფრესკები. მაგალითად, 1215 წელს ქალაქ *ანისში ტიგრან ხორენცის* აშენებული *წმინდა გრიგოლის* ეკლესია შეიძლება დავასახელოთ. **ამ ეკლესიაში წარწერები ქართულ ენაზეა შესრულებული**. მეცნიერებს ისიც შენიშნული აქვთ, რომ აღნიშნული ტაძრის მოხატულობაში ადამიანთა ფიგურების გამოსახულებებში აშკარად იგრძნობა ბერძნულ-მართლმადიდებლური გავლენა. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად აღნიშნავენ ილუსტრირებული მანუსკრიპტების ხელოვნების მაღალი დონის შესახებ. ისიც აღნიშნულია, რომ ფერადი მინიატურების ხატვა საზღვარგარეთიდან შევიდა, მაგრამ მან ადგილობრივი განვითარების მაღალ დონეს მიაღწია.

მიუხედავად იმისა, რომ სომხეთში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად IV საუკუნის დასაწყისში გამოცხადდა, ძველი სომხური სოფელი გამსჭვალული იყო არქაული რწმენა-წარმოდგენებით და ცრურწმენებით. VI საუკუნის დასაწყისიდან სომხური ქრისტიანული ეკლესია სხვა ქრისტიანული ეკლესიებისაგან გამოცალკევებულად არსებობდა. ამ გამოცალკევებულობის ძირითადი მიზეზი დოგმატურია – **სომხური ეკლესია ქრისტეს მხოლოდ „ღვთაებრივ“ ბუნებას ცნობს**. განცალკევებულობის ძირითადი მიზეზი მაინც სოციალურ-ისტორიული იყო. ცნობილია, რომ როგორც საქართველო, ისე სომხეთიც მაზდეანურ ირანსა და ისლამურ არაბთა სახალიფოს ქრისტიანობით უპირისპირდებოდა. მაგრამ ამავე საშუალებით ბიზანტიის შემოტევებისაგან თავის დაცვა შეუძლებელი იყო და სომხურმა ეკლესიამაც ქრისტიანული სარწმუნოების ის მიმართულება აირჩია (მონოფიზიტობა), რომელიც ბიზანტიის ხელსუფალთა მიერ იყო უარყოფილი. ამით ის იდეოლოგიურად ბიზანტიასაც გაემიჯნა და იმავდროულად, როგორც ანტიბიზანტიურმა ძალამ, ირანისა და შემდეგ არაბთა სახალიფოს მხარდაჭერაც მიოპოვა. ქართველები ბიზანტიის მხარეზე დარჩნენ, რითაც ისინი დაუპირისპირდნენ, როგორც ირანსა და შემდეგ არაბთა სახალიფოს, ისე სომხეთს სამხრეთ კავკასიის ასპარეზზე იდეოლოგიური და ამდენადვე პოლიტიკური ჰეგემონობისათვის. სომხურმა ეკლესიამ განსაკუთრებული როლი ითამაში სომეხი ხალხის ეთნიკურ ისტორიაში. მეზობელ ქვეყნებში (საქართველო, ალბანეთი) მონოფიზიტობამიღებულნი უკვე სომხებად იწოდებოდნენ. მათ, მთელ მსოფლიოში გაფანტული ბოშებისაგან განსხვავებით, მოსული ბოშების გასომხებაც კი მოახდინეს. ასე რომ, სომხური ეკლესიისათვის ოდითგანვე დიდი პროზელიტიზმი იყო დამახასიათებელი. XI საუკუნის შემდეგ სომხებმა სახელმწიფოებრიობა დაკარგეს, რასაც მალევე სომხური არისტოკრატიის დენაციონალიზაცია მოჰყვა. *ნ. მარის* შენიშვნით, სომხურ საერო ფეოდალთა კლასი XII საუკუნეში სრული დენაციონალიზაციის უკანასკნელ საფეხურზე იმყოფებოდა. საქართველოში

შემავალი ჩრდილოეთ სომხეთის საერო ფეოდალების ქართულ საერო ფეოდალიზმთან სრული ნიველირება მოხდა. ამ ფონზე **სომეხთა დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური მოთავეობა სომხურმა ეკლესიამ ითავა**. ეკლესია იყო აგრეთვე მიწის ერთ-ერთი მესაკუთრე და ძველი დამწერლობითი კულტურის შემნარჩუნებელი.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სომხებმა საუკუნეთა განმავლობაში დიდი კულტურა შექმნეს და ეს მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათ სახელმწიფოებრიობა არ ჰქონდათ და ხან ვის ჰქონდა მათი მიწა-წყალი მიტაცებული და ხან – ვის. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია სომხური ფოლკლორის მრავალფეროვნების შესახებ. მათ შორის ყველაზე ცნობილია შუა საუკუნეების საგმირო ეპოსი *„დავით სასუნცი“*, რომელიც არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლას ასახავს. შორეული დროიდან დღემდე მოაღწია სომხურმა საგალობლებმა და ცეკვებმა – საწესჩვეულებო შრომის, სამხედრო შინაარსის ცეკვებმა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სომხური ცეკვები ორიგინალური არ არის და ისინი ძალიან წააგავს მეზობელი ირანელი და ქურთი ხალხების ცეკვებს. ქურთი ეთნოლოგის *ლ. ფაშაევას* მტკიცებით, ცეკვა *ქოჩარი* სომხებს ქურთებისაგან აქვთ შეთვისებული. სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა აღნიშნული სომხური ხალხური სიმღერების ჟანრობრივი მრავალფეროვნების შესახებაც (სასიყვარულო, საქორწილო, სააკვნე, სიმღერა-ტირილები). სახალხო მომღერლები (*გუსანები*) ხალხში ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. ისინი *აშუღების* ტიპის მომღერლები იყვნენ. სიტყვა *გუსანი* კი პართიული წარმოშობისაა და *დ. ლენგის* მიხედვით ის *არშაკიდების* მუსიკალურ სამყაროსთანაა დაკავშირებული. *გუსანები* ანუ *აშუღები* ქართული *მგოსნების* ტიპის მომღერლები იყვნენ. ამ ფონზე ფრიად გასაოცარია, როდესაც 2006 წელს გერმანიის ქალაქ *შტუტგარდტში* გამოსულ კომპაქტდისკზე ქართული ხალხური სიმღერების შედევრები *„ჩაკრულო“* და *„მრავალჟამიერი“* სომხურ ხალხურ სიმღერებადაა მოხსენიებული, ანსამბლი *„რუსთავი“* კი – სომხურ ანსამბლად. საერთაშორისო საზოგადოება შეცდომაშია შეყვანილი. სომხურ და ქართულ ხალხურ სიმღერებს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა, მათ არანაირი მსგავსება, ან საერთო რამ ერთმანეთთან არა აქვთ. სომხური ხალხური სიმღერები, ისევე როგორც ირანული და აზერბაიჯანული (თურქული), აგრეთვე კავკასიის სხვა ხალხთა ხალხური სიმღერები ერთხმიანია, ქართული ხალხური კი მრავალხმიანია (სამხმიანი და ოთხხმიანიც კი). ქართული საზოგადოება დიდი ხანია შეეჩვია ზოგიერთი სომეხი ვაიმეცნიერისაგან ქართული საეკლესიო არქიტექტურის, *შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“* სომხურად გამოცხადებას, საქართველოს ისტორიული ტერიტორიების (მაგალითად, *ტაოს, ჯავახეთის, ქვემო ქართლის*) სომხურ მიწებად გამოცხადებას, მაგრამ ქართულ მრავალხმიან სიმღერებსაც თუ ვინმე სომხურ ხალხურ სიმღერებად გამოაცხადებდა, ეს წარმოუდგენელი იყო. სხვათა შორის, სომხებისადმი მიძღვნილ წიგნში ინგლისელი მეცნიერი *დევიდ ლენგი* წერს, რომ სომხური ქრისტიანული ეკლესია მტრულ დამოკიდებულებაში იყო საერო მუსიკისადმი, ალბათ მასში რელიგიური საგალობლების მოწინააღმდეგეს ხედავდაო. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სომხური ეკლესიის ეს ბრძოლა სომხური საერო (ხალხური) სიმღერებისადმი გამოწვეული იყო არა მეტოქეობით, არამედ იმით, რომ საუკუნეთა განმავლობაში სომხურმა მუსიკალურმა ფოლკლორმა აღმოსავლური (ირანული, არაბული, თურქული, ქურთული) მუსიკალური ფოლკლორის დიდი გავლენა განიცადა. *გუსანების (აშუღების)* ტიპის მომღერლებს შორის განსაკუთრებით გამოყოფენ XVIII საუკუნის თბილისში მცხოვრებ *აშუღს საიათნოვას*, რომელიც თავის სიმღერებს თხზავდა ქართულ, სომხურ და თურქულ ენებზე. XII საუკუნიდან სომხები იყენებდნენ ძველსომხურ მუსიკალურ ნოტებს (*„ხაზი“*). სომხური ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტები იყო: დუდუკი, ჩონგური, საზი, თარი, ქამანჩა, ზურნა, დოლი, სტვირი (*ტიკმ*).

სომხეთი განათლებისადმი მიდრეკილებით გამორჩეული ქვეყანა იყო. განსაკუთრებით განვითარდა საისტორიო მწერლობა. „სომხური ისტორიოგრაფიის მამად“ ითვლება V საუკუნის მოღვაწე *მოვსეს ხორენაცი.* სამეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებით გამოყოფენ გეოგრაფის, ასტრონომის და მათემატიკოსის *ანანია შირაკაცის* (VII ს.) ღვაწლს. ზოგიერთი მეცნიერი მის ნაშრომად თვლის „აშხარაცუიცს“ (გეოგრაფიას), რომელშიც ევროპის, აზიის ქვეყნებს გარდა, საქართველოსა და კავკასიის შესახებაცაა საინტერესო გეოგრაფიული მონაცემები. სომხები დიდად უფრთხილდებიან ძველ სომხურ ხელნაწერებს, რომლებიც გარდა ისტორიისა, მეცნიერების სხვა დარგებსაც შეეხება. ამ ხელნაწერებიდან დაახლ. 15 ათასი მატენადარანშია დაცული. XVI საუკუნიდან სომხური კულტურა ძირითადად სომხეთის ფარგლებს გარეთ ვითარდებოდა (პირველი წიგნი ვენეციაში 1512 წელს დაიბეჭდა). უცხოეთის ყველა ქვეყანაში მცხოვრები სომხები ეროვნულ სკოლებს ხსნიდნენ. XIX საუკუნის პირველ ნახევარში სომხურ ენაზე 30-მდე პერიოდული გამოცემა გამოდიოდა, მათ შორის, ექვსი კონსტანტინეპოლში, ხუთი – ვენეციაში, სამი – თბილისში. სომხური გაზეთები იბეჭდებოდა აგრეთვე სმირნაში, კალკუტაში, მოსკოვში. საბჭოთა პერიოდში მსოფლიოში სახელგნთქმული იყვნენ ასტროფიზიკოსი *ვიქტორ ამბარცუმიანი* და კომპოზიტორი *არამ ხაჩატურიანი.*

VIII. 2. ჩერქეზოჰაიები©

ჩერქეზოჰაიები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მცხოვრები ერთ-ერთი ეთნიკური ჯგუფი იყო, რომლებსაც ეთნიკური და ენობრივი თვალსაზრისით უფრო მეტი საერთო ჰქონდათ ჩერქეზებთან, ვიდრე სომხებთან. სამეცნიერო ლიტერატურაში **ჩერქეზოჰაიები მთის სომხების, ჩერქეზი სომხების** სახელწოდებითაც იყვნენ ცნობილნი. დიუმეზილის მიხედვით, სომხური წყაროები ჩერქეზოჰაიებს **ნატუხაელ სომხებს** – “les Arméniens našoxač” უწოდებდნენ. დღეს ჩერქზოჰაიები სომხური ენის გამორჩეულ დიალექტზე მეტყველებენ და საკუთარ თავს **ერმენლის** უწოდებენ. ჩერქეზოჰაიების საერთო რაოდენობის დადგენა შეუძლებელია, რადგან მათი უმრავლესობა საკუთარ თავს სომეხად მოიხსენიებს და რუსეთის სახელმწიფო აღწერებშიც სომხებად ფიქსირდება. ჩერქეზოჰაიების ეთნიკური ჯგუფის განსახლების არეალი თავდაპირველად ჩერქეზეთის მთიანეთი იყო. XIX საუკუნის შუა ხანებისათვის ისინი ჩრდილოეთ კავკასის ბარში დასახლდნენ.

მეცნიერებაში საერთო აზრი არ არსებობს ჩერქეზეთის მთებში სომხების დასახლების შესახებ. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით (*ფ. შერბინი*) ჩერქეზოჰაიების წინაპრები XIV საუკუნეში კილიკიის სომხური სამეფოს დაშალის შემდეგ არიან გადმოსახლებულნი. სხვათა შეხედულებით (*ლ. პოღოსიანი*), გადმოსახლება XV საუკუნეში ყირიმის სახანოს ტერიტორიიდან უნდა მომხდარიყო. სომხების ჩერქეზეთში გადმოსახლების პრობლემაზე ყურადღებას იქცევს *გ. არაქელიანის* გამოკვლევები. სხვადასხვა წყაროებისა და საარქივო მასალების შესწავლით ის ასკვნის, რომ ჩერქეზეთში პირველი გადმოსახლებულები სომხეთიდან მოსული მებრძოლები იყვნენ, რომლებიც ჩერქეზეთში ჯერ კიდევ X-XI საუკუნეებში გამოჩნდნენ. როგორც *გ. არაქელიანი* აღნიშნავს, სომხები ადგილობრივ მოსახლეობას დიდი პატივით მიუღია და შესაბამის იერარქიაშიც მაღალი მდგომარეობა დაუკავებიათ და ჩერქეზეთის ზედაფენასთან – უზდენებთან – უფლებებით გაუთანაბრებიათ. ფრანგი მეცნიერი, ეთნიკური ქართველი *გ. შარაშიძე* მიუთითებს 1062 წლის რუსულ წყაროს, სახელდობრ „გალიჩის თავად თევდორე დიმიტრის ძის სიგელს“, რომელშიც *ქაშაგელი სომხები* (“Arménies Kosox”)

© გიორგი ავთანდილაშვილი

არიან მოხსენიებულნი. თუ ეს ცნობა რეალური ვითარების ამსახველია, მაშინ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში სომხური მოსახლეობის გაჩენა XI საუკუნეში უკვე ფაქტია. ეს ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ეს ქაშაგელი სომხები სომეხთა სამხედრო რაზმები იყვნენ, რომლებიც ბიზანტიამ საჩქაროდ ბალკანეთში გააგზავნა დავალებით, რათა ოჯახებთან ერთად აქ დასახლებულიყვნენ და მოეგერიებინათ ბარბაროსთა, სახელდობრ, ბულგარელთა შემოტევები. იმპერატორის პოლიტიკით უკმაყოფილო სომხები გადავიდნენ დუნაიზე, მიაღწიეს ყირიმამდე, შემდეგ კი ყუბანამდე. კარგად მიიღეს რა ჩერქეზმა ბელადებმა, ისინი მათ რაზმებს შეემატნენ და დაარსეს მრავალრიცხოვანი სოფლები. შემდეგ მათ ემიგრანტთა ახალი ტალღები შეუერთდნენ, რომლებიც თავდაპირველად ყირიმიდან, შემდეგ კი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებიდან მოვიდნენ. სომეხი არქეოლოგის *პორქშიანის* ვარაუდით კი ჩერქეზო-ჰიაები იმ საერთო ემიგრაციის ნაწილნი არიან, რომლებიც X-XI საუკუნეების მიჯნაზე ტამანის ნახევარკუნძულზე დასახლდნენ და რომლთა ნაწილიც შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის მთებში დამკვიდრდა.

ძნელია ზუსტად დაგენა, როდის და საიდან დასახლდნენ სომხები ჩერქეზეთის მთებში, მაგრამ ყველა მკვლევარი ერთხმადაა შეთანხმებული იმის შესახებ, რომ **ჩერქეზეთში მიგრირებული სომხების ძირითად საქმიანობას ვაჭრობა წარმოადგენდა.** არადამაჯრებელია იმის მტკიცება, რომ მოსული სომხები უფლებებით უზდენებთან იყვნენ გათანაბრებულნი, თანაც XI საუკუნეში და მთებში. XI საუკუნეში იყო თუ არა ჩერქეზეთში უზდენების ფენა ჯერჯერობით დადასტურებული არაა (როგორც ზემოთ ვნახეთ *გ. შარაშიძე* მხოლოდ ჩერქეზთა ბელადებზე საუბრობს). ცნობილია, რომ უზდენების გამოყოფა მოსახლეობის საერთო ფენიდან შედარებით გვიან მოხდა და ამ ფენის წარმოქმნის საფუძველი იყო თარეშებით დაგროვებული ქონება.

ჩერქეზოჰაიებს მუდმივი კავშირი ჰქონდათ ყირიმის სომხურ კოლონიასთან და მთელ დანარჩენ სომხურ სამყაროსთანაც. ფიქრობენ, რომ ყირიმელ სომხებთან ჩერქეზოჰაიების მუდმივი კავშირი სხადასხვა პერიოდში ამ ეთნიკური ჯგუფის გაზრდის საწინდარი იყო. სომხური მოსახლეობის ეს შევსება, მართალია, ძირითადად ყირიმიდან მიმდინარეობდა, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში მცირე აზიიდან და სომხეთის ტერიტორიიდან მიგრაციაზედაც მიუთითებენ. თვითონ ჩერქეზოჰაიების სხვადასხვა ჯგუფს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთებში დამკვიდრების სხვადასხვა ვერსია გააჩნია. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სომხების ჩერქეზეთის მთებში გადასახლება არა ერთჯერადად არამედ რამდენიმე ნაკადად მომხდარა. როგორც სომხეთიდან, ასევე ყირიმიდან და სხვა ოლქებიდან გადასახლება მოიცავდა დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს. მიიჩნევენ, რომ აქ სომხების დასახლება XVII საუკუნეშიც კი განხორციელდა (*ვ. ვინოგრადოვი, ს. კტიტოროვი*).

ჩერქეზოჰაიების ეთნიკური ჯგუფის ჩამოყალიბებას გარკვეულწილად ხელი შეუწყო ჩერქეზეთში დასახლებისთანავე სომხების ადგილობრივ მოსახლეობასთან საქორწინო ურთიერთობაში შესვლამ. აგრეთვე ისინი დისპერსიულად განსახლდნენ ადიღეელთა/ჩერქეზთა ეთნიკური განსახლების არეალში. მიგრანტებს ინტენსიური კავშირ-ურთიერთობა ადგილობრივ ჩერქეზ მოსახლეობასთან ცხოვრების ყველა სფეროში ჰქონდათ, იქნებოდა ეს ეკონომიკური, საზოგადოებრივი, ოჯახური, ყოფითი... აღნიშნავენ, რომ ჩერქეზებსა და სომხებს შორის ქორწინებას ხელს ის ფაქტიც უწყობდა, რომ ამ პერიოდისათვის ჩერქეზებს ისლამი ჯერ კიდევ მიღებული არ ჰქონდათ. როგორც შენიშნავენ, მოსულები მკაცრად იცავდნენ ეგზოგამიას, აკრძალული იყო გვარის შიგნით და ხელოვნურად დანათესავებულ ოჯახებთან დაქორწინება. არაა გასაზიარელი სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ეგზოგამიური შეზღუდვების გამო, შედარებით მცირე არჩევანის მქონე ჩერქეზებს, უჭირდათ საქორწინო პარტნიორის პოვნა საკუთან ხალხში, ამიტომ ისინი სიამოვნებით თანხმდებოდნენ სომხებზე დაქორწინებას.

შერეული საქორწინო ურთიერთობები ერთგვარად ხელსაყრელიც იყო ჩერქეზებისათვის, რადგან ვაჭრობაში ჩართულ სომხებს საზოგადოებაში საკმაოდ მაღალი მდგომარეობა ეკავათ. სომხურ-ჩერქეზული შერეული ქორწინებები, ბუნებრივია, სომხებისათვისაც ხელსაყრელი იყო, რადგან ის ხელს უწყობდა მოსულების ადგილობრივ პირობებთან ადაპტაციასა და ინტეგრაციას. ეთნოსთაშორისმა ქორწინებებმა გამოიწვია ის, რომ ჩერქეზული კულტურის ელემენტები არა თუ შეიჭრა სომეხთა ცხოვრებაში, არამედ წამყვანი ადილიც კი დაიკავა. ჩერქეზეთის სომხური მოსახლეობა ყოფითი კულტურის თვალსაზრისით თითქმის არაფრით აღარ განსხვავდებოდა ადგილობრივი მოსახლეობისაგან. სომხები ატარებდნენ ჩერქეზების მსგავს სამოსს, ცხოვრობდნენ იგივე ტიპის სახლებში, იკვებებოდნენ ისევე, როდორც ჩერქეზები და, რაც მთავარია, ყველა მათგანი საუბრობდა ჩერქეზული ენაზე. ინტეგრაციის ასეთი მაღალი დონე ძირითადად განპირობებული იყო შერეული ქორწინებებით და მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრებით. ერთადერთი რაც ჩერქეზოჰაიებს განასხვავებდა ადგილობრივი მოსახლეობისაგან, ეს იყო ქრისტიანული (მონოფიზიტური) რელიგია. ფრანგი მწერალი *ანრი ტრუაია* (წარმოშობით ჩერქეზოჰაი) წერდა, რომ ჩერქეზოჰაიები ამა თუ იმ საქმეში ალაჰსაც მოუწოდებდნენ, მაგრამ კარგად შეინარჩუნეს ქრისტიანობისადმი ერთგულება. აულებში, რომლებშიც ისინი ცხოვრობდნენ ეკლესიები არ იყო. მაგრამ წელიწადში ერთხელ ეჩმიაძინიდან მოემგზავრებოდა სომეხი მოძღვარი, რომელიც ახალგაზრდა წყვილებს ჯვარს წერდა და ახალდაბადებულებს ნათლავდა. ადიღეელებთან/ჩერქეზებთან ხანგრძლივმა თანაცხოვრებამ მიგრირებულ სომეხთა შთამომავლები, ფაქტობრივად, ახალ ეთნიკურ ჯგუფად ჩამოაყალიბა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, სომხების გაჩერქეზებაში ძირითადი როლი მაინც ეგზოგამიამ განაპირობა. შერეულმა სომხურ-ადიღეურმა ქორწინებებმა კი დროებით ორი ეთნიკური სტერეოტიპის თანარსებობას შეუწყო ხელი. სომხური სტერეოტიპები, რომელიც გამოიხატებოდა ქცევაში, სამოსში, სამზარეულოში, ენაში, მუსიკაში და ა. შ. თანდათან ადიღეურით შეიცვალა. სომხები ასე გადაიქცნენ ჩერქეზო-ჰაიებად ანუ გაჩერქეზებულ სომხებად. ის კი არა, და, მათ ნართების ეპოსიც გაითავისეს. უფრო მეტიც, როგორც *დიუმეზილი* აღნიშნავდა, ნართების შესახებ ზოგიერთი ლეგენდა ჩერქეზოჰაიებმა უფრო არქაული ფორმით შეინარჩუნეს, ვიდრე თვით ადიღეელებმა. ასე რომ, XIX საუკუნისათვის რამდენიმე საუკუნის განმავობაში სომეხთა ასიმილაცია ადიღეელთა მიერ თითქმის დამთავრებული იყო. სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზი ესმის იმ ვითარებას, რომ ერთადერთი რაც ჩერქეზოჰაიებს ადიღეელებისაგან განასხვავებდა ქრისტიანული რელიგია იყო (*ვ. გუდაკოვი*). მაგარამ რელიგიას მათი საქმიანობა – ვაჭრობაც უნდა დაემატოს. ამ ორმა ფაქტორმა ჩამოუყალიბა მათ განსაკუთრებული ეთნიკური ცნობიერება, სტერეოტიპი. ამიტომ იყვნენ ისინი ჩერქეზოჰაიები და არ სომხები და არა – ადიღეელები. ადგილობრივთაგან სრულ ასიმილაციას ხელი შეუშალა მონოფიზიტურმა რელიგიამ და იმ საქმიანობამ, რომელიც მათთვის საუკუნეების განმავლობაში სისხლხორცეული იყო; ესაა ვაჭრობა. ჩერქეზოჰაიები აცნობიერებდნენ თავიანთ დიდ განსხვავებას სომხებისაგან. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნეში დაბლობში კომპაქტურად ჩასახლების შემდეგ, მთელი რიგი ფაქტორების გამო (მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიაში სომხური კოლონიების დაარსების შემდეგ), თავი ბოლოს მაინც სომხებად გაიაზრეს და ახლოს მოსახლე ყირიმელი სომხების მსგავსად საკუთარ თავს უწოდეს *ერმენლი* („ერმენლი“ სომეხების აღმნიშვნელი თურქული ეთნონიმია). ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ხელახალი დეეთნიზაცია განიცადეს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა შესამჩნევად შეიცვალა. ეს რეგიონი გავლენის დამყარების მიზნით, რუსეთსა და თურქეთს შორის ბრძოლის ველად გადაიქცა.

თავიანთი პოზიციების გასამყარებლად ყირიმელმა ხანებმა მთის მოსახლეობაში ინტენსიურად დაიწყეს ისლამის გავრცელება. მსგავს ვითარებაში აღმოჩენილი ქრისტიანული აღმსარებლობის ჩერქეზოჰაიები იძულებული გახდნენ ეტაპობრივად დაეტოვებინათ ჩერქეზეთის მთები. უკმაყოფილებას იწვევდა ისიც, რომ ჩერქეზოჰაიებს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ყუბანში მცხოვრებ რუსებთან და სომხებთან, ეს ტერიტორია კი 1783 წლიდან რუსეთის სამფლობელოდ იყო აღიარებული. არსებული საფრთხიდან გამომდინარე, თავდაცვის მიზნით, ჩერქეზოჰაიებმა დაიწყეს ცალკეულ აულებად გაერთიანება, რომელთა შორისაც ყველაზე ცნობილია: *გიაურ-ხაბლი, ეგერ-უხაი, ადიღთი, პატუკი* და სხვა. XVIII საუკუნის ბოლოდან მათ ინტენსიურად დაიწყეს ჩერქეზეთიდან გადასახლება და რუსეთის ტერიტორიაზე – ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობში დასახლება, მათ შორის: *ახალ ნახჭევანში, ლისოგორსკში, პერეიასლოვსკში, ნოვორისისკში, ეკატერინოდარში (დღევანდელი კრასნოდარი),* მოგვიანებით კი – *მოზდოკსა* და *ყიზლარში.* 1839 წელს მიგრირებულთა ძირითადმა ნაწილმა ჩამოაყალიბა აული, რომელსაც 1841 წელს, ადგილობრივი სომეხი მღვდლის ინიციატივით, ძველი სომხეთის ერთ-ერთი დედაქალაქის – *არმავირის* სახელი უწოდეს. არმავირის დაარსების პირველსავე წელს აქ ჩერქეზოჰაიების 400 ოჯახი, დაახლოებით 1300 ადამიანი დასახლდა.

XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს *არმავირში* ხოლერის ეპიდემიამ ჩერქეზოჰაიების მესამედი შეიწირა. ასეთი მაღალი სიკვდილიანობის მიუხედავად, არმავირის მოსახლეობის რაოდენობამ 3000-ს გადააჭარბა. ამ პერიოდისათვის არმავირი ოთხი უბნისაგან შედგებოდა; თითოეული მათგანი მოსახლეობითა და უბნის სახელით შეესაბამებოდა ჩერქეზოჰაიების ჩერქეზეთის მთებში ძველ დასახლებას. მათ შორის შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი ეთნოკულტურული და დიალექტური განსხვავება.

არმავირში დასახლებული ჩერქეზოჰაიების ძირითად საქმიანობა, ვაჭრობასთან ერთად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიწათმოქმედებაც იყო. ძირითადად მოჰყავდათ მარცვლეული კულტურები და ბოსტნეული. ასევე დიდ ყურადღებას აქცევდნენ მეცხენეობას. მეცხენეობა ერთიანი თანაცხოვრების დროს ჩერქეზებისაგან ისწავლეს და მას გვიანობამდე მისდევდნენ. არმავირელებმა განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს ვაჭრობაში, ისინი ვაჭრობდნენ ჩერქეზული აულის მცხოვრებლებთან (ამაში ენის ცოდნაც უწყობდათ ხელს), კაზაკურ სტანიცებთან, *ნახიჭევანთან, ეკატერინოდართან, სტავროპოლთან* და *თბილისთანაც* კი.

1847 წელს *არმავირში* გაიხსნა პირველი სომხური სკოლა ვაჟებისთვის, 1871 წელს კიდევ ორი სკოლა ვაჟებისთვის და გოგონებისთვის, რამაც სომხური სალიტერატურო ენის შესწავლასა და გავრცელებას შეუწყო ხელი. 1861 წელს აშენდა სომხური ეკლესია; მოგვიანებით მას კიდევ ორი ეკლესია შეემატა. მიუხედავად იმისა, რომ *არმავირი* ოფიციალურად სოფელი იყო, მას აშენებდნენ ქალაქური ტიპის პროექტით. XIX საუკუნის ბოლოსთვის განვითარების ტემპით ის ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ ყველა დანარჩენ ქალაქს უსწრებდა, პირველად აქ გაიყვანეს ელექტრობა, ტელეფონი და ტრამვაი. მართალია *არმავირი* სწრაფად იზრდებოდა და ვითარდებოდა, მაგრამ მისი ქალაქად გადაქცევის გადაწყვეტილება მხოლოდ 1914 წელს მიიღეს, ამ დროისათვის მოსახლეობის რიცხვმა 44 ათასს გადააჭარბა.

ჩერქეზოჰაიებისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა მათი კავკასიის დაბლობში გადმოსახლება. საუკუნეების განმავლობაში ჩერქეზეთის მთებში ჩაკეტილი და ასიმილაციის გზაზე მყოფი ხალხისთვის ხელახლა დადგა თვითგამორკვევის, ეთნიკური ცნობიერების გარკვევის პერიოდი. *მიუხედავად იმისა, რომ ყოფითი თვალსაზრისით, ჩერქეზებთან უფრო მეტი საერთო ჰქონდათ, ვიდრე სომხებთან, საბოლოოდ მაინც სომხურმა ცნობიერებამ იმძლავრა, რაშიც უდიდესი როლი*

შეასრულა ჩრდილოეთ კავკასიის სომხურმა გარემომ. ჩერქეზოჰაიების არმავირში გადასახლებასთან დაკავშირებით ზემოხსენებული *ანრი ტრუაია* შემდეგს წერდა: „როდესაც რუსეთმა კავკასიის დაპყრობა დაიწყო, ჩერქეზოჰაიების წინაშე მწვავედ დადგა სინდისის საკითხი: დამპყრობლების მთიელებთან ომში ვისი მხარე დაეჭირათ – თავიაანთი მეგობარ-მუსლიმებისა მართლადიდებელი მეფის წინააღმდეგ, თუ მართლმადიდებელი მეფისა – მეგობარ-მუსლიმთა წინააღმდეგ. სომხების რელიგია ახლოსაა რუსულ მართლმადიდებლობასთან, და ქრისტესადმი ერთგულებამ გაიმარჯვა: ჩერქეზოჰაიები აღფრთოვანებით შეხვდნენ რუსებს და მათ მხარეზე გადავიდნენ. მაჰმადიან ჩერქეზებთან ომში ისინი იყვნენ გზის მაჩვენებლები, მზვერავები, თარჯიმნები, რითაც რუსებს მნიშვნელოვან სამსახურს უწევდნენ. ჯილდოდ 1839 წელს ჩერქეზოჰაიებმა მიიღეს რუსთა ქვეშევრდომობა და ნებართვა აეშენებინათ ქალაქი შიდა თვითმმართველობის უფლებით“. ვერაფერს ვიტყვით, ჩერქეზოჰაიების საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში რეალურად რამდენად იმოქმედა ქრისტიანულმა სარწმუნოებამ. აქ მხოლოდ *ნ. კარლგოფს* დავესესხებით – ჩერეზოჰაიები მთებში ვაჭართა ფენას წარმოადგენდნენ და ადიღეელები მათ ხალხად არ მიიჩნევდნენ. მთებში საუკუნეების დასახლებულებს კვლავ სტუმრებად მოიხსენიებდნენ. მთიელების წარმოდგენით სავაჭრო საქმიანობა სამარცხვინო იყო. ვერ ვიტყვით რამდენად სანდოა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ავტორი, რადგან ადიღეელები ჩერქეზოჰაიებთან საქორწინო ურთიერთობაში შედიოდნენ. ასეთმა დამოკიდებულებამაც, როგორც ჩანს, ხელი შეუშალა ჩერქეზოჰაიების საბოლოო ასიმილაციას. დღეს უკვე ჩერქეზოჰაიები რიგით სომხებად არიან ქცეულები, რომლებმაც მხოლოდ გადმოცემით იციან წინაპართა ჩერქეზეთში ცხოვრების ისტორია და ჩერქეზოჰაიური ეთნიკური ცნობიერება.

VIII. 3. ხემშილები/ჰემშილები©

ხემშილები ძალზე საინტერესო და საკმაოდ მრავალრიცხოვანი ეთნოკონფესიური ჯგუფია. მათი ძირითადი ნაწილი ცხოვრობს თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში – ისტორიული ლაზეთის ტერიტორიაზე. ხემშილების გარკვეული ნაწილი მკვიდრობს რუსეთის ფედერაციაში – კრასნოდარის ოლქსა და საქართველოში – აფხაზეთის ტერიტორიაზე. 2002 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერით, რუსეთის ფედერაციაში ხემშილების რაოდენობა 1542 შეადგენს. აფხაზეთში მათი რაოდენობა ზუსტად განსაზღვრული არ არის.

ბოლო მონაცემებით საქართველოში ხემშილები აღარ ცხოვრობენ. 1944 წლის 31 ივლისის დადგენილებისა და იმავე წლის 20 სექტემბრის სსრკ შსს ბრძანების საფუძველზე მოხდა საქართველოს საზღვრისპირა რაიონებიდან სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა და, მათ შორის, ხემშილების იძულებითი გადასახლება შუა აზიის რესპუბლიკებში. გადასახლებული ხემშილების რაოდენობა შეადგენდა 304 ოჯახს: ბათუმის რაიონიდან – 231 ოჯახი, ხულოს რაიონიდან – 28, ქედის რაიონიდან – 5, ქობულეთის რაიონიდან – 34.

თურქეთში მცხოვრები ხემშილები იყოფიან სამ ძირითად ჯგუფად: **ბაშ-ხემშილები** (დასავლეთის ჯგუფი), **ხოფა-ხემშილები** (აღმოსავლეთის ჯგუფი) და **ჰამშენები** (სამხრეთის ჯგუფი). ხემშილების ასეთი დაყოფა მოცემული აქვს ვისკონსინის შტატის *მილოუკის* უნივერსიტეტის პროფესორს *ბერტუ ბოკსუს. ბაშ-ხემშილები* იგივე *თურქი-ხემშილები* ცხოვრობენ ქალაქ *რიზესა* და მის ადმინისტრაციულ რაიონებში: *ჩამლიხემშინსა* და *ხემშინში.* აქაური ხემშილები საუბრობენ თურქული ენის *ჰემშინჩე* დიალექტზე და სომხური ენა არ იციან,

© გიორგი ავთანდილაშვილი

აღმსარებლობით არიან *ჰანიფიტური მასჰაბის სუნიტი მუსულიმები.* ისინი თავის თავს მიიჩნევენ თურქი ხალხის ეთნოგრაფიულ ჯგუფად. მეორე ჯგუფი *ხოფა-ხემშილები* ცხოვრობენ *ართვინის* ვილაიეთის *ხოფის* რაიონში, მათი თვითსახელწოდებაა **„ხომშენცი“, „ხომშენი“.** ისინი სარწმუნოებით სუნიტები არიან, თუმცა სომხური ენის ხემშილურ დიალექტზე საუბრობენ. *ხოფა-ხემშილები,* თავის მხრივ, კიდევ იყოფიან ორ ქვეჯგუფად: *ტურცევანცებად* და *ტოპალ-ოღლებად. ტურცევანცების* დიდი ქვეჯგუფი შედგება *ჯერმაკცებისგან* (თეთრს ნიშნავს), ხოლო შედარებით მცირერიცხოვანნი არიან *არდლეცები.* მესამე ჯგუფს ქმნიან *ჰამშენები* (სამხრეთის ჯგუფი). თავდაპირველად ისინი *სამსუნის, ორდუს, გირესუნის* და *ტრაპიზონის* რაიონებში ცხოვრობდნენ, თუმცა, მოგვიანებით, მათი ერთი ნაწილი *კრასნოდარის* მხარეში გადასახლდა. დღესაც მათი უმრავლესობა აქ ცხოვრობს. *ჰამშენები* სომხური ენის ხემშილურ დიალექტზე საუბრობენ და ქრისტიანები არიან, მათში ორ ქვეჯგუფს გამოყოფენ: *ტრაპიზონელებს* და *ჯანიკ-ორდუიცებს.*

ტერმინი *ხემშინი* თავდაპირველად მოხსენიებულია ძველ სომხურ წყაროში, კერძოდ, VIII საუკუნეში; მასში საუბარია, თავად *ამატუნების* მეთაურობით, სომხეთის ტერიტორიიდან 12 ათასი სომხის შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გადასახლებაზე, დღევანდელი ქალაქ *ტრაპიზონის* აღმოსავლეთით. ამავე წყაროს (*გევონდ ვარდაპეტის* „ხალიფების ისტორია“) მიხედვით, VIII საუკუნის მეორე ნახევარში თავადმა *ხამამ ამატუნმა* დანგრეული ქალაქ *დამპურის* ადგილას ააშენა ახალი ქალაქი, რომელსაც მის საპატივცემულოდ ეწოდა *ხამამ-შენი* იგივე *ხამშენი.*

ტოპონიმს *ჰემშინი* მოგვიანებით თურქულ წყაროში ვხვდებით, კერძოდ, XVI საუკუნის დასაწყისის *ტრაპიზონის* ვილაიეთის აღწერისას მოხსენიებულია *ყაზა ჰემშინი,* რომელიც შედგებოდა სამი ნაჰიესაგან: *ჰემშინი, ყარა ჰემშინი* და *ექსანოსი.* საერთო ჯამში იგი შეადგენდა 34 სოფელს 671 კომლით, მათგან 214 ოჯახი იყო *მუსლიმი,* ხოლო 457 ქრისტიანი. ეს საბუთი მნიშვნელოვან ინფორმაციას შემცველია, თუმცა აქ *ჰემშინი* მხოლოდ ტოპონიმად არის მოხსენიებული და არსად გვხვდება მინიშნება, რომ იგი ამავდროულად ეთნონიმიც იყო. იგივე შეიძლება ითქვას სომხურ წყაროზეც: *ხამამ-შენი (ხამშენი)* ქალაქის სახელია და არა თურქეთში მცხოვრები სომხების აღმნიშვნელი ტერმინი, შესაბამისად, ამ ქალაქში და მის ნაჰიეში მცხოვრები მოსახლეობა, ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, მოიხსენიებოდა როგორც *ხამშენელი/ხამშენი.* მსგავსი პრეცენდენტები მრავლად გვხვდება ისტორიაში. *ხემშილები,* როგორც ეთნოგრაფიული ჯგუფი, მოხსენიებული არიან XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან, როდესაც აქ იმოგზაურეს სხვადასხვა ევროპელმა, რუსმა თუ ქართველმა მოგზაურებმა (*კოხი, სპენსერი, კუნე, პალგრევი, მარი, ყაზბეგი, მასალსკი* და სხვ.).

შავიზღვისპირეთში, ლაზეთის მთებში, გამოჩენისთანავე სომხები მდინარე *ფორტუნის* ხეობის ზემო წელში დასახლებულან, იქ, სადაც დღეს *ჰემშინი* და *ჩამლი-ჰემშინი* მდებარეობს. ხემშილების მიგრაცია სხვადასხვა მიმართულებით მხოლოდ მოგვიანებით, XVII–XVIII საუკუნეებში დაიწყო, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რის გამოც ჯერ კიდევ ქრისტიანი სომხები ჰემშინიდან თურქეთის სხვა მხარეებში გასახლდებოდნენ ის იყო, რომ ოსმალეთის იმპერია ძალდატანებით ცდილობდა მაჰმადიანობის გავრცელებას ლაზეთის ტერიტორიაზე, რადგან აქ მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ქრისტიანობას ინარჩუნებდა. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური გახდა XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან. სწორედ ამ ფაქტს მოჰყვა სომხების პირველი მნიშვნელოვანი გადასახლება ჰემშინიდან დასავლეთის მიმართულებით: *ტრაპიზონში, გირესუნში, ორდუში, სამსუნსა* და სხვა დიდ ქალაქებში, სადაც ხემშილები კომპაქტურად სახლდებოდნენ და ცალკე უბნებს ქმნიდნენ. აქ ხემშილები, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ცალკე ეთნოგრაფიულ ჯგუფად ჩამოყალიბდნენ, რაშიც ქრისტიანობის შენარჩუნებამაც შეუწყოთ ხელი. XIX საუკუნის დასაწყისში შავი ზღვის გარშემო

იმოგზაურა *მინა მედიჩმა*, რომელიც აღნიშნავს რომ მოსახლეობის ერთი ნაწილი გადასახლებულა *ხურშუნლსა* და *სურმენეში. ხურშუნლში* მცხოვრებ ხემშილებს ქრისტიანობა შეუნარჩუნებიათ. *1915 წელს მომხდარი სომხურ-თურქული კონფლიქტის გამო ჰამშენები (სამხრეთის ჯგუფი) თითქმის მთლიანად რუსეთში გადასახლდნენ – კრასნოდარის მხარეში და აფხაზეთში – ოჩამჩირედან დასავლეთით.*

ხემშილების კიდევ ერთი მიგრაციული ტალღა XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო; ხემშინიდან წამოსულმა მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ჩრდილო-აღმოსავლეთით ართვინის ვილაიეთში, მდინარე ხოფის შესართავთან პატარა ხემშინის დასახლება დაარსა, რომელიც 5 სოფლისგან შედგებოდა. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით აქ მოსული ხემშილები პირველად სოფელ *ზურპიჯში* დასახლდნენ 200 წლის წინ. **ხოფელი ხემშილები საუბრობენ სომხური ენის ხემშილურ დიალექტზე, ისინი საკუთარ თავს უწოდებენ „ხომშენცი“-ს.** როგორც უკვე აღინიშნა ხოფელი ხემშილები იყოფიან რამდენიმე ქვეჯგუფად. თითოეულ ჯგუფს ახსოვს ჰემშინის რომელი სოფლიდან არიან მოსულები. თავდაპირველად ისინი მხოლოდ მდინარე ხოფის ხეობაში – მთებში ცხოვრობდნენ, თუმცა 30-40 წლის წინ დაიწყეს ბარში, ზღვის სანაპიროზე ჩამოსახლება. ბოლო, არაოფიციალური მონაცემებით, დღეს მათი რაოდენობა ლაზეთის ქალაქ ხოფაში 20 ათასია, მთლიანად ხოფის რაიონში კი – 35 ათასი, ეს მაშინ როდესაც 1850-იანი წლებისთვის მხოლოდ 150 ოჯახი (900 ადამიანი) იყო აღრიცხული.

დღევანდელი მონაცემებით, ხემშილების ზუსტი რაოდენობა ცნობილი არაა, რადგან სხვადასხვა წყაროში განხვავებული ინფორმაციაა დაფიქსირებული. ხემშილების გარკვეული ნაწილი სომხებთან ყოველგვარ კავშირს უარყოფს. ტრაპიზონში რუსეთის გენერალური კონსულის 2002 წლის ანგარიშში დასახელებულია 45 ათასი ხემშინი, თუმცა, როგორც ჩანს, ეს მხოლოდ ტრაპიზონის ვილაიეთს ეხება. სხვა, სავარაუდო მონაცემებით, თურქეთში 150 ათასია მითითებული. ისტორიულ წყაროებს და მოყვანილ მონაცემებს თუ თვალს გადავავლებთ, აღმოჩნდება, რომ ეს ციფრები ხელოვნურად არის გაზრდილი. როგორც ზემოთ ვნახეთ, XVI საუკუნის დასაწყისში *ყაზა-ჰემშინის* ტერიტორიაზე 34 სოფელი არსებობდა, სადაც 671 ოჯახი ცხოვრობდა, რაც დაახლოებით 5000 ადამიანს უდრის. *გიორგი ყაზბეგს* მოყვანილი აქვს 1850-იანი წლების ოსმალეთის იმპერიის ოფიციალური მონაცემები, რომლის მიხევითაც, *ბაშ-ხემშილების* რაოდენობა შეადგენდა 10 620 ადამიანს, ხოლო *ხოფა-ხემშილებისა* – 900-ს. მართალია, აქ არის მოცემული *ტრაპიზონში* და სხვა ქალაქებში მცხოვრები ხემშილების მონაცემები, მაგრამ მათი რიცხვი სავარაუდოდ 4-5 ათასს არ აღემატებოდა, რადგან ყველა მოგზაური აღნიშნავს, რომ ხემშილების მთავარი ჯგუფი ცხოვრობდა *ბაშ-ხემშინში.* ფაქტიურად იგივე მონაცემები აქვს მოცემული *კარლ კოხს.* მან 1843-1844 წლებში მოინახულა ჰემშილის „ქვეყანაც“. გერმანელი მოგზაურის თანახმად, ამ დროს მთლიანად ჰემშინში იყო 1500 სახლი და დაახლოებით 8 ათასი კაცი. როგორც ვხედავთ, მეცხრამეტე საუკუნის შუა რიცხვებში ზოგადად ხემშილების რაოდენობა 15 ათასს არ აღემატებოდა. ასე რომ, შეუძლებელია 150 წლის განმავლობაში მათი რიცხვი ათჯერ გაზრდილიყო. სავარაუდოდ, დღეს ხემშილების რიცხვი 50-60 ათასს არ უნდა აღემატებოდეს.

XX საუკუნის დასაწყისში *ნიკო მარი* აღნიშნავდა, რომ ხემშინები ეთნიკურად არიან სომხები, რელიგიით – მუსულმი სუნიტები. *ნ. მარი* იმასაც აღნიშნავდა, რომ ხემშილები ენობრივად სამწერლობო ლიტერატურული ოსმალურით სარგებლობენ, საღვთისმეტყველო მკვდარი არაბულით, სამეტყველო მომაკვდავი მშობლიური სომხურით, ხოლო სალაპარაკო თურქულით. იგივე ავტორი იმასაც უსვამს ხაზს, რომ კულტურული ორიენტაციით ხემშილები თურქები არიანო. მას შემდეგ, რაც სომხები მდინარე *ფორტუნის* ხეობაში დასახლდნენ, მათ ადგილზე დახვდათ ადგილობრივი ლაზი მოსახლეობა, რომელთანაც, რასაკვირველია, ჰქონდათ

კულტურული ურთიერთობა. ხოლო ხემშინი გადაიქცა ეთნონიმად – ყველას ვინც აქ ცხოვრობდა ხემშინი ეწოდა. უნდა ითქვას, რომ **კულტურული თვალსაზრისით ხემშილებს უფრო მეტი საერთო აქვთ ლაზებთან, ვიდრე სომხებთან.** ეს პირველ რიგში მატერიალურ კულტურისა და ყოფის ელემენტების შესახებ უნდა ითქვას: „ხემშილი მამაკაცების ტანსაცმელი ლაზური თარგისაა; მოკლე კურტაკი, რომელიც მარცხნიდან მარჯვნივ იკვრება, ჯიბეებით მკერდის სიმაღლეზე თოფის ტყვიებისათვის, თურქულ-ლაზური ტიპის განიერი შარვალი, სამოსის ფერი უმეტესად მუქია. ქალები იცვამენ გრძელ ხალათებს ან პერანგებს, თავზე დაბალ ჩიხტიკოპს, მორთულ მოოქროვილი, ვერცხლის ან ყალბი მონეტებით, რომელიც შუბლსა და ყურებზე ეშვებიან“ (*წ. ბაწაში*). ხემშილები, ლაზების მსგავსად ბავშვებს, დაბადების შემდეგ, მეორე, შინაურულ, მოფერებით სახელსაც არქმევდნენ. „ჰემშინების ეს სახელები აშკარად ლაზურია როგორც ჟღერადობით, ისე შინაარსითაც. მაგალითად: *თუთა*–მთვარე, *მუთაქა*–დელფინი, *ბურბ*–-ღამურა, *თუნთი*–დათვი, *მუცხი*–ვარსკვლავი და ა. შ.“ (*წ. ბაწაში*). *გიორგი ყაზბეგი*, რომელმაც მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო და ლაზისტანი მოიარა, აღნიშნავს, რომ „ხემშილების სოფლები ლაზურის მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ ლაზები ხემშილებზე უფრო მდიდრები არიან და ლაზები ცხოვრობენ მეზობლებზე უფრო სუფთად“. რაც შეეხება ენობრივ მონაცემებს, აქ ყურადღებას იქცევს *ივანე შილაკაძის* დაკვირვება. ნაშრომში ხემშილურ დიალექტზე ლაზური ენის გავლენა სათანადო მონაცემებითაა ილუსტრირებული. ხემშილურში ბევრი ისეთი სიტყვა არის შესული, რომელიც არც სომხურსა და არც ქართულ სალიტერატურო ენაში არ არის დადასტურებული. ეს სიტყვები მხოლოდ ლაზური მეტყველებით იხსნება, მაგალითად, *მოჭვა* („კრუხი“), *ბურჭული* („წალდი“), *ჩაფულა* („წაღა“), *კოროპ* („კრეფა“, „გროვება“) და ა. შ. ლაზურის ესოდენ დიდი გავლენა ხემშილურ დიალექტზე გამოწვეული უნდა იყოს ამ ორ ჯგუფის ერთ ხეობაში თანაცხოვრებით. როგორც წესი, ჰემშინის მოსახლეობაზე საუბრისას მუსლიმ სომხებს (ხემშილებს) გულისხმობენ, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჰემშინში ხემშილების გვერდით ყოველთვის ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ლაზები, რომლებსაც ასევე ხემშილებად მოიხსენიებენ. *გიორგი ყაზბეგი* აღნიშნავდა, რომ *ნაჰიე ჰემშინში* მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენდნენ ლაზები, რომლების ხემშილების მეზობლად ცხოვრობდნენ.

კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ ტერმინს *ხემშილი*. ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, რომ იგი თავდაპირველად გეოგრაფიული სახელი, ტოპონიმი იყო. დღეს ხემშილებად მხოლოდ მუსულიმი სომხების მოხსენიება რეალურ ვითარებას არ ასახავს. იმის გამო, რომ თურქი-ხემშილები სომხური ენის ხემშილურ დიალექტზე არ საუბრობენ, უარყოფენ ყოველგვარ კავშირს სომხებთან და სომხური თვითშეგნება არა გააჩნიათ. ამდენად, ისინი არ შეიძლება ჩაითვალონ სომეხი ხალხის ეთნოგრაფიულ ჯგუფად, როგორც ამას ზოგიერთი სომეხი ავტორი წერს. ამ შემთხვევაში მთავარია არა წარმომავლობა, არამედ ეთნიკური კუთვნილების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები: ენა, ისტორიული მახსოვრობა და, რაც მთავარია, თვითშეგნება, რომელიც ჰემშინის მოსახლეობას აშკარად თურქული აქვს. საინტერესოა, რომ ტრაპიზონსა და იზმირში მცხოვრები ლაზები აქაურ ხემშილებს **„სომეხეფეს“** უწოდებენ. როგორც ჩანს, ლაზებმა კარგად იციან ამ ჯგუფის ეთნიკური კუთვნილება, მათი სომხური ფესვები და მათ განასხვავებენ ჰემშინსა და რიზეში მცხოვრები ხემშილებისგან.

ხემშილების პატარა ჯგუფი აჭარაშიც ცხოვრობდა. ისინი 1944 წელს შუა აზიაში გადაასახლეს. გადასახლებული ხემშილების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის არაფერია ნათქვამი, თუმცა 2010 წლის იანვრში ეთნოგრაფიული მასალის მოძიება მაინც მოხერხდა.

საარქივო დოკუმენტებიდან ცნობილი გახდა, რომ აჭარიდან გაასახლეს ხემშილთა სულ 300 ოჯახი. სამწუხაროდ, სხვადასხვა დროს ჩატარებული

მოსახლეობის აღწერის დავთრებში ხემშილები მითითებული არ არიან და, ამიტომ, დაზუსტებით არ გვაქვს ცნობები რომელ სოფელში რამდენი ხემშილი ცხოვრობდა. როგორც საველე-ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, აჭარაში ხემშილები ძირითადად ცხოვრობდნენ: *სარფში, ჭარნალში, გონიოში, თხილნარში, ახალსოფელსა* და *ბათუმში.* მართალია 1926 წლის აღწერაში ხემშილები მოხსენიებულნი არ არიან, მაგრამ დასახელებულ სოფლებში „დანარჩენის“ გრაფაში უდავოდ ხემშილები იგულისხმებიან. სოფელ *ჭარნალის* 314 მცხოვრებიდან 53 ქართველია, 59 – ქურთი, ხოლო 202 მოსახლე მოხსენიებულია როგორც „დანანჩენი“. სავარაუდოა რომ ამ „დანარჩენში“ ხემშილები იგულისხმებიან, რადგან ამ დროისათვის *სარფში, გონიოში* და მის მიმდებარე სოფლებში ცხოვრობდნენ ქართველები (აჭარლები), ქურთები, ხემშილები და ლაზები. ლაზების შესახებ ვიცით, რომ ისინი მხოლოდ სარფში ცხოვრობდნენ. ვინაიდან ქურთები და აჭარლებიც ასევე ცალკე არიან მოხსენიებულნი, გამოდის, რომ „დანარჩენში“ იგულისხმებიან ხემშილები (რატომ იყვნენ 1926 წლის საკავშირო აღწერაში ხემშილები „დანარჩენებში“ შეტანილი? ვვარაუდობთ, რომ აღწერისათვის შედგენილ ხალხთა საკავშირო ნომენკლატურაში, ეს ეთნიკური ერთობა გათვალისწინებული არ იყო. აღმწერებმა კი ვერც თურქებს მიაკუთვნეს და ვერც – სომხებს, რადგან ისინი თავს ცალკე ხალხად გაიაზრებდა. ამიტომაც ხემშილები „დანარჩენთა“ შორის მოხვდნენ). აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ *ჭარნალში, გონიოში, თხირნალში, მახოსა* და *სარფში* ხემშილების საერთო რაოდენობა 1926 წლისთვის 900 კაცამდე იყო (დაახლოებით 150 ოჯახი). როგორც ირკვევა, ხემშილები 100-120 წლის წინ არიან მოსულები ხოფის მხრიდან, რაც ეჭვს არ იწვევს, რადგან, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ხოფაში სწორედ 150–200 წლის წინ მოვიდნენ.

ხემშილების ძირითადი საქმიანობა აჭარაში იყო მეცხვარეობა. ისინი დიდი რაოდენობით ცხვარს ინახავდნენ, რომლებსაც ხან დასავლეთ საქართველოში, ქუთაისის მახლობლად – *ვარციხეში* გამოაზაფხულებდნენ, ხან – *არდაგანში (არტაანში)* და ხან – *აჭარის მთებში.* ის ფაქტი, რომ ზაფხულობით აჭარის მთებში დაჰყავდათ ცხვარი, ეჭვს არ იწვევს, რადგან იგივე ინფორმაცია 2007 წელს მთიან აჭარაშიც – *ხიხაძირში* დავაფიქსირეთ. ამ მასალით ხემშილები, რომლებიც აჭარის მთაში დადიოდნენ, თურქულ ენაზე საუბრობდნენ, ხოლო ქურთები, რომლებიც ასევე სარგებლობდნენ ამ საძოვრებით – არა. ხემშილებს და ქურთებს ერთმანეთში საქორწინო ურთიერთობაც ჰქონიათ, მაგრამ არა სარფში მცხოვრებ ლაზებთან და ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფთან – აჭარლებთან. სარფში სტუმრად მყოფი *მაკრიალელი (ნოღედში)* მთხრობელის მოწოდებული ინფორმაციით, **30-40 წლის წინ ხემშილები მხოლოდ მთებში ცხოვრობდნენ და სანაპიროზე ლაზების შიშით ვერ ჩამოდიოდნენ. ისინი ხშირად გარე სამუშაოებზე დადიოდნენ, ლაზები მათ შეშის დასაჭრელად და მანდარინის დასაკრეფად ქირაობდნენ.** ხემშილები სარფსა და სხვა სოფლებში ცალკე უბნებში ცხოვრობდნენ. სარფში მათ დასახლებას ერქვა *ხემშილული.* ხემშილებსა და ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას შორის ხელოვნური დანათესავების და ქორწინების ფაქტები არ დასტურდება. საზოგადოებრივი თვალსაზრისით, ხემშილები თავის თავს ქურთებზე მაღლა აყენებდნენ. სარფში მცხოვრები ხემშილების ერთი ნაწილისთვის საცხოვრებელი მიწები *ბათალოღლებს* მიუციათ.

ერთსაუკუნოვანი თანაცხოვრების განმავლობაში სარფსა და მის მეზობელ სოფლებში მცხოვრებ ხემშილებსა და ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას შორის მშვიდობიანი ურთიერთობა არსებობდა, თუ ერთი მთხრობელის სიტყვებს არ მივიღებთ მხედველობაში: „ხემშილები ცოტა თუ გამაგრდებოდნენ, მაშინვე ჯღიკინს დაგვიწყებდნენ ხოლმე“.

IX. ქართველები და მათი ეთნიკური ჯგუფი

IX. 1. ქართველები

განსახლების არეალი. ქართველები მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ეთნოსთა რიცხვს მიეკუთვნებიან, რომლებსაც სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გააჩნიათ. ამასთანავე, ქართველი ხალხი შეიძლება დახასიათდეს როგორც დიდი მატერიალური და სულიერი კულტურის შემქმნელი ხალხი, როგორც უძველესი მეტალურგები და მიწათმოქმედნი. ქართული კულტურა არასოდეს არ ყოფილა საკუთარ თავში ჩაკეტილი. ის ყოველთვის იზიარებდა მსოფლიოს ხალახთა მიღწევებს და თავისებურად ამუშავებდა მათ.

ქართველთა თავდაპირველი განსახლების არეალი სამი მდინარის – *მტკვრის, რიონის და ჭოროხის* – აუზი იყო. აქვე მოხდა ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება, ერთიანი ქართული მონარქიის შექმნა. ეს სახელმწიფო მის მიმდებარე ტერიტორიებსაც მოიცავდა. გვიან შუა საუკუნეებში საქართველომ მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი – ჭოროხის აუზი და მტკვრის ზემო წელის მიმდებარე ტერიტორიები (სამხრეთ-დასავლეთი საქართველო) დაკარგა. პოლიტიკურად ჩამოსცილდა ქვეყანას უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი – აღმოსავლეთი კახეთი, რომელიც დღეს *საინგილოს* სახელითაა ცნობილი. მაჰმადიანური გარემოცვის გამო, საქართველოს ამ ძირძველმა ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მხარეებმა დეეთნიზაცია განიცადეს. დღეისათვის აქ ქართული ეთნოსი აქა-იქღაა შენარჩუნებული. ქართულმა ეთნოსმა უძველესი განსახლების არეალი ჩრდილოეთითაც დაკარგა (*დვალეთი*), სადაც ასევე გვიან შუა საუკუნეებში ქართველთა დეეთნიზაცია მოხდა.

ქართველები დღეს ძირითადად საქართველოს სახელმწიფოში ცხოვრობენ, რომლის ფართობი 69.300 კვ. კმ-ია. გეოგრაფიული თვალსაზრისით საქართველო ორ ნაწილად იყოფა: *აღმოსავლეთი საქართველო* და *დასავლეთი საქართველო*, რომელთა გამყოფი *დიდი კავკასიონის* და *მცირე კავკასიონის* შემაერთებელი *სურამის ქედია*. როგორც აღინიშნა, ისტორიულად საქართველოს მესამე გეოგრაფიული ერთეული *სამხრეთ საქართველო (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო)* იყო, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი (*სამცხე, ჯავახეთი და აჭარა*) შედის საქართველოს შემადენლოში.

საქართველოს სახელმწიფოს კავკასიის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილები უკავია. მოსახლეობა არათანაბრადაა განაწილებული. მჭიდროდ მხოლოდ ინტენსიური მიწათმოქმედების რაიონებია დასახლებული. მთებს მთელი ქვეყნის 53,6% უკავია, მთისწინეთს – 33,4%, დაბლობს – 13%. ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის მთავარ ქედს გასდევს, თუმცა ზოგიერთი მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე მთავარი ქედის ჩრდილოეთითაა (*პირიქითა ხევსურეთი, თუშეთი, ხევი*. მთავარ ქედსა და პირიქითელ ქედებს შორის იყო *დვალეთი*, რომელიც 1858 წლიდან საქართველოს ჩამოაჭრეს). საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი აზერბაიჯანთან აქვს, სამხრეთით მას სომხეთი და თურქეთი ესაზღვრება, დასავლეთიდან შავი ზღვა აკრავს.

კლიმატური პირობებითა და ლანდშაფტით თანამედროვე საქართველოს ტერიტორია ფრიად მრავალფეროვანია. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან *დასავლეთ საქართველო* და *აღმოსავლეთ საქართველო*. პირველ მათგანში ზღვის სანაპირო ზოლში თუ სუბტროპიკული ჰავაა, მეორე მათგანში უდაბნოც გვხვდება. საქართველოში მცენარეულობა ძირითადად ვერტიკალური ზონალობის მიხედვით იცვლება. მთისა და ბარის გამყოფად *ვახუშტი ბაგრატიონი* (XVIII ს.-ის I ნახევარი) მცენარეულ საფარს მიიჩნევდა. მისი აზრით, სადაც ვაზის კულტურა აღარ ხარობდა, იქ უკვე მთა იყო.

დემოგრაფიული მდგომარეობა. შუა საუკუნეებში საქართველოს ცენტრალიზებული ერთიანი მონარქია დიდ ფართობს მოიცავდა. მაშინ საქართველო პოლიეთნიკური

ქვეყანა იყო. ასევეა დღესაც. მაგრამ ისტორიულად საქართველოში ქართველების რაოდენობა ბევრად ჭარბობდა არაქართულ ეთნიკურ ერთეულებს. საქართველო ეთნიკურად მოზაიკური ქვეყანა მას შემდეგ გახდა, რაც აქ რუსეთის იმპერიამ სხვადასხვა ეთნოსებს მიუჩინა ბინა (სომხები, ბერძნები, რუსები...). ქართველთა დემოგრაფიული მდგომარეობაც მათი ისტორიის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა იყო. საგარეო ფაქტორთა ზემოქმედების გამო ქართველებმა თავიანთი განსახლების არეალის ერთ მესამედზე მეტი დაკარგეს. ამ ტერიტორიებზე ფაქტობრივად ქართველთა დეეთნიზაცია მოხდა. დეეთნიზაციის საშიშროების წინაშე ქვეყნის ცენტრალური მხარეებიც იდგა, მაგრამ ხანგრძლივ ჭიდილში ქართველობა მაინც გადარჩა. საგარეო ფაქტორთა ზემოქმედების გამო, ძალიან ხშირად ქართველი ხალხის რაოდენობა მინიმუმამდე მცირდებოდა და დემოგრაფიული მრუდის უკიდურესად დაბლა დაშვების შემდეგ, რაღაცნაირად ხდებოდა ეთნოსის გარკვეული რაოდენობის შენარჩუნება, რომელიც მას საბოლოოდ გაქრობის საშუალებას არ აძლევდა. მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესების შედეგად მოხდა მტრისაგან გავერანებულ, მოსახლეობისაგან ამოვარდნილ ქართულ პროვინციებში ქართველი ხალხის კვლავწარმოება. ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს მთიანეთის პროვინციებმა, რადგან მთაში მოსახლეობის რაოდენობა ლიმიტირებული იყო და ნამატი ყოველთვის ბარში გადადიოდა საცხოვრებლად.

ქართველ ხალხს დემოგრაფიული განვითარების საშუალება მეტ-ნაკლებად XIX-XX საუკუნეებში მიეცა. რუსეთის მიერ საქართველოს სამეფო-სამთავროების დაპყრობისა და ანექსიის ერთი დადებითი შედეგი მოსახლეობის რაოდენობის მატება იყო, რადგან მუდმივი საგარეო საფრთხე, თავდაცვითი ომები, ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელთა თარეში და ტყვეთა სყიდვა ისტორიას ჩაბარდა. თუმცა XIX-XX საუკუნეებში, ქართველთა მნიშვნელოვანი მატების მიუხედავად, ქვეყნის საერთო მოსახლეობაში მათმა პროცენტულმა რაოდენობამ მნიშვნელოვნად იკლო და 1939 წლისათვის ქართველების პროცენტულმა რაოდენობამ საქართველოში კატასტროფიულ ზღვარს – 61,4% მიაღწია. ერთი შეხედვით დღეს თითქოსდა უკეთესი ეთნოდემოგრაფიული ვითარებაა, რადგან 2002 წლის აღწერის მონაცემებით, ტიტულოვანმა ქართულმა ეთნოსმა მთელი ქვეყნის მოსახლეობის 83, 8% შეადგინა. მაგრამ მოსახლეობის როგორც საერთო რაოდენობის, ისე ქართველთა კლება აშკარაა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საშინაო და საგარეო ფაქტორთა ერთობლიობით, ქვეყანაში ქართველთა რაოდენობაც მნიშვნელოვნად იკლებს. სახეზეა აშკარა დეპოპულაციის ნიშნები.

ქართველთა რაოდენობამ მაქსიმუმს XII საუკუნეში მიაღწია. ამ დროისათვის საქართველოს მთელი ტერიტორია (მისი ისტორიული მიწა-წყლის ჩათვლით) მაქსიმალურად იყო ათვისებული. ეს ეხება როგორც ბარს, ისე მთისწინეთსა და მთას. XII საუკუნეში საქართველოს სამეფოს ქართული მოსახლეობა დაახლოებით 5 მილიონი იყო.

ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ქვეყნის ხან ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე დგებოდა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე და ხან – მეორე. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის შუა წლებში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას 761 ათასს ანგარიშობენ. 1800 წლისათვის საქართველოს დღევანდელ ფარგლებში მოსახლეობის რაოდენობა 675 ათასზე მეტი იყო. აღმოსავლეთ საქართველოში მთელი მოსახლეობის 45,6% ცხოვრობდა, დასავლეთ საქართველოში – 54,4%. XIX საუკუნის დასაწყისიდან 1940 წლამდე ქართველების აბსოლიტური რაოდენობის ზრდასთან ერთად ხდებოდა მთელ მოსახლეობაში მათი ხვედრითი წონის თანდათანობით შემცირება, რადგან სისტემატიურად იზრდებოდა გარედან მოსული მოსახლეობის როგორც აბსოლიტური, ისე ფარდობითი რაოდენობა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა 1921-1940 წლები. აღნიშნულ წლებში ქართველების ბუნებრივმა მატებამ მაქსიმალურ დონეს მიაღწია. მაგრამ ასევე გახშირდა

არაქართველების მიგრაცია. ქართველების ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში მინიმალური იყო 1939 წელს (61,4%).

ქართველები საქართველოს გარდა ცხოვრობენ თურქეთში, აზერბაიჯანში (ორივე ამ ქვეყანაში თავიანთი წინაპრების ისტორიულ მიწა-წყალზე), ირანში, რუსეთში და სხვაგან. ამ ქვეყნებში ქართველთა რაოდენობის შესახებ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები არ გაგვაჩნია. ყველაზე დიდი რაოდენობით ისინი თურქეთში ცხოვრობენ, სადაც ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები (*ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, ერუშეთი, კოლა, არტაანი*) მდებარეობდა. აქედან ქართველების ძირითადი ნაწილი ემიგრირებულია და ახლა ძირითადად თურქეთის დიდ ქალაქებში ცხოვრობენ. ბევრი მათგანი დეეთნიზებულია. სხვადასხვა მონაცემებით ქართველების რაოდენობა (ლაზების გამოკლებით) ერთიდან სამ მილიონამდე მერყეობს. ხოლო რამდენმა იცის ქართული ენა ცნობილი არაა. აზერბაიჯანში ქართველები ისტორიული საქართველოს აღმოსავლეთ კახეთის ტერიტორიაზე (*კახის, ზაქათალის* და *ბელქანის* რაიონები) ცხოვრობენ. საინგილოში მკვიდრობენ, როგორც მაჰმადიანი, ისე ქრისტიანი ქართველები. მხოლოდ ეს უკანასკნელნი მიიჩნევიან ქართველებად. ოფიციალური ხელისუფლება მაჰმადიან ქართველებს აზერბაიჯანელებად მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ მათ დედაენა კარგად აქვთ შემონახული. რაც შეეხება ირანში მცხოვრებ ქართველებს, კომპაქტურად ისინი *ფერეიდნის* პროვინციის სოფლებში მკვიდრობენ და კახეთიდან *შაჰ-აბასის* მიერ იძულებით აყრილი და გადასახლებული ქართველების შთამომავლები არიან. 1966 წლის აღწერით ფერეიდანის ქართულ სოფლებში 18.043 სული იყო აღრიცხული. თურქეთში მცხოვრები ქართველები სარწმუნოებით სუნიტები არიან, ფერეიდნელი და აზერბაიჯანში მცხოვრები მაჰმადიანი ქართველები – შიიტები. თურქეთში მცხოვრები ქართველები კი, როგორც აღვნიშნეთ, თავიანთი წინაპრების მიწა-წყალზე ცხოვრობენ. ეს მიწა-წყალი, ტერიტორია რომ ქართველი ხალხის განსახლების არეალი იყო ტოპონიმებითა და ძველი მიწისზედა და მიწისქვეშა ძეგლებითაც დასტურდება, რომელთაგანაც განსაკუთრებით ქრისტიანული არქიტექტურის დღემდე შემორჩენილი ძეგლები, ციხე-სასახლეები, ციხეები, ხიდები, სარწყავი არხები და რუები, ტერასები შეიძლება დავასახელოთ, რომელთა მშენებლობასაც ადგილობრივი მოსახლეობა, ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, თამარ მეფეს მიაწერს.

ანთროპოლოგიური დახასიათება. ქართველები ანთროპოლოგიურად ტიპური ევროპეიდები არიან. ქართველების შესანიშნავი ანთროპოლოგიური დახასიათება მოცემული აქვს ვახუშტი ბაგრატიონს: „ხოლო ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შუენიერნი, ჰაეროვანნი, შავ თუალ-წარბ-თმოსანნი, თეთრყირმიზნი, იშჯთ შავგვრემან და მოყვითან, იშჯთ თუალჭრელ და გრემანი, და მწითურ ანუ თეთრ. ქალთა თმა გარდაშუებულნი და დაწნული. ხოლო კაცთა ყურთზედა მოკუეცილნი; წერწეტნი, უმეტეს ქალნი, იშჯთ სქელნი“... თანამედროვე მეცნიერთა თვალსაზრისით კი ქართველები ანთროპოლოგიურად თითქმის ერთგვაროვანნი არიან. მათი ანთროპოლოგიური ტიპი კი სრულებით არ იმეორებს ეთნოგრაფიული და დაილექტური ნაირგვარობის სურათს.

XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური *ჟან შარდენი* წერდა: „ქართველები მთელს აღმოსავლეთში და, შეიძლება ითქვას მთელ მსოფლიოში, საუკეთესო ჯიშის ხალხია. ამ ქვეყანაში მე არ შემხვედრია არც ერთი უშნო ადამიანი, კაცი იქნება ეს თუ ქალი, ვხვდებოდი მხოლოდ და მხოლოდ ანგელოზისებრ სახეებს. ქალების უმეტესობა ბუნებას ისეთი სინატიფით დაუჯილდოვებია, როგორსაც ვერსად შეხვდებით. ვფიქრობ, შეუძლებელია მათ თვალი მოკრათ და არ შეგიყვარდეთ. ქართველ ქალზე უფრო მშვენიერი სახისა და ტანის დახატვაც კი შეუძლებელია; არიან მაღალნი, კოხტა და მოქნილი ტანისა და საოცრად წელწვრილნი“.

საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში მეცნიერები ძირითადად სამ ლოკალურ ანთროპოლოგიურ ტიპს გამოყოფენ: **კოლხური**, **იბერიული** და **კავკასიონური**.

ქართველთა აღმნიშვნელი ეთნონიმები. ქართველთა აღმნიშვნელი თვითსახელწოდებაა **ქართველი** (მხ. რ), **ქართველები** (მრ. რ). ამ ეთნონიმით ქართველ ხალხს სხვა არავინ არ იცნობს. ქართველთა აღმნიშვნელი ენდოეთნონიმი/ავტოეთნონიმი საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარესთან ქართლთანაა დაკავშირებული, მისგან მომდინარეობს. ქართული საისტორიო ტრადიციით, *ქართლის* სახელწოდება კი ქართველთა ლეგენდარული მამამთავრის – *ქართლოსის* სახელიდან მომდინარეობს. *ქართლი* ჯერ ეწოდებოდა მთას, რომელზედაც სახლობდა ქართველთა ეთნარქეპონიმი. ამ პუნქტის სახელწოდება დაკავშირებულია დასავლურქართულ ტერმინთან „ქართა“ (მოღობილი ადგილი). ქართველი თავდაპირველად, მართლაც, ქართლის მკვიდრ მოსახლეობას აღნიშნავდა, რომელიც შემდეგ თანდათან გაერთიანებული საქართველოს მთელ მოსახლეობაზე გავრცელდა. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა კი თავდაპირველად **ეგრისელებად** იწოდებოდა, რომელსაც ძველი ბერძნული **კოლხიდელები** შეესატყვისებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს კი იგივე ძველი ბერძნები *იბერიას* და მის მკვიდრებს **იბერებს (იბერიელებს)** უწოდებდნენ, რომელიც გვიან XVIII საუკუნეში ქართველებმა **ივერიის** სახით გააცოცხლეს. 1790 წლის ხელშეკრულებაში, რომელიც საქართველოს სამეფო-სამთავროების მესვეურებმა დადეს, ეწოდება „ტრაქტატი *ივერიელთა* მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული“.... საბუთში ხაზი ესმის *ქვემო ივერიელთა* (დასვლეთ ქართველების) და *ზემო ივერიელთა* (აღმოსავლეთ ქართველების) ერთმორწმუნეობას, საერთო ენის მქონებლობას, სისხლით ნათესაობას, საერთო ისტორიას (ისტორიის მახსოვრობას). ტერმინები *იბერია* და *იბერები, კოლხიდა* და *კოლხები* ადრებიზანტიური ხანის საისტორიო ლიტერატურაშიც იხმარება. შემდეგდროინდელ ბიზანტიურ ლიტერატურაში დასავლეთ საქართველოს *ლაზიკის* სახელით იცნობენ, ხოლო მის მცხოვრებთ, *ლაზებს* უწოდებენ. IX საუკუნიდან კი დასავლეთ საქართველოს ბიზანტიური წყაროები *აბასგიას* და მის მკვიდრთ *აბასგებს* უწოდებენ. ხოლო XI საუკუნიდან ამ ტერმინებით მთელ საქართველოს და მის მოსახლეობას მოიხსენიებენ. თუმცა XIII-XV საუკუნეებში ბიზანტიურ ლიტერატურაში საქართველოს მკვიდრნი კვლავ *იბერებადაც* იწოდებიან.

არაბებისათვის ქართველები **ჯურზანის** ეთნონიმით არიან სახელდებულნი, რაც, თავის მხრივ, სირიული **გურზანიდან** მომდინარეოს. შუა საუკუნეების არაბულ ნარატიულ წყაროებში ქართველები **აბხაზის** სახელწოდებითაც არიან სახელდებული. იგივე შეიძლება ითქვას იმავე პერიოდის სპარსულ ლიტერატურაზეც, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ქართველ მეფეთა ტიტულატურა იწყებოდა ასე: „მეფე აფხაზთა (ე. ი. დასავლეთ ქართველთა), ქართველთა“.... ჯურზანიდან გაჩნდა **ქურჯი**, ქურჯიდან – **გურჯი**, რითაც დღეს ქართველები მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმურ ქვეყნებში არიან ცნობილნი (მაგალითად, თურქეთში). ძველი სომხებისათვის ქართველები **ვირკები** იყვნენ, ხოლო თანამედროვე სომხები **ვრაცს** უწოდებენ.

X-XV საუკუნეების სპარსული საისტორიო წყაროები საქართველოს **გორჯესთანს** უწოდებენ, ხოლო ქართველებს – **გორჯიანს**. თურქებისთვის საქართველო **გურჯისტანი**, ხოლო ქართველები **გურჯები** არიან. გურჯიდან არის მიღებული რუსული **გრუზინ**, რომელიც თავდაპირველად გამოითქმოდა როგორც **გურზი**. ეს ტერმინი რუსულ მატიანეებში XVI საუკუნიდან ჩნდება, უფრო ადრე კი ისინი ქართველთა აღსანიშნავად *ობეზს* გამოიყენებდნენ.

გერმანულ წყაროებში საქართველოს **გეორგიენ**-ს უწოდებენ, ინგლისურენოვანში – **ჯორჯიან**, ფრანგულენოვანში – **ჟეორჟი**, იტალიურში – **ჯორჯა**, ხოლო ესპანურში – **ხეორხეია**. ამის შესაბამისად ქართველებს გერმანულად ეწოდებოდათ **გეორგიერ**, ინგლისურად – **ჯორჯიანზ**, ფრანგულად – **ჟეორჟიენ**, იტალიურად –

ჯორჯანი და ესპანურად – **ხეორხიანოს**. ქართველების და საქართველოს აღმნიშვნელი ახალი ევროპული ტერმინები Georgian და Georgia-ს წარმოშობა სპარსულ-ირანულ *გურჯი* და *ჯურჯისაგან* დღეს საყოველთაოდ აღიარებულია. ქართველთა თვითსახელწოდება მხოლოდ აფხაზურ ენაში გადავიდა, ისინი ქართველებს **აქართუას** უწოდებენ.

ქართული ენა და მისი დიალექტები. ქართველთა სახელმწიფო, სალიტერატურო და საღვთისმეტყველო ენაა ქართული ენა. ქართულ ენათა ჯგუფში, ქართული ენის გარდ, შეყავთ სვანური და ზანური (მეგრულ-ჭანური) მეტყველებაც. მეგრულად და ჭანურად (ლაზურად) და სვანურად მეტყველთათვის ქართული ენა მთელი ისტორიის განმავლობაში სახელმწიფო, სალიტერატურო და საღვთისმეტყველო ენა იყო. ქართული ენა ქართველი ერის ერთ-ერთი და, ამასთანავე, ძველი ნიშანია. ქართულ ენაზე შექმნილია მდიდარი მხატვრული, ორიგინალური და თარგმნითი სამეცნიერო და პოლიტიკური ლიტერატურა. ქართულ ენაზე არსებობს მდიდარი სამეცნიერო ტერმინოლოგია მეცნიერების თითქმის ყველა დარგში.

ძველი ქართულის უძველეს ძეგლებად ითვლება *იუდას უდაბნოს წარწერები* (430 წ) და *წარწერები ბოლნისის სიონზე,* რომელიც V საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისაა. პირველი თარიღიანი ხელნაწერია *სინური მრავალთავი* (864 წ). თარიღიან ოთხთავთა შორის ყველაზე ძველია *ადიშის ოთხთავი* (897 წ), რომელიც დღეს *მესტიის* მუზეუმშია დაცული. *ადიშის ოთხთავი* გადაწერილია *გრიგოლ ხანძთელის* მიერ დაარსებულ *შატბერდის* მონასტერში (*კლარჯეთში*). ქართულ ენაზე V საუკუნიდან დაწყებული ორიგინალური მხატვრული ლიტერატურა იქმნებოდა. პირველი ლიტერატურული ძეგლი *იაკობ ხუცესის* „შუშანიკის წამებაა“.

ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლად ედო აღმოსავლურ-ქართული დიალექტები (*ქართლურ-კახური*). საუკუნეთა განმავლობაში სალიტერატურო ქართულ ენას თითქმის ყველა ქართული დიალექტი/მეტყველება ამდიდრებდა.

ქართული ენა იყოფა დიალექტებად, რომლებიც მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ისინი ტრადიციულად ერთიანდებიან აღმოსავლურ და დასავლურ ჯგუფებში (ცალკე გამოყოფენ სამხრეთულ ჯგუფებსაც), რასაც საფუძვლად უდევს უმთავრესად ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული პრინციპები. ქართული დიალექტების გავრცელება ძირითადად ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს მოიცავს. ქართული ენის დიალექტებია: **აჭარული, გუდამაყრული, გურული, თუშური, იმერხეულ-შავშური, ინგილოური, კახური, ლეჩხუმური, მესხური, მთიულური, რაჭული, ფერეიდნული (ირანში), ფშაური, ქართლური, ხევსურული, ჯავახური**. სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი **ტაოური** დიალექტის შესახებ. არადა ქართული ენის ასეთი დიალექტი დღეს ნამდვილად არსებობს, რომელზედაც დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიული *ტაოს პარხალის* ხეობაში სამი ქართული სოფლის – *ხევაღს, ქობაღს* და *ბალხის* მოსახლეობა მეტყველებს. ქართული სალიტერატურო ენისაგან დაშორებულია **მეგრული** (ანუ *მეგრულ-ჭანური*) მეტყველება. უფრო მეტადაა დაშორებული **სვანური**. ზანურად (მეგრულად) და სვანურად მეტყველი ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფები ყოველთვის ქართველი ერის შემადგენლობაში შედიოდნენ და შედიან. სამეგრელოში (აგრეთვე, ლაზეთში) და სვანეთში მცხოვრები მოსახლეობისათვის საერთო ეროვნული, სამწერლობო, საღვთისმეტყველო ენა ისტორიულად იყო და ამჟამადაც არის ქართული.

ქართული დამწერლობა. ქართული დამწერლობა, წერის დამოუკიდებელი ორიგინალური სისტემაა, რომელიც გამოსცემს ქართული მეტყველების ბგერით შემადგენლობას და ქმნის ეროვნული ქართული ენის წერილობით და ბეჭდით ფორმას. გამოიყოფა ქართული დამწერლობის განვითარების სამი საფეხური: ძველი (V ს.-დან IX ს.-მდე), საშუალო (IX საუკუნიდან XI საუკუნემდე) და ახალი (XI საუკუნიდან დღევანდლამდე) ამ სახეობათა სახელწოდებებია: ***მრგვლოვანი*** **ანუ** ***ასომთავრული, ნუსხური*** **ანუ** ***ნუსხა-ხუცური*** *და* ***მხედრული*** **ანუ** ***საერო***.

ძველი და თანამედროვე ქართული ანბანი უკიდურესად ზუსტი, მარტივი და ეკონომიურია. ძველი ქართული დამწერლობა ისე შემუშავდა, რომ თითოეულ ბგერას საკუთარი ნიშანი ჰქონდა, თითოეულ ნიშანს თავისი ბგერა შეეფერებოდა.

არსებობს ისტორიული ტრადიცია ქართული დამწერლობის წარმოშობის თაობაზე. ლეონტი მროველის (XI ს.) თხზულებაში დაცულია ცნობა, რომ ქართული ანბანი შეიქმნა ძვ. წ.-ის III საუკუნეში, ფარნავაზის მეფობის დროს („**ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლისა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული**"). ივანე ჯავახიშვილი ამ ცნობას რეალურად თვლიდა. V საუკუნის წინა პერიოდის ქართული დამწერლობის ძეგლების ჩვენამდე მოუღწევლობას კი ქრისტიანთა მიერ წარმართული ძეგლების განადგურებით ხსნიდა. მეცნიერთა უმრავლესობა ასაბუთებს, რომ ჩვენამდე რეალურად მოღწეული უძველესი დამწერლობითი ძეგლები (V ს.) არ შეიძლება მოვიჩნიოთ ქრონოლოგიურად პირვანდელ ძეგლებად. ასაბუთებენ, რომ ქართული ანბანი წარმოქმნილია წინაქრისტიანულ ხანაში. თუმცა, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ის მხოლოდ V საუკუნის დასაწყისშია წარმოქმნილი.

ქართველთა სარწმუნოება. ქართული კულტურა და ცივილიზაცია ქრისტიანულ სარწმუნოებას ემყარება. ქრისტიანობა საქართველოში პირველი საუკუნიდანვე გავრცელდა, მაგრამ სახელმწიფო რელიგიად 326 წელს გამოცხადდა. ქრისტიანული მოძღვრება საქართველოში *კაბადოკიელმა ნინომ* იქადაგა. სახელმწიფო რელიგიად კი მეფე *მირიანმა* გამოაცხადა. ქრისტიანობის მიღებას ქართველი ხალხისათვის დიდი სახელმწიფოებრივი და კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა. მისი მიღებით დასტურდება, რომ საქართველო და ქართველი ხალხი სოციალური განვითარების თვალსაზრისით სათანადო დონეზე იდგა. ამ ფაქტს განუსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ეთნიკური განვითარებისათვის. თუ აქამდე რამდენიმე ქართული ტერიტორიული ერთეული შესული არ იყო ქართველი ერის შემადგენლობაში, ამის შემდეგ ქრისტიანობამ, როგორც მაკონსოლიდირებულმა რელიგიამ, ეს პროცესი დააჩქარა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ხალხის ყველა ეთნოგრაფიულ ჯგუფში ქრისტიანობა დაბრკოლებების გარეშე არ ვრცელდებოდა. ჯერ კიდევ VI საუკუნეში საქართველოში იყო მხარეები (მაგალითად, *კოლაში*) სადაც მას გზა გაკაფული არ ჰქონდა. ამის გამო იყო, რომ *ფხოველები* სამეფო ხელისუფლებას წინააღმდეგობას *თამარის* დროსაც კი უწევდნენ. საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ მხარეში ქრისტიანობა მხოლოდ ფორმალურად შევიდა. მთიელებმა ბევრი წინაქრისტიანული რეალია შეინარჩუნეს, რაც დღევანდელ მკვლევარებს ქართველთა ქრიტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენების არსში გარკვევის საშუალებას აძლევს.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქართულ ეკლესიას კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციები წაერთვა, ქართულმა ეკლესიამ დაკარგა ავტოკეფალია (1811 წ.). სულ მალე, 1814 წელს იგივე ბედი ბიჭვინთის კათალიკოსმაც გაიზიარა, რომლის რეზიდენციაც გელათში იყო. საქართველოს ეკლესია სამართავად რუსეთის სინოდის საეგზარქოსოს გადაეცა. 1917 წელს ქართულმა სასულიერო პირებმა აღადგინეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. 1943 წელს ქართულ ეკლესიასა და რუსულ მართმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობა დამყარდა და ამ უკანასკნელმა ცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

გვიან შუა საუკუნეებში, ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, ზოგიერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში სხვა რელიგიებმა და კონფესიებმა დაიწყეს გავრცელება. XVII-XVIII საუკუნეებში თურქეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე სუნიტური მიმართულების ისლამი გავრცელდა (*ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, ერუშეთი, კოლა, არტაანი, სამცხე, ჯავახეთი, აჭარა*). ისლამი გავრცელდა *აღმოსავლეთ კახეთის* გადარჩენილ მოსახლეობაში. ისლამი (შიიზმი) მიიღეს

ირანის *ფერეიდნის* პროვინციაში *შაჰ-აბასის* მიერ 1614 წელს გადასახლებულმა ქართველებმა.

გვიან შუა საუკუნეებში საქართველოში მოღვაწეობდნენ კათოლიკე მისიონერები, რომლებიც კათოლიციზმს ავრცელებდნენ. გარკვეულ პერიოდში ქართველთა ნაწილმა, ევროპასთან დაახლოებისა და, ამგვარად, თავის გადარჩენის მიზნით, ერთ-ერთ გზად კათოლიკობა მიიჩნია. ქართველთა შორის გაჩნდნენ ამ სარწმუნოების მიმდევრები. განსაკუთრებით ეს მოხდა სამხრეთ საქართველოში, სადაც უცხოური ელემენტების შემოტევა უფრო საგრძნობი იყო. სამცხე-ჯავახეთის არაერთი სოფლის მკვიდრნი გახდნენ კათოლიკური რწმენის მატარებელნი. კათოლიკე ქართველები გაჩნდნენ ქალაქებშიც (*თბილისი, გორი, ქუთაისი, ახალციხე*). ქართველ ხალხში კათოლიკობა XIII საუკუნიდან გავრცელდა. მაჰმადიან ქართველებს თუ *თათრებს* უწოდებდნენ, კათოლიკე ქართველებს – *ფრანგებს*. მოგვიანებით რომის პაპმა ქართველი კათოლიკეები სომხურ-კათოლიკურ ეკლესიას დაუქვემდებარა. მასში წირვა-ლოცვა სომხურ ენაზე მიმდინარეობდა. ქართველი კათოლიკეებისათვის ეს ენა გაუგებარი იყო. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველმა კათოლიკეებმა დიდი ბრძოლის შედეგად მოახერხეს სომხურ-კათოლიკური ეკლესიისაგან თავის დახსნა.

გვიან შუა საუკუნეებში საქართველოში სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოებაც (მონოფიზიტობა) გავრცელდა. სომხური სარწმუნოების ქართველებს კი, *სომხებს* უწოდებდნენ. ქვემო ქართლის ქართველთა შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერა: „ამ ადგილებთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა ზნითა ქართულითა“. ქართველი მონოფიზიტები ცხოვრობდნენ ქართლში, კახეთში, სამხრეთ საქართველოში. კლარჯეთის ქალაქ *ართვინის* სომხობა კი სინამდვილეში ქარველი გრიგორიანელები იყვნენ. გერმანელი მოგზაური და მეცნიერი *კარლ კოხი* (იმოგზაურა XIX საუკუნის 30-იან წლებში) წერდა: „სავაჭრო საქმეებს ჩვეულებრივ ქართველები განაგებენ. ეს ის ქართველებია, რომლებსაც სომხური სქიზმა აქვთ მიღებული და ამიტომ სომხებად იწოდებიან. ისინი უმთავრესად *ართვინში* ცხოვრობენ.“

მოსახლეობის 2002 წლის აღწერით პირველად დადგინდა საქართველოს მოსახლეობის კონფესიური (აღმსარებლობითი) სტრუქტრა. აღწერის მონაცემებით, **ქვეყნის მოსახლეობის 88,6% ქრისტიანული აღმსარებლობისაა**. მათ შორის 3 მილიონ 873 ათასი კაცი, ანუ 83,9 პროცენტი, მართლმადიდებელია. **მაჰმადიანური სარწმუნოების მატარებელია 434 ათასამდე კაცი, ანუ მოსახლეობის 9,9 პროცენტი. იუდეური აღმსარებლობისაა 3.541 კაცი (0,1%). კათოლიკედ თავი 34.727 ადამიანმა აღიარა (0,8%). სომხურ-გრიგორიანული მიმდინარეობისაა 171.139 კაცი (3,9%). საქართველოში მცხოვრები ქართველების 94,7% მართლმადიდებელია, 3,8% – მაჰმადიანური სარწმუნოების მიმედევარი, 0,3% – კათოლიკურისა**. აჭარის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში 376.016 მკვიდრიდან მართლმადიდებელია 240.552, მაჰმადიანი – 115.161, სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოებისა – 3.162, კათოლოკე – 683. გურიის მხარეში 13.736 მაჰმადიანი იყო აღრიცხული.

ეთნიკური ისტორია. ქართველთა ეთნოგენეზი დღევანდელი საქართველოსა და მის ისტორიულ სამხრეთ ტერიტორიაზე საუკუნეთა მიღმა მოხდა. ქართული ეთნოსის წარმოშობის შესახებ ჯერ კიდევ ბევრი რამ გაურკვეველი და შესასწავლია. ქართველები მხოლოდ ქართულად მეტყველი ტომების შერწყმის შედეგად როდი არიან ჩამოყალიბებული. ქართული ეთნოსი, როგორც მისი ეთნოგენეზის, ისე მთელი ეთნიკური განვითარებისას, მრავლად იკრებდა და ისრუტავდა არაქართულ ეთნიკურ ერთეულებსაც. ქართული ეთნოსის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს წინა აზიაში მცხოვრებმა ეთნიკურმა ერთეულებმა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამ თვალსაზრისით მათ ერთ-ერთი კომპონენტის როლი შეასრულეს.

კავკასიასა და მის მოსაზღვრე წინა აზიის ტერიტორიაზე წინარე ქართველური ენის მატარებელი კოლექტივების ფორმირება ოთხი ათასწლეულის წინ მოხდა. შემდეგ პროტოქართველური ენობრივ-ეთნიკური ერთობა ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე ერთმანეთს გაეთიშა და მივიღეთ სამი ქართულად მეტყველი ერთეული: **ქართები**, **ზანები** და **სვანები.** გამოთქმულია სხვა შეხედულებაც – ერთიანი ქართული ენის დაშლას ორი ათასწლეულის წინანდელ მოვლენად თვლიან.

არქეოლოგიური მასალით დადასტურებულია, რომ ჯერ კიდევ ოთხი ათასი წლის წინ ქართულ ტომებში საკმაოდ დაწინაურებული იყო მეურნეობის სხვადასხვა დარგი. ძვ. წ.-ის II ათასწლეულში ქართველთა მაღალგანვითარებულობის მაჩვენებელია აღმოსავლეთ საქართველოში (*თრიალეთი*) ნაპოვნი მაღალმხატვრულად დამუშავებული ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს განძი და აგრეთვე დიდი ხელოვნებით დამუშავებული კერამიკული ნაწარმი.

ქართულებმა ქრისტეს დაბადებამდე ორი სახელმწიფოებრივი გაერთიანება – **კოლხეთის (ეგრისის)** და **იბერიის (ქართლის) –** სახელმწიფოები შექმნეს. ძვ. წ.-ის VI საუკუნეში კოლხეთი მსხვილი სახელმწიფოებრივი ერთეული იყო, რომელიც მთელ დღევანდელ დასავლეთ საქართველოს და შავი ზღვის სამხრეთ რაიონებსაც მოიცავდა. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს ცენტრი არა რიონის, არამედ ჭოროხის აუზი იყო. იბერიის (ქართლის) სამეფო კი ძვ. წ.-ის IV-III საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა. ამ სამეფოს გასასვლელი შავ ზღვაზეც ჰქონდა.

ისტორიულად ჩამოყალიბებული ქართველურად მეტყველი სამი ერთობის წარმომადგენლები მუდმივად ერთმანეთთან კავშირში იყვნენ, მუდმივად ერთმანეთს ერეოდნენ და განვითარებულმა მოვლენებმა ისინი კვლავ ერთ ეთნიკურ ერთეულად (ეთნოსად) ჩამოაყალიბა, მიუხედავად იმისა, რომ ზანებმა და სვანებმა დღემდე შეინარჩუნეს საკუთარი მეტყველება, რომლებსაც ქართული ეთნოსის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მხოლოდ საოჯახო, საშინაო ენების ფუნქცია ჰქონდათ.

ისევე როგორც ყველა ეთნოსი, ქართული ეთნოსიც ეთნოგენეზის დღიდან მუდმივ განვითარბას განიცდიდა. საკუთრივ ქართული ერთეულების გარდა, ქართველი ხალხის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი არაქართულ ეთნოსებსაც, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ მცირე აზიური ეთნიკური ერთეულები, მაგალითად, ურარტელები. მუდმივად შემოედინებოდა ქართულ ეთნიკურ სამყაროში სხვადასხვა ჩრდილოეთ კავკასიური (დაღესტანური, ვაინახური, ადიღეური, ოსური) ეთნიკური ერთეულები, რაც მიგრაციის გზით ხორციელდებოდა. ქართულ ეთნოსში დადასტურებულია აგრეთვე ალბანური და სომხური ელემენტის ინფილტრაციაც. მეზობელ ეთნოსთა ქართულ ეთნოსში შემოდინება, ინფილტრაცია, მხოლოდ ცალმხრივი პროცესი არ ყოფილა.

ცნობილია, რომ ხალხების ერებად (ნაციებად) ჩამოყალიბების მიმანიშნებელია, როდესაც ეთნოსი სახელმწიფოებრიობის შექმნისაკენ ისწრაფვის. ამდენად, ჰქმნიან რა ძველი წელთაღრიცხვის VI და IV-III საუკუნეებში ქართველთა ტერიტორიული ერთეულები სახელმწიფოებს (**კოლხეთი ანუ ეგრისი** და **იბერია ანუ ქართლი**), ცხადია, რომ ისინი მაღალი კლასის (საფეხურის) ეთნიკური ერთობები (ეთნოსები) არიან, რომლებსაც ტომობრიობის საფეხური უკვე განვლილი აქვთ და იწყება მათი ერებად (ნაციებად) ჩამოყალიბება, რადგან გააჩნიათ სახელმწიფოებრიობა, ერთ ტერიტორიულ ერთეულზე განსახლება და მჭიდრო თანაცხოვრება, საერთო სახელმწიფო ენა, საერთო რელიგია, საერთო ისტორიის მახსოვრობა და რწმენა საერთო წარმომავლობის შესახებ. ქართული საისტორიო ტრადიციით, ყველა ამ ნიშნის მატარებელნი არიან იბერები, ქართლის სახელმწიფოს მკვიდრნი. ქართლის (იბერიის) მკვიდრნი გარშემო იკრებენ და თავიანთი კულტურული გავლენის ქვეშ აქცევენ სხვადასხვა ქართულ ლოკალურ ერთეულებს. ქართული საისტორიო ტრადიცია ხაზს უსვამს იმას, რომ დასავლეთ ქართველთა გაერთიანება საერთო

ქართულ სახელმწიფოში (ქართლის/იბერიის სახელმწიფოში) მოხდა მათივე ინიციატივით. ეგრისის ანუ კოლხეთის მმართველი *ქუჯი* მიმართავს ქართლის პირველ მეფეს *ფარნავაზს:* **„შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი. შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი“**. ეგრისის მმართველი *ქუჯი* თავისი ქვეშევრდომებით აღმოსავლეთ საქართველოს ქართულ სახელმწიფოებრიობაში (ქართლში) შემოდის სვანეთთან ერთად. ერთიანი ქართლის სამეფოში შემოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაც. ამ დროს ყალიბდება ერთიანი ქართული ერი (ნაცია). თუმცა ქართული ტერიტორიული ერთეულები ხშირად საგარეო ფაქტორის გამო, საერთო სახელმწიფოში აღარ თანაცხოვრობდნენ, მაგრამ მათ მუდმივად ჰქონდათ მისწრაფება ერთმანეთისაკენ, საერთო სახელმწიფოში ცხოვრებისაკენ, რასაც რეალურად კვებავდა გადმოცემა და საისტორიო ტრადიცია საერთო წარმომავლობის შესახებ. საქართველოს ისტორიიდან კი ცნობილია, რომ ამ სურვილს ერთ ერად ყოფნისა, საერთო სახელმწიფოში თანაცხოვრებისა, უფრო ხშირად იჩენდა არა ქართლის მოსახლეობა და მისი ხელისუფლება, რომლის გარშემო მოხდა საერთო ქართული სახელმწიფოებრიობისა და ერის ჩამოყალიბება, არამედ განაპირა მხარეების, ჯერ ეგრისის (კოლხეთის), შემდეგ აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) და ტაო-კლარჯეთის (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს) მცხოვრებნი და მათი ხელისუფალნი, რის განმაპირობებელ ფაქტორებთან ერთად შეიძლება ლანდშაფტური, სამეურნეო-ეკონომიკური და სოციალური (ქართული ფეოდალური სისტემა) დასახელდეს. საქართველოს სხვადასხვა მხარეებს ერთმანეთის გარეშე, ცალ-ცალკე არსებობა უჭირდათ. მათმა განვითარებამ უცილობლად მოითხოვა მჭიდრო ეკონომიკურ-სამეურნეო კავშირები. **დასავლეთ საქართველოსა და ტაო-კლარჯეთს ბუნებრივ-გეოგრაფიული და ლანდშაფტური ფაქტორებიდან გამომდინარე არ შეეძლოთ დამოუკიდებლად განვითარება.** ეს განსაკუთრებით ითქმის როგორც სამეგრელოზე (აქ ჭაობები ჭარბობდა), ისე საკუთრივ აფხაზეთზე. ასე რომ, სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულების პროგრესული განვითარების პირობა გაერთიანებაში და მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკურ კავშირურთიერთობაში იყო. ქართული ეთნოსით დასახლებული ტერიტორიების გაერთიანება ერთ ქვეყნად, როგორც ძვ. წ.-ის IV-III საუკუნეებში (მეფე ფარნავაზის დროს), ისე X-XI საუკუნეებში (ბაგრატ III-ის დროს) მოხდა არა საქართველოს ცენტრალური პროვინციის – ქართლის სხვა პროვინციების დაპყრობის ხარჯზე, არამედ, პირიქით, განაპირა მხარეები მოისწრაფვოდნენ ქართლისაკენ. ეს იყო ეთნიკური ქართველების (და არაეთნიკური ქართველებისაც) სწრაფვა ერთ სახელმწიფოში ცხოვრებისაკენ. ენობრივი ბარიერი პრობლემას არ ქმნიდა. პირიქით, შეუძლებელი იყო როგორც მეგრელს, ისე სვანს და აფხაზს თავის მეტყველებაზე შეექმნა დამწერლობა; ეს განვითარების ხელშემშლელი იქნებოდა. გაერთიანების, ერთ ერად (ნაციად) ჩამოყალიბების გარეშე, ბუნებრივ-გეოგრაფიული, ლანდშაფტური პირობებიდან გამომდინარე, საქართველოს სხვადასხვა მხარეების ეკონომიკური და კულტურული განვითარება არ მოხდებოდა. ეთნოსის თეორიის ცნობილი სპეციალისტი ***ლ. ნ. გუმილიოვი*** **აღნიშნავდა, რომ პოლიტიკურ ერთეულებს (სახელმწიფოებს) სიმტკიცისა და აყვავებისათვის სჭირდებოდათ არა ერთფეროვნება, არამედ ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებისა და შესაბამისად მეურნეობის მრავალფეროვნება, სადაც სხვადასხვა ყაიდის სამეურნეო-ეკონომიკური პროვინციები ერთმანეთს ავსებდნენ**. ასევე იყო საქართველოშიც. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს განვითარებისათვის ერთმანეთი სჭირდებუდათ. მაგალითად, მთას ბარის გარეშე არსებობა ძალიან გაუჭირდებოდა. ამიტომაც ემორჩილებოდნენ მთიელები ცენტრალურ ხელისუფლებას, ამიტომაც შევიდნენ ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ და ეთნოკულტურულ სისტემაში.

მართალია, საქართველოს ისტორიული მხარეების – სამეგრელოსა და სვანეთის – მცხოვრებთ საკუთარი საოჯახო მეტყველება ჰქონდათ, მაგრამ ისინი ყოველთვის

თავს გაიაზრებდნენ საერთო ქართველი ერის (ნაციის) შემადგენელ ნაწილად. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია და საერთო ქართული ერთობის შეგნების გამომხატველია XI საუკუნის *სვანური ხატის* ერთი წარწერა: **„ადიდენ მეფენი ბაგრატოანნი“.** ეს წარწერა სხვა, სვანეთშივე შექმნილ საბუთთან ერთად, რომელშიც ლოცვაა აღვლენილი **„ერთობილი საქართველოს“** სიძლიერისა და კეთილდღეობისათვის, საკმაოდ ადრინდელი ტრადიციის მქონეა. როგორც მეგრელებისათვის, ისე სვანებისა და აფხაზებისათვის, სახელმწიფო, სალიტერატურო და საღვთისმეტყველო ენა ყოველთვის ქართული ენა იყო და მათ ისეთივე წვლილი ჰქონდათ შეტანილი საერთო ქართულ კულტურაში, როგორც სხვა ქართული ეთნოგრაფიული მხარეების წარმომადგენლებს. ქართველ მემატიანეს ესმის, რომ მყარი ეთნიკური ერთობის (ნაციის) არსებობისათვის ენასა, სახელმწიფოსა და საერთო ტერიტორიასთან ერთად, აუცილებელი ნიშანია რელიგიაც და ხაზი ესმის იმ გარემოებას, რომ ქრისტიანობის მიღებამდე მეფე *ფარნავაზმა* ქართველებს საერთო რელიგიური სისტემაც ჩამოუყალიბა და ასეთ ღვთაებად თავისი სახელმწიფოს მკვიდრთ ის უწესებს არა ქართლის, ან რომელიმე სხვა ეთნოგრაფიული კუთხის ღვთაებას, არამედ უცხო ღვთაებას – **არმაზს**, რათა ის ეთნოგრაფიული მხარეები, რომლებიც ქართლის სამეფოში შემოდიოდნენ თანაბარ საწყისებზე ყოფილიყვნენ ერთმანეთთან.

ქართლის (იბერიის) სამეფოს მცხოვრებთ *ქართველი* ეწოდებოდათ, მიუხედავად იმისა, ისინი ქართლის (იბერიის) პროვინციიდან იყვნენ, თუ ქართლის სამეფოს სხვა ეთნოგრაფიული კუთხეებიდან. ქართული ეთნოსის სხვადასხვა ერთეულების ერთმანეთისაკენ ბუნებრივმა სწრაფვამ (რასაც, უპირველეს ყოვლისა, ლანდშაფტი აპირობებდა) და ეთნოსის განვითარების ბუნებრივმა კანონზომიერებამ მიგვიყვანა **ქართველი ერის** წარმოქმნამდე. როგორც აღინიშნა, ქართველი ერი ჩამოყალიბდა მაშინ, როდესაც წარმოიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო მეფე ფარნავაზის (ძვ. წ.-ის IV-III სს. მიჯნა) მეთაურობით. მემატიანის სიტყვით, „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა (ქართლოსი – ქართველთა ეპონიმი, ლეგენდარული მამამთავარი – რ. თ.) ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა (ამ ქართლში მთლიანი საქართველო იგულისხმება – რ. თ.) თვინიერ ქართულისა და შექმნა მწიგნობრობა ქართული“. ამრიგად, **ძვ. წ.-ის IV-III საუკუნეების მიჯნაზე ქართველი ერის (ნაციის) ჩამოყალიბება უკვე ფაქტია.** „ბარის ქართლი ეროვნულად უკვე ჩამოყალიბებული იყო“ (ნ. ბერძენიშვილი). თუმცა, როგორც ცნობილია, ეთნოსები და მათ შორის ერებიც მუდმივ განვითარებას განიცდიან. ნაცია განუწყვეტელ განვითარებაში მყოფი ფენომენია. ამ დროიდან მოყოლებული მუდმივ განვითარებას, თანაც აღმავალი ხაზით, განიცდიდა ქართული ეთნოსიც (ქართველი ერი). **ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბებული ქართველი ერი თავისი განვითარების გზაზე, მუდმივად იკრებდა, საკუთარ ეთნიკურ (ეროვნულ) ქვაბში ხარშავდა იმ ქართულ ტომებს, რომლებიც ჯერ არ იყვნენ შესული ქართველი ერის შემადგენლობაში.** საერთოდ, ქართველი ერის (ნაციის) განვითარებაში ორი მნიშვნელოვანი პერიოდი გამოიყოფა. პირველი ესაა ვახტანგ გორგასლის ეპოქა (V ს.-ის II ნახევარი) და მეორე – X-XI საუკუნეების მიჯნა, როდესაც ქართული ფეოდალური სამეფოები ერთ ფეოდალურ მონარქიად გაერთიანდნენ. **ქართველი ერის შემადგენლობაში შედიოდნენ აგრეთვე არაქართული ეთნოსების წარმომადგენლებიც და თანდათან ხდებოდა ქართველი ერის თვისობრივი განვითარება, აღმასვლა.** ძვ. წ.-ის IV-III საუკუნეების მიჯნიდან ახ. წ.-ის IV საუკუნის დასაწყისამდე პერიოდი, ქართლის სახელმწიფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე იყო ქართველი ერის დადგინების და განმტკიცების პერიოდი. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით, საბოლოოდ გამოიკვეთა ქართველი ერის კულტურული იერსახე. ქართველი ერი ახალ თვისობრობაში გადავიდა და ის უფრო განმტკიცდა.

ქრისტიანობამ ზღვარი გაავლო ძველი და ახალი ტიპის (ფორმაციის) ქართველ ერს შორის. ამიერიდან ქრისტიანობა ქართველთა ეროვნულ რელიგიად და ქართული ეროვნული ცნობიერების (თვითშეგნების, მენტალობის) ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად იქცა. ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ერთიანი ქართული კულტურა მას დაეყრდნო. ეს იყო ისეთი გარდატეხა, რომლის მსგავსი არც მანამდე და არც მას შემდეგ არ მომხდარა ქართველი ერის ისტორიაში. ამიერიდან ქრისტიანობა (სხვა რელიგიებთან დაპირისპირებაში) ქართველების ყველაზე დიდი განმსაზღვრელი გახდა. ყველა ის, ვინც აღიარებდა ქრისტიანობას და წირვა-ლოცვას ქართულად ასრულებდა, ქართველად ითვლებოდა, მისი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად. ქართლად ითვლებოდა ყველა ის „ქვეყანა“, თანამედროვე ტერმინი რომ ვიხმაროთ, ის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, სადაც ჟამი ქართულად შეიწირებოდა: **„ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირიცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“** – წერდა X საუკუნის ქართველი მწერალი *გიორგი მერჩულე*. უფრო მეტიც: ეთნიკურად არაქართველი, რომელიც ქრისტიანობას მიიღებდა, ქართველად ითვლებოდა. VIII საუკუნის მწერალი *იოანე საბანისძე* თავისი გმირის შესახებ ასეთ სიტყვას ხმარობს: **„აბო ისმაიტელ-ყოფილისა ქართველისაჲ“.** აბო, რომელიც ეთნიკურად არაბია და სარწმუნოებით მაჰმადიანი იყო, ქრისტიანობისათვის ეწამა. თხზულების ავტორისათვის მაჰმადიანყოფილი არაბი უკვე ქართველია, მას შემდეგ, რაც მან მიიღო ქართული აღსარება ქრისტიანობისა. ქართული საისტორიო წყაროებით განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში ქართველად, ეთნიკურად არაქართველები და არამართლმადიდებელი სარწმუნოების მატარებელნიც ითვლებოდნენ. მთავარი იყო ესა თუ ის პიროვნება საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქე და ის ამ სახელმწიფოს სამსახურში ყოფილიყო. „უკვე საკმარისი არ ხდება რელიგიური მომენტი. უფრო მეტია ეროვნული შეგნება“ (ს. ჯანაშია). ასე რომ, ერის (ნაციის) ის გაგება არსებობდა XII საუკუნის საქართველოში, რაც დღეს დასავლეთის სახელმწიფოებში არსებობს.

მკვლევართა სამართლიანი დაკვირვებით, უკვე ადრეული პერიოდიდან ტერმინი *ნათესავი* დღევანდელ ტერმინს *ერს* (*ნაციას*) შეესატყვისებოდა. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ქართული წყაროების მონათხრობი *მირიან* მეფის შესახებ, რომელმაც IV საუკუნის დასაწყისში საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ქართული საისტორიო ტრადიციით, მირიანი სპარსი იყო. *ქასრე სასანიანმა* „მისცა ქართველთა მეფედ ძე მისი და დასუა მცხეთას“. „და აღიზარდა მირიან მსახურებასა მას შინა შჯდთა მათ კერპთასა და ცეცხლისა. ხოლო შეიყუარნა ქართველნი და დაივიწყა ენა სპარსული და ისწავა ენა ქართული“. ამრიგად, ქრისტიანობამდელი ხანის ქართველი იყო „გამოკვეთილი ეროვნულ-კულტურული მთლიანობა“. „აქედან ქართველი ამ კულტურის მატარებელი ადამიანი. ამრიგად, უცხო, არაქართული ჩამომავლობის ადამიანი შეიძლებოდა გამხდარიყო ქართველი. ასეთი იყო მირიან“ (*ნ. ბერძენიშვილი*).

გვიან შუა საუკუნეებამდე ეთნიკური პროცესები საქართველოში აღმავალი ხაზით ვითარდებოდა. ერთიანი ქართული ეთნოსი (ქართველი ერი) ინტენსიურად ისრუტავდა სხვადასხვა ტერიტორიულ და ეთნიკურ ერთეულებს. ის ფართოვდებოდა და თვისობრივად იცვლებოდა: **„ქართველი ერი წარმოშობით რთული შემდგენლობისა არის, თავისი ტომობრივი წარმოშობის მიხედვით მასში შედიან არა მარტო ერთი ტომის შვილები, არამედ მონათესავე სხვა ტომის შვილები და გარდა ამისა, აგრეთვე, სხვა ტომის შვილებიც. შეიძლება პირდაპირ ითქვას გადაჭრით იმის შესახებ, რომ ყველა მნიშვნელოვან ერთეულს კავკასიაში თავისი წვლილი უძევს ქართულ ეროვნებაში“** (*ს. ჯანაშია*).

ეთნიკური ისტორიის თვალსაზრისით უკვე აღარაფერს ნიშნავდა ის, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფო ხშირად იშლებოდა. ეს იყო შედეგი ფეოდალური საზოგადოების განვითარებისა და საგარეო ფაქტორისა. სამეფო-სამთავროებად

დაშლილი საქართველო მაინც ერთიანი (ერთი) სამყარო იყო ერთი საღვთისმეტყველო, სახელმწიფო და ლიტერატურული ენით, ერთი კულტურით. ქართულ სახელმწიფოს და ქრისტიანულ რელიგიას უკვე თავისი საქმე ჰქონდა გაკეთებული. ლანდშაფტს მორგებულ ქართველ ერს უკვე ერთიანი სტერეოტიპი ჰქონდა ჩამოყალიბებული, ის უკვე მყარი ეთნიკური ერთობა – ერი იყო.

გვიან შუა საუკუნეებში ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლამ და საგარეო ფაქტორმა ქართველთა ეთნიკური ისტორიის აღმასვლითი პროცესი შეაჩერა და ზოგიერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში რამდენიმე ხნის შემდეგ ნელ-ნელა დაიწყო ქართველი ერის დეზინტეგრაციული მოვლენები. ამ დეზინტეგრაციულმა მოვლენებმა ქართველი ერი საბოლოოდ ვერ აღგავა, რაც ფაქტორთა მთელმა რიგმა განაპირობა. გეოგრაფიულ ფაქტორთან ერთად, გარკვეული როლი ითამაშა იმან, რომ ქართველი ერი უაღრესად მყარი ეროვნული ერთეული (ორგანიზმი) იყო მძლავრი კულტურით. ამ მძლავრი ეთნიკური კულტურის მოშლა არც ისე ადვილად დასაძლევი აღმოჩნდა ქართველთა მტრებისათვის. თუმცა, გვიან შუა საუკუნეებში მას, საგარეო ფაქტორის გამო, ფრთები აქა-იქ ჩამოემტვრა: **„ნაციონალურ-კულტურული ერთობის შეგნება არ გამქრალა საქართველოში გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგაც, არ გამქრალა იგი ქვეყნის უაღრესი სამეურნეო და პოლიტიკური დაცემის პერიოდშიც კი“** (*ს. ჯანაშია*).

ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ (XV ს.-ის დასასრული) ქართული სამეფო-სამთავროები **საქართველოებად** იწოდებოდა. პოლიტიკური დაშლის შემდეგ რამდენიმე საქართველო გაჩნდა. „დაშლის შემდეგ საქართველოები დარჩნენ მესხეთსა და კახეთ-ჰერეთში, ქართლში, იმერეთში, გურიაში და ოდიშ-აფხაზეთში. და ეს არა მარტო სახელად, არამედ საქმიან შინაარსიანად“ (*ნ. ბერძენიშვილი*). ერთიანი სამეფოს დაშლის შედეგად ქართულ სამეფო-სამთავროებში სალიტერატურო ენას ქართული ენა წარმოადგენდა, მათ შორის, იქაც, სადაც საკუთარი საოჯახო მეტყველება გააჩნდათ. XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი ისტორიკოსი *ვახუშტი ბაგრატიონი* წერდა: „ხოლო რაოდენნი ქვეყანანი ანუ ადგილნი დავსწერეთ მთათა, ბართა ანუ კავკასითა შინანი – საქართველოსანი, გარნა თუ აქუთ ზოგთა ენა სხუა, თჳსნი საკუთარნი, არამედ წიგნი არცა ერთსა რომელსავე აქუს, თჳნიერ ქართულის წიგნისა საკუთრად“. *ვახუშტი* იმასაც გვეუბნება, რომ მოუხედავად საქრთველოს სხვადასხვა სამეფო-სამთავროებად დაშლისა და ზოგიერთ მათგანში დამპყრობთა გაბატონებისა, საქართველოს, რომელი კუთხის წარმომადგენელსაც გინდათ კითხოთ რა რჯულისა, ე. ი. რა ეროვნებისა ხარ, გიპასუხებენ, ქართველიო: „პირველი, უკეთუ ჰკითხო ვისმე *ქართლსა* ანუ *იმერსა* (იმერში დასავლეთ საქართველოს მცხოვრები ყველა ეთნოგრაფიული ჯგუფი იგულისხმება – რ. თ.), *მესხსა* და *ჰერკახსა* რა რჯული ხარ, წამს მოგიგებს: „ქართველი“. მეორედ, არს ამათ ყოველთა წიგნი და ენა ერთი-იგივე *ფარნაოზ პირველისა* მეფისაგან ქმნული. და ჰკითხო რო წინათქმულთა მათ კაცთა: „რა ენა და წიგნი უწყი, მოგიგებს მყის: „ქართული“. რამეთუ არა იტყვს, არცა რჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთა და ჰერ-კახთასა, არამედ ქართულსა“. გვიან შუა საუკუნეებში ქართველ ერში მომხდარი დეზინტეგრაციული მოვლენები ძირითადად ორი მიზეზით იყო განპირობებული: ა) ქართველთა შორის სხვადასხვა სარწმუნოების გავრცელებით და ბ) ქართველთა საცხოვრისში (განსახლების არეალში) უცხო ეთნიკურ ერთეულთა ჯგუფური შემოსახლებით და შესაბამისად ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში ეთნოდემოგრაფიული სიტუაციის შეცვლით. დეზინტეგრაციული მოვლენები განხორციელდა საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც XVI-XVII საუკუნეებში მოსული უცხო ეთნოსების გარემოცვაში ქართველთა გარკვეული ჯგუფები *გააფხაზდნენ* (საერთოდ, აფხაზთა ქართველთა კულტურული სამყაროსაგან მიქცევა მოხდა), *გაოსდნენ* და *გალეკდნენ*. ისტორიაში ცნობილია, აგრეთვე, ქართველთა *გათათრება-გათურქების* (*სამცხე, ჯავახეთი, ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, კოლა, არტაანი, აღმოსავლეთ*

კახეთი), *გაგრიგორიანება-გასომხების* (ჯერ *ქვემო ქართლი*, შემდეგ *შიდა ქართლი* და *კახეთი*), *„გაფრანგების“* (კათოლიკური სარწმუნოების მიღების) არაერთი შემთხვევა, რის ძირითადი მიზეზი არამართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე გადასვლა იყო.

ქართველ ერში დეზინტეგრაციული პროცესები ძირითადად XX საუკუნეში შეწყდა, მას შემდეგ, რაც საქართველომ სახელმწიფოებრიობის რაღაც ფორმა მიიღო, ფაქტიური ავტონომიის სახით საბჭოთა იმპერიაში. XX საუკუნეში საქართველოში თავი იჩინა ეთნიკური პროცესებისათვის დამახასიათებელმა აღმავალმა ხაზმა – ინტეგრაციულმა მოვლენებმა.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფები. ქართველთა განსახლების ტერიტორია შედგებოდა სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულებისაგან (ქართულ საისტორიო საბუთებში ამ ისტორიულ-ტერიტორიული ერთეულების აღსანიშნავად *თემი* გამოიყენებოდა), რომლებიც ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ჩამოყალიბდა, ზოგიერთი საკმაოდ ადრე, ზოგიც კი – შედარებით გვიან. თითოეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე სპეციფიური ეთნოგრაფიული თავისებურებებით ხასიათდებოდა, რაც მათ დღემდე შემოინახეს.

ქართული ეთნოსის (ქართველი ერის) ყველა ეთნოგრაფიული ჯგუფი გამოირჩეოდა დიალექტური თავისებურებებით, ე. ი. ამა თუ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეში მცხოვრებნი მეტყველებდნენ ქართული ენის შესაბამის დიალექტზე. უფრო მეტიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველთა ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მკვიდრებს საკუთარი საოჯახო მეტყველებაც ჰქონდა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ სვანეთისა და სამეგრელოს ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულები, რომელთა მეტყველებაც ქართული ენისაგან უფრო დაშორებულია, ვიდრე ქართული ენის სხვა დიალექტები. ისინი ყველანი თავს ქართული ეთნოსის (ქართული ერის) განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდნენ და მიიჩნევენ. იგივე შეიძლება ითქვას *წოვა-თუშების* მცირე ეთნოგრაფიულ ჯგუფზე, რომელიც ორენოვანი იყო და არის (საოჯახო-სამეტყველო ერთ-ერთი ვაინახური ენაა). მიუხედავად ამისა, კულტურულ-ისტორიული, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით და, რაც მთავარი, ცნობიერებით ისინი ქართველები არიან. ასევე იყვნენ *ისტორიული აფხაზები/ძველი აფხაზები,* რომლებიც გვიან შუა საუკუნეებამდე ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ერთ-ერთი აქტიური შემქმნელები იყვნენ.

ქართული ეთნოსით განსახლებული ტერიტორია უაღრესად რთული რელიეფით და მრავალფეროვანი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით ხასიათდება. სწორედ ამით და სამეურნეო-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებით, ისტორიული განვითარების მსვლელობით იყო განპირობებული არც თუ ისე მცირე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ტერიტორიების (მხარეების) არსებობა და, შესაბამისად, ქართულ ეთნოსში ეთნოგრაფიული ჯგუფების სიმრავლეც. ისტორიულად არსებულმა ყველა ეთნოგრაფიულმა ჯგუფმაც არ მოაღწია ჩვენამდე. საგარეო ფაქტორის გამო, რამდენიმე ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულში საერთოდ გაქრა მოსახლეობა. **„საქართველოს აწინდელი მოსახლეობა მის ძველ მოსახლეობასთან შედარებით დიდად შეცვლილია. ძველი ტომურ-ნათესაური სიწმინდით დღემდის არცერთ კუთხეს არ მოუღწევია“** (*ნ. ბერძენიშვილი*).

ქართულ ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულებიდან, რომლებიც დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე არიან წარმოდგენილი, აღმოსავლეთ საქართველოდან შეიძლება ჩამოვთვალოთ: **ქართლი, კახეთი, ხევსურეთი, ფშავი, მთიულეთი, გუდამაყარი, ხევი, ერწო-თიანეთი, თუშეთი**, დასავლეთ საქართველოდან: **იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, გურია, აჭარა**, სამხრეთ საქართველოდან: **სამცხე** და **ჯავახეთი**. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე) სხვა არაერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეც გვქონდა, რომელთა უმრავლესობამ დღეისათვის

ფაქტობრივად დაკარგა ის ეთნოგრაფიული თავისებურებანი, რაც მას XVIII საუკუნეში ჯერ კიდევ მკვეთრად ჰქონდა შემორჩენილი. სამცხისა და ჯავახეთის გარდა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ჩვენ გვქონდა შემდეგი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები: **შავშეთი, კლარჯეთი, ერუშეთი, კოლა, არტაანი, ტაო**... ტაოში თავის მხრივ შედიოდა: *სპერი (ისპირი), პარხალი, თორთუმი,* კლარჯეთში – *ლიგანა.* შავის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე განსახლებულნი იყვნენ *ჭანები (ლაზები),* რომლებიც ჭანურ/ლაზურ დიალექტზე მეტყველებდნენ და მეტყველებენ. ისტორიულმა მსვლელობამ ლაზების (ჭანების) მხოლოდ მცირე ნაწილს მისცა შესაძლებლობა ქართულ სახელმწიფოში თანაცხოვრებისა. სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის მოქცეული იყო ორი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე – **თორი** (დღევანდელი ბორჯომის რაიონი) და **თრიალეთი** (დღევანდელი წალკის რაიონი), რომლებშიც გვიან შუა საუკუნეებში მოსახლეობის ცვლა მოხდა. დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ აზერბაიჯანშია **საინგილოს** ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეული, რომელიც ისტორიული აღმოსავლეთი კახეთის მემკვიდრეა და რომელიც აზერბაიჯანის სამ რაიონს (*ზაქათალა, ბელაქანი, კახი*) მოიცავს. საქართველოს ფარგლებს გარეთაა **დვალეთი,** რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ 1858 წელს ჩამოაჭრა საქართველოს (იმდროინდელ თბილისის გუბერნიის გორის მაზრას) და თერგის ოლქს გადასცა. ქართველთა კიდევ ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფი ირანში, ფერეიდნის პროვინციაში ცხოვრობს, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში **ფერეიდნელი ქართველების** სახელწოდებით არიან ცნობილი. ისინი XVII საუკუნის დასაწყისში კახეთიდან და ერწო-თიანეთიდან აყრილი ქართველების შთამომავალნი არიან.

ქართველთა ხასიათი. საქართველოს თვითოეული მხარის წარმომადგენლები ერთმანეთისაგან მხოლოდ ეთნოგრაფიული თავისებურებებით განსხვადებოდნენ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების წარმოქმნა განპირობებული იყო ბუნებრივ-გეოგრაფიული, ლანდშაფტური მრავალფეროვნებით. ბუნებრივია, ეთნოგრაფიული ჯგუფები ერთმანეთისაგან ზოგიერთი თავისებურებებით, ხასიათით და ტემპერამენტითაც განსხვავდებოდნენ. ეთნოგრაფიული ჯგუფების თითქმის ზედმიწევნით დახასიათება აქვს მოცემული *ვახუშტი ბაგრატიონს.* კახელების შესახებ ის წერს: „...გზავსნი ყოველთავე ქართველთა ზნითა, ჩვეულებით და ქცევით, არამედ ლაღნი, ამაყნი და მეხოტბენი, დიდმთქმელნი, მეჩხუბარნი, შემმართებელნი, უფრო გლეხნი, ერთგულნი...“ თუშებს ახასიათებს, როგორც ბრძოლაში შემართებულებს, მოლაშქრეებს, მხნეებს, ძლიერებს, კარგ მხედრებს. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ვახუშტისეული დახასიათება კი შემდეგნაირია. „...ცქვიტნი, კისკასნი, ენატკბილნი, მსუბუქნი, ფიცხნი, ბრძოლასა შემართებულნი და ძლიერნი, მომღერალ-მგალობელნი...“ ხოლო გურულების დასახასიათებლად კი შემდეგ სიტყვებს იყენებს: „ბრძოლასა შინა შემმართებულნი“, „უქურდალნი“, „უავაზაკონი“, „სტუმრის მოყუარულნი და კეთილად შემწყნარენი“, „მშვიდნი, არამედ მყის გულმწყრალნი“... საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთა ვახუშტისეულ დახასიათებას თუ თვალს გადავავლებთ, აღმოვაჩენთ, რომ მათ უფრო ბევრი საერთო აქვთ ერთმანეთთან, ვიდრე განმასხვავებელი. აი, რას წერს ის ზოგადად ქართველების შესახებ: „წერწეტნი, უმეტეს ქალნი, იშჯთ სქელნი, მჭნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მჭედრობათა შინა კადნიერნი, მკჯრცხლნი, მსწრაფლნი, რამეთუ ვიეთნი ლ¯გ ეჯს ი¯დ ჟამს გაირბენს. სალაშკროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყუარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მაძიებელნი ესრეთ, რამეთუ თჯსთა სახელთათჯს არა რიდებენ ქვეყანასა და მეფესა თჯსსა, სტუმართა და უცხოთა მოყუარენი. მხიარულნი, უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან, არარაჲ შეიჭირვიონ; უხუნი არცა თჯსსა და არცა სხჯსას კრძალავენ; საუნჯეთა არა მმესველნი, გონიერნი, მსწრაფლ-მიმჭდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყუარენი... ურთიერთის მიმყოლნი,

სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მდევარნი, კეთილბოროტზედ ადრე მიმდრეკნი, თავჭედნი, დიდების მოყუარენი, თუალმგებნი და მოთაკილენი“.

ვახუშტი ქართველთა ხასიათის შესახებ ძალიან ბევრ დადებით ეპითეტებს იმეტებს, თუმცა ის არც მათ უარყოფით თვისებებზე ხუჭავს თვალს. ხოლო *დავით აღმაშენებლის* ისტორიკოსი უფრო მკვეთრ ფერებში წარმოგვიდგენდა ქართველთა ზოგიერთ უარყოფით თვისებებს. *„...ვინაიდან ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თჳსთა უფალთა. რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, გასუქდნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყება განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგჳთხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“.* რაც შეეხება XII საუკუნის მოღვაწეს კათოლიკოსს *ნიკოლოზ გულაბერიძეს,* ის მხოლოდ ქართველთა კეთილ და დადებით თვისებებზე საუბრობს: *„ხოლო კვლავ სხვანი არიან ბუნებით სადაგნი და მარტივნი და გონებით წრფელნი, სიმართლესა ცხოვრებისასა და უღელსა უმანკოებისასა მზიდველნი და მხოლოდ ღმრთისა ოდენ და მკლავის თვისასა მოსავნი, რომელთაცა უკვე გამოისახვის და საცნაურ იქნების სიქველე ჭაბუკისა, ვითარცა საცნაურ არს ყოველთა მიერი, უეჭველად ესევითარი ბუნება პირველითგანვე უკვე დამცველობს ნათესავთა შორის ქართველთასა...“* XIV საუკუნის ქართველი ისტორიკოსი *ჟამთაღმწერელი* ქართველთა მებრძოლურ სულისკვეთებაზე საუბრობდა: *„არა არს წესი ჩუენ ქართველთა, უკეთუ ვიხილეთ მტერი, ჩუენ კერძო მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, და დაღათუ იყოს სიკუდილი“.*

როდესაც სამეცნიერო ლიტერატურაში ქართველთა შესახებაა საუბარი, ყველა ავტორი ერთხმად აღნიშნავს ქართველების ვაჟკაცობისა და სიმამაცის შესახებ. სტუმართმოყვარეობა ხომ ყველა ქართველის უპირველესი თვისება იყო („სტუმარი ღვთისაა“). ხაზი ესმის ქართველთა ლმობიერებას, სამშობლოს სიყვარულს, შემწყარებლობას, მიმტევებლობას. *ჟან შარდენი ხაზს* უსვამდა, რომ ქართველები თავაზიანნი და კაცთმოყვარენი, ამასთანავე დარბაისელნი და თავდაჭერილნი არიან. ის აღნიშნავდა ქართველთა უფლებამოსილების, სიამაყის, თავმომწონეობის და დიდების მოყვარულობის შესახებ. XIX საუკუნის პირველი მესამედის გერმანელი ავტორის *ედუარდ აიხვალდის* დახასიათებით ქართველები მამაცები, სტუმართმოყვარენი, კეთილები, არაგულქვანი, გაჭირვებაში შეუდრეკელნი, სამშობლოსათვის თავდადებულნი არიან. თუმცა ის ქართველთა ისეთ უარყოფით თვისებებზე საუბრობს, როგორებიცაა სიმამაცით ტრაბახი, სიზარმაცე და უდარდელობა. ხაზს უსვავს უბრალო ხალხის გულკეთილობას.

ქართველების ერთ-ერთი დიდი თვისება ქალისადმი პატივისცემა, მოწიწება, მოკრძალებაც არის. ქალი საქართველოში თითქმის გაღვთაებრივებული იყო. ქალისადმი დამოკიდებულება კარგადაა ასახული ცეკვა *ქართულში,* რომელიც ქართველთა წინაპრებმა საუკუნეების მიღმა შექმნეს. საერთოდ, ქართულ ფოლკლორში და განსაკუთრებით ცეკვებსა და სიმღერებში კარგად ჩანს ქართველთა ხასიათი. სიმღერაში და ცეკვებში კარგად ჩანს ქართველთა ვაჟკაცობა, სიმამაცე, სოლიდარობა, მებრძოლი სულისკვეთება. **ქართველთა ხასიათი საკმაოდ შორს იყო აღმოსავლეთის ხალხების ფსიქოლოგიისაგან და უფრო დასავლეთ ევროპულს ემსგავსებოდა.** ესეც ბუნებრივია, რადგან ქართული ფეოდალიზმი, სოციალური სტრუქტურა დასავლურის მსგავსი იყო და არა აღმოსავლური დესპოტიზმისა. მთელი ისტორიის მანძილზე ქართველებისათვის იდეალი იყო მშვიდობა, მტერზე გამარჯვება, ამიტომაცაა, რომ მისალმებისას ერთმანეთს გამარჯვებას უსურვებენ. რაც შეეხება უარყოფით თვისებებს, დღეს ქართველებისათვის განსაკუთრებით ინდივიდუალიზმია დამახასიათებელი.

საქართველოს ეთნოგრაფიული მხარეების სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები. საქართველოს თითოეული ეთნოგრაფიული რეგიონი ძირითადად ერთი სამეურნეო-ეკონომიკური ერთეული იყო. ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე გამოკვეთილი ბარი იყო, ზოგი მთიანეთი, ზოგიც კი ზეგანს (მთისწინეთს)

წარმოადგენდა. ზოგიერთი მათგანი სამივე გეოგრაფიული ნიშნის შემცველი იყო. საქართველოს მთელი ისტორია იმას ადასტურებს, რომ არა მარტო მთიანეთი და ბარის კუთხეები, არამედ ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე ერთმანეთთან იყო დაკავშირებული შესაბამისი გზებითა და ბილიკებით და მათ შორის მიმოსვლა და კავშირი ხორციელდებოდა იმ დროისათვის არსებული სატრანსპორტო საშუალებით.

საქართველოს ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლებს თუ პურეული კულტურები ჰქონდათ მეტი რაოდენობით, სხვებს – მევენახეობის პროდუქტები, ხილეული, მესაქონლეობისა და მეცხვარეობის პროდუქტები. ასე რომ, საქართველოს ეთნოგრაფიული ერთეულები დანაკლისს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ერთმანეთთან სამეურნეო-ეკონომიკური კავშირებით ივსებდნენ. საერთოდ **„საქართველოს მიწა-წყალი მთლიან ერთეულს წარმოადგენდა, რომელიც ბუნებრივი ზღუდეებითაც (მთებითა და მდინარეებით) არის შემოფარგლული და თანაც, ვითარცა მტკვრისა, რიონისა და ჭოროხის აუზების შემცველი გეოგრაფიულად და ეკონომიურად ურთიერთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული“** (*ივ. ჯავახიშვილი*).

საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების არსებობის არაერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ (მთიელთა გარე სამუშაოზე სიარული; მთიელ მეცხვარეთა მიერ ბარის საზამთრო საძოვრების გამოყენება და პირიქით; აღებ-მიცემობა სხვადასხვა რეგიონებს შორის და სხვ.). მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულები XVI საუკუნის ბოლოდან სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდნენ, ისტორიის სიღრმეში ჩამოყალიბებული სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები თითქმის არ დარღვეულა. *პაპუნა ორბელიანზე* დაყრდნობით *ივანე ჯავახიშვილი* ხაზს უსვამდა, რომ *„XVIII საუკუნეშიაც, როდესაც მესხეთი ახალციხის საფაშოს სახით ოსმალეთის სახელმწიფოს ეკუთვნოდა და საქართველოს პოლიტიკურად ჩამოშორებული იყო, მაშინაც კი მთელ მესხეთს, განსაკუთრებით კი ჯავახეთს და სამცხეს საქართველოსთან ჰქონდა მჭიდრო ეკონომიკური დამოკიდებულება და იქაური სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი, სანოვაგე, განსაკუთრებით კი პური ტფილისში და გორში ჩამოქონდათ გასაყიდად“.* ამავე დროს მთელი საქართველოს საქონელი, ცხვარი, სამხრეთ საქართველოს საზაფხულო საძოვრებზე იყრიდა თავს.

ამრიგად, ბუნებრივ-ისტორიული არეების დანაწევრებისა და სხვაობის პირობებში ჩამოყალიბებული ისტორიულ-ტერიტორიული ჯგუფების მჭიდრო კავშირურთიერთობა საქართველოს ერთიან კულტურულ-ეკონომიკურ ორგანიზმს ქმნიდა. მათ სხვამხრივი კავშირებიც ჰქონდათ. თავი რომ დავანებოთ მუდმივ მიგრაციულ კავშირებს, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების წარმომადგენლებს შორის მჭიდრო საქორწინო კავშირებიც არსებობდა.

ქართველთა მიწათმოქმედება. ქართველი ხალხის ერთ-ერთი ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მიწათმოქმედება იყო. მიწათმოქმედებას საქართველოში საუკუნეების ტრადიცია აქვს. XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში არსებობდა როგორც სახელმწიფო, ისე საბატონო და საეკლესიო მიწები. ბარის რაიონებში მხოლოდ ნაწილობრივ იყო შემორჩენილი სათემო მიწათმფლობელობა. სათემო მიწათმფლობელობა გაბატონებული იყო მთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში, თუმცა აქაც უმეტეს შემთხვევაში სახვნელი მიწა ცალკეული ოჯახების საკუთრებას წარმოადგენდა. მეურნეობის ფორმები განპირობებული იყო ფიზიკურ-გეოგრაფიული მრავალფეროვნებით. ამ თვალსაზრისით სამი ძირითადი მეურნეობის ტიპი გამოიყოფოდა. მთაში მესაქონლეობა მთის მიწათმოქმედებასთან იყო შერწყმული. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში უპირატესობა ჰქონდა ბარის მიწათმოქმედებას (სარწყავი და ურწყავი მიწათმოქმედება), მევენახეობას, მებაღეობას. ბარული მესაქონლეობა ძირითადად მიწათმოქმედებისადმი იყო

დაქვემდებარებული. დასავლეთ საქართველოს ბარის მიწათმოქმედება ძირითადად იმით განსხვავდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მიწათმოქმედებისაგან, რომ პირველში ძირითადი მარცვლეული კულტურა ღომი იყო (მოგვიანებით – სიმინდი), მეორეში – პურეული კულტურები.

საქართველოს დიდ ნაწილში მემინდვრეობას უძველესი დროიდან მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. მოყავდათ ხორბალი, ქერი, ფეტვი, ფეტვის ნაირსახეობა ღომი, ჭვავი. გვიან დასავლეთ საქართველოში ღომის კულტურა სიმინდის კულტურამ გამოდევნა. მეცნიერებს დადგენილი აქვთ, რომ **ხორბლეულის 16 სახეობიდან საქართველოში გავრცელებული იყო 11. საქართველოსთვის ენდემური იყო *მახა, ზანდური, კოლხური ასლი.*** საერთოდ, საქართველო მარცვლეული კულტურების წარმოქმნისა და ფორმირების ერთ-ერთი ძველი კერაა. ქართული მიწათმოქმედების კულტურა წარმოადგენდა რთულსა და მთლიან სისტემას, რომლის შემადგენელი ელემენტები საუკუნეთა განმავლობაში მუშავდებოდა და ყალიბდებოდა. ქართლის მაგალითზე ეს რთული და მრავალმხრივი სამიწათმოქმედო სისტემა შეიცავს სხვადასხვა სახის შრომის პროცესებს. ამას თან ახლდა მორწყვის რთული სისტემა. მინდვრის მოსარწყავად იყენებდნენ მდინარეებს, ნაკადულებს, წყაროებს, აგებდნენ გოდორ-ყურეებს, გაჰყავდათ დიდი, საშუალო და პატარა რუები და არხები (*ეტი, ნაკადელი, კაწარი*); აწყობდნენ რუსხმულებს. ფართოდ იყო გამოყენებული კოოპერაციული შრომა და არჩეულ მერუეთა ინსტიტუტი.

რთული იყო ახოს აღებაც (*ნაკაფი, ნატეხი, ნაქორჩნი, ასხეპილი, შემოყვერვა, დაწვა* და სხვ.).

გამოირჩეოდა ხვნის წესები დაბლობსა, მთის ფერდობებსა და მაღლობებზე. იცოდნენ *აოშვა, გადახვნა, დასვენება, ნაკურცხალი, თესლის ბრუნვა.* ქართველმა მიწათმოქმედმა საუკუნეთა განმავლობაში შეიმუშავა სახვნელი იარაღების სხვადასხვა სახეობა, შეპირობებული კონსტრუქციული და ფუნქციური თავისებურებებით. სახვნელი იარაღების ამ მრავალსახეობის საფუძველზე **საქართველოს სახვნელი იარაღების ცოცხალ მუზეუმს უწოდებდნენ**. შეიძლება მხოლოდ ზოგიერთი მათგანის სახელწოდება მოვიტანოთ: **გუთანი, ანეულის გუთანი, დიდი გუთანი, მუხრანული გუთანი, არონა, ჯილღა-გოგორა, კავი, აკოკა, ოკოფა, ოგაფა, ხარხარაღი, ღენცვიშ, კავწერა, საწერა, ცალუღელა კავი, ორხელა, აჯილღა გუთანი, აჩაჩა, საცალკვლოე, სახნეული**...

სახვნელი იარაღებიდან იქმნებოდა შესაბამისი სამეურნეო შრომითი გაერთიანებანი: **რიგრიგა, ნაცვალგარდა, მოდგამი, ემბაზი, ულამი, ნადი** და სხვ.

შრომითი ურთიერთდახმარება ქართველებმა საერთოდ მეურნეობის თითქმის ყველა სფეროში იცოდნენ. მას დიდი ტრადიციები ჰქონდა მიწათმოქმედებასთან, მესაქონლეობასთან დაკავშირებული სამუშაოების დროს. აგრეთვე სახლის მშენებლობისას იცოდნენ გაჭირვებული ოჯახის დახმარება (ქვრივ-ობლების, მოხუცების, უსახსრო ოჯახების). ურთიერთდახმარების დროს რომელ ოჯახსაც ეხმარებოდნენ, დღის ბოლოს ის ოჯახი დამხმარეებს უმასპინძლდებოდა. გაჭირვებული ოჯახის დახმარების შემთხვევაში საგზალი დამხმარეებს მოჰქონდათ. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინებისა მიწათმოქმედების სამუშაოების შესრულებისას შრომის ორგანიზაციის აღნიშნული ფორმა სხვა სახელწოდებებითაც აღინიშნებოდა: **დაძახილი, მამითადი, ოჩხარი, მომკილი, ხარნადი**. ურთიერთდახმარება სიმღერის გარეშე არ მიმდინარეობდა. ყანის კოლექტიური მკის დამთავრების შემდეგ, მესვეური თავთავისაგან ჯვარს („**მკის ჯვარი**“) დაწნავდა და მას სამკალის პატრონთან სახლში მიიტანდა. მკის ჯვარს დიასახლისი სახლის ბოძზე ან კედელზე კიდებდა. მესაქონლეობასთან დაკავშირებული ყოფილა შრომის ორგანიზაციის ისეთი ფორმები, როგორებიცაა **მონარეობა** ანუ მეცხვარეების გაერთიანება და **ოკოთური** ანუ სამეგრელოში

მეჯოგეთა გაერთიანება. *მონარეობა* ტერიტორიულ-მეზობლური გაერთიანება იყო. ის სეზონურად ხდებოდა და ცხვრის ყველა მეპატრონე თანასწორუფლებიანი იყო.

მიწათმოქმედების იარაღებიდან შეიძლება დავასახელოთ **შნაკვი**, რომელიც ენდემური კულტურების – **მახასა** და **ზანდურის** ასაღებად გამოიყენებოდა, რადგან ამ კულტურების ნამგლით მკა არ შეიძლებოდა. საჭირო იყო შნაკვით თავთავების ფრთხილად მოგროვება. ბარის რაიონებში ფართოდ გამოიყენებოდა ხორბლის სალეწი იარაღი **კევრი**. საქართველოს ტერიტორიაზე კევრის გამოყენება ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით პირველ ათასწლეულში იყო ცნობილი.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განვითარებული იყო **ტერასული მეურნეობა**. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეული იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, როგორც მტკვრის ხეობა, ისე ჭოროხის მთელი აუზი. ტერასების საშუალებით ქართველი გლეხი მიწის ყოველ გოჯს იყენებდა. ტერასებს იყენებდნენ როგორც მემინდვრეობისათვის, ისე მებაღეობისა და მევენახეობისათვის. საუკუნეების წინ აგებულ ტერასებს ჭოროხის ხეობაში დღესაც იყენებენ ადგილობრივი გლეხები, სადაც ტერასების საფეხურების რაოდენობა 25-ს აჭარბებდა.

როდესაც საქართველოში მორწყვის კულტურაზე ვსაუბრობთ, უნდა ითქვას რომ საქართველოს ზოგიერთ მხარეში იცოდნენ არა მხოლოდ დამუშავებული მიწის მონაკვეთების მორწყვა, არამედ სათიბებისაც. სათიბების მორწყვის ტრადიცია იყო და არის სვანეთში. რწყვის შედეგად სათიბი ერთი ზაფხულის განმავლობაში ორჯერ ითიბება. სათიბების მორწყვის ტრადიცია აჭარასა და შავშეთ-იმერხევშიც არსებობს. საქართველოს ამ ისტორიულ მხარეში პირველ მოთიბულს *თივას* უწოდებდნენ, მეორედ მოთიბულს – *მორჩვს.*

მევენახეობა და მეღვინეობა. მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი დარგია. საქართველოს ტერიტორია მეცნიერთა მიერ მიჩნეულია სოფლის მეურნეობის ამ დარგის ერთ-ერთ კერად. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველებმა შექმნეს მევენახეობისა და მეღვინეობის თვითმყოფადი კულტურა. საქართველოს ეკონომიკაში ღვინო ოდითგანვე დიდ როლს თამაშობდა. ის საექსპორტო საგანი იყო. საქართველოს მტრები ქვეყნის ეკონომიკის დასუსტებას პირველ რიგში ვაზის აჩეხვით ცდილობდნენ. საქართველოში 500-ზე მეტი ვაზის ჯიშია დამოწმებული. ვაზის ადგილობრივი ჯიშების სიუხვე და ნაირსახეობა მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის ცნობილი. ვაზის ჯიშების სხვადასხვაობაზე გავლენას ახდენდა ბუნებრივ-გეოგრაფიული, ლანდშაფტური და ყოფაცხოვრებითი პირობები. ამ ნიადაგზე საუკუნეთა განმავლობაში შეიქმნა საქართველოს ცალკეული რაიონების გარემო პირობებისადმი შეგუებული ვაზის ენდემური ჯიშები: კახეთში – **რქაწითელი, საფერავი, კახური მწვანე, ხიხვი** და სხვ. (სულ 80 ჯიში), ქართლში – **ბუდეშური, გორული მწვანე, ჩინური, ფრანგულა, თავკვერი, შავკაპიტო** და ა. შ. (სულ 72 ჯიში), იმერეთში – **ციცკა, ცოლიკაური, კრახუნა, ოცხანური საფერი, ხარისთვალა** (სულ 75 ჯიში). რაჭა-ლეჩხუმში – **ალექსანდროული, წულუკიძის თეთრა, მცივანა, მუჯირეთული, უსახელეური** (სულ 59 ჯიში), გურიაში – **ჯანი, ჩხავერი, მტევანდიდი, თეთრი კამური** (სულ 58 ჯიში), აჭარაში – **ბროლა, კლარჯული, საწური** (სულ 52 ჯიში), აფხაზეთში – **ამლახუ, ავისირხვა, კაჭიჭი, აჟასპი** (სულ 58 ჯიში), სამეგრელოში – **ჭვიტილური, ოჯალეში, ჩეჭიფეში, პანეში** (სულ 60 ჯიში).

საქართველოს ვაზის გავრცელების ზონა ზღვის დონიდან 1340 მეტრამდე ვრცელდებოდა. *ვახუშტისათვის* ვაზის კულტურა მთისა და ბარის გამიჯვნის საშუალება იყო. იქ, სადაც ვაზი აღარ გვარობდა, იმ ადგილს მთად მიიჩნევდნენ. ვენახისათვის ყველაზე უკეთესი იყო სამხრეთისაკენ დახრილი ფერდობი. ასეთ ადგილს *მზვარეს* უწოდებდნენ. აღმოსავლეთ საქართველოში ვენახს მხოლოდ ზოგიერთ ადგილას რწყავდნენ.

გარდა ღვინისა, ქართველი გლეხი ვაზისაგან ღებულობდა სუფრის ყურძენს, *ჩამიჩს, ტკბილს, მაჭარს, ბადაგს, არაყს, ძმარს, თათარას, ფელამუშს, ჩურჩხელებს* და სხვა საკვებ პროდუქტებს.

მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებით ხალხის ყოფაში დამოწმებულია მდიდარი ემპირიული ცოდნა სავენახე ნიადაგის შერჩევისა და დამუშავების, ვაზის ჩაყრის, გამრავლების, მყნობის, სხვლის, ფორმირების, მოსავლის აღების, ყურძნის დაწურვის, ღვინის დაყენების და მოვლის, ღია და დახურული **მარნების**, მარნის მოწყობილობის (*ხისა* და *ქვის საწნახელი, საქაჯავი, ქვევრები, ხრიკა, სარცხი*), მრავალფეროვანი საღვინე ჭურჭლისა და სხვათა შესახებ. აღმოსავლეთ საქართველოში თუ მარანი აუცილებლად დახურულ შენობაში უნდა ყოფილიყო (ხშირად ის საცხოვრებელი სახლის პირველი სართული იყო), დასავლეთ საქართველოში იცოდნენ მის ღია ცის ქვეშ მოწყობა. აქ კარმიდამოს შემაღლებულ ადგილზე მიწაში ჩაყრილ ჭურებს (ქვევრებს) **ჭურ-მარანს** უწოდებენ. მაგრამ მას აუცილებლად საჩრდილობელი ხეები ახლდა თან. დახურული მარანი არც დასავლეთ საქართველოსთვის იყო უცხო. XI საუკუნის *ნიკორწმინდის დაწერილის* მიხედვით, რაჭაში ქვითკირის მარნები არსებულა. აქვე ქვიტკირის საწნახელებიც სცოდნიათ.

აღმოსავლეთ საქართველოში დაბლარი ვენახი იყო გავრცელებული, დასავლეთში – მაღლარი. თუმცა აღმოსავლეთ საქართველოსათვის არც მაღალი ვაზი იყო სრულიად უცხო, რომელსაც **ბაბილოს** უწოდებდნენ. ბაბილოთი დაჩრდილული ადგილები იშვიათი არ იყო ქვემო ქართლის, შავშეთ-კლარჯეთის მიწა-წყალზე.

ქართული მარნის მრავალრიცხოვან ჭურჭელ-იარაღიდან უმთავრესია *საწნახელი.* ყურძნის ფეხით დასაწურად განკუთვნილი საწნახელი ხშირად ხის მორისაგან ჰქონდათ გათლილი. ხის საწნახელი უფრო დასავლეთ საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი. ქართლ-კახეთის ძველ მარნებში ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი უზარმაზარი ქვიტკირის საწნახლები. ქვემო ქართლში, სამცხესა და ჯავახეთში მონოლითში გამოკვეთილი საწნეხელებიცაა შემორჩენილი.

ქართველ კაცს ღვინის შორ მანძილზე გადასატანი ჭურჭლებიც შეუქმნია. ესენია *ტიკი* და *რუმბი.* ტიკს თუ ძირითადად თხის ტყავისაგან აკეთებდნენ, რუმბები მსხვილფეხა საქონლის ტყავისაგან კეთდებოდა. ღვინიანი რუმბები მხოლოდ ურმით გადაჰქონდათ.

მევენახეობა-მეღვინეობა ისე ღრმად იყო დანერგილი ხალხის ყოფაში, რომ პრაქტიკულ გამოყენებასთან ერთად მისი ცალკეული ელემენტები ხალხმა ძველიდანვე თაყვანისცემის ობიექტად აქცია. მარანი წმინდა ადგილად მიიჩნეოდა, რომელშიც მოთავსებული იყო სხვადასხვა შესაწირი ღვინო ე. წ. **ზედაშეები**. ღვინო რელიგიური დღეობების და პურობის განუყოფელი ატრიბუტი იყო.

დასავლეთ საქართველოში ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი მეღვინეობის წარმართული ღვთაების **აგუნას** კულტი, რომელსაც საახალწლოდ ვენახის სიუხვეს შესთხოვდნენ. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ ქრისტიანობის გავრცელებამდე ქართველები მევენახე და მეღვინე ხალხი იყო და ქართველთა რელიგიურ პანთეონში იმთავითვე ვაზისა და ღვინის მფარველ ღვთაებასაც სათანადო ადგილი ჰქონდა მიჩენილი.

მებაღეობა. საქართველოში უაღრესად დაწინაურებული იყო მებაღეობა. გაშენებული ჰქონდათ ხეხილის დიდ ბაღები; დასავლეთ საქართველოში ხეხილი კარ-მიდამოსაც ამშვენებდა. ქართველ ხალხს ამა თუ იმ ხილის მრავალი ჯიში ჰქონდა გამოყვანილი. დიდი ტრადიციები ჰქონდა ხალხურ სელექციას. ქართლი სახელგანთქმული იყო თავისი ვაშლითა და ატმით, კახეთი – ლეღვით, მესხეთი – მსხლით, თუთით, იმერეთი და სამეგრელო – ლეღვის სხვადასხვა ჯიშით, გურია – ვაშლით, აფხაზეთი – შავი ქლიავით და სხვ. ყველანაირი ხეხილი გვარობდა ტაო-კლარჯეთში. *ჟან შარდენი* მოგვითხრობს: *„მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ არის*

ისეთი გემრიელი პური, როგორც აქ. ხილი საუცხოოა და მრავალნაირი. ევროპის არც ერთ ადგილას არ მოდის უფრო გემრიელი მსხალი და ვაშლი. აზიაში არსად მოიძებნება აქაურზე გემრიელი ბროწეული“. ქართველებმა იცოდნენ ხილისაგან ჩირის გაკეთება, ხდიდნენ არაყს. განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო თუთის არაყი, რომელიც არომატულობით გამოირჩეოდა. ხილს დახურულ ჰერმეტიულ ორმოებში ინახავდნენ. ჩირს როგორც მზეზე, ისე თონესა და სპეციალურ ღუმელებში აკეთებდნენ. ხილისაგან მზადდებოდა ტკბილი და მჟავე ტყლაპები, მურაბები. ნიგვზისა და ნუშისაგან ხდიდნენ ზეთს. ასევე განვითარებული იყო მებაღჩეობა და მებოსტნეობა. საერთოდ, მცენარეულ კულტურებს ქართველი ხალხის კვების რაციონში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეკავა.

მესაქონლეობა. მესაქონლეობა საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში, განსაკუთრებით მთის ზოლში, მრავალფეროვანი სახით იყო წარმოდგენილი. ჯერ კიდევ ძვ. წ.-ის XI საუკუნეში ასირიელებს ქართველური ტომები ხარკს მსხვილფეხარქოსანი საქონლის, წვრილფეხარქოსანი საქონლის და ცხენების სახით უხდიდნენ. საქართველოს ეკონომიკაში მესაქონლეობა ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა. გარდამავალ მთისწინა ზოლში მესაქონლეობა და მიწათმოქმედება თანაბარ საწყისებზე იყო წარმოდგენილი. მთაში კი მესაქონლეობას წამყვანი პოზიციები ეკავა. თუმცა შეძლებისდაგვარად მთიელი მიწათმოქმედებასაც ავითარებდა. აქ ერთი გოჯი მიწის ნაკვეთი არ რჩებოდა მოსახნავი. მთის მიწათმოქმედებაში მნიშვნელოვან როლს მესაქონლეობა ასრულებდა, რადგან აქ, პატივის შეტანის გარეშე, წარმოუდგენელი იყო მარცვლეული კულტურების (განსაკუთრებით ქერის) მოყვანა. მიწათმოქმედების განვითარებისათვის, ყველა გეოგრაფიულ ზოლში აუცილებელი იყო მესაქონლეობის სათანადო დონეზე განვითარება, რადგან საქართველოში ერთ-ერთ გამწევ ძალას მსხვილფეხარქოსანი საქონელი (ხარი კამეჩთან ერთად) წარმოადგენდა.

მესაქონლეობის დარგებიდან ფეოდალურ საქართველოში სასაქონლო მნიშვნელობა მხოლოდ წვრილფეხასაქონელს ჰქონდა, რომლის ყველაზე ტიპური ფორმა იყო **თუშური მეცხვარეობა**, რომელიც ცხვრის საზაფხულო და საზამთრო საძოვრებზე გადარეკვას ითვალისწინებდა. გადარეკვითი მეცხვარეობის გამო, მთიელებს მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ჰქონდათ ბართან. გადარეკვითი მეცხვარეობა განვითარებული იყო აგრეთვე ფშავსა და მთიულეთში. თუშეთის მთელი მოსახლეობა თითქმის მთლიანად მეცხვარეობაზე იყო გადასული. თუმცა მათ ბინადარი ცხოვრება არ მოუშლიათ. მთელს კავკასიაში სახელგანთქმული იყო *თუშური ცხვრის* ჯიში, რომელსაც მაღალხარისხოვანი მატყლი ჰქონდა. თუშები ასევე სახელგანთქმული იყვნენ *ცხვრის ყველის* დამზადებით, რომელსაც *გუდებში* ინახავდნენ. ის თავისი ცხიმიანობითა და კარგი გემოთი გამოირჩეოდა. დასავლეთ საქართველოდან მეცხვარეობა იმერეთში იყო განვითარებული. იმერული ცხვარი თავისი გარეგნული სახით ანალოგიური იყო ძველი წინააზიური ცხვრისა.

მსხვილფეხარქოსან საქონელს სასაქონლო მნიშვნელობა ხევსურეთში ჰქონდა. აქ დღემდეა შემორჩენილი ადგილობრივი *ხევსურული ჯიშის ძროხა.* მისთვის დამახასიათებელი იყო მთისათვის ნიშანდობლივი მკაცრი პირობების ამტანიანობა, საკვებისადმი უპრეტენზიობა, ხარისხოვანი პროდუქცია. ზამთარში ხევსურეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეებში (მაგალითად, შავშეთ-იმერხევში) საქონელი პირველ სართულზე ჰყავდათ მოთავსებული და მხოლოდ დღეში ერთხელ უშვებდნენ გარეთ წყალზე. ზაფხულში ნახირი ყოველდღიურად სახლში ბრუნდებოდა. სოფლიდან საძოვარი თუ შორს ჰქონდათ, იქ დიდი ხნით მეირეკებოდნენ. აქ მოწყობილი იყო საზაფხულო საცხოვრებელი მწყემსებისათვის. ზაფხულობით ანალოგიურად მთის საძოვრებზე მიერეკებოდნენ ძროხებს აჭარასა და შავშეთ-იმერხევში. მსხვილფეხა საქონელი ზაფხულში ღია ცის ქვეშ ჰყავდათ. აქვე ხდებოდა რძის გადამუშავება (ყველი, ერბო). კარაქს დღვებავდნენ ხისა და

თიხის სადღვებლებში. მსხვილფეხა საქონლის დიდი ჯოგები ჰყავდათ სამეგრელოში, სადაც გაუმჯობესებული ჯიშები იყო გამოყვანილი (*კვარაცხელიების, ფიფების ჯიშები*). სამეგრელოდან საქონლის ჯოგებს *აბასთუმანსა* და *არტაანშიც* (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია. საქართველოს ისტორიული მხარე) მიერეკებოდნენ, ზამთარში – შავი ზღვის სანაპიროზე. სამეგრელო განთქმული იყო ძროხის რძისაგან დამზადებული ყველის ნაირსახეობით – *სულგუნით.*

ბარში მესაქონლეობას მაინც დაქვემდებარებული მნიშვნელობა ჰქონდა. ის მიწათმოქმედების ინტერესებს ექვემდებარებოდა. ქართლში მესაქონლეობასთან იყო დაკავშირებული *ხანულობის* წეს-ჩვეულება: უბანში მცხოვრები მეზობელი ოჯახები ნაწველს მორიგეობით აგროვებდნენ და ასე აკეთებდნენ რძის პროდუქტებს (ყველს, კარაქს, ხაჭოს, ერბოს), რაც აშკარად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მესაქონლეობას აქ მასშტაბური ხასიათი არასოდეს არ ჰქონია.

საქართველოს მთიანეთში (*ხევსურეთი, ზემო სვანეთი, მთის რაჭა...*) მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა საკვების მარაგის გამო, განსაკუთრებით ზამთარში მკაცრად რეგლამენტირებული იყო. ამიტომ ზედმეტ საქონელს საზამთროდ კლავდნენ და ხორცს ამარილებდნენ. საქონლის ტყავისაგან ქართველი გლეხები ფეხსაცმელს (*ჯღანები, ქალამნები*) ასხამდნენ. ცხვრის, თხის და ხბოს ტყავისაგან ზედა ტანსაცმელს, ქუდებს, სამგზავრო ჩანთებს კერავდნენ. ქართველებმა კარგად იცოდნენ ტყავის დამუშავების სხვა წესებიც.

მეურნეობის დამხმარე დარგები. ქართველთა სამეურნეო ყოფაში არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე *მეთხეობასა* და *მეღორეობას.* მეთხეობას განსაკუთრებით სამეგრელოში მისდევდნენ. საქართველოს ყველა კუთხეში მეღორეობას სათანადო ყურადღება ექცეოდა. საქართველოში განთქმული იყო და არის *რაჭული ლორი,* რომელიც ჩვეულებრივ, ღორის ხორცის შებოლვისაგან მიიღებოდა. ბევრი ღორი ჰყოლიათ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც. 1595 წელს შედგენილი *გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის* მიხედვით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ყველა ოჯახს ღორზე და ცხვარზე ჰქონდა გადასახადი შეწერილი.

საქართველოს მეურნეობის ძირითადი დარგების – მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის დანამატებს წარმოადგენენ: *მონადირეობა, მეთევზეობა* და *მეფუტკრეობა.* ქართველ ხალხს ნადირზე და გარეულ ფრინველზე ნადირობის გარკვეული ხერხები ჰქონდა შემუშავებული. სპეციფიკური იყო მონადირის ჩაცმულობა და აღჭურვილობა. მონადირეები ყინულზე სასიარულოდ *წრიაპებსა* და მრგვალ *თხილამურებს* იყენებდნენ. იცოდნენ ნადირობა მახე-ხაფანგებითაც. მონადირეობას სასპორტო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა. ძველად ქართველ ხალხში ნადირობის მფარველი სამი ღვთაება არსებულა: *„ნადირთ პატრონი“, „ოჩოპინტრა“* და *„ნადირთ მწყემსი“.*

საქართველოში თევზაობდნენ მდინარეებში, ტბებში, ზღვაში. მდინარის თევზებზე სათევზაო იარაღები იყო: *ბარჯი, ანკესი, კოკოზა, მშვილდ-ისარი...* ამასთან ერთად, თევზაობისას იყენებდნენ სხვადასხვა სახის ბადეებს, რთულ დანადგარებს (*ოჩხი, კონი, ფაცერი*) და საშუალებებს (წყლის მოწურვა). სამეგრელოსა და ლაზეთში ზღვაში ნავებით თევზაობდნენ.

თაფლსა და სანთელს ფართო და მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა საქართველოში. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, მეფუტკრეობის პროდუქტები სხვა ქვეყნებში მნიშვნელოვანი რაოდენობით გაჰქონდათ. თაფლს ქართველები საკვების გარდა სამკურნალო საშუალებადაც გამოიყენებდნენ.

ხელოსნობა. ოდითგანვე ქართველები ცნობილი ხელოსნები იყვნენ. მას საქართველოს ყველა კუთხეში ჩატარებული არქეოლოგიური განათხარი მასალაც ადასტურებს. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ტრადიციული ხელოსნობის დარგები კვლავ ფუნქციონირებდნენ. განსაკუთრებით მაღალ დონეზე იდგა კოლხეთში *სელის*

ქსოვილების დამზადება, რომელსაც ჰორიზონტალურ დაზგაზე ქსოვდნენ. კოლხური სელი ცნობილი იყო მაშინდელ მსოფლიოში თავის მაღალი ღირსებით და უცხო ქვეყნებშიც ბლომად გაჰქონდათ. *ქსენოფონტეს* სიტყვით, მეთევზეთა ბადეების საქსოვად, საუკეთესო ნართად, კოლხური სელის ნართი იყო მიჩნეული. ბოლო ხანებში სამეგრელოსა და ლაზეთში ბადეთა საქსოვად სწორედ სელის ნართს იყენებდნენ. იმავე ავტორთა ცნობით, ქართველთა წინაპრები ქსოვილისაგან დამზადებულ *კვართებს* ატარებდნენ. ამავე თვალსაზრისით, საინტერესოა, რომ სამეგრელოს გლეხები XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც კი სელის ტილოსაგან დამზადებულ პერანგებს იცვამდნენ – „სელის პერანგი გრილია და ყანაში სამუშაოდ კარგიო“.

ხალხის ყოფაში უახლოეს წარსულში შემონახული იყო შალის, ბამბის, სელის, აბრეშუმის, კანაფის და სხვა ქსოვილების დამზადების ტრადიცია. გამორჩეული იყო ფარდაგებისა და ხალიჩების ქსოვა. ისინი ყურადღებას იპყრობდნენ შესრულების მაღალი დონითა და რთული და დამახასიათებელი ორნამენტებით. ქართველებს საქსოვი დაზგების ორი ძირითადი ტიპი ჰქონდათ: *დგამ-სავარცხლიანი* (ჰორიზონტალური) და *ბეჭ-საშვრიანი* (ვერტიკალური). ვერტიკალურ დაზგაზე ძირითადად ხალიჩები იქსოვებოდა.

ხითხუროობა და *ქვითხუროობა* საქართველოში უძველესი ხანიდანვეა ცნობილი. ხის ძვირფას ჯიშებს ოდითგანვე იყენებდნენ ნაგებობათა და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ავეჯს, ხის ჯამ-ჭურჭელსა და ნაგებობათა ძირითადი ელემენტების მოჩუქურთმებას. ქართველთა შორის ხის მუშაობის მაღალი ოსტატობით განსაკუთრებით ლაზი ხელოსნები გამოირჩეოდნენ. ისინი ისტორიულადაც განთქმული იყვნენ ხის დამუშავების ოსტატობით. ლაზების შესახებ *ვახუშტი* წერდა: *„კაცნი არიან ჭელოვანი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა“.* მეცნიერებს შენიშნული აქვთ, რომ **ლაზურ ორნამენტში ასახულია ქართველი ხალხის ერთ-ერთი უძველესი წარმოდგენა სიცოცხლის ხის შესახებ.** ქართველებმა იცოდნენ აგრეთვე სახლის კარების, დედაბოძის, ფრიზების, აივნის სვეტების მოჩუქურთმება. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სასაწნეხლე ხეები სპეციალური დაბალი ურმით (*გოგრაჭა*) გამოჰქონდათ. ამ დროს სცოდნიათ *ნადის* მოწვევაც (20-25 კაცი). გურიაში შრომის ამ კოლექტიურ პროცესთან იყო დაკავშირებული სპეციალური სიმღერა *ელესაი.*

საქართველოს ტერიტორია ძველი დროიდანვე განთქმული იყო სამშენებლო და მოსაჩუქურთმებული ქვების საუკეთესო ხარისხის საბადოებით, რამაც დიდად შეუწყო ხელი, როგორც ხუროთმოძღვრული კულტურის ძეგლების ასევე საოჯახო და საყოფაცხოვრებო ნამზადის შექმნას. მონუმენტური ძეგლები, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები ქვის გამოყენების ტრადიციებზე მიუთითებენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ქართველმა ხალხმა შექმნა კლდეში გამოკვეთილი ისეთი კომპლექსები, როგორებიცაა *უფლისციხე, ვარძია, ხვამლი...* ფეოდალური პერიოდის მონუმენტურმა საკულტო ნაგებობებმა, რომლებიც დეკორატიული ჩუქურთმებითაა შემკული, შეუძლიათ მეტოქეობა გაუწიონ იმავე პერიოდის დასავლურ რომაულ არქიტექტურას.

ხელოსნობის მნიშვნელოვან დარგს საქართველოში *მეთუნეობა* წარმოადგენდა. ქართული ხალხური კერამიკა გვიჩვენებს, ერთი მხრივ, ტიპოლოგიურ მთლიანობას ქვეყნის შიგნით, ხოლო მეორე მხრივ, ძველ ქართულ კერამიკასთან უმჭიდროესს კავშირს. მეცნიერები ამჩნევენ ქართული კერამიკის ანალოგიურობას ჩრდილოეთ კავკასიისა და წინა აზიის კერამიკასთან. ქართველი მეთუნეები ამზადებდნენ სხვადასხვა ფორმისა და ზომის ჭურჭლებს, ღვინის ქვევრებს, თორნეებს, აგურს, კრამიტს... ქართული სამეთუნეო წარმოების ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება იყო ღვინის დიდი ქვევრებისა და ჭურების დამზადება. ქვევრების დამზადებით იმერელი ოსტატები გამოირჩეოდნენ. თავიანთი ნაკეთობა მათ

გასაყიდად საქართველოს სხვა კუთხეებში გაჰქონდათ. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში გავრცელებული იყო პურის ვერტიკალური საცხობი *თორნე.* სამეთუნეო ნაწარმის დასაფარავად ხმარობდნენ *ჭიქურს.* საქართველოში მოჭიქული ჭურჭელი ცნობილია ადრე რკინის ეპოქიდან. XI-XVII საუკუნეების ქართული ჭიქური გამოირჩეოდა შემადგენელი მასალის სიმდიდრით და მხატვრულ-დეკორატიული ფორმის მრავალფეროვნებით. წარმტაცი სანახავია მოჭიქული კრამიტით გადახურული ქართული ეკლესია-მონასტრები.

ძველი ბერძენი ავტორების მოწმობით ქართველი ტომები ლითონის დამუშავების საიდუმლო ხერხებს ფლობდნენ. ეს საიდუმლოება იმაში გამოიხატებოდა, რომ *ხალიბები* და *მოსინიკები* რკინისა და სპილენძის მადანს გამოდნობის დროს ურევდნენ „ერთგვარ მიწას“, „ცეცხლგამძლე ქვას“, რაც ლითონს მაღალ ღირსებას ანიჭებდა. მადნის დამზადების ეს წესი ახლო წარსულამდე ცოცხლობდა ქართულ ხალხურ მეტალურგიაში. ეთნოგრაფიული შესწავლით გაირკვა, რომ წედისური ფოლადის მისაღებად რაჭაში „რკინის კაცები“ რკინის გამოდნობის პროცესში ურევდნენ „ფაშას“ – შავი ქვის მადანს. ლითონის დამამუშავებელი ხელოსნობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს იარაღებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების დამზადება შეადგენდა (*კაჟიანი თოფები* და *დამბაჩები,* ვერცხლით, ოქროზარნაშით, სევადითა და ძვლით გაწყობილი *საპირისწამლეები, ხმლები, სატევარები, ქარქაშები*). მაჭახელში (ჭოროხის ხეობა) დამზადებული *მაჭახელად* წოდებული თოფები და დამბაჩები საქართველოს და კავკასიის სხვადასხვა კუთხეში იყიდებოდა. აქვე, ჭოროხის ხეობაში და ლაზეთში, ფართოდ მისდევდნენ *მესპილენძეობასაც.* საქართველოში კეთდებოდა *მუზარადები, ფარები.* რკინის ფართან ერთად იცოდნენ *ტყავის ფარის* გაკეთებაც. ხევსურეთში ბოლო დრომდე შემონახული იყო ქართული *აბჯარი.* სპილენძისაგან საყოფაცხოვრებო ჭურჭელი, სხვადასხვა ზომის და მოყვანილობის *ლანგრები* და *დამბაჩები,* ორნამენტირებული *სასმისები, ჯამფილები, საღვინე* და *საწყლე თუნგები, კუტალები, ხელადები, კარდლები, ორყურები, საჩურჩხელე ქვაბები* მზადდებოდა. აღსანიშნავია სპილენძის ჭურჭლის დამზადების ტექნიკა დაკერვისა და მიჩრჩილვის წესით, რაც უძველესია მეტალურგიაში. სამჭედლო წმინდა ადგილად ითვლებოდა, მჭედელს კი ზებუნებრივი ძალის არსებად თვლიდნენ. ქართველ ხალხში მხატვრული და ტექნიკური განვითარების მაღალ დონეს მიაღწია საიუველირო ხელოვნებამ. ოქრომჭედლობის ძველმა ტრადიციამ განსაკუთრებით განვითარება ჰპოვა ფეოდალურ ხანაში. ძველი მამა-პაპური წესით ოქროს მოპოვება სვანეთში დღესაც გრძელდება. ოქროს მოსაპოვებლად ცხვრის ტყავს გამოიყენებდნენ, რომელსაც ძირითადად ფიცარზე ჭიმავდნენ და მდინარეში ამაგრებდნენ. გარკვეული დროის შემდეგ ტყავს წყლიდან იღებდნენ. მას გასაშრობად მიწაზე შლიდნენ. შემდეგ კი ტყავიდან ოქროს მარცვლებს ამოკრებდნენ.

დასახლების ფორმები. გეოგრაფიული გარემოს, სამეურნეო ყოფისა და კულტურულ-ისტორიული პირობების გამო საქართველოში გამომუშავდა სასოფლო დასახლების სხვადასხვა ფორმები. დასახლება ძირითადად სამი ტიპის იყო. მთის დასახლებები უპირატესად მთის ფერდობებზე იყო განლაგებული. მთავარ დასახლებულ პუნქტს ზევით და ქვევით ჰქონდა პატარა საზამთრო და საზაფხულო სადგომები. ასეთი დასახლება გადარეკვით მესაქონლეობის მეურნეობებისათვის იყო დამახასიათებელი. სოფელი ჩვეულებრივ მთების სამხრეთ კალთებზე წყაროებთან იყო გაშენებული. სახლები პატარა მოედნების ირგვლივ იყო შეჯგუფული. მთის საცხოვრებელი ვერტიკალურ ჭრილში ერთი სახურავის ქვეშ მოიცავდა საქონლის სადგომს, ადამიანთა საცხოვრებელს, კვების პროდუქტების შესანახს. სოფლები ცალკეულ უბნებად იყო დაყოფილი. მთაში შემორჩენილია *საბრძოლო კოშკები, ციხე-სიმაგრეები.* საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი სოფლის შუაში იყო. ყველა მეთემის თავშეყრის ადგილი – სალოცავი (ხატი) კი

დასახლებული პუნქტებიდან გარკვეულად დაშორებული იყო. ქრისტიანული სალოცავები სოფლებში იყო განლაგებული.

მეორე ტიპის დასახლება აღმოსავლეთ საქართველოს ბარისათვის იყო დამახასიათებელი. ქართლში დიდი დასახლებული პუნქტები არც თუ ისე იშვიათად რამოდენიმე ასეულ კომლს მოიცავდა. სახლები შეჯგუფულად იყო განლაგებული. სოფლებში ვიწრო ქუჩები გადიოდა. სოფლები ძირითადად მთების (ქედების) ძირებში იყო განლაგებული. მთაში თუ საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ვერტიკალურ ჭრილში იყო ერთი სახურავის ქვეშ მოქცეული, ბარის დასახლებაში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ჰორიზონტალურად, ერთმანეთის გვერდით იყო განლაგებული. ბარის დასახლებას დიდი უბნები ჰქონდა. საზოგადოებრივი მოედანი და საკულტო შენობები სოფლის ცენტრში იყო მოთავსებული. ერთი უბანი ძირითადად ერთი გვარის ხალხით იყო დასახლკარებული.

დასავლეთ საქართველოს ბარისათვის კარ-მიდამოს ტიპის დასახლება იყო დამახასიათებელი. ასეთი ტიპის დასახლება, ჩვეულებრივ, რამოდენიმე კილომეტრზე იყო გადაჭიმული. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში თუ სახლები ძირითადად ერთმანეთზე იყო მიდგმული და მათ ძალიან პატარა ეზოები ჰქონდათ, აქ პირიქით, კარ-მიდამოს ხშირად ორიდან ექვს ჰექტარამდე ადგილი ეკავა. *საკარმიდამო ნაკვეთი შედგებოდა სახლისაგან, სამზარეულოსაგან, სათხისაგან, ბოსლისაგან (გომურისაგან), საძაღლესაგან, საქათმისაგან, საღორისაგან, მარნისაგან, ბეღლისაგან, ხულასაგან, ნალიასაგან...* კარმიდამოში იყო სხვადასხვა დანიშნულების ნაკვეთები (ხეხილიანი ეზო, ბაღი, სანერგე, ბაღჩა, ბოსტანი, ყანა, ვენახი, სათიბი, საისლე, საბამბე). კარმიდამოს ტერიტორიაზე იყო ჭაც. ასეთი კარმიდამო ხშირად ცოცხალი ღობით იყო შემოსაზღვრული.

საცხოვრებელი ნაგებობები. ტრადიციული ქართული საცხოვრებელი ძირითადად სამ ტიპად იყოფა. ამ ტიპებში კი არაერთი ქვეტიპი გამოიყოფა. მთაში გავრცელებული იყო ორი ან ოთხსართულიანი ქვის შენობები. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ვერტიკალურად ერთი სახურავის ქვეშ იყო განლაგებული. ამ ტიპის საცხოვრებლისათვის დამახასიათებელია ადამიანებისა და საქონლის ერთად თავმოყრა. აქვე ჰქონდათ საკვების აუცილებელი მარაგი და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. სვანურ საცხოვრებლებს (*ქორ*) მიდგმული ჰქონდა, თავდაცვითი კოშკები. სვანური სახლის პირველი სართული ერთმანეთისაგან მდიდრულად ორნამენტირებული ტიხარით იყო გამოყოფილი. ტიხარს ღიობები ჰქონდა, რითაც საქონელი ყოველთვის ადამიანის ყურადღების ცენტრში იყო. სვანური სახლის მეორე სართული (*დარბაზ*) ოჯახის საზაფხულო საცხოვრებელს, სასურსათო მარაგისა და ფურაჟის შესანახ ადგილს წარმოადგენდა. ხევსურული სახლი სამსართულიანი ქვის ნაგებობა იყო. ქვედა სართულზე ადამიანები ცხოვრობდნენ. საცხოვრებლისგან ტიხარით საქონლის სადგომი იყო გამოყოფილი. სპეციალური სათავსი (*სენე*) რძის პროდუქტების გადასამუშავებელად და შესანახად იყო განკუთვნილი. მეორე სართულის ნაწილში მამაკაცთა საძინებელი და მარაგის შესანახი იყო, მესამე სართულზე კი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს ინახავდნენ. მთის საცხოვრებელს, მაგალითად სვანურ *მაჩუბს* კერა ოთხ ნაწილად ჰყოფდა. კერა იყო გასათბობი, გასანათებელი, პურის საცხობი და საჭმლის გასაკეთებელი. კერასთან ხდებოდა მესისხლეთა შერიგება, აქ ტარდებოდა საქორწინო რიტუალებიც. კერისადმი ცუდი დამოკიდებულება (ჩაქრობა, დაშლა, ჯაჭვის გადაგდება და სხვ.) კვალიფიცირდებოდა როგორც მძიმე დანაშაული.

დასავლეთ საქართველოს ბარისათვის დამახასიათებელი იყო ხის ოთხკუთხა, ყავრით ან კრამიტით გადახურული, მიწის იატაკიანი და კერიანი საცხოვრისი, რომელსაც *საჯალაბო სახლს* უწოდებდნენ. საჯალაბო სახლის ცენტრში მოთავსებული იყო კერა – ე. წ. შუა ცეცხლი. ორი კედლის გასწვრივ იდგა ტახტები, რომლებზედაც ოჯახის ყველა წევრი იძინებდა. საჯალაბო სახლის

სპეციალურ ადგილას – საფქვილეში ინახებოდა ფქვილის მარაგი. ოთახის ერთ რომელიმე კედელზე მოწყობილი იყო ნიში (*წალო*) და კედლის კარადა (*თახჩა*) ჭურჭლისათვის. ჭამის დროს კერის წინ, უმთავრესად სადილობისას იდგმებოდა მოკლე ფეხებიანი ხის ვიწრო მაგიდა – სუფრა. ამ ტიპის დასავლურ-ქართული საცხოვრისი წარმოადგენს პიროზონტალურ ჭრილში განლაგებულსა და უკვე დანაწევრებულ საცხოვრებელ და სამეურნეო შენობათა კომპლექსს.

სამეგრელოში საცხოვრებლის უძველეს ფორმად მიჩნეულია წნული (*ფაცხა*) და უბრალო ძელურა (*ჯარგვალი*). პირველი წარმოადგენს მრგვალ ან ოთხკუთხ წნულს. მისი სახურავი კონუსისებური ან ორფერდაა და სახურავად გამოყენებულია ჭაობის ლერწამი. საცხოვრისის ეს ადრინდელი ფორმები განვითარების შედეგად ფიცრულ სახლებად ჩამოყალიბდა (*ბოყვიანი სახლი* ორფერდა გადახურვით; *ოდა სახლი* – საძირკველზე მდგარი ოთხკუთხოვანი ფიცრული ფიცრის იატაკით, მაგრამ ჯერ კიდევ საერთო დაუნაწილებელი ფართობით).

შავშეთ-იმერხევში საცხოვრებელი სახლები ერთმანეთისაგან დაშორებული არაა. საცხოვრებელი სახლი ფიცრულია (რასაც *შეშის სახლს* უწოდებენ), ორ-სამსართულიანი. პირველ სართულზე მოწყობილია *ახორი* (საქონლის სადგომი), მეორე საცხოვრებელს წარმოადგენს, მესამე უფრო დაბალი ჭერით *ბელელის* სახელითაა ცნობილი, სადაც ინახავდნენ მოწეულ ჭირნახულს, საჭმელ-სასმელს და შრომის იაღარებს. საცხოვრებელი სახლების წინ უდგათ ხის ძელებისაგან აგებული ნაგებობები (*ქორ*), რომელშიც თივას ინახავენ. ასეთი *ქორები* სოფლის ნაპირას სათიბ ნაკვეთებშიც ბევრი უდგათ და ხშირად ისინი ორ-სამსართულიანია.

აღმოსავლეთ საქართველოსათვის (ქართლი, თრიალეთი, სამცხე, თბილისი) დამახასიათებელი იყო ქვის *დარბაზული* სახლი. მისი დამახასიათებელი ელემენტებია: *კერა,* ბუღაურიანი *დედაბოძი* და გვირგვინიანი გადახურვა. გვირგვინიანი სახლები ძვ. წ.-ის პირველ საუკუნეში, რომაელი არქიტექტორის *ვიტრუვის* მიხედვით, კოლხეთშიც ყოფილა გავრცელებული. დარბაზს ერთ მხარეს მიდგმული ჰქონდა მარანი, მიწაში ჩაფლული ქვევრებით, მეორე მხარეზე – თორნე. დედაბოძი და თავხე მოჩუქურთმებული იყო (მზის დისკო, ვარსკვლავები...). მეცნიერები ფიქრობენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ბარში საცხოვრებლის არქაული ფორმა იყო მიწური სახლი, რომელიც შემდგომ, დარბაზის ტიპის საცხოვრებლად გარდაიქმნა. ქართლური და მესხური დარბაზებისაგან თრიალეთური დარბაზი განსხვავდება. ამ დარბაზში ჰორიზონტალურ გეგმაში ერთი სახურავის ქვეშ წარმოდგენილი იყო: საკუთრივ საცხოვრებელი, საკუჭნაო, მარანი, საბძელი, ბოსელი. ასეთი სახლის უკანა და ორი გვერდითი კედელი ნახევრად მიწაში იყო, ფასადის კედელი მიწის ზემოთ იყო და ის ეზოსაკენ და ანდა ქუჩისაკენ იყო მიმართული. ქართლის დარბაზში კი სამეურნეო ნაგებობები გამოყოფილი იყო. ფიქრობენ, რომ ეს ეზოს გაჩენამ გამოიწვია, მაგრამ ამ უკანასკნელმა დასახლების ტიპზე რაიმე გავლენა ვერ მოახდინა; ძველებურად ის შეჯგუფული დარჩა.

ქართული ხალხური ტრანსპორტი. ქართველ ხალხს სახმელეთო და წყლის ტრანსპორტის სახეობათა მრავალფეროვნება გააჩნდა, რაც ადგილობრივი მონაცემებით არის შეპირობებული. საქართველოს სახმელეთო ტრანსპორტი კონსტრუქციულად სამ მთავარ ჯგუფად იყოფა: *უბორბლო ტრანსპორტი* (ძირითადად *მარხილები*) – საქართველოს მთა; *ბორბლიანი ტრანსპორტი* (ძირითადად ***ორბორბლიანი ურემი***) – საქართველოს ბარი და შერეული ტიპის ტრანსპორტი (საზიდი, რომელშიც შეერთებულია სრიალისა და გორვის პრინციპი) – *ჩოჩიალა ურემი, ბოლოთრია, სელი*) – გარდამავალი ზოლი ანუ მთისწინეთი (ზეგანი). კონკრეტული სამეურნეო-გეოგრაფიული პირობებით განსაზღვრული იყო ძირითად სახეობათა ქვესახეობები. მემინდვრეობასა და მევენახეობასთან იყო დაკავშირებული *საძნე ურემი (ბჯის ურემი), ჭადის ურემი, ჭურის ურემი* და სხვ.

ამასთანავე, ორბორბლიანი *საბარო ურემი* ადგილობრივი გამოყენების ფარგლებს სცილდებოდა და ძირითადად აღებმიცემობისათვის იხმარებოდა („მანძილზე სასიარულო“ იყო). ამ ურმის კონსტრუქციული თავისებურებანი იყო სამკუთხოვანი უბე ცენტრალური ნაწილით ორბორბლიან ღერძზე, ხოლო წინა ნაწილი უღელზე დაყრდნობილი. ის სხვა ქვეყნების საზიდებისაგან განსხვადებოდა. ასეთი ტიპის ორბორბლიანი ურემი ჯერ კიდევ XII საუკუნის საქართველოში ყოფილა გავრცელებული, რასაც ვარძიის ფრესკა ადასტურებს. რაც შეეხება მთის ზოლის (მარხილები) და გარდამავალი ზოლის (*ჩოჩიალა ურემი, ბოლოთრია სელი* და სხვ.) ტრანსპორტს, მათი ადგილობრივი წარმოშობილობა უდაოა და ეს შეპირობებულია კონკრეტული სამეურნეო-გეოგრაფიული, ლანდშაფტური ვითარებით, ყოფით. ხალხური სათამსვლელო საშუალებებიდან აღსანიშნავია სასიარულო თხილამურები (*მრგვალი, გირკალისებური, ჭვინტიანი*). ასეთი სახის თხილამური გარდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთიანეთის მხარეებისა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც (მაგალითად, შავშეთ-იმერხევშიც იყო გავრცელებული).

საქართველოში სამდინარო ხალხურ საზიდ საშუალებებში ნავის ორ ძირითად სახეობას არჩევდნენ: *დაჭედილს* და *დაუჭედავს*. დაუჭედელი ნავი ეწოდებოდა ერთი მთლიანი ხისაგან გამოთლილ ნავს, რომელიც *ვარცლის* სახელს ატარებდა (სხვანაირად *ცალფა ნავსაც* უწოდებდნენ). საწყლო ტრანსპორტის ერთ-ერთი სახეობა იყო *ნავტიკიც,* რომლებიც ძირითადად მდ. *მტკვარზე* იყო გავრცელებული. მას უპირატესად მეთევზეები გამოიყენებდნენ. ნავტიკი იყო ხარის ტყავის ოთხი დიდი რუმბი გაბერილ მდგომარეობაში, რომელზედაც ზემოდან უბრალო ჩარჩო იყო მოწყობილი. მდ. *მტკვარზე, რიონზე* ფართო გამოყენება ჰქონდა ტივებს. ეთნოგრაფიული მონაცემებით მთელი ჭოროხისპირა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში ნაოსნობას და ნავმშენებლობას მისდევდნენ. ნავების დამზადების ერთ-ერთი ცენტრი *ქვემო მარადიდი* ყოფილა. სხვა ცენტრებიდან აღსანიშნავია *ხება* და *ბორჩხა*. დიდი რაოდენობით მზადდებოდა ნავები ლაზეთში (*სარფი, რიზე*), რომლებსაც ზღვაზე სანაოსნოდ გამოიყენებდნენ. რიზეში მცირე გემებიც უშენებიათ. აქაური მოსახლეობის დიდი ნაწილი ზღვაოსნობასა და მეთევზეობას მისდევდა. მარადიდში კი გრძელი და ბრტყელძირიანი ნავები უკეთებიათ. მარადიდში ზოგიერთი გვარი მემკვიდრეობით ნავთმშენებლები ყოფილან. ნაოსნობა ჭოროხის ხეობის მკვიდრთათვის ერთ-ერთი მთავარი საქმიანობა ყოფილა. მენავეებს გადაჰყავდათ მგზავრები და ეზიდებოდნენ ტვირთს.

ქართული საჭმელები. ისევე როგორც სხვა ეთნოგრაფიული რეალიები, სპეციფიკური ბუნებრივი პირობებისა და მეურნეობის ადგილობრივი ფორმებიდან გამომდინარე, საკვებიც მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ამ მხრივ საკმაოდ დიდი განსხვავებაა მთასა და ბარს, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის. ქართული ეროვნული საჭმელები შერეულია. ქართველები მიირთმევდნენ როგორც ხორცეულ, ისე მცენარეულ და რძის პროდუქტებს. ხორცსა და თევზს როგორც მოხარშულს, ისე შემწვარს შეექცეოდნენ. საჭმელებს გემოვნების მიხედვით აკეთებდნენ მჟავეს, ცხარეს და ტკბილს. დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით პოპულარული იყო ცხარე, სანებლებით შენელებული საჭმელები. ამ მიზნით ფართოდ იყენებდნენ წიწაკას, ტყემალს, ბროწეულის წვენს, კოწახურს. ქართველთა საკვების ფართო ასორტიმენტების შესახებ ჯერ კიდევ ძვ. წ.-ის V-IV საუკუნეებში *ქსენოფონტე* აღნიშნავდა. ხორცეულ და პურეულ საჭმელებთან ერთად ის ღვინოსა და თაფლის ფართო გამოყენებაზეც მიუთითებდა. ქართველები დღეში ორჯერ ან სამჯერ ჭამდნენ. ჭამის დროს თავშეკავებულნი იყვნენ. ქართული სუფრის აუცილებელი კუთვნილება მწვანილიც იყო. აცხობდნენ სხვადასხვა ფორმის პურებს: მრგვალს, შოთს, ლავაშს. დასავლეთ საქართველოში პოპულარული იყო სქელი ფაფა – ჯერ ღომის ღომი, შემდეგ სიმინდის ღომი და მჭადი. სიმინდის პურს (*მჭადს*) ძირითადად თიხის ან ქვის ბრტყელ ტაფებზე – *კეცებზე* აცხობდნენ.

კეცებზე იცოდნენ პურის გამოცხობა შავშეთ-იმერხევშიც. მოხარშული ხორბლისა და თაფლის შერევით გემრიელი საჭმელი – *წანდილი* მზადდებოდა, ხორბლის ფქვილისა და ერბოთი კი – *ხავიწი.* ხილის, ბოსტნეულისა და მწვანილისაგან სხვადასხვა წვნიან საჭმელებს – *შეჭანამდს* აკეთებდნენ. პოპულარული იყო რძე და რძის პროდუქტები (*მაწონი, ყველი, დო, კარაქი, ერბო*). საქართველოს სხვადასხვა მხარეში სხვადასხვანაირი ყველის ამოყვანა იცოდნენ. ცნობილია *თუშური გუდის ყველი, იმერული ყველი, სულგუნი,* რომლის ცენტრიც სამეგრელოა. ცხიმებიდან აღმოსავლეთ საქართველოში ერბოს იყენებდნენ, დასავლეთ საქართველოში – მცენარეულ ზეთებს, ძირითადად ნიგვზის ზეთს. დასავლეთ საქართველოში ამზადებდნენ სპეციალური სანელებლებით შეზავებულ ფრინველის ხორცს – *საცივს.* მთელ საქართველოში პოპულარული იყო მწნილები. შავშეთ-იმერხევში ბოსტნეულსა და ხილს (მაგალითად, მსხალს) ჭურებში ამჟავებდნენ (ამწნილებდნენ). ქართულ საჭმელებზე როდესაც ვსაუბრობთ, არ შეიძლება *ჩირები, გოზინაყი* და *ჩურჩხელა* არ ვახსენოთ. ჩურჩხელა უაღრესად ყუათიანობით გამოირჩევა და ხანგრძლივად ინახებოდა. ის სტრატეგიული დანიშნულების პროდუქტადაა მიჩნეული. სასმელებიდან შეიძლება ღვინოსა და არაყთან ერთად *ლუდი, ბურახი, ბადაგი* დავასახელოთ. ლუდს საქართველოს მთაში ძირითადად სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა. მას რელიგიურ დღესასწაულების დროს ხარშავდნენ. საჭმელების მრავალფეროვნება მეურნეობის განვითარების ფორმების არსებობასა, ქართველთა მაღალ გემოვნებაზე და შემოქმედებით უნარზე მიუთითებს.

ქართული ტანსაცმელი. ქართული ხალხური ტანსაცმელი, ისევე როგორც კულტურის სხვა ელემენტები საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა. კოსტუმის ძირითადი ტიპები იქმნებოდა სამეურნეო-ყოფითი, კლიმატურ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიური, სქესობრივ-ასაკობრივი პირობებით. საქართველო ტანსაცმლის ცოცხალი მუზეუმი იყო. ძველ ქართულში ტანსაცმლის აღმნიშვნელი ტერმინი იყო *სამოსელი.* შარვალი შუა საუკუნეების საქართველოში, ისევე როგორც ევროპაში, ფაქტობრივად, არ იცოდნენ. მამაკაცის საყოველთაოდ გავრცელებული სამოსი იყო გრძელი კაბა. XIX საუკუნეში ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა შინ და გარეთ ჩასაცმელი ტანსაცმელი. მაგალითად, *ქართულ კაბას* და *ჩოხა-ახალუხს* მაშინ ძირითადად ზედა ფენა ატარებდა. გლეხებს კი გლეხური, უფრო სადა და უბრალო ტანსაცმელი ეცვათ. ქართული კაბა და ჩოხა-ახალუხი მათთვის საზეიმო ტანსაცმელი იყო. ყველა სოფელში ასეთი ტანსაცმელის ერთი ან ორი ხელი ვიღაცას ჰქონდა და მას ნეფე-დედოფალი ქორწილში იცვამდა, ანდა ასეთ საქორწილოდ შეკერილ კოსტუმს უფრთხილდებოდნენ, დღესასწაულებზე იცვამდნენ და სასიკვდილოდ ინახავდნენ. რიგითი ყოველდღიური ჩასაცმელის დამზადებას ძველად თითქმის ყველა ქალი ახერხებდა, მაგრამ გარკვეული სოციალური ფენა საგანგებო ჩასაცმელისათვის ხელოსნებს იწვევდა. ჩოხის სიგრძე რეგიონების მიხედვით მერყეობდა. მამაკაცებს ის ზოგს კანჭებამდე და ზოგს მუხლამდე სწვდებოდა. მოკლე ჩოხებს ატარებდნენ იმერეთში, წვივებზე კი შალის პაიჭებს იცვამდნენ. თავზე კი სარჩულდადებული *ფაფანაკი* ეხურათ. გლეხის საზამთრო სამოსელიდან აღსანიშნავია ტყავი (ქურქი), რომელიც ცხვრის ტყავისაგან იკერებოდა. აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული პატარა ზომის შავი ქუდი, რომლის ცაზე ჯვარედინად აბრეშუმის ზონარს აკერებდნენ. ამჟამად, ასეთ ქუდს კახეთში *თუშურ ქუდს* უწოდებენ, ქართლში – *კახურ ქუდს.* სვანური ქუდის სახელით ცნობილი ქუდი ოდნავ სხვანაირი იყო. შემორჩენილია სვანეთში 1860-იან წლებში გადაღებული მამაკაცთა ფოტოები, რომლებზედაც აღბეჭდილ სამ მამაკაცს ერთმანეთისაგან განსხვავებული ძაბრისებრი ქუდი ახურავს. ერთ მათგანს ზუსტად ისეთივე ქუდი ახურავს როგორც *კასტელის* მიერ დახატულ *გიორგი სააკაძეს.* გლეხის ყოველდღიური ფეხსაცმელი *ქალამნები* იყო, სადღესასწაულო კი – *წაღები.*

განსაკუთრებულად თავისებური იყო თავადის ფეხსაცმელი. ის იყო მაღალყელიანი, გვერდზე იკვრებოდა თასმებით და წვერზე ჭვინტი ჰქონდა. ჭვინტიანი ფეხსაცმელი კედლის მხატვრობაში გვხვდება.

ქალის კაბა ეროვნული კოსტუმის ძირითადი სახეობა იყო. მის კომპლექსში შედიოდა აბრეშუმის ან შალის ძვირფასი ქსოვილებისაგან შეკერილი, წელში გამოყვანილი კაბა (გულმკერდზე შემოტმასნილი ზედატანითა და გრძელი, კალთაგანიერი ქვედატანით, ოქრომკედით ნაქსოვი სარტყლით, ჩადგმული გულისპირითა და სახელოებით), აბრეშუმის გრძელი პერანგი და ტოტებნაქსოვი შეიდით, ხავერდის მოკლებეწვიანი ქათიბი, ტყავის ფეხსაცმელი, რთული შემადგენლობის თავხურვა (*ლეჩაქი, ჩიხტიკოპი, თავსაკრავი, ბაღდადი, შუბლის ქინძისთავები* და სხვ.), სამკაულები (*სამაჯურები, ბეჭდები, საყურეები, სასაფეთქლეები, ყელსაბამები, ძეწკვები, გულისა და შუბლის ქინძისთავები*). თავხურვას შეესაბამებოდა თმის საგანგებო ვარცხნილობა – *კავები, დალალები, ნაწნავები.* ხევსური ქალებისათვის კი ჩვეულებრივი ოყო შუბლზე *წინამოს* გაკეთება. ქართული კაბა მაღალი წრის ქალებისათვის ყოველდღიური სამოსელი იყო, გლეხი ქალისათვის კი – საუქმო. ქართული კაბა ძველად საქართველოში საყოველთაოდ იყო გავრცელებული, უმთავრესად ბარში, სადაც ის სხვადასხვა სახელწოდებით იყო ცნობილი (*წელიანი, ყურთმანჯიანი, სარტყელ-გულისპირიანი*).

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე არსებობას განაგრძობდა მხოლოდ ამა თუ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეში გავრცელებული ძველი ქართული ტანსაცმელი: ხევსურული *ტალავარი,* გურია-ლაზეთ-აჭარაში გავრცელებული მამაკაცის კოსტუმის თავისებური სახე, რომელსაც *ჩაქურა* (შარვალსაც ერქვა) ეწოდებოდა; მთის რაჭველ ქალთა ტანსაცმელი და სხვ. აჭარელი გლეხის ტანსაცმელი შემდეგი ელემენტებისაგან შედგებოდა: მასრებიანი შალის „ჩოხა“, საკუთრივ ჩაქურა – განიერი, ფართოუბიანი შარვალი (შალისა), რომელიც ხვანჯრით იკვრებოდა, ისე რომ მამაკაცს წელზე ნაოჭები მოხდენილად შემოწყობოდა, ზუბუნი (ახალუხი – წელამდე, ორჯიბიანი, საყელოიანი), სელის პერანგი, ყაბალახი, „ლაფჩინი“ (ჭვინტიანი ფეხსაცმელი) და ლურჯი მაუდის სადღესასწაულო ჩოხა. მამაკაცს სარტყელში გაყრილი ჰქონდა საბრძოლო იარაღი – მაჭახელა (დამბაჩა), ყამა (სატევარი) და სხვ. **რაც შეეხება ხევსურულ ტალავარს, მეცნიერები ფიქრობენ, რომ ქართული ტანსაცმლის უძველესი ფორმა სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო. მისი ელემენტი პერანგი ორგინალური თარგით და მდიდარი ნაქარგებით გამოირჩევა არა მარტო საქართველოს, არამედ კავკასიის სხვა ხალხთა ჩაცმულობისაგან.** მამაკაცის ხევსურული კოსტუმი შინ ნაქსოვი ტილოსაგან იკერებოდა. ის ძირითადად შედგებოდა *ჩოხის, ნიფხავის (შარვალი), „პერანგისა“* და *პაჭიჭებისაგან.* მდიდრულად ნაქარგ პერანგზე ჯვრები იყო გამოსახული. ქალს სადიაცო კაბა მუხლებამდე ჩასდევდა; რის შემდეგაც შემოეკერებოდა „ქოქომონად“ სახელდებული არშია. სადიაცოს გულისპირი – „ფარაგი“, წინკალთა და სახელოები მაჯებთან სათანადო ქარგულობითა და აპლიკაციით იმკობოდა. სადიაცოს ზემოდან იცვამდნენ „ფაფანაგს“ ან „ქოქოლოს“. ქოქოლო წინ ჩახსნილი სამოსია, რომელსაც წინა კალთები ან ზურგი სადად აქვს აჭრილი, ხოლო გვერდებში შედგმული აქვს წელზე ნაკეცებად მიწყობილი განიერი კალთა. ფაფანაგს, ისე როგორც ძველებურ კაბას, გახსნილი ჰქონდა სახელოები. შეხსნილი ჰქონდა აგრეთვე გვერდები. ფაფანაგისაგან განსხვავებით ქოქოლოს მოკლე სახელოები ჰქონდა. ქოქოლო ყოველდღიური სახმარი სამოსი იყო, ფაფანაგს სადღესასწაულო დღეებში იცვამდნენ. ხევსურეთში ფეხსამოსად უხმარიათ ყელიანი, წინდის ფორმის ძირზე ტყაგადაკრული თათები და ტყავის ქალამნები. არ შეიძლება არ აღინიშნოს თუშეთში გავრცელებული ნაქსოვი ფეხსაცმლის შესახებაც, რომელსაც *ჩითებს* უწოდებდნენ. საქალო ჩითები უყელო, დაბალყელიანი და მაღალყელიანი იქსოვებოდა.

საქორწინო წეს-ჩვეულებები. ქართული გვარის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია საქორწინო ურთიერთობების მოწესრიგება იყო. მიუხედავად იმისა, რომ მართმადიდებელი ეკლესია შვიდი თაობის შემდეგ დაქორწინების ნებას რთავდა, ერთი გვარისანი, რომლებიც ერთი წინაპრისაგან მომდინარეობდნენ, ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ. ამას მოითხოდა ქართული წეს-ჩვეულება, ტრადიცია. იმდენად დიდი იყო ქართველ ხალხში ეგზოგამიურობის ტრადიცია, რომ ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ არა მარტო ერთი გვარის წარმომდგენლები, არამედ ხშირად სხვადასხვა გვარისანიც, რომლებიც ერთი სხვა ადრინდელი, საერთო გვარისაგან მომდინარეობდნენ. მთაში ერთი *ხატის* (*სალოცავის*) ყმებს შორისაც ეგზოგამიური აკრძალვა გვქონდა. საქართველოს ზოგიერთ მხარეში აკრძალული იყო დაქორწინება ერთი სოფლის მცხოვრებლებს შორისაც. იმის გამო, რომ ერთი ხეობის ანდა ერთი სოფლის მცხოვრებნი ერთმანეთზე არ დაქორწინებულიყვნენ, იცოდნენ ხელოვნური დანათესავება. (მაგალითად, შვილად აყვანის გზით). ქორწინების ხელშემშლელ ფაქტორთაგან შეიძლება დავასახელოთ ნათელმირონობაც. მიუხედავად ამისა, საქართველოში იყო შემთხვევები ერთი გვარის ხალხის ერთმანეთზე დაქორწინებისა. ამ შემთხვევაში წყვილი შვიდი თაობით ერთმანეთისაგან უნდა ყოფილიყო დაშორებული. ეს ძირითადად თავადაზნაურთა წრეში ხდებოდა, აგრეთვე – იმ დიდ გვარებში, რომლებშიც საერთო წინაპრის შემდეგ 20-25 და მეტი თაობა იყო გასული.

ქორწინებისათვის აუცილებელი პირობა იყო აგრეთვე მშობლების თანხმობა, ასაკი, რელიგია, ნათესაობა (იკრძალებოდა დედის, ბებიის და წინაპრების მოგვარეებზე დაქორწინება), გონებრივი და ფიზიკური მდგომარეობა. ისტორიულად საქორწინო ასაკი იცვლებოდა. ასე, მაგალითად, თუ XIX საუკუნის 70-80-იან წლების მონაცემებით გოგონებისათვის საქორწინო ასაკი 14-16 წელი იყო და ვაჟებისათვის 16-17 წელი, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქორწინო ასაკმა მოიმატა გოგონებისათვის 16-19 წლამდე, ვაჟებისათვის – 20 წლის ზემოთ. საქორწინო ასაკი საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შორისაც მერყეობდა. ადრეული ქორწინებანი ხევსურთა ყოფისათვის არ იყო დამახასიათებელი. აქ გოგონები 21-25 წლის ასაკში თხოვდებოდნენ, კაცები კი – 25-30 წლის ასაკში ქორწინდებოდნენ. საპატარძლოს არჩევისას ვაჟის მშობლები არკვევდნენ მის წარმომავლობას (ხომ არ წარმოადგენდა ის საქმროს შორეულ წინაპარს), ჯანმრთელობას, ხელსაქმის უნარიანობას და სხვა თვისებებს. თბილისში იცოდნენ აბანოებში გოგონას დათვალიერება. თანხმობის შემდეგ საპატარძლოს ოჯახი საქმროს ოჯახისაგან *ბელგას* იღებდა. ბელგას უშუალოდ ნიშნის გადაცემა მოსდევდა. მის ერთ-ერთ ელემენტს მოსახვევი შეადგენდა, რის შემდეგაც საპატარძლოს (დანიშნულს) სახლიდან თავსაბურავის გარეშე გასვლა აღარ შეეძლო. შემდეგი ეტაპი იყო დიდი ნიშნობა. ნიშნობა ფაქტობრივად ქალის სახლში ქორწილი იყო. ქორწილი ჩვეულებრივ შემოდგომაზე, მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დამთავრების შემდეგ იცოდნენ. ქორწილს აუცილებლად წინ უსწრებდა *ჯვრისწერა.* ქორწილი სამი დღე გრძელდებოდა. პატარძლის სახლში მოყვანისას რიტუალი კერასა და დედაბოძთან ტარდებოდა. ქორწილის თამადა დედაბოძზე სანთლებს ანთებდა და ლოცვას წარმოსთქვამდა. ყოველ სადღეგრძელოს თან სიმღერა ახლდა. აგრეთვე სადღეგრძელოებს შორის მექორწინეები გუნდურ ცეკვებს ასრულებდნენ. ქორწილის დროს, განსაკუთრებით, როდესაც მაყრები საპატარძლოს სახლს მიუახლოვდებოდნენ, იცოდნენ საქორწილო სიმღერის – *მაყრულის* შესრულება. სხვა სოფლიდან მოყვანილ პატარძალს ახალგაზრდები ჩირაღდნებით ხვდებოდნენ. ქორწილის მეორე დღეს ქართლში იცოდნენ მძახლების გადმოწვევა, რასაც *მძახლიწვეულს* უწოდებდნენ. მეოთხე დღეს სცოდნიათ ხინკლის გაკეთება. რამდენიმე ხნის შემდეგ ქალებს პატარძალი წყალზე გაყავდათ (ან ჭასთან), რის შემდეგაც ის ყოველდღიურ საოჯახო საქმიანობას შეუდგებოდა. იცოდნენ პატარძლის ნეფის ხატში (სალოცავში)

გაყვანაც. ტრადიციული იყო მზითევის გატანება. მზითევი არის ქალის ქონების ის წილი, რომელიც მას გათხოვებისას მამის სახლიდან მიაქვს ქმრის სახლში.

ქართველებმა იცოდნენ *ზესიძეობა.* ზესიძედ შესვლა ძირითადად ბარის რაიონებში იყო გავრცელებული. მთიდან ის მხოლოდ სვანეთისათვის არ იყო უცხო. ზესიძედ შესვლა მაშინ ხდებოდა, თუ ოჯახს მემკვიდრე ვაჟი, გვარის გამგრძელებელი არ ჰყავდა. ამიტომ იყო, რომ ქართული ტრადიცია მოითხოვდა ზესიძედ შემსვლელისაგან გვარის შეცვლას, სიმამრის გვარზე მის (ან შვილების) დაწერას. ასეთ შემთხვევაში შეეძლო ზესიძეს სიმამრისაგან მემკვიდრეობის მიღება.

საოჯახო ყოფა. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ქართველ ხალხში ოჯახის ძირითადი ფორმა იყო პატარა ოჯახი, რომელიც ძირითადად ორი თაობისაგან შედგებოდა (მშობლები და შვილები). ასეთი ოჯახი დაახლოებით ორიდან 10 სულამდე ითვლიდა. ხშირად პატარა ოჯახი რომელიმე მშობელის (ოჯახის უფროსისა) და მისი დასაოჯახებელი ძმებისაგან ან დებისაგან შედგებოდა. პატარა ოჯახის გვერდით შერჩენილი იყო დიდი ოჯახებიც. ასეთ ოჯახებს უწოდებდნენ აგრეთვე *გაუყრელ ძმებს, ერთსახლი ძმებს.* ხალხის აღწერის დავთრებში დაფიქსირებულია ერთ ოჯახში რამდენიმე ძმის (როგორც მაშინ უწოდებდნენ, *თავის*) თანაცხოვრება. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დიდი ოჯახები საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში გვხვდებოდა. ეთნოგრაფიულად დიდი ოჯახი მხოლოდ ხევსურეთში არაა დადასტურებული. ქართლში დიდი ოჯახების სულთა რაოდენობა ძირითადად 20-დან 30-მდე მერყეობდა. მაგრამ იყო ისეთი ოჯახები, რომელთა სულადობრივი რაოდენობა 40 სულს აჭარბებდა. მაგალითად, 1830 წლის აღწერით შიდა ქართლის სოფელ *ხოვლეში დიმიტრი ბახტაძის* ოჯახში 45 სული იყო აღრიცხული. დიდი ოჯახის უფროსს ძირითადად ასაკით უფროსი მამაკაცი წარმოადგენდა, რომელიც ამ საზოგადოებრივი (სოციალური) და სამეურნეო ერთეულის ერთპიროვნული მმართველი იყო. სტრუქტურული თვალსაზრისით ქართული დიდი ოჯახი რამდენიმე ძმის შთამომავალთა გაერთიანებას წარმოადგენდა, როგორც აღმავალი, ისე გვერდითი ხაზიდან. ოჯახის ყველა წევრს თავის მოვალეობა ჰქონდა. ერთი ძმა მემინდვრეობაში იყო დაკავებული, მეორე – მესაქონლეობაში, მესამე მევენახეობასა და მებაღეობაში, მეოთხე – ხე-ტყის დამუშავებაში. ასევე განაწილებული ჰქონდათ შრომა-საქმიანობა ქალებს, რომელთა შორის უფროსი ასაკით ყველაზე დიდი იყო (*დიასახლისი*). დიდი ოჯახის დაშლის, გაყრის შემთხვევაში არ იყოფდნენ წისქვილს, ხელსაფქვავს, არყის სახდელს, ზეთსახდელს... გაყრის დროს ქონება მხოლოდ ცოლ-შვილიან მამაკაცებზე (დიდ ოჯახში შემავალ პატარა ოჯახებზე) ნაწილდებოდა. საქართველოს ზოგიერთ მხარეში (ფშავი, ხევსურეთი...) დადასტურებულია შემთხვევები მეორე ცოლის შერთვისა, იმ შემთხვევაში თუ ქალი უშვილო იყო ანდა მხოლოდ ქალიშვილები უჩნდებოდა. ვაჟის (მემკვიდრედ მხოლოდ ის ითვლებოდა) არ ყოლა საქორწინო წყვილს მეორე ცოლის შერთვას აფიქრებინებდა. ინიციატორად ხშირად თვით ქალი გამოდიოდა და ხშირად ის აქტიურად მონაწილეობდა მისი ქმრის მეორე ცოლის მოძებნაში. მეორე ცოლის მოყვანა პირველის სახლიდან წასვლას არ გულისხმობდა.

ქართულ ოჯახში გარკვეული ეტიკეტი არსებობდა. რძლებს ყოველთვის მორიდება ჰქონდათ მამაკაცების მიმართ. მიუღებელი იყო სხვების თანდასწრებით ცოლის ქმართან დალაპარაკება, მით უმეტეს, ცოლი ქმარს არასოდეს სახელით არ მიმართავდა. ქალი მამამთილსა და დედამთილს სახელით არ მიმართვდა, ჩვეულებრივ, მას *მამას* და *დედას* უწოდებდა. ხალხური ეტიკეტის ნორმები დაცული იყო კერასთან ჯდომის, პურის ჭამისა და სტუმრიანობის დროს. კერასთან მკაცრად იყო გამიჯნული სამამაკაცო და სადიაცო ადგილები.

ტერიტორიული თემი საქართველოში. შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კახეთში, სათემო-საერთო მიწათსარგებლობაც არსებობდა. საერთო-სათემო მიწებში, როგორც სახვნელი, ისე სათიბ-საძოვრებიც

შედიოდა. სათემო მფლობელობა ქართლ-კახეთში ერთნაირი ზომით არსებობდა, როგორც სამეფო (სახელმწიფო), ისე საეკლესიო და საბატონო გლეხობაში. ეთნოგრაფიული მონაცემებით დასტურდება კახეთში სათემო მიწების თავისუფალი, ე. წ. „დამატებითი“ და პერიოდული გადანაწილება. ეს განსაკუთრებით ითქმის ქიზიყზე, რომელიც როგორც ქვეყნის განაპირა მხარე სამეფო (სახელმწიფო) დაქვემდებარებაში იყო. ტერიტორიული (სამეზობლო) თემი კლასიკური ფორმით საქართველოს მთაში იყო წარმოდგენილი. ტერიტორიულ (სამეზობლო) თემებს საერთო სარგებლობაში ჰქონდათ ტყე, საძოვრები და სახვნელი მიწის ნაწილიც. გამოსაყენებელი მიწები კომლობრივად ნაწილდებოდა. სვანური თემი (**ხევ**) რამდენიმე სოფლის ერთობლიობას წარმოადგენდა. მასში სხვადასხვა გვარები იყვნენ გაერთიანებულნი. სვანეთში სახვნელი მიწა კერძო საკუთრებაში იყო, მაგრამ სათემო მიწებიც არსებობდა საეკლესიო თუ სახატო მიწების სახით. სვანეთში სახატო (ანუ სათემო) მიწების შევსების წყარო ძირითადად შემოწირულობა იყო. ამ მიწებს თემი განაგებდა. შუა საუკუნეების სვანეთში ტერიტორიული თემები შემჭიდროებულნი იყვნენ და მათ ერთგვარი თემთა კავშირი ჰქონდათ შექმნილი, რომელსაც *ერთობილ სვანეთს* უწოდებდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოს თემები ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეების მიხედვით, სტრუქტურული თვალსაზრისით, აშკარად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ფშავში თერთმეტი ტერიტორიული თემი იყო. ფშავის თერთმეტივე ტერიტორიული თემი მკაცრად იყო თავმოყრილი ცენტრალური სალოცავის *ლაშარის ჯვრის* გარშემო. ფშავში ტერიტორიული თემის, უფრო ზუსტად, ტერიტორიული თემის სალოცავთა საკუთრებას მიწის დიდი ნაკვეთები შეადგენდა.

სხვანაირი იყო ხევსურული თემის ტერიტორიული სტრუქტურა. აქ თითოეული სოფელი ცალკე აღებული თემი იყო, მაგრამ თავის მხრივ სასოფლო თემები უფრო დიდ ტერიტორიულ თემებში იყვნენ გაერთიანებულნი.

მართალია, XX საუკუნის დასაწყისში თუშეთში ოთხი ტერიტორიული თემი იყო, მაგრამ ეთნოგრაფიული მონაცემებით ამ ტერიტორიულ თემთა რაოდენობა უფრო მეტი ყოფილა და მათი გამსხვილება მომხდარა. გომეწრის თემს ივანაურთა და ხეცურთა თემები შეუერთებია, ჩაღმის თემს – ჭანჭახოვანის თემი, პირიქითის თემს კი – სამციხის თემი. თუშეთში ორი ან სამი მეზობელი სოფლის ან ჯვრის საყმოს წარმომადგენლები ერთიმეორეს *მეკოდენი* იყვნენ და ამასთან განსაზღვრული მოვალეობანი ეკისრებოდათ ერთმანეთის მიმართ. ამრიგად, თუშეთში მეკოდე სოფლის სახით ტერიტორიული თემის განსაკუთრებული, თავისებური სახე არსებობდა.

ტერიტორიულ-მეზობლური გაერთიანებები არსებობდა გურიაში. აქ ერთი სოფელი, ერთ ეკლესიაში შემავალ ერთ ერთეულს წარმოადგენდა. სოფელი ძირითადად საუბნო ან საგვარო ერთეულებად იყო დაყოფილი (ერთი უბანი ძირითადად ერთი გვარის ხალხით იყო დასახლებული). თითოეულ ასეთ უბანს *სახევისთაო* ანუ *სასახლიკაცო* ერქვა. იყო შემთხვევები ორი ან მეტი გვარის ერთ სახევისთაოდ გაერთიანებისა. თითოეულ სახევისთავოს ჭირსა თუ ლხინში სავალდებულო წესები ჰქონდა გამომუშავებული. მიცვალებულის დროს სახევისთაოში შემავალი ქალები თმაგაშლილი ჭირისუფლად ჯდებოდნენ. ხევისკაცებს ევალებოდათ ამ დროს რიგ-რიგობით სადილ-ვახშმის მოტანა, რადგან მიცვალებულის ოჯახში ამ დროს „ცეცხლი არ დაინთებოდა“.

ხელოვნური დანათესავების ფორმები. მთის ტერიტორიულ თემთან მჭიდროდაა დაკავშირებული უცხოს მიღების წეს-ჩვეულება, რაც ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში *ამანათობის* ინსტიტუტსა და *ხარ-ქვაბის შეყრის* სახელითაა ცნობილი. სოფელში *ამანათის* მოსვლა სისხლ-მესისხლეობას ეფუძნებოდა. ამანათი სხვა მხრიდან იყო მოსული. ამანათზე რამდენიმე წლის დაკვირვების შემდეგ, სასოფლო თემი გადაწყვეტდა მის მიღება-არმიღების საკითხს. დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ამანათი (უცხოდ მოსული კაცი) თემს ხარ-ქვაბით

შეეყრებოდა. ეს რიტუალი კი ჩვეულებრივ სათემო სალოცავში ტრადიციულად რელიგიური დღესასწაულის დროს ხდებოდა. ამანათის მფარველ ჯვარში შეფიცვით მისი ამ ჯვარში (სალოცავში) ყმობის გაფორმება, ახალ თემში გაწევრიანება, ახალ თემ-სოფლის სრულუფლებიანობის ყმობის სტატუსში აყვანა ხდებოდა. წეს-ჩვეულება ამანათს და ხარ-ქვაბით შეყრილს გვარის გამოცვლას არ ავალდებულებდა. თუ სურდა ახალ თემ-სოფელში თავის ძველ გვარზე დარჩებოდა, ანდა სოფლის რომელიმე გვარს აირჩევდა. ტერიტორიულ თემში ხელოვნურად დანათესავებულზეც ვრცელდებოდა საქორწინო აღკვეთები, კერძოდ ეგზოგამია.

ჩვეულებითი სამართალი. ჩვეულებითი სამართალი ბოლო დრომდე საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მხარეებმა შეინარჩუნა, განსაკუთრებით, სვანეთმა და ხევსურეთმა. აღმოსავლეთ საქართველოს მთის ზოგიერთი მხარე ერთიან სახელმწიფოებრივ სისტემაში ავტონომიურად ფუნქციონირებდა. მთის პროვინციების ავტონომიური ფუნქციონირება იმაშიც გამოიხატებოდა, რომ აქ არა დაწერილი, სახელმწიფო სამართალი, არამედ ხალხის მიერ შექმნილი ჩვეულებითი სამარათალი მოქმედებდა. ბარში განსაკუთრებულ აღშფოთებას და განრისხებას იწვევდა ზნეობრივი ნორმების დარღვევა. ასეთი დარღვევებისათვის სოფლის ყრილობებს, ჩვეულებრივ, გამაწბილებელი სასჯელები გამოჰქონდათ (*შეჩვენება, ვირზე უკუღმა შესმა*...).

ქართულ ჩვეულებით სამართალში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია *ფიცის ინსტიტუტი.* სამართლიანადაა შენიშნული, რომ ფიცი უმნიშვნელოვანეს მტკიცებულებას წარმოადგენდა. სცოდნიათ *საფლავზე ფიციც.* დამნაშავის გამოტეხვის საშუალება იყო *ხატზე გადაცემა*, რაც ძირითადად დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული.

შიდა მიგრაციული პროცესები. ეთნოისტორიული თვალსაზრისით საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შიდა მიგრაციულ პროცესებს. ამ პროცესებმა საქართველოს ისტორიასა და კონკრეტულად ქართველი ერის გადარჩენის საქმეში დიდი და მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. შიდა მიგრაციულმა პროცესებმა გარკვეული როლი შეასრულეს ადრე შუა საუკუნეებში სხვადასხვა ქართული და არაქართული ტომების ურთიერთშერევაში და აქედან გამომდინარე ქართველი ერის შექმნა-ჩამოყალიბებაში. გვიან შუა საუკუნეებსა და XIX საუკუნეში საქართველოს მოსახლეობის შიდა გადასახლებები ხშირად ერთადერთი საშუალება იყო ზოგიერთ ქართულ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეში მოსახლეობის კვლავწარმოებისათვის; რომ არა საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში ჭარბი მოსახლეობის გადასახლება, მოსახლეობისაგან ამოვარდნილ, გაპარტახებულ რეგიონებში, უეჭველად, საქართველოს არაერთ სხვა პროვინციასაც უცხო ეთნიკური ერთეული დაიკავებდა.

შიდა გადასახლებები ორი ფორმის იყო: ინდივიდუალური ანუ გაჟონვითი და ჯგუფური. მიგრაციის ეს ფორმა ხორციელდებოდა საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე. ჯგუფური გადასახლებანი ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში შეინიშნება იმ დროს, როდესაც უმეტესად მთის რეგიონებში ჭარბი მოსახლეობა რაოდენობის ზღვარს მიაღწევდა და საქართველოს ესა თუ ის რეგიონი (უმეტესად მთისწინეთი და ბარი) მოსახლეობისაგან ამოვარდებოდა.

ბავშვის აღზრდის წეს-ჩვეულებები. ბავშვის აღზრდის განსაკუთრებული სისტემა ჰქონდა შემუშავებული ქართველ ხალხს. საქართველოს ყველა მხარეში დიდი ზეიმით აღნიშნავდნენ ვაჟის დაბადებას, რადგან ის გვარის გამგრძელებელი იყო. სიხარულს გამოხატავდნენ იმის გამოც, რომ ვაჟის დაბადებით ოჯახში კერა არ ჩაქრებოდა. ყურადღება ექცეოდა როგორც ფიზიკურ, ისე სოციალურ აღზრდას. საქართველოს მთიანეთში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ბავშვის საგვარო თუ სასოფლო (სათემო) სალოცავში პირველ გაყვანას. ქართველები ბავშვებს პატარაობიდანვე აჩვევდნენ ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს. ბავშვის აღზრდის ერთიანი სისტემის პარალელურად საქართველოს ისტორიულ-

ეთნოგრაფიული მხარეებს რიგი თავისებურებანიც ახასიათებდა. მაგალითად, მთებში ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდნენ სხვადასხვაგვარ ფიზიკურ ვარჯიშებს და საბრძოლო თვისებების განვითარებას.

საქართველოს ყველა მხარეში წინ იყო წამოწეული შრომითი აღზრდა. ბავშვის აღზრდის სისტემაში ხალხურ თამაშებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ბევრ თამაშში წარსული ცხოვრების სურათები იყო გაცოცხლებული. ზოგიერთი მათგანი ომიანობას, ტყვედ შეპყრობას მოგვაგონებდა. ხალხური თამაშები ხელს უწყობდნენ ბავშვის როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ განვითარებას. რაც მთავარია სათამაშოს ბავშვები თვითონვე აკეთებდნენ. მშობლები 5-6 წლის ასაკიდანვე ბავშვებს შრომას აჩვევდნენ. დედას გოგონა ჰყავდა გვერდით ამოყენებული, მამას – ვაჟი. პირველს თუ ძირითადად საოჯახო საქმეებს აჩვევდნენ, მეორეს – სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს. დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა საღამოობით ნაშრომ-ნაღვაწი ადამიანების მიერ ქართული ხალხური ცეკვებისა და სიმღერების შესრულებას. მართალია, ქართული ხალხური ცეკვა და სიმღერა ყველა ხალხურ რელიგიურ დღეობაზე ტარდებოდა, მაგრამ ბავშვები, როგორც ერთს, ისე მეორეს, ყოველ საღამოს უბანში გამართული სახელდახელოდ მოწყობილი *ტაშფანდურების* დროს სწავლობდნენ. მაგალითად, ქართლში ასეთი საღამოების მოწყობა ხშირად სცოდნიათ და მას ძირითადად საცხოვრებელი სახლის ბანზე აწყობდნენ. საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ბავშვის საწოლი *შიბაქიან-არტახებიან-საგოგავებიანი აკვანი* იყო. დღეს აღიარებულია, რომ ქართველთათვის ბავშვის ეს საწოლი ტრადიციული არ იყო. ის გვიან საუკუნეებში აღმოსავლეთიდან შემოვიდა, რადგან უაღრესად პრაქტიკული იყო. ქართულ ფრესკებზე გამოსახული ბავშვის საწოლი საერთოდ არ ჰგავს თანამედროვე აკვანს. არტახების გარეშე იზრდებოდა ბავშვი ხევსურეთში, რაც აკვნის არაქართული წარმომავლობის ერთ-ერთი დამადასტურებელი მოწმობაა – ხევსურეთმა ხომ ძალიან ბევრი ქართული ეთნოგრაფიული რეალია ბოლო დრომდე შემოინახა.

დაკრძალვის წეს-ჩვეულებები. განსაკუთრებული დაკრძალვის წეს-ჩვეულებები ჰქონდა შემუშავებული ქართველ ხალხს, რომელიც მთელი საქართველოსათვის ძირითადად ერთნაირი იყო, თუმცა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მიხედვით, მას რიგი ლოკალური თავისებურებები ახასიათებდა. ის რეგულირებული იყო მართლმადიდებლური მოთხოვნების მიხედვით. საქართველოში მიცვალებულს, ჩვეულებრივ, მესამე დღეს კრძალავდნენ; ამ თვალსაზრისით ერთგვარად ორიგინალური სამეგრელოს ეთნოგრაფიული ყოფა იყო. აქ მიცვალებულს 1-2 დღით მეტს ინახავდნენ. საქართველოს ყველა მხარეში მიცვალებულის მასობრივი დატირება ხდებოდა, ისე რომ, გარეშეთ ხშირად თეატრალიზებული წარმოდგენის შთაბეჭდილება რჩებოდათ, რადგან ყველა რიტუალი, მოქმედების წესი ტრადიციულად დადგენილი ჩვეულებით ზედმიწევნით სრულდებოდა. ქართველმა ხალხმა იცოდა მიცვალებულის ოჯახისადმი გვერდში ამოდგომა, რაც სიტყვიერ თანადგომასთან ერთად, მატერიალურ დახმარებაშიც გამოიხატებოდა (მოჰქონდათ ღვინო, არაყი, ყველი, ფქვილი, ლობიო...). პროდუქტების მიტანა ფულის მიტანით მხოლოდ XX საუკუნეში შეიცვალა. ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში მწუხარეები სამგლოვიარო შავ ტანსაცმელს იცვამდნენ. მწუხარე ქალი აუცილებლად თავს შავი მოსახვევით, რომელსაც *ჩადრს* უწოდებდნენ, იბურავდა. ტრადიციული იყო მამაკაცების მიერ ორმოცი დღე წვერის მოშვება. ძველად დაკრძალვის დღეს ქვრივი ქალი ქართლსა და კახეთში საქორწილო კაბასაც იცვამდა. სცოდნიათ აგრეთვე მიცვალებული ქალის საქორწილო კაბით დაკრძალვა. მიცვალებულს მთელი სოფელი გლოვობდა. ის სოფლისათვის, ჩვეულებრივ, სამ დღეს გრძელდებოდა. დაკრძალვამდე, როგორ წესი, ყველა წყვეტდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. ნათესავები ორმოცი დღე გლოვობდნენ, ოჯახის წევრები კი – ერთ წელიწადს. მიცვალებულს სამარემდე ქალებიც მიაცილებდნენ.

საქართველოში მიცვალებულს სუდარაში გახვეულს ასაფლავებდნენ. კუბოთი (სასახლით) დაკრძალვას რეგულარული ხასიათი XIX საუკუნეში მიუღია. მიღებული არ იყო ცოლის მიერ ქმრის დატირება. სცოდნიათ სამგლოვიარო ტანსაცმლის უკუღმა პირით ჩაცმაც. სამეგრელოში მიცვალებულის დატირება მთელი დღის განმავლობაში ტირილითა და კივილით ხდებოდა, მჯიღს გულში იცემდნენ, იგლეჯდნენ თმებს, ფრჩხილებით იხოკავდნენ სახეს, იხევდნენ კაბას. რაც მთავარია მიცვალებულის ოჯახი ყველა მომსვლელს უმასპინძლდებოდა. დასავლეთ საქართველოში მიცვალებულისადმი მიძღვნილ ტრაპეზზე ხორცს არ ჭამდნენ. აღმოსავლეთ საქართველოში კი ქელეხი ძროხისა და ცხვრის დაკვლის გარეშე წარმოუდგენელი იყო. აქ *ხაშლამისა* და *შილაფლავის* გარდა, *ბოზბაშსაც* აკეთებდნენ. მიცვალებულის ნათესავები, ძირითადად სისხლით ნათესავები, მხოლოდ დაკრძალვამდე არ ჭამდნენ ხორცს. სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო მჟავეული, ყველი, მწვანილი და, რაც მთავარია, ღვინო, რომლითაც მიცვალებულის და უფრო ადრე წასული სხვა ნათესავების შესანდობარს ამბობდნენ.

სვანურმა ყოფამ დღემდე შემოინახა სიმღერის განსაკუთრებული სახე, სამგლოვიარო სიმღერა – *ზარი,* რომელსაც მხოლოდ მამაკაცები ასრულებდნენ. ბალს ზემო სვანეთის ყველა თემში მხოლოდ თითოეული თემისათვის დამახასიათებელი, ორიგინალური ზარი სრულდებოდა, ბალსქვემო სვანებს კი ერთი ზარი ჰქონდათ. საქართველოს ბარში იცოდნენ პროფესიონალი მოტირლების მოწვევა, რომლებიც ლექსის ფორმით ყვებოდნენ მიცვალებულის შესახებ. აღმოსავლეთ საქართველოს მთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში კი მოთქმითი ტირილი იცოდნენ. თუშეთში *დალაობა* მამაკაცთა სამგლოვიარე ზარი იყო, რომელიც იმ შემთხვევაში სრულდებოდა, თუ წლისთავის ხარჯს დოღით იხდიდნენ. იგი სვანური ზარისაგან მელოდიით გამოირჩეოდა და აქ *მოდალავე* ამბობს მიცვალებულის საქებ ტექსტს. საქართველოს სხვა არც ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეში *მიცვალებულზე გამარჯობის (მისალმების) თქმა არ იცოდნენ. ამ დროს მხოლოდ ერთმანეთს უსამძიმრებდნენ.*

სვანეთში იცოდნენ მიცვალებულისათვის განკუთვნილი საგანგებო დღეობა, რომელსაც **ლიფანალი** ეწოდებოდა. ხალხის რწმენით, ზამთარში მიცვალებულების სულები თავიანთ სახლში ბრუნდებოდნენ. სულების ოჯახში მოსვლას დიდი ზეიმით ხვდებოდნენ, მათთვის საგანგებო სუფრას შლიდნენ, მათ სასიამოვნებლად მღეროდნენ, ცეკვავდნენ და ჭიანურზე უკრავდნენ. ამბობდნენ ზღაპრებსა და ლექსებს. ლიფანალი რამდენიმე დღე გრძელდებოდა. ზეიმითვე ხდებოდა სულების უკან, საიქიოს გასტუმრებაც. ოჯახის უფროსი სულებს შესთხოვდა ოჯახისა და საქონლის გამრავლებაზე ზრუნვას, მარცხისა და საფრთხის აცილებას.

სასაფლაოები, ჩვეულებრივ, ეკლესიათა მიმდებარე ტერიტორიაზე იყო. სასაფლაოზე თუ რამდენიმე გვარის წარმომადგენლები იკრძალებოდნენ, აქაც ყველა მათგანს თავისი მიწის ნაწილი ჰქონდა გამოყოფილი. სასაფლაო საინტერესო და საგულისხმო მასალას იძლევა მეურნეობის, ყოფაცხოვრების, ხელოსნობისა და რელიგიის ისტორიისათვის. არაერთ საყურადღებო მონაცემს იძლევა საფლავის ქვები და მათზე მოთავსებული ეპიტაფიები, მხატვრობა. საფლავის ქვების გამოთლაში სპეციალურად ქვითხუროები იყვნენ დაკავებულნი. საქართველოს სინამდვილეში დადასტურებულია შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის გვარი მხოლოდ საფლავის ქვების კეთებით იყო დაკავებული და ისინი სოფლის მეურნეობას, ფაქტობრივად, არც მისდევდნენ. საფლავის ქვები ბევრგან ხალხური ხელოვნების შესანიშნავი ძეგლებია, ზოგიერთი მათგანი კი მაღალი ესთეტიურობით გამოირჩევა. საფლავის ქვები რამდენიმე ფორმისა იყო. ორგინალური და მხატვრულად დამუშავებული საფლავის ქვებით იყო მოფენილი ჯავახეთი. აქ საფლავის ქვებს ხშირად სხვადასხვა ცხოველის გამოხატულება ჰქონდა. გვხვდება ეკლესიის მოყვანილობის საფლავის ქვებიც.

სუფრის ეტიკეტი. ქართველ ხალხს საუკუნეების განმავლობაში სუფრის გარკვეული ეტიკეტი ჰქონდა შემუშავებული. თავისებური და სპეციფიკური იყო საქორწილო, სამგლოვიარო, ყოველდღიური და კალენდარულ და რელიგიურ დღეობათა სუფრის ეტიკეტი. დღევანდელი და ისტორიული სამგლოვიარო ქართული სუფრა განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. წარსულში სამგლოვიარო სუფრასთან თავს ოჯახის ძალიან ახლობლები და სხვა სოფლიდან მოსული მოკეთეები და ნათესავები იყრიდნენ. მიცვალებულის სუფრაზე დაჯდომა მეზობლებს არ სცოდნიათ. ისინი ფეხზე ტრიალებდნენ და მოსულ სტუმრებს ემსახურებოდნენ. ქელეხში უმთავრესად მამაკაცები ჯდებოდნენ, თანაც უფროს-უმცროსობის მიხედვით. ქალებს ცალკე სუფრას უშლიდნენ. სუფრას გლოვის სუფრის წესების მცოდნე პიროვნება უძღვებოდა. შესანდობართა რაოდენობა და თანამიმდევრობა ზოგად ქართულ ტრადიციებს ემყარებოდა. საქართველოს ყველა კუთხეში, ვიდრე მიცვალებულის შესანდობარი არ ითქმებოდა, სუფრაზე მსხდომთაგან მიუღებელი იყო პურის გატეხვა (ჭამის დაწყება). ამასთანავე, მექელეხეები ელოდებოდნენ, რომ პური პირველს ჭირისუფალს გაეტეხა. როგორც ქრისტიან ხალხს შეფერის, პირველად უფლის სადიდებელს იტყოდნენ. შესთხოვდნენ მას მიცვალებულის სულის და საერთოდ მიცვალებულთა სულების მფარველობას. შემდეგ მიცვალებულის შესანდობარს ამბობდნენ. ძველ საქართველოში ამ შესანდობარზე სასმისის ბოლომდე დაცლა მიუღებელი იყო და დიდ სირცხვილად ითვლებოდა. იგონებდნენ ოჯახიდან წასულებს, წინაპრებს, გვარიდან ვინც იყო წასული, ვინც მექელეხეთა ხელიდან შენდობას მოელოდა. ბოლოს ახალგარდაცვლილის ოჯახის წევრებს ადღეგრძელებდნენ. არ დაივიწყებდნენ მათაც, ვინც მიცვალებული გააპატიოსნა და საფლავი გაუჭრა. ქართველებმა არ იცოდნენ ქელეხის სუფრაზე დიდხანს ჯდომა. სამგლოვიარო სუფრის წევრები მალევე იშლებოდნენ. სირცხვილი იყო ვინმე ქელეხიდან მთვრალი გასულიყო. გურიაში ყველა შესანდობარს გალობა მოჰყვებოდა; „საუკუნოთ იყოს ხსენება მისი!..“ სამჯერ გალობით იტყოდნენ.

გარკვეული ეტიკეტი გააჩნდა ყოველდღიურ ტრაპეზსაც. რადგან ყოველდღიური ტრაპეზისათვის ქართველ ხალხს ოთხი ტერმინი – *საუზმე, სადილი, სამხარი, ვახშამი* – ჰქონდა შექმნილი, სავარაუდოა, რომ ყოველდღიური სუფრა ოთხჯერადი იყო. სუფრასთან, პირველ რიგში, ოჯახის უფროსი მამაკაცი ჯდებოდა, შემდეგ კი – დანარჩენები უფროს-უმცროსობის ეტიკეტის დაცვით. საუზმეზე აუცილებლად მიირთმევდნენ არაყს (3 ჭიქას). საუზმის სუფრიდან, როდესაც აიშლებოდნენ, ოჯახის უფროსი მამაკაცი სუფრაზე ტოვებდა თავის ნაჭამ პურის ნატეხს, რომელსაც ქართლში, კახეთში და სამხრეთ საქართველოში *ხელთნაყოლი* ეწოდებოდა; ის დიასახლისს უნდა შეენახა და ოჯახის უფროსი მამაკაცისათვის სადილობისას მიერთმია. საუზმის დროს თუ არაყს მიირთმევდნენ, სამხარისას უმთავრესად ღვინოს სვამდნენ, მაგრამ არა დიდი, არამედ პატარა ჭიქებით. *პირველი სადღეგრძელო დღის მადლის შეწევნის იყო, მეორე – მუშაკაცისა და ალალი მარჯვენის, ოჯახის ბარაქიანობის. ბოლოს კი აუცილებლად ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ახსენებდნენ.* ვახშმობისას თავს უფლებას აძლევდნენ უფრო მეტი ღვინო შეესვათ და შესაბამისად სადღერგრძელოებიც ეთქვათ. ამ დროს ქვეყნის კეთილდღეობისა და მშვიდობის სადღეგრძელოს აუცილებლად იტყოდნენ. *ამთავრებდნენ სამება-ერთარსება ყველაწმინდის ხსენებით.*

საქორწილო სუფრაზე ნეფის მაყრებს და დედოფლის მაყრებს სხვადასხვა მხარეზე სვამდნენ. ქალი სუფრასთან აუცილებლად ქმართან ერთად უნდა დამჯდარიყო. *ვახტანგ ბატონიშვილი* წერს, რომ *„უცხო კაცთა და ქალთა პირდაპირ სხდომა არ იყო რიგი“*-ო. წარსულში მიუღებელი იყო იარაღით სუფრასთან ჯდომა. იარაღის შეხსნის შესახებ შეხსენება თამადის მოვალეობაში შედიოდა და პირველ მაგალითს თვითონვე იძლეოდა. სტუმრის იარაღს ოჯახის უფროსი მამაკაცი საიმედოდ ინახავდა ნადიმის დასასრულამდე. იარაღის შეხსნა

ქართველი ხალხის სტუმართმასპინძლობის უძველესი ტრადიციიდან მომდინარეობს. საქორწილო ნადიმს თუ მღვდელი ესწრებოდა, მაშინ აუცილებლად მას აკისრებდნენ თამადობას. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეთაგან, თამადის ინსტიტუტი საქორწინო სუფრაზე მხოლოდ ფშავსა და ხევსურეთში არაა დადასტურებული. თამადას აუცილებლად პირველი სასმისით ღმერთი უნდა ეხსენებინა. ის სასოებით წარმოსთქვამდა: *დიდება ღმერთსა, ღმერთო, დიდება შენ, ღმერთმა ყველას გაუმარჯოს.* საქართველოს ყველა კუთხეში სუფრის მენიუ სულ რამდენიმე თავ კერძს შეიცავდა. **ქორწილის შემდეგ ზედმეტი პროდუქტი არ რჩებოდა. ყოველი სახის საჭმელი ეკონომიურად და ზომიერად იყო განაწილებული. ქორწილში სასმელის მიღება ნებაყოფლობითი იყო.** ქართული საქორწილო სუფრის აუცილებელი თანმხლები იყო მხიარულება და გართობა, ცეკვა და სიმღერა, რომლებსაც სადღეგრძელოებს შორის ასრულებდნენ. განსაკუთრებით დიდი ადგილი ეკავა *სუფრულებს.* **წარსულში ქორწილის სუფრაზე სიმთვრალე სირცხვილი იყო.**

სტუმართმოყვარეობის ტრადიციები. ქართველებს სტუმართმოყვარეობის დიდი ტრადიცია გააჩნდათ. სტუმრის მიღების და პატივისცემის საკითხში ქართველ მათ ზომიერება ერთგვარად დარღვეულიც კი ქონდათ. ქართველი არაფერს იშურებდა სტუმრისათვის. სტუმარი ღვთის გამოგზავნილად და ხელშეუხლებლად ითვლებოდა. გზად მიმავალ კაცს წყალი რომ მოეთხოვა, მას აუცილებლად ღვინოსა და საჭმელს მიართმევდნენ. საქართველოს ყველა მხარეში სტუმარი ფრიად საპატივცემულო ადამიანი იყო, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებისა და დასავლეთ საქართველოს შესახებ. *ჟან შარდენი,* რომელიც გონიოდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გზით ახალციხეში და შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა, *ჭოროხისა* და *მტკვრის* ზემო წელში მცხოვრები ქართველების შესახებ შემდეგს წერდა: *„ჩვენ უხვად გვაძლევდნენ ქათმებს, კვერცხს, ბოსტნეულს; ღვინო, პური და ხილი ბლომად გვქონდა, რადგან თითოეულ მოსახლეს თავის წილად დიდი დოქით ღვინო, ერთი კალათა ხილი და ერთი კალათა პური მოჰქონდა. ჩემგან ფულს არ იღებდნენ და ჩემი მეგზურიც არ მაძლევდა ნებას მადლობა რაიმე საჩუქრით გამომეხატა“.* საქართველოს თითქმის ყველა მხარეში საცხოვრებელ სახლში ქართველებს აუცილებლად ცალკე ოთახი ჰქონდათ, რომელსაც **სასტუმრო ოთახს** უწოდებდნენ. სვანეთში ყველა სახლს ე. წ. **გუბანდი** (ანუ **„სასტუმრო სახლი“**) ჰქონია მიდგმული. რაჭაში ძველად, მთელ გვარს ერთი საერთო სასტუმრო ჰქონია. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში კი სასოფლო სასტუმროების შენების ტრადიცია არსებობდა. აჭარაში ყველა სოფლის შესასვლელთან აუცილებლად იდგა დაბალი მხარნახევარი სიმაღლის *ჯარგვალი* – **სოფლის სასტუმრო**, უსასყიდლო. სტუმრობის ვადა არ იყო რეგლამენტირებული. ქართველ ხალხს სტუმრის მიღება-გამასპინძლების გარკვეული წესები ჰქონდა შემუშავებული. სტუმრის შესაქცევად იცოდნენ მეზობლების, მომლხენების, ენაწყლიანი მოსაუბრების მოწვევა. ამავე დროს, როდესაც მოულოდნელი სტუმარი გამოჩნდებოდა, მეზობლებმა სხვადასხვა სასმელ-საჭმლის მოწოდება იცოდნენ.

ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენები. ქართველები მართმადიდებელი ქრისტიანები არიან. ქართველთა შორის გვხვდებიან მაჰმადიანები, კათოლიკეები, იყვნენ გრიგორიანელი ქართველები. მიუხედავად ამისა, საქართველოს ზოგიერთ მხარეში, განსაკუთრებით მთაში, მეტ-ნაკლებად შემორჩა ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენებიც. მათი რელიგია ქრისტიანობისა და ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენების ნაჯვარი იყო. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე არსებულ ღვთაებათა რიგი ერთგვარ უფროს-უმცროსობაზე იყო აგებული. ქართველთა წინაქრისტიანულ პანთეონს შეადგენდნენ ციური სხეულები (ან მათი განმასახიერებელი ღვთაებები): მზე, მთვარე და ხუთი ვარსკვლავი. ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით აზოს **გაცისა და გაიმის**

კულტები შემოუღია და მათი კერპები აღუმართავს. ქართლის სახელმწიფოს დამაარსებელმა ფარნავაზმა სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად (მაგალითად, ანბანის შექმნა) რელიგიური რეფორმებიც ჩაატარა და სახელმწიფო რელიგიად უცხო **არმაზის კულტი** გამოაცხადა. არმაზის ღვთაების მთავარ ღვთაებად გამოცხადებით, *გაცისა* და *გაიმზე* ქართველებს უარი არ უთქვამთ. პირიქით, ისინი მის გვერდით განალაგეს. მეორე მეფეს *საურმაგს* **აინინასი** და **დანინას** კერპები აღუმართავს, ხოლო ფარანჯომს **ზადენის** კულტი შემოუღია. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, *არმაზი* და *ზადენი* ქართლის დიდი ღმერთები *(„სოფლის მპყრობელი, მზის მომფენელი, წვიმის მომცემი და ქვეყნის ნაყოფთა გამომზრდელი“)*, ნაყოფიერების ღვთაებები იყვნენ. რაც შეეხება *გაცსა* და *გაიმს*, ისინი „დაფარულის გამომძიებლებალად“ ითვლებოდნენ და უფრო მეტად სოციალური ფუნქციები ჰქონდათ დაკისრებული.

ძველი ქართული წინარექრისტიანული სალოცავები მაღალი მთის წვერზე იყო დაარსებული. შემორჩენილია ძველი საკულტო ნაგებობები, რომლებსაც ხალხი **ხატების, ჯვრების** სახელებით მოიხსენიებს. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ზეციურ არსებათა ამქვეყნიურ საბრძანისს *ჯვარი* ან *ხატი* ეწოდებოდა. იმავე სახელებით მოიხსენიებიან თვით ზეციური არსებანი. მთიელთა ჯვარ-ხატებთან წმინდა ხეები იდგა. მაგალითად, ფშავის ლაშარის ჯვარისკარს უზარმაზარი იფნის ხეები ამშვენებს, რომლებიც ე. წ. საკადრისებით – თეთრი ჩითის თავსაფრებით, ვიწრო და გრძელი ნაჭრებით არის დამშვენებული. ზედ მიბმული აქვს ზანზალაკები და ირმის რქები. ლაშარის ჯვრის ყმანი მისი საბრძანისის კარზე მირეკავდნენ სამსხვერპლო ბატკნებს, ცხვრებს (ჭედილებს) და კურატებს. რელიგიური დღესასწაულის რიტუალის აუცილებელი ატრიბუტი იყო დროშა, რომელიც ყველა სალოცავს ჰქონდა. ყველა ჯვარს (ხატს) ცალკე **მედროშე-ხევისბერი** ჰყავდა. დროშების გამოტანისას ხალხი ფერხისას გააბამდა ხოლმე. სარიტუალო დროშასთან შეხება არავის შეეძლო, ხევისბერის გარდა. **დროშა** იყო არა მხოლოდ ღვთაების სიმბოლო, არამედ მისი განსახიერებაც. მიუხედავად იმისა, რომ სვანეთში ქრისტიანობა ღრმად იყო შესული (აქ დიდი რაოდენობით გარემო პირობებთან შეხამებული კოპწია ეკლესიები არსებობდა), აქაც ჰქონიათ სხვადასხვა სარიტუალო დროშები; ისინი ცალკეულ თემებს ეკუთვნოდა. ერთ-ერთი მათგანი ცნობილია **ლემის** სახელწოდებით, რომელიც მესტიის საზოგადოების (ტერიტორიული თემის) *სეტის წმინდა გიორგის* ეკლესიაში ინახებოდა. დროშა შალის ქსოვილისაგანაა შეკერილი და მას ზოომორფული ფორმა აქვს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფაში ბოლო დრომდე შემორჩენილი იყო **ქადაგობის** ინსტიტუტი. ქადაგის ღვთაების მიერ დამიზეზება-დაჭერა ხდებოდა. ხშირად ქადაგობა მემკვიდრეობითაც მოუდიოდათ. სცოდნიათ დღეობის დროს ქადაგის სალოცავად დასმა, რაც მთელი საზოგადოებისათვის მოსალოდნელ ამბავთა წინასწარმეტყველებას ისახავდა მიზნად. ქართველ ხალხში შემორჩენილი იყო აგრარული წეს-ჩვეულებები და რწმენა-წარმოდგენები: სამიწათმოქმედო დღესასწაულები, მიწათმოქმედებისა და მსხვილფეხა რქოსანი საქონელის ღვთაება-მფარველების თაყვანისცემა, რელიგიურ-მაგიური წესები, რომელსაც გვალვის დროს ასრულებდნენ.

ქართული ხალხური კალენდარული დღესასწაულებიდან აღსანიშნავია **ბარბალობა.** ბარბალობა დასავლურ ქართულ ტრადიციაში დღესასწაულების დასაწყისად არის მიჩნეული. მთელ საქართველოში *ბარბარობა* უქმე დღე იყო. სვანეთში ეს დღე საქონლის, კერძოდ კი ძროხის და წველადობის მომატებისათვის იყო განკუთვნილი, რაჭასა და ლეჩხუმში კი საქონლის, ქათმის და ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ასევე ნათესების სიუხვისათვის. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული დღესასწაული იყო **ბოსლობა**. ამ დროს კერვა-ქსოვა არ შეიძლებოდა. უფროსი ქალები მარხულობდნენ საღამომდე – საქონლის სახადის საწინააღმდეგოდ – ხარებს კისრები არ გაუფუჭდესო. რაჭაში ძველად კლავდნენ

საბოსლობიო გოჭს, გამოაცხობდნენ ლობიანებს. ერთ ლობიან ჯვარსახიან განატეხზე ანთებულ სანთელს ჩაასობდნენ; ზედ დადებდნენ გოჭის ბეჭსა და ჭიქა ღვინოს. ყველაფერ ამას გობზე ათავსებდნენ. ოჯახის უფროსი ამ გობს წაიღებდა ბოსელში, თავზე შემოავლებდა საქონელს და შეულოცავდა. ყველიერის კვირის ყველაზე დიდი დღესასწაული იყო **ყეენობა.** ყეენობა ქართული ხალხური თეატრის ერთ-ერთი სახეობა – მასობრივი სანახაობა იყო. მისი საწყისები სამიწათმოქმედო, განაყოფიერების კულტის მისტერიულ წარმოდგენებშია. შემდეგ ყეენობამ რელიგიური შინაარსი ჩამოიცილა და ხალხურ სანახაობად იქცა, რომელიც გამოხატავდა ქართველი ხალხის ბრძოლას დამპყრობლების წინააღმდეგ. ყეენობის ტრადიციული მომქმედი პირები არიან: *ყეენი (მეფე), დედოფალი, ვეზირი, მოსამართლე, ხუმარა („მოენე“), მტრის ჯარისკაცები, ქართველთა მეთაური სარდალი, განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილენი.* ამ დროს გვალვის საწინააღმდეგოდ გუთნით წყალსაც ხნავდნენ. ყველიერის ერთ-ერთი დამახასიათებელი და სასურველი გასართობი საქანელაზე ქანაობა იყო. ქართლში, ქალები პირველად რომ დაჯდებოდნენ საქანელაზე კალთაში დიდ ქვას ჩაიდებდნენ, ბევრი ერბო გვექნებაო. ყველიერის დროს, ადრე გაზაფხულზე იმართებოდა **ბერიკაობაც**. გარდა ბერიკისა, ბეროკაობის მომქმედი პერსონაჟები იყვნენ: *ნეფე, დედოფალი, პატარძალი, ხბო, ტახი, ღორი, ცხვარი, კურდღელი, ტურა, ირემი, არაბი, ლეკი, თათარი.* **ბერიკაობა იყო ქართული ხალხური იმპროვიზებული ნიღბების თეატრი.** ბერიკაობის სიუჟეტების უმეტესობა კომიკურია და ძირითადად შექმნილია საყოფაცხოვრებო თემაზე. ბერიკაობა სამგვარი წყობის იყო: კარდაკარ სიარული, მოედანზე სათამაშო და სადარბაზო.

დიდი დღესასწაული იყო ახალი წელი. დასავლეთ საქართველოში ახალ წელს აკეთებდნენ **ჩიჩილაკს**. ის იყო ხის ფორმის რიტუალური საგანი: მზადდებოდა საახალწლოდ მიკვლევა-მოლოცვისათვის. ჩიჩილაკს ამზადებდნენ თხილის მსხვილი ჯოხისაგან. აჭრილ ბურბუშელას ჩიჩილაკი ან „ბასილას“ წვერი ერქვა. ზედა წვერს ჯვარედინად ჩაჩეხავდნენ და შიგ ჯვარის სახით ჩასვამდნენ წვერწამახულ ჯოხებს, რომელთა ბოლოებში ჩამოაცვამდნენ ორ ბროწეულს ან ვაშლს, ორ სფერულ კვერს, ე. წ. „ყვინჩილებს“. იმერეთში სცოდნიათ ჩიჩილაკის ენდროთი შეფერადება. ზემოდან იცოდნენ კალპის ან გვერგვის დადგმა. ჩიჩილაკისა და სხვა რიტუალური ხეების რწმენა სათავეს იღებს სიცოცხლის ხესა და ნაყოფიერებასთან დაკავშირებული იდეებიდან. ქართველებს ნადირთ ღვთაებებიც ყოლიათ. სვანეთში ნადირობის ქალღმერთს **დალი** ერქვა. ხალხის წარმოდგენით მას ოქროს თმები ჰქონია. მეგრელთა რწმენით ნადირობის მფარველი იყო **ჟინი ანთარი**. სამეგრელოში ნადირთა და ფრინველთა მფარველად **მესეფეებიც** გვევლინებიან, რომლებიც ზღვაში ცხოვრობდნენ. ისინი ზღვიდან ამოდიოდნენ. შეეძლოთ ტაროსის ცვალებადობა, ნადირობაში ხელის მომართვა ან შეშლა. მეთევზეების მფარველი ღვთაება ყოფილა **ლარსა.**

ხალხური მკურნალობის ტრადიციები. ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე ხალხური მკურნალობის მეთოდები შეიმუშავა. ქართული ხალხური სამედიცინო კულტურა ორ თვისობრივად განსხვავებულ სამედიცინო სისტემას – ნატურმედიცინასა და მაგიურ-რელიგიურ მედიცინას აერთიანებდა. ჰიპერტონიული დაავადების დროს საქართველოში იცოდნენ სისხლის გამოშვებით მკურნალობა. იცოდნენ ყვავილის აცრა. ჩვენში **ყვავილის აცრა სახელმწიფო ღონისძიება ყოფილა და მას მასობრივი ხასიათი ჰქონდა.** ყვავილის აცრას უძველესი დროიდან ხალხური მკურნალები ეწეოდნენ. საქართველოს მთაში თავის ქალის ტრეპანაციის ურთულეს ოპერაციებს აკეთებდნენ. ოპერაციისათვის კი ხის და ლითონის თვითნაკეთ იარაღს იყენებდნენ, საქართველოში დამოწმებულია დამწვრობის, კანისა და სიმსივნურ დაავადებათა მკურნალობის ეფექტური საშუალებები. საყოველთაოდ იყო ცნობილი *თურმანიძის მალამო, კოლხური მალამო.* ქართველი სახალხო მკურნალები სამკურნალოდ ფართოდ იყენებდნენ მცენარეებს. ქართულ ხალხურ მედიცინაში

დიდი ადგილი ეჭირა მაგიურ-რელიგიურ მკურნალობას, ამულეტებს, თილისმებს, ავგაროზებს. ფართოდ იყო გავრცელებული შელოცვებით მკურნალობაც. მაგიურ-რელიგიურ მკურნალობას განსაკუთრებული ეფექტი ფსიქიკურ ავადმყოფებზე ჰქონდა.

ხალხური სპორტული თამაშობები. საუკუნეთა განმავლობაში ქართველმა ხალხმა აღზრდის ხალხური საშუალებების გარკვეული სისტემა შექმნა, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ სირბილი, ხტომა, ლითონის იარაღით ვარჯიშები, ცხენოსნობა, მოძრავი თამაშები და სხვ. ქართულ ხალხურ სპორტულ თამაშებს შორის ყველაზე პოპულარული იყო *ბურთაობა, ცხენოსნობა, ჭიდაობა.* ბურთაობიდან დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო *ლელო-ბურთი* და *ჭაკუნი (ჭაკუნობა).* ეს უკანასკნელი დასავლეთ საქართველოში *გოთაობის* სახელით იყო ცნობილი. გურიაში ლელობურთის მოთამაშეები ორ ჯგუფად იყოფოდნენ: ცოლიანები და უცოლოები, ქვემოურები და ზემოურები, მდინარის მარცხენა ნაპირას და მარჯვენა ნაპირას მცხოვრებნი. ლელო მოედნის თავსა და ბოლოში ჰქონდათ. ვინც მეტ ლელოს გაიტანდა გამარჯვებულიც ის იყო. გურიაშივე იყო გავრცელებული *ჭაკუნობა,* რომელიც ბალახის ჰოკეის წააგავდა. ჭაკუნი ეწოდებოდა თამაშობის ძირითად იარაღს, რომლის სიგრძე 1 მეტრი იყო. ის მოთამაშის სიმაღლეზე იყო მორგებული. ჭაკუნას თხილის, ბროწეულის, თუთის ხეების ტოტებისაგან აკეთებდნენ, რომელსაც მსხვილი და მოღუნული ძირი ჰქონდა. ამ თამაშში გამოყენებული ბურთი მუშტისოდენა იყო. სცოდნიათ ბურთის საქონლის ბეწვისაგან, ხისგან, მატყლისაგან დამზადება, რომელსაც გარედან ტყავი ჰქონდა გადაკრული. აქაც მიზანი ბურთის ლელოში გატანა იყო. ორი ახალგაზრდა მორიგეობით ირჩევდა თავის გუნდის წევრებს. ჭაკუნობა მოთამაშეთა დაღლამდე გრძელდებოდა.

ქართულ ხალხურ სპორტულ თამაშებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა *ცხენოსნობას,* რომელთაგანაც შეიძლება დავასახელოთ *ცხენბურთი, ისინდი, ჯირითი, ყაბახი, დოღი...* ცხენბურთს *ჩოგანბურთსაც* უწოდებდნენ. ის განსაკუთრებით პოპულარული ყოფილა თბილისში. ცხენბურთის ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული სახეობა არსებულა. პირველის მიხედვით ორი დაპირისპირებული მხარე ბურთის მიზანში (ლელოში) გატანაში ეჯიბრებოდა. მეორეს მიხედვით შეჯიბრის დროს რამდენიმე პირი ბურთის გატაცებაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს. XVII საუკუნის იტალიელი ავტორი *დოინჯი კარლი* ცხენოსნობის შესახებ წერდა, რომ *„ამ ხალხის ამგვარ ვარჯიშობაში ნახვას არაფერი სჯობია. პირდაპირ განმაცვიფრებელია მათ მიერ ცხენის ოსტატური, ერთმანეთზე დაუჯახებლად მართვა, მიწიდან ბურთის აღება (ჩვენს ბურთზე უფრო დიდია)... სპარსელები, რომლებსაც ყოველთვის ესწრებოდნენ ქართველთა ამ და სხვა ვაჟკაცურ გართობა-თამაშობებს, ისეთნაირად აღწერენ მას, რომ ზოგჯერ დაუჯერებელიც არის. ამით ისინი პატივით მოსავენ ქართველთა მეომრულ ღირსებებს“.*

ქართულ სპორტულ სახეობებს შორის ყველაზე პოპულარული ხალხში *ქართული ჭიდაობა* იყო. ქართულ სოფელში ტრადიცია იყო კვირაში ერთხელ სოფლის მოედანზე ჭიდაობაში შეჯიბრის გამართვისა. ბოლო დროს საჭიდაო მოედანზე ნახერხის დაყრა იცოდნენ. ქართული ჭიდაობის დროს მორკინალი მხარეები აუცილებლად სპეციალურ სპორტულ ფორმაში – *საჭიდაო ჩოხაში* ჩაცმულები ეპაექრებოდნენ ერთმანეთს. საქართველოში ჭიდაობა მეტწილად იმ მხარეებში იყო გავრცელებული, სადაც გარეშე მტრების თავდასხმებს უფრო ხშირად იგერიებდნენ, სადაც საჭირო იყო თავის დაცვა დამპყრობელთა მოძალეობისაგან. ის ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. XIX საუკუნეში ფრიად პოპულარული იყო დასავლეთ საქართველოშიც. ქართულ ჭიდაობას მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტები ჰქონდა. ესენია: *ცერული, სარმა, მოგვერდი, კაური, ღოჭური* და *კისრული.*

ქართველებმა იცოდნენ დიდი მრგვალი ქვის აწევაში შეჯიბრი. ასეთი საჯილდაო ქვები სვანეთში ბევრი ყოფილა. მრგვალი ქვა უკან უნდა გადაეგდოთ ან ერთ ხელში დაეჭირათ და მეორე ხელით სასმელი შეესვათ.

ქართული ფოლკლორი. მდიდარი და მრავალფეროვანია ქართული ფოლკლორი. საუკუნეთა მანძილზე ქართველ ხალხს ქართული მხატვრული შემოქმედების არა ერთი ნიმუში შეუქმნია, როგორც პროზის, ისე პოეზიის სფეროში. ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვებიც ფოლკლორის სფეროს განეკუთვნება. ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის ავტორი, ბერძენი *ქსენოფონტი* საუბრობდა სამხრეთ საქართველოს მცხოვრებთა საბრძოლო ხასიათის ცეკვებისა და სიმღერების შესახებ. პროფესიული შემსრულებლების დონეზე იდგნენ *მესტვირეები – მოხეტიალე მომღერლები,* რომლებიც სიმღერებს *სტვირის* თანხლებით ასრულებდნენ. *მესტვირე* ყველა ხალხური დღესასწაულის და სანახაობის შეუცვლელი მონაწილე იყო.

ქართული ფოლკლორის ერთ-ერთ ყველაზე უძველეს ძეგლს წარმოადგენს *ამირანის ეპოსი.* ქართველებს, როგორც ერთ-ერთ უძველეს ხალხს, ფოლკლორული ეპოსი წარმართობის ხანიდან მოეპოვებათ. ისინი დაჯგუფებული არიან *მითოლოგიური* (სამონადირეო ბალადები, კოპალა-იახსარის საგმირო ლექსები და სხვ.), *მითოლოგიურ-საგმირო* (ამირანისა და მისი ძმების თავგადასავალი), *სამიჯნურო-რომანტიულ* (აბესალომ ეთერი) და *საისტორიო* (არსენას ლექსი, ფირალობის ამსახველი) ნაწარმოებებად. ხალხური შემოქმედების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია *აბესალომ და ეთერის თქმულება* ანუ სამიჯნურო-რომანტიული ეპოსი ტრაგიკულ სიყვარულზე. მეცნიერთა მტკიცებით აბესალომ და ეთერის თქმულება X–XI საუკუნეებშია შექმნილი.

საქართველოს მთიანეთში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გადმოცემებს. ასეთი გადმოცემები ხევსურეთში *ანდრეზების* (*ანდაზების*), სვანეთში *ჰარაკების* სახელით იყო ცნობილი. ანდრეზი ხევსურულ ზეპირსიტყვიერებაში შემონახული ლაშქრობა-მესისხლეობის, გმირობისა თუ ლაჩრობის, თემის ან ბჭეების გადაწყვეტილებებისა და სხვა შემთხვევათა შესახებაა. თაობიდან თაობაზე *ანდრეზი* გადადიოდა ზეპირი მოთხრობის ან ლექსის სახით. მეანდრეზეს საგანგებოდ იწვევდნენ მის სათქმელად, რადგან ანალოგიური შემთხვევის განხილვისას ანდრეზი აუცილებელ საბუთად და სახელმძღვანელო ნიმუშად მიაჩნდათ. ანდრეზების ჯგუფს მიეკუთვნება მთაში დაცული გადმოცემები ამა თუ იმ გვარის სადაურობა-წარმომავლობის შესახებ. ასეთი გადმოცემა-ანდრეზებით ჩვენს მთაში შემაგრებული იყო გვარის (თემის) ერთობა. ეს გენიალოგია-გადმოცემები იყო ერთ-ერთი მთავარი პირობა ტერიტორიული თემების სიმტკიცისა და ერთიანობის. **ხევსურის ტრადიციული საზოგადოებისათვის ლექსიცა და ანდრეზიც უტყუარ საბუთს წარმოადგენდა.**

ქართულ ფოლკლორში ქართველ მეფეებსაც სათანადო ადგილი დაუმკვიდრებიათ. ამ მხრივ განსაკუთრებული პატივი ხვდათ *ვახტანგ გორგასალს, თამარ მეფეს, ერეკლე მეორეს.* აღსანიშნავია *შრომა-საქმიანობისადმი* მიძღვნილი პოეზია. ქართულ ფოლკლორში შრომით სიმღერებსაც სათანადო ადგილი უკავიათ. ცალკე გამოსაყოფია *საწესჩვეულებო-კალენდარული პოეზია, ლირიკა, ბალადა, თქმულებები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები.* საქართველოს ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში თუ საგმირო პოეზია განვითარდა (ხევსურეთი), მეორეში – სატრფიალო. ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი თავისებური ჟანრია *ბალადა.* ამ თვალსაზრისით *ვეფხვისა და მოყმის* ბალადის დასახელებაც საკმარისია. „მოყმე და ვეფხვი“ ორთაბრძოლაზეა აგებული. ქართველმა ხალხმა ზეპირი მოთხრობის – ზღაპრის ასეულობით რაოდენობა შექმნა. ესენია ზღაპრები ცხოველების შესახებ, ჯადოსნური და ფანტასტიკური ზღაპრები და საყოფაცხოვრებო ზღაპრები და ნოველები.

ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები. ქართველმა ხალხმა საუკუნეთა განმავლობაში თვითმყოფადი ეთნიკური კულტურა (ტრადიციები, წეს-ჩვეულებები)

შექმნა. ყველა მათგანი ორიგინალობით გამოირჩევა. ამასთანავე, ჩვენი წინაპრები იზიარებდნენ მსოფლიო ხალხთა კულტურულ მიღწევებს და ყველა რეალიას შემოქმედებითად ამუშავებდნენ. მაგრამ თუ რამით შეუძლია ქართველმა ხალხმა იამაყოს, ესაა *ქართული ხალხური მუსიკა* და *ქართული ხალხური ცეკვები.* მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ქართული ხალხური მუსიკის გაცნობისას, პირველ რიგში, ადამიანს თვალში ხვდება მის სახეთა სიმდიდრე და მრავალფეროვნება. ქართული ხალხური მუსიკა შეიცავს ვოკალური და ინსტრუმენტული მუსიკის უძველეს ნიმუშებს (როგორც აღნიშნავენ, ის უაღრესად არქაულია). ქართული მუსიკალური ფოლკლორი მდიდარია ჟანრობრივადაც. ის მოიცავს *შრომითი, საყოფაცხოვრებო, საწესჩვეულებო, საქორწილო, ისტორიულ, საგმირო, სასიყვარულო, სახუმარო, საფერხულო სიმღერებს, შაირებს, მოთქმა-ტირილს.* ყველა თავის მრავალფეროვნებით ეს ჟანრი სამ ხმაში იმღერება. ჩვენამდე მოღწეული ორხმიანი სიმღერები უპირატესად შრომითი, საწესჩვეულებო, საფერხულო, საცეკვაო სიმღერებია. ერთხმიანი სიმღერები ნაკლებად მრავალფეროვანია და მას შრომითი, სააკვნო, სასიყვარულო, მოთქმა-ტირილების, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებსა და მესხებთან – საყოფაცხოვრებო სიმღერები მიეკუთვნება, რომლებშიც ნათლადაა გამოვლენილი ქართველი ხალხის ცხოვრების უძველესი წესი, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები. სამიწათმოქმედო სამუშაოებთან დაკავშირებულ ერთხმიან სიმღერებს მიეკუთვნება სიმღერები, რომლებსაც ასრულებენ ლეწვისა და განიავების დროს. ამ კატეგორიაში შედის აგრეთვე ურმულები. ხვნის, ლეწვის, განიავების დროს შესრულებული სიმღერები გაერთიანებული არიან *ოროველას* საერთო სახელწოდებით. თითოეულ ამ სიმღერას მრავალი ვარიანტი აქვს. ისინი გამოირჩევიან ფართო დიაპაზონით, მელოდიის გამომსახველობით, სასიმღერო კილოს საფუძვლების სიმდიდრით, ღრმა ემოციურობით.

ერთხმიანი სასიყვარულო-ლირიკული, სახუმარო სიმღერები, შაირები, რომლებიც სრულდება ხალხური ინსტრუმენტების თანხლებით (*ფანდური, ჩონგური, გუდასტვირი, ჭიანური*) ლაკონიურობითა და მკაფიო რიტმით ხასიათდება. სახუმარო სიმღერებისა და შაირებისათვის დამახასიათებელია მელოდიზირებული რეჩიტატივი.

საწესჩვეულებო სიმღერები ქალების რეპერტუარში შედის და გუნდის ფონზე ერთი ან ორი სოლისტის მონაცვლეობით სრულდება.

შრომით და საცეკვაო სიმღერებში, საწესჩვეულებო სიმღერების წყნარი და გამოზომილი შესრულების საპირისპიროდ, შეიმჩნევა რიტმის გამდიდრება, მელოდიური სარჩულის სიმარდე. მისი შინაარსი საკმაოდ ელემენტარულია – შედგება შეძახილისაგან: „ერიო“, „ერი ეგა“, „ოპუნა“, „არალო“, „ნანავდა“...

შინაარსობრივად სამხმიანი სიმღერები მშრომელი ქართველი ხალხის ცხოვრების ყველა მხარეს გამოხატავენ. მუსიკალური საშუალებების გამოხატვის თვალსაზრისით ჰარმონიულ-პოლიფონიური იერის ქართლური და კახური სუფრის სიმღერებია ყველაზე მდიდარი. ამ სიმღერების კილო (ჰანგი) განფენილია, ღრმად ემოციურია და წარმოადგენს ქართული სასიმღერო ფოლკლორის ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ ნიმუშს. ისინი სრულდება საზეიმოდ, დიდი აღმავლობით.

მელოდიური თვალსაზრისით სუფრის სიმღერებში ერთის მხრივ მდიდრადაა წარმოდგენილი ქართული მუსიკალური ორნამენტიკა და მეორე მხრივ ქართული რეჩიტატივის თავისებურება. აღნიშნავენ, რომ სუფრული სიმღერების მელოდია გაშლილი და ემოციურია. ამავე დროს, ეს სიმღერები ამაღლებული ხასიათით გამოირჩევიან. მეცნიერები თვლიან, რომ ტონალური გადახრების შესანიშნავი ნიმუშია **ჩაკრულო**, რომელიც მოდულაციურ ხერხთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

მთის მუსიკალური ენის დიალექტებიდან თავის მუსიკალური სტრუქტურით გამორჩეული ადგილი უკავია დასავლეთ საქართველოს მთიელების – სვანების

სიმღერებს. ისინი მძლავრია, მონოლითურია, დიადია, მკაცრი ხასიათისაა. სვანურ სიმღერებში განსაკუთრებულ კოლორიტს სამივე ხმის კომპლექსური მოძრაობა ქმნის. ქართული თვითმყოფადი ხალხური პოლიფონია მთელი თავისი მრავალფეროვნებით წარმოდგენილია იმერულ, გურულ, აჭარულ და მეგრულ სიმღერებში, რომელთა შორისაც ხშირად გურულ სიმღერებს გამოყოფენ. მის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს სპეციფიური მაღალი, ზედა ხმა, რომელსაც **კრიმანჭულს** უწოდებენ. აღნიშნავენ მის მოქნილობას, ორნამენტირებული ხასიათის ხვეულებს. იმღერება დიდი დაძაბულობით და აღმავლობით. კრიმანჭული ორგანულადაა დაკავშირებული დანარჩენ ხმებთან და ამ ფონზე ის არ კარგავს ინდივიდუალობას. კრიმანჭულთან იმღერება უპირველესად სალაშქრო, საგმირო, საისტორიო, შრომის სიმღერები. შრომის სიმღერებიდან განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს **ოთხხმიანი ნადური**, რომელიც მრავალხმიანობის თვალსაზრისით უნიკალურია. ეს სიმღერები მონაცვლეობით სრულდება ორი გუნდის მიერ. პირველი და მეორე ხმების პარტიებს სოლისტები ასრულებენ, მესამე ხმას – ორი, ბასს აგრეთვე ორი. **კარგი ნადური სიმღერა დაახლოებით ოთხ კილომეტრზე ისმოდა.** გურიაშივე ტვირთის აწევისა და გადატანის დროს იცოდნენ სიმღერა **ელესა**. მას ასრულებდნენ ტყიდან საშენი ხე-ტყის მასალის, საწნახელის, საცალფეხო ხიდის გამოტანისას.

ლირიკულ, სასიყვარულო და სუფრულ სიმღერებში კრიმანჭული არ არსებობს. ამ თვალსაზრისით მკვლევარები განსაკუთრებით აღნიშნავენ მეგრულ მუსიკალურ ფოლკლორს. ისინი სამხმიანია და მუსიკალური ჟანრითა და სტილით უაღრესად მდიდარია. ხასიათდებიან უსაზღვრო ლირიზმით. გვხიბლავენ ფერადოვნებით, მხატვრულობით, მოხდენილობით, მელოდიური ხაზის სიმსუბუქით და ორიგინალური ჰარმონიული შეფერილობით.

ქართულ ხალხურ სიმღერაში ცალკე დგას *ხმით ნატირლები* (მუსიკალური ტექსტები). ისინი იმპროვიზირებული რეჩიტატივის ჩარჩოებში თავსდებიან და მაღალგანვითარებულ მუსიკალურ კულტურაში ეროგვარი რელიქტის სახით წარმოგვესახებიან. ხმით ნატირალებს თუ ქალები ასრულებდნენ, მთაში (ხევსურეთში) მამაკაცების მიერ თიბვასა და მკაში მიცვალებულის დატირებას *გვრინი* ეწოდებოდა. ანალოგიური სიმღერა მთის რაჭაშიც იყო შემორჩენილი. ითქმებოდა გლოვის ხმაზე თიბვისას ცელის მოძრაობის რიტმთან შეწყობით. გვრინის ტექსტად იყენებდნენ თიბვის პროცესის ამსახველ, საყოფაცხოვრებო, სატრფიალო თემებზე შექმნილ ნაწარმოებებს და ხმით ნატირლებს.

ქართველ ხალხში უაღრესად განვითარებული იყო ხალხური საკრავები და საკრავიერო მუსიკა. შუა საუკუნეების საქართველოში ცნობილი იყო ჩასაბერი, სიმებიანი და დასარტყმელი ინსტრუმენტები. XIX-XX საუკუნეებში ქართველი ხალხი იყენებდა ისეთ საკრავებს, როგორიცაა *სალამური, გუდასტვირი (ჭიბონი), ბუკი, ჩანგი, ფანდური, ჩონგური, ჭიანური, დოლი, დაირა, დიპლიპიტო.* საკრავების თანხლებით ქართველი ხალხი ასრულებდა როგორც ერთხმიან, ისე ორხმიან და სამხმიან საწესო, სატრფიალო და სახუმარო ჟანრის სიმღერებს. ინსტრუმენტების თანხლებით ცეკვავდნენ.

ქართველი ხალხის მერ შექმნილ ეთნიკურ კულტურაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ხალხურ ცეკვებს. **ცეკვებში გამოკვეთილად ჩანს ქართველი ხალხის ეროვნული ხასიათი, სული. ცეკვებში ჩანს ქართველთა ჰეროიკა, ლირიზმი, ქალისადმი კლდემამოსილება და სინაზე, ვაჟის მამაცობა, კეთილშობილება, რაინდობა, გამბედაობა, მამულისათვის გმირული ბრძოლა. ზოგიერთი ცეკვა კი სამონადირეო და სპორტული ხასიათისაა.** ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიას საფუძველი შორეულ წარსულში ჩაეყარა. საწესო-საფერხულო ცეკვებს მეცნიერები ასტრალურ კულტებსა და რწმენა-წარმოდგენებს უკავშირებენ. საქართველოს მთაში ფერხულები რელიგიური დღესასწაულების დროს სრულდებოდა. შემონახულია წრიული, ნახევრადწრიული და მწკრივის სახის ფერხულები. ისინი ზოგჯერ ორ და

სამსართულად სრულდებოდა. თავისი შინაარსით ფერხულები ნაყოფიერებასა და გამრავლებას, აგრეთვე მოსავლიანობასთან იყო დაკავშირებული. სამიარუსიანი საფერხულო ცეკვაა *ზემყრელო.* ქვედა წრე ცდილობს ორი ზედა წრის გადმოყირავებას, უკანასკნელნი კი ცდილობენ პოზიციის დიდხანს შენარჩუნებას. ზედა იარუსიდან ჩამოყრილები ქვემო იარუსს უერთდებიან და აგრძელებენ ფერხულს სწრაფ ტემპში. *საფერხულო რეპერტუარიდან ყველაზე მდიდარი სვანეთი იყო. აქ შემონახული იყო უძველესი, წინარექრისტიანულ ხანაში შექმნილი ფერხულები.*

ცეკვა *ხორუმი,* რომელიც გურიაში, აჭარასა და შავშეთ-იმერხევში იყო გავრცელებული, მეცნიერთა მიერ მეომერთა ცეკვადაა მიჩნეული. ის საბრძოლო სცენების დრამატულ დაძაბულობაზეა აგებული და რამდენიმე ეპიზოდისაგან შედგება. ესენია: ბრძოლისათვის მზადება, დაზვერვა, მტერთან შეხვედრა და ბრძოლა, მტერზე გამარჯვება და შინ დაბრუნება. ბრძოლისა და გამარჯვების სცენები ენერგიულობით, სისწრაფით, ექსპრესიულობით ხასიათდება. *ხორუმი* ოპტიმისტური ხასიათის ცეკვაა. *ხორუმის* ზოგიერთ ვარიანტში წინამძღოლის დაჭრაც ხდება, მაგრამ ის რაზმს არ სტოვებს და ცეკვის დამთავრების შემდეგ, ამხანაგების დახმარებით სტოვებს „ბრძოლის ველს“. *ხორუმი* ქართული ხალხური ქორეოგრაფიის შედევრად და კლასიკურ ნიმუშადაა მიჩნეული.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის მწვერვალია ცეკვა *ქართული*. მას სატრფიალო ცეკვების რიცხვს მიაკუთვნებენ და გოგონა და ვაჟი ასრულებს. უაღრესად პლასტიკური *ქართული* ხუთი ნაწილისაგან შედგება: ვაჟის გამოსვლა და ქალის საცეკვაოდ გაწვევა, ერთობლივი დასაწყისი, ქალის სოლო, ვაჟის სოლო და ერთობლივი დასკვნითი აკორდი. ცეკვა ქართულს „სიყვარულის პოემასაც“ უწოდებენ. ესაა რაინდულ-რომანტიკული სულისკვეთებით აღსავსე ცეკვა. *ქართულს* ახასიათებს რთული საშემსრულებლო ტექნოლოგია და პლასტიკურად გამოკვეთილი ნახაზი. ქალისთვის გედისებრი სინარნარე და ვაჟისათვის მრავალნაირი გასმები ტანის შეურყევლად. *ქართულს* ცეკვავდნენ როგორც ხალხური გუნდური სიმღერის, ისე ინსტრუმენტების თანხლებით. სასიყვარულო შინაარსის წყვილთა ცეკვებს შორის, რომელსაც გოგონა და ვაჟი ასრულებენ, აღსანიშნავია აგრეთვე მეგრული *არირა* და აჭარული *განდაგან,* რომლებსაც საერთო ნიშნების გარდა თავის დამახასიათებელი თავისებურებებიც აქვთ. *არირა* ცოცხალი, მოძრავი ხასიათის ცეკვაა. გამოირჩევა სიფიცხით, მგზნებარებით, სილაღით. ზოგჯერ მსუბუქი იუმორით. ამ ცეკვის თავისებურებაა ის, რომ ერთ ქალთან მორიგეობით რამდენიმე მამაკაცი ცეკვავს და ის გრძელდება იქამდე, სანამ წრეში მყოფნი ყველა მამაკაცი არ იცეკვებს. *არირა* სიმღერებისა და ტაშის დაკვრით სრულდება. სხვა ქართული ცეკვებიც ისტორიულად ძირითადად მრავალხმიანი საგუნდო სიმღერების აკომპანიმენტით და ტაშის თანხლებით სრულდებოდა. დაბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს, – ქართული ხალხური ქორეოგრაფიისათვის დამახასიათებელი ხაზგასმული შტრიხი – **არცერთ ქართულ ცეკვაში საქართველოს რომელ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეშიც არ უნდა იყოს ის ჩასახული და განვითარებული, ქალი და კაცი ერთმანეთს არ ეხება.** ამით კიდევ ერთხელ ესმის ხაზი ქალისადმი მოწიწებით დამოკიდებულებას და ცეკვის შემქმნელი ქართველი ხალხის მიერ ქალის კულტის დიდ ტრადიციულობას.

ქართველმა ხალხმა ორიგინალური ქართული ჰიმნოგრაფიაც შექმნა. მისი განვითარება საქართველოში ქრისტიანობის განვითარების საწყისი პერიოდს უკავშირდება. X საუკუნეში საქართველოში უკვე არსებობდა სამუსიკო დამწერლობა. ქართული ლიტურგიული ლიტერატურისა და ქართული ჰიმნოგრაფიის მონაპოვარი აღნიშნული დროისათვის *მიქაელ მოდრეკილს* უკვე ერთ დიდ კრებულში ჰქონდა თავმოყრილი. სამწუხაროდ, მეცნიერთა მიერ მისი სანოტო ნიშნები გაშიფრული არ არის.

IX. 2. ქართველი ებრაელები©

ებრაელები მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძველი და კულტურული ეთნოსია; ებრაელები წარმოშობით სემიტურ-ქამიტური მოდგმის ხალხია. მათი ეთნოგენეზი დღევანდელი ისრაელის სახელმწიფოსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. ებრაელებმა ამ მიწებზე ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში ისრაელისა და იუდეას სამეფოები დააარსეს. ისრაელის სამეფო ძვ. წ. 722 წელს ასურეთმა დაიპყრო, ხოლო იუდეას სამეფო ბაბილონელებმა გაანადგურეს ძვ.წ. 586 წელს. ამ დაპყრობებმა ებრაელი ხალხი აიძულა სამშობლოდან აყრილიყვნენ და სხვადასხვა ქვეყნებში დასახლებულიყვნენ. ამ პერიოდიდან ისინი საქართველოშიც დასახლდნენ. ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოში დასახლებულმა ებრაელებმა სათვისტომო შექმნეს. ყველგან და საქართველოშიც ებრაელებმა აითვისეს ადგილობრივი ხალხების ენა და კულტურა, მაგრამ შეინარჩუნეს რელიგია და მთელი რიგი ყოფითი ტრადიციები.

საქართველოში ებრაელების პირველი მიგრაცია მცირე ჯგუფების სახით ჯერ კიდევ ძვ. წ.-ის VI საუკუნეში მოხდა. ქართული საისტორიო ტრადიციით, საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში, ებრაელები პირველად ძვ. წ.-ის VI საუკუნის დასასრულს გამოჩნდნენ. მათი ქართლში გადმოსახლება ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორ II-ის მიერ იუდეის სამეფოს განადგურებას უკავშირდება. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ებრაელი დევნილები მცხეთის მამასახლისთან მივიდნენ და ქვეყანაში დარჩენის უფლება სთხოვეს: „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყვევნა იერუსალიმ და მუნით ოტებულნი ჰურიანი მოვიდეს ქართლს, მოითხოვეს მცხეთელ მამასახლისისაგან ქვეყანა ხარკითა, ხოლო მცხეთელმა მასახლისმან მისცა და დახსნა არაგვსა ზედა წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი და რომელთა ქვეყანა აქვნდათ მათ ხარკითა აწ ჰქვიან ხერკ, ხარკისა მისთვის“. საქართველოში ებრაელების მეორე ნაკადი ახ. წ.-ის I საუკუნეში ჩამოვიდა. 66–73 წლებში, იუდეური ომის დროს, რომის იმპერატორმა ტიტუს ვესპასიანემ გაანადგურა იუდეას სამეფო, დაანგრია იერუსალიმი და დავითის ტაძარი, რომლისგანაც მხოლოდ გოდების კედელი გადარჩა. დევნილი მოსახლეობა ამჯერადაც გაიფანტა სხვადასხვა ქვეყნებში, საიდანაც ნაწილი კვლავ ქართლში მოვიდა და ადგილობრივი ებრაელების თემს შეუერთდა. ამ დროიდან მოყოლებული ვიდრე XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე, არ არსებობს რაიმე წყარო ებრაელების ასეთი დიდი რაოდენობით კიდევ გადმოსახლების შესახებ.

საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს არასდროს გაუწყვეტიათ კავშირი იერუსალიმთან და სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ებრაელებთან. საქართველოს ისტორიიდან კარგად არის ცნობილი, რომ სწორედ ქართლში ჩამოსულმა „მოციქულმა ჰურიათა“ მიიწვია მცხეთელი ებრაელები ქრისტეს გასამართლებაზე. იერუსალიმში ჩასულ *ელიოზ მცხეთელს* და *ლონგინოზ კარსნელს* წილად ქრისტეს კვართი ხვდათ; მათ კვართი საბოლოოდ მცხეთაში ჩამოიტანეს და დღემდე სვეტიცხოველში დაფლული. იერუსალიმთან მჭიდრო კონტაქტის შედეგი იყო ისიც, რომ ქართლში ერთ-ერთი პირველი ქრისტიანები სწორედ მცხეთელი ებრაელები იყვნენ. ქართლის გასაქრისტიანებლად ჩამოსულმა *წმინდა ნინომ* დასაყრდენი სწორედ ქართველ ებრაელებს შორის იპოვა. ჯავახეთიდან ქართლში შემოსული *ნინო კაპადოკიელი* ქალაქ *ურბნისში* დაბინავდა, სადაც ერთი თვე დაჰყო, „შევიდა უბანსა ურიათასა ენისათუის ებრაულისა“. *წმინდა ნინომ* ქრისტეს რჯულზე პირველები ებრაელები მოაქცია, მღვდელი *აბიათარი*, მისი ქალიშვილი *სიდონია* და „ექუსნი დედანი სხუანი ურიანი“.

ადრე შუა საუკუნეებში ქართველი ებრაელები ძირითადად ირანის ებრაულ თემებთან იყვნენ დაკავშირებულნი, რომლის მეშვეობითაც აღმოსავლეთის

© გიორგი ავთანდილაშვილი

ებრაელთა რელიგიურ ცენტრთან – ბაღდადთან ინარჩუნებდნენ ურთიერთობას. *ბენიამინ ტუდელი* XII საუკუნის 70-იან წლებში წერდა: „საქართველოდან ებრაელები ჩამოდიან ხოლმე ბაბილონში, ექსლარხთან, რათა მისგან ხელდასხმა და მფარველობა მიიღინ და მისთვის ძღვენიც მოაქვთ“.

საქართველოში პირველად მოსული ებრაელები თავდაპირველად ძირითადად ქალაქებში დასახლდნენ და მათ ტრადიციული საქმიანობა ვაჭრობა და ხელოსნობა იყო. ანტიკურ და ელინისტურ სამყაროსთან საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები ებრაელებისათვის ხელსაყრელი იყო. ელინისტური სახელმწიფოების დაცემისა და საქართველოში ფეოდალური სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა სავაჭრო ურთიერთობები, რამაც ძალიან დააზარალა ებრაელი ვაჭარები. საქართველოში ფეოდალიზმის დამყარებას თან ახლდა ქრისტიანობის გავრცელება, რამაც არანაკლები ზეგავლენა მოახდინა იუდეველ ებრაელებზე. მათმა ნაწილმა მალევე მიიღო ქრისტიანობა და ასიმილაცია განიცადა, ხოლო მეორე ნაწილი ძველ სარწმუნოებაზე დარჩა და თავის გადარჩენის მიზნით ქრისტიანობის მაშინდელი კერებისაგან მოშორებით პერიფერიებში დასახლდა. სოფლად დასახლებულ ებრაელებს ვაჭრობის საშუალება შეეზღუდათ, რამაც ისინი აიძულა, ქართველი გლეხების მსგავსად, სოფლის მეურნეობისათვის მიეყოთ ხელი. ადრე შუა საუკუნეებიდან მოყოლებული საქართველოში აქტიურად მიმდინარეობდა ფეოდალიზაციის პროცესი. ბუნებრივია ეს ქართველ ებრაელებსაც შეეხოთ და მათი დიდი ნაწილი ქართველი დიდგვაროვნების ყმებად იქცა. ქართული სამართლის მიხედვით ყმები სამ კატეგორიად იყოფოდნენ: სამეფო ყმები, ფეოდალის ყმები და ეკლესიის ყმები. საქართველო ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც საეკლესიო ყმებს შორის იუდაიზმის მიმდევარი ქართველი ებრაელებიც იყვნენ. გვიან შუა საუკუნეებში საქართველოსთვის მძიმე ვითარება შეიქმნა, ქვეყანა რამოდენიმე ნაწილად დაიყო, ხშირი იყო ქვეყნის შიგნით არეულობა. ასეთ რთულ მდგომარეობაში აღმოჩენილი ქართველი ებრაელები ეკლესიის მფარველობის ქვეშ შესვლას არჩევდნენ. ეს ერთი მხრივ მათ ათავისუფლებდა საგლეხო გადასახადიდან, ხოლო მეორეს მხრივ ძლიერი მფარველის ხელში უფრო მეტად იყვნენ დაცულები. ქართველი ებრაელებისათვის მართლმადიდებელი ეკლესიის ქვეშევრდომობაში ყოფნა სრულებითაც არ წარმოადგენდა დიდ უბედურებას. ებრაელების უფლებებს კანონი იცავდა, ქართველ მებატონეებს უფლება არ ჰქონდათ ძალით მოეთხოვათ ყმა გლეხისაგან ქრისტიანულ სარწმუნოებაზე გადასვლა. საქართველოში ქართველი ებრაელების სოციალურ-ეკონომიკური წყობა და უფლებრივი მდგომარეობა ისეთივე იყო, როგორც ქართველი მოსახლეობისა. მათ უფლება ჰქონდათ ესარგებლათ ყველა იმ უფლებითა და პრივილეგიით, რომლითაც ქართველები სარგებლობდნენ. ებრაელებს საქართველოში არასდროს არ განუცდიათ ეროვნული და სარწმუნოებრივი დევნა, ზოგ შემთხვევაში კი პრივილეგიითაც სარგებლობდნენ. შუა საუკუნეების განმავლობაში ქართველი ებრაელების ძირითადი ნაწილი სოფლებში ცხოვრობდა და ქართველი გლეხების მსგავსად მიწათმოქმედებას მისდევდა. მოჰყავდათ პურეული კულტურები, მიჰყვებოდნენ მევენახეობას და მეურნეობის სხვა დარგებს, ტრადიციული საქმიანობიდან არ ივიწყებდნენ ხელოსნობას, განსაკუთრებით კი ფეიქრობას.

სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა შენიშნულია, რომ სამხრეთ კავკასიაში განსახლებული ებრაელები სწორედ საქართველოს ტერიტორიიდან გავრცელდნენ. მცხეთაში მოსვლიდან მცირე ხნის შემდეგ, ჯერ სხვადასხვა ქალაქებში გადავიდნენ, მოგვიანებით კი ქვეყნის საზღვრებსაც გასცდნენ. მონღოლების შემოსევისა და აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს აოხრების შემდეგ ებრაელების დიდი ნაწილი დასავლეთ საქართველოში გადასახლდა. აღსანიშნავია, რომ XIX-XX საუკუნეებში ყირიმელ ებრაელებში ჯერ კიდევ შეიმჩნეოდა ქართული წარმოშობის გვარები. ქართველი ებრაელების შესახებ

ცნობებს გვაწვდის *ვახუშტი ბატონიშვილი.* მისი გადმოცემით XVII საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე ებრაელთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი დასახლებები არსებობდა; ისინი მკვიდრობდნენ: *ატენში, მძორეთში, ცხინვალში, თამარაშენში, ბრეთში, მუხაურში, სურამში, ალში, ახალქალაქში, ახალდაბაში, ბოდბისხევში, ზემო ხოდაშენში, ქუთაისშიი, საჩხერეში, კულაშში, ვანში, ბანძაში, სენაკში, ხოტევში, ონში, ლაილაშში, ოზურგეთში, აწყვერში, ახალციხეში, გოკიაში, ბარალეთში, ბორჯომში, ჩიხორში...*

XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება ქართველი ებრაელების ცხოვრებაში. მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ გაიზრდა ქალაქებში მოსახლეობის რაოდენობა. ეს კი ხელს უწყობს ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებასა. ამ პერიოდისათვის ყმა ებრაელების ნაწილმა მოახერხა მებატონისაგან თავის გამოსყიდვა და მასიურად დიდ ქალაქებში გადასახლება დაიწყო. 1860-იანი წლებიდან საქართველოში უქმდება ბატონყმობა, შესაბამისად უფრო მეტ ებრაელს მიეცა კომერციულ საქმიანობაში ჩაების საშუალება. ქალაქებში გადასახლებული ქართველი ებრაელები ახალი რეალობის წინაშე დგებიან, ვაჭრობის საქმეში წამყვანი ადგილი სომხებს ეკავათ, რომლებიც მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში დომინირებდნენ და არც ახლა აპირებდნენ პოზიციების დათმობას. გარდა ამისა, XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, რუსეთის იმპერიის ხელშეწყობით ევროპის მთელი რიგი ქვეყნებიდან დაიწყო საქართველოში ებრაელების გადმოსახლება. თბილისში ჩნდებიან ურუმიისა და ნინევიის ქალდეველი ებრაელებიც, რომლებმაც ისწავლეს ქართული ენა და მისდევენ ძვირფასეულობით ვაჭრობას. თბილისში ასევე დადასტურებულია სპარსეთის ებრაელების მცირე თემის არსებობა.

საქართველოში ჩამოსული ევროპელი ებრაელები იდიშზე მეტყველებდნენ. ისინი სხვა წარმომავლობის (მათ შორის ქართველი) ებრაელებისგან განსხვავებით, უფრო მეტად განათლებულები იყვნენ და ძირითადად თბილისში ცხოვრობდნენ. მათ აქ ეკუთვნოდათ ქარხნები, მაღაზიები, ვაჭრობდნენ ყველაფრით. ქართველი ებრაელები ევროპიდან და სხვა ქვეყნიდან გადმოსახლებულ ებრაელებს თავდაპირველად უნდობლად მოეკიდნენ, ისინი თვლიდნენ რომ მათ დაკარგული ჰქონდათ ადათები, ძველი ებრაული ენა, ზნეობა და მთელი რიგი ტრადიციული შეხედულებები. თავად ევროპელი ებრაელებიც ქედმაღლურად უყურებდნენ ადგილობრივებს, დამამცირებელ ზედმეტ სახელებს მიმართავდნენ. ამ ორ ჯგუფს შორის გარკვეული დაპირისპირება გაჩნდა ყოფით ნიადაგზეც. ქართველ ებრაელებს ეკონომიკური ტიპის დაპირისპირება ჰქონდათ სომხებთანაც, რომლებიც ასევე მძლავრად ავიწროვებდნენ ვაჭრობაში. მიუხედავად ყველაფრისა აღნიშნული დაპირისპირებები არასდროს არ გადაზრდილა ეროვნულ შუღლში, რისი ერთ-ერთი გარანტიც საქართველოში ხალხებს შორის არსებული ტოლერანტული დამოკიდებულება იყო.

საქართველოში მცხოვრები ებრაელების რაოდენობის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან XIX საუკუნემდე საამისო მონაცემები არ არსებობს. გარდა ამისა, ქართველ ებრაელთა ნაწილი, დროთა განმავლობაში, ასიმილირდა და ქართველ ხალხს შეერწყა. XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული რუსეთის იმპერია რეგულარულად ატარებდა მოსახლეობის აღწერებს იმპერიის ყველა ნაწილში. ამ აღწერებში დაფიქსირებულია საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის რაოდენობრივი მონაცემები. ეს მონაცემები კარგი საშუალებაა ქართველი ებრაელების რიცხვის დასადგენად, მაგრამ არც ამ შემთხვევაშია ნაჩვენები სრული სურათი. მიუხედავად ამისა, ამ მონაცემებში კარგად ჩანს *ქართველი ებრაელებისა* და *ევროპელი ებრაელების* თანაფარდობა. აღნიშნულ აღწერაში ქართველმა ებრაელებმა მშობლიურ ენად ქართული დააფიქსირა, ხოლო ევროპელმა ებრაელებმა – დიში. ამ აღწერაში 1800 წელს აღნიშნულია 3.3 ათასი ებრაელი, 1865 წელს – 7.8 ათასი, 1897 წელს – 17.2 ათასი, 1939 წელს – 42.4 ათასი, 1970 წელს –

55.4 ათასი, 1979 წელს – 28.3 ათასი, ხოლო 1989 წელს – 24.8 ათასი კაცი. 1897 წლის მიხედვით მშობლიურ ენად ქართულს 6.4 ათასი კაცი მიიჩნევდა, 1959 წელს 51.6 ათასი ებრაელიდან მშობლიურ ენად ქართულს 35.6 ათასი კაცი მიიჩნევდა. რაც შეეხება 1970 წელს 55.4 ათასი კაციდან მშობლიურ ენად ქართულს 43 ათასი კაცი მიიჩნევდა. ქართველი ებრაელების რიცხვმა მნიშვნელოვნად დაიკლო 1970 წლიდან 1979 წლამდე და მის მომდევნო პერიოდშიც, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ამ დროიდან ებრაელების დიდი ნაწილი თავიანთ ისტორიულ სამშობლოში – ისრაელში გადასახლდა. საქართველოში 1992-1993 წლებში ქართველი ებრაელების გარკვეულმა რაოდენობამ ამ პერიოდში კვლავ დატოვა საქართველო. დღეს არსებული მონაცემების მიხედვით საქართველოში ებრაელების რაოდენობა 10 000 არ აღემატება.

ქართველმა ებრაელებმა საქართველოში დღემდე შემოინახეს ისეთი უნიკალური ძეგლი, როგორიცაა ტყავზე დაწერილი, მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს ხელნაწერად აღიარებული თორა, რომელიც „ლაილაშის ბიბლიის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ის 1131 წელს საბერძნეთის ქალაქ სალონიკშია გადაწერილი.

ქართველი ებრაელების პრეცედენტი მსოფლიოში უნიკალურია. საუკუნეების განმავლობაში, როდესაც ებრაელებს სხვადასხვა ქვეყნაში გენოციდს უწყობდნენ და უმოწყალოდ ხოცავდნენ და მათ უფლებებს გამუდმებით არღვევდნენ, საქართველოში ებრაელების უფლებები გათანაბრებული იყო ქართველების უფლებებთან. ქართველ ებრაელს, მწერალ *აბრეკ ბათოშვილს,* თავის წიგნში (ებრაელი ხალხის ისტორიიდან) გამოყენებული აქვს შემდეგ ფრაზა: „ებრაელებს არ მოეპოვებათ არცერთი დოკუმენტი იმის თაობაზე, რომ საქართველოში ებრაელებს აყრილი გვქონდა მოქალაქეობრივი უფლებები ან გვავიწროვებდნენ, რათა უარი გვეთქვა ჩვენ სარწმუნოებაზე... არც ზეპირი გადმოცემა გვაქვს ამის შესახებ“.

ქართველი ებრაელები ქართველ ხალხთან ინტეგრირებულნი იყვნენ. საქართველოში, მსოფლიოს სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, არასდროს ყოფილა ებრაელთა დევნა, არასდროს უცხოვრიათ ქართველ ებრაელებს გეტოებში. ქართველი ებრაელები, ფაქტობრივად, ქართველი ხალხის ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენდნენ. ისრაელში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წასული ქართველი ებრაელები არ კარგავენ საქართველოსთან კავშირს, ისრაელში ინარჩუნებენ ქართულ ენას, შექმნილი აქვთ ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, ქართული კულინარია.

ორიოდე სიტყვა ქართველ ებრაელთა ანთროპონიმულ მოდელზე: ის თითქმის არაფრით განსხვავდება ქართული საკუთარი სახელების სისტემისაგან. განსხვავება მხოლოდ ზოგიერთ პიროვნულ სახელში იყო. საისტორიო საბუთებით დასტურდება, რომ, განსხვავებით ყველა სხვა ებრაელისაგან, ქართველ ებრაელებს გვარსახელები თავიდანვე ჰქონდათ. ორიოდე მაგალითის მოყვანით დავკმაყოფილდებით: 1457 წელს ბაგრატ მეფემ, მცხეთიშვილობის (სვეტიცხოვლის აზნაურობის – რ. თ.) ძველი საბუთის საფუძველზე, სისხლის ფასი განუახლა *ელიოზიძე სეფი შვილ მამისთვალასა* და მის შვილებს: *დავითს, იბრაიმას, ისრაელს, ისხაკას, მამიას, მიხელას, მოშიას, სეფის, ყაზნას, შალომას, შამოელს.* საბუთიდან აშკარაა, რომ ქართველი ებრაელი *ელიოზიძეები* აზნაურთა ფენას მიეკუთვნებოდნენ. ეს გვარი 1559 წლის დომენტი კათალიკოსის შეწირულობის წიგნშიც არის ცხინვალს მოხსენიებული: *„ურია ელიოზიძე“.* 1644 წლის დოკუმენტში მოხსენიებულია – *„ურია ფიჩხაძე დანელა“.* XVII საუკუნისავე შუა ხანების საბუთში ვხვდებით ებრაელ *ფაცია მოშიაშვილს.* XVII-XVIII საუკუნეების მიჯნის ორ დოკუმენტში დასახელებულები არიან ურია *ბერი* და მისი შვილები – *შაქარა* და *დავითა ქონაშვილები/ქონიაშვილები.* 1678 წლის წყალობის წიგნში მოხსენიებულია „ურია *დათუნა ხანანაშვილის* ნასახლარი“. 1688 და 1699 წლების დოკუმენტებში მოწმედ

დასახელებულია მძოვრეთის მამასახლისი – ებრაელი *მათვალაშვილი მარდახი* და მისი ძმა *იოსები.* 1680 წლის გიორგი მეფის საბუთში *ალხაზ მაჩაბლის* ცხინვალელ ყმებს შორის დასახელებული არიან ურიები *ხახანა, შალომა* და *მათვალა ხახანაშვილები.* 1688 წლის გაყრილობის წიგნში სოფელ მძოვრეთში მოხსენიებულია *ციციშვილების* ყმა ებრაელი *ისხაკ დავითასშვილი.* რატომ ჰქონდათ ქართველ ებრაელებს მემკვიდრეობითი სახელები? ამ კითხვაზე პასუხი მარტივია – იმიტომ, რომ ისინი ჩართული იყვნენ ქართულ ფეოდალურ სისტემაში, სოციალურ ურთიერთობებში; ისეთივე ყმები იყვნენ ქართველი ფეოდალებისა, როგორც ქართველი გლეხები; მათ შორის იყვნენ აზნაურებიც; ეკავათ სამოხელეო თანამდებობები. 1678 წლის შეწირულობის წიგნში ნათქვამია, რომ არაგვის ერისთავის თანამეცხედრეს მარიამს ანანურის ღვთისმშობლისათვის შეუწირავს ყმა ებრაელები, რომლებიც ადრე შეუძენია *ოთარ ერისთავს* ქუთაისში. ეს კი, ბუნებრივია, მოითხოვდა, რომ მათ მემკვიდრეობითი სახელი ჰქონოდათ. ქართველ ებრაელთა ძალიან ბევრი გვარი ქართულ გვარსახელებს იმეორებს. ქართველ ებრაელებში ასეთი საზიარო გვარი დაახლოებით 80%-ია. საზიარო მემკვიდრეობით სახელებს შორის შეიძლება დავასახელოთ: *აბრამიშვილი, ახალკაციშვილი, ბათიაშვილი, ბერიძე, გორელაშვილი, დავითაშვილი, თეთრუაშვილი, თოფჩი(ა)შვილი, იოსებაშვილი, მადალაშვილი, ჯანიაშვილი* და სხვ. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ საზიარო გვარსახელები იმას არ ნიშნავს, რომ აღნიშნული მემკვიდრეობითი სახელების მატარებელთა წინაპრები ერთი და იგივე პიროვნებები იყვნენ. ეს სრულიადაც არ მიუთითებს იმას, რომ დასახელებულ გვარსახელთა წარმომადგენელი ქართველები გაებრაელდნენ, ან კიდევ პირიქით – ებრაელები გაქართველდნენ. უბრალოდ, გვარსახელები ქართულ კულტურულ და ენობრივ სამყაროშია წარმოქმნილი, რაკი ებრაელები საქართველოში ქართველ ხალხთან ძლიერ იყვნენ ინტეგრირებულნი.

X. ბოლოთქმა: ეთნოლოგია კავკასიის მომავალის სამსახურში

მსოფლიოს სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში, კონფლიტური სიტუაციების გამო, კავკასიისადმი ინტერესი, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა პერიოდში, გაიზარდა. კავკასიაში ადგილობრივი ხალხების ერთმანეთისადმი და რუსებისადმი დაპირისპირება ახალი არაა. რაც რუსეთის სახელმწიფო კავკასიის არენაზე გამოჩნდა, პლანეტის ამ რეგიონში ბევრი სისხლი დაიღვარა. კონფლიქტების გაჩაღებაში ლომის წილი იმპერიას მიუძღვის; ხალხთა დაპირისპირებით იმპერიას არსებული მდგომარეობის შენარჩუნება სურს. კავკასიის, მისი ხალხების ისტორიისა და ეთნოლოგიის შესახებ ყველაზე მეტი რუსეთში იწერებოდა; ასეა დღესაც. სამწუხაროდ, რუსეთში კავკასიის შესახებ დასტამბული ლიტერატურის დიდი ნაწილი ქართველი მკითხველისათვის დღეს თითქმის ხელმიუწვდომელია.

კავკასიაში ყველაზე მრავალრიცხოვანი რუსები არიან, რომელთა შესახებაც წინამდებარე წიგნში საუბარი არაა, რადგან ეს ევრაზიული ეთნოსი კავკასიის არამკვიდრია. საგულისყუროა კავკასაში *რუსული კოლონიზაციის ისტორია*, რაც, ვფქრობთ, ცალკე წიგნის (სალექციო კურსის) თემა უნდა იყოს, ანდა შეიძლება ეს პრობლემა *კავკასიის ეთნიკური რუკის* სალექციო კურსში მოთავსდეს. მიუხედავად ამისა, მის შესახებ მოკლედ შემდეგი უნდა აღვნიშნოთ: ცარიზმი არ ითვალისწინებდა კავკასიელ მთიელთა მენტალობასა და ტრადიციებს. კავკასიური ომების დროს ერთი და იგივე სცენარი მეორდებოდა. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელები სამხედრო ზემოქმედებით რუსეთს ერთგულების ფიცს აძლევდნენ, მაგრამ, ჯარის გასვლისთანავე, უბრუნდებოდნენ თავისი ცხოვრების დამოუკიდებელ წესს. რუსეთი კი მათ ცბიერებასა და ფიცის დაუცველობაში ადანაშაულებდა. შედეგი კი უფრო უარესი იყო: თანდათან რუსული იმპერიული პოლიტიკა, განსაკუთრებით დასავლეთ კავკასიაში, გენოციდის ფორმას იღებდა. როგორც *ა. ბენინგსენი* წერდა, **ეს იყო განდევნის სახის გენოციდი.** გენოციდის ეს ფორმა (უხეში, მაგრამ ეფექტური პოლიტიკა) ცარიზმმა წარმატებით გამოიყენა დასავლეთადიღეური ტომების, აფხაზი მუსლიმებისა და, ნაწილობრივ, ყირიმელი თათრების მიმართ... რუსეთმა კავკასიელი მთიელები მკაცრი არჩევანის წინაშე დააყენა: ან იმპერიული წესებისადმი სრული დაქვემდებარება, წინაპართა ეთნოსფერის დატოვება და ხელისუფლების მიერ მითითებულ დაბლობში გადასახლება, ან ემიგრირება. ადიღეურ-აფხაზური ეთნიკური მასივის უმეტესობამ ემიგრაცია აირჩია, დაკარგა თავის ეთნოსფერა და საკუთარი ეთნიკური ისტორია უკვე ოსმალეთის იმპერიაში გააგრძელა. მაგრამ ეს ეთნიკური ისტორია უკვე დაღმასვლითი ხასიათის გახლდათ. უბიხთა ეთნოსი კი საბოლოოდ გაქრა. რუსეთის წინააღმდეგ გააფთრებულ ომს თავისი ეთნიკური მიზეზი ჰქონდა. რუსებამდე არც მონღოლები, არც ოსმალები, არც ყირიმელი თათრები არ ცდილობდნენ ადიღეელთა ტერიტორიის პოლიტიკურად და ადმინისტრაციულად ათვისებას. ისინი კმაყოფილდებოდნენ გავლენითა და არსებულ სისტემასთან სიმბიოზური ურთიერთობით. ამან კი კავკასიის ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრები ეთნოსების არსებული დამოუკიდებელი ეთნიკური სისტემისათვის ბრძოლის პროვოცირება მოახდინა. გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება: საუკუნეების განმავლობაში ჯერ ვენეციელებმა და გენუელებმა და შემდეგ ოსმალებმა კავკასიელებს ცხოვრების სახსარი გაუჩინეს: თარეშების შედეგად ტყვედ ჩაგდებულებს ისინი ყიდულობდნენ. ასე რომ, ადგილობრივნი უცხოელებთან ერთგვარ სიმბიოზში იყვნენ. ცარიზმის მოსვლით სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების ამ ფორმას ბოლო ეღებოდა; რუსეთი კავკასიაში შემოსვლას სწორედ ცივილიზაციის შეტანით ამართლებდა და თარეშებსა და ტყვეების გაყიდვას ბრძოლას უცხადებდა. გარდა ამისა გააფთრებულ წინააღმდეგობას

რელიგიური ფაქტორიც იწვევდა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ცარიზმი მიზნის მისაღწევად კავკასიელ მთიელთა აულებს ცეცხლს აძლევდა და სამხრეთისაკენ წინ წაწევისას მთისწინა ზოლსა და მთაში მასობრივად სპობდა ტყეს. შენიშნულია, რომ დასავლეთ ადიღეელთა ეთნოსფერაში კოლონიზატორებმა ლანდშაფტი მნიშვნელოვნად შეცვალეს – ტყის თითქმის 50% გაკაფეს. რუსი ჯარისკაცებისთვის ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთში ტყის გაკაფვა ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა იყო. ეს პროცესი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში გრძელდებოდა. ასე ნელ-ნელა და შეუპოვრად ირღვეოდა კავკასიელთა ბინადრობის გარემო.

წარსულიდან ახლა კავკასიის თანამედროვე მდგომარეობას დავუბრუნდეთ. უკანასკნლი ოცი წლის განმავლობაში რუსეთში დასტამბულ საისტორიო, ეთნოლოგიურ, თუ დემოგრაფიულ ლიტერატურაში ერთგვარი განგაშია ატეხილი კავკასიაში რუსთა რაოდენობრივი და პროცენტული შემცირების შესახებ, მაშინ, როდესაც მათი რაოდენობა მთელი XIX-XX საუკუნეების განმავლობაში მუდმივად იზრდებოდა. ასე, მაგალითად, 1897 წელს კავკასიაში რუსების რაოდენობა 1 მილიონ 826 ათასი კაცი იყო (შესაბამისად ჩრდილოეთ კავკასიაში – 1 მილიონ 583 ათასი და სამხრეთ კავკასიაში – 243 ათასი), 1989 წლისათვის ამ ხალხმა აქ 12 მილიონს გადააჭარბა (შესაბამისად, ჩრდილოეთ კავკასიაში 11 მილიონ 233 ათასი, სამხრეთ კავკასიაში – 885 ათასი). XX საუკუნის 70-იანი წლებიდან კი რუსების პროცენტული და რიცხობრივი რაოდენობა კავკასიაში თვალსაჩინოდ იკლებს. ეს კლება უფრო აშკარაა უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში.

აღნიშნულის საპირისპიროდ ადგილობრივი კავკასიელების რაოდენობა იმატებს. მიუხედავად კავკასიაში მიმდინარე ეთნიკური დაპირისპირებისა, საომარი სიტუაციისა, დღეს კავკასიელთა მატება მაღალი ტემპით გამოირჩვა. დიდი მსხვერპლის მიუხედავად, *ჩაჩნების* რაოდენობამ 1 მილიონ 361 ათასს გადააჭარბა (საერთოდ რუსეთის ფედერაციაში), *ინგუშებისამ* – 412 ათასს. მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი ახასიათებს დაღესტნის ხალხებს: *თაბასარანელებმა* 40,4%-ით მოიმატეს (132 ათასი), *დარგუელებმა* – 44,4%-ით (510 ათასი), ლაკებმა – 47,2%-ით (156 ათასი), ხუნძებმა – 49,6%-ით, *ყუმუხებმა* – 52,2%-ით (412 ათასი), *ლეზგებმა* – 60,3%-ით (412 ათასი). შეიძლებმა გარკვევით ითქვას, რომ მატება თითქმის ყველა ჩრდილოეთკავკასიელი ხალხისათვის დამახასიათებელი მოვლენაა: *აბაზებმა* 38 ათასს გადააჭარბეს (მატება 15,2%), *ჩერქეზები* ახლა 19,6 ათასის ფარგლებში არიან (მატება 61%), *ნოღაელები* – 91 ათასი (მატება 23%), *ყაბადოელები* – 520 ათასი (მატება 34,7%), *ბალყარელები* 108 ათასი (მატება 38,5%). საერთო ჯამში *დაღესტნის* მოსახლეობამ 43%-ით მოიმატა, *ჩაჩნეთისა* და *ინგუშეთისამ* ერთად – 23,7%-ით, *ყაბარდო-ბალყარეთისამ* – 19,6%-ით, ყარაჩაი-ჩერქეზეთისამ – 5,8%-ით, ადიღესი – 3.4%-ით. ამასთანავე, რუსული ეთნოსი ჩრდილოეთ კავკასიაში XIX-XX საუკუნეებში დაკავებულ ეთნიკურ ნიშას ჰკარგავს. მაგალითად, ცნობილია, რომ სტავროპოლის მხარეში ეთნიკურ რუსთა რაოდენობა მნიშვნელოვნად იკლებს და მათ ადგილს აქ დაღესტნის ნამატი მოსახლეობა იკავებს. მარტო 2006 წელს სტავროპოლის მხარის ექვსი რაიონიდან რუსების 30% წავიდა. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ყაბარდო-ბალყარეთს მასობრივად ტოვებს რუსულენოვანი მოსახლეობა. რუსების ასეთივე უკუდენა შეინიშნება ინგუშეთიდან, ჩაჩნეთიდან და დაღესტნიდან. ხშირად ეს მიგრაციები განდევნის ხასიათს ატარებს. სწრაფი ტემპით მატულობს სამხრეთ კავკასიაში ახალგაზრდა აზერბაიჯანული ეთნოსიც.

აღნიშნულის გამო 1970-იანი წლების შემდგომი პერიოდის კავკასიაში ეთნოდემოგრაფიულ პროცესებს სამეცნიერო ლიტერატურაში *დერუსიფიკაციის* პროცესს უწოდებენ. თუ როგორ განვითარდება შემდგომში მოვლენები კავკასიაში ეთნოპოლიტიკური, ეთნოსოციალური, ეთნოდემოგრაფიული

თვალსაზრისით, ამის განჭვრეტა ერთობ ძნელია. ამ თვალსაზრისით კი გარკვეული მნიშვნელობა აქვს კავკასიის ხალხების წარსულის, ეთნიკური ისტორიის, ეთნიკური კულტურის შესწავლას, ერთი სიტყვით, საერთოდ, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნაშრომებს, რასაც წინამდებარე წიგნიც ეძღვნება. ეს პრობლემა ქართველთათვისაც ფრიად აქტუალური და საინტერესოა, რადგან წიგნში მიმოხილული ყველა ეთნოსი ჩვენი მეზობელია და საუკუნეების განმავლობაში საქართვლოს და ქართველ ხალხს კავკასიის ხალხებთან ყოველმხრივი და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა და მომავალშიც ქართველი ერი მათ მეზობლობაში, მათთან ურთიერთობაში გააგრძელებს აქ თავის ცხოვრებას.

კავკასიაში განვითარებული ეთნოდემოგრაფიული პროცესები ქართველებსაც ღრმად ჩაფიქრებისა და ანალიზისაკენ გვიბიძგებს, მითუმეტეს, რომ საქართველო დეპოპულაციის საშიშროების წინაშე დგას. ქართული სოფელი გაქრობის წინაშეა. საქართველოს მთელი რიგი მხარეებიდან ახალგაზრდები ემიგრირებულნი და კონცენტრირებულნი არიან ან თბილისში, ან უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში; ნელ-ნელა ისპობა მეურნეობის ტრადიციული დარგები. ეთნოსის განვითარების ჩვეულებრივი რიტმი და მისი კვლავწარმოების პროცესი დარღვეულია. აგრესიის შედეგად ქართულმა ეთნოსმა ჯერჯერობით დაკარგა თავისი საუკუნეობრივი განსახლების არეალი შიდა ქართლსა და აფხაზეთში. ქართველთა ეთნიკური ნიშა აქ სხვებმა დაიკავეს.

ზემოთქმული პესიმისტური განწყობილების შესაქმნელად არაა მიზანმიმართული. არანაკლებ შემაშფოთებელი მდგომარეობაა ევროპაშიც. მეცნიერთა წრეებში უკვე კარგა ხანია საუბრობენ იმაზე, რომ ევროპული/დასავლური ცივილიზაცია ახლო მომავალში შეიძლება სხვა ცივილიზაციით ჩანაცვლდეს. საამისოდ შეიძლება *პატრიკ ბიუკენენის* წიგნი „დასავლეთის სიკვდილი“ დავასახელოთ, რომლის თანახმადაც **დღევანდელი დღისათვის დამახასიათებელი მოვლენების განვითარების შემთხვევაში ევროპაში 2050 წლისათვის დომინირებული აღმოჩნდება ისლამურ-არაბულ-აფრიკული კულტურა, ევროპული წარმომავლობის ადამიანები კი მთელ მსოფლიოში 10%-ზე ნაკლები აღმოჩნდებიან (XX საუკუნის ბოლოს ისინი მსოფლიოს მოსახლეობის 42%-ს შეადგენდნენ).**

ყველა სახელმწიფო და ეთნოსი თავისი საკუთარი ინტერესებით მოქმედებს. ქართულ სახელმწიფოს და ქართველ ხალხსაც, უპირველეს ყოვლისა, საუთარი ინტერსებით ქმედება მართებს. ეს ქმედება მეზობელ მრავალრიცხოვან კავკასიელ ხალხებთან ურთიერთობასაც უნდა ითვალისწინებდეს, იმ კავკასიელ ეთნოსებთან ურთიერთობას, რომლებმაც ორიგინალური, მათთვის დამახასიათებელი კულტურა (ტრადიციები, წეს-ჩვეულებები) შექმნეს. ეს განსხვავებული ეთნიკური კულტურები და აგრეთვე განსხვავებული საზოგადოებრივი სისტემები/სოციალური ურთიერთობები მთელი ისტორიის მანძლზე გარკვეულად განაპირობებდა ქართველთა და სხვა კავკასიელების ურთიერთობებს. ქართულ-კავკასიური ურთიერთობები ერთსახოვანი არ ყოფილა; ის ორგვარი იყო, ხან მშვიდობიანი, მოყვრული და ხან შფოთით აღსავსე და მტრული. ამაში დამნაშავენი ხშირად არა კავკასიელები, არამედ კავკასიის ხელში ჩაგდების მსურველი იმპერიები იყვნენ, რომლებიც, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობდნენ კავკასიაში ჩამოყალიბებული ეთნიკური ნიშის დარღვევას. აღმოსავლური სამყარო ამ ნიშის ხელში ჩაგდებას თუ იდეოლოგიის – ისლამის – საშუალებით ახდენდა, ჩრდილოეთიდან მოსულმა იმპერიამ კი ეს სივრცე ადგილობრივთა ძალადობრივი დაპყრობითა და განდევნით ჩაიგდო ხელში. რელიგიამ და ბუნებრივ-გეოგრაფიულმა გარემომ/ლანდშაფტმა განსაზღვრა კავკასიის ხალხების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითრების სხვადასხვა ვექტორით განვითარება. ამის მიუხედავად, ქართველი ხალხის ინტერესებში ყოველთვის

შედიოდა და დღესაც შედის როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კავკასიელებთან მშვიდობიანი თანაარსებობა, რასაც უდავოდ წარსულის გამოცდილებაც შეუწყობს ხელს. ამის წინაპირობა კი ისტორიის, ეთნოლოგიის, ენების შესწავლაა და არა ცარიელი, არაფრისმთქმელი და არაარგუმენტირებული მოწოდებები საერთო კავკასიური კულტურისა და ცივილიზაციის არსებობის შესახებ.

კიდევ ერთი გარემოების შესახებ. დასავლელ მეცნიერთა გარკვეულ წრეებში დღეს ერთგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულებაა ეთნოსებისა და ეთნიკური კულტურების შესწავლის მიმართ. მათი გარკვეული ნაწილი არა ეთნოსთა და ეთნიკურ კულტურათა შესწავლას ანიჭებს უპირატესობას, არამედ ცალკეულ საზოგადოებებს, რელიგიურ-კონფესიურ ჯგუფებს. არადა ეთნოსების არსებობა ხომ ფაქტია. კავკასიის მულტიეთნიკურობა და კულტურული მოზაიკა მუდმივად განაპირობებდა აქ მცხოვრები ხალხების ურთიერთობებს. ვიღაცის ინტერესში ამ ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების გაქრობა შედის. ეს ინტერესი ჰქონდა ცარიზმსაც და ბოლშევიკებსაც. ეთნოსებისა და ეთნიკურ კულტურათა არსებობა კი რეალური ფაქტია. მრავალფეროვნებაზე, საზოგადოებათა სტადიალურ და ტიპოლოგიურ განსხვავებულობაზე თვალის დახუჭვა, კულტურული განვითარების თანაბრობაზე საუბარი დაგროვილ პრობლემებს ვერ გადაწყვეტს. ეთნოსთა ურთიერთშეჯიბრი და ეთნიკურ კულტურათა ურთიერთობა განაპირობებდა საზოგადოების პროგრესს, კულტურულ სიმდიდრეს. ეს კავკასიელთა მაგალითითაც დასტურდება, რომელთა ეთნოგენეზი, ეთნიკური ისტორია და ეთნიკური კულტურა წინამდებარე წიგნშია გადმოცემული. დღეს ხშირად საუბრობენ მოდერნიზაციაზე. მოდერნიზაცია კავკასიურ საზოგადოებებს და ქართულ საზოგადოებასაც ნამდვილად სჭირდებათ. სხვანაირად თანამედროვე დინამიურ საზოგადოებას, ალბათ, მხარს ვერ ავუბამთ. თუმცა, როგორ? – ეთნიკურობასა და ეთნიკურ კულტურებზე (წეს-ჩვეულებები, ტრადიციები) უარის თქმით? რა თქმა უნდა, არა. ეს გზა განუხორციელებელი და მიუღწეველია, და ახალი დაპირისპირების წინაპირობაა. იაპონელებმა, კორეელებმა და ჩინელებმა მოდერნიზაცია ტრადიციების, ეთნიკურობის შენარჩუნებით მოახერხეს. ქართველთა და კავკასიელთა მოდერნიზაციაც ტრადიციების პატივისცემასა და ისეთი წეს-ჩვეულებების შენარჩუნებაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომლებიც თანამედროვეობასთან კონფლიქტურ მდგომარეობაში არ აღმოჩნდება. აქედან გამომდინარე კავკასიელთა მიერ ისტორიის და ეთნოლოგიის გათვალისწინებას მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულება გააჩნია.

სარეკომენდაციო ლიტერატურა

ალექსიძე ზ. კავკასიის ალბანელთა დამწერლობა, ენა და მწერლობა: აღმოჩენა სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში. – თბ., 2003.

ანთელავა ნ. აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლოები. ენციკლოპედია. – თბ., 2004.

ანტიკური კავკასია. ენციკლოპედია, ტომი I, წყაროები. – თბ., 2010.

ბახია-ოქრუაშვილი ს. აფხაზთა ეთნოლოგია, თბ. – 2011.

ბახია-ოქრუაშვილი ს. აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ. – 2010.

გამყრელიძე ბ. ცენტრალური კავკასიის მთიელთა ალპური მესაქონლეობა. – თბ., 1982.

გვანცელაძე თ. აფხაზური ენა: სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება. – თბ., 2011.

გუჯეჯიანი რ. ქართული კულტურის ელემენტები ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში (ბალყარეთი, ყარაჩაი, ყაბარდო). – საქართველო და მსოფლიო (წარსული და თანამედროვეობა). – ბათუმი, 2009, გვ. 277-291.

გუჯეჯიანი რ. ქართული კულტურის ძეგლები ბალყარეთსა და ყარაჩაიში // კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, X. – თბ., 2007, გვ.45-56.

თოფჩიშვილი რ. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია: ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა (სალექციო კურსი). – თბ., 2007.

თოფჩიშვილი რ. საქართველოს ეთნოლოგია. სახელმძღვანელო უნივერსიტეტების ჰუმანიტარული სპეციალობის სტუდენტებისათვის. – თსუ გამომცემლობა, 2008.

თოფჩიშვილი რ. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. – თბ., 1997.

თოფჩიშვილი რ. ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I. – თბ., 2005.

თოფჩიშვილი რ. უდიები. – კავკასიის ეთნოლოგიური კრებული. X. თბ., 2007.

თოფჩიშვილი რ. ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი. – თსუ გამომცემლობა, 2008.

ინაძე მ. ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლოიტიკური ისტორიის საკითხები. – *მაცნე,* ისტორიის... სერია, 1992, №1-№2.

მარგოშვილი ლ. პანკისელი ქისტების წეს-ჩვეულებები და თანამედროვეობა. – თბ., 1985.

მარგოშვილი ლ. პანკისის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა) – თბ., 2002.

მარუაშვილი ლ. კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია. ნაწილი 2. – თბ., 1981.

მელიქიშვილი გ. მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის უძველესი საზოგადოებების ბუნების საკითხისათვის – წიგნში: გ. მელიქიშვილი. უძველეს კლასობრივ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობის პრობლემა. – თბ., 2003.

მუსხელიშვილი დ. აფშილთა ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის. – „არტანუჯი“, №10, 2000.

ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან: აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე. მთავარი რედაქტორი ჯ. გამახარია – თბ., 2007.

ომარაშვილი ნ. კახეთში მცხოვრები დაღესტნელები. – თბ. 2008.

პაპასქირი ზ. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I. – თბ., 2004.

რადვანი ჟ. ბერუჩაშვილი ნ. კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი. რუსეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი: ექნებათ თუ არა მათ საერთო მომავალი? – თბ., 2009.

რომელი დ-კ. ფონ. კავკასიის ხალხები. – თბ., 2011.

საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია. *როლანდ თოფჩიშვილის* საერთო რედაქციით. – თბ., 2010.

ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, I. – თბ., 1969 .

ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, II. – თბ., 1978.

ცინცაძე მ. ადიღეელთა სოციალ-ეკონომიური და კულტურული ვითარება XVI-XVIII საუკუნეებში. – თბ., 1961.

ჭანტურიშვილი ს. კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური შესწავლისა და ეთნიკური ისტორიის ძირითადი საკითხები (ზოგადი მიმოხილვა). – თბ., 1997.

ხარაძე რ. სასოფლო თემი ბალყარეთში. – მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, 1960.

ხორავა ბ. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. – თბ., 1996.

ხორავა ბ. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა. – თბ., 2004.

ხუციშვილი ქ. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია. – თბ., 2006.
ჰამსუნი კ. განცდილი და ნაფიქრალი კავკასიაში. – თბ., 2006.
Абазины (□□□□□□□□□□-□□□□□□□□□□

Кавказ: [illegible] 2011. – [illegible] VIII.
Кавказ: [illegible] 2012. – [illegible] X.
Кавказская война: [illegible] 1995.
Кавказский [illegible] 1955. [illegible] 1; 1958. [illegible] 2; 1962. [illegible] 3; 1969 [illegible] 4; 1972. [illegible] 5; 1976. [illegible] 6; 1980. [illegible] 7; 1984. [illegible] 8; 1989. [illegible] 9.
Кавказский [illegible] .II ([illegible]). – [illegible], 1990.
Калоев Б. А. [illegible] ([illegible]). – [illegible] 1962. [illegible] 3. [illegible] 69-109.
Калоев Б. А. [illegible] – [illegible],1981.
Калоев Б. А. [illegible] ([illegible]), [illegible] 2 -[illegible] – [illegible]., 1972.
Калоев Б. А. [illegible] – [illegible]., 1999.
Культура [illegible] – [illegible]., 1968.
Лавров Л. И. [illegible] – [illegible] 1953. [illegible] 4, [illegible] 30-40.
Лавров Л. И. [illegible] – [illegible], 1982.
Лавров Л. И. [illegible] – [illegible] 1984. [illegible] 8, [illegible] 65-71.
Лавров Л. И. [illegible] — [illegible] 2009.
Лавров Л. *И.* [illegible] – [illegible], 2007.
Люшкевич Ф. [illegible] – [illegible],1972.
Лисицян С. [illegible] – [illegible] 1992.
Ляйстер А. Ф., Чурсин Г. Ф. [illegible] – [illegible] 1924.
Магометов А.Х. [illegible] – [illegible] 1968.
Мамедова Ф. *Кавказская Албания и албаны*. – [illegible] 2005.
Маргошвили Л.Ю. [illegible] XIX - [illegible] XX [illegible] ([illegible]). – [illegible], 1990.
Мизиев И. М. [illegible] – [illegible] 1986.
Народы Дагестана. [illegible] *С.А. Арутюнов, А.И. Османов, Г.А. Сергеев.* – [illegible]., 2004.
Народы Кавказа. **т. I. – М., 1960.**
***Народы Кавказа*. т. II. – М., 1962.**
Народы России. [illegible] *В.А. Тишков.* – [illegible]., 1994.
Об Ингушетии и ингушах. [illegible] «[illegible]». [illegible] – [illegible] 2005.
Очерки из истории Грузии. [illegible] *Дж. Гамахария.* – [illegible], 2009.
Проблемы [illegible] – [illegible] 1980.
Робакидзе А,.Гегечкори Г. [illegible] – [illegible] V, [illegible] 1975.
Сергеева Г. А. [illegible] – [illegible]., 1967.
Страницы [illegible] – [illegible].: 1992.
Смирнова Я. С. [illegible] (XIX-XX [illegible]). – [illegible]. 1992.
Соловьева Л. Т. [illegible] – [illegible]. 1995.
Сообцокова Н. И. [illegible] – [illegible] 2010.
Тер-Саркисянц А. Е. [illegible] XIX [illegible] – [illegible]., 2008.
Топчишвили Р. [illegible] – [illegible], 2011.
Топчишвили Р. [illegible] – [illegible], 2009.
Топчишвили Р. [illegible] – [illegible] 5, [illegible] 1-2, 2011.
Тревер К. В. [illegible] – [illegible].; [illegible], 1959.
Традиции народов Кавказа [illegible] 1 0 -[illegible] *Л. И. Лаврове*. – [illegible], 2010.
Удины: [illegible] – [illegible] 1999.

Харадзе Р., Робакидзе А. [illegible] – [illegible], II, [illegible], 1968.
Хафизова М. Г. [illegible] – [illegible], 2010.
Цулая Г. В. [illegible] ([illegible]) . – [illegible].,1995.
Шиллинг Е. М. [illegible] – [illegible].-[illegible], 1949.
Шиллинг Е. М. [illegible] – [illegible] [illegible]2. – [illegible].-[illegible], 1931.
Шиллинг Е. М. [illegible] – [illegible] [illegible] 2 . – [illegible].-[illegible], 1931.
Шиллинг Е. М. [illegible] – [illegible] [illegible] [illegible]2 – [illegible].-[illegible], 1931.
Этнические [illegible] – [illegible].,1978.
Яковлев Н. Ф. [illegible] – [illegible].-[illegible] 1925.
Assays from the History of Georgia. Abkhazia. From ancienttimes till the present days. Chief editor –Jemal Gamakharia. – Tbilisi, 2011.
Charachidzé G. Esenç T. Nouveaux récits oubyks // R.E.G.C., #6-7, 1990-1991. P. 1-12
Charachidzé G. Esenç T. Mots oubyks retouvés // R.E.G.C., #6-7, 1990-1991. P. 23-45.
Charachidzé G. La mémoire indo-européenne du Caucase. Hachette, 1997.
Charachidzé G.Une légende arménienne en oubykh R.E.G.C., #5, 1989. P. 34-48
Khorava B. Çerkezler. – Tbilisi, 2011 (ხორავა ბ. ჩერქეზები. – თბ., 2011. თურქულ ენაზე).
Topchishvili R. Etnic Processes in Shida Karthli (The Ossetians in Georgia) // Causes of War Prospects for Peas. – Tbilisi, 2009.
Topchishvili R. The etnic situation in the Caucasus: past and present. – The Caucasus and Globaization, 2011, #5 (1-2).
Tseretheli M. Rassen-und Kulturpobleme des Kaukasus. – Berlin, 191?.

სარჩევი

I. ზოგადი მონაცემები კავკასიის შესახებ

I. 1. შესავალი
I. 2. კავკასის გეოგრაფიული რეგიონი
I. 3. ეთნიკური ვითარება ისტორიულ და თანამედროვე კავკასიაში

II. აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ხალხები

II. 1. აბაზები
II. 2. აფხაზები
II. 3. ადიღეელები
II. 4. ყაბარდოელები
II. 5. ჩერქეზები
II. 6. უბიხები (გ. ავთანდილაშვილი)

III. ვაინახური მოდგმის ხალხები

III. 1. ინგუშები
III. 2. ჩაჩნები
III. 3. პანკისელი ქისტები (გ. ჭეიშვილი)

IV. დაღესტნური მოდგმის ხალხები

IV. 1. ხუნძები/ავარიელები
IV. 2. ანდიელები
IV. 3. ახვახელები
IV. 4. ბაგულალები
IV. 5. ბოთლიხელები
IV. 6. ღოდობერიელები
IV. 7. კარატაელები
IV. 8. ტინდიელები
IV. 9. ჭამალალები
IV. 10. დიდოელები (ცეზები)
IV. 11. კაპუჭელები (ბეჟტიელები)
IV. 12. ხვარშიელები
IV. 13. ჰუნზიბელები
IV. 14. არჩიბელები
IV. 15. დარგუელები
IV. 16. ხაიდაყელები
IV. 17. ყუბაჩელები
IV. 18. ლაკები
IV. 19. ლეზგები
IV. 20. აღულები
IV. 21. რუთულები
IV. 22. თაბასარანელები
IV. 23. წახურები
IV. 24. ხინალუღები
IV. 25. კრიწები
IV. 26. ბუდუხები
IV. 27. ლეკები საქართველოში (გ. მეურმიშვილი)

V. ირანულენოვანი ხალხები

V. 1. ოსები
V. 2. თათები

V. 3. მთის ებრაელები
V. 4. თალიშები
V. 5. ლაიჯები (გ. ავთანდილაშვილი)

VI. კავკასიის ალბანელთა მემკვიდენი

VI. 1. უდიები

VII. კავკასიის თურქულენოვანი ხალხები

VII. 1. აზერბაიჯანელები
VII. 2. ყარაჩაელები
VII. 3. ბალყარელები
VII. 4. ყუმუხები
VII. 5. ნოღაელები

VIII. კავკასიის ინდოევროპული მოდგმის ხალხები

VIII. 1. სომხები
VIII. 2. ჩერქეზოჰაიები (გ. ავთანდილაშვილი)
VIII. 3. ხემშილები/ჰემშილები (გ. ავთანდილაშვილი)

IX. ქართველები და მათი ეთნიკური ჯგუფი

IX. 1. ქართველები
IX. 2. ქართველი ებრაელები (გ. ავთანდილაშვილი)

X. ბოლოთქმა: ეთნოლოგია კავკასიის მომავალი განვითარების სამსახურში
სარეკომენდაციო ლიტერატურა